საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

(1918–1921)

ენციკლოპედია-ლექსიკონი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

(1918–1921)

ენციკლოპედია-ლექსიკონი

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი – პროფ. დიმიტრი შველიძე

გამოცემის მთავარი რედაქტორი – ზურაბ გაიპარაშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
დიმიტრი შველიძე
ირაკლი ირემაძე
სალომე ჭანტურიძე
თამარ ხეტაშვილი
ქეთევან ქუსიკაშვილი

ენციკლოპედია-ლექსიკონის ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი:
თამარ ათანელიშვილი, გიორგი ასტამაძე, მიხეილ ბახტაძე, ლელა გაფრინდაშვილი, მერაბ გეგია, მანუჩარ გუნცაძე, შოთა ვადაჭკორია, ირაკლი ირემაძე, ბონდო კუპატაძე, ზურაბ ლეჟავა, მანანა ლილუაშვილი, გაგა ლომიძე, ქეთევან ოთარაშვილი, ჯაბა სამუშია, ლელა სარალიძე, დიმიტრი სილაქაძე, ბექა ქანთარია, მიხეილ ქართველიშვილი, ნანა ყიფიანი, მანანა შამილიშვილი, დიმიტრი შველიძე, ნოდარ ჩხაიძე, მაია ციციშვილი, მარი წერეთელი, სალომე ჭანტურიძე, დოდო ჭუმბურიძე, ეკა ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ოთარ ჯანელიძე

ტექსტის რედაქტორები – ცირა ჯიშკარიანი და დალი გერმანიშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი
მარიამ ებრალიძე
ლელა წიკლაური

ენციკლოპედია-ლექსიკონში გამოყენებული ფოტომასალა დაცულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივ არქივში.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-718-1

ისტორიული ვალი

ქართულ ისტორიოგრაფიას დღემდე აკისრია ისტორიული ვალი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე.

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიას მთელი 70 წლის განმავლობაში არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეესწავლა და წარმოეჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია, პირიქით, საბჭოური ისტორიოგრაფია მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ უგულებელეყო ან დაემახინჯებინა დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია. საქართველოს ისტორიის არც ერთი პერიოდი გაუკუღმართებულა ისე, როგორც 1918-1921 წლების რეალობა.

ამ თემაზე საზღვარგარეთულ ქართულ ემიგრაციაში თუ საუბრობდნენ და წერდნენ, მაგრამ ჩვენი გადახვეწილი პატრიოტების სამეცნიერო საქმიანობაც შეზღუდული იყო. ისინი მოკლებულნი იყვნენ საქართველოში ან საბჭოთა არქივებში დავანებული დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტების, პრესის მასალებისა თუ არსებული ლიტერატურის შესწავლის საშუალებას.

ყინულმა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან იწყო დნობა. დღემდე გამოიცა არაერთი ნაშრომი, რომლებშიც ობიექტურადაა შესწავლილი დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული ისტორიის ცალკეული საკითხები, დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის, სამხედრო კონფლიქტების, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის, ადმინისტრაციული მოწყობისა და სხვა არაერთი მხარე, დაცული იქნა ათეულობით დისერტაცია, ჩატარდა მრავალი სამეცნიერო კონფერენცია და ა. შ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გრძელდება პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლა, მაგრამ უკვე საკმაო საფუძველი შეიქმნა იმისათვის, რომ ისტორიკოსებს ეფიქრათ ისეთი ყოვლისმომცველი ნაშრომის მომზადებისთვის, როგორიცაა ენციკლოპედია. უკვე შეიძლებოდა ჩატარებული კვლევის თავისებური შეჯამება, რათა პასუხი გასცემოდა კითხვას - რა ვიცით პირველი ქართული რესპუბლიკის შესახებ. უკვე ჩამოყალიბდა ისტორიკოს-სპეციალისტთა გუნდი, რომელსაც შეეძლო შეექმნა მასშტაბური, ყოვლისმომცველი კოლექტიური ნაშრომი ენციკლოპედიის სახით.

დღეს მკითხველთა წინაშეა დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიანი ისტორიის ამსახველი კომპლექსური შინაარსის სწორედ ასეთი ნაშრომი - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი“. მისი მიზანი იყო, მცირე ენციკლოპედიური სტატიების სახით გადმოეცა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ყოვლისმომცველი ისტორია. იგი შედგება 938 სტატიისაგან.

ენციკლოპედია-ლექსიკონი, ძირითადად, მოიცავს 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 18 მარტამდე განვითარებულ მოვლენებს. მაგრამ მასში გათვალისწინებულია 1917 წლის თებერვალ-მარტის დემოკრატიული რევოლუციიდან 1918 წლის 26 მაისამდე განვითარებული მოვლენებიც, როგორც ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. რუსული მონარქიის დამხობა, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის პერიოდები სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქართული და კავკასიური ეროვნული სახელმწიფოების აღდგენასთან.

ენციკლოპედია-ლექსიკონში შეტანილი სტატიები შინაარსობრივად სამი თემისაგან შედგება: პიროვნებათა ბიოგრაფიები, ორგანიზაციები და მოვლენები. ბიოგრაფიული სტატიები ეძღვნება იმ პერიოდის ცნობილ და აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეებს, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის (ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრების) და სენატის (სასამართლოს) წევრებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, დიპლომატებს, აქტივისტებს, საზოგადო მოღვაწეებს, მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილეებს, სამხედრო პირებს (გენერლებს, ოფიცრებს), კულტურის სფეროს (მეცნიერების, მწერლობის, მუსიკის, თეატრის, მხატვრობის...) გამოჩენილ წარმომადგენლებს და ა. შ. ბიოგრაფიული სტატიების პერსონაჟები არიან აგრეთვე უცხოელი მოღვაწეები, დიპლომატები, პოლიტიკოსები თუ კულტურის წარმომადგენლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთობაში.

მეორე სახის სტატიებში წარმოდგენილია პოლიტიკური, სამხედრო, სამეურნეო, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი, ადმინისტრაციული, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენები: რეფორმები, სახელმწიფოებრივი ღონისძიებები, პარლამენტის საქმიანობა, კანონები, ადმინისტრაციული დაყოფა, ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა, სამხედრო კონფლიქტები თუ თავდაცვითი ომები, კულტურული თუ სამეცნიერო საქმიანობა და პროცესები. მოვლენებში ასახულია ის დიდი კულტურულ-ეროვნული აღმავლობა, რომელიც რესპუბლიკის ხანის საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი.

მესამე სახის სტატიებში მოცემულია რესპუბლიკის ხანის სტრუქტურები და ორგანიზაციები: პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, სამინისტროები, ადმინისტრაციული სამსახურები, პოლიტიკური პარტიები,

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასწავლებლები, უფლებადამცველი ორგანიზაციები, სოციალ-ეკონომიკური, სამეურნეო, სავაჭრო თუ სხვა სახის საზოგადოებები და ორგანიზაციები, პროფკავშირული დაწესებულებები, ერობები, კავშირები, საბჭოები, გაერთიანებები, პრესის ორგანოები, პარტიული, პოლიტიკური თუ კულტურული გამოცემები, ჟურნალ-გაზეთები და ა. შ.

დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია შეიქმნა წინამორბედი ქართული ენციკლოპედიების დიდი გამოცდილების გათვალისწინებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში ვიღებდით იმ შეზღუდულ პირობებსა და იდეოლოგიურ მარწუხებს, რომელშიც შეიქმნა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ თერთმეტტომეული. ამჟამად კი ჩვენ თვალწინ იქმნება ენციკლოპედია „საქართველო“, რომელშიც ბევრი ჩვენი ავტორი-მეცნიერიც იღებს მონაწილეობას და მეტი საშუალება გვქონდა, გაგვეზიარებინა ამ ენციკლოპედიის პოზიტიური პრაქტიკაც.

წინამდებარე ენციკლოპედიის მთავარი თავისებურება ისაა, რომ მასში განხილული ისტორიული პიროვნებების, ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და მოვლენების დიდი უმრავლესობა პირველად გაშუქდა ამ სახის ნაშრომში. აქედანვე გამომდინარეობს მთავარი სიძნელეც, რომელიც უნდა დაეძლია ავტორთა გუნდს - მოეძიებინა, შეეკრიბა, მოკლედ გაეანალიზებინა და პირველად შემოეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი მასალები: პიროვნებათა ბიოგრაფიები, რიგი ისტორიული მოვლენები თუ ორგანიზაციები, რომლებიც ადრინდელ ენციკლოპედიებში ვერ მოხვდა.

ამავე დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შევცვალეთ დამკვიდრებული ტრადიცია ახალი წესით. მაგალითად, ბიოგრაფიულ სტატიებში შავად გამოყოფილია გვარი, სახელი და მამის სახელიც. ლიტერატურის მითითების ნაწილში, ტრადიციულად, მიუთითებდნენ ჯერ გვარს, შემდეგ ინიციალებს. ჩვენ ვუთითებთ ჯერ სახელის ინიციალს და შემდეგ გვარს.

თითოეული ბიოგრაფიული სტატია ორი აბზაცისაგან შედგება. პირველ აბზაცამდე მოცემულია პიროვნების 1917 წლამდე პერიოდის ბიოგრაფია, რაც შეიძლება მოკლედ; პირველ აბზაცში გადმოცემულია პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემები 1917-1921 წლებში, რაც შეიძლება ვრცლად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მეორე აბზაცში მოცემულია პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემები 1921 წლის შემდეგ - გარდაცვალებამდე, რაც შეიძლება მოკლედ. ამგვარი პრინციპითაა შედგენილი ბიოგრაფიები იმ პიროვნებებისა, რომლებიც დღემდე წარმოდგენილნი იყვნენ ადრინდელ ქართულ ენციკლოპედიებში. რაც შეეხება იმ პიროვნებებს, რომელთა ბიოგრაფიებიც პირველად შუქდება წინამდებარე ენციკლოპედიაში, ისინი მაქსიმალურად ვრცელია. კიდევ ერთი თავისებურება - ტრადიციულად, ენციკლოპედიურ სტატიებში ერიდებიან ციტირებებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ დავუშვით თითოეულ სტატიაში ერთი ციტირების გამოყენების შესაძლებლობა. ციტირება ხშირ შემთხვევაში თვით ბიოგრაფიის პერსონაჟს ეკუთვნის და ემსახურება მისი პიროვნული პორტრეტისა თუ თავისებურების რელიეფურად წარმოჩენას. სტატიების ავტორები სახელითა და გვარითაა მითითებული, ადრინდელი სახელის ინიციალის ნაცვლად.

ენციკლოპედიის სტატიების ავტორები, ძირითადად, არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, თანამშრომლები, დოქტორანტები. ასევე, ავტორთა შორის არიან უნივერსიტეტს გარეთ მომუშავე სპეციალისტი-მკვლევრები. ორგანიზაციულად მუშაობას ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

რა თქმა უნდა, უფრო კარგი იქნებოდა, ავტორთა გუნდს მეტი დრო ჰქონოდა საენციკლოპედიო მუშაობისათვის, მაგრამ ის, რაც შევძელით, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე უნდა აკმაყოფილებდეს მკითხველის მოთხოვნებს - ფართო წარმოდგენა შეიქმნას საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიული რეალიების შესახებ. დანარჩენს ისტორიკოსთა მომავალი თაობები სრულყოფენ.

წინამდებარე ენციკლოპედიის სტატიებში ასახულია ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოში, ის დიდი, მასშტაბური კულტურულ-პოლიტიკური და ინტელექტუალური აღმავლობა, რომელიც რესპუბლიკის სამწლეულში მოჰყვა ეროვნული ენერგიის განთავისუფლებას.

მიუხედავად მრავალი ცდისა, რომ გადაისინჯოს საისტორიო მეცნიერების მიზნები და დანიშნულება, მის უმთავრეს ფუნქციად ყოველთვის რჩება ადამიანთა მეხსიერებას შეუნარჩუნოს ცოდნა წარსულის შესახებ, რათა ამით თანამედროვე საზოგადოებას მისცეს სამომავლო გამოცდილება, როგორც გაკვეთილი. წინამდებარე ენციკლოპედიის დანიშნულება ესეცაა - მიაწოდოს მკითხველს და მომავალ თაობებს ცოდნა და გამოცდილება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც ისტორიული გაკვეთილის შესახებ.

დიმიტრი შველიძე

ა

აბაკელია იოსებ კონსტანტინეს ძე (2.III.1882, ქუთაისი, - 1938, თბილისი) - საქართველოში მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი, მედიცინის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. 1903 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და განთავისუფლების შემდეგ ოდესაში ცხოვრება აეკრძალა, რის გამოც სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. მან მხოლოდ 1911 დაამთავრა მოსკოვის უნ-ის სამედ. ფაკ-ტი. 1903 წ-დან რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერების) პარტიის წევრი გახდა, აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში და რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, ციმბირში გადასახლებაც ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მოსკოვის უნ-ის რექტორისა და სტუდენტების შუამდგომლობით გადაურჩა სასჯელს.

1918 წ-ის თებერვალში საქართველოში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე აირჩიეს ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრად და კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ). აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად ესერთა პარტიიდან და ფუნქციონირების ამოწურვამდე რჩებოდა ამ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) შემადგენლობაში. 1918 წ-ის 1 ივნისს, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე, აირჩიეს ეროვნული საბჭოს მდივნის, დ. ონიაშვილის თანაშემწედ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1922 მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა ტუბერკულოზის ამბულატორია, 1930-დან კი ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტ., რომლის დირექტორიც თვითონ იყო. 1935-1938 ხელმძღვანელობდა თბილ. სამედ. ინსტ-ის მის მიერვე დაარსებულ ტუბერკულოზის კათედრას, 1933 წ-დან კითხულობდა ტუბერკულოზის კურსს ექიმთა დახელოვნების ინსტ-ში. 1921 გამოაქვეყნა ტუბერკულოზის პირველი ქართული სახელმძღვანელო. გამოიკვლია ორგანიზმში ტუბერკულოზის გავრცელების მანამდე შეუსწავლელი ლიმფური გზები. ქართველ ფთიზიატრებთან ერთად საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გაშალა ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციული და მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა, დიდ ყურადღებას უთმობდა კურორტ აბასთუმნის განვითარებას. მიუხედავად ამ დიდი დამსახურებისა და სფეროს აქტუალობისა, მაინც რეპრესიების მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა.



აბაკელია იოსებ

ლიტ.: ი. ა ბ ა კ ე ლ ი ა, ტუბერკულოზი. ტფ., 1921; ი. ა ბ ა კ ე ლ ი ა, ფილტვის და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი. ტფ., 1934. სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107.

დიმიტრი შველიძე

აბაშელი ალექსანდრე (ისააკ) ბესარიონის ძე (ჩოჩია) (15.VIII.1884, სოფ. საჩოჩიო - 27.IX.1954, თბილისი) - ქართველი პოეტი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლობდა აბაშის ორკლასიან სასწავლებელში. მსახურობდა აბაშის ფოსტის განყოფილებაში, რამდენიმე თვის შემდეგ ბორჯომის ფოსტის კანტორაში გადაიყვანეს. 1902 ეცნობა არალეგალურ ლიტერატურას. 1904 ბათუმში, როტშილდის ქარხანაში მუშაობს. 1905 რევოლუციურ მოღვაწეობას იწყებს. მუშაობდა პროპაგანდისტად აბაშის, ბანძისა და მარტვილის რაიონებში. 1906 დააპატიმრეს და ჯერ ოლონეცისა, შემდეგ კი ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს. 1908 გაათავისუფლეს და გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თბილისში „კავკაზისა“ და „ნოვაია რეჩის“ რედაქციებში. აქ გამოაქვეყნა პირველი ლექსები რუსულ ენაზე. 1910 პირველი ქართული ლექსი „შავი აჩრდილი“ დაიბეჭდა (ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, № 28), 1913 - ლექსების პირველი წიგნი „მზის სიცილი“. 1911 გაზ. „თემმა“ სალიტერატურო კონკურსი გამოაცხადა, სადაც „სატურნის“ ფსევდონიმით წარადგინა ლექსი „მზე“, რომელსაც ჟიურიმ მეორე პრემია მია-

აბაშელი ალექსანდრე

ნიჭა. ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოზე ა.წერეთელმა გამოაცხადა ავტორის ვინაობა. 1913-1914 სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ სამწერლო საქმიანობას. 1918 ქართულ კლუბში ჰიმნთა შეჯიბრება გაიმართა და ის მთავრობის მხრიდან ჟიურის წარმომადგენელი იყო. აქვეყნებდა ლექსებს ლიტერატურულ ჟურნალში „ლეილა“. 1920 დაწერა ლექსი „ელეგია“, სადაც ამაოებაზე საუბრობს, 1921 - ლექსი „შორეული ნაპირი“, რომელშიც პესიმისტურად ეხმიანება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. გახდა ლიტერატურული დაჯგუფება „აკადემიური მწერლობის კავშირის“ წევრი, რომელიც აერთიანებდა მაშინ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი ყველაზე უარყოფითად განწყობილ მწერლებს. 1921 მისი რედაქტორობით გამოდის ჟურნალი „ხომალდი“. 1921 სალიტერატურო ორგანო „სიტყვა ქართულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრია. 1923 გამოსცა კრებული „ანთებული ხეივანი“. დაწერილი აქვს მოთხრობები: „ქალი სარკეში“ (1930), „ატმის ყვავილი“ (1959). დაუმთავრებელი დარჩა რომანი „ირმა“. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ქმნიდა ქართველ პოეტთა პწკარედებს. იყო ჟურნალ „წიგნის“ პასუხისმგებელი მდივანი, დიდხანს იმუშავა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის ლიტერატურულ კონსულტანტად. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

აბაშიძე ილიკო

ლიტ.: დ. ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი, კრიტიკული ნარკვევები XX ს. ქართულ ლიტერატურაზე, ტ. 1, თბ., 1967; ს. ჭ ი ლ ა ი ა, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ., 1959; ს. ჭ ი ლ ა ი ა, ქსე, ტ. I, გვ. 17, თბ., 1975; გაზ. „ერთობა“, 1918, №31. ჟურ. „ახალი კავკასიონი“, 1925, №1-2; გაზ. „თემი“, 1911, №9; გაზ. „თემი“, 1912, №56.

გაგა ლომიძე

აბაშიძე ასლან

აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე (1877 - 1924) - გენერალი. თავისი ძმის, მემედ აბაშიძის უახლოესი თანამებრძოლი. XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად იბრძოდა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში. სამხედრო რაზმს მეთაურობდა 1905-1907 წწ-ის რევოლუციის დროს. ამის გამო იძულებული გახდა, წასულიყო ემიგრაციაში. 1907-1917 წწ-ში ცხოვრობდა თურქეთში, სადაც მიიღო სამხედრო განათლება უმაღლეს სამხედრო სკოლაში.

სამშობლოში დაბრუნდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მონაწილეობდა ქართული არმიის ჩამოყალიბებაში. 1918 მეთაურობდა ქართველ მუსლიმთა შეიარაღებულ რაზმებს. იმავე წელს დაინიშნა სამხედრო სამინისტროს დავალებათა ოფიცრად. მიენიჭა ჯერ პოლკოვნიკობის, ხოლო შემდეგ გენერლობის ჩინი (1918).

1921 წავიდა ემიგრაციაში თურქეთში, საიდანაც ცდილობდა აჭარაში ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყებას. ნოემბერ-დეკემბერში მცირე ხნით დაბრუნდა საქართველოში და იმყოფებოდა აჭარაში. იყო სტამბოლის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური წევრი. 1924 მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებაში. მოკლეს თურქეთში, სავარაუდოდ, საბჭოთა სპეცსამსახურის (ЧК-ს) აგენტებმა.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, საგმხედრო ფიცის ერთგულნი. თბ., 2015; М. Гогитидзе, Военная элита кавказа. т. I. 2007.

მიხეილ ბახტაძე

აბაშიძე ილია (ილიკო) სოლომონის ძე (1882 (1884?), გურჯაანი - 1953) - ვიოლონჩელისტი, პედაგოგი. რვა წლისა სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს. მეოთხე კლასში ვიოლონჩელზე დაკვრის შესწავლა დაიწყო. 1902-1904 თბილისის მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა. 1904 მუსიკალური განათლების მიღება მოსკოვის ფილარმონიულ სასწავლებელში განაგრძო. პარალელურად, მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზეც ისმენდა ლექციებს. შემდგომში სასწავლებლად იყო ფინეთში და გერმანიაში, ლაიპციგის კონსერვატორიაში, შემდეგ ჩეხეთში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ საკონცერტო მოღვაწეობას შეუდგა.

1918 დამოუკიდებელ საქართველოში მან ითავა ნ. სულხანიშვილის დავიწყების სივრციდან ხელახლა ასპარეზზე გამოყვანა. ქართველთა სამხედრო კავშირის დახმარებით ფასიანი გუნდი შეადგინა და კომპოზიტორი მის ლოტბარად მოიწვია. ამ გუნდმა ორი ისტორიული მნიშვნელობის ეროვნული კონცერტი ჩაატარა: 9 ივნისს - ქართულ კლუბში და 30 ივნისს - ოპერის თეატრში. გასაბჭოების შემდეგ, სხვადასხვა დროს იყო: თბილისსა და ქუთაისში პირველი საფორტეპიანო ტრიოს ორგანიზატორი და წევრი; მ. ბალანჩივაძის მიერ დაარსებული ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის გამგე და პედაგოგი; მოსწავლეთა გუნდის დამაარსებელი და ლოტბარი; ა. ყარაშვილის სიმებიანი კვარტეტისა და სხვ. კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლების წევრი.

ლიტ.: ვ. ბერიძე, „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები)“, თბ., „მეცნიერება“, 1992; გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, „ნიკო სულხანიშვილი, მონოგრაფია“, თბ., 2006; რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015;

ზურაბ ლეჟავა

აბაშიძე კიტა (ივანე) გიორგის ძე (16.I.1870, სოფ. ლესა, ოზურგეთის მაზრ. - 17.XII.1917, თბილისი) - ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლი-

ცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1889 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და გაემგზავრა პარიზში, სადაც 10 თვის განმავლობაში სორბონის უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებლებში ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. 1890-1895 წწ-ში სწავლობდა და დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1895 წ-დან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა თბილისის „საკონტროლო პალატაში"; შემდეგ - მომრიგებელ მოსამართლედ რაჭის მაზრაში, შემდეგ - ჭიათურაში. 1901 წ-დან ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის" თავმჯდომარეა. მალე ის გახდა და სიცოცხლის ბოლომდე იყო ამავე მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის (გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილის) მოადგილე. 1890-იანი წლებიდან კ. აბაშიძე ინტენსიურად აქვეყნებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს წარსულ და მის თანამედროვე მწერლებსა და ლიტერატურულ პროცესებზე. მისი სტატიების სერიებმა რუბრიკით „ცხოვრება და ხელოვნება" და ნაშრომმა „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას და ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლას. გარდა ლიტერატურული სარბიელისა, კ. აბაშიძე აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1896 წ-დან ის შეუერთდა გაზ. „ივერიაში" მოღვაწე ინტელიგენციის ახალ თაობას, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელების" სახელითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. შემდგომში ამ ჯგუფის ბაზაზე ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, რომლის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. 1907 შედიოდა პარტიის ცენტრალურ (მთავარ) კომიტეტში. ამავე წელს შეიქმნა პარტიის ქუთაისის კომიტეტი, რომლის მესვეურები იყვნენ გ.ზდანოვიჩი-მაიაშვილი და კ. აბაშიძე. როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ორჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად - 1905, მეორედ - 1909, როცა იგი ქუთაისის თავადაზნაურთა შეკრებაზე გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით. ორივე შემთხვევაში მალე გაათავისუფლეს. იყო „საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირის" ერთ-ერთი დამაარსებელი. თავმჯდომარეობდა ქუთაისის საზოგადოება „სინათლეს". ჟანდარმერიის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, „სინათლის" მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საღამოზე, 1915 წ-ის 6 იანვარს, კ.აბაშიძემ ღიად გამოხატა გერმანიის მხარდაჭერა მიმდინარე მსოფლიო ომში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ კ. აბაშიძე შეიყვანა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი") შემადგენლობაში. სოციალ-დემოკრატებმა მოინდომეს მის მაგივრად აკ. ჩხენკელის შეყვანა „ოზაკომში". ამ მცდელობას მოჰყვა სერიოზული საპროტესტო მოძრაობა, რის გამოც დროებითმა მთავრობამ დათმო და კომიტეტში შეიყვანა კ. აბაშიძეც და აკ. ჩხენკელიც. სამწუხაროდ, მან ვეღარ შეძლო ახალ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულება, მძიმე ავადმყოფობის გამო, რის შედეგადაც გარდაიცვალა. მისი მეუღლე იყო ერეკლე მეორის ქალიშვილის, თეკლა ბატონიშვილის ვაჟის, ვახტანგ ორბელიანის შვილიშვილი - თეკლე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომლისგანაც ჰყავდა ოთხი შვილი. მათგან უფროსი - გიორგი, ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1924 წ-ის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. კ. აბაშიძე დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

აბაშიძე კიტა

ლიტ.: გ. აბაშიძე, კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ნაკვ. 1-2. თბ., 1964-1982; დ. რამიშვილი, კიტა აბაშიძე. თბ., 1964; ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე". თბ., 1994.

დიმიტრი შველიძე

აბაშიძე მემედ იბრაჰიმის ძე, მემედ-ბეგი (18.I.1873, ბათუმი - 1937) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, ქართველი (აჭარის) მუსლიმების აღიარებული ლიდერი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. დაწყებითი განათლება მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებს. ახალგაზრდობიდანვე იზიარებდა ქართველი სამოციანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ცდილობდა ქართველ მუსლიმთა საერთოეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას, მათ ინტეგრაციას ქართულ ეროვნულ-კულტურულ სივრცეში, რომელიც საფუძვლიანად იყო შერყეული ოსმალთა რამდენიმესაუკუნოვანი ბატონობის შედეგად აჭარაში. იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი და ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობისათვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული რუსეთის ხელისუფლების მიერ, რომელმაც ბოლოს ციმბირში გადაასახლა.

აბაშიძე მემედ

1917 დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა აჭარის მაჰმადიან ქართველობას, რომელიც მწვავედ დაუპირისპირდა პროოსმალურ ძალებს, რომლებსაც ამ ძირძველი კუთხის ოსმალეთთან შეერთება სურდათ. 1917 წ-ის შემოდგომაზე ბათუმში გამართულ აჭარის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე შეიქმნა „ქართველ მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება". მ. აბაშიძე თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვ-

აბაშიძე ჰაიდარ

ნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის „სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციის“ წამყვანი წევრი. ოსმალების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის პერიოდში დააპატიმრეს და ერთხანს ტრაპიზონის ციხეში იმყოფებოდა, საიდანაც გაქცევა მოახერხა. 1918 წ-ის მაისში შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედაც დაუსწრებლად აირჩიეს. 1918 იყო ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. მისი განსაკუთრებული ძალისხმევით, 1919 წ-ის 31 აგვისტოს ბათუმში გაიმართა ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც მიიღო უმნიშვნელოვანესი დადგენილება - ბათუმის ოლქის (აჭარის) „დედასამშობლოსთან“ - საქართველოსთან - „სამარადისოდ“ შეერთების შესახებ, ფართო ავტონომიის სახით. იყო ყრილობის მიერ არჩეული სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის (პარლამენტის) პირველი თავმჯდომარე, რომელიც ფაქტობრივად ადგილობრივი პროქართული ორიენტაციის მუსლიმანი ქართველების მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა ბათუმის ოლქში ბრიტანული ადმინისტრაციის ყოფნის პერიოდში. მისი რედაქტორობით გამოდიოდა განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო - გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის საერთო-ქართული თვითშეგნების ფორმირების პროცესში.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში რჩებოდა მეჯლისის თავმჯდომარედ, იყო ადგილობრივი რევკომის (რევოლუციური კომიტეტის) წევრი. მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტში არაბული ენის სახელმძღვანელოს შემდგენ კომისიაში. ქართულად თარგმნა ომარ ხაიამის, ნაზიმ ქემალის ნაწარმოებები; თურქულად თარგმნიდა ქართულ ნაწარმოებებს (ს. შანშიაშვილის „ანზორი“). დაიწყო შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად თარგმნა. წერდა მოთხრობებს, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და აჭარის სექციის თავმჯდომარე. როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, მაინც მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და 63 წლის ასაკში შეეწირა რეპრესიებს.

თხზ.: მ. ა ბ ა შ ი ძ ე, რჩეული ნაწერები. აჭარის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის წერილები სამუსულმანო საქართველოს შესახებ. ბათუმი; თხზულებანი. ეძღვნება აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავს. თბ., 1998.

ლიტ.: ს. გ ე რ ს ა მ ი ა, მემედ აბაშიძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, ბათ., 1960; ა. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ვ. გ უ რ უ ლ ი, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ., 1996.

დიმიტრი შველიძე

აბრამოვი აბრამ

აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე (15.VIII.1893, ბათუმი - 3.I.1966, თბილისი) - ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. სწავლა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში. 1905-1908 სწავლობდა ოსმალეთში, შემდეგ დაბრუნდა ბათუმში და 1912 დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი. 1913 მასწავლებლობდა. აქვეყნებდა წერილებს ქართულ პრესაში სამხრეთ საქართველოსა და აჭარის მდგომარეობის შესახებ, ოსმალთა მიერ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს ხალხს განუმარტავდა ომის ნამდვილ მიზნებს. მისი ინიციატივით აჭარაში გაიხსნა ქართული სკოლები. 1916 აჭარიდან გადაასახლეს.

წლების განმავლობაში იყო სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის აქტიური წევრი. 1918 გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. 1919 აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალციხის კონფლიქტის მოგვარებაში და ბათუმის ოლქის საკითხის დარეგულირებაში. 1918-1920 წწ-ში იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის” აქტიური წევრი, მოითხოვდა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მის გვერდით პანთეონში დასაფლავებულია მისი მეუღლე - მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი (15.V.1900, სოფ. პერევისა, შორაპნის მაზრ. - 2.IX.1979, თბილისი).

ლიტ.: ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე. ენც. „საქართველო“. ტI. თბ., 1997; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107.

დოდო ჭუმბურიძე

აბრამოვი აბრამ – ჰაზირა (1841, შულავერი - 12.I.1922, თბილისი) - აშუღი, დაირის დაკვრის ოსტატი, თბილისელი მგოსანი. შესვენებების დროს თეატრალურ წარმოდგენებზე უკრავდა და მღეროდა პიესების შესაბამის ლექსებს, ამით მაყურებელზე ზეგავლენას ახდენდა. 1918-1921 პრესაში მისი არაერთი ფოტო და ლექსი დაიბეჭდა. პერიოდულად იმართებოდა მისი საღამოები. 24.V.1920 მუშათა ცენტრალურ კლუბში მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს. საღამოზე სიტყვა წარმოთქვეს თუმანიანცმა და მხატვარმა ბაშინჯაღიანმა. მისი პოეზიისათვის სოციალური და პატრიოტული მოტივები იყო დამახასიათებელი. ჰაზირას ცნობილი სიმღერაა: „აღსდექ, თამარ დედოფალო, შენთვის ტირის საქართველო“, „სადაც არის გათენდება, აღსდექ, მუშავ, შენ!“ და სხვ.

ლიტ.: ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1920, №4, გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №832.

სალომე ჭანტურიძე, ნანა ყიფიანი

აბულაძე იუსტინე ირაკლის ძე (1874, სოფ. როკითი - 1962, თბილისი) – ფილოლოგი, ირანისტი, რუსთველოლოგი. 1900 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი ქართულ-სომხურ-სპარსული განხრით. 1901-1902 წწ-ში სპარსული ხელნაწერების შესასწავლად იმოგზაურა შუა აზიასა და დასავლეთ ევროპაში. საქართველოში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრი და ამავე საზოგადოების მუზეუმის გამგე.

1917 წ-ის ნოემბრიდან იყო თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, უნივერსიტეტის გახსნისთანავე კითხულობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის კურსს და ხელმძღვანელობდა მის მიერვე შექმნილი უნივერსიტეტის სპარსული ფილოლოგიის კათედრას.

ი. აბულაძე ქართულ-სპარსული ურთიერთობის კვლევის ფუძემდებელია. მან შეისწავლა „შაჰნამე“ და „ვისრამიანი“. 1916 გამოსცა „შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების I ტომი. ასევე მონაწილეობდა II ტომის მომზადებაში. წერილების მთელი სერია მიუძღვნა „ვისრამიანის“ ქართულ და სპარსულ ტექსტებს. 1938 მონაწილეობდა ამ ძეგლის გამოცემაში. მას ეკუთვნის სპარსული ენის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (1936). ი. აბულაძემ ორჯერ გამოსცა (1914, 1926) „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი შესავლითა და ლექსიკონით. ეს ლექსიკონი მოგვიანებით, 1938 დაერთო პოემის საიუბილეო გამოცემას.

ლიტ.: დ. კ ო ბ ი ძ ე, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1964. ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“. თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

აგრარული რეფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრესი დიდწილად აგრარულ რეფორმას უკავშირდებოდა. მისი მთავარი შემოქმედი სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი იყო. მაშინ ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობდა; გლეხობის 60-64% ძირითადად იჯარით აღებული მიწით სარგებლობდა. 1917 წ-ის მონაცემებით, საქართველოს მიწის ფონდი სულ 5 537 207 დესეტინას შეადგენდა. 1918 წ-ის 1 იანვრის მონაცემებით, თავადაზნაურობას ეკუთვნოდა აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გუბერნია) 511 538 დესეტინა მიწა, დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნია) კი - 110 157 დესეტინა მიწა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმა თავისთავად უკავშირდებოდა 1860-იანი წლების რეფორმას, რომელმაც გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. რუსეთში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი აქტით (12 ივლისი, 1917) მიწების ყიდვა-გაყიდვა აიკრძალა. ასევე, 1918 წ-ის 23 თებერვალს, ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით, მიწის, ტყეების, წყლების ყიდვა-გაყიდვა დროებით აიკრძალა; 1918 წ-ის 7 მარტის კანონით დადგინდა მიწების ჩამორთმევის წესი და მემამულეთათვის მიწების დატოვების ნორმები. განისაზღვრა მამულების მეპატრონეთათვის დასატოვებელი მიწის მაქსიმალური ნორმა სამი კატეგორიის მიხედვით: 1-7 დესეტინა - ძვირფასი კულტურების მეურნეობებში; 2-15 დესეტინა - მარცვლეულ კულტურათა მხარეში; 3-40 დესეტინა - მესაქონლეობისა და მეცხოველეობის ზონებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში საადგილმამულო კომიტეტებს შეეძლოთ დაწესებული ნორმის გაზრდა, შესაბამისად - 10, 20 და 40 დესეტინამდე. ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობდა: ნ. ჟორდანია დიდ მამულებზე - 15 დესეტინას, ხოლო ნ. ხომერიკი (უფრო მხარდაჭერილი) 7 დესეტინა სახნავსათესი მიწის ფართობის დატოვებას მოითხოვდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აგრარული რეფორმა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგებოდა: პირველი - მიწების ნორმის ზევით ჩამორთმევა და მეორე - მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ-ის 7 მარტის კანონის თანახმად, აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაევალა მიწათმოქმედების სამინისტროს.



აბულაძე იუსტინე

რეფორმის პირველი ეტაპი - მესაკუთრეთათვის ნორმაზე მეტი მიწების ჩამორთმევა - 1918 წ-ის აგვისტოში დაიწყო და 1919 წ-ის შემოდგომაზე, ფაქტობრივად, დასრულდა. გლეხობას უფრო აინტერესებდა ჩამორთმეული მიწების განაწილების ფორმა. სოციალ-დემოკრატთა პროგრამა მიწების მუნიციპალიზაციას ითვალისწინებდა, მაგრამ არა დოგმატური თვალსაზრისით. მათი ტაქტიკა ყოველთვის ადგილობრივი პირობების მიხედვით ყალიბდებოდა. მთლიანობაში, მიუხედავად სირთულეებისა, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა მისაღები იყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიწის ფონდიდან ტყეები, წყლები, საძოვრები, მდინარეები, ბუნებრივი წიაღისეული და ზოგიერთი მეურნეობა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა და განაწილებას არ დაექვემდებარა.

აგრარული რეფორმის შედარებით უფრო რთული მეორე ეტაპი - მიწის ფონდის განაწილება და გლეხობის საკუთრებაში გადაცემა - კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარმართულიყო. მიწა ახალ მესაკუთრეს ეძლეოდა არა უფასოდ, არამედ შეღავათიან ფასში. ამონაგები თანხები ხმარდებოდა რეფორმის

გატარებას და მიწაზე ზოგიერთ ვალდებულებათა (მაგ., ბანკის ვალი) გასტუმრებას. 1919 წ-ის 28 იანვრის სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“ და „ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების“ შესახებ. ასევე, აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, 1918 წ-ის 23 თებერვლის დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც შეჩერდა მიწების ყიდვა-გაყიდვა. მიწის მესაკუთრეს არ შეეძლო ნორმის ფარგლებში დატოვებული მიწების გაყიდვა-დაგირავება. ეს მოთხოვნა გავრცელდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც. დამფუძნებელი კრების 1920 წ-ის 10 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით, მოიხსნა მამულების ყიდვა-გაყიდვაზე აკრძალვები - იმ რაიონებში, სადაც დამთავრდა მემამულეთა მიწების ჩაბარების პროცესი - 1918 წ-ის 7 მარტის კანონის შესაბამისად. მთლიანობაში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დროის მოკლე მონაკვეთში გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, დროის სიმცირის გამო, მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობა არსებითად ვერ გააუმჯობესა.

ლიტ.: თ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თბ., 2006; თ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921). თსუ შრომები, სერია «ეკონომიკა», 2005. №1-2.

თამარ ათანელიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფა

ადმინისტრაციული დაყოფა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918 წ-ის 2 აგვისტოს მიღებული კანონით, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატები. საქართველო დაყოფილ იქნა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: თბილისის გუბერნია ცხრა მაზრით (თბილისი, დუშეთი, თიანეთი, გორი, თელავი, სიღნაღი, ბორჩალო, ახალციხე, ახალქალაქი); ქუთაისის გუბერნია შვიდი მაზრით (ქუთაისი, ახალსენაკი, ლეჩხუმი, რაჭა, ზუგდიდი, ოზურგეთი, შორაპანი); სოხუმის ოლქი, ზაქათალის ოლქი. 1920 წ-ის ივლისიდან ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო ბათუმის ოლქი. ავტონომიური მხარის სტატუსი მიიღეს: აფხაზეთმა (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველომ (ბათუმის ოლქი) და ზაქათალის ოლქმა. შემოიღეს ორსაფეხურიანი ადმინისტრაციული სტრუქტურა. გუბერნიაში უმაღლესი ადმინისტრაციული მოხელე იყო გუბერნიის კომისარი, ოლქში - ოლქის კომისარი, მაზრაში - მაზრის კომისარი. გუბერნიის, ოლქისა და მაზრის კომისარიატებს ჰყავდათ თავიანთი აპარატი - სულ 14 სამაზრო და 56 სარაიონო კომისარი. ყველა სასოფლო თემში შეიქმნა 5-კაციანი მილიცია. 1918 ადგილობრივი მმართველობის რეფორმიდან გამომდინარე გაუქმდა საქართველოს დაყოფა გუბერნიებად, რის შემდეგაც ყველა მაზრაში ჩატარდა საერობო კრების არჩევნები. 1919 საქართველოს მაზრებში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საერობო კრებები. საერობო კრებების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა გამგეობები. სამაზრო თვითმმართველობების (ერობების) შექმნის შემდეგ გატარდა საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა. არჩეულ იქნა მრავალპარტიული საქალაქო სათათბიროები და მისი გამგეობები. საბოლოო ჯამში, საქართველოში ჩამოყალიბდა დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ადგილობრივი მმართველობის სისტემა.

ბონდო კუპატაძე

ავალიანი სიმონ ლუკას ძე (27.III.1881, ქუთაისი - 12.VIII.1922, თბილისი) - ისტორიკოსი, ეკონომისტი. დაიბადა აზნაურის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია (1900) და ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1904). იყო ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, თუმცა პოლიტიკურად არასაიმედოობის გამო დაითხოვეს (1909). პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ოდესის კერძო სასწავლებლებში და თანამშრომლობდა პრესაში (1909-1916). რედაქტორობდა გაზეთს „Южный кооператив“.

1916-1918 წწ-ში იყო პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ხოლო 1919 წ-დან - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგად ანუ მოადგილედ (1919-1920). თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი ფულის ნიშნის (ბონის) დამკვიდრებასა და სტაბილური კურსის შენარჩუნებაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატში, სადაც ხელმძღვანელობდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოოტექნიკურ განყოფილებას. იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი (1921-1922). ავტორია ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე დაწერილი 50-მდე საყურადღებო ნაშრომისა. ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა ამიერკავკასიაში 1861 განხორციელებული საგლეხო რეფორმის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტში პირველმა წაიკითხა ლექციების კურსი კოოპერაციის, დასავლეთ ევროპის ეკონომიკური ისტორიის, საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში მიწათმფლობელობის, საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმის, XIX-XX საუკუნეთა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, სამთამადნო მრეწველობისა და სხვა საკითხებზე. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადში გამოაქვეყნა ნაშრომები რუსეთის არაპროლეტარული პარტიების შესახებ. შექმნა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო და საუნივერსიტეტო კურსი კოოპერაციის დარგში. ქართულ პრესაში მიმოიხილავდა ოციანი წლების დასაწყისში საქართველოში არსებულ ფინანსურ-ეკონომიკურ ვითარებას. იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ პრესაში აღნიშნავდა: „ფულის გაიაფება საქართველოს რესპუბლიკაში საშინელია. ამ დებულებას ვერავინ უარყოფს. მის შედეგებს თითოეული მოქალაქე ყოველდღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობს“.

თხზ: С. А в а л и а н и, Крестьянская реформа в Закавказье, СПб., 1911; С. А в а л и а н и, Крестьянский вопрос в Закавказье, т. 1-3, Одесса, 1912-1914; т. 4, Тифлис, 1920; т. 5 (дополнительный), Тб., 1986; С. А в а л и а н и, Очерки по крестьянскому вопросу в Закавказье, Одесса, 1913.

ლიტ.: უ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ავალიანი სიმონ ლუკას ძე, ენც. „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე (ფსევდ.: Politicus, З. А., Князь და სხვ.) (1875(?), სოფ. ჩუმლაყი - 21.V.1944, ქ. შვანდორფი, გერმანია) - ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, იურისტი, დიპლომატი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1918 წ-დან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ზ. ავალიშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ი. ჭავჭავაძის თანამოაზრის - დავით ავალიშვილის ოჯახში დაიბადა. დედა - ოლღა ედუარდის ასული, კავკასიაში ცნობილი ექიმის, წარმოშობით შვედი ედუარდ ჰოლმბლატის ქალიშვილი იყო. ოჯახურმა ტრადიციებმა, სკანდინავიურ-გერმანულმა გენებმა და საქართველოში, ქართულ გარემოში აღზრდამ იმთავითვე განაპირობა ზ. ავალიშვილის საზოგადოებრივი პროფილი - ქვეყნის ბედ-იღბლისადმი რეალისტური, წმინდა ევროპული, დინჯი მიდგომა. თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1895 ზ. ავალიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, რომელიც 1900 პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. მისმა სადიპლომო ნაშრომმა „Присоединение Грузии к России“ (1901) ოქროს მედალი დაიმსახურა. ნაშრომი პეტერბურგში 1906 მეორედ გამოიცა. პროფ. ნ. მ. კორკუნოვმა ზ. ავალიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში, სახელმწიფო სამართლის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვა. საჭირო საარქივო მასალების გასაცნობად, ზ.ავალიშვილი პარიზში მიავლინეს. 1903 წ-ის მაისში მან მონაწილეობა მიიღო პარიზში დაარსებულ გაზეთ „საქართველოს“ მუშაობაში. 1903 პეტერბურგში დაბრუნდა და როგორც უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, სახელმწიფო სამართალში ლექციების კითხვას შეუდგა. ფლობდა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციას ზ. ავალიშვილი პეტერბურგში შეხვდა. დროებითი მთავრობის არსებობის პირველივე დღეებში ზ. ავალიშვილმა რამდენიმე ეროვნული საქმის მოგვარებაში მიიღო მონაწილეობა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე, ი. ჯავახიშვილთან ერთად, მას რუსეთის სინოდის ობერპროკურორთან საათნახევრიანი პაექრობა ჰქონდა. მეორეც, პეტერბურგის კინოთეატრ „ელიტში“ იგი ქართველთა ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულ კრებას თავმჯდომარეობდა, სადაც ი. ჯავახიშვილმა თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე მოხსენება წაიკითხა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოში დაბრუნებისას (1918) პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობამ, ხოლო შემდეგ ემიგრაციაში მოხვედრამ (1921) ზ.ავალიშვილს საშუალება არ მისცა, თბილისში ახლად გახსნილი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი გამხდარიყო, თუმცა მიწვევა ი. ჯავახიშვილისგან მას იმთავითვე ჰქონდა მიღებული. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ცოტა ხნით ადრე, 1918, ზ. ავალიშვილი სამშობლოში დაბრუნდა. იგი საქართველოს ინტერესებს იცავდა ბათუმის კონფერენციაზე. მან ბათუმშივე მოამზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ტექსტი (რაშიც მას კონსულტაციას ცნობილი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი ფონ შულენბურგი უწევდა), რომელიც 1918 წ-ის 22 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადმოუგზავნა. მცირე კორექტივების შეტანის შემდეგ ეს ტექსტი იმავე წლის 26 მაისს ეროვ-

ავალიშვილი ზურაბ



ავეტისიანი ტიგრან

ნული საბჭოს საგანგებო სხდომამ დაამტკიცა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ზ. ავალიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში კონსულტანტად მიიწვია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის მანძილზე ზ. ავალიშვილი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და მკვეთრად გამოხატული ევროპული ორიენტაციის მიმდევარი იყო. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გერმანიასთან საქართველოს პირველი რესპუბლიკის ურთიერთობის განმტკიცებაში. ამ პოლიტიკის პირველი სერიოზული გამარჯვება იყო ის, რომ გერმანიამ არ ცნო საქართველო-ოსმალეთის 1918 წ-ის ივნისის კაბალური ხელშეკრულების იურიდიული ძალმოსილება, რის გამოც საქართველოს საზღვრებში დარჩა ამჟამინდელი სამცხე-ჯავახეთი. გარდა ამისა, ავალიშვილის მოთხოვნით, გერმანია-რუსეთის 1918 წ-ის 27 აგვისტოს ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა მე-13 მუხლი: „რუსეთი თანხმობას აცხადებს გერმანიის მიერ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობაზე“. 1918 წ-ის გაზაფხულიდან, ზ. ავალიშვილი, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, დიპლომატიური მისიით გერმანიაში იმყოფებოდა. მისი მეუღლე - მაია ფოგტი - გამოჩენილი ქართველოლოგის, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ჰანს ფოგტის ახლო ნათესავი იყო. 1919 ავალიშვილი, როგორც საქართველოს ოფიციალური სამთავრობო დელეგაციის წევრი, პარიზის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ ზ. ავალიშვილი პოლიტიკური ემიგრანტი გახდა. იგი საფრანგეთში (1921-1940) და გერმანიაში (1940-1944) მოღვაწეობდა. ემიგრაციის წლებში ზ. ავალიშვილი აქტიურ პოლიტიკურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. პოლიტიკურ ასპარეზზე იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროსთან თანამშრომლობდა. 1941 მისი მონაწილეობით მიუნხენში „ქართული სამოკავშირეო შტაბი“ დაფუძნდა, რომლის მიზანი საბჭოთა იმპერიის ბატონობისგან საქართველოს გათავისუფლება იყო. აქტიურად მონაწილეობდა „ანტიბოლშევიკ ერთა ლიგის“ შექმნასა და „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ (1942) დაარსებაში. ზ. ავალიშვილი მიუნხენის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომელი იყო და პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძესთან ერთად მუშაობდა. ზ. ავალიშვილი ქალაქ შვანდორფში (ბავარია) გარდაიცვალა. 1994 მისი ნეშტი გერმანიიდან თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადმოასვენეს.

თხზ.: ზ. ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებები, ნარკვევები“, პირველი გამოცემა, თბ., 1925, მეორე გამოცემა, 1929, ახალი გამოცემა, თბ., 1990;

ლიტ.: შ. ბ ა დ რ ი ძ ე, „ზურაბ ავალიშვილი“, გაზ. „კომუნისტი“, თბ., 22 თებერვალი, 1989; შ. ბ ა დ რ ი - ძ ე, „ზურაბ ავალიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მკვლევარი“, კრებულში „საქართველო“, თბ., 1998; გ. შ ა რ ა ძ ე, ზურაბ ავალიშვილი, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. 1, თბ., 1991.

ლელა სარალიძე

ავეტისიანი ტიგრან გიორგის ძე (18.II.1893, თბილისი - 13.VIII.1938, კრასნოიარსკი) - უმაღლესი განათლებით იურისტი. იყო სომხური სარევოლუციო პარტიის „დაშნაკცუთიუნის“ წევრი, 1918 ეროვნულ საბჭოში შევიდა 13 სექტემბრის კანონით, ეროვნული უმცირესობებისათვის გამოყოფილი კვოტით. დამფუძნებელი კრების პირველი დამატებითი არჩევნების შემდეგ გახდა დამფუძნებელი კრების წევრი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. საბჭოთა პერიოდში რამდენჯერმე იყო გადასახლებული და იქვე გარდაიცვალა.

ლიტ.: ცსსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107-109.

ნოდარ ჩხაიძე

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა - აზერბაიჯანი, როგორც ამიერკავკასიის ნაწილი, 1917 წ-ის ნოემბრიდან ფაქტობრივად ჩამოშორდა რუსეთის იმპერიას, ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატს, შემდეგ კი ამიერკავკასიის სეიმსა და მთავრობას დაექვემდებარა. 1918 წ-ის აპრილ-მაისში აზერბაიჯანი, სომხეთთან და საქართველოსთან ერთად, ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში შედიოდა. 1918 წ-ის 26 მაისს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ, 28 მაისს, თბილისში აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭომ, მამედ ამინ რასულზადეს ხელმძღვანელობით, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოში პარტია მუსავათის წარმომადგენლები ჭარბობდნენ. ეროვნულმა საბჭომ მთავრობის ფორმირება უპარტიო ფათალ ხან ხოისკის დაავალა, კაბინეტში მუსავატის წევრები ჭარბობდნენ, ასევე შედიოდნენ მუსლიმ სოციალისტთა ბლოკის და ჰუმეტის წევრები. საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების შესრულება ეროვნულ საბჭოს დაევალა. თბილისის დატოვების შემდეგ აზერბაიჯანის ეროვნული საბჭო და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1918 წ-ის სექტემბრის შუა რიცხვებამდე განჯაში განთავსდა, გამომდინარე იქიდან, რომ აზერბაიჯანის მთავარ ქალაქს, ბაქოს, ჯერ ბაქოს კომუნა, ხოლო შემდეგ ცენტროკასპიის დიქტატურა აკონტროლებდა. ახლად ჩამოყალიბებული აზერბაიჯანის სახელმწიფო მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. მსოფლიო

ომის პირობებში შავი ზღვის გავლით სატრანზიტო გადაზიდვები, ფაქტობრივად, შეჩერებული იყო, ამასთან, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს - ნავთობის საბადოებს - ვერ აკონტროლებდა. 1918 წ-ის ივნისიდან ბაქოში კომუნის მმართველობა ცენტროკასპიის დიქტატურამ ჩაანაცვლა. 1918 წ-ის გაზაფხულზე ბაქოში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის გაჩაღებული სისხლის ღვრა კვლავ გრძელდებოდა. 1918 წ-ის აგვისტო-სექტემბერში აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა, აზერბაიჯანში მყოფი ოსმალეთის არმიის დახმარებით, ბაქო გაათავისუფლეს ცენტროკასპიის დიქტატურისგან. აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე, ფაქტობრივად, მხოლოდ ოსმალეთისაკენ იყო მიმართული. ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სტაბილურობა მიუღწეველი იყო, 1919 წ-ის მარტამდე სამი მთავრობის ფორმირება მოხდა ხოისკის მეთაურობით. 1918 წ-ის ნოემბერში პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მუდროსის ზავის თანახმად, ბაქოს ოკუპაცია ბრიტანეთის არმიამ განახორციელა გენერალ ტომსონის მეთაურობით. 1918 წ-ის ნოემბერში აზერბაიჯანის ეროვნული საბჭო რასულზადეს ინიციატივით გაფართოვდა და ეთნიკური უმცირესობების - სომხების, რუსების, გერმანელებისა და ებრაელების წარმომადგენლებით შეივსო, პარლამენტში წარმოდგენილი იყო 11 პარტია, მათ შორის მუსავატი, იტიჰადი, აჰრარი, სოციალისტები (ჰუმეტი და ადალეთი), სომეხთა ფრაქცია და ა.შ. ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარედ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, პარტია მუსავატის ერთ-ერთი ლიდერი ალიმარდან თოფჩიბაშევი იქნა არჩეული. აზერბაიჯანის პოლიტიკური ბედის განსაზღვრის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. აზერბაიჯანის დელეგაციას პარიზის კონფერენციაზე საკანონმდებლო ორგანოს მეთაური ა. თოფჩიბაშევი ხელმძღვანელობდა. ანტანტის ქვეყნები აზერბაიჯანის საკითხს საქართველოსთან ერთად განიხილავდნენ და მოუწოდებდნენ, ერთიანი პოლიტიკა ეწარმოებინათ კავკასიაში. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ფაქტობრივი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ეთნიკური დაპირისპირება უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ომში აისახა. აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის სიხლის ღვრა ბაქოსა და სხვა ქალაქებში 1918 წ-საც გაგრძელდა. სამხედრო შეტაკებები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ძირითადად ზანგეზურში, ყარაბაღსა და ნახიჩევანში ხდებოდა. აზერბაიჯანის არმიას სომხეთთან ომში სხვადასხვა დროს თავად სამხედრო მინისტრები - სამედ ბეი მაჰმანდაროვი და ხოსრო ბეი სულთანოვი ხელმძღვანელობდნენ. აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას ტერიტორიულ საკითხებზე დავა ჰქონდა მთიელთა დემოკრატიულ რესპუბლიკასთანაც, დერბენდთან დაკავშირებით. ასევე დავა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კონკრეტულად, ზაქათალის ოლქთან მიმართებაში, თუმცა ეს დავა სერიოზულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. პირიქით, ხშირად ეს ორი სახელმწიფო თანამშრომლობდა, 1919 წ-ის 16 ივნისს კი სამხედრო სფეროში ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, ასევე თანამშრომლობდნენ პარიზის კონფერენციაზე წარგზავნილი ორივე ქვეყნის დელეგაციები. საქართველოს, აზერბაიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის კონფერენცია გაიმართა თბილისში, თუმცა საერთო-კავკასიური კონფერენციის მოწვევა სომხეთის უარის გამო ვერ მოხერხდა.

1919 წ-ის გაზაფხულზე პოლიტიკური კრიზისის გამო დაიშალა ხან ხოისკის მესამე კაბინეტი და მთავრობას სათავეში მუსავატის ლიდერი ნასიბ-ბეკ უსუბბეკოვი ჩაუდგა. 1919 წ-ის დეკემბერში მეოთხე მთავრობა დაიშალა და ახალი მთავრობის ფორმირება კვლავ უსუბბეკოვს მიენდო. 1920 წ-ის იანვარში, პარიზის კონფერენციაზე, ანტანტის უმაღლესმა საბჭომ დე ფაქტოდ ერთდროულად აღიარა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. 1920 წ-ის დასაწყისში რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ წითელი არმია, ფაქტობრივად, აზერბაიჯანის ჩრდილოეთ საზღვარს მოადგა, ამავე პერიოდში აზერბაიჯანში მწვავე პოლიტიკური კრიზისი იყო. მთავრობის შიგნით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ნაციონალისტ მუსავატებსა და პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსთა შორის დაპირისპირება გამწვავდა. 1920 წ-ის 1 აპრილს მთავრობა დაიშალა და ახალი მთავრობის ფორმირება მოხდა მამად ჰასან ჰაჯინსკის მეთაურობით, რომელიც ბოლშევიკებთან თანამშრომლობას არ გაურბოდა და ამ გზით მშვიდობის შენარჩუნების იმედს გამოთქვამდა. 1920 წ-ის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი მთიან ყარაბაღში ომს აწარმოებდა სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ჩრდილო აღმოსავლეთის საზღვარი კი დაუცველი იყო. საბჭოთა რუსეთის XI წითელმა არმიამ, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის გარეშე გადაკვეთა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი და 27 აპრილს ბაქო დაიკავა. 1920 წ-ის 28 აპრილს ბაქოში აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოცხადდა. მუსავატური მთავრობის გავლენის ქვეშ რჩებოდა სიდიდით მეორე ქალაქი განჯა. 31 მაისს XI წითელმა არმიამ საბოლოოდ დაამარცხა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები. პოლიტიკოსთა ნაწილი, მათ შორის რასულზადე და

ხან ხოისკი, ემიგრაციაში წავიდნენ (თოფჩიბაშევი პარიზში იმყოფებოდა). საბჭოთა რეჟიმმა დააკავა აზერბაიჯანის სამხედრო ძალების მეთაურები - მეჰმანდაროვი და შიხლინსკი. მთავრობის ყოფილი მეთაური უსუბბეკოვი 1920 წ-ის 31 მაისს მოკლეს ბაქოსთან ახლოს. ასევე, მთავრობის ყოფილი მეთაური ხან ხოისკი 1920 წ-ის ივნისში დაშნაკებმა მოკლეს თბილისში. მთავრობის წევრთა ნაწილმა, მათ შორის ჰაჯინსკიმ, გააგრძელა თანამშრომლობა საბჭოთა მთავრობასთან. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამშვიდობო შეთანხმება დადო საბჭოთა აზერბაიჯანთან.

ლიტ.: ფ. ქ ა ზ ე მ ზ ა დ ე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, თბ., 2016; კ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, მ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, საქართველო და ერთიანი კავკასია (1918-1921 წლების საარქივო დოკუმენტები), თბ., 2000; ბ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015.

ირაკლი ირემაძე

აზერბაიჯანის სასაზღვრო ფრონტი, 1920 **წლის აპრილ-მაისი** – 1920 წ-ის მაისის ბოლოს, საქართველოს საზღვრებთან შექმნილი რთული ვითარების გამო, შეიქმნა „რესპუბლიკის დაცვის საბჭო“. ამავე დროს თბილისის, თელავის სიღნაღის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, გორის, დუშეთისა და თიანეთის მაზრებში გამოცხადდა სამხედრო წესები. შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გ.კვინიტაძე.

27 აპრილს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ სამხედრო მოქმედებები დაიწყო აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ. 28 აპრილს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ბაქოში, ხოლო 1 მაისს წითელი არმიის ნაწილები განჯაში შევიდნენ.

აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა იმავეს გაკეთება საქართველოშიც მოისურვეს და უკვე 1 მაისს მოხდა პირველი სამხედრო შეტაკებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. 2 და 3 მაისს ბრძოლები მიმდინარეობდა წითელი და ფოილოს ხიდების რაიონებში. 4 მაისს მოწინააღმდეგემ სცადა, ალყაში მოექცია ფოილოს ხიდთან მყოფი ქართული შენაერთები, თუმცა ამ უკანასკნელთა მიერ ტაქტიკური უკან დახევის გამო, ჩანაფიქრი ვერ შეასრულა. ს. ორჯონიკიძე მოსკოვში უპატაკებდა, რომ ყველაფერი კარგად მიდის და არაუგვიანეს 12 მაისისა ის თბილისში იქნება. საბჭოთა ქვედანაყოფების შეტევის შესაჩერებლად ქართული მხარე იძულებული გახდა, 5 მაისს ფოილოს სარკინიგზო ხიდი აეფეთქებინა. ამის შემდეგ ფოილოს ხიდის რაიონში მხოლოდ პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა.

მეტად მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა წითელი ხიდის მიდამოებშიც. მართალია, ქართული შენაერთები უკან იხევდნენ, მაგრამ მტერი მაინც ვერ ახერხებდა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას.

იმ დროს, როდესაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ბრძოლები მიდიოდა, მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი გ.ურატაძე. ამ მომენტისთვის საბჭოთა რუსეთი რთულ ვითარებაში იმყოფებოდა, რადგან მარცხს მარცხზე განიცდიდა დასავლეთის ფრონტზე პოლონეთთან მიმდინარე ომში. 6 მაისს პოლონელებმა კიევი დაიკავეს. ამავე დროს სამხედრო მოქმედებები გააააქტიურა ყირიმში მყოფმა ბარონმა ვრანგელმაც. შექმნილ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ უკეთესია საქართველოსთან ხელშეკრულების დადება, რაც მოხდა კიდეც 7 მაისს.

მიუხედავად მოსკოვში დადებული შეთანხმებისა, ბრძოლა არ შეწყვეტილა. 8 და 9 მაისს მოწინააღმდეგემ შეძლო ბობკარისა (ბაბაკიარის) და ტარსის სიმაღლეების დაკავება და 4-5 ვერსის მანძილზე შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე წითელი ხიდის რაიონში. ამავე პერიოდში თავდასხმა მოხდა ლაგოდეხის რაიონში განლაგებულ ქართულ სასაზღვრო საგუშაგოზეც.

საქართველოს სხვა საზღვრებზე და ასევე ქვეყნის შიგნით შექმნილი რთული ვითარების გამო დაგვიანდა დამატებითი სამხედრო შენაერთების მობილიზაცია და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გაგზავნა. მხოლოდ 9 და 10 მაისს მივიდნენ ახალი ბატალიონები სადგურ სანდარაში (მარნეულის მახლობლად), საიდანაც უკვე საკუთარი სვლით დაიძრნენ ფრონტის ხაზისკენ. ამავე დროს, ფრონტის ხაზზე მყოფმა სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონმა, სამეგრელოსა და კახეთის ბატალიონებმა, ცხენოსანი დივიზიონის დახმარებით, მოწინააღმდეგეზე იერიში მიიტანეს და უკან დაახევინეს. ქართული შენაერთების წინააღმდეგ მოქმედებდა საბჭოთა რუსეთის ორი პოლკი და საბჭოთა აზერბაიჯანის რამდენიმე რაზმი.

11 მაისს შეტევაში უკვე ფრონტზე წინა დღით ჩამოსული ქვედანაყოფებიც ჩაერთვნენ. იერიში ორ კოლონად განხორციელდა. მარცხენა ფრთა, რომელსაც მეთაურობდა საგანგებო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ვანო ცომაია, წითელი ხიდის მიმართულებით უტევდა. მარჯვენა ფრთა კი, პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით, სადახლოდან დაიძრა. მას ტარსის მთა - ბაბაკიარის ქედი - სოფელი ასლანბეგის მიმართულებით უნდა ემოძრავა. მათ ბაბაკიარის ქედს მიაღწიეს და რამდენიმე სიმაღლეც დაიკავეს. ბრძოლაში მონაწილეობდა ორი ქართული თვითმფრინავიც, რომელიც მოწინააღმდეგეს ბომბებს უშენდა. მიღწეული წარმატების შემდეგ მთავრსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, ფრონტზე მყოფი შენაერთები გენერალ ა. ჯიჯიხიას დაუქვემდებარა და თავად თბილისში

დაბრუნდა. მთავრსარდლის ჩანაფიქრით, ეს ქვედანაყოფები მხოლოდ მეწინავე ნაწილს წარმოადგენდა და ძირითადი საბრძოლო ოპერაციები ფრონტის ხაზზე მოგვიანებით გადასროლილ შენაერთებს უნდა ეწარმოებინათ.

12 მაისს, გამთენიისას, 3 საათზე შეტევა გაგრძელდა. 5 საათისთვის მარცხენა კოლონამ დაიკავა წითელი ხიდი და სტრატეგიული სიმაღლეები, აიღო სოფელი შიხალო. ამავე დროს მარჯვენა კოლონამ სრულად დაიკავა ბაბაკიარის ქედის სიმაღლეები. შეტევაში მონაწილეობდნენ გვარდიის იმერეთის, კახეთისა და თბილისის ბატალიონები, რომელთაც ეხმარებოდა ცხენოსანი დივიზიონი. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია, კავალერია ცდილობდა, უკანდახეულები დაეცვა. სამწუხაროდ, ქართულ შეიარაღებულ ძალებს არ ჰყავდათ საკმარისი შენაერთები იმისთვის, რომ უკანდახეული მტრისთვის მარჯვენა ფლანგიდან მოევლოთ და სრულად გაენადგურებინათ. შუადღისათვის ქართველების ჯავშანმატარებელმა ფოილოს ხიდთან ძლიერი ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგეს.

13 მაისისთვის მოწინააღმდეგე მდინარე ინჯასუს მარჯვენა ნაპირზე არსებულ სიმაღლეებზე იყო გამაგრებული. ქართულმა შენაერთებმა, და ეს ძირითადად კვლავ სახალხო გვარდიის ბატალიონები იყო, მტერს შეუტიეს. მოწინააღმდეგის მხრიდან ბრძოლაში ჩაება აქამდე რეზერვში მყოფი დასვენებული შენაერთები. ქართულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს კაიმახლუს მთის სიმაღლეები. შევიდნენ სოფლებში: ზედა და ქვედა კამარლუ. დღის ბოლოსთვის ქართველების მარჯვენა კოლონის მარცხენა ფრთა სოფელ ასლანბეგში შევიდა. კოლონის ცენტრისა და მარჯვენა ფრთის ნაწილები კი აბეგის ქედიდან 6-7 ვერსის დაშორებაზე იმყოფებოდნენ.

14 მაისს, მიუხედავად იმისა, რომ შეტევაში მონაწილე დანაყოფები უკვე დაღლილი იყო, რეზერვიც ჩამორჩა და აღალიც, მაინც გადაწყდა შეტევის გაგრძელება. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა, უკან დაეხია და ქართულმა შენაერთებმა აბეგის ქედის სიმაღლეები დაიკავეს. ქართული შენაერთები უკვე 20-25 ვერსის მანძილზე იყვნენ შეჭრილი საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

15 მაისს, შუადღისას, მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გახსნა ქართული პოზიციების მიმართულებით. საღამოსთვის სროლა კიდევ უფრო გახშირდა. 15-დან 16 მაისის ღამეს სამტრედიის ბატალიონის ერთმა ჯგუფმა მოწინააღმდეგის შეტევა ვერ შეამჩნია და სტრატეგიული სიმაღლე დაკარგა მარჯვენა ფრთაზე. სამტრედიელთა უკან დახევამ სხვა შენაერთებშიც პანიკა გამოიწვია. ქვედანაყოფებმა პოზიციები მიატოვეს და უკან დახევა დაიწყეს. კომუნიკაციის თითქმის არარსებობამ, გარკვეულმა გაუგებრობამ და შეუთანხმებლობამ ის გამოიწვია, რომ მთელი ღამის მანძილზე ქართული შენაერთები უკან დახევას განაგრძობდნენ. მათი შეჩერება და კვლავ საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა მხოლოდ 16 მაისს მოხერხდა, როდესაც უკანდახეულებმა წითელ ხიდს მიაღწიეს. აქ გენერალმა ჯიჯიხიამ ხელახლა დაიწყო მათი დაწყობა. ამ დროისთვის ფრონტზე ჩამოვიდნენ მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე და სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი.

17 მაისს ქართულმა შენაერთებმა კვლავ დაიწყეს წინსვლა. მთავარსარდლის განკარგულებით შექმნილი იყო ოთხი საიერიშო კოლონა: პოლკოვნიკ ჩხეიძის - სადახლოდან აღმოსავლეთით, კერპილთან; გენერალ ჯიჯიხიასი - წითელი ხიდის აღმოსავლეთით; გენერალ გედევანიშვილის - სალ-ოღლისთან ფოილოს ხიდის მიმართულებით; გენერალ სუმბათაშვილის - ლაგოდეხთან. მთელი ამ ძალების 4/5 თავმოყრილი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადახლოს ზოლიდან წითელ ხიდამდე. ქართული სარდლობა საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა აზერბაიჯანის შენაერთების წინააღმდეგ დიდი შეტევის დაწყებას აპირებდა.

18 მაისს თბილისიდან მთავრობის თავმჯდომარის განკარგულება მოვიდა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ამიტომ მთავრსარდალმაც შეტევა აღარ დაიწყო.

26 მაისს საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის დროებითი ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულება კი 12 ივნისს გაფორმდა.

ლიტ.: ზ. დ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, „წერილები ფრონტიდან“, გაზ. „ერთობა“ 1920, №127,131,139,140,144; ა. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., ტ. IV, 2003; გ. კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე, მოგონებები, ტ. I, თბ., 2014; ა. ჩ ხ ე ი ძ ე, სამხედრო სკოლა, ჟურ. მხედარი, 1991, №1-4; В. Д ж у г е л и, Тяжолый крест (Записки народного гвардейца), Тф., 1920; А. К а д и ш е в, Интервенция и гражданская война в закавквзии 1960, М.; М. Т р а с к у н о в, Героический боевой путь 11-ой армии на фронтах Гражданской войны, Тб., 1958 г.

მიხეილ ბახტაძე

აკოფაშვილი დავით (12.III.1886, ქუთაისი - 1948) - საოპერო მომღერალი. ბარიტონი. 9 წლისა ქუთაისის გიმნაზიაში მიიყვანეს, რომლის დამთავრების შემდგომ, 1903, სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგრძო. პარალელურად პეტერბურგის კინსერვატორიაში პროფ. ფერნი ჯირალდონთან სიმღერას სწავლობდა. 1905 ვოკალის დახვეწის მიზნით იტალიაში გაემგზავრა. 1906 მილანში ცნობილ ვოკალისტთან - კაზინოსთან განაგრძო მეცადინეობა. კონტაქტობდა გამოჩენილ მომღერლებთან - ევგენი ჯირალდონთან და ენრიკო კარუზოსთან. 1908 ახალგაზრდა ვიოლონჩელისტ ილიკო აბაშიძესთან ერთად საქართველოში კონცერტებს მართავდა.

1919 დამოუკიდებელ საქართველოში მონაწილეობდა პირველი ქართული საოპერო

სტუდიის წარმოდგენაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1920 მიხეილ ნანობაშვილთან (მიშელ დარიალთან) ერთად დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და კონცერტები ჩაატარა. იმავე წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად ხმა დაკარგა და მოსწყდა ვოკალურ ხელოვნებას.

ლიტ.: ა. ცამციშვილი, „ქართველი მომღერლები უცხოეთში“, „უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანები“, თბ., 1962; დ. მჭედლიძე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, თბ., 1968.; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ალადაშვილი ალექსანდრე

ალადაშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1876, სოფ. არბოშიკი - 1950, თბილისი) – თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1919), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946). 1904 დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ხარკოვში 1911 მოიპოვა დოქტორის ხარისხი სადისერტაციო თემით „ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისათვის.” 1919 აირჩიეს სიმფეროპოლის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგედ.

1919 თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ალ. ალადაშვილი უნივერსიტეტის პროფესორად მოიწვია. 1919-1921 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრის გამგე. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტს.

ალექსი-მესხიშვილი ლადო

1921-1924 წწ-ში იყო სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი. ათწლეულები ხელმძღვანელობდა თბილისის II საავადმყოფოს, რომელსაც შემდგომ მისი სახელი მიენიჭა. მისი სამეცნიერო შრომები უმთავრესად ეხება საქართველოს საკურორტო რესურსებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პრეპარატების სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხებს. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: ვ. გერსამია, ალექსანდრე სტეფანეს ძე ალადაშვილი, თბ., 1955; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ალექსი-მესხიშვილი შალვა

ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ სარდიონის ძე (ლადო მესხიშვილი) (28.II.1857, თბილისი - 24.XI.1920) - ქართველი მსახიობი და რეჟისორი. რესპუბლიკის სახალხო არტისტი (წოდება მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ, 1930). სწავლობდა თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში, შემდეგ - მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, სამშობლოში დაბრუნდა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თელავის ქალთა სასწავლებელში. აქ სამ წელიწადს იმსახურა, პარალელურად მონაწილეობდა რუს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. 1881 ჩაირიცხა თბილისის ქართულ დრამატულ დასში. 1887-1890 წწ-ში კი რუსულ სცენაზე გამოდიოდა. 1890-1896 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის, 1897-1906 წწ-ში კი - ქუთაისის დრამატულ დასებს. 1905 ალექსი-მესხიშვილი მხარს უჭერდა სახალხო ბრძოლას, თვითონაც იბრძოდა ბარიკადებზე, მიტინგებზე რევოლუციურ ლექსებს კითხულობდა. ტირანიისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა მისი დადგმებიც: მონტის „გაიუს გრაკქუსი“ და ჰაუპტმანის „ფეიქრები“, რომლებშიც ალექსი-მესხიშვილი თვითონვე ასრულებდა მთავარ როლებს. 1906-1910, 1915-1920 წწ-ში ლადო ალექსი-მესხიშვილი რუსეთის სცენაზე მოღვაწეობდა (1907 - მოსკოვის სამხატვრო თეატრში). 1910-1914 წწ-ში იგი სათავეში ედგა თბილისის, 1914-1915 წწ-ში ქუთაისის თეატრებს. ალექსი-მესხიშვილის გმირები ებრძოდნენ უსამართლობას, ექომაგებოდნენ ჩაგრულებს, იღვწოდნენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის. რუსეთში ყოფნის დროს გადაიღეს კინოფილმებში „მამები და შვილები“, „შურისძიების ღმერთი“ და სხვა.

სიცოცხლის ბოლო ხუთი წელი (1915-20) ლადო მესხიშვილმა ძირითადად რუსეთში გაატარა. იგი თბილისში დაბრუნდა 1920-ის ივნისში. მალე საარტისტო საზოგადოების თეატრში, ვ. მესხიშვილისა და ნ. ჩხაიძის მონაწილეობით, დრამა „ინსტინქტი“ დაიდგა. 17 ივლისს ქართულ კლუბში, საქველმოქმედო მიზნით, დიდი სეირნობა გაიმართა. ქართველ მსახიობთა მიერ, დამსახურებული მსახიობების ვ.მესხიშვილისა და ნ. ჩხაიძის მონაწილეობით, ჰარტმანის „შეშლილია“ დაიდგა. კინო „არფასტოში“ 1, 2, 3 და 4 დეკემბერს გაიმართა ჩვენება დრამის არტისტის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ შესრულებული პროფესორი ვერხოვცევის როლისა. მსახიობის გარდაცვალებას გამოეხმაურა იმ პერიოდის თითქმის ყველა გაზეთი, გამოქვეყნდა ათეულობით სტატია მისი შემოქმედების შესახებ. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ა. ბურთიკაშვილი, ლადო მესხიშვილი, თბ., 1962; ი. ზურაბიშვილი, ოთხი პორტრეტი, თბ., 1949; ი. ნარიმანოვი, ორი სეზონი მესხიშვილთან, თბ., 1957; ა. ფაღავა, ლადო მესხიშვილი, თბ., 1957; გაზ. სახალხო საქმე, 1920, №875, 877, 993.

მერაბ გეგია, სალომე ჭანტურიძე

ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე (26. IV.1884 - 18.VI.1960) – ადვოკატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ლადო მესხიშვილის ვაჟი. 1902-1904

წწ-ში ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა, საიდანაც სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გარიცხეს. 1909 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1910 თბილისში ადვოკატობა დაიწყო. მან თავი გამოიჩინა ე. წ. აჭარელთა საქმის დროს (I მსოფლიო ომის წლებში აჭარლებმა ვითომ აჯანყება მოაწყვეს და თურქებს მიემხრნენ. ამით ისარგებლეს რუსებმა და აჭარლები დაარბიეს. ამ საქმეში ბრალდებულებს შალვა ალექსი-მესხიშვილი იცავდა).

1917-1918 წწ-ში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1917-1918 წწ-ში იყო ამიერკავკასიის კომისარიატის იუსტიციის მინისტრი (კომისარი). ის ერთ-ერთია იმ 88 პოლიტიკოსს შორის, ვინც 1918 წ-ის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალს მოაწერა ხელი. შ. მესხიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაში იუსტიციის მინისტრი, ხოლო 1919-1921 წწ-ში საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრი იყო. დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე შ. მესხიშვილი სოციალისტ-რევოლუციონერ ი. გობეჩიას დაუპირისპირდა საქართველოს მოქალაქეობის შესახებ პროექტის განხილვის დროს და განმარტა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი უაღრესად დემოკრატიული იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ შ. მესხიშვილი ემიგრაციაში არ წასულა და საადვოკატო მოღვაწეობას ეწეოდა. იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი. საბჭოთა რეჟიმის მიერ ორგზის იქნა დაპატიმრებული.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004; გაზ. „ერთობა“, 1919, №105.

ლელა სარალიძე

„ალიონი“ (1917-1918) - ქართველი სოციალ-დემოკრატების ჯგუფის „ალიონი“ („ალიონისტების“) ორგანო. ოთხგვერდიანი პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. იბეჭდებოდა თბილისში, კვირაში ორჯერ - ხუთშაბათს და კვირას. რედაქტორი პავლე საყვარელიძე, გამომცემელი ლ. სანიძე. სულ გამოიცა 136 ნომერი. გაზეთის თანამშრომლები იყვნენ: ლ.იაჩელი. გ. შარაბიძე, შ. შარაშიძე (თაგუნა), პ.ინგოროყვა, გ. ტაბიძე, თ. იანელი (თეოფილე კეკელიძე) და სხვ. გამოცემა ეხმაურებოდა საქართველოსა და უცხოეთში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს. პუბლიკაციათა მთავარი თემებია: საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული და სოციალური პრობლემები, რუსეთის თებერვლის რევოლუციის ანალიზი, პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები, განათლება, კულტურა. „ალიონი“ არ იზიარებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) პროგრამას ეროვნულ საკითხში, კერძოდ, ე. წ. „კულტურულ ავტონომიას“ და მოითხოვდა „დამოუკიდებელ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას“. გამოცემის მიზანი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლა, ახალი რესპუბლიკურ-დემოკრატიული ურთიერთობების დამყარება, სოციალური ჩაგვრის ნაშთების მოსპობა და სრული თავისუფლების უზრუნველყოფა. წამყვანი პუბლიცისტების: ივ. გომართელის, პ.საყვარელიძის, ნ. ქარცივაძის, დ. ისელის, შ. შარაშიძისა და სხვათა სტატიები შეეხება თანადროულ აქტუალურ პრობლემებს, ცალკეულ პუბლიკაციებში გაანალიზებულია რუსეთში შექმნილი ვითარება, აღნიშნულია, რომ ბოლშევიზმი რუსული მოვლენაა და „ომობს ყველა არარუს ერთან“, ავტორები ბოლშევიკებს აკრიტიკებენ ერთა თგითგამორკვევის უფლების გამო: „თუ ერმა თვითგამორკვევა მოისურვა და მოითხოვა, ვემხრობით, მაგრამ ვებრძვით მას, როგორც პროლეტარიატის კლასიური შეგნების დამაბნელებელს“ („ბოლშევიკები და მცირე ერები“). გამოცემა კრიტიკულია საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ი. ი-შვილი სტატიაში „ჩვენი სისუსტის მიზეზები“ აღნიშნავს: „ქართველმა დემოკრატიამ რუსეთის რევოლუციას სახელოვანი ბელადები მიუძღვნა. მაგრამ რამდენადაც ძლიერები ვიყავით სრულიად რუსეთის მასშტაბში, იმდენად სუსტები აღმოვჩნდით ქვეყნის მშენებლობის საქმეში. დასასრული არ უჩანს ანარქიას“. ავტორის აზრით, მთელი სიმწვავით დგას მიწის, ფინანსების, სასურსათო და სხვა საკითხები. გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი ავტორი ივ. გომართელი სტატიაში „ჩვენი მდგომარეობა“ მთავრობას მოუწოდებს სახელმწიფოს ინტერესების გატარებისაკენ: „იქ, სადაც საქმე ჩვენს ახალ ორიენტაციას და დამოუკიდებლობის განმტკიცება-დაცვას შეეხება, მთავრობა უნდა იყოს მტკიცე, შეუპოვარი, კლდესავით მაგარი“.

ვ-ო-ლი სტატიაში „ორმაგი სპეკულიაცია“ აღნიშნავს, რომ საზოგადოების კლასობრივი დაყოფა მთელი სოციალური ორგანიზმის დაზიანებას იწვევს. გაზეთი ვრცელ პუბლიკაციას („საჩხერის ამბები“) უძღვნის ოსთა ამბოხს. მისი სტატიის „საქართველოს რესპუბლიკა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხები“ მთავარი აზრია, რომ „არავის აქვს უფლება მოითხოვოს სხვის სახელმწიფოში ტერიტორიული ავტონომია, მხოლოდ იმათ, ვისაც თავისი ისტორიული ტერიტორია აქვს და ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჰქონია“. ივ. გომართელი მიიჩნევს, რომ „იარაღი უნდა აეყაროს ყველას: ჩვენებს, რუსებს, ოსებს, სომხებს“ („სოფელში“). გამოცემა, თავდაუსხმელობის პირობის არსებობის შემთხვევაში, მხარს უჭერს საქართველოს ნეიტრალიტეტს, გაზეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის განმტკიცება. ძირითადი

რუბრიკებია: „მუშათა წერილები“, „ქრონიკა“, „პროვინცია“, „ომის ამბები“, „შინაური მიმოხილვა“ და სხვ. გაზეთი მუდმივად აქვეყნებს ლიტერატურულ მასალას, მაგ., 1918 წ-ის ნომრებში დაბეჭდილია: გ. ქუჩიშვილის, ს. აბაშელის, დ. შენგელაიას, დ. თურდოსპირელის, ვ. რუხაძის და სხვა ავტორთა მხატვრული ნაწერები.

ლიტ.: გაზ. „ალიონი“, 1918 №1 – №68; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

ალშიბაია გრიგოლ

ალშიბაია გრიგოლ კონსტანტინეს ძე (1881 - 1957) - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი, დიპლომატი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1920-1921 წწ-ში იყო საბჭოთა აზერბაიჯანში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი. 1921 წ-დან გ. ალშიბაია პოლიტიკური ემიგრანტია. იგი წერილებს ბეჭდავდა ემიგრაციულ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ (გამოდიოდა პარიზში 1926 იანვრიდან - 1939 ივლისამდე; ვარშავაში კავკასიურ ოფისს ხელმძღვანელობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარის მიერ ვარშავის დაკავების შემდეგ აქ დაარსებული კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელი გახდა. 1943 წ-ის შემოდგომაზე მის ნაცვლად სამხედრო და ტყვეთა საკითხების მოსაგვარებლად საკავშირო შტაბი დაარსდა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც გ. ალშიბაია იყო. შტაბის ორგანიზებით, 1944 წ-ის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად დღესასწაული ჩატარდა. ზეიმი ქართული კოლონიის თავმჯდომარემ - ტიტე მარგველაშვილმა გახსნა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გ. ალშიბაია ოჯახით საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 262; ჟურ. „ბედი ქართლისა“, პარ., 1957, №24-25; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, „8 ეპიზოდი ქართულ-გერმანული ურთიერთობების ისტორიიდან“, თბ., 2014; „ნიკოლოზ მათიკაშვილი. იუნკრები და სხვები“, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, შემდგენელ-რედაქტორი ლალი ცომაია, თბ., 2016; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“, თბ., 2014.

ლელა სარალიძე

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

ამბროსი კათოლიკოს-პატრიარქი (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) (7.X.1861, მარტვილი - 29.III.1927, თბილისი) - 1871-1873 წწ-ში სწავლობდა ოჩამჩირის პირველდაწყებით სკოლაში, ხოლო 1873-1879 წწ-ში - მარტვილის სასულიერო სასწავლებელში. 1879 ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1900 წ-ის 11 თებერვალს ბესარიონი ბერად აღიკვეცა და სახელად ეწოდა ამბროსი. ამბროსი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ერთ-ერთი დაუცხრომლად მებრძოლი სასულიერო პირი იყო.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამბროსის საშუალება მიეცა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. იგი აქტიურად ჩაერთო ავტოკეფალურ მოძრაობაში. 1917 წ-ის 12 მარტს ქართველმა სამღვდელოებამ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა. ამბროსი აქტიურად მონაწილეობდა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში. პირველმა საეკლესიო კრებამ ჭყონდიდელ ეპისკოპოსად დაამტკიცა ამბროსი ხელაია, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონმა იმავე დღეს მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. 1918-1921 წწ-ში ამბროსი ხელაია განაგებდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი ქართველი და აფხაზი მოსახლეობის დასახმარებლად, ამ პერიოდის მისი ქადაგებების აბსოლუტური უმრავლესობა ამ პათოსით არის განმსჭვალული, გარდა ამისა, იგი აქტიურად ამხელდა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკას და მათ მეტი დახვეწილობისაკენ მოუწოდებდა.

საქართველოს გასაბჭოებიდან მალევე, 1921 წ-ის 11 ივლისს, თბილისში გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე. საეკლესიო კრებამ იმსჯელა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატების - ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსისა და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტ ნაზარის შესახებ. ფარული კენჭისყრით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი. იგი აქტიურად ილაშქრებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძარში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა 1995 წ-ის 18 სექტემბერს იგი წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენებელ დღედ დაწესდა 29 მარტი.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), თბ., 2009.

მიხეილ ქართველიშვილი

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა – ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ოსმალეთი სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის დე ფაქტო ხელისუფლებისაგან, რომ დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა და ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები - ყარსის,

არდაგანის და ბათუმის ოლქების ოსმალეთის ხელში გადასვლა. მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ჯარმა 1918 წ-ის მარტ-აპრილში დაიკავა ზემოაღნიშნული ტერიტორიები და ამიერკავკასიის ფარგლებში შემოიჭრა, ამიერკავკასიის ხელისუფლება იძულებული გახდა, დათმობებზე წასულიყო. 1918 წ-ის 22 აპრილს რუსეთის სოც-დემ. პარტიის (მენშევიკების) ა/კ-ის საოლქო კომიტეტის სხდომამ დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუჭირა მხარი, თუმცა ნ.ჟორდანიამ თავი შეიკავა. იმავე დღეს შეიკრიბა ა/კ-ის სეიმი ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დ. ონიაშვილმა წაიკითხა მოხსენება ა/კ-იის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, რომელსაც სეიმის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. სეიმის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. იმავე სხდომამ ევ. გეგეჭკორის მთავრობის გადადგომა დაადასტურა და ახალი მთავრობის შედგენა აკ. ჩხენკელს დაავალა. 26 აპრილს სეიმმა დაამტკიცა ა. ჩხენკელის მიერ შედგენილი ა/კ-ის რესპუბლიკის მთავრობა: აკ. ჩხენკელი - მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; ნ. რამიშვილი - შინაგან საქმეთა მინისტრი; ა. ხატისოვი - ფინანსთა მინისტრი; ხ. ბ. მელიქ-ასლანოვი - გზათა მინისტრი; ფ. ხ. ხოისკი - იუსტიციის მინისტრი; გრ. გიორგაძე - სამხედრო მინისტრი; ნ. ხომერიკი - მინათმოქმედების მინისტრი; ნ. ბ. უსუბეკოვი - სახალხო განათლების მინისტრი; მ. ჰაჯინსკი - ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; ა. სააკიანი - სასურსათო საქმეთა მინისტრი, რ. კაჩაზნუნი - სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი; ა. ერზინკიანი - შრომის მინისტრი; ი.ბ. ჰაიდაროვი - სახელმწიფო კონტროლიორი. ამიერკავკასიის მთავრობის მომავალი საქმიანობის მიზნები და ამოცანები იმავე სხდომაზე აკ. ჩხენკელის მიერ წაკითხულ დეკლარაციაში იქნა გაცხადებული. ახალი ფედერაციული გაერთიანების წინაშე თავიდანვე დაისვა მის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრობლემა, რაც ახალ კონსტიტუციას უნდა დაერეგულირებინა. შეიქმნა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს საკონსტიტუციო კომისიის 24 კაციანი შემადგენლობა. ამიერკავკასიის მთავრობის რეკომენდაციით, კომისიაში 9 კაცი იქნა შეყვანილი, ხოლო 5-5 წევრის წარდგენის უფლება ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების ეროვნულ საბჭოებს მიეცა. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 2 მაისის სხდომის გადაწყვეტილებით, კომისიაში შეყვანილ იქნენ: გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, შ. მესხიშვილი, რ. არსენიძე, ი. გობეჩია. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის შექმნის საკითხს, იგი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წ-ის 9 მაისის სხდომაზე იქნა დასმული, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 12 მაისის სხდომაზე მოხსენება საქართველოსა და ამიერკავკასიის კონსტიტუციის პროექტის მომზადების შესახებ ს. ჯაფარიძემ წაიკითხა. მის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების განმსაზღვრელი (საგარეო პოლიტიკა, სამხედრო საქმე, ფინანსები, ფოსტა-ტელეგრაფი, განათლება, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, შრომის უფლებების დაცვა) უფლებები ა/კ-იის სეიმის პრეროგატივად რჩებოდა. ამავდროულად, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კონსტიტუციები. 9 მაისს გამართულმა საქართველოს ეროვნული საბჭოს მორიგმა კრებამ დაადასტურა, რომ გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, ძნელი იყო ცალკეული ერების ინტერესების შეთანხმება, განსაკუთრებით, ტერიტორიული გადამიჯვნა. ა/კ-იის ერთიანობა შეუძლებელი გახადა სამივე ერის განსხვავებულმა პოზიციამ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში. აზერბაიჯანელები აშკარად პროოსმალურ ორიენტაციას ღიად აფიქსირებდნენ; თანდათან იკვეთებოდა საქართველოს პროგერმანული ორიენტაცია, მაშინ როდესაც სომხები ანტანტის ორიენტაციის ერთგულნი რჩებოდნენ. ამავდროულად, სულ უფრო ძლიერდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების განწყობა საქართველოს ეროვნულ საბჭოში. ამგვარი წინააღმდეგობების ფონზე, ა/კ-იის ერთიანი სახელმწიფოს არსებობა სულ უფრო ფორმალური ხდებოდა. მის არსებობას საბოლოო საფუძველი გამოაცალა საქართველო-გერმანიის ფარულმა შეთანხმებამ და საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებამ, გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. 1918 წ-ის 26 მაისის 11 სთ-ზე დაიწყო ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელზეც ირ. წერეთელმა თავისი მეორე გამოსვლის დროს განაცხადა: რადგან ამიერკავკასიის მუსლიმები თურქებს ემხრობიან, ამიერკავკასია წყვეტს არსებობას, და რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დრო დადგა. უკანასკნელი რეზოლუციით, სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა.

ლიტ.: ფ. ქ ა ზ ე მ ზ ა დ ე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, მთარგმნელი ქ. ქანთარია, თბ., 2016; შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ამიერკავკასიის ერთიანი დემოკრატიულ-ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი, თბ., 2008; ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918- 1921 წწ.), თბ., 2001.

შოთა ვადაჭკორია

ამიერკავკასიის კომისარიატი – რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ამიერკავკასიის რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების გავრცელების საშიშროება წარმოქმნა. ამიერკავკასიის წამყვანი პოლიტიკური პარტიები გაემიჯნენ ბოლშევიკურ რუსეთს და ერთმანეთთან შეთანხმება გადაწყვიტეს. ქართველი

სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, 1917 წ-ის 11 ნოემბერს მოწვეულ იქნა ა/კ-იის რევოლუციური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრება. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა კავკასიის ჯარის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი, გენერალი მდივანი, თბილისის გარნიზონის უფროსი პოლკ. ახმეტელაშვილი, მოკავშირე და ნეიტრალური სახელმწიფოების ელჩების სრული შემადგენლობა. თათბირის მონაწილეებისთვის (ბოლშევიკების გარდა) მისაღები აღმოჩნდა დ. დონსკოის მიერ ა/კ-იის უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პროექტი. დოკუმენტი რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი დეპუტატებისგან ადგილობრივი დროებითი ხელისუფლების ორგანოს შექმნას მოითხოვდა. ეს პოზიცია ნ. ჟორდანიამ გაიზიარა და განაცხადა: რუსეთთან კავშირი გამწყდარია, ამიერკავკასია მარტოა დარჩენილი. ახლა ან ფეხზე უნდა დავდგეთ და თავი გადავირჩინოთ, ან ანარქია მოგვიღებს ბოლოს. საბჭოების ადგილობრივმა სამხარეო ცენტრმა და პოლიტიკურმა პარტიებმა დაგმეს ბოლშევიკების რეჟიმი. 1917 წ-ის 15 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო - ამიერკავკასიის კომისარიატი. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ე. გეგეჭკორი - ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე; შრომისა და საგარეო ურთიერთობების საქმეთა კომისარი (მინისტრი); დ. დონსკოი - სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი; აკ. ჩხენკელი - შინაგან საქმეთა კომისარი; კ. ხარჩიკიანი - ფინანსთა კომისარი; შ. ალექსი-მესხიშვილი - სახალხო განათლებისა და იუსტიციის საქმეთა კომისარი; მ. ჯაფაროვი - ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარი; ხ. მელიქ-ასლანოვი - გზათა კომისარი; ა. ნერუჩევი - მიწათმოქმედების კომისარი; გ. ტერგაზარიანი - სურსათის საქმეთა კომისარი; - ა. ოგაჯანიანი - საზოგადოებრივი მზრუნველობის კომისარი; ხ. ბ. ხას-მამედოვი - სახელმწიფო კონტროლის კომისარი. კომისარიატმა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების შესრულება დაიწყო. იგი შედგებოდა სოციალ-დემოკრატების, მუსავატელების, დაშნაკცუთიუნის, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესერების წარმომადგენლებისაგან. წამყვან ძალას ქართველი სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ. კომისარიატმა განაიარაღა კავკასიის ფრონტიდან რუსეთისაკენ მიმავალი ბოლშევიზირებული ჯარისკაცები და ამიერკავკასიას ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების საფრთხე ააცილა თავიდან. რუსული ჯარებისა და თბილისის გარნიზონის ქვეყნიდან გასვლის შემდეგ კომისარიატი დეფაქტო დამოუკიდებელ ამიერკავკასიას განაგებდა, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან თავს იკავებდა.

ლიტ.: ფ. ქაზემზადე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, თარგმნა ქ. ქავთარაძემ, თბ., 2016; შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, თბ., 2008.

შოთა ვადაჭკორია

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘ - ამიერკავკასიის კომისარიატი აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას ასრულებდა. დღის წესრიგში დადგა ა/კ-იის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს მოწვევის საკითხი. 1918 წ-ის 5 იანვარს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საგანგებოდ იმსჯელა სეიმის მოწვევის შესახებ. ნ. ჟორდანიას მტკიცებით, რუსეთის დამფუძნებელი კრების ლოდინი და ა/კ-იის სეიმის მოუწვევლობა დანაშაული იყო. ბოლშევიკების მიერ რუსეთში დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, სეიმის მოწვევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. აღნიშნული საკითხის შესახებ კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ქართველი სოციალ- დემოკრატების (მენშევიკები) ინიციატივით, 1918 წ-ის 22 იანვარს საგანგებო კრება იქნა მოწვეული, რომელსაც დაესწრო: რუსეთის დამფუძნებელი კრების 25 დეპუტატი ამიერკავკასიიდან, სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), სოციალისტ-რევოლუციონერები, დაშნაკცუთიუნი, მუსავატი და ამიერკავკასიის კომისარიატის მთელი შემადგენლობა. ამიერკავკასიის სეიმის უფლებამოსილების შესახებ მოხსენება ნ. ჟორდანიამ გააკეთა. სეიმი რეგიონის ერთა შეთანხმების მაკოორდინირებელ საშუალებად გამოცხადდა. სეიმის მოსაწვევად არჩევნები არ ჩატარებულა. სეიმში შევიდნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიიდან არჩეული დეპუტატები. ესენი იყვნენ ათი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები: სოციალ-დემოკრატები, კადეტები, ესერები, დაშნაკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, მუსავატელები, იტიხადისტები (მუსლიმთა პარტია), მუსლიმი სოციალისტები და პარტია „ჰუმეთი“. ყველაზე მეტი წარმომადგენლები ჰყავდათ: სოციალ-დემოკრატებს - 32; მუსავატელებს - 30; დაშნაკებს - 27. ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა 1918 წ-ის 10 თებერვალს ჩატარდა. სეიმის თავმჯდომარედ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იქნა არჩეული. სეიმის იმავე სხდომაზე ხუთი კომისია და მისი წევრების შემადგენლობა დამტკიცდა - აგრარული, თავდაცვის, საპარლამენტო, მუშათა და სასურსათო. ეს კომისიები ა/კ-იის ერთიან მთავრობას უნდა დაქვემდებარებოდა და რეგიონის მართვაში ხელშემწყობის ფუნქცია ეტვირთა. სეიმის 1918 წ-ის 13 მარტის სხდომაზე მიღებული დეკლარაციით განისაზღვრა უახლოესი მიზნები: 1. ოსმალეთთან საპატიო ზავის დადება; 2. ა/კ-იის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება; 3. აგრარული რეფორმის გატარება და მიწების გლეხობისთვის უფასოდ გადაცემა; 4. შრომის უფლებების დაცვა და 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება; 5. ერო-

ვნებათაშორისი უფლებების დაცვა; ეროვნებათა ტერიტორიული გამიჯვნის მოგვარება და ეროვნულ-ტერიტორიული კანტონების დაარსება. ამ საკითხების გადაწყვეტა, დროის სიმცირისა (135 დღე) და რეგიონში არსებული უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, შეუძლებელი გახდა. მეორე მხრივ, თავი იჩინა ეროვნებათაშორისი ინტერესების დაპირისპირებამ, განსაკუთრებით, სომხებსა და აზერბაჯანელებს შორის. ამ საკითხის შესახებ მკაცრი და რადიკალური განცხადება ა/კ-იის სეიმის 1918 წ-ის 26 მაისის სხდომაზე ირ. წერეთელმა გააკეთა, რითაც პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა მეზობელი ერების პოლიტიკურ მოღვაწეებს. ა/კ-იის სეიმმა 1918 წ-ის 26 მაისს, დღის 3 საათზე შეწყვიტა არსებობა და თვითდაშლილად გამოაცხადა თავი.

ლიტ.: ფ. ქ ა ზ ე მ ზ ა დ ე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, თარგმნა ქ. ქავთარაძემ, თბ., 2016. შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, თბ., 2008.

შოთა ვადაჭკორია

ამიერკავკასიის სახელმწიფოების სამშვიდობო კონფერენციები – ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლად გამოცხადების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შემდეგ, თითოეული მათგანის სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატებულ გარანტს რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება ინიციატივით გამოვიდა, მოეწვიათ კონფერენცია, რომელზედაც განიხილავდნენ რეგიონში რესპუბლიკათა შორის არსებულ პრობლემებს და მიაღწევდნენ კონსენსუსზე დაფუძნებულ შეთანხმებას. 1918 წ-ის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მიმართა აზერბაიჯანის, სომხეთისა და კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობებს საერთო კონფერენციის მოწვევის წინადადებით. დოკუმენტში დასმული იყო საკითხები: ა). ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სასურველი კეთილმეზობლური თანაცხოვრების ნორმების დადგენის, ურთიერთნდობისა და დახმარების პირობების შემუშავების აუცილებლობა; ბ). კონკრეტულად იყო მითითებული ამიერკავკასიის წარმომადგენლების თბილისში შეკრების თარიღი (1918 წ-ის 3 ნოემბერი, 12 საათი). იმავე დოკუმენტში დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი განსახილველი საკითხები: 1. კონფერენციაზე მოწვეული მთავრობებისგან სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ურთიერთცნობა; 2. ყველა სადავო საკითხების, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟის საშუალებით მოწესრიგება; 3. მონაწილე სახელმწიფოებს ვალდებულება უნდა ეკისრათ, არ შესულიყვნენ ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომელიც ზიანს მიაყენებდა კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს; 4. სოლიდარობით და მხარდაჭერით გამოსულიყვნენ საერთაშორისო კონგრესებზე, მათი დამოუკიდებლობის ცნობისა და ინტერესების დაცვის მიზნით. მიუხედავად ამისა, სომხეთის ხელისუფლებამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ქართულმა მხარემ სომხეთის დიპლომატიურ წრეებს კონფერენციის მოწვევის დროდ 14 ნოემბერი შესთავაზა. სომხეთმა ამჯერადაც თავშეკავება არჩია, რის გამოც კონფერენცია 30 ნოემბრისათვის გადაიდო. ქართული მხარის შეთავაზება სომხეთის ხელისუფლებამ ამჯერადაც უპასუხოდ დატოვა და ამიერკავკასიის ერების საერთო-სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის იდეა ჩაშალა. მიუხედავად ამისა, ქართული პოლიტიკური სპექტრის ძალისხმევით, 1919 წ-ის 25 აპრილს თბილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია მაინც გაიხსნა. მასში მონაწილეობდნენ: საქართველოდან - ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, კ. კანდელაკი; სომხეთიდან - ს. მამიკონიანი, ს. ფ. ტიგრანიანი, ს. ს. არუთინიანი; აზერბაიჯანიდან - მ. ჯაფაროვი, ფ. ხან-ხოისკი, ხასმ-მამედოვი; მთიელთა რესპუბლიკიდან - კანტემირი, ფანზულაევი, ბუტაევი. ქართული მხარის მიერ შემუშავებული კონფერენციის დღის წესრიგი კონფერენციის მონაწილეთა მხრიდან მოწონებულ იქნა. იგი 8 ძირითადი საკითხის განხილვას ითვალისწინებდა: რკინიგზების, ფოსტა-ტელეგრაფის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის, ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას, საერთო ძალებით დამოუკიდებლობის დაცვას, მოსალოდნელი წინასწარი საფრთხის დროულად განმუხტვას, ლტოლვილთა და სამოსამართლო უფლებრივი ნორმების მოსაგვარებელი მექანიზმის შემუშავებას. აღნიშნული საკითხების მოსამზადებლად და კონფერენციის პლენუმზე გასატანად შესაბამისი დარგობრივი კომისიები შეიქმნა. კონფერენციის 1919 წ-ის 9 ივნისის სხდომაზე ევ. გეგეჭკორმა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სამხედრო ძალების გაერთიანების საკითხი დააყენა. ნ. რამიშვილმა ყურადღება იმ მოსალოდნელ საფრთხეზე გაამახვილა, მოხალისეთა ჯარისგან (დენიკინისგან) კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას რომ ემუქრებოდა. ქართული მხარის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის იმ დებულებას, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ამიერკავკასიის სამხედრო და დიპლომატიური ძალების გაერთიანებას ითვალისწინებდა, სომხეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა ს. ტიგრანიანმა და ს. მამიკონიანმა მხარი არ დაუჭირეს. მიზეზად სომხეთის მთავრობის პოზიციის არცოდნა, მათთან შეთანხმების საჭიროება დაასახელეს და სხდომის ერთი კვირით გადადება მოითხოვეს. ამით სომხურმა მხარემ რეზოლუციის მხარდაჭერას თავი აარიდა. მათი ეს ქმედება ალ. ხატისოვმა იმით „გაამართლა“, რომ სომხეთის გაერთიანებაში აჯიმოვის ჯგუფს და დენიკინს დიდი დამსახურება მიუძღოდათ. იმავე ალ. ხატისოვმა აღნიშნული კონფერენცია საქართველოსა და აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთზე ზემოქმე-

დების მცდელობად და სომხური ტერიტორიების დასათმობად ჩატარებულ ღონისძიებად გამოაცხადა. ალ. ხატისოვი სომხურ ტერიტორიებში ახალქალაქის, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებს გულისხმობდა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა: 1. ტერიტორიული და სხვა სადავო საკითხების მოსაგვარებლად მოლაპარაკებები ენერგიულად გაგრძელებულიყო; 2. ექვსი კვირის განმავლობაში მოლაპარაკებების უშედეგობის შემთხვევაში, დავა არბიტრაჟით გადაწყვეტილიყო; 3. მოდავე მხარეებს ცალ-ცალკე შეედგინათ სამი საარბიტრაჟო კომისია; 4. კომისიების მუშაობის უშედეგობის შემთხვევაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ერთად უნდა მიემართათ ანტანტის საბჭოს ან ერთა ლიგის საარბიტრაჟო კომისიის გამოყოფის შესახებ. ამ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იქნებოდა. 1919 წ-ის 3 ნოემბერს საქართველო-სომხეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მეორე მუხლი სადავო საკითხების გადაწყვეტას არბიტრაჟის წესით სავალდებულოდ აღიარებდა. იმავე წლის 16 ივნისს საქართველო-აზერბაიჯანს შორის დადებული სამხედრო ხელშეკრულება მტრის თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას ითვალისწინებდა. ამ დოკუმენტს სომხური მხარე არ შეუერთდა. ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლი სომხეთის წარმომადგენლობას 2 კვირის განმავლობაში მოფიქრების შესაძლებლობას აძლევდა. სომხური მხარის თავშეკავება საქართველოს ტერიტორიების მიმართ პრეტენზიების შენარჩუნების სურვილით იყო განპირობებული. ამ მიმართულებით მათი პოზიცია სან-რემოს კონფერენციაზე (1919, 18 იანვარი - 1920, 21 იანვარი) გამოიკვეთა.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, თბ., 1999; გ. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში, ქუთ., 2005.

შოთა ვადაჭკორია

ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი – 1917 ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი დაარსდა. 1917 წ-ის ოქტომბრამდე ის ცნობილი იყო „ტფილისის ქალთა კერძო უმაღლესი კურსების“ სახელით. 1920 წ-ის მდგომარეობით, ის ვერ იდგა სათანადო დონეზე. ამის მიზეზი გახდა სამეცნიერო პერსონალის ბაქოში გადასვლა, რის გამოც დაიხურა სიტყვიერებისა და ისტორიის ფაკულტეტი. დანარჩენ ფაკულტეტებზეც სასწავლო კურსები შეიკვეცა, სამკურნალო ფაკ-ის II კურსი, რომლის გახსნაც ჰქონდათ განზრახული, ვეღარ გახსნეს, უნივერსიტეტს პროფესორები ამ ხნის მანძილზე „შემოეფანტნენ“. 1920 სამკურნალო ფაკულტეტზე სრულუფლებიანი პროფესორი მხოლოდ 8 აღმოჩნდა, ამათგან სამი თბილისის სხელმწიფო უნ-შიც იყო პროფესორი. ბევრი ბაქოში ცხოვრობდა და მხოლოდ რამდენიმე ლექციას თუ კითხულობდა თბილისში. ასეთები იყვნენ, მაგ., პროფ. ანფიმოვი და მირიგოვოროვი, პრივატ-დოცენტი ტიხონოვიჩი და სხვ. შემოწმების შემდეგ გამოვლინდა ლექტორ-მასწავლებლების არაკვალიფიციურობა, პრაქტიკული ცოდნის მისაღებად აუცილებელი კაბინეტ-ლაბორატორიების, პროზექტურების, კლინიკების, ახალი სამედიცინო ხელსაწყოების არქონა და სხვ. ცხადი გახდა, რომ საკუთარი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ეს უნივერსიტეტი კარგავდა ფუნქციას და მთავრობასაც არ ჰქონდა ფინანსური შესაძლებლობა მის დასახმარებლად. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება 1919 წ-ის 7 სექტემბრის მთავრობის დადგენილებით გადაეცა თბილისის ქალაქის თვითმმართველობას, კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 76, ფ. 16; სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 180, ფ. 16.

დოდო ჭუმბურიძე

ამნისტიები 1918–1921 წწ-ში - საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ამნისტია (ამნისტია - amnestia ბერძნ. სიტყვაა და დავიწყებას, პატიებას ნიშნავს) დამფუძნებელი კრების მიერ გატარდა ორჯერ: 1920 წ-ის 27 იანვარს და 1921 წ-ის 11 თებერვალს. 27 იანვრის ამნისტია დადგენილების ფორმით იქნა მიღებული. ორივე აქტი მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ აღიარების ფაქტს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდნენ ან სასჯელი შეუმსუბუქდათ სასამართლოს მიერ პოლიტიკურ, სისხლის სამართლისა და სამხედრო სფეროში დამნაშავედ ცნობილ პირებს. ასევე, ამნისტიები შეეხო იმ პირებსაც, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არ იყვნენ მსჯავრდებულნი, მაგრამ მათი საკითხი იხილებოდა სასამართლო წესით.

1920 წ-ის დადგენილების მიხედვით, სიკვდილით დასჯა შეიცვალა 15 წლით თავისუფლების აღკვეთით (კატორღით). მე-4 პუნქტის თანახმად, ყველა მსჯავრდებული პირი განთავისუფლდა სასჯელისაგან, თუ დანაშაული 1918 წ-ის 26 მაისამდე ჰქონდათ ჩადენილი, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა კატორღით ჰქონდათ მისჯილი. ამნისტიის მიხედვით, სასჯელისაგან განთავისუფლება პირს არ ათავისუფლებდა ზიანისა და ზარალის ანაზღაურებისაგან, გადასახადის გადახდის ან სასამართლოს ხარჯების დაფარვისაგან. დადგენილება ითვალისწინებდა შეღავათებს ციხიდან გაქცეული პირებისათვის, რომლებიც კვლავ დაუბრუნდებოდნენ ციხეს ან საცხოვრებელ სახლს. დადგენილების მე-17 მუხლის მიხედვით, თუ პირი, რომელიც მსჯავ-

რდებული იყო ან მის საქმეს საგამოძიებო ორგანოები იკვლევდნენ, უარს იტყოდა დადგენილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაზე, უფლება ჰქონდა, შუამდგომლობა წარედგინა „გამოძიებისა და სამართლის განახლებისათვის“. გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელი იყო დადგენილებით გათვალისწინებული ნორმების მათზე გავრცელება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დადგენილების მე-18 მუხლის თანახმად, არ შეიძლებოდა სასჯელისაგან განთავისუფლება ან სასჯელის შემსუბუქება, თუ პირს „სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918 წ-ის 17 სექტემბრის კანონის ძალით სასჯელი ჰქონდა დადგენილი. ასევე, ამნისტია არ შეეხო იმ პირებს, რომლებიც გასამართლებულნი იყვნენ ანგარების მიზნით ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის.

პასუხისმგებლობის ყოველგვარი ფორმისაგან განთავისუფლდნენ მსჯავრდებულები 1919 წ-ის 27 ივნისის „ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისათვის“ და 1919 წ-ის 2 აგვისტოს „სამხედრო ბეგარის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზების“ დასჯის შესახებ დეკრეტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

შინაარსობრივად 1920-1921 წწ-ის ამნისტიებს შორის თითქმის არ არსებობს განსხვავება. უბრალოდ, 1921 წ-ის ამნისტიაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა „ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომების“ შესახებ 1919 წ-ის 21 ნოემბრის დეკრეტის მიხედვით დაპატიმრებული პირების მიმართ დადგენილი სასჯელის შემსუბუქების უზრუნველყოფა.

საქართველოს 1921 წ-ის 21 თებერვლის კონსტიტუციის 54-ე მუხლის ე) ქვეპუნქტის თანახმად, ამნისტიის გამოცემის უფლება საქართველოს პარლამენტს ჰქონდა.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

ამირეჯიბი გიორგი სარდიონის ძე (1880 - 25.I.1919) - გენერალი. სამხედრო განათლება მიიღო სანკტ-პეტერბურგში. იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1918-1919 წწ-ში მსახურობდა ქართულ ჯარში. მონაწილეობდა აფხაზეთში და შავიზღვისპირეთში გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებში. ტუაფსეს აღებისთვის მიენიჭა გენერლობა (1918). გარდაიცვალა ავადმყოფობის შედეგად.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მიხეილ ბახტაძე

ამირეჯიბი ეკატერინე (ცაცა) გიორგის ასული (22.II.1889, სოფ. ხურვალეთი, გორის მაზრ. - 17.XI.1975, თბილისი) - ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (1950). დაიბადა ღარიბი თავადიშვილის ოჯახში. 1896 სწავლა დაიწყო თბილისში, კორგანოვის კერძო პანსიონში. მე-4 კლასიდან სწავლა განაგრძო თბილისის ეპარქიულ სასწავლებელში. ერთნაირად კარგად დაეუფლა ქართულ და რუსულ ენებს. 1906 წ-დან მუშაობდა სახალხო თეატრში (ავჭალის აუდიტორია). 1909 მოსკოვში მიემგზავრება და იწყებს სწავლას მოსკოვის თეატრალურ სტუდიაში. სტუდიას ვერ ამთავრებს უსახსრობის გამო და ბრუნდება საქართველოში. 1911 ლადო მესხიშვილისგან ღებულობს თეატრში მიწვევის ბარათს. 1911 მისი დებიუტი შედგა სუმბათაშვილ-იუჟინის პატრიოტულ დრამაში „ღალატი“, სადაც მან ზეინაბი განასახიერა. შემდგომ ამისა იგი გადადის სამუშაოდ ქუთაისის თეატრში მიხეილ ქორელის მიწვევით. ამას მოჰყვა ბაქოს დრამატული თეატრი, სადაც მან წარმატებით განასახიერა ქეთევანი დ. ერისთავის პატრიოტულ დრამაში „სამშობლო“. მერე ისევ თბილისი და ისევ ბაქო. მუშაობდა შალვა დადიანთან და ალექსანდრე წუწუნავასთან. შალვა დადიანის პიესაში „გუშინდელნი“ შექმნა „კნეინა ჩიტუნიას“ უაღრესად დასამახსოვრებელი სახე.

ამირეჯიბი ეკატერინე - ცაცა

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ე. ამირეჯიბი გიორგი ჯაბადარის სტუდიის თანამშრომელი ხდება. ამავე წლებში მან იქორწინა ვასო არაბიძესთან და მასთან ერთად გაატარა 32 წელი. 1920-1921 წწ-ში იწყებს მუშაობას რუსთაველის თეატრში.

1932 წ-დან სახკინმრეწვის (ახლანდელი კინოსტუდია „ქართული ფილმი“) მსახიობია. პარალელურად მსახიობად მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა თეატრებში. ე. ა. ასრულებდა დრამატულ და ტრაგიკულ როლებს. ამასთან ერთად, იგი მხატვრული კითხვის ერთ-ერთი პიონერი იყო საქართველოში. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, სხვადასხვა სტუდიებში ასწავლიდა მხატვრულ მეტყველებას. მის წარმატებას ხელს უწყობდა კარგი სცენური გარეგნობა, მომხიბლავი ხმა და გამომსახველი დიქცია. იგი შესანიშნავად ათავსებდა სცენურ ბუნებრიობას რომანტიკულ-პათეტიკურ სტილთან. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ამირეჯიბი გიორგი

ლიტ.: ნ. უ რ უ შ ა ძ ე, ცაცა ამირეჯიბი, თბ., 1958.

მერაბ გეგია

ამირეჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე (1869 - 1948) - პროფესორი (1927). 1893 დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი. საფრანგეთსა და გერმანიაში სამეცნიერო მივლინების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1919 მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობის



ამირეჯიბი კონსტანტინე

კათედრის გამგედ. 1927 ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელი სადგური, ხოლო 1931 სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1934 წ-მდე.

ლიტ.: ქსე. ტ. I, თბ., 1975; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ამირეჯიბი სიმონ

ამირეჯიბი სიმონ სარდიონის ძე (1877, სოფ. საღოლაშენი - 1936, თბილისი) - ბაქტერიოლოგიისა და ჰიგიენის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი. ს. ამირეჯიბმა 1903 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1907-1919 წწ-ში იყო ხარკოვის სამედიცინო საზოგადოების შრატებისა და ვაქცინების და ბაქტერიოლოგიური განყოფილებების გამგე.

1919 წ-დან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობდა მის მიერვე უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ბაქტერიოლოგიისა და ზოგადი ჰიგიენის კათედრებს, ასევე, აგრონომიის ფაკულტეტის მიკრობიოლოგიის კათედრას. მისივე თაოსნობით დაიწყო (1919) ვაქცინებისა და შრატების წარმოება. 1919 წ-ის 13 ნოემბერს გამართულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე, პროფ. ალ. ნათიშვილის ნაცვლად, ს. ამირეჯიბი დროებით აირჩიეს უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანად. შეადგინა მიკრობიოლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელო.

იყო თბილისის სანიტარული ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორი (1926-1933).

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ამირეჯიბი შალვა

ამირეჯიბი შალვა გიორგის ძე (15.I.1887, სოფ. ხურვალეთი, გორის მაზრ. - VII.1943, პარიზი) - პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე. დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია. მონაფეობის წლებში ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობდა 1905 წ-ის გამოსვლებში ქუთაისში. ამავე პერიოდში შევიდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში. 1906 უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა, ვენის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს, როგორც ფილოსოფიის ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. უსახსრობის გამო სწავლა ვეღარ გააგრძელა და 1909 სამშობლოში დაბრუნდა. წერდა და აქვეყნებდა ლექსებს. მონაწილეობდა ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „ერის“ გამოცემაში (გამოდიოდა „საქართველოს მოამბისა“ და „ჩვენი ერის“ სახელწოდებითაც). მალე დააპატიმრეს და ერთი წლით მეტეხის ციხეში ჩასვეს. განთავისუფლების შემდეგ დაუახლოვდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ ჯგუფს და 1912 მათთან ერთად დააარსა ჟურნალი „კლდე“. 1914 წ-დან, სხვებთან ერთად, მესვეურობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „სამშობლოსა“ და შემდგომ „იმერეთის“ გამოცემას ქუთაისში, იყო მათი მუდმივი ავტორი. იყენებდა ფსევდონიმებს „ფარსმან-ფარუხი“, „შ-ამ-ბი“, „შ. ამ-ბი“, „შ. ა-ბი“ (სავარაუდოდ, მისი ფსევდონიმები იყო აგრეთვე „ჩორჩანელი“, „შ. ა.“ და „ა.-ი.“). 1915 გაიწვიეს პირველ მსოფლიო ომში, გაგზავნეს დასავლეთის ფრონტზე, სადაც წელიწად-ნახევარი იმსახურა და სამშობლოში 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა.

1917 წ-ის მაისში შ. ამირეჯიბი ეროვნულ-დემოკრატების ჯგუფთან ერთად დაესწრო გაერთიანებულ მთიელთა კავშირის პირველ ყრილობას კავკავში და მიესალმა მთიელთა განთავისუფლებას რუსეთის იმპერიისაგან. იყო ედპ-ის საორგანიზაციო მთავარი კომიტეტის წევრი და პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომლის პირველ ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ. აირჩიეს ედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრად, მუშაობდა პარტიის ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოში „საქართველო“. შედიოდა საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან. 1917 წ-ის სექტემბერში იგი, როგორც საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს დელეგატი, ა. ჩხენკელთან ერთად, მონაწილეობდა პეტროგრადის თათბირის მუშაობაში, არჩეულ იქნა წინასწარი პარლამენტის წევრად. 1917 წ-ის ნოემბერში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, ედპ-ის სიით აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წ-ის მაისში შ. ამირეჯიბმა ედპ-ის რიგები დატოვა, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ დაბრუნდა პარტიაში. 1920 წ-ის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც ნ. ნიკოლაძე, საზღვარგარეთ გამგზავრების გამო, საქართველოს დამფუძნებელი კრების შემადგენლობიდან გავიდა, მისი ადგილი კრებაში შ. ამირეჯიბმა დაიკავა. მისი ორი ლექსი შეტანილია 1919 ქუთაისში გამოცემულ „ახალი პოეზიის ანთოლოგიაში“, 1920 გამოვიდა მისი ლირიკული ლექსების კრებული „მინანქრები“.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შ. ამირეჯიბი გადავიდა იატაკქვეშა ბრძოლაზე ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. 1922 კოოპტაციის წესით შევიდა ედპ-ის არალეგალურ ცკ-ის შემადგენლობაში. კ. აფხაზის დახვრეტის შემდეგ, 1923 წ-დან იყო ედპ-ის თავმჯდომარე, თანამშრომლობდა

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან და აქტიურად მონაწილეობდა 1924 წ-ის ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებაში. 1924 წ-ის 29 აგვისტოს, აჯანყების დაწყებისას, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან და აჯანყების მთავარსარდალთან ერთად იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ბანაკში. აჯანყების დამარცხების შემდეგ არალეგალურად გადაკვეთა საზღვარი და გადავიდა თურქეთში, ცხოვრობდა უმეტესწილად საფრანგეთსა და გერმანიაში. 1925 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო ედპ-ის საზღვარგარეთული ბიუროს წევრი, შედიოდა ინტერპარტიული ცენტრის „საერთო ფრონტი“ შემადგენლობაში. თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებთან: „სამშობლო“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“. შედიოდა ჰ. ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, იყო მისი ქართულენოვანი გამოცემის, ჟურნალ „კავკასიის“ (1937-1939) ერთ-ერთი ძირითადი ავტორი. იყო ემიგრაციაში მოქმედი სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი, რომელთა სხდომებზეც ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით. 1940 ბერლინში დააარსა საკუთარი ჟურნალი „ახალი დროება“. 1942 ჩართული იყო ბერლინში ქართული ეროვნული კომიტეტის ფორმირებაში. ემიგრაციაში წასვლამდე ჰყავდა მეუღლე - ცნობილი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე. შალვა ამირეჯიბი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია სენტ-უანის სასაფლაოზე. არის მრავალი საყურადღებო მოგონების ავტორი, მათ შორის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ.

თხზ: შ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი, (1886-1943), 2 წიგნად, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1997-1998.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1991; ქართველები უცხოეთში, წიგნ. I (რ. დაუშვილი, გ. კალანდაძე, რ. კობახიძე, გ. ჯაფარიძე, თ. ტარტარაშვილი), თბ., 2012; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომების შესახებ დეკრეტი – საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ-ის 21 ნოემბერს „ანარქიის საწინააღმდეგო ზოგიერთი ზომის“ შესახებ დეკრეტი მიიღო. კანონის მიზანი ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა იყო (ანარქია ბერძნ. Αναρχία სიტყვაა და ნიშნავს უხელისუფლეობას).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მიენიჭა პოლიტიკური პარტიის საქმიანობის აკრძალვის უფლებამოსილება, თუ პარტია წარმოადგენდა უცხო სახელმწიფოში არსებული პარტიის ნაწილს ან ემორჩილებოდა უცხოეთში არსებული პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობას. გარდა აკრძალვისა, მინისტრს უფლება ჰქონდა, ჩარეულიყო პოლიტიკური პარტიის შიდა საქმეებში ან დაეხურა ამ პარტიის ბეჭდვითი ორგანო.

აღნიშნული დეკრეტის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ჰქონდა, გაეძევებინა საქართველოს საზღვრებიდან პირი ან აეკრძალა განსაზღვრულ ტერიტორიაზე მისთვის ცხოვრება, ან დაეპატიმრებინა იგი, თუ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებდა საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს ან ცდილობდა ქვეყნის მთლიანობის დარღვევას, სიტყვით ან წერილობითი აგიტაციით ეწეოდა რესპუბლიკის საწინააღმდეგო ქმედებას.

დეკრეტს აქვს შენიშვნა, რომელიც განსაზღვრავს მინისტრის მიერ პირის დაპატიმრების ან განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვის ხანგრძლივობას ერთი წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გაგრძელება დამატებით კიდევ ერთი წლით დასაშვები იყო მინისტრის შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობის მიერ.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე (7.X. 1871 - 21.V.1923) - გენერალი. 1891 დაამთავრა მე-2 სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკად გაიგზავნა ყარსის ციხის საარტილერიო ნაწილში (1891). შემდეგ მსახურობდა კავკასიის საალყო საარტილერიო ნაწილში. პორუჩიკი (1894) შტაბსკაპიტანი (1898). 1903 პირველი თანრიგით დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. მსახურობდა მე-13 ლეიბ-გვარდიის ერევნის პოლკში (1906-1907). 1907-1908 წწ-ში უსურიის საკავალერიო ბრიგადის უფროსი ადიუტანტია. 1908-1909 წწ-ში - ომსკის სამხედრო ოლქის დავალებათა უფროსი ოფიცერი. 1909-1912 წწ-ში იყო 36-ე დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1912-1914 წწ-ში კითხულობდა ლექციებს ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში. პოდპოლკოვნიკი (1912), პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 მე-11 არმიის შტაბის დავალებათა ოფიცერი. პოლკოვნიკი (1914), 75-ე ქვეითთა დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (1914-1916). 1916 დაინიშნა 298-ე ქვეითთა პოლკის უფროსის მოადგილედ.



ანდრონიკაშილი ალექსანდრე

1917 წ-ის თებერვლიდან 177-ე ქვეითთა დივიზიის შტაბის უფროსია, ხოლო ივნისიდან - XX საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. გენერალ-მაიორი (21.11.1917). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით. დაჯილდოებული იყო იარაღით. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქარ-

თველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 წ-ის შემოდგომიდან 1919 წ-ის ზაფხულამდე, მათ შორის სომხეთთან ომის დროს, იყო გენერალური შტაბის უფროსი. 1920 დაინიშნა სამხედრო სკოლის უფროსად. 1921 თბილისის დაცვისათვის მიმდინარე ბრძოლების დროს, 19-24 თებერვალს სარდლობდა კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებას. დედაქალაქიდან უკან დახევის დროს დაინიშნა მთავარსარდლის მოადგილედ. ემიგრაციაში არ წასულა. სამხედრო სამსახური განაგრძო საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარში. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზდებელი „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს 1923 წ-ის 21 მაისს, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru; М. Г о г и т и д з е, Военная элита кавказа. т. I. 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007

მიხეილ ბახტაძე

ანდრონიკაშვილი ელენე (ელო)

ანდრონიკაშვილი კონსტანტინე

ანდრონიკაშვილი ელენე-ელო იოსების ასული (27.IV.1883, სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრ. - 12.III.1956, თბილისი) - მსახიობი, მოცეკვავე, პედაგოგი. პირველდაწყებითი განათლება მცხეთის მონასტრის ოთხკლასიან სასწავლებელში მიიღო. შემდეგ იზრდებოდა ქართლში, სოფ. წრომში, დის ოჯახში, რომელიც ლევან ციციშვილის მეუღლე იყო. მოგვიანებით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებითა და იქ გაცნობილი მეგობრების ნინო და მიხეილ დავითაშვილების თანადგომით, სოფელში სკოლა გახსნა. 1898 პირველად გამოვიდა სოფ. წრომის სცენისმოყვარეთა წარმოდგენაზე, სადაც „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს“ წარმოადგინეს. დაბრუნდა კარდანახში, სადაც იქაურ ახალგაზრდებთან ერთად ლიტერატურულ-დრამატული წრე დაარსა. 9.XI.1900 ვოდევილები - „ბაიყუში“ და „ახირებულია“ დადგეს. 22.XII.1900 - ავქ. ცაგარელის „ციმბირელი“ და მისივე „მათიკოს“ მესამე მოქმედება. კარდენახელი ახალგაზრდების აქტიურობამ იმ დროს დასთან მყოფ ილია ჭავჭავაძის ყურამდეც მიაღწია და თავისი ფრაკი და შავი ტანისამოსი შესწირა. მალევე გადმოდის თბილისში. ცხოვრობს მარიამ დემურიასთან, რომელმაც ავჭალის მუშათა თეატრში მიიყვანა. 1900-1904 წწ-ში მსახურობდა ავჭალის მუშათა თეატრის სცენისმოყვარეთა დასში. 1903 წ-ს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით, ქ. კავკავში ქართული სკოლის მასწავლებლად გაემგზავრა. 1903-1904 წწ-ში კი კავკავის სცენისმოყვარეთა წრეში თამაშობდა. მალე გაითქვა სახელი, როგორც პედაგოგმა და ახალგაზრდა, ნიჭიერმა მსახიობმა. 1905-1907 წწ-ში იყო პარიზის სორბონის უნივერსიტეტის პედაგოგიურ-ლიტერატურული ფაკულტეტის მსმენელი. 17.X.1907 პირველად გამოვიდა პროფესიული თეატრის (სახაზინო - დღევანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი) სცენაზე. 12.X.1908 - 8.II.1909 შ. დადიანის მიწვევით, ქუთაისის დრამატული დასის ამხანაგობაშია. 1909 წ-ის გაზაფხულიდან დაარსდა მსახიობთა ამხანაგობა, რომელმაც იმოგზაურა კავკასიასა და საქართველოს დაბა-ქალაქებში. ამავე დროს რეჟ. შალვა დადიანი და ელო დაქორწინდნენ. 1912 წ-დან მსახიობობდა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში და ბაქოს ქართული თეატრის დასში. იყო მოგზაურთა დასი „ბათუმის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წამყვანი მსახიობი.

1918 წ-დან თბილისში მართავს წარმოდგენებს. ამავე დროს მუშაობს სკოლებში საბავშვო თეატრის შექმნისა და ჩამოყალიბების კონცეფციაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პერიოდულ გამოცემებში მისი არაერთი ფოტო დაიბეჭდა. მონაწილეობდა სხვადასხვა წარმოდგენებში. ქართული ცეკვები საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონცერტებზეც არაერთხელ შეასრულა. 1919 გახსნა ლეკური ცეკვის კურსები, სადაც თავადვე პედაგოგობდა. 23.II.1919 ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაშიც მონაწილეობდა. 1919 ზუგდიდის, 1920 წ-დან ქუთაისის თეატრის მსახიობი იყო. ასრულებდა სხვადასხვა ხასიათის როლებს. მისი შესრულებული როლებია: ქეთევანი - დ. ერისთავის პიესიდან „სამშობლო“, კაროჟნა - დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ჰანელე - გ. ჰაუპტმანის „ჰანელე“, კატიუშა მასლოვა - ლ. ტოლსტოის „აღდგომა“ და სხვ. მსახიობობის პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას.

1923 წ-დან კვლავ მსახიობთა ამხანაგობას აყალიბებს და საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობს. 1926 წ-დან მუშაობს სახკინმრეწვში. 1929-1930 - სოხუმის სახელმწიფო თეატრში, 1933-1934 კი ხაშურის სახელმწიფო თეატრშია. 1935 ერთ-ერთი წარმოდგენის დროს ფეხი იტკინა და სცენას ჩამოშორდა. დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობა. თარგმნა ო. უაილდის „პადუის დედოფალი“, ი. ლეინგელის „ტაიფუნი“, გ. კადელბურგის „შავი ლაქა“, ა. ოსტროვსკის „უმზითვო“ და „უდანაშაულო დამნაშავენი“, გეიერის „მზის საიდუმლო“ და სხვ. 1944 მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

ლიტ.: ენც. საქართველო, ტ. I, გვ. 151, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №5, 1920, №10, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №140.

სალომე ჭანტურიძე

ანდრონიკაშვილი კონსტანტინე ემანუელის ძე (1876, სოფ. კაჭრეთი, სიღნაღის მაზრა - 1937, (1938?)) - ქართველი სოციალ-დემოკრატი, ჟურნალისტი. 1897 თბილისის მესამე გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

განაგრძო. მოგვიანებით იმავე ფაკულტეტზე კიევის უნივერსიტეტში გადავიდა. 1899-1900 წწ-ში პოლიტიკური აქტიურობის გამო, კ. ანდრონიკაშვილი უნივერსიტეტის მესამე კურსიდან გარიცხეს და მალე დააპატიმრეს. კიევის ციხეში 5 თვის პატიმრობის შემდეგ იგი იძულებული გახდა, თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნებულიყო. 1904 ანდრონიკაშვილი კვლავ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში იმყოფებოდა რამდენიმე თვე, რის შემდეგაც კვლავ მშობლიურ სოფელში გაამწესეს, სადაც სოფლის გლეხკაცებში აქტიურად აწარმოებდა რევოლუციურ პროპაგანდას, ქმნიდა ორგანიზაციებს და მათ თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან აკავშირებდა. 1905 თბილისის კომიტეტმა ის ალექსანდროპოლში გაგზავნა, რათა ალექსანდროპოლის, ერევნის, ყარსის დეპოს მუშათა ორგანიზაციები ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა ცენტრთან დაეკავშირებინა. 1906 იგი თბილისშია და სოციალ-დემოკრატიულ პრესაში პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე წერილებს ბეჭდავდა. 1906-1909 წწ-ში ის კვლავ პატიმრობაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც სამუდამოდ ციმბირში გადაასახლეს. 1914 კ. ანდრონიკაშვილი გადასახლებიდან გამოიქცა, ერთხანს მოსკოვში იმალებოდა, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა, საზღვარგარეთ წასულიყო, ცხოვრობდა ჟენევაში, ლოზანაში, პარიზში, კვლავ ლოზანაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კ. ანდრონიკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ საქმიანობაში. 1918 შედიოდა ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) შემადგენლობაში. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად, 1919 წ-ის 12 მარტს პირველივე სხდომაზე ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მან აქტიური ბრძოლა გაუაჩაღა ბოლშევიკების საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. 1923 ანდრონიკაშვილი დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, რომელსაც 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყების დამარცხებამდე ხელმძღვანელობდა. კ. ანდრონიკაშვილის ფსევდონიმი იყო „სოლომონი“. 1924 წ-ის 22 აგვისტოს „დამკომის“ უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, შ. ამირეჯიბი. 1924 წ-ის 3 სექტემბერს ანდრონიკაშვილი მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა შიომღვიმის მონასტერთან ახლოს „დამკომის“ სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრა. დაპატიმრებულმა ხელმძღვანელებმა, მუქარის ქვეშ, ხელი მოაწერეს განცხადებას „დამკომის“ დაშლის შესახებ. საბჭოთა სასამართლომ კ. ანდრონიკაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯა. სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვაში ქართველ ხალხს მოუწოდა მშვიდობიანი გზით მოქმედებისკენ: „... აჯანყების დამარცხება სრულიად არ ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დამარცხებას, გაკოტრებას, მხოლოდ სვლა აჯანყების გზით ამ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად, უნდა ჩაითვალოს ერთხელ და უკანასკნელად მავნე მეთოდად ერის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სადავო საკითხების გადაწყვეტაში. აჯანყების შედეგები და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა, ავალებს საქართველოს ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიებს დაადგნენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და გზა და გზა ღონიერი და საღი კრიტიკით მიიღონ მონაწილეობა ქართველი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ აღმშენებლობაში. ეს არის ჩემი აზრი და საჭიროა რომ ყველა ქართული პარტიები დაადგნენ მშვიდობიან გზას...“. დიდი საბჭოთა ტერორის დროს გადაასახლეს ციმბირში, სადაც, სავარაუდოდ, დახვრიტეს დამფუძნებელი კრების სხვა წევრებთან ერთად.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქმე 107; შსსა (3), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 40; შსს (3), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 28; ს. ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „1924 წლის ამბოხება“, თბ., 1989; ლ. ჯ ი ქ ი ა, „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“, თბ., 2011.

ლელა სარალიძე



ანთაძე დოდო
კონსტანტინეს ძე

ანთაძე დოდო კონსტანტინეს ძე (10.X.1900, სოფ. ვარძია, შორაპნის მაზრ. - 18.IV.1978, თბილისი) - ქართველი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის მოწაფე, სსრკ სახალხო არტისტი (1971).

1915 დააარსა „ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა დრამატული წრე“. იყო ჯერ წევრი, 1918 წ-დან აირჩიეს წრის რეჟისორად. 1918-1919 წწ-ში ქუთაისში, ვანო მოსიძის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა კიდევ ერთი დრამატული წრე „პროგრესი“. ითამაშა რამდენიმე სპექტაკლში. მაგ., არჩ. ჯაჯანაშვილის „გაწყვეტილი სიმი“ და ჭანტურიშვილის „ბურუსი“. 1919 თბილისში ახლად გახსნილი უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. 1919-1920 წწ-ში იყო გ. ჯაბადარის დრამატული სტუდიის წევრი. ქართული დრამის თეატრის შექმნის შემდეგ კი დამხმარე დასში ირიცხებოდა.

1920-1925 წწ-ში მუშაობდა რეჟისორის თანაშემწედ, ხოლო 1925 წ-დან - რეჟისორად რუსთაველის სახელობის თეატრში, 1927-1928 წწ-ში ასევე რიგით რეჟისორად თბილისის მუშათა თეატრში. 1928 თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელია, 1928-1933 წწ-ში რეჟისორია ქუთაისში კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ თეატრში (სადაც ბევრი მარჯანიშვილისეული დადგმის თანაავტორი იყო). 1933-1938 წწ-ში მუშაობდა თბილისის კ.მარ-

ჯანიშვილის სახელობის თეატრის, 1938-1952 წწ-ში კი - ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, 1952-1957 წწ-ში თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის, ხოლო 1957-1962 წწ-ში რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორად. 1962-1974 წწ-ში არჩეულ იქნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ. ანთაძის რეჟისორული ხელოვნება მკაფიო იდეური მიმართულებითა და მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობით ხასიათდება. მის სარეჟისორო შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლებს. დადგმებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა: პ. კაკაბაძის „მიწისძვრა" (1925), გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ" (1932) და „იცკა რიჟინაშვილი" (1937), შ. დადიანის „ნინოშვილის გურია" (1934) და „გუშინდელნი" (1939), ა. აფინოგენოვის „შორეული" (1936), ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი" (1939), უ. შექსპირის „ოტელო" (1939) და „მეფე ლირი" (1941), ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება" (1944), ფ.შილერის „ყაჩაღები" (1948), ნ. გოგოლის „რევიზორი" (1952), ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა" (1957) და სხვა. ანთაძე ავტორია მემუარებისა „დღენი ახლო წარსულისა" (ორ ტომად, 1962-1966), რომელშიც აღწერილია ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის ისტორია, დახატულია კ. მარჯანიშვილისა და მისი მოწაფეების შემოქმედებითი პორტრეტები. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე", თბ., 1994; ქსე, ტ. I, თბ., 1975; დ. ანთაძე, დღეები ახლო წარსულისა, თბ., 1962.

სალომე ჭანტურიძე

ანტონ მიტროპოლიტი

ანტონ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში სიმონ შევარდენის ძე გიგინეიშვილი, 1882, სოხუმი - 24.XI.1956, იქვე) - პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოხუმის სკოლაში, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა მასწავლებლად გუდაუთის სკოლაში. ამ ფაქტმა წონასწორობა დააკარგვინა დეკანოზ ივანე ვოსტორგოვს, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ამ ფაქტს, ვინაიდან, მისი აზრით, ქართველ მასწავლებელს შეეძლო აფხაზების გაქართველება. 1914 ს. გიგინეიშვილი ხელდასხმულ იქნა მღვდლად და მსახურობდა სამხედრო პოლკში. I მსოფლიო ომის დროს სასულიერო საქმიანობას ეწეოდა სტავროპოლის ეპარქიაში. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით, 1922 დაინიშნა სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად. ურთულეს პირობებში უხდებოდა სოხუმში მოღვაწეობა, მაგრამ ის მოთმინებითა და დიდი ტაქტით ახერხებდა არსებული პრობლემების მოგვარებას. 1952 უწმიდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წინადადებით, მღვდელი სიმონ გიგინეიშვილი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ანტონი. იგი იმავე წელს ხელდასხმულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად. 1954 უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. მიტროპოლიტი ანტონ გიგინეიშვილი გარდაიცვალა 1956 წ-ის 24 ნოემბერს, 74 წლის ასაკში. განსვენებულს წესი აუგო ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძემ). დაიკრძალა სოხუმში.

ლიტ.: ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე, XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012.

მიხეილ ქართველიშვილი

ანტონ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში ალექსი ლუკას ძე გიორგაძე) (17.III.1866, ქუთაისი - 18.IX.1918, ქუთაისი) - დაიბადა ხელმოკლე ოჯახში. მისი მამა - ლუკა იყო ქუთაისის ერთ-ერთი ეკლესიის მედავითნე. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1882, ალექსი, მეუფე გაბრიელის რეკომენდაციით, სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1888 მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა სემინარია, დაბრუნდა ქუთაისში და დაოჯახდა. 1889 ეპისკოპოსმა გაბრიელმა ჯერ დიაკვნად, ხოლო ერთი კვირის შემდეგ მღვდლად აკურთხა და განაწესა ქუთაისის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად. 1889 ქუთაისის ქალთა სასწავლებელში არსებული ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1889 მას დაევალა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში საეკლესიო სლავური გალობის მასწავლებლობა. 1892 ეპისკოპოსმა გაბრიელმა საგვერდულით დააჯილდოვა. 1892-1900 წწ-ში მიმდევრობით იყო: ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარი; ქუთაისის ქალთა წმიდა ნინოს სახელობის გიმნაზიაში არსებული ეკლესიის წინამძღვარი და საღვთო სჯულის პედაგოგი; გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში გალობის მასწავლებელი; სასულიერო გამომძიებელი; იმერეთის საეპარქიო საბჭოს წევრი და მისი განყოფილების თავმჯდომარე; 1896 დაჯილდოვდა სკუფიით, 1900 უბოძეს კამილავკა. 1903 გარდაეცვალა მეუღლე და ოჯახის მოვლის მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა. ამის მიუხედავად, მაინც ჩააბარა კიევის სასულიერო აკადემიაში, საიდანაც 1904 სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, პარალელურად ჩაირიცხა საიმპერატორო არქეოლოგიის ინსტიტუტშიც. 1906 აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ანტო-

ნი. 1907 წარჩინებით დაამთავრა აკადემია და მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი; მოღვაწეობდა ვიატკის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანამდებობაზე. აქედან გადაყვანილ იქნა სმოლენსკის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად, 1909 დაჯილდოვდა სამკერდე ოქროს ჯვრით. 1910 მამა ანტონი დაინიშნა დავით გარეჯის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. იმავე წელს აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1910 დაინიშნა ქართლ-კახეთის მონასტრების მთავარხუცესად. ამავე წელს მცირე ხნით დროებით შეუთავსეს რუსული მონასტრების მთავარხუცესობაც და ქვათახევის მონასტრის წინამძღვრობაც. 1911 გადმოიყვანეს თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1911 წ-ის 19 დეკემბერს, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტი ანტონი ეპისკოპოსად გამოარჩიეს. 1912 პეტერბურგის ყოვლადწმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრაში გორის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და საქართველოს ეგზარქოსის მესამე ქორეპისკოპოსად დანიშნეს. იმავე წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს. 1914-1916 წწ-ში მამა ანტონი წმიდა ვლადიმირის II ხარისხის და წმინდა ანას I ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდა. იგი აირჩიეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის რესტავრაციის კომიტეტისა და საეკლესიო მუზეუმის წევრად.

ეპისკოპოსი ანტონი იყო ავტოკეფალისტური მოძრაობის თავდადებული წარმომადგენელი და მებრძოლი. მისი ინიციატივით, 1917 წ-ის 8 მარტს ფერისცვალების მონასტერში, სადაც იგი ცხოვრობდა, შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანია, ს. მერკვილაძე, ი. ვართაგავა და სხვ. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, 1917 წ-ის 12 მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღსრულებულიყო რუსეთის იმპერიაში მშვიდობისათვის პარაკლისი. დაიგზავნა მოსაწვევები პროვინციებში, ზღვა ხალხი შეიკრიბა სვეტიცხოველში. 12 საათზე გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა ეპისკოპოს ანტონის მიერ შედგენილი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი". ეპისკოპოსი ანტონი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში, მართვა-გამგეობის დებულების შემუშავებაში. მისი დაჟინებული თხოვნით, ეპისკოპოსმა კირიონმა იყარა კენჭი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებში და გაიმარჯვა. ეპისკოპოსი ანტონი ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციას, რომელმაც დაძაბული მოლაპარაკებები აწარმოა 1917 წ-ის ივნის-აგვისტოში პეტერბურგში, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მიაღებინა კიდეც დროებით მთავრობას საგანგებო დოკუმენტი ამ საკითხზე. 1917 წ-ის 16 სექტემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე, იგი დადგენილ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად. ქუთაისში მცირე ხნით მოღვაწეობის დროსაც მან მოახერხა, თავისი ხელი დაემჩნია ეპარქიისათვის. მიტროპოლიტი ანტონი მოულოდნელად გარდაიცვალა. როგორც პათანატომიურმა გამოკვლევამ დაადგინა, მიტროპოლიტი მოწამლეს.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010

მიხეილ ქართველიშვილი

ანფიმოვი იაკობ

ანფიმოვი იაკობ ათანასეს ძე (1852, ქ. სევესკი, ორიოლის გუბ. - 1930, თბილისი) – ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი, კავკასიის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე. პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი 1880 - 1885 წწ-ში მუშაობდა ორდინატორად თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში. 1885-1892 წწ-ში იყო პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიისა და ნერვულ სნეულებათა კათედრის პრივატ-დოცენტი, 1892-1894 წწ-ში ხელმძღვანელობდა ტომსკის უნივერსიტეტის ნერვულ სნეულებათა და ფსიქიატრიის კათედრას, ხოლო 1894 წ-დან ხელმძღვანელობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის კათედრას, სადაც მიენიჭა დამსახურებული პროფესორის წოდება.

1920 წ-ის 15 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით, უნივერსიტეტში ნერველოგიის კათედრის მოსაწყობად მოიწვიეს პროფესორი ანფიმოვი, საბჭომ მას დაუნიშნა პროფესორის სარგო. 1920-1925 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის ხელმძღვანელი.

ი. ანფიმოვი იკვლევდა თავის ტვინის ტრავმებს, ვეგეტატიური ნერვული სისტემის დაავადებებს და ასე შემდეგ. მან შექმნა რეოსტატი, რამაც ფართო გამოყენება პოვა იონოთერაპიაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926", თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ანჯაფარიძე გიზო

ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე (ფსევდონიმები: გიზო, маска) (09.I.1889, სოფ. კიწია - 14.XII.1937, ქ. ირკუტსკი) - სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ადვოკატი. საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და შემდგომ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა აზნაურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ბათუმის ვაჟთა

გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტში. მოსკოვში ყოფნის პერიოდში მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ გამოსვლებში. 1913 ბათუმში დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო ადვოკატად.

1918 საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა შორის იყო გ. ანჯაფარიძეც. 1919 წ-დან დამფუძნებელ კრებაში ყოფნის დროს იყო საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრი. 1920 გ. ანჯაფარიძე არჩეულ იქნა ბათუმის ქალაქისთავად. 1921 საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ იგი რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული - 1921, 1924, 1933, 1936. მონაწილეობას იღებდა 1924 წ-ის აჯანყებაში. დახვრიტეს ქალაქ ირკუტსკში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე

არაგვისპირელი შიო

არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე (დედაბრიშვილი) (4.XII.1867, სოფ. ქარისხევი - 2.I.1926, თბილისი) - მწერალი, ქ.შ.წ.კ.გ.ს. წევრი. განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში. 1890 სემინარიის დასრულების შემდეგ სწავლა ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში განაგრძო. მისი ერთ-ერთი უადრესი მოთხრობა იყო „ესაა ჩვენი ცხოვრება!“ (1889); 1891 „ივერიაში“ დაიბეჭდა ეტიუდი „ახალწლის ღამეს“, რომელსაც მოჰყვა: „სოფლად“, „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ჩემო შვინდავ!“, „ჰარამ-ხანის სურათი“. 1903 ოპერის თეატრში დაიდგა მისი ნაწარმოები „შიო თავადი“. 1892 წ-ის ივლისში მონაწილეობა მიიღო ქართველ სტუდენტთა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის - „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შექმნაში, რისთვისაც დააპატიმრეს. სასჯელს ჯერ ვარშავის, შემდეგ ქუთაისის საპატიმროში იხდიდა. 1895 დაამთავრა ინსტიტუტი, დაბრუნდა საქართველოში და ბეითლად დაიწყო მუშაობა. 1897-1917 მუშაობდა თბილისის გუბერნიის შტატგარეშე ვეტექიმის და ახალციხის მაზრის შტატის ვეტექიმის თანამდებობებზე, ბათუმის ოლქის სოფლებში ჩაბმული იყო საქონლის ჭირთან ბრძოლაში. 12.VII.1917 კავკასიის ფრონტისა და ზურგის ვეტექიმთა და ვეტფერშალთა ყრილობის მიერ არჩეულ იქნა მთავარ სავეტერინარო საბჭოს წევრად პეტერბურგში. 1916-1918 წწ-ში იყო ქ.შ.წ.კ.გ.ს თბილისის განყოფილების დამფუძნებელი წევრი, შემდეგ მუდმივი წევრი. 1919 მონაწილეობდა პირველ საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებში (1919) საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის საარჩევნო სიით. 1919 ვახტანგ კოტეტიშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა მისი შემოქმედების მიმოხილვა - შავი წიგნი: (შიო არაგვისპირელის შემოქმედება) ძღვნად იუბილარს. 1919 წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოსცა შ. არაგვისპირელის I, II, III წიგნები. 1920 წ-ის ოქტომბერში ჟურნალ „ბარრიკადში“ ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სხვა ავტორთა შორის განიხილა შ. არაგვისპირელის შემოქმედება. 1920 დაწერა რომანი „გაბზარული გული“. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში.

შ. არაგვისპირელმა შექმნა ოთხმოცამდე ნაწარმოები, იყო ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელმაც დაამკვიდრა პროზაული ჟანრის მცირე ფორმები - ფსიქოლოგიური ნოველა, ეტიუდი, ესკიზი, სურათი. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. II, ქუთ., 1912; ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე, პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017; მ. ზანდუკელი, „შიო არაგვისპირელი“, თბ., 1966; ს. ჭილაია, „არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე“, ქსე, ტ. I, თბ., 1975.

ეკა ჯავახიშვილი

არასოციალისტურ პარტიათა გამაერთიანებელი კონფერენცია - გაიმართა თბილისში 1921 წ-ის 23-27 იანვარს, დაესწრო 220 დელეგატი. მათგან 150 ეროვნულ-დემოკრატი იყო, 50 ეროვნულ პარტიას წარმოადგენდა, 15 - რადიკალ-დემოკრატიულს, ხოლო 5 - უპარტიოთა კავშირს. კონფერენცია პარტიის უხუცესმა წევრმა ვასილ წერეთელმა გახსნა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი, ალექსანდრე ასათიანი, კოტე აფხაზი და სანდრო შანშიაშვილი, რომლებიც მორიგეობით თავმჯდომარეობდნენ სხდომებს. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაადასტურა არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანების ფაქტი. ახლად გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ეწოდა „საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი)“. კონფერენციამ აირჩია დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი 36 წევრის შემადგენლობით: სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, შალვა ქარუმიძე, პართენ გოთუა, კოტე აფხაზი, რაფიელ ინგილო, შალვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი, ივანე ზურაბიშვილი, კოტე ტყავაძე, იასონ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ახმეტელი, სერგი დანელია, ტიტე მარგველაშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი, ნიკოლოზ წვერავა, მიხეილ ჯავახიშვილი, ლელი ჯაფარიძე, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ იშხნელი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკო თავდგირიძე,

ალექსანდრე თორაძე, ი. აფაქიძე, ნესტორ მაღალაშვილი, გიორგი ამირეჯიბი, იოსებ ხანანაშვილი, დ. დუმბაძე, ელისე პატარიძე, კალე მისაბიშვილი და ნ. დგებუაძე. კონფერენციამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამაც. პროგრამა 6 მცირე განყოფილებისაგან შედგება და შეიცავს 34 მუხლს. პროგრამის თანახმად, „საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო - დემოკრატიული რესპუბლიკა. უმაღლესი ძალაუფლება რესპუბლიკაში ეკუთვნის სრულიად საქართველოს ხალხს". პროგრამა მოითხოვდა სასამართლოს ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობას, ყოველგვარი უფლებრივი დავის სასამართლო წესით გადაწყვეტას და მოხელეების და თვით მთავრობის უკანონო მოქმედებათა გასაჩივრების შესაძლებლობას. რესპუბლიკას უმამულო და მცირემამულიანი მოქალაქენი სახაზინო მიწის ფონდიდან უნდა დაეკმაყოფილებინა. მიწის ნაკვეთები გლეხობას შეღავათიანი ფასით სრულ საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაში უპირატესობა თავისუფალი პიროვნების კერძო ინიციატივას ენიჭებოდა, სახელმწიფოს კი თავისი ქვეყნის აღებმიცემობა და მეწარმეობა უცხო კონკურენციისაგან უნდა დაეცვა და სხვ. მემარჯვენე ძალთა კონსოლიდაცია სოციალისტურმა პარტიებმა კრიტიკულად აღიქვეს. მათი გამაერთიანებელი კონფერენცია მმართველი უმრავლესობის ოფიციოზმა, გაზეთმა „ერთობამ" რეაქციულ ძალთა თავმოყრად შეაფასა. ასეთივე იყო ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოკიდებულებაც, რომლებმაც მომხდარ ფაქტს „ბურჟუაზიულ-რეაქციონური ელემენტების ძალის მოკრება", „ფეოდალური კონტრრევოლუციის რაზმების გაერთიანება" უწოდეს. მემარჯვენე ძალების კონსოლიდაციას მოწონებით არც ფედერალისტები შეხვედრიან. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სამსონ ფირცხალავა მიიჩნევდა, რომ ბურჟუაზიული პარტიების არსებობამ დრო მოჭამა და მათი მოღვაწეობა დღევანდელ სინამდვილეს აღარ შეესაბამება. მისი სიტყვით, ქართული ბურჟუაზიული პარტიების „შეიარაღებამ და ფაცი-ფუცმა ქართველი ხალხის საჭის ხელში ასაღებად" მეტად დააგვიანა და იგი მხოლოდ „პათეტიკურ ახმაურებას" წარმოადგენდა. თვით გაერთიანებული პარტიის მესვეურები მემარჯვენე სპექტრის შეკავშირებას ოპტიმისტურად უცქერდნენ და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში წარმატების იმედიც ჰქონდათ. არასოციალისტური პარტიების ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაერთიანება პროგრესული მოვლენა იყო. ამით საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დახვეწისა და სრულყოფის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პირობებში დაწყებულ პროცესს შეიძლებოდა ხელი შეეწყო დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცებისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის.

ლიტ.: ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; გაზ. „მიწა", 1921, 31 იანვარი.

ოთარ ჯანელიძე



არაყიშვილი დიმიტრი

არაყიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე (11.II.1873, ვლადიკავკაზი - 13.VIII.1953, თბილისი) - ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის კლასიკოსი, ფოლკლორისტიკის დამფუძნებელი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, დირიჟორი, პედაგოგი. დაამთავრა სამკლასიანი სკოლა, მაგრამ მატერიალური პრობლემების გამო იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში სამუშაო ეძებნა. ბავშვობიდანვე უყვარდა კითხვა და დიდ ყურადღებას იჩენდა მუსიკის მიმართ. მასზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მამის მიერ შესრულებული ქალაქური სიმღერები ახდენდა. 1884-1885 წწ-ში ადგილობრივ საეკლესიო გუნდში გალობდა და სასულიერო მუსიკის ნიმუშებს ეცნობოდა. 1888-1890 წწ-ში უფროს ძმასთან, გიორგისთან, ერთად არმავირში ცხოვრობდა და მაღაზიაში ნოქრად მუშაობდა. შემდეგ ეკატერინოდარში (დღევანდელი კრასნოდარი) გადასახლდა, პირველად მოისმინა საოპერო მუსიკა და ქართული ოპერის დაწერის სურვილი გაუჩნდა. მაშინ დაწერა თავისი პირველი ნაწარმოებები: „ჩემო მკვლელო, ვიცი, ვიცი" (ილია ჭავჭავაძის ლექსზე) და „ქართული ცეკვა" ფორტეპიანოსათვის (1893). 1894 მოსკოვში მიდის და ფილარმონიული საზოგადოების მუსიკალურ-დრამატულ სასწავლებელში პროფესიულ განათლებას იღებს, ა. ილინსკისთან (კომპოზიციას), ს. კრუგლიკოვთან (თეორიულ საგნებს) და ვ. კესისთან (დირიჟორობას) სწავლობს. მოსკოვში ყოფნისას სრულყოფილად ეზიარება კლასიკური მუსიკის სიღრმეს და იმდროინდელ ყველა მუსიკალურ მიმართულებას საფუძვლიანად ითავისებს. 1901 ამთავრებს სასწავლებელს. 1901-1902-1904-1908 წწ-ში აწყობს ოთხ ექსპედიციას, თითქმის მთელ საქართველოს მოივლის და 500-ზე მეტ ხალხურ სიმღერას იწერს. იბეჭდება მისი ნაშრომებიც: 1906 მოსკოვში - „ქართული ქართლ-კახური სიმღერების განვითარების მოკლე ნარკვევი" (სანოტო მაგალითებითა და 27 სიმღერის დართვით); 1908 - „დასავლეთ საქართველოს - იმერეთის ხალხური სიმღერის შედარებითი მიმოხილვა" (83 სიმღერის დართვით); 1916 - „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება" (225 სიმღერისა და 39 ინსტრუმენტული ნაწარმოების დართვით). 1901-1902 წწ-ში თავისი პირველი რომანსები შექმნა: „მზე აღარ ბრწყინავს"; „მწყემსის სიმღერა"; „მთიელი ქალის სიკვდილი"; „გაზაფხული" და სხვ. 1909-1910 კომპოზიტორ ა. გრეჩანინოვთან კომპოზიციის პრინციპებს ეუფლება. იმავე 1910 იწყებს მუშაობას ოპერაზე „თქმულება შოთა რუსთაველზე". 1911 წერს ქართული სიმფონიური მუსიკის პირველ ნიმუშს, თავის პირველ საორკესტრო ნაწარმოებს „საზანდა-

რთა შორის“ („ჰიმნი ორმუზდს“). იმავე წელს მოსკოვში მისი მოღვაწეობის 10 წლისთავი აღინიშნა. 1913, კონცერტების ჩატარებისა და ლექციების წაკითხვის მიზნით, ორჯერ ეწვია თბილისს. 1916 მოსკოვის არქეოლოგიურ ინსტიტუტში შედის და ორი წლის შემდეგ დისერტაციას იცავს. ნაშრომისათვის „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“ ოქროს მედლით აჯილდოებენ. 1918 ბრუნდება საქართველოში.

1918-1921 წწ-ში ქართული მუსიკალური საზოგადოების სამუსიკო სკოლის პედაგოგია. მისი ყველაზე დიდი წარმატებაც დამოუკიდებელ საქართველოს უკავშირდება. 05.I.1919 თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ამ თარიღით იწყება ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია. 16 მაისს, კომპოზიტორის ლოტბარობით, თბილისის საოპერო თეატრში ქართული სასულიერო მუსიკის კონცერტზე, პირველად სრულდება მის მიერ შექმნილი „ქართული ლიტურგია“. 1919 ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებულ კაპელას ხელმძღვანელობს, შემდეგ ამ თანამდებობას ნიკო სულხანიშვილს უთმობს. 1919 წ-დან (სიცოცხლის ბოლომდე) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია.

გასაბჭოების შემდეგ, 1921 წ-დან, აყალიბებს თბილისის მეორე კონსერვატორიას და მისი რექტორის თანამდებობას იკავებს. ამ სასწავლებელში, რომელშიც ათას ექვსასამდე სტუდენტი სწავლობდა, არსებობდა საგუნდო კლასი, საოპერო სტუდია, სიმებიანი კვარტეტი სხვ. 1923 მეორე კონსერვატორია პირველს შეუერთდა. 1925 ქუთაისში გამოიცა მისი წიგნი „ქართული მუსიკა“. 1925-1926 წწ-ში ათას ერთი ღამის ერთ-ერთი ზღაპრის მიხედვით შექმნილ ლიბრეტოზე (ავტორი ვ. გუნია) დაწერა კომიკური ოპერა „სიცოცხლე სიხარულია“ (მოგვიანებით „დინარა“ ეწოდა). ოპერის პრემიერა 28.XII.1927 შედგა. 1926-30 წწ-ში კონსერვატორიის რექტორი იყო. 1929 სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. 1931 დაიწყო მუშაობა თავის პირველ სიმფონიაზე, რომელიც 1934 დაასრულა. 1932 ახლად შექმნილი კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელი გახდა. 1936 წერს ერთმოქმედებიან ოპერას „ნესტანი“. 40-იან წლებში მეცნიერებათა აკადემიაში მუსიკალური ფოლკლორის სექციას ხელმძღვანელობს. იქმნება მისი მნიშვნელოვანი მუსიკათმცოდნეობითი ნაშრომები: 1940 - „ქართული ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა-გაზომვა“; 1948 - „აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების მიმოხილვა“; 1950 „სვანური ხალხური სიმღერები“ და „რაჭული ხალხური სიმღერები“. 1949 მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა, 1950 აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1953 მისი 80 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ნაწარმოებები. ოპერები: 1910-1914 - „თქმულება შოთა რუსთაველზე“; 1926 - „ცხოვრება სიხარულია“ („დინარა“, 3 მოქმ.); 1936 - „ნესტან“ (ლიბრეტო ა. შანშიაშვილისა, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით დაუმთავრებელია, დაწერილია მხოლოდ ერთი მოქმედება). სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, საგუნდო ნაწარმოებები, რომანსები და სიმღერები: მათ შორის, 1919 - „ღამეა ბნელი“ (გ. ქუჩიშვილის ტექსტი); 1919 - „ურმულზედ“ (გ. ქუჩიშვილის ტექსტი); 1919 - „შემოღამება“ (გ. ქუჩიშვილის ტექსტი) და სხვ.

ლიტ.: ლ. დ ო ნ ა ძ ე, ო. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, გ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, „ქართული მუსიკის ისტორია“, წ. I. თბ., 1990; რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; პ. ხ უ ჭ უ ა, „დიმიტრი არაყიშვილი (მონოგრაფია)“, თბ., 1980; დ. ს ვ ა ნ ი ძ ე, „დიმიტრი არაყიშვილი ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი“.

ზურაბ ლეჟავა

ართმელაძე დავით ადამის ძე (1.II.1865 - 1938) - გენერალი. დაწყებითი განათლება მიიღო ოზურგეთში. 1885 სამხედრო სამსახური დაიწყო. დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი (პირველი თანრიგით). გაიგზავნა პოდპორუჩიკად ელიზავეტოპოლის 156-ე ქვეით პოლკში. პორუჩიკი (1892). შტაბსკაპიტანი (1900). კაპიტანი (1901). I მსოფლიო ომის წინ პოდპოლკოვნიკია. გადაყვანილ იქნა 23-ე თურქესტანის ქვეით პოლკში ბატალიონის მეთაურად. პოლკოვნიკი (1915). 1917 წ-ის იანვარში დაინიშნა თურქესტანის მე-16 პოლკის უფროსად. იმავე წლის ოქტომბერში - 127-ე ქვეითი დივიზიის მეთაურად და მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. დათხოვნილი იქნა თადარიგში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. თავდაპირველად იყო ქართული კორპუსის 1-ლი დივიზიის მეთაური. 1920-1921 წწ-ში სარდლობდა ქართული არმიის პირველ ბრიგადას, რომლის შტაბიც სოხუმში იყო და იცავდა აფხაზეთის მიმართულებას. 1921 წ-ის თებერვალ-მარტში მეთაურობდა გაგრის მხრიდან შემოჭრილი მე-9 წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლ შენაერთებს. გენერალ მაზნიაშვილთან ერთად განდევნა ქემალისტები ბათუმიდან 1921 წ-ის მარტში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა სამხედრო სკოლაში.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი. თბ., 2015; საიტი - Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru; М. Гогитидзе. Военная элита кавказа. т. I. 2007.

მიხეილ ბახტაძე

არსენიშვილი ალექსანდრე (ალი) ილიას ძე (1892, სოფ. დაბაძველი - 14.XI.1939, თბილისი) - ქართველი კრიტიკოსი და მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1913 წ-დან აქვეყნებდა ლიტერატურულ წერილებს რუსულ და ქართულ პრესაში.

1918 „ცისფერყანწელებს“ მიემხრო. მიმოწერა ჰქონდა ალექსანდრ ბლოკთან. 1918 კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა „ცისფერი ყანწების“ პოეზიის საღამო, სადაც მან „ბრინჯაოს მასკები“ წაიკითხა. მის კრიტიკულ წერილებში განხილულია ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლების შემოქმედება, ესთეტიკური საკითხები. არსენიშვილმა თარგმა პ. მერიმეს, თ. დრაიზერის და სხვ. ნაწარმოებები. 1918 კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა) გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო გაიმართა, სადაც წაიკითხა ლექსები.

ლიტ.: ი. წ ულ უ კ ი ძ ე, ქსე, ტ. I, თბ., 1975; ენც. საქართველო, ტ. I, თბ., 1997; გაზ. „ერთობა“, 1918, №51.

გაგა ლომიძე

არსენიძე რაჟდენ მათეს ძე (28.IX.1880, სოფ. სოჩხეთი, ქუთაისის მაზრ. - 24.V.1965, ლევილი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. სოციალ-დემოკრატი. დაიბადა სასულიერო პირის ოჯახში, პირველადი განათლება მიიღო სოფლის სამრევლო სკოლაში, შემდგომში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. სწავლა განაგრძო იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში, 1901 წ-ის სტუდენტურ ამბოხებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და გარიცხეს უნივერსიტეტიდან, 1908-1912 წწ-ში ახერხებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას და იურისტის დიპლომის მოპოვებას. 1902 წ-დან თანამშრომლობას იწყებს სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან, მუშაობს გაზ. „კვალის“ რედაქციაში, შემდგომში - „სხივში“, „ლამპარში“, „განთიადში“. 1904 კვლავ დააპატიმრეს. 1905 წ-დან აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა რსდმპ-ის ბათუმის კომიტეტში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს. 1906 და 1910 წწ-ში კვლავ აპატიმრებს მეფის რეჟიმი. 1913 მიესაჯა 5 წლით გადასახლება ციმბირში, სადაც იმყოფებოდა თებერვლის რევოლუციამდე.

რევოლუციის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში, 1917 არის თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი. 1917 წ-ის ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით ირჩევენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. მონაწილეობა მიიღო 26 მაისის აქტის შემუშავების პროცესში. აქტიურ საქმიანობას ეწეოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. გარკვეული პერიოდი მუშაობდა პარტიის მთავარი პერიოდული ორგანოს - გაზეთ „ერთობის“ რედაქტორად. 1919 წ-ის თებერვალში არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად, სადაც იკავებდა იურიდიული და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის პოსტს, 1921 წ-ის საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები სწორედ მისი შემუშავებულია. 1920 წ-ის 2 იანვრიდან ოფიციალურად დაიკავა დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პოსტი, იყო არაერთი სამართლებრივი რეფორმის ავტორი, ინიციატორი.

არსენიშვილი ალი

1921 წ-ის 17 მარტის დამფუძნებელი კრების დადგენილებით, დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის წევრებს ემიგრაციაში წასვლისა და იქიდან ბრძოლის გაგრძელების მანდატი მისცა. 1921-23 წწ-ში რაჟდენ არსენიძე სტამბოლში ცხოვრობდა, იყო ქართულ პოლიტიკურ ძალთა მიერ შექმნილი „პოლიტიკური კომისიის“ წევრი, მისი რედაქტორობით აქვე გამოდიოდა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“. სტამბოლიდან მალევე საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა. ემიგრაციაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ დაიკავა ირაკლი წერეთლის ჯგუფის პოზიცია. წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა გამოცემების რედაქტორი: „ბრძოლა“, „სოციალისტური აზრი“ და სხვ. თანამშრომლობდა ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებთან: „ჩვენი დროშა“, „მებრძოლი საქართველო“ და სხვ. 1953 ამერიკული განთავისუფლების კომიტეტის დახმარებით დაარსებული რადიო „თავისუფლების“ ქართული სექციის რედაქტორი გახდა. ეწეოდა აქტიურ სამწერლობო საქმიანობას, წერდა შოთა რუსთაველის შესახებ. აქვეყნებდა წერილებს საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის შესახებ. 1963 პარიზში გამოიცა მისი მთავარი ნაშრომი - „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“. 1962 რაჟდენ არსენიძე მიუნხენიდან ლევილში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

არსენიძე რაჟდენ

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, თბ,. 1993; ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, „დამფუძნებელი კრება“, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 108, 109; გაზ. „ერთობა“, 1918, №208.

ირაკლი ირემაძე

არტისტული კაფეები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 1918-1921 წწ. საქართველოს/თბილისის კულტურისათვის მოკლე, მაგრამ მშვენიერი ეპოქა დგება; ეს პერიოდი, სახელოვნებო-კულტურული თვალსაზრისით, ექსპერიმენტის, ხელოვნების ფუნქციის გადააზრების, ახალი ენის შექმნის დინამიკური დროა. 1918 წ-დან უფრო გაიხსნა სახელოვნებო საზღვრები - საქართველოში დამკვიდდრდნენ

პოლონელი, სომეხი, გერმანელი მხატვრები, პოეტები, რუსეთიდან ჩამოსული ხელოვანები, ქართველი მოდერნისტები და ავანგარდისტები; ტატიანა ნიკოლსკაია წერს: „შემოქმედებითი ძალების სიმრავლემ საქართველოს დედაქალაქი ევროპული კულტურის ცენტრად აქცია“. თბილისი იმჟამად მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და რუსეთის ავანგარდის ერთ-ერთ ცენტრად ჩამოყალიბდა. აქ იწყება მოდერნისტული და ავანგარდული *არტისტული კაფეების ეპოქა* - ხმაურიანი პროცესი უცნაური რიტორიკით. ამ კაფეებში მიმდინარეობს მოდერნისტულ-ავანგარდული ცხოვრება - პოსტრეალისტური ესთეტიკური „ამბოხი“, ახალი ენის შექმნისთვის, ხელოვნების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა; ის გამოჰყავთ უტილიტარული ფუნქციიდან, სწორხაზოვნებიდან, ნატურალიზმიდან. გაიხსნა არტისტული კაფეები, რომლებიც არა მხოლოდ შეკრების ადგილი, არამედ კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრიც იყო. აქ იკრიბებოდნენ მწერლები და პოეტები, იმართებოდა ლექციები და პოეზიის საღამოები, თეატრალური წარმოდგენები თუ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კაფეთა ცხოვრებას წინ უსწრებდა საოჯახო სალონებისა და თბილისური დუქნების არსებობა. 1917 გაიხსნა საქართველოში პირველი კაფე „ფანტასტიკური სამიკიტნო“. თბილისში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე პატარა ოთახი თხუთმეტამდე ადამიანს იტევდა. კაფე-კლუბი იური დეგენისა და სანდრო კორონას ინიციატივით გაიხსნა. სივრცე მთლიანად მოხატული იყო ლ. გუდიაშვილის, სერგეი სკრიპიციანის, პეტრაკოვსკის, იური დეგინისა და იაკობ ნიკოლაძის მიერ.



არტისტული საზოგადოების თეატრი

კაფე იმ დროს მოღვაწე ხელოვანთა თავშეყრის ადგილი იყო. სამ წელიწადში 200-მდე ლექცია წაიკითხეს. კლუბის ხშირი სტუმრები იყვნენ ცისფერყანწელები, ასევე, ილია ზდანევიჩი, იგორ ტერენტიევი, ალექსანდრე კრუჩიონიხი, იური დეგენი, სოფია მელნიკოვა და სხვ. 1918 გაიხსნა „არგონავტების ნავი“, სივრცე მოხატეს ლ. გუდიაშვილმა, კირილე ზდანევიჩმა და ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვმა. კაფე აკმეისტების შეკრების ადგილი იყო. ამ კაფე-კლუბების გარდა, თბილისში მდებარებდა „ფარშევანგის კუდი“, მოხატული ზიგა ვალიშევსკისა და კირილე ზდანევიჩის ფრესკებით. „ჭიქა ჩაი“, „ძმური ნუგეში“, „ქართული კლუბი“, „იმედი“, „ინტერნაციონალი“, „ანონა“, რომელიც ცისფერყანწელთა შეკრების ადგილად იქცა და სახელიც შეეცვალა, კაფე „ქიმერიონი“, მოხატული სერგეი სუდეიკინის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, 20-იან წლებში კი - მ. და ი. თოიძეების მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესასა თუ იმ დროს მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია თბილისური კაფე-კლუბების ცხოვრებას, იქ გამართულ საღამოებს.

ლიტ.: ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, მალშტრემი. ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1924, N9; B. K e r d i m u n, Kirill Zdanevich and Cubo-Futurism: Tiflis, 1918-1920, Catalogue of the exhibition of Ilia Zdanevich, New York, 1987; N. K i p i a n i, The Great Experiment, ArtForum International, 2013; N. K i p i a n i, B. T s i p u r i a, Cubist Influence in Georgia: Cubo-Futurism, Kirill Zdanevich, David Kakabadze. Jour. ARS 47, Bratislava (2014); ს. ს ი გ უ ა, H2SO4-დან „მემარცხენეობამდე“; Т. Н и к о л ь с к а я, „Фантастический город“, Русская культурная жизнь в Тбилиси (1917-1921), Мос., 2000; Т. Н и к о л ь с к а я, *Авангард и* окрестности, СПБ., 2002; ს. ს ი გ უ ა, კულტუროლოგიის საფუძვლები, ნაწ. III, თბ., 2012; Г. Р о б а к и д з е, Грузинский модернизм, 1918, ჟურ. ARS, N1; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია: XVIII-XX საუკუნეები, თბ., 2013; K. S h a v g u l i d z e, „Avant-Garde“ of Georgian Theater, conference MODERNISM IN GEORGIA: REDRAWING THE BOUNDARIES, Columbia university/Harriman Institute, NYC, 2010; მ. ჩ ი ხ რ ა ძ ე, თბილისი 1910-1921 წლებში, ელ. ჟურ. ARS GEORGICA, სერია.

ნანა ყიფიანი

არტისტული საზოგადოების თეატრი (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი) – აიგო 1898-1901 წწ-ში. მისი მშენებლობა ამავე სახელწოდების საზოგადოების დაარსებას (1987) და მის შემდგომ საქმიანობას უკავშირდება. თავდაპირველად თეატრს ქართული დრამატული საზოგადოება მართავდა, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით. შენობა, ა. შიმკევიჩისა და კ. ტატიშჩევის პროექტის მიხედვით, ისაი იაგორის ძე ფითოევის ოჯახის ფინანსური შემწეობით აიგო. სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად იტალიელი და ბერძენი ოსტატები მოიწვიეს. თეატრი 810 მაყურებლისთვის იყო გათვლილი და იმ დროისათვის უახლესი მბრუნავი სცენაც

გააჩნდა. თეატრში ერთდროულად ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური დასები მუშაობდნენ, უმეტესად, რუსული თეატრი „ტარტოს“ სპექტაკლები იმართებოდა. შენობის სარდაფი რესტორან „ანონას“ ეჭირა, რომელიც 1919 ქართველ მწერალთა კავშირმა ქალაქის ხელისუფლებისგან შეიძინა და დეკემბერში „ცისფერყანწელთა“ კაფე-რესტორანი „ქიმერიონი“ გაიხსნა. 1919 სივრცე მოხატეს ს. სუდეიკინმა, ლ. გუდიაშვილმა და დ. კაკაბაძემ. 1920 კი - მ. და ი. თოიძეებმა. 1917-1918 წწ-ში, ფაქტობრივად, სეზონი არ შემდგარა. 1918 თბილისში გ. ჯაბადარი აარსებს თეატრალურ სტუდიას, რომლის რეორგანიზებაც 1922 ა. ფაღავამ განახორციელა.

1921 მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. 1949 თეატრის შენობა ხანძარმა გაანადგურა. ფოტოების მიხედვით, ერთ წელიწადში აღადგინეს. 1982-1987 წწ-ში შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარეს. არქიტექტორი ო. ნახუცრიშვილი. 2002-2005, ბიძინა ივანიშვილის დახმარებით, თეატრის საბოლოო რესტავრაცია დასრულდა.

ლიტ.: ი. დ ო ლ ი ძ ე, სათეატრო არქიტექტურა საქართველოში, 2005.

სალომე ჭანტურიძე

არჯევანიძე გიორგი პავლეს ძე (24.I.1863 - 16.I. 1940) - გენერალი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1881 წელს. პოდპორუჩიკი (1883), პორუჩიკი (1887), შტაბსკაპიტანი (1893), კაპიტანი (1899). იყო რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. პოდპოლკოვნიკი (1905), პოლკოვნიკი (1910). I მსოფლიო ომის მონაწილე. 153-ე ქვეითთა პოლკის მეთაური. გენერალ-მაიორი (1916; წარჩინებისთვის). 1917 წ-ის სექტემბერში 123-ე ქვეითთა დივიზიის მეთაურია. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავი მე-2 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებით და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით.

1917-1918 წწ-ში ქართული დივიზიის მეთაურია. დამოუკიდებლობის წლებში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1920 იყო ქალაქ ფოთის გარნიზონის უფროსი. ემიგრაციაში არ წასულა. 1921-1929 წწ-ში მსახურობდა წითელ არმიაში, იყო ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლის უფროსი. 1929 გავიდა თადარიგში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე (10.IV.1889, სოფ. ბარდნალა, ლეჩხუმის მაზრ. - 29.XII.1953, მიუნხენი) - პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ქუთაისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში სწავლის შემდეგ, 1907 დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. მოწაფეობისას გატაცებული იყო სოციალისტური იდეებით. 1904-1905 წწ-ში იყო ლეჩხუმ-სვანეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რისთვისაც დააპატიმრეს და ცაგერის ციხეში ჩასვეს. უმაღლესი განათლება მოსკოვსა და პეტერბურგში მიიღო, ორი წელი მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში ეკონომიკის სპეციალობით ისწავლა, 1914 პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა. იყო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე, ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს სტიპენდიატი. სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას გერმანიაში აპირებდა, მაგრამ I მსოფლიო ომის დაწყებამ განზრახვა ჩაუშალა. სტუდენტობის წლებში ა. ასათიანი იცვლის მსოფლმხედველობას და ეროვნულ იდეოლოგიაზე ინაცვლებს. 1914 წ-დან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ცხოვრობდა ქუთაისში, მუშაობდა ჯერ ნაფიცი ვექილის თანაშემწედ, შემდეგ ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოში. თანამშრომლობდა ადგილობრივ გაზეთ „სამშობლოში“. დაუახლოვდა ეროვნულ მიმართულებას და აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში.

არჯევანიძე გიორგი

ა. ასათიანმა ქმედითი მონაწილეობა მიიღო მცხეთაში საეკლესიო კრების მოწვევაში, რომელმაც 1917 წ-ის 12 (25) მარტს აღადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ედპ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე, 1917 წ-ის ივნისში, მან მოხსენება წაიკითხა დღის წესრიგით გათვალისწინებულ აგრარულ საკითხზე. წარმოაჩინა მიწაზე კერძო საკუთრების უპირატესობა და მოითხოვა, რომ „მიწები იმათ ხელში გადავიდეს, ვინც მის დამუშავებასა და ჯეროვნად გამოყენებას შესძლებს“. ყრილობამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩია, ძირითადად მინდობილი ჰქონდა საორგანიზაციო სფერო. იყო საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წევრი. 1918 წ-ის მაისში, ეროვნული საბჭოს გაფართოებისას, იგი ედპ-ის სიით შევიდა ეროვნულ საბჭოში, არჩეული იყო ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიის მდივნად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრად. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს. შედიოდა კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში, ასევე, შრომის, აგრარულ და სამეურნეო კომისიებში. 1919 თბილისში გამოიცა მისი ნაშრომი „მიწის საკითხი საქართველოში“, რომელიც ეკონომიკური დარგის სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა.

ასათიანი ალექსანდრე

1921 საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ა. ასათიანი ემიგრაციაში არ წასულა, საქართველოში დარჩა და დეოკუპაციისათვის გაშლილ ბრძოლაში ჩაება. შედიოდა ედპ-ის არალეგალურ ცკ-ის შემადგენლო-



ასათიანი სოსიპატრე

აუშტროვი რუბენ

ბაში. კავშირი ჰქონდა 1921 წ-ის სვანეთის და 1922 წ-ის ფშავ-ხევსურეთის გამოსვლებთან. 1922 დააპატიმრეს, მაგრამ მეტეხის ციხიდან გაქცევა მოახერხა და, პარტიის დავალებით, საზღვარგარეთ გაიხიზნა. ერთხანს სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ კი საფრანგეთში გადასახლდა. ემიგრაციაში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1924-1926 წწ-ში იყო სტამბოლში დაარსებული „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი. შედიოდა ედპ-ის პარიზის კომიტეტში, საფრანგეთში ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, იყო 1939 პარიზში შექმნილი კულტურის კლუბის „პრომეთე“ თავმჯდომარე; თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან (გაზეთი „სამშობლოსათვის“, ჟურნალი „ივერია“). 1929 წ-დან სათავეში ედგა ედპ-დან მისი ხელმძღვანელობით ცალკე გამოყოფილ ერთ ჯგუფს და რედაქტორობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდულ ორგანოს ჟურნალში „სამშობლო“. 1928 ქ. ვალენტინეიში გამოიცა ა. ასათიანის ნაშრომი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, რომელშიც XIX და XX სს. საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლა საფუძვლიანად არის განხილული. წიგნში გაკრიტიკებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და, ზოგადად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობა. 1934 პარიზში გამოვიდა მისი მეორე წიგნი – „ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები“. II მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდა გერმანელებთან, ქართველი ტყვეებით დაკომპლექტებულ ვერმახტის ლეგიონებთან ერთად მოაღწია კავკასიის მისადგომებს. ომის დამთავრებისთანავე პარიზის პოლიციამ დააპატიმრა ფაშისტებთან კავშირისათვის, თუმცა საფრანგეთის წინაშე თავისი უდანაშაულობის დამტკიცება მოახერხა და გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ა. ასათიანი ოთხი წლით ესპანეთში გადავიდა, შემდეგ ისევ პარიზში დაბრუნდა და განაგრძო პოლიტიკური საქმიანობა, ეწეოდა კვლევით მუშაობასაც. დაწერა ნაშრომი ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (არ არის მიკვლეული). ცოლ-შვილი არ ჰყოლია. ა. ასათიანი მოულოდნელად გარდაიცვალა მიუნხენში, დაკრძალეს იქვე, ველდფრიდჰოფის სასაფლაოზე. 1974 მისი ნეშტი ლევილის ქართულ სასაფლაოზე გადაასვენეს.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. II, თბ., 1993; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, რ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თ. ტ ა რ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ქართველები უცხოეთში, წგნ. I, თბ., 2012; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ასათიანი ლევან გიორგის ძე (?-?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. 1918 წ-ის დეკემბერში არჩეულ იქნა თბილისის მაზრის ხმოსნად. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მოვალეობის შესრულებას 10 ოქტომბრიდან შეუდგა. მუშაობდა სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სენატორად.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921). თბ., 2004.

ბექა ქანთარია.

ასათიანი სოსიპატრე (1872, ქუთაისი - 1971, პარიზი) - პოლიტიკოსი და დიპლომატი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1905 რევოლუციაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს ქუთაისში. 1907, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზებით, სხვა სოციალ-დემოკრატ პატიმრებთან (მათ შორის, ლეო ქიაჩელთან) ერთად გაიპარა ციხიდან და ემიგრაციაში წავიდა შვეიცარიაში. უმაღლესი იურიდიული განათლება შვეიცარიაში ყოფნის დროს, ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო. რუსეთის თებერვლის რევოლუციამდე ცხოვრობდა ჟენევაში.

1917 დაბრუნდა საქართველოში. მცირე ხნით დაინიშნა ლეჩხუმისა და სვანეთის კომისრად. 1918 წ-დან მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთის მისიებში. თავდაპირველად იყო წარგზავნილი უკრაინაში, ხოლო 1919 რუმინეთში გაიგზავნა საქართველოს წარმომადგენლად. 1919 წ-ის ბოლოდან შეუერთდა პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას, იყო დელეგაციის მდივანი. 1921 წ-ის 25 თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც აკაკი ჩხენკელმა ოფიციალური რწმუნებათა სიგელი გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტს ალექსანდრ მილიერანს, იკავებდა საფრანგეთში საქართველოს საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობას.

1933, მანამ, სანამ საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ოფიციალური სტატუსი გააჩნდა, იკავებდა საელჩოს პირველი მდივნის პოსტს. საელჩოს გაუქმების შემდეგ, 1933-1947 წწ-ში, იყო საელჩოს ნაცვლად შექმნილი „ქართული ოფისის“ დირექტორი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაში. იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის წევრი. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბ., 2003; ენც. „საქართველო“, „სოსიპატრე ასათიანი“, თბ., 1997.

ირაკლი ირემაძე

აუშტროვი რუბენ გიორგის ძე (24.VI.1887, ქუთაისი - 23.XII.1937) - ეროვნებით სომეხი, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი.

პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. პოლიტიკურ მოძრაობაში სტუდენტობის პერიოდიდანვე ჩაერთო. 1905 სტუდენტი რ. აუშტროვი მოსკოვის რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ ღებულობდა. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისში დაბრუნდა და ვექილთა კორპორაციაში განაგრძო მუშაობა, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რევოლუციურ მოძრაობაში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რ. აუშტროვი თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრად აირჩიეს, იყო მუშათა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ასევე, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი. აქტიური მუშაობის გამო, იგი ჯერ გვარდიის მთავარი შტაბის წევრად, შემდეგ მდივნად აირჩიეს. რ. აუშტროვს საპატიო წვლილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და განმტკიცებაში. მისი უშუალო მონაწილეობით წყდებოდა სახალხო გვარდიის ყველა მთავარი საკითხი. იგი იყო თბილისის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი. 1919 ის საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გახდა. რ. აუშტროვი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ენერგიული დამცველი და კავკასიის ერთა შორის ძმობის მქადაგებელი იყო.

1921 საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ რ. აუშტროვი ემიგრაციაში გაემგზავრა. არც ემიგრანტის მძიმე ხვედრს შეუცვლია მისი რწმენა. მუშაობდა მუშად ქარხანაში, შემდეგ - საკუთარ სახელოსნოში. იყო ერთ-ერთი ინიციატორი პარიზში ქართული წარმოდგნის გამართვისა. გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. ქართული ემიგრაციული პრესა წერდა: „მტკიცე ხასიათის და მთლიანი ბუნების პატრონი, იგი ისეთივე ჩავიდა სამარეში. მისი ოცნება იყო, ისევ თავის მშობელ მიწას დაბრუნებოდა... რუბენი ამით ერთგვარი სიმბოლოა, ნიმუში, თუ გნებავთ, იმ სულიერი კავშირისა, რომელსაც ჰქმნის ერის ლაღი ბუნება და ჰუმანურობა, რაც საქართველოს მუდამ ახასიათებდა და რუბენიც ამ თვისებებით უხვად იყო დაჯილდოებული, მუდამ საზოგადოებრივი მუშაობის მოსურნე, იგი ემიგრაციაში ცდილობდა თავისი წვლილის შეტანას საერთო საქმეში... როგორც ადამიანი, იყო თავმდაბალი და თავაზიანი ყველასთან. უწყინარი და მშვიდობიანი ხასიათის პიროვნება...“.

ლიტ.: აუშტროვი რუბენ (1887-1937), გაზ. „სოციალისტური აზრი“, პარ., 1938, №38; გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2005.

ლელა სარალიძე

აფხაზეთსა და სოჭის ოლქში სამხედრო მოქმედებები 1918–1919 წწ-ში – 1918-1919 წწ-ში აფხაზეთის ტერიტორიასა და სოჭის ოლქში მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები ქართულ სამხედრო შენაერთებსა და რუს-აფხაზ ბოლშევიკებს შორის და ქართველებსა და გენერალ დენიკინის ძალებს შორის.

1918 წ-ის მარტში სოჭის ოლქიდან აფხაზეთში შეიჭრა სოჭის წითელი გვარდია, 8 აპრილს ისინი სოხუმში შევიდნენ და ხელისუფლება გადასცეს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს აფხაზი ბოლშევიკის ეფრემ ეშბას ხელმძღვანელობით. ქართული კორპუსის ნაწილებმა ალექსანდრე კონიაშვილის მეთაურობით და გვარდიამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით 1918 წ-ის მაისში, გაგრის გამოკლებით, ბოლშევიკური ჯარებისაგან გაწმინდეს აფხაზეთი. 1918 წ-ის ივნისში ქართული ძალების მიმართულებით ახალი შეტევა დაიწყეს ბოლშევიკურმა ძალებმა იაკობ ანტონოვის მეთაურობით, დიდი ბრძოლები გაიმართა ახალ ათონთან, მაგრამ აფხაზეთის სამხედრო გუბერნატორად დანიშნულმა გენერალმა მაზნიაშვილმა მოწინააღმდეგე დაამარცხა, 23 ივნისს მდინარე ბზიფს მიაღწია, ივნისის ბოლოს ბოლშევიკებმა სოჭის ოლქში დაიხიეს. 24 ივნისს სოჭის ოლქის ადმინისტრაციამ საქართველოს სთხოვა დახმარება, რათა ოლქი გაწმენდილიყო ბოლშევიკებისაგან და სოჭი დროებით ქართველებს დაეკავებინათ, სოჭისა და ტუაფსეს ოლქების ბოლშევიკებისაგან გაწმენდას ითხოვდა აფხაზეთის სახალხო საბჭოც. 29 ივნისს ქართულმა ჯარმა დაიკავა ადლერი, მოწინააღმდეგემ დაკარგა ორასი მებრძოლი, ხოლო 100 ჯარისკაცი კი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს. 5 ივლისს ქართულმა ჯარმა აიღო ხოსტა და ტყვედ აიყვანა მოწინააღმდეგის 200 ჯარისკაცი, მეორე დღეს კი ქართველები სოჭში შევიდნენ. ქართულმა ჯარმა 26 ივლისს აიღო ტუაფსე და მთელ ოლქზე კონტროლი დაამყარა, ბოლშევიკური ჯარის ნარჩენებმა, 1200-მა კაცმა, არმავირისაკენ დაიხია, ტუაფსეს ოლქში გადამწყვეტი ბრძოლა ანტონოვის 4000-კაციან დაჯგუფებასთან გაიმართა. 4 აგვისტოს, ბელორეჩინსკაიასთან, გენერალმა მაზნიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 1500 მებრძოლამდე ჰყავდა, მოწინააღმდეგე დაამარცხა. აგვისტოს მეორე ნახევარში დენიკინ-ალექსეევის მოხალისეთა არმიამ ყუბანისპირეთში შეავიწროვა ტამანის ბოლშევიკური არმია, რომელსაც ივან მატვეევი მეთაურობდა. ეს ბოლშევიკური არმია უკან იხევდა არმავირისაკენ, რათა შეერთებოდა ივან სოროკინის წითელ არმიას, გზა არმავირისაკენ გადიოდა ტუაფსეზე, რომელიც ქართველებს ეკავათ. ბოლშევიკების 10000-12000 დაჯგუფებასა და მაზნიაშვილის 1000-1500-კაციან რაზმს შორის 27-31 აგვისტოს რამდენიმე ბრძოლა გაიმართა, მოწინააღმდეგემ ქართული ჯარი დაამარცხა, ხელში ჩაიგდო 16 ქვემეხი და 10 ტყვიამფრქვევი. ქართველებმა ტუაფ-

სე დატოვეს, მოწინააღმდეგემ ტუაფსე გაიარა, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ დაიძრა და გოიტხეს უღელტეხილის გავლით მაიკოპისაკენ წავიდა. ბოლშევიკების ტუაფსედან გასვლის შემდეგ ქალაქი მოხალისეთა არმიამ დაიკავა. 1918 წ-ის 25-26 დეკემბერს ეკატერინოდარში გაიმართა მოლაპარაკებები საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. რუსები მოითხოვდნენ ქართველების მიერ სოჭის ოლქის დაცლას გაგრის ჩათვლით, ასევე, ეჭვქვეშ აყენებდნენ ქართველების უფლებას სოხუმის ოლქზე და ითხოვდნენ რუსეთის ყოფილი კავკასიური არმიის იარაღის გადაცემას. 1918 წ-ის დეკემბერში, როდესაც სომხეთ-საქართველოს ომი დაიწყო, ქართულმა სარდლობამ სოჭის ოლქიდან ჯარის ნაწილი გამოიყვანა, ამით ისარგებლეს მოხალისეებმა და გენერალ ჩერეპოვის მეთაურობით სოჭის ოლქის ნაწილი დაიკავეს მდინარე ლოომდე და ამავე დასახელების დასახლებასთან გაჩერდნენ. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კავკასიის რეგიონში შემოვიდნენ ბრიტანელები, ისინი ასევე იარაღით და მატერიალური რესურსებით დახმარებას უწევდნენ მოხალისეთა არმიას რუსეთის სამოქალაქო ომში, თუმცა სოჭის ოლქის გადაჭრის საკითხში ისინი გარკვეულ ნეიტრალიტეტს იცავდნენ და მოუწოდებნენ დენიკინსა და ქართველებს, პრობლემა იარაღის გამოყენების გარეშე გადაეჭრათ. ამის მიუხედავად, გენერალმა დენიკინმა ბრძანება გასცა საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ, 1919 წ-ის 6 თებერვალს გენერალ ალექსანდრე ჩერეპოვის 3000-კაციანმა დაჯგუფებამ აიღო სოჭი და იქ მყოფი რამდენიმე ასეული ქართველი მებრძოლი, გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის ჩათვლით, ტყვედ აიყვანა. 8 თებერვალს რუსებმა აიღეს ადლერი, 10 თებერვალს ქართველთა კონტრშეტევა ჩაიშალა და მოწინააღმდეგემ აიღო გაგრა და გავიდა მდინარე ბზიფამდე. ბრიტანელები დენიკინის ამ ნაბიჯს კეთილგანწყობით არ შეხვედრიან, თუმცა სიტუაციის ცვლილებასაც ვერ ახერხებდნენ, დენიკინის მოთხოვნები კი უკვე სოხუმის ოლქსაც სწვდებოდა. ქართულმა მხარემ გადაწყვიტა პრობლემის დამოუკიდებლად მოგვარება, აპრილის პირველ ნახევარში მდინარე ბზიფზე ქართველებმა 6000 ჯარისკაცს მოუყარეს თავი. 1919 წ-ის 17 აპრილს, დილის 4 საათზე, გენერალ იოსებ გედევანიშვილისა და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, ქართულმა ჯარმა მდინარე ბზიფი გადალახა და თეთრებს შეუტია. მცირე ბრძოლების შემდეგ ქართულმა ჯარმა გაგრა აიღო და 500 თეთრგვარდიელი ტყვედ აიყვანა, ქართველთა წინსვლა, ბრიტანელების მოთხოვნით, მდინარე მზიმთაზე შეჩერდა 18 აპრილს. ქართულმა ჯარმა მცირედით უკან დაიხია მდინარე მეხადირზე. ამის შემდეგ დენიკინსა და ქართველებს შორის ბრიტანელთა შუამდგომლობით მოლაპარაკებები უშედეგოდ წარიმართა, თუმცა სტატუს კვო აღარ შეცვლილა, რადგანაც თეთრებს 1919 წ-ის მეორე ნახევარსა და 1920 წ-ის დასაწყისში საქართველოსთვის აღარ ეცალათ. 1920 წ-ის პირველ ნახევარში ტუაფსესა და სოჭის ოლქი საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა და, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული 1920 წ-ის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, შავი ზღვის სანაპიროზე საზღვარი მდინარე ფსოუზე იქნა გავლებული.

ლიტ.: ე. ა ნ დ ე რ ს ე ნ ი, აფხაზეთი და სოჭი, კონფლიქტის ფესვები, თარგმნა მერი ბიწაძემ, თბ., 2016.

დიმიტრი სილაქაძე

აფხაზეთის ავტონომია - პოლიტიკური სტატუსი, რომელსაც ფლობდა აფხაზეთი (ყოფილი რუსეთის იმპერიის სოხუმის ოკრუგი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1919 წ-ის 20 მარტს ახლად არჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი ავტონომიის შესახებ“ და დასამტკიცებლად საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა. მასში ნათქვამი იყო: 1. აფხაზეთი შედის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიურ ელემენტად, რაზედაც აცნობებს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას; 2. ავტონომიური აფხაზეთისთვის უნდა შეიქმნას კონსტიტუცია, რომელიც დაარეგულირებს ცენტრალურ (საერთო-ქართულ) და ავტონომიურ ხელისუფლებებს შორის დამოკიდებულებას; 3. კონსტიტუციის შესადგენად უნდა ჩამოყალიბდეს შერეული პარიტეტული კომისია სახალხო საბჭოს წევრებისა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისგან; 4. ამ კომისიისგან შემუშავებული დებულებები შეტანილი უნდა იყოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება აფხაზეთის სტატუსის მიმართ ნათლად გამოხატა ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებაზე სიტყვით გამოსვლისას: „ჩვენ მათი (აფხაზეთის სახალხო საბჭოს) ყველა მოთხოვნა, რაც ავტონომიას ეხება, როგორი ფართოც არ უნდა იყოს, შეგვიძლია, მივიღოთ. არ შეგვიძლია, მივიღოთ მხოლოდ ერთი: გამოყოფა ჩვენგან და დენიკინთან მიერთება“.

ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შემმუშავებელ შერეულ საკონსტიტუციო კომისიაში აზრთა სხვადასხვაობა იყო ავტონომიის დონის თაობაზე, ეთნიკური აფხაზი დეპუტატების ნაწილი კი საერთოდ ეწინააღმდეგებოდა ავტონომიას. დებატები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. შეიქმნა რამდენიმე წინასწარი პროექტი, რომლებმაც ვერ მიიღეს ხმების აუცილებელი ორი მესამედი. იყო ინტენსიური კონსულტაციები თბილისთან. საბოლოოდ, ძირითადი შიდა უთანხმოებების გადალახვა მოხერხდა. 1920 წ-ის 1 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ საქართველოს

პარლამენტს წარუდგინა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის სამი პროექტი, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ერთ-ერთი მათგანის დამტკიცების მიზნით. ამ პროექტებს აერთიანებდა შემდეგი ძირითადი დებულებები: 1. აფხაზეთი ავტონომიური ერთეულია საქართველოს შემადგენლობაში; 2. საქართველოს ცენტრალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები პასუხს აგებენ საგარეო პოლიტიკაზე, თავდაცვაზე, საფინანსო, საგადასახადო და სასამართლო სისტემებზე, ფოსტაზე, ტელეგრაფზე, რკინიგზის და საავტომობილო გზების ქსელებზე; 3. აფხაზეთის სახალხო საბჭოს კომისარიატის გამგებლობაში რჩება აფხაზეთის ცხოვრების ყველა დანარჩენი სფერო.

1920 წ-ის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტი და გააგზავნა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. კონსტიტუცია ადასტურებდა აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. პროექტის პირველ მუხლში ეწერა: „აფხაზეთი, მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, და შავი ზღვის სანაპიროებიდან კავკასიონის ქედამდე – საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის საშინაო საქმეებს“.

ამგვარად, შეთანხმება ავტონომიისა და თბილისსა და სოხუმს შორის სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ მიღწეულ იქნა. 1920 წ-ის 29 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო „ავტონომიური აფხაზეთის მართვის დებულება“. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აფხაზეთის ავტონომიის ძირითადი პრინციპები შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 107, 108).

ლიტ.: ზ. პ ა პ ა ს ქ ი რ ი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი მეორე, 1917-1993, თბ., 2007.

ბონდო კუპატაძე

აფხაზეთის სახალხო საბჭო - ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო, რომელიც აირჩა აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგად 1919 წ-ის 13 თებერვალს. აფხაზეთის სახალხო საბჭო იყო მრავალპარტიული და მრავალეროვნული. შედგებოდა 40 დეპუტატისგან, რომლებიც 7 ფრაქციაში იყვნენ განაწილებული (27 სოციალ-დემოკრატი, 4 დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 უპარტიო მემარჯვენე, 3 ესერი, 1 ეროვნულ-დემოკრატი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი, 1 უპარტიო კოლონისტი), 20 იყო ეთნიკური აფხაზი. 40 დეპუტატიდან 7 (4 დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 უპარტიო მემარჯვენე) იყო რადიკალურად ანტიქართულად განწყობილი. მათ შექმნეს „დამოუკიდებელი ფრაქცია“, რომლის მიზანი აფხაზეთისთვის მაქსიმალური სუვერენიტეტის მოპოვება იყო. საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 1919 წ-ის 18 მარტს. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს არზაყან ემუხვარი. შემდგომში ის იყო აგრეთვე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე. 20 მარტის სხდომაზე მიღებულ იქნა „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. დოკუმენტი ითვალისწინებდა აგრეთვე აფხაზეთის სახალხო საბჭოს და საქართველოს დამფუძნებელი კრების წარმომადგენელთა მონაწილეობით შექმნილი პარიტეტული კომისიის მიერ აფხაზეთის კონსტიტუციის შემუშავებას. კონსტიტუციის მიღება გაჭიანურდა ოპოზიციის უკომპრომისო პოლიტიკის გამო. 1920 წ-ის ოქტომბერში აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაამტკიცა „დებულება აფხაზეთის ავტონომიური მართვის შესახებ“.

წითელი არმიის აფხაზეთში შეჭრის და 1921 წ-ის 4 მარტს სოხუმის დაკავების შემდგომ აფხაზეთის სახალხო საბჭომ შეწყვიტა საქმიანობა.

ლიტ.: ზ. პ ა პ ა ს ქ ი რ ი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი მეორე, 1917-1993, თბ., 2007.

ბონდო კუპატაძე

აფხაზეთის ფრონტი რუსეთ-საქართველოს 1921 **წლის ომის დროს** - რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის დროს აფხაზეთის მიმართულებაზე სოჭის მხრიდან შემოიჭრა რუსეთის მეცხრე არმიის 31-ე მსროლელი დივიზია. მიწინააღმდეგის მიზანს წარმოადგენდა პირველ რიგში გაგრის დაკავება, შემდეგ მდინარე ბზიფზე გამაგრება და სოხუმის აღება. შემდეგში გადაადგილება ზუგდიდის, ახალი სენაკისა და ფოთის მიმართულებით, სადაც უნდა გასულიყო ქართული არმიის ზურგში და შეერთებოდა მეთერთმეტე არმიასა და მამისონის უღელტეხილიდან მოქმედ 98-ე ბრიგადას. მათ ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე ალყაში უნდა მოექციათ ქართული არმიის ნაწილები და გაენადგურებინათ. აფხაზეთის ფრონტზე რუსული ნაწილების წარმატება ასევე დამოკიდებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს საბრძოლო მოქმედებათა სცენაზე მიმდინარე მოქმედებებზე. აფხაზეთის სანაპიროსა და კავკასიონის ქედის სიახლოვე რუსებს არ აძლევდა საშუალებას, მთლიანი დივიზია ერთდროულად გაეშალათ ფრონტზე. აფხაზეთის ფრონტზე ქართული მხრიდან ომის დაწყების წინ განთავსებული იყო რეგულარული ჯარის მეორე ათასეული, სოხუმის გვარდიის ბატალიონი და სოხუმის სანაპირო რაზმი, ფრონტზე გაიგზავნა არმიის მესამე ათასეული და მცირერიცხოვანი ნაწილები. ფრონტს სარდლობდა გენერალი დავით ართმელაძე. რუსულ ძალებს მხარდაჭერას უწევდა მე-9 არმიის საავიაციო შენაერთი, ხოლო ქართულ არმიას ზღვიდან საარტილერიო მხარდაჭერას უწევდა ფრანგული ფლოტი ჯავშნოსანი კრეისერის „ვალდეკ

რუსოს» ფლაგმანობით. აფხაზეთის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები 19 თებერვალს დაიწყო, რუსულმა არმიამ ამ დღეს დაიკავა სოფელი პილენკოვო. 22 თებერვლამდე მიმდინარეობდა ბრძოლები მდინარე მეხადირზე, მაგრამ მოწინააღმდეგემ მოახერხა ქართული პოზიციების გარღვევა და 22 თებერვალს დაიკავა ქალაქი გაგრა. ამის შემდეგ მოწინააღმდეგემ გადალახა მდინარე ბზიფი და 27 თებერვალს გუდაუთაც დაიკავა, უკანდახეულმა ქართულმა ნაწილებმა ახალ ათონთან შექმნეს თავდაცვის ახალი ზღუდე. 2 მარტს ქართველებმა წარმატებით მოიგერიეს რუსული არმიის მიერ ახალი ათონის თავდაცვით ზღუდეზე მიტანილი იერიში, 3 მარტს, დიდი ბრძოლების შემდეგ, რიცხობრივი უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგემ გაარღვია ახალი ათონის პოზიციები და 4 მარტს სოხუმი დაიკავა. 7 მარტს მოწინააღმდეგემ დაიკავა ოჩამჩირე, 8 მარტს კი მდინარე ენგურს მიადგა, მომდევნო დღეს კი რუსულმა არმიამ გადმოლახა მდინარე ენგური და დაიკავა ზუგდიდი. გენერალ ართმელაძის შენაერთებმა ახალსენაკისაკენ დაიხიეს. გაჩნდა საფრთხე, მოწინააღმდეგეს სამტრედიაც დაეკავებინა და ქართული ნაწილები, სანამ ისინი ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთიდან ევაკუაციას მოახდენდნენ, საჯავახოს მიმართულებით ალყაში მოქცეულიყვნენ. 10 მარტს ქართველებმა მდინარე ცივთან მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერება შეძლეს, რამაც მათ საშუალება მისცა, 11-12 მარტს მოეხდინათ ევაკუაცია და მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე გადასულიყვნენ.

ლიტ.: მ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბ., 2013; ნ. დ ა რ ს ა ნ ი ა, მე-9 წითელი არმია და 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები აფხაზეთში, საისტორიო ძიებანი, წელიწდეული I, თბ., 1998.

დიმიტრი სილაქაძე

აფხაზთა სახალხო საბჭო (08.XI.1917 - 10.X.1918) - ნახევრად ლეგიტიმური წარმომადგენლობითი ორგანო აფხაზეთში. 1917 წ-ის 8 ნოემბერს სოხუმში ჩატარებულ აფხაზი ხალხის ყრილობაზე აირჩა აფხაზთა სახალხო საბჭო. ყრილობაზე მიღებული დეკლარაციის თანახმად, საბჭო გამოხატავდა აფხაზი ხალხის ინტერესებს და წარმოადგენდა მის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს. საბჭო არ ითვალისწინებდა აფხაზეთში მცხოვრები დანარჩენი ერების ინტერესებს, რომლებიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ. აფხაზთა სახალხო საბჭო არ თანამშრომლობდა აფხაზეთში არსებულ ქართველთა, სომეხთა, ბერძენთა ეროვნულ საბჭოებთან. 1918 წ-ის 9 თებერვალს ამ საბჭოს დელეგაცია (ა. შერვაშიძე, მ. ემუხვარი, ნ. მარღანია, ნ. ჩხოტუა, მ. ცაგურია) ტფილისში შეხვდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრებს (ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე) და მოითხოვა აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნაში მხარდაჭერა. ეროვნულმა საბჭომ მათ შესთავაზა ავტონომიის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. ხანგრძლივი დისკუსიის შემდგომ მხარეები შეთანხმდნენ, რომ უნდა აღდგენილიყო აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობა მდ. ენგურიდან მდ. მზიმთამდე. აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხს კი გადაწყვეტდა არჩევნების შედეგად შექმნილი აფხაზეთის სახალხო კრება. 1918 წ-ის მარტში აფხაზეთში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება. აფხაზთა სახალხო კრება გარეკეს. დახმარებაზე მათი თხოვნის პასუხად, ამიერკავკასიის მთავრობამ 1918 წ-ის მაისში ჯარი გაგზავნა და აღადგინა სახალხო საბჭოს ძალაუფლება. ამ პერიოდში აფხაზთა სახალხო საბჭოში მუშავდება კავკასიის კონფედერაციის შექმნის პროექტი, რომელსაც მხარს უჭერდა თურქეთი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, 1918 წ-ის 2 ივნისს, აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო საქართველოსგან დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილება. მოლაპარაკებების შემდგომ, 1918 წ-ის 11 ივნისს, საქართველოს მთავრობას და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: 1. საქართველოს მთავრობასთან დაინიშნა აფხაზეთის საქმეთა მინისტრი, პოლკოვნიკი რ. ჩხოტუა, რომელსაც ევალებოდა აფხაზეთში საშინაო მმართველობის მოწყობა; 2. აფხაზთა სახალხო საბჭო გამოცხადდა მმართველ ორგანოდ; 3. საქართველოს მთავრობა ფინანსურ კრედიტს გადასცემს აფხაზთა სახალხო საბჭოს; 4. აფხაზეთში წესრიგის და მშვიდობის უზრუნველსაყოფად ჩადგება სახალხო გვარდია; 5. მომზადდეს აფხაზეთის სახალხო ყრილობა, რომელიც აირჩევს აფხაზეთის სახალხო საბჭოს. ბოლშევიკებმა დაიწყეს არეულობა აფხაზეთში. პარალელურად აფხაზთა სახალხო საბჭოს სეპარატისტული ფრთა იწვევს ა. დენიკინს დახმარების თხოვნით. სიტუაციის მოსაგვარებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 19 ივნისს აფხაზეთში გააგზავნა სახალხო გვარდიის და არმიის ნაწილები გ. მაზნიაშვილის სარდლობით. აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გ. მაზნიაშვილი. 1918 წ-ის 9 აგვისტოს აფხაზთა სახალხო საბჭოს დემოკრატიულმა ფრთამ საბჭო გაუქმებულად გამოაცხადა და შექმნა დროებითი საბჭო, რომელმაც დაგმო პროთურქული ორიენტაცია. სოხუმის ოკრუგის კომისარმა მარღანიამ და რ. ჩხოტუამ მოინდომეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. ამიტომ საქართველოს დრ-ის მთავრობამ 1918 წ-ის 10 ოქტომბერს მათ შეუწყვიტა უფლებამოსილება, დაითხოვა აფხაზთა სახალხო საბჭო. არჩევნებამდე სოხუმის ოკრუგის უფროსად დანიშნა ბენია ჩხიკვიშვილი. 1918 წ-ის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება.

ბონდო კუპატაძე

აფხაზი კოტე

აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (27.XI.1867, კარდენახი, სიღნაღის მაზრ. - 20.V.1923, თბილისი) - საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი, ილია ჭავჭავაძის დისშვილი. 1885 დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, ხოლო 1890 - პეტერბურგის პავლეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი. მეფის რუსეთის არმიაში განვლო გზა არტილერიის გენერალ-მაიორობამდე (1916). 1906-1913 წწ-ში არჩეული იყო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრად. 1911 განთავისუფლდა სამხედრო სამსახურისაგან პოლკოვნიკის წოდებით. 1913 წ-ის იანვარში აირჩიეს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლად (მარშლად), თუმცა I მსოფლიო ომის დაწყებისას, კავკასიის მეფისნაცვლის თხოვნით, კვლავ შეუდგა სამსახურს და სარდლობდა მისივე ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ კავკასიის საარტილერიო ბრიგადას. თავდაპირველად ოსმალეთის ფრონტზე გაგზავნეს, 1915 წ-ის აპრილიდან დეკემბრამდე დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ კი მეფისნაცვლმა გამოიწვია თბილისში, თავად-აზნაურთა წინამძღოლობის მოვალეობის აღსასრულებლად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაყვანილ იქნა კახეთის რკინიგზა. 1916 სამხედრო მინისტრის განკარგულებით დაინიშნა სახელმწიფო დაცვის განსაკუთრებული თათბირის თავმჯდომარის რწმუნებულად და კავკასიის რაიონის თავმჯდომარედ. იმავე წელს ხელახალი ვადით არჩეული იყო აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლად. 1916-1917 წწ-ში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1917 წ-ის მარტში, რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაურის გ. ლვოვის წინადადებით, დაიკავა თბილისში შექმნილი კავკასიის ფრონტის საინჟინრო-საამშენებლო რაზმის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. მიღებული ჰქონდა მაღალი სამხედრო ჯილდოები: წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენი (1906); წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი (1910); წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი ხმლითა და ბაბთით (1915) და წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი (1916).

1917 აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში. 1917-1918 წწ-ში იყო ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე და დიდი წვლილი შეიტანა მის დაარსებაში. 1917 წ-ის ნოემბერში საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას გადასცა ქართველი თავადაზნაურობის კოლექტიური ქონება (26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულებისა), რითაც საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსურ სისტემას. ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. შედიოდა საბჭოს სამხედრო კომისიაში. 1918 იყო პოლიტიკური ორგანიზაცია „უპარტიოთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. „კავშირმა“ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ დეპუტატის გაყვანა ვერ შეძლო. 1921 წ-ის იანვარში უპარტიოთა კავშირი ეროვნულ-დემოკრატებთან გაერთიანდა და შეიქმნა გაერთიანებული დემოკრატიული პარტია. კ. აფხაზი მისი მთავარი კომიტეტის წევრად აირჩიეს. ქმედითი მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის, საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა და რიგი კანონპროექტების შემუშავებაში, რომლებიც დაამტკიცა პარლამენტმა.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას უცხოეთში არ გახიზნულა, სამშობლოში დარჩა და ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. 1922 კოოპტაციის წესით შევიდა ედპ-ის არალეგალური ცკ-ის შემადგენლობაში, მალე კი იატაკქვეშეთში გადასული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ დაამტკიცეს. შედიოდა 1922 ჩამოყალიბებული დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში, რომელიც საერთო-სამხედრო კოორდინაციას უწევდა საყოველთაო ეროვნული აჯანყების მზადებას. როდესაც საბჭოთა სპეცსამსახურებმა კ. აფხაზის კვალს მიაგნეს, თანაპარტიელებმა სასწრაფოდ საზღვარგარეთ წასვლა შესთავაზეს, სადაც მისი ცოლ-შვილიც იმყოფებოდა, მაგრამ უარი მიიღეს. „ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ მივატოვებ ამ მის ბრძოლის გაჭირვების ხანაში. გარდა ქართულ ძველ ისტორიულ ტრადიციისა, რომელიც ასეთ დროს იშვიათად ატოვებინებდა ქართველ კაცს თავის სამშობლოს, სად გაგონილა, რომ ღენერლები ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ... მე ვრჩები და დავრჩები ბოლომდე, რათა დავეხმარო საქართველოს მებრძოლ ბანაკს მის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში!” – უპასუხია კ. აფხაზს. 1923 საგანგებო კომისიამ დააპატიმრა სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა (15 კაცი). ისინი გაასამართლეს „საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსათვის ღალატისა და ანტისაბჭოთა აჯანყების მზადების მცდელობისთვის“. ყველა მათგანს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს და აღასრულეს კიდეც 1923 წ-ის 20 მაისს, თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე. დახვრეტის წინ კ. აფხაზის ბოლო სიტყვები იყო: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“. ჰყავდა მეუღლე - ელენე აფხაზი და ვაჟი - ნიკოლოზი. კ. აფხაზის საცხოვრებელ სახლზე - ყოფილი ბებუთოვის ქ. 46 (დღევანდელი ლ. ასათიანის ქ. 46) განთავსებულია მემორიალური დაფა.

ლიტ.: ენც. „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 256; გ. ს ა ი თ ი ძ ე, სწამდა სამშობლოს აღორძინება, თბ., 1997; ლ. ურ უ შ ა ძ ე, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის ბიოგრაფიისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, N3 (48-B), თბ., 2012; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

აფხაიძე შალვა

აფხაიძე შალვა ნიკოლოზის ძე (20.VII.1894, სოფ. ძუყნური გ. 19.II.1968, თბილისი) - ქართველი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე. ადრე დაობლებული, ბაბუამ გაზარდა. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ისმენდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა ლექციებს. 1914 აფხაიძის პირველი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა.

1917 - პირველი ლექსი (ქუთაისის გაზეთში „მეგობარი“). 1917 პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაბრუნდა საქართველოში. იმავე წლიდან იყო „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი. მუშაობდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ხელოვნების მთავარ კომიტეტში, გაზეთ „მუშის“ რედაქციაში, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაში“, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი კონსულტანტი. 1918 შეუერთდა „ცისფერყანწელთა“ ორდენს. ის წერდა: „განთავისუფლებულ საქართველოში ხელოვნების რენესანსის სათავე ახალმა სკოლამ - სიმბოლიზმმა დაიკავა ხელში. იგი სხვა გზას ვერ აირჩევდა“. დამოუკიდებლობის პერიოდში გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა მისი ლექსები: „სენტიმენტალური აღსარება“, „ფრაგმენტი“, „თავის დაწვა“, „ქრისტეს შობა ქალაქში“.

1922 წ-ის 1 თებერვალს გაზეთ „ბარრიკადში“ გამოქვეყნდა შ. აფხაიძის საეტაპო მნიშვნელობის სტატია „თავისუფალი ლექსი“. 1941 - პირველი კრებული „ლექსები“. შემდგომი კრებულები: „ლექსები“ (1949), „ერთტომეული“ (1954), „გაზაფხულის მელოდიები“ (1957), „გაზაფხულის განთიადები“ (1963), „კრიტიკული წერილები“ (1959) და სხვა. ავტორია მონოგრაფიებისა ლიტერატურისა და ხელოვნების ქართველ მოღვაწეთა შესახებ („ვერიკო ანჯაფარიძე“, 1956; „სანდრო ახმეტელი“, 1958; „აკაკი ხორავა“, 1962 და სხვა). შეადგინა „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ (1957), თარგმნა მ. გორკის, დ. ფურმანოვისა და სხვათა ნაწარმოებები. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; ენც. „საქართველო“, ტ. I. თბ., 1997; ს. ჭ ი ლ ა ი ა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №723, 737, 812, 1921, №1024.

გაგა ლომიძე

ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია – ორგანიზაციის შექმნის საკითხი სტუდენტთა ქუთაისის 1917 წ-ის 25 აპრილის კონფერენციაზე დაისვა. ამ ფორუმს, სხვადასხვა ქალაქებიდან (თბილისი, ქუთაისი, გორი, ზესტაფონი, ფოთი და სხვ.), 39 დელეგატი დაესწრო. კონფერენციის თავმჯდომარედ მიხ. ხუნდაძე იქნა არჩეული. მოადგილედ - კ. დგებუაძე. მდივნებად - ს. ხოფერია, თ. კუპრეიშვილის ასული, და ვეფხვაძე. რამდენადაც ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციების ამ კონფერენციამ ერთიანი ორგანიზაციის ფორმირება ვერ მოახერხა, საკითხი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ახალგაზრდობის საერთო კონფერენციისათვის გადაიდო. ამ კონფერენციაზე გასაგზავნ კანდიდატებად მ. ხერხეულიძე და კ. მირაბიშვილი იქნენ არჩეული. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ახალგაზრდობის საერთო კონფერენცია 1917 წ-ის 4 ივნისს გაიმართა. მის მუშაობაში 164 დელეგატი ღებულობდა მონაწილეობას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შიგნით წარმოქმნილმა წინააღმდეგობამ და პარტიიდან რადიკალ-დემოკრატების (1917 წ-ის ოქტომბერი) და გაზ. „კლდის“ ჯგუფის (1918 წ-ის სექტემბერი) გამოყოფამ გარკვეული ზემოქმედება იქონია ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებზედაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა 1918 წ-ის 14 ნოემბრის კრებაზე მიღებული დადგენილებით, დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა ორგანიზაციის დაფუძნება ოფიციალურად იქნა გაცხადებული. იმავე კრებამ ახლად შექმნილი ორგანიზაციის დროებითი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით აირჩია: ი. ცხადაძე, ვ. იაშვილი, პ. ნემსაძე, ლ. მაჭავარიანი და პ. ქებაძე. 1918 წ-ის ნოემბერში გამოვიდა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორკვირეული ჟურნალი „ახალი ძალა“. ჟურნალში გამოქვეყნდა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციების ინსტრუქცია. ეს დოკუმენტი 9 მუხლისა და სამი შენიშვნისაგან შედგებოდა და ორგანიზაციის წესდების მოვალეობას ასრულებდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციის მმართველობის ორგანოს კონფერენციის მიერ არჩეული მთავარი კომიტეტი წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციის ცენტრად ქუთაისის კომიტეტი ითვლებოდა. ინსტრუქცია ორგანიზაციაში გაწევრიანებისა და

თითოეული წევრის უფლება-მოვალეობასაც განსაზღვრავდა. 1919 წ-ის 16 ივნისს, ახალგაზრდა ეროვნულ-ემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია გაიმართა. ორგანიზაციის ძირითადი საპროგრამო დებულებების შესახებ მოხსენება ნ. დგებუაძემ, ხოლო მომენტისა და ტაქტიკის შესახებ იასონ ჯავახიშვილმა გააკეთეს. მიღებული რეზოლუციით, კონფერენციამ საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში მმართველ პოლიტიკურ პარტიას თანადგომა გამოუცხადა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხიც დააყენა. 29 ივნისს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის კომიტეტი იქნა არჩეული. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. ცხადაძე, ი. დოლიძე, პ. ნემსაძე, ა. ანთაძე, ს. ჟღენტი, ლ. მაჭავარიანი. ამ ორგანიზაციის ძირითად მიზანს თბილისისა და ქვეყნის განაპირა რეგიონების სასწავლებლებში ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციების სექციების მოწყობა წარმოადგენდა. ასეთი პირველი სექცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა, რომლის ბიუროს შემადგენლობაში აირჩიეს: ვ. ცხადაძე, პ. ნემსაძე, კ. კელენჯერიძე, ა. კანდელაკი და ჯ. ეგნარაძე. ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრტები საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის რეალურ გზას ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერაში ხედავდნენ.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.

შოთა ვადაჭკორია

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია – ახალგაზრდების პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, „მარქსისტ მოსწავლეთა კავშირის“ სახელწოდებით, ქალაქ ქუთაისის მე-5 სასწავლებელში, 90 მოსწავლის ბაზაზე შეიქმნა. ორგანიზაციამ ჰექტოგრაფული წესით ჟურნალის „ჩვენი მიზანი“ რამდენიმე ნომერი დაბეჭდა. მანვე შეიმუშავა ორგანიზაციის წესდება და სამეცადინო გეგმა. მარქსისტ მოსწავლეთა კავშირის პირველმა კონფერენციამ (1916 წ-ის დეკემბერი) 1912-1916 წწ-ში შექმნილი ახალგაზრდების მარქსისტ მოსწავლეთა კავშირები გააერთიანა და მას „ამიერკავკასიის მარქსისტ-მოსწავლეთა კავშირი“ უწოდა. მან დაამტკიცა ამ ორგანიზაციის წესდებაც. მეორე კონფერენციაზე (1918, მარტი) ორგანიზაციის შიგნით ფრაქციულობა და ბოლშევიკებთან თანამშრომლობა მიუღებლად იქნა მიჩნეული. იმავდროულად, ორგანიზაციას ოფიციალურად „ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“ უწოდეს. ამ კონფერენციის მუშაობაში 16 ორგანიზაციის 39 დელეგატი მონაწილეობდა საქართველოს ყველა რეგიონიდან. წარმოდგენილი დელეგატებიდან 38 ქართველი და 1 რუსი იყო. მუშაობა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. კონფერენციაში მხოლოდ ქართველები მონაწილეობდნენ და ორგანიზაციისთვის ამიერკავკასიის სახელის მიკუთვნება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მეორე კონფერენციის მსვლელობაში ორგანიზაციაში მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობები გამოიკვეთა. ეს ფაქტი შემდეგში საფუძვლად დაედო ახალგაზრდების მენშევიკური და ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნასა და ცალცალკე ორგანიზაციულად გამოყოფას - 1917 წ-ის აგვისტოში. 1918 წ-ის იანვრის მონაცემებით, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები საქართველოს მრავალ რეგიონსა და ქალაქში შეიქმნა. ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა (მოსწავლე, სტუდენტი და მუშა ახალგაზრდობა) 2300 კაცს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციები ერთმანეთისაგან დაქსაქსულად მოქმედებდნენ, ამიტომ მათი გაერთიანება დადგა დღის წესრიგში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი ქუთაისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებმა გადადგეს. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების გაერთიანების საქმეში გარდამტეხი როლი ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების მეორე თავისუფალმა კონფერენციამ (1919 წ-ის 26 თებერვალი) შეასრულა. ახალგაზრდების ამ ფორუმს 44 დელეგატი ესწრებოდა. ფორუმი, ცენტრალური კომიტეტის სახელით, ა. მექანარიშვილმა გახსნა. კონფერენციის თავმჯდომარედ ს. მიხეილიძე აირჩიეს, მოადგილედ - ვ. ნუცუბიძე. კონფერენციამ ორგანიზაციის სახელწოდების შეცვლის შესახებ იმსჯელა და, მიღებული დადგენილებით, ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ეწოდა. 1919 წ-ის 29 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მეორე თავისუფალმა კონფერენციამ. დაესწრო 41 დელეგატი, სხდომა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ სოფ. მიხეილიძემ გახსნა. დაამტკიცეს ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა (მ. ჩაჩუა, მ. კვატაშიძე, ა. თარაიანი, დ. ლომთაძე, დ. ყიასაშვილი, მ. დუდუჩავა, დ. ორაგველიძე, კ. ჭავჭანიძე, ვალ. ნუცუბიძე, ჩოგოვაძე). ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ დ. ლომთაძე იქნა არჩეული, ხოლო მოადგილეებად - დ. ორაგველიძე და დ. ყიასაშვილი. ჟურ. „ახალი კვალის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ: მ. ჩაჩუა, შ. დუდუჩავა, დ. ყიასაშვილი, მ. კვატაშიძე, მ. ჩოგოვაძე. იმავე კონფერენციამ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წესდება დაამტკიცა, რითაც განსაზღვრა ორგანიზაციის სტრუქტურა და წევრთა უფლება-მოვალეობები. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის III კონფერენციის (1920 წ-ის მარტი) მონაცემებით, ორგანიზაცია 5000-ზე მეტ წევრს აერთი-

ანებდა. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა IV კონფერენციის (1921 წ-ის იანვარი) მონაცემებით, მის რიგებში მუშა, გლეხი, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდების 6000 წარმომადგენელი იყო გაერთიანებული. 1921 წ-ის თებერვლის უმძიმეს პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ წევრთა მობილიზაცია გამოაცხადა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩააყენა.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია 1917-1921 წლებში, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.

შოთა ვადაჭკორია

ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია – შეიქმნა ქუთაისში გამართულ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოსწავლეთა კავშირის პირველ თავისუფალ კონფერენციაზე (1917 წ-ის 1-4 მაისი). მის მუშაობაში მონაწილეობდა 27 დელეგატი. კონფერენციის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციას თბილისში უნდა გამოეცა ჟურნალი „მებრძოლთა ხმა“. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: გ. სვანიძე, გ. კიკნაძე, შ. ასათიანი. კონფერენციამ დაამტკიცა სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მოსწავლეთა კავშირის წესდება. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ორგანიზაციაში მოსწავლეთა მიღების წესები, მათი უფლება-მოვალეობები; საწევრო გადასახადი და სხვ. კავშირის გამგეობა 7 წევრისგან შედგებოდა. მოსწავლეთა კავშირი ინტელიგენტურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. კავშირის ორგანიზაციები საქართველოს ფარგლებს გარეთაც შეიქმნა. ერთ-ერთი მათგანი იყო კავკასიის ქართველ მოსწავლეთა კავშირი. 1918 წ-ის 6-8 თებერვალს გაიმართა სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოსწავლეთა კავშირის მეორე თავისუფალი კონფერენცია. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობა. 1919 წ-ის მარტში თბილისის უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტთა წლიურ საზოგადო კრებაზე არჩეულ გამგეობის შემადგენლობაში ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებმა უმრავლესობა - 13 ადგილი მიიღეს. 1919 წ-ის დასაწყისში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გამოეყო მემარცხენე - ე.წ. „მაშვრალთა“ (სინდიკალისტთა) ჯგუფი. იგივე მოხდა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რომელსაც გამოეყო ახალგაზრდა „მაშვრალთა“ ანარქისტულ-სინდიკალისტური ჯგუფი. 1919 წ-ის დასაწყისისათვის ორგანიზაცია 2312 წევრს ითვლიდა, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იმავე ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა (1920 წ-ის 26 დეკემბერი) შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ ყრილობაზე შესაძლებელი გახდა ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა მოსწავლეთა და სტუდენტთა ორგანიზაციების გაერთიანება. კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილებით, ორგანიზაციას სიტყვები „მოსწავლე“ და „სტუდენტთა“ ჩამოსცილდა და მას საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაცია ეწოდა. ყრილობამ აირჩია გაერთიანებული ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის კავშირის გამგეობა შ. ასათიანის, გ. კიკნაძის, შ. კიკნაძის, დ. გელოვანის, გ. სვანიძის, ს. ამაღლობელის და სხვათა შემადგენლობით. სარევიზიო კომისიაში შედიოდნენ ფ. შარაძე, ბესო ჟღენტი და სხვ. ყრილობაზე ახალგაზრდების მემარცხენე ჯგუფის სახელით სიტყვით გ. მუშიშვილი გამოვიდა. მან და მისმა რამდენიმე თანამოაზრემ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ოფიციალური მხარდაჭერა დააფიქსირეს. ამ ფაქტით, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საფუძველი დაედო ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის შექმნას. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ პროცესებში. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებმა მწვავედ გააკრიტიკეს თბილისის ქალაქისთავი ბ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა დამფუძნებელი კრების წევრს შ. ნუცუბიძეს. ამ ორი პოლიტიკოსის გახმაურებულ კონფლიქტს მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 1921 წ-ის 2 თებერვლის კრება, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ინციდენტი, დაგმო ქალაქისთავის საქციელი, საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობის გადაწყვეტილება მიიღო. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის მმართველი ბირთვი არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ ნააზრევს ეფუძნებოდა და ეროვნული სახელმწიფოს მომავალს ჯორჯაძის ეროვნული მსოფლმხედველობით ახალგაზრდობის აღზრდაში ხედავდა.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია 1917-1921 წლებში, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.

შოთა ვადაჭკორია

ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი" – შეიქმნა ავლაბრის საზამთრო კლუბის შენობაში მოწვეულ კრებაზე, 1917 წ-ის 3 სექტემბერს. კრებას 200-მდე დელეგატი დაესწრო. „სპარტაკი“ ქართველი ბოლშევიკების ახალგაზრდულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და მიზნებიც რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამის ანალოგიური ჰქონდა: პროლეტარული სოციალიზმი; კავკასიის და საქართველოს ინტეგრაცია საბჭოთა რუსეთთან და დამოუკიდებელი საქართველოს უა-

რყოფა. 1918 წ-ის 26 ოქტომბერს, ქუთაისში მოწვეულ კონფერენციაზე, შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. 1919 წ-ის 31 მარტს ორგანიზაცია „სპარტაკი“ თბილისშიც შეიქმნა - სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოწყობილ არალეგალურ კონფერენციაზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელად ბ. ძნელაძე აირჩიეს. 1919 წ-ის აპრილში ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის ორგანიზაციები გაერთიანებულად გამოცხადდა და ამიერკავკასიის ახალგაზრდათა ორგანიზაცია „სპარტაკი“ ეწოდა. ორგანიზაციის მთავარ მიზანს ამიერკავკასიის გასაბჭოება და ამ მიზნით ახალგაზრდობის მიმხრობა და კოორდინაცია წარმოადგენდა. 1919 წ-ის 22 სექტემბერს შემდგარ სამხარეო კონფერენციაზე გაერთიანებულ კომუნისტურ ორგანიზაციებს უწოდეს რუსეთის ახალგაზრდების კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაცია. კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია ახალგაზრდების კომუნისტურ ორგანიზაციებს მოუწოდებდა, ერთიანი ძალით შებრძოლებოდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მთავრობებს და მოეხდინათ რეგიონის გასაბჭოება. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდების გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნის საბოლოო თარიღად მიიჩნევა 1920 წ-ის 25 აგვისტო. ორგანიზაციის მფარველად უცხო ქვეყნის - რუსეთის - კომუნისტური პარტია გამოცხადდა. ეს ფაქტი საფუძველს იძლეოდა, რომ ამ ორგანიზაციის ლეგალიზაცია დაუშვებლად ყოფილიყო მიჩნეული. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, 26 ოქტომბერს ყრილობის მუშაობა შეწყდა. მისი ხელმძღვანელი ბ. ძნელაძე, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, გასაბჭოებულ აზერბაიჯანში გაასახლეს. ორგანიზაციის ბეჭდვით გამოცემებს წარმოადგენდა: ჟურ. „მესამე ინტერნაციონალი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდი პროლეტარი“ და სხვ. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკების მიერ მოწყობილ 1918-1921 წწ-ის შეიარაღებულ ანტისახელმწიფოებრივ აჯანყებებში და სხვადასხვა აქციებში. ისინი ამ საქმეში კომუნისტური პარტიის დამხმარე ფუნქციის როლს ასრულებდნენ.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ახალგაზრდების კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“ 1917-1921 წლებში, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.

შოთა ვადაჭკორია

„ახალი კვალი“ (1918-1921) - ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ორგანო. ყოველკვირეული სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი, გამოიცემოდა თბილისში. მასში თანამშრომლობდნენ: კ. ბაქრაძე, მ. გოგიბერიძე, მ. ხუნდაძე, მ. ჩაჩუა, ს. მიხელაძე, ბ. რამიშვილი და სხვ. ჟურნალის მთავარი ტენდენციაა თანადროულ საქართველოში, ასევე, ამიერკავკასიასა და რუსეთში მიმდინარე პროცესების ანალიზი მარქსისტული თვალთახედვით; პუბლიკაციებში განხილულია რუსეთის ცარისტული იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რუსეთის რევოლუციისა და მარქსიზმის იდეების გავლენა ხალხის მასებზე, მოვლენათა პოლიტიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ეროვნული პრობლემის მარქსისტული ხედვაა წარმოჩენილი მ. ხუნდაძის სტატიაში „ეროვნული პრობლემა და მარქსიზმი“, 1918 წ-ით თარიღდება ამავე ავტორის წერილები: „პოლიტიკური პერსპექტივები“, „ამიერკავკასიის სეიმი“, „ჩვენი სეიმი და ზავი“ და სხვ. თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებები და ტენდენციებია განხილული გ. ნინოშვილის სტატიებში: „კოლონიალური პოლიტიკის დასაწყისი და სამი საფეხური კაპიტალიზმის განვითარებაში“, „თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების ფორმები და სოციალიზმი“. ცალკეული პუბლიკაციები შეეხება თებერვლის რევოლუციის შემდგომ განათლების თემას, სოციალური რევოლუციის მიმართებას სინამდვილესთან, მაგ., მ. ჩაჩუას „რევოლუცია და სწავლა-განათლების საქმე“, „მარქსიზმი და მუშათა მოძრაობა“ და სხვ. კოოპერატიული მოძრაობის რეალობა და პერსპექტივებია განხილული ს. მიხელაძის წერილებში: „კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები“, „სოც. დემოკრატია - „მტერი“ კოოპერაციისა“, „მარქსიზმი და კოოპერაცია“, „საწარმოო კოოპერატივთა ბედი“. ჟურნალში იბეჭდება იდეოლოგიური ხასიათის ნაშრომები: კ. ბაქრაძის „მარქსიზმის ფილოსოფიიდან“, მ. გოგიბერიძის „პლეხანოვი და ორთოდოქსალური მარქსიზმი“. ბოლშევიზმისა და მარქსიზმის ურთიერთმიმართებას წარმოაჩენს: არ. მექანარიშვილის „სადღეისო კითხვები, აზრები და შენიშვნები“. „კიდევ ძველი და ახალი ბოლშევიზმის შესახებ“. მარქსიზმის თეორიული ანალიზია შემოთავაზებული ბ. რამიშვილის სტატიებში: „ისტორიული მატერიალიზმი და ფაქტორების თეორია“, „მარქსი და მარქსიზმი“. შ. დუდუჩავას მარქსიზმის ფილოსოფიიდან“ და სხვ. გამოცემა აქვეყნებს პუბლიკაციებს ახალგაზრდა მარქსისტული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. მაგ., „მოწოდება საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს!“ - გორში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, ასევე, საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციის დასრულების შემდეგ კარლ კაუცკისთან გაგზავნილი წერილის ტექსტს. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წესდებას და სხვ. ჟურნალში დაბეჭდილი ლიტერატურული მასალიდან აღსანიშნავია აკაკი წერეთლის გარდაცვალების სამი წლისთავისადმი მიძღვნილი არ. მექა-

ნარიშვილის კრიტიკული ეტიუდი „აკაკი“, ასევე, კ. კაუცკის ლექსი „ზეიმი“, გ. სასირელის, ვ. მირზაშვილის, ვ. რუხაძის და სხვათა ლექსები.

ლიტ.: ჟურ. „ახალი კვალი“, 1918-1921; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947;

მარი წერეთელი

„ახალი ნაკადი“ (1919-1920) - საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის ორგანო. ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოიცემოდა თბილისში. 1919 წ-ის 13 აპრილიდან მოხსენიებულია, როგორც „საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის“ ორგანო. იბეჭდებოდა „ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის“ სტამბაში. გაზეთში თანამშრომლობდნენ: ი. ვარაზაშვილი, ი. კანდელაკი, ანაბაბტისტი (ალ. წერეთელი), ს. გერსამია, ს. კოლხიდელი (ალ. იოსელიანი), სინდიკალისტი და სხვ. „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა“ პარტიის დაარსებას შეეხება სტატია „საქართველოს რესპუბლიკის მაშვრალთა მიმართ“. პარტიის მიზნებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას ასახავს ცალკეული პუბლიკაციები: ე. კევლიშვილის წერილი „ჩვენი მიზანი“. ს. გერსამიას „ჩვენი ტაქტიკის გარშემო“, ანაბაბტისტის „ჩვენი მთავარი პრინციპები“ და სხვ. ფსევდონიმით „სინდიკალისტი“ ქვეყნდება სტატიები სინდიკალიზმის ისტორიასა და დღევანდელობაზე („მუშათა მოძრაობა და სინდიკალიზმი საქართველოში“, „საბედისწერო მომენტი“). გაზეთი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, პროფესიულ კავშირებზე, ბათუმის საკითხზე, პროვინციის ამბებზე, აქვეყნებს რაიონებში ფედერალისტთა ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველ პუბლიკაციებს, ასევე, მუდმივად აშუქებს უცხოეთის ამბებს. გამოცემა დიდ ადგილს უთმობს არჩევნების თემას. 1920 წ-ის №19 თითქმის მთლიანად მიეძღვნა არ. ჯორჯაძის გარდაცვალების მეექვსე წლისთავს. იბეჭდება ამონაწერი მისი წერილიდან „ძველი და ახალი“, რომელშიც საუბარია სოციალისტ-ფედერალიზმის არსზე. აქვე გამოქვეყნებულია ბ. ქელბაქიანის მოგონება „ორი შეხვედრა არჩილთან“. მთავარი რუბრიკებია: „ქართული პრესა“, „ახალი ამბავი“, „მუშათა შორის“, „სხვადასხვა“, „მუშათა ცხოვრება“. გაზეთში დაბეჭდილია: ტ. გრანელის, ალ. ნერგელის, აპ. ხაჟალიას, ა. გეწაძის, ტ. წალენჯიხელისა და სხვათა ლექსები.

ლიტ.: გაზ. „ახალი ნაკადი“ 1919-1920; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1819-1945, თბ., 1947.

მარი წერეთელი

„ახალი სხივი“ (1920-1921) - სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო. ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ოთხგვერდიანი (ზოგჯერ მეტგვერდიანიც), გაზეთი. გამოიცემოდა თბილისში. სხვადასხვა დროს გამოცემის რედაქტორები იყვნენ: გრ. გიორგაძე და კ. ნინიძე. გამომცემელი - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ოპოზიციის მეთაურები. 1921 წ-ის მე-10 და მე-11 ნომრებში გაზეთი მოხსენიებულია, როგორც „საქართველოს დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო“. სულ გამოიცა 46 ნომერი. გაზეთში თანამშრომლობდნენ: შ. რევია, ნ. ჯიხაიშვილი, ა-ძე, შანგანი, კ. ნინიძე, ი. ელიანი და სხვ.

1920-1921 წწ-ის მიჯნაზე მმართველ, სოციალ-დემოკრატების, ფრაქციაში თავი იჩინა რღვევის ნიშნებმა, რის შედეგადაც ხუთი წევრი დემონსტრაციულად გამოეყო მის რიგებს. სწორედ განდგომილებმა დააარსეს გაზეთი „ახალი სხივი“ და მიზნად დაისახეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკური კურსის პირუთვნელი კრიტიკა (აქედან - სახელწოდება „სხიველები“). 1920 წ-ის მეხუთე ნომრის მეთაურ სტატიაში „ჩვენი სიტყვა“ გაზეთის რედაქცია განმარტავს თავის პოზიციას და ბრძოლის მიზნებს. აღნიშნავს, რომ „ოპოზიციის გაჩენის შემდეგ პასუხისმგებელი პირები უფრო გრძნობენ პასუხისმგებლობას“. სტატიაში „ივნისის ყრილობა და უკანასკნელი კონფერენცია“ გაკრიტიკებულია კონფერენციის რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, განზრახული იყო „ოპოზიციის დამუნჯება და „ახალი სხივის“ დახურვა“, მათ უნდა დაეტოვებინათ პარტია ან უარი ეთქვათ ოპოზიციურ პლატფორმაზე. ამ თემას შეეხება სტატიები: „რევოლუციური თუ ანარქიული“, „ახალი სხივის მტერ-მოყვარენი“, „იდეური მონასტერი უნდა დაინგრეს“, „ოპოზიცია და ახალი სხივი“ და სხვ. გამოცემა თავადვე ბეჭდავს რეზოლუციას „ახალი სხივის შესახებ“. რედაქციის განცხადებით, „ახალი სხივი გათვითცნობიერებული ორგანოა, რომელშიც მუშათა თავისუფალი აზრია დაცული, ვინაიდან მუშათა კლასისათვის აუცილებელია თავისუფალი აზროვნება“. გაზეთის ფურცლებზე განხილულია პარტიული საკითხები, გაშუქებულია პარტიის ყრილობის მუშაობის მასალები, საერთაშორისო ცხოვრების ამსახველი სტატიები (მაგ., „ჩვენ ანტანტა და რუსეთი“), პუბლიკაციები კონსტიტუციის განხილვის შესახებ და სხვ. გაზეთს აქვს რუბრიკები: „ახალი ამბები“, „პროვინცია“, „პრესა“, „მუშათა წერილები“. ზოგჯერ შუქდება უცხოეთის ამბებიც, იშვიათად იბეჭდება ლიტერატურული მასალა, მაგ., 1921 წ-ის №11-ში გამოქვეყნებულია „ობოლი მუშისა“ და გ. ქუჩიშვილის ლექსები.

ლიტ.: გაზ. „ახალი სხივი“, 1920-1921; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ.,1947;

მარი წერეთელი

„ახალი ძალა“ (1918-1919, თბილისი) - ორკვირეული ჟურნალი, ეროვნ.-დემოკრატ. ახალგაზრდობის მთავარი კომიტეტის პერიოდული ორგანო. ჟურნალის დასათაურება და მიზანდასახულობა ნათლადაა ახსნილი მიხ. ხერხეულიძის წინასიტყვაობაში „ახალი ძალა“, რომელიც გამოცემის პირველ ნომერში იბეჭდება (1918, №1) და სარედაქციო გამოსვლის ფუნქციას ითავსებს. ავტორი საუბრობს საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე და იმედის თვალით შეჰყურებს ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ერთობას, „ლამაზ ჭაბუკს“, რომელიც არსებული ვითარების შეცვლას შეძლებს და ქვეყანას კრიზისული სიტუაციიდან გამოიყვანს („ახალი ძალა“ - ამ გვარ ვითარების მერცხალია.... იგი გვიახლებს სიამის დღეებს“). წერილში ნათქვამია, რომ ამ დიდი მიზნის მისაღწევად ახალ პოლიტიკურ ძალას საკუთარი პერიოდული ორგანო დაეხმარება.

პროფილიდან გამომდინარე, ჟურნალი უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკურ თემატიკას და ყურადღებას ამახვილებს ქართულ პოლიტიკურ ველზე არსებული პარტიებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების საქმიანობაზე. გამოცემაში გვხვდება მსგავსი შინაარსის არაერთი პუბლიკაცია. მათ შორისაა ფსევდონიმით „მ. კ-ლი“ ხელმოწერილი სტატია „ახალი ძალა“, რომელშიც საუბარია საქართველოში მოქმედ ორ მთავარ მეტოქე პოლიტიკურ ძალაზე - სოციალ-დემოკრატიასა და ეროვნულ-დემოკრატიაზე, მათ მსოფლმხედველობრივ თავისებურებებზე. ავტორი ერის გამაერთიანებელ ძალად სწორედ ახალ პოლიტიკურ ერთობას მიიჩნევს. გ. ფერაძის წერილში „მთლიანი საქართველო“ ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე, მის ამოცანებსა და მიზნებზე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიტიკასა და პარტიული დიფერენციაციის საკითხებს ეძღვნება ვ. მერკვილაძის „პოლიტიკური შენიშვნები“ და სხვ.

პოლიტიკური სტატიების გარდა, ჟურნალი გარკვეულ ადგილს უთმობს კულტურის, ხელოვნებისა და განათლების საკითხებს. საყურადღებოა მიხ. კიაზაშვილის „დრამატული ხელოვნება და ახალი მსახიობი“, სადაც ავტორი თეატრალურ ცხოვრებაში არსებულ სირთულეებზე მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას. თბილისში უნივერსიტეტის გახსნას ეხმაურება წერილი „აწმყო მომავლის ხიდია“, რომელშიც ავტორი, ფსევდონიმით „გოგლი“, ქვეყნისთვის უნივერსიტეტის უდიდეს მნიშვნელობაზე საუბრობს. ჟურნალში იბეჭდება გრ. მეგრელიშვილის ლექსი „საგალობელი“. ეს ერთადერთი მხატვრული ტექსტია, რომელიც ჟურნალის ამ ნომერში დაისტამბა.

ჟურნალში ჭარბადაა წარმოდგენილი ინფორმაციული მასალა - მოკლე ცნობები როგორც პარტიული, ისე ზოგადად ქვეყნის ცხოვრებიდან; გვხვდება შეტყობინებები საერთაშორისო ვითარების შესახებ. მაგალითად, ამ მიზანს ემსახურება რუბრიკა: „გერმანია-ოსმალეთის ამბები“. მთლიანობაში, „ახალი ძალა“ ამართლებს თავის ამოცანას და დამფუძნებელი პოლიტიკური ძალის ინტერესებს ემსახურება.

ლიტ.: ჟურ. „ახალი ძალა“, 1918, №1; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მანანა შამილიშვილი

ახვერდოვი (ჰახვერდიევ) აბდურაჰიმ ბეი ასად-ბეკის ძე (17.V.1870, შუშა - 17.XII.1933, ბაქო) - აზერბაიჯანელი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაიბადა ჟურნალისტის ოჯახში. დაწყებითი განათლება ორწლიან რუსულ-ისლამურ სკოლაში მიიღო. შემდგომში დაამთავრა შუშის რეალური სასწავლებელი. შემდგომში ცხოვრობდა თბილისში, სადაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედებამ. მალევე საცხოვრებლად და განათლების მისაღებად პეტერბურგში გადავიდა. 1892 გამოიცა მისი პირველი პიესა *„Yeyarsan gaz atini, gorarsan lazzatin“,* რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანელ მკითხველზე. სწრაფადვე მოიპოვა პოპულარობა. მისი პიესები ხშირად იდგმებოდა სცენაზე. 1906 წ-დან აქტიური წვლილი შეაქვს აზერბაიჯანული სატირული ჟურნალის „მოლლა ნასრედდინის“ გამოცემაში. 1905 წ-დან აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა მშობლიურ შუშაში. 1906 ელიზავეტპოლის გუბერნიიდან არჩეულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს წევრად. სათათბიროს დათხოვნის შემდეგ გააგრძელა სამწერლობო საქმიანობა.



ახვერდოვი
აბდურაჰიმ

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის დროს ცხოვრობდა თბილისში და აქტიურად იყო ჩართული საქართველოში არსებულ მუსლიმთა ეროვნული საბჭოს საქმიანობაში. 1918 საქართველოს პარლამენტის მიერ აზერბაიჯანელთათვის გამოყოფილი კვოტით დასახელებულ იქნა პარლამენტის წევრად. 1919 წ-დან მუშაობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში. იყო კონსული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთიელთა რესპუბლიკასა და სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს სახელმწიფო უნივერისტეტის დაარსებაში.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. მუშაობდა თეატრის მმართველ ორგანოებში. აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა აღმოსავლეთმცოდნეობას. 1924 არჩეული იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იყო აზერბაიჯანის სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №711.

ირაკლი ირემაძე

ახვლედიანი გიორგი

ახვლედიანი გიორგი სარიდანის ძე (1887, სოფ. დერჩი - 1973, ქ. თბილისი) – ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრი (1940), ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1949-1950). გ. ახვლედიანის ინიციატივით შეიქმნა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენასა და საქართველოში ფონეტიკის პრაქტიკული გამოყენების - ლოგოპედიის დამკვიდრება-განვითარებაში. იგი, ფაქტობრივად, გამოყენების - ლოგოპედიის მამამთავარია საქართველოში. ქართულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა გ. ახვლედიანის შემოღებული არაერთი ტერმინი. გ. ახვლედიანი სხვადასხვა დროს კითხულობდა საუნივერსიტეტო კურსებს: ენათმეცნიერების შესავალს, ბერძნულს, ოსურს, სანსკრიტს, რუსული ენის ისტორიასა და დიალექტოლოგიას, სომხურს. მის გამოკვლევას „ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნების ისტორიისათვის სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურსა და სლავურ ენებში“ ოქროს მედალი მიენიჭა. პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობდა ინდოლოგიაში, ირანისტიკასა და ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში.



ახვლედიანი ელენე

გ. ახვლედიანი 1917 წ-ის 26 ნოემბრიდან შედიოდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა პირველ კოლეგიაში. გამოსცა პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები: „ენათმეცნიერების შესავალი“ (1918-1919), „სანსკრიტი“ (1920). ხელმძღვანელობდა დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საშუალო განათლების მიმართულებას.

გ. ახვლედიანის შრომები: „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (ტ. I, 1938), „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949), „ზოგადი ფონეტიკის შესავალი (1956), გამოირჩევა ორიგინალობით და საკვანძო საკითხების ახლებური გაშუქებით. ასევე მისი რედაქტორობით გამოიცა ოსური ენის აკადემიური გრამატიკის 2 ტომი. ქართულ-ქართველური სპეციფიკური თანხმოვნების, თანხმოვანთა კომპლექსებისა და, საერთოდ, ბგერითი სისტემის შესწავლით, მან მრავალი ახალი დებულება შემატა ზოგად ფონეტიკას. გამოკვლევები მიუძღვნა ქართულ ენაზე მხატვრული თარგმნის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. თარგმნიდა და გამოაქვეყნა ძველი ინდურიდან „დასაბამი ნივთთა“ (ჰიმნი რიგვერდადან, ავესტურიდან „ავესტა“ (17 გათა); თანამშრომლობდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიასთან. დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, გიორგი ახვლედიანი, თბ., 1967; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ახვლედიანი ელენე დიმიტრის ასული (18.IV.1901, თელავი - 30.XII.1975, თბილისი) - მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფერმწერი, გრაფიკოსი, ურბანული პეიზაჟის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, თეატრისა და კინოს მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი.

ხატვას თბილისში, ნ. სკლიფასოვსკის სამხატვრო სტუდიაში სწავლობდა. 1919 წ-დან უკვე მონაწილეობდა ქართველ მხატვართა გამოფენებში. 1920 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ მისი ჩანახატები გამოქვეყნდა, 1920 №25 ჟურნალის ყდაც გააფორმა. 1922 ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გ. გაბაშვილის კლასში, იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად იტალიაში გაემგზავრა.

1924 დასახლდა პარიზში და სწავლა განაგრძო კოლოროსის „თავისუფალ აკადემიაში“. პარიზში ყალიბდება მისი შემოქმედების ძირითადი თემა - ურბანული პეიზაჟი. აქვე შექმნა პარიზის ხედებისა და ნიუს დიდი გრაფიკული სერიები. პარიზში ყოფნისას მონაწილეობდა პარიზის „დამოუკიდებელთა სალონისა“ და „საშემოდგომო სალონის“ გამოფენებში. ე. ახვლედიანის ფერწერული პეიზაჟები შეძენილი აქვს არაერთ კოლექციონერსა და მხატვრს, მათ შორის, თავად პოლ სინიაკს. პარიზშივე მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენა გალერეა „Quatre Chemin“-ში. მონაწილეობდა აშშ-სა და ჰოლანდიაში გამართულ გამოფენებშიც. 1926-1927 წწ-ში მიწვეული იყო ჰოლანდიაში, თუმცა ე. ახვლედიანმა მხოლოდ ნამუშევრები გაგზავნა, თავად კი საქართველოში დაბრუნდა. თბილისში დაბრუნებული მხატვარი კ. მარჯანიშვილმა სამუშაოდ თეატრში მიიწვია, რის შემდეგაც ე. ახვლედიანი ნაყოფიერად თანამშრომლობდა არაერთ თეატრთან. აღსანიშნავია, რომ ე. ახვლედიანი თეატრში უფრო თავისუფლად მუშაობდა და მის მიერ გაფორმებულ მრავალრიცხოვან სპექტაკლებში აშკარად ჩანს მისი გატაცება თანადროული ევროპული ავანგარდული მიმდინარეობებით. 1928-1941 წწ-ში თბილისში, პეტერბურგსა და კიევში გააფორმა 70-მდე სპექტაკლი. მუშაობდა წიგნის გრაფიკაშიც - დაასურათა ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, გ. ლონგფელოს, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ნაწარმოებები. მხატვრის უსაყვარლეს ჟანრად მაინც პეიზაჟი დარჩა. იგი ხატავდა თბილისის, თელავის, ქუთაისის

მრავალრიცხოვან ხედებს. ცხადია, როგორც მთელმა მისმა შემოქმედებამ, ასევე ურბანულმა პეიზაჟმაც 1920 წ-დან მოყოლებული 1970 წ-მდე გარკვეული ცვლილება განიცადა, მით უმეტეს, რომ მხატვარმა თავისი სიცოცხლის ძირითადი ნაწილი საბჭოთა პერიოდში გაატარა. ე. ახვლედიანი იყო შ. რუსთაველის სახ. საქართველოს სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმი; სემ - ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), სურათების ეროვნული გალერეა; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი; კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმი; ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი; თბილისის სამხატვრო აკადემია) და რუსეთში (აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმი, მოსკოვი; ა. ბახრუშინის სახ. თეატრის მუზეუმი, მოსკოვი), ასევე თბილისის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგისა და პარიზის კერძო კოლექციებში.

ლიტ.: ელენე ახვლედიანი (ალბომი), ტექსტი ე. პრივალოვასი, თბ., 1980; მ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ელენე ახვლედიანი, თბ., 1980; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII–XX საუკუნეები, თბ., 2013; В. Б е р и д з е, Н. Е з е р с к а я, Искусство советской Грузии 1921-1979, М., Советский художник, 1975; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №22, 23, 25.

მაია ციციშვილი

ახვლედიანი იასონ ალექსანდრეს ძე (7.IV.1852 - 19.I.1940) - გენერალი. დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. 1900 გროზნოს სარეზერვო ბატალიონის უფროსი. რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. ბატალიონის მეთაური. მანჯურიაში მიმდინარე ბრძოლების მონაწილე. 1906-1911 წწ-ში პოლკის მეთაური, აბასთუმნის ჰოსპიტლის უფროსი, აბასთუმნის სამხედრო კომენდანტი. 1912 წ-დან თადარიგში გავიდა. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-4 ხარისხის, მე-3 ხარისხის, მე-2 ხარისხის, 1-ლი ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 და მე-2, წმ. ვლადიმირის მე-4 და მე-3 ხარისხის.

1918 წ-დან მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ვეტერანთა სახლის უფროსი. 1921 საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წავიდა. ცხოვრობდა თბილისში.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მიხეილ ბახტაძე

„ახირებული“ (1919, თბილისი) - ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი კარიკატურებით. გამოვიდა ორი რვეულის სახით - რვეული 1 (8/II); რვეული 2 (14/II). გამოცემის ადგილი, სტამბა და რედაქტორის გვარი არ არის აღნიშნული, მითითებულია ფსევდონიმებით: ეშმაკი და თაგუნა. ცნობილია, რომ „თაგუნა“ შალვა შარაშიძის ფსევდონიმია, ხოლო „ეშმაკი“ - ნესტორ კალანდაძისა (გ. ჭოხონელიძის ცნობით, ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდნენ ასევე კაპიტონ გოგოლაძე და არჩილ ჯაჯანაშვილი). ჟურნალში გამოქვეყნებული ყველა წერილი ხელმოუწერელია. აქ იბეჭდება ფელეტონები, შარადები, ლექსები, ძირითადად, უსათაუროდ. „ახირებული“, პირველ ყოვლისა, საინტერესოა კარიკატურებით, რომლებიც დამოუკიდებლადაც გვხვდება და ტექსტის ამხსნელადაც. ამასთან, ხან სრულად გამოხატავს ავტორის ჩანაფიქრს, ხანაც - ნაწილობრივ. მაგალითად, პიესა „ინფორმაცია (უნამუსობა 2 მოქმედებათ)“ დასურათებულია კარიკატურებით, რომლებიც ავტორის სათქმელს თვალსაჩინოდ და მეტი სიმძაფრით გამოხატავს. პოლიტიკური სატირა ჟურნალის მთავარი ხელწერაა. ამ მხატვრულ ხერხს ავტორები ხშირად მიმართავენ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური თემების შარჟულად წარმოჩენისთვის. ლექსებში: „პეპელა“ , „ოთარიანი“ გაშარჟებულია პარლამენტი, მისი წევრები და სხდომების მიმდინარეობა. იუმორისტების მიერ „გამათრახებულ“ პოლიტიკოსთა შორის საერთაშორისო პოლიტიკის წარმმართველებიც ხვდებიან. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, თეოდორ რუზველტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალში იბეჭდება იუმორისტული წერილი, თითქოს რუზველტი ოცნებობდა, გამხდარიყო სომხეთის პრეზიდენტი და არ დასცალდა.

ლიტ.: ჟურ. „ახირებული“, 1919; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მანანა შამილიშვილი

ახვლედიანი იასონ

ახმეტელაშვილი (ახმეტელი) ვლადიმერ გიორგის ძე (10.III.1875, სოფ. ანაგა - 12.VIII.1942, ბერლინი) - სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში. დაიბადა დეკანოზ გიორგი ახმეტელაშვილის მდიდარ და სტუმართმოყვარე ოჯახში. დაწყებითი განათლება თელავის სასულიერო სკოლაში მიიღო. 1892-1898 წწ-ში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. ერთხანს თბილისში კერძო მასწავლებლობას ეწეოდა. 1899 გერმანიაში ჩავიდა და ლაიფციგში ორი წელი დაჰყო უმაღლეს სავაჭრო სკოლაში. 1901-1904 წწ-ში ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში ეუფლებოდა ეკონომიკის საფუძვლებს. 1904 ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საშინაო ვაჭრობა“, რომელიც იმავე წელს ჰალეში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა. საქართველოში დაბრუნებული ვ. ახმეტელი, გარდა თავისი სპეციალობისა, საკმაოდ ცნობილი გახდა სამწერლო და ჟურნალისტური მოღვაწეობით. ქართულ

ახმეტელაშილი ვლადიმერ

ჟურნალ-გაზეთებში „შვარცის" ფსევდონიმით აქვეყნებდა სტატიებს.

1918 იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. 1919 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად. აქტიური როლი ითამაშა საქართველოში მეორე ინტერნაციონალის ვიზიტის განხორციელების საქმეში. მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან (ბერნშტეინი, კაუცკი). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველო მრავალმა სახელმწიფომ ცნო, მაგრამ საელჩოების გახსნა მარტო გერმანიამ და იტალიამ მოასწრო. გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ახმეტელი დაინიშნა. ბერლინში „ბრუკენ ალეეზე" მდებარე საქართველოს საელჩო სულ მალე, ვ. ახმეტელის წყალობით, ქართული კულტურის ცენტრი გახდა. საელჩოში გამართულ ქართულ საღამოებს, სხდომებს, მოხსენებებს სხვადასხვა დარგში გერმანელები და უცხოელები ესწრებოდნენ. ეს დიდად უწყობდა ხელს ქართული კულტურის პროპაგანდას. ერთ-ერთი ასეთი გახმაურებული საღამო იყო ნიკო მარის მოხსენება ქართველი ქალის კულტზე საქართველოს ისტორიასა და მწერლობაში, „ვეფხისტყაოსანში". ახმეტელი საქართველოს მთავრობას მუდმივად აწვდიდა ცნობებს გერმანიიდან, წერდა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებზე გერმანია-საქართველოს შორის. ახმეტელი ხვდებოდა არა მარტო გერმანიის, არამედ შვეიცის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის და სხვა ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებს, ყიდულობდა და იწერდა სხვადასხვა სფეროში ახალი მიღწევების ამსახველ წიგნებს და უგზავნიდა პარლამენტის საბიბლიოთეკო საქმის კომისიის თავმჯდომარეს ე. თაყაიშვილს.

ახმეტელაშილი სიკო

ვ. ახმეტელაშვილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დარჩა ბერლინში და განაგრძო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა. 1922 წ-ის რაპალოს ხელშეკრულებით გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, რის გამოც გერმანიაში საქართველოს საელჩო გაუქმდა. ამის მიუხედავად, ვ. ახმეტელმა საქართველოს უფლებების დასაცავად ბრძოლა მაინც განაგრძო. 1922 ბერლინში დაარსდა ქართველთა სათვისტომო, რომლის წევრის რანგში ყოფილი ელჩი თავისი კავშირებით დიდ დახმარებას უწევდა ოფიციალური წარმომადგენლობის გარეშე დარჩენილ ქართველებს და ახმაურებდა საქართველოს ოკუპაციის საკითხს. 1923 წ-ის 21-25 მაისს, სოციალ-დემოკრატთა დელეგაციასთან ერთად, ვ. ახმეტელი ესწრებოდა მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის ჰამბურგის კონგრესს. კონგრესმა მიიღო დელეგაციის რეზოლუცია და საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანა მოითხოვა. ვ. ახმეტელი ზრუნავდა როგორც ქართველ ემიგრანტებზე, ასევე გასაბჭოებულ საქართველოში დარჩენილ პატრიოტებზე. მეტეხის ციხეში დატუსაღებული 62 პოლიტიკური პატიმარი რუსეთში გადაასახლეს, სადაც მათ დახვრეტა ელოდათ. ვ. ახმეტელმა ბერლინში მყოფი დიპლომატიური კორპუსის დახმარებით მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა და საბჭოთა ხელისუფლება აიძულა, ქართველი პოლიტპატიმრებისათვის, რომლებიც უკვე რუსეთში იყვნენ გადაგზავნილნი, გერმანიაში წასვლის უფლება მიეცათ. 1929-1933 წწ-ში გერმანიაში ქართველთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, ამიტომ 1938 წ-ის ბოლოს გერმანიის ხელისუფლებამ მათთვის, ალექსანდრე აფხაზის ხელმძღვანელობით, „ქართული სათათბირო" დააარსა, რომელიც შემდეგ „კავკასიის სამმართველოდ" გადააკეთეს და სათავეში ვ. ახმეტელი ჩაუყენეს. ვ. ახმეტელი მონაწილეობდა ბერლინის ქართველთა სათვისტომოს კულტურულ ცხოვრებაშიც. 1937 ბერლინელი ქართველების მიერ გადახდილ ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილეზე გ. დიასამიძესთან ერთად მოგონებებით გამოვიდა. თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან. ემიგრაციაში ვლადიმერ ახმეტელი ოჯახს არ მოჰკიდებია, მთელი სიყვარული ლტოლვილ ბავშვებსა და ახალგაზრდებზე გადაჰქონდა. მეგობრობდა თამარ და აკაკი პაპავების ოჯახთან.

ლიტ.: სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 180, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. 304, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 180.

დოდო ჭუმბურიძე

ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე (ახმეტელი) (1881 (1879 ?) - 1937) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სტეფანე და ვლადიმერ ახმეტელების უმცროსი ძმა (სულ 9 და-ძმანი იყვნენ). იგი კახეთში ფრიად დაფასებული სასულიერო პირის, გიორგი მღვდლის ერთ-ერთი ვაჟი გახლდათ. გიორგი ახმეტელს რუსეთში ჰქონდა დამთავრებული სასულიერო აკადემია და განათლების ფასი კარგად ესმოდა. ახმეტელაშვილების დედა - ელისაბედ ნაცვლიშვილიც, თავის დროისათვის მეტად განსწავლული, სათნო და, ამავე დროს, ძლიერი მანდილოსანი ყოფილა. ახმეტელები ოჯახში დახვეწილი სალიტერატურო ენით მეტყველებდნენ. იცოდნენ რამდენიმე უცხო ენა, მაგრამ სასაუბროდ მხოლოდ მშობლიურ ენას მიმართავდნენ. ხშირად იყენებდნენ ანდაზებს, მახვილგონივრულ გამოთქმებს. ანაგაში ახმეტელებს „მინისტერიანებს" ეძახდნენ, ამბობდნენ – ახმეტელებს ქათმებიც კი ნასწავლი ჰყავთო. დაამთავრა დერპტის უნივერსიტეტის სავეტერინარო ფაკულტეტი. I მსოფლიო ომის დროს სიკო (სიმონ) ახმეტელი იყო ოფიცერი, სამხედრო ექიმი.

1918 იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წ-ის თებერვალში არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან.

1918 საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს სიკო ახმეტელაშვილის ხელმოწერაც ამშვენებს.

1921 წ-ის თებერვალში მტრის მრავალრიცხოვანი ძალების შემოტევის დროს, როცა გენერალი სტეფანე ახმეტელი ოკუპანტებს ტყვედ ჩაუვარდა და რუსეთში (რიაზანში) გადაასახლეს, სიკო ავადმყოფ ძმას თან გაჰყვა გადასახლებაში. გზაში ისიც დაატუსაღეს. 1922 ძმის დახვრეტის შემდეგ, სიკო ჯერ იაროსლავის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ კი - მოსკოვთან ახლოს, ქალაქ კაშინის ციხეში. მასთან შეხვედრას იგონებს ისიდორე რამიშვილი. 1926 გადაიყვანეს ასტრახანში, სადაც ბეითლის კერძო საქმიანობას მისდევდა და ჯამაგირიც ჰქონდა. რამდენიმე წლის შემდეგ გაათავისუფლეს. 1930 წ-დან მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ვეტერინარულ სამსახურში. 1937 კვლავ დააპატიმრეს, გადაასახლეს და დახვრიტეს.

ლიტ.: ის. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „მოგონებები“, თბ., 2012.

დოდო ჭუმბურიძე

ახმეტელაშვილი (ახმეტელი) სტეფანე გიორგის ძე (6.II.1877 - 1922) - გენერალი. თავდაპირველი განათლება სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში მიიღო. 1897 სამხედრო სამსახური დაიწყო. დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. შემდეგ მსახურობდა თურქესტანის მე-4 ბატალიონში. პოდპორუჩიკი (1895), პორუჩიკი (1899), შტაბსკაპიტანი (1903). 1904-1905 წწ-ის რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. გამოირჩეოდა ტყვეებისადმი კარგი დამოკიდებულებით, რის გამოც იაპონიის ფლოტის სარდალმა, ადმირალმა ხეიხატირო ტოგომ იაპონური ხმალი გამოუგზავნა. კაპიტანი (1907). 1913 თურქესტანის მე-9 მსროლელთა პოლკშია. I მსოფლიო ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1915).

1917 წ-ის მაისში მე-6 საზღვაო პოლკის უფროსია. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. იყო ქართული საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი. 1918 იყო ქართული კორპუსის სარდალი. გენერალი (1918). 1918 წ-ის დეკემბერში, სომხეთთან ომის დროს, სარდლობდა ეკატერინეფილდის (ბოლნისის) ფრონტს. შემდგომში იყო სახალხო გვარდიის თბილისის გარნიზონის უფროსი, სასაზღვრო ჯარების პირველი სარდალი. 1921 წ-ის თებერვალში იმყოფებოდა კახეთში და იქ დისლოცირებულ მე-6 ათასეულთან ერთად უკან იხევდა. ტყვედ ჩაუვარდა რუსებს. დახვრიტეს რიაზანის ჩეკაში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007.

მიხეილ ბახტაძე

ახმეტელი ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე (1.IV.1886, სოფ. ანაგა, სიღნაღის მაზრ. – VI.1937, თბილისი) - რეჟისორი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1900 დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად განჯაში გადავიდა და იგი განჯის გიმნაზიაში შეიყვანეს, საიდანაც მოსწავლეთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის გარიცხეს. დაასრულა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. 1907 ჩაირიცხა და 1916 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში დააპროექტა და ააგო აეროპლანი, რომელიც თბილისში, მთაწმინდაზე გამოცადა კიდეც.

ახმეტელი ალექსანდრე

1917 წ-ის ივნისში იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი. 1917 წ-ის ოქტომბერში ედპ-ს ჩამოშორდა წევრთა ერთი ჯგუფი, რომელმაც თავი საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიად გამოაცხადა. ს. ახმეტელი ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი არჩეულ იქნა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად. 1918 იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის სიით კენჭს იყრიდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ უშედეგოდ. 1919 თბილისის საოპერო სტუდიაში დადგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. იყო სახელმწიფო დრამატული დასის წევრი და ქართული თეატრის რეჟისორი, რომლის სცენაზეც წარმოადგინა ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“ (1920). ამავე პერიოდში დაიწყო რადიკალ-დემოკრატების ედპ-სთან დაახლოების პროცესი, რომელიც 1921 წ-ის იანვარში მათი გაერთიანებითა და დემოკრატიული პარტიის შექმნით დასრულდა. ს. ახმეტელი გაერთიანებული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად იქნა არჩეული.

ახმეტელაშილი სტეფანე

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას, 1921 უცხოეთში არ გახიზნულა და აქტიურად ჩაერთო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1922 კოოპტაციის წესით შევიდა ედპ-ის არალეგალურ ცკ-ის შემადგენლობაში, იყო ედპ-ის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე. 1923 წ-ის აპრილში დააპატიმრეს. ციხიდან იმავე წლის აგვისტოს დასაწყისში გაათავისუფლეს და აიძულეს, ედპ-ის სხვა თვალსაჩინო წევრებთან ერთად, ხელი მოეწერა დეკლარაციაზე, რომელიც პარტიის ლიკვიდაციისათვის კონფერენციის მოწვევას ითვალისწინებდა. 1923 წ-ის 28 ოქტომბერს კონფერენციამ ედპ დაშლილად გამოაცხადა. 1921 ს. ახმეტელი დაინიშნა სახელმწიფო თეატრების მმართველად. 1923 კ. მარჯანიშვილმა

ახმეტელი მიხეილ

მიიწვია რეჟისორად რუსთაველის სახელობის თეატრში. 1924 წ-დან იყო ამ თატრის მთავარი რეჟისორი, ხოლო 1926-1935 წწ-ში - სამხატვრო ხელმძღვანელი. 1924 აქტიური მონაწილეობა მიიღო მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის“ დაარსებაში. 1926 ოპერის სახელმწიფო თეატრში დადგა ზ. ფალიაშვილის „ლატავრა“.

ს. ახმეტელის მეთაურობით რუსთაველის თეატრმა შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა. მან შექმნა არაერთი საეტაპო სპექტაკლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. რობაქიძის პიესა „ლამარას“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე და 1930 ამ სპექტაკლის წარმატებული გასტროლი მოსკოვში. ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო ი. სტალინი, რომელმაც რეჟისორთან სურათიც გადაიღო. საბჭოთა და უცხოურმა პრესამ სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა. რუსთაველის თეატრმა ევროპის ქვეყნებიდან გასტროლებზე არაერთი მიპატიჟება მიიღო. ლ. ბერიას უშუალო განკარგულების საფუძველზე, დასი საზღვარგარეთ არ გაუშვეს. 1933 ს. ახმეტელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა, მაგრამ თავისუფალი აზროვნებისთვის მას მალე დევნა დაუწყეს. 1935 რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მუშაობა მოსკოვის „მწვანე თეატრში“ გააგრძელა. დიდხანს არც იქ დასცალდა. 1936 წ-ის 19 ნოემბერს დააპატიმრეს და ეტაპით თბილისში ჩამოიყვანეს. შვიდი თვე გრძელდებოდა მისი დაკითხვა და წამება. „ხალხის მტრად და მავნებლად“ გამოცხადებული რეჟისორი ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულეს და ლ. ბერიასა და ი. სტალინის ფიზიკურ განადგურებაშიც დასდეს ბრალი. ს. ახმეტელის გვარი შეტანილია 1937 წ-ის 31 მაისით დათარიღებულ დასასჯელთა სიაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ი. სტალინი და ვ. მოლოტოვი. 1937 წ-ის 28 ივნისის სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით მას სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს. რეჟისორის მეუღლეს - თამარ წულუკიძე-ახმეტელს - ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს (ახმეტელის პირველი მეუღლე იყო ტასო როსტომაშვილი, რომელთანაც ჰყავდა ვაჟი - შალვა). ს. ახმეტელი 1937 წ-ის 29 ივნისს დახვრიტეს. რეაბილიტირებულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1956 წ-ის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით. 1979, მისი დაბადების ასი წლის საიუბილეოდ, სოფელ ანაგაში გაიხსნა ს. ახმეტელის სახლ-მუზეუმი.

ლიტ.: ვ. კიკნაძე, სანდრო ახმეტელი, თბ., 1977; ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი: დოკუმენტები და ნარკვევები 3 ტომად, თბ., 1978-1987; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲫᲔ (1895, ბორჯომი - 1963, მიუნხენი, გფრ) - პოლიტოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოვეტოლოგიის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი. დაიბადა აზნაურის, სასულიერო პირის ოჯახში. დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია (1914). სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში (1914-1917).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თანაუგრძნობდა ხელისუფლების სათავეში მოქცეულ სოციალ-დემოკრატებს, რომელთა შორისაც იყო მისი ბიძა ვლადიმერ ახმეტელი, საქართველოს ელჩი გერმანიაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნული სტიპენდიით გაიგზავნა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად (1919).

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მიიღო გერმანიის მოქალაქეობა. დაამთავრა იენის უნივერსიტეტი და იქვე დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (1925). იმავე წელს შეუდგა აგრარულ მეცნიერებათა შესწავლას. მისი ნაშრომები იბეჭდებოდა გერმანიაში გამომავალ ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. გამოსცა ფუნდამენტური გამოკვლევები სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის აგრარული პოლიტიკის, ბოლშევიზმის ისტორიის, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ისტორიის ძირითად საკითხებზე. მათ შორის გამოირჩევა წიგნი „აგრარული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში და მისი შედეგები“ (1942), რომელიც საერთაშორისო დონის სოვეტოლოგიური გამოკვლევაა. ითვლება სოვეტოლოგიის გერმანული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით „კონსტანტინ მიხაილი“. ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართული და სხვა კავკასიელი ერების ემიგრაციის ცნობილ წარმომადგენლებთან. მოღვაწეობდა აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1927-1934). 1937-1940 წწ-ში ხელმძღვანელობდა ამ ცენტრს, რომელსაც ვანზეეს ინსტიტუტსაც უწოდებდნენ. პარალელურად მუშაობდა ბრესლაუს უნივერსიტეტში - ჯერ პრივატ-დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. ასევე მოღვაწეობდა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის (1939-1945) და მიუნხენის უნივერსიტეტებში (1945 წ-დან). II მსოფლიო ომის პერიოდში, ალექსანდრე ნიკურაძესთან ერთად, ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და სსრ კავშირის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. იყო გერმანიის მეშვეობით კავკასიის განთავისუფლების მომხრე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბება საქართველოს ჰეგემონიითა და გერმანიის პროტექტორატით. 1943 მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის პოლიტიკა აღმოსავლეთით დაპყრობილი ტე-

რიტორიის მოსახლეობის მიმართ, რის გამოც დაპატიმრებას ძლივს გადაურჩა. ომის დასრულების შემდეგ დასახლდა მიუნხენში, სადაც მისი აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა აღმოსავლეთ ევროპისა და სსრ კავშირის შემსწავლელი ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. იყო გერმანიაში არსებული ქართველთა სათვისტომოს გამგეობის წევრი და იმავე ქვეყანაში გამომავალი ქართული ემიგრანტული პრესის აქტიური თანამშრომელი, ანტიბოლშევიკური და ანტისაბჭოური მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი დასავლეთ ევროპაში, ერთ-ერთი დამფუძნებელი „ანტიბოლშევიკ ერთა ბლოკისა“.

თხზ.: Das Gesetz des abnehmenden Ertragszuwachses und seine gegenwärtige Beurteilung, Ohiau, 1932; Querschnitt durch die Industrie Sowjetrusslands//Ostraum-Berichte, Heft 1, 1935; Die quantitative Leistung und dIe Betriebsverhäitnisse der Sowjetrussland//იქვე, Heft 2, 1935; Die AgrarpolitIk der Sowjet-Union und deren Ergebnisse. Berlin-Leipzig, 1936; Stellungnahme zur neuen Agrarordnung, Berlin, Wansee-Institut, 1942.

ლიტ.: ბ ე რ ლ ი ნ ე ლ ი, მიხეილ ახმეტელი (ნეკროლოგი), „კავკასიონი“, პარიზი, 1964, №9; ლ. უ რ უ შ ა ძ ე, ახმეტელი მიხეილ კონსტანტინეს ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 1, თბ., 1997; Н. Д ж а в а х и ш в и л и, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი



ბადრიძე ილია

ბადრიძე ილია ნესტორის ძე (მეტსახელი: ილიკო) (1978, ქ. თელავი - 19.VII.1937) - სოციალ-დემოკრატი, არალეგალური სტამბების შექმნის მონაწილე. 1902 აირჩიეს რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრად. 1905 მონაწილეობას იღებდა ავჭალაში ბომბების დამამზადებელი სახელოსნოს მოწყობაში. რის გამოც ის არალეგალური საბუთებითა და შეცვლილი სახელით ცხოვრობდა ბაქოში. 1911 ბაქოში დააპატიმრეს და იძულებული გახდა, გაემხილა თავისი ნამდვილი სახელი. ამის შემდეგ იჯდა მეტეხის ციხეში, მოგვიანებით კი ციმბირში სამუდამო გადასახლება მიესაჯა.

1917 დაბრუნდა საქართველოში და დასახელებულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს (შემდგომში პარლამენტი) წევრად. ი. ბადრიძე ასევე იყო საგანგებო სასამართლოს წევრი. მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში. 1919 წ-ის თებერვალში არჩეულ იქნა კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ი. ბადრიძე ემიგრაციაში არ წასულა. საბჭოთა ჩეკამ მასზე ძებნა გამოაცხადა, როგორც მენშევიკების ერთ-ერთ ლიდერზე, და ამ ბრალდებით მიმდინარეობდა მისი დაკითხვა. ბადრიძე პატიმრობაში მძიმედ ავადმყოფობდა. მისი გათავისუფლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოხერხდა. მეორე პატიმრობა მას 1924 წ-ის აჯანყების შემდეგ მოუწია. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, სადაც მუშაობდა მელნის საამქროში. 1937 ი. ბადრიძეც სხვა ბევრის მსგავსად, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ის ბრალდების გამოტანის დღესვე დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე



ბათუმის გადმოცემა ბრიტანელების მიერ

ბათუმის გადმოცემა ბრიტანელთა მიერ - 1918 წ-ის 4 ივნისის საქართველო-ოსმალეთის ბათუმის საზავო ხელშეკრულების თანახმად, საქართველომ დაადასტურა ოსმალეთის დაქვემდებარებაში ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქების, ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გადასვლა. მსოფლიო ომში დამარცხების და მუდროსის ზავის ხელმოწერის შემდგომ ოსმალეთმა დატოვა ოკუპირებული ტერიტორიები. 19 დეკემბერს ოსმალებმა დატოვეს ბათუმი, სადაც 1919 წ-ის 6 იანვრამდე შევიდნენ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები. ბათუმში დაინიშნა გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც ადგილობრივი ლიდერების მონაწილეობით შექმნა საბჭო. ქალაქის თვითმმართველობა შეუდგა არჩევნებისათვის მზადებას. ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა ადგილობრივ ლიდერთა მეტ ჩართულობას რეგიონის მართვაში და აპროტესტებდა ბრიტანელი ჯარისკაცების თვითნებობას. 1919 წ-ის 31 აგვისტოს სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა პირველმა ყრილობამ მიიღო ფართო ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთების გადაწყვეტილება.

1919 წ-ის 9 სექტემბერს დაიწყო საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ბრიტანე-

თის ჯარის გასვლა. 1920 წ-ის თებერვალში ბათუმიდან საბოლოოდ გავიდნენ ინგლისელი სამხედროები. დაწესდა საზღვაო მიმოსვლა ბათუმიდან ოდესის და სტამბულის მიმართულებით. ბათუმის ოლქში შემოსვლა დაიწყეს თურქეთის სამხედროებმა. 1920 წ-ის მარტში ბათუმში ჩატარდა საქალაქო არჩევნები, აირჩა 36-კაციანი ქალაქის საბჭო. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარემ მემედ აბაშიძემ მემორანდუმით მიმართა ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კავკასიაში ოლივერ უორდროპს, გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის საკითხი. 1920 წ-ის აპრილში სან-რემოს საზავო კონფერენციაზე, იტალიის პრემიერ ნიტტის თავმჯდომარეობით, განიხილებოდა ბათუმის საკითხი. პარალელურად, ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია: „ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის დედასამშობლო საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ". მათ გააპროტესტეს პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილება ბათუმის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის და მასზე ერთა ლიგის განსაკუთრებული მანდატის დაწესებაზე. საბოლოოდ, ანტანტის უმაღლესი საბჭოს თანხმობით, 1920 წ-ის ივლისში ბათუმში ქართული ჯარი შევიდა გენ. გ. კვინიტაძის სარდლობით. დაწესდა შეთანხმებული მოქმედება აჭარის მეჯლისსა (ლიდერი - მემედ აბაშიძე) და საქართველოს დამფუძნებელ კრებას შორის სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის პირობების მოსამზადებლად, რაც აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. პარალელურად, ბათუმში მუშაობდა მთავრობის საგანგებო რწმუნებული (ბენია ჩხიკვიშვილი, შემდეგ გრიგოლ გიორგაძე).

ბონდო კუპატაძე

ბათუმის საზავო კონფერენცია – ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილების შესახებ გერმანია-ოსმალეთს შორის სტამბოლში დადებულმა საიდუმლო ხელშეკრულებამ (1918 წ-ის 27 აპრილი) ოსმალეთს აქტიური მოქმედების და ახალი პრეტენზიების წამოყენების შესაძლებლობა მისცა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, ბათუმის კონფერენციაზე გასაგზავნად 45 კაცისგან შემდგარი ჯგუფი იქნა დამტკიცებული. აქედან დელეგატები იყვნენ: აკ. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ნ. ნიკოლაძე, რ. კაჩაზნუნი, ა. ხატისოვი, მ. გაჯინსკი, მ. რასულ-ზადე. დელეგაციაში შედიოდნენ: ი. ოდიშელიძე, ზ. ავალიშვილი, დ. ღამბაშიძე, რ. მიქელაძე, გ. ქიქოძე. 1918 წ-ის 6 მაისს ამიერკავკასიის დელეგაცია ბათუმში ჩავიდა ოსმალეთის სტუმრის სტატუსით. ოსმალეთის დელეგაციაში შედიოდნენ: ჰალილ-ბეი (ხელმძღვანელი), ვეჰიბ-ფაშა, ორჰან-ბეი, ნუსრეთ-ბეი, იუსულ-ბეი. გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლობა: ფონ-ლოსოვი (ხელმძღვანელი), გრაფი შულენბურგი, ფონ-ჰაზე, ფონ-ვეზენდოკი. ოსმალთა ინიციატივით, ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაცია ჩავიდა ბამატის მეთაურობით. ბათუმის საზავო კონფერენციამ მუშაობა 11 მაისს დაიწყო. ოსმალო დელეგატების წინასწარი შეთანხმებით, ოსმალეთის მფარველობის ქვეშ უნდა მომხდარიყო კავკასიის მუსლიმანური სახელმწიფოს აღდგენა. ჰალილ-ბეი ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით აღარ კმაყოფილდებოდა. იგი, ყარსის, არტაანის,



ბათუმის გადმოცემა ბრიტანელების მიერ

ართვინისა და ბათუმის ოკრუგებთან ერთად, დამატებით ახალქალაქის, ალექსანდროპოლის, ეჩმიაძინისა და სურმალინის მაზრებსაც მოითხოვდა და, ფაქტობრივად, რუსეთ-ოსმალეთის 1829 წ-მდე არსებული საზღვრის აღდგენას ცდილობდა. ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჰალილ-ბეიმ 15 მაისს ქართულ მხარეს ულტიმატუმი წაუყენა - ბათუმის კონფერენციისათვის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობები სახელმწიფოთა საზღვრების დასადგენად აღარ უნდა განხილულიყო. იმავდროულად, ოსმალეთის მხარემ საომარი მოქმედებები განაახლა. 18 მაისს ჰალილ-ბეიმ ამიერკა-



ბათუმის კონფერენცია

ვკასიის დელეგაციას მემორანდუმი გადასცა, რომელიც ოსმალეთის დამატებითი ტერიტორიული მოთხოვნების შესახებ ამიერკავკასიის დელეგაციას შენიშვნების გამოთქმის უფლებას ართმევდა. აკ. ჩხენკელის მცდელობა, ოსმალეთის მხარე ბრესტის საზავო პირობებით დაკმაყოფილებულიყო, უშედეგო აღმოჩნდა. მან დახმარებისთვის გერმანიის დელეგაციის მეთაურს, გენერალ ფონ-ლოსოვს მიმართა, რაზედაც ოფიციალური თანხმობა 19 მაისს მიიღო. ბათუმის კონფერენციაზე აკ. ჩხენკელის მიერ დიდი დიპლომატიური უნარის გამოჩენის (ნ. ჟორდანია) მიუხედავად, საკითხს სამხედრო სიძლიერე წყვეტდა. მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, როცა ფონ-ლოსოვმა ოსმალეთთან შუამდგომლობაზე უარი განაცხადა (25 მაისი). ეს ფაქტი ოსმალეთს მეტი პრეტენზიების წამოყენებისა და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. ამიერკავკასიის სეიმის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბათუმის კონფერენციამ 1918 წ-ის 31 მაისს მუშაობა განაახლა.

ლიტ.: მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 6, თბ.,1999.

შოთა ვადაჭკორია

ბათუმის საზავო ხელშეკრულება – 1918 წ-ის 4 ივნისს, ბათუმში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: ნოე რამიშვილმა (საქართველოს დრ -ის მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი), გენერალმა გიორგი ოდიშელიძემ, გ. გვაზავამ, გ. რცხილაძემ; ხოლო ოსმალეთის იმპერიის მხრიდან: ჰალილ-ბეიმ (იუსტიციის მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს მეთაური), გენერალ-ლეიტენანტმა ვეჰიბ ფაშამ (კავკასიის ფრონტზე ოტომანთა არმიის მეთაური, დელეგაციის მრჩეველი სამხედრო საკითხებში). ხელშეკრულების ძალით, სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და ოსმალეთს შორის მდინარე ჩოლოქზე, აბასთუმნისა და აწყურის სამხრეთით გადიოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები), ასევე, სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთმა მიიტაცა. საქართველოსთვის თავსმოხვეული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებით (მუხლი 13), გარდა ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებისა, ოსმალეთის ხელში დამატებით გადადიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები (აბასთუმნის და აწყურის გამოკლებით (მუხლი 2). ამით საქართველოს ეროვნულ სხეულს სწყდებოდა მთელი სამაჰმადიანო საქართველო, მტკვრის ზემოწელისა და ჭოროხის აუზის ყველა ისტორიული ტერიტორია. იმავე დღეს გაფორმდა ზემოაღნიშნული ძირითადი ხელშეკრულების სამი დანართი (დამატება). პირველი, რომელიც 9 მუხლისგან შედგებოდა, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ნავიგაციის საკითხებს ეხებოდა. მეორე დამატება (მუხლი 3) ორივე მხარის მცხოვრებთათვის საზღვრისპირა 10 - კილომეტრიან ზოლში განსაკუთრებულ სამიმოსვლო შეღავათებს აწესებდა. მესამე დამატება (მუხლი 7) საქართველოში მაჰმადიანი სასულიერო პირების უფლებამოსილების გაზრდას ეხებოდა. ოსმალები ამით არ დაკმაყოფილდნენ და იმავე 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა, აგრეთვე, დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც საქართველომ ივალდებულა, ოსმალეთისთვის ჯარების გადასაყვანად და საჭურვლის გადასაზიდად რკინიგზა დაეთმო, ასევე, უნდა უზრუნველეყო სარკინიგზო შემადგენლობების შეუფერხებელი მუშაობა. მთავარ სარკინიგზო სადგურებში მოეწყობოდა ოსმალეთის სამხედრო წარმომადგენლობები, რომლებიც ადგილზე შეიძენდნენ სურსათს ჯარის მომარაგებისთვის. დამატებით ხელშეკრულებას ჰქონდა განსაკუთრებული დანართი (მუხლი 14), რომელიც აწესრიგებდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის ტყვეთა გაცვლას. საამისო პუნქტად მონიშნული იყო ბათუმი, სადაც უნდა შეექმნათ შერეული კომისია. ტყვეთა გაცვლა, ძირითადად, ერთი თვის ვადაში უნდა დაემთავრებინათ. 4 ივნისს, ბათუმში, ოსმალეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ცალკე კონვენციას „ბაქო-ბათუმის ნავთსადენის შესახებ“. საქართველოს და აზერბაიჯანის მხარეები, შესაბამისი საზღაურის ფასად, ვალდებულებას იღებდნენ, თავიანთ ტერიტორიებზე ნავთსადენის მუდმივი მოქმედება უზრუნველეყოთ. ოსმალეთ-საქართველოს 1918 წ-ის 4 ივნისის ხელშეკრულებების რატიფიკაცია უნდა მოეხდინათ ერთი თვის ვადაში. ეს არ განხორციელდა, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ, ამ მძიმე პირობების შეცვლისთვის, ზომები მაშინვე მიიღო. 6 ივნისს ქართულმა დიპლომატიურმა მისიამ ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა გადასცა, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ბათუმის ზავზე ხელმოწერა მოხდა ოსმალური ხიშტების ძალდატანებით და მოითხოვა მისი გადასინჯვა „ოთხთა კავშირის“ და ამიერკავკასიის სახელმწიფოების საგანგებო საზავო კონფერენციაზე. გერმანიის მთავრობამ ახალი საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ ქართველთა მოთხოვნა გაიზიარა და ოსმალეთის ხელისუფლებაც დაითანხმა. ამის მიუხედავად, ოსმალეთის მთავრობამ მაინც სცადა, ამ კონფერენციისთვის, რომელიც სტამბოლში უნდა გამართულიყო, მისთვის სასურველი ელფერი მიეცა. ამ მიზნით, იქ მიიწვია არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და შუა აზიის მაჰმადიანი ხალხების წარმომადგენლებიც. საბოლოოდ, კონფერენციის ჩატარება ვერ მოხერხდა, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკის სახელმწიფოების დამარცხების გამო.

1918 წ-ის ივლისში ოსმალეთის მთავრობამ, ვითომდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების) მოსახლეობის ნების გამოსავლენად, რეფერენდუმი ჩაატარა, რომელიც იმხანად მიღებული საერთაშორისო ნორმების დარღვევით, დაშინების, შანტაჟისა და გაძლიერებული ანტიქართული აგიტაციის პირობებში ჩატარდა და გამოაცხადა, რომ, რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები ოსმალეთის შემადგენლობასში რჩებოდა. 1918 წ-ის ივლისში ოსმალები ზაქათალის ოლქში (საინგილო) შეიჭრნენ.

ამიერკავკასიაში ოსმალეთის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს ზღვარი დაუდო პირველ მსოფლიო ომში მისმა დამარცხებამ. 1918 წ-ის 30 ოქტომბერს ომში დამარცხებულ ოსმალეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის მუდროსის დროებითი ზავი დაიდო. ზავის თანახმად, ოსმალებმა ამიერკავკასიაში ოკუპირებული ტერიტორიები დატოვეს.

ლიტ.: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, ст. 340, Типография Правительства Грузинской Республики, Тиф., 1919; სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 3; ვ. ნ ო ზ ა ძ ე, „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“, თბ., 1989; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ბათუმის ოლქი, 1877-1920, ტომი III, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი, 2008.

ლელა სარალიძე

ბათომის ფურცელი (1.IX.1920 - 23.XII.1920, ბათუმი) - ყოველდღიური დემოკრატიული ორგანო, გაზეთი „ბათომის ფურცელი“ გამოდიოდა 1920, ქ. ბათუმში. გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. იბეჭდებოდა მ. შმაევსკის ელექტრომბეჭდავ სტამბაში. მისი დახურვის შემდეგ გამოიცემოდა გაზეთი „ბათომის ცხოვრება“ (1921). იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე. სულ დაისტამბა გაზეთის 88 ნომერი. „ბათომის ფურცელი“ სოც.-დემ. მიმართულების ორგანოა. მისი თანამშრომლები არიან: ბ. გოგუა, ი. დიდიძე, კ. ქავთარაძე, კ. მაჭავარიანი, ვ. სეფისპირელი, გ. ვოზნესენსკი, „ე. წ. ძე“ (?) და სხვები. გაზეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემაა და ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს. ყოველ ნომერში ვხვდებით ე.წ. გამხსნელ სტატიას, რომელიც გაზეთის გამოსვლის თარიღითაა დასათაურებული (მაგ.: „,ბათომი, 2 ოქტომბერი“, „ბათომი, 24 ნოემბერი“ და ა.შ.). პერიოდული გამოცემა თემატიკის მრავალგვარობით გამოირჩევა. პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური სფეროს თუ კულტურის საკითხები რუბრიკებად შუქდება. მაგალითად, მუდმივი რუბრიკების სახითაა შემოთავაზებული: „უკანასკნელი ცნობები“, „ქრონიკა“, „ქალაქის საქმეები“, „პრესა“, „უცხოეთში“, „საბჭოთა რუსეთში“, „შორეულ აღმოსავლეთში“, „თეატრი და ხელოვნება“, „წერილი რედ. მიმართ“, „სახალხო გვარდიაში“, „მუშათა ცხოვრება“, „კოოპერატიული ცხოვრება“ და სხვ. „ბათომის ფურცელი“ დიდ ადგილს უთმობს ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მიმოხილვას, ახალგაზრდა რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს; აშუქებს ბათუმისა და მისი ოლქის წინაშე არსებულ პრობლემებს, უცხოურ ამბებს. გაზეთი ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პრობლემურ და პროპაგანდისტულ სტატიებზე. გაზეთი დიდ ადგილს უთმობს ქალაქის თეატრალური და კულტურული ცხოვრების ამსახველ მასალას; ყურადღებას ამახვილებს ასევე განათლების თემაზე. გამოცემა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის გამოფხიზლებისა და ავანტიურისტ-აგიტატორთა გადაბირებისგან ხსნის ერთადერთ გზას სწორედ საგანმანათლებლო ღონისძიებებში ხედავს, რისკენაც აქტიურად მოუწოდებს ხელისუფლებას და სასწრაფო ზომების მიღებას სთხოვს. „ბათომის ფურცელი“ აქვეყნებს მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებსაც. მართალია, მხატვრული ტექსტები მაღალი ლიტერატურული ღირებულებით არ გამოირჩევა (მაგ.: ვ. ზღვისპირელის ლექსი „სევდა უცხოეთზე“, ნიგოითელის ნოველა „ამონაკვესები“, დ. კოპალის მოთხრობა „ქალი ნიღაბში“ და სხვ. ერთადერთი ღირებული ნიმუშია ი. გრიშაშვილის ლექსი „სველი საღამო“, რომელიც გაზეთის 64-ე ნომერში ბათუმში პოეტის სტუმრობის აღსანიშნავად დაიბეჭდა), მაგრამ არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, აქ დასტამბულ ისტორიულ-სამოგზაურო თხზულებათა მნიშვნელობა ერთიორად იზრდება. ცალკე გამოვყოფთ კ. მაჭავარიანის „ლაზისტანს“ (№51, 52, 57), ი. დიდიძის პუბლიკაციებს: „ევროპა და ჩვენ“, „ერთა ლიგა და საქართველო“, „სომხეთის უბედურება და ჩვენ“. აღსანიშნავია გაზეთის პოლემიკა „სამუსლიმანო საქართველოსთან“, რომელიც დამფუძნებელი კრების მიერ ბათუმის ოლქში საგანგებო კომისრად დანიშნული ბენია ჩხიკვიშვილის საქმიანობის გამო გაჩაღდა (ამ საკითხს ეძღვნება „ბათომის ფურცლის“ 2 ნოემბრის სარედაქციო წერილი). საერთოდაც, გაზეთი ხშირად მსჯელობს ოლქის მართვა-გამგეობის საკითხებზე, კვალიფიციური მოხელეების მომზადებაზე, კეთილსინდისიერი ჩინოვნიკების მივლინებაზე ადგილობრივ მმართველობებში და სხვა საჭირბოროტო თემებზე.

ლიტ.: გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, გაზეთი „ბათომის ფურცელი“, 1920. თბ., 1947; გაზ. „ბათომის ფურცელი“, 1920, №1-88.

მანანა შამილიშვილი

ბათომის ცხოვრება (26.I.1921 - 29.II.1921, ბათუმი) - ყოველდღიური დემოკრატიული ორგანო, 1921 გაზეთი „ბათომის ცხოვრება“ გამოდიოდა ქ. ბათუმში. მისი რედაქტორი იყო კ. ქავთარაძე. იბეჭდებოდა მ. შმაევსკის ელექტრომბეჭდავ სტამბაში. გამოიცემოდა გაზეთ „ბათომის ფურცლის“ (1920) დახურვის შემდეგ. იბეჭდე-

ბოდა ოთხ გვერდზე. სულ დაისტამბა გაზეთის 46 ნომერი. გაზეთის პროფილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის შემცველია. იგი სახელდებას ამართლებს და, ძირითადად, ქალაქური ცხოვრების ამსახველ მასალას გვთავაზობს. ყოველ ნომერში ვხვდებით ცნობებს იმ დღეების სიახლეთა შესახებ, რომლებიც თავმოყრილია კონკრეტული რუბრიკის ქვეშ, სათაურით: „ბათუმი, 4 იანვარი“, „ბათომი, 29 იანვარი“, „ბათომი, 4 თებერვალი“ და ა.შ. გამოცემა ადგილობრივი თვითმმართველობისა და არსებული ხელისუფლების, სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამტარებელია. გაზეთში მოღვაწეობენ: კ. ფირცხალაიშვილი, ი. დიდიძე, გრ. გორგაძე, ი. ტრაპაიძე, ა. ანდღულაძე, ვ. სეფისპირელი და სხვები. მათი წერილები პირუთვნელად წარმოაჩენს მაშინდელი ბათუმისა და მისი ოლქის ყოფა-ცხოვრების სურათს, რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას. „ბათომის ცხოვრების“ გამოცემის დრო დაემთხვა საქართველოს ისტორიის მეტად მძიმე პერიოდს. ფაქტობრივად, იგი ახალგაზრდა რესპუბლიკის არსებობის მღელვარე ბოლო დღეების ქრონოლოგიას წარმოადგენს. გაზეთი შეძლებისდაგვარად აშუქებს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს როგორც რეგიონსა და მთლიანად საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. აქტუალური საერთაშორისო თემატიკა შუქდება მუდმივი რუბრიკებით: „საქართველო და რუსეთი“, „ოსმალეთი და სომხეთი“, „უცხოეთი“, „სტამბოლის ცნობები“ და ა.შ. გაზეთში წარმოდგენილია სხვა რუბრიკებიც, როგორიცაა: „ახალი ამბები“, „მუშათა ცხოვრება“, „პრესა“ და სხვ. აქა-იქ ვხვდებით წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მაგ., ი. იმერელის „ქართული ლიტერატურა“ (23.I.1921), „მარო მდივანის ბენეფისი“ (21.I.1921) და ა.შ. გაზეთი აღფრთოვანებით შეხვდა 27 იანვარს ერთა ლიგის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად („დე იურედ“) ცნობას („სამი წლის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა პატარა დავითის დიდი გოლიათების წინააღმდეგ ბრძოლას ჰგავდა“ - კ. ფირცხალაიშვილი). ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურება წერილები: ი. დიდიძის „დე იურეც“ (2.II), „დედა ქალაქში (დე იურე ცნობა)“ (4.II), „დე იურეს“ დღესასწაული თბილისში“ (10.II), „საქართველოს იურიდიულათ ცნობის დღესასწაული ქ. ქუთაისში“ (10.II.). ქვეყნის საშინაო მდგომარეობასა და საერთაშორისო ამბებს მიეძღვნა არაერთი ანალიტიკური სტატია. ზოგი მათგანი გაგრძელებებით იბეჭდება („საქართველო 1918 წელს“, „მდგომარეობა ისპანიაში“ და სხვ.). განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ კ. ფირცხალაიშვილის წერილების ციკლი „მოკლე შენიშვნები“, რომლებიც გაზეთის მესამე ნომრიდან დაწყებული, ყველა ნომერში ისტამბება (21-ე ნომრიდან „პატარა წერილების“ სახელწოდებით გვხვდება) და ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე არსებულ მრავალ საჭირბოროტო პრობლემას ეხმიანება. გაზეთში უხვადაა წარმოდგენილი განცხადებები, რომლებიც ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობას უკავშირდება. ისინი უმთავრესად გაზეთის პირველ და ბოლო გვერდებზეა განთავსებული.

ლიტ.: გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, გაზეთი „ბათომის ცხოვრება“, 1921, თბ., 1947; მ. შ ა მ ი ლ ი შ ვ ი ლ ი, გაზეთი „ბათომის ცხოვრება“, 1921, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XXII, თბ., 2001;

მანანა შამილიშვილი

ბათუმისათვის ბრძოლა – რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის მიმდინარეობისას ქემალისტურმა თურქეთმა საქართველოს ართვინის და არდაგანის გადაცემა მოსთხოვა ულტიმატუმის სახით. საქართველოს მთავრობამ ეს ულტიმატუმი არ მიიღო, თუმცა აღნიშნული ქალაქები დაცალა, რადგანაც ორ ფრონტზე ბრძოლა არ შეეძლო. თურქულმა ჯარებმა 23 თებერვალს აღნიშნული ქალაქები დაიკავა, რაც ქართულმა მთავრობამ იურიდიულად არ ცნო. ამის შემდეგ თურქული მხარის პრეტენზიები საქართველოსთან თითქოს ამოიწურა და მათ საქართველოს დახმარება შესთავაზეს რუს ბოლშევიკებთან ბრძოლაში. 11 მარტს თურქული ჯარის მეწინავე ნაწილები ბათუმში შევიდნენ. მათი მიზანი ბათუმის ოლქის დაკავება იყო და არა ქართველებთან ერთად ბრძოლა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა ეს უფრო ავანტიურული ნაბიჯი გახლდათ, რადგანაც მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის, რაც 1921 წ-ის 16 მარტს მოსკოვის ხელშეკრულებით დასრულდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, ბათუმის ოლქი ჯერ კიდევ ბოლომდე დაუპყრობელ საქართველოს რჩებოდა, მაგრამ საბჭოთა საქართველოს. რუსეთ-საქართველოს ომი კი სრულდებოდა, მცირერიცხოვანი ქართული შენაერთები ბათუმის ოლქსა და საჯავახოს ხაზზე იყო განლაგებული. დიმიტრი ჟლობას მეთაურობით რუსული არმიის ერთი დაჯგუფება კი გოდერძის უღელტეხილის გავლით ბათუმის ოლქში ქართული არმიის ზურგში გადიოდა. 17 მარტს, ბათუმში მყოფ თურქულ ნაწილებზე დაყრდნობით, ქიაზიმ-ბეიმ თავი ბათუმის ოლქის გუბერნატორად გამოაცხადა, თურქულმა ნაწილებმა დაიკავეს ყაზარმები, ფოსტა-ტელეგრაფის, მილიციის და სხვა შენობები. 17-18 მარტს, ქუთაისის მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთ-საქართველოს ომი დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, მთავრობა ემიგრაციაში წავიდა და ქვეყნის ოკუპაცია იურიდიულად არ ცნო. ქუთაისის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი, ომის შეწყვეტასთან ერთად, ბათუმიდან თურქული ნაწილების განდევნა იყო. 18-19 მარტს ქალაქში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით თურქ ასკერებს ბრძოლა გაუმართეს და მათი დამარცხება მოახერხეს. 20 მარტს კი თურქებმა ბათუმი დატოვეს.

ლიტ.: ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის 18-20 მარტი, მ. მაცაბერიძის რედაქტორობით, თბ., 2011.

დიმიტრი სილაქაძე

ბაკურაძე ვასილ ზურაბის ძე (1886, ჭიათურა, ქუთაისის მაზრა - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში, დაწყებითი განათლება სამრევლო სკოლაში მიიღო. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იყო რსდმ პარტიის მენშევიკური ფრაქციის წევრი. აქვეყნებდა სტატიებს პარტიულ პრესაში.

1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში, თუმცა ჩამოშორდა პარტიულ საქმიანობას. სხვა ბიოგრაფიული ცნობები არ იძებნება.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, „დამფუძნებელი კრება“, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52.

ირაკლი ირემაძე

ბალანჩივაძე მელიტონ ანტონის ძე (24.XII.1862, სოფ. ბანოჯა - 21.XI.1937, ქუთაისი) - ქართული ეროვნული კლასიკური საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მომღერალი, ლირიკული ბარიტონი, დირიჟორი, ქართული რომანსის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა ქუთაისის მაზრაში, მღვდლის ოჯახში. 1870-1874 წწ-ში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1874-1877 წწ-ში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მოწაფეთა გუნდში გალობდა. 1877-1879 წწ-ში თბილისში ცხოვრობდა და სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, ამავე დროს, სემინარიის გუნდში გალობდა. 1879-1880 წწ-ში ეგზარხოსის გუნდის წევრი გახდა, შემდეგ ამავე გუნდის ლოტბარის - აუშევის თანაშემწედ მუშაობდა და მასთან მუსიკის თეორიას სწავლობდა. 1880-1883 წწ-ში თბილისის საოპერო თეატრის გუნდში მღეროდა, გამოდიოდა სცენაზე და სოლო პარტიებს ასრულებდა. 20 წლისამ ჩამოაყალიბა თავისი პირველი ეთნოგრაფიული გუნდი. 1883-1886 წწ-ში ფილიმონ ქორიძის მიწვევით ქუთაისში დაბრუნდა და მასთან ერთად ქართულ ხალხურ სიმღერებს, საეკლესიო საგალობლებს აგროვებდა და იწერდა. 1886 წ-დან ლადო აღნიაშვილის გუნდში მღეროდა, 1887 წ-დან კი იმავე გუნდში ლოტბარად მუშაობდა. იმ პერიოდში დაწერა თავისი პირველი ნაწარმოებები: „პოპური“(1888). რომანსები: „როდესაც გიცქერ“; „შენ გეტრფი მარად“; „ნუ შემიბრალებ“ და „ნანა“ (1889). 1889-1895 წწ-ში სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა. 1895-1917 წწ-ში ატარებდა კონცერტებს რუსეთის, უკრაინისა და პოლონეთის ქალაქებში და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას ეწეოდა. 1896 იწყებს მუშაობას ოპერაზე „თამარ ცბიერი“, რომლის ნაწყვეტებიც პირველად 1897 პეტერბურგის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში შესრულდა. 1893-1898 წწ-ში, ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერის მიზნით, პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში და აწყობდა ექსპედიციებს, 1907 კი, მისი ინიციატივითა და დაფინასებით, ცნობილი რუსი კომპოზიტორის მ. ი. გლინკას წერილების სრული კრებული გამოიცა. 1812 პეტერბურგში „თამარ ცბიერის“ პირველი მოქმედება დაიდგა.

1917 საქართველოში დაბრუნდა. 1918 ქუთაისში მუსიკალური სასწავლებელი დააარსა და მისი დირექტორი გახდა.

1926 დაასრულა მუშაობა ოპერაზე „თამარ ცბიერი“, რომლის პრემიერა იმავე წლის 16 აპრილს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა. 1927 წერს ქართული მუსიკის ისტორიაში პირველ კანტატას „დიდება ზაჰესს“, რომელიც საჯაროდ შესრულდა იმავე წელს. 1929 გადავიდა ბათუმში და დააარსა მუსიკალური სასწავლებელი, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. 1931 - ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1933 სახალხო არტისტის წოდება მიიღო, მის მიერ დაარსებულ ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელს კი მისი სახელი მიენიჭა. 1936 გაემგზავრა მოსკოვში, სადაც 1937 დიდი თეატრის სცენაზე გაიმართა „დარეჯან ცბიერის“ პრემიერა. გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალეს ბაგრატის ტაძრის გალავანთან, შემდეგ კი ქუთაისის მწვანეყვავილას პანთეონში გადაასვენეს.

ნაწარმოებები: ოპერა „თამარ ცბიერი“, (1896-1926). II რედაქციით (1936) - „დარეჯან ცბიერი“. კანტატა „დიდება ზაჰესს“ (1927); საორკესტრო ნაწარმოები „ქართული ეროვნული მარში“ (1928). რომანსები, სიმღერები, გუნდები, მათ შორის (1918); „ჰიმნი სამშობლო ხევსურისა“ სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის (რ. ერისთავის ლექსზე) და სხვ.

ბალანჩივაძე მელიტონ

ლიტ.: „ორიოდე სიტყვა სამუსიკო სასწავლებლის შესახებ“, ჟურ. „თეატრი და მუსიკა“, 1919. N1; დ. ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული მუსიკა, მოკლე ისტორიული მიმოხილვა“, ქუთ., 1925; პ. ხ უ ჭ უ ა, „მელიტონ ბალანჩივაძე, მონოგრაფია“, თბ., 1950; გ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, „საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები“, 1956; ლ. დ ო ნ ა ძ ე, ო. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, გ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, „ქართული მუსიკის ისტორია“, წ. I, თბ., 1990.

ზურაბ ლეჟავა

ბალუაშვილი ლავრენტი იოსების ძე (6.II.1868 - ?) - გენერალი. თავდაპირველად დაამთავრა სასულიერო სემინარია. სამხედრო განათლება

მიიღო თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში. პოდპორუჩიკი (1893). პორუჩიკი (1897). შტაბსკაპიტანი (1901). კაპიტანი (1905). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. პოდპოლკოვნიკი (1915). პოლკოვნიკი (1915). 1917 დაინიშნა გრენადერთა 22-ე პოლკის უფროსად. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის. იარაღით.

1918-1919 წწ-ში მსახურობდა ქართულ ჯარში. გენერალი (1919).

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ბაჟბეუქ-მელიქოვი ალექსანდრე

ბაჟბეუქ-მელიქოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (16.IX.1891, თბილისი - 20.VII.1966, თბილისი) - მხატვარი. 1904 შევიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. დასრულების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში. 1911 ჩააბარა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ ფოგელის ჯგუფში. 1912 წ-დან მონაწილეობდა გამოფენებში.

1918 მიიპყრო საზოგადოების ყურადღება ჟურ. „L'ART"-ის რედაქციის ორგანიზებით გამართული გამოფენით, სადაც ა. ბ.-ის გარდა, ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებიც იყო წარდგენილი. 1918 ბოჰემური კაფე-კლუბი „არგონავტების ნავი" მოხატა ლადო გუდიაშვილთან და კირილე ზდანევიჩთან ერთად. 1919 წ-ის ოქტომბერში მეორე საშემოდგომო გამოფენაზე 17 ნამუშევარი გაიტანა. მათ შორის „ყავისფერი ქალები", „მუსიკოსები", „ტირი", „ლადო გუდიაშვილის პორტრეტი" და სხვ.

1922-1929 წწ-ში ასწავლიდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში. 1929-1938 წწ-ში - კი სამხატვრო აკადემიაში. 1935 ერევანში გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა. მხატვრის ნამუშევრები გამოირჩევა ფერწერულობით, დახვეწილი კოლორიტითა და ლირიზმით. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ლიტ.: ალ. ბაჟბეუქ-მელიქოვი, ჟურ. „ომეგას" გალერეა, თბ., 2002; ალ. ბაჟბეუქ-მელიქოვი, თბ., 2002; გაზ. ერთობა, 1918, №130; ჟურ. „შვიდი მნათობი", 1919, №2.

მაია ციციშვილი, სალომე ჭანტურიძე

ბარათაშვილი იოსებ

ბარათაშვილი იოსებ (ოსიკო) ალექსანდრეს ძე (4.XI.1874, სოფ. ბორბალო, თბილისის მაზრ. - 1937) - ადვოკატი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერთაგანი. 1895 დაამთავრა თბილ. ვაჟთა გიმნაზია, 1900 პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1905 წ-დან მუშაობდა ნაფიც ვექილად და გამოდიოდა პოლიტიკურ საქმეებზე ბრალდებულთა დამცველად (მაგ., არსენა ჯორჯიაშვილის და სხვ). 1906 აირჩიეს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად სოც-ფედ. პარტიიდან. ცდილობდა აღეძრა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა და შედიოდა სათათბიროს ავტონომისტთა ფრაქციაში. ხელი მოაწერა ვიბორგის მოწოდებას, რისთვისაც სამი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. იგი ერთხანს იყო სოც-ფედ. პარტიის მთავარ კომიტეტში, თუმცა, ჟანდარმერიის მონაცემების მიხედვით, გამოსულა მისი შემადგენლობიდან. აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე, იყო ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

ი. ბარათაშვილი აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პროცესსა და სოც-ფედ. პარტიის საქმიანობაში. 1917 წ-ის მაისში აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად. იყო ეროვნული საბჭოს წევრი და შედიოდა მისი აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში. 1918 წ-ის მაისში აირჩიეს დამოუკიდებელი საქართველოს, ახლა უკვე უმაღლესი საკანონმდებლოს ორგანოს - ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ), სოც-ფედ. პარტიიდან. მან მხარი დაუჭირა თავისუფალი საქართველოს, როგორც უნიტარული სისტემის სახელმწიფოს აუცილებლობას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც განაცხადა, პარტიულად იგი სოციალისტ-ფედერალისტი (ანუ ფედერაციული მოწყობის მომხრე) გახლდათ. 1918 ერთხანს ასრულებდა იუსტიციის მინისტრის მოვალეობას. 1919-1921 წწ-ში იყო დამფუძნებელი კრების წევრი და სოც-ფედ. ფრაქციის წარმომადგენელი. როგორც „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისიის" წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პირველი კონსტიტუციის და განსაკუთრებით მისი მეთექვსმეტე თავის („სახელმწიფო და ეკლესია") შემუშავების პროცესში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ იყო მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრი და ეროვნული მოძრაობის მონაწილე. 1923 სასამართლო პროცესზე იცავდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას. 1923 მცირე ხნით იყო დაპატიმრებული „საგანგებო კომისიის" („ჩეკას") მიერ. 1924 წ-ის აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას. ჰქონდა შესანიშნავი დრამატული ტენორი (1928 თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში ლეონკავალოს „ჯამბაზებში" შეასრულა კანიოს პარტია). 1937 საქართველოს სსრ შინსახკომის ე. წ. „სამეულის" განკარგულებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: გ. ს ა ი თ ი ძ ე, ბედშავი ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი, ჟურ. „საისტორიო ვერტი-

კალები“, 1991, №1; ბარათაშვილი იოსებ ალექსანდრეს ძე, ენც. „საქართველო“, ტ. I, 1997.

დიმიტრი შველიძე

ბარბა (Борьба – „ბრძოლა“) (4.V.1917 - 25.II.1921, თბილისი) - ყოველდღიური პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაზეთი რუსულ ენაზე. რსდმპ-ის ამიერკავკასიის საოლქო და თბილისის კომიტეტის ორგანო. იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე. იყო რსდმპ-ის (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) ამიერკავკასიის ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის ორგანო როგორც ამიერკავკასიის ცალკეულ რესპუბლიკებად დაყოფამდე, ასევე მას შემდეგაც. უფრო ზუსტად, 1918 წ-ის ნოემბრიდან გახდა საქართველოს სდმპ-ის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. 1917 წ-დან გაზეთს რედაქტორობდნენ: მ. ვოევოდა, უსპენსკაია და შარაშიძე, 1918-1919 წწ-ში მას უძღვებოდა სარედაქციო კოლეგია, ხოლო 1920-1921 წწ-ში - დავით შარაშიძე. „Борьба“-ს მუდმივ თანამშრომელთა შორის უნდა გამოვყოთ მ. ვოევოდა. გაზეთს გამოცემის პირველ წლებში, ფაქტობრივად, ის ხელმძღვანელობდა. გაზეთის გამოცემა შეწყდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მისი ბოლო ნომერი გამოვიდა 1921 წ-ის 25 თებერვალს. ქართველი სოციალ-დემოკრატები საგაზეთო საქმიანობას ევროპაში განაგრძობენ. 1934-1935 წწ-ში პარიზში რუსულ ენაზე გამოიცემოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ორგანო „Эхо Борьбы“ (1934, №1; 1935, №2, რედ. ბისნოვატი). ემიგრანტული პრესის ეს ნიმუში „Борьба“-ს იდეურ მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ. გაზეთ „Борьба“-ს პროფილი მთლიანად განისაზღვრება მისი გამომცემლების პოლიტიკური ხედვების მიხედვით. გამოცემაში მძლავრობს ანტიბოლშევიკური დისკურსი, რაც ამ ჭრილში წარმოჩენილი სახელისუფლებო პოლიტიკის გამომხატველი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციით დასტურდება. ვინაიდან გამოცემა არის მმართველი პარტიის ორგანო, ე.წ. ოფიციოზი, იგი, პირველ ყოვლისა, პარტიის პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება. მასში სისტემატურად იბეჭდება წერილები მთავრობის საქმიანობის, მისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კურსის შესახებ, მთავრობის წევრთა საჯარო გამოსვლების ტექსტები. მაგ., 1920 წ-ის 16-17 დეკემბრის ნომრებში გამოქვეყნებულია ჩხენკელის მოხსენება „თანამედროვე სიტუაცია და ქართველი ხალხი“, რომელიც მან სახელმწიფო თეატრში წარმოთქვა; ამავე წლის 14-15 იანვარს კი - მისივე ვრცელი მოხსენება ევროპაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის არაოფიციალური მუშაობის შესახებ. აღსანიშნავია 1921 წ-ის 24 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი „მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული დამფუძნებელი კრების სხდომაზე, 21 თებერვალს“, რომელშიც უმაღლესი ხელისუფალი კარს მომდგარ საფრთხეზე საუბრობს და პატივს მიაგებს წითელ არმიასთან ბრძოლაში დაღუპულ ქართველ გმირებს.

1921 წ-ის 25 თებერვალს, თავის უკანასკნელ ნომერში, გაზეთი წერს: „1921 წლის 25 თებერვალს, დღის 12 საათსა და 15 წუთზე, კოჯრის გზიდან ტფილისში წითელმა არმიამ დაიწყო შემოსვლა. ქალაქში პირველად ველიკანოვის მე-20 დივიზიის ნაწილები გამოჩნდნენ. კოლონის წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული რევკომის წევრი ელიავა მოდიოდა. მის უკან წითელი დროშა მოჰქონდა ქართველ კომუნისტს ბებურიშვილს. იმავე დღეს, ნავთლუღის მხრიდან წითელი არმიის მეორე ნაწილი შემოვიდა, რომელსაც მამია ორახელაშვილი მოუძღოდა. 25 თებერვალს საქართველოს რევკომმა პირველი ბრძანება გამოსცა. ქალაქის კომენდანტად მე-20 დივიზიის მეთაური ველიკანოვი დაინიშნა. საღამოს 10 საათიდან ტფილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა“. გაზეთში გვხვდება რუბრიკები: „პრესა“, „ქრონიკა“, „დეპეშები“, „მუშათა ცხოვრება“, „თეატრი და ხელოვნება“ და სხვ. შინაური მიმოხილვის გარდა, ვრცლად არის წარმოდგენილი უცხოეთის ამბები. მუდმივ რუბრიკებადაა გამოყოფილი: „რუსეთი“, „გერმანია“, „საფრანგეთი“, „ინგლისი“, „ამერიკის ცნობები“ და ა.შ. გაზეთი ასახავს აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას, ამ მხრივ არსებულ პრობლემებს. მაგ., 1919 წ-ის 5 და 6 დეკემბრის ნომრებში იბეჭდება ტ. მენდელეევის „ჩვენი დროის ეკონომიკური კამათები“, სადაც საუბარია საქართველოს ეკონომიკაში არსებულ ხარვეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე. მოყვანილია სტატისტიკური ცნობები თამბაქოსა და ბეწვეულის წარმოების, მათი რეალიზაციის შესახებ. 1920 წლის 31 იანვრის ნომერში იბეჭდება ნ. იასნის წერილი „სავაჭრო პოლიტიკის საკითხები“, რომელშიც ავტორი ომის შედეგად მოშლილ სავაჭრო ურთიერთობებზე საუბრობს და ა.შ. გაზეთს არც საგანმანათლებლო საკითხები რჩება ყურადღების მიღმა, ხშირად აქვეყნებს წერილებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და საჭირბოროტო თემებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვას მიერ 1919 წ-ის 7 დეკემბერს დასტამბული წერილი: „საქართველოში საყოველთაო სწავლების შემოღებისთვის“. მასში აქცენტირებულია სასკოლო სახელმძღვანელოების თემა. ავტორის თქმით, საჭიროა ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნა და არა მათი კოპირება სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ კი - რუსეთიდან. გაზეთი შეძლებისდაგვარად ასახავს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასაც. მართალია, ლიტერატურულ-კრიტიკულ მასალას დიდი ადგილი არ ეთმობა, მაგრამ გვხვდება უნიკალური პუბლიკაციები არაერთი გამოჩენილი მწერლის შემოქმედების შესახებ, მათ შორისაა: ო. უაილდი, ბ. შოუ, ა. ფრანსი, ლ. ტოლსტოი, ი. ერენბურგი, ფ.სოლოგუბი, ა. ბელი და სხვები. კრიტიკულ-პუბლიცისტური წერი-

ლებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნ. ველსკის „ინდივიდუალისტი შემოქმედნი და სოციალიზმი“ („Борьба“, 1920, №101). „Борьба“-ს გვერდებზე მრავლად გვხვდება განცხადებები, რეკლამები, აფიშები, დეპეშები. ისინი ძირითადად განთავსებულია გაზეთის პირველ ან მეოთხე გვერდებზე, ზოგჯერ კი მთელ გვერდს იკავებს.

ლიტ.: გაზ. „Борьба“ 1919-1921; Н. А. Ананиашвили, “Очерки из истории русскоязычной журналистики Грузии конца XIX- первой трети XX века”, Тб., 2000.

მანანა შამილიშვილი

ბარბაქაძე ვასილ (ილია) (15.II.1884, სოფ. მუხური, ზუგდიდის მაზრ. - ?) - ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება სოფლის სამრევლო სკოლაში მიიღო. ხელმოკლეობის გამო, ადრეული ასაკიდან დაიწყო მუშაობა თბილისის რკინიგზის სადგურში მექვაბედ. 1899 შეუერთდა „მესამე დასს“. მონაწილეობას იღებდა გაფიცვებსა და რევოლუციურ გამოსვლებში. 1903 წ-დან შეურთდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას. იყო პარტიის წითელი რაზმის წევრი. 1905 წ-ის რევოლუციის შემდეგ დათხოვნილ იქნა რკინიგზის სახელოსნოდან. შემდგომ პერიოდში აქტიურად იყო ჩართული კოოპერატივების ჩამოყალიბების საქმეში. იყო ქ.შ.წ.გ. საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო კახეთის რკინიგზის კომიტეტის წევრი. 1918 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. იყო ეროვნული საბჭოს შრომის კომისიის წევრი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 119, 121, 127.

ირაკლი ირემაძე

„ბარრიკადი“ (1920, 1922, 1924) - „ცისფერყანწელების“ ყოველკვირეული გაზეთი. იბეჭდებოდა თბილისში, ინტერვალებით. გამოცემის რედაქტორი იყო ტიციან ტაბიძე. გაზეთს ჰქონდა სამი ძირითადი განყოფილება: პოეზია, ესთეტიკა, პოლიტიკა. სახელწოდება აღებულია ფრანგული ანალოგიური სახელის ჟურნალიდან, რომელსაც შარლ ბოდლერი გამოსცემდა პარიზში, 1848 წ-ის საფრანგეთის რევოლუციის დროს. „ბარრიკადში“ თანამშრომლობდნენ: ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, შ. აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, გ. ლეონიძე, კ. ნადირაძე, ნ. მიწიშვილი, ა. არსენიშვილი. გაზეთის პირველ ნომერში იბეჭდება მეთაური სტატია „ბარრიკადები“, რომელშიც „ცისფერყანწელთა“ ესთეტიკური პრინციპებისადმი ერთგულებისა და მისთვის თავგანწირვის იდეა ამ სიტყვებით არის გამოხატული: „ჩვენთვის ბარიკადები დიდი ხანია გილიოტინათ იქცა“. გამოცემა ადასტურებს მზაობას ბარიკადებზე დგომისათვის, ახალი ცხოვრებისა და „ახალთაობის კულტურის“ დასაცავად. გაზეთში გამოქვეყნებული წერილები: პ. იაშვილის „ჩვენი სეზონი“, გრ. რობაქიძის „საქანელა და სახრჩობელა“, ნ. მიწიშვილის „მანიფესტი აზიას“ და სხვ., განახლების მუხტით არის შთაგონებული და ავტორთა მოდერნისტული პლატფორმის გამომხატველია. წერილი „ირრედენტისთვის“ ეხმიანება ტ. ტაბიძის სტატია „ირრიდენტას“ გამო ბათუმში გამომავალი გაზეთის „მთლიანი საქართველო“ დახურვის ფაქტს, მასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს და ქვეყნის ერთიანობის იდეას გამოხატავს: „მხოლოდ რჩება უდრეკი ნება მთლიანი საქართველოსი თავისი სხეულის გამრთელებისათვის, და გარდაუვალი ირრედენტა: ლაზისტანი და ტრაპიზონი“. იმდროინდელი ქართული ჟურნალისტიკა კრიტიკულად არის შეფასებული ვარამ გაგელის (ვ. გაფრინდაშვილის) სტატიაში „ქართული პრესა“. პირველ ნომერში იბეჭდება გრ. რობაქიძის მისასალმებელი სიტყვა ევროპის სოციალისტთა მიმართ.

„ბარრიკადი“ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისადმი პოზიტიურად იყო განწყობილი. 1920 გრ. რობაქიძემ გამოაქვეყნა წერილი „ნოე ჟორდანია“. ავტორი მეტაფორებს, ეპითეტებსა და ჰიპერბოლებს არ იშურებს, რათა პოლიტიკოსის განუმეორებელი სახე წარმოადგინოს. გრ. რობაქიძის აზრით, ნ. ჟორდანია ინტუიციით გრძნობს ერთა სოლიდარობის სიკეთეებს საქართველოსთვის, ურომლისოდაც პატარა ერს არ ეყოფა ბიოლოგიური ენერგია ნაციონალური განვითარებისთვის. ავტორის თქმით, იგი რუსეთთან შეერთებას მხოლოდ იმიტომ ეთანხმებოდა, რომ ევროპისკენ გზა გაგვეჭრა, მაგრამ როცა იმპერიის ბოროტი ზრახვები გააცნობიერა, მაშინვე მიემხრო მისგან გამოყოფას. გრ. რობაქიძე კალამსაც უქებს მთავრობის თავმჯდომარეს: „მას არ უყვარს სიბნელე და სძულს განყენება: მის სიტყვაში ჭვირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა...“ ამ წერილს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, უმრავლესობას მოეწონა, თუმცა, მაგალითად, პირველი პირის ზღვარგადასულმა ქებამ საზოგადო მოღვაწე კატო მიქელაძე ძალზე გააღიზიანა. იგი სტატიას კრიტიკული ლექსითაც კი გამოეხმაურა. 1922 წ-ის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა ტ. ტაბიძის დეკლარაცია „ცისფერი ყანწები“, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს ლიტერატურული ორდენის განუმეორებლობასა და ერთადერთობას, იგი სოციალური რევოლუციის იდეისადმი ერთგულებასაც ადასტურებს და „ცისფერყანწელების“ მიზნად აცხადებს რევოლუციურ გარდატეხას მწერლობაში. გაზეთის ცალკეული სტატიები შეეხება ლიტერატურულ მიმდინარეობებს, მაგ., გ. რ. ფსევდონიმით გამოქვეყნებულია

წერილი „იმპრესიონიზმი“. ასევე, პუბლიკაციები ეძღვნება ფრანგი სიმბოლისტების - არტურ რემბოს, სტეფან მალარმესა და სხვა ავტორთა შემოქმედებას. გამოცემა პატივს მიაგებს რუსულ ლიტერატურას. ტ. ტაბიძე დეკლარაცია „ცისფერი ყანწებში“ საუბრობს ალ. ბლოკის, თ. დოსტოევსკისა და ა. ბელის შემოქმედებაზე. 1922 წ-ის მეოთხე ნომრის პირველი გვერდი ეძღვნება პოეტ ალ. ბლოკს. მეექვსე ნომერი კი, თითქმის მთლიანად - დოსტოევსკის. ესეში „ქიმერიონი“ ტ. ტაბიძემ წარმოაჩინა ს. სუდეიკინის, ლ. გუდიაშვილისა და დ. კაკაბაძის მიერ მოხატული კაფე „ქიმერიონი“ - ცისფერყანწელთა თავშეყრის ადგილი. გაზეთი მუდმივად აქვეყნებდა „ცისფერყანწელი“ პოეტების ლექსებს, თარგმანებს, აგრეთვე, მკითხველს აწვდიდა ინფორმაციებს ახალი წიგნების შესახებ.

ლიტ.: გაზ. „ბარრიკადი“, 1920, №1-3, 1922, №4-7, 1924, №1; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; ს. ს ი გ უ ა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2002.

მარი წერეთელი

ბარნოვი ვასილ ზაქარიას ძე (ბარნაველი) (22.V.1856, სოფ. კოდა, თბილსიის მაზრ. - 4.XI.1934, თბილისი) - მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში. 1878 ჩააბარა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში სენაკის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობდა, შემდგომ მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ. 1880 წ-ის მიწურულს აირჩიეს ქ.შ.წ.კ.გ.ს. წევრად. 1978-1979 წწ-ში გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა პირველი კორესპონდენცია „რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან“ და ლექსი „ქართველი ქალი“. 1893 ჟურ. „კვალში“ გამოქვეყნდა პირველი მოთხრობა „პატარა ლევანი“. 1901 გაზ. „მოამბეში“ - პირველი რომანი „ისნის ცისკარი“. 1885 თელავში გადავიდა მასწავლებლად. 1911 თბილისში დაბრუნდა და სასულიერო სემინარიაში ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა. ასევე მუშაობდა დიმიტრი ბაქრაძის „ისტორიულ-არქეოლოგიურ კაბინეტში“ და გაზ. „ივერიაში“.

1917 წ-დან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1918-1924 წწ-ში ასწავლიდა ქართულ სიტყვიერებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ, სრული გიმნაზიის უფლებით მოქმედ „შალვა ნუცუბიძის კურსებზე“, 1918-1921 წწ-ში - თბილისის იუნკერთა სასწავლებელში. 1918 დაასრულა მუშაობა ცნობილ რომანზე „ტრფობა წამებული“, სიუჟეტი VIII-IX სს. საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან იყო აღებული. 1919 დაწერა მოთხრობა „გველის ზეიმი“. 1919 ფოლკლორული და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების საფუძველზე შეადგინა არსენა ოძელაშვილის სრული ბიოგრაფია. 1919 აღინიშნა იუბილე, რომელსაც იმდროინდელი პრესა აქტიურად ეხმაურებოდა. ქვეყნდებოდა არაერთი წერილი და ფოტო. 1920 - „განასკვილი სიმი“ და „სადედოფლო სარტყელი“. 5.X.1920 ქ. სიღნაღში აღინიშნა მისი სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. მოხსენებები წაიკითხეს: გ. ლეონიძემ, კ. მაყაშვილმა, დუტუ მეგრელმა, ს. შანშიაშვილმა და სხვ. 1921 - „ნაძვნარის დევი“. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ჩაბმული იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში.

1921-1930 წწ-ში თბილისის უნივერსიტეტის მუშფაკში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ავტორია რომანებისა: „მიმქრალი შარავანდედი“, „არმაზის მსხვრევა“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ცოდვა სიჭაბუკისა“, „ისნის ცისკარი“ და მრავლობითი მოთხრობებისა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ენც. „საქართველო“, ტ. I, თბილისი, 1997; შ. რ ა დ ი ა ნ ი, „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“, თბ., 1944; **3.** ც ი ს კ ა რ ი ძ ე, ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ ზაქარიას ძე; ს. ჭ ი ლ ა ი ა, უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972; გაზ. ერთობა, 1919, №240, №244; ჟურ. ცისარტყელა, 1919, №6; ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №9;

ეკა ჯავახიშვილი



ბარნოვი ვასილ

ბარხუდაროვი არშაკ (1870, ტფილისი - ?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. სომხური ნაციონალისტური პარტიის ლიდერი. 1885 ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის გიმნაზია. უმაღლესი იურიდიული განათლება რუსეთში, მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ნაფიც ვექილად. ჩართული იყო პოლიტიკურ საქმიანობაში, იყო კადეტთა პარტიის წევრი.

1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სომეხთათვის გამოყოფილი კვოტით შევიდა პარლამენტში, წევრად დაასახელა კადეტთა პარტიამ. პარლამენტში იყო სომეხთა ნაციონალისტური ფრაქციის თავმჯდომარე.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127; გაზ. „ერთობა“, 1918, №207; РГИА, Ф. 733 Оп. 165 Д. 255.

ირაკლი ირემაძე

ბაუერზაკსი მ.ი.(?-?) - სახელმწიფო თეატრის (ოპერა) პრიმა-ბალერინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მისი არაერთი ფოტო დაიბეჭდა ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „ხელოვნება“. იოსებ

ბაუერზაკსი

ბაქარაძე ზაქარია

ბახუტაშვილი-შულიგინა ოლღა

გრიშაშვილიმა ლექსი მიუძღვნა - „ბაუერზაკსს“ (პატარა სონეტი). 1918 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აღსანიშნავ საღამო-კონცერტზე მონაწილეობდა. ამის შესახებ მარო თარხნიშვილის მოგონებებშია აღნიშნული. 1919 სახელმწიფო თეატრის (ოპერა) არაერთი წარმოდგენის მონაწილეა. 26.II.1919, ბალეტმეისტერ ვაკარეცთან ერთად, მისი ბენეფისი იყო ოპერებში „კომელია“ და „ვაკხის გაღვიძება“. 30.V.1919 კი „გრძნეული ფლეიტა“, „საბალეტო დივერტისმენტი“, „ქორწილი მოლოროსიაში“ წარმოადგინეს. 22.VI.1919 ქართულ კლუბში მესხეთ-ჯავახეთის დღე აღინიშნა, სადაც ბალეტი ბაუერზაკსისა და ვაკარეცის შესრულებით დაიდგა. 7.XII.1919 არტისტული საზოგადოების დარბაზში „სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ და აგრონომ სტუდენტთა კავშირის გასაძლიერებლად დიდი საღამო გაიმართება, რომელშიც ბაუერზაკსი და ვაკარეცი მონაწილეობდნენ.

1.XI.1922 ბათუმში, დ. კაზარინის სახალხო მუსიკალურ სტუდიაში ასწავლის. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება განათლების კომისიის სხდომის ოქმი, რომელშიც დ. კაზარინის სტუდიის გახსნაზეა საუბარი. ოქმში წერია: „პლასტიკა-სუნთქვა; სავარჯიშოები პლასტიკისთვის; ფიგურის მხატვრულად განვითარება; ოპერებიდან, ბალეტებიდან ცეკვები - ბაუერზაკსი (პრიმა-ბალერინა)“.

ლიტ.: ლ. ი ნ ა შ ვ ი ლ ი, „მოსწავლეთა მუსიკალური განათლების პედაგოგიკური საფუძვლები და მათი სრულყოფის ოპტიმალური საშუალებები“, თელავი, 2008; ჟურ. „ხელოვნება“, 1919, №2; ჟურ. „თეატრი და მუსიკა“, 1919, №1, №15; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №555; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №45, №115, №133, №277.

სალომე ჭანტურიძე

ბაქრაძე ზაქარია (შაქრო) დიმიტრის ძე (22.X.1868 - 1939) - გენერალი. ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ბაქრაძის ვაჟი. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის კადეტთა კორპუსში. შემდეგ დაამთავრა მოსკოვის ქვეით იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკად გაიგზავნა მე-10 მსროლელთა პოლკში (1894). პორუჩიკი (1898). ჩინეთში ლაშქრობის მონაწილე 1900-1901 წწ-ში. შტაბსკაპიტანი (1902). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა წარჩინებით. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. კაპიტანი (1904). პოდპოლკოვნიკი (1912). 1913 მსახურობდა ციმბირის მე-9 მსროლელთა პოლკში. I მსოფლიო ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1914). რუსეთის არმიის მიერ განხორციელებული ყველაზე წარმატებული ე.წ. ბრუსილოვის იერიშის მონაწილე. ერთ-ერთი პირველი შევიდა ლვოვში. გამოირჩეოდა საოცარი პირადი ვაჟკაცობით. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლითა და ბაბთით , წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლითა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლით, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. გიორგის მე-3 ხარისხის.

1918 წ-დან საქართველოშია. დეკემბერში სომხეთთან ომის დროს მიენიჭა გენერლობა და იყო ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმის ხელმძღვანელი. 1921 წ-ის თებერვალში თბილისის დაცვის დროს, რადგან არ იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, მოხალისედ ჩაეწერა. თბილისიდან უკან დახევის შემდეგ დაინიშნა იმ შენაერთების მეთაურად, რომლებსაც მამისონის უღელტეხილიდან შემოჭრილი მოწინააღმდეგე უნდა შეეჩერებინათ.

ოკუპაციის შემდეგ პოლონეთში წავიდა ემიგრაციაში. 1923 წ-დან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. იყო ქალაქ ბიდგოშცეს კომენდანტი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru; http://reglment. ru; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ბახტაძე ივანე (1886, სოფ. ჭყვიში, ქუთაისის მაზრ - ?) - სოციალისტ-რევოლუციონერი. საარქივო მასალების მიხედვით, 1918 წ-ის 5 ნოემბრიდან გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107.

ბახუტაშვილი-შულგინა ოლღა ალექსანდრეს ასული (13.IV.1879, ქუთაისი - 20.IV.1950, თბილისი) - ერთ-ერთი პირველი ქართველი საოპერო მომღერალი ქალი. დრამატული სოპრანო. ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი. პედაგოგი. მკვლევარი. დაიბადა ექიმის ოჯახში, რომელიც თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მუსიკა დედამ შეაყვარა და ფორტეპიანოზე დაკვრის შესასწავლად პროფესორ ი. მატკოვსკისთან მიიყვანა, რომელთანაც ჯერ კერძოდ სწავლობდა, შემდეგ კი - მუსიკალურ სასწავლებელში. 19 წლის ოლღა მოწაფედ აიყვანა პროფესორმა ე.კ. რადიანოვმა, ხოლო შემდეგ - მილანიდან ჩამოსულმა პედაგოგმა პ. რონციმ. მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის დროს გამოდის კონცერტებზე და ასრულებს ნაწყვეტებს სხვადასხვა ოპერებიდან. 7.IV.1900 მოწყობილ კონცერტში ოლღას გამოსვლას დადებითად ეხმაურება პრესა. 29.XII.1901 შედგა მისი დებიუტი თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე. 1902 ქართველი ჟურნალისტი ა. ყანჩელი აღფრთოვანებულ ფელეტონს უძღვნის. იმავე წელს, ანტრეპრენიორ ალექსი წერეთლის მიწვევით, მოსკოვს მიემგზავრება და საზაფხულო თე-

ატრ „აკვარიუმში“ სხვადასხვა როლს ასრულებს. მოსკოვში კონცერტების ჩატარების შემდეგ პეტერბურგის „უმაღლეს ვოკალურ კურსებზე შედის და ი. პ. პრიანიშნიკოვის ხელმძღვანელობით ვოკალური ტექნიკის დახვეწასა და ხმის სრულყოფაზე მუშაობს. შარლ გუნოს „ფაუსტიდან“ - მარგარიტას, რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზებიდან“ - ნედას, ანტონ რუბინშტეინის „დემონიდან“ - თამარის და ჯაკომო მეიერბერის „ჰუგენოტებიდან“ ვალენტინას პარტიებს ამუშავებს. 1903 პარიზსა და მილანში მიემგზავრება. პარიზში - პროფ. ტეკისთან, ხოლო მილანში პროფესორ ვიდალთან და პროფესორ ბროჯისთან მეცადინეობს. 1904 დაბრუნდა მოსკოვში და დიდი თეატრის სცენაზე „პიკის ქალში“ მისი დებიუტი შედგა. დიდი თეატრის მიერ შეთავაზებული 3-წლიანი კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ კიევში გადადის, წარმატებით ასრულებს იოლანტას, ნედას, ჩიო-ჩიო-სანის, მარიას, თამარის და აზას როლებს. 1906-დან ოდესის ოპერის თეატრში იწვევენ, სადაც ოთხი წლის განმავლობაში რჩება სამუშაოდ. პარალელურად ატარებს კონცერტებს თბილისში, ბაქოში, ხარკოვში, ყაზანში, კისლოვოდსკში, ეკატერინბურგსა და სხვა ქალაქებში.

1917 ო. ბახუტაშვილი საქართველოში ბრუნდება და თბილისის ოპერის თეატრში ათწლიან სცენურ მოღვაწეობას იწყებს. იმავე წელს ქართულ კლუბში დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობს და, ავტორის თხოვნით, ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ თამარ დედოფლის კავატინას ასრულებს. 1918 წ-დან ფილარმონიის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. 5.II.1919 პროფესიულ სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერის, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ საზეიმო პრემიერაში მონაწილეობს და გულჩინას პარტიას, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე დადგმულ ა. რუბინშტეინის „დემონში“ თამარის როლს ასრულებს. 21.II.1919 მონაწილეობს ქართული ეროვნული მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულში, ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერაში და ეთერის როლში გვევლინება. კომპოზიტორი, მისი თხოვნით, ეთერის არიაში („დედინაცვალი“) ბოლო ნაწილს ცვლის და მეორე ოქტავის სოლს უმატებს, ეთერის უკანასკნელ არიაში კი, მისივე თხოვნით, ბოლო ბგერის სის წინ შვიდ ტაქტს ამატებს, სიზე დამთავრებულ უკანასკნელ წინადაებას კი piano-ზე ასრულებს. მარტო 1919 სეზონში, „აბესალომ და ეთერის“ დადგმაში, ზედიზედ ოცდახუთჯერ, ერთიმეორეზე უკეთესად მღერის.

1921 წ-დან მეორე კონსერვატორიაში ვოკალურ კლასს ხელმძღვანელობს. 1926, მისი ინიციატივითა და მონაწილეობით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, საქართველოში პირველი ვოკალურ-სამეცნიერო წრე ყალიბდება, სადაც ვოკალის პედაგოგებთან ერთად ფიზიოლოგები, ლარინგოლოგები, აკუსტიკოსები და ფსიქოლოგები მოღვაწეობენ. იმავე წელს ინიშნება კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის დეკანად. პედაგოგობის პარალელურად სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ატარებს და გამოსცემს არაერთ ნაშრომს. 1937 მოსკოვში ვოკალური განათლებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე მეთოდური მოხსენებით გამოდის. დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა ვოკალური აღზრდის საკითხებს და მუსიკალური ათწლედის დირექტორთან - გ. თაქთაქიშვილთან ერთად, სპეციალურ განყოფილებას აყალიბებს და ხელმძღვანელობს. მისი აღზრდილია მრავალი ცნობილი ხელოვანი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო ნაწილებისა და ჰოსპიტლების აქტიური მხარდაჭერისათვის აჯილდოებენ ორდენებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისთვის 1941-1945 წწ-ის დიდ სამამულო ომში“.

ლიტ.: ვ. ბერიძე, „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები)“, თბ., 1992; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; ნ. ბახუტაშვილი, „გამოჩენილი მომღერალი და პედაგოგი“, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №9; მ. ყვარელაშვილი, „თაობათა აღმზრდელი“, ჟურ. „ქართველი ქალი“, 1978, №9.

ზურაბ ლეჟავა

ბენაშვილი ანდრია მიხეილის ძე (23.III.1868 - 28.VI.1941) - გენერალი. ცნობილი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1885. 1887 დაამთავრა ალექსანდრეს სახელობის მე-3 სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1887). პორუჩიკი (1890). 1899 დაამთავრა გენერალური შტაბის გეოდეზიური განყოფილება 1-ლი თანრიგით და დაიცვა დისერტაცია. შტაბსკაპიტანი (1899). კაპიტანი (1901). პოდპოლკოვნიკი (1904). პოლკოვნიკი (1908). 1904-1916 წწ-ში იყო რუსეთის დასავლეთ სასაზღვრო სივრცეთა ტრიანგულაციის უფროსი. I მსოფლიო ომის დასაწყისში კიევის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში ირიცხება. 1916 წ-ის ივლისიდან 404-ე პოლკის მეთაურია. გენერალ-მაიორი (1917). 1917 32-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. გენერალ-ლეიტენანტი (1917). ამავე დროს მოღვაწეობდა სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის , წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის.

ბენაშვილი ანდრია

ბერეჟიანი სიმონ

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 წ-ის დეკემბერში სომხეთთან ომის დროს მეთაურობდა ქვეითთა მე-5 პოლკს. შემდგომში იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსი. კითხულობდა ლექციებს ქართულ სამხედრო სკოლაში. სხვადასხვა დროს იყო: თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი, თბილისის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრების გამგე, გეოდეზიის კათედრის გამგე. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа т. I, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ბერგი ედუარდ (?-?) - გერმანული წარმომავლობის ბანკირი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელე კავკასიაში, საიმპერიო ბანკის თბილისის ფილიალის უკანასკნელი გამგე. ცნობილი იყო თავისი პროფესიონალიზმით, მაღალი რეპუტაციითა და გავლენით კავკასიელ ბანკირთა წრეში. მნიშვნელოვანი თანადგომა გაუწია ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატს, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას საკუთარი ფულის ნიშნების შემოღების პროცესში. მის ამ დამსახურებას აღნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი, რომელიც წერდა: „იგი ამიერკავკასიის და საქართველოს ფინანსებში ძალიან ჩახედული იყო; მთელი თავის ცოდნით და გავლენით შეებრძოლა ბანკების წარმომადგენელთა წრეებში ნაცად და მოსალოდნელ ოინებს; მთელი თავის შეგნებით საქართველოს ხელისუფლების მხარეზე დადგა და ქართული ბონის გამოშვების წინასწარ ნიადაგის მომზადებაში დიდი როლი ითამაშა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე იასონ ლორთქიფანიძე თავის დღიურში არაერთხელ იხსენიებს ე. ბერგს, რომელმაც რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის კანტორაში დაცული საფასეები საქართველოს ხელისუფლებას გადასცა.

ლიტ.: კ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, დამოუკიდებელი საქართველო. მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარ., 1960; იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დღიური (1915-1932), წგნ.: „XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები“, თბ., 2012; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ბერეჟიანი (თაყაიშვილი) სიმონ (სიმონიკა) (1897 - 1942) - ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწე, პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და მხატვარი-კარიკატურისტი. დაიბადა ქუთაისში, ერმილე თაყაიშვილის მრავალშვილიან ოჯახში. გაზარდა უშვილო დეიდამ, მამობილმა მას თავისი სახელი და გვარი მისცა. მოგვიანებით, როცა თავისი წარმოშობის შესახებ შეიტყო, გვარის გამოცვლა საჭიროდ აღარ ჩათვალა. 1917 დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია.

1918-1920 წწ-ში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ოფიცერი და მონაწილეობა მიიღო ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში, რომელთა გადატანა მოუხდა პირველ ქართულ რესპუბლიკას. 1920 უმაღლესი განათლების მისაღებად გაიგზავნა გერმანიაში. სამი წლის მანძილზე სწავლობდა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. საქართველოს ანექსიის გამო, სამუდამოდ დარჩა ემიგრაციაში.

1923 ჩავიდა პარიზში, სადაც ჩაება ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1924 აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის“ დაარსებაში. 1926 დაარსდა აღნიშნული ორგანიზაციის გაზეთი „თეთრი გიორგი“. პარიზში გადასვლისთანავე შეუდგა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. მისი ლექსები და პუბლიცისტური წერილები „სიმონ ბერგერის“ ფსევდონიმით სისტემატურად ქვეყნდებოდა ხსენებულ გაზეთში და ჟურნალში „ქართლოსი“ (რომელიც ასევე პარიზში გამოდიოდა). რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ჟურ. „კავკასიონში“. 1941 ჩავიდა გერმანიაში და „სიმონ ბერგერის“ სახელით ჩაირიცხა ვერმახტის ქართულ ლეგიონში, რომელსაც ვერმახტის ქართველი გენერალი შალვა მაღლაკელიძე მეთაურობდა. მისი პუბლიცისტური წერილებიდან და ფელეტონებიდან აღსანიშნავია: „ილია ჭავჭავაძე“ (გაზ. „თეთრი გიორგი“, №9, 1927), „მოხსენება შოთა რუსთაველზე“ („თეთრი გიორგი“, №38, 1931), „ემიგრანტის დღიურიდან“ („თეთრი გიორგი“, 1927), „ჭირსა შიგან გამაგრება“ („თეთრი გიორგი“, №98, 1936), „ქართული კონცერტი პარიზში“ (ჟ. „ქართლოსი“, №16-18, 1939) და ა.შ. „თეთრი გიორგის“და „ქართლოსის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა მისი კარიკატურები, რომელთა დიდი ნაწილი პოლიტიკურ თემებზეა შექმნილი. ქართული პოლიტიკური კარიკატურის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატად ითვლება. 1942 აუცილებელი გახდა მისი სამხედრო ლაზარეთში მოთავსება. მოგვიანებით მიუნხენის რადიომ გადასცა ცნობა, რომ ის შტუტგარტში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისი საფლავი დაკარგულად ითვლება. 1943, ვიქტორ ნოზაძის რედაქციით და მარკოზ ტუღუშის ვრცელი წინასიტყვაობით, ბერლინში გამოიცა მისი ლექსების კრებული.

ლიტ.: რ. ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე, სიმონ ბერეჟიანი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2000; მ. ტ უ ღ უ შ ი, ს. ბერეჟიანი, ნაწერები, ბერ., 1943; გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ. III, თბ., 1993; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, სიმონიკო ბერეჟიანის შარჟები, ჟურ. „ომეგა", 2003, №4; მ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, სიმონ ბერეჟიანის ხსოვნისათვის, ჟურნ. „კავკასიონი", პარ., 1978, №19.

გაგა ლომიძე

ბერიტაშვილი ივანე სოლომონის ძე (1884, სოფ. ვეჯინი - 1974, თბილისი) - ფიზიოლოგი, საქართველოში ფიზიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ნიუ-ორკის მეცნიერებათა კადემიის წევრი (1959), უმაღლესი ნერვული მოქმედების საერთაშორისო კოლეგიის წევრი (1969), ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიული საზოგადოების (1969) საპატიო წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ი. ბერიტაშვილმა 1910 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. 1910-1915 მუშაობდა იმავე უნივერსიტეტში ნ. ვედენსკის ხელმძღვანელობით. 1912 პეტერბურგიდან სამეცნიერო მივლინებით იგზავნება ჯერ ყაზანში - ა. სამოილოვის ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ ჰოლანდიის ქ. უტრეხტში - რ. მაგნუსის ლაბორატორიაში.

1915-1919 წწ-ში იყო ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1919 მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დააარსა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. 1919 სახალხო განათლების მინისტრის ნოე რამიშვილის დავალებით ივ. ბერიტაშვილი სპეციალურად მიავლინეს ოდესაში უნივერსიტეტის დარგობრივი ბიბლიოთეკის შესავსებად.

1935 წ-დან ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ბაზაზე დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია. ი. ბერიტაშვილი ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა და გამოკვლევებისა. მან დაადგინა: ზურგის ტვინის პროპრიოცეპტული, მოტორული ელემენტებისა და ჟელატინოზური სუბსტანციის როლი კიდურთა ფაზურ კოორდინირებულ მოძრაობებში (1909-1914), კისრისა და ლაბირინთული ტონური რეფლექსების ნერვული მექანიზმი (1914-1915), პირობითი რეფლექსების გამომუშავების დროს ორმხრივი დროებითი ნერვული კავშირების წარმოშობა (1916-1922), პირობითი რეფლექსების წარმოშობა გაღიზიანებათა უკუშეუღლებისას (1917), ინდივიდუალურად შეძენილი კვებითი ან თავდაცვითი ქცევის განხორციელება საკვების ან დამაზიანებელი აგენტის და მათი ადგილმდებარეობის ერთჯერად აღქმისას და ქცევის რეგულირება საკვების ან ცხოველის მტრის ადგილმდებარეობის რეპროდუქციით (1932-1935), პირობითი რეფლექსის ავტომატური უნებლიე ხასიათი, სივრცეში ადამიანისა და ცხოველის ორიენტაციის ნერვულ-ფსიქიკური მექანიზმი (1959), ხატური და ემოციური მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა (1967) და ა. შ.

ლიტ.: ნ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ბერიტაშვილი, თბ., 1962; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926", თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი



ბერიტაშვილი ივანე

ბერიშვილი ზაქარია (შაქრო) ივანეს ძე (28.I.1887, თბილისი - 9.V.1965) - ქართველი რეჟისორი და მსახიობი. საქართველოს დამსახურებული მოღვაწე (1961). 1905-1921 იყო თეატრის მსახიობი.

გიორგი ჯაბადართან ერთად შექმნა თეატრალური სტუდია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდა მსახიობთა მომზადებაში. 1919 წ-ის 2 იანვარს არტისტული საზოგადოების თეატრში ქართული სტუდიის მიერ, ზ. ბერიშვილის და გ. ჯაბადარის რეჟისორობით, ქართველ მეომართა პატივსაცემად, ა. სუმბათაშვილის „ღალატი" დაიდგა. 1920 წ-ის 26 ნოემბერს არტისტული საზოგადოების თეატრში საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის დრამატულმა სტუდიამ ლ. ჯაკოს „ვითა ფოთლები" წარმოადგინა. პიესის გამძღოლი ბერიშვილი იყო. 1920 წ-ის 14 მარტს მუშტაიდის კლუბში, შ. ბერიშვილის რეჟისორობით, ერისთავის „მეორედ გაყმაწვილება" დაიდგა. 1920 წ-ის 13 აპრილს ნაძალადევის მუშათა კლუბში თბილისის კვანძის რკინიგზელთა სცენის მოყვარეთა წრის მიერ შ. ბერიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა მხიარული კომედია „მაწანწალა სამოთხეში". 1920 წ-ის 14 აპრილს იგივე წარმოდგენა გაიმართა ბავშვებისთვის.

ბერიშვილი ზაქარია

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921) მონაწილეობდა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კინოსექციის ჩამოყალიბებაში. მუშაობდა რეჟისორის თანაშემწედ და ასისტენტად. შესრულებული აქვს ეპიზოდური როლები სხვადასხვა ფილმებში. ზ. ბერიშვილის პირველი დამოუკიდებელი ფილმია „იბრაჰიმ და გოდერძი" (1927), მანვე გადაიღო „ღრუბელთა თავშესაფარი" (1928), „საკანი №79" (1930), „ტანია ფრონტზე" (1931), „მდინარის გაღმა" (1935), „ცანის ხეობის საუნჯე" (1941).

ლიტ.: ქსე, ტ. II, თბ., 1977; მ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე, ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2011; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №1, №267; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1920, №11, №15.

მერაბ გეგია, სალომე ჭანტურიძე

ბერიშვილი პავლე აბრამის ძე (1891, სოფ. მოედანი - 17.11.1937) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევ-



ბერიშილი პავლე

რი. თავდაპირველი განათლება მიიღო ონის სამოქალაქო სასწავლებელში, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო ბაქოს ტექნიკურ სასწავლებელში ლითონის დამუშავებისა და ხარატის სპეციალობით. სწავლის პერიოდიდანვე ჩაება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში და მისი წევრიც გახდა. ბაქოდან საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში, სადაც ქარხანაში დაიწყო მუშაობა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ იგი მოხალისედ მიდის ომში.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ პ. ბერიშვილი მუშაობას იწყებს პროფკავშირების საბჭოში, ჯერ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. როგორც სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი, ის აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. დამოუკიდებლობის პერიოდში ასევე მუშაობდა შრომის სამინისტროში.

საბჭოთა ოკუპაციის დროს მონაწილეობას იღებდა საოკუპაციო ძალებთან ბრძოლაში, მოგვიანებით მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1922 დაპატიმრებულ იქნა ჩეკას მიერ. 1926 გადაასახლეს შუა აზიაში, თუმცა კარგი მუშაობის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ის გათავისუფლების შემდეგ კვლავ აგრძელებდა. 1929 ის კიდევ ერთხელ იქნა გადასახლებული. 1935 დაბრუნდა საქართველოში. 1937 დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ბერშტეინი ერიკ

ბერნშტეინი ერიკ ადოლფის ძე (1966 - 19.I.1932, ბერლინი) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. გერმანელი. პროფესიით მასწავლებელი. 1917 შეუერთდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. 1918 იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი.

1919 წ-ის თებერვალში ერიკ ბერნშტეინი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს. დამფუძნებელ კრებაში იყო მომარაგების კომისიის წევრი და საფინანსო კომისიის მდივანი. აქტიურ როლს თამაშობდა გერმანიასთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაბმის საქმეში. 1920 წ-ის 9 ნოემბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზ. „ტაიმსზე“ დაყრდნობით წერდა, რომ „საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი ერიკ ბერნშტეინი გერმანიის კანცლერმა მიიღო“.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში, ინარჩუნებდა მუდმივ კავშირს ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან. 1930 წ-ის 14 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ბერლინში გამართულ ნოე რამიშვილის გასახსენებელ სამგლოვიარო კრებაში, სადაც დამსწრე საზოგადოებას ვრცელი სიტყვით მიმართა. გარდაიცვალა ბერლინში.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბ., 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №228. ჟურ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930.

ირაკლი ირემაძე

ბიბლიოთეკა-სამკითხველოები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებას ხელისუფლება როგორც საგანმანათლებლო, ასევე პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეროვნული იდეოლოგია და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ყველასთვის გასაგები და მისაღები უნდა გამხდარიყო. საჭირო იყო ჟურნალ-გაზეთების ხელმისაწვდომობა, რისთვისაც სისტემატური ხასიათი უნდა მისცემოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობას. საქართველოში გატარებულმა საერობო რეფორმამ და ერობების შექნამ ხელი შეუწყო ამ პროცესის გაღრმავებას. თითოეულ სკოლასთან იხსნებოდა სამკითხველო, ერობა ყველა რაიონში ხსნიდა ერთ ცენტრალურ ბიბლიოთეკას. სამაზრო ერობის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებობდა საბიბლიოთეკო კომისია, რომელიც საერთო ხელძღვანელობას უწევდა მაზრის ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მუშაობას, ქმნიდა ინსტრუქციებს, ადგენდა საბიბლიოთეკო ქსელს. რაიონებსა და სოფლებში იმართებოდა სახალხო კითხვები, წინასწარ დგებოდა წასაკითხი მასალის სია, გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ინტერესები და მოთხოვნები, კითხვის დროს იყენებდნენ კინემატოგრაფს, ფანარს, რომელთაც სამაზრო ერობა იძენდა. 1918 წ-ის 8 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტს წარედგინა განსახილველად კანონპროექტი „წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ“. შინაგან საქმეთა მინისტრი ამ ღონისძიებას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. ბიბლიოთეკების გახსნა სოფლებში საერობო თვითმმართველობების საქმე იყო, მაგრამ ეს ორგანოები ნელა ფორმირდებოდა, ზოგან კი სულაც არ დაუწყია მუშაობა იმ ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, რაც ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკაში იყო. „ცხოვრება კი არ ითმენს და თავისას ითხოვს“, - წერდა მინისტრი ნოე რამიშვილი, - „შექმნილი პირობების გამო ერის კულტურული და ზნეობრივი მხარე მოდუნდა, ბევრ ჩვენს სოფელში კვლავ მძვინვარებს ანარქია, ამისთვის რევოლუციით მონაპოვარი თავისუფლება და დემოკრატიული რეფორმები რომ უფრო მტკიცე საფუძველზე იქნეს აგებული, საჭიროა ეხლავე ხელი შევუწყოთ ხალხის კულტურულ შემოქმედებას და თვითშემეცნებას. ამ მიზნით სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლებში წიგნთსაცავ-სამკითხველოების მოწყობას, რისთვისაც საჭიროდ რაცხს

ეხლავე გახსნას ყოველ სოფლის საზოგადოებაში არსებულ სკოლებთან წიგნთსაცავ-სამკითხველოები, განსაკუთრებით უკანასკნელნი, ვინაიდან შესაძლებელია წიგნთსაცავების გახსნა ამჟამად ყველგან არ მოხერხდეს". მინისტრი თვლიდა, რომ, სადაც სკოლა არ იყო, იქ წიგნთსაცავ-სამკითხველო უნდა გახსნილიყო სოფლის სამმართველოსთან. სკოლებთან არსებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს მასწავლებლები უხელმძღვანელებდნენ, ხოლო სამმართველოებთან არსებულს - კომისრები, სანამ ერობა არ აიღებდა ხელში მართვას და ამ საქმეს არ გაუძღვებოდა. სულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 500 წიგნთსაცავ-სამკითხველო უნდა დაარსებულიყო. კანონპროექტი ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა და კანონმა საბოლოოდ, შესწორებების შემდეგ, ასეთი სახე მიიღო: „1. დაარსდეს რესუბლიკის სოფლის ყოველ სკოლასთან წიგნთსაცავი-სამკითხველო; 2. იმ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლა ჯერ კიდევ არ არსებობს, წიგნთსაცავ-სამკითხველო გახსნილი იქნეს სოფლის სამმართველოსთან; 3. სოფლის სკოლებთან დაარსებული წიგნთსაცავ-სამკითხველოების გამგებლობა დროებით დაევალოს სკოლების ზედამხედველებს, ხოლო სოფლის სამმართველოებთან - კომისრებს; 4. დღიდან საერობო თვითმმართველობის შემოღებისა, წიგნთსაცავ-სამკითხველოები გადაეცეს საერობო დაწესებულებას და ამ უკანასკნელს დაევალოს მათი პატრონობა; 5. დაეთმოს უფასოდ ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა; 6. ამ მიზნით გაცემულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულად 100 ათასი მან. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში; 7. ამ კანონის განხორციელება დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით; 8. კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ".

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 274.

დოდო ჭუმბურიძე

ბიული პავლე იაკობის ძე (1878, დაბა ელისავეტალი (სოფ. ასურეთი), თბილისის მაზრ. - 20.IV.1938, თბილისი) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. პროფესიით მასწავლებელი, განათლება მიიღო სპეციალიზებულ გერმანულ სასწავლებელში ბესარაბიის გუბერნიაში. პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოში არსებულ გერმანულ კოლონიებში, მათ შორის მშობლიურ სოფელშიც. ჩართული იყო პარტიულ მუშაობაში გერმანულ დასახლებებში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქციის სასარგებლოდ.

დამოუკიდებლობის პერიოდში პავლე ბიული მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანელ მოსახლეობას შორის ურთიერთობაში. 1919 წ-ის თებერვალში არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. იყო კრების აგრარული და სახალხო განათლების კომისიის წევრი. 1921 იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. მონაწილეობას იღებდა ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1924 წ-ის აჯანყების წინა პერიოდში ჩეკამ დააპატიმრა. სიცოცხლის ბოლო წლები მშობლიურ სოფელში გაატარა. დიდი ტერორის დროს კვლავ დაატიმრეს, 1938 ე.წ. „ტროიკამ" დახვრეტა მიუსაჯა. XX საუკუნის 40-იან წლებში მის ოჯახს საბჭოთა რეპრესიები და საქართველოდან გადასახლება არ ასცდა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108.

ირაკლი ირემაძე

ბიუჯეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, რაც შესაბამისად აისახებოდა სახელმწიფო ბიუჯეტზეც. საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) სიმონ ავალიანის მონაცემებით, 1918-1919 წწ-ში შემოსავლით დაფარული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის 25%, ხოლო 1919-1920 წწ-ში - 40%. მიუხედავად ამისა, საქართველოში იმხანად შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მაინც უკეთესი იყო როგორც მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი), ასევე, სხვა არაერთ სახელმწიფოსთან შედარებით. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მონაცემები უტოლდებოდა საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს. კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ცნობით, 1919-1920 წწ-ში სახელმწიფო შემოსავლით დაფარული იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგი ნაწილი: გერმანიაში - 11,7 %; ესტონეთში - 21,7%; პოლონეთში - 22,0%; რუმინეთში - 27,6%; იტალიაში - 29,8%. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შედარებით სტაბილურობას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი ხსნიდნენ რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ჩვენში დარჩენილი სახელმწიფო ქონების ვითომდაც „დიდი რაოდენობით". აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ იმ პერიოდში წარმოქმნილ ყველა ახალ სახელმწიფოს დარჩა უძრავ-მოძრავი ქონება იმ ქვეყნებისა, რომელთაც ისინი გამოეყვნენ. ეს მოვლენა სრულებით ბუნებრივად მიიჩნევა საერთაშორისო პრაქტიკაში. კ. კანდელაკი წე-

რდა: „თქმა იმის, რომ ამ ქონებამ რაიმე თვალსაჩინო როლი ითამაშა, ან შეეძლო ეთამაშა დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფო ფინანსების გასამაგრებლად, სრული ფანტაზიის ნაყოფია. ეს ქონება შესდგებოდა უმთავრესად სამხედრო ამუნიციის (იარაღი, ჯარის ტანსაცმელი, წითელი ჯვრის საგნები) და სატრანსპორტო საშვალებათა მასალისაგან, რომელიც დანიშნული იყო დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე (ტრაპიზონი, ერზრუმი და სხვ.) რკინიგზების გასაყვანად და იქ საერთოდ მისვლა-მოსვლის გასაუმჯობესებლათ (წვრილ ლიანდაგის რელსები, ძალიან შელახული ავტომობილები, შინები, სარემონტო მასალა)... როცა დამოუკიდებელი საქართველო დაეცა, მას დარჩა ვალი დაახლოებით სულ არა უმეტეს ერთი მილიონი ფრანკის, კერძო ბანკებისაგან თუ კერძო პირთა და დაწესებულებათაგან შემთხვევით და მოკლე ვადით აღებული, უმთავრესად სასურსათო საქმესთან დაკავშირებით; ხოლო იმავე დროს მისი ემართა ერთ დიდ უცხო სახელმწიფოს (აქ იგულისხმება დიდი ბრიტანეთი. ნ. ჯ.) მისთვის და მის ანგარიშზე დამოუკიდებელ საქართველოს მიერ გაღებული ოთხჯერ მეტი თანხა!“

სსრ კავშირის ხელისუფლების მიერ დადგენილ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული მკვლევრები იძულებულნი იყვნენ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა და, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც მაქსიმალურად უარყოფით ჭრილში წარმოეჩინათ. ასეთი არაობიექტური მიდგომის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის (1938-1952 წწ-ში) კანდიდ ჩარკვიანის გამოკვლევა, სადაც ავტორი ცდილობს, არა მხოლოდ გააკრიტიკოს, არამედ სასტიკად დაგმოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც იგი „ანტიხალხურს“ უწოდებს.

ლიტ.: „Экономическая жизнь“, Тб., 1920, №1; კ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, დამოუკიდებელი საქართველო, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარ., 1960; კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921 წწ.), თბ., 1998.

ნიკო ჯავახიშვილი

ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება (1919–1920) **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა** – ქვეყნის უპირველესი ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იყო შემოსავლების ნაწილი და სახელმწიფო უწყებების მიერ განსახორციელებელი ხარჯები. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წელს საქართველოს პარლამენტმა ვერ მოახერხა, ქვეყნის შემოსავლების და გასავლის აღრიცხვის საერთო დოკუმენტი შეედგინა. საკმაოდ დიდი იყო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ართულებდა საბიუჯეტო პარამეტრების წინასწარ დაგეგმვას.

1919 წ-ის მაის-ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა 1919-1920 წწ-ის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის პროექტი, რომელიც გადაეცა დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად. ბიუჯეტზე მუშაობისა და მიღების წესი საგანგებოდ იყო გაწერილი დამფუძნებელი კრების რეგლამენტში, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო განხილვამდე კომისიის დასკვნის არსებობას. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე მისი განხილვა საკმაოდ დიდი ხნით გადაიდო. ამის მიზეზი იყო ის, რომ თავად დოკუმენტი არ იყო სრულყოფილი. მოგვიანებით, როდესაც ბიუჯეტის პროექტს განიხილავდნენ, დეპუტატები არაერთგზის უთითებდნენ ამ ხარვეზზე. 1920-ის 5 თებერვლის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ „ბიუჯეტი სრული რვა თვეა, რაც კომისიას გადაეცა და არავითარი ნიშანი არა სჩანს იმისა, რომ იგი ახლო ხანში წარმოედგინება დამფუძნებელ კრებასო“. 1920 წ-ის 31 მაისს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი წარუდგინა, ასევე გადაწყდა, ეს დოკუმენტი განსახილველად გასულიყო შემდეგი სახელწოდებით - „სახელმწიფოს 1919-1920 წწ-ის ბიუჯეტი“.

დამფუძნებელი კრების წინაშე ბიუჯეტის შესახებ პირველი ვრცელი მოხსენებით 1920 წ-ის 16 ივლისის სხდომაზე წარდგა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე გრ. გიორგაძე. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ „დღეს დამფუძნებელი კრება იხილავს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვას, ბიუჯეტს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დამფუძნებელი კრება ამ დიად მნიშვნელოვან აქტის განხილვას იწყებს.“ ამასთანავე, გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა იმ სირთულეებზეც, რომელიც თან ახლდა ბიუჯეტის შედგენას: „ბიუჯეტი არის დროებითი და ამ მხრივ წარმოდგენილი ბიუჯეტი დაგვიანებული არის, მაგრამ ამ დაგვიანებას ფრიად მნიშვნელოვანი გასამართლებელი საბუთი აქვს. როდესაც საფინანსო კომისია შეუდგა წარმოდგენილ ბიუჯეტის განხილვას, ერთი აშკარა გახდა ჩვენთვის. მრავალი ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ იყო შეტანილი ბიუჯეტში. ჩვენ შევეცადეთ მთლიანობა დაგვეცვა და ყოველივე შემოსავალ-გასავალი შეტანილ ყოფილიყო, მაგრამ დღევანდლამდე ერთი უწყების ხარჯთ-აღრიცხვა არ არის შეტანილი. ეს არის მომარაგების სამინისტრო... გარდა ამისა მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ საფინანსო კომისიის მუშაობა ძნელდებოდა მით, რომ სანამ ის განიხილავდა ამა თუ იმ შტატს და აპირებდა მის დაწერას და დამზადებას საკანონმდებლო ორგანოსთვის, ცხოვრება სისწრაფით მიექანებოდა და ეს შტა-

ტები და მისი ხარჯები სულ სხვა სახეს იღებენ. საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა შეჩერდეს ერთ დატაზე. ეს არის 1920 წ-ის პირველი იანვარი. ის მომენტი, რომელიც იყო პირველ იანვრამდე მიღებულია მხედველობაში, პირველი იანვრის შემდეგ კი რა ცვლილება მოხდა ეს არ არის შეტანილი ბიუჯეტში“.

ბიუჯეტის განხილვა დამფუძნებელმა კრებამ განაგრძო 22 ივლისის სხდომაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა ლეო შენგელაია (მომხსენებელმა ვერ შეძლო სიტყვის დასრულება და 28 ივლისის სხდომაზე ბიუჯეტის განხილვა მისი გამოსვლით გაგრძელდა). ვრცელი დებატები ბიუჯეტის შესახებ გაიმართა 28-29 და 30 ივლისს, 4 და 7 აგვისტოს. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ლ. შენგელაიამ, თ. ღლონტმა, ბ. თევზაიამ, ი. სალაყაიამ, ს. კედიამ, ს. ავალიანმა, ი. ლორთქიფანიძემ, კ. ანდრონიკაშვილმა, ნ. ხომერიკმა, ალ. ასათიანმა, ივ. ჭავჭანიძემ, შ. ქარუმიძემ და სხვ. 1920 წ-ის 16 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „სახელმწიფოს 1919-1920 წწ-ს ბიუჯეტი“. იმავდროულად, დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა „წლიური ხარჯთ-აღრიცხვის ფორმულა“, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მომავალი 1920-1921 წწ-ის ბიუჯეტის შედგენას. დოკუმენტში აღნიშნული იყო: „ა) დაცულ იქნას სწორწონილობა სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავალს შორის; ბ) ადგილობრივ თვითმართველობათ სესხი მხოლოდ წარმოებისათვის ეძლეოდეს და ისიც მაშინ, როცა განზრახული დარგი წარმოებისა წინასწარ არის შესწავლილი და შეფასებული რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ტეხნიკის განვითარებასთან. გ) დაჩქარებით წარმოდგენილ იქნას კანონ-პროექტი ადგილობრივ თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლებისა და სანამ ეს კანონი მიღებული არ არის, გაეწიოს ადგილობრივ თვითმართველობათ ხაზინიდან დახმარება მართველობის აპარატის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად.“ 1919-1920 წწ-ის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 1 960 490 798 მან., შემოსავლები - 1 163 564 185 მან. არსებული დეფიციტი (796 926 313 მანეთი) უნდა დაფარულიყო მთავრობის სამეურნეო ოპერაციებიდან.

დამფუძნებელი კრების წევრები ბიუჯეტის განხილვის დროს გამოთქვამდნენ სურვილს, რომ მომავალი 1920-1921 წწ-ის ბიუჯეტის შედგენა მთავრობას გაცილებით ადრე დაეწყო. ამ კუთხით გადაიდგა კიდეც კონკრეტული ნაბიჯები, 1920 წ-ის დეკემბრის დასაწყისში ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა 1920-1921 წწ-ის ბიუჯეტის პროექტი. სავარაუდო ხარჯის მოცულობამ შეადგინა 8 552 414 771 მანეთი. ბიუჯეტის ასეთ გაზრდას თავისი ახსნა ჰქონდა. ფულის ინფლაციამ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს ეკონომიკა, ამასთანავე, ზოგადად, სახელმწიფო უწყებების ხარჯებიც მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი. დამფუძნებელმა კრებამ ბიუჯეტის პროექტის განხილვა ვერ შეძლო 1921 წ-ის თებერვალ-მარტის მოვლენების გამო.

ლიტ.: კრ. საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა, თბილისი, 2016; თ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2016; ჯ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921), თბ., 2009.

ჯაბა სამუშია

დანართი

1919-1920 წწ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი:

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი	ჯ ა მ ი
პირდაპირი გადასახადი	108. 929. 700
არაპირდაპირი გადასახადი	170. 801. 000
შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი	**ჯ ა მ ი**
ბ ა ჟ ე ბ ი	40. 518. 500
მთავრობის რეგალიები	43. 856. 700
სახაზინო ქონება და თანხები	747. 369. 760
სახელმწიფო ხაზინის ანაზღაურებული ხარჯები	1. 115. 116
სხვადასხვაგვარი შემოსავალი	3. 473. 709
საკრედიტო ოპერაციებისაგან	47. 500. 000
	1. 163. 564. 185
მთავრობის სამეურნეო ოპერაციებისაგან	796. 926. 313
სულ შემოსულობანი	1. 960. 490. 798

გ ა ს ა ვ ა ლ ი	ჯ ა მ ი
დამფუძნებელი კრება	10. 495. 515
მთავრობის საქმეთა მმართველობა	181. 973. 299-10კ
შინაგან-საქმეთა სამინისტრო	207. 822. 692-60კ
სახალხო განათლების სამინისტრო	137. 456. 956
სამხედრო სამინისტრო (რეგულ. ჯარი, სახალხო გვარდია)	538. 791 632
გარეშე-საქმეთა სამინისტრო	21. 264. 296
იუსტიციის სამინისტრო	55. 092. 753-98კ
ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო	293. 404. 042
მიწათმოქმედების სამინისტრო	83. 646. 396-92კ
გზათა	417. 280. 812-80კ
შრომის	1. 140. 550
სახელმწიფო კონტროლის	9. 121. 851-60კ
სულ გასავალი	1. 960. 490. 798

ბლეიკი რობერტ (1886, სან-ფრანცისკო - 1950, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი) - ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი, პროფესორი. 1911 სწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორ ნიკო მარის ხელმძღვანელობით.

1918 მოწვეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად. 1918-1921 წწ-ში უნივერსიტეტში ასწავლიდა ბერძნულ ენასა და ბიზანტიის ისტორიას. 1921 წ-ის თებერვალში რუსეთის საქართველოზე თავდასხმისას იგი მონაწილეობას იღებდა ტაბახმელასთან ბრძოლაში. 1921 დაბრუნდა ჰარვარდში.

1928-1937 წწ-ში იყო ჰარვარდის ბიბლიოთეკის დირექტორი. ბლეიკმა შეისწავლა პალესტინაში და ათონზე დაცული მრავალი ქართული ხელნაწერი. ამერიკაში გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები თარგმანით. ავტორია მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა ბიბლიოლოგიისა და პატროლოგიის დარგში.

ლიტ.: მ. შ ა ნ ი ძ ე, რობერტ ბლეიკი, ქსე, ტ. II, თბ., 1977; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი - ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი



ბოლქვაძე ელისაბედ

ბოლქვაძე (ნაკაშიძე) ელისაბედ იოსების ასული (VIII.1885, სოფ. სამხეთო, ოზურგეთის მაზრ. - 22.II.1937, მინუსინსკი, კრასნოიარსკის მხარ.) - ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მენშევიკი (1904), პარტიული მეტსახელები: „თამარა“, „მისკო“, „ხვარამზე“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. განათლება ტფილისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო. 1904 წ-დან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იყო გურიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე (1905) და სდპ გურიის კომიტეტის წევრი (1907). 1907-1917 წწ-ში რევოლუციონერობისთვის გასახლებული იყო კავკასიიდან.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აირჩიეს გურიის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარედ, იყო ნატანების რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე. 1919 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად (1919-1921). შედიოდა კრების შრომის და მომარაგების კომისიებში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დარჩა სამშობლოში და შეუერთდა ანტისაბჭოთა მოძრაობას. 1923 ჩეკამ დააპატიმრა და გაასახლა ურალის მხარეში. 1925 დაბრუნდა გადასახლებიდან და მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ შინვაჭრობის სახალხო კომისარიატში. პარალელურად სოც-დემ. პარტიის არალეგალური ცკ-ის წევრი და 1926 წ-ის მაისიდან თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელი გახდა. გააქტიურა კონსპირაციული კავშირები პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსთან, ზრუნავდა პოლიტპატიმართა ოჯახებზე. 29 ივნისს დააპატიმრა ჩეკამ. ე. ბოლქვაძე მოსკოვში გაასამართლა ოგპუ-ს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) განსაკუთრებულმა სათათბირომ და 3-წლიანი გადასახლება მიუსაჯა კრასნოიარსკის მხარეში, მინუსინსკის პოლიტიზოლატორში. 1930 გადასახლების ვადა გაუხანგრძლივდა 3 წლით. 1933 წ-ის 4 თებერვალს გაათავისუფლეს ურალის მხარეში ცხოვრების უფლებით. გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა ალტაის მხარის ქალაქ კამენში, მუშაობდა გადასახლებულთა შორის „პოლიტიკური წითელი ჯვრის“ ხაზით. 1936 წ-ის 4 აპრილს ე. ბოლქვაძე კვლავ დააპატიმრეს და კოტე ანდრონიკაშვილთან ერთად არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბება და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსთან კავშირი დაბრალეს. სსრკ-ის შინსახკომის კოლეგიასთან არსებულმა განსაკუთრებულმა სათათბირომ ე. ბოლქვაძეს 1936 წ-ის 21 სექტემბერს 5 წლით კრასნოიარსკის მხარეში გადასახლება მიუსაჯა. 1936 წ-ის 6 ნოემბერს ე. ბოლქვაძე კვლავ დააპატიმრეს ქალაქ მინუსინსკში. 1937 წ-ის 13 თებერვალს კრასნოიარსკის მხარის შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა (ე.წ. „ტროიკა“) დახვრეტა მიუსაჯა; დახვრიტეს 22 თებერვალს, ქალაქ მინუსინსკში . რეაბილიტირებულია 1956 წ-ის 22 სექტემბერს კრასნოიარსკის სამხარეო სასამართლოს და 1989 წ-ის 23 აპრილს - ალტაის სამხარეო პროკურატურის მიერ.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, კაენ, სად არის ძმა შენი?!, თბ„ 1998; ქალები წარსულიდან, თბ., 2015; დაკარგული ისტორია-მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, SOVLAB, თბ., 2012; ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 50 ქალი საქართველოდან, 2013.

ბონდო კუპატაძე

ბონები ამიერკავკასიის კომისარიატისა - ქაღალდის დროებითი ფულადი ნიშნები, ლეგალური საგადამხდელო საშუალებანი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე 1918 წ-ის დასაწყისიდან 1919 წ-ის შუა ხანებამდე. 1917 რუსეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ქაოსმა და ანარქიამ დაისადგურა. ამის შედეგად, რუსეთის სახელმწიფო ბანკიდან განაპირა რეგიონებში და მათ შორის კავკასიაშიც ნაღდი ფულის ნიშნების გაგზავნა თანდათან რთულდებოდა, რაც უამრავ პრობლემას იწვევდა. 11 ნოემბერს თბილისში ჩამოყალიბებულმა ამიერკავკასიის ადგილობრივმა მთავრობამ (კომისარიატმა) სცადა, რომ ფინანსური პრობლემა გადაეწყვიტა საკუთარი დროებითი ფულადი ნიშნის, ბონის გამოშვებით. საგანგებო სამხატვრო ჟიურიმ შეარჩია კონკურსის შედეგად წარმოდგენილი ბონების ესკიზები. 1918 წ-ის იანვარში ჟიურიმ მოიწონა არქიტექტორ გ. ტერმიქელოვის მიერ შედგენილი პროექტები. 29 იანვარს კომისარიატმა

დაამტკიცა „დებულება ბონების შესახებ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის ბონი მიმოქცევაში იქნება „დროებით, ვიდრე მოისპობოდეს ის მიზეზები, რომლებიც ქაღალდის ფულის ნაკლებობას იწვევენ. შემდეგ ბონები გაბათილდება“. თავდაპირველად მიმოქცევაში გამოვიდა 1, 3, 5, 10, 50 და 100 მანეთის ნომინალური ღირებულების ბონები. მოგვიანებით მათ დაემატა 250-მანეთიანიც. ბონების ძირითადი ფერი და ზომა (მილიმეტრებში) ასეთი იყო: 1 მანეთი შავი ყავისფერზე - 54X78; 3 მანეთი - შავი მწვანეზე - 65X88; 5 მანეთი - ცისფერი მქრქალ ყვითელზე - 113X74; 10 მანეთი - წითელი მქრქალ ყვითელზე - 120X78; 50 მანეთი - შავი ნაცრისფერზე - 141X89; 100 მანეთი - მუქი ყავისფერი ღია ყავისფერზე - 156X101; 250 მანეთი - შავი ვარდისფერზე - 166X103. ბონებზე აღბეჭდილი გამოსახულებები და ოთხენოვანი (ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული) წარწერები მკაფიოა და გარკვევით იკითხება. ბონებზე აღბეჭდილია კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორისა და ფინანსთა კომისარ ქრისტეფორე კარჩიკიანის ხელმოწერები. ბონების ავერსზე (წინა მხარეზე) რუსულად არის წარწერილი ამ ფულადი ერთეულის სახელწოდება - „რუბლი“, ხოლო რევერსზე (ზურგზე) ანალოგიური ტერმინი აღბეჭდილია სომხურ ენაზეც. ბონების რევერსზე ცენტრში გამოსახული როზეტის ან სხვა ტიპის ორნამენტებში ჩახატულ ქართულ და აზერბაიჯანულ (არაბული შრიფტით) წარწერებზე ამ ფულის ერთეულის სახელად მითითებულია „მანეთი“ (ქართულად) და „მანათ“ (აზერბაიჯანულად). აქედან ნათელი ხდება, რომ „რუბლის“ ეკვივალენტურ ქართულ ტერმინს წარმოადგენდა „მანეთი“, ხოლო აზერბაიჯანულის - „მანათი“. ასევე მანეთი ეწოდებოდა მომდევნო პერიოდში გამოშვებული ქართული ბონისტიკური ძეგლების შემდეგ ჯგუფებს, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ფულად ერთეულებსაც. ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები სინთეზურია შინაარსითაც და გარეგნული სახითაც, ზოგადამიერკავკასიური ხასიათისაა და, ამდენად, თანაბრად განეკუთვნება როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ბონისტიკას. მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნული ხასიათის პრიმატი მათზე მაინც შეინიშნება. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ბორჯღალი და ვაზი, რაც ტრადიციულად ფიგურირებდა ქართულ გამომსახველობით ხელოვნებაში. ბონები საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი, თუმცა მათზე არ გვხვდება ქაღალდის ფულის მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებული ჭვირნიშნები (ფილიგრანები). ეს ბონები იბეჭდებოდა თავისუფლების მოედანზე მდებარე ყოფილი სამხედრო შტაბის შენობაში მოთავსებულ ფულის საბეჭდ ექსპედიციაში, სადაც მოგვიანებით დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, საქართველოს სსრ-ისა და ამიერკავკასიის სფსრ-ის ფულის ნიშნები და სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდები. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წ-ის მაისში ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფო დაიშალა და მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამი რესპუბლიკა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, მათი ფინანსური ერთიანობა წელიწადზე მეტხანს არ დარღვეულა. ბონების ემისია მათი გარეგნული სახის შეუცვლელად გრძელდებოდა ამ რესპუბლიკების მთავრობათა შეთანხმებების საფუძველზე, რაც 1918 წ-ის ივლისიდან - 1919 წ-ის ივლისამდე ხუთჯერ განხორციელდა. საერთო ვალუტის მიმოქცევაში დატოვება მრავალმა გარემოებამ განაპირობა. ამ მოვლენას გააჩნდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ამიერკავკასიურ ბონს ჰქონდა მთელი რიგი უპირატესობანი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფულად ერთეულებთან შედარებით, კერძოდ: ამ ვალუტას გააჩნდა გავრცელების უფრო დიდი არეალი, ვიდრე რესპუბლიკების ფულად ნიშნებს შეიძლებოდა ჰქონოდა; მოსახლეობა მას მიჩვეული იყო და დაუბრკოლებლად მოიხმარდა; იგი ხელს უწყობდა სავაჭრო ეკონომიკური კავშირების გაფართოებას. ამდენად, ამიერკავკასიის ფინანსური უნიფიკაციის შენარჩუნება განპირობებული იყო აუცილებლობით. ამ ბონს გარდამავალი ფულის ფუნქცია უნდა შეესრულებინა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ფულის ერთეულების შემოღებამდე. ასეთივე მდგომარეობა იყო იმ ქვეყნებშიც, სადაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საკუთარი, სრულფასოვანი ფულადი სისტემის შექმნამდე, საკმაო ხანს იყო მიმოქცევაში არაეროვნული ვალუტები ანდა ადგილობრივი, დროებითი ფულის ნიშნები. იმდროინდელი არაერთი ქვეყნის ვალუტის მსგავსად, ამიერკავკასიის მანეთის კურსიც საკმაოდ სწრაფად ეცემოდა, თუმცა ამ პროცესს კატასტროფული ხასიათი არ მიუღია. ამ ბონის პირველი ემისიები უმტკივნეულოდ განხორციელდა, მაგრამ შემდგომში ეს ვითარება შეიცვალა. 1919 წ-ის შუა ხანებში ამიერკავკასიის უნიფიცირებული ფინანსური სისტემა დაირღვა.

ლიტ.: ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ბონები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – ქაღალდის დროებითი ფულადი ნიშანი, ლეგალური საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე 1919 წ-ის ივლისიდან - 1922 წ-მდე. მის შემოღებამდე გარდამავალი ფულის ფუნქციას ასრულებდა ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი. საერთო ფულის არსებობა ზღუდავდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას ფინა-

ნსურ სფეროში. ამის გამო, ქართული ფულის თუნდაც ბონის სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი საქართველოს ხელისუფლებაში თანდათან იზრდებოდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა დამფუძნებელი კრების არჩევისა და მთავრობის შემადგენლობის შეცვლის შემდეგ. კონსტანტინე კანდელაკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტზე დანიშვნამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებელი ფინანსური სისტემის შექმნის დაჩქარებაში. 1919 წ-ის 11 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი საქართველოს ბონების გამოცემის შესახებ. იმავე წელს გამოვიდა შემდეგი ნომინალის მქონე ბონის კუპიურები: 50-კაპეიკიანი, აგრეთვე, 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500-მანეთიანები, რასაც 1920 დაემატა 1000-მანეთიანები, ხოლო 1921 - 5000-მანეთიანები. ამ ნომინალების ზომები (მილიმეტრებში) ასეთი იყო: 50 კაპეიკი - 57X39; 1 მანეთი - 77X53; 3 მანეთი - 89X60; 5 მანეთი - 115X74; 10 მანეთი - 120X77; 50 მანეთი - 134X88; 100 მანეთი - 156X101; 500 მანეთი - 163X102; 1000 მანეთი - 163X102; 5000 მანეთი - 175X105. ბონებზე აღბეჭდილი გამოსახულებები და სამენოვანი (ქართული, რუსული და ფრანგული) წარწერები მკაფიოა და გარკვევით იკითხება. ბონებზე გვხვდება მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ფაქსიმილეები ქართულ ენაზე. საქართველოს ბონების ესკიზების ავტორები იყვნენ მხატვრები: იოსებ შარლემანი, ჰენრიკ ჰრინევსკი და დიმიტრი შევარდნაძე. ბონები გაფორმებულია საკმაოდ მაღალმხატვრულ დონეზე და გამოირჩევა ეროვნული ხასიათით. ზოგიერთ მათგანზე, კერძოდ, 5, 10, 50 და 100-მანეთიან კუპიურებზე, მხატვრული გაფორმების კუთხით საგრძნობია კომისარიატის იმავე ნომინალის ბონების ზეგავლენა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 500-მანეთიანი ბონის კუპიურა. მის ავერსზე აღბეჭდილია შუა საუკუნეების არქიტექტურული სტილით ნაგები პომპეზური თაღი, რომლის ქვეშ მდგარ და ჩუქურთმებით დამშვენებულ საკარცხულში დაბრძანებულა ახალგაზრდა ქალი. მისგან მარჯვნივ გამოსახულია ოვალური ფარი, ხოლო მარცხნივ - საბრძოლო შუბი. ქალის მსგავსი გამოსახულება იმავე პერიოდში გამოშვებული ქართული საფოსტო მარკების ზოგიერთ სერიაზეც გვხვდება. ფილატელისტთა დაკვირვებით, მარკების მხატვარს აღნიშნული ქალი წარმოდგენილი ჰქონდა საქართველოს სიმბოლოდ, ისეთ სიმბოლოდ, როგორიც ცნობილი მარიანაა საფრანგეთის მარკებზე. 5000-მანეთიანი ბონის კუპიურის ავერსზე აღბეჭდილია ოთხთაღოვან ჩარჩოში ჩახატული საქართველოს მთავრობის სასახლე, რომლის ფლაგშტოკზეც იმდროინდელი სახელმწიფო სამფეროვანი დროშა ფრიალებს. საქართველოს ბონები დაბეჭდილია ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების მსგავს, არაჭვირნიშნიან ქაღალდზე. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს 500-მანეთიანი კუპიურების ერთი ნაწილი, რომელზედაც ოდნავ ბუნდოვანი და გაურკვეველი ფორმის ჭვირნიშნებია; ასევე, 5000-მანეთიანი ბონის კუპიურების ნაწილიც, რომლებზედაც საინტერესო ფორმის ჭვირნიშნები გვხვდება. ეს ჭვირნიშანი წარმოადგენს ოთხთაღოვან ჩარჩოში ჩასმული სამი ქართული ასოს - ს. დ. რ. (იშიფრება როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) - ერთმანეთში მხატვრულად ჩაგვირისტებულ კომბინაციას. ამ ტიპის ჭვირნიშნებით მოფენილია ბონის მთელი ფართობი. ეს ქაღალდი საქართველოს მთავრობამ იტალიის ზარაფხანაში დაამზადებინა. 1921 წ-ის თებერვალში, თბილისის დატოვებისას, საქართველოს მთავრობამ თან წაიღო ხსენებული ჭვირნიშნიანი ქაღალდის მარაგი. სწორედ ამან განაპირობა, რომ თბილისში შემოჭრილი და დამკვიდრებული საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში განაგრძობდა ძველი ნიმუშის ბონის გამოშვებას, იძულებული იყო, ფულის ნიშნები არაჭვირნიშნიან ქაღალდზე ებეჭდა. 1919 წ-ის ივლისიდან 1921 წ-ის თებერვლის ბოლომდე განხორციელდა საქართველოს ბონების ხუთი ემისია. მართალია, საქართველოს ბონების კურსი არასტაბილური იყო, მაგრამ მის დაცემას არ მიუღია კატასტროფული ხასიათი, არაერთი სხვა ქვეყნის ვალუტისგან განსხვავებით.

ლიტ.: ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ბოცვაძე ლუარსაბ

ბორჩალოს მაზრის მუსლიმთა პარტია – 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის შექმნილი პოლიტიკური ჯგუფი, რომლის საარჩევნო ნომერი იყო №12. წარდგენილი იყო ხუთკაციანი პარტიული საარჩევნო სია. არჩევნებში ამ ჯგუფმა საქართველოს მასშტაბით მიიღო მხოლოდ 77 ხმა (თბილისის მაზრის ბორჩალოს უბანში).

ბონდო კუპატაძე

ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე (4.I.1866, სოფელი ნოღა - 24.VI.1919, თბილისი) - ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაადგა მასწავლებლობის გზას. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო წყალტუბოს სკოლაში, სადაც 3 წელი დაჰყო, რის შემდეგაც წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს. 1908 დააარსა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, რომელსაც რედაქტორობდა 1908-1918 წწ-ში. 1890 წ-დან გარდაცვალებამდე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ბოცვაძეს ეკუთვნის 350-მდე პედაგოგიური ნაშრომი და

სტატია, სასწავლო პროგრამები სახალხო სკოლებისათვის. ბოცვაძის პედაგოგიური შეხედულებების საფუძველია ხალხურობის იდეა: საყოველთაო-სავალდებულო და უფასო სწავლება ყველა ბავშვისათვის; ქალისა და ვაჟის თანასწორი განათლება; სწავლება ცხოვრების რეალურ მოთხოვნათა გათვალისწინებით; მშობლიური ენის მთავარი ადგილი სწავლებაში; პატრიოტიზმისა და შრომისმოყვარეობის აღზრდა; რუსული ენის სწავლება რუსული და ევროპული კულტურის დაუფლებისათვის. ბოცვაძე აკრიტიკებდა „თავისუფალი აღზრდის“ თეორიას; აღზრდა მიაჩნდა ორგანიზებულ, მიზანმიმართულ პროცესად, რომელიც მიმდინარეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გონებრივსა და მორალურ აღზრდას ყველასათვის. აღზრდის მთავარ საშუალებად ბოცვაძეს მიაჩნდა შრომა; შრომითი აღზრდის მიზანი, მისი აზრით, პროფესიული მომზადება კი არ იყო, არამედ აღსაზდრელის შრომითი ჩვევების, შრომის უნარის გამომუშავება. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ბოცვაძე წამყვან როლს ანიჭებდა სკოლას. მან გააკრიტიკა მაშინდელი სკოლა, წამოაყენა ახალი სკოლის პრინციპები: სკოლის კავშირი ცხოვრებასთან, სწავლების საერო ხასიათი, სკოლისა და ოჯახის კავშირი აღზრდის საქმეში, მასწავლებლის წამყვანი როლი აღზრდისა და სწავლების პროცესში, მასწავლებლის მუშაობის ჰუმანური მეთოდები. ბოცვაძე სწავლებისა და განათლების თეორიაში კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის მიმდევარი იყო. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მასთან პანთეონში დასაფლავებულია მისი მეუღლე - ნინო იოსების ასული ბაქრაძე (1883, თბილისი - 5.IX.1971).

ლიტ.: ი. ჭ კ უ ა ს ე ლ ი, ლუარსაბ ბოცვაძე, თბილისი, 1954; ენც. „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 474; ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994

დოდო ჭუმბურიძე

ბრესტის საზავო ხელშეკრულება და საქართველო – დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის (1918 წ-ის 3 მარტი). მოლაპარაკების პროცესში ოსმალეთის მხრიდან კავკასიის საკითხი წინა პლანზე იქნა წამოწეული. ოსმალთა პრეტენზიებს მხარს გერმანიაც უჭერდა. ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის, გენერალ ვეჰიბ-ფაშას მიერ 1918 წ-ის 3 იანვარს გენერალ ი. ოდიშელიძისთვის გაგზავნილი რადიოდეპეშა - ამიერკავკასიის მთავრობა საქმის კურსში ჩაეყენებინა და ბრესტ- ლიტოვსკში ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი გაეგზავნა, ოფიციალურ მიწვევად ვერ ჩაითვლებოდა. საბჭოთა რუსეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარის მდივნის (ლ. კარახანი) სახელით, ამიერკავკასიის კომისარიატს რადიოდეპეშა გაეგზავნა (1918 წ-ის 10 თებერვალი) ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკებებზე მიწვევის შესახებ. ლ. კარახანის ხელმოწერით გამოგზავნილი დოკუმენტი - ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ-ის 13, 15 და 16 თებერვლის სხდომებზე იქნა განხილული. საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ნ. ჟორდანიას მიერ 15 თებერვალს გაკეთებულმა განცხადებამ შეასრულა: „ისეთ ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვთავაზობენ, ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. უმჯობესია ადგილზევე დავიხოცოთ, ვინემ თავი მივცეთ შთამომავლობას სამუდამო წყევლა-კრულვისათვის“. მართალია, ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV მუხლი ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოკრუგების კუთვნილების გადაწყვეტას, ფორმალურად, რეფერენდუმის ჩატარების გზით ამ რეგიონების მოსახლეობის პრეროგატივად აღიარებდა, მაგრამ რაც შეეხება იმავე ხელშეკრულების დამატებითი ნაწილის მეორე მუხლს, ის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის აღდგენას 1877-1878 წწ-ის ომამდელ მდგომარეობაში ითვალისწინებდა, ე.ი. საზღვარი მდინარე ჩოლოქზე უნდა გავლებულიყო.

ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ-ის 17 თებერვლის ოფიციალური განცხადებით, ბრესტის საზავო ხელშეკრულების დამატებითი მეორე მუხლით ოსმალეთისთვის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიების გადაცემის სამართლებრივი მხარე კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული: 1. ამიერკავკასიის ერების ისტორიული ტერიტორიების ოსმალეთისთვის გადაცემა კონფერენციის შესაბამისი ქვეკომისიის სხდომის ოქმზე ამ ერების ოფიციალური წარმომადგენლების ხელმოწერით დადასტურების გარეშე განხორციელდა; 2. ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მხრიდან საბჭოთა რუსეთის ოფიციალურად არცნობის მიუხედავად, კავკასიის რესპუბლიკათა



ბრესტ-ლიტოვსკის ზავი

ტერიტორიების ოსმალეთისათვის გადაცემა ცალმხრივად იქნა გადაწყვეტილი; 3. ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტის საზავო ხელშეკრულება ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე იქნა უარყოფილი. ამ მიზეზების გამო, ამიერკავკასიის სეიმი არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებს. ეს დოკუმენტი ოფიციალურად ბრესტის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს დაეგზავნა. ბრესტის საზავო ხელშეკრულება საქართველოს საზღვრებთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოდან რომ იყო ამოვარდნილი და მისი შესრულება სავალდებულოდ არ ითვლებოდა, ამაში ოსმალეთიც კარგად იყო დარწმუნებული. ამიტომ იყო, რომ ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე ოსმალეთი, ბრესტის საზავო ხელშეკრულების პირობების სამართლებრივ ჩარჩოში ჩასასმელად ქართული მხარისგან, მისი აღიარების ხელმოწერით დადასტურებას მოითხოვდა. 1918 წ-ის 13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა ბრესტის საზავო ხელშეკრულება გააუქმა, ხოლო საქართველო-რუსეთს შორის 1920 წ-ის 7 მაისის ხელშეკრულების IV მუხლით, რუსეთის ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების სამართლებრივი უფლებამოსილება საბჭოთა რუსეთის მხრიდან ოფიციალურად იქნა აღიარებული. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ოსმალეთისათვის 1920 წ-ის 19 დეკემბერს გაგზავნილ ნოტაში პრინციპულად იყო დასმული საკითხი - საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებისას, საზღვრებთან მიმართებაში რუსეთ-საქართველოს 1920 წ-ის 7 მაისის ხელშეკრულება ყოფილიყო გათვალისწინებული. ოსმალეთის მხარემ ამ მოთხოვნაზე ოფიციალური თანხმობა განაცხადა. რამდენადაც ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV და დამატებითი ნაწილის მეორე მუხლები საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა იდგა, ამ ფაქტორმა განაპირობა საბჭოთა რუსეთის ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე ოსმალეთის დათანხმება.

ლიტ.: მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ბრესტის ზავი და საქართველო, საქართველოს დიპლომატია, წელიწდეული 3, თბ.,. 1996; შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ბრესტის საზავო ხელშეკრულება და ქართული პოლიტიკური აზრი 1918 წელს, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები II, თბ., 2008.

შოთა ვადაჭკორია

ბრიანი არისტიდ (28.III.1862, ნანტი - 7.III.1932, პარიზი), ფრანგი პოლიტიკოსი. საფრანგეთის თერთმეტგზის პრემიერ-მინისტრი, საფრანგეთის 26 მთავრობის წევრი. საერთაშორისო მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციისა და რესპუბლიკურ-სოციალისტური პარტიის ლიდერი. ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. სწავლობდა სამართალს. ადრეული ასაკიდან ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. იყო სინდიკალისტი ჟურნალისტი. შედიოდა მემარცხენე გამოცემების „Le Peuple“, “La Lanterne”, „La Petite République“ და „L’Humanité“ სარედაქციო ჯგუფში. თანამშრომლობდა ფრანგი სოციალისტების ლიდერთან ჟან ჟორესთან. 1902 წ-დან იყო პარლამენტის დეპუტატი. იბრძოდა სახელმწიფოსგან ეკლესიის საბოლოოდ გამოყოფისთვის. 1909-1911 წწ-ში ორი ვადით არჩეულ იქნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად. მისი პოლიტიკა მიმართული იყო მოქალაქეთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფისკენ. შემდგომში იყო იუსტიციის მინისტრი მემარჯვენე პრემიერის რაიმონ პუანკარეს მთავრობაში. 1913 ორჯერ ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი. პირველი მსოფლიო ომის საწყის პერიოდში მოაწყო ექსპედიცია ბალკანეთში პროფრანგული ბლოკის ფორმირებისათვის. 1915-1917 წწ-ში ორი ვადით კვლავ დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი.

1921 წ-ის დასაწყისში კიდევ ერთხელ, მეშვიდედ, დაიბრუნა პრემიერ-მინისტრის პოსტი. ბრიანი, როგორც სოციალისტი, უთანაგრძნობდა პირველი მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ბრიანის პრემიერ-მინისტრად არჩევის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ვარაუდობდა, რომ საქართველოს დე იურედ აღიარებa და საფრანგეთის მხრიდან საქართველოსათვის დახმარების გაწევის პროცესი გადაიდებოდა ახალი პრემიერ-მინისტრის საქმეში გარკვევამდე, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში დაბრუნებისთანავე, იდეოლოგიური სიმპათიებიდან გამომდინარე, ბრიანმა საქართველოს მხარდამჭერი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ბრიანი თავისი პოლიტიკით იყო მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დე იურად აღიარების მთავარი ინიციატორი და ლობისტი. დე იურედ აღიარების შემდეგ ბრიანმა ევგენი გეგეჭკორს თავად მისწერა წერილი - „მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან, კიდევ ერთხელ დაგიდასტურონ თავიანთი თანაგრძნობა, რომლითაც ისინი ყოველთვის ხვდებოდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ“. ბრიანმა 1921 წ-ის იანვარში ოფიციალური წარმომადგენელი მიავლინა ლონდონში საქართველოსათვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით საერთო პოზიციის შესამუშავებლად. საბოლოდ 1921 წ-ის მარტში, საფრანგეთმა კონსტანტინოპოლის იარაღის მარაგებიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეიარაღების მცირე ნაწილი მიაწოდა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ თავშესაფარი საფრანგეთში მიიღო. არისტიდ ბრიანი რჩებოდა საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის მხარდამჭერად, ის

რამდენიმეჯერ შეხვდა კავკასიის რესპუბლიკათა წარომადგენლებს და ერთიანი მოქმედებებისაკენ მოუწოდა. 1922 წ-ის იანვარში კანში გამართულ ანტანტის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ბრიანი ხელმძღვანელობდა, მიიღეს რეზოლუცია, რომელიც რუსეთისაგან ამიერკავკასიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას მოითხოვდა. 1922 პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა. 1925-1926 წწ-ში, მერვე, მეცხრე და მეათე ვადით, კვლავ საფრანგეთის მთავრობის სათავეშია. 1926, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გუსტავ სტრესემანთან ერთად, ლოკარნოს ხელშეკრულების (1925) გაფორმების გამო მიიღო ნობელის პრიზი მშვიდობის დარგში. პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთაშორისო პოლიტიკაში. 1929 რამდენიმე თვით მეთერთმეტედ ჩაუდგა სათავეში საფრანგეთის მთავრობას. 1929-1930 იყო ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და ინიციატორი ევროპის ფედერაციული კავშირის შექმნისა, თუმცა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, ბრიანის იდეა ოცი წლის დაგვიანებით განხორციელდა.

ლიტ.: ლ. ს ა რ ა ლ ი ძ ე, არისტიდ ბრიანი და კავკასიის ერთიანობის იდეა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 2017; France Archives. https://francearchives. fr/fr/commemo/recueil-2012/39022 (ინახა 01. 12. 2017); სსცა, ფ. 2113, აღწ. 1, საქ. 303.

ირაკლი ირემაძე

ბუზიაშვილი აბრაამ (1888, ქუთაისი - ?) - ქართველი ებრაელი. სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაწყებითი განათლება ქუთაისში მიიღო. ეწეოდა სამრეწველო საქმიანობას. ადრეული ასაკიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ ქართველ-ისრაელელთათვის გამოყოფილი კვოტით გახდა პარლამენტის წევრი. შედიოდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. იყო პარლამენტის საფინანსო კომისიის წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127.

ირაკლი ირემაძე

„ბუნება და ხელოვნება“ (№1, 1920, თბილისი) - ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი. ჟურნალში არ არის მითითებული რედაქტორი და გამომცემლობა. ჩვენამდე მოაღწია „ბუნებისა და ხელოვნების“ ერთადერთმა ნომერმა, რომელიც ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია დაცული. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: კ. მაყაშვილი, ბ. ახოსპირელი (ბეგლარ აღაიანი), დ. თურდოსპირელი (დავით ჩხეიძე), შ. მღვიმელი, გ. ქუჩიშვილი, მ. ქავთარაძე, ა. კლიმიაშვილი, ელ. პოლუმორდვინოვი, მ. მაჭავარიანი, არჩ. მაჭავარიანი, „დიანა“ (დარია ქაჯაია-ახვლედიანისა), „ონე“ (?). გამოცემა ძირითადად პოეზიას უთმობს ადგილს. აქ იბეჭდება კ. მაყაშვილის „ზამთრის სიზმარი“, ბ. ახოსპირელის „მებრძოლი“, შიო მღვიმელის უსათაურო ლექსი, გ. ქუჩიშვილის „განწირული“, მიხ. ქავთარაძის „მეზავი“, ა. კლიმიაშვილის ორი ლექსი: „ჩვენს სირინოზს“ და „შეყვარებული გული“, ე. პოლუმორდვინოვის „სამშობლოს“ და სხვ. პოეტური ნაწარმოებების გვერდით გვხვდება მცირე პროზაული თხზულებებიც, მაგ.: მიხ. ქავთარაძის „სიყვარული“, არჩ. მაჭავარიანის „მზე და ვარდი“, დიანას „ROSAEL“, ონეს „შორეული ტრფობა“, ე. პოლუმორდვინოვის „ქალი“ და სხვ.

ლიტ.: გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ჟურ. „ბუნება და ხელოვნება“, 1920, №1,

მანანა შამილიშვილი



ბურჯანაძე ვარლამ

ბურჯანაძე ვარლამ ამირანის ძე (23.I.1873, სოფ. ობჩა, ქუთაისის მაზრ. - 17.X.1941, თბილისი) - პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. სოციალ-დემოკრატი (ალიონელი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატი. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების მდივანი. განათლება გორის საოსტატო სასწავლებელში მიიღო. მუშაობდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების კავკავის სკოლის პედაგოგად, შემდგომში - ბაქოს ქართულ სკოლაში. 1914 წ-დან იყო ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების მდივანი. აქვეყნებდა სტატიებს ნაციონალისტ სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის გაზეთ „ალიონში“.

1917 წ-ის ნოემბერში ახლად შექმნილი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელდა. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წ-ის ივნისში ალიონის ფრაქციამ განახლებული ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად დაასახელა, თუმცა წევრი არ გამხდარა. დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწოდა. 1919-1921 წწ-ში რედაქტორობდა ჟურ. „განათლებას“. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ განაგრძობდა პუბლიცისტურ და პედაგოგიურ საქმიანობას. 1930 პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობის შემდეგ მუშაობდა პედაგოგად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. თბ., 2000; ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; გაზ. „ერთობა“, 1920, №203.

ირაკლი ირემაძე

გაბაშვილი ეკატერინე

გაბაშვილი ვასილ

გაბაშვილი (თარხნიშვილი) ეკატერინე რევაზის ასული (16.VI.1851, გორი - 07.VIII.1938, სოფ. ახალქალაქი) - მწერალი და საზოგადო მოღვაწე. განათლება მიიღო თბილისში, გერმანულ სკოლასა და მადამ ფავრის ცნობილ პანსიონში. 1868 დაბრუნდა გორში და ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. აქვე დაწერა მოთხრობა „სოფლის მასწავლებელი“. ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში პროზის მცირე ჟანრები. 1870 „დროებაში“ გამოაქვეყნა პირველი ნაწარმოები - „გლეხკაცების აზრი სასოფლო შკოლაზედ“. მას მოჰყვა: „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“, „ჭიაკოკონა ღამეს“, „სოფლის მეგობარი“, „თინას ლეკური“, „სოფლის მასწავლებელი“. 1879 გამართა საკუთარი პიესის წარმოდგენა ახალქალაქის მაზრაში. 1882 აირჩიეს ქ.შ.წ.კ.გ.ს. წევრად, 1897-1922 წწ-ში - ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელად. 1872-1905 წწ-ში დააარსა ქალთა წრე და შექმნა რეგიონული ფილიალები. 1895 თბილისში, საკუთარ სახლში, მოაწყო ქალთა ხელსაქმის ხუთწლიანი სკოლა, რომელსაც 15 წელი ხელმძღვანელობდა. იყო ჟურ. „ჯეჯილის“ გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1918 გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“ დაიბეჭდა ე. გაბაშვილის წერილი „სალამი დამოუკიდებელ საქართველოს“. 19.II.1921 მარო მაყაშვილი, მისი შვილიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ე. გაბაშვილი დაკრძალული იყო ვაკის სასაფლაოზე, შემდგომ ნეშტი გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: „საქართველოს ქველმოქმედები, XIX საუკუნე“ - საქართველოში მოღვაწე ქველმოქმედების ირგვლივ შექმნილი კალენდარი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ. ; ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; გაზ. „ ხმა ქართველი ქალისა“ , 1918, N15.

ეკა ჯავახიშვილი

გაბაშვილი ვასილ დავითის ძე (30.III.1853 - 17.III. 1933) - გენერალი. თავდაპირველი განათლება მიიღო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. პრაპორშჩიკი (1875). 1877-1878 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. პოდპორუჩიკი (1877). პორუჩიკი (1878). მონაწილეობდა რუსეთის არმიის ლაშქრობაში შუა აზიაში (1879-1885). შტაბსკაპიტანი (1881). კაპიტანი (1888, წარჩინებისთვის). პოდპოლკოვნიკი (1895, წარჩინებისთვის). პოლკოვნიკი (1901). 1901 წ-დან ბატალიონის მეთაურია, 1904-1908 წწ-ში - ქვეითთა 79-ე პოლკის მეთაური. 1908 მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1909-1912 წწ-ში სპარსეთის ლაშქრობის მონაწილეა. 1909 სპარსეთში მეთაურობდა ყაზვინის რაზმს. 1913 მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და გავიდა თადარიგში, თუმცა I მსოფლიო ომის დაწყების გამო კვლავ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს და დაინიშნა კავკასიის მე-3 მსროლელი ბრიგადის მეთაურად. 1915-1916 წწ-ში კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურია.

1916-1917 წწ-ში იყო თბილისის სამხედრო კომენდანტი. 1917 წ-ის ბოლოს დაინიშნა ქართული საარმიო კორპუსის უფროსად. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის ხმლებით, წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. ანას 1-ლი ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 იყო ქართული საარმიო კორპუსის უფროსი. 1919 შეიმუშავა ქართული არმიის რეორგანიზაციის პროექტი. 1921 წ-დან თადარიგშია. ცხოვრობდა თბილისში.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская ар-

мия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007

მიხეილ ბახტაძე

გაბაშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე (6.XI.1882, თბილისი - 14.III.1969, პარიზი) - პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1902 დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და სწავლა ბელგიაში, ლიეჟის მონტეფიორეს სახელობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც არ დაუსრულებია. 1905 დაბრუნდა სამშობლოში, ფედერალისტთა პარტიას დაუკავშირდა და აქტიურად ჩაერთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ორჯერ იყო დატუსაღებული და გარკვეული ვადით აკრძალული ჰქონდა თბილისში ცხოვრება. 1906, პარტიის დავალებით, კვლავ უცხოეთში - ბელგიასა და საფრანგეთში გაემგზავრა. ექვსი თვის შემდეგ ბაქოში ჩავიდა და მუშაობას ნავთობის მრეწველობაში შეუდგა. 1907 ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ გადავიდა ქიმიურ განყოფილებაზე. კურსი აქაც ვერ დაასრულა, რადგან „ტოლსტოის დღეებთან“ დაკავშირებულ სტუდენტურ მღელვარებაში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. 1911 წ-დან ცხოვრობდა თბილისში, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მუშაობაში. 1912 იყო ეროვნულ-დემოკრატიული ჟურნალის „კლდე“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და გამოცემის რედაქტორი, წერდა ფსევდონიმებით: „რაე“, „ღამურა“ და სხვ. ჩაბმული იყო კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში. შედიოდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში და არჩეული იყო მისი გამგეობის მდივნად.

1917 წ-ის ნოემბერში მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში. ეროვნული საბჭოს გაფართოებისას, 1918 წ-ის მაისში, ედპ-ის სიით გახდა საბჭოს წევრი, არჩეული იყო საბჭოს გზათა კომისიის შემადგენლობაში. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო მთავარი კომიტეტის წევრი, ედპ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად. 1918 წ-ის სექტემბერში გადავიდა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატთა ფრაქციაში და გახდა მისი მდივანი. იყო ამ ფრაქციის საფუძველზე შექმნილი ეროვნული (მიწის მესაკუთრეთა ეროვნული) პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1919 წ-ის ივლისში გაზეთ „სალ კლდეში“ გამოქვეყნდა რ. გაბაშვილის ანტიინგლისური ხასიათის სტატია, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსაც შეიცავდა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, გაზეთი დახურეს, ავტორი კი ორი კვირით დააპატიმრეს. 1919 წ-ის თებერვალში ეროვნული პარტიის სიით მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ მანდატი ვერ მოიპოვა. 1921 წ-ის იანვარში, ედპ-სა და მისგან გამოყოფილი ორგანიზაციების გაერთიანებისას, რ. გაბაშვილი გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩიეს.



გაბაშვილი რეზო

1921 საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად - თურქეთში, 1924 კი საფრანგეთში ცხოვრობდა. შეისწავლა თურქული ენა, ასევე ფლობდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ და სპარსულ ენებს. შედიოდა ედპ-ის კონსტანტინოპოლის ბიუროს შემადგენლობაში, იყო სტამბოლის პოლიტკომისიის წევრი. 1922 მონაწილეობდა პარიზში გამართული ინტერპარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც ჩამოაყალიბა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და შექმნა „საქართველოს დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი“. შედიოდა ემიგრაციაში აღმოცენებულ „საერთო ფრონტში“. ემიგრაციაში ედპ-ს პირველად მისი ჯგუფი გამოეყო, რომელიც 1926-1928 წწ-ში გაზეთ „მამულიშვილის“ ირგვლივ შემოიკრიბა, შემდეგ კი ა. ასათიანის ჯგუფს შეუერთდა. მოგვიანებით რ. გაბაშვილი კავკასიის კონფედერაციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ჰ. ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში გაერთიანდა, 1937-1939 წწ-ში, როგორც პასუხისმგებელი რედაქტორი, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიასთან“. პოლიტიკური საკითხების გარდა აინტერესებდა და იკვლევდა საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის პრობლემებსაც. 1967 პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“. 1951-1956 წწ-ში იყო ხელახლა შექმნილი „ეროვნული ცენტრისა“ და მისი გაზეთის „საქართველოს დამოუკიდებლობა“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ასევე წერილებს ბეჭდავდა პარიზულ ჟურნალ „კავკასიონში“, აშშ-ში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში - „კრებული“ და „ქართული აზრი“. 1959 მიუნხენში გამოქვეყნდა მისი დიდად გახმაურებული მოგონებათა წიგნი „რაც მახსოვს“. საქართველოში ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი. ემიგრაციაში მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო ელისაბედ ყიფიანი. რ. გაბაშვილი გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ბანიოს სასაფლაოზე.

ლიტ.: რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რაც მახსოვს, წიგნ. დაბრუნება III, თბ., 1992; გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. I, თბ., 1991; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

გაბბა მელკიადე (20.VIII.1874, მილანი - 17.XI.1952, რომი) - იტალიელი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი. იტალიის არმიის ოფიცერი. იტალიის სამეფოს მისიის ხელმძღვანელი ამიერკავკასია-

გაგლოევი გიორგი

გამრეკელი ბარბარე (ბაბო)

ში. აფრიკის კოლონიათა მინისტრი. დაიბადა არისტოკრატიულ ოჯახში. განათლება მილანის სამხედრო აკადემიაში და ომის სამხედრო სკოლაში მიიღო. 1911-1915 წწ-ში იყო ერიტრეაში იტალიის საოკუპაციო ძალების ერთ-ერთი მეთაური. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას დაბრუნდა იტალიაში და ხელმძღვანელობდა საარტილერიო შენაერთებს.

1919 იტალიის პრემიერ-მინისტრ ორლანდოსა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯს შორის შემდგარი მოლაპარაკებების შემდეგ, იტალიამ სურვილი გამოთქვა ამიერკავკასიაზე მანდატის აღების შესახებ. იტალიის სამხედრო ძალების მეთაურმა გენერალმა დიასმა, პოლკოვნიკ გაბბას მეთაურობით, ამიერკავკასიაში 18-კაციანი მისია მოავლინა, რომელსაც საფუძვლიანად უნდა შეესწავლა ამიერკავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. 1919 წ-ის აპრილში გაბბა კონსტანტინოპოლისა და ბათუმის გავლით თბილისში გამოემგზავრა. გაბბა საქართველოში შეხვდა ოფიციალურ პირებს, შეისწავლა მდგომარეობა და ივნისის თვეში, პარიზში დაბრუნებულმა, ანგარიში წარუდგინა ხელმძღვანელებს. გაბბა, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ემხრობოდა ამიერკავკასიაზე იტალიური მანდატის აღებას. მისი გათვლით, ამიერკავკასიის კონტროლისათვის და ჩრდილოეთიდან დაცვისათვის 40 000 ჯარისკაცი საკმარისი იქნებოდა. იტალიის მხრიდან ამიერკავკასიაზე შესაძლო მანდატის აღებას, იმ პირობებში, როცა ბრიტანეთს გადაწყვეტილი ჰქონდა ევაკუაცია კავკასიიდან, საქართველოს მთავრობა დადებითად აფასებდა. თუმცა იტალიის ხელისუფლებაში ლიბერალი ორლანდოს კაბინეტის რადიკალი ნიტის მთავრობით შეცვლამ იტალიური იმპერიული პოლიტიკა მკვეთრად შეცვალა. იტალია, მართალია, საბოლოოდ უარს არ ამბობდა მანდატზე, მაგრამ ინტერესები მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებზე გადაჰქონდა. გაბბა ცდილობდა, თავისი სამხედრო მისია საგარეო საქმეთა სამინისტროში გადასულიყო და ეკონომიკურ საკითხებზე ემუშავა კავკასიასთან მიმართებაში. საბოლოოდ, 1920 იტალიური სავაჭრო მისია ესტუმრა საქართველოს და შეთანხმებაც შედგა ტყვარჩელის ქვანახშირის ერთობლივი დამუშავების შესახებ.

1921 პოლკოვნიკი გაბბა ერიტრეაში კოლონიური ძალების მეთაურად დაბრუნდა. 1926 ბრიგადის გენერალის ჩინი მიიღო. 1934-1936 წწ-ში კვლავ დაწინაურდა და არმიის გენერლის ჩინი მიენიჭა. იყო იტალიის პარლამენტის სენატორი, 1943-1944 წწ-ში - აფრიკის საკითხთა მინისტრი.

ლიტ.: ბ. კობახიძე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920. №25.

ირაკლი ირემაძე

გაგლოევი გიორგი ალექსანდრეს ძე (ფსევ.: Дарьял, Виктор, Писиров) (7.XI.1883, სოფ. ჭვარები - 10.XI.1937) - სოციალ-დემოკრატი. სასწავლებლად შევიდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1903 გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ამავე პერიოდში მუშაობა დაიწყო სოფელ ვანათის სამრევლო სკოლის მასწავლებლად. მოგვიანებით გაერთიანდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკების ფრაქციაში. 1908-1912 წწ-ში ცხოვრობდა გერმანიასა და შვეიცარიაში. გერმანიაშივე დაამთავრა საინჟინრო სასწავლებელი. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო პუბლიკაციების გამოქვეყნება როგორც რუსულ, ასევე ქართულ პრესაში. ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ კი არმავირში, დააარსა „შრომის ბირჟა“.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ გ. გაგლოევი ხდება არმავირის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე. ამის შემდეგ ის ოსების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეა. ამავე წელს გაგლოევი ხდება საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წ-ის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით და არჩეულ იქნა დამფუძნებელ კრებაში.

1921 წ-ის საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლიტიკას ჩამოშორდა და საქართველოშივე განაგრძო ცხოვრება. 1937 დააპატიმრეს და დახვრიტეს ბრალდებით, როგორც უცხო ქვეყნის ჯაშუში და მავნებელი.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე

გამრეკელი ბარბარე (ბაბო) ალექსანდრეს ასული (3.VI.1893, ქუთაისი - 15.X.1970, თბილისი) - ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. ქართველი მომღერლის დავით გამრეკელისა და რეჟისორ ბორის გამრეკელის და. 1913 სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში, კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედ „თავისუფალ თეატრში“.

1916 დაბრუნდა სამშობლოში და მოღვაწეობდა ქუთაისისა და თბილისის თეატრებში. ბ. გამრეკელის თეატრით დაინტერესება არ იყო შემთხვევითი. ეფემია მესხი იყო ბაბოს დეიდა და მისმა განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა ქალიშვილის მომავალი. მოსკოვამდე ბაბოს ოჯახი ცხოვრობდა ბაქოში და იგი, ჯერ კიდევ ბავშვი, მონაწილეობდა იქაური ქართული თეატრის წარმოდგენებში. საქართველოში დაბრუნებული ნიჭიერი ახალგაზრდა, თეატრალურ მოღვაწეობასთან ერთად, ეუფლება სიმღერის ხელოვნებას თბილისის

კონსერვატორიაში. 1916 საფრანგეთიდან ჩამოვიდა რეჟისორი გიორგი ჯაბადარი, რომელმაც თბილისში საფუძველი ჩაუყარა დრამატულ სტუდიას. აქ სწავლობდნენ ვ. ანჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, ა. ვასაძე და, მასთან ერთად, ბ. გამრეკელი. 1920 წ-დან იგი სახელმწიფო დრამის თეატრის მსახიობია, დაახლოებით 6 წლის განმავლობაში იგი მოღვაწეობს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. 1948 წ-დან გარდაცვალებამდე იყო ამავე თეატრის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგე. ქართულ თეატრში ბაბო გამრეკელმა შექმნა დაუვიწყარი სახეები: ელენე („მარინე“), ელისაბედი („სანაპიროზე“), ხლოპოვის ცოლი („რევიზორი“), ჰორტენზია („სასტუმროს დიასახლისი“), გრაფინია ალმავივა („ფიგაროს ქორწინება“), მარეხი („მზის დაბნელება საქართველოში“), აგრაფინა („გუშინდელნი“), ისახარ („ღალატი“) და სხვა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994

მერაბ გეგია

გამრეკელი ირაკლი (17.V.1894, გორი - 10.V.1943, თბილისი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ქართული ავანგარდული სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა ქ. გორში, მღვდლის ოჯახში. სამხატვრო განათლება ნ. სკლიფასოვსკის ხატვისა და ფერწერის სკოლაში მიიღო, სადაც მას ასწავლიდნენ ბ. ფოგელი და ბ. შებუევი. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს ჯერ როსტოვის, შემდეგ კი თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. გარკვეული დროის მანძილზე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

1921 კ. მარჯანიშვილმა, ერთ-ერთ გამოფენაზე ი. გამრეკელის ნამუშევრების ნახვის შემდეგ, ის ოსკარ უაილდის „სალომეას“ გასაფორმებლად თეატრში მიიწვია. წლების მანძილზე თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან და ს. ახმეტელთან, თეატრის ორ დიდ რეჟისორ-რეფორმატორთან.

1923-1943 მხატვრად მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა, 1926 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე კი - შოთა რუსთაველის თეატრში. 1920-იანი წწ-დან აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, გატაცებული იყო ავანგარდული მიმდინარეობებით: გააფორმა ქართველ ფუტურისტ ლიტერატორთა ჟურნალი „H2 SO4 “, ჟურნალი „მემარცხენეობა“, ქართველი თანამედროვე მწერლების (გრ. რობაქიძის, კ. კალაძის, ს. ჩიქოვანის, ი. ვაკელის) ნაწარმოებები (1924). ქართული ავანგარდული მხატვრობისა და სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ი. გამრეკელის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა 1922-1943 წწ-ში რუსთაველის თეატრში დამკვიდრებული ძირითადი მხატვრული მიმართულებები. ამ პერიოდში მან არაერთი სპექტაკლი გააფორმა: გრ. რობაქიძის „ლონდა“ (1922), ე. ტოლერის „კაცი მასა“ (1923), გრ. რობაქიძის „მალშტრემი“ (1924), უ. შექსპირის „ჰამლეტი“(1925), ა. გლებოვის „ზაგმუკი“(1926), ს. შანშიაშვილის „ანზორი“ (1928), გრ. რობაქიძის „ლამარა“ (1930), შ. დადიანის „თეთნულდი“ (1931), ფ. შილერის „ყაჩაღები“ (1933) და მრავალი სხვ. 1926-1929 წწ-ში ორგანიზაცია „დურუჯის“ წევრი იყო. სხვადასხვა პერიოდში თანამშრომლობდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ბაქოს თეატრებთან. თანამშრომლობდა თბილისის კინოსტუდიასთან, არის ფილმების „არსენა“ (1937), „გიორგი სააკაძე“ (1942-1943) მხატვარი. ვ. სიდამონ-ერისთავთან ერთად, 1928 გააფორმა ქართული ექსპრესიონისტული ფილმი „ჩემი ბებია“, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აკრძალული იყო. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში (შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, კოტე მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, სემ – ხელოვნების მუზეუმი), ასევე, არაერთ კერძო კოლექციაში.

ლიტ.: ც. კ უ ხ ი ა ნ ი ძ ე, ირაკლი გამრეკელი, თბ., 1981; თეატრის მხატვრობა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, ტექსტის ავტორები: დ. ლ ე ბ ა ნ ი ძ ე, ე. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მ. ო კ ლ ე ი, თბ., 2008; В. Б е р ё з к и н, Художники грузинского театра: П. Оцхели, И. Гамрекели, журн. ”Театр”, М., 1968; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია, XVIII–XX, საუკუნეები, თბ., 2013.

გამრეკელი ირაკლი

მაია ციციშვილი

გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე (15.V.1893, სოფ. ძველი აბაშა - 1975, თბილისი) - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ, უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის, კენიგსბერგის, ლაიფციგის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1909 გამოაქვეყნა პირველი ლექსი კონსტანტინე აბაშისპირელის ფსევდონიმით. 1916 მიატოვა სწავლა ბერლინის უნივერსიტეტში და სამშობლოში დაბრუნდა. მუშაობა დაიწყო გაზ. „სახალხო საქმის“ რედაქციაში.

გამსახურდია
კონსტანტინე

1917 წ-ის აგვისტოში აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თბილისის კომიტეტის წევრად. 1917 ასწავლიდა გერმანულ ენასა და ლიტერატურას თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1918 დატოვა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. ამავე წელს მისი რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „პრომეთე“. 1918 დაბრუნდა გერმანიაში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს ატაშედ დაიწყო მუშაობა.

დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. სწავლის პერიოდში, არდადეგების დროს იყო სამშობლოში და მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში - ნატანების ფრონტზე. 1919 დაწერა ნოველა „მკვდართან შეხვედრა“, იმავე წელს დაიწერა მისი ნოველები: „ფოტოგრაფი“, „ტაბუ“ და „მშვენიერება“. 1919 წ-ის ივლისში გერმანიიდან გამოჰყვა გემ „ქრისტიანიას“ და თან 3 700 ქართველი სამხედრო ტყვე ჩამოიყვანა. 18.X.1920 ჟურ. „ბარრიკადში“ ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სხვა მწერალთა შორის განიხილა კ. გამსახურდიას ლექსები და წერილები. 14.XII.1920 წაიკითხა მოხსენება – „გერმანიის კულტურისა და პოლიტიკის პრობლემები“. 10.I.1921 საქართველოს მასწავლებელთა ყრილობას წარუდგა მოხსენებით – „რეფორმატორული იდეები გერმანიის პედაგოგიკაში“. 1921 წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ლენინს მისწერა საპროტესტო წერილი -„ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“. ამავე წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს“.

1922-1923 წწ-ში დააარსა გაზ. „საქართველოს სამრეკლო“, ჟურ. „ალიონი“ და „ქართული სიტყვა”. ხელმძღვანელობდა მწერალთა აკადემიურ კავშირს. 1924 ბოლშევიკების საწინააღმდეგო აჯანყებაში მონაწილეობის გამო დაეპატიმრეს. გათავისუფლებიდან 9 თვის შემდეგ დაწერა პირველი რომანი „დიონისოს ღიმილი“. 1926 ქართველი მწერლების პირველ ყრილობაზე რუსიფიკაციის წინააღმდეგ გალაშქრების გამო ხელმეორედ დაპატიმრეს. 6 თვე „ბუტირსკის“ ციხის სიკვდილმისჯილთა საკანში იხდიდა სასჯელს, 3 წელი - სოლოვკის კუნძულებზე. 1927 ავადმყოფობის გამო პატიმრობიდან გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს. 1931 მწერალთა ფედერაციამ ორგანიზაციის რიგებიდან გარიცხა, როგორც ანტისაბჭოთა მწერალი. 1934-1962 წწ-ში დაწერა რომანები: „გოეტეს ცხოვრების რომანი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ბელადი“, „ვაზის ყვავილობა“, „დავით აღმაშენებელი“, თარგმნა გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, უოლტ უიტმენის ლექსები და სხვ. 1944 აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1965 რომანისთვის „დავით აღმაშენებელი“ მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია. დაკრძალულია საკუთარი სახლის, კოლხური კოშკის ეზოში.

ლიტ.: ს. ს ი გ უ ა, „მარტვილი და ალამდარი“; „ბარრიკადი“, 18 ოქტომბერი, 1920.

ეკა ჯავახიშვილი

„განათლება” (1919-1920) - ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი. აღმოსავლეთ საქართველოს (1919), შემდეგ კი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ორგანო (1920). გამოცემას ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია - ვ. ბურჯანაძე და პ. ჭანიშვილი. იბეჭდებოდა თბილისში. ჟურნალი ლ. ბოცვაძის ჟურ. „განათლებიდან“ წარმოიშვა და მისგან განსხვავდება სპეციალური სასკოლო-პედაგოგიური მიმართულებითა და შინაარსით. გამოცემა სანახევროდ საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1919) და შემდეგ განათლების სამინისტროს (1919-1920) ხარჯზე არსებობდა. სულ გამოვიდა შვიდი ნაკვეთი. ჟურნალში ასახულია განათლების სამინისტროს მუშაობა, განათლების მდგომარეობა მაზრებში, სკოლის რეორგანიზაციის პროცესი, ცალკეული თეორიული საკითხები. იბეჭდება მასწავლებელთა ყრილობების ოქმები და რეზოლუციები. წამყვანი ავტორები იყვნენ: ლ. ბოცვაძე, გ. ნათაძე, იპ. ვართაგავა, ვ. ბარნოვი, დ. თურდოსპირელი, მ. ზანდუკელი, ალ. მიქაბერიძე და სხვ. 1919 წ-ის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ლ. ბოცვაძის სტატიაში „მეცნიერება და სახალხო განათლება“ საუბარია ცოდნისა და სწავლის მნიშვნელობაზე. იპ. ვართაგავას წერილში „კლასის აღმზრდელთა ინსტიტუტი საშუალო სკოლაში (განათლების სამინისტროს უკანასკნელი ცირკულიარის გამო)“ აღწერილია იმდროინდელი სკოლის მდგომარეობა, ავტორი მსჯელობს მასწავლებლის უფლება-მოვალეობებზე, ასევე, სწავლების პროცესსა და იმ მეთოდებზე, რომლებსაც სკოლის დონე უნდა აემაღლებინა. ჟურნალში გამოქვეყნებულია სასკოლო - საგანმანათლებლო საკანონმდებლო აქტები და პროექტები. მაგ., „წესდება აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირისა“, „საპენსიო კასის სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის (პროექტი)“, „სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის წესდება (პროექტი)“ და სხვ. 1920 წ-ის ზოგიერთი ნომერი იყოფა ოფიციალურ და არაოფიციალურ განყოფილებად. ოფიციალურ განყოფილებაში გამოქვეყნდა: „დეკრეტი რესპუბლიკის სამოქალაქო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატებისა“, „მოხსენება პირველ დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელთა 6-თვიანი კურსების მოწყობისათვის“, „მოხსენება სკოლის გარეშე სწავლების შემოღების შესახებ“ და სხვ. არაოფიციალურ განყოფილებაში კი დაიბეჭდა: ძილ-ნარევის „ინსტრუქტორები და შკოლა“, სტ. ნიკოლაიშვილის „განახლებული სკოლის გზა“ და რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა და გ. ნიკოლაძის მოხსენება „სასკოლო რეფორმა, ქართული მეცნიერული ენა და ქართული ზეპირი თვლა“. 1920 წ-ის მეორე ნომერში გამოქვეყნდა შ. ნუცუბიძის სტატია „მეცნიერება და ფილოსოფია“, ხოლო 1920 წ-ის მესამე ნომერში - მ. ზანდუკელის სტატია „ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები“; ს. დანელიას „საქართველოს სკოლის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი“, ფ. მ-ს „რა მოგვცა

ყოფილმა განათლების სამინისტრომ?“ - სამინისტროს მუშაობის შეფასება და სხვა პუბლიკაციები. განათლების საკითხების განსჯისას უცხოეთის გამოცდილების მკითხველისათვის გაზიარებას ისახავს მიზნად ი. გოგიას წერილი „სოფლის სკოლები ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში“. 1919 წ-ის „განათლების“ მეორე ნომრის დიდი ნაწილი მიეძღვნა პედაგოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის - ლ. ბოცვაძის ხსოვნას; დაიბეჭდა ი. გოგიას და შ. მღვიმელის ლექსები. გრ. მაჭავარიანის, ს. ფირცხალავას, ალ. მიქაბერიძის, ლ. ზვანელის, შ. კაკაბაძის წერილები, ასევე, სამგლოვიარო დეპეშები და ლ. ბოცვაძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია. ჟურნალის რუბრიკებია: „ბიბლიოგრაფია“ და „მოწერილი ამბები“. რუბრიკით „მოწერილი ამბები“ გამოქვეყნებულია საქართველოს რეგიონებში განათლების მდგომარეობის ამსახველი წერილები: „განათლების მდგომარეობა თელავის მაზრაში“, „სკოლების მდგომარეობა თიანეთის მაზრაში“ და სხვ., ხოლო „ბიბლიოგრაფიით“ დაბეჭდილ რეცენზიებში შეფასებულია ცალკეული სახელმძღვანელოები და ნაშრომები. მაგ., მეორე ნომერში გამოქვეყნებულ ს. დანელიას რეცენზიაში განხილულია თბილისის უნივერსიტეტის მოამბის №1, 1 ნაკვეთი.

ლიტ.: ჟურ. „განათლება”- 1919, №1-2, 1920 №6-7. გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1819-1945, თბ., 1947.

მარი წერეთელი

„განახლებული მესხეთი“ (1919-1920) - ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოს ორგანო. სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ოთხგვერდიანი გაზეთი. რედაქტორები - ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძე, ლ. რუხაძე. მეორე ნომრიდან ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია. იბეჭდებოდა ახალციხეში, ქართულ და, ნაწილობრივ, თურქულ ენებზე. გამომცემელი იყო ახალციხის მიწის მუშათა საბჭო, 1920 წ-დან - მაზრის ერობის გამგეობა. გაზეთის თანამშრომლები იყვნენ: კარაღა ეფენდი, ჰ. აბაშიძე, მხედარი (კოტე ტყავაძე), ჰუსეინ (მიხეილ საბიაშვილი) და სხვ. გამოცემის მთავარი მიზანი იყო სამუსლიმანო საქართველოს ინტერესების დაცვა. პუბლიკაციების უმრავლესობა ეხება სამუსლიმანო საქართველოს ისტორიასა და თანადროულ პრობლემებს. გაზეთის სახელწოდების ახსნა შესაძლებელია ხელმოუწერელი სტატიით „1219-1919“, რომელშიც საუბარია მესხეთის ისტორიასა და თავისუფლებისთვის 700-წლიან ბრძოლაზე. ავტორის თქმით, დადგა მესხეთის განახლების დრო. 1919 წ-ის მეორე ნომრის პირველივე გვერდზე დაბეჭდილია მოწოდება: „გაუმარჯოს გაერთიანებულ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს!“. 1919 წ-ის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ მეთაურ სტატიაში „გაერთიანებული საქართველო“ გამოხატულია სიხარული და კმაყოფილება სამუსლიმანო საქართველოს დედასამშობლოში დაბრუნების გამო: „დღეს თუ არა ხვალ ბათომის საკითხიც გადაწყდება. ამით დასრულდება ქართველი ერის ტრაგედია“. საგაზეთო პუბლიკაციებში ასახულია ისტორიული ბრძოლების პერიპეტიები (მხედარი - „ბრძოლა ფოცხოვთან“), მესხეთიდან გახიზნულ ლტოლვილთა ისტორია („ლტოლვილების საკითხი“), ბრძოლა საქართველოს დასაცავად (ოსმანის „საქართველოს მტრების დამარცხება“) და სხვ. „განახლებულ მესხეთში“ გამოქვეყნდა ზ. ჭიჭინაძის სტატიები: „წერილი რედაქციის მიმართ“, „ახალციხის ქართველ ებრაელთა შრომა საქართველოს გადარჩენისათვის“, „ზემო ქართლის ანუ მესხეთ-ჯავახეთის აღწერა (არტაანი, ყარს, არზრუმ, პონტო, დაღისტნითურთ)“, „სომხების ჩამოსახლება მესხეთ-ჯავახეთში“ და სხვ. მუსლიმებსა და ქრისტიანებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს ს. ფირცხალავა წერილში „ძმებო, შევერთდეთ“. პუბლიცისტი ა. საყვარელიძე სტატიაში „დადგა ჟამი!“ სამუსლიმანო საქართველოს წინაშე მდგარ ორ არჩევანს ხედავს - „... ან თავისუფლება, ეკონომიური აღორძინება, კუტურულ-ეროვნული წინსვლა საერთო სამშობლოს საზღვრებში, ან დაუსრულებელი მონობა მტარვალთა ბრჭყალებში“.

მ. ლაზარევი სტატიაში „სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“ მიიჩნევს, რომ ორ ერს შორის მტრული დამოკიდებულება ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკის შედეგია. გაზეთში იბეჭდება მოწოდება ახალციხის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან არსებული სომხური სექტორისა საქართველოში მცხოვრები სომხებისადმი, რომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ სომხის დაშნაკცუთიუნს, ჩამოაცილონ მას ხალხი და გაერთიანდნენ ქართული დემოკრატიის ირგვლივ. გაზეთში გამოქვეყნებული წერილები შეეხება სამუსლიმანო საქართველოს სხვადასხვა სოციალურ პრობლემას, მაგ., ფალიმონაშვილის „უწყლობა რაბათში“, კვესის „უპატრონო ქალაქი“; მოქალაქის „უპურობა ქალაქში“, ვ. ღლონტის „ენთელის წყლის გამოყვანის შესახებ“ და სხვ. 1920 წ-ის მეორე ნომრის მთელი გვერდი ეთმობა კონსტიტუციის პროექტს. გამოცემა ეხმაურება 1919 წ-ის 20 ივლისს საქართველოში ჩატარებულ სომეხთა „ეროვნული საბჭოს არჩევნებს“. მაგ., ვანო დ-ცი „სომეხთა ეროვნული საბჭოს არჩევნები“. გაზეთს აქვს რუბრიკები: „ახალი ამბები“, „დაბა სოფლები“, „კვირიდან კვირამდე“, „დღეს“, „მიწის მუშათა საბჭოში“ და სხვ. იშვიათად გვხვდება ლიტერატურული ნაწარმოებები, გამონაკლისია „ობოლი ნიავის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი ლექსები.

ლიტ.: გაზ. „განახლებული მესხეთი“ 1919, №1-27; 1920, №2; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ., 1947; გ. კ უ კ უ ლ ა ძ ე, გაზეთ „განახლებული მესხეთის“ ფურცლებზე დაცული ცნობები ახალციხის მაზრაში მცხოვრები ხალხების რელიგიური კუთვნილების შესახებ, ჩვენი სულიერების ბალავარი, VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2015.

მარი წერეთელი

განსაკუთრებული რაზმი შინაგან საქმეთა სამინისტროსი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმი შეიქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის პირადი ინიციატივით. კანონპროექტი დაამტკიცა ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 26 ივლისს. თავდაპირველად რაზმი დაარსდა 6 თვით, თუმცა შემდეგ მისი მოქმედება გახანგრძლივდა და მუდმივად არსებობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. რაზმის მიზანი იყო ბრძოლა კონტრრევოლუციის, სპეკულაციისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ, ამავდროულად, რაზმი ებრძოდა ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს, რუსული სპეცსამსახურების საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე. რაზმი მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო და მოქმედებდა მინისტრის პირადი განკარგულებით. უშუალოდ რაზმს მეთაურობდა მელქისედეკ (მექი) კედია. რაზმის უფროსს და მის თანამშრომლებს უფლება ქონდათ, აუცილებლობის შემთხვევაში დაეპატიმრებინათ ცალკეული პირები და ჩაეტარებინათ ჩხრეკა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რაზმის უფროსს უფლება ჰქონდა, დახმარებისათვის მიემართა მილიციის, ჯარისა და გვარდიის ნაწილებისათვის. განსაკუთრებულ რაზმში შედიოდა როგორც ოპერატიული დანაყოფი, ასევე სპეცდანიშნულების შეიარაღებული ფორმირება - მფრინავი რაზმი.

გეგეჭკორი ევგენი

ლიტ.: გ. ს უ ლ ა ძ ე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წ. წ), თბ., 2010.

დიმიტრი სილაქაძე

გაფრინდაშვილი ვალერიან

გაფრინდაშვილი ვალერიან ივანეს ძე (2.I.1889, ქუთაისი - 31.1.1941, თბილისი) - პოეტი. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდულ ფაკულტეტზე. 1915 გაზეთ „მეგობარში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსი. 1916, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, კოლაუ ნადირაძესთან, ივანე ყიფიანთან და სანდრო ცირეკიძესთან ერთად, ქუთაისში შექმნა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენი. 1918 ცხოვრობდა თბილისში, რედაქტორობდა ჟურნალს **„მეოცნებე ნიამორები“** (1919-1924), სისტემატურად აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს, თავმჯდომარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელობით სექციას და გაზეთ **„ზარია ვოსტოკას“** მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას. 1919 დაიწერა მისი ლექსი „მე და ოფელია“, 1921 - „ლოცვა“. 1919 გამოსცა ლექსების პირველი კრებული („დაისები“). 1920 წ-ის 18 ოქტომბერს გაზეთ „ბარრიკადის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ალექსანდრე არსენიშვილის წერილი „ოქროს ტრიტემა“, რომელშიც ის წერდა ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედების შესახებ. 1920 თანამშრომლობდა ჟურნალთან „შვილდოსანი; 1920 წ-ის 8 ნოემბერს გაზეთ „ბარრიკადში“ „ტრისტან მაჩაბლის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი „პოეტები წერის დროს”, რომელიც ეხებოდა: გრ. რობაქიძეს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, კ. ნადირაძეს, ს. ცირეკიძეს, ვ. გაფრინდაშვლსა და ლ. ჯაფარიძეს.

1923 რუსულად თარგმნა და წიგნად გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. 1924 ჟურნალ „კავკასიონში“ 1914-1922 წწ-ის ქართულ პოეზიას „დიონისური ღამე“ უწოდა. 1926 და 1937 გამოიცა მისი ლექსების კიდევ ორი კრებული. ქართულად თარგმნა ეჟენ პოტიეს, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ჰაინრიხ ჰაინეს, ვიქტორ ჰიუგოს, ედგარ ალან პოს, ალექსანდრ პუშკინის, მიხაილ ლერმონტოვის, ალექსანდრ ბლოკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაწარმოებები. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; თ. ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე, „ცისფერყანწელთა მეტრიკა“; წგნ.: „პაოლო იაშვილი, პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები. თბ., 1975; ჟურ. „ცისფერიყანწები“, 1916, №1; ჟურ. „ბარრიკადი“, 1920, 8 ნოემბერი.

ეკა ჯავახიშვილი

გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე (20.I.1881, მარტვილი - 5.VII.1954, პარიზი) - პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი, იურისტი, პუბლიცისტი. დაიბადა არისტოკრატულ ოჯახში. 1902 დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1906. 1903 გაწევრიანდა რსდმპ-ში. 1903-1904 წწ-ში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში. სტუდენტობის პერიოდშივე მიიპყრო უნივერსიტეტისა და მოსკოვის ინტელექტუალური საზოგადოების ყურადღება თავისი ნიჭიერებით, მჭევრმეტყველებითა და სიდარბაისლით. ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს უცვლელი თავმჯდომარე იყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვექილად დაიწყო მუშაობა სენაკის მაზრაში და ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატის სახელი დაიმკვიდრა. ახალგაზრდა იურისტს არ აკმაყოფილებდა რუსული სასამართლო წარმოება, ქართული ენისა და სამართლებრივი ტრადიციების იგნორირება მის პროტესტს იწვევდა. პარტიაში მომხდარი განხეთქილების დროს ე. გეგეჭკორმა მენშევიკების მხარე დაიკავა. 1907-1912 წწ-ში იყო III მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი, კ. ჩხეიძესთან ერთად. იცავდა პოლონეთისა და ფინეთის სახელმწიფოებრივ უფლებებს, სისტემატურად თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ გამომცემლობებთან.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის პერიოდში ე. გეგეჭკორი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის დროებითი მთავრობის კომისრად. აგრეთვე, იყო ამიერკავკასიის მენშევიკესერთა პირველი მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წ-ის 15 ნოემბრიდან - ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველ მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტიდან გამოქცეული, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების ევაკუაცია შიდა რუსეთში. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1919 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად. 1918 წ-ის ნოემბრიდან იყო დამოუკიდებელი საქართველოს კოალიციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1919 წ-ის მარტში ერთპარტიულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობაში მან ამ თანამდებობასთან ერთად შეითავსა იუსტიციის მინისტრის პოსტიც. იგი თავისი გამჭრიახობით ტაქტიანად ახერხებდა ამიერკავკასიაში, საქართველოს შინაური მშვიდობის დამყარებასა და შესაფერისი რეფორმების ცხოვრებაში გატარებას, მჭიდროდ თანამშრომლობდა ანტანტის ბლოკის დიპლომატებთან. იყო მოთავე კავკასიური (სომხეთ-საქართველო-აზერბაიჯან-მთიელების) კონფერენციებისა. მან არაერთხელ ითამაშა შუამავლის როლი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. მიაჩნდა რა, რომ ერთიანი კავკასია იყო დამოუკიდებლობის დაცვის მთავარი პირობა, 1919 წ-ის შემოდგომაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზანგეზურში შეტაკებების შეჩერებისათვის და შემდეგ სომხეთ-აზერბაიჯანის ხელშეკრულების დადებაში, რისთვისაც კავკასიაში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების მაღალი შეფასება დაიმსახურა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საქართველოს იურიდიული ცნობა ანტანტის თუ სხვა სახელმწიფოების მიერ. ამ მიზნით, 1918 წ-ის ბოლოდან მოყოლებული, ე. გეგეჭკორი ჯერ დენიკინთან - მოლაპარაკებებს, შემდეგ, 1920 წ-ის იანვრიდან, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გ. ჩიჩერინთან მიმოწერას აწარმოებდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა რუსეთთან 1920 წ-ის 7 მაისის ხელშეკრულების დასადებად გაწეულ მოსამზადებელ მუშაობაში და მიესალმა კიდეც ამ ისტორიული დოკუმენტის გაფორმებას. 1920 წ-ის სექტემბრიდან იგი გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში. იმყოფებოდა იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. შეხვედრები გამართა ჩამოთვლილ ქვეყანათა უმაღლეს ხელისუფლებებთან, გააცნო მათ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და მოითხოვა ყველასგან საქართველოს იურიდიული ცნობა. 1921 წ-ის 27 იანვარს, როცა ევგენი გეგეჭკორი ჯერ კიდევ პარიზში იმყოფებოდა, მან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ არისტიდ ბრიანისგან, მოკავშირე სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია და იაპონია) უმაღლესი საბჭოს დავალებით, მიიღო წერილი-ნოტა, რომლითაც ატყობინებდნენ საქართველოს დე იურედ ცნობას.

1921 საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ე. გეგეჭკორმა მთავრობასთან ერთად დატოვა საქართველო, დასახლდა პარიზში და განაგრძო ბრძოლა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. დიპლომატიური მიზნებით ბევრს მოგზაურობდა (იტალია, შვეიცარია). იყო „პრომეთეისტული“ მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან - „ბრძოლა”, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ჩვენი დროშა“, „მებრძოლი საქართველო“ და სხვ. 1924 ჟენევაში შეიქმნა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი, რომელმაც ტრადიციად გაიხადა თითქმის ყოველ გაზაფხულზე ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის მიწვევა, 1927 წ-ის მაისისთვის ჟენევაში მიწვეული იყო ე. გეგეჭკორი. კომიტეტის მიერ შედგენილი პროგრამით, მას უნდა წაეკითხა სახალხო ლექცია ჟენევის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სათაურით „საქართველოს მომავალი”. ჟენევაში მაშინ იმყოფებოდა საბჭოთა დელეგაცია ეკონომიკურ კონფერენციაზე. პოლიცია შიშობდა, რომ ე. გეგეჭკორის საჯარო გამოსვლა გადაიქცეოდა მრისხანე სახალხო პოლიტიკურ მანიფესტაციად რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ და, დიპლომატიური ურთიერთობის გართულების შიშით, უნივერსიტეტში დანიშნული საჯარო ლექცია გაუქმდა. თვით მოხსენება ცალკე ბროშურად იქნა გამოცემული ფრანგულ ენაზე, ჟენევაში, 1927, კომიტეტის თავმჯდომარის ჟან მარტენის წინასიტყვაობით. ე. გეგეჭკორი განისვენებს ლევილის ქართულ სასაფლაოზე. დაკრძალვის მთელი პროცესიის დროს ე. გეგეჭკორს საქართველოდან ჩატანილი ეროვნული დროშა ეფარა. მისმა შვილიშვილმა რუსუდანმა საფლავში ჩააყოლა ერთი პეშვი სამშობლოს მიწა, რის გამოც იბრძოდა მთელი ცხოვრების მანძილზე. დარჩა მეუღლე ოლღა და ქალიშვილები. მისი ერთადერთი ვაჟი, სოსიკო, გარდაიცვალა 16 წლის ასაკში, პარიზში.

ლიტ.: უ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე, ენც. „საქართველო“. თბ., 1997; გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ. ტ. III. თბ., 1993; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, რ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თ. ტ ა რ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ქართველები უცხოეთში: წ. I. თბ., 2012.

დოდო ჭუმბურიძე

გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (16.II.1870 - 1933) - გენერალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1888. დაამთავრა პავლეს სახელობის I სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1889). პორუჩიკი (1893). დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია (მე-2 თანრიგით). შტაბსკაპიტანი (1900). კაპიტანი (1901). პოდპოლკოვნიკი (1907). პოლკოვნიკი (1910). პირველი

გედევამიშვილი ალექსანდრე

მსოფლიო ომის მონაწილე. 203-ე ქვეითთა პოლკის მეთაური. გენერალ-მაიორი (1915). 1917 მეთაურობდა 51-ე ქვეითთა დივიზიას. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 წ-ის დასაწყისში იყო ბათუმის კომენდანტი. გარკვეულ ხანს იყო სამხედრო მინისტრის მოადგილე, სამხედრო საბჭოს წევრი. 1918 წ-ის ზაფხულიდან 1919 წ-ის გაზაფხულამდე იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1921 წ-ის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მსახურობდა წითელ ჯარში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007.

მიხეილ ბახტაძე

გედევანიშვილი დიმიტრი

გედევანიშვილი დიმიტრი პანტელეიმონის ძე (1884, სოფ. კირბალი, გორის მაზრ. - 1958, თბილისი) – ნიადაგმცოდნე, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1914 დაამთავრა პოლონეთში ნოვოალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

1919 პროფ დ. გედევანიშვილი მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიადაგმცოდნეობის პროფესორის თანამდებობაზე. 1919-1929 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრას.

1921-1924 წწ-ში მუშაობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1929 წ-დან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იყო ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე. დ. გედევანიშვილი ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა. მან გამოიკვლია მევენახეობის, მეჩაიეობის რაიონებისა და კოლხეთის დაბლობის ნიადაგები. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შედგა საქართველოს ნიადაგების რუკები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

გედევანიშვილი იოსებ

გედევანიშვილი იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე (02.01.1872 - 1939) - სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის არმიის შტაბსკაპიტანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ამხანაგის და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. 1905-1923 წწ-ში იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1905-1907 წწ-ში რევოლუციის აქტიური მონაწილე, რის გამოც კაპიტნის წოდებით დათხოვნილ იქნა რუსეთის არმიიდან. იგი აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ დუშეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაციაში. 1916 წ-ის შემოდგომაზე ესწრებოდა ეროვნულ-დემოკრატ დ. ვაჩნაძის ბინაში, ნ. ჟორდანიასთან, მ. წერეთელთან, ე. გეგეჭკორთან და სხვებთან ერთად, თათბირს, რომელზეც პარტიათა წარმომადგენლები შეთანხმდნენ, ხელსაყრელ ვითარებაში გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართული საარმიო კორპუსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო. იგი დაინიშნა კორპუსის შტაბის უფროსად. 1918 წ-ის დასაწყისიდან ფედერალისტთა ბათუმის საბრძოლო ე. წ. „პარტიზანული რაზმის“ მეთაურია. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წ-ის ბოლოს ის მეორე ქართული ეროვნული ბრიგადის უფროსად დაინიშნა და გენერლის წოდება მიიღო. ი. გედევანიშვილი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიიდან. 1919 წ-ის მარტიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრია. 1918 წ-ის აგვისტოდან საქართველოს სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი იყო. 1918-1921 წწ-ში ი. გედევანიშვილი ქართულ სამხედრო სკოლაში სამხედრო ისტორიას ასწავლიდა. ერთხანს იყო აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდალი, ხოლო 1921 წ-ის დასაწყისიდან - ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდალი. 1921 წ-ის თებერვალ-მარტში რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად დაინიშნა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საქართველოში დარჩა.

ლიტ.: ა, ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), თბ., 2014; ლ. დ ო ლ ი ძ ე, გენერლები საქართველოდან, თბ., 2003; გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 2003; მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, სამხედრო ფიცის ერთგულნი: ბიოგრაფიული ცნობარი, თბ., 2015.

ლელა სარალიძე

გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე (20.V.1870, სამტრედია - 1937), პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი. ფსევდ. „ყარიბი“. 1888 დაამთავრა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი. 1898-

1903 წწ-ში, პეტერბურგში, ცნობილი ქართველი ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის ჟურნალში მდივნად მუშაობდა, ასევე, თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებში - „ნოვოე სლოვო“, „ნაჩალო“, „ჟიზნი“, სადაც ამიერკავკასიის განყოფილებებს განაგებდა; 1903-1905 იყო ბაქოს საქალაქო თვითმმართველობის მდივანი.

1918 გახდა ამიერკავკასიის სეიმის წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიურად ჩაერთო ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში. იყო დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალზე ხელმომწერთა შორის. 1918 წ-დან იყო საქართველოს მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრის მოადგილე. საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ პ. გელეიშვილი ემიგრაციაში არ წასულა. იგი საქართველოში დარჩა და ბოლშევიკებთან თანამშრომლობის გზას დაადგა. 1923 წ-ის 20 თებერვალს პ. გელეიშვილმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს - მ. ცხაკაიას. წერილში მან დაგმო ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დრ-ის მთავრობის პოლიტიკური კურსი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებიდან და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გასვლა დაადასტურა. 1923-1929 წწ-ში მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, 1927-1929 წწ-ში - საქართველოს რევოლუციის მუზეუმში, ხოლო 1933-1937 წწ-ში - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალში. 1937 დახვრიტეს.

ლიტ.: გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე, ენც. „საქართველო“. ტ. I, თბ., 1997.

ლელა სარალიძე

გელეიშვილი პეტრე

გელოვანი კონსტანტინე ლევანის ძე (8.XII.1873 - 1932) - გენერალი. დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1897). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. 1913 მონაწილეობდა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში, კოსტრომაში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. იბრძოდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე, სადაც ორჯერ დაიჭრა. პოდპოლკოვნიკი (1915). პოლკოვნიკი (1916). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს დრ-ის შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1918). 1919 იმყოფებოდა გენერალ მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში და მონაწილეობდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში თურქეთის აგენტებისა და მათ მხარდამჭერთა მიერ მოწყობილი აჯანყების ჩახშობაში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. I. 2007.

მიხეილ ბახტაძე

გელოვანი
კონსტანტინე

გერბი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918-1921 წწ-ში არსებული ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან (1918 წ-ის 26 მაისი) კარგა ხანს მიმდინარეობდა მსჯელობა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი. ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა შემდეგი წინადადება: „სახელმწიფო ღერბად უნდა იყოს თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, რადგან ეს გამოხატულება ისტორიულად დაკავშირებულია ქართველი ხალხის არსებობასთან“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობის სახელით, ირაკლი (კაკი) წერეთელმა წამოაყენა მოსაზრება, რომ გერბზე გამოსახულიყო ამირანი (პრომეთე). პარლამენტში გამართულ კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა ივ. ჯავახიშვილის წინადადებამ. 1918 წ-ის 20 სექტემბერს მიღებულ კანონში „საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა“ აღნიშნული იყო: „ღერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“. ხელოვნების კომისიის (თავმჯდომარე - კონსტანტინე მაყაშვილი)

საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის გერბი

დადგენილების საფუძველზე, 12 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო გერბის ნახატის კონკურსი გამოაცხადა. მთავრობამ გაითვალისწინა კომისიის დადგენილების ყველა პუნქტი, გარდა პირველისა, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. კერძოდ, ესკიზიდან ამოიღეს გველეშაპის გამოსახულება, არადა, მის დათრგუნვას თეთრი გიორგის მიერ სიმბოლურად უნდა განესახიერებინა სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე. კონკურში გამარჯვებული გერბის ესკიზის ავტორი იყო ფრანგული წარმომავლობის რუსი მხატვარი ევგენი ევგენის ძე ლანსერე (1875-1946), რომელიც 1917-1934 წწ-ში კავკასიაში, ძირითადად კი თბილისში, მოღვაწეობდა. მოგვიანებით (1933) მას მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1918 წ-ის 27 დეკემბერს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში „აღწერილობა საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა“ ვკითხულობთ: „შვინდისფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ჩლიქებიან თეთრ ცხენზედ. მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი. ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა - თეთრი. მარცხენა მხარზედ თეთრი ფარი სახიანი; შალვარი - ალისფერი, ოქროს წაღები; უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა. ღერბის თავში რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთიქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი. ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია, თეთრ-წინწკლებიანი, ოქროს ზოლებში ჩასმული“.

ზეგავლენა იქონია საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალის (სოციალ-დემოკრატების) იდეოლოგიამ იმხანად დამტკიცებული სახელმწიფო გერბის გარეგნულ მხარეზე. ვინაიდან მისი შედგენისას დაირღვა ჰერალდიკის კანონები და უგულებელყოფილ იქნა საქართველოს სათანადო ტრადიცია, უკვე დამტკიცებული სახელმწიფო გერბი მკაცრად გააკრიტიკა მხატვარმა დავით კაკაბაძემ. საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას გაეგზავნა საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე და სხვები. პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი რევაზ გაბაშვილი აღნიშნავდა: „დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა მენშევიკებმა კვლავ მისცეს უფლება თავის მრევლს, - ინდივიდუალურად მიეცათ ხმა, ჩვენ გავიტანეთ „თეთრი გიორგი“, მაგრამ დაგვიმახინჯეს, რასაკვირველია, და ვეშაპის დათრგუნვის მაგიერ შუბით გმირისაგან, ვიღაც ჯამბაზი გადაახტუნეს... გუმბათზე და შუბს ტარიდანაც მოხსნეს ჯვარი“. 1921 წ-ის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის მიხედვითაც, სახელმწიფო გერბზე გამოსახული იყო „თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“. ზემოთ აღწერილი გერბი ახალი რედაქციით (მცირეოდენი ცვლილებებით) აღადგინა 1990 წ-ის შემოდგომაზე საქართველოში გამართული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ და იგი შემდგომი 14 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, როგორც სახელმწიფო გერბი. 2004 წ-ის 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო გერბის ახალი პროექტი (მხატვარი მამუკა გონგაძე), რომელიც შექმნილია ჰერალდიკის კანონების დაცვით და ჩვენი ქვეყნის შესაბამისი ტრადიციის გათვალისწინებით.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს, წგნ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბ., 1990; რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რაც მახსოვს, წგნ.: ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, მრავალტომეული, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. III, თბ., 1992; დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა, თბ., 2008; საქართველოს სახელმწიფო გერბის კონკურსის შესახებ, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს გამოცემა, თბ., 2008; თ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბ., 2010.

ნიკო ჯავახიშვილი

გერმანული კავკასიური ექსპედიცია – 1918 მსოფლიო ომის მიმდინარეობის ბოლო წელს კავკასიაში მოვლენები ძალიან სწრაფად იცვლებოდა. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კავკასია, ფაქტობრივად, გამოეყო რუსეთს, ამასთანავე, კავკასიის ფრონტი დატოვა რუსულმა არმიამ, რომლის ჩანაცვლება მცირერიცხოვანმა კავკასიურმა ეროვნულმა შენაერთებმა დაიწყეს. 1918 წ-ის მარტში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ზურგგამაგრებულმა ოსმალებმა კავკასიის ფრონტზე წარმატებული შეტევა დაიწყეს. ამავე პერიოდში კავკასიური პოლიტიკა გააქტიურეს გერმანელებმაც, მათი დაინტერესება კავკასიით განპირობებული იყო ომისთვის საჭირო ნედლეულის მიღებით (ნავთობი და მანგანუმი); გეოგრაფიული პლაცდარმის შექმნით მომავალში თურქესტანსა და ინდოეთში ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად; ქართული სამოკავშირეო არმიის ჩამოყალიბებით. გერმანია გამოვიდა შუამავლად საქართველოსა და ოსმალეთს შორის და გერმანიის პროტექტორატით საქართველომ 1918 წ-ის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გერმანიის კავკასიური ექსპედიცია 1918 წ-ის ივნისიდან დაიწყო, ქვეყანაში შემოვიდა რამდენიმე ათასი გერმანელი ჯარისკაცი, მისიას ხელმძღვანელობდა გერმანელი გენერალ-მაიორი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი. მისიის შტაბი თბილისში იყო განთავსებუ-

ლი, მისიის ლეგაციის მდივანი იყო ფრიდრიხ შულენბურგი. გერმანული სამხედრო მისია არ ერეოდა საქართველოს შიდა საქმეებში, პირიქით, გერმანელი სამხედრო მრჩევლები ხელს უწყობდნენ ქართველებს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეში, ასევე, ზოგიერთ სამხედრო ოპერაციაში ქართული ჯარის გვერდით გერმანელი ჯარისკაცებიც იბრძოდნენ. გერმანული სამხედრო მისია კავკასიიდან გერმანელთა მიერ მსოფლიო ომის წაგების შემდეგ გავიდა.

ლიტ.: გ. ასტამაძე, ქართულ-გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში, http://germangeorgian. archive. ge/ka/blog/5.

დიმიტრი სილაქაძე

გერსამია ალექსანდრე (14.IV.1865, სოფ. გადიდი - 7.II.1938) - საღვთო სჯულის მასწავლებელი, სასულიერო პირი, შემდეგში წილკნელი ეპისკოპოსი. 1878 წ-დან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ (1882) სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. ორივე სასწავლებელში მასთან ერთად სწავლობდა მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე დიდი მეგობრობა აკავშირებდა. 1886 ა. გერსამია მესტიის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელში მასწავლებლად დაინიშნა. ამავე პერიოდში დაოჯახდა თეოლინა ბერუჩაშვილზე, შეეძინათ სამი შვილი. 1890 ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა იგი დიაკვნად აკურთხა და მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დანიშნა, 1891 ამავე ტაძარში მანვე მღვდლად დაასხა ხელი და ლაილაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განაწესა. 1893 ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს და ცაგერის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. მასვე დაევალა ლეჩხუმ-სვანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა და იმერეთის საეპარქიო საბჭოს ლეჩხუმის განყოფილების თავმჯდომარეობა. 1900 წ-დან იგი ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების ნამდვილი წევრია. 1906 წ-დან მღვდელი ალექსანდრე ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია და პარალელურად ქუთაისის საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში საღვთო სჯულს ასწავლის. 1911 სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1916 წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1918 დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1918-1919 სასწავლო წელს საღვთო სჯულს ასწავლიდა ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიაში. 1920 წ-ის 27 ივნისს დეკანოზი, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებას ესწრებოდა.

1925 სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ბერად აღკვეცის შემდეგ, დეკანოზი ალექსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, ნინოწმინდელ მიტროპოლიტ კალისტრატეს, წილკნელ ეპისკოპოს პავლესა და და ბოდბელ ეპისკოპოს სტეფანეს თანამწირველობით, ეპისკოპოსად დაასხა ხელი და ცაგერის ეპარქიის მმართველად დაადგინა. 1928 კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ ჭყონდიდის ეპარქიაში გადაიყვანა და მასვე ჩააბარა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაც. 1930 წილკნის ეპარქიაში დაინიშნა. გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა მრავალმა სასულიერო პირმა გაიხადა ანაფორა და საერო სამსახურში გააგრძელა მოღვაწეობა, მეუფე ალექსი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვისაც არ უღალატია თავისი რწმენისა და საქმისათვის და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა დედაეკლესიას. გარდაცვალებულს წესი აუგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

ლიტ.: ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბ., 2010.

დოდო ჭუმბურიძე

გეხტმანი გიორგი ნიკოლოზის ძე (1870, ქ. ქუთაისი - 1956, ქ. თბილისი) – ეკონომ-გეოგრაფი. 1895 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი. იყო ჟურ. „ნაკადულისა“ და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი.

გეხტმანი გიორგი

1918-1919 წწ-ში (1906 წ-დან) იყო თბილისის პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორი. 1920 წ-ის პირველი დეკემბრიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაინიშნა სამეურნეო ეკონომიის ლექტორად.

1923-1956 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი (1923), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1940). გ. გეხტმანის მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებასთან. 1923-1930 წწ-ში იყო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. მისი დირექტორობის პერიოდში შეიქმნა ბიბლიოთეკის ფონდების ორგანიზაციის სტრუქტურა და განხორციელდა ფონდების ფორმატულ-ინვენტარული განლაგება ენების მიხედვით. მისი მეცადინეობით, ბიბლიოთეკას გადაეცა სათავადაზნაურო ბანკის შენობა (დღეს I კორპუსი). იყო მოწინააღმდეგე ბიბლიოთეკის გახსნისა 1921 წ-ის 25 თებერვალს, შეეკამათა განათლების სახალხო კომისარს, რის გამოც გაათავისუფლეს. 1923-1956 წწ-ში იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრის გამგე. საქართველოს ეკონომიკური დარაიონების ბადის ერთ-ერთი ავტორი.

1925 გამოსცა ნაშრომები „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია“ და „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“,

ლიტ.: რ. კ ვ ე რ ე ნ ჩ ხ ი ლ ა ძ ე, გიორგი გეხტმანი, თბ., 1969; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა - შ ვ ი ლ ი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

გვაზავა გიორგი

გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე (20.IV.1869, სოფ. სუჯუნა, სენაკის მაზრ. - 20.I.1941, პარიზი) - პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. პირველდაწყებითი განათლება ნოქალაქევსა და მარტვილში მიიღო, შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიასა და მეორე გიმნაზიაში გააგრძელა. გიმნაზიის ოქროს მედალზე დამთავრებისთანავე, 1889 შევიდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, იყო „კავკასიის სტიპენდიატი“. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ პარიზში გაემგზავრა და ერთი წლის განმავლობაში იყო სორბონის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. 1892-1893 წწ-ში მონაწილეობა მიიღო ქართული სტუდენტური გაერთიანება „თავისუფლების ლიგის“ შექმნაში. 1895 სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში და მუშაობდა ადვოკატად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობას, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში. 1905 შეადგინა „საქართველოს ავტონომიის სტატუტი“, 1905-1906 წწ-ში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების შემუშავებაში, თუმცა მაშინ პარტიის დაარსება ვერ მოხერხდა. 1906 გ. გვაზავა იყო გაზეთ „ავტონომიური საქართველოს“ დაარსების ინიციატორი, მაგრამ გამოცემის სახელწოდებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა და საქმე ჩაიშალა. 1907 მისი რედაქტორობით დაფუძნდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების რუსულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „Грузинская мысль“ (აქტიური თანამშრომლები: ვ. ჩერქეზიშვილი და მ. წერეთელი). გაზეთი პირველივე ნომრის გამოცემისთანავე ცენზურამ აკრძალა, ხოლო რედაქტორი გადაასახლეს. 1907 ჩავიდა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის დელეგატებს გადაეცათ მისივე მონაწილეობით შედგენილი „საქართველოს ხალხის მემორანდუმი”. 1910 ჟურნალ „ერის“ ფურცლებზე დაიბეჭდა მისი წერილების სერია „ჩეხია“, რომელიც ცალკე ბროშურადაც გამოიცა. ამ „სახელმწიფოში არსებული წესწყობილების დარღვევისაკენ მიმართული თხზულების გავრცელებისათვის“ გ. გვაზავას ერთი წლით მეტეხის ციხეში ჩასმა მიესაჯა.

1917 რუსულ ენაზე გამოსცა ნაშრომი „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მართლზომიერებას ასაბუთებდა. 1917 შედიოდა ოზაკომთან (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი) შექმნილი ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში. 1918 იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი, მონაწილეობა მიიღო ტრაპიზონისა და ბათუმის მოლაპარაკებებში ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის. იყო ედპ-ის საორგანიზაციო მთავარი კომიტეტის წევრი. პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, როგორც ყრილობის თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმში აირჩიეს. მოხსენებით გამოვიდა ყრილობის პირველ საკითხზე - „საქართველოს ავტონომიის შესახებ“, რომელზეც მიღებულ იქნა დადგენილება: „უნდა დამყარდეს პოლიტიკური ავტონომია (თვითკანონმდებლობა) დემოკრატიულ რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული“. ყრილობამ გ. გვაზავა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩია, მთავარმა კომიტეტმა კი მას პრეზიდიუმის წევრობა და პარტიის თავმჯდომარის მოადგილეობა დააკისრა. იყო საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსა და მისი აღმასკომის წევრი. 1917 წ-ის ნოემბერში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, აირჩიეს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის წევრად. 1919 წ-დან იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი, ედპ-ის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მდივანი, კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრი, ასევე შედიოდა კრების (პარლამენტის) სარეგლამენტო და საგარეო საქმეთა კომისიებში. 1920 გამოსცა ნაშრომი „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“.

1921 წ-დან გ. გვზავა ემიგრაციაშია და გვევლინება საქართველოს უფლებათა თავდადებულ დამცველად. პარიზში დასახლების შემდეგ იყო „პრომეთეს“ ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1926-1939 წწ-ში ფრანგულ ენაზე გამოსცემდა ჟურნალ „პრომეთეს“. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის რასინის „მითრიდატის“, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ და სხვ. თარგმანები. 1938 პარიზში გამოიცა მის მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ (პროზაული ვარიანტი). იყო ქართული ეროვნული ცენტრის წევრი, ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე. როდესაც ემიგრაციაში ედპ რამდენიმე ჯგუფად დაიშალა, ერთ-ერთ ჯგუფს სათავეში ედგა გ. გვაზავა. მისი რედაქტორობით 1929-1935 წწ-ში პარიზში გამოდიოდა „საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ორგანო“ - გაზეთი „საქართველო“. წერდა ფსევდონიმებით: „Politicys“, „X“, „გ. გ“, „მეთვალყურე“, „მკითხველი“, „სტამბოლელი“, „წკიპურტი“. ჰყავდა მეუღლე - ნინო ჩერქე-

ზიშვილი (ვ. ჩერქეზიშვილის ძმისშვილი) და ორი შვილი - მზია და ჯამლეთი. დაკრძალულია პარიზში, ბატინიოლის სასაფლაოზე.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. მეორე, თბ., 1993; ქართველები უცხოეთში: წგნ. I (რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, რ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თ. ტ ა რ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი), თბ., 2012; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

გვარამაძე თავაზ-ყადირ მამაც გული ოღლი (1849 - 24.IV.1919, სოფ. ზიკილია, ახალციხის მაზ.) - ქართველი მაჰმადიანი, სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. იყო რსდმპ-ის მენშევიკური ფრთის წევრი. წლების განმავლობაში ქართულ პრესაში აქვეყნებდა სტატიებს ახალციხის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და მიმდინარე პროცესების შესახებ.

1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. დამოუკიდებლობის პერიოდში იყო ახალციხის მიწის მუშათა დეპუტატთა საბჭოს წევრი. ახალციხის საკითხთან დაკავშირებით იკავებდა ცალსახად პროქართულ ორიენტაციას. 1919 რედაქტორობდა გაზ. „განახლებული მესხეთი“. ასაკისა და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, აქტიურად ეწეოდა პროპაგანდას დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ და საჯაროდ კიცხავდა ამბოხებულ ბეგებს. 1919 წ-ის 20 იანვარს მძიმე ავადმყოფი ყადირ გვარამაძე ურმით მიიყვანეს ახალციხის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, სადაც მოსახლეობას მოუწოდა, არ აჰყოლოდნენ ბეგების პროპაგანდას და დაეცვათ სამშობლო. ავადმყოფობის შემდეგ სახადით გარდაიცვალა მშობლიურ სოფელში, მუსულმანური ტრადიციის მიხედვით დაკრძალეს იმავე დღეს. 1919 წ-ის 29 მაისს დამფუძნებელი კრების დელეგაცია ახალციხეში ყადირ გვარამაძისთვის პატივის მისაგებად ეწვია გარდაცვლილის საფლავს, კრების სახელით, საფლავზე რკინის გვირგვინი განათავსეს, ცერემონიალზე დამსწრეებს სიტყვით მიმართა დეპუტატმა თედორე კიკვაძემ.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; გაზ. „ერთობა“ , 1919, №131.

ირაკლი ირემაძე

გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე (17.I.1884, სოფ. ლანჩხუთი, ოზურგეთის მაზრ. - 3.I.1969) - დიპლომატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამორჩეული წარმომადგენელი. უმაღლესი განათლება შვეიცარიაში მიიღო, რამაც მის სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს შესამჩნევი დაღი დაასვა. სწავლობდა მედიცინას, საზოგადოებრივ მეცნიერებასა და ფილოსოფიას. პროფესიით ექიმი იყო. „ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის და ნოე რამიშვილის მიმყოლი ქართველ სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა თაობიდან, ის უეჭველად განსხვავდებოდა თავისი მსოფლმხედველობით, ძირითადი საკითხებისადმი საკუთარი მიდგომით და თავისი გაგებით... ის არასოდეს არ ყოფილა აზიიდან მემკვიდრეობით მიღებული, ადამიანის უარმყოფელი და პიროვნების გამხრწნელი რუსული გენიის მოტრფიალე; კიდევ მეტი: მასზე, საბედნიეროდ, უხერხემლო რუსული მენშევიზმის არც ერთ ვარიანტს არ დაუტოვებია გავლენა; ის თავის სულიერ და გონებრივ საზრდოს პოულობდა ევროპიულ ჰუმანისტურ სოციალიზმში, რომლის ამოცანას და დანიშნულებას პიროვნების და ერის თავისუფლებაში ხედავდა... კონსტანტინე გვარჯალაძე იყო უდავოდ ქართველი ეროვნული მოღვაწე; იმავე დროს, უყოყმანო ქართველი სოციალ-დემოკრატი... ორი თუ სამი ათეული წლის განმავლობაში ის ტრიალებდა ევროპულ ავტორიტეტულ სოციალისტურ წრეებში, სადაც მისი საშუალებების ფარგლებში, საკუთარი ენერგიის დაუზოგავად, საქართველოს ინტერესებს იცავდა“ - ასე ახასიათებდა კ. გვარჯალაძეს მისი პარტიული ოპოზიციონერი, სოციალისტ-ფედერალისტი ნიკო ურუშაძე. კ. გვარჯალაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1918-1921 წწ-ში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1921 იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელია.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაშია. 1921-1924 წწ-ში კონსტანტინოპოლში საქართველოს მთავრობის რწმუნებული და სათვისტომოს ხელმძღვანელი იყო. 1920-30-იან წწ-ში კ. გვარჯალაძე სოციალისტური ინტერნაციონალის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა; როგორც ქართული სექციების წარმომადგენელი, მონაწილეობდა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგისა და მშვიდობის საერთაშორისო ბიუროს საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებში. იგი თავისუფლად ფლობდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, რაც ხელს უწყობდა, წარმატებით გამოსულიყო სხვადასხვა ავტორიტეტულ შეკრებებზე და უცხო საზოგადოებისთვის საქართველოს წარსული და აწმყო გაეცნო. ემიგრაციაში ყოფნის დროს აქტიურ დიპლომატიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, თანამშრომლობდა და ხშირად ხელმძღვანელობდა სოციალ–დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიურ პერიოდულ გამოცემას.



გვარჯალაძე
კონსტანტინე

კერძოდ, 1935-1940 წწ-ში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს - „ბრძოლისხმა" - მთავარი რედაქტორი. გარდა დიპლომატიური საქმიანობისა, კ, გვარჯალაძე აქტიურად იყო ჩაბმული აგენტურულ საქმიანობაშიც, დოკუმენტებში იგი მოხსენიებულია შემდეგი პარტიული სახელებით - „ვახტანგი", „ფარნაოზი".

კონსტანტინე გვარჯალაძისა და მისი მეუღლის, ბაბულია კანდელაკის სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. მათ, მართლაც, ვერ წარმოედგინათ ერთმანეთის გარეშე სიცოცხლე და როცა 1968 წ-ის 11 დეკემბერს კონსტანტინემ ცხოვრების თანამგზავრი დაკარგა, მან უარი თქვა სასმელ-საჭმელზე, ოთახში ჩაიკეტა და დაუძლურებული მიიცვალა 1969 წ-ის 3 იანვარს, სოფელ აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში. იგი მეუღლის გვერდით, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

ლიტ.: ქართველები უცხოეთში, წ. I (რ. დაუშვილი, გ. კალანდაძე, რ. კობახიძე და სხვ), თბ., 2012; გ. შ ა - რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005; სცსა, ფ. 2114, აღწ. 1; ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107; ფ. 489, აღწ. 30, საქ. 442.

ლელა სარალიძე



გველესიანი გრიგოლ

გველესიანი გრიგოლ ივანეს ძე (18.IX.1870, ქ. ქუთაისი - 17.I.1926, ქ. თბილისი) - იურისტი, სოციალ-ფედერალისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე. საშუალო განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1895 წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას, აქვეყნებდა წერილებს ივერიაში. იყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრი. 1905 აირჩიეს ქუთაისის ქალაქისთავის მოადგილედ. სწავლობდა პარიზის სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში.

1918 წ-დან მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში, იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. მუშაობდა საბჭოთა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ირაკლი ირემაძე

გვეტაძე რაჟდენ

გვეტაძე რაჟდენ მათეს ძე (29.VII.1897, სოფ. ციხია, - 1.XII.1952, თბილისი) - ქართველი მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა სამკლასიანი სასწავლებელი და უსახსრობის გამო დაიწყო მუშაობა შეგირდად. პარალელურად სწავლობდა საღამოს სკოლაში. 1913 გამოაქვეყნა პირველი ლექსი; 1915 - პირველი წიგნი „მთვარის ზღაპარი".

1918-1922 წწ-ში „ცისფერყანწელების" დაჯგუფების წევრი იყო. 1919 გამოვიდა პოეტური კრებული „დაბინდული ქარვები". 1919 თბილისში მისი რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „თოლაბაურის სარტყელი", სადაც დაიბეჭდა მისი ლექსი. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება" დაიბეჭდა რაჟდენ გვეტაძის შარჟი - ახალგაზრდა მგოსანი, მისი ლექსების კრებულის „დაბინდული ქარვები" გამოცემის გამო.

1921 მუშაობდა გაზეთ „კომუნისტში" კორექტორად, შემდეგ - რეპორტიორად, 1924 წ-დან - ღამის რედაქტორად. 1929 გამოვიდა პირველი დიდი რომანი „თეო". ამას მოჰყვა „ჭიაკოკონა". 1930 ჟ. „დროშის" რედაქტორია. 1934 საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრია. პროზაში მოგვიანებით დაიწყო მუშაობა. 1935 ნოველების კრებული „ლაშაური საღამოები" გამოიცა. პროზაული ნაწარმოებები გამოირჩევა ემოციურობით. ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას. თარგმნა ძველინდური ეპოსი „რამაიანა", ფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანდზე". 1935-1950 წწ-ში ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „ფედერაციას" (შემდგომში „საბჭოთა მწერალი"). დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ლ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, ცისფერყანწელები, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. XXV, 2004; ზ. ბ ა ბ უ ნ ა - შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე", თბ., 1994. ჟურ. „თოლაბაურის სარტყელი", 1919, №1. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1920, №27.

გაგა ლომიძე

გზათა და კავშირგაბმულობის სამინისტრო (დეპარტამენტი) – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე პირველივე მთავრობაში ჩამოყალიბდა გზათა და კავშირგაბმულობის სამინისტრო, მის ხელმძღვანელად კოალიციურ მთავრობაში ცნობილი სოციალისტ-რევოლუციონერი ივანე ლორთქიფანიძე შეირჩა. სამინისტროს მთავარ ფუნქციად კომუნიკაციის საკითხის მოგვარება, სარკინიგზო და საავტომობილი გზების მოწესრიგება, მგზავრთა გადაყვანის და ტვირთების გადაზიდვის რეგულირება განისაზღვრა. სამინისტროს დაევალა მოშლილი და არარსებული საფოსტო-სატელეგრაფო კომუნიკაციების მოწესრიგება, ელექტროენერგიით, ნავთობითა და სხვა საწვავით რესპუბლიკის უზრუნველყოფა. სამინისტროს საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას მაინც რკინიგზა წარმოადგენდა, რესპუბლიკისათვის ყველაზე მეტი შემოსავლის მომტანი ორგანზიაცია, რომელიც რესპუბლიკის მთლიანი შემოსავლების 1/3-ს გამოიმუშავებდა. რკინიგზაში მომუშავეთა რაოდენობა 20 000-ს აჭარბებდა, რკინიგზის პროფკავშირები 15 000 წევრით, კი, ქვეყანაში ყველაზე მძლავ გაერთიანებად მიიჩნეოდა. სამინისტრო ინტენსიურად მუშაობდა, ფაქტობრივად, საერთო ამიერკავკასიური

სარკინიგზო კვანძის განახლებისათვის, თუმცა სომხეთში და აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რკინიგზის სრულად დატვირთვა შეუძლებელი იყო. 1919 წ-ის მარტში დამფუძნებელი კრების მიერ ფორმირებულ მთავრობის ახალ კაბინეტში გზათა სამინისტრო დეპარტამენტად გარდაიქმნა და შრომისა და მიწათმოქმედების სამინისტროს შეუერთდა. გზათა დეპარტამენტის თავმჯდომარედ ბესარიონ ჭიჭინაძე დაინიშნა. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებთან საქართველოს რკინიგზის სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით. გზათა დეპარტამენტი რკინიგზისა და სხვადასხვა საგზაო სადგურებისათვის ქართული სახელწოდებების დარქმევის საკითხზედაც მუშაობდა და ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობდა ივანე ჯავახიშვილთან, სარგის კაკაბაძესთან და პავლე ინგოროყვასთან. დამოუკიდებლობის პერიოდში გზათა სამინისტრო, ერთი მხრივ, ყველაზე დიდ შენატანს ახორციელებდა ქვეყნის ბიუჯეტში, თუმცა ხარჯების თვალსაზრისითაც გამორჩეული იყო - 1920-1921 წწ-ის ბიუჯეტში მისი ხარჯებისათვის 1.8 მილიარდზე მეტი მანეთი იყო გათვალისწინებული. გზათა სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მუშაობდა და საბოლოოდ შემოიღო ტვირთების გადატანის ბაჟების მარჯები, რომელიც გათვლილი იყო როგორც სარკინიგზო, ასევე საზღვაო გადაზიდვებზე. გზათა უწყება და მისი დაწესებულებები ქვეყნის შიგნით და მეზობლად მიმდინარე არეულობების პერიოდში ხშირად ხდებოდა თავდასხმის მთავარი სამიზნე, აქედან გამომდინარე, დეპარტამენტი ინტენსიურად თანამშრომლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ცდილობდა უზრუნველყო სატრანსპორტო გადაზიდვების უსაფრთხოება და კომუნიკაციის გამართულობა.

ლიტ.: ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21 წწ.)“, თბ., 2001; ვ. ვ ო ი ტ ი ნ ს კ ი, „ქართული დემოკრატია“, თბ., 2018; სცსა, ფ. 1880, აღწ. 2, საქ. 1; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №166. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №155.

ირაკლი ირემაძე

გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე (20.XI.1879, ქუთაისი - 18.VIII.1937, ყაზახეთი) - პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, იურისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია, სწავლობდა ტარტუსა და ოდესის უნივერსიტეტებში. 1909 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1905-1920 წწ-ში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1909-1910 წწ.-ში - გაზ. „ფონის“ რედაქტორ-გამომცემელი (ქუთაისი).

1918 წ-ის აპრილში დაინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. 1918 წ-ის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. გენერალი გ. კვინიტაძე უარყოფითად აფასებდა სამხედრო უწყების სათავეში სამოქალაქო პირის (გ. გიორგაძის) ყოფნას და მას სამხედრო საქმის სრულ უცოდინარობაში სდებდა ბრალს. 1919 წ-ის მარტში, როდესაც გიორგაძე სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე ნ. რამიშვილმა ჩაანაცვლა, 52-მა გენერალმა, შტაბისა და ობეროფიცერმა გამოსამშვიდობებელ წერილში მინისტრის მუყაითობას, საქმის სიყვარულს, მოვალეობის შეგნებას, დინჯ მუშაობას, თავაზიანობას გაუსვეს ხაზი. 1920 დაინიშნა ბათუმის ოლქში მთავრობის წარმომადგენლად. 1920-1921 წწ-ში ყოფილი მინისტრი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გამოეთიშა და დამოუკიდებელი სოც. დემ. ორგანიზაციის - „ახალი სხივის“ - ლიდერი და სხიველების ფრაქციის თავმჯდომარე გახდა. იყო ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1922-1937 წწ-ში, ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას. 1921 გამოსცა ბროშურა „საქართველო, ანტანტა და რუსეთი“, მასში რუსეთ-საქართველოს ურთიერთოებები საკმაოდ იდეალიზებულადაა წარმოჩენილი, მაგრამ მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა წმინდა საქმე იყო. ერთხანს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, იკვლევდა საქართველოს ფეოდალური და ახალი პერიოდის ისტორიის საკითხებს. 1930 დააპატიმრეს, 1933 გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც მუშაობდა იურისკონსულტად სხვადასხვა ორგანიზაციებში. 1937 დააპატიმრეს და დახვრიტეს. რეაბილიტირებულია ყაზახეთის და საქართველოს უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თხზ.: გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში, ტფ., 1926; საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე (1864-1905), ტფ., 1928.

ლიტ.: დ. ს ი ლ ა ქ ა ძ ე, „გრიგოლ გიორგაძე - საქართველოს პირველი სამხედრო მინისტრი“, ჟურნალი „ისტორიანი“, 2015, N11; ლ. უ რ უ შ ა ძ ე, გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე, ენც. „საქართველო“ ტ. II, თბ., 2012.

დიმიტრი სილაქაძე

გიორგაძე გრიგოლ

გიორგი - მიტროპოლიტი (ერისკაცობაში დავით გიორგის ძე ალადაშვილი) (8.XII.1848, სოფ. არბოშიკი - 28.II.1925, იქვე) - პირველდაწყებითი განათლების მისაღებად, ნათესავის შემწეობით, ქ. ნუხაში, იქაურ საქალაქო სასწავლებელში მიაბარეს. ერთი წლის შემდეგ გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1869-1875 წწ-ში, სწავლობდა თბილისის სა-

სულიერო სემინარიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად. 1883 დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდებით. 1884 წ-დან მუშაობდა ოზურგეთის სასწავლებლის ზედამხედველად და ქართული ენის მასწავლებლად. 1885 გადაიყვანეს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ. 1898 მიენიჭა „სტატსკი სოვეტნიკის" წოდება. 1898 დაინიშნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დროებით ზედამხედველად. 1899 დააჯილდოეს. 1899 დ. ალადაშვილი ბერად აღიკვეცა და სახელად გიორგი ეწოდა. მეორე დღეს აკურთხეს დიაკვნად, ხოლო იმავე წელს - მღვდლად და მალე არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1902 რუსეთის სინოდის განკარგულებით არჩეულ იქნა იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დაინიშნა დავით გარეჯის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად. 1902 წმიდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1903 თბილისის სასულიერო სემინარიის ახალი შენობის აშენების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეა და შეთავსებით მუშაობდა საქართველოს საეგზარქოსოს სამხარეო სასწავლებლების კომიტეტის წევრად, საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარედ. 1905 წმიდა ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. 1905 წ-ის 29 აგვისტოს არქიმანდრიტი გიორგი იკურთხა ეპისკოპოსად. 1908 მეუფე გიორგი იმერეთის ეპისკოპოსია. დაჯილდოებული იყო წმიდა ანას I და II ხარისხის ორდენებით. ეპისკოპოსი გიორგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში, საქმიანი მიმოწერა ჰქონდა აკაკი წერეთელთან, გრიგოლ რობაქიძესთან, ივანე ჯავახიშვილთან. 1913 წ-ის ივლისში გაზეთი „ერი" ეპისკოპოს გ. ალადაშვილზე წერდა: „იგი ფრთხილია, მშვიდი. მისი აზრით ჩვენს დროში დაკარგვა რამისა ადვილია, პოვნა ძნელი. იგი ზედმეტად ფრთხილია, მაგრამ რა გაეწყობა". ეპისკოპოს გიორგის სიფრთხილე და თავშეკავებულობა განსაკუთრებით გამჟღავნდა 1905 წ-ის საეკლესიო საკითხების განხილვის დროს. ეპარქიის სამღვდელოება თავისი მღვდელმთავრისაგან მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში მეტ აქტიურობას. ეპისკოპოსი გიორგი იძულებული გახდა, შეერთებოდა ეპისკოპოსების (პეტრეს, ლეონიდეს, ექვთიმეს) ხელმოწერით რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-სთვის გასაგზავნი წერილის სულისკვეთებას, მაგრამ ავტოკეფალიის საკითხში მაინც ყოყმანობდა.

1917 წ-ის 12 (25) მარტს, მართალია, მცხეთაში ჩავიდა, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დაესწრო საგანგებო წირვას, ხელი მოაწერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტს, მაგრამ იქიდან პირდაპირ ეგზარქოსის სასახლისაკენ გასწია და მოახსენა - სხვა გამოსავალი არ მქონდაო. მისმა ასეთმა ნაბიჯმა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისა და მორწმუნეთა განრისხება გამოიწვია, საქმე იქამდე მივიდა, რომ ეპარქიამ სრული უნდობლობა გამოუცხადა მას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მას მღვდელმთავრობა შეუჩერა, ხოლო 1917 წ-ის 8-17 სექტემბერს გამართულმა I-მა საეკლესიო კრებამ გადააყენა იმერეთის ეპისკოპოსის თანამდებობიდან. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის ტრაგიკულად აღსრულების შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ 1918 წ-ის 1 აგვისტოდან წილკნის ეპარქიის მმართველად დაადგინა, მცხეთა-თბილისის ეპარქიის გაერთიანების შემდეგ (1919), 1920 წ-დან ბათუმ-ჭყონდიდის შემოქმედის ეპარქიის მმართველად გადაიყვანა. ეპისკოპოსი გიორგი გახდა მიტროპოლიტი.

1921 წ-ის 25 თებერვალს ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების დამყარებამ კიდევ უფრო დაამძიმა მიტროპოლიტ გიორგის მდგომარეობა. მან 20 სექტემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს, გაეთავისუფლებინათ ეპარქიის წინამძღოლობიდან და გაეშვათ პენსიაზე. 1922 წ-ის 17 ოქტომბერს ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი ხირსის წმიდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1922 წ-ის 14 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ, ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის, დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოაცხადა, დაიწყო სასულიერო პირების დევნა-შევიწროება, ეკლესია-მონასტრების ნგრევა, საეკლესიო ქონების დატაცება, სიწმინდეთა შეურაცხყოფა. 1924 დაარბიეს ხირსის მონასტერი. მიტროპოლიტი გიორგი იძულებული გახდა, თავის სოფელ არბოშიკში ნათესავებთან გადასულიყო. დაკრძალულია სოფელ არბოშიკის ეკლესიის გალავანში.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010

მიხეილ ქართველიშვილი

გობეჩია ვლადიმერ პავლეს ძე (?- 1918) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის საზღვაო მინისტრი. ვ. გობეჩია 1918 წ-ის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალზე ხელმომწერთა (სულ 88) შორისაა. 1909-1911 წწ-ში ვ. გობეჩია ბაქოში ცხოვრობდა. იმ პერიოდში ბაქოში ქართულ ენაზე გამოდიოდა პარტიული ორგანო - „მარცვალი", თავის ძმა იოსებთან ერთად, რომელიც ასევე არალეგალურად ცხოვრობდა ქ. ბაქოში, აღნიშნული გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყო. ვლადიმერ გობეჩია 1918 წ-ის მაისში უცნობმა პირმა გა-

სროლით მოკლა. მის გასვენებაში ყველა ქართული პარტია მონაწილეობდა. ეროვნულმა საბჭომ და პარტიებმა დაგმეს საბჭოს წევრის ვერაგული მკვლელობა, გარდაცვლილ ვ. გობეჩიას კი მრავალი სტატია მიუძღვნეს.

ლელა სარალიძე

გობეჩია ივანე პავლეს ძე (10.XII.1881, ქუთაისი - 30.IX.1937) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი. ნაფიცი ვექილი. განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში საქმიანობას პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციებში ეწეოდა. 1904-1909 წწ-ში ჟანდარმერიისაგან მუდმივ დევნას განიცდიდა (ჩხრეკა, პატიმრობა, გამოძიება ბრალდების წაყენებით და სხვ). ი.გობეჩია, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალისტ - რევოლუციონერთა ფრაქციის მდივნის თანაშემწე იყო. როგორც ქ. ქუთაისის გუბერნიის პარტიული ორგანიზაციის დელეგატი, მონაწილეობდა რუსეთის ესერთა პარტიის მესამე ყრილობის მუშაობაში. იყო ნაფიცი ვექილის თანაშემწე და, როგორც ვექილმა, მრავალ პოლიტიკურ პროცესში მიიღო მონაწილეობა.

1917 ქუთაისის ქალაქის საბჭომ დელეგატად მიავლინა პეტერბურგში მიმდინარე დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებად. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ი. გობეჩია სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა: იყო ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კავკასიის ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს წევრი, ქუთაისის გუბერნიის კომისარი, კავკასიის ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობების დელეგატი. მონაწილეობდა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაში და ხელმძღვანელობდა ყრილობის ეროვნული საკითხის სექციის მუშაობას. იყო ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი ქართული სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის ჩამოყალიბებასა და ამ პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაში, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. იყო პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზ. „შრომის“ რედაქტორის მოადგილე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სამშობლოში დარჩა. 1937 წ-ის რეპრესიებს ვერ გადაურჩა, დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, საქ. 107; სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონულ მონაცემთა ბაზა], ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“, საქართველოში შვეიცარიის საელჩო, 2013.

ლელა სარალიძე

გობეჩია იოსებ პავლეს ძე (1879, ქუთაისი - XII.1962, პარიზი) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციური პარტიის (ესერების) ერთ-ერთი მეთაური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) დამფუძნებელი კრების წევრი ესერთა პარტიიდან. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა ოდესის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე გააგრძელა. 1901 ოდესაში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისთვის დაატუსაღეს და, ადმინისტრაციული წესით, სამშობლოში გადაასახლეს. იმავე წელს ქუთაისში, ერთ-ერთ შეკრებაზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეს დროს საპროტესტო სიტყვის წარმოთქმისთვის, მეორედ დააპატიმრეს და ოდესაში გადაასახლეს, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ მისცეს. ეს უფლება მან 1902 მოიპოვა და, პროფესორ ვ. პეტრიაშვილის დახმარებით, შეძლო ოდესის უნივერსიტეტის დამთავრება (1908). 1904 დააპატიმრეს სტუდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელთა კომიტეტის მთელი შემადგენლობა და, მათ შორის, ი. გობეჩიაც. მან ციხეში ერთი წელი გაატარა და კავკასიაში დაბრუნდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერებაში. მან ჩამოაყალიბა არალეგალურ მებრძოლთა რაზმები და ტერორისტული თავდასხმები მოაწყო ალიხანოვ-ავარსკიზე, გენერალ ველიამინოვზე, ზუგდიდში, პოლიცმაისტერ მარტინოვზე. 1906 წ-ის ბოლოს, როგორც ამიერკავკასიის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი, ფინეთში (იმატრაში) ესერთა პარტიის საბჭოს ყრილობას დაესწრო და მონაწილეობდა ესერთა პარტიის მეორე ყრილობის მუშაობაში ტამერფორსში (ფინეთში). უკან დაბრუნებისას დაიჭირეს და თბილისში გაასახლეს. 1909-1911 წწ-ში ი. გობეჩია ბაქოში ცხოვრობდა და ასტრონომიაში ლექციებს კითხულობდა მუშათა პროფესიულ კურსებზე და სახალხო უნივერსიტეტში. იმ პერიოდში ბაქოში ქართულ ენაზე გამოდიოდა ესერთა პარტიული ორგანო „მარცვალი“. ძმასთან (ვლადიმერთან) ერთად, რომელიც ასევე არალეგალურად ცხოვრობდა ბაქოში, ი. გობეჩია აღნიშნული გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყო. იმის გამო, რომ ჟანდარმერია გამუდმებით დაეძებდა, ის იძულებული გახდა, საზღვარგარეთ წასულიყო. მუშაობდა ობსერვატორიაში. შემდეგ გრენობლის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, რომელიც ელექტროტექნიკის ინჟინრის ხარისხით დაამთავრა და პარიზში ინჟინრად დაიწყო მუშაობა.

გობეჩია იოსებ

1917 დაბრუნდა რუსეთში და დროებითი მთავრობის მიერ კავკასიის ფრონტის სამხედრო კომისრად დაინიშნა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იყო

ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალისტ-რევოლუციონერთა საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და ბოლშევიკ ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტთა რიგებში ჩადგა. იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი. დამკომის მიერ გაიგზავნა უცხოეთში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან სახალხო ამბოხების საკითხებთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად. 1924 წ-ის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში დარჩენილიყო. ერთხანს იყო სოციალ-დემოკრატიული ემიგრანტული გაზეთის - „დამოუკიდებელი საქართველოს“ რედაქტორი. ემიგრაციული ჟურნალის - „ჩვენი დროშა“ შეფასებით: „იოსებ გობეჩია იყო დაუღალავი მებრძოლი ქართული საქმის. უცხოეთში მის შეუჩერებელ მოღვაწეობას საქართველოს უფლების დასაცავად - ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მოხუცი, ავადმყოფი უკანასკნელ დღემდე არ უშვებდა შემთხვევას, მონაწილეობა მიეღო ქართულ საქმიანობაში. ცდილობდა, აგრეთვე, უცხო პრესაში გაეტანა ქართველი ერის ბრძოლა და გაეცნო საზოგადოებრივი აზრისთვის გარდაუვალი სურვილი ქართველი ერისა, ეროვნული თავისუფლების აღსადგენად“. დაკრძალეს ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე, სადაც გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ ლევან ზურაბიშვილმა და ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატმა ელისე პატარიძემ.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2001; ჟურ. „ჩვენი დროშა“, პარ., 1963, №38; გრ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ქართული ემიგრაცია და ადამიანები“, პარ., 1971; სცსა, ფ. 1836, საქ. 107.

ლელა სარალიძე

გოგელია ილია (1884, სოფ. სამება, ოზურგეთის მაზრა - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაამთავრა ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციის კანტორაში გადამწერად. ადრეული ასაკიდან მუშაობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქციის სასარგებლოდ.

1918 სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119.

ირაკლი ირემაძე

გოგიტიძე გერმანე

გოგიტიძე გერმანე (12.X.1886, ოზურგეთი - 7.III.1960, თბილისი) - ქართული კინოს პირველი მწარმოებელი და პირველი ქართული მხატვრული ფილმის ავტორი (ა. წუწუნავასთან ერთად). უმაღლესი განათლება მიიღო პარიზში. 1906 წ-დან თეატრალურ საზოგადოებაში მოღვაწეობს. 1914 ოზურგეთში თეატრი ააგო, რომელსაც საკუთარი ელექტროსადგურიც ჰქონდა. თეატრს 250-კაციანი დარბაზი და მოძრავი სცენა გააჩნდა. მალე სივრცე კინოთეატრ „ილუზიონად“ გადაკეთდა. სწორედ აქ გაუჩნდა ქართული მხატვრული ფილმის გადაღების იდეა. 5.VII.1915 ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ ფილმის „ქრისტინე“ გადაღებას იუწყებოდა. სცენარად ე. ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე“ გამოიყენა. გადაღებისთვის საჭირო თანხებიც მოიძია. რეჟისორად ა. წუწუნავა, მხატვრად - დ. შევარდნაძე, ოპერატორად ჯერ შუგერმანი, შემდეგ კი ალექსანდრე დიღმელოვი მიიწვია.

1917 წ-ის ოქტომბერში გადაღებები დასრულდა. 1918 წ-ის აპრილში ოზურგეთში ოსმალების შესვლისას გ. გოგიტიძის მთელი ქონება და მათ შორის ფირებიც განადგურდა. თბილისში შენახული ნეგატივების მეშვეობით მასალის აღდგენა მოახერხა. 26.V.1919 ფილმის ჩვენება კინოთეატრ „აპოლოში“ გაიმართა. პარალელურად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დოკუმენტური ფილმებიც გადაიღო: „სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედაქალაქში, 12 დეკემბერი 1918 წლისა“, „დღესასწაული დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს“. ასევე, მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური სიუჟეტებიც გადაიღო: „აზერბაიჯანის ფრონტი“, „ბათუმის გადმოცემა საქართველოსთვის“, „ბათუმის სიმაგრეები“, „1919 წლის 26 მაისი“, „გორის მიწისძვრა“, „მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა დელეგაცია“, „სახალხო გვარდიის სასოფლო მუშაობა“, „აჭარა“, „სახალხო გვარდიელთა ჯირითი“, „1920 წლის 26 მაისი“, „ბათუმის პროტესტი“, „გორის წისქვილი“. 27.IX.1919 გ. გოგიტიძესა და კოოპერატივთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს პროვინციებში ფილმების ჩვენებას ითვალისწინებდა, შემოსული თანხა კი თანაბრად განაწილდებოდა. ქართული კინო ამ ხელშეკრულების დადებით საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. 1920 გოგიტიძე რეჟისორ ფრიც ლანგთან შესახვედრად გერმანიაში გაემგზავრა. განიხილეს „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაცია. ფინანსური პრობლემების გამო, შეთანხმება ვერ შედგა.

1921 წ-დან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კინოსექციას ხელმძღვანელობდა. 1923 წ-დან იყო „სახკინმრეწვის“ დირექტორ-განმკარგულებელი. მისი ხელმძღვანელობით გადაიღეს ფილმები: „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“, „წითელი ეშმაკუნები“, „მამის მკვლელი“. 1928 ფილმის „ჯანყი გურიაში“ მომზადების დროს ბიუჯეტის გადახარჯვის გამო გაათავისუფლეს. 1949 დააკავეს, წამების შემდეგ უცხო ქვეყნის ჯაშუშობა აღიარებინეს და 15 წლით გადაასახლეს. დაპატიმრების მიზეზი

იყო მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი მისი შვილი, რომელიც საცხოვრებლად პარიზში დარჩა. 1956 გადასახლებიდან ვადაზე ადრე დაბრუნდა. ავტორია წიგნისა „ქართული კინოს წარსულიდან“. საბჭოთა პროპაგანდამ მისი ფილმები გაანადგურა.

ლიტ.: გ. გოგიტიძე, „ქართული კინოს წარსულიდან“, 2013; ი. მახარაძე, „დიადი მუნჯი ქართული კინოს ისტორია“; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №59; გაზ. „სახალხო საქმე, 1919, №540, №545, 1920, №773.

სალომე ჭანტურიძე

გოგიტიძე სიმონ კონსტანტინეს ძე (1872, სოფ. ჭალა, ოზურგეთის მაზრ. - 1927, თბილისი) -საქართველოში მეცნიერული პედიატრიის ფუძემდებელი. 1897 დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, 1904 მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში,1904 გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 1909 წ-დან - კიევის უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის პრივატ-დოცენტი, 1912 წ-დან - პროფესორი და ნოვოროსიის უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის გამგე. 1919 წ-ის 13 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ს. გოგიტიძე ერთხმად აირჩია ბავშვთა კლინიკის კათედრის გამგედ.

ლიტ.: პ. ნანეიშვილი, „ს. გოგიტიძე, როგორც პედაგოგი“; ჟურ. „თანამედროვე მედიცინა“, 1927 წ., N3-N4;

მანანა ლილუაშვილი

გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე (20.I.1872, სოფ. ლანჩხუთი, ოზურგეთის მაზრ. - 29.III. 1950, თბილისი) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1935), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1945), ქართული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1892 წ-დან ეწეოდა სამეცნიერო-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. დაამთავრა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკის განყოფილება ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით (1901). რედაქტორობდა გაზ. „ივერიას“ (1905-1906). სხვადასხვა დროს იყო თბილისის საქალაქო სათათბიროს, აგრეთვე, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკური ბიუროს ხელმძღვანელი (1903-1913); სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში (1914-1916). იყო კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარე (1917-1918).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მოღვაწეობდა სახელმწიფო კონტროლიორად ანუ მინისტრად (1918-1920). იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პროფესორი (1918-1950). თსუ-ში კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის, ფინანსების, სტატისტიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსს. მისი თაოსნობით სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. იყო ასევე პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ორგანიზატორი და გამგე; სტატისტიკის კათედრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

სოცოცხლის უკანასკნელ წლებში შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში (1945-1950). ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მის სამეცნიერო ნაშრომებში ძირითადად შესწავლილია საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური დასაზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები. მისი პირველი კაპიტალური გამოკვლევა იყო ლაიპციგის უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო დისერტაცია: „ხელოსნობა საქართველოში“, რომელიც ტიუბინგენში გერმ. ენაზე წიგნად გამოიცა (1901) და ევროპას საქართველოს ეკონომიკა გააცნო. მისი რედაქციით რუს. ენაზე გამოიცა ორტომიანი ნაშრომი „სტატისტიკური ცნობების კრებული კერძო მიწათმფლობელობის შესახებ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში“ (1910). მისი უშუალო მონაწილეობით ითარგმნა და რედაქტირებულ იქნა კ. მარქსის თხზულებანი, კერძოდ, „კაპიტალის“ I (1930), II და III ტომები (1932-1934), „ფილოსოფიის სიღატაკე“ (1931), „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1932 წ.), „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1940 წ.), დ. რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1937), ა. სმიტის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (ტ. I, 1938) და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე. 1904 მან ანდერძით მიიღო პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილი ქართული ფოლკლორის ნიმუშების მდიდარი კოლექცია, რ-ის ნაწილი 1905 გამოსცა ვრცელი წინასიტყვაობით („სახალხო ლექსები“). 1937 გამოსცა ამ კოლექციის პოეტური ნაწილი („ხალხური სიტყვიერება“, ტ. I). ფ. გოგიჩაიშვილის ნეშტი 2002 წ-ის 13 სექტემბერს ვაკის სასაფლაოდან გადაასვენეს თსუ-ის პანთეონში. 2008 საქართველოს მეცნ. ეროვნულმა აკადემიამ დააწესა მისი სახელობის პრემია ეკონომიკის დარგში.



გოგიტიძე სიმონ

გოგიჩაიშილი ფილიპე

თხზ.: ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, პ. გუგუშვილის რედ., ტ. I, თბ., 1974; ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976; Малоземелье среди крестьян Закавказья, Тфл., 1903; Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen, Tübingen, 1901.

ლიტ.: პ. გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ბიბლიოგრაფია, თბ., 1973; ო. საღარეიშვილი, ბურჯი ქართული ეკონომიკური აზროვნების აღორძინებისა, თბ., 2003; გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელისძე, ენც. „საქართველო“, ტ. II, თბ., 2012.

ნიკო ჯავახიშვილი

გოგნიაშვილი რევაზ

გოგუაძე ვალოდია

გოგნიაშვილი რევაზ დიმიტრის ძე (26.X.1893, სოფ. ქვემო ხოდაშენი - 20.III.1967, თბილისი) - კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, ლოტ-ბარი, ლიბრეტისტი. სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერის „ქრისტინეს“ ავტორი. დაწყებითი მუსიკალური განათლება თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მიიღო. ქართულმა საზოგადოებამ 1910 ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებიდან გაიცნო. იმ დროს მისი რამდენიმე ვოკალური ნაწარმოები ვ. სარაჯიშვილის რეპერტუარში შედიოდა. არის პირველი ქართველი კომპოზიტორი, რომლის საფ-ნო ნაწარმოებების კრ. „Arabesques“ გამოიცა ევროპაში (პარიზი, 1910). 1913 დაამთავრა პარიზის კონსერვატორია საკომპოზიტორო განხრით. მისი პედაგოგები იყვნენ: პროფ. პენიო, გრავარე დაივადონი. იმავე წ. საქართველოში დაბრუნდა. 1914, ა. წუწუნავას თხოვნით, დაიწყო მუშაობა ოპერაზე „ქრისტინე“, რომლის ლიბრეტოსაც საფუძვლად დაედო ე. ნინოშვილის იმავე სახელწოდების ნაწარმოები. ოპერაზე მუშაობა სამ წელიწადში დაასრულა. ცარიზმის ცენზურის გამო, ლიბრეტო რუსულად დაიწერა. 1918 ვ. გუნიამ ქართულად თარგმნა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, 21.V.1918, ქართული კლუბის სცენაზე (დღევანდელი გრიბოედოვის თეატრი), ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით, „ქრისტინეს“ პრემიერა მოეწყო (რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი, დირიჟორი ნ. ქართველიშვილი; იასონის როლში - ვ. სარაჯიშვილი). წარმოდგენისას, კლასიკურ ინსტრუმენტებთან ერთად, ხალხური საკრავები - დუდუკი და დოლი გამოიყენეს. 17.VI.1918 „ქრისტინე” თბილისის ოპერის თეატრის სცენაზეც დაიდგა.

ოპერა განმეორებით გასაბჭოების შემდეგ, 1921 წ-ის დეკემბერშიც დაიდგა. შექმნა კიდევ ორი ოპერა: „მზის ქურუმი“ (ლიბრ. მ. ხერხეულიძის) და „ჯადოსანი“ (სხვა ვერსიით - „კუდიანი“), ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვით. მას ეკუთვნის ასევე რამდენიმე ვოკალური ნაწარმოებიც. 1925-27 წწ-ში იყო თბილისში დაარსებული პირველი სატირის თეატრის კომპოზიტორი. 1930-იან წწ-ში - თელავის მუსიკალური სკოლის დირექტორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად თბილისის, ქუთაისისა და გორის მუსიკალურ სასწავლებლებში. თანამშრომლობდა ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთისა და თელავის დრამ. თეატრებთან. ჭიათურის თეატრში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა პროფესიონალი მუსიკოსებისაგან შემდგარ ორკესტრს. გაფორმებული აქვს 200-ზე მეტი სპექტაკლი. სიცოცხლის ბოლოს მუშაობდა ოპერაზე „გიორგი სააკაძე“.

ლიტ.: რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; ა. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, „ღვაწლმოსილი ხელოვანი“, ჟურ. „დროშა“,1967, №17; შ. ა ბ რ ა ხ ა მ ი ა, „ქართული ოპერის პირველი მერცხალი“, ჟურ., „ისტორიანი“, 2013, №7; „მუსიკა და სახიობა“, ჟურ., „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №9, №14.

ზურაბ ლეჟავა

გოგოლაძე კაპიტონ (? - 1942) – ქართველი პოეტი, სოციალ-დემოკრატი, ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა სატირულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში.” გარდა ამისა, იგი წერდა „მათრახში“, „მათრახი და სალამურში“, აგრეთვე, გაზეთ „კვალში”. აქტიურად იყო ჩაბმული პოლემიკაში ილია ჭავჭავაძესთან და მის მომხრეებთან. 1909-1915 წწ-ში იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების სარევიზიო კომისიის წევრი. მუშაობდა ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში მოანგარიშედ.

იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109.

ნოდარ ჩხაიძე

გოგუაძე ვლადიმერ (ვალოდია) (1880, სოფ. ჭანჭათი, ოზურგეთის მაზრ. - 1954, ლევილი) - სამხედრო მოღვაწე, 1900-1902 წწ-ში მსახურობდა რუსულ ჯარში. 1903 წ-დან ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას. ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ტერორისტად და შიშის ზარს სცემდა მეფის რუსეთის მოხელეებს.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ იწყებს აქტიურ სამხედრო სამსახურს გვარდიაში. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მონაწილეობს თბილისის არსენალის დამცველი რუსული რაზმის განიარაღებაში, აყალიბებს ჯავშნოსანი მატარებლების რაზმს, მონაწილეობას იღებს კავკასიის ფრონტის რუსული არმიის კავკასიიდან გასვლის პროცესში. 1918 წ-ის 7 აპრილს (ძველი სტილით) მისი ჯავშანმატარებლის მანევრი უმთავრეს როლს თამაშობს ჩოლოქის ბრძოლაში და ოსმალური არმიის 37-ე დივიზიის დამარცხებაში, რის გამოც ვალოდიას რევოლუციის პირველი რაინდის წოდებას ანიჭებენ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მეთაურობდა სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებელთა რაზმს. პერიოდულად იყო რკინიგზის კომენდანტი. მონაწილეობდა დამოუკიდებლობის პერიოდში წარმოებულ ომებში, მისი რაზმი ქართული არმიის დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა. ამ რაზმში იბრძოდა მისი სამი ძმა: ნოე, მელენტი და ალფესი, რომელიც №4 ჯავშნოსანს მეთაურობდა. გოგუაძემ და მისმა რაზმმა ლეგენდარული მეომრების სახელი დაიმკვიდრეს რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. 1921 წ-ის 16 მარტს, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომის ბედი ასი პროცენტით გარკვეული იყო, ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურმა ვალოდია გოგუაძემ ნიგოეთიდან ბათუმში მთავრობის თავმჯ-

დომარე ნოე ჟორდანიას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ჯავშნოსანი მატარებლებით მოგესალმებით. რაზმი ფიცსა სდებს თქვენს წინაშე, რომ იბრძოლებს სამშობლოს დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდის!".

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა ლევილის ქართულ მამულში.

ლიტ.: სცსა. ფ. 2113, აღწ. 1, საქ. 70; შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ქართული ეპოსი და წამოზრდილი ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე). თბ., 2014; ვ. გ ო გ უ ა ძ ე, მოგონებანი. პარ., 1963.

დიმიტრი სილაქაძე

გომართელი ივანე გედევანის ძე (2.X.1876, სოფ. გორისა, შორაპნის მაზრ. - 19.IV.1938) -სახელგანთქმული ექიმი, პუბლიცისტი, მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი (ალიონელი). მშობლები აზნაურები იყვნენ. ივ. გომართელი თავის ბიოგრაფიაში წერდა: „მამაჩემი გედევანი იმერეთის კვალობაზედ საშუალო შეძლების აზნაური იყო. ასე რომ, რევოლუციისა და ჩვენი მინისტრი ბ. ხომერიკის წყალობით ცოტაოდენი მამული კიდეც ჩამომერთმევა". ივანე თავად ელისაბედ წერეთლის ოჯახში, თბილისში გაიზარდა, რადგან მამამისი ამ ოჯახში მუშაობდა. ივანე მეოთხე კლასამდე თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის მე-2 გიმნაზია 1894 ოქროს მედლით დაამთავრა. ამავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. პარალელურად, შეუდგა ფსიქოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიის შესწავლას და დაიწყო პუბლიცისტური მოღვაწეობა. სწავლის პერიოდიდან იგი თანამშრომლობდა ქართულ პრესაში - „ივერიაში", „კვალში", „ჯეჯილსა" და „მოამბეში", აქვეყნებდა მხატვრულ და ისტორიულ-პუბლიცისტურ სტატიებს. 1897 თბილისში გამოვიდა მისი წიგნი - „ისტორია აღმოსავლეთისა". 1899 გომართელმა მიიღო მკურნალის დიპლომი და სამშობლოში დაბრუნდა. 1900 წ-ის თებერვალში, ჯავახეთში, სოფ. ბარალეთის ქსენონის ექიმად დაინიშნა, ორი წელი იმუშავა და მთელი ახალციხის მაზრის სოფლებში მოიპოვა ნამდვილი სახალხო მკურნალის რეპუტაცია, პარალელურად, ლიტერატურულ წერილებს აქვეყნებდა. ცოტა ხნით, თბილისის მიხეილის საავადმყოფოში მუშაობის შემდეგ, დიდი ჯიხაიშის ქსენონის ექიმად გაიგზავნა. გომართელის წყალობით, ამ ახლადგახსნილმა ქსენონმა მალე გაითქვა სახელი. 1901 წ-დან პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს სამედიცინო საკითხებზე. იყო „მესამე დასის" წევრი, მენშევიკ-ავტონომისტი, „ალიონელი". თანამშრომლობდა ჟურნალ „მოგზაურთან". იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. 1906 თბილისში დაიბეჭდა მისი წიგნი - „ეროვნული საკითხი", საიდანაც იკვეთება მისი ინტერესი ეროვნული პრობლემებისადმი. 1906 ი. გომართელი რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ეს სათათბირო ცარიზმის ნამდვილ ოპოზიციად იქცა. ცნობილი „ვიბორგის მოწოდებაზე" ხელმოწერისათვის ის თანამოაზრეებთან ერთად გაასამართლეს, თუმცა დაჭერას გადაურჩა. ცოტა ხნით მოსკოვის კერძო კლინიკებში მუშაობდა. 1907 თბილისში დაბრუნდა და, ძირითადად, პროფესიულ საქმეს შეუდგა, თუმცა, რევოლუციურ პროცესებში მაინც მონაწილეობდა. 1910 დააპატიმრეს და ერთი წელი მეტეხის ციხეში იმყოფებოდა.

გომართელი ივანე

განსაკუთრებული პოლიტიკური აქტიურობა 1917 წ-დან დაიწყო. საკუთარი თვალსაზრისი საზოგადოებრივ მოვლენებზე მან გამოხატა იმ პუბლიცისტიკაში, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე აქვეყნებდა. ასეთი იყო 1917 წ-ის ოქტომბერში გაზეთ „ალიონში" დაბეჭდილი წერილი - „ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა". საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ამ პერიოდის გაზ. „ალიონში" გამოქვეყნებულ მის პუბლიცისტურ ნაწერებში: „ჩვენებური ბოლშევიკები და ეროვნული საკითხი", „ერის უფლება და თავისუფლება", „აბხაზები და ჩვენ" და სხვ. ამავე დროს გამოვიდა გომართელის წიგნები, სადაც საქართველოს მომავალზე იყო საუბარი: „საქართველოს ტერიტორიული ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა" (თბილისი, 1917); დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში იგი ცხოვრობდა თბილისში, ვერაზე, ანასტასიას ქუჩა №21-ში, იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. ის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული იდეოლოგი იყო. დეპუტატად არჩევის გამო, ის საკუთარი განცხადებით განთავისუფლდა ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს 7 ივნისის სხდომაზე საპატიო მოსამართლის მოვალეობისაგან. მისი სიტყვები პარლამენტში, სტატიები „ერთობასა" და სხვა პარტიულ პრესაში ამყარებდა მმართველი პარტიის ავტორიტეტს, აანალიზებდა და ასაბუთებდა მისი პოლიტიკის სამართლიანობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გომართელს ხალხი დიდ პატივს სცემდა და გამორჩეული ავტორიტეტის მქონე პიროვნებად მიიჩნევდა. დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიაში მან მიიღო აქტიური მონაწილეობა, როგორც აგიტატორმა, მისი შეხვედრები და საუბრები იმერეთის რეგიონის გლეხებთან აღწერილია სტატიებში: „საუბარი სოფლელ ხალხთან", „ჩვენი მდგომარეობა", „გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია", „გლეხები და დამფუძნებელი კრება", „საქართველოს რესპუბლიკა და მისი მტრები", „მშრომელი ხალხის სამშობლო", „სახალხო საუბარი" და სხვ., რომლებიც გაზეთ „ერთობაში" იბეჭდებოდა. მის სიტყვას ენდობოდნენ და უჯერებდნენ. ავტო-

ბიოგრაფიაში იმასაც წერდა: „ერთი ნაკლი მაქვს, წერა მიყვარს, მაგრამ ჩემი ავადმყოფები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება ცოტა დრო დამიტოვონ წერისათვის“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას და საექიმო პრაქტიკას. აღსანიშნავია მისი პიესები: „ქოხში” (1905), „წამხდარი სისხლი”(1905), რომანი-ქრონიკა „სამი დროება” (1931), კრიტიკული წერილები ნ. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, მ. გურულის, დ. კლდიაშვილის და სხვათა შესახებ. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

თხზ.: ივანე გომართელი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, თბ., 1966.

ლიტ.: გრ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ივანე გომართელი, თბ., 1967; ფ. ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე, ფილოსოფური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში (1900-1921წ. წ.), ნაკვეთი - ივ. გომართელი, თბ., 1980; ალ. ს ი გ უ ა, წერილები და პორტრეტები, თბ.,1977.

დოდო ჭუმბურიძე

გონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე (1880, სოფ. მირზაანი - 18.II.1938) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. განათლება საასულიერო სასწავლებელში მიიღო. 1905 წ-დან გაწევრიანდა მენშევიკების ფრაქციაში.

1917 გონაშვილი სიღნაღის მაზრის კომისარი გახდა. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად იქნა არჩეული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ გონაშვილს საქართველო არ დაუტოვებია. 1923 წ-დან ხდება კომუნისტური პარტიის წევრი. 1930 წ-დან სსრ „წითელ ჯვარში“ მუშაობას იწყებს დეზინფექტორად, შემდეგ (1937) მისი თავმჯდომარე ხდება. ამავე წელს მას ბრალი დასდეს ხალხის მტრებთან ურთიერთობაში და სიკვდილით დასაჯეს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919. თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე



გორდაძე მიხეილ

გორდაძე მიხეილ (ფს. აბულაძე) (თელავი - V.1919) - პოეტი. 1880 გაზ. „დროების“ ცნობით, „არჩილიანის“ გამოცემა განუზრახავს, მაგრამ უშედეგოდ. 1881 გამოსცა კრებული „სამშობლო ანუ ლექსთა კრება“, 1893 „ლექსნი“. 24.XII.1893 გაზ. „ივერიაში“ მისი ლექსი „ჩიტი“ დაიბეჭდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მისი ფოტოები და ლექსები იბეჭდებოდა. „მისი წერის საგანი იყო მშრომელთა ტრფიალი, სამშობლო ქვეყნის სიყვარული, მჩაგვრელთა გმობა, ხალხის უკეთესი მომავლისკენ მოწოდება, ერში საზნეო მისწრაფებათა გავრცელება“. 1918 დაიბეჭდა მისი ჩანაწერი „ქართულ უნივერსიტეტში“ (მოსმენილი ივანე ჯავახიშვილის ლექციიდან).

ლიტ.: ენც. საქართველო, ტ. II, თბ., 2012; მ. გ ო რ დ ა ძ ე, ქართულ უნივერსიტეტში (მოსმენილი ივანე ჯავახიშვილის ლექციიდან), ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №4; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №3; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №7.

სალომე ჭანტურიძე

გორის მიწისძვრა – 1920 წ-ის 20 თებერვალს დიდი მიწისძვრა მოხდა საქართველოში, რომლის ეპიცენტრიც გორის მაზრაში დაფიქსირდა. პირველი ბიძგი 02:55 საათზე აღინუსხა, ხოლო განმეორებით - 14:45 საათზე. რიხტერის სკალით მიწისძვრის მაგნიტუდა (ადგილობრივი სიმძლავრე) 6,2 ერთეულს შეადგენდა, ხოლო მერკალის სკალის მიხედვით ინტენსივობა ეპიცენტრში 8-9 ბალს უტოლდებოდა. ყველაზე ძლიერი, 9 ბალიანი ბიძგები აღირიცხა გორიდან 3 კილომეტრში მდებარე სოფელ ხიდისთავში. გორში მიწისძვრის სიმძლავრე 8 ბალს შეადგენდა, ისევე, როგორც გორის მაზრის სოფლების უმრავლესობაში. ბიძგები მთელი საქართველოს მასშტაბით იგრძნობოდა. თბილისში მისი სიმძლავრე 6 ბალს შეადგენდა, ხოლო ბათუმსა და ფოთში - 5 ბალს. ღამის ბიძგს გორში დიდი ნგრევა არ მოჰყოლია, ხოლო განმეორებითმა მიწისძვრამ კი ქალაქი გორი, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა. მთავრობის მიერ შედგენილი სტატისტიკური კომისიის მონაცემებით, ქალაქ გორში აღწერილი 1336 შენობიდან არ დაზიანებულა მხოლოდ

გორის მიწისძვრა

16, 756 შენობა-ნაგებობა კი ან სრულად დაინგრა, ან დასაშლელი გახდა. 405 შენობა კაპიტალურ, ხოლო 156 მცირე რემონტს მოითხოვდა. მიწისძვრის შედეგად ქალაქ გორში დაიღუპა 18 ადამიანი, სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო 267-მა მცხოვრებმა. სრულად განადგურდა მიწისძვრის ეპიცენტრში მდებარე სოფლები - ხიდისთავი და ოხერა, ასევე თითქმის მთლიანად დაინგრა სოფელი უფლისციხე, ატენი, გორიჯვარი, სკრა, ხოვლე, სასირეთი, დოესი და სხვა სოფლები. სტატისტიკური კომისიის მონაცემებით, სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო მაზრის 75-მა სოფელმა. მიწისძვრამ შეიწირა 129 კაცის სიცოცხლე (სხვა მონაცემე-

ბით, დაიღუპა 200-მდე), დაშავდა 661. სტიქიამ დააზარალა 7118 ოჯახი.

ლიტ.: დ. ს ი ლ ა ქ ა ძ ე, გორის 1920 წლის მიწისძვრა. ჟურნალი ისტორიანი. თბ., №5/17, 2012.

დიმიტრი სილაქაძე

გორის მიწისძვრა

გოცირიძე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე (16.II.1872, თბილისი - 30.VII.1949,თბილისი) - ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1924). ეს წოდება მიენიჭა მესამეს ვასო აბაშიძის და ვანო სარაჯიშვილის შემდეგ. 1893–1921 წწ-ში მუშაობდა მღებავად თბილისის რკინიგზის დეპოში. პარალელურად მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენებში, მღეროდა ი. რატილის და ს. კავსაძის გუნდებში.

1919 წ-ის 7 დეკემბერს არტისტული საზოგადოების დარბაზში, „სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ და აგრონომ სტუდენტთა კავშირის გასაძლიერებლად“, დიდი საღამო გაიმართა, სადაც ნ.გ. მონაწილეობდა. 1920 წ-ის 26 დეკემბერს მეორე ქართულ კლუბში, სალიტერატურო-საკონცერტო საღამო გაიმართა, სადაც ნ. გოცირიძე მონაწილეობდა.

1921 მიიწვიეს რუსთაველის თეატრში, 1930 წ-დან კი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. გაითქვა სახელი ვაჭარ–ხელოსანთა ტიპების განსახიერებით. პოპულარობა მოუტანა ჯერ კიდევ მუშათა სცენაზე შესრულებულმა როლებმა. დიდ სცენაზე მისი პირველი როლი იყო ზაზა (დ. ერისთავის „სამშობლო“). ნ. გოცირიძემ სცენაზე 60 წელი იმოღვაწა და მის მიერ განვლილი გზის შესახებ დაწერა „მოგონებები“. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; გ. ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნ ი კ ო გ ო ც ი რ ი ძ ე, თბ., 1972 წ. ; გ. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ნ ი კ ო გ ო ც ი რ ი ძ ე, ტ ფ., 1934; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №277; გაზ. სახალხო საქმე, 1920, №1012.

მერაბ გეგია

გრანელი ტერენტი სამსონის ძე (კვირკველია) (25. XI.1897, წალენჯიხა - 10.X.1934, თბილისი) - პოეტი. განათლება მიიღო წალენჯიხის სოფლის სასწავლებელში. უბედური შემთხვევის გამო (ოჯახს სახლი დაეწვა), მეექვსე კლასიდან შეწყვიტა სწავლა.



გრანელი ტერენტი

1918 წ-დან ცხოვრობდა თბილისში, მუშაობდა რკინიგზაზე, შემდეგ კი - სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთ „სახალხო საქმის“ რედაქციაში შიკრიკად. სწავლობდა შალვა ნუცუბიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულ კურსებზე, რომელიც გიმნაზიის სტატუსით მოქმედებდა. 1919 დაირქვა ფსევდონიმი „გრანელი“. 1919 გამოსცა სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ია“ და ჟურნალი „კრონოსის სარკე“. 1920 საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის ორგანოში, ჟურნალ „მხედარში“ გამოაქვეყნა ლექსები: „საქართველოს“, „ვედრება“, „ყაზარმა“ და „მოგზაურობა სოფლის სიჩუმეში“. 1920-1921 წწ-ში გამოსცა ლექსების ორი წიგნი: „პანაშვიდები“ (გობრონ აგარელთან ერთად) და „სამგლოვიარო ხაზები“.

1922 გამოსცა წიგნი „სულიდან საფლავები“. 1924 ერთ-ერთ ლექსში გააკრიტიკა სტალინი და დიქტატორი უწოდა. ანტიკომუნისტურია მისი ლექსები: „1921“, „პოეზია“, „ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს“. 1924 გამოსცა ლექსების კრებული - „Memento mori“. იმავე წელს რუსთაველის თეატრში გაიმართა მისი ლიტერატურული საღამო. 1926 გამოსცა უკანასკნელი წიგნი. 1927 თბილისში გამოიცა ერთჯერადი გაზეთი „ტერენტი გრანელი“. 1930 მოათავსეს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც გამოიქცა. გარდაიცვალა „არამიანცის“ სავაადმყოფოში, დაკრძალეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, 1987 გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გოცირიძე ნიკოლოზ

ლიტ.: ლ. ა ლ ი მ ო ნ ა კ ი „კვირის წირვები“, თბ., 1984; „ტერენტი გრანელი“ - ლირიკა“, რედ. ლ. ა ლ ი მ ო ნ ა კ ი, თბ., 1972; ს. ჭ ი ლ ა ი ა, „ქრონიკები“,თბ., 1984.

ეკა ჯავახიშვილი

გრიშაშვილი იოსებ გრიგოლის ძე (მამულაშვილი) - (12.IV.1889, თბილისი - 3.VIII.1965, თბილისი) - პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების წევრი. სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში, თუმცა, 16 წლის ასაკში მამის სიკვდილის გამო, სწავლას თავი დაანება. მალევე დაუახლოვდა თეატრს, იყო სუფლიორი, მსახიობი, წერდა პიესებს და ლექსებს. 1905 გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. 1906 გამოვიდა პირველი კრებული „ვარდის კონა“. მუშაობდა ჟურნალში „ნიშადური“. 1912-1915 წწ-ში თანამშრომლობდა გაზეთთან „ხმა კახეთისა“.

გრიშაშვილი იოსებ

1918 დაასრულა ოთხწლიანი მუშაობა ლიტერატურულ კვლევაზე „საიათნოვა“. 9.IX.1918,

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობით, იბეჭდებოდა და მალე გამოვიდოდა იოსებ გრიშაშვილის „საიათნოვა და ძველი ტფილისი“. 1919 თავისუფალ მსმენელად შევიდა თბილისის უნივერსიტეტში. 1918-1920 წწ-ში დაიწერა მისი ლექსები: „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“ და „აშპაშხანისკენ“. დამოუკიდებლობის პერიოდში მისი არაერთი საღამო გაიმართა. 1920 გამოსცა წიგნი „წითელ დროშას“. 1921 წ-ის 25 თებერვალს, საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის დამყარების შემდეგ, ბრძოლისკენ მოუწოდა თანამემამულეებს - „იბრძვიან ჩვენი ცეცხლის მხედრები“.

1926-1927 წწ-ში დაიწერა მისი ცნობილი კვლევა „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. 1947 აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1950 მიენიჭა სახელმწიფო პრემია და აირჩიეს მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის დელეგატად. 1959 მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო პოეტის საპატიო წოდება. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: გ. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე, ქსე, ტ. III, თბ., 1978; ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, „იოსებ გრიშაშვილი“, თბ., 1956; გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. III, თბ., 1959; ჟურ. „ბარრიკადი“, 18 ოქტომბერი, 1920.

ეკა ჯავახიშვილი

გუდიაშვილი ლადო

გუდიაშვილი ლადო დავითის ძე (18.III.1896, თბილისი - 20.VII. 1980, თბილისი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, თბილისური მოდერნისტული მხატვრობის გამორჩეული წარმომადგენელი. დაიბადა თბილისში რკინიგზის მუშის ოჯახში. სწავლობდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში (1910-1914). მისი პირველი ნახატები, ილუსტრაციები ლეო ქიაჩელის მოთხრობებისთვის, დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (1914). 1916 სხვა მხატვრებთან ერთად შეასრულა ნაბახტევის ფრესკების ასლები, ხოლო 1917 მონაწილეობა მიიღო ე. თაყაიშვილის მიერ საქართველოს ისტორიულ პროვინციებში მოწყობილ ექსპედიციებში. იყო ჟურნალ ARS-ის მხატვარი (1917).

ლ. გუდიაშვილის ინდივიდუალური, მხატვრული სტილი 1918-1919 წწ-ში ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დროს დახატა მან სურათები ძველი თბილისის თემაზე. ლ.გ. მონაწილეობდა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში, იყო „ფუტურისტთა სინდიკატის“ წევრი, ფუტურისტთა და „ცისფერყანწელთა“ საღამოების დისკუსიების აქტიური მონაწილე. მან მოხატა „ფანტასტიკური დუქნისა“ და „ქიმერიონის“ კედლები. კ. ზდანევიჩთან, ს. ვალიშევსკისთან, ნ. გონჩაროვასთან, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვთან, ი. ტერენტიევთან ერთად დაასურათა კრებული „ფანტასტიკური დუქანი“, რომელიც ეძღვნება ს. მელნიკოვას. მონაწილეობდა „დიდების ტაძარში“ „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ მიერ მოწყობილ გამოფენაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში მისი არაერთი ფოტო თუ ჩანახატი დაიბეჭდა. აღსანიშნავია ჟურ. „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი ჩანახატი „აღდგომა - გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას მიეძღვნა. 1919 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით დაენიშნა სტიპენდია და სასწავლებლად პარიზში გაიგზავნა. 1919-1926 წწ-ში ცხოვრობდა პარიზში და სწავლობდა რონსონის აკადემიაში, მონაწილეობდა გამოფენებში (Salon d`Automne, Les Independants და სხვ.). მისი ნაწარმოებები იფინებოდა ბელგიასა და ამერიკაში. 1920 წ-დან თანამშრომლობდა ჟურ. „ეშმაკის მათრახში“, სადაც მისი არაერთი ჩანახატი და ჩანაწერი გამოქვეყნდა.

გუდიაშვილის სურათები შეიძინეს მადრიდისა და პარიზის მუზეუმებმა, ასევე, კერძო კოლექციონერებმა. 1923 პარიზში, გალერეა „ლალიკორნში“, შედგა მისი პირველი პერსონალური გამოფენა, 1925 გალერეა „ბილიეში“ – მეორე პერსონალური გამოფენა. მისი კატალოგის წინასიტყვაობა დაწერა ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა სალმონმა. ამავე წელს პარიზში გამოიცა რეინალის მონოგრაფია ლ. გუდიაშვილის შემოქმედების შესახებ. იგი დაახლოებული იყო პ. პიკასოსთან, ა. მოდილიანთან, ა. მატისთან, ა. დერენთან, ფ. ლეჟესთან, მ. უტრილოსთან, ლ. არაგონთან, ა. ბრეტონთან და სხვებთან. გუდიაშვილის ინდივიდუალურმა, ეგზოტიკურმა მხატვრობამ ევროპელთა ყურადღება მიიპყრო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გუდიაშვილი ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, აგრეთვე მუშაობდა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგში. 1926 თბილისში გაიმართა ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა. 1927 მან მოხატა სასტუმრო „ორიენტის“ ვესტიბიული. 1928 წ-დან ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გრაფიკაში. 1935 პარიზში გაიმართა ლ. გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა. 1946 მან მოხატა თბილისის ქაშვეთის ეკლესიის საკურთხეველი. მიღებული აქვს მონაწილეობა ათეულობით გამოფენაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1950) და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1966), სსრკ-ის სახალხო მხატვარი (1970). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმი, შ. რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმი და სხვ.), საქართველოსა და უცხოეთის კოლექციებში.

ლიტ.: ვ. ბ ე რ ი ძ ე, ლადო გუდიაშვილი, კორვინა, ბუდაპეშტი, 1975; ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, საბჭოთა ხელოვნება, 1967, №8; კ. ზ დ ა ნ ე - ვ ი ჩ ი, ლადო გუდიაშვილი, „მნათობი“ 1961, №8;. მ. რეინალი, ფრანგ. თარგმ. ბ. ბრეგვაძემ, „საუნჯე“, 1981, №4; ა. სალმონი, ლადო გუდიაშვილი, ფრანგ. თარგმნა ე. ახვლედიანმა, „საუნჯე“; 1981, №4; გ. ქ ი - ქ ო ძ ე, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძისა და შ. ქიქოძის პარიზული პერიოდი, მხატვრის შედევრები, გამოფენები, “ცისკარი“, 1957, №2; Т. Н и к о л ь с к а я, Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917-1921, М. 2000; ჟურ. ეშმაკის მათრახი, 1920, №47, №57, №58; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №4, №18.

მაია ციციშვილი

გუნია ვალერიან ლევანის ძე - (21.I.1862, სოფ. ეკი, ზუგდიდის მაზრ. - 31.VII.1938, თბილისი) - ქართველი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო არტისტი (1933), 1876 შევიდა თბილისის რეალურ სასწავლებელში. 1881 პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობისთვის სასწავლებლიდან გარიცხეს. შემდეგ მოსკოვში გააგრძელა სწავლა პეტროვსკოე-რაზუმოვსკოეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. 1882 სამშობლოში დაბრუნებული აქტიურად ჩაება თეატრალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმავე წელს ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით პირველად გამოვიდა სცენაზე. ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართულ პროფესიულ სცენაზე ითამაშა: ოტელო, მეფე ლირი (უ. შექსპირის „ოტელო“, „მეფე ლირი“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), კაკო ყაჩაღი („კაკო ყაჩაღი“, ილია ჭავჭავაძის მიხედვით), ოთარ-ბეგი (სუმბათაშვილ–იუჟინის „ღალატი“) და სხვ. დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ თეატრში რეალისტური მიმართულების დამკვიდრებაში და ქართველ პროფესიონალ მსახიობთა აღზრდის საქმეში. წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ დრამატულ დასებს. შექმნა და გადმოაკეთა მრავალი პიესა, დაწერა ლიბრეტოები ოპერებისათვის და სხვ. რედაქტორობდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჟურნალი „თეატრი“. 1886 დააარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1907 - იუმორისტული ჟურნალი „ნიშადური“. იყო თეატრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ისტორიული ნარკვევი „ქართული თეატრი 1879-1889“ (გამოიცა 1889). 1907 ვ. გუნია ხელმძღვანელობდა საგურამოდან თბილისში ილია ჭავჭავაძის გადმოსვენებას.

ვ. გუნია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საკმაოდ აქტიურია. იდგმება მისი პიესები, თამაშობდა სპექტაკლებში და აქვეყნებდა წერილებს პერიოდულ გამოცემებში. 1918 წ-ის 16 ივნისს სახელმწიფო თეატრში, ვიქტორ გამყრელიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავი წარმოდგენის დროს, ვ. გუნიას. „არივ დარია“ წარმოადგინეს. 4.II.1919 კ. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლში სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენის მმართველი წრის მიერ ვ. გუნიას. „დედისერთა“ დაიდგა. 16.XI.1919 ქართულ კლუბში ქართული დრამატული დასის მიერ, ქალბატონების: ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, ბატონების: ვ. გუნიასა და ვასილ აბაშიძის მონაწილეობით, კომპოზიტორ ცაგარელის „ხანუმა“ დაიდგა. 21.XI.1919 გამოქვეყნდა ცნობა, რომ ს. ხეთაში ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წრის წევრებმა ვ. გუნიას „და-ძმა“ წარმოადგინეს. 23.XI.1919 ქართულ კლუბში ქართული დრამატული დასის მიერ, ვ. გ.-ს სამმოქმედებიანი კომედია „პირველი ბუზი“ დაიდგა. 18.II.1920 არტისტული საზოგადოების თეატრში სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“ დაიდგა, სადაც ვ. გუნია მონაწილეობდა. 14.III.1920 სადგურ გომში სცენისმოყვარეთა დრამატულმა წრემ ვ. გუნიას „ხორველობა“ წარმოადგინა. 25.III.1920 სახელოსნო კლუბში სცენისმოყვარეთა წრემ ვ. გუნიას თარგმნილი „უბედური“ დადგა. 12.VI.1920 მეორე ქართულ კლუბში ვ. გუნიას კომედია „სიძე-სიმამრი“ დაიდგა. 13.VI.1920 ქართულ კლუბში სახალხო სეირნობა გაიმართა, სადაც ვ. გუნია მონაწილეობდა. 12.XII.1920 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვ.გ. წერილი-რეცენზია 9 დეკემბერს დადგმული „ბერდო-ზმანიას“ შესახებ, 8.II.1921 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვ.გ. წერილი-ნეკროლოგი მწერალ მელანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 12.II.1921 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვ. გუნიას წერილი-რეცენზია 10 თებერვალს ქართული დრამის თეატრში დადგმული სპექტაკლის - „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ შესახებ.

გუნია ვალერიან

1921 წ-დან ვ. გუნია ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრებს, იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის პირველი თავმჯდომარე. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ა. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, რაინდი უშიშარი და გულმართალი, თბ., 1965; მადლობის დღე. საიუბილეო დასურათებული ალმანახი ვალერიან გუნიას პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, თბ., 1917; ე. ქ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ვალერიან გუნია, თბ., 1968; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ვალერიან გუნია, თბ., 1963; გაზ. საქართველო, 1918, №118; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №27, 1920, №283, 1921 №29, №33; გაზ. სახალხო საქმე, 1919, №681; ჟურ. თეატრი და ცხოვრება,1920, №14.

მერაბ გეგია, სალომე ჭანტურიძე

გურული ზაქარია (1878, სოფ. წირაქვალი, შორაპნის მაზრ. - 1937, ტარი) - სოციალ-დემოკრატი მოღვაწე. თავდაპირველად მოჯამაგირეობას ეწეოდა, ხოლო შემდგომ ჭიათურის მაღაროებში დაიწყო მუშაობა. აქტიურად ჩაება 1905-1907 წწ-ის რევოლუციაში. ამ პერიოდში დაპატიმრებულიც იყო, თუმცაღა

გურული ზაქარია



გურჯუა ვასილ

გაქცევა მოახერხა. ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, წერდა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში: „ჩვენი სიტყვა'', „ცხოვრების სარკე", „წყარო" და სხვ. მისი წერილების დიდი ნაწილი მუშათა პრობლემებს ეხებოდა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების დროს მენშევიკებს მიემხრო და ამ პოზიციაზე დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. რევოლუციური საქმიანობისთვის ზ. გურული გადაასახლეს ადმინისტრაციული წესით როსტოვში, ფარულად დაბრუნდა თბილისში, მაგრამ კვლავ დააპატიმრეს 1914 ნოვოჩერკასკში, ხოლო 1916 ვერხოლენსკში გადაასახლეს.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გათავისუფლდა. 1918 იყო ეროვნული საბჭოს წევრი, 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა დამფუძნებელი კრების წევრი. იყო სახალხო გვარდიის შტაბის წევრი. მუშაობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

1921 ზ. გურული ბოლშევიკებმა დააპატიმრეს, თავდაპირველად მეტეხის ციხეში იჯდა, შემდეგ რუსეთში გადასახლება მიესაჯა. აქტიურად მონაწილეობდა 1924 წ-ის აჯანყებაში. 1937 წ-ის რეპრესიების დროს გადასახლებაში დახვრიტეს.

ლიტ.: ზ. გ უ რ უ ლ ი, მოგონება [რედ. გურამ ყორანაშვილი], თბ., 2005.

ნოდარ ჩხაიძე

გურჯუა ვასილ გიორგის ძე (15.X.1885, სოფ. კინდღში, სოხუმის ოკრ. - 19.IX.1924, ქ. სოხუმი) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წევრი. დაიბადა აფხაზი გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო ქუთაისის სასოფლო სასწავლებელში, დაეუფლა აგრონომის პროფესიას. 1902 წ-დან რსდმ პარტიის წევრი, პარტიის გაყოფის შემდეგ მიემხრო მენშევიკურ ფრაქციას. 1905 წ-ის რევოლუციის დროს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა მშობლიურ კუთხეში, დააპატიმრეს უცხოეთიდან იარაღის შემოტანის ბრალდებით. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო აფხაზეთის ეროვნული საბჭოსა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი. იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. დამოუკიდებლობის პერიოდში, არზაყან ემუხვართან, ისიდორე რამიშვილთან და სხვებთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ აქტიურ პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწოდა აფხაზეთში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში, 1921 დააპატიმრეს აფხაზეთში, გათავისუფლების შემდეგ მუშაობდა არალეგალურად, აფხაზეთის ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება ვასილ გურჯუასა და მისი ოჯახის წინააღმდეგ მკაცრ რეპრესიებს ატარებდა. მეორედ დააპატიმრეს 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყების შემდეგ, მალე-ვე დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს. დახვრიტეს სოხუმში.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „ერთობა", 1918, №30.

ირაკლი ირემაძე

დადიანი სამსონ პლატონის ძე (1885, სოფ. მუ-



ხური, ზუგდიდის მაზრ. - 1937, თბილისი) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი, კრიტიკოსი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1908). იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ე. წ. მეორე თაობის წარმომადგენელი. 1913 უკვე შედიოდა პარტიის აქტიურ ბირთვში.

1917 წ-ის 16 აპრილს ს. დადიანი მონაწილეობდა ქართული პარტიების ინტერპარტიულ შეკრებაში. ნოემბერში შემდგარ პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად და მდივნად სოც-ფედ. პარტიიდან. 1918 წ-ის ივნისიდან იყო ეროვნული საბჭოს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის), წევრი. შედიოდა სოც-ფედ. პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში. 1919 წ-ის აგვისტოში, დამატებითი არჩევნების დროს, აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. შედიოდა 1918 წ-ის 6 ივნისს არჩეული „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენ კომისიაში“. 1918 წ-ის ივლისში აირჩიეს კომისიის მდივნად. როდესაც კომისიამ გადაწყვიტა, მუშაობის დაჩქარების მიზნით, კონსტიტუციის ცალკეული თავები შესამუშავებლად დაენაწილებინა კომისიის წევრებისათვის, ს. დადიანს დაევალა კონსტიტუციის ერთ-ერთი თავის შემუშავება - „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ“, რომელიც კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავის სახით განხორციელდა. 1921 წ-ის იანვარში სოც-ფედ. პარტიის მეხუთე კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის ხუთკაციან პრეზიდიუმში, სადაც პარტიის თავმჯდომარის ამხანაგის (მოადგილის) მოვალეობას ასრულებდა.

1921 სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ მემარჯვენე ფედერალისტების შემადგენლობაში დარჩა და მტკიცედ იდგა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ნიადაგზე. 1922 საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი იყო სოც-ფედ. პარტიიდან და აქტიურად მონაწილეობდა აჯანყების მომზადებაში. ბოლო ეტაპზე სოც-ფედ. პარტიამ აღარ მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში. გასული საუკუნის ათიანი წლებიდან ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ს. დადიანის წერილები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე („ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ“; „სოციალური იდეა ილია ჭავჭავაძის პოეტურ თხზულებებში“; „ქართული თეატრი“ და სხვ). მის კალამს ეკუთვნის 1905 წ-ის რევოლუციისადმი მიძღვნილი დრამა „ჯვარედინ გზაზე“ და ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“. იგი ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას აგრძელებდა ქვეყნის ბოლშევიკური ოკუპაციის წლებში. 1924 წ-ის აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1922 აირჩიეს საქ. სსრ დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრად, მუშაობდა ბანკის იურისკონსულტად. მიუხედავად ამისა, არ აპატიეს პოლიტიკური წარსული და 1937 წ-ის რეპრესიებს შეეწირა.

დადიანი სამსონ

ლიტ.: ვ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ლ. უ რ უ შ ა ძ ე, დადიანი სამსონ პლატონის ძე, ენც. საქართველო, ტ. II, თბ., 2012.

დიმიტრი შველიძე

დადიანი შალვა ნიკოლოზის ძე (9.V.1874, დაბა ყვირილა - 15.III.1959, თბილისი) - მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი. განათლება მიიღო მამის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ დადიანის ოჯახში მოწვეული მასწავლებლების მეშვეობით. 1892 გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი“. 1896 წ-დან მისი პროზაული მინიატურები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“. 1893

დადიანი შალვა

დაიწყო თეატრალური კარიერა, მონაწილეობა მიიღო კოტე მესხის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში „მარგარიტა გოტიე“, რომლის თარგმანიც მასვე ეკუთვნოდა. 1905 წ-დან დაიწყო დრამატურგიული მოღვაწეობა. 1905 დაწერა პიესა „მღვიმეში“, 1907 - „როს ნადიმობდნენ“. 1908 ჩამოაყალიბა *„მოძრავი დასი“,* რომელმაც, ცენზურის მიუხედავად, პირველმა დადგა მაქსიმ გორკის პიესა „უკანასკნელნი“. 1916 დაიწყო პირველ ისტორიულ რომანზე („გიორგი რუსი“) მუშაობა.

1917 დაასრულა პიესა „გუშინდელნი“, რომელშიც ბაქოს ქართული დასის მსახიობებმა ითამაშეს. 1918 მონაწილეობდა „ქართული კლუბის“ მიერ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მხარდასაჭერ საღამოში. 1920 წ-ის 2 იანვარს მონაწილეობა მიიღო „მსახიობის დღესთან“ დაკავშირებით წარმოდგენილ პეტრე უმიკაშვილის სპექტაკლში „სამზადისი“. 1921 წ-ის პირველ მარტს დაესწრო ხელოვანთა კრებას, რომელიც აკ. ხოშტარიას სახლში გაიმართა.

1928 დაწერა კომედია „კაკალ გულში“, 1931 - პიესა „თეთნულდი“, 1937 - ისტორიულ-რევოლიციურ დრამა „ნაპერწკლიდან“. ავტორია რომანისა „გვირგვილიანების ოჯახი“ (1954) და მოგონებათა წიგნისა „რაც გამახსენდა“ (1959). წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს, იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1950-1959). დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ი. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962; მ. მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, შალვა დადიანი; გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შალვა დადიანი, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1974; გაზ. საქართველო, 1920 წელი, 1 იანვარი; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 7 დეკემბერი, 1918; გაზ. კომუნისტი, 4 მარტი, 1921.

ეკა ჯავახიშვილი

დავარაშვილი მოსე (მოშე) რახამის ძე (1893, ცხინვალი, გორის მაზრ. - 1980, იერუსალიმი) - ქართველი ებრაელი, საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, რაბინი. პროფესიით მასწავლებელი იყო. მოღვაწეობდა ქუთაისში.

დავარაშვილი მოსე

1917 ეროვნულ საბჭოში წარმოადგენდა საქართველოს ებრაელობას. 1918 წ-ის 26 მაისს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. სხვა ებრაელ დეპუტატებთან ერთად, მხარს უჭერდა იმ კანონების მიღებას, რომელიც იცავდა ებრაელთა ეროვნულ ინტერესებს. დაწყებით სასწავლებლებში „თორას“ სწავლებასთან ერთად, ეწეოდა რელიგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ქართველ ებრაელთა შორის.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საბჭოთა საქართველოში, 1970 გადასახლდა ისრაელში, სადაც საქართველოდან ემიგრირებულ ებრაელთა ერთ-ერთ სულიერ ლიდერად ითვლებოდა. დაკრძალულია იერუსალიმში.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. აღწ. საქ. 107.

დოდო ჭუმბურიძე

დავითაშვილი გიორგი მიხეილის ძე (15.II.1893, ბათუმი - 4.VII.1966, თბილისი) - ქართველი მსახიობი. 1913 დაამთავრა ბათუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის ა. პეტროვსკის სასცენო ხელოვნების სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1915.

1915-1918 წწ-ში მუშაობდა ტაგანროგის თეატრში. 1918 დაბრუნდა ბათუმში, ხოლო მომდევნო წელს მოღვაწეობდა თბილისის რუსულ თეატრში. აქ შესრულებული აქვს რასკოლნიკოვის („დანაშაული და სასჯელი“, ფ. დოსტოევსკის მიხედვით), ჟადოვის, პარატოვის (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, „უმზითვო“) და სხვა მნიშვნელოვანი როლები. 1920 წ-დან გ. დავითაშვილი ქართულ დრამატულ თეატრშია (ამჟამინდელი რუსთაველის თეატრი).

გ. დავითაშვილი ეკუთვნოდა ქართველ მსახიობთა იმ თაობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის სახელობის თეატრს. ამ თეატრის სცენაზე ითამაშა 80-მდე როლი. მათ შორის: ზაალ ბარათაშვილი (ს. შანშიაშვილის „არსენა“), ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ოთარ-ბეგი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ფრონდოსო (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), გოდუნოვი (სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“, სსრკ სახელმწიფო პრემია 1946 წ.), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“), მინდია (გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“), ფრანც მოორი (შილერის „ყაჩაღები“) და სხვ. 1921 წ-დან გიორგი დავითაშვილი მოღვაწეობდა ქართულ კინემატოგრაფშიც. დასამახსოვრებელი სახეები შექმნა ფილმებში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ს. ა რ ღ უ ნ ე ლ ი, გ. დავითაშვილი, თბ., 1956; ნ. შ ა ლ უ ტ ა შ ვ ი ლ ი, გიორგი დავითაშვილი, თბ., 1970.

მერაბ გეგია

დავითი (ერისკაცობაში ექვთიმე ოქროპირის ძე კაჭახიძე) (15.X.1872, ქუთაისი - 19.III.1935, ქუთაისი) - სასულიერო პირი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მამის მეთვალყურეობით მიიღო. 1883-1889 წწ-ში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1883 წ-დან ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. 1897, მესამე კურსის სტუდენტი, აკადემიის რექტორმა, ჩებოკსარის ეპისკოპოსმა ანტონმა (ხრაპოვიცკი) ბერად აღკვეცა და სახელად დავითი უწოდა, 1897 მანვე მამა დავითს დიაკვნად დაასხა ხელი. ყაზანის სასულიერო აკადემიის

კარის ეკლესიაში ქართულ წირვა-ლოცვებს ატარებდა. 1898 წ-ის მაისში ბერ-დიაკონი დავითი მღვდლად აკურთხეს. 1899 სასულიერო აკადემია მან ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა და დაიცვა დიპლომი პატრისტიკაში. 1899 კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად დაინიშნა. 1900 თელავის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად განამწესეს. 1902 სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ გადაიყვანეს. ამავე წელს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1903 რუსეთში, პერმის ეპარქიაში, სოლოკამენის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. 1905 ვიტებსკის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 1906 ნოვოჩერკასის რაიონში, დონის სასულიერო სემინარიის რექტორად განამწესეს. 1907 წ-ის შემოდგომაზე რუსეთის წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი დავითი ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინა. ამავე წლის 4 ნოემბერს აღსრულდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა. 1913 მეუფე დავითი წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენით დაჯილდოეს, ხოლო 1914 ვინიცკის ეპისკოპოსად გადაიყვანეს.

მეუფე დავითი 1917 წ-ის სექტემბრის ბოლოს საქართველოში დაბრუნდა და, საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, ურბნისის ეპარქიის მმართველად დაინიშნა. ეპარქიაში ჩასულ ეპისკოპოს დავითს გორში არც რეზიდენცია დახვდა და არც კანცელარიის დასაბინავებელი ადგილი. ამასთან დაკავშირებით, მან რამდენჯერმე მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დახმარებისათვის, თუმცა მის წერილებს არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, რამაც მისი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული გახადა. 1919 მეუფე დავითი საკათალიკოსო საბჭოს წევრად აირჩიეს. 1920 წ-ის ივლისში, თავისი თხოვნით ურბნისის ეპარქიის მმართველობისაგან გათავისუფლდა.

1921 წ-ის 23 ნოემბერს ბათუმ-შემოქმედისა და ჭყონდიდის ეპარქიის მართვა-გამგეობა დაევალა, ხოლო 1922 წ-დან მხოლოდ ჭყონდიდელი ეპისკოპოსია. ჭყონდიდის ეპარქიის მმართველობის ჟამს ეპისკოპოსი დავითი, ეპარქიის სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღით დააპატიმრა. 1924 წ-ის მარტში საკათოლიკოსო საბჭომ იგი დროებით ალავერდის ეპარქიაში განამწესა. 1924 მეუფე დავითი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინეს, შემდეგ - აწყურის ეპარქიისა, ხოლო 1926 წ-დან დროებით დაევალა ურბნისის ეპარქიის მართვა-გამგეობა. 1926 მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. 1927 წ-ის 21-27 ივნისს ჩატარებულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის IV კრებაზე მიტროპოლიტი დავითი გამოცხადდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. 1932 კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) სკუფიაზე ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. 1934 ხელისუფლებამ დახურა ბათუმ-შემოქმედის ეპარქია და მისი მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი დავითი, აიძულა, ეპარქია დაეტოვებინა. იგი საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში, სადაც ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა. მეუფის ცხედარი 23 მარტს ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის სამხრეთ კარიბჭესთან დიდი პატივით დაასაფლავეს.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010.

მიხეილ ქართველიშვილი

დავითხანიანი დავით გრიგოლის ძე (17.III.1888, თბილისი - 7.VII.1957) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. სწავლობდა ერევნის საეპარქიო სკოლაში, მოგვიანებით დაასრულა თბილისის კომერციული სასწავლებლის კურსი. იყო სომხური პარტიის - დაშნაკცუთიუნის წევრი. სწორედ ამ პარტიის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და ერთი წელი ციხეში გაატარა. პატიმრობის შემდეგ იგი გარკვეული პერიოდით გადასახლებაში რჩებოდა.

დავითხანიანი დავით

1918 დაშნაკცუთიუნის პარტიის სახელით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გახდა, ხოლო დამფუძნებელი კრების პირველ დამატებით არჩევნებზე, 1919 წ-ის აგვისტოში, დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დატოვა საქართველო და საცხოვრებლად ჯერ სტამბოლში გადავიდა, შემდეგ კი - გერმანიაში. 1957 ოჯახთან ერთად გადასახლდა არგენტინაში.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი - „პარტიათა გარეშე მყოფი ქართველების დამოუკიდებელი პოლიტიკური კავშირი", იგივე დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) პოლიტიკური კავშირი დაარსდა 1918 წ-ის ივლისში. ის ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს - მეცნიერებს, პოეტებს, სამხედროებსა და სხვებს აერთიანებდა. კავშირი მიზნად ისახავდა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას და მისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. უპარტიოთა კავშირი არ ყოფილა წმინდა პოლიტიკური პარტია თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესდებითა და პროგრამული დოქტრინით, მაგრამ გააჩნდა პოლიტიკური პლატფორმა, რომლის უმთავრესი მუხლები იყო: საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და გაძლიერება; საქართველოს პოლიტიკური,

სოციალური და ეკონომიკური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზე; შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა. ამ მიზნების განსახორციელებლად კავშირი გეგმავდა კრებების გამართვას, რეფერატების მომზადებას საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე და სხვ. კავშირის ხელმძღვანელი ორგანო იყო საბჭო, რომელიც შედგებოდა 12 წევრისაგან: ირაკლი გუნცაძე, პროფ. ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, გრიგოლ გაბაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, კონსტანტინე მაყაშვილი და დავით კარიჭაშვილი. საბჭოს თავმჯდომარედ ზოგიერთ დოკუმენტში მოხსენიებულია ირაკლი გუნცაძე, ხოლო ზოგან - გიორგი ჩაჩიბაია.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში უპარტიოთა კავშირის წარმომადგენლები იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ყოფილი წინამძღოლი, გენერალ-მაიორი კ. აფხაზი და პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კ. მაყაშვილი. უპარტიოთა კავშირის პოლიტიკური მრწამსი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიას შეესაბამებოდა (კ. აფხაზი შემდეგში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გახდა). უპარტიოთა კავშირის პირველი პოლიტიკური აქტივობა თბილისის საქალაქო არჩევნებში გამოიხატა, რომელიც 1919 წ-ის 1-2 თებერვალს გაიმართა. ამ არჩევნებში კავშირის წევრები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და მისგან გამიჯნულ რადიკალ-დემოკრატებთან ერთობლივი სიით გამოვიდნენ. დამფუძნებელი კრების არჩევნებში (1919 წ-ის 14-16 თებერვალი) უპარტიოთა კავშირი კვლავ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან ბლოკში გაერთიანებას აპირებდა. ამით აიხსნება, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ ეროვნულ-დემოკრატათა საკანდიდატო ხელნაწერ სიაში შეყვანილი იყო უპარტიოთა კავშირის 7 წევრი. უცნობია, რა მიზეზით (შესაძლოა, თბილისის საქალაქო არჩევნებში წარუმატებლობის გამო), მაგრამ ბოლო მომენტში კავშირმა ეროვნულ-დემოკრატთაგან გამოყოფა გადაწყვიტა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა. კავშირის საარჩევნო სიაში (№11) სულ 10 კაცი იყო დასახელებული: ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი და სხვ. უპარტიოთა კავშირის სიას ხმა მხოლოდ ათასამდე ამომრჩეველმა მისცა. მათ შორის დედაქალაქში 480 ხმა აღირიცხა. ამ შედეგით კავშირი დამფუძნებელი კრების მიღმა დარჩა. 1920 წ-დან დაიწყო არასოციალისტური ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ურთიერთდაახლოებისა და ერთმანეთთან შერწყმის პროცესი. ედპ-ის მთავარი კომიტეტი და უპარტიოთა კავშირის საბჭო ურთიერთთანამშრომლობდნენ და პერიოდულად ერთობლივ სხდომებსაც მართავდნენ. უპარტიოთა კავშირი საქართველოს დამფუძნებელი კრების მეორე დამატებით არჩევნებში ედპ-სა და ეროვნულ პარტიასთან ბლოკში გამოვიდა. 1920 წ-ის 8 დეკემბერს მოწვეულ საგანგებო სხდომაზე არასოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლებმა გაერთიანებისა და „ერთი მთლიანი ეროვნული ფრონტის შექმნის“ შესახებ იმსჯელეს. სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომ: „საჭიროა არასოციალისტურ პარტიათა იდეური, პრაქტიკული და ორგანიზაციული გაერთიანება“. არასოციალისტურ პარტიათა გამაერთიანებელი კონფერენცია 1921 წ-ის 23-27 იანვარს თბილისში გაიმართა. კონფერენციის გადაწყვეტილებით, ეროვნულ-დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა პოლიტიკური კავშირი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული პარტია ეწოდა. პარტიის მთავარ კომიტეტში უპარტიოთა კავშირიდან არჩეული იყვნენ: კონსტანტინე აფხაზი, ნიკოლოზ თავდგირიძე და გიორგი ამირეჯიბი.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 აგვისტო, 1918; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

დამოუკიდებლობის აქტი (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი) - იურიდიულ-პოლიტიკური დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს ძირითადი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები. 1918 წ-ის 26 მაისს, 4 საათსა და 50 წუთზე, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. მას ესწრებოდა საბჭოს 42 წევრი, 36 კანდიდატი და საზოგადოების წარმომადგენლები. სასახლის წინ დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი. პრეზიდიუმში იყვნენ გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე, მდივნობდა ილია ზურაბიშვილი. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სხდომის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ 4 საათსა და 50 წთ-ზე აქტის შინაარსი გააცნო საბჭოს წევრებს, შეკრებილ საზოგადოებას და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. აქტი შედგებოდა 7 პუნქტისაგან და ქვეყნიერებას ამცნობდა, რომ: 1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა; 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური

განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან; 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს; 7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე. აქტის შინაარსი სასახლის წინ შეკრებილ ხალხს წაუკითხა საბჭოს მდივანმა ილია ზურაბიშვილმა. ამავე დროს, სხდომას რუსული თარგმანი წაუკითხა თავმჯდომარის ამხანაგმა გრიგოლ ვეშაპელმა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქნა მიღებული. რ. არსენიძის მოგონების მიხედვით, დამოუკიდებლობის აქტის პროექტი 25 მაისს შეიმუშავა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ გიორგი გვაზავა, რაჟდენ არსენიძე, კონსტანტინე აფხაზი და პავლე საყვარელიძე. იმავე დღის ბოლოს, გვიან ღამით, შედგა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც პროექტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. პროექტის ტექსტი გადაეცა ნ. ჟორდანიას, რომელმაც გაითვალისწინა შენიშვნები და ტექსტის საბოლოო რედაქცია შეიმუშავა. სხვა ვერსიის მიხედვით, დამოუკიდებლობის აქტის პროექტის პირველი ვარიანტი, ჯერ კიდევ 22 მაისს, ბათუმში შეადგინა ზურაბ ავალიშვილმა და იქიდან თბილისში წამოიღო ნოე ჟორდანიამ. დამოუკიდებლობის აქტი 26 მაისის სხდომაზე ეროვნულმა საბჭომ ყოველგვარი შესწორების გარეშე დაამტკიცა. 1919 წ-ის 12 მარტს პირველად შეკრებილმა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ხელმეორედ დაადასტურა და დაამტკიცა დამოუკიდებლობის აქტი. ამჯერად, დოკუმენტის სტამბურ ვარიანტს 101-მა პიროვნებამ მოაწერა ხელი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დედანი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა აკაკი ჩხენკელის პირად არქივში. ა. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა მაკრინე ჩხენკელმა აქტის დედანი გადასცა ცნობილ ქართველოლოგს, ციურიხის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის დამაარსებელს, პროფ. კიტა ჩხენკელს (ა. ჩხენკელის ძმას). ამ უკანასკნელმა დოკუმენტი დაუტოვა თავის მოწაფეს და ცნობილ ქართველოლოგს ლეა ფლურს, რომელსაც ძვირფასი დოკუმენტი საქართველოში უნდა დაებრუნებინა. საბოლოოდ, ლეა ფლურმა დამოუკიდებლობის აქტის დედანი გადასცა შვეიცარიაში საქართველოს კულტურის ატაშეს გიორგი შარაძეს, რომელმაც, სხვა რამდენიმე უნიკალურ დოკუმენტთან ერთად, დამოუკიდებლობის აქტის დედანი საქართველოში ჩამოიტანა. ამჟამად დოკუმენტი ინახება საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში.

ლიტ.: გ. შარაძე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, 1918-1921, თბ., 2001; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, გამომცემელი მ. წურწუმია, თბ., 1990.

დიმიტრი შველიძე

დამოუკიდებლობის გამოცხადება – ამიერკავკასიის სეიმში ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულმა ურთიერთდაპირისპირებამ ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს დაშლა დააჩქარა. დასახული მიზნის განხორციელების უპირველეს საფეხურს „მფარველი“ სახელმწიფოს ძიება წარმოადგენდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მინდობილობით, გ. გვაზავამ გარკვეული მოლაპარაკება აწარმოა გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელ კაიზერთან. იმავე გ. გვაზავამ 1918 წ-ის 14 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს 4-პუნქტიანი პროექტი წარუდგინა დასამტკიცებლად. ამ დოკუმენტით საქართველოს მხარე ბათუმის საზავო დელეგაციის ხელმძღვანელს, გენერალ ფონ ლოსოვს სთხოვდა, გერმანიას ხელი შეეწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური და გარედან მოსალოდნელი საფრთხეებისგან დაცვის უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებაში. გერმანიის მხრიდან გარკვეული გარანტიების მიღებამ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა. გერმანია თანახმა იყო, მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და წინ აღდგომოდა თავისი მოკავშირის - ოსმალეთის - მისწრაფებას საქართველოსა და კავკასიაში ჰეგემონობისაკენ. აკ. ჩხენკელი ბათუმიდან გამოგზავნილ წერილებში საფეხურებრივად ურჩევდა ეროვნულ საბჭოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის საჭირო ღონისძიებებს, რაც ფონ ლოსოვთან იყო შეთანხმებული. მაგ., 15 მაისის წერილში ა. ჩხენკელი თავის თანაპარტიელებს აფრთხილებდა და მოუწოდებდა: „საქართველოს დამოუკიდებლობა - აი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას... თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ. თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაიღუპება... საჭიროა გამბედაობა. ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული შეძლებს ერის ხსნას“. აღნიშნული მოწოდება დაედო საფუძვლად საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წ-ის 16 მაისის დადგენილებას, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზაციის ხელმძღვანელი საგანგე-

ბო კომისია აირჩია (ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე, შ. მესხიშვილი). საზოგადოებისათვის უნდა განემარტათ, თუ რით იყო განპირობებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თავდაპირველად, დამოუკიდებლობის გამოცხადება ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წ-ის 25 მაისის სხდომაზე გადაწყვიტა, რადგან საკითხი კენჭისყრით გადაწყდა (6 მომხრე, 4 წინააღმდეგი). მიუხედავად ამისა, საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა სამი გარემოების გამო: 1. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ბოლომდე არ იყო მომზადებული; 2. გაურკვეველი იყო კანონმდებლობის, ფინანსებისა და რკინიგზის საკითხი; 3. არ არსებობდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციისა და მთავრობის შემადგენლობის წინასწარი გეგმა. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 25 მაისის სხდომა აღნიშნული საკითხების მხოლოდ დაზუსტებით შემოიფარგლა - ეროვნული საბჭოს 26 მაისის სხდომისთვის შეთანხმებული დღის წესრიგი და შესაბამისი დოკუმენტაცია მოამზადა. რჩებოდა ფორმალური მხარე - ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის სამართლებრივად დაკანონება. ეს საკითხი ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ-ის 26 მაისის სხდომაზე იქნა გატანილი. იმავე დღეს, 3 საათზე, სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა და თვითონაც ფუნქციონირება შეწყვიტა. 1918 წ-ის 26 მაისს, დღის 4 საათსა და 50 წუთზე, გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. მას დაესწრო 42 წევრი და 36 წევრობის კანდიდატი. სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანია. პრეზიდიუმში იყვნენ: გ. ლასხიშვილი, გრ. ვეშაპელი და პ. საყვარელიძე. მდივანი - ი. ზურაბიშვილი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა ნ.ჟორდანიამ, მანვე 5 სთ და 10 წთ-ზე წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც ერთხმად მიიღო ეროვნულმა საბჭომ. სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შემადგენლობა: 1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი; 2. საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხენკელი; 3. სამხედრო მინისტრი - გრიგოლ გიორგაძე; 4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი - გიორგი ჟურული; 5. განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი; 6. მიწათმოქმედების და შრომის მინისტრი - ნოე ხომერიკი; 7. იუსტიციის მინისტრი - შალვა მესხიშვილი; 8. გზათა მინისტრი - ივანე ლორთქიფანიძე. ეს იყო დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს პირველი ეროვნული კოალიციური მთავრობა, რომელშიც შედიოდა 4 სოციალ-დემოკრატი; ორი სოციალისტ-ფედერალისტი; ერთი ეროვნულ-დემოკრატი და ერთი სოციალისტ-რევოლუციონერი მინისტრი. დამსწრე სტუმრებიდან მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: მაჰმადიანთა წარმომადგენელმა ფატალი-ხანი ხოელმა, ოსების წარმომადგენელმა - გიორგი გაგლოევმა, ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელმა - ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ, გერმანიის რწმუნებულმა - კაიზერმა, ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელმა - ფრიკმა და ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენელმა. საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 5 საათსა და 55 წუთზე დამთავრდა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა ტელეგრამით მსოფლიოს სახელმწიფოების მთავრობებს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ფაქტი ამცნო.

ლიტ.: ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918- 1921 წწ.), თბ., 2001; ა. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ვ. გ ურ უ ლ ი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917- 1918, თბ., 1998; შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001; გ. შ ა რ ა ძ ე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, თბ., 2001.

შოთა ვადაჭკორია

„დამოუკიდებელი საქართველო“ - „La Géorgie indépendante“ (1919-1920) / **„საქართველოს რესპუბლიკა“ - La République géorgienne“** (1920-1921) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური ფრანგულენოვანი პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გაზეთი იბეჭდებოდა რვა გვერდზე. თავდაპირველად - თვეში ორჯერ. გაზეთის რედაქცია განთავსებული იყო თბილისში, სასტუმრო „ინტერნაციონალში“. 1919 წ-ის 22 ივნისიდან კი ყოველკვირეულად გამოიცემოდა. 1920 გაზეთს შეეცვალა სახელწოდება და გამოდიოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელით. 1919 მისი ღირებულება 2 მანეთს შეადგენდა. გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის პედაგოგი ელისაბედ ორბელიანი. გაზეთის გვერდებზე განხილული იყო საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო პოლიტიკა, განსაკუთრებით, ევროპაში მიმდინარე მოვლენები, ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება; გაზეთში იბეჭდება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ წარდგენილი მოხსენებები, ქართველი პოლიტიკოსების მიმართვა ქართველი ხალხისადმი, სხვადასხვა უცხოურ გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები, რომლებიც საქართველოში შექმნილ ვითარებას ეხმიანებოდა. გაზეთის ბოლო გვერდებზე იბეჭდებოდა ელისაბედ ორბელიანისა და სხვა ქართველ ავტორთა ფრანგულად ნათარგმნი ლიტერატურული ნაწარმოებები და სხვადaსხვა განცხადებები, აგრეთვე, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ავტორთა სტატიები. გაზეთის გვერდებზე ქვეყნდებოდა პოლიტიკურ მოღვაწეთა სტატიები და პუბლიცისტური წერილები, მათ შორის, დამფუძნე-

ბელი კრების წევრის, ეროვნულ-დემოკრატ გიორგი გვაზავას პოლიტიკური ანალიზი და ყოფილი ფინანსთა მინისტრის, გიორგი ჟურულის მოთხრობა „ალზასელი გოგონა“. ასევე ითარგმნა და გამოქვეყნდა შიო არაგვისპირელის ნაწარმოებები.

ლიტ.: გაზ. „La Républlque géorglenne“, 1919-1920; გაზ. „La Géorgle Indépendante“, 1920-1921.

თამარ ხეტაშვილი

დამფუძნებელი კრება - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური, საყოველთაო არჩევნებით არჩეული საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც შეცვალა საქართველოს ეროვნული საბჭო - პარლამენტი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანოს შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის, საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს აღიარებისა და ქვეყნის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობისათვის. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას ითვალისწინებდა 1918 წ-ის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. 1918 წ-ის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა (ყოფილი ეროვნული საბჭო) დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, პარტიული სიების მიხედვით. დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებული იყო 15 პოლიტიკური პარტია: №1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; №2 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; №3 სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; №4 დაშნაკცუთიუნი; №5 სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; №6 მუსულმანთა ეროვნული საბჭო; №7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია; №8 საქართველოს ეროვნული პარტია; №9 საქართველოს მაშვრალთა პარტია; №10 შოთა რუსთაველის ჯგუფი; №11 დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი; №12 ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა სია; №13 რსდმპ; №14 პატრიოტთა ესტეტიური ლიგა; №15 საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი. არჩევნები ჩატარდა 1919 წ-ის 14-16 თებერვალს. საქართველოს ზოგ რეგიონში არჩევნები ვერ ჩატარდა კლიმატური პირობებისა და რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო. პირველი დამატებითი არჩევნები ჩატარდა 1919 წ-ის აგვისტოში ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში, ფოცხოვის რაიონში, მთიულეთში, ხევსურეთსა და სვანეთში. მეორე დამატებითი არჩევნები 1920 წ-ის მაისში ჩატარდა სოხუმის ოლქში, ბოლნისის, დუშეთის და ტფილისის მაზრებში. დამფუძნებელ კრებაში შევიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან 109, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან 8 (ნ. ნიკოლაძე, ს. კედია, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, ი. მაჭავარიანი, ალ. ასათიანი, პ. სურგულაძე, გ. ქიქოძე), სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან 8 (გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. მდივანი), სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან 5 დეპუტატი (ლ. შენგელაია, ივ. გობეჩია, იოს. გობეჩია, გ. ანთაძე, ნ. ნუცუბიძე). განმეორებითი არჩევნების შედეგად დეპუტატები გახდნენ: ნაციონალისტები: გ. ვეშაპელი და შ. ქარუმიძე, სოციალისტ-ფედერალისტები: ს. დადიანი და

თ. ღლონტი, სოციალ-რევოლუციონერი ივ. ლორთქიფანიძე, ეროვნულ-დემოკრატი შ. ამირეჯიბი. 3 დეპუტატი „დაშნაკცუთიუნიდან“. 1919 წ-ის 6 და 9 მაისს დამფუძნებელი კრების წევრობიდან ამოირიცხნენ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები: ყადირ შერვაშიძე, რაფიელ ჩიხლაძე, თავაზ ყადირ-მამედ ოღლი გვარამაძე. მათ ნაცვლად ჩაირიცხნენ: სოლომონ ვადაჭკორია, ერმალოზ სირბილაძე, იოსებ ირემაშვილი. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წ-ის 12 მარტს. თავმჯდომარეობდა დამსწრეთა შორის უხუცესი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, 60 წლის სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივნობდა კრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი გოგიტა ფაღავა. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე. პირველსავე სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა 1918 წ-ის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. მომდევნო სხდომაზე აირჩიეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ-ის 21 მარტს დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მთავრობის თავმჯდომარე ამავე დროს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი. დამფუძნებელ კრებაში სხვადასხვა დროს შეიქმნა 23 მუდმივი, დროებითი და მცირე კომისია, განისაზღვრა მათი შემადგენლობა. საქართველოს დამფუძნებელი კრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დამფუძნებელ კრებას არც ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ მოუხსნია. ბოლშევიკების მოთხოვნაზე -კაპიტულაცია გამოეცხადებინა, კრებამ უარი განაცხადა, 17 მარტს ბათუმში გამართულ სხდომაზე ნოე ჟორდანიას და საქართველოს მთავრობას დაევალა ემიგრაციაში მოღვაწეობის გაგრძელება.

დამფუძნებელი კრება საქართველოში მოღვაწეობდა 1919 წ-ის 12 მარტიდან 1921 წ-ის 18 მარტამდე. სესიებს შორის შესვენების პერიოდი იყო: 1919 წ-ის 3 აგვისტო - 19 სექტემბერი; 1920 წ-ის 1-23 იანვარი; 1920 წ-ის 9 სექტემბერი - 9 ნოემბერი. შესვენებების პერიოდში დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი რეგიონებს სტუმრობდა და მოსახლეობას ხვდებოდა, საპროპაგანდო ლექციებს ატარებდა. კრების მუშაობის პირველ წელს ჩატარდა 94 სხდომა, მათგან 20 საგანგებო. ამ დროის განმავლობაში კრებამ განიხილა 415 საკანონმდებლო ინიციატივა და საკითხი. დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვრა თავისი წევრის შეუვალობის საკითხი. დამფუძნებელი კრების წევრის ხელფასი დასაწყისში იყო 1500, შემდგომ - 2500 მან. დეპუტატს ჰქონდა რკინიგზით უფასოდ მგზავრობის უფლება. დამფუძნებელი კრების წევრობა შეთავსებადი იყო მინისტრის, ელჩის, სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობასთან, სახალხო გვარდიის შტაბის წევრობასა და უნივერსიტეტის პროფესორობასთან, მხოლოდ ერთი ხელფასის მიღების უფლებით.

დამფუძნებელ კრებაში სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა 4-დან 8-მდე ფრაქცია. დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. კრების მიერ მიღებულ კანონებს შორის აღსანიშნავია კანონი მოქალაქეობის შესახებ (1919 წ-ის 27 მაისი), კანონის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა ის, ვინც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წ-ის 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე). დამფუძნებელმა კრებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მემარცხენე მიმართულების ეკონომიკური რეფორმების საკანონმდებლო პაკეტების მომზადებაში (აგრარული რეფორმა, წიაღისეულის ნაციონალიზაცია, შრომითი ხელშეკრულების კანონი). დამფუძნებელი კრების პრეროგატივა იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, სახელმწიფო ფულადი ნიშნის - ბონის - ემისიის ოდენობის განსაზღვრა. კრება განსაზღვრავდა სახელმწიფო დაწესებულებათა ბიუჯეტს, სტიპენდიებს უცხოეთში სასწავლებლად წასული საქართველოს მოქალაქეებისთვის. დამფუძნებელი კრება ადგენდა ოფიციალურ უქმე დღეებს.

დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა და დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს - სენატის საქმიანობის დებულება. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი სახელმწიფო ბანკის დაფუძნების, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნის შესახებ. დამფუძნებელი კრების პრეროგატივა იყო ამნისტიის გამოცხადება, რაც ორჯერ განხორციელდა 1920 და 1921 წწ-ის დასაწყისში. დამფუძნებელი კრება ახდენდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას (კერძოდ, რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან დადებული). დამფუძნებელი კრების საგანგებო დეკრეტებით დაარსდა სამხატვრო გალერეა, ცენტრალური სამეცნიერო არქივი, ფიზიკური ობსერვატორია.

დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო 1921 წ-ის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც 17 თავის და 149 მუხლისგან შედგებოდა.

1919 წ-ის 14-16 თებერვალს არჩეული დამფუძნებელი კრების წევრები:
სოციალ-დემოკრატიული პარტია - 109 წევრი

1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე;
2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე;
3. ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე;
4. წერეთელი ირაკლი გიორგის ძე;
5. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე;
6. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე;
7. ხომერიკი ნოე გიორგის ძე;
8. რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე;
9. ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე;
10. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე;
11. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე;
12. გიორგაძე გრიგოლ ტიმოთეს ძე;
13. მახარაძე გერასიმე თომას ძე;
14. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე;
15. ჩხიკვიშვილი ბენიამინ გრიგოლის ძე;
16. შერვაშიძე ვარლამ ალექსანდრეს ძე;
17. ჯუღელი ვალერიანი ანთიმოზის ძე;
18. ნინიძე კირილე იესეს ძე;
19. ვარდოიანცი მიკიჩ კარაპეტის ძე;
20. ახმეტელაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე;
21. ანდრონიკაშვილი კონსტანტინე მანუელის ძე;
22. კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე;
23. ონიაშვილი დავით ეფრემის ძე;
24. ხოჭოლავა მუხრინიონა მაქსიმეს ძე;
25. დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე;
26. ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე;
27. თევზაია ბიქტორ ვასილის ძე;
28. გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე;
29. აბაშიძე ჰაიდარ ალიბეგის ძე;
30. გერნშტეინი ერიკ ადოლფის ძე;
31. ერაძე გიორგი პავლეს ძე;
32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე;
33. სალაყაია იოსებ ბეჟანის ძე;
34. გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე;
35. ჯაფარიძე სერგო დავითის ძე;
36. ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული;
37. სალუქვაძე ანანია მაქსიმეს ძე;
38. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე;
39. ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე;
40. მამედოვი ჰუსეინ გული-მამედ ოღლი;
41. რუსია მელიტონ ივანეს ძე;
42. ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე;
43. შარვაშიძე ყადირ თანბეგის ძე;
44. პაშალიდი ივანე გიორგის ძე;
45. ჩიხლაძე რაფიელ ალექსის ძე;
46. საყვარელიძე პავლე დავითის ძე;
47. ცაბაძე ვასილ ზაქარიას ძე;
48. ნათაძე ლევან იასონის ძე;
49. გაგლოევი გიორგი ალექსის ძე;
50. ურატაძე გრიგოლ ილარიონის ძე;
51. დავარაშვილი მოსე რახამის ძე;
52. ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე;
53. ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე;
54. ძველაია ბარნაბ პავლეს ძე;
55. გურული ზაქარია დავითის ძე;
56. ჩიქავა ალექსანდრე ჩიტოს ძე;
57. ყიფიანი რუბენ ლუარსაბის ძე;
58. შარაშიძე დავით გრიგოლის ძე;
59. მგელაძე ვლასა დარისპანის ძე;
60. გონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე;
61. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული;
62. სურგულაძე სიმონ ელიზბარის ძე;
63. გურჯუა ვასილ გიორგის ძე;
64. ნოდია ვასილ გიორგის ძე;
65. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე;
66. მიქელაძე ოსმან შავყი ეფენდი;
67. ქუმსიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე;
68. საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე;
69. პანიევი კონსატანტინე აბგერის ძე;
70. კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე;
71. ბადრიძე ილია გიორგის ძე;
72. შარაშიძე ქრისტინე გიორგის ასული;
73. სულაქველიძე აპოლონ ალმასხანის ძე;
74. კოპალეიშვილი ილია ივანის ძე;
75. ჭავჭანიძე ივანე თედორეს ძე;
76. ჭიაბრიშვილი ანდრია იაკობის ძე;
77. ცინცაძე გიორგი იოსების ძე;
78. ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე;
79. ბოლქვაძე ელისაბედ იოსების ასული;
80. ცისკარიშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე;
81. თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე;
82. ცინციბაძე გრიგოლ დიმიტრის ძე;
83. ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე;
84. კიკვაძე თეოდორე გაბრიელის ძე;
85. კაციაშვილი ნიკოლოზ აღდგომელის ძე;
86. ტატიშვილი ივანე ალექსის ძე;
87. კვარაცხელია იოსებ ანტონის ძე;
88. წულაძე ვასილ ქაიხოსროს ძე;
89. იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე;
90. ემუხვარი არზაყან კონსტანტინეს ძე,
91. გომართელი ივანე გედევანის ძე;
92. ბიული პავლე იაკობის ძე;
93. ელიგულაშვილი იოსებ აარონის ძე;
94. კიღურაძე ლავროსი პავლეს ძე;
95. გვარამაძე თავაზ-ყადირ-მამაც-გული ოღლი;
96. რუხაძე ლევან პორფილეს ძე;
97. ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე;
98. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე;
99. ზახაროვი დიმიტრი ვასილის ძე;
100. წულაია პავლე ლუკას ძე;
101. ბერიშვილი პავლე აბრამის ძე;
102. ბაკურაძე ვასილ ზურაბის ძე;
103. კალაძე ერმალოზ თედორეს ძე;
104. ჭელიძე თეიმურაზ სტეფანეს ძე;
105. მურვანიძე გიორგი ექვთიმეს ძე;
106. ფაღავა გიორგი ავქსენტის ძე;
107. მაჭავარიანი იოსებ ივანეს ძე;
108. ჟღენტი ლეონტი ალმასხანის ძე;
109. ლორია ფილიპე გლახუნის ძე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 8 წევრი

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე;
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე;
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (დატოვა ფრაქცია 1919 წ. 27 მაისს);
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე;
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე;
6. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე;
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე;
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე.

სოც. რევოლუციონერები - 5 წევრი

1. შენგელია ლეო ანდრიას ძე;
2. ნუცუბიძე ილია დავითის ძე;
3. გობეჩია ივანე პავლეს ძე;
4. გობეჩია იოსებ პავლეს ძე;
5. ნათაძე გრიგოლ იასონის ძე.

სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 8 წევრი

1. ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე;
2. რცხილაძე გრიგოლ სიმონის ძე;
3. ნუცუბიძე ვარლამ (შალვა) ისაკის ძე;
4. ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე;
5.ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე;
6. ბარათაშვილი იესე ალექსანდრეს ძე;
7. გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე;
8. მდივანი სიმონ გურგენის ძე.

ბონდო კუპატაძე

დამფუძნებელი კრების არჩევნები – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამ ეტაპად ჩატარდა ძირითადი არჩევნები 1919 წ-ის 14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგიონების უმეტეს ნაწილში. კლიმატურ-გეოგრაფიულ მიზეზთა გამო, დამფუძნებელი კრების არჩევნების გამართვა შეუძლებელი გახდა ქვეყნის მაღალმთიან რაიონებში, ხოლო რთული პოლიტიკურ-სამხედრო მდგომარეობის გამო არჩევნები გადაიდო ქვეყნის სამხრეთის მაზრებში. ძირითადი არჩევნები ასევე არ გამართულა სოხუმის ოლქში, სადაც ამ პერიოდისათვის აფხაზეთის ეროვნული საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა და ბათუმის ოლქში, რომელსაც ინგლისის საოკუპაციო ადმინისტრაცია მართავდა. საარჩევნო კანონმდებლობა 1918 წ-ის 22 ნოემბერს დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ, 1919 წ-ის 10 იანვარს მასში ცვლილებები შევიდა. საარჩევნო კანონმდებლობა უზრუნველყოფდა და იცავდა არჩევნების პირდაპირობის, საყოველთაოობისა და თანასწორობის პრინციპებს. არჩევნების გამართვა თავდაპირველად 1919 წ-ის გვიან გაზაფხულზე იგეგმებოდა, თუმცა საბოლოო თარიღზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო ფაქტორმა - ვერსალში დაგეგმილმა საერთაშორისო საზავო კონფერენციამ. დამფუძნებელი კრების არჩევნების ორგანიზებისათვის საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 21-კაციანი ცენტრალური საარჩევნო კომისია ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა 15-მა საარჩევნო სუბიექტმა: №1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; №2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; №3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; №4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკცუთიუნი“; №5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია; №6 საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო; №7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია; №8 საქართველოს ეროვნული პარტია; №9 საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია; №10 შოთა რუსთაველის ჯგუფი-პარტია; №11 დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი; №12 ბორჩალოს მაზრის მუსულმანები; №13 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; №14 „ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა“; №15 ელინთა დემოკრატიული პარტია. 15 საარჩევნო სიაში 600 კანდიდატი იყო წარმოდგენილი, რომელთაგან 26 ქალი გახლდათ. ძირითად არჩევნებში რეგისტრირებული 831 324 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა 506 815-მა მიიღო. არჩევნების შედეგად კრების 130 მანდატი შემდეგნაირად გადანაწილდა: №1 - 109; №2 - 8 ; №3 - 5; №5 - 8.

1919 წ-ის აგვისტოში გაიმართა დამფუძნებელი კრების პირველი დამატებითი არჩევნები, რომელმაც გამოტოვებული მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. დამატებით არჩევნებზე რეგისტრირებული 125 451 ამომრჩევლიდან მონაწილეობა 87 444-მა მიიღო. არჩევნების შედეგად კრებაში წარმოდგენილ სუბიექტებს დაემატა „დაშნაკცუთიუნი“ და საქართველოს ეროვნული პარტია. მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა: №1 - 105; №2 - 7; №3 - 6; №4 - 3; №5 - 8; №8 - 1.

1920 წ-ის 27, 28 და 29 მარტს გაიმართა დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითi არჩევნები, რომელმაც სოხუმის ოლქი და სა-

ქართველოს სხვადასხვა მაზრისა თუ ქალაქის ცალკეული უბნები მოიცვა. მეორე დამატებით არჩევნებში კოალიციური სახით მონაწილეობდნენ სიები №2, №7 და №11, ასევე, მონაწილეობას იღებდა აფხაზეთის ნაციონალური პარტია. არჩევნების შედეგად საბოლოოდ დამფუძნებელ კრებაში ადგილები ამგვარად გადანაწილდა: №1 - 102; №2 - 8; №3 - 6; №4 - 3; №5 - 9; №8 - 2.

ლიტ.: ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე, „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“, თსუ, ცესკო, IFES, 2017; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-21, სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე, 1990; ზ. ცინაძე, „საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 2011; სცსა, ფ. 1834, აღწ. 1, საქ. 19.

ირაკლი ირემაძე

დამფუძნებელი კრების განათლების კომისია – 1917 წ-ის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, სადაც, სხვა კომისიებთან ერთად, შეიქმნა სასკოლო სექცია. იგივე სექცია განათლების სექციის სახელით არსებობდა დამფუძნებელ კრებაშიც და აქტიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სფეროს მოწესრიგების, ქვეყანაში განათლების რეფორმის განხორციელებისათვის. განათლების კომისიის წევრები რამდენჯერმე შეიცვალა, 1920 წ-სთვის მისი შემადგენლობა ძირითადად ასეთი იყო: ლეო ნათაძე - კომისიის თავ-რე (სოციალ-დემოკრატი); მოსე დავარაშვილი (ს.დ.); მუხრან ხოჭოლავა (ს.დ.); ქრისტინე შარაშიძე (ს.დ); ჰაიდარ აბაშიძე (ს.დ); 6. თედორე კიკვაძე (ს.დ.); ნიკიფორე იმნაიშვილი (ს.დ.) - კომისიის მდივანი; პავლე ბიული (ს.დ.); შალვა ნუცუბიძე (ს.ფ.); ექვთიმე თაყაიშვილი (ე.დ.); გრიგოლ ნათაძე (ს. რ.); გარიკ სტეფანიანი (დაშნაკი). სხდომა იმართებოდა კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და ხუთშაბათს, დილის 9-11 საათზე. განათლების კომისია იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლების მართვა-გამგეობისა და გაეროვნების (ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლების) პრობლემები. ის ეხმარებოდა განათლების სამინისტროსა და მთავრობის ერთობლივ მოქმედებას განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების განსახორციელებლად. პირველივე სხდომაზე ნოე ცინცაძემ აღნიშნა, რომ წინააღმდეგი იყო სკოლების მართვის ცენტრალიზაციისა, მისი აზრით, სკოლას თვითმმართველობის ორგანოსთან აქტიურად უნდა ეთანამშრომლა და ამით უფრო ეფექტურად გადაჭრიდა მის წინაშე მდგარ პრობლემებს. სარევიზიო აპარატიც (ინსტრუქტორების სახით) ადგილზე უნდა მოწყობილიყო. რაც შეეხებოდა პირველდაწყებითი სკოლების კონტროლს, ეს რაიონების ინსპექტორებს უნდა დავალებოდა. სკოლების მართვა-გამგეობის სრულ დეცენტრალიზაციას ბევრი მომხრე ჰყავდა, ასეთი იყო ნიკო ნიკოლაძეც, რომელიც კომისიაში შედიოდა და 1918 წ-ის 14 აგვისტოს სხდომაზე დააყენა სკოლების სრული დეცენტრალიზაციის საკითხი. მას ცოტა მხარდამჭერი აღმოაჩნდა. მმართველი პარტიის წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ იმ ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში განათლების სისტემას ცენტრალიზაცია უფრო წაადგებოდა. ყველა კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც განათლების სამინისტრო რეფორმებს ატარებდა, საპარლამენტო კომისიაში განიხილებოდა და მთავრობასთან თანხმობით მტკიცდებოდა. ხშირი იყო აზრთა დაპირისპირება. 1918 წ-ის 4 ოქტომბერს ასეთი დაპირისპირება გამოიწვია კანონპროექტმა სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ. კანონპროექტში დატოვებული მუსლიმანური რელიგიის სწავლების გამო წარმოიშვა უთანხმოება და საკითხის გადაწყვეტა შემდგომი სხდომისთვის გადაიდო „საკითხის გასარკვევად“ სხდომას უნდა დასწრებოდა ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი - კონიაშვილი. კომისია ღებულობდა კანონპროექტებს, ანუ გადაწყვეტილებას სასკოლო სისტემის ყველა რგოლის გასაუმჯობესებლად. განათლების კომისია თავის სხდომებზე ხშირად იხილავდა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს; სამინისტროს მიერ შემუშავებულ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტს არგებდა რეალურ საჭიროებას, ვინაიდან პარლამენტის კომისია უმაღლესი ინსტანციის ინტერესს გამოხატავდა, ცალკეული კანონპროექტის შეცვლა და ახალი კანონის შექმნა მისი მოვალეობაც იყო.

ლიტ.: მ. ფართალაძე, დამფუძნებელი კრების განათლების კომისია, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2017, №1(20), სცსა, ფ. 1836, საქ. 244.

დოდო ჭუმბურიძე

დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისია - საქართველოს ეროვნული საბჭოს (1918-1919) და საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) იურიდიულ კომისიებს წინ უსწრებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში 1917 წ-ის ნოემბრის თვეში დარგობრივი სექციების, ანუ კომისიების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, რომელთა მიზანი გარდამავალ პერიოდში არსებულ პრობლემათა გადაჭრა იყო. ამ სექციებიდან იურიდიული სექციის მთავარ ამოცანად განისაზღვრა შემდეგი: სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია. სექციას დაევალა სამართლებრივი რეფორმის შესახებ კონცეფციის წარმოდგენა, რომელიც გაითვალისწინებდა სასოფლო სასამართლოს გაუქმებას და მათ ნაცვლად მომრიგებელი მოსამართლის, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს - სენატის და საადვოკატო სისტემის ჩამოყალიბებას.

1917 წ-ის 3 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა „განსაკუთრებული კომისიები“. ესენი იყო: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სასამართლო და ადმინისტრაციის, სასკოლო და ხელოვნების, სახალხო მეურნეობისა და სურსათის, საერობო და გამიჯვნის, სამაჰმადიანო და ჯანმრთელობის კომისიები. მართალია, ცალკე იურიდიული კომისია არ შექმნილა, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია აღნიშნული კომისიებიდან სასამართლო კომისიას უნდა შეესრულებინა. კომისია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს - ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა. მისი სამართლებრივი სტატუსი (დანიშნულება, რაოდენობა, შექმნის წესი და უფლებამოსილება) ხსენებული ორგანოების რეგლამენტებით განისაზღვრებოდა. კომისიის ფუნქციას შეადგენდა „წინასწარი განხილვა საქმეებისა“, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში შედიოდა. საპარლამენტო კომისიები ორი სახისა იყო: მუდმივი და დროებითი. მუდმივ კომისიებს ყოველწლიურად, სესიის დასაწყისში ირჩევდნენ. დროებითი კომისია საჭიროების შემთხვევაში იქმნებოდა. საკანონმდებლო ორგანოში, მისი რეგლამენტის შესაბამისად (1918, რეგლამენტის მე-18 მუხლი), იქმნებოდა საფინანსო-საბიუჯეტო, სარედაქციო, საბიბლიოთეკო და სამეურნეო-საგამგეო (საგეგმო) კომისიები. დამფუძნებელ კრებაზე დამატებით შეიქმნა ახალი რეგლამენტით (1919, რეგლამენტის მე-17 მუხლი) გათვალისწინებული საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის შემუშავება ევალებოდა. საკანონმდებლო ორგანოს, თუ „საჭიროდ დაინახავდა“, შეეძლო, სხვა მუდმივი კომისიებიც აერჩია. მაგალითად, ასეთი კომისია იყო იურიდიული კომისია. იურიდიული კომისიის უმთავრესი ფუნქცია იყო კანონპროექტების შემუშავება, კანონპროექტების შესახებ დასკვნების გაკეთება. საქართველოს ეროვნული საბჭოს იურიდიული კომისიის წევრები იყვნენ: გრიგოლ ანჯაფარიძე, რაჟდენ არსენიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), კირილე ნინიძე, მელიტონ რუსია, ივანე გობეჩია, გრიგოლ რცხილაძე (კომისიის თავმჯდომარე), იესე ბარათაშვილი, ივანე მაჭავარიანი, რ. ივანიცკი (კომისიის მდივანი). 1918 წ-ის 15 ოქტომბრის ეროვნული საბჭოს სხდომაზე იურიდიული კომისიის წევრად (ანჯაფარიძის ნაცვლად) აირჩიეს ს. ელიაძე. 1918 წ-ის 15 ნოემბერს ელიაძე შეცვალა ილია ფირცხალაიშვილმა, რომელიც დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიაშიც აგრძელებდა მუშაობას. იურიდიული კომისიის სხდომები დაინიშნა სამშაბათობით. ხშირი იყო კომისიების ერთობლივი სხდომები. მაგალითად, იურიდიული და თვითმმართველობის კომისიები მომიჯნავე საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივად მართავდნენ შეხვედრებს. იურიდიული კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში: გრიგოლ გიორგაძე (კომისიის თავმჯდომარე), რაჟდენ არსენიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ივანე გობეჩია (კომისიის მდივანი), კირილე ნინიძე, მელიტონ რუსია, სერგი ჯაფარიძე, ილია ფირცხალაიშვილი, შალვა მესხიშვილი, ივანე მაჭავარიანი. ახალ დემოკრატიულ საქართველოს არ ჰქონდა მდიდარი საკანონმდებლო საქმიანობის გამოცდილება. ეს ჩანს საკანონმდებლო ორგანოს არაერთი სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან. მაგალითად, საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1919 წ-ის 26 მაისის სხდომაზე უმსჯელიათ „დამფუძნებელი კრების კომისიების განაყოფიერების შესახებ“. სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „ეთხოვოს მთავრობას და კომისიებს კანონ-პროექტის ენერგიულად დამუშავება. დღემდის საკანონმდებლო მუშაობას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, არც გარკვეული გეგმა. ყოველმა კომისიამ უნდა მოიწვიოს სათანადო უწყების უმაღლესი წარმომადგენელი და შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები, შეუთანხმდეს უწყებას საკანონმდებლო მოქმედებისთვის მთავარი გეზის აღების გამო“. 1919 წ-ის 12 აპრილს იურიდიული კომისიის შემადგენლობაში შეიქმნა მცირე კომისია რაჟდენ არსენიძის (მცირე კომისიის თავმჯდომარე), დავით ონიაშვილისა და ვ. ნოდიას შემადგენლობით. კომისიამ შეიმუშავა და მიიღო ინსტრუქცია, რომელიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის კომისიის უფლებამოსილების შესახებ: 1. მცირე კომისია გამოარკვევს რამდენად ეთანხმება უწყების მოქმედება და განკარგულებანი არსებულ კანონებს: ა) მოწყობა მომრიგებელი მოსამართლეების. ბ) ნაფიც მსაჯულების. გ) სახელმწიფო ენაზე წარმოების გატარება. 2. გამორკვევა სამინისტროს შტატის და მისი საქმიანობის. 3. გამორკვევა საოლქო სასამართლოს და პალატის სისხლის განყოფილების მუშაობისა და შტატებისა. 4. გამორკვევა სამოქალაქო სასამართლოსი: ოლქისა და პალატის მუშაობისა და შტატებისა. 5. გამორკვევა საგანგებო სასამართლოს მუშაობისა და საქმის წარმოება. 6. საგამომძიებლო ნაწილის მუშაობის გამორკვევა. 7. უმთავრესი ყურადღება კომისიის მხრივ მიექცეს: რამდენი საქმე აღძრულა 1918 წ-ის 26 მაისიდან. რამდენი დამთავრებულა. რამდენი მოსპობილა. სად იმყოფებიან ბრალდებულნი. 8. შეკრება ცნობების ძველი წლების მუშაობიდან (თუ შეიძლება) სტატისტიკური შედარებით. 9. მიზეზი სუსტი საქმიანობისა, ღონისძიებანი მის გამოსასწორებლად მიღებულია თუ არა, და რა ხასიათის?

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 127, ფ. 1833, საქ. 437, 457, 458; ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2013.

ბექა ქანთარია

დამფუძნებელი კრების კომისიები - დამფუძნებელი კრების სამუშაო პროცესი ძირითადად კომისიებში მიმდინარეობდა. კომისიებში მზადდებოდა საკანონმდებლო პაკეტები, მუშავდებოდა და იხვეწებოდა კანონპროექტები, რომლებიც დასამტკიცებლად გადიოდა დამფუძნებელი კრების სხდომაზე. კომისიები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ შესაბამისი პროფილის სამინისტროებთან. მიღებული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოწვევა და მოსმენა, შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვა. კომისიის მუშაობას წარმართავდნენ: თავმჯდომარე, ამხანაგი (მოადგილე) და მდივანი. კომისია გადაწყვეტილებას იღებდა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი იყო თავმჯდომარის ხმა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის განვითარებულობაზე მიუთითებს, რომ რამდენიმე კომისიას სათავეში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლი ედგა. დეპუტატების უმეტესობა 3-5 კომისიაში მუშაობდა.

დამფუძნებელ კრებაში 1919 წ-ის მარტში ჩამოყალიბდა 5 მუდმივმოქმედი კომისია (საკონსტიტუციო, საფინანსო-საბიუჯეტო, სარედაქციო, საბიბლიოთეკო, სამეურნეო-საგეგმო). შემდგომ გაიზარდა კომისიების რაოდენობა, დაემატა დროებითი და მცირე კომისიები. 1919 წ-ის აპრილში მოხდა კომისიების პრეზიდიუმების არჩევა, დაარსდა ახალი მცირე კომისიები, რომელთა მიზანი იყო ცენტრალური დაწესებულებების რევიზია. სულ დამფუძნებელ კრებაში ფუნქციონირებდა 5 მუდმივი და 18 დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: საკონსტიტუციო კომისია (18 წევრი): თავმჯდომარე - რაჟდენ არსენიძე (სდპ), მდივანი - გიორგი ფაღავა (სდპ), კოტე ანდრონიკაშვილი (სდპ), ლევან ნათაძე (სდპ), მელიტონ რუსია (სდპ), პავლე საყვარელიძე (სდპ), გიორგი ფაღავა (სდპ), რაფიელ ჩიხლაძე (სდპ), პავლე წულაია (სდპ), მუხრან ხოჭოლავა (სდპ), კოტე ჯაფარიძე (სდპ), გიორგი ლასხიშვილი (სფპ, შეიცვალა 19.09.1919), სამსონ დადიანი (სფპ), იოსებ ბარათაშვილი (სფპ), სპირიდონ კედია (ედპ), გიორგი გვაზავა (ედპ), ივანე გობეჩია (სრპ), ტიგრან ავეტისიანი (დაშნაკცუთიუნი).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (27 წევრი): თავმჯდომარე - დიომიდე თოფურიძე (სდპ), თავმჯდომარის მოადგილეები: ნოე ცინცაძე (სდპ, 06.V.1919-მდე), სიმონ მდივანი (სფპ), იოსებ სალაყაია (სდპ, 0.V.1919-დან); მდივნები: სიმონ მდივანი (სფპ, 10.V.1919-მდე); გიზო ანჯაფარიძე (სდპ, დაემატა 10.V.1919-დან, შეიცვალა 27.V.1919), ერიკ ბერნშტეინი (სდპ); წევრები: გრიგოლ გიორგაძე (სდპ), ნიკოლოზ ელიავა (სდპ), იოსებ ელიგულაშვილი (სდპ, შეიცვალა 27. V.1919), იოსებ ირემაშვილი (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), ბიქტორ თევზაია (სდპ), ნიკიფორე იმნაიშვილი (სდპ), ლავრენტი კიღურაძე (სდპ), კირილე ნინიძე (სდპ), დავით ონიაშვილი (სდპ), გრიგოლ ურატაძე (სდპ), კონსტანტინე ფანიევი (სდპ, 06.V.1919-მდე), დავით შარაშიძე (სდპ), ვასილ წულაძე (სდპ), ივანე ჭავჭანიძე (სდპ), ანდრია ჭიაბრიშვილი (სდპ), გერონტი ქიქოძე (ედპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ), გრიგოლ ვეშაპელი (ერ. პ.), გრიგოლ ნათაძე (სრპ, შეიცვალა 06.VI.1919), ილია ნუცუბიძე (სრპ).

მცირე საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (6 წევრი): თავმჯდომარე - დიომიდე თოფურიძე (სდპ), გრიგოლ გიორგაძე (სდპ), ივანე ჭავჭანიძე (სდპ), იოსებ სალაყაია (სდპ), სიმონ მდივანი (სფპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ),

სამეურნეო-საგამგეო კომისია (10 წევრი): თავმჯდომარე - ვასილ წულაძე (სდპ), თავმჯდომარე - ილია კოპალეიშვილი (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - ალექსანდრე ასათიანი (ედპ), თავმჯდომარის მოადგილე - ივანე გობეჩია (სრპ), მდივანი - სარდიონ თევზაძე (სდპ), წევრები: ანანია სალუქვაძე (სდპ), ივანე ტატიშვილი (სდპ), თეიმურაზ ჭელიძე (სდპ), იოსებ გედევანიშვილი (სფპ), გარეგინ ტერ-სტეფანიანი („დაშნაკცუთიუნი”).

სარედაქციო კომისია (7 წევრი): თავმჯდომარე - ივანე გომართელი (სდპ), მდივანი - გრიგოლ ნათაძე (სრპ), წევრები: რაჟდენ არსენიძე (სდპ), ანა სოლოღაშვილი (სდპ), ქრისტინე შარაშიძე (სდპ), სამსონ ფირცხალავა (სფპ), იოსებ მაჭავარიანი (ედპ).

საბიბლიოთეკო კომისია (11 წევრი): თავმჯდომარე - ექვთიმე თაყაიშვილი (ედპ), მდივანი - ანა სოლოღაშვილი (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), გაბრიელ ცისკარიშვილი (სდპ), პავლე ბიული (სდპ), ნიკიფორე იმნაიშვილი (სდპ), ლევან რუხაძე (სდპ), დავით ჩხეიძე (სდპ), ქრისტინე შარაშიძე (სდპ), შალვა ნუცუბიძე (სფპ), ილია ნუცუბიძე (სრპ, შეიცვალა 10.VI.1919), გრიგოლ ნათაძე (სრპ).

სამხედრო კომისია (17 წევრი): თავმჯდომარე - კოტე ანდრონიკაშვილი (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - სიმონ მდივანი (სფპ), მდივანი - ანდრია ჭიაბრიშვილი (სდპ). წევრები: რუბენ აუშტროვი (სდპ), გრიგოლ გიორგაძე (სდპ), ზაქარია გურული (სდპ), ალექსანდრე დგებუაძე (სდპ), ვიქტორ ჟღენტი (სდპ), ანანია სალუქვაძე (სდპ), მუხრან ხოჭოლავა (სდპ), ვლადიმერ ჯიბლაძე (სდპ), სილიბისტრო ჯიბლაძე (სდპ), ვალერიან ჯუღელი (სდპ), პეტრე სურგულაძე (ედპ), გრიგოლ ვეშაპელი (ერ. პ.), იოსებ გობეჩია (სრპ, შეიცვალა 06.VI.1919), ილია ნუცუბიძე (სრპ),

ხელოვნების კომისია (12 წევრი): თავმჯდომარე - პავლე საყვარელიძე (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე და ფაქტ. თავმჯდომარე - ივანე გომართელი (სდპ), მდივანი - გერონტი ქიქოძე (ედპ), მდივანი - ექვთიმე თაყაიშვილი (ედპ), რაჟდენ არსენიძე (სდპ), ლევან ნათაძე (სდპ), გრიგოლ ურატაძე (სდპ), დავით ჩხეიძე (სდპ), ნოე ცინცაძე (სდპ, შეიცვალა 25.IV.1919), დავით შარაშიძე (სდპ), სამსონ ფირცხალავა (სფპ), ივანე გობეჩია (სრპ).

მცირე ხელოვნების კომისია (3 წევრი): თავმჯდომარე - პავლე საყვარელიძე (სდპ), ივანე გომართელი (სდპ), გერონტი ქიქოძე (ედპ).

გზათა კომისია (13 წევრი): თავმჯდომარე - ივანე ჭავჭანიძე (სდპ), მოადგილე - მიხეილ კოვალიოვი (სდპ), მდივანი - პავლე წულაია (სდპ), გიორგი გაგლოევი (სდპ), მოსე დავარაშვილი (სდპ, შეიცვალა 10.VI.1919), გრიგოლ ურატაძე (სდპ), ერმალოზ კალაძე (სდპ), ფილიპე ლორია (სდპ), მუხრან ხოჭოლავა (სდპ, შეიცვალა 08.IV.1919), სიმონ მდივანი (სფპ, შეიცვალა 06.IV.1919) - თევდორე ღლონტი (სფპ), ნიკო ნიკოლაძე (ედპ).

მცირე გზათა კომისია (3 წევრი): თავმჯდომარე - ივანე ჭავჭანიძე (სდპ), მიხეილ კოვალიოვი (სდპ), სიმონ მდივანი (სფპ).

იურიდიული კომისია (11 წევრი): თავმჯდომარე - დავით ონიაშვილი (სდპ, შეიცვალა 06.V.1919), გრიგოლ გიორგაძე (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე და ფაქტ. თავმჯდომარე - რაჟდენ არსენიძე (სდპ), მდივანი - ივანე გობეჩია (სრპ), კირილე ნინიძე (სდპ), ვასილ ნოდია (სდპ, შეიცვალა 20.V.1919), სერგი ჯაფარიძე (სდპ), მელიტონ რუსია (სდპ), ილია ფირცხალაიშვილი (სდპ), შალვა ალექსი-მესხიშვილი (სფპ), ივანე მაჭავარიანი (ედპ).

მცირე იურიდიული კომისია (3 წევრი): თავმჯდომარე - რაჟდენ არსენიძე (სდპ), წევრები: დავით ონიაშვილი (სდპ), ვასილ ნოდია (სდპ).

სამანდატო კომისია (7 წევრი): თავმჯდომარე - გრიგოლ ურატაძე (სდპ), მდივანი - ივანე ჭავჭანიძე (სდპ), თევდორე კიკვაძე (სდპ), გაბრიელ ცისკარიშვილი (სდპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ), იოსებ ბარათაშვილი (სფპ), გრიგოლ ნათაძე (სრპ).

სარეგლამენტო კომისია (7 წევრი): თავმჯდომარე - იოსებ ბარათაშვილი (სფპ), თავმჯდომარის მოადგილე - პავლე საყვარელიძე (სდპ), მდივანი - ილია ნუცუბიძე (სრპ), რაჟდენ არსენიძე (სდპ), ნიკიფორე იმნაიშვილი (სდპ), ლევან ნათაძე (სდპ), გიორგი გვაზავა (ედპ).

სახალხო განათლების კომისია (14 წევრი): თავმჯდომარე - ლევან ნათაძე (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - შალვა ნუცუბიძე (სფპ), მდივანი - ნიკიფორე იმნაიშვილი (სდპ), ჰაიდარ აბაშიძე (სდპ), პავლე პიული (სდპ), მოსე დავარაშვილი (სდპ), თევდორე კიკვაძე (სდპ), ქრისტინე შარაშიძე (სდპ), ნოე ცინცაძე (სდპ, შეიცვალა 08.IV.1919), ანა სოლოღაშვილი (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), მუხრან ხოჭოლავა (სდპ), ექვთიმე თაყაიშვილი (ედპ), გრიგოლ ნათაძე (სრპ).

სახალხო ჯანმრთელობის კომისია (7 წევრი): თავმჯდომარე - ივანე გომართელი (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - მინადორა ტოროშელიძე (სდპ), მდივანი - სიმონ ახმეტელაშვილი (სდპ), ვასილ ნოდია (სდპ), ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა (სდპ), ვარლამ შერვაშიძე (სდპ), იოსებ მაჭავარიანი (ედპ).

მცირე სახალხო ჯანმრთელობის კომისია (3 წევრი): თავმჯდომარე - მინადორა ტოროშელიძე (სდპ), სიმონ ახმეტელაშვილი (სდპ), ვასილ ნოდია (სდპ).

შრომის კომისია (18 წევრი): თავმჯდომარე - გერასიმე მახარაძე (სდპ, 30.IX.1919-მდე), თავმჯდომარის მოადგილე - ილია ბადრიძე (სდპ), მდივანი - მინადორა ტოროშელიძე (სდპ), ელისაბედ ბოლქვაძე (სდპ), იოსებ ელიგულაშვილი (სდპ, შეიცვალა 27.V.1919), ი. ბერიშვილი (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), ილია ფირცხალაიშვილი (სდპ), ბიქტორ თევზაია (სდპ, გ. მახარაძის ნაცვლად, 30.IX.1919), ფილიპე ლორია (სდპ), ანდრეი ლოსკუტოვი (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), ილია კოპალეიშვილი (სდპ), ვასილ ნოდია (სდპ), ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა (სდპ), გერასიმე შევჩუკი (სდპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ), იოსებ ბარათაშვილი (სფპ), სამსონ დადიანი (სფპ), ლეონ შენგელაია (სრპ).

ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისია (15 წევრი): თავმჯდომარე - ნიკოლოზ ელიავა (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - სამსონ ფირცხალავა (სფპ), მდივანი - გაბრიელ ცისკარიშვილი (სდპ), თავმჯდომარე - მელიტონ რუსია (სდპ), ილია კოპალეიშვილი (სდპ), დავით ონიაშვილი (სდპ), იოსებ სალაყაია (სდპ), ნიკო ქუმსიაშვილი (სდპ), ალექსანდრე ჩიქავა (სდპ), ვასილ ცაბაძე (სდპ), ივანე ჭავჭანიძე (სდპ, შეიცვალა, 16.VI.1919), კონსტანტინე ფანიევი (სდპ), სპირიდონ კედია (ედპ), ივანე გობეჩია (სრპ), ზორო ზოროიანი („დაშნაკცუთიუნი“).

აგრარული კომისია (20 წევრი): თავმჯდომარე - კირილე ნინიძე (სდპ), თავმჯდომარის მოადგილე - ლავრენტი კიღურაძე (სდპ, შეიცვალა 06.VI.1919), ერმალოზ სირბილაძე (სდპ, შეიცვალა 30.IX.1919), დავით ჩხეიძე (სდპ), მდივანი - ალექსანდრე ასათიანი (ედპ), პავლე ბიული (სდპ), დიმიტრი გონაშვილი (სდპ), სარდიონ თევზაძე (სდპ), ილია კოპალეიშვილი (სდპ), იოსებ მაჭავარიანი (სდპ), აპოლონ სულაქველიძე (სდპ), ივანე ტატიშვილი (სდპ), ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (სდპ), რაფიელ ჩიხლაძე (სდპ, შეიცვალა 06.VI.1919), სიმონ ახმეტელაშვილი (სდპ), ვასილ ცაბაძე (სდპ), ბარნაბა ძველაია (სდპ), გრიგოლ რცხილაძე (სფპ, შეიცვალა 06.V.1919), თევდორე ღლონტი (სფპ), ლეონ შენგელაია (სრპ).

მცირე აგრარული კომისია (5 წევრი) (05.V.1919-დან): თავმჯდომარე - კირილე ნინიძე (სდპ), მდივანი - ალექსანდრე ასათიანი (ედპ), სარდიონ თევზაძე (სდპ), თევდორე ღლონტი (სფპ), ლეონ შენგელაია (სრპ).

გარეშე საქმეთა კომისია (9 წევრი) (06.V.1919-დან): თავმჯდომარე - სიმონ მდივანი (სფპ), თავმჯდომარის მოადგილე - გერასიმე მახარაძე (სდპ), მდივანი - ივანე გობეჩია (სრპ), ნიკოლოზ ელიავა (სდპ), დიომიდე თოფურიძე (სდპ), იოსებ სალაყაია (სდპ), კოტე ჯაფარიძე (სდპ), გიორგი გვაზავა (ედპ), გრიგოლ ვეშაპელი (ერპ).

ცენტრალური საარჩევნო კომისია (9 წევრი): ივანე გობეჩია (სრპ), სარდიონ თევზაძე (სდპ), ალექსანდრე ლომთათიძე (სდპ), ვიქ-

ტორ ჟღენტი (სდპ), მელიტონ რუსია (სდპ), ანა სოლოღაშვილი (სდპ), ილია ფირცხალაიშვილი (სდპ), გრიგოლ ცინცაბაძე (სდპ), სილიბისტრო ჯიბლაძე (სდპ).

მომარაგების კომისია (8 წევრი): თავმჯდომარე - ნიკოლოზ ელიავა (სდპ), აკაკი ჩხენკელი (სდპ), ვასილ ცაბაძე (სდპ), ერიკ ბერნშტეინი (სდპ), ელისაბედ ბოლქვაძე (სდპ), თევდორე ღლონტი (სფპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ), ილია ნუცუბიძე (სრპ).

ტექნიკური კომისია (9 წევრი): გრიგოლ გიორგაძე (სდპ), მიხეილ კოვალიოვი (სდპ), მელიტონ რუსია (სდპ), პავლე საყვარელიძე (სდპ), გარეგინ ტერ-სტეფანიანი (დაშნაკცუთიუნი"), შალვა ქარუმიძე (ერპ), თევდორე ღლონტი (სფპ), სპირიდონ კედია (ედპ), ივანე ლორთქიფანიძე (სრპ).

საპროპაგანდო კომისია (7 წევრი): ილია ბადრიძე (სდპ), გრიგოლ გიორგაძე (სდპ), ივანე გომართელი (სდპ), გრიგოლ ურატაძე (სდპ), სპირიდონ კედია (ედპ), სამსონ ფირცხალავა (სფპ), ივანე გობეჩია (სრპ).

სარეკომენდაციო კომისია (7 წევრი): ივანე გომართელი (სდპ), ნიკოლოზ ელიავა (სდპ), ივანე ჭავჭანიძე (სდპ), სილიბისტრო ჯიბლაძე (სდპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ), იოსებ ბარათაშვილი (სფპ), ლეონ შენგელაია (სრპ).

საპენსიო კომისია (9 წევრი): ზაქარია გურული (სდპ), ანა სოლოღაშვილი (სდპ), ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა (სდპ), ილია ფირცხალაიშვილი (სდპ), ალექსანდრე ასათიანი (ედპ), იოსებ ბარათაშვილი (სფპ), ივანე გობეჩია (სრპ), გრიგოლ ვეშაპელი (ერპ), გარეგინ ტერ-სტეფანიანი („დაშნაკცუთიუნი")

ბონდო კუპატაძე

დამფუძნებელი კრების თვითმმართველობის კომისია – შეიქმნა 1919 წ-ის 29 მარტს. მასში გაწევრიანდნენ: სოციალ-დემოკრატები - დავით ონიაშვილი, მელიტონ რუსია, ივანე ჭავჭანიძე, ილია კოპალეიშვილი, გაბრიელ ცისკარაშვილი, ნიკოლოზ ელიავა, იოსებ სალაყაია. სოციალ-ფედერალისტი - სამსონ ფირცხალავა. ეროვნულ-დემოკრატი - სპ. კედია. სოციალისტ-რევოლუციონერი - ივ. გობეჩია.

კომისია აქტიურად იყო ჩართული თვითმმართველობის რეფორმაში, სამაზრო და სათემო ერობების ფუნქციების ფორმირებაში. 1920 წ-ის მიწურულს საქართველოს დამფუძნებელი კრების თვითმმართველობის კომისიამ განიხილა და დადებითი რეკომენდაცია მისცა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალ პროექტს, რომლის ავტორი იყო პავლე ინგოროყვა.

ჯაბა სამუშია

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი წარმოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს მმართველ რგოლს, უძღვებოდა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას, გეგმავდა და წარმართავდა კრების საქმიანობას. პრეზიდიუმის წევრები საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის მოვალეობასაც ასრულებდნენ. პრეზიდიუმი შედგებოდა თავმჯდომარის, მოადგილეებისა და მდივნებისგან. თავმჯდომარის ადგილი წამყვანი პარტიის (სდპ) კვოტა იყო. პრეზიდიუმში ძირითად საპარლამენტო ფრაქციებს ჰქონდა გამოყოფილი თითო ადგილი (თავმჯდომარის მოადგილის). პრეზიდიუმის წევრები აირჩიეს



დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

დამფუძნებელი კრების პირველ სხდომებზე, 1919 წ-ის 12, 14 და 18 მარტს. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში პირველ სესიაზე აირჩიეს: თავმჯდომარე - კარლო ჩხეიძე (სდპ), უფროსი მოადგილე - ალექსანდრე ლომთათიძე (სდპ), უმცროსი მოადგილეები - სიმონ მდივანი (სფპ), ექვთიმე თაყაიშვილი (ედპ). უფროსი მდივანი - კოტე ჯაფარიძე; უმცროსი მდივნები - გრიგოლ ნათაძე (სრპ) და ქრისტინე შარაშიძე (სდპ). მოგვიანებით გრიგოლ ნათაძე ესერთა პარტიის კვოტით აირჩიეს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

დამფუძნებელი კრების მეორე სესიის დასაწყისში, 1920 წ-ის 16 მარტს, დეპუტატებმა კვლავ აირჩიეს პრეზიდიუმი. თავმჯდომარე - კარლო ჩხეიძე (სდპ), მოადგილეები - ალექსანდრე ლომთათიძე (სდპ), სიმონ მდივანი (სფპ), ექვთიმე თაყაიშვილი (ედპ), მდივნები - კოტე ჯაფარიძე და ქრისტინე შარაშიძე (ორივე სდპ). ვინაიდან ესერთა პარტიამ უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე, პრეზიდიუმში მათი კუთვნილი ადგილი თავისუფალი დარჩა.

ბონდო კუპატაძე

დამფუძნებელი კრების (ეროვნული საბჭოს) რეგლამენტები – 1918 წ-ის 5 ივლისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რეგლამენტი მიიღო, მასში მხოლოდ ტექნიკური და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებები 1919 წ-ის 25 აპრილს

შევიდა და მას საქართველოს „დამფუძნებელი კრების რეგლამენტი“ ეწოდა. სტრუქტურა და შინაარსი უცვლელი დარჩა. თავდაპირველად, 5 ივლისამდე, საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელმძღვანელო ნორმატიული დებულება იყო ამიერკავკასიის სეიმის რეგლამენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა ეროვნული საბჭოს რეგლამენტის ახალი რედაქცია (1918). რეგლამენტი მოიცავდა 8 თავსა და 172 მუხლს. მასში განსაზღვრული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების) გახსნა და წევრთა მანდატების დადასტურება, თანამდებობის პირთა არჩევნები, კომისიები, საქმის განხილვის წესი, კენჭისყრის წესი, დეპუტატთა პირადი მდგომარეობა, პრეზიდიუმი და რეგლამენტის გადასინჯვის წესი. პრეზიდიუმი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის საერთო კოორდინაციას უზრუნველყოფდა. მასში შედიოდნენ: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და მდივნის მოადგილეები, რომლებიც იმავდროულად საკანონმდებლო ორგანოს თანამდებობის პირები იყვნენ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაში იქმნებოდა ორი კომისია - მუდმივი და დროებითი. რეგლამენტის მე-18 მუხლის თანახმად, გათვალისწინებული იყო 4 მუდმივმოქმედი კომისიის არსებობა, თუმცა საბჭოს და დამფუძნებელ კრებას შეეძლო სხვა მუდმივი კომისიები აერჩია. მაგალითად, ეროვნული საბჭოს რეგლამენტში არ იყო მოხსენიებული იურიდიული ან ადგილობრივი თვითმმართველობის კომისია, მაგრამ ისინი მუდმივმოქმედ კომისიებად ითვლებოდა. საქმეთა შინაარსიდან გამომდინარე, რეგლამენტით გათვალისწინებული იყო საქმის განხილვის სამი სხვადასხვა წესი - საკანონმდებლო საქმეთა, შემოსავალ-გასავლისა და იმ საქმეთა განხილვის წესი, რომელთაც საკანონმდებლო ხასიათი არ ჰქონდა. კანონპროექტის განხილვა და მისი მიღება საზოგადო კრების (თანამედროვე გაგებით, პლენარული სხდომის) პრეროგატივა იყო. ყველა კანონპროექტს განიხილავდნენ ორჯერ - საზოგადოდ (საზოგადო განხილვა) და მუხლობრივად (მუხლობრივი განხილვა).

რეგლამენტის დამატებად შეიძლება ჩაითვალოს 1920 მიღებული წესი „კონსტიტუციის განხილვისა“, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის მიერ იყო შემუშავებული და კონსტიტუციის პროექტის განსაკუთრებული წესით, ხუთი მოსმენით განხილვას და მიღებას ითვალისწინებდა.

საქართველოს 1921 წ-ის კონსტიტუციის მე-60 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი თვითონ განსაზღვრავდა რეგლამენტს და თავისი მოქმედების წესს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, ს. 43; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990.

ბექა ქანთარია

დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისია – 1919 წ-ის რეგლამენტის მიხედვით წარმოადგენდა იმ 5 მუდმივმოქმედ კომისიას, რომლის ფუნქციონირება სავალდებულო იყო წარმომადგენლობით ორგანოში. 1919 წ-ის 18 მარტს, დამფუძნებელი კრების მე-3 სხდომაზე, დეპუტატებმა დააკომპლექტეს პრეზიდიუმი და მუდმივმოქმედი კომისიები, მათ შორის, საბიუჯეტო-საფინანსო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა 13 წევრით: 1. დიომიდე თოფურიძე (სოციალ-დემოკრატი), 2. ნიკოლოზ ელიავა (სოციალ-დემოკრატი), 3. ნოე ცინცაძე (სოციალ-დემოკრატი), 4. დავთ ონიაშვილი (სოციალ-დემოკრატი), 5. ანდრია ჭიაბრიშვილი (სოციალ-დემოკრატი), 6. ელიგულაშვილი (სოციალ-დემოკრატი), 7. კ. ფანიევი (სოციალ-დემოკრატი), 8. გრიგოლ ურატაძე (სოციალ-დემოკრატი), 9. ივ. ჭავჭანიძე (სოციალ-დემოკრატი), 10. ალექსანდრე ასათიანი (ეროვნულ-დემოკრატი), 11. გერონტი ქიქოძე (ეროვნულ-დემოკრატი), 12. ს. მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი), 13. გრიგოლ ნათაძე (სოციალისტ-რევოლუციონერი). კომისიის შემადგენლობა მოგვიანებით რამდენჯერმე შეიცვალა.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის ფუნქციაში შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა, სხვადასხვა უწყებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვის, ასევე, ხაზინის მიერ გასაწევი ხარჯების შესახებ დასკვნების მომზადება დამფუძნებელი კრებისათვის. რეგლამენტის მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობოდა სახელმწიფოს „შემოსავალ-გასავლის განხილვის წესს“. ეს პროცედურა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის პრეროგატივას წარმოადგენდა. „§54. ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის განხილვას დამფუძნებელი კრება მას შემდეგ იწყებს, როცა წარმოდგენილ იქნება საბიუჯეტო კომისიის ყველა მოხსენება: 1. მთელი შემოსავალ-გასავალისა და 2. შემოსავლისა და ცალკე ხარჯების პროექტისა (ე.ი. სახელმწიფო გასავალის რამდენიმე ნომერის კრებულისა). §55. საბიუჯეტო კომისიის მოხსენებათა გარჩევას დამფუძნებელი კრება შეუდგება არა უადრეს ერთის კვირისა დამფუძნებელი კრების წევრთათვის იმ მოხსენებათა დარიგების დღიდან“.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის კომპეტენციაში შედიოდა ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისათვის სხვა ეკონომიკური საკითხების მომზადება.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №63.

ჯაბა სამუშია

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისია – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდეგში პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისია კანონპროექტის ავტორსა და მოწვეულ

სამხედრო სპეციალისტებთან ერთად განიხილავდა ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობის შესახებ მისაღებ კანონებს და წარუდგენდა დამფუძნებელ კრებას. 1919 წ-ის 29 მარტიდან დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრები იყვნენ: სოციალ-დემოკრატები: სილიბისტრო ჯიბლაძე, გრიგოლ გიორგაძე, რუბენ აუშტროვი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ვლადიმერ ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე, ანანია სალუქვაძე, ზაქარია გურული, ანდრია ჭიაბრიშვილი, მუხრან ხოჭოლავა, ვლადიმერ ჯიბლაძე, ვიქტორ ჟღენტი. სოციალ-ფედერალისტები: სვიმონ მდივანი, იოსებ გობეჩია. ეროვნულ-დემოკრატი - პეტრე სურგულაძე. სამხედრო კომისია პერიოდულად აკომპლექტებდა მცირე სამხედრო კომისიას, რომელიც სამხედრო შენაერთების რევიზიასა და მასალებს განიხილავდა და გასცემდა რეკომენდაციებს.

ლიტ.: სცსა. ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 160.

დიმიტრი სილაქაძე

დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისია – 1919 არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში, სხვა საპარლამენტო კომისიებთან ერთად, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო როლი ენიჭებოდა სახელოვნებო კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმების განხორციელებას საგანმანათლებლო-კულტურულ სფეროში. სახელოვნებო კომისია იხილავდა სხვადასხვა საკითხებს დემოკრატიულ საქართველოში ხელოვნების სხვადასხვა დარგში არსებულ პრობლემებზე; განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი მას ჰქონდა სამუსიკო, თეატრალურ, მხატვართა საზოგადოებებთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან. ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე ჯერ იყო კოტე ანდრონიკაშვილი (მდივანი დ. გორგილაძე), შემდეგ - პავლე საყვარელიძე, ბოლოს კი - ივანე გომართელი. ხშირად იცვლებოდნენ მისი წევრებიც, მაგრამ, სხვადასხვა პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ყველა წევრი გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა ხელოვანი ადამიანების, პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეთა ბედისადმი. კომისია შემოსულ თხოვნებსა და წინადადებებზე თათბირებს მართავდა თბილისის საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებებთან, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან. სახელოვნებო კომისია იხილავდა ეკლესიაში განვითარებულ ისეთ მოვლენებს, რომელიც უკავშირდებოდა ქართულ ხელოვნებას, არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობას. 1920 წ-ის იანვარში ამ კომისიამ შეისწავლა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ ლეონიდეს მიმართვა სვეტიცხოველში ჩუქურთმების დაზიანების შესახებ. კომისია საპატრიარქოს ჰპირდებოდა დახმარებას. კომისიის ყურადღების ცენტრში იყო ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის არმიის ჩაცმულობა, ჯარისკაცთა ტანსაცმლის დიზაინი. ამ მიზნით შეიკრიბნენ სახელოვნებო კომისიაში საფინანსო და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენლები; იმსჯელეს ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჩაცმულობაზე, ძველ ჩაცმულობაში სიახლის შეტანაზე. სახელოვნებო კომისიამ განიხილა ამ დროს ახალი ტექნიკური მიღწევის და საქართველოსთვის სრულიად უცხო წარმოების - თვითმფრინავების შექმნის საკითხი. კომისიას მრავალმხრივი მუშაობა ევალებოდა, მას რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა თეატრისა და ხალხური სიმღერების მოყვარული საზოგადოებები, დაემტკიცებინა მათი წესდებები, შეესწავლა და ემსჯელა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა პრობლემებზე. 1920 დაარსდა საქართველოს სამხატვრო გალერეა. კომისიაში განიხილეს განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი დეკრეტი სამხატვრო გალერეის დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ, ხოლო დამფუძნებელ კრებაში ამ საკითხზე მომხსენებლად ექვთიმე თაყაიშვილი გამოყვეს. კომისიამ ასევე განიხილა მუზეუმის შენობის აგებისა და მისი დაარსების საკითხი. ეროვნულ ხელისუფლებას კარგად ესმოდა კავკასიის მუზეუმის მნიშვნელობა და თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო ამ საკითხს. კავკასიის მუზეუმი იყო ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის თავმოყრისა და დაცვის ადგილი, მის ბაზაზე ეროვნული მუზეუმის შექმნა მოიაზრებოდა. 1919 წ-ის 1 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და საქართველოს მუზეუმის შექმნის შესახებ. დამტკიცდა საქართველოს მუზეუმის დებულება. ხელოვნების კომისიაში დაარსდა ე. წ. „მცირე კომისია“, რომელიც უფრო დეტალურად სწავლობდა განათლებისა და ხელოვნების პრობლემებს. ამ კომისიას სათავეში ჩაუდგნენ დამფუძნებელი კრების წევრები: პავლე საყვარელიძე, ივანე გომართელი და გერონტი ქიქოძე. ხელოვნების კომისიის მუშაობას ხშირად ესწრებოდნენ: განათლების მინისტრი, ქალაქისთავი, სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ამა თუ იმ დარგის ბედზე პასუხისმგებელი თუ დაინტერესებული პირები.

ლიტ.: საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990; გ. ჩ ხ ა ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003; დ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მ. ფ ა რ თ ლ ა ძ ე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სახელოვნებო კომისია, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2016, №2(19); ა. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 1999. სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 1006, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 900; გაზ. „სახალხო საქმე, 1919, №645.

დოდო ჭუმბურიძე

დამფუძნებელი კრების ფრაქციები - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში შესული პოლიტიკური პარტიების საპარლამენტო ჯგუფები. არჩევნების შედეგად საპარლამენტო მანდატები მოიპოვა 4-მა პოლიტიკურმა ძალამ, რომელთაც კრებაში ჩამოაყალიბეს 4 ფრაქცია: სოციალ-დემოკრატიული (109 წევრი), ეროვნულ-დემოკრატიული (8 წევრი: ნ. ნიკოლაძე, ს. კედია, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, ი. მაჭავარიანი, ალ. ასათიანი, პ. სურგულაძე, გ. ქიქოძე, რ. ივანიცკი-ინგილო (1921 წ-დან), სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია (8 წევრი: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. მდივანი, ს. დადიანი (1919 წ-ის აგვისტოდან), სოციალისტ-რევოლუციონერთა (5 წევრი: ლ. შენგელაია, ივ. გობეჩია, იოს. გობეჩია, გ. ანთაძე, ი. ნუცუბიძე, ივანე ლორთქიფანიძე 1919 წ-დან). შემდგომში, 1919 წ-ის აგვისტოს და 1920 წ-ის მაისის დამატებითი არჩევნების შედეგად, აგრეთვე შიდაპარტიული დისკუსიის პირობებში, დამფუძნებელ კრებაში ფრაქციათა რაოდენობა გაიზარდა. დამფუძნებელი კრების არსებობის მანძილზე ფუნქციონირებდა 8 ფრაქცია.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (105, შემდეგ - 102, ბოლოს - 91 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე - რ. არსენიძე, შემდგომ - აკაკი ჩხენკელი, მდივანი - გრ. ურატაძე), ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია (8 წევრი, ფრაქციის ლიდერი - სპირიდონ კედია, შემდგომ - გიორგი გვაზავა), სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია (9 წევრი, ფრაქციის ლიდერი - გიორგი ლასხიშვილი), სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია (5/6 წევრი, ფრაქციის ლიდერი - ლეო შენგელაია), ეროვნული ფრაქცია (2 წევრი, ფრაქციის ლიდერი - გრიგოლ ვეშაპელი. წევრი - შ. ქარუმიძე), ფრაქცია „დაშნაკცუთიუნი“ (3 წევრი, ფრაქციის ლიდერი - დავით დავითხანიანი, შემდეგ - ზორი ზოროიანი, წევრები - გ. ტერ-სტეფანიანი, ტ. ავეტისიანი).

1921 წ-ის 11 თებერვალს სოციალ-დემოკრატებს გამოეყო ფრაქცია „სხივი“ (ფრაქციის ლიდერი - გრიგოლ გიორგაძე, წევრები: ნიკიფორე იმნაიშვილი, კირილე ნინიძე, მუხრან ხოჭოლავა, აპოლონ სულაქველიძე, ერმალოზ კალაძე, ილია კოპალეიშვილი, პავლე საყვარელიძე, ილია ფირცხალაიშვილი, თეიმურაზ ჭელიძე). ფრაქციის სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან გამოყოფის მთავარ მიზეზად „სხიველები“ ასახელებდნენ პარტიის ლიდერების ერთპიროვნული მმართველობისკენ სწრაფვას, შიდაპარტიული დემოკრატიის შესუსტებას, წარუმატებელ პოლიტიკურ კურსს. 1921 წ-ის 11 თებერვალს დამფუძნებელი კრების მემარჯვენე დეპუტატების გაერთიანებით ჩამოყალიბდა დემოკრატიული ფრაქცია (10 წევრი). ფრაქციის გარეშე დამოუკიდებელი დეპუტატი 1919 წ-ის მაისიდან იყო გერონტი ქიქოძე.

ბონდო კუპატაძე

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია – შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წ-ის ზაფხულში. კომისია თვეების განმავლობაში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა არჩევნების შესახებ კანონმდებლობისა და რეგლამენტის შესამუშავებლად. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა სხვადასხვა დროს იცვლებოდა, მასში წარმოდგენილი იყო ეროვნულ საბჭოში (1918 წ-ის შემოდგომიდან - პარლამენტში) შემავალი ყველა პოლიტიკური სუბიექტი, კომისიაში ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები. საარჩევნო კომისია 21 კაცისაგან შედგებოდა, მას თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ლომთათიძე, კომისიის მდივნის ფუნქციებს ანა (ოლა) სოლოღაშვილი ასრულებდა. კომისიაში შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან - სილიბისტრო ჯიბლაძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან - გიორგი გვაზავა, სოციალ-ფედერალისტებიდან - თედო ღლონტი, ნაციონალისტური პარტიიდან - გრიგოლ ვეშაპელი, სოციალ-რევოლუციონერთა პარტიიდან - იოსებ გობეჩია, რადიკალ-დემოკრატებიდან - ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, დაშნაკცუთუნიდან - დავით დავითხანიანი, უპარტიოთა ბლოკიდან - კოტე მაყაშვილი. კომისიაში ოპოზიციურ პარტიებს საკმაო გავლენა გააჩნდათ და ერთ-ერთი მთავარი თანამდებობა კომისიის ხაზინადარს, გიორგი გვაზავას ეკავა. საარჩევნო კომისია, მიუხედავად მცირე ფინანსური რესურსისა, ცდილობდა, საარჩევნო პროცესების კარგად ორგანიზებისათვის, კომისიებში მოეზიდა კვალიფიციური კადრები და უზრუნველეყო მათი გადამზადება. 1918 წ-ის 27 ნოემბერს კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელიც ქუთაისსა და თბილისში საქალაქო, სამაზრო და საუბნო კომისიის წევრთათვის სწავლებას გულისხმობდა. 1918 წ-ის 31 დეკემბერს კომისიამ, შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის ინიციატივით, საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გამო, არჩევნების თარიღებად 1919 წ-ის 14-15-16 თებერვალი განსაზღვრა, 1919 წ-ის 10 იანვარს კი პარლამენტმა საბოლოო სამართლებრივი აქტი გამოსცა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით. 1919 წ-ის 2 იანვარს კომისიამ საუბნო და სამაზრო საარჩევნო კომისიებისაგან მოითხოვა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. საარჩევნო კომისია გაზეთების საშუალებით მოუწოდებდა ამომრჩევლებს, საარჩევნო სიებში გადაემოწმებინათ თავიანთი თავი და აეღოთ პიროვნების დამადასტურებელი მოწმობები, რომელიც არჩევნებში მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში საარჩევნო კომისია აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ ერობებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. 1919 წ-ის 22-26 იანვარს საარჩევნო კომისიამ განიხილა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა საკანდიდატო სიები

და დაამტკიცა 15 საარჩევნო სუბიექტი. სხვადასხვა სიაში აღმოჩნდა კანონთან შეუსაბამო ფაქტები, ხშირ შემთხვევებში ხარვეზები დაკავშირებული იყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა სიაში შეყვანის საკითხთან და წარმოდგენილი კანდიდატის თანხმობის ბარათის არქონასთან. 1919 წ-ის 30 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მთავრობის ოფიციალურ ორგანოს - გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას“ - შემდეგ ნომერში დასაბეჭდად გაუგზავნა საარჩევნო საკანდიდატო სიები. 1 თებერვალს საკანდიდატო სიები დაიბეჭდა გაზეთის გვერდებზე. კომისიის გადაწყვეტილებით, საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ბიულეტენების ბეჭდვის უფლება ეძლეოდათ საარჩევნო სუბიექტებსაც. კომისიის გადაწყვეტილებით, საარჩევნო უბნებზე განთავსდა არჩევნების წესები. დამფუძნებელი კრების არჩევნების დასრულების შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინტენსიური მუშაობა დაიწყო შედეგების დათვლისა და შეჯამებისათვის. 1919 წ-ის 9 მარტს კომისიამ გამოსცა საბოლოო შემაჯამებელი ოქმი, ამით კომისიამ ძირითად არჩევნებზე მუშაობა დაასრულა. დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 1919 წ-ის აგვისტოსა და 1920 წ-ის მარტში დაეკისრა დამფუძნებელი კრების ორი დამატებითი არჩევნების ორგანიზება, რომელიც წარმატებით შეასრულა.

ლიტ.: ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე, „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“, თსუ, ცესკო, IFES, 2017; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-21, თბ., 1990; ზ. ცინაძე, „საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 2011; სცსა, ფ. 1834, აღწ. 1, საქ. 19.

ირაკლი ირემაძე

დანდუროვი სერგო (1967, თბილისი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. საშუალო განათლება თბილისში მიიღო. პროფესიით აგრონომი. აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქციის წევრი.

1918 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. გაწევრიანებული იყო პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. მუშაობდა სურსათის მომარაგების კომისიაში.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119. ფ. 1929, აღწ. 1, საქ. 1.

ირაკლი ირემაძე

„დაშნაკცუთიუნი“ - სომხური სარევოლუციო ფედერაცია - 1890 თბილისში დაარსდა ქრისტეფორ მიქაელიანის, როსტომ ზორიანისა და სიმონ ზავარიანის მიერ. პარტია იყო მემარცხენე-სოციალისტური და ნაციონალისტური მიმართულების. თავისი მიზნების მისაღწევად დასაშვებად მიიჩნევდა ტერორს. პარტიის მთავარი ორგანო იყო გაზეთი „დროშაკი“.

პარტიის მთავარი მიზანი იყო ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში სომხური ავტონომიის მოპოვება. ამდენად, პარტია თანამშრომლობდა რუსეთის ოფიციალურ ხელისუფლებასთან, მათ შორის, კავკასიის სამეფისნაცვლოს ფარგლებში. ამ პარტიის წარმომადგენლები სარგებლობდნენ ოფიციალური სტრუქტურების, ჟანდარმერიის მფარველობით. პარტიას აფინანსებდა სომხური ბურჟუაზია. პარტიის ლიდერები იყვნენ მაღალ არჩევით თანამდებობებზე. 1906 წ-დან პარტიამ ნაწილობრივ შეცვალა პოლიტიკური კურსი. გადაწყდა რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევა. ახალი პოლიტიკის პირველი მასშტაბური გამოვლინება იყო სომეხ-თათართა ჟლეტა ქ. ბაქოში. შეიქმნა გარკვეული ალიანსები რევოლუციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებთან, მათ შორის, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. პოლიტიკური კურსის ცვალებადობას ხელი შეუწყო 1908 „ახალგაზრდა თურქების“ მოსვლამ ხელისუფლებაში და მათ მიერ საკონსტიტუციო თავისუფლების აღიარებამ. დაშნაკებთან ურთიერთობა დარეგულირდა. „დაშნაკცუთიუნი“ 1907 წ-დან გაწევრიანდა საერთაშორისო სოციალისტურ ინტერნაციონალში. 1912 „დაშნაკცუთიუნის“ 52 აქტივისტის სასამართლო გაიმართა სანკტ-პეტერბურგში. I მსოფლიო ომის დროს „დაშნაკცუთიუნი“ ქმნის 7 ბატალიონს რუსეთის მხარეს საბრძოლველად. დაპირების სანაცვლოდ, რომ რუსეთი ხელს შეუწყობდა ოსმალეთის ტერიტორიაზე სომხური ავტონომიის შექმნას. „დაშნაკცუთიუნი“ 1918-1920 წწ-ში იყო სომხეთის რესპუბლიკის მმართველი პარტია. თუმცა თავიდან ეწინააღმდეგებოდა ამიერკავასიის ფედერაციის დაშლას, რადგან პოლიტიკურ ცენტრებად განიხილავდნენ ტფილისს და ბაქოს. სომხეთის რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იყო „დაშნაკცუთიუნის“ ერთპარტიული მმართველობა (მთავრობის თავმჯდომარეები: ჰოვანეს კაჩაზნუნი - 6.VI.1918 - 5.VI.1919; ალექსანდრ ხატისიანცი - 28.VI.1919 - 5.V.1920; ამო ოჰანჯანიანი - 5.V.V.1920 - 23.XI.1920; სიმონ ვრაციანი - 23.XI. - 2.XII.1920. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეები: ავეტიკ სააკიანი (1.VIII.1918 - 1.VIII.1919); ავეტის აგარონიანი (1.VIII.1919 - 4.XI.1920); ჰოვანეს ქაჯაზნუნი (4.XI - 2.XII.1920). საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ „დაშნაკცუთიუნის“ წევრთა უმეტესობა ემიგრაციაში წავიდა. 1923 სომხეთის სსრ-ში ოფიციალურად აიკრძალა პარტიის საქმიანობა. „დაშნაკცუთიუნის“ პარტია საქართველოს სომხურ ელექტორატში დიდი გავლენით სარგებლობდა, რაც აისახებოდა საქალაქო თუ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე. პარტია მონაწილეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებშიც. საქართველო-სომხეთის ახლად დასრულებული ომის ფონზე, იმის მიუხედავად, რომ ეს იყო სხვა ქვეყნის და არა საქართველოს პოლიტიკური პარტია, „დაშნაკცუთიუნს“ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა. პარტიამ წარადგინა 19-კაციანი (მათგან - 2 ქალი) საარჩევნო სია. არჩევნებში პარტიამ მიიღო 2353 ხმა, რაც არ იყო საკმარისი დეპუტატის მანდატისათვის (მეტრი - 3759 ხმა). დამატებით არჩევნებში, რომელიც ახალციხესა და ახალქალაქში ჩატარდა 1919 წ-ის აგვისტოში, „დაშნაკცუთიუნმა“ 3 დეპუტატი გაიყვანა დამფუძნებელ კრებაში და საკუთარი ფრაქციაც შექმნა (ფრაქციის ლიდერი - დავით დავითხანიანი, წევრები - ზორ ზორიანცი, ტიგრან ავეტისიანი). შემდგომ დავითხანიანმა დატოვა კრება და ის ჩაანაცვლა გარეგინ ტერ-სტეფანიანმა.

ბონდო კუპატაძე



დგებუაძე ალექსანდრე

დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე (1883 - 1937) - სოციალ-დემოკრატი. სამხედრო საქმეთა მრჩეველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაში. 1919 შედგენილი ანკეტის განათლების გრაფაში ის უთითებს: - შინაური, დაბალი განათლება; პროფესიის გრაფაში კი - მუშა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად იყო ჩაბმული, ამასთანავე, მონაწილეობდა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში: იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბორჯომის და თბილისის განყოფილებების წევრი.

1918-1921 წწ-ში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი. ამავე წლებში, ძირითადად, სამხედრო მოღვაწეობას ეწეოდა, იყო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში, შემდეგ - თავდაცვის სამინისტროში. როგორც მინისტრის მრჩეველი, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ჯარის ორგანიზებისა და განმტკიცებისათვის გაწეულ ღონისძიებებში. ა. დგებუაძე თან ახლდა გრ. ლორთქიფანიძეს ქუთაისის ცნობილი მოლაპარაკების დროს, 1921 წ-ის 17 მარტს.



დე ბრიუკერი ლუი

საქართველოს დაპყრობის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დააპატიმრეს გ. ლორთქიფანიძესთან ერთად. დაპატიმრების მიზეზი - მისი წარსული საქმიანობა და საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ერთგულება, საბაბი კი - ნაძალადევის კლუბში სტალინის მძაფრი კრიტიკით მისი გამოსვლა გახდა. მან ამხილა სტალინის დანაშაულებრივი პოლიტიკა დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ, ეს გამოსვლა აღწერილია იოსებ ირემაძისა და ვლასა მგელაძის მოგონებებში. ნაძალადევის კლუბიდან ის, ისიდორე რამიშვილთან ერთად, ხელში აყვანილი თბილისის ქუჩებში გაიყვანეს მუშებმა შეძახილებით - „გაუმარჯოს საქართველოს!“ იმავე ღამეს ა. დგებუაძე და რამდენიმე ათეული მისი თანამოაზრე მეტეხის ციხეში მოათავსეს. პატიმრებმა შექმნეს ე.წ. „ციხის კომიტეტი“, რომლის წევრად ა. დგებუაძეც აირჩიეს. ეკამათებოდა ყველას, ვინც არ იზიარებდა მის შეხედულებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გაგრძელებაზე, ბოლშევიკი ოკუპანტების მიმართ ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობაზე. მეტეხის ციხიდან ვორონეჟის ციხეში გადაიყვანეს. 1933, ვორონეჟის ციხეში ყოფნის პერიოდში, მას ბრალს სდებდნენ, რომ არსებობდა ყოფილი მენშევიკების დივერსიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში გრ. ლორთქიფანიძე და ალ. დგებუაძე ედგნენ. თითქოს მათ კავშირი ჰქონდათ გადასახლებულ ისიდორე რამიშვილთან და ა. შ. გრ. ლორთქიფანიძემ, კ. კანდელაკმა და ალექსანდრე დგებუაძემ ერთად შეადგინეს წერილი სტალინისთვის და საკუთარი ხელმოწერით გაუგზავნეს ბელადს 1935 წ-ის 14 მარტს. წერილში ისინი აპროტესტებდნენ საქართველოში არსებულ ვითარებას, ქვეყნის სტატუსს, ითხოვდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებასა და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას. წერილის მკაცრი და კრიტიკული ტონი არ შეიძლებოდა დიდ ბელადს მოსწონებოდა, თუმცა, უამისოდაც პატიმართა განაჩენი გარდაუვალი იყო. 1937 წ-ის 12 იანვარს ისინი გაასამართლეს და სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ირემაშვილი, „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, ბერ., 1932; ვ. მგელაძე, მოგონებები, საქართველო აჯანყებამდე (1921-1924), პარიზი, 1936; ის. რამიშვილი, მოგონებები, გამომც. „არტანუჯი“, 2012.

დოდო ჭუმბურიძე

დე ბრიუკერი ლუი (31.V.1870, რუზელარი - 4.VI.1951, ბრიუსელი) - ბელგიელი სოციალისტი, ჟურნალისტი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი. 18 წლის ასაკში შევიდა ბელგიის სოციალისტურ პარტიაში. 1898 წ-დან იყო პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. იყო ბელგიის მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1902 წ-დან თანამშრომლობდა ბელგიის სოციალისტური პარტიის მთავარ ორგანო „Le Peuple“-ში. აგრეთვე იყო ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. პირველი მსოფლიო ომის დროს ჩართული იყო ანტისაომარ კამპანიაში.

1920 წ-ის სექტემბერში ევროპელი სოციალისტების დელეგაციის წევრის სტატუსით იმყოფებოდა საქართველოში. საქართველოს მოქალაქეებს საზეიმო მიტინგზე მიმართა თბილისსა და ქუთაისში. გამართა შეხვედრები სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და გააცნო თავისი ხედვები ეკონომიკური კრიზისის დაძ-

ლევასთან დაკავშირებით. შეხვედრა გამართა ერობათა კავშირის კომიტეტში, გაეცნო საქართველოს თვითმმართველობის თვისებებს. საზოგადოება „ჩემოში“ გამართული შეხვედრისას კი პირობა დადო, რომ ხელს შეუწყობდა ბელგიასა და საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, აპროტესტებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს. შემდგომ წლებში აქტიურად იყო ჩართული მეორე ინტერნაციონალის მუშაობაში და ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. ლექციებს კითხულობდა ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში, აგრძელებდა პარტიულ მუშაობას და ახლო კავშირში იყო ემილ ვანდერველდესთან.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ). თბ., 1997; გ. შ ა რ ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. თბ., 2003; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209, №221, №235; გაზ. „ერთობა“, 1920, №213; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №944.

ირაკლი ირემაძე

დე მარტელი დამიენ (27.XI.1978, ოტრი, ლუარა - 21.I.1940, პარიზი.) - ფრანგი დიპლომატი. დაიბადა არისტოკრატიულ ოჯახში. განათლება სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სასწავლებელში (ეკოლში) მიიღო. 1901 წ-დან მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1906-1909 წწ-ში იკავებდა ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოს ჯერ მესამე, ხოლო შემდეგ მეორე მდივნის პოსტს. 1913 წ-დან იყო ეკონომიკური ატაშე ამერიკაში. შემდგომში, 1918 წ-მდე იყო პეკინში საფრანგეთის წამომადგენლობის პირველი მდივანი.

1918 წ-დან იყო საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ვლადივოსტოკში. 1920 დაინიშნა საფრანგეთის უმაღლეს კომისრად ამიერკავკასიაში. დე მარტელამდე ამიერკავკასიაში მოქმედებდა საფრანგეთის დროებითი მისია, თავდაპირველად - პოლკოვნიკი შარდინის, ხოლო შემდეგ დე ნონკურის მეთაურობით. უმაღლესი კომისრის პოსტზე დე მარტელმა მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა. ჰქონდა შეხვედრები სომხეთისა და საქართველოს მთავრობებთან. 1920 წ-ის 10 სექტემბერს უმაღლესმა კომისარმა საქართველო დატოვა. თბილისიდან ის გააცილა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილემ გენერალმა გედევანიშვილმა და სომხეთის წარმომადგენელმა თუმანოვმა. დე მარტელი ამიერკავკასიაში საფრანგეთის უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე აბელ შევალიემ შეცვალა. 1920 წ-ის სექტემბერში ასრულებდა უმაღლესი კომისრის მოვალოებას ყირიმში, ამავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში იყო საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში.

1921 წ-დან იყო საფრანგეთის ელჩი პეტროგრადში. 1922-1924 წწ-ში იკავებდა ლიტვაში საფრანგეთის ელჩის თანამდებობას. 1925 დაინიშნა საფრანგეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად პეკინში. 1929 წ-დან დიპლომატიურ საქმიანობას აგრძელებს იაპონიაში საფრანგეთის ელჩის პოსტზე. 1933-1938 წწ-დან იყო საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ლევანტში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრანკო-სირიული და ფრანკო-ლიბანური ხელშეკრულების შექმნაში. 1939 დაასრულა დიპლომატიური კარიერა.

ლიტ.: France Archives. https://francearchives. fr/fr/findingaid/cd9d34794397f36e01f7316d1a703b8f93059dfc (ინახ. 30. 11. 2017); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №207.

ირაკლი ირემაძე

დეკანოზიშვილი ანდრია

დეკანოზიშვილი ანდრია გაბრიელის ძე (1867, სოფ. რუისი, გორის მაზრ. - 1955, ქ. დრავეილი, საფრანგეთი) - მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1891 დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1897 ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 90-იანი წლების ბოლოს, ევროპაში (პოლონეთი, საფრანგეთი) ყოფნის შემდეგ, დაბრუნდა საქართველოში და თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელსა“ და სხვა ქართულ გაზეთებთან. „კვალში“ გამოაქვეყნა ხუთი ნოველა: „პეპელა“ - 1893; „დაღუპული“ - 1893; „სულ ერთია, ხომ ვეღარ გამობრუნდება“ - 1895; „ის კი მიდიოდა“ - 1896; „სხვისია, სხვისი“ - 1897. ნოველები ითარგმნა რუსულად. 1901 დაუახლოვდა „ცნობის ფურცლის“ ეროვნულ-რადიკალურ ჯგუფს. მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნისათვის შემდგარ საინიციატივო ჯგუფში და აირჩიეს ხუთი კაცისაგან შედგენილ მთავარ კომიტეტში ა. ჯორჯაძესთან, გ. დეკანოზიშვილთან, ვლ. ლორთქიფანიძესთან და გ. ლასხიშვილთან ერთად. მონაწილეობას იღებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტის პროგრამის შემუშავებაში.

დე მარტელი დამიენ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო რესპუბლიკის წარმომადგენელი არგენტინაში. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არგენტინასთან ურთიერთობაში და არგენტინის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ აღიარების საქმეში. 1920 იყო საზოგადოება „ჩემოს“ წარმომადგენელი ჰააგაში.

1921 წ-დან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

ლიტ.: დ. შ ვ ე ლ ი ძ ე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, თბ.,

1993; ვ. წ ო წ ე ლ ი ა, მოთხრობები. თბ., 1965; გ. ლ ა - ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, თბ., 1934, 1992; დ. შ ვ ე - ლ ი ძ ე, ანდრია გაბრიელის ძე დეკანოზიშვილი, ენცკ. „საქართველო“, თბ., 2012.

დიმიტრი შველიძე

დემიდოვი ვასილ ალექსანდრეს ძე (?-?) - იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. ქ.შ.წ.გ. საზოგადოების ნამდვილი წევრი 1907 წ-დან.

1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში. სენატმა მას დააკისრა ქუთაისის სასამართლო დაწესებულებების რევიზია.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

დიდებულიძე ალექსანდრე

დენიკინი ანტონ (1872-1947) - რუსი გენერალი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა კიევის იუნკერთა ქვეითი სასწავლებელი (1892) და რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია (1899). რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე (1914-1918). პირველ მსოფლიო ომში მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ჩინი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში მეთაურობდა ბრიგადას, ხოლო 1917 - დასავლეთის და შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებს. პირველ მსოფლიო ომში მიიღო წმინდა გიორგის მეოთხე და მესამე ხარისხის ორდენები. რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდში თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი სამხრეთ რუსეთში 1918-1920 წწ-ში. 1918 წ-დან მოხალისეთა არმიის მთავარსარდალი, 1918-1920 წწ-ში „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი" და რუსეთის უმაღლესი მმართველის ადმირალ კოლჩაკის მოადგილე. იყო „მთლიანი და განუყოფელი" რუსეთის პრინციპის დამცველი და არ უნდოდა ეცნო რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. 1919 დენიკინის არმიასა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები სოჭის ოლქსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. ქართული არმიის მიერ 1919 წ-ის აპრილში განხორციელებული კონტრშეტევის შემდეგ დენიკინის არმიის აფხაზეთში განლაგებული ნაწილები ქართველებმა აფხაზეთის ტერიტორიიდან განდევნეს. ბრიტანელების ჩარევის შემდეგ მდგომარეობა განიმუხტა და საბრძოლო მოქმედებები დენიკინსა და ქართველებს შორის აღარ გაგრძელებულა. 1920 წ-ის დასაწყისში წითელ არმიასთან დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ემიგრაციაში აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწეოდა. 1947 გარდაიცვალა ამერიკაში მიჩიგანის შტატში.

დენიკინი ანტონ

ლიტ.: http://www. grwar. ru/persons/persons. html?Id=388; ე. ა ნ დ ე რ ს ე ნ ი, აფხაზეთი და სოჭი, კონფლიქტის ფესვები, ინგლ. თარგ. მ. ბიწაძემ, თბ., 2016.

დიმიტრი სილაქაძე

დიდებულიძე ალექსანდრე იოსების ძე (1882, თბილისი - 1951, თბილისი) – ენერგეტიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1943), პროფესორი (1918), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1941). 1911 დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1916-1917 წწ-ში სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ოდესაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნაში.

1918 დაბრუნდა საქართველოში. 1919 წ-დან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგე, შემდგომში - თსუ-ის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი.

ალექსანდრე დიდებულიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელია (1928), სადაც ხელმძღვანელობდა თეორიული ელექტროტექნიკის კათედრას. 1923-1925 წწ-ში იყო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, 1930-1945 წწ-ში - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრის გამგე, 1948-1951 წწ-ში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი. ა. დიდებულიძე ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა („ელექტრო - მაგნიტომეტრია" - სახელმძღვანელო. ტფ., 1929; ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები - სახელმძღვანელო, ტფ., 1927 და ა.შ) და გამოგონებისა. 1930 მან კ. ამირაჯიბთან ერთად შექმნა პირველი ელექტროტრაქტორი და გრძელჭავლიანი საწვიმარი აპარატი ნათესების მოსარწყავად. მან ასევე შემოიტანა თერმოელემენტების დამზადების ახალი პრინციპი, სითბოს იზოთერმული აკუმულატორი და სხვა. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: ქსე, ტ. III, თბ., 1978; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი - ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

დოდაშვილი-მაღაროელი ოლგა ვასილის ასული (1880, დუშეთი - ?) - იყო კოლეგიის მრჩევლის ქალიშვილი. 1898 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი. ამის შემდეგ შევიდა ამავე სასწავლებლის VIII კლასის ორწლიან კურსზე, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ მიიღო კერძო მასწავლებლის წოდება რუსულ, მშობლიურ ენასა და ღვთისმეტყველებაში. იყო კარგი პედაგოგი

და მამულიშვილი, 1918 წ-ის ივლისში განათლების სამინისტროს დაბალი სასწავლებლის გამგეს გ. ჭუმბურიძეს მან ასეთი შინაარსის თხოვნა წარუდგინა: „უმორჩილესად გთხოვთ დამნიშნოთ თბილისის რკინისგზის დაბალ სასწავლებლის მასწავლებლის ადგილზე. მე გავათავე ქუთაისის ქალთა გიმნაზია, 4 წლის განმავლობაში ვმასწავლებლობდი ქუთაისის კერძო დაბალ სასწავლებელში, ხოლო ათი წელი ბაქოს საბჭოს სხდომის ნავთის მრეწველობის სკოლაში. გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, გამოვეშურე სამშობლოსაკენ, რათა აქ მემსახურა ჩემი ერის საკეთილდღეოდ“. მთავარგამგემ, როგორც გამოცდილმა მასწავლებელმა, მას რეკომენდაცია მისცა, დანიშნულიყო შესაბამის ადგილზე.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 353.

დოდო ჭუმბურიძე

დოლიძე ვიქტორ ისიდორეს ძე (18.VI.1890, ოზურგეთი - 20.V.1933, თბილისი) - ქართული ეროვნული კლასიკური საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გიტარისტი, მანდოლინისტი, ლოტბარი, ქართული და ოსური ხალხური სიმღერების შემკრები, პირველი ქართული კომიკური ოპერის ავტორი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშობა სოფელ ლიხაურში გაატარა. 1902 ოჯახთან ერთად თბილისში საცხოვრებლად გადავიდა და კომერციულ სასწავლებელში შევიდა. პარალელურად, მანდოლინაზე დაკვრა ისწავლა. ვირტუოზულად დაეუფლა ინსტრუმენტს და სასწავლებლის მოწაფეებისაგან ჩამოყალიბებულ გიტარისა და მანდოლინის დამკვრელთა ჯგუფს ჩაუდგა სათავეში. ანსამბლთან ერთად ხშირად გამოდიოდა და უკრავდა თბილისის კლუბებში. 1910 თბილისში ჩატარებულ მანდოლინის დამკვრელთა კონკურსში გაიმარჯვა და უმაღლესი ჯილდო - ოქროს მედალი მიიღო. აყალიბებს თვითმოქმედ ანსამბლს, რომლის რეპერტუარშიც ქალაქური სიმღერები და რომანსები შედის. 1912 კიევში მიემგზავრება და კომერციულ სასწავლებელში იწყებს სწავლას. პარალელურად, კიევის მუსიკალურ სასწავლებელში თეორიული საგნების კურსს გადის და ვიოლინოზე დაკვრას ეუფლება.

1917 საქართველოში ბრუნდება და შემოქმედებით საქმიანობას იწყებს. კოლეგების (ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის და ნ. სულხანიშვილის) მსგავსად, მისი ჩამოყალიბებაც რომანსის ჟანრით დაიწყო. კიევიდან დაბრუნების შემდეგ ოპერის დაწერის სურვილი უჩნდება და ავქსენტი ცაგარელის ცნობილი პიესის „ხანუმას“ სიუჟეტის მიხედვით თავის საუკეთესო ნაწარმოებს, პირველ ქართულ კომიკურ ოპერას, „ქეთო და კოტეს“ ქმნის. ამ ცნობილი ოპერის პრემიერა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში 11.XII.1919 თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შედგა. საქართველოში „ქეთო და კოტემ“ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და პოპულარობით ქართული მუსიკის ყველა სხვა დიდი მასშტაბის ნაწარმოებს გადააჭარბა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის მიუხედავად, ოპერა საქართველოს ფარგლებსაც გასცდა და არაერთხელ დაიდგა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრების სცენებზე, მათ შორის მოსკოვსა და ლენინგრადში (რუსეთი) 1937 ბუდაპეშტში (უნგრეთი), 1951 პრაღაში (ჩეხეთი), 1952 სოფიაში (ბულგარეთი), 1962 ვარშავაში (პოლონეთი), 1968 და 1979 და სხვ. (1948 ვახტანგ ტაბლიაშვილმა და შალვა გედევანიშვილმა გადაიღეს ფილმი „ქეთო და კოტე“, სადაც ზემოაღნიშნული ოპერის მუსიკა ჟღერს და ცნობილი ქართველი მსახიობები თამაშობენ). ორწლიანი მუშაობის შემდეგ, 1922, კვლავ ავქსენტი ცაგარელის პიესის „ლეკის ქალი გულჯავარის“ მიხედვით, ქმნის მეორე ოპერას „ლეილა“, 1923 კი - მესამე ოპერას „ცისანა“, რომლის პრემიერაც 1929 შედგა. 1926 მოგზაურობს შიდა ქართლში და ოსეთში (ე.წ. “ჩრდილო“ ოსეთში), ინტერესდება ოსური მუსიკალური ფოლკლორით და, შესწავლის მიზნით, იწერს სიმღერებს. 1931 იწყებს მუშაობას თავის მეოთხე ოპერაზე „ზამირა“, რომლის სიუჟეტიც ოსური ყოფიდან არის აღებული, მუსიკა კი მთლიანად ოსურ ხალხურ მასალაზეა დაფუძნებული. ეს ოპერა დაუმთავრებელი დარჩა, მოესწრო მხოლოდ ორი მოქმედების დაწერა. ცხინვალის დრამის თეატრის სცენაზე „ზამირას“ დიდი წარმატება ხვდა წილად. კომპოზიტორი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



დოლიძე ვიქტორ

ლიტ.: ნ. დ ო ლ ი ძ ე, „ჩემი ძმა ვიქტორი“, 1968; ლ. დ ო ნ ა ძ ე, ო. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, გ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, „ქართული მუსიკის ისტორია“, წ. I, თბ., 1990; ლ. დ ო ნ ა ძ ე, „ვიქტორ დოლიძის შემოქმედება“, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, ხელოვნება, თბ., 1991; მ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე, „ვიქტორ დოლიძე“, ხელოვნება, თბ., 1958; გ. ტ ო რ ა ძ ე, „ვიქტორ დოლიძის უბერებელი ოპერა და მისი თავსატკივარი“, თბ., 2010.

ზურაბ ლეჟავა

დოლიძე სოლომონ იესეს ძე (1968, ოზურგეთი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. მიიღო საშუალო განათლება. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაში მემანქანედ. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ჯგუფის წევრი.

1918 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. განწევრიანებული იყო პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. იყო პარლამენტის ჯანმრთელობის კომისიის წევრი. 1919 წ-ის თებერვალში დამფუძნებელი კრების არჩევნებზე კენჭს იყრიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სიით, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა. საკანდიდატო

სიაში 127-ე ნომერი იყო. დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურად იყო ჩართული ფრონტის დამხმარე კომიტეტის საქმიანობაში.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127; გაზ. „ერთობა“, 1920, №147.

ირაკლი ირემაძე

დოლუხანოვი პავლე (1870(?), ტფილისი - ?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. სომეხთა ნაციონალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. უმაღლესი იურიდიული განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო. თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ნაფიც ვექილად. იყო ჩართული აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში.

1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სომეხთათვის გამოყოფილი კვოტით შევიდა პარლამენტში. პარლამენტში იყო სომეხთა ნაციონალისტური ფრაქციის მდივანი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127; გაზ. „ერთობა“, 1918, №207.

ირაკლი ირემაძე

დროებითი საგანგებო სასამართლო – საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 20 სექტემბერს „რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს“ შესახებ დებულება დაამტკიცა. საგანგებო სასამართლო სამხედრო სასამართლოს ფუნქციებს ასრულებდა. ეს იყო „დროებითი“ სასამართლო ინსტანცია, ვინაიდან, ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შემდგომ, მისი ფუნქციები ნაფიც-მსაჯულთა იურისდიქციაში მოექცა. დებულებით განისაზღვრა მოსამართლეთა არჩევისა და სასამართლოში საქმის წარმოების წესები. საგანგებო სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და 5 წევრი. მათ თანამდებობაზე ნიშნავდა საქართველოს მთავრობა. სასამართლო ყველა საკითს ხმების უმრავლესობით წყვეტდა. დროებითი საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვები იყო საკასაციო წესით საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მის დაარსებამდე კი - სასამართლო პალატაში). სამხედრო სასამართლოს საქმისწარმოების წესდების მიხედვით, საგანგებო სასამართლოს სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდა. საქართველოს პარლამენტის 1919 წ-ის 31 იანვრის კანონით გაფართოვდა საგანგებო სასამართლოს უფლებამოსილება. კერძოდ, კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამდე თანამდებობის პირთა და მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი დროებით საგანგებო სასამართლოს დაექვემდებარა.

მწვავე დებატები გამოიწვია საკონსტიტუციო კომისიის 1919 წ-ის 8 იანვრის სხდომაზე საკითხმა - უნდა ყოფილიყო თუ არა დროებითი და საგანგებო სასამართლოს არსებობა კონსტიტუციურად გარანტირებული. „სასამართლოს“ შესახებ დებულება წარმოდგენილი იყო გ. ნანეიშვილის მიერ. მისი მე-3 მუხლი ასეთი შინაარსის იყო: „დროებითი და განსაკუთრებული სასამართლოები ვერასდროს ვერ იქნება დაწესებული“. რ. არსენიძე მხარს უჭერდა კონსტიტუციაში საგანგებო სასამართლოების შესახებ ნორმის არსებობას. ის მიუთითებდა: „პარლამენტს უფლება უნდა ჰქონდეს დააწესოს ყოველნაირი სასამართლო: დროებითი სასამართლოების მოწყობა, რომ საჭირო იქნება, ეს მტკიცდება ბორჩალოს და ზაქათალის ამბებით“. პ. საყვარელიძეც დაეთახნმა ამ მოსაზრებას და იქვე განაცხადა: „რადგანაც განსაკუთრებული მდგომარეობა სახელმწიფოსი იწვევს განსაკუთრებული წესების შემოღებას, შეიძლება დაუშვათ შემოღება დროებითი სასამართლოსიც“. ს. ჯაფარიძე დაეთანხმა საყვარელიძეს და აღნიშნა: „განსაკუთრებულ შემთხვევისათვის გამონაკლისი იქნება, მაგალითად, თუ ომიანობის დროს ჯარის ნაწილი აჯანყდება, იმისთვის ცალკე ზომები იქნება მიღებული“. მან იმავე სხდომაზე წარმოადგინა მუხლის ახალი რედაქცია: „საგანგებო და განსაკუთრებული სასამართლოების დაწესება აკრძალულია. პარლამენტს უფლება აქვს დაარსოს ჯარისთვის სამხედრო სასამართლო“. ს. ჯაფარიძის ეს მოსაზრება ერთხმად იქნა მიღებული. თუმცა კონკრეტული ჩანაწერი დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ 1921 წ-ის კონსტიტუციაში არ გვხვდება. ბუნდოვანია მისი 43-ე მუხლი, რომელიც პირის „სამხედრო სამართალში“ მიცემაზე საუბრობს და არ მიუთითებს, თუ რომელ სასამართლოს გულისხმობს კანონმდებელი: ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 და 38, ომის დროს კი 21 მუხლშია ღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990.

ბექა ქანთარია

დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918-1921 წწ-ში არსებული ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი. რუსეთის იმპერიის დანგრევის (1917 წ-ის მარტი) შემდეგ, დროებითი მთავრობის სახელმწიფო დროშის პარალელურად, საქართველოში გამოიყენებოდა ასევე წითელი დროშა (როგორც რევოლუციის სიმბოლო), რომელსაც ოქტომბერში მომხდარი გადატრიალების შემდეგ დაემატა სამფეროვანი დროშა - წითელი, თეთრი და შავი ფერის ჰორიზონტალური ზოლებით (ქვემოდან ზემოთ). საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ-ის 26 მაისი) შემდეგ, კარგა ხანს მიმდინარეობდა მსჯელობა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა. მთავრობის მიერ შექმნილმა ხელოვნების კომისიამ (თავმჯდომარე - კონსტანტინე მაყაშვილი) ეროვნულ საბჭოს წარუდგინა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის დროშისა". ამ საკანონმდებლო ორგანოს 6 სექტემბრის სხდომაზე გამოსვლისას კ. მაყაშვილმა განაცხადა: „საქართველოს უძველესი დროიდანვე ჰქონდა დროშები, რომლის აღწერილობა არსებობს ბერძნულ, ლათინურ და სხვა ენებზე. შარშან, წინანდელმა ეროვნულმა საბჭომ მოიწვია სპეციალისტები და მცოდნე პირები და მათ მიიღეს საქართველოს დროშად სამფეროვანი დროშა: წითელი, თეთრი და შავი. კომისიამაც ეს სამფეროვანი დროშა მიიღო... რა თქმა უნდა, ეს დროშა არის ერთგვარი კომპოზიცია, მაგრამ რადგან ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზედ, რადგან ამ დროშის ქვეშ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და, გარდა ამისა, ეს დროშა უკვე მოინათლა ბრძოლის ცეცხლში, ამგვარად იგი იქცა ისტორიად და მე მგონია, ახლა ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ კანონით დავადასტუროთ მისი არსებობა". ხელოვნების კომისიის მიერ წარდგენილი კანონპროექტის საფუძველზე, 1918 წ-ის 10 სექტემბერს, ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშისა", რომელშიც აღნიშნული იყო: „1) საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის), შავის და თეთრის ფერისა; 2) დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შინდის ელფერისა) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს". იმავე წლის 4 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა", რომელშიც ვკითხულობთ: „მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდგან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამრჯელოდ სამი ათასი (3,000) მანეთი". საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშის პარალელურად ზოგჯერ მაინც გამოიყენებდნენ წითელ დროშას. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი რევაზ გაბაშვილი აღნიშნავდა: „სახელმწიფო დროშის საკითხი უფრო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა

ადვილად გადაწყდა. ალბათ იმიტომ, რომ ეროვნული დროშის „ფონი" (ფართობი) თითქმის არ განსხვავდებოდა მარქსისტული სიწითლისაგან და მხოლოდ წინა კუთხეში დარჩა პატარა თეთრი და შავი ზოლი... წითელი მენშევიკურ-ბოლშევიკური ჩვარი კიდევ დიდხანს ფრიალებდა ქართული დროშის გვერდით". საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წ-ის 21 თებერვალს მიღებული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, „საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის - შვინდისფერი ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა". საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა უცვლელი სახით აღადგინა 1990 წ-ის შემოდგომაზე საქართველოში გამართული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ. დროშის ეს ვარიანტი შემდგომი თითქმის 14 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა. 2004 წ-ის 4 იანვარს დამტკიცდა საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშა - თეთრ ფონზე გამოსახული მეწამული ჯვარი ოთხი მცირე ჯვრით.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს, წგნ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ვ. გ ურ გ ე ნ ი ძ ე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბ., 1990; რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რაც მახსოვს, წიგნ.: ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", მრავალტომეული, გ. შ ა რ ა ძ ი ს საერთო რედაქციით, ტ. III, თბ., 1992; დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა, თბ., 2008.

ნიკო ჯავახიშვილი

დუშეთის აჯანყება – ბოლშევიკური ამბოხება დუშეთის მაზრაში – 1918 წ-ის ივნის-ივლისში რსფსრ-ის ხელმძღვანელობის მითითებითა და რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასი-

ის სამხარეო კომიტეტისა და კავკასიის წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ორგანიზებით, დუშეთის მაზრაში მოხდა დიდი ბოლშევიკური ამბოხება. ამბოხებულთა მიზანს წარმოადგენდა დუშეთის მაზრის გაკონტროლება, სამხედრო გზის გახსნა, ჩრდილო კავკასიიდან რუსული წითელი არმიის ნაწილის შემოყვანა და მათთან ერთად თბილისის დაკავება. დუშეთის მაზრის მცხოვრებთა ბოლშევიკურ განწყობას ხელს უწყობდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ბოლშევიკი პროპაგანდისტები. მაზრაში შევიდნენ რუსი ბოლშევიკი სამხედრო ინსტრუქტორები. 17 ივნისს აჯანყება დაიწყო სოფელ წილკანში, ამბოხებულებმა დაამარცხეს მთავრობის მიერ გაგზავნილი სამი რაზმი და 19 ივნისს დაიკავეს დუშეთი. 21 ივნისს ამბოხებულებმა დაიკავეს ქსნის სადგური და მცხეთის დიდი ნაწილი. 25 ივნისს დუშეთში შეიკრიბა გლეხთა დეპუტატების სამაზრო ყრილობა. მაზრაში საბჭოთა წყობილება გამოცხადდა. რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დუშეთში შეიარაღებული რაზმი გამოაგზავნა საშა გეგეჭკორის მეთაურობით. ამ რაზმს უნდა გამოევლო დარიალის ხეობა და ხევი. ხევის მოსახლეობა ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, ერთი მხრივ, დარიალის ხეობიდან, ხოლო მეორე მხრივ, მთიულეთიდან და კობიდან ამბოხებულების მხრიდან. 24 ივნისს დაიწყო შეტაკებები ხევში. 29 ივნისს ბოლშევიკებმა დაიკავეს დარიალი, მანამდე ამბოხებულებმა ხელში ჩაიგდეს მცხეთის რაიონის იარაღის საწყობები. 28 ივნისს რესპუბლიკის მთავრობამ ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართო სახალხო გვარდია ვალიკო ჯუღელის მეთაურობით. ამავე დღეს მძლავრი საარტილერიო ცეცხლის დახმარებით გვარდიელებმა ამბოხებულთაგან გაწმინდეს ბებრისციხე და მთლიანად მცხეთის მიმდებარე ტერიტორია. 4 ივლისს სახალხო გვარდიამ დაიკავა დუშეთი. ოთხი დღის შემდეგ, 8 ივლისს, გვარდიელებმა ამბოხებულთაგან გაწმინდეს ფასანაური. ფასანაურის დაკავების შემდეგ სამთავრობო ჯარები ორ კოლონად დაიყვნენ და ხევისაკენ გაილაშქრეს. ერთი კოლონა, გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის მეთაურობით, საქართველოს სამხედრო გზით დაიძრა სტეფანწმინდისკენ, ხოლო მეორე კოლონა, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, გუდამაყრის ხეობიდან ქვენამთის (ბურსაჭირის) უღელტეხილით გადავიდა ხევში. 13-14 ივლისს სამთავრობო ჯარებმა განმინდეს სტეფანწმინდის რაიონი, ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკების ორი ქვემეხი, ტყვიამფრქვევები და ორასამდე ტყვე. 15 ივლისს სამთავრობო ჯარებმა დარიალის ხეობა და ციხესიმაგრე გაწმინდეს ბოლშევიკებისაგან და ამით ამბოხება მთლიანად ჩაახშვეს.

ლიტ.: გ. ლ ა ფ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დუშეთის აჯანყევა, თბ., 1927; ჯ. ნ ი კ ლ ა უ რ ი, დარიალის დამცველნი, ყაზბეგი, 2012; В. Д ж у г е л и, Тежелый Крест, Тф., 1920.

დიმიტრი სილაქაძე

ეგან-კრიგერი იენო ფონ (10.VII.1886, ბერნშტაინი - 22.II.1965, კიოლნი) - გერმანელი სამხედრო მოხელე, გერმანიის კავკასიური ექსპედიციის პირველი მეთაური 1918 წ-ის ივნისში, ორი მსოფლიო ომის მონაწილე, პირველი და მეორე ხარისხის რკინის ჯვრის და სხვა ბევრი ჯილდოს მფლობელი.

სამხედრო განათლება მიიღო გერმანიაში, კასელის სამხედრო სკოლასა და აკადემიაში. პირველ მსოფლიო ომს შეხვდა უფროსი ლეიტენანტის რანგში. 1914-1917 წწ-ში ომში მონაწილეობდა სხვადასხვა საშუალო რანგის ოფიცრის თანამდებობებზე, ამზადებდა სარეზერვო შენაერთებს.

1918 წ-ის მაისში გერმანიის უმაღლესმა სამხედრო ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კავკასიაში საკუთარი ჯარის გაგზავნა. პირველი გერმანული დანაყოფები, ბავარიული პირველი სარეზერვო ბატალიონი და პრუსიული მე-10 შტურმბატალიონი ყირიმის პორტ სევასტოპოლიდან 6 ივნისს ჩამოვიდნენ ფოთის პორტში. ამ მისიის მეთაური იყო კაპიტანი იენო ფონ ეგან-კრიგერი. ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის დელეგაციის ჩამოსვლამდე 1918 წ-ის 23 ივნისს, ეგან-კრიგერი ასრულებდა გერმანიის ჯარების მეთაურის მოვალეობას კავკასიაში. უშუალოდ მისი მკაცრი მიდგომის ხარჯზე მოხერხდა სამხრეთ საქართველოში, ბორჩალოს მაზრაში, თათრების აჯანყების ჩახშობა, ასევე, თურქების შეკავება საზღვრებთან. ფონ კრესის ჩამოსვლის შემდეგ რჩებოდა მაღალი დონის მოხელედ კავკასიურ დელეგაციაში, იკავებდა მისიის ხელმძღვანელის მოადგილის და სამხედრო კომისიონერის პოსტებს. კავკასიაში ყოფნისას დაავადდა მალარიით და სამკურნალოდ გაემგზავრა გერმანიაში ივლისის თვეში. აგვისტოში ბერლინში შეხვედრები ჰქონდა ქვეყნის მმართველ პირებთან, ლუდენდორფთან, ჰინდენბურგთან, 18 აგვისტოს კი - კაიზერ ვილჰელმ მეორესთან, რომელთაც პირადად გააცნო კავკასიაში არსებული ვითარება. ლუდენდორფისგან მოითხოვდა სამი დამატებითი კავალერიის დივიზიის გაგზავნას კავკასიაში, იქიდან კი - ინგლისელებზე თავდასხმის მოსაწყობად ინდოეთში. ბერლინში ყოფნისას კავკასიის საკითხის გამო სერიოზული დაპირისპირება მოუვიდა პროთურქული განწყობით ცნობილ ოსმალეთის არმიის გენერალური შტაბის გერმანელ უფროსთან, გენერალ ჰანს ფონ ზეექტთან. ფონ ზეექტი გადადგომით დაიმუქრა, თუ ეგან-კრიგერს კავკასიიდან არ მოაცილებდნენ. ეგან-კრიგერი ბატალიონის მეთაურად გადაიყვანეს დასავლეთის ფრონტზე, სადაც ოქტომბერში მძიმედ დაიჭრა და ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა. 1920 წ-ის იანვარში მაიორის რანგში ყოფნისას გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან.

ვაიმარის რესპუბლიკაში ეგან-კრიგერმა პოლიტიკურ საქმიანობას მიჰყო ხელი. დაახლოებული იყო ულტრაკონსერვატიულ ორგანიზაციებთან, მაგალითად, შტალჰელმთან და ალფრედ ჰუგენბერგის გერმანიის სახალხო პარტიასთან. მონაწილეობას იღებდა კაპის პუტჩში. ჰიტლერის მიერ ერნსტ რიომის და მისი მომხრეების განადგურების დროს დაპატიმრებული იყო მცირე ხნით (1934). 1934 წ-ის ნოემბრიდან აღადგინეს სამხედრო სამსახურში, ამჯერად გერმანულ საჰაერო ძალებში, სადაც უმაღლეს თანამდებობებს მიაღწია მეორე მსოფლიო ომის დროს. 1942 გენერალ-ლეიტენანტი გახდა. 1944 წ-დან პენსიაში გავიდა. 1945-1947 წწ-ში იმყოფებოდა ამერიკელთა ტყვეობაში. 1948 გახდა იოანიტების ორდენის საპატიო კომენდატორი. დაწერილი აქვს რამდენიმე წიგნი სამხედრო თემატიკაზე. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იენო ფონ ეგან-კრიგერის პირადი არქივი რუსმა ოკუპანტებმა გაანადგურეს. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1964, ეგან-კრიგერი თავის მეგობარ კლაუს ოტო შლეგელს ესაუბრა გერმანიის კავკასიური ექსპედიციის შესახებ. ეს საუბარი ფირზე ჩაიწერეს, 1968 მოუსმინა მკვლევარმა ვინფრიდ ბაუმგართმა და 17-გვერდიანი ჩანაწერი გააკეთა, რომლის 2 გვერდი გამოაქვეყნა კიდეც. სამწუხაროდ, ფირის ორიგინალი და ჩანაწერი დღეს არ იძებნება.

ევლახიშვილი სერგო



ედ დაულე ზოკა



ელიავა ნიკოლოზ

გამოქვეყნებული გვერდების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეგან-კრიგერის მონათხრობი ბევრი ინფორმაციის მომცემი უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: O. K r u g, Biographische Sammiung zu deutschen Generalen und Admiralen, Bundesarchlv Freiburg, MSG 109/543, MSG 109/3556; K. F. H i l d e b r a n d t, Die Generale der Luftwaffe 1935–1945, Band 3: O-Z, Biblio Verlag, Osnabrück, 1993; Politisches Archiv des Auswärtigen Amtes: Georgien, R7308 bls R7317. Nachlass Schulenburg: N2273, 121; W. B a u m g a r t, Das „Kaspi-Unternehmen“, Größenwahn Ludendorffs oder Routineplannung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Europas, Wiesbaden, 1970, Bd. 18, S. 47-126 und 231-278.

გიორგი ასტამაძე

ედ დაულე ზოკა – სპარსეთის (1935 წ-დან ირანი) დელეგატი ერთა ლიგის ყრილობაზე, რომელმაც 1920 წ-ის 16 დეკემბრის ერთა ლიგის სხდომაზე სხვებთან ერთად მხარი დაუჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღებას. 1918-1921 წწ-ში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი იყო ურთიერთობები „ერთა ლიგასთან“. „ერთა ლიგა“, რომლის „შვილობილ“ ორგანიზაციასაც წარმოადგენს „გაერო“, 1919 შეიქმნა. ეს იყო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა და რომლის მიზანიც საერთაშორისო მშვიდობის მისაღწევად ერების კონსოლიდაცია იყო. ზოკა ედ დაულემ საქართველოსადმი თავისი მხარდაჭერა ასე დაასაბუთა: „მე დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო იმ ჩემს პატივცემულ კოლეგებს, რომლებიც რუსეთის იმპერიისგან ჩამოშორებულ სახელმწიფოთა მხარეზე დადგნენ, მაგრამ წინააღმდეგ პოლონეთის წარმომადგენლისა, მე არ შემიძლია ჩემი ხმა არ მივცე მცირე ერთა მიღების სასარგებლოდ... დღეს დილით ჩვენ დავაკმაყოფილეთ ფინლანდიის შუამდგომლობა. რით აიხსნება სხვაგვარი დამოკიდებულება საქართველოს და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მიმართ? დილით კრებამ განიხილა სომხეთის მდგომარეობა. მე მინდა აღვნიშნო, რომ სომხეთის მდგომარეობა მკვიდრი არ არის. სინამდვილეში სომხეთის რესპუბლიკა აღარ არსებობს. აი, რატომ იყო სპარსეთი იძულებული, თავი შეეკავებინა სომხეთის კენჭისყრის დროს. ასეთი არაა საქართველოს მდგომარეობა. ის ორგანიზაციულად მოწყობილი ქვეყანაა, მტკიცე მთავრობით, ჯარით, რომელმაც შეძლო ქვეყნის დაცვა მტრებისგან, რომლებიც მას რამდენიმე წლის განმავლობაში თავს ესხმოდნენ. მე ვიყავი საქართველოში 1919. ეს კულტურული ქვეყანაა და მე მას კარგად ვიცნობ. ჩემი აზრით, საქართველოს აქვს ერთა ლიგაში წევრად ყოფნის უფლება“.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921, №27.

ლელა სარალიძე

ევლახიშვილი სერგო ივანეს ძე (10.XI.1872 - 23.XI.1946, თბილისი) - ანტრეპრენიორი, საოპერო მომღერალი, ბარიტონი, მსახიობი. დაიბადა მწერლის ოჯახში. მუსიკა დედამ შეაყვარა. I ვაჟთა გიმნაზია დაამთავრა თბილისში. სწავლისას მონაწილეობდა კონცერტებში და სოლოპარტიებს ასრულებდა. მუსიკალური განათლების მიღება მოსკოვის კონსერვატორიაში დაიწყო, სადაც 1891 წ-დან ვოკალურ ხელოვნებას პროფ. ტალიაბუესთან ეუფლებოდა. შემდეგ სწავლა მილანში - პროფესორ ვიდალთან განაგრძო და დაასრულა. 1897 წ-დან ფსევდონიმით „ბრიუნეტი“ იტალიის ქალაქებში საოპერო კარიერას იწყებს. ბარიტონის პარტიებს ასრულებდა ოპერებში: „ტრუბადური“, „ერნანი“, „ფაუსტი“ და სხვ. 1898 წ-ის ზამთარში პერმში (რუსეთი) იმღერა. 1899 წ-დან გამოდიოდა მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრებში და მნიშვნელოვან პარტიებს ასრულებდა. 1900 იტალიაში - ტოსკანოს, 1902-1903 წწ-ში - თბილისის, 1905-1906 წწ-ში კი დონის ანტრეპრიზაში მღეროდა. 1909-1910 წწ-ში ა. ეიჰენვალდთან, 1913-1914 წწ-ში კი ივანე ფალიაშვილთან თანამშრომლობდა. 1914-1915 წწ-ის სეზონიდან თბილისის ოპერის თეატრის ანტრეპრიზას ჩაუდგა სათავეში. კარგი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა და საუკეთესო შემსრულებლებს მოუყარა თავი.

მისი დირექტორობის დროს დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1920 წწ-ის სეზონებში იდგმება პირველი ქართული ოპერები. 1919 (ზოგიერთი ცნობით კი 1918) ინიშნება თბილისის ოპერის თეატრის დირექტორად.

1921 აირჩიეს თეატრისა და დასის მეთაურად. აღნიშნულ თანამდებობაზე 1928 წ-მდე დარჩა. 1925 იუბილე გადაუხადეს. ოპერის თეატრში მოღვაწეობას სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა.

ლიტ.: შ. კ ა შ მ ა ძ ე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, გამომცემლობა ხელოვნება, თბ., 1950; ს. ი. ევლახოვის იუბილე, „ხელოვნება“, 1925, №5; А. е. Театр и Искусство. С. И. Евлахов, გაზ. «Заря Востока“, 08. 02. 1925, №799; Анте, Театр и Искусство, Госопера, გაზ. «Заря Востока“, 1925, №800; „С. И. Евлахов“, გაზ. „Заря Востока“, 1946. №237.

ზურაბ ლეჟავა

ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე (1874, სოფ. ღანირი, ქუთაისის მაზრ. - 1937) - სოციალ-დემოკრატი, პროფესიით იურისტი და ჟურნალისტი, ადვოკატი. თბილის-ქალაქის მოურავი. დაიბადა აზნაურის ოჯახში. დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1900), თბილისის განყოფილების წევრი (1917 წ-დან). მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, იყო მგზნებარე მარქსისტი, რამდენჯერმე დაიჭირეს და გაასამართლეს, გადაასახლეს სამჯერ. თანამშრომლობდა სოც.-დემ.

გამოცემებში, დაწყებული „კვალიდან“ დასრულებული გაზეთ „ერთობით“. 1898-1917 წწ-ში იყო რსდმპ-ის წევრი ბოლშევიკთა ფრაქციიდან. 1917 წ-დან მენშევიკთა ფრაქციის წევრი გახდა.

დემოკრატიულ საქართველოში იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიური საპარლამენტო მუშაობის გარდა, ეწეოდა კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იბრძოდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

გასაბჭოების შემდეგ სამშობლოში დარჩა, საბჭოთა ხელისუფლება აღიარა, მაგრამ თავად ხელისუფლება არ ენდობოდა მას, როგორც ყველა ყოფილ სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრს. დაპატიმრებამდე მუშაობდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომისტად. დაპატიმრებული იქნა 1937 წ-ის 15 აპრილს საქართველოს სსრ-ის შინსახკომის მე-3 განყოფილების მიერ. გაასამართლეს 12 ივლისს, დახვრიტეს მეორე დღეს. მის ანკეტაში ამ დროის საცხოვრებელ ადგილად მითითებულია თბილისი, მაჩაბლის 7. მისი გვარი შეტანილია დასახვრეტთა სიაში, რომელიც 1937 წ-ის 26 ივნისით თარიღდება და ხელს აწერენ: სტალინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და მიქოიანი. ერთ-ერთი განსასჯელის - მალაქია ტოროშელიძის აღიარების მიხედვით, „საქართველოს ნაციონალური ცენტრის“ ბლოკის ერთ-ერთ შეხვედრას, რომელიც კერძო ბინაზე ჩატარდა, ნოე ჟორდანიას დავალებით დაესწრო ნ. ელიავა. 1957 წ-ის 10 აგვისტოს, საქმეში დანაშაულის უქონლობის გამო, მოხდა მისი რეაბილიტაცია. ჰყავდა 5 შვილი.

ლიტ.: ის. რამიშვილი, მოგონებები, თბ., 2012. სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107.

დოდო ჭუმბურიძე

ელიაძე სტეფანე თედორეს ძე (1884, სოფ. უჩხო, ოზურგეთის მაზ. - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში, ორკლასიანი დაწყებითი განათლება მიიღო ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედის ორკლასიან სკოლაში. განათლების მიღების შემდეგ სამუშაოდ გადადის ბათუმში, სადაც სტამბის მუშა ხდება, სწავლობს ასოთამწყობის პროფესიას. 1915 სამუშაოდ გადმოდის თბილისში, ხდება სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრაქციის აქტიური წევრი. წლების განმავლობაში იყო ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიული კავშირის გამგეობის წევრი.

1918 იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, მცირე ხნით შედიოდა საბჭოს იურიდიულ კომისიაში. დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესაში, თანამშრომლობდა გაზეთ „ერთობასთან“. იყო საავადმყოფოთა სარევიზიო კომისიის წევრი. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით მონაწილეობას იღებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა, საკანდიდატო სიაში 123-ე იყო. 1920 წ-ის აგვისტოდან ალექსანდრე ლომთათიძესა და ივანე გომართელთან ერთად შედიოდა სოციალ-დემოკრატების მიერ გამოცემულ აგრარული პროფილის გაზეთ „სოფლის მუშის“ სარედაქციო კოლეგიაში.

დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ბიოგრაფიული ცნობები არ მოიძებნა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109. ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52; გაზ. „ერთობა“, 1920, №185.

ირაკლი ირემაძე

ელიგულაშვილი იოსებ

ელიგულაშვილი იოსებ არონის ძე (12.XI.1890, ქუთაისი - 20.X.1952, პარიზი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა ქართველი ებრაელის, ქუთაისის პირველი გილდიის ვაჭრისა და მეცენატის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და მოსკოვის კომერციული ინსტიტუტი. ჩაება ოჯახის კომერციულ საქმიანობაში. სტუდენტობის პერიოდში გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკური მიმართულება) წევრი.

1917 რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. იყო საგარეო ვაჭრობის კომიტეტის, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. მისი ფაქსიმილე დაფიქსირებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. იყო საქართველოს დრ-ის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილე. შედიოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების შემადგენლობაში, რომლებიც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საგარეო ვალის აღებას ცდილობდნენ. 1920 წ-ის აგვისტოში დაინიშნა საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკურ წარმომადგენლად (აგენტად) პარიზსა და როტერდამში, რის გამოც გათავისუფლდა დამფუძნებელი კრების წევრობიდან.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელ საქართველოში შემოჭრისას დაინიშნა ქვეყნის ეროვნული საგანძურის მცველის, ექვთიმე თაყაიშვილის, თანაშემწედ, რომელიც აღიარებდა მის უდიდეს დამსახურებას აღნიშნული ფასეულობის გადარჩენაში. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მთავრობის წევრთა ნაწილთან ერთად, ემიგრაციაში გაიხიზნა. ცხოვრობდა საფრანგეთში. ერთგულად ემსახურებოდა თან წაღებული ეროვნული განძის დაცვა-გადარჩენას. მისი ხელშეწყობით, საქართველოს დევნილმა მთავრობამ შეიძინა პარიზთან ახლოს, დაბა ლევილში მდებარე მამული და სასახლე (1922), რომელმაც უდიდესი

სამსახური გაუწია ქართულ ემიგრაციას. იყო ემიგრანტ ქართველ ებრაელთა ასოციაციის თავმჯდომარე. გერმანული არმიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში (1940-1944), გავლენიან ქართველ ემიგრანტებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ებრაელების გადარჩენაში, რომლებსაც ნაცისტური რეჟიმის პირობებში უეჭველი დაღუპვა ემუქრებოდათ. კ. კანდელაკის შეფასებით: „იოსებმა მოახერხა მთელი ქართული ემიგრაციის ერთსულოვნათ ქართველ ებრაელების გადარჩენით დაინტერესება და... რამდენიმე ასეული... სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმემ დიდათ ასწია მისი პრესტიჟი უცხოელ ებრაელთა თვალში და საქართველოსაც ახალი სიმპატიები შესძინა“. გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზში, ბანიოს სასაფლაოზე, სადაც არაერთი ქართველი ემიგრანტი განისვენებს. დაკრძალვისას სიტყვა წარმოთქვეს პარიზის რაბინმა და ქართული კოლონიის წარმომადგენლებმა: კ. კანდელაკმა, ვ. ინწკირველმა და ვ. ჩუბინიძემ, რომლებმაც განსვენებულის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს. მისი ხსოვნისადმი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პატივისცემის გამოხატულებად იქცა მისი გარდაცვალების 10 წლისთავზე პარიზში გადახდილი სამოქალაქო პანაშვიდი და სამგლოვიარო სხდომა.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993.

ნიკო ჯავახიშვილი

ელინთა დემოკრატიული პარტია - 1919 წ-ის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის შექმნილი პოლიტიკური ჯგუფი, რომლის საარჩევნო ნომერი იყო 15. წარდგენილი იყო ათკაციანი პარტიული საარჩევნო სია. სიის პირველი ნომერი იყო ეროვნული საბჭოს წევრი, ექიმი ალექსანდრე მიხაილოვი. არჩევნებში ამ ჯგუფმა საქართველოს მასშტაბით მიიღო მხოლოდ 14 ხმა.

ბონდო კუპატაძე

ელიოზიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (15. XI.1879, წილკანი - 01.XII.1956, თბილისი) - ოპერის მომღერალი. ბარიტონი. 1898 თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა, სადაც ზ. ჩხიკვაძის გუნდში მღეროდა. 1900 ელიზავეტგრადის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა. 1901-1904 წწ-ში თბილისის საოპერო წრეში გამოდიოდა. მისი დებიუტი იყო ვაგნერი (შარლ გუნოს „ფაუსტი“). 1906-10 წწ-ში მოსკოვის კონსერვატორიაში ვოკალის ხელოვნებას პედ. მაზეტისთან ეუფლებოდა. პარალელურად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1910-1912 წწ-ში პეტერბურგის „სახალხო სახლში“ მღეროდა. 1913-14 წწ-ში - მოსკოვის, 1915-16 წწ-ში - ჟიტომირის, 1917-19 წწ-ში საოპერო თეატრებში მასალსკის ფსევდონიმით გამოდიოდა.

1919 თბილისის საოპერო თეატრში დაიწყო მუშაობა. მღეროდა ლირიკულ და დრამატულ პარტიებს. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ოპერების განხორციელებაში. ასრულებდა სახასიათო როლებს.

გასაბჭოების შემდეგ, საოპერო თეატრში მოღვაწეობას 1948 წ-მდე აგრძელებდა. 1941 საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ლიტ.: დ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, თბ., 1968; რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ემიგრაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდგომ საქართველოს ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური თუ სამხედრო პირები ეტაპობრივად წავიდნენ ემიგრაციაში. ემიგრაციის განსაკუთრებით დიდი ტალღა იყო 1921-1922 წწ-ში და 1924 წ-ის აჯანყების შემდგომ. საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის მკაცრად გაკონტროლებამდე ინდივიდუალურად ბევრი ტოვებდა საქართველოს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კონსტანტინოპოლის გავლით პარიზში ჩავიდა 1921 წ-ის აპრილში. დევნილი მთავრობის მთავარი მიზანი უცხოეთიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა იყო. 1924 წ-ის აჯანყების დამარცხების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობათაგან საბჭოთა რუსეთის ცნობის შემდეგ, ევროპის სახელმწიფოთაგან დახმარების შანსები შემცირდა. საქართველოს საკითხი დაისვა ამერიკის შეერთებული შტატების სენატშიც, მაგრამ უშედეგოდ. 1933 საბჭოთა რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებული პაქტის შედეგად პარიზში საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას რწმუნებები გაუუქმეს. სანაცვლოდ ჩამოყალიბდა საქართველოს „ლტოლვილთა ოფისი“, მის ხელმძღვანელად დაინიშნა სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი, საქართველოს საელჩოს ყოფილი მდივანი. „ლტოლვილთა ოფისის“ ფილიალებად გადაკეთდა დემოკრატიული საქართველოს საელჩოები შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიასა და სტამბოლში. ემიგრაციაში ჩამოყალიბდა ორი ანტისაბჭოთა ძალა: 1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მასთან დაკავშირებული ცალკეული ემიგრანტები, რომლებიც სხვადასხვა პარტიებსა და დაჯგუფებებს მიეკუთვნებოდნენ; 2. სპირიდონ კედიასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის გაერთიანება და მათთან იდეურად ახლოს მყოფი ემიგრანტები, ძირითადად, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკით უკმაყოფილონი. ქართული ემიგრაციის ორი ძირითადი ნაწილი დასახლდა ევროპაში: 1) პოლიტიკური; 2) სამხედრო. ქართული პოლიტიკური

ემიგრაციის დასაყრდენი გახდა საფრანგეთი, ქართული სამხედრო ემიგრაცია ძირითადად განთავსდა პოლონეთში. XX საუკუნის 40-იან წლებში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური და სამხედრო მიზნები საქართველოსთან დაკავშირებით რამდენიმე მიმართულებად დაიყო: 1. მიემხრნენ ნაცისტურ იდეოლოგიას და ჩადგნენ მათი პროპაგანდის სამსახურში; 2. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) დროს გერმანიის მხარეს უშუალო მონაწილეობას იღებდნენ საბრძოლო ოპერაციებში, განსაკუთრებით, კავკასიისათვის ბრძოლაში ეროვნული ბატალიონების მეშვეობით; 3. შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ ევროპულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში, ცდილობდნენ საქართველოს საკითხის პოპულარიზაციას უცხოეთში; 4. ანტინაცისტურად განწყობილი ემიგრაციის წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობასთან. მრავალი მათგანი აშშ-ში გადასახლდა.

ბონდო კუპატაძე

ემუხვარი არზაყან (დიმიტრი) კონსტანტინეს ძე (26.X.1880, სოფ. ჩხორთოლი, სამურზაყანოს უბანი - 24.III.1939, პარიზი) - აფხაზი პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზეთის მთავრობისა და სახალხო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921). დაწყებითი განათლება მიიღო ოქუმის და ახალსენაკის სკოლებში, სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში (1896), სადაც ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და დაუახლოვდა ქართველ ნაციონალისტებს და მესამედასელებს. „სოხუმის რესპუბლიკის“ ლიდერი (1905). იყო დაპატიმრებული (1909/1910).

რუსეთის 1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) რწმუნებულად სოხუმის ოლქში. ა. ემუხვარი პროქართული ორიენტაციის აფხაზთა ლიდერი იყო და სწორედ მისი დიდი ძალისხმევის შედეგად, 1919 წ-ის 20 მარტს ახლად არჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ თავის პირველივე სხდომაზე მიიღო დადგენილება ავტონომიური სტატუსით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შესახებ.

1921 ა. ემუხვარი სდრ-ის მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში გაიხიზნა, ცხოვრობდა ჯერ სტამბოლში, შემდეგ - პრაღაში, სადაც ქართული დიასპორის ლიდერიც იყო. 1939 პარიზში ქართულ ემიგრაციასთან სტუმრად ყოფნისას მოულოდნელად გარდაიცვალა სისხლის მოწამვლით, კლოდ ბერნარის საავადმყოფოში, სავარაუდოდ, საბჭოთა უშიშროების ხელით. საქართველოში დარჩენილი ა. ემუხვარის ცოლ-შვილი ბოლშევიკებისგან მუდმივ შევიწროებას და რეპრესიებს განიცდიდა, მისი უფროსი ვაჟი ვლადიმერ ემუხვარი 1937 დახვრიტეს, მეუღლე - მარიამ ჩიკვაიძე 1943 გარდაიცვალა, უმცროსი ვაჟი გივი კი რუსეთში გადასახლდა. კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟი - თარაშ ემუხვარი, თავად მწერლის ინფორმაციით, არის ა. ემუხვარის ლიტერატურული პროტოტიპი. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1991; დ. ჩ ი ტ ა ი ა, აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, თბ., 2006.

ბონდო კუპატაძე



ერაძე გიორგი

ემუხვარი არზაყან

ერაძე გიორგი პავლეს ძე (1882, სოფ. დირბი, გორის მაზ. - 1971, ლევილი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომისა და მომარაგების მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. სოციალ-დემოკრატი. დაიბადა გლეხის ოჯახში, დაწყებითი განათლება თბილისში, სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო, შემდგომში სწავლობდა დურგლის პროფესიას თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ გაერთიანებებთან. მუშაობდა სხვადასხვა ქარხანასა და ფაბრიკაში თავისი პროფესიით. იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წევრი ბათუმსა და თბილისში. თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში, აქვეყნებდა სტატიებს მუშათა მძიმე სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. 1907 ტფილისის კომიტეტის მანდატით იმყოფებოდა რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობაზე. თავისი პოლიტიკური აქტიურობის გამო ხშირად ხდებოდა მეფის რეჟიმის ინტერესის საგანი, 1909 და 1910 დაპატიმრეს. 1910-იან წწ-ში მუშაობდა თბილისის ტრამვაიში, იყო ადგილობრივი პროფკავშირული გაერთიანების მეთაური. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შედიოდა ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შემადგენლობაში.

1917 წ-ის ნოემბერში, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოებრივ და პარტიულ საქმიანობაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს რეგიონებში. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1918-1919 წწ-ში შრომის მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) პოსტს იკავებდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა შრომითი დავების მოგვარების საქმეში. 1919 წ-ის ბოლოს დაინიშნა შრომისა და მომარაგების მინისტრად, დაეკისრა მძიმე მოვალეობა - ქვეყნის ფარგლებში სასურსათო კრიზისის დაძლევისათვის მუშაობა. ოპოზიცია ერაძისა და მისი სამინისტროს საქმიანობას არადამაკმაყოფილებლად აფასებდა, მწვავე სასურსათო

კრიზისზე სამთავრობო და სოციალ-დემოკრატიული პრესაც ხშირად წერდა.

დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებული მანდატით 1921 წ-ის მარტში გიორგი ერაძე მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთში, იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს, დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის და ლევილის ქართული მამულის მართველი საზოგადოების წევრი. 1949-1970 წწ-ში იყო ლევილის ქართული მამულის საზოგადოების მმართველი. აქტიური წვლილი შეიტანა ლევილის მამულის განვითარებაში და მთავრობის არქივის შენახვის საქმეში. ლევილში ცხოვრებისას თავს სოფლის მეურნეობით და ფიზიკური შრომით ირჩენდა. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, 1993; ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 108, 109; თსუ ბიბლიოთეკა, მამია და ქრისტინე ბერიშვილების კოლექცია. დოკ. სდრ-727/ბერ-720, სდრ-146/ბერ-139; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №126.

ირაკლი ირემაძე

ერენფესტი პაულ

ერენფესტი პაულ სიგიზმუნდის ძე (1880 - 1933) – ფიზიკოსი, თერმოდინამიკის, სტატისტიკური მექანიკის, კვანტური თეორიის სპეციალისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1907-1912 წწ-ში მუშაობდა პეტერბურგში, 1912 წ-დან - ჰოლანდიაში. 1918, თსუ-ის პროფესორ ანდრია რაზმაძის რეკომენდაციით, ფიზიკის კათედრაზე მიიწვიეს ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორი პ. ერენფესტი, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული და დამტკიცებული პროფესორად ფიზიკის კათედრაზე (1919 წ-ის 18 ივნისს).

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ერზაკიანი არამის (1880, ტფილისი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. საშუალო განათლება თბილისში მიიღო. ადრეული წლებიდან ჟურნალისტად მუშაობდა პარტიულ პრესაში. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქციის წევრი.

1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სომეხთათვის გამოყოფილი კვოტით შევიდა პარლამენტში, წევრად დაასახელა სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; გაზ. „ერთობა“, 1918, №207.

ირაკლი ირემაძე

ერთა ლიგა - 1919 მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა, როგორც ვერსალის საზავო ხელშეკრულების სისტემის ნაწილი. მისი დამფუძნებელი იყო 44 ქვეყანა. I მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა წარმოდგენა, რომ საყოველთაო მშვიდობის მიღწევა შესაძლებელი გახდებოდა სახელმწიფოთა შორის დიალოგის და საერთაშორისო წესების უზენაესობის დამკვიდრებით.

ერთა ლიგის მუშაობას ხელმძღვანელობდა გენერალური მდივანი (გენერალური სამდივნოს საშუალებით). ერთა ლიგის ჟენევაში მდებარე მთავარი მმართველი ორგანოები იყო: 1. საბჭო - შედგებოდა 4 მუდმივი (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) და 4 არჩევითი წევრისგან. 1934 ერთა ლიგაში მიიღეს სსრკ, რომელიც აგრეთვე გახდა საბჭოს მუდმივი წევრი 1939 წ-მდე, როდესაც ფინეთთან ომის დაწყების გამო გარიცხეს ლიგიდან. საბჭოს ფუნქცია იყო, კონფლიქტის დროს შეესრულებინა მედიატორის როლი, გაენეიტრალებინა აგრესორი ეკონომიკური სანქციების გზით. 2. ასამბლეა - მსოფლიო პარლამენტის შექმნის პირველი მცდელობა. ასამბლეაზე განიხილებოდა სხვადასხვა სახის მსოფლიო პრობლემები და მიიღებოდა გადაწყვეტილებები. თითოეულ ქვეყანას ჰქონდა ერთი ხმა. ნებისმიერ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, ვეტო დაედო ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. ამ ერთი შეხედვით დემოკრატიულმა პრინციპმა არაქმედითი გახადა ერთა ლიგა, ვინაიდან მნიშვნელოვანი საკითხები ხშირად იბლოკებოდა. 3. საერთაშორისო სასამართლო - მდებარეობდა ქ. ჰააგაში. შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან არჩეული 15 მოსამართლისგან და განიხილავდა ქვეყანათა შორის დავებს. ამის გარდა, ერთა ლიგას გააჩნდა სხვა სტრუქტურებიც: სამანდატო კომისია - დიდ ქვეყნებს სამანდატოდ უნაწილებდა I მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიისთვის ჩამორთმეულ კოლონიებს. აკონტროლებდა სამანდატო მმართველობას. უმცირესობათა კომისია - იცავდა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს. განიარაღების კომისიამ - აკრძალა მომწამვლელი გაზის გამოყენება ომის დროს და მოუწოდა ერთა ლიგის წევრ ქვეყნებს შეიარაღების შემცირებისკენ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია - მისი მიზანი იყო, ერთობლივი ძალისხმევით დაეძლიათ I მსოფლიო ომის დროს და შემდგომში გავრცელებული გადამდები დაავადებები. ახორციელებდა ახალი მედიკამენტების შექმნის, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა აქტუალურ პროგრამებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია - ადგენდა შრომის პირობების, უსაფრთხოებისა და ადეკვატური ანაზღაურების სტანდარტებს. ლტოლვილთა ორგანიზაცია -

ზრუნავდა I მსოფლიო ომის დროის სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციისა და უსახლკაროდ დარჩენილ ლტოლვილთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. ერთა ლიგას ჰქონდა სხვა კომიტეტებიც, რომლებიც ზრუნავდნენ: ქალთა უფლებების დაცვაზე, ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე.

რწმენა, რომ მშვიდობა ყველა სახელმწიფოს საერთო ინტერესი და სურვილია და რომ ყველა პოტენციური კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლება, იდეალისტური და უტოპისტური იყო. იდეალისტური ილუზიების უმაღლესი მწვერვალი იყო 1928 წ-ის 27 აგვისტოს 15 სახელმწიფოს, მათ შორის აშშ, გერმანიის, იაპონიის და ინდოეთის მიერ პარიზში ხელმოწერილი ბრიან-კელოგის პაქტი. ამ პაქტის მიხედვით, მიუღებლად ცხადდებოდა საერთაშორისო წინააღმდეგობების დაძლევა ომის მეშვეობით. ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი გზით უნდა გადაჭრილიყო.

1932 აშშ-ის მთავრობის მიერ მიღებული სტიმსონის დოქტრინის მიხედვით, აშშ უარს აცხადებდა ძალის ნებისმიერი გამოყენებით შეძენილი ტერიტორიების დიპლომატიურ ცნობაზე. ამ დადგენილებების რეალობად ქცევა შეუძლებელი აღმოჩნდა. 20-იან წლებში ერთა ლიგამ მართლაც შეძლო რამდენიმე კონფლიქტის ეფექტურად მოგვარება, მაგრამ 30-იანი წლების მოუგვარებელმა კონფლიქტებმა (იაპონიის აგრესია მანჯურიაში, გერმანიის მიერ რაინის ოკუპაცია, იტალიის მიერ ეთიოპიის ოკუპაცია, ესპანეთის სამოქალაქო ომი, გერმანიის აგრესია ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიაზე) აზრი დაუკარგა ერთა ლიგის არსებობას და მსოფლიო ახალ მასშტაბურ ომში ჩაითრია. 1941 ერთა ლიგის გენერალური ასამბლეის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. ხოლო 1946 წ-ის აპრილში ერთა ლიგამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და ასპარეზი თავის მემკვიდრეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუთმო.

ბონდო კუპატაძე

ერთა ლიგა და საქართველო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა, ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო და ამით დაეცვა თავისი უსაფრთხოება. 1919 წ-ის 21 მაისს და 1920 წ-ის 1 სექტემბერს საქართველოს დელეგაციამ (თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე) სპეციალური მემორანდუმით მიმართა ერთა ლიგას. მემორანდუმში საქართველოს მთავრობა ითხოვდა ერთა ლიგის წევრად საქართველოს მიღებას. ეს თხოვნა გაიმეორა 1920 წ-ის სექტემბერში დასავლეთ ევროპაში საგანგებოდ მივლინებულმა საქართველოს კიდევ ერთმა სამთავრობო დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით.

1920 წ-ის 15 ნოემბერს ჟენევაში მუშაობა დაიწყო ერთა ლიგის პირველმა სესიამ. დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო რიგ სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს, გაერთიანება ლიგაში. ეს საკითხი დაევალა მეხუთე განსაკუთრებულ კომისიას 36 წევრის შემადგენლობით. კომისია მუშაობდა ჩილელი დელეგატის ანტონიო ჰონელუსის თავმჯდომარეობით. კომისიამ წარმოადგინა ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა გაწევრიანების საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები. საქართველოს საკითხი, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასა და კოსტა-რიკასთან ერთად, განსახილველად მესამე ქვეკომისიას გადაეცა. 1920 წ-ის 16 დეკემბერს ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას ხმას აძლევდა 24 სახელმწიფო, არჩევისათვის კი საჭირო იყო მხოლოდ 16 დელეგატის ხმა. საქართველოს სასარგებლოდ ხმა მისცა 10-მა სახელმწიფომ: სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ; წინააღმდეგი გამოვიდნენ: ავსტრალია, კანადა, კუბა, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ზელანდია, ნიდერლანდები, ჩეხოსლოვაკია, დანია; თავი შეიკავეს: ბელგიამ, პოლონეთმა, შვეციამ, რუმინეთმა.

საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა. უარის თქმის ძირითადი მოტივი იყო ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლი, რომლის თანახმადაც ლიგას მეტად გაუძნელდებოდა ახალი წევრების ტერიტორიების თავდასხმისაგან დაცვა და მათი საერთაშორისო უფლებების უზრუნველყოფა. ამრიგად, საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ გახდა საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

ბონდო კუპატაძე

ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში გაწევრიანებისთვის შექმნილი საზოგადოება, რომლის მიზანი იყო ამ საკითხის პოპულარიზება. დაარსდა ქ. ტფილისში 1919 წ-ის 7 დეკემბერს. ასოციაციის პრეზიდენტი - ალ. ლომთათიძე, ვიცე-პრეზიდენტი - ვახტანგ ღამბაშიძე. გამგეობის წევრები: გიორგი ლასხიშვილი, რაჟდენ არსენიძე, პეტრე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი.

ასოციაციის წარმომადგენლები ერთა ლიგის ბრიუსელის კონგრესზე იყვნენ კარლო ჩხეიძე და ზურაბ ავალიშვილი. ასოციაცია საგანგებო მანდატით აღჭურვილ პირთა მეშვეობით პირდაპირ ურთიერთობას ამყარებდა ერთა ლიგის სხვადასხვა მოქმედ სტრუქტურებთან. ერთა ლიგის ქართული ასოციაციის ძალისხმევით, 1920 წ-ის 12-16 ოქტომბერს მილანში გამართულ ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების მეოთხე კონგრესზე საქართველოს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. კონგრესზე ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია ერთხმად იქნა მი-

ღებული ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციის წევრად. ამ პოლიტიკური წარმატების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კიდევ უფრო გააქტიურა მოღვაწეობა ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრობის მოსაპოვებლად.

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ემიგრაციაში გააგრძელა საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობა საქართველოს საკითხის პოპულარიზაციის მიზნით. 1934 ინგლისში გაიმართა ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციის საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც დაესწრო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაცია. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ ევგენი გეგეჭკორი, გიორგი გვაზავა და ანდრო გუგუშვილი. ერთ-ერთ სხდომაზე კონგრესმა განიხილა საქართველოს საკითხი. მოხსენება კონგრესს გიორგი გვაზავამ წარუდგინა. ის შეეხო იმ მომენტებს, რომელიც საქართველოს უფლებას აძლევდა, მოეთხოვა 1921 დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა. ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციის კონგრესმა დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი. ამასთან, კონგრესმა ერთა ლიგას მოუწოდა, საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, დახმარებოდა საქართველოს ქვეყანაში ნორმალური ვითარების აღსადგენად.

ბონდო კუპატაძე

ერთობა (15.III.1917 - 16.III.1921, თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) - ყოველდღიური სოც.-დემ. გაზეთი. გამოდიოდა „თანამედროვე აზრის“ (1915-1917) ნაცვლად. 1918 წ-ის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც „ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა“. გაზეთს თავდაპირველად რედაქტორობდა ვლ. ბობოხიძე, 1920 წ-ის ივლისიდან კი – ლევ. ნათაძე. იბეჭდებოდა „რუხაძის სწრაფლმბეჭდავ სტამბაში"; 1917 წ-ის 1 ივლისიდან - „ერთობის“ სტამბაში. გაზეთმა 1918 წ-ის 28 იანვრიდან შემოიღო ყოველკვირეული სატირულ-იუმორისტული ფურცელი „ეშმაკის მათრახი“. 1921 წ-ის თებერვალში მთავრობის მიერ თბილისის დატოვების გამო „ერთობის“ ბოლო ნომრები ქუთაისსა და ბათუმში გამოვიდა. პარტიული გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაზეთი იდეოლოგიური მიზანდასახულობით შერჩეული, მეტწილად ინფორმაციული ხასიათის მასალით შემოიფარგლებოდა. თუმცა გვხვდება ანალიტიკური პუბლიკაციებიც, რომელთა უმრავლესობა სარედაქციო თვალსაზრისს გამოხატავდა და მენშევიკური ხელისუფლების იდეური მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებდა. მათი უმრავლესობა ხელმოუწერელი იყო. მიუხედავად ოპერატიულ ჟანრთა პრიმატისა, იბეჭდებოდა განსხვავებული თემატიკის პუბლიკაციებიც, რომლებიც სხვადასხვა რუბრიკის ქვეშ ერთიანდებოდა. „ერთობის“ გამოცემა დაკავშირებულია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან და, შესაბამისად, გაზეთში უამრავი მასალა გვხვდება ამ საკითხთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას ეძღვნება, მაგალითად, ნოე ჟორდანიას წერილი „დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“ (1918, №181-184, 192-193). დიდი ყურადღება ეთმობა პარლამენტის საქმიანობას, ხშირად ქვეყნდება სხდომის ანგარიშები, მომხსენებელთა ვრცელი სიტყვები და ა.შ. გაზეთი ინტენსიურად აშუქებს აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობას და ხშირად აქვეყნებს პარტიის ყრილობების ვრცელ ანგარიშებს. მომეტებულ ინტერესს იჩენს რუსეთში მოღვაწე ქართველებისადმი, განსაკუთრებით, ირაკლი (კაკი) წერეთლისადმი. ბეჭდავს მათი საჯარო გამოსვლის ტექსტებს. მაგ., ვრცელი პუბლიკაციებით აღინიშნა კაკი წერეთლის ჩამოსვლა თბილისსა და ბათუმში (1917, №162), რასაც ვარლამ რუხაძემ ორი ლექსიც მიუძღვნა (1917, №168). გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოსა და რუსეთში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ მოვლენებს. ამ მიზნით შემოღებული იყო რუბრიკები: „დიდი რევოლუცია“, „დეპეშები“, „რევოლუცია პროვინციაში“. მათ ქუდქვეშ უმთავრესად იბეჭდებოდა წერილები, რომლებიც რუსეთში მომხდარ რევოლუციას, მუშათა მოძრაობასთან დაკავშრებულ სიახლეებსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას შეეხებოდა (მაგ.: „რომანოვების დინასტია“ (№1, 1917), „რევოლუციონერები ნაციონალისტთა სამოსში“ (№3, 1917), „ნიკოლოზ რომანოვის გადასახლება ციმბირში“ (№110, 1917), „თავისუფლება და მშვიდობიანობა“ (№3, 1918) და სხვ.).

„ერთობამ“ უამრავი პუბლიკაცია მიუძღვნა რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის პერიპეტიებს, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების აღებას. გაზეთი ოქტომბრის რევოლუციას „სამხედრო შეთქმულებას“ უწოდებს და დაუნდობლად აკრიტიკებს ბოლშევიზმს. ამ პათოსითაა განმსჭვალული წერილები: „რევოლუციის დაფასება“ (1917, №85) „ბოლშევიზმის სიმართლე“ (1917, №89) „ბოლშევიზმი და ანარქია“ (1917, №199), „ბოლშევიზმის დემაგოგია“ (1917, №200), „ბოლშევიკები და პრესის თავისუფლება“ (1917, №205) და სხვ. გაზეთის კრიტიკა მიმართული იყო სხვა პარტიების წინააღმდეგაც. მათ რიცხვში იყვნენ დაშნაკელები (მაგ., „დამარცხებულთა ბანაკში“ - 1917, №5), სოციალ-ფედერალისტები (მაგ., „კიდევ ფედერალისტები“ - 1917, №4). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუბრიკა „პრესა“, რომელიც „ერთობის“ თანადროული პერიოდიკის, ძირითადად პარტიული გამოცემების, კრიტიკას ისახავდა მიზნად. მათთან გამართული მწვავე იდეოლოგიური

პოლემიკა, არცთუ იშვიათად, წვრილმან კინ-კლაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე (საინტე-რესოა ასევე ე.წ, „ყვითელი პრესის“ კრიტიკა, რომელიც გაზეთმა ამავე სახელწოდების წე-რილში შემოგვთავაზა - „ერთობა“, 1919, N149). გაზეთში წარმოდგენილი მხატვრულ-პუბლი-ცისტური პროდუქციაც პოლიტიკურ ამოცა-ნას პასუხობდა და სოციალ-დემოკრატიულ იდეებს ემსახურებოდა. ნაკლებად გვხვდება მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. ძირი-თადად იბეჭდება ლექსები, უმთავრესად სოცი-ალურ თემატიკაზე, ან კონკრეტული სადღესა-სწაულო თარიღებისადმი მიძღვნილი ნაწარმო-ებები (მაგ., 1919 წ-ის 1 მაისის აღსანიშნავად, ამ დღის ნომერში გამოქვეყნდა ა. აბაშელის, გ. ქუჩიშვილისა და სხვათა ლექსები). გაზეთმა გააშუქა დავით კლდიაშვილის იუბილე, რომე-ლიც სახელმწიფო თეატრში ჩატარდა (1920, №31).

ძალზე იშვიათია პროზაული თხზულებე-ბი (მაგ.: ი. წერეთლის ესკიზი „ახალი წლის ღამე“ (1918, №1); გ. მაჩაბლის მოთხრობა „სიკვდილი“ (1918, №214); ე. მალაქიაშვილის მოთხრობა „ერთი ქალის აზრები“ (1919, №184). გარდა ერთეული შემთხვევისა, თითქმის მი-ვიწყებულია კულტურის საკითხები. ასეთივე ვითარებაა განათლების საკითხების გაშუქება-სთან დაკავშირებთაც. თითქმის არ გვხვდება ახალგახსნილი თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებუ-ლი პუბლიკაციები. გამონაკლისია წერილი „სტუდენტთა შორის“, რომელსაც პოლიტიკუ-რი შეფერილობა აქვს („ერთობა“, 1919, №70). გაზეთი ეხება რელიგიურ თემატიკასაც. სტა-ტიაში „აღდგომა“ (1917, №16) საუბარია ამ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის მნიშ-ვნელობაზე. გაზეთი ღიად ემხრობა სეკულა-რიზმის იდეას. მისი აზრით, ეკლესია სახელ-მწიფოსგან უნდა გაიმიჯნოს, რადგან რწმენა პირადი საქმეა (1918 №99). „ერთობა“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობს როგორც მთლიანად ამიერკავკასიაში, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას (მაგ., გა-ზეთმა დიდი ადგილი დაუთმო დუშეთის აჯა-ნყებას, რომელიც საქართველოს სახელმწი-ფოს წინააღმდეგ იყო მიმართული („აჯანყების ლიკვიდაცია“ - 1918, №146); ასევე, აფხაზეთში მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს („აფხაზეთის საკითხი“ - 1919, №152), სინანუ-ლით აუწყებს მკითხველს ბოლშევიკების მიერ აზერბაიჯანის დაპყრობის ამბავს („ბოლშე-ვიკური გადატრიალება ბაქოში“ (1920, №95) და საქართველოს მიმართ რუსეთის შესაძლო აგრესიის შესახებ აფრთხილებს მას („წითელი არმიის კავკასიასთან მოახლოების გამო“(1920, №4). გარდა ზემომოხმობილისა, გაზეთში წა-რმოჩენილია თანადროულობის სხვა ღირსშე-სანიშნავი მოვლენები: საზეიმოდაა აღნიშნუ-ლი დასავლეთის სახელმწიფოების მიერ საქა-რთველოს დამოუკიდებლობის ცნობის ფაქტი, საქართველოს დამოუკიდებლობის სამივე წლისთავი; ყველა ის საგულისხმო მოვლენა, რასაც ახალგაზრდა ქართული რესპუბლი-კისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ლიტ.: გაზ. „ერთობა“, 1917-1921; შ. გ ა გ ო შ ი ძ ე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები)“, ნაკ. 1, თბ., 2004; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქა-რთული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მანანა შამილიშვილი

ერისთავი ალექსანდრე

ერისთავი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (5.VII.1873 - 10.II.1955) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბი-ლისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1893). პორუჩიკი (1899). დაამთავრა მიხეი-ლის საარტილერიო აკადემია. შტაბსკაპიტა-ნი (1907). პოლკოვნიკი (1908). ლაიბგვარდიის ცხენოსანი არტილერიის ბატარეის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. კავალე-რგრადთა პოლკის უფროსი (1914). გენერალ-მაიორი (1915 - წარჩინებისთვის). იმპერატორის ამალის წევრი. 1-ლი გვარდიული საკავალერიო დივიზიის 1-ლი ბრიგადის მეთაური (1916). გე-ნერალ-ლეიტენანტი (1917). კავკასიის მე-3 სა-არმიო კორპუსის უფროსი (1917). დაჯილდოე-ბული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ანას 1-ლი ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხა-რისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლები-თა და ბაბთით, წმ. ვლადიმირი მე-3 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის ხმლებით. უცხოური ორდენებით: ესპანეთის იზაბელას ორდენის კომანდორის ჯვარი, სა-ფრანგეთის საპატიო ლეგიონის. დაჯილდოე-ბული იყო იარაღით.

1918 წ-დან ქართულ ჯარშია. გაგზავნილი იყო დიპლომატიური მისიის წევრად ანკარაში, სადაც დარჩა კიდეც. 1921 საცხოვრებლად გა-დავიდა საფრანგეთში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ერისთავი გიორგი

ერისთავი გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე (3.X. 1875 - 10.V.1947) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ პაჟთა კორპუსი. კორნეტი (1895). პორუჩიკი (1899). შტაბსროტმისტრი, ფლიგელ-ადიუტანტი (1903). როტმისტრი (1907). პოლკოვნიკი (1914). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ულანთა ლაიბგვარდიის პოლკის მეთაური (1916). საკა-ვალერიო ბრიგადის მეთაური (1917). დაჯილ-დოებული იყო ორდენებით: წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლა-დიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანის-ლავის მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ანას მე-3 ხარისხის

ხმლებთა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით. უცხოური ორდენებით: იტალიის წმ. მავრიკიასა და ლაზარეს ორდენის ჯვარი, სპარსეთის ლომისა და მზის. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1918). საკავალერიო შენაერთების მეთაური. წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

„ერობა“ (1920-1921) - ორკვირეული საერობო ჟურნალი, ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა თბილისში. ჟურნალს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია, მეხუთე ნომრიდან კი - რედაქტორები: გრ. ლორთქიფანიძე და პ. საყვარელიძე. სულ დაიბეჭდა 15 ნომერი. ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ: ს. ავალიანი, მ. ახალაძე, გრ. ბენაშვილი, ვ. ბურჯანაძე, ივ. გომართელი, ივ. გომელაური, ა. გონჩაროვი, ნ. ელიავა, გრ. ლორთქიფანიძე, იდ. ონიაშვილი, მ. რუსია, ვ. ღლონტი, თ. ღლონტი, პ. საყვარელიძე და სხვ. გამოცემა მიზნად ისახავდა „ერობის ცხოვრების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქებას“. „ერობის“ 1920 წ-ის პირველი ნომრის შესავალ წერილში სარედაქციო კოლეგიის მიერ განმარტებულია ჟურნალის მიზნები და ამოცანები. სათემო ერობის არსსა და დემოკრატიული რესპუბლიკის თემთა უფლება-მოვალეობას შეეხება ივ. გომართელის სტატიები: „ერობის მნიშვნელობა“ და „თემი და მისი მოვალეობა“. საქართველოში ერობების დანიშნულებასა და საქმიანობაზეა საუბარი ვლ. გერსამიას სტატიაში „ქუთაისის სამაზრო ერობა (ქუთ. ერობის 1920 წ-ის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის გამო)“. ავტორის აზრით, „ერობა ერთსა და იმავე დროს არის როგორც წმინდა ხალხოსნური დაწესებულება, ისე სახელმწიფოებრივი ორგანოც“. ჟურნალი ცდილობს, მკითხველს გააცნოს სხვა ქვეყნების ერობათა ისტორია და პრაქტიკული მოღვაწეობა. ამ მხრივ აღსანიშნავია ვლად. ტკაჩოვი-ახობაძის წერილი „თემი ამერიკაში“ და ბ. თევზაიას „საზოგადოებრივი წარმოება (მისაბაძი მაგალითი ევროპის ცხოვრებიდან)“. „ერობის“ ფურცლებზე იბეჭდება წერილები საქართველოს ეკომონიკური მდგომარეობისა და მასში ერობების როლის შესახებ. მაგ., „ეკონომიკური მდგომარეობა და ჩვენი ერობა“, „ბიუჯეტი და ეკონომიკური შემოქმედება“, „თემის საბიუჯეტო უფლებების შესახებ“. თემის ბიუჯეტის საკითხს ჟურნალი ეხება არაერთ წერილში. გამოცემა მკითხველს აწვდის ერობების საქმიანობის ხარჯთაღრიცხვის სტატისტიკურ მონაცემებს. ასევე, აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს ქვეყნის ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ (ს. ავალიანი „თემის საბიუჯეტო უფლებების შესახებ“). ჟურნალში დაბეჭდილი კანონპროექტი თემის შესახებ განხილულია ცალკეულ პუბლიკაციებში, მაგ., ნ. ასათიანის „არსებული კანონი თემის შესახებ“; დ. ს-ლის „ჩვენი კანონპროექტის გამო“; „სათემო კანონპროექტის გამო“. გამოცემაში შუქდება სახალხო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, სოფლისა და თემების ცხოვრების, ეკონომიკური, ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის, ჯანდაცვის საკითხები, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის თემა, კულტურა და ხელოვნება. საქართველოში ევროპის სოციალისტთა დელეგაციის სტუმრობას „ერობა“ ეხმაურება მეთაური სტატიით „ევროპის სოციალისტთა დელეგაცია და ერობები“. ჟურნალს აქვს რუბრიკები: „თემთა ცხოვრება“ და „ერობათა ცხოვრება“, რომლებშიც მუდმივად ქვეყნდება ცნობები თემების, ერობათა კომიტეტისა და სამაზრო ერობების საქმიანობის შესახებ.

ლიტ.: ჟურ. „ერობა“, 1920, №1-14, 1921, №1-2; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

ერობა და ქალაქი (1919-1920) - ერობათა და ქალაქთა კავშირის ორგანო. ორკვირეული გამოცემა [მუნიციპალური კითხვების შესახებ], ჟურნალი გამოდიოდა თბილისში, ქართულ და რუსულ ენებზე. გამოცემის რედაქტორები იყვნენ: ა. ს. ბრიტნევი და ლ. მ. ნათაძე. გამომცემელი - საქართველოს ქალაქთა და ერობათა კავშირი. ჟურნალი თავისი შინაარსითა და მიმართულებით, არსებითად, ჟურნალ „კავკასიის ქალაქის“ პირდაპირი გაგრძელებაა. სახელის გარდა, შეიცვალა ჟურნალის რედაქციაც. „კავკასიის ქალაქის“ გამომცემელი იყო მხოლოდ ქალაქთა კავშირი, „ერობა და ქალაქს“ კი დაემატა ერობათა ცენტრალური ბიურო. როგორც ქალაქის, ისე ერობის საკითხები ერთნაირად შეეხებოდა თვითმმართველობას. ჟურნალის ძირითადი თანამშრომლები იყვნენ: ს. ავალიანი, ბ. თევზაია, ვ. ახობაძე-ტკაჩევი, პ. გამყრელიძე, ვ. ხახანაშვილი და სხვ. გამოცემის მიზანია ადგილობრივი მმართველობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გარკვევა-გაშუქება, მისი იდეების განმტკიცება-გაფართოება. ჟურნალში გამოქვეყნებული წერილები ეხება შემდეგ საკითხებს: ქალაქისა და ერობის ორგანიზაცია, ქალაქების თვითმმართველობები, ფინანსები, წარმოების მუნიციპალიზაცია, მუნიციპალური უფლება, მედიცინა, სანიტარია, სახალხო განათლება, გზები და სხვ. იბეჭდება სხვადასხვა რეგიონიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები. გვხვდება რუბრიკები: „ქრონიკა“, „ბიბლიოგრაფია“, „სავალდებულო დადგენილებები“.

ლიტ.: ჟურ. „ერობა და ქალაქი“, 1919, №1-2, 1920, №3-8; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

ერობა (სათემო) – ყველაზე წვრილი თვითმმართველობის ერთეული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1918 სამაზრო ერობების ფორმირების შემდეგ დაიწყო „წვრილი საერობო ერთეულის“ ჩამოყალიბების პროცესი. ამ საკითხმა ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, განსაკუთრებით საკამათოდ იყო ქცეული ორი საკითხი - 1. სათემო ერობათა საზღვრების ფორმირება და 2. ადგილობრივი ბიუროკრატიის მოცულობა. მაზრებში იმართებოდა სხდომები, რომელზეც დამოუკიდებლად მსჯელობდნენ წვრილი საერობო ერთეულების ფორმირებასა და ფუნქციებზე. 1918 წ-ის ნოემბრის დასაწყისში ქუთაისში შედგა „წვრილი საერობო ერთეულების“ წარმომადგენლების სხდომა, რომელზეც იმსჯელეს სათემო ერობების ჩამოყალიბების საკითხზე. გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი სპეციფიკა. დაადგინეს, რომ „წვრილი ერთეულების შექმნას საფუძვლად დაედება ძველი საზოგადოებების ფარგლები“ და მასში უნდა შედიოდეს არანაკლებ 3000 კომლი. იმავდროულად აღინიშნა, რომ სამაზრო ერობა არ იყო წინააღმდეგი, თუ ზოგიერთი შერდარებით პატარა მოსახლეობის სოფელი გადაწყვეტდა ცალკე ერობის შექმნას, ამ შემთხვევაში სოფელს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, შეენახა შესაბამისი ადმინისტრაცია. მსგავსი სხდომები იმართებოდა ყველა სამაზრო ერობაში, თუმცა ერთიანი პრინციპის შემუშავება ვერ მოხერხდა.

საქართველოს ერობათა წარმომადგენლების I-მა ყრილობამ (1919 წ-ის 21-27 თებერვალი) აღნიშნულ საკითხზეც საგანგებოდ იმსჯელა და საბოლოო რეზოლუციაშიც ასახა: „წვრილი საერობო ერთეულის შესახებ 1. ყრილობა აღიარებს, რომ წვრილი ერთეულების გამოჭრის დროს ერობები უმთავრესად უნდა ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი პირობების მიხედვით. 2. წვრილი ერთეულის ძირითად ორგანიზაციად მიღებულ უნდა იქმნას არსებული საზოგადოებანი, მხოლოდ, თუ ზემოდ აღნიშნული ადგილობრივი პირობების მიხედვით მიზან შეწონილება მოითხოვს, ზოგიერთ საზოგადოებათა შეერთება და გადამიჯვნა დასაშვებია“. საქართველოს ერობათა წარმომადგენლების II ყრილობამაც (1919 წ-ის 11-18 სექტემბერი) განიხილა წვრილი ერობების საკითხი და დაადგინა, რომ ამიერიდან ერობის „წვრილ ერთეულებს ყველგან დაერქვას თემი. თემის ხმოსანთა ყრილობას - თემის საბჭო, გამგეობას - თემის გამგეობა“. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებებისა, თემების დონეზე თვითმმართველობის ფორმირება საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1920 წ-ის 28 იანვარს ერობათა კავშირის კომიტეტისა და სამაზრო ერობათა წარმომადგენლების თათბირზე სათემო საკითხი კვლავ დღის წესრიგში იდგა. საბოლოო რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „თათბირი მიზანშეწონილად სცნობს ორ საფეხურიან ადგილობრივი მმართველობის - თემისა და სამაზრო ერობის - არსებობას. სადაც თემი რამდენიმე სოფლიდან შესდგება, იმ სოფლებისთვის გამოინახოს უფლებრივი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ იქ წესიერათ მართვა-გამგეობას“. უფლებამოსილებათა შესახებ კამათის პარალელურად მაზრებში აქტიურად წარმოებდა წვრილი ერობების ფორმირების პროცესი. ერობათა კავშირის ცნობით, 1920 წ-ის ივნისისათვის საქართველოში მოქმედებდა 19 სამაზრო ერობა, სადაც გამართულად მოქმედებდა სტრუქტურები. სამხედრო მოქმედებების გამო, ერობის ჩამოყალიბება დროულად ვერ მოხერხდა ახალქალაქისა და გაგრის რაიონში. ამის გარდა, თემების ერობები ფუნქციონირებდა: თბილისის მაზრაში - 7 სათემო ერობა, სიღნაღის მაზრაში - 26, თელავის მაზრაში - 15, თიანეთის მაზრაში - 5, დუშეთის მაზრაში - 6, გორის მაზრაში - 17, ქუთაისის მაზრაში - 42, შორაპნის მაზრაში - 27, რაჭის მაზრაში - 19, ლეჩხუმის მაზრაში - 24, ზუგდიდის მაზრაში - 45, სენაკის მაზრაში - 33, ოზურგეთის მაზრაში - 33 და გუდაუთის მაზრაში - 2. „წვრილი საერობო ერთეული“, სამწუხაროდ, ყველა რეგიონში არ შექმნილა და საერთოდ ერობების საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საბოლოოდ, დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოახერხა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, ერობა - თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918, ტ. I, თბ., 2017; ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

ჯაბა სამუშია

ერობათა კავშირი – სამაზრო და სათემო ერობების მაკოორდინირებელი ორგანო. შეიქმნა 1919 წ-ის 18 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენელთა მეორე ყრილობაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთავრობა აქტიურად ზრუნავდა პროვინციებში - მაზრებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ერობების, ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, განაგრძო ფუნქციონირება ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატთან არსებულმა ერობის შემომღებმა მთავარმა ინსტრუქტორმა (შეიქმნა 1918 წ-ის 18 თებერვალს), რომლის მიზანს წარმოადგენდა პროვინციებში არსებული ძველი მმართველობის ახლით ჩანაცვლება. 1918 წ-ის ივლის-ნოემბერში ერობების არჩევნები ჩატარდა თბილისში, სენაკში, ოზურგეთში, თელავში, ქუთაისში, შორაპანში, სიღნაღში, გორში, დუშეთში, ზუგდიდში, რაჭაში, ლეჩხუმში. ახლად შექმნილმა ერობებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ისეთივე მაკოორდინირებელი ორგანო, როგორიც ჰქონდა ქალაქის თვითმმართველობებს „ქალაქთა კავშირის“ სახით. ამ მიზნით თბილისში 1918 წ-ის 16 დეკემბერს შეიკრიბა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელსაც

მუშაობა უნდა დაეწყო ერობათა პირველი ყრილობის მოსაწვევად. ყრილობას უნდა დასწრებოდა სამაზრო ერობის ხმოსანთა საბჭოს მიერ არჩეული ორ-ორი დელეგატი (თუ არჩევა არ მოხერხდებოდა, იმ შემთხვაში ერობას უნდა გამოეგზავნა გამგეობისა და საბჭოს პრეზიდიუმის თითო წევრი). საორგანიზაციო ჯგუფმა განსაზღვრა ყრილობის პროგრამა. საქართველოს ერობათა წარმომადგენლების I ყრილობა გაიმართა 1919 წ-ის 21-27 თებერვალს. სხვადასხვა საკითხების პარალელურად ყრილობამ იმსჯელა „ერობათა კავშირის“ შექმნის შესახებ, რომლის ჩამოყალიბება უნდა განხორციელებულიყო ერობათა II ყრილობაზე.

საქართველოს ერობათა წარმომადგენლების II ყრილობა მიმდინარეობდა თბილისში 1919 წ-ის 11-18 სექტემბერს. დღის წესრიგით დელეგატებს უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე: ა) ბიუროს მოქმედების ანგარიში; ბ) ერობების მდგომარეობა; გ) ერობათა ცენტრის ორგანიზება; დ) საერობო დებულებანი: ცენტრის, მაზრის და თემის ერობათა; ე) ერობების ფინანსური მდგომარეობა; ვ) ადმინისტრაცია; ზ) მიმდინარე საკითხები. ყრილობამ ყველაზე დიდი დრო დაუთმო ერობათა კავშირის შექმნის საკითხს. 15 და 18 სექტემბრის სხდომებზე გაიმართა მწვავე კამათი საერობო ცენტრის შექმნის გარშემო. მომხრეები ამტკიცებდნენ ასეთი „კავშირის“ აუცილებლობას, თუმცა ყრილობაზე იყვნენ მოწინააღმდეგენიც, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მას შეიძლება ის უფლებები აეღო ხელთ, რაც ცენტრალური მთავრობის კომპეტენცია იყო. საბოლოოდ ყრილობამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „1) დაარსდეს სამაზრო ერობების კავშირი, რომელსაც დაევალება ადგილობრივი ერობების ხელმძღვანელობა და ცხოვრებაში გაყვანა იმ დადგენილებებისა, რომელიც სამაზრო ერობათა წარმომადგენლების ყრილობის მიერ იქნება გამოტანილი. 2) ამ მიზნისათვის არჩეული იქნას ყრილობის მიერ 9 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი კოოპტაციის უფლებით. კომიტეტში არჩეულ არიან: გრ. ლორთქიფანიძე, ის. სტურუა, პ. ქავთარაძე, ს. ჭანტურიშვილი, კ. სულაქველიძე, დ. ონიაშვილი, ლ. შენგელაია, ვ. ცაბაძე, არ. ემუხვარი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ არიან: მ. ცეკვაშვილი, ალ. მითაიშვილი, და დ. კარიჭაშვილი“. „ერობათა კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩიეს გრ. ლორთქიფანიძე, ხოლო მოადგილეებად, ვლ. ქუთათელაძე (ამ უკანასკნელმა 2 ოქტომბერს უარი განაცხადა წევრობაზე და მისი ადგილი დაიკავა ის. სტურუამ) და მიხ. ცეკვაშვილი.

1920 წ-ის დასაწყისში „ერობათა კავშირის“ ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, როდესაც მის განკარგულებაში გადავიდა რესპუბლიკის სასურსათო საბჭო, თავისი ქონებით. 1919 წ-ის 26-28 იანვარს თბილისში ჩატარდა „ერობათა კავშირის“ მთავარი კომიტეტისა და ერობათა გამგეობების წარმომადგენელთა თათბირი. დღის წესრიგით დელეგატებს უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე: 1. სასურსათო საბჭოს რეორგანიზაციის, მომარაგებისა და სხვა განყოფილებების დაარსება; 2. საერობო ბანკის დებულების განხილვა და დამტკიცება; 3. სოფლის ერობის დებულების განხილვა. 4. კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს არჩევნები. 5. მორიგი საკითხები. თათბირმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: „ცენტრალურ სასურსათო საბჭოს“ გაუქმებული სტრუქტურა გადანაწილდა ერობათა კავშირის შესაბამის განყოფილებებში. „კავშირმა“ საქართველოში მიზანშეწონილად ცნო ორსაფეხურიანი ადგილობრივი თვითმმართველობა - თემი და სამაზრო ერობა. თანხმობა განაცხადა, დაარსებულიყო საერობო ბანკი, რომლის აქციის ღირებულება განისაზღვრა ათასი მანეთით. დაარსდა ერობის ყოველწლიური ჟურ. „ერობა.“ შეიცვალა „ერობათა კავშირის“ ხელმძღვანელობა - თავმჯდომარედ აირჩიეს პარმენ (ნიკოლოზ) ჭიჭინაძე, მოადგილედ - მიხეილ ახალაძე. პრეზიდიუმის წევრებად - მიხეილ ცეკვაშვილი, ისიდორე სტურუა და გრიგოლ სოღორაშვილი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად თანამშრომლობდა „ერობათა კავშირთან“. ჩამოყალიბდა სტატისტიკური, საბუღალტრო, აგრონომიული, საექიმო-სანიტარიული განყოფილებები. კავშირის ეგიდით ეწყობოდა სხვადასხვა დარგის, მაგალითად, ექიმთა, აგრონომთა ყრილობები.

ერობათა კავშირის ცნობით, 1920 წ-ის ივნისისათვის საქართველოში მოქმედებდა 19 სამაზრო ერობა, სადაც გამართულად ფუნქციონირებდა სტრუქტურები. სამხედრო მოქმედებების გამო ერობის ჩამოყალიბება დროულად ვერ მოხერხდა ახალქალაქისა და გაგრის რაიონში. ამას გარდა, აქტიურად წარმოებდა ადგილობრივი თვითმმართველობის უფრო წვრილი ერთეულების - თემების ერობების ფორმირება. 1919 წ-ის ოქტომბრიდან „ერობათა კავშირმა“ დაიწყო მუშაობა საერობო დებულების ახალ ვარიანტზე, რომელმაც საბოლოო სახე 1920 წ-ის ნოემბერში მიიღო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1921 წ-ის თებერვალ-მარტის მოვლენების გამო მისი მიღება ვერ მოახერხა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, ერობა – თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918, ტ. I, თბ., 2017; ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

ჯაბა სამუშია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - დაარსდა 1917 წ-ის ივნისში. პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები - ეროვნული დემოკრატიზმი - XIX საუკუნის 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა თეორიულ ნააზრევში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მიმდევრები „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ გარშემო იყვნენ თავმოყრილი. „ცნობის ფურცლის“ ჯგუ-

ფი „ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის“ ან „ქართველ დემოკრატთა კომიტეტის“ სახელით მოქმედებდა. ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილი 1904 სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდა და მისი მემარჯვენე ფრთა შეადგინა. იზიარებდა საქართველოს ავტონომიის ლოზუნგს, მაგრამ არ თანაუგრძნობდა ფედერალისტთა სოციალისტურ იდეოლოგიას. 1905-1906 წწ-ში ეროვნულ-დემოკრატებმა სცადეს დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბება. პოლიტიკური ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტებზე სხვებთან ერთად ილია ჭავჭავაძეც მუშაობდა. 1905 დაბეჭდეს და გაავრცელეს პროგრამა („საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა“), შეადგინეს წესდება, თუმცა იმხანად საქმე წინ ვერ წავიდა. ი. ჭავჭავაძის მკვლელობამ კი პარტიის შექმნა კიდევ უფრო შეაფერხა. 1909 ეროვნულ-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა თბილისში დააარსა ყოველკვირეული ჟურნალი „ერი“. 1912 თბილისში შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატთა ახალი მძლავრი ჯგუფი (რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, შ. ქარუმიძე, გ. მაჩაბელი, შ. ამირეჯიბი და სხვ.), რომელმაც დააფუძნა ყოველკვირეული ჟურნალი „კლდე“. ქუთაისში მოღვაწე ეროვნულ-დემოკრატები (ვ. წერეთელი, ი. ოცხელი, ა. თორაძე, ი. ეკალიძე, ა. ასათიანი და სხვ.) 1911 წ-დან შემოკრებილნი იყვნენ გაზეთების „კოლხიდა“, „იმერეთი“ და „სამშობლო“ გარშემო. 1913 პ. სურგულაძემ და გ. კერესელიძემ ჟენევაში ჩამოაყალიბეს ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომელიც ასაბუთებდა და მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ევროპაში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (პ. სურგულაძე, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, შ. ქარუმიძე და სხვ.), რომელმაც სამშობლოს მომავალი ბედი გერმანიას დაუკავშირა და კურსი ევროპისაკენ აიღო. 1914 უცხოეთიდან დაბრუნებულმა ს. კედიამ დაიწყო ეროვნულ-დემოკრატთა ცალკეული ჯგუფების გაერთიანება, რის საფუძველზეც 1915 დაარსდა გაზეთი „საქართველო“ (რედაქტორი სანდრო შანშიაშვილი).

1917 წ-ის 4-20 ივნისს თბილისში შედგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა (კონფერენცია), რომელმაც მიიღო პროგრამა და წესდება. აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტი (ა. ასათიანი, რ. გაბაშვილი, გ. ვეშაპელი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ს. კედია, ე. წერეთელი, გ. ქიქოძე და სხვ.). მთავარმა კომიტეტმა პარტიის თავმჯდომარედ ს. კედია აირჩია, პარტიული ორგანოს - გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორად კი გ. ვეშაპელი დაამტკიცა. პარტიის პროგრამა სამ ძირითად დებულებას ემყარებოდა: ეროვნული სუვერენობის იდეა (პოლიტიკური ავტონომია), კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის დემოკრატიული ხასიათი. პროგრამა უარყოფდა სოციალიზმს. ედპ თავს ზეკლასობრივ, მთელი ერის ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციად მიიჩნევდა. თავის რიგებში აერთიანებდა თავადაზნაურობის პროგრესულ ნაწილს, მეწარმე-მრეწველთა, მეურნე გლეხთა და ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. 1917 წ-ის ოქტომბერში ედპ-ს ჩამოსცილდა მცირერიცხოვანი ჯგუფი (დ. ჩიქოვანი, ა. ახმეტელი, თ. სახოკია, დ. არონიშიძე და სხვ.), რომელიც საქართველოს რადიკალ-დემოკრატ გლეხთა პარტიად გაფორმდა. 1918 წ-ის სექტემბერში ედპ-ს კიდევ ერთი ჯგუფი გამოეყო (გ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, გ. მაჩაბელი, შ. ამირეჯიბი და სხვ.). ჯგუფმა დააარსა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (შემდეგში - ეროვნული, უფრო მოგვიანებით კი (1920) - მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია). საქართველოს ეროვნულ საბჭოში თავდაპირველად ედპ-ის 9 წევრი შედიოდა. მოგვიანებით მათი რიცხვი გაორმაგდა. 1918 წ-ის 26 მაისს შექმნილ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციურ მთავრობაში ეროვნულ-დემოკრატმა გიორგი ჟურულმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პოსტი დაიკავა. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც ედპ-მ 8 დეპუტატი გაიყვანა. ედპ-ის საპარლამენტო ფრაქცია (თავმჯდ. გ. გვაზავა) აქტიურად იყო ჩაბმული საკანონმდებლო საქმიანობაში, მონაწილეობდა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მომზადებასა და მიღებაში. 1921 წ-ის იანვარში შედგა საქართველოს არასოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია. ედპ-სთან გაერთიანდნენ მისგან გამოყოფილი რადიკალ-დემოკრატები და ეროვნული პარტიები, აგრეთვე, უპარტიოთა კავშირი (კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი და სხვ.) და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია). მიიღეს პარტიის ახალი პროგრამა. გაერთიანებული პარტიის თავმჯდომარედ კვლავ ს. კედია აირჩიეს.

1921 წ-ის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის ჯარებმა დაამხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრთა დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. გაერთიანებული ედპ-ის მთავარი კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების დემოკრატიული ფრაქციის დადგენილებით გადაწყდა, რომ პარტიის წევრები არ გაიხიზნებოდნენ და დარჩებოდნენ სამშობლოში. 1921 წ-ის სექტემბერში შეიქმნა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი. ედპ გახდა ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი საერთო-ეროვნული ცენტრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. იატაკქვეშა საქმიანობას სათავეში ედგა ს. კედია, რომლის დაპატიმრებისა და სამშობლოდან გაძევების შემდგომ, 1922, პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს კ. აფხაზი. მისი დახვრეტის შემდეგ

(1923) პარტიას სათავეში შალვა ამირეჯიბი ჩაუდგა. 1922 შექმნილ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში ეროვნულ-დემოკრატებს იასონ ჯავახიშვილი წარმოადგენდა. 1923 წ-ის ოქტომბერში, საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით, მოიწვიეს გაერთიანებული ედპ-ის სალიკვიდაციო კონფერენცია, რომელმაც პარტია ფორმალურად დაშლილად გამოაცხადა, ფაქტობრივად კი, კვლავ განაგრძო იატაკქვეშა მუშაობა. ედპ-ის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყებაში. ბევრი მათგანი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, გადარჩენილთა ნაწილი კი შეუერთდა ემიგრაციას, რომელმაც ბინა პარიზში დაიდო. 1925 წ-დან იქვე დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთის „სამშობლოსათვის“ (რედაქტორი ს. კედია) გამოცემა. ემიგრაციაში ედპ კიდევ ერთხელ გაითიშა. ს. კედიას და მის თანამოაზრეებს გაზეთ „მამულიშვილის“ ირგვლივ დაჯგუფებული რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე, რ. ინგილო და სხვ. დაუპირისპირდნენ. 1929 ისინი ა. ასათიანთან და ე. პატარიძესთან გაერთიანდნენ და ჟურნალი „სამშობლო“ დააფუძნეს. 1929 პარტიას გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფი გ. გვაზავას ხელმძღვანელობით, რომელსაც გაზეთი „საქართველო“ აერთიანებდა. 1932 წ-დან ს. კედიას ჯგუფი უშვებდა გაზეთ „საქართველოს გუშაგს“. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლები, საქართველოს განთავისუფლების მიზნით, თანამშრომლობდნენ გერმანიის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან, იბრძოდნენ გერმანიის დროშის ქვეშ. ს. კედიას გარდაცვალების შემდეგ პარტიას მეთაურობდნენ ჯერ - ალ. ასათიანი, შემდეგ - ელისე პატარიძე, შემდეგ კი - მიხეილ ქავთარაძე.

ლიტ.: ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, სპირიდონ კედია: პოლიტ. პორტრეტი, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნა – 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები კონსოლიდაციის აუცილებლობამდე მივიდნენ. მათ მომავალი საზოგადოების პროგრამაც გამოაქვეყნეს, მაგრამ თავდაპირველად ამ წამოწყებას წარმატება არ მოჰყოლია. ამის შემდეგ გაზეთმა „სახალხო საქმემ“ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ისეთი პოლიტიკური ორგანოს შექმნის აუცილებლობა შეახსენა, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და კონსენსუსს დაეფუძნებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა საერთო-ეროვნულ მოძრაობას უხელმძღვანელებდა. ეს საკითხი გაზეთმა „საქართველომაც“ წამოსწია და ეროვნული ბიუროს შექმნის აუცილებლობას მისცა უპირატესობა.

საქართველოს წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა - სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა 1- 917 წ-ის 4 აპრილს მოაწყვეს ინტერპარტიული კრება. 1917 წ-ის 16 აპრილს შედგა მეორე ინტერპარტიული კრება, მაგრამ ერთიანი პოლიტიკური გეგმის მიღება ამჯერადაც ვერ მოხერხდა. კრებებს თავმჯდომარეობდა ა. ჩხენკელი. 1917 წ-ის 3 აგვისტოს მესამე ინტერპარტიული კრება შედგა. მხოლოდ მეოთხე ინტერპარტიულმა კრებამ შეძლო 1917 წ-ის 12 აგვისტოს დადგენილების მიღება „ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს“ შექმნის შესახებ. მასში შევიდნენ სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენლები. ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს ბიუროში გაერთიანებაზე. ახლად შექმნილ ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროში თითოეულ პარტიას ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ჰყავდა. ბიუროს აღმასრულებელ ორგანოდ ითვლებოდა პრეზიდიუმი, რომელშიც პარტიების თითო წარმომადგენელი შედიოდა. პრეზიდიუმის წევრები იყვნენ: ა. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ს. კედია, გ. ლასხიშვილი, კ. მესხი, და მდივანი პ. საყვარელიძე. საინფორმაციო ბიურო იყო ინტერპარტიული ხასიათის გაერთიანება, რომელიც კოორდინაციას უწევდა ქართულ პოლიტიკურ ძალებსა და ამავდროულად წარმოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს ჩანასახს.

ინტერპარტიულმა საინფორმაციო ბიურომ სამი სხდომა ჩაატარა 1917 წ-ის 12, 20 და 25 აგვისტოს. ბიუროს პრეზიდიუმიც ამდენივე სხდომაზე შეიკრიბა 16, 18 და 21 აგვისტოს. მოკლე პერიოდის მანძილზე ინტერპარტიულ ბიუროს სახელი რამდენიმეჯერ შეეცვალა. მას საბოლოოდ უწოდეს „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917, 21 აგვისტო). მასში პარტიათა 10-10 წარმომადგენელი შედიოდა. „საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს“ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: აკ. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ნ. ჟორდანია, გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, კ. მესხი, ი. ჩერქეზიშვილი, სპ. კედია, გ. გვაზავა, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე (მდივანი). ჩამოყალიბდა სექციები: საფინანსო, სამხედრო, საშინაო, საგარეო და ა.შ., რომლებსაც სათავეში კომიტეტის წევრები ჩაუდგნენ. „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამა საქართველოს მომავალ ბედს რუსეთის დემოკრატიას და მის დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. აქედან გამომდინარე, ახლად შექმნილი ორგანოს შემადგენლობის წინაშე ორი ძირითადი საკითხი იყო დასმული: 1. რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში პოლიტიკური ძალების კოორდინაცია და შესაბამისი პროგრამის მომზადება; 2. საქართველოს ეროვნული საყოველთაო ყრილობის

მოწვევა და ქართველი ერის ლეგიტიმაციით აღჭურვილი ორგანოს შექმნის აუცილებლობა. ამ სასიცოცხლო საკითხების გადაჭრა „საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს“ მიენდო.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917). თბ., 1998; შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე) წიგნი I. თბ., 2003; შ. ვადაჭკორია, ერთხელ კიდევ „საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს“ შექმნის დროის დაზუსტებისათვის. იხ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I. თბ., 2016.

შოთა ვადაჭკორია

ეროვნული მუზეუმი (დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი) - საქართველოს ეროვნული მუზეუმი კავკასიის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა. მუზეუმის მშენებლობა 1910-1928 წწ-ში მიმდინარეობდა. 3.VI.1918 კავკასიის მუზეუმის დირექტორად ნოე ყიფიანი დაინიშნა, რომელიც ამავე მუზეუმის გეოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1918 მუშაობდა 19 ადამიანი. 1919 წ-ის იანვრიდან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც მუზეუმის დებულების შემუშავება დაევალა. 1.IX.1919 საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დეკრეტი „კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის ნაცვლად საქართველოს მუზეუმის დაარსების“ შესახებ. ასევე დაამტკიცა „საქართველოს მუზეუმის“ დებულება. მუზეუმი აგროვებდა, აწესრიგებდა, ინახავდა და მეცნიერულად ამუშავებდა მასალებს, რაც საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებს უკავშირდებოდა. მუზეუმი შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან: გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორია-არქეოლოგიის. მუზეუმთან არსებობდა წიგნსაცავი. მუზეუმი ექვემდებარებოდა სახალხო განათლების სამინისტოს. მის მმართველობას სამეცნიერო საბჭო განაგებდა, რომელიც მუზეუმის დირექტორის, ხუთივე განყოფილების გამგეებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსაგან არჩეული ხუთი წევრისაგან შედგებოდა. 1919 საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ დირექტორად ისევ ნ. ყიფიანი აირჩია. 1919 წ-ის სექტემბრიდან თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებლებიდან დაემატა ახალი თანამშრომლები. თანამშრომლებს მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. საქართველოს ეროვნულ არქივში არაერთი წერილი ინახება, სადაც მუზეუმის თანამშრომლები ექსპონატების მოსავლელი საშუალებების არქონას უჩიოდნენ და მთავრობისაგან დახმარებას ითხოვდნენ. 19.XII.1919 რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი მუზეუმის შენობის დასამთავრებლად თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით. გამოიყო 5.500000 მანეთი. 1919-1920 წწ-ში საჭირო ნივთების შესაძენად, სახალხო განათლების სამინისტროდან 104.800 მანეთი გამოიყო. სამეცნიერო ხარჯებისათვის ყოველთვიურად - 3.333, საგამომცემლო საქმისთვის - 3750 და საოჯახოსათვის - 1250 მანეთი გამოიყო. ამ თანხებით მოხერხდა როგორც ექსპედიციების მოწყობა, ისე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. 1919 დაისვა გაბნეული სამუზეუმო ნივთების მოძიებისა და შეძენის საკითხი. 1920 წ-ის აპრილში დაარსდა ფონდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების შესაძენად. 28.V.1920 გამოქვეყნდა დეკრეტი „კულტურული მემკვიდრეობის“ ქვეყნიდან გატანის აკრძალვასთან დაკავშირებით. დაიწყო მეცნიერული კვლევების გამოქვეყნება მუზეუმის პერიოდულ გამოცემებში, რომლის ხელმძღვანელობა ჯერ გ. ჩუბინაშვილს დაევალა, შემდეგ კი - გ. ჩიტაიას. 1920 წ-დან დაიწყო ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების შეკეთება-მოვლაზე ზრუნვა. შეიქმნა საბჭო, გ. ჩუბინაშვილისა და ინჟინრების ნ. სევეროვისა და ა. კალგინის შემადგენლობით. საქართველოს მთავრობის ჩარევით, მუზეუმთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაიჭრა, ყოფილი კავკასიის მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი ბ. ტერ-ავეტისიანი ძვირფასი ექსპონანტების მიყიდვას აპირებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებისათვის. ასევე, კავკასიის მუზეუმის საკუთრების, ბითლისის მონასტრის კარის გადაცემა სურდა ეჩმიაძინის ეკლესიის მუზეუმისათვის ამერ-იმერეთის სომხური გრიგორიანული ეკლესიის ეპარქიის ეპისკოპოსს. საბედნიეროდ, ექსპონატების გატანა ვერ მოხერხდა. 5.IV.1920, განათლების მინისტრის ინიციატივით, მუზეუმის შენობის გვერდით არსებული ქალთა გიმნაზიისა და სტამბის შენობები უნდა შეერთებოდა მუზეუმს და, ამავდროულად, უნდა დაეწყოთ შენობის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მთავრობისა და მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი მუშაობით უამრავი ნივთი შეემატა მუზეუმს, მოეწყო არაერთი ექსპედიცია და, ამავე დროს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებთან კონტაქტი დამყარდა.

საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის დაწყების დღიდანვე დიდი საფრთხე დაემუქრა სამუზეუმო განძეულობას. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ექსპონატები - ქუთაისში, შემდეგ - ბათუმში, ბოლოს კი საფრანგეთში გაეტანათ. განძის გატანას ექვთიმე თაყაიშვილი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი ხელმძღვანელობდნენ. განძეულობის 39 ყუთი 23 წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოში ჩამოიტანა. 1947 მუზეუმს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელი ეწოდა.

ლიტ.: გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990.

სალომე ჭანტურიძე

ეროვნული პარტია - შეიქმნა 1918 წ-ის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულ საბჭოში შემავალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია გაიყო და გაითიშა პარტიის მთავარი კომიტეტიც. ახალი ორგანიზაციის - დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატების ბირთვი შეადგინეს: გრიგოლ ვეშაპელმა, რევაზ გაბაშვილმა, დავით ვაჩნაძემ, მიხეილ მაჩაბელმა, ვასილ წერეთელმა, შალვა ქარუმიძემ, დიმიტრი ჯავახიშვილმა და სხვ., რომლებიც გაზეთ „კლდის" (ასევე გამოდიოდა „სალი კლდის", „პიტალო კლდისა" და „ნაციონალისტის" სახელწოდებით) ირგვლივ დაჯგუფდნენ. ახალი პარტიის ლიდერის, გრ. ვეშაპელის თანახმად, ედპ-ში იმთავითვე არსებობდა ორი მიმართულება: ერთი მთავარ ყურადღებას აქცევდა სოფლის, მიწის მესაკუთრეთა „აგრარულ" ინტერესებს, ხოლო მეორე გამოხატავდა ქალაქის, „ბურჟუაზიულ" მისწრაფებებს. „პროგრამისა და ტაქტიკის სხვადასხვაობამ გვაიძულა ჩვენ გამოვყოფოდით და ცალკე პარტიული ორგანიზაცია დაგვეარსებია". 1918 წ-ის ნოემბერში დაფუძნდა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატთა თბილისის ორგანიზაცია. საქალაქო კომიტეტის წევრებად აირჩიეს: ვ. ციციშვილი, მ. იშხნელი, გ. მამრაძე, გ. ჩხეიძე და რ. ნიჟარაძე. პირველადი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა ქუთაისში, ზესტაფონში, გორში და სხვ. დამოუკიდებელმა ნაციონალ-დემოკრატებმა ამის შემდეგ თავს ეროვნული პარტია უწოდეს და დაიწყეს სამზადისი დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის. 1919 წ-ის თებერვალში ეროვნული პარტიის საარჩევნო სიამ (№ 8) მხოლოდ 1532 ხმა მიიღო, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა სადეპუტატო მანდატის მოსაპოვებლად. დამფუძნებელი კრების პირველი დამატებითი არჩევნების შედეგად (1919 წ-ის აგვისტო) დეპუტატი გახდა გრიგოლ ვეშაპელი, ხოლო მეორე დამატებითი არჩევნებით - შალვა ქარუმიძე. 1920 წ-ის ივნისში ეროვნული პარტიის მთავარმა კომიტეტმა შეადგინა და გამოაქვეყნა პარტიის პროგრამის პროექტი. 1920 წ-ის 23-24 ოქტომბერს თბილისში მოწვეულ იქნა ეროვნული პარტიის პირველი კონფერენცია. კონფერენციამ დაამტკიცა პარტიის პროგრამა და აირჩია პარტიის მთავარი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე, მიხეილ მაჩაბელი, ვასილ წერეთელი, შალვა ქარუმიძე, დიმიტრი ჯავახიშვილი, მიხეილ იშხნელი, გიორგი წინამძღვრიშვილი, სარგის კაკაბაძე, გიორგი ლეონიძე (თბილისის სამაზრო ორგანიზაციის თავმჯდომარე), კონსტანტინე კაპანელი (ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის თავმჯდომარე), ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. კონფერენციის მინდობილობით, მთავარმა კომიტეტმა სახელი შეუცვალა პარტიას და მას „მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია" უწოდა. პარტიის ცენტრალურ ორგანოდ გაზეთი „მიწა" გამოცხადდა (რედაქტორი გრ. ვეშაპელი). მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია ატარებდა „ეროვნულ და სოფლურ პოლიტიკას", მიზნად ისახავდა მშრომელი გლეხობის სამსახურს და საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლას. მისი ლოზუნგი იყო „საქართველო ჯერ ქართველებისათვის". 1920 წ-დან შეინიშნება მემარჯვენე ძალების კონსოლიდაციის პროცესი. 1920 წ-ის 8 დეკემბერს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის მთავარი კომიტეტი ყველა არასოციალისტური პარტიის გაერთიანების წინადადებით გამოვიდა. იდეა მისაღები აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატებისათვისაც. კონფერენცია 1921 წ-ის 23-27 იანვარს თბილისში გაიმართა, სადაც რეზოლუციით ერთხმად დადასტურდა არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანების ფაქტი. ახლად გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ეწოდა „საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი)". კონფერენციამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და აირჩია მთავარი კომიტეტი. გაერთიანებული პარტიის თავმჯდომარედ სპირიდონ კედია აირჩიეს.

ლიტ.: მ. მ ა ც ა ბ ე რ ი ძ ე, საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია, კრებულში - საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები. 1906-1921, თბ., 2008; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002;

ოთარ ჯანელიძე

ეროვნული საბჭო (პარლამენტი) – საქართველოს ეროვნული საბჭო შეიქმნა 1917 წ-ის საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე (1917 წ-ის 19-22 ნოემბერი). ყრილობამ 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა - 67 წევრი და 61 კანდიდატი. პარტიული კუთვნილების მიხედვით: 26 სოციალ-დემოკრატი, 10 სოციალისტ-ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 7 სოციალისტ-რევოლუციონერი, 4 ალიონელი, 1 რადიკალ-დემოკრატი, 2 უპარტიო, 3 სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარა) წარმომადგენელი, 2 სოხუმის ოლქიდან (აფხაზეთი), 1 ზაქათალის ოლქიდან (საინგილო), 1 საქართველოს ოსთა წარმომადგენელი. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია, რომელიც იყო აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. პრეზიდიუმში შედიოდნენ თავმჯდომარის ამხანაგები - ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი, მდივანი - პ. საყვარელიძე და ხაზინადარი - კ. მესხი. 1918 წ-ის 11 თებერვალს განხორციელდა ეს-ოს რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მისი წევრების რაოდენობა 88-მდე გაიზარდა. შექმნის დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვ-

ნულმა საბჭომ 19 სხდომა ჩაატარა და, ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. იგი იყო ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო. მის სხდომებზე განიხილებოდა ქვეყნის რეალობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

1918 წ-ის 26 მაისს, კვირა დღეს, 16 სთ. და 50 წთ-ზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, გოლოვინის (დღევანდელ რუსთაველის) გამზირზე გაიმართა ეს-ოს XIX სხდომა. სხდომის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც საბჭომ ერთხმად დაამტკიცა. საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. საბჭომ დაამტკიცა საქართველოს კოალიციური მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც 24 ივნისს შეცვალა ნ. ჟორდანიამ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით ეროვნული საბჭო მიჩნეულ იქნა საკანონმდებლო ორგანოდ, რომელსაც მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა. 1918 წ-ის 29 მაისს ეს-ოს სხდომაზე მისი წევრების რაოდენობა 121 კაცით განისაზღვრა. გაუქმდა აღმასრულებელი კომიტეტი და შეიქმნა პრეზიდიუმი 5 წევრის შემადგენლობით. 1 ივნისს ეროვნულმა საბჭომ პრეზიდიუმის შემადგენლობა დაამტკიცა: თავმჯდომარე - ნიკოლოზ ჩხეიძე, მოადგილეებად აირჩიეს - იოსებ ბარათაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად - დავით ონიაშვილი, მდივნის ამხანაგად - იოსებ აბაკელია. იმავე სხდომაზე შეიქმნა კომისიები: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სამოსამართლო და საადმინისტრაციო, სასკოლო და ხელოვნების, სახალხო მეურნეობისა და სასურსათო, სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობისა და საერობო. 1918 წ-ის 4 ოქტომბრის სხდომაზე საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდების შეცვლის საკითხი დაისვა, რის შედეგადაც, 8 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული კანონის მიხედვით, ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა. ეროვნულმა საბჭომ და შემდგომში პარლამენტმა ფუნქციონირების მანძილზე არაერთი კანონი შეიმუშავა და მიიღო, რომლებიც საქართველოს ეროვნული, სოციალური და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას ემსახურებოდა. 1918 წ-ის 22 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით არჩევნების ჩატარებას. არჩევნების დღედ 14 თებერვალი დაინიშნა. დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა 1919 წ-ის 31 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც პარლამენტი დათხოვნილად ითვლებოდა დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების დღიდან.

საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონები: საქართველოს მოქალაქეობის შესახებ (1918, 16 ივლისი); სახალხო გვარდიის შესახებ (1918, 2 ივლისი); დებულება სამხედრო მმართველობის (1918, აგვისტო) და კანონი რეგულარული არმიის ორგანიზების შესახებ (1918, აგვისტო); დებულება სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ (1918, აგვისტო); საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის (1918, 2 აგვისტო); სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ (1919, 28 იანვარი); ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ (1918, 1 ოქტომბერი); რეგლამენტის დამატებისა ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ (1918, 15 ოქტომბერი); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების შესახებ (1918, 27 აგვისტო) და სხვ. პარლამენტის შემდეგ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა განაგრძო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ.

ლიტ.: ნ. ჭანტურია, ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი ხელნაწერის უფლებით, თბ., 2005; შ. ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, 1917. თბ., 1998; ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918, თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

ეროვნული სამუზეუმო საგანძური - საქართველოს მუზეუმებში, ეკლესია-მონასტრებში, სასახლეებში (თბილისი, ზუგდიდი, ბორჯომი) დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები, ოქროს და ვერცხლის ნივთები, ხელნაწერები, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1921-1945 წწ-ში ემიგრაციაში, საფრანგეთში გაიტანა. წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის და რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის პროფესორს, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს ექვთიმე თაყაიშვილს მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვა, რომ სამუზეუმო საგანძური, ბოლშევიკების დარბევისგან გადარჩენის მიზნით, დროებით საზღვარგარეთ გაეტანათ. ჯავახიშვილის შიში არ იყო უსაფუძვლო, რადგან კარგად უწყოდა, თუ როგორ გაყიდეს სამოქალაქო ომის პერიოდში რუსული მუზეუმების ექსპონატები ბოლშევიკებმა. ნოე ჟორდანიას განკარგულებით უცხოეთში გასატანად მომზადდა ეროვნული საგანძური, რომელიც განთავსდა 249 ყუთში. საგანძურის სრული

აღწერილობა 2 ცალად მომზადდა. საქართველოში არსებული სია გამოქვეყნდა 1931 წ-ის 22 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“. მის მეთვალყურედ და პასუხისმგებელ პირად დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. საგანძური 20-21 თებერვლის ღამეს გავიდა ტფილისის რკინიგზის სადგურიდან. ქუთაისში დაემატა ექსპონატები, მათ შორის, გელათის მონასტრიდან. საგანძური 3 მარტს ჩავიდა ბათუმში. კავკასიაში საფრანგეთის კომისრის აბელ შევალიეს დახმარებით, საგანძური ვაგონებიდან გადაიტანეს ფრანგულ კრეისერ „ერნესტ რენანზე” და 11 მარტს სტამბულისკენ გააგზავნეს. სტამბოლში საგანძური ძველ ფრანგულ სამხედრო სატრანსპორტო გემ „ბენ ჰოაზე” გადაიტანეს. 1921 წ-ის 10 აპრილს საფრანგეთში, მარსელის ნავსადგურში, ეროვნული საგანძური ჩამოტვირთეს და მარსელის ბანკში დააბინავეს. ემიგრაციაში ეროვნული საგანძური მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულმა სალომემ, ობოლენსკის ქვრივმა, სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა განძის ის ნაწილი, რომელიც მისი მამა-პაპის კუთვნილი ზუგდიდის სასახლიდან იყო წაღებული, სასამართლო 7 წელს გაგრძელდა და ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ძალისხმევით მოიგო. 1926 ნიუ-ორკის „მეტროპოლიტან მუზეუმის“ დირექტორმა ე. თაყაიშვილს სთხოვა ქართული საგანძურის აშშ-ში 6 თვით გამოფენა, რაზეც უარი მიიღო. ნიუ-იორკის ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმის დირექტორი 500 000 ფრანკად სთავაზობდა ე. თაყაიშვილს ქართულ კოლექციებში დაცული ტიხრული მინანქრების შესყიდვას, სანაცვლოდ, განძის შენახვის საფასურს გაუსტუმრებდნენ ბანკს, აგრეთვე გამოსცემდნენ ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებს და ალბომს. 1933 წ-მდე, ვიდრე საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საფრანგეთმა სტატუსი არ გაუუქმა, განძეულობა ხელუხლებლად ელაგა. ამ დროიდან კი დაიწყო ბრძოლა ეროვნული განძის გადასარჩენად. ექვთიმე თაყაიშვილს განძეულის პატრონობის დამამტკიცებელი არავითარი იურიდიული დოკუმენტი არ გააჩნდა. იურისტების რჩევით, ექვთიმე თაყაიშვილმა დაარწმუნა საფრანგეთის მთავრობა, რომ მარსელის ბანკში შენახული განძეულობა არასოდეს შეადგენდა ემიგრანტული მთავრობის საკუთრებას, რომ იგი საქართველოს კერძო მუზეუმის საკუთრება იყო და, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, მათვე უნდა დაბრუნებოდათ. ამასობაში საფრანგეთის მთავრობამ სადავოდ ქცეულ განძეულობას ადგილი შეუცვალა და მარსელის ბანკიდან პარიზის ერთ-ერთ ბანკში გადაიტანა და მცველად ფრანგი მოხელე ჟოდონი მიუჩინა.

II მსოფლიო ომის დროს ოკუპირებული პარიზის ბანკის სეიფებში ჩაკეტილი საქართველოს სამუზეუმო ქონება კვლავ საფრთხის წინაშე დადგა. ზოგიერთი ემიგრანტი ქართველის მიერ გესტაპოსთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ნაცისტებმა წარმომადგენლები გააგზავნეს და საფრანგეთის მთავრობისაგან ოფიციალურად მოითხოვეს განძეულის გატანა ბერლინში. დაიწყო მოლაპარაკება. ზურაბ ავალიშვილმა და გრიგოლ ფერაძემ შეძლეს ნაცისტების დარწმუნება, რომ სამუზეუმო ექსპონატებს არავითარი მატერიალური ღირებულება არ გააჩნდა და მხოლოდ ქართველი ერისთვის იყო მნიშვნელოვანი. მსოფლიო ომის დასასრულს ე. თაყაიშვილმა წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ბოგომოლოვს ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ე. თაყაიშვილის წერილობითი მოხსენება ბოგომოლოვმა გააცნო მარშალ დე გოლს. დე გოლი იმჟამად საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დასადებად ემზადებოდა და ეროვნული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნება მისი მხრიდან დიპლომატიური ჟესტი იქნებოდა ი. სტალინის წინაშე. 1944 წ-ის 23 ნოემბერს დე გოლმა გასცა განკარგულება განძის დაბრუნების შესახებ. ორმა საგანგებო თვითმფრინავმა, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის აეროპორტების გავლით, საქართველოში ჩამოიტანა სამუზეუმო განძეულობა. საგანძურს თან ახლდა მისი მცველი - 82 წლის ექვთიმე თაყაიშვილი.

ლიტ.: შ. ამირანაშვილი, „საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“, თბ., 1968, თბ., 1978; ე. თაყაიშვილი, „რჩეული ნაწერები“; ე. უბილავა, „განძეულის გუშაგი“, თბ., 1980; გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, 1983; ი. მეგრელიძე, „ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1989.

ბონდო კუპატაძე

ეროვნული სამხატვრო გალერეა - 1920 წ-ის 30 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. თბილისში ამა წლის 1 თებერვლიდან ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ. გალერეა 1888 აგებულ რუსეთის სამხედრო-ისტორიის მუზეუმის (დიდების ტაძრის) შენობაში განთავსდა. მისი გახსნა და ხელმძღვანელობა დიმიტრი შევარდნაძის სახელთანაა დაკავშირებული. სამხატვრო გალერეის მიზანს საქართველოსა და საქართველოს მოსაზღვრე ხალხთა ხელოვნების, და ახალი, მხატვრობისა და ქანდაკების ნაწარმოებთა შეძენა და დაცვა წარმოადგენდა. მასთან არსებობდა წიგნსაცავი, სადაც წიგნები, სამხატვრო ჟურნალები გროვდებოდა. სამხატვრო გალერეა სახალხო განათლების მინისტრს ექვემდებარებოდა. მისი საჭიროებისთვის 1.II.1920-დან 1.VI.1920-მდე 43.780 მანეთი გამოიყო. გალერეის ფინანსებს შეადგენდა: ა. სახალხო განათლების სამინისტროდან გამოყოფილი თანხა; ბ. მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, შემოწირულებანი, კოლექციების ასლების გაყიდვით მიღებული თანხები. 19.X.1920 ჟურნალ „მხე-

ეროვნული გალერეა, დიდების ტაძარი

დარში“ საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის მოწოდება დაიბეჭდა: „ბ-ნ განათლების მინისტრის თანხმობით და მოწონებით საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა მხატვრულ-მეცნიერული მიზნით აწყობს მთელი მხატვრობის სურათების გამოფენას, გალერეა თხოვს ყველას ნახატების ჩაბარებას. გალერეა გარანტიას იძლევა სურათების დაცვისა და ხელშეუხებლობისათვის. გამორჩეულებს კი შეიძენს“. 1920 წ-ის ოქტომბერში პირველი გამოფენა გაიხსნა, სადაც, იმ პერიოდში მოღვაწე მხატვრების ნამუშევრებთან ერთად, XVIII-XIX სს. ე.წ. „ტფილისური სკოლის“ პორტრეტები, დასავლეთ ევროპული, რუსული და ირანული ხელოვნების ნიმუშები გამოიფინა. ხელისუფლების მხარდაჭერითა და იმდროინდელი საზოგადოების დახმარებით, გალერეას მალე საკმაოდ დიდი კოლექცია შეემატა.

1921 წ-დან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ გალერეის განვითარებაც შეაფერხა. 1932 გალერეის რეორგანიზება განხორციელდა, მის ბაზაზე შეიქმნა სახვითი ხელოვნების მუზეუმი, სადაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების კოლექციები გაერთიანდა. სახვითი ხელოვნების მუზეუმი მეტეხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა. 1950 წ-დან ის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმად იწოდებოდა და 1838 აგებულ სასულიერო სემინარიის შენობაში განთავსდა. დღეს საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეას დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა ეწოდება, სახვითი ხელოვნების მუზეუმს კი - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. 2007 წ-დან ეს მუზეუმები გაერთიანებულია ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990. ჟურნალი „მხედარი“,1920, №16.

სალომე ჭანტურიძე, მაია ციციშვილი

ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკა – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორია 1846 წ-დან იღებს სათავეს, როდესაც თბილისში, მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. 1848 ბიბლიოთეკას გადაეცა დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გახსნილი „კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ ფონდი. 1852 მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით, კავკასიის საცენზურო კომიტეტს დაევალა, რათა კავკასიის ფარგლებში დაბეჭდილი ყველა გამოცემის ორი ეგზემპლარი, როგორც სავალდებულო ცალი, გადასცემოდა საჯარო ბიბლიოთეკას. 1871 ბიბლიოთეკა ახლად აგებულ შენობაში გადავიდა.

1918 საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ დაიწყო ბიბლიოთეკების მასობრივად დაარსება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკაც დაარსდა. 1 ივლისს მოეწყო საბიბლიოთეკო კომისიის პირველი შეკრება, მთავარი საკითხი იყო ყოფილი მეფისნაცვლისა და მთავრობის სასახლის ბიბლიოთეკის მდგომარეობის გაცნობა. საბიბლიოთეკო კომისიამ დაადგინა, რომ ბიბლიოთეკაში წიგნები არეული და მოუწესრიგებელ მდგომარეობაში იყო, ისინი კანცელარიის ორ ნესტიან სარდაფში ეყარა, ზოგი დერეფნის გასასვლელებში იყო შენახული. ეროვნული საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიამ პარლამენტის დანარჩენ კომისიებს მიმართა თხოვნით, ეცნობებინათ იმ წიგნების სია, რომელთა შეძენაც მათ მიაჩნდათ საჭიროდ. მიმართვის ადრესატები იყვნენ: სარწმუნოების კომისია, საზავო კომისია, სამხედრო, საფინანსო,

აგრარული, იურიდიული, საკონსტიტუციო, მუშათა და შრომის, მმართველობითი და თვითმმართველობითი, გზების, დამფუძნებელი, სამეურნეო საქმეთა, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის კომისიები. ბიბლიოთეკის ფონდის შესაძენად ხელისუფლებამ გამოყო გარკვეული თანხა. საბიბლიოთეკო კომისიის თავ-რე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი - ანა (ოლლა) სოლოღაშვილი. კომისიამ შეადგინა მუშაობის გეგმა. თავ-რეს დაევალა, გასცნობოდა ვეიდენბაუმის ბიბლიოთეკას, რომელიც ამ დროს იყიდებოდა და თავისი დასკვნა წარმოედგინა ფონდის შეძენის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე. თაყაიშვილმა თავის მოხსენებაში აღწერა შესაძენი ფონდი, სადაც კავკასიის შესახებ 2050 წიგნი იყო დაცული, ასევე იყო სხვა ლიტერატურაც, სულ 2607 ეგზემპლარი. პარლამენტის ბიბლიოთეკამ შეიძინა აღნიშნული ფონდი 40 ათას მანეთად. ეროვნულ საბჭოს წიგნსაცავის შესაძენად გამოყოფილი ჰქონდა 120 ათასი მან. პარლამენტის ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეძენას უცხოეთში ავალებდნენ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებს. მაგ., გერმანიაში წიგნების შეძენა დაევალა ახმეტელაშვილს.

1996 წ-დან ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაშია.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 273.

დოდო ჭუმბურიძე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები დემოკრატიულ საქართველოში – ეროვნული სახელმწიფოს და მისი შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობად და პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნეოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. ამ მიმართულებით პირველ ქმედით ნაბიჯს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეხუთე და მეექვსე მუხლების დებულებები წარმოადგენდა (იხ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი). ყურადსაღებია საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონი: სახელმწიფო ენის, დებულება მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) და კანონი მოქალაქეობის, რომლებითაც სახელმწიფოს წინაშე ეროვნული უმცირესობების უფლება-მოვალეობებიც განისაზღვრებოდა. ამ დოკუმენტებით საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 29 მაისის დადგენილებით, ეროვნულ საბჭოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის განსაზღვრისათვის საგანგებო კომისია შეიქმნა, რომლის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების 20 ათას მცხოვრებს, საკანონმდებლო ორგანოში ერთი დელეგატის გაგზავნის უფლება მიეცა. იგივე დოკუმენტი გამონაკლისსაც უშვებდა იმ ეთნიკური უმცირესობებისათვის, რომლებიც ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ (ბერძნები, გერმანელები, ებრაელები). მათ მიერ შერჩეულ კანდიდატს ქართული ენა უნდა სცოდნოდა. ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 13 სექტემბრის დადგენილებით, ეროვნულ უმცირესობებს ქვეყნის ეროვნულ საბჭოში 26 ადგილი მიეცა. სომხებს - 10, აზერბაიჯანელებს - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ისრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1, გერმანელებს - 1. პარლამენტის 1919 წ-ის 11 იანვრის კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საქმის წარმოება, სახელმწიფო ენასთან ერთად, ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენაზედაც იყო დაშვებული. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, ეთნიკური უმცირესობების მოსწავლე-ახალგაზრდობას პირველდაწყებითი და, ზოგან, საშუალო განათლების მიღება უფასოდ შეეძლო. დამფუძნებელი კრების 1919 წ-ის 9 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს განაპირა კუთხეების ქართველი და არაქართველი ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების სახით 200 ათასი მანეთი იქნა გამოყოფილი. 1920 წ-ის მონაცემებით, საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა 306 სკოლა ფუნქციონირებდა, აქედან 81 - სომხური, 66 - ბერძნული, 60 - რუსული, 48 - ოსური, 31 - აზერბაიჯანული, 20 - აფხაზური. საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა ქართველ მოსახლეობასთან სრულ თანასწორობაში ყოფილიყო. ქართველმა კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს ლ. ნათაძის მიერ შემუშავებულ კონცეფციას ეროვნული თემების შექმნის შესახებ. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს თვითმმართველ ეროვნულ ერთეულებთან ექნებოდა საქმე, რომლებიც კულტურული ავტონომიის უფლებით ისარგებლებდნენ. სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულების ურთიერთობას კანონმდებლობა დაარეგულირებდა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ეთნიკური უმცირესობებისათვის შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები (თემები, ერობა, ქალაქი) ერთმანეთთან შეერთების და ეროვნული კავშირის შექმნის უფლებით ისარგებლებდა, რომლის საქმიანობა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროთი შემოიფარგლებოდა და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებს არ გასცილდებოდა.

ეთნიკური უმცირესობების უფლება-მოვალეობები განისაზღვრა დემოკრტიული საქართველოს კონსტიტუციის XIV თავით - „ეროვნულ უმცირესობათა უფლება“ (მუხლები 129 - 137). მასში მოცემული დებულებების სრულყოფას საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული მართვა-გამგეობის დებულება არეგულირებდა.

ლიტ.: მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996; შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001; ა. სონღულაშვილი, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა, თბ., 2013.

შოთა ვადაჭკორია

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ კანონი საქართველოს ეროვნულ საბჭოში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი – ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი - საქართველოს პირველ რესპუბლიკაში მთელი სიმწვავით იდგა. 1918 წ-ის 26 მაისის საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში, მოსახლეობს სხვადასხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა“. სახელმწიფოს პოლიტიკური ნება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის მზაობის თაობაზე ჯერ კიდევ 1918 წ-ის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით იქნა აღიარებული. დამოუკიდებლობის აქტის მე-5 და მე-6 მუხლში აღნიშნულია: „5. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ერს“. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 15 ივნისის სხდომაზე მიღებულ დეკლარაციაში ვკითხულობთ: „მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს, ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი“. 1918 წ-ის 29 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღო, რომელშიც აღნიშნულია: „საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელნი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიღებულნ იქნან ამ ერების მოსახლეობის რაოდენობის პრინციპით. თვით წარმომადგენლების მოწვევა ხსენებულ ერების ნაციონალურ საბჭოებთან ან სხვა ამგვარ დაწესებულებებთან შეთანხმებით მოხდეს“. 1918 წ-ის 11 ივლისის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკურ უმცირესობებს 20000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატის გაგზავნის უფლება ეძლეოდათ. ამავე დროს, ყველა კანდიდატის წინაშე მკაცრი მოთხოვნა იყო დაყენებული - ქართული ენის ცოდნის აუცილებლობა. თუმცა 1918 წ-ის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს დაემატა „წესი ენის ხმარებისა“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, შეეძლო სიტყვა წარმოეთქვა იმ ენაზე, რომელიც პრეზიდიუმის ერთ-ერთმა წევრმა იცოდა.

1918 წ-ის 31 აგვისტოს კანონში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს, ხოლო 10 სექტემბერს ეთნიკური უმცირესობებისათვის გათვალისწინებული 28 ადგილი 26-მდე შეამცირეს და ამ სახით 13 სექტემბერს სხდომაზე ოფიციალურად დამტკიცდა ეს კანონი. მასში აღნიშნულია: „მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შესდგება, სახელდობრ, სომხებს - 10, თათრებს - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ისრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1, გერმანელებს - 1, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ ამ ერების ეროვნულმა საბჭოებმა, რომელნიც არჩეულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ. შენიშვნა: სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება მიეცეს ისეთ ერის წარმომადგენელს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებებში საქართველოს რესპუბლიკაში“.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990.

ბექა ქანთარია

ეროვნული ყრილობა – 1917 რუსეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ქართველი ერის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემების მოგვარება ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს კომპეტენციას აღემატებოდა. შექმნილი ვითარება ეროვნული ყრილობის ან მის მიერ არჩეული სამართლებრივად უფლებამოსილი ორგანოს შექმნას და ფუნქციონირებას მოითხოვდა. „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ 1917 წ-ის 23 სექტემბრის სხდომამ განიხილა გრ. რცხილაძის მიერ შემუშავებული რეგლამენტი ეროვნული კრების მოწვევის შესახებ. 3 ნოემბრის სხდომაზე მიღებული დადგენილებით გადაწყდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა. 1917 წ-ის 19 ნოემბერს ოპერის თეატრში მუშაობა დაიწყო საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც „საქართველოს ეროვნუ-

ლი ინტერპარტიული საბჭოს“ სახელით გახსნა აკ. ჩხენკელმა. ყრილობის თავმჯდომარედ ნ. ჟორდანია აირჩიეს, ხოლო მოადგილეებად - გ. ლასხიშვილი, გრ. ვეშაპელი, ვლ. გობეჩია, აკ. ჩხენკელი; მდივნებად - გრ. ურატაძე, ს. დადიანი, მ. გაბაშვილი, ივ. გომართელი. სამანდატო კომისიამ კანონიერად 329 მანდატი ცნო, ხოლო 19 დელეგატს სათათბირო ხმის უფლება მისცა. ყრილობაში მონაწილეობდნენ: 1. ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები - 67 პირი; 2. კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრი - 15; 3. ქალაქთა თვითმმართველობები - 33; 4. საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტები - 39; 5. ქართული ჯარი - 20; 6. კოოპერატივები - 20; 7. პროფესიული კავშირები - 8; 8. მასწავლებელთა კავშირი - 9; 9. ქართული პრესა - 9; 10. კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები - 35; 11. ვაჭარ-მრეწველები და ბანკები - 26; 12. ამიერ-იმიერის თავადაზნაურობა - 20; 13. ქართული კოლონიები - 8; 14. საკათალიკოსო საბჭო - 1; 15. სხვადასხვა დაწესებულებანი - 8; 16. ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკეები - 7; 17. საქართველოში მცხოვრები ებრაელები - 3; 18. აფხაზები - 2. ყრილობის მუშაობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირონ II მონაწილეობდა. ყრილობას ესწრებოდა ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით; რუსეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალი, გენ. პრჟევალსკი, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები. ყრილობის დელეგატების შემადგენლობა საქართველოს მოსახლეობის სოციალური ფენების მაქსიმალური გათვალისწინებით იყო წარმოდგენილი. ყრილობის პირველივე სხდომამ სამუშაო დღის წესრიგი დაამტკიცა. ყრილობამ მოისმინა ნ. ჟორდანიას მოხსენება: „თანამედროვე მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“. მოხსენების საფუძველზე შემუშავდა ათპუნქტიანი რეზოლუცია, რომელმაც დააფიქსირა „საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“, რაც ავტონომიას გულისხმობდა. განიხილეს მიმდინარე საკითხები: ერობის, ჯარის ნაციონალიზაციის, სკოლების ნაციონალიზაციის, მართვა-გამგეობის და ადმინისტრაციის ნაციონალიზაციის, სასურსათო საკითხის, საბჭოს არჩევის შესახებ. 20 ნოემბრის სხდომამ გამოყო და დაამტკიცა სამუშაო სექციები: ეროვნულ-პოლიტიკური, საერობო რეფორმის, ჯარის ნაციონალიზაციის, სკოლისა და უნივერსიტეტის, ადმინისტრაციის, იუსტიციის, საფინანსო, სასურსათო, თავად-აზნაურთა ქონების, ჯანმრთელობის სექციები. 21 ნოემბრის სხდომაზე, კ. აფხაზის მოხსენებისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ქონება (ოქროს კურსით 60 მილიონი) ქართველი ერის საკუთრებად გამოცხადდა. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ქონებას, დ. ნიჟარაძემ ანალოგიური პროცედურა განახორციელა და მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დააკისრა. ყრილობის 22 ნოემბრის სხდომამ საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია: 1. სოციალ-დემოკრატები - 25 წევრი; 2. სოციალისტ-ფედერალისტები - 10; 3. ეროვნულ-დემოკრატები - 9; 4. სოციალისტ-რევოლუციონერები - 6; 5. „ალიონის“ ჯგუფი - 4; 6. რადიკალ-დემოკრატები - 1; 7. უპარტიო - 2; 8. სამაჰმადიანო საქართველო - 3; 9. სოხუმის ოლქი - 2; 10. ზაქათალას ოლქი - 1; 11. ქართველი ოსებისათვის - 1. იმავე სხდომაზე, გრ. გიორგაძის წინადადებით, ეროვნულ საბჭოში კოოპტაციის წესით შეიყვანეს ნ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი. ეროვნული საბჭოს წევრთა რაოდენობამ 66 კაცი შეადგინა. ეროვნული საბჭოს 1917 წ-ის 26 ნოემბრის პირველმა სხდომამ 15-კაციანი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია. ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედაც ნ. ჟორდანია აირჩიეს, ის იყო აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე; მოადგილეებად - აკ. ჩხენკელი, გ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი. მდივნად - პ. საყვაერელიძე, ხაზინადარად - კ. მესხი. იმავე სხდომაზე შემდეგი კომისიები დაამტკიცეს: 1. ქონების; 2. სამხედრო; 3. საფინანსო; 4. სამოსამართლო და საადმინისტრაციო; 5. სასკოლო და ხელოვნების; 6. საერო; 7. სახალხო მეურნეობის და სასურსათო; 8. სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის; 9. საერობო და გამიჯვნის; 10. ჯანსაღობისა; 11. სატექნიკო; 12. მზრუნველობის. კომისიები თავისებურ სამინისტროთა ფუნქციას ასრულებდნენ. ამით საქართველოს ეროვნული საბჭოს ფორმირება დასრულდა. ეროვნული საბჭოს სახით შეიქმნა ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ხელმძღვანელი ორგანო.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ., 1998; შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I. თბ., 2003; ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თბ., 1998.

შოთა ვადაჭკორია

ერქომაიშვილი არტემ

ერქომაიშვილი არტემ გიგოს ძე (26.X.1887, სოფ. მაკვანეთი - 02.II.1966, ოზურგეთი) - ლოტბარი, მომღერალი, სრული მგალობელი, ხალხური სიმღერების ავტორი. სიმღერა მას და მის ძმებს, ანანიასა და ვლადიმერს, მამამ - გიგომ და დედის ძმამ - გიორგი ბაბილოძემ შეასწავლეს. 19 წლისა თვითონაც სიმღერის მასწავლებლობას შეუდგა. 1911 წ-დან სამეგრელოში - სენაკში, მარტვილსა და აბაშაში - სიმღერა-გა-

ლობას ასწავლიდა. 1917 გურიაში დაბრუნდა და მშობლიურ სოფელში მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა. 12-კაციან ანსამბლში გაერთიანებულნი იყვნენ ძმები ერქომაიშვილები, პატარავები და ვარშალომიძეები. გუნდს თავიდან გიგო ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა.

1918, მელიტონ ბალანჩივაძისა და კოტე ფოცხვერაშვილის ინიციატივით, თბილისში ერთი თვით მიიწვიეს ნესტორ კონტრიძის მგალობელთა გუნდი, ერქომაიშვილებისა და გიორგი ბაბილოძის საოჯახო ანსამბლი და ძუკუ ლოლუას გუნდი. დამოუკიდებელ საქართველოში ეს კოლექტივები „სობოროში“ გალობდნენ (ტაძარი მდებარეობდა რუსთაველის გამზირზე, დღევანდელი პარლამენტის შენობის ტერიტორიაზე) და ქართულ კლუბებში, წითელი ჯვრის სასარგებლოდ, ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე კონცერტებს ატარებდნენ.

1921 გასაბჭოების შემდეგ, ახალი ანსამბლი შექმნა, რომელშიც, ოჯახის წევრებთან ერთად, მისი ახალი ნათესავები და მეზობლებიც გაერთიანდნენ. 1924 ეს გუნდი, სიმღერების ნოტებზე ჩასაწერად, მ. ბალანჩივაძემ, დ. არაყიშვილმა, ი. კარგარეთელმა, კ. მეღვინეთუხუცესმა, კ. ფოცხვერაშვილმა და ა. ბალანჩივაძემ თბილისში მიიწვიეს. ანსამბლი დედაქალაქში 40 დღით დარჩა. 1925 ბათუმში, აჭარელი და გურული მომღერლებისაგან, ნავსადგურის მტვირთავ მუშათა ანსამბლი ჩამოაყალიბა. 1927 აღნიშნულმა გუნდმა ქუთაისში ჩატარებულ პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი აიღო, ასევე წარმატებით გამოვიდა 1929 თბილისში გამართულ მეორე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე და ფულადი პრემია - 500 მანეთი მიიღო. იმავე წელს კონცერტები ჩაატარა მოსკოვსა და ლენინგრადში (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1934 წარმატებით გამოვიდა თბილისში, ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის მესამე ოლიმპიადაზე. 1936 აჭარის მთავრობამ, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გუნდს ყოველწლიური დოტაცია დაუნიშნა. 1925 წ-დან 1942 წ-მდე, აჭარის მომღერალთა გუნდის გარდა, სხვადასხვა დაწესებულებებში თვითმოქმედ ანსამბლებს აყალიბებდა და ხელმძღვანელობდა. 1950 წ-დან იყო ქ. მახარაძის (დღევანდელი ოზურგეთი) კულტ. სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი. 1951 საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. 1963-65 წწ-ში პროფ. გ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით მივლინებულ მუსიკალურ ექსპედიციას ასამდე სიმღერა და საგალობელი ჩააწერინა.

ლიტ.: გ. გაბისონია, „ხალხური სიმღერის მეხოტბენი“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათ., 1979; თ. კომახიძე, „არტემ და ანზორ ერქომაიშვილები“; „აჭარის კულტურის ისტორია“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათ., 1999; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; ა. ერქომაიშვილი, „ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი“, გამომცემლობა „უსტარი“, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ესაძე სიმონ

ესაძე სიმონ სპირიდონის ძე (1868 - 1927) - გენერალი. დაამთავრა სიმბირსკის კადეტთა კორპუსი, შემდეგ - კონსტანტინეს სახელობის მე-2 სამხედრო სასწავლებელი. 1894-1901 წწ-ში მსახურობდა ქვეითთა 264-ე პოლკში. 1901 წ-დან იყო ჯერ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ - უფროსი.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918-1920 წწ-ში იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-ისტორიული არქივის უფროსი, ქართული არმიის არქივისა და მუზეუმის უფროსი. 1921 წ-დან საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს სამხედრო ისტორიული სექციის უფროსი, 1923-1927 წწ-ში - სამხედრო-ისტორიული არქივის უფროსი.

ლიტ.: М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. I. 2007.

მიხეილ ბახტაძე

ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა – ქართველ პოეტთა, მწერალთა და მხატვართა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა 1919 წ-ის იანვარში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მიზნით. ჯგუფში შედიოდნენ: პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი და ალი არსენიშვილი. ლიგის წევრები ეროვნულ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას იზიარებდნენ. პავლე ინგოროყვა და ტიციან ტაბიძე თავდაპირველად ედპ-ის წევრები და მისი დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებიც იყვნენ. პ. ინგოროყვა ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე - „საქართველოს ტერიტორია“. ტიციან ტაბიძე კი პრეზიდიუმში აირჩიეს, როგორც ყრილობის ერთ-ერთი მდივანი. იგი იყო გაზეთ „საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხოლო 1917 წ-ის ნოემბერში კოოპტაციის წესით პარტიის მთავარი კომიტეტის წევრიც გახდა. ინფორმაცია ესთეტიური ლიგის შექმნის შესახებ ქართულ პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა, მაგრამ მასში არაფერი იყო ნათქვამი ლიგის პროფილსა და სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ლიგას არც საარჩევნო პლატფორმა გამოუქვეყნებია და არც წინასაარჩევნო კამპანია უწარმოებია. ესთეტიური ლიგის საკანდიდატო სია მცირერიცხოვანი იყო და მასში ამ ორგანიზაციის დამაარსებელი ზემოთ დასახელებული 6 კაცი შედიოდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ესთეტიურმა ლიგამ მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღო. ლიგის,

როგორც საარჩევნო სუბიექტის, სიას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მე-14 ნომერი მიაკუთვნა. არჩევნების შედეგები არასახარბიელო გამოდგა. ლიგამ დამფუძნებელი კრების ძირითად და დამატებით არჩევნებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, სულ რაღაც 66 ხმა მიიღო (მათ შორის: თბილისში - 16, ქუთაისში - 11), რაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესასვლელად საკმარისი არ იყო. განცდილი მარცხის შემდეგ ლიგის წევრები აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდნენ და თავიანთ შემოქმედებით საქმიანობას დაუბრუნდნენ.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის გამო ემიგრაციაში არც ერთი მათგანი გახიზნულა. 1921-1923 წწ-ში პ. ინგოროყვა საბჭოთა რეჟიმისადმი პროტესტს, კ. გამსახურდიასთან, ვ. კოტეტიშვილსა და ა. აბაშელთან ერთად, შავი ჩოხის ტარებით გამოხატავდა. კომუნისტურ ხელისუფლებას ლიგის ყოფილ წევრთა მიმართ თავდაპირველად განსაკუთრებული მტრობა არ გამოუჩენია, 1926 სამშობლოში უპრობლემოდ დაბრუნდა უცხოეთში სასწავლებლად მყოფი ლ. გუდიაშვილიც. თუმცა 1930-იან წწ-ში პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე პოლიტიკურ რეპრესიებს შეეწირნენ. ქაშუეთის ტაძრის კედლების მოხატვისათვის შევიწროება განიცადა ლადო გუდიაშვილმაც.

ლიტ.: ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

„ეშმაკის მათრახი“ (1919-1921) – ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე. იბეჭდებოდა თბილისში. ჟურნალი ასევე გამოიცემოდა, 1907-1908 და 1915-1917 წწ-ში. გარდა კარიკატურებისა, მასში იბეჭდება პამფლეტები, ფელეტონები და პუბლიცისტური წერილები. წამყვანი ავტორები არიან: თაგუნა (შ. შარაშიძე), ეშმაკი (ნ. კალანდაძე), მორიელი (ლ. ალექსაშვილი), ბუტუნა (ს. ორაგველიძე) და სხვ., ჟურნალის მხატვრული გაფორმება, კარიკატურები და ნახატები ეკუთვნით ო. შმერლინგს, შ. ქიქოძეს და მ. ჭიაურელს. „ეშმაკის მათრახში“ წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ გამოცემა, როგორც თავისუფალი პრესის ნიმუში, პირუთვნელად აკრიტიკებს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყველა იერარქიის ხელისუფალს. მხილებულია ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი და კორუმპირებულობა. გაკრიტიკებულია უმოქმედო ადგილობრივი ხელისუფლება, ქალაქების - თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთისა და სხვ. თვითმმართველობები, ასევე, სასამართლო ხელისუფლება. გაშარჟებულია ხელისუფლების ეკონომიკური, ფინანსური, განათლებისა და ჯანდაცვის პოლიტიკა. საგაზეთო კარიკატურები („ბათუმის ოპერაცია“, „საიუბილეო საჩუქარი“, „ბათომი და საქართველო“ და სხვ.) შეეხება იმდროინდელ საერთაშორისო ამბებს, კარიკატურისტის სატირულ ხედვას უყურადღებოდ არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ქვეყნის შიდა თუ გარე ძალების მანკიერი ქმედება. პამფლეტი „კორესპონდენტი ანუ სინდისიც კარგი საქონელია“ თემატურად ეხმიანება წარმოდგენილ კარიკატურას, რომლითაც გაშარჟებულია დასავლური პრესა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საგარეო იმიჯისთვის ნეგატიური ფაქტორი. პამფლეტის გმირია ინგლისელი რეპორტიორი ჯონ ჯოლი, რომელიც თავისი კორესპონდენციით დეზინფორმაციას ავრცელებს „საერთაშორისო ფერხულში ჩაბმულ პატარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე“. ჟურნალი ჭარბად აქვეყნებს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის მამხილებელ კარიკატურებს („დიახ, ჩვენ გავჭერით ფანჯარა ევროპისაკენ“, „III ინტერნაციონალი“, „ინგლისი და კომუნისტები“ და სხვ.), რომელთა მიხედვითაც, რუსეთის საგარეო პოლიტიკა ღიად იმპერიალისტურია. კარიკატურა „სურათი-გამოცანა“ უსათაუროა, თუმცა მისი მთავარი სათქმელის ამოკითხვა იოლია. ნაგულისხმევი დამპყრობელი რუსეთი წარმოდგენილია რვაფეხას სახით, რომლის საცეცებიც ყველაფერს სწვდება. რუსეთი ასევე გვევლინება მის სიმბოლოდ ქცეული დათვის სახით, მას უღონოდ შეჰყეფს ფინია, რომელიც პატარა საქართველოს მეტაფორული სახეა. გამოცემაში მრავლად გვხვდება კარიკატურები („აღლუმი“, „რუსული სოციალიზმი ხელოვნებაში“, „კომუნისტურ რუსეთში“ და სხვ.), რომლებშიც გამათრახებულია ბოლშევიკური ტოტალიტარიზმი. კარიკატურისტთა ირონიის სამიზნეა კომუნისტური ეკონომიკური სისტემა, როგორც ილუზორული და ქიმერული. გაშარჟებულია კომუნისტური შრომის სახელით მონათლული უსაქმურობა. მხილებულია ბოლშევიკური რეჟიმის ტოტალური დესტრუქტივიზმი - ნგრევისა და განადგურების ტენდენცია. პამფლეტ „ბოლშევიკის აღსარებაში“ გადმოცემულია საბჭოთა რეჟიმის აბსურდული შინაარსი და ახსნილია ბოლშევიკური სისტემის ბოროტების მექანიზმი. კარიკატურებში გაკიცხულია რუსეთის ეკონომიკური ვითარება - მატერიალური სიდუხჭირე და მძიმე სოციალური ფონი, ნაჩვენებია ბოლშევიკური რუსეთის ტექნოლოგიური რეგრესი. ჟურნალში გვხვდება პერსონალური შარჟები, რომლებიც ეძღვნება ლენინსა და ტროცკის. ერთი მხრივ, გაშარჟებულია ბელადომანია, პიროვნების კულტი და, მეორე მხრივ, ქართველი კომუნისტების კოლაბორაციონიზმი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება („საქართველოს კომუნისტები თხრიან მიწისქვეშა გვირაბს“). ქართველი კომუნისტების შესახებ შექმნილი უკიდურესად ნეგატიური აზრი ჩანს კარიკატურით „სამეგრელოში“ და პამფლეტით „შეურაცხყოფილი კაენი“. კარიკატურაში „ორი

წელიწადი“ ნაჩვენებია დამოუკიდებელ, განვითარების გზაზე შემდგარ საქართველოსა და ბოლშევიკურ, დროში ჩარჩენილ რუსეთს შორის არსებული განსხვავება. საგულისხმოა, რომ ეს შარჟი გამოქვეყნდა 1920 წ-ის 26 მაისს, იმ დღეს, როცა უკანასკნელად აღინიშნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. გამოცემა საგანგებო ნომრებს უძღვნის ცალკეულ მოვლენებს. მაგ.: 1919 წ-ის მესამე ნომერი ეძღვნება სახალხო გვარდიას. იბეჭდება მეთაური სტატია - „ნ. ჟორდანიას აზრი სახალხო გვარდიაზე“, რომელსაც ერთვის ფოტომასალა. 1920 წ-ის მე-15 ნომერი გორში მომხდარ მიწისძვრას ეხმაურება თაგუნას სტატიით „მიწისძვრა“, ეშმაკის ლექსით - „გორი დაინგრა, ქართველო“, ასევე, ამ მოვლენის ამსახველი ფოტომასალითა და ნახატით - „გორს დავეხმაროთ“. ჟურნალში გვხვდება რუბრიკები: „ქრონიკა“, „პროვინციის ქრონიკა“, „ბათუმის ქრონიკა“, „რკინის გზის ქრონიკა“, „დეპეშები“ და სხვ. უხვად იბეჭდება ლიტერატურული მასალა - იუმორისტული ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, შარადები, გამოცანები, ეპიგრამები და პიესები.

ლიტ.: ჟურ. „ეშმაკის მათრახი“, 1919-1921; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია.

მარი წერეთელი

3



ვადაჭკორია სოლომონ



ვალიშევსკი ზიგმუნდ

ვადაჭკორია სოლომონ ივანეს ძე (1880, სოფ. ჭანჭეთი, ოზურგეთის მაზრ. - 1928, ბერლინი) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. ადრეული ასაკიდან მუშაობდა ტიპოგრაფიულ ორგანიზაციებში ასოთამწყობად. 1898 წელს შეუერთდა „მესამე დასს". 1901 წ-დან იყო რსდმპ-ის თბილისის კომიტეტის წევრი. 1900-იან წწ-ში არაერთხელ იყო დაპატიმრებული პოლიტიკური საქმიანობის გამო. მონაწილეობას იღებდა არალეგალური პარტიული გაზეთის გამოცემაში. უკანასკნელი დაპატიმრების შემდეგ გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც გაიქცა საზღვარგარეთ. წლების განმავლობაში ცხოვრობდა სტამბოლსა და ბერლინში. 1918 დაბრუნდა საქართველოში.

1918 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით შეყვანილი იქნა საქართველოს ეროვნულ საბჭოში (პარლამენტში). 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა. 1919 წ-ის მაისში, დამფუძნებელი კრების გარდაცვლილი წევრის ნაცვლად, კრების წევრი გახდა. 1919 წ-ის სექტემბერში, პირველი დამატებითი არჩევნების შედეგად, დაკარგა დეპუტატის მანდატი. დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პარტიულ საქმიანობას. იყო თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. მუშაობდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ტიპოგრაფიის გამგედ.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ რამდენიმე თვეში დააპატიმრეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ არალეგალურად მუშაობდა ტიპოგრაფიაში. არალეგალურად ეხმარებოდა ანტისაბჭოთა მოძრაობას. 1923 სცადა არალეგალურად საზღვრის გადაკვეთა, თუმცა ჩეკამ დააპატიმრა. პატიმრობის პერიოდში ჩეკამ შეძლო მისგან ინფორმაციის მოპოვება ყოფილ თანამებრძოლებზე. 1924 სხვა ყოფილ თანამებრძოლ პოლიტპატიმრებთან ერთად გაათავისუფლეს. 1925 შეძლო ფარულად საზღვრის გადაკვეთა. სიცოცხლის ბოლო წლები ბერლინში გაატარა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა , ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №188.

ირაკლი ირემაძე

ვალიშევსკი სიგიზმუნდ (ზიგმუნტ, ზიგა) (1.XII.1897, პეტერბურგი - 5.X.1936, ვარშავა) - პოლონელი ფერმწერი, გრაფიკოსი, თბილისური მოდერნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1908 წ-დან ოჯახი საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა - ჯერ ბათუმში, შემდეგ კი თბილისში დასახლდა. ზიგა თბილისში დაეუფლა ნ. სკლიფოვსკის ხატვისა და ფერწერის კურსებს. 1915 თბილისში მისი პლაკატების გამოფენა მოეწყო. პირველ მსოფლიო ომში კირილ ზდანევიჩს მოხალისედ გაჰყვა. ხატავდა ჯარისკაცთა პორტრეტებსა და შარჟებს.

1917 ფრონტიდან იძულებით დაბრუნდა. ძმებ ზდანევიჩებთან, ლადო გუდიაშვილთან, იური დეგენთან, კალაუ ჩერნიავსკისთან და ყარა-დარვიშთან ერთად „ფუტურისტთა სინდიკატი" დააარსა. 1918-1920 წწ-ში თბილისური მოდენიზმის გამორჩეული ფიგურა იყო. ქმნიდა კუბო-ფუტურისტულ ნამუშევრებს. მონაწილეობდა სხვადასხვა ყრილობებსა და წიგნების გამოცემებში. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოლიტიკური ჩანახატები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა შარჟები, რომლებიც 1920 ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" დაიბეჭდა. მას ეკუთვნის გრიგოლ ვეშაპელის, რაჟდენ არსენიძის, შალვა ალექსი-მესხიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ნოე რამიშვილის, რევაზ (რეზო) გაბაშვილის, გრიგოლ ვეშაპელისა და ექვთიმე თაყაიშვილის კარიკატურები. 1920 საქართვე-

ლოში პოლონეთის ელჩის მიწვევით, სწავლა გააგრძელა კრაკოვის სამხატვრო აკადემიაში. პოლონეთში მისი თაოსნობით პარიზის კომიტეტი დაარსდა.

1924-1930 წწ-ში ცხოვრობდა პარიზში. მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებსა თუ საღამოებში. 1934 ვენეციის XIX საერთაშორისო ბიენალეზე ნამუშევრები გამოფინა. 1936 გულის შეტევით გარდაიცვალა.

ლიტ.: ა. გ რ ი შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „ზიგმუნდ ვალიშევსკი - უკვდავებასთან წილნაყარი“, გაზ. „დილის გაზეთი“, 10 ივლისი 1999; С. О р л о в, Московский приют Тифлисских футуристов, Русское искусство, 2004 № 4.

სალომე ჭანტურიძე, ნანა ყიფიანი

ვანდერველდე ემილ (25.I.1966, იქსელი - 27.XII. 1938, იქსელი) - ბელგიის მუშათა პარტიის დამაარსებელი და ლიდერი. ბელგიის სამეფოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა და სახალხო ჯანდაცვის მინისტრი. მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი. დაიბადა საშუალო კლასის წარმომადგენელ ბელგიურ ოჯახში. იურიდიული განათლება ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში მიიღო. შემდგომში ეწეოდა აკადემიურ საქმიანობასაც. 1885 წ-დან იყო ახლად შექმნილი ბელგიის მუშათა პარტიის ლიდერი. 1894 აირჩიეს ბელგიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის წევრად, შემდგომში ათწლეულების განმავლობაში იყო სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის წევრი. 1900-1918 წწ-ში ხელმძღვანელობდა მეორე სოციალისტურ ინტერნაციონალს. 1914 წ-დან იყო ბელგიის სამეფოს მინისტრთა კაბინეტის წევრი. ხელმძღვანელობდა ბელგიის დელეგაციას ვერსალის მოლაპარაკებებზე და მხარს უჭერდა ერთა ლიგის შექმნას.

1920 როგორც ევროპელი სოციალისტების დელეგაციის წევრი, იმყოფებოდა საქართველოში. მოგზაურობდა საქართველოს რეგიონებში, საზეიმო მიტინგებზე სიტყვით გამოვიდა თბილისში, გურჯაანში, ტყიბულში, ქუთაისში. მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ გეზს. ევროპაში დაბრუნების შემდეგ არაერთი სტატია დაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ჟურნალში „Le Peuple“ გამოაქვეყნა სტატია „პირველი სოციალისტური მთავრობა“, სადაც წერდა „ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი, თუ სად, ევროპის რომელ ქალაქში შედგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, სხვები პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს ან ბრიუსელს. მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისზე? სწორედ ამ ქალაქში აღიმართა სოციალისტური დროშა და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა“. აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს დე ფაქტოდ და დე იურედ აღიარების პროცესს. მუშაობდა ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების სასარგებლოდ. 1921 წინასიტყვაობა დაწერა პარიზში გამოცემული ვლადიმირ ვოიტინსკის წიგნისთვის „ქართული დემოკრატია“. წინასიტყვაობაში აღნიშნავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ მიღწევებსა და ნოე ჟორდანიას, როგორც პოლიტიკური ლიდერის, გავლენას ქართულ საზოგადოებაზე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ემილ ვანდერველდე ევროპელ პოლიტიკოსთა შორის ყველაზე აქტიურად აპროტესტებდა საოკუპაციო რეჟიმს, ეხმარებოდა საქართველოს დევნილ მთავრობას წინააღმდეგობის მოძრაობის წარმართვაში და ევროპულ პოლიტიკურ წრეებში დახმარების მოძიებაში. თანამშრომლობდა და დახმარებას უწევდა ქართულ ემიგრაციას. 1925-1927 წწ-ში იყო ბელგიის სახალხო ჯანდაცვის მინისტრი. ბელგიის სოციალისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი ცენტრი 1946 წ-დან ემილ ვანდერველდეს სახელ ატარებს.

ლიტ.: W. W o y t I n s k y, „La Démocratie Géorgienne”, Bibliothèque d’histoire contemporaine, Paris, Libraire Felix Alcan, 1921. Préface de E. V a n d e r V e l d e; ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ), თბ., 1997; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209; გაზ. „ერთობა“, 1920, №213, №217, №223, №219.

ირაკლი ირემაძე



ვანდერველდე ემილ

ვაჟთა გიმნაზიები – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო 28 ვაჟთა სახელმწიფო გიმნაზია. 1918 წ-ის დეკემბერში შედგა დებულება ვაჟთა გიმნაზიებისთვის, სადაც დაკონკრეტდა საშტატო ერთეულების, საგნებისა და გაკვეთილების რაოდენობისა და საათობრივი ანაზღაურების ნორმები. საერთო დებულება შემუშავდა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, რეალურ და საკომერციო სასწავლებლების და საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. თბილისში 8 ვაჟთა გიმნაზია იყო, რომელთა რეორგანიზაცია განხორციელდა და ამ სასწავლებლებიდან ზოგი გაუქმდა. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის დირექტორი იყო იაკობ ღულაძე. გიმნაზიაში ბევრი ცნობილი პედაგოგი ასწავლიდა. 1918-1919 სასწ. წელს თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის დირექტორი იყო ი. ტ. ლორთქიფანიძე [შემდეგ ი. ნიკოლაიშვილი]. თბილისის ვაჟთა III გიმნაზიის დირექტორი იყო ა. დ. საფაროვი, რომელიც შემდეგ V გიმნაზიის დირექტორად გადაიყვანეს. სასწავლებელში ძირითადად არაქართველები მუშაობდნენ, იყვნენ ისეთი ცნობილი პედაგოგებიც, როგორიც იყო ს. კაკაბაძე, მელიქსეთ-ბეგი, ნ. თავდგირიძე. თბილისის ვაჟთა მე-4 გიმნაზიის დირექტორი იყო მიხეილ ზაალიშვილი. თბილისის ვაჟთა V გიმნაზია დაარსდა 1905, არსებობდა დამოუკიდებლობის წლებშიც. მისი დირექტორი იყო ა. დ. საფაროვი, შემდეგ - ი. ჯიშკარიანი. 1919 მე-5 გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლად მე-8 გიმნაზიიდან გადმოიყვანეს მწერალი და

ვარაზაშვილი ივანე

საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა. VI გიმნაზიის დირექტორი იყო ლიასოცკი. ვაჟთაVII გიმნაზიის დირექტორი იყო ნიკოლოზ ჩიგოგიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე დაინიშნა VI, VII და VIII გიმნაზიების გაერთიანების შემდეგ. რეგიონული გიმნაზიებიდან შეიძლება დავასახელოთ თელავის ვაჟთა გიმნაზია, სადაც რუსულ ენას ასწვლიდა ალექსი ბარნოვი, ვასილ ბარნოვის შვილი, რომელიც 35 წელი ასწავლიდა თელავში. ცნობილი გიმნაზიებიდან შეიძლება დავასახელოთ: ბათუმის, ქუთაისის, ძველი სენაკის, სოხუმის, ფოთის, ჩოხატაურის და სხვა ვაჟთა გიმნაზიები. 1918 წ-ის ოქტომბერში, ჩოხატაურის პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციების სახელით, ანტონ ცინცაძე დეპეშებით მიმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილსა და განათლების მინისტრ გ. ლასხიშვილს ჩოხატაურში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის შესახებ. ცინცაძე აღნიშნავდა, რომ ამისთვის საჭირო ადგილობრივი პირობები მზად იყო. განათლების სამინისტრომ დართო ნება იმ პირობით, რომ მასწავლებლები უნდა ჰყოლოდათ უმაღლესი განათლებით და „ყოველგვარი ხარჯები თვითონ საზოგადოებას უნდა ეკისრებინა“. დირექტორისა და მასწავლებლების კანდიდატურები თავად სასწავლებელს უნდა წარედგინა. ე. წ. „შერეული გიმნაზია“ არსებობდა ახალქალაქში. ოჩამჩირის ვაჟთა გიმნაზია დაარსდა 1918 წ-ის ოქტომბერში. დირექტორი იყო ქალაქის მიერ მოწვეული მათემატიკის მასწავლებელი დ. როინიშვილი. პედაგოგებად მუშაობდნენ: თამარ ჩერქეზიშვილი (დაამთავრა მოსკოვის ქალთა კურსები რუსული ენისა და ისტორიის განხრით, ასევე იყო პეტერბურგის ფსიქო-ნერვული ინსტიტუტის მსმენელი გერმანულ ენაზე), ლავრენტი მჟავანაძე (თბილისის უნ. სტუდენტი, ქართული ენა და ისტორია). ცხინვალის ოსური შერეული გიმნაზია დაარსდა 1918 წ-ის ბოლოს, ორი მოსამზადებელი და 4 ძირითადი კლასით. გიმნაზიად გადაკეთდა ცხინვალის ოსთა უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი. სწავლა იყო ოსურ და რუსულ ენაზე, თუმცა ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო სტატუსის მქონეს, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ებრაული გიმნაზია დაარსდა თბილისში 1917 წ-ის ივლისში, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მმართველობის დროს. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გიმნაზიები დაარსდა ჭიათურაში, კულაშში, სადაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა შემდეგში ცნობილი ფილოლოგი - ვარლამ ძიძიგური. ასევე, გიმნაზიები არსებობდა საქართველოს თითქმის ყველა საერობო ერთეულის ცენტრსა და მსხვილ დასახლებებში. მაგ., დიდ ჯიხაიშში, სადაც დირექტორი იყო სერგო ცაგარეიშვილი, ხოლო ერთ-ერთი პედაგოგი - ნიკო ნიკოლაძის ასული - რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა).

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 8, 175, 204, 109; სცსა, ფ. 1935, აღ. 2, საქ. 421, 400, 428, 1428, 247, 95;

დოდო ჭუმბურიძე

ვარაზაშვილი ივანე სოფრომის ძე (1879, სოფ. მუხლი, რაჭის მაზრა - 1955, თეირანი) - ცნობილი ისიდორე, ვასილ და გიორგი ვარაზაშვილების ძმა. ინჟინერ-პოლკოვნიკი, რკინიგზის ტრანსპორტის სპეციალისტი. დაამთავრა თბილისის სარკინიგზო ტექნიკური სასწავლებელი და პეტერბურგის სარკინიგზო ინსტიტუტი. სწავლა განაგრძო შვეიცარიაში. მუშაობდა ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის მშენებლობაზე; ააშენა წალკის ხიდი. I მსოფლიო ომის დროს მიიღო ინჟინერ-პოლკოვნიკის წოდება და ხელმძღვანელობდა ბაქო-ჯულფის, არზრუმ-სარიყამიშის რკინიგზის მშენებლობებს.

1917 ერთხანს ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. 1918 წ-ის 26 მაისის აქტის შემდეგ ი. ვარაზაშვილი შეიყვანეს საქართველოს გაფართოებული ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) შემადგენლობაში, როგორც ესერთა პარტიისა და ფრაქციის წარმომადგენელი, თუმცა პარლამენტში საქმიანობა დიდხანს არ გაუგრძელებია. 1918 ძმასთან (ისიდორესთან) და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად დააარსა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერული საზოგადოება. ამ საზოგადოებაში ივანე და ისიდორე იყვნენ ამხანაგობა „ძმები ივ. და ის. ვარაზაშვილების“ მფლობელები. 1920 წ-ის დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის გასაძლიერებლად ივ. ვარაზაშვილმა 1 015 000 მანეთი გაიღო.

1925 ივანეს და ისიდორეს ამხანაგობამ მონაწილეობა მიიღო ხელშეკრულების დადებაში კომპანია „ჰარიმან ბრაზერს ენდ K“- სთან, კონცესიის გადაცემასთან დაკავშირებით. 1922 საბჭოთა ხელისუფლების დავალებით, რომელიც ხელისუფლების ხელში ჩაგდების პირველ წლებში მხარს უჭერდა უცხოურ ბიზნეს წრეებთან კავშირს, ძმასთან (ისიდორესთან) ერთად გაემგზავრა გერმანიაში. მათ ბერლინში დააარსეს „რუსთაველის საზოგადოება“; გამომცემლობა „ახლო აღმოსავლეთი“ და ჟურნალი „მორგენლანდი“. ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად აქ დაიბეჭდა „გერმანული ენის სახელმძღვანელო ქრესტომათია ლექსიკონით“. ფლობდა რუს. ფრანგ. გერმ. და ირანულ ენებს. 1928 შაჰის მთავრობის მიწვევით ირანში გაემგზავრა მნიშვნელოვანი სარკინიგზო მშენებლობის ხელძღვანელად და იქ დარჩა საცხოვრებლად. II მსოფლიო ომის დროს მან დიდი თანხა გაიღო საბჭოთა ავიაციის განვითარებისთვის; ეხმარებოდა უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს; ფერეიდნელ ქართველებს. დაკრძალულია თეირანის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე.

ლიტ.: თ. არსენიძე, ს. ბაქრაძე, ვარაზაშვილები, ივანე სოფრომის ძე ვარაზაშვილი, ენც. „საქართველო“. ტ. III, 2012; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, კრებული: „გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები“, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის „საისტორიო მოამბე“, 1990, №59-60; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №286.

დიმიტრი შველიძე

ვარდოიანცი მიკიჩ (1971, ალექსანდროპოლი - 1955, პარიზთან ახლოს) - სოციალ-დემოკრატი. ეროვნებით სომეხი. განათლება თბილისის სახელოსნო სასწავლებელში მიიღო. 1898 წ-დან რსდმპ-ის წევრი, 1905 წ-დან მენშევიკი. პარტიულ საქმიანობას ძირითადად ბაქოში ეწოდა. სხვადასხვა დროს სამჯერ იყო დაპატიმრებული. წლების განმავლობაში ცხოვრობდა არალეგალურად კავკასიის სხვადასხვა ქალაქში.

1917 შედიოდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი. 1918-1921 წწ-ში იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

ოკუპაციის შემდეგ ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, რის გამოც ჩეკამ დაპატიმრა, 1922 სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად გააძევეს ქვეყნიდან. 1923 წ-დან ცხოვრობდა პარიზში, მუდმივი კავშირი ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: სსცა -ფ. 1836. აღწ. 1. საქ. - 109.

ნოდარ ჩხაიძე

ვარდოსანიძე მარიამ ოტიას ასული (1864, ქუთაისი - 1943) - იყო ქუთაისის ქალთა წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის ცნობილი მასწავლებელი. დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი 1883, შემდეგ - დამატებითი მერვე კლასი 1884 და მიიღო მასწავლებლის წოდება. 1884-1886 წწ-ში ქუთაისის ერთ-ერთი კერძო სკოლის მასწავლებელია; 1894-1904 წწ-ში იმერეთის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში მუშაობს; 1904-1906 წწ-ში ქუთაისის ქალაქის ერთკლასიანი სკოლის გამგე-მასწავლებელია; 1906-1919 წწ-ში ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის გამგე; 1919-1921 წწ-ში ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის უფროსი; 1921-1923 წწ-ში ქუთაისის მე-12 შრომის სკოლის გამგე; შემდეგ - ქუთაისის პირველი ოთხწლიანი შრომის სკოლის გამგე. იგი მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლებს აზიარებდა და სამშობლოსა და მშობლიური ენის სიყვარულს უნერგავდა. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, სხვა მუშაკებთან ერთად შეუდგა საკვირაო სკოლების ორგანიზაციის საქმეს. 1891-1914 წწ-ში იყო ქუთაისის პირველი საკვირაო სკოლის შეუცვლელი გამგე. სკოლის სასარგებლოდ სისტემატურად მართავდა საღამო-კონცერტებს, წარმოდგენებს, კერძო პირებისგან აგროვებდა შემოწირულობებს და ასეთი საშუალებებით საკვირაო სკოლას არსებობისთვის საჭირო პირობებს უქმნიდა. დამოუკიდებლობის წლებში მან დიდი როლი ითამაშა სკოლების გაეროვნების, განათლების რეფორმის გატარების საქმეში.

ლიტ.: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, წიგნი II, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955.

დოდო ჭუმბურიძე

ვარდოშვილი ხარიტონ ივანეს ძე (ნიკოლაიშვილი) (7.X.1895, სოფ. უჩხოთი - 15.X.1970, თბილისი) - ქართველი პოეტი და მთარგმნელი. დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი, მუშაობა დაიწყო ფოთში გაზეთების გამავრცელებლად. 1912-1915 წწ-ში გორში წიგნის მაღაზიის გამყიდველია; 1915-1916 წწ-ში იყო გაზ. „თანამედროვე აზრის“ კორექტორი; 1916-1917 წწ-ში გაზ. „სამშობლოს“ ქრონიკიორი. 1914 პირველი ლექსი გამოაქვეყნა გაზეთ „ახალ აზრში“.

1918 შევიდა თბილისის უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად. 1919 იყო გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ კორექტორი. 1921 მუშაობას იწყებს გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში.

1922 იყო გაზ. „მუშას“ და „ნიანგის“ კორექტორი; 1924 გამომცემლობა „სახელგამის“ სტილისტი. 1924 გამოვიდა პირველი პოეტური კრებული „ლექსები“. 1934 წ-დან იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი. 1939 ჟ. „მნათობის“ პოეზიის განყოფილების გამგე. მოგვიანებით გამოაქვეყნა წიგნები: „ლექსები“ (1942), „სიკეთე“ (1964), „ლექსების კრებული რუსულ ენაზე“ (1945); თარგმნა პუშკინის, მიცკევიჩის, ტიხონოვის, შილერის, გოეთეს ლექსები. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში სონეტის ფორმის დამკვიდრებაში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; ქსე, ტ. IV, თბ., 1979.

გაგა ლომიძე

ვარლაამი - მიტროპოლიტი (ერისკაცობაში ვარლამ მელიტონის ძე მახარაძე) (26.III.1873, თბილისი - 1943) - 1895 დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1895-1897 წწ-ში მედავითნედ მსახურობდა თბილისის ღვთისმშობლის სახელობის დიდუბის ეკლესიაში, იქვე სამრევლო საეკლესიო სკოლაში ასწავლიდა საღვთისმეტყველო საგნებს. 1897 წ-ის მაისში აკურთხეს მღვდლად და გამწესებულ იქნა სოფელ კავთისხევის ეკლესიის წინამძღვრად. 1899-1914 წწ-ში მსახურობდა ფოთის საკათედრო ტაძარში, სადაც დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა ეპისკოპოს დიმიტრისთან (აბაშიძე), რომელიც გამოირჩეოდა თავისი ანტიქართული საქმიანობით. 1914 წ-დან საქართველოს ეგზარქოსის მიერ გადაყვანილ იქნა ერევნის საოსტატო სემინარიისა და ქალთა მეორე გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებლად და სემინარიის კარის ეკლესიის მღვდლად, ხოლო შემდეგ ჯერ ყარსის სამხედრო ჰოსპიტლის მღვდელია, მერე - ერევნის ჰოსპიტლის მღვდელმსახური.

ვარდოიანცი მიკიჩ

ვარდოსანიძე მარიამ



ვარდოშვილი
ხარიტონ



ვარლამ
მიტროპოლიტი

1918 წ-ის ოქტომბერში დაინიშნა თბილისის პირველი ქალთა და ვაჟთა მეშვიდე გიმნაზიების პედაგოგად; 1919 წ-ის თებერვალში - ოზურგეთის ვაჟთა პროგიმნაზიის მათემატიკისა და უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად. 1919 წ-ის 12 აპრილს მიენიჭა დეკანოზის ხარისხი.

XX საუკუნის 20-იან წწ-ში საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებაში, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მომხრეები და "განახლებისა და რეფორმების" ჯგუფის წევრები, 1926 წ-ის 7 მარტს, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის ლოცვა-კურთხევით ვარლაამი აღყვანილ იქნა მარგვეთის ეპისკოპოსის ხარისხში. მეუფე ვარლაამი უყოყმანოდ დადგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გვერდით. 1929 წ-ის 12 თებერვალს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის ლოცვა-კურთხევით, გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად, 1930 წ-ის 25 ოქტომბერს მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი. მეუფე ვარლაამს ურთულეს ეპოქაში მოუწია ეპარქიის მღვდელმთავრობა. ეკლესიების უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით დახურეს. 1934-1937 წწ-ში იგი საერთოდ გამოაძევეს ეპარქიიდან. 1937 წ-ის 7 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, დაინიშნა ქუთაის - გაენათის ეპარქიის მმართველად, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულმა ტერორმა, დასმენებმა თავისი გაიტანა... მიტროპოლიტი ვარლაამი დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა. მისი საფლავი დაკარგულია.

ვაშაკიძე ტარას

ლიტ.: ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია: ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2005.

მიხეილ ქართველიშვილი

ვასაძე აკაკი

ვასაძე აკაკი ალექსის ძე (6.VIII.1899, ქუთაისი - 23.III.1978, თბილისი) - ქართველი მსახიობი, რეჟისორი. 1916 ქუთაისის თეატრში დაიწყო სასცენო მოღვაწეობა.

1917 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1918-1920 წწ-ში სწავლობდა თბილისში, ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში და თამაშობდა სხვადასხვა როლებს ქართული კლუბის სცენაზე. მაგ. 5.III - შალვა დადიანის კომედიაში „გუშნდელნი"; 11.III - „სიზმარი კოშკში" და დრამა-ლეგენდაში „ღალატი"; 18.III – 3-მოქმედებიან დრამში „ივერიძის ოჯახი". 1920-1958 წწ-ში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში.

1923 წ-დან თანამშრომლობს კინოში. 1924 წ-დან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას (1947 წ-დან პროფესორი). 1926 წ-დან იწყებს რეჟისორულ მოღვაწეობასაც. 1935-1955 წწ-ში იყო რუსთაველის თეატრის, ხოლო 1958-1968 წწ-ში ქუთაისის მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1969 წ-დან - რუსთავის სახელმწიფო თეატრის მსახიობი. გამოირჩეოდა დახვეწილი აქტიორული ტექნიკით, როლში გარდასახვის უნარით, ღრმად სწვდებოდა თავისი სცენური გმირების სოციალურ და ფსიქოლოგიურ არსს. იყო ფართო დიაპაზონის მსახიობი. საბჭოთა დროიდან იყო არაერთი ჯილდოსა თუ ორდენის მფლობელი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე", თბ., 1994; გ. ბუხნიკაშვილი, აკაკი ვასაძე, თბ., 1960; ე. გუგუშვილი, თეატრალური პორტრეტები (რუსულ ენაზე),თბ., 1968; დ. ჯანელიძე, მსახიობი, თბ., 1958; გაზ. სახალხო საქმე, 1920, №770, №775, №781.

მერაბ გეგია

ვაშაკიძე ტარასი დავითის ძე (8.VI.1876 - 26.II.1937) - გენერალი. 1895 დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი. შტაბსკაპიტანი (1909). კაპიტანი (1913). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. მსახურობდა 154-ე პოლკში. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლის დროს, როდესაც თავის ასეულით, 100-ზე მეტ ოფიცერთან და 2 ათასამდე ჯარისკაცთან ერთად დაატყვევა ოსმალთა მე-9 კორპუსის სარდალი ისხაკ-ფაშა. სწორედ ამის შემდეგ შეერქვა „შაიტან (ეშმაკი) კაპიტანი". პოლკოვნიკი (1915). დაჯილდოებული იყო ორდენით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. მიენიჭა გენერლობა (1918). 1918 იყო ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი, 1920 - პირველი ბრიგადის მეთაურის თანაშემწე. 1921 თადარიგში გავიდა. მსახურობდა საბჭოთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа т. I, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ვაჩნაძე დავით (დათა) ვლადიმერის ძე (4.VIII.1884, სოფ. დიდი ლილო, თბილისის მაზრა - 23.I.1962, ქ. ესენი) - პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერთაგანი. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, 1902 დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, ხოლო შემდეგ - პეტერბურგის იმპერატორ პავლე I-ის სახელობის სამხედრო სასწავლებელი. პეტერბურგშივე, სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში დამატებით შეისწავლა საინჟინრო საგნები და 1904 პოდპორუჩი-

კის ხარისხით დაინიშნა ვარშავის მესანგრეთა ბატალიონში. 1905 ეხმარებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლონელ მეამბოხეებს, იფარავდა მათ რუსეთის ჯარის თავდასხმისაგან. იმავე წლიდან სამხედო სამსახური განაგრძო თბილისში, მონაწილეობდა „კავკასიის ოფიცერთა სარევოლუციო კავშირის“ დაარსებაში, ასევე, კავკასიის მესანგრეთა ბატალიონების აჯანყებაში, რისთვისაც 1907 სამსახურიდან დაითხოვეს და ადმინისტრაციული წესით ღუნიბის ციხეში გაგზავნეს. საქართველოში დაბრუნებული, ერთი წელი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. 1909 წ-დან დაიწყო პუბლიცისტური საქმიანობა, წერდა „დ. კახელის“, „ეკალის“ ფსევდონიმებით, უმთავრესად ეკონომიკურ საკითხებზე. აქტიურად იყო ჩართული ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო საქმიანობაში (დააფუძნა რამდენიმე კოოპერატივი და ამხანაგობა). 1912 თანამოაზრეებთან ერთად, დააარსა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „კლდე“. 1914, მონაწილეობა მიიღო ქართული რაზმის („დრუჟინა“) დაკომპლექტებაში და რაზმთან ერთად მოხალისე ოფიცრად გაემგზავრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართველი მუსლიმებისა და მათი სოფლების დასაცავად. შედიოდა ევროპაში აღმოცენებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თბილისის ფილიალში და უზრუნველყოფდა გერმანული წყალქვეშა ნავებით საქართველოში შემოტანილი იარაღის მიღება-დაბინავებას. სამშობლოს წინაშე გაწეული დამსახურებისათვის განთავისუფლების კომიტეტმა დააჯილდოვა თამარ მეფის ორდენით. 1915 მონაწილეობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთის „საქართველოს“ დაარსებაში. 1916 წ-დან სათავეში ედგა თბილისის საკრებულოსთან არსებულ საადგილმამულო კომისიას.

1917 წ-ის მარტში ქმედითი მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში, მისი ორგანიზებით შესაძლებელი გახდა კათალიკოს-პატრიარქისათვის თბილისში რეზიდენციის განთავისუფლება, რომელიც რუს მიტროპოლიტს ეკავა. 1917 წ-ის მაისში ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფთან ერთად დაესწრო გაერთიანებულ მთიელთა კავშირის პირველ ყრილობას კავკავში. ედპ-ს დამფუძნებელ ყრილობაზე დ. ვაჩნაძე პარტიის მთავარი კომიტეტში, ხოლო 1917 წ-ის ნოემბერში პრეზიდიუმის წევრად და პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. ედპ-ის სიით იყო საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წევრი, ასევე, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მონაწილე, სადაც აირჩიეს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, იყო საბჭოს სამხედრო სექციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1918 წ-ის მაისში, ეროვნული საბჭოს აღმასკომის დავალებით, დარაზმა და დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი ოსმალეთის ჯარების შესაკავებლად გაგზავნა გერმანელი ტყვეები. 1918 წ-ის ივნისში, საქართველოს მთავრობის წარდგენით, დაინიშნა გერმანიის საიმპერატორო სამხედრო-დიპლომატიურ მისიაში საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულად. მონაწილეობდა საქართველოს რეგულარული ჯარის ორგანიზაციის პროექტის შედგენაში. ღვაწლი მიუძღვის გერმანული სამხედრო კონტინგენტის გაცილებასა და საქართველოს საზღვრებიდან მათ უსაფრთხოდ გასვლაში. 1918 წ-ის დეკემბერში, პოლკოვნიკის ჩინით, მონაწილეობდა სომხეთთან ომში. 1918 წ-ის სექტემბერში გადავიდა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატთა ფრაქციაში და იყო მის საფუძველზე შექმნილი ეროვნული (იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული) პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. 1921 წ-ის იანვარში, როდესაც ედპ და მისგან გამოყოფილი ორგანიზაციები გაერთიანდნენ, დ. ვაჩნაძე გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს. რუსეთის წითელი არმიის შემოჭრისას, მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, 192-ის თებერვალში შეადგინა მოხალისეთა 400 კაციანი რაზმი.საქართველოს გასაბჭოებისას დ. ვაჩნაძე უცხოეთში არ გახიზნულა და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. შედიოდა ედპ-ს არალეგალური ცკ-ის შემადგენლობაში, ასევე პარტიის სამხედრო ცენტრში. აქტიურად იყო დაკავშირებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმთან. 1922 წ-ის თებერვალში დააპატიმრეს, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გამო მცირე ხანში ციხიდან გაათავისუფლეს. 1924 წ-ის თებერვალში ედპ-ის არალეგალური ცკ-ის დავალებით, საიდუმლოდ გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, თურქეთიდან დახმარების მიღების მიზნით. 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლო და ემიგრაციაში დარჩა. 1924-1926 წწ-ში მონაწილეობდა სტამბოლში შექმნილ „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საქმიანობაში. 1927 წ-დან ცხოვრობდა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში. იყო ედპ-ის საზღვარგარეთული ბიუროს წევრი, თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესაში, მონაწილეობდა საფრანგეთის ქართული სათვისტომოს კულტურულ საქმიანობაში. კითხულობდა მოხსენებებსა და ლექციებს. იყო რამდენიმე ემიგრანტული ორგანიზაციის წევრი („კავკასიის კონფედერაცია“, „ყოფილ ქართველ მხედართა დარაზმულობა“, „ქართული სამეცნიერო წრე“ და სხვ.). მეორე მსოფლიო ომის დროს ჩართული იყო გერმანელთა მიერ ქართული ეროვნული კომიტეტის შესაქმნელად წარმოებულ საქმიანობაში. ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა მიუნხენში. საქართველოში ჰყავდა მეუღლე - თამარ ციციშვილი და ქალიშვილი - ირინე. ემიგრაციაში ხელმეორედ დაქორწინდა გერმანელ მართა კილმანზე. დაკრძალულია გერმანიის ქალაქ ესენში. დ. ვაჩნაძის კალამს ეკუთვნის 4 წიგნი და მრავალი სტატია. იგი აგრეთვე ავტო-

ვაჩნაძე დავით

რია, „მოგონებათა რვეულების“ და მემუარული ნაშრომისა „ვინ ვიყავი, სად ვიყავი და რა გავაკეთე?“.

თხზ.: დ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე, ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, მიუნხენი, 195?.

ლიტ.: ქართველები უცხოეთში: წ. I, (რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, რ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თ. ტ ა რ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი), თბ., 2012; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თავად ვაჩნაძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის, კრებული „სამეცნიერო პარადიგმები“, თბ. -ქუთ., 2009; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ვახვახიშვილი თამარ

ვაჩნაძე ვახტანგ გიორგის ძე (გარიკი) (31.III.1896, სოფ. ბაკურციხე, სიღნაღის მაზრ. - 1937) - ქართველი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი. 1915 წ-დან დაიწყო ლიტერატურული საქმიანობა.

1918 დაამთავრა მოსკოვის არქეოლოგიის ინსტიტუტი. პარალელურად სწავლობდა მოსკოვის მცირე თეატრის სტუდიაში. 1918 დაიწყო სასცენო მოღვაწეობა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს ემთხვევა. იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში მისი არაერთი წერილი თუ რეცენზია დაიბეჭდა. ძირითადად, გაზეთ „სახალხო საქმეში“ თანამშრომლობდა. მაგ., 2.IV.1919 გაზ. „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა ვახტანგ გარიკის წერილი „ორი ოპერა“, რომელშიც ავტორი ქართული საოპერო თეატრის განვითარებასა და ორ ახალ გამორჩეულ წარმოდგენაზე - „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და „ქეთო და კოტე“ - საუბრობდა. ავტორი წერილებში აღნიშნავდა 117-წლიანი ჩაგვრის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში კულტურის აღორძინების სწრაფ ტემპებზე. 1919 წ-ის 6 ნოემბერს გაზ. „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა გარიკის სტატია „დრამატული ხელოვნება“, რომელშიც ავტორი ქართულ დრამატულ ხელოვნებაში არსებულ კრიზისზე საუბრობს და არსებულ მდგომარეობას ხსნის, როგორც დრამატული საზოგადოების დაკნინებას. 18 ნოემბრის გაზ. „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა ვ. გარიკის სტატია „აიდა“, რომელშიც გაკრიტიკებული არიან საოპერო დადგმაში მონაწილე მომღერლები გამომდინარე იქიდან, არ აქვთ შესაბამისი ხმა და ტემბრი, ვაგნერის ასეთი გენიალური ნაწარმოების შესასრულებლად. 1920 წ-ის 2 ოქტომბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვახტანგ გარიკის წერილი ოპერის სეზონის გახსნასა და სპექტაკლ „აბესალომ და ეთერის“ შეფასებაზე. 1920 წ-ის 30 ნოემბრის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვახტანგ გარიკის წერილი-რეცენზია 19 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში დადგმული „ღალატის“ შესახებ.

1924-1927 წწ-ში თბილისის წითელი თეატრის რეჟისორია, 1928-1931 წწ-ში კი სოხუმის აფხაზური და ქართული დასების სამხატვრო ხელმძღვანელი. დიდი ღვაწლი მიუძღვის სოხუმის ქართული პროფესიული დრამატული თეატრის შექმნაში. 1931-1937 წწ-ში მუშაობდა თელავის, ზუგდიდის, სოხუმის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელად. ქართულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს თეატრის ისტორიის და თეორიის საკითხებზე. წერდა და თარგმნიდა პიესებს.

ლიტ.: გაზ. სახალხო საქმე, 1919, №82, №495, №670; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №222, №266.

გეგია მერაბ, სალომე ჭანტურიძე

ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული (23. XII.1893, ვარშავა - 31.X.1976, თბილისი) - პირველი ქართველი კომპოზიტორი ქალი. მოდერნისტი. პირველი ქართული საბალეტო სპექტაკლების ავტორი. დაიბადა ვარშავაში, სამხედრო პირის ოჯახში. სამსახურის გამო ვახვახიშვილები დაღესტანში გადავიდნენ, შემდეგ თბილისში დასახლდნენ. მამა კარგად მღეროდა და ვიოლინოზე უკრავდა. პროფესიული განათლება ყოფილი საიმპერატორო რუსული სამუსიკო საზოგადოების თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მიიღო. ფორტეპიანოზე დაკვრა, მუსიკის თეორია და კომპოზიცია ნიკოლოზ ნიკოლაევმა შეასწავლა, პოლიფონია კი თომა ჰარტმანთან შეისწავლა. კომპოზიციის თეორიის პრინციპთა დაუფლება პეტერბურგის კონსერვატორიაში განაგრძო. სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ქართველ კომპოზიტორთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომანსის, საგუნდო მუსიკისა და ოპერის ნაცვლად, პანტომიმის ჟანრით დაინტერესდა და შექმნა მუსიკა დადგმებისათვის „მზეთამზე“, „ხანძარი“, „ირანული პანტომიმა“ და „ავგაროზი“.

დამოუკიდებლობის პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის ისტორიაში. მას ეკუთვნის პირველი ქართული ბალეტები - „ბახუსის დღესასწაული“ (ზოგი მონაცემით, 1918, ხოლო სხვა ვერსიით, 1919) და „სიყვარულის ნექტარი“ (1920). ორივე ბალეტი თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა.

1920 წ-დან მოყოლებული და უკვე გასაბჭოების შემდეგაც, 1925 წ-მდე, II მუსიკალურ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა. სასწავლებელში მოიწვია ცნობილი ჩელისტი და პიანისტი აისბერგი, ჩამოაყალიბა კომპოზიციის კლასი პროფესორ კუშნარიოვის ხელძღვანელობით და შემოიღო ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლების მეთოდიკა. 1923 კონსერვატორიის მაშინდელი რექტორის ზაქარია ფალიაშვილის მოთხოვნით, კომპოზიციის კლასი კონსერვატორიაში გადაიტანა და მის საფუძველზე დაარსდა თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრა. 1923-1926 წწ-ში თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო

დრამატულ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგის და კომპოზიტორის თანამდებობები ეკავა. მუსიკალურად გააფორმა სანდრო ახმეტელისა და კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით დადგმული გერმანელი ექსპრესიონისტი მწერლის ფრანც ვერფელის პიესა „შფიგელმენშ“. (პრემიერა I.02.1925 რუსთაველის თეატრში შედგა). ჩერეპნინისა და ჰარტმანის რჩევითი პარიზის კონსერვატორიაში მუსიკალურ-თეატრალური ჟანრების სფეროში მოღვაწე კომპოზიტორთან, პოლ ვიდალთან კომპოზიციის კურსი გაიარა. 1927 პარიზის კონსერვატორია დაამთავრა. 1929 წ-დან აქტიურად თანამშრომლობდა ცნობილ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან ქუთაისის დრამატულ თეატრში, შემდეგ კი თბილისის დრამატულ თეატრში (დღევანდელი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი). კ. მ.-თან თანამშრობლობა დაწვრილებით აღწერა თავის წიგნებში - „კ.მარჯანიშვილის ექვსი სპექტაკლი“ და „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“. 1933 წ-დან მოსკოვში გადავიდა და იქ მოღვაწეობდა. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში თბილისში ცხოვრობდა. დაუმთავრებელი დარჩა ოპერა „ურიელ აკოსტა“ (დაიწერა 1 აქტი) და ბალეტი „არგონავტები“ ანუ „ოქროს საწმისი“. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ნაწ.: ბალეტები: „ბახუსის დღესასწაული“; „სიყვარულის ნექტარი“; „სპარტაკი“(1937). პანტომიმები: „ირანული პანტომიმა“; მზეთამზე“; „ხანძარი“. მუსიკალური კომედიები: „დონ ჰოლი - მწვანე შარვალი“. 100-მდე მუსიკალურ-დრამატული სპექტაკლი, მათ შორის მნიშვნელოვანია: „ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“, „სინათლე“, „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, „დეზერტირკა“, „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვ. ვოკალური ნაწარმოებები: „საბჭოთა უკრაინის ჰიმნი“. თ. ვახვახიშვილი, „კ.მარჯანიშვილის ექვსი სპექტაკლი“, თბ., 1968; თ. ვახვახიშვილი, „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“, თბ., 1976.

ლიტ.: მ. კიკნაძე, გერმანული ექსპრესიონიზმი ქართულ თეატრში, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 2002, №3; ნ. ლორია, „თამარ ვახვახიშვილი“, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი „მუსიკა“, 2012, №3(17); ნ. ჯავახიშვილი, „კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი“, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1979, №7.

ზურაბ ლეჟავა.

ვეზირიშვილი ირაკლი იოსების ძე (1.VIII.1866 - ?) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ კონსტანტინეს სახელობის მე-2 სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1886). პორუჩიკი (1890). შტაბსკაპიტანი (1900). დაამთავრა ალექსანდრეს სახელობის სამხედრო-იურიდიული აკადემია. კაპიტანი (1901). სამხედრო პროკურორის მოადგილე (1907). პოდპოლკოვნიკი (1907). 1907-1911 წწ-ში კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებელი. პოლკოვნიკი (1911). 1911 წ-დან კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს სამხედრო პროკურორის თანაშემწე. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის.

1918-1921 წწ-ში იყო საქართველოს არმიის სამხედრო პროკურორი. გენერალი (1919).

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа т. I. 2007.

მიხეილ ბახტაძე



ვეშაპელი გრიგოლ

ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე (1892, სოფ. საირხე, შორაპნის მაზრა - 10.VI.1926, პარიზი) - პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1910 ვერცხლის მედლით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და იღებდა კავკასიის სასწავლო ოლქის სტიპენდიას. პერიოდულ პრესაში წერილებს გიმნაზიის პერიოდიდან აქვეყნებდა, სტუდენტობისას, ქართულის გარდა, თანამშრომლობდა მოსკოვურ გამოცემებთან (გაზეთი „Русские ведомости“ და ჟურნალი „Голос минувшего“). იყო მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ერთერთი ხელმძღვანელი, აქტიურად იყო ჩართული მოსკოვის ქართული კოლონიის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ერთი წლით გარიცხული იყო უნივერსიტეტიდან, რომელიც 1916 დაამთავრა და სწავლა იქვე იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1916-1917 წწ-ში მოსკოვში გამოიცა გ. ვეშაპელის ორი ნაშრომი: „Турецкая Грузия: Лазистан, Трапезунд и Чорох. Край“ (ეს წიგნი 1919 ბერნში ფრანგულ ენაზეც დაიბეჭდა) და „Единство Грузии и русский протекторат: Рус.-груз. трактат 1783 г. и союз. договор Карталино-Кахетии, Имеретии, Мингрелии и Гурии“ (1918 ქართულ ენაზე გამოქვეყნდა თბილისშიც).

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გ. ვეშაპელი საქართველოში დაბრუნდა. იყო თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. 1917 წ-ის აპრილიდან 1918 წ-ის სექტემბრამდე იყო ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი. 1917 წ-ის ივნისში, როგორც საორგანიზაციო მთავარი კომიტეტის წევრმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ედპ-ის დაფუძნებაში, პარტიის პირველ ყრილობაზე წაიკითხა მოხსენება მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ. ყრილობამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩია, მთავარმა კომიტეტმა კი პრეზიდიუმის წევრობა და პარტიის

თავმჯდომარის მოადგილეობა მიანდო. 1917 ედპ-ის სიით შედიოდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს შემადგენლობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევასა და მუშაობაში. 1917 წ-ის ნოემბერში ეროვნულმა ყრილობამ ეროვნული საბჭოს წევრად, საბჭომ კი თავისი აღმასკომის, მისი პრეზიდიუმისა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია. არჩეული იყო საბჭოს სარეგლამენტო, სარედაქციო, საზავო და დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიების წევრად. მონაწილეობდა ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებაში, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებელ საქმიანობაში, 1918 წ-ის 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მანვე რუსულ ენაზე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 1918 წ-ის 13 სექტემბერს ედპ-ის საპარლამენტო ფრაქციას გამოეყო ექვსკაციანი ჯგუფი გ. ვეშაპელის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჯერ „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქცია“, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ეროვნული პარტია (იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია) დააფუძნა. პარტიის თავმჯდომარე და მთავრი ბეჭდური ორგანოს (ჯერ გაზეთი „კლდე“, შემდეგ, მონაცვლეობით, გაზეთები: „სალი კლდე“, „პიტალო კლდე“, „ნაციონალისტი“ და „მიწა“) რედაქტორი გ. ვეშაპელი იყო. 1919 წ-ის სექტემბერში, დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების შედეგად გ. ვეშაპელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების - დეპუტატი გახდა. ოპოზიციაში ედგა სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობას, რომელსაც უპირისპირდებოდა ნაციონალისტური პოზიციიდან. 1921 წ-ის იანვარში ედპ-საგან გამოყოფილი ორგანიზაციები გაერთიანდნენ, მათვე დაემატათ უპარტიოთა კავშირიც და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული პარტია. გ. ვეშაპელი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩიეს.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის დროიდან (1921) გ. ვეშაპელი ემიგრაციაში წავიდა და გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის სახელით ჩაერთო პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობაში, რომელიც მიმართული იყო საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. 1922 მონაწილეობდა პარიზში გამართული ინტერპარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც ჩამოაყალიბა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და შექმნა „საქართველოს დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი“, არჩეულ იქნა ამ პრეზიდიუმის წევრად. იმყოფებოდა იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში, შეისწავლა ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. იყო ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დამცველი ლიგის ქართული განყოფილების წევრი. 1924 წ-ის მაისიდან მწვავედ დაუპირისპირდა საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას, დაგმო საქართველოში შეიარაღებული გამოსვლის იდეა, რომელიც დასავლეთიდან რეალური დახმარების გარეშე განუხორციელებლად მიაჩნდა. აგვისტოს აჯანყების მარცხმა გ. ვეშაპელი ბოლშევიკურ რეჟიმთან ბრძოლის უპერსპექტივობაში დაარწმუნა, რასაც მის მსოფლმხედველობაში დიამეტრული ცვლილება მოჰყვა. იგი დაუახლოვდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს ევროპაში და ჩადგა კომუნისტური რეჟიმის სამსახურში. გ. ვეშაპელმა 1924 წ-ის ნოემბერში პარიზში დააარსა გაზეთი „ახალი საქართველო“ (გამოდიოდა 1926 წ-დე პარიზსა და ბერლინში), რომლის ფურცლებიდანაც ქართველ ემიგრატებს საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა. საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლმა ძალებმა გ. ვეშაპელის მოქმედება შეუწყნარებლად მიიჩნიეს. 1926 წ-ის 10 ივნისს იგი პარიზში რამდენიმე გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა ა. მერაბაშვილმა. დაკრძალეს პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე. ნეკროლოგები გამოაქვეყნა საქართველოს საბჭოურმა პრესამ („Заря Востока“, „კომუნისტი“). ჰყავდა მეუღლე - ნინო ელიაშვილი. 1928 მშობლების თხოვნით, გ. ვეშაპელის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და თბილისში, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. 1937 მისი ნეშტი დიდუბიდან ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს.

თხზ.: გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი, სიტყვები ნათქვამი პარლამენტში [ეროვნულ საბჭოში], თფ., 1919; მისივე, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია; თფ., 1918; მისივე, აჯანყების შემდეგ; La politique realiste Georgienne: Годовщина газеты „Новая Грузия“, Paris, 1925;

ლიტ.: მ. ნ ი ქ ა ბ ა ძ ე, გრიგოლ გიორგის-ძე ვეშაპელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი: დისერტაცია ისტორ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, ქუთ., 2007 (ხელნაწ. უფლებით); ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002. დ. ჭ უ მ ბ ურ ი ძ ე, ისტორიული პორტრეტები: დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008.

ოთარ ჯანელიძე

ვინოგრადოვის საშუალო კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი – სკოლაში იყო ორი განყ-ბა: მიწისმზომელ-აგრონომიული და სოფლის მეურნეობა-ჰიდროტექნიკური. ორივე განყ-ბაზე მოსწავლეები, თეორიულ ცოდნასთან ერთად, ეუფლებოდნენ პრაქტიკულ ჩვევებს მიწების აზომვისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობის, ასევე, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო საქმეების პრაქტიკულად ათვისებაში. სასწავლებელი დაარსდა და მისი მუშაობის სპეციალური დებულება შემუშავდა (1915). კერძო სასწავლებლის დამფუძნებელი იყო ინჟინერი მ. ნ. ვინოგრადოვი. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ჯერ ამიერკავკასიის მთავრობა ზედამხედველობდა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი შედიოდა

მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში და ყველა უფლებით გათანაბრებული იყო სახელმწიფო სასწავლებლებთან. სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო პროცესს მეთვალყურეობდა განათლების სამინისტროს სატეხნიკო და საპროფესიო სასწავლებელთა მთავარგამგე. ვინოგრადოვს ჰქონდა კერძო კურსებიც, რომელიც, მისი სასწავლებლისგან განსხვავებით, უფრო მრავალპროფილიანი იყო. კურსები ემსახურებოდა არქიტექტორების, საგზაო მშენებლობის, ჰიდრო და ელექტროტექნიკოსების, ტყის, სასოფლო-ტექნიკური, ქიმიური, სამთო და სხვა დარგების სპეციალისტთა მომზადებას. სასწავლებელში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ სწავლობდნენ ქართველებიც. მაგ.: გენერალი ი. გედევანიშვილი 1918 წ-ის დეკემბერში ატყობინებდა განათლების სამინისტროს, რომ ამ სკოლის ორი მოსწავლე - ჭეიშვილი სიმონი და ლომთაძე დიმიტრი - მის პოლკში იმყოფებოდა ბრძოლის ველზე და „მათ თავიანთი ადგილები უნდა შენახვოდათ“.

ლიტ.: სცსა, 1935, აღ. 1, საქ. 308, ფ. 1-17; ფ. 30.

დოდო ჭუმბურიძე

ვირსალაძე სპირიდონ სიმონის ძე (1868, სოფ. ნახშირღელე - 1930, ქ. თბილისი) - თერაპევტი, საქართველოში მეცნიერული თერაპიისა და ტროპიკული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1910), პროფესორი (1919). 1896 დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1898-1909 წწ-ში მუშაობდა პეტერბურგში ი. პავლოვის, ა. ნეჩაევისა და ვ. ბეხტერევის ხელმძღვანელობით. 1909 დაბრუნდა სამშობლოში და დაინიშნა მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ და თერაპიული განყოფილების გამგედ. 1909 მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ს. ვირსალაძე იყო საქართველოში სამედიცინო განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორი, მისი თაოსნობით თბილისში 1916-1917 წწ-ში დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თბილისის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებაში. 1919 აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად და პათოლოგიური თერაპიის კათედრის გამგედ.

1921 აირჩიეს ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგედ. მისი ინიციატივით შეიქმნა ტროპიკულ სნეულებათა ცენტრალური სადგური, რომელიც 1924 ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტად გადაკეთდა. სპირიდონ ვირსალაძეს ეკუთვნის გამოკვლევები: თავის ტვინის ქერქის გავლენის შესახებ ნაღველის გამოყოფაზე, აორტის ჰიპოპლაზიისა და წყლულოვანი დაავადებების პათოგენეზში მემკვიდრეობითი ფაქტორის როლის თაობაზე. მან არაერთი შრომა მიუძღვნა კარდეოლოგიის, პულმონოლოგიის, გასტროენტეროლოგიის საკითხებს.

ლიტ.: გ. მარუაშვილი, ს. აბულაძე, სპირიდონ ვირსალაძე, თბ., 1969.

მანანა ლილუაშვილი

ვოიტინსკი ვლადიმირ.

ვოიტინსკი ვლადიმირ (12.XI.1885, პეტერბურგი - 11.VI.1960, ვაშინგტონი) - რუსი რევოლუციონერი, ეკონომისტი, ჟურნალისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო დელეგაციების წევრი. ოქროს მედალზე დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1906 გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი „ბაზარი და ფასები - საბაზრო ფასებისა და მოხმარების თეორია.“ 1905 წ-დან იყო რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. პარტიის გაყოფის შემდეგ ბოლშევიკურ ფრაქციას უჭერდა მხარს. 1908 წ-დან ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. მალევე დააპატიმრეს და 4 წლით კატორღა მიუსაჯეს. გადაასახლეს ციმბირში, სადაც გაიცნო და დაუახლოვდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მათ შორის - ირაკლი წერეთელს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მის მსოფლმხედველობაზე. გადასახლების შემდეგ შეუერთდა მენშევიკურ ფრაქციას.

ვირსალაძე სპირიდონ

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წ-ის 5 აპრილს, იყო მდივანი მენშევიკთა და ბოლშევიკთა საერთო ყრილობაზე, სადაც ლენინმა გააჟღერა აპრილის თეზისები. იყო სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. 1918 ბოლშევიკების პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ჩამოვიდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იყო თბილისში გამომავალი გაზეთის „Борьба“ რედაქტორი. 1919-1921 წწ-ში იტალიასა და საფრანგეთში საერთაშორისო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებში. 1920 დასავლეთ ევროპის პრესაში აქვეყნებდა სტატიებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ამავე წელს გამოსცა წიგნი „ნამდვილი დემოკრატია“, რომელიც საქართველოს შეეხებოდა. 1921 წ-ის დასაწყისში, პარიზში, თანამედროვე ისტორიის ბიბლიოთეკის სერიის ფარგლებში გამოსცა წიგნი „ქართული დემოკრატია“, რომელიც სრულფასოვან მოცულობით გამოკვლევასა და აღწერას გვთავაზობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად, მცირე ხნით ცხოვრობდა საფრანგეთში. კარლ კაუცკისთან ერთად ევროპული პრესის ფურცლებიდან ებრძოდა ბოლშევიკების

მიერ საქართველოს ოკუპაციასა და საბჭოთა რუსეთში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წინააღმდეგ მიმდინარე ორგანიზებულ სასამართლოს. მოგვიანებით საცხოვრებლად და სამუშაოდ გერმანიაში გადავიდა, 1929-1933 წწ-ში იყო გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების ეკონომიკური განყოფილების ხელმძღვანელი. 1933-1935 წწ-ში მუშაობდა ერთა ლიგის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში. შემდგომში იკვლევდა ამერიკისა და მსოფლიო ეკონომიკის საკითხებს. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის მრჩეველი შრომითი ურთიერთობების საკითხებში. გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი ეკონომიკისა და შრომითი ძალების შესახებ.

ლიტ.: ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თსუ გამომცემლობა, 2018 (წინასიტყვაობა პროფ. შ. იურევიჩისა); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №143.

ირაკლი ირემაძე

8

ზალიპსკი ბორის იზრაელის ძე (?-?) - საქართველოში მოღვაწე რუსი საოპერო მომღერალი. ტენორი. პროფესიული განათლება არ მიუღია. 1903-1904 წწ-ში სარატოვის, 1905, 1909, 1913 წწ-ში პეტერბურგის, 1914 ყაზანის საოპერო თეატრებში მოღვაწეობდა. 1913 წ-დან თბ. ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. მეტსახელად „ტკბილხმოვან ორფეოსს“ უწოდებდნენ. 1915 ქ. პერმში იმღერა.

21.V.1918. იასონის როლს ასრულებდა რ. გოგნიაშვილის „ქრისტინეში“. 21.II.1919. ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერისას აბესალომის პარტიის პირველი შემსრულებელი იყო.

1921-1929 წწ-ში კვლავაც თბილისის ოპერის თეატრის სოლისტია. მას შემოქმედებით პარტნიორობას უწევდნენ: ო. ბახუტაშვილი-შულგინა; ს. ინაშვილი; გ. ქურხული; ა. ჭუმბურიძე; ფ. შალიაპინი და სხვ. ქართულ რეპერტუართან ერთად, უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც ასრულებდა: ფაუსტს (შ. გუნოს „ფაუსტიდან“); ვერთერს (ჟ. მასნეს „ვერთერიდნ“); ჰერცოგს (ჯ. ვერდის „რიგოლეტოდან“); ალფრედს (ჯ. ვერდის „ტრავიატადან“); ნადირის (ჟ. ბიზეს „მარგალიტის მაძიებლებიდან“); ალმავივას (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქიდან“); კავარადოსის (ჯ. პუჩინის „ტოსკადან“); ლენსკის, ტრიკეს, გერმანის, მასწავლებლის, ანდეის (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინიდან“, „პიკის ქალიდან“, „ჩერევიკიდან“, „მაზეპადან“); შუისკის (მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვიდან“); ბომელიის (ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლედან“); დუბროვსკის (ნაპრავნიკის „დუბროვსკიდან“) და სხვ.

ლიტ.: რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ზალცმანი ალექსანდრ ალბერტის ძე (08.0I.1874, თბილისი - 03.V.1934, ლეიზენი, შვეიცარია) - მხატვარი სცენოგრაფი, კარიკატურისტი. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში გადმოსახლებულ გერმანელთა პირველი ტალღის ერთ-ერთი წარმომადგენლის, თეოდორ ზალცმანის ოჯახიდანაა. არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის შვილი; ცნობილი მხატვრის, ოსკარ შმერლინგის მამიდაშვილი. 1898 წ-დან სწავლობდა ჯერ მოსკოვში, ლეო პასტერნაკის კერძო სამხატვრო სტუდიაში, შემდეგ კი დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია. 1901 მონაწილეობდა მიუნხენში თავისი თანაკურსელის, ვასილი კანდინსკის ჯგუფის „Phalanx“ დაფუძნებაში; ასწავლის ამ ჯგუფთან დაარსებულ სკოლაშიც. მეგობრობდა რილკესთან. 1910 წ-დან ჟაკ-დალკროზის ინსტიტუტშია. ქმნის განათების ნოვატორულ სისტემას, რომელიც 1916-1917 წწ-ში გამოიყენა მოსკოვში ალექსანდრ ტაიროვის გახმაურებულ სპექტაკლში „ფამირა-კიფარედ“, რომელიც მან ინოკენტი ანენსკის ამავე სახელწოდების ლექსად დაწერილი პიესის მიხედვით დადგა და რომელიც, ფაქტობრივად, ტაიროვის თეატრის მანიფესტად იქცა.



ზალიპსკი ბორის

1916-1917 წწ-ში სამშობლოში ბრუნდება და 1920 წ-მდე თავის მეუღლესთან, ჟანა ალემანთან ერთად თბილისში ცხოვრობს. 1918 იწყებს მუშაობას თბილისის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელად. 1918-1919 წწ-ში აფორმებს პეტრე ჩაიკოვსკის ოპერას „პიკის ქალი“, ჟაკ ოფენბახის ოპერას „ჰოფმანის ზღაპრები“, ედვარდ ნაპრავნიკის ოპერას „დუბროვსკი“, დიმიტრი არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“. 1918 მონაწილეობს კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების გამოფენაში, 1918-1919 წწ-ში „მცირე წრის“ გამოფენაში. 1918 „მცირე წრის“ გამოფენაზე წარმოადგენს ჟურნალ „Jugend“-ში დასტამბული ნახატების ორიგინალებს, ასევე, მითოლოგიურ თემაზე შესრულებულ სურათებს სახელწოდებით: „ფლორა“, „დიანა“, „ორფეოსი“. მუშაობს ქართული დრამის თეატრშიც, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. ასწავლის ფერწერის სკოლასა

და თეატრშიც; მჭიდრო ურთიერთობა აქვს თბილისის მოდერნისტულ და ავანგარდულ სახელოვნებო წრეებთან. ზიგა ვალიშევსკისთან ერთად ქმნის ოპერისათვის ფარდას. წერს კრიტიკულ წერილებს სასცენო ხელოვნებაზე. მაგალითისთვის: შენიშვნები სცენის შესახებ, ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“, №1, 1919, ქუთაისი. ამავე ნომერში დაბეჭდილია მისი კარიკატურა - „თბილისის სახელმწიფო თეატრი. მხატვარი ა. ზალცმანი, კომისარი ა. წუწუნავა, ანტრეპრენიორი ს. ევლახიშვილი ქართული ოპერების დადგმის დროს“. 1919 თბილისში გიორგი გურჯიევთან ერთად აარსებს „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტს“. 1920-იანი წწ-ის დასაწყისში გ. გურჯიევთან ერთად კონსტანტინოპოლში მიემგზავრება, რის შემდეგაც საფრანგეთში სახლდება, მთლიანად უკავშირებს რა თავის შემოქმედებას გ. გ.-ის და მის „ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტს“, ქმნის მისი ბალეტისათვის აფიშებს, კოსტიუმების ესკიზებს, აფორმებს მის „საღმრთო მოძრაობების“ წარმოდგენებს პარიზსა და ნიუ-იორკში, მანამ, სანამ 1930 ისინი სამუდამოდ არ დაცილდებიან ერთმანეთს.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ა. ზალცმანი სამშობლოში ვეღარასოდეს ბრუნდება. უდიდესი დამსახურება მიუძღვის როგორც ავანგარდული სცენოგრაფიის ჩამოყალიბებაში, ისე ხელოვნებათა სინთეზის ავანგარდული კონცეფციის შექმნაში, რომელშიც განსაკუთრებული როლი რიტმსა და განათებას ენიჭება. მისივე შექმნილია განათების მეთოდი, ე. წ. „სინათლე სინათლეზეც“ (როგორც თავად ეძახდა), და რისთვისაც პროჟექტორს, მისი თქმით, როგორც მზის სხივს, ისე იყენებდა (გლიუკის „ორფეოსი და ევრიდიკე“, ჰელერაუ, 1913). ეს სისტემა სცენის განათების ხელოვნებაში სრულიად ნოვატორული იყო. მან შექმნა სინათლის, განათების ფილოსოფია, რომელიც სცილდებოდა სცენოგრაფიის საზღვრებს. ეძებდა კავშირებს სინათლეს, ფერსა და ბგერას შორის.

ლიტ.: C. DIDonato, L’InVIsIbIleresoVIsIbIle: AleXandre Salzmann (1874–1934): VIta, operae rIcercatrateatro, luce e moVImento. Roma: Aracne, 2013; H. R. Lenormad, Pelléas et MéllSande au Théâtre des Champs-Élysées. Choses de Théâtre. 1922, № 4; B. NIcolescu, AleXandre de Salzmann, un grand artIste oublIé du 20e sIècle. Conférence à la Halle SaInt PIerre, ParIs, 24 octobre, 2009 ; ნ. ჭოღოშვილი, გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი (ხელნაწერის უფლებით), თბ., 2006.

ნანა ყიფიანი

ზანდუკელი მიხეილ

ზანდუკელი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1893-1923) - სამხედრო მოხელე, უმცროსი ოფიცერი. 1903 წ-დან იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1905 ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს ოლონეცკის გუბერნიაში, საიდანაც გამოიქცა. ერთხანს არალეგალურად ცხოვრობდა. 1910 გადასახლების ადგილზე დააბრუნეს. 1913 დაბრუნდა გადასახლებიდან.

1918 როგორც ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატმა, ხელი მაოწერა დამოუკიდებლობსი აქტს. 1919 გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. იყო დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარიატის სამნეო ნაწილის გამგე, სოც-დემ. პარტიის დუშეთის სამაზრო კომიტეტის წევრი

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ მუშაობდა დუშეთის მაზრის სამხედრო კომისარიატში. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შექმნილი „სამხედრო ცენტრის“ (ხელ; კ. აბხაზი) წევრი. დააპატიმრა ჩეკამ და 1923 წ-ის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე სამხედრო ცენტრის სხვა 14 წევრთან ერთად დახვრიტა გამოძიება-გასამართლების გარეშე.

ლიტ.: „მშვიდობით ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ!“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის გამოცემა. პროექტის ხელმძღვანელი ო. თუშურაშვილი, თბ., 2017.

ბონდო კუპატაძე

ზაქათალის ოლქის ავტონომია - ზაქათალის ოლქის ავტონომია განსაზღვრული იყო სდრ-ის 1921 წ-ის კონსტიტუციით (მუხლი 107). თუმცა ის ბოლომდე გადაუჭრელ და სადავო საკითხად დარჩა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ვინაიდან რუსეთის იმპერიის დროს ზაქათალის ოკრუგი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო და უშუალოდ ექვემდებარებოდა მეფისნაცვალს. 1918 წ-ის ივლისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის ადმინისტრაციული მოწყობისა და ადგილობრივი მმართველობის შტატების შესახებ კანონპროექტი. მთავრობის მიერ წარმოდგენილ ადმინისტრაციების საშტატო ნუსხაში ზაქათალის ოლქისათვის განისაზღვრა: ერთი საოლქო კომისარი, მისი თანაშემწე, ოთხი სარაიონო კომისარი. ზაქათალას მიენიჭა პირველი ხარისხის ქალაქის სტატუსი (ქუთაისთან, სოხუმთან და ფოთთან ერთად), შესაბამისად, მილიციელთა რაოდენობა ქალაქში 55-ით განისაზღვრა. პარალელურად, 1918 წ-ის 26 ივნისს ზაქათალის ოკრუგში მოქმედმა აზერბაიჯანელთა ეროვნულმა საბჭომ მიიღო ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეერთების დადგენილება. 1919 წ-ის 16 ივნისს საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულების მე-4 მუხლი ტერიტორიული დავების შეთანხმებით ან არბიტრაჟით გადაწყვეტას ითვალისწინებდა. 1920 წ-ის აპრილამდე, აზერბაიჯანის გასაბჭოებამდე, ზაქათალის ოკრუგი იმყოფებოდა ორმხრივი მმართველობის ქვეშ. 1920 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოკრუგი აღიარა საქართველოს კუთვნილებად, თუმცა აზერბაიჯანელი

ბოლშევიკების მოთხოვნით, საკითხი გადაისინჯა. 1920 წ-ის 3-6 და 9-12 ივნისს დაიდო საქართველო-აზერბაიჯანის აქსტაფის ხელშეკრულება, რომლის მე-6 მუხლის თანახმად ზაქათალის ოლქის საკითხი გადაწყდებოდა შერეული კომისიის მიერ, თითოეული მხარისგან 2 წარმომადგენლის მონაწილეობით, მანამდე არც ერთი მხარე ოლქში ჯარებს არ შეიყვანდა.

ბონდო კუპატაძე

ზაქარიაძე ალექსანდრე ყარამანის ძე (4.II.1884 - 12.V.1957) - გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსი. სწავლობდა ქუთაისის მე-6 სასწავლებელში და შემდეგ ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1904 პოდპორუჩიკის წოდებით გაიგზავნა 79-ე პოლკში. შემდეგ მსახურობდა სამარის 147-ე და ტფილისის მე-15 გრენადერთა პოლკში. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. პორუჩიკი (1907), შტაბსკაპიტანი (1911). 1912 დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია პირველი თანრიგით. კაპიტანი (1913). პირველი მსოფლი ომის მონაწილე. პოდპოლკოვნიკი (1915). კავკასიის კაზაკთა მე-3 დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ - 27-ე საარმიო კორპუსის შტაბის დავალებათა ოფიცერი. 1917 წ-ის თებერვლიდან ასრულებდა ლიტვიელთა მე-2 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსის მოვალეობას. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-4 ხარისხი, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის. დაჯილდოებულია იარაღით.

1917 წ-ის ნოემბერში საქართველოში დაბრუნების შემდეგ იყო ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის უფროსი. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918-ის დასაწყისში ქართული კორპუსის შტაბის უფროსია. შემდეგ მუშაობდა საქართველოს შეარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. გენერალი (1919). 1919 დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად და ამ თანამდებობაზე იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე.

1921 ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მცირე ხანს იმყოფებოდა სტამბოლში, საიდანაც გადავიდა პოლონეთში. დაამთავრა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო სკოლა. 1923 წ-დან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. 1927 მიენიჭა დივიზიის გენერლობა. 1939 ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში. იყო პარიზის ქართული სათვისტომოს წევრი.

ლიტ.: ა. ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტისკი ისტორია ტ. IV, თბ., 2003; მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; რ. დაუშვილი, შ. უტიაშვილი, ქართველი სამხედროები ევროპისა და ამერიკის არმიებში, კრებულში საქართველო-დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2012; ლ. ურუშაძე, ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа т. I, 2017.

მიხეილ ბახტაძე

ზახაროვი დიმიტრი ვასილის ძე (?-?) - სოციალ-დემოკრატი. 1907 სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. ის ასევე ირიცხებოდა მოსკოვის სასამართლო პალატაში მოსკოვის ოლქის ნაფიც ვექილთა სიაში. 1910 წ-დან ვექილად დაიწყო მუშაობა სოხუმში, შემდეგ კი სოხუმის ოლქის კომისარი გახდა. 1919 წ-ის თებერვალში ზახაროვი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. თბ., 2016

მანუჩარ გუნცაძე

ზაქარიაძე ალექსანდრე

ზდანევიჩი ილია მიხეილის ძე (20.IV.1894, თბილისი - 25.XII.1975, პარიზი) - ლიტერატურული ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერი, წიგნის დიზაინერი, მკვლევარი, ნ. ფიროსმანაშვილის პირველი ბიოგრაფი. ილიას მამა, წარმოშობით პოლონელი, რომლის წინაპრები 1831 წ-ის რუსეთის იმპერიალისტური რეჟიმის წინააღმდეგ ვარშავის აჯანყების შემდეგ კავკასიაში გადაასახლეს, ფრანგულს ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში. დედა, ვალენტინა გამრეკლიძე, პიანისტი, პ. ჩაიკოვსკის მოსწავლე გახლდათ. ი.ზ.-მა დაამთავრა თბილისის I ვაჟთა გიმნაზია და სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა (1911). დაუახლოვდა ავანგარდისტულ წრეებს. 1912 ი. ზდანევიჩმა სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში წაიკითხა მოხსენებები ფუტურიზმის შესახებ. იმავე წელს არდადეგებზე თბილისში ჩამოსულმა ძმებმა ილია და კირილე ზდანევიჩებმა, მხატვარ ლე-დანტიუსთან ერთად, აღმოაჩინეს ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრები და დაიწყეს მათი შეგროვება. გაზეთ Закавказская речь-ის 1913 წ-ის 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა ი. ზდანევიჩის პირველი სტატია ნ. ფიროსმანაშვილზე. 1913 წ-დან მან დაამუშავა „ვსიოჩესტვოს“ იდეა, რომელიც, სხვა ავანგარდული მიმართულებების საპირისპიროდ, ყველა ეპოქის და სტილის მიმართ ტოლერანტობას გულისხმობდა. ი. ზდანევიჩმა 1914 უმასპინძლა მოსკოვში ჩასულ მარინეტის. თბილისში დაბრუნებულმა, კვლავ გამოაქვეყნა სტატია ფიროსმანაშვილის შესახებ („აღმოსავლეთი“, №1, თბილისი, 29.VI.1914). 1916 დაასრულა და დადგა თავისი პირველი პიესა „იანკო ალბანეთის მეფე“.



ზდანევიჩი ილია

წლის ბოლოს თბილისში ჩამოსულმა, მოაწყო ფიროსმანაშვილის ერთდღიანი გამოფენა, რომელზეც წარმოადგინა მხატვრის 50 ტილო საკუთარი კოლექციიდან.

1917 მონაწილეობა მიიღო ე. თაყაიშვილის თაოსნობით მოწყობილ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქეოლოგიურ ექსპედიციაში და, ლ. გუდიაშვილთან, დ. შევარდნაძესთან, მიხ. ჭიაურელთან და ალ. კალგინთან ერთად, გაემგზავრა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების შესასწავლად. იმავე წელს კრუჩიონიხთან, ტერენტიევთან და კ. ზდანევიჩთან ერთად დააარსა ფუტურისტული გაერთიანება, რომელიც „ფანტასტიკურ დუქანში“ იკრიბებოდა. მალე მათ ჯგუფს (პოეზიის ახალ სასწავლებელს) ეწოდა „უნივერსიტეტი 41°“. სწორედ აქ დაიბადა ზაუმის პოეზია. 1918 თბილისში დაიბეჭდა ი. ზდანევიჩის „იანკო ალბანეთის მეფე“ და პირველი „დრა“, რომელიც თავად შეადგინა. მხატვარი „ფანტასტიკურ დუქანში“ ატარებდა კონფერენციების ციკლს ფუტურიზმზე. ი. ზ.-მა თბილისში მოაწყო არაერთი მხატვრის საღამო, კ. ზდანევიჩისა და ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა, დააარსა 41°-ის გამომცემლობა (1919). ამავე წელს გამოქვეყნდა ჯგუფ 41°-ის კოლექტიური ნაშრომი – „პატარა ფანტასტიკური დუქანი. ეძღვნება სოფია მელნიკოვას“, რომელშიც ზდანევიჩის მეორე „დრა“ შევიდა. სექტემბერში დაიბეჭდა მისი Асёл на прокат. 1921 ი. ზდანევიჩი პარიზში გაემგზავრა.

პარიზში არტისტი, მ. ლარიონოვის ხელშეწყობით, გაეცნო რუს ხელოვანებს, აგრეთვე - პაბლო პიკასოს, რობერტ და სონია დელონეებს, ტრისტან ტზარას, პოლ ელუარს, დადაისტებს. მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში და ატარებდა კონფერენციებს. ერთ-ერთ საავტორო კონფერენციაზე პირველად გამოიყენა ფსევდონიმად „ილიაზდი“ (1922). აქვე პარიზში, კაფე „ქამელეონში“, ი.ზ-მა აღადგინა და დაამკვიდრა „უნივერსიტეტი 41°“. 1923 წ-ის ოქტომბერში გამოქვეყნდა ი.ზ-ის Лидантю Фарам - მეხუთე დრა, რომელიც მისი ზაუმით დაწერილი ნაწარმოებების მწვერვალად ითვლება. 1924 ილიაზდის მიერ ორგანიზებული „ოლიმპიური მეჯლისი“ რელიეფური ლექსებით გააფორმეს ილიაზდმა და დ. კაკაბაძემ. 1927 არტისტმა მუშაობა დაიწყო კოკო შანელთან - ჯერ მხატვრად, შემდეგ კი, 1933 წ-მდე - ფაბრიკის დირექტორად. 1931 პარიზში, საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში მყოფ ე. თაყაიშვილთან ერთად, შეაგროვა ინფორმაცია კავკასიაში 1917 წ-ის ექსპედიციის შესახებ და ხელახლა დახაზა ეკლესიის გეგმები (იფინებოდა პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში ბიზანტიური ხელოვნების გამოფენაზე). სომხურ ჟურნალში „ხელოვნება და ცხოვრება“ გამოაქვეყნა სტატიების სერია „საქართველოს მრავალფასადიანი ნაგებობანი“ (1936. 1948 პარიზში ჩაატარა კონფერენცია „უძველესი ქართველები“ და გამოსცა თავისი ნაწარმოები „წერილს“ პიკასოს ილუსტრაციებით, 1949 კი შეადგინა და გამოაქვეყნა „პოეზია ამოუცნობი სიტყვებისა“ (1912-1932 წწ-ში შექმნილი ფონეტიკური პოეზიისა და ზაუმური ტექსტების ანთოლოგია). 1954-1955 წწ-ში ი. ზდანევიჩმა მ. დიუშანის შეკვეთით დაამზადა „მუყაოს ჩემოდნის“ ეგზემპლარები. 1961 გამოსცა გერმანელი დადაისტის რაულ ოსმანის პოემები და თავისი 14 რუსულენოვანი სონეტი „უტყვი განაჩენი“. გამოცემის ყდა ჟორჟ ბრაკის ნახატით იყო ილუსტრირებული, წიგნში კი ჯაკომეტის მიერ შესრულებული ილიაზდის პორტრეტი იყო ჩართული. 1966 ი. ზდანევიჩმა ოქსფორდის ბიზანტიური კვლევების კონგრესზე წაიკითხა მოხსენება „კისამოსის ტაძარი კრეტაზე“ და დაურიგა მონაწილეებს თავისი წერილი „რუი გონსალეს დე კლავიოს მოგზაურობა საქართველოში და საათაბაგოს საზღვრისპირა ეკლესიები“, რათა გაეცნო მათთვის თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების ნგრევის საგანგაშო მდგომარეობა (1966). 1969 პარიზში მოეწყო ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა, სადაც ი. ზდანევიჩის კუთვნილი 60 ტილო იყო წარდგენილი. 1971 გამოვიდა ილიაზდის პოემა „ბუსტროფედონი სარკეში“ - რიბემონ დესენის ილუსტრაციებით, 1972 კი - „ფიროსმანაშვილი - 1914“, რომელშიც შევიდა ილიაზდის მიერ 1914 თბილისში დაბეჭდილი სტატიის თარგმანი და ტექსტი „60 წლის შემდეგ“. გამოცემა გაფორმებული იყო პიკასოს მიერ მშრალი ნემსით შესრულებული ფიროსმანის პორტრეტით. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებში, ასევე, არაერთ კერძო კოლექციაში.

ლიტ.: Iliazd, Paris, Centre Georges Pompidou, 1978 (კატალოგი); L'Avanguardia a Tifi is: studi, ricerche, cronache, testi monianze, documenti, Luigi Magarotto, Marzio Marzaduri, Giovanna Pagani Cesa, eds., Venezia, 1982; Le Gris-Bergmann F., 41°: Ilya and Kirill Zdanevich, San Francisco: Modernism inc., 1991; Т. Никольская, Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917-1921, М.: Пятая страна, 2000; И. Терентьев, Рекорд нежности: житие Ильи Зданевича, Рис. К. Зданевича, Тифлис, 1919; Т. Никольская, Авангард и окрестности, СПб.: Изд-во Ивана Лимбаха, 2001.

მაია ციციშვილი

ზდანევიჩი კირილე

ზდანევიჩი კირილე მიხეილის ძე (16.X.1892, კოჯორი - 17.II.1969, თბილისი) - ქართველი მოდერნისტი-გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი, ქართული ავანგარდული სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ე.წ. ქართულ-რუსული კუბო-ფუტურიზმის ერთ-ერთი შემქმნელი. კირილე და ილია ზდანევიჩების მამა წარმოშობით პოლონელი იყო, დედა კი ქართველი - გამრეკელიძის ასული. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბ. ფოგელისა და ნ. სკლიფასოვსკის ხატვისა და ფერწერის კურსებზე. 1911-1918 წწ-ში სწავლა პეტერბურგის სამხატვრო აკა-

დემიაში გააგრძელა, შემდეგ კი - გ. გურჯიევის ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტში (თბილისი, 1920). 1912 გაწევრიანდა რუსეთის მხატვართა ჯგუფში Ослиный Хвост, მონაწილეობდა მის „ნეოპრიმიტივისტულ“ გამოფენებში მ. ლარიონოვთან, ნ. გონჩაროვასთან, ვ. ტატლინთან, კ. მალევიჩთან და სხვა მხატვრებთან ერთად. 1911 შედგა ზდანევიჩის ნამუშევრების პირველი გამოფენები მოსკოვსა და თბილისში. 1912 არდადეგებზე თბილისში ყოფნისას ი. ზდანევიჩთან და მ. ლედანტიუსთან ერთად აღმოაჩინა ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობა და დაიწყო მისი ნამუშევრების შეგროვება (მან ფიროსმანის ტილოები უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს). ამასთანავე, დაწერა და გამოაქვეყნა მონოგრაფია ნ. ფიროსმანაშვილზე ქართულ და რუსულ ენებზე). 1913 მ. ლარიონოვის ჯგუფთან - გონჩაროვასთან, მალევიჩთან, შაგალთან, შევჩენკოსთან, ლედანტიუსთან ერთად მონაწილეობდა გამოფენაში Мишень, სადაც ძმები ზდანევიჩებისა და ლე-დანტიუს მიერ პირველად იყო ექსპონირებული ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები. გამოფენას წინ უძღვოდა დისპუტი თემაზე „აღმოსავლეთი, ეროვნულობა და დასავლეთი“, სადაც ილია ზდანევიჩმა პირველად წარმოადგინა თავისი კონცეფცია „ვსიოჩესტვო“. 1913 გაემგზავრა პარიზში, სადაც სწავლობდა მოქანდაკე ა. არხიპენკოსთან და ახლოს იყო ავანგარდულ გაერთიანებასთან „ახალგაზრდათა კავშირი“. 1914 გაიწვიეს I მსოფლიო ომში, სადაც იბრძოდა ოფიცრად გერმანიის ფრონტზე.

1917 დაბრუნდა თბილისში. ძმასთან (ი. ზდანევიჩთან) ერთად გახდა მემარცხენე ფუტურიზმის ერთ-ერთი ლიდერი. კ. ზდანევიჩი იყო საქართველოში ე.წ. არტისტული წიგნის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1917 წ-დან მუშაობდა რადიკალურ კუბო-ფუტურისტულ ექსპერიმენტებზე ტიპოგრაფიაში, ქმნიდა წიგნის დიზაინს. თანამშრომლობდა ზაუმის პოეტებთან. შესრულებული აქვს კუბისტური და კუბო-ფუტურისტული გამოფენების აფიშები. ს. ვალიშევსკისთან ერთად გააფორმა ა. კრუჩიონიხის ფუტურისტული ლექსების კრებულები (Учитесь худоги, Малахолиа в Капоте, 1917-1918). 1918 თბილისში გახსნილი მისი პერსონალური გამოფენა საქართველოში მემარცხენე ხელოვნების პირველი მნიშვნელოვანი წარდგენა იყო. ძმებმა ზდანევიჩებმა, პოეტებმა - ი. დეგენიმ, კ. ჩერნიავსკიმ, ყარა-დარვიშმა, მხატვრებმა - ლ. გუდიაშვილმა, ს. ვალიშევსკიმ, ა. კრუჩიონიხმა, ი. ტერენტიევმა დააარსეს „ფუტურისტული სინდიკატი“. 1919 სინდიკატი დაიშალა და დაარსდა ახალი ჯგუფი - „41°“, რომელმაც დააფუძნა იმავე სახელწოდების გაზეთი. ზდანევიჩი მონაწილეობდა ამ ჯგუფის მიერ დაარსებულ „ფუტურვსეუჩბიშჩეს“ (футурвсеучбище) ლექციებში, გამოდიოდა თბილისის არტისტულ კაფეებში - „ფანტასტიკურ დუქანსა“ და „არგონავტთა ნავში“ გამართულ არტისტულ საღამოებზე. მანვე მოხატა ეს კაფეები ლ. გუდიაშვილთან, ა. პეტროკოვსკისთან, ი. დეგენთან და ი. ზდანევიჩთან ერთად. 1921-1923 წწ-ში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლსა და პარიზში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის, ლენინგრადისა და მოსკოვის თეატრებში სცენისა და თეატრალური კოსტიუმის დიზაინერად. 1949-1957 წწ-ში კ. ზდანევიჩი გადასახლებული იყო ვორკუტაში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში, ასევე, არაერთ კერძო კოლექციაში.

ლიტ.: ზდანევიჩი კირილე, ზდანევიჩი ილია (კატალოგი), თბ., 2009; თ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა, თბ., 2011; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მოდერნიზმი 1910-1930, თბ., 2005; Т. Н и к о л ь с к а я, Фантастический город: Русская культурная жизнь в Тбилиси: 1917–1921, М.: Пятая страна, 2000.

მაია ციციშვილი

ზოროიანი ზორო

ზოროიანცი ზორო ნავასარდის ძე (1885, სოფ. ცხანი - 1943 თბილისი) - პოლიტიკოსი. განათლება ჯერ თბილისის გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ - კი რუსეთში, პოლიტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, მაგრამ მისი დამთავრება ვერ შეძლო უსახსრობის გამო. მისი ოჯახი გაჭირვებაში ცხოვრობდა. მუშაობა ბურღულეულის ფაბრიკაში დაიწყო.

1917 წ-დან იწყებს პოლიტიკურ მოღვაწეობას და ერთიანდება დაშნაკცუთიუნის პარტიაში. ამ წელსვე მას ახალციხის ქალაქისთავად ნიშნავენ. სომხეთ-საქართველოს ომის დროს ის რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. მოგვიანებთ ზოროიანცი ჯერ - საქართველოს პარლამენტის, მოგვიანებით კი დამფუძნებელი კრების წევრი ხდება დაშნაკცუთიუნის პარტიიდან.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ახალციხის რევკომში შევიდა. 1927 იგი დააკავეს საბჭოთა რეჟიმისადმი არაკეთილგანწყობისათვის და გადაასახლეს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. თბ., 2016

მანუჩარ გუნცაძე

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი (ახლანდელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრი) – 1893 „ავჭალის აუდიტორიაში“ საფუძველი ჩაეყარა სახალხო სახლის თეატრს. 1901 კონკურსი გამოცხადდა. შენობის აგების უფლებით, უკრაინელი არქიტექტორის ს. კრიჩინსკის პროექტმა გაიმარჯვა. 1902-1907 წწ-ში მშენებლობა მიმდინარეობდა. 1909 წ-ის 4 აპრილს გაიხსნა. კონსტანტინე ზუბალაშვილის ვაჟებმა - პეტრემ, ლევანმა და იაკობმა - მამის სახელზე, ის საჩუქრად გადასცეს ქალაქს. არქიტექტურა მოდერნის სტილში შე-

ზუბალაშვილის
სახელობის
სახალხო სახლი

ზურაბიშვილი ივანე

იქმნა. მრავალჯერ გადაკეთების მიუხედავად, ძირითად ნიშნებს მაინც ინარჩუნებდა. დეკორატორმა ა. ნოვაკმა ინტერიერიც ამავე სტილში გადაწყვიტა. შენობა, 630 მაყურებელზე გათვლილი სივრცისა და სცენის გარდა, ბიბლიოთეკასაც მოიცავდა (200 ადამიანისათვის). თეატრს ხელოვნური განათება არ გააჩნდა და სპექტაკლები მხოლოდ დღის სინათლეზე იმართებოდა. ხელმისაწვდომი ფასის გამო, მაყურებელთა სიმრავლით გამოირჩეოდა. სპექტაკლები რეგულარულად 12 ენაზე იმართებოდა. გახსნიდანვე ქალაქის გამორჩეულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ფუნქციონირებდა.

1918-1921 წწ-ში თეატრში არაერთი დრამატული თუ საოპერო წარმოდგენა გაიმართა, რომლებსაც იმდროინდელი პრესა აქტიურად აშუქებდა. დაიდგა: ი. ეკალაძის „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“; ივ. ბარველის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობოთ; კ. ხანაშვილის „ლაქია“; ვ. გუნიას „დედისერთა“; „იმედის დაღუპვა“; „ქრისტინე“; „მსხვერპლი“; კ. მესხის „მელანიას ოინები“; ტ. რამიშვილის „მეზობლები“; ალ. ცაგარელის „ხანუმა“; „ციმბირელი“. ჩატარდა კაპელის კონცერტი დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით; ქართული საოპერო სტუდიის „თქმულება შოთა რუსთაველზე“; მწერალ დ. კლდიაშვილის იუბილე; მსახიობ სოფიო სიმონიშვილ-დგებუაძის 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად „ღალატი“ და სხვა. დასახელებულ წარმოდგენებში იმ დროს მოღვაწე თითქმის ყველა რეჟისორი და წამყვანი მსახიობი მონაწილეობდა.

1930 კომუნისტური ხელისუფლების მოწვევით, კ. მარჯანიშვილის დაარსებული ქუთაისი-ბათუმის დასი თბილისში გადმოვიდა და სახალხო სახლში დასახლდა. რეჟისორი სულ ხუთი სეზონი მუშაობდა, 26 სპექტაკლი დადგა. 1933 კ. მარჯანიშვილი გარდაიცვალების შემდეგ თეატრს მისი სახელი მიენიჭა.

ლიტ.: ი. დ ო ლ ი ძ ე, სათეატრო არქიტექტურა საქართველოში, 2005.

სალომე ჭანტურიძე

ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე (1872, ქუთაისი - 14.VI.1940, პარიზი) - პუბლიცისტი, იურისტი, ეროვნულ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. უმაღლესი განათლება კიევისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში მიიღო. ადრეული ასაკიდან ეწოდა პუბლიცისტურ-მთარგმნელობით საქმიანობას. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან და სხვა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ძალებთან. 1908-1919 წწ-ში იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი იურისტ-კონსულტანტი.

1917 წ-დან იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმეთა მმართველი. შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სენატის საკასაციო დეპარტამენტში. 1920 წ-ის აპრილში თანამდებობიდან თავისი ნებით გადადგა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, ჯერ სტამბულში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში დასახლდა. ემიგრაციაში აგრძელებდა პუბლიცისტურ საქმიანობას. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ირაკლი ირემაძე



თავაძე გიორგი ვახტანგის ძე (1882 - 1930) - გენერალი. რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. კაპიტანი (1913). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1917-1918 წწ-ში იყო კავკასიის მე-3 მსროლელთა პოლკის უფროსი. პოლკოვნიკი. წმ. ანას მე-4 ხარისხის ორდენის კავალერი.

1918-1921წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 წ-ის დეკემბერში მონაწილეობდა სომხეთთან ომში. თელავის ქვედანაყოფის მეთაური. გენერალი (1919).

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

ლიტ.: მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. I, 2007.

მიხეილ ბახტაძე

თავაძე თამარ (1898, თბილისი - 1980, თბილისი) - თეატრის მხატვარი. 1916-1917 წწ-ში სწავლობს მოსკოვის მხატვართა სტუდიაში. 1918 ბრუნდება საქართველოში და 1922 წ-მდე მხატვრად მუშაობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. თ. თავაძე ავანგარდული ხელოვნების წარმომადგენელია. 1920 ის აფორმებს ბალეტს: „კარნავალი“, რომელსაც დგამს ცნობილი მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, პედაგოგი, მიხეილ მორდკინი. ის იმხანად თბილისში იმყოფება თავის საბალეტო დასთან ერთად („მორდკინის ბალეტი“) და დგამს საბალეტო სპექტაკლებს საოპერო თეატრში. დასის წევრი და სოლისტია თამარ გამსახურდია, ცნობილი ბალერინა და შემდგომ დიზაინერი (გერმანია, ბერლინი). რამდენადაც ზუსტი ცნობები არ არსებობს (თუმცა ზოგ წყაროში აღინიშნება, რომ მორდკინმა სპექტაკლი თავისივე მუსიკაზე დადგა), უნდა ვივარაუდოთ, რომ „კარნავალი“ იყო მიხეილ ფოკინის, ცნობილი ბალეტმაისტერის, 1909-1912 და 1914 წწ-ში „რუსული სეზონების“ მთავარი მხატვრული ხელმძღვანელის და მოცეკვავის, დიაგილევის სცენოგრაფიით დადგმული, შუმანის საფორტეპიანო ციკლზე შექმნილი ერთმოქმედებიანი ბალეტი-პანტომიმა. შუმანის საფორტეპიანო ციკლის ბალეტისათვის ორკესტრირების ავტორები არიან: ანტონ არენსკი, ალექსანდრ გლაზუნოვი, ანატოლი ლიადოვი, ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი, იმხანად, (1918-1921 წწ-ში) თბილისის კონსერვატორიის რექტორი, ნიკოლაი ჩერეპნინი.

1924 თ. თავაძე მონაწილეობს მუშათა და ჯარისკაცთა თეატრში ვიქტორ დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტეს“ დადგმაში (კოსტიუმების ესკიზები). 1928 ამთავრებს მოსკოვის მხატვრულ-ტექნიკური ინსტიტუტის თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის განყოფილებას. 1927-1936 წწ-ში მუშაობს მოსკოვის დიდ თეატრში, თუმცა 1930 მისი ხელმოწერა ჩნდება საქართველოს რევოლუციური მხატვრების ასოციაციის (სარმა) დეკლარაციაზე. შემდეგ ბრუნდება თბილისში. ოპერისა და ბალეტის თეატრში აფორმებს როსინის ოპერას „სევილიელი დალაქი“ (1938), კოტე მარჯანიშვილის თეატრში - მოლიერისა და მარკ-ანტუან შარპანტიეს სამმოქმედებიან ბალეტ-კომედიას „ვითომდა ავადმყოფი“ (1943); ლევან გოთუას „მეფე ერეკლეს“ ბათუმის დრამატულ თეატრში (1944). მას შემდეგ, როგორც ჩანს, თ. თავაძეს ოპერასა თუ დრამატულ თეატრებში სპექტაკლები აღარ გაუფორმებია. ყოველ შემთხვევაში, მისი შემოქმედება დღემდე შეუსწავლელია.

ლიტ.: В. Беридзе, Н. Езерская, Искусство Советской Грузии, 1921-1970, Мос., 1975.

ნანა ყიფიანი

თავაძე გიორგი

თავაძე სოლომონ ეგნატეს ძე (29.VI.1890, სოფ. ჩოჩხათი, ოზურგეთის მაზრ. - 28.V.1960, თბილისი) - ქართველი მწერალი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. მუშაობდა - ჩაის მკრეფავად ჩაქვში, შემდეგ ჩაის ფაბრიკაში. 1905 ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც დაატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან გამოიქცა და ერთხანს ბაქოში იმალებოდა. 1910 ისევ დააპატიმრეს. პატიმრობაში დაიწყო წერა. 1912 პირველი ლექსი

თავაძე სოლომონ

„მუშა“ გაზ. „თემში“ გამოქვეყნდა. ლექსებს და მოთხრობებს ბეჭდავდა „ობოლი მუშის“ ფსევდონიმით.

1918 გამოქვეყნდა პირველი წიგნი „მომავალი“, სადაც საპატიმროში დაწერილი ლექსები და პოემები შევიდა. მოგვიანებით გამოუშვა მოთხრობების წიგნი „საპატიმროს დღიურიდან“. 1918-1920 წწ-ში ჟურ. „ცისარტყელას“ ლიტმუშაკია.

ავტორია ლექსებისა და პოემების კრებულების: „შორი ნათელი“, „მზია ლაური“, „კავკასიონი“; ქართველ რევოლუციონერთა ამსახველი რომანი - „გზა მეწამული“, მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი ტრილოგია - „მაისის განთიადი“ და ა.შ. ქართულად თარგმნა ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“, ი. ტურგენევის „რუდინი“, ა. გერცენის „ნამყო და ნააზრევი“ და სხვა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994;

გაგა ლომიძე

თათეშვილი მარიამ (გარიყული)

თათეშვილი მარიამ ლუკას ასული (ფსევდ. გარიყული) (20.III.1883, სოფ. პატარა გუბი - 09.II.1960, თბილისი) - მსახიობი, მწერალი. სწავლობდა ქუთაისის ქალთა სასწავლებელში (1892). თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ შედგა მისი სამსახიობო დებიუტი პიესაში „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, რომელშიც ყვავილების გამყიდველი გოგონას როლს ასრულებდა (პარტნიორი ვასო აბაშიძე). 1901 მიიწვიეს ქუთაისის თეატრში. მისი მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლები: „ოტელო“ - დეზდემონა, „პატარა კახი“ - ტურფა, „და-ძმა “ - მარინე, „არსენა“ - ნინო. 1904 დაბრუნდა თბილისში, მუშაობა დაიწყო სახალხო თეატრში. 1905 შედგა ლიტერატურული დებიუტი მოთხრობით „ცხოვრების მსხვერპლი“. 1907 გამოიცა ცარიზმის მამხილებელი მოთხრობები: „ჯაშუში“, „ცხოვრების მსხვერპლი“, „ჩვეულებრივი ამბიდან“, „სოფლის მსუნაგები“. 1912 „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მოთხრობა „სარდაფში“.

1917 წ-ის 5 აპრილს გაზეთმა „ხმა ქართველი ქალისა“ გამოაქვეყნა სტატია „ქალებო, შევერთდეთ“ და ქალებს თანასწორობისათვის ბრძოლისკენ მოუწოდა. 1917 წ-ის 12 ოქტომბრს ამავე გაზეთის რედაქციამ (ავტ. კატო მიქელაძე) გამოაქვეყნა პუბლიკაცია „12 ოქტომბერი“, რომელშიც ავტორი საუბრობდა ქალთა მოძრაობაზე და წერდა, რომ პოეტი ქალებისგან არ მიუღია კალმით დახმარება, გარდა საფო მგელაძისა და მარიამ გარიყულისა. 1918-1921 წწ-ში მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშათა ახლად ჩამოყალიბებული თეატრის მოწყობაში. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ქრისტინე“, „მსხვერპლი“, „მოლიპულ გზაზე“ და სხვა. 1927-1941 წწ-ში მუშაობდა თბილისის კინოსტუდიაში. 1930-იან წწ-ში დაწერა რომანი „ანარეკლი“. მას ეკუთვნის მემუარული ნაწარმოები „განვლილი გზა“. ჟურ. „ნაკადულსა“ და „ჯეჯილში“ აქვეყნებდა საბავშვო მოთხრობებს. 1941-1944 წწ-ში ჟურ. „მნათობმა“ დაბეჭდა სამამულო ომისადმი მიძღვნილი მოთხრობები: „შემთხვევა“, „დედა“, „დურგალი მიხეილი“. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; ნ. ჩიხლაძე, „ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები”, თბ., 1990; გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“, 5 აპრილი, 12 ოქტომბერი, 1917.

ეკა ჯავახიშვილი

თავდაცვის საბჭო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1920 წ-ის 27 აპრილს, მას შემდეგ რაც ამიერკავკასიას საბჭოთა რუსეთის ჯარები მოადგნენ, შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო დაარსდა „რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო». საბჭოს დაარსების მიზანი იყო სამხედრო ზომების ერთიანი სახით ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარების უზრუნველყოფა. საბჭოს დებულების თანახმად, მისი მიზანი იყო, შეიარაღებულ ძალთა და საშუალებათა გასაძლიერებლად საერთო ზომების შემუშავება, სამხედრო თავდაცვის საფუძველთა დადგენა და საომარი გეგმის დამტკიცება. საბჭოს თავმჯდომარეობდა მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო წევრები იყვნენ სამხედრო მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ჯარის სარდალი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე და კიდევ ერთი გამოცდილი სამხედრო პირი. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღებოდა ხმათა უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავმჯდომარის ხმას. აპრილში შექმნილი საბჭო აგვისტოს ბოლოს დაიშალა, მაგრამ იმავე წლის 11 ნოემბრიდან აღდგა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ფუნქციონირებდა.

ლიტ.: სცსა. ფ. 861. აღწ. 3, საქ. 40.

დიმიტრი სილაქაძე

„თავისუფალი გზა“ (1918-1921) - საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის მუშა - მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის მთავარი კომიტეტის ყოველკვირეული პროფესიული და პოლიტიკური ორგანო, სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი. გამოდიოდა თბილისში. გამოცემას ხელს აწერს რედ. - სარედაქციო კოლეგია. იბეჭდებოდა საქ. რკ. გზ. სამმართველოს სტამბა-ლითოგრაფიაში. გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციების უმრავლესობა ხელმოუწერელია და შეეხება: რკინიგზის მუშების სოციალურ მდგომარეობას, მათ საგაფიცვო მოძრაობას, პროფკავ-

შირებს, ასევე, იბეჭდება რკინიგზის მუშების მიერ რედაქციაში გაგზავნილი მათივე პრობლემების ამსახველი წერილები. ამას გარდა, გამოცემა აშუქებს პოლიტიკასა და ეკონომიკას. მაგალითად, კესაშვილის სტატიაში „ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა“ განხილულია იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა, რომელიც ავტორს, მრავალთაგან განსხვავებით, არცთუ უნუგეშოდ მიაჩნია. ა. რუხაძის სტატიაში „ორი მკვლელობა“ ყურადღება გამახვილებულია რუსეთში ფეხმოკიდებულ პოლიტიკურ ტერორზე. A.R.-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „ტრაგედია“ ავტორი აანალიზებს პირველი მსოფლიო ომის შედეგებს. საგაზეთო პუბლიკაციები შეეხება თბილისის თვითმმართველობას, საქართველოს პარლამენტის სხდომებს, დამფუძნებელი კრების მუშაობას და სხვ. 1919 წ-ის 1 მაისის დიდი ფორმატის ორენოვანი უნომრო გაზეთი, ქართულ და რუსულ ენებზე, ეძღვნება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. ასევე სპეციალური (უნომრო), 26 მაისის გაზეთი მთლიანად ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საზეიმო სულისკვეთების გამომხატველია მისალმება: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ დემოკრატიას!“, პირველ გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს გერბი და ბორის კორნეევის ლექსი „თეთრი გიორგი“ („Белый Георгий“), ასევე, გამოქვეყნებულია საქართველოს მთავრობის წევრების სურათები. აღსანიშნავია ა. რუხაძის წერილი „ოლივერ უორდროპი“, რომელშიც ასახულია ბრიტანელი დიპლომატის სტუმრობა საქართველოში და ამით გამოწვეული სიხარული. გამოცემას აქვს რუბრიკები: „რკინის გზის ამბები“, „წერილები რედაქციის მიმართ“, „კვირიდან კვირამდე“, „მოწერილი ამბები“ და სხვ. გაზეთის ფურცლები ეთმობა პოეტურ ნაწარმოებებს. მაგ., იბეჭდება აკაკი წერეთლის ლექსი „მუშებს“, აგრეთვე, ობოლი მუშის, ვ. რუხაძის, გ. ხეჩუაშვილის ლექსები, 26 მაისისადმი მიძღვნილი ივ. გომართელის, კ. კახელის, ივ. ჭავჭავაძის, ანანიას წერილები.

ლიტ.: გაზ. „თავისუფალი გზა“, 1918, №1, №21, 1919, №1, №44; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ., 1947.

მარი წერეთელი

თალაკვაძე ნიკიტა (1873 - 8.XII.1933) - დეკანოზი. დაიბადა მედავითნის ოჯახში. 1889-1895 წწ-ში თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1895-1899 წწ-ში კი კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. 1899-1902 წწ-ში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად მუშაობს. 1902 წ-ის დეკემბრის პირველ რიცხვებში ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი მღვდლად დაასხეს ხელი და ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. მამა ნიკიტამ, მიტროფანე ლაღიძის, სოსიკო მერკვილაძისა და სხვათა დახმარებით აღადგინა წმინდა თამარ მეფის ხსოვნის დღე და თამარობის დღესასწაული. იგი, როგორც ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) თანამოაზრე, აქტიურად მონაწილეობდა ავტოკეფალურ მოძრაობაში. 1912 ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს.

1917 დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1917 წ-ის 8 მარტს მამა ნიკიტას ბინაზე შედგა საიდუმლო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ნოე ჟორდანია, ალექსანდრე ლომთათიძე, სოსიკო მერკვილაძე და ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). კრებაზე გადაწყდა, რომ 12 მარტს სვეტიცხოველში გადაეხადათ სამშვიდობო პარაკლისი, ხოლო შემდეგ წაეკითხათ ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. 1917-1920 წწ-ში დეკანოზი ნიკიტა იყო საკათოლიკოსო საბჭოს წევრი. იგი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების დროს ხმის დამთვლელი კომისიის თავჯდომარე და პირველმა გამოაცხადა ახლად აღდგენილი ქართული ეკლესიის მეთაურად კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (საძაგლიშვილი). 1918-1921 წწ-ში დეკანოზი ნიკიტა გამოირჩეოდა აქტიური მოღვაწეობით, რაც გააგრძელა ქვეყნის გასაბჭოების შემდეგაც,

საბჭოთა ხელისუფლება ავიწროებდა უშიშრად მამხილებელ მოძღვარს. 1922 წ-ის 17 ოქტომბერს ქალთა სასწავლებლის დირექტორმა იგი მასწავლებლობიდან დაითხოვა. 1924 დეკანოზი ნიკიტა აიძულეს, დაეტოვებინა ეკლესია. იგი ჯერ საქართველოს ფინსახკომის საბიუჯეტო განყოფილების უფროსად მუშაობდა, შემდეგ - კულტურის სამინისტროში. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე. დეკანოზი ნიკიტა იყო თავისი დროის შესანიშნავი მქადაგებელი. ჩვენამდე მოაღწია მისმა არაერთმა ქადაგებამ. ავტორია ჩანაწერებისა, რომელიც ცნობილია, როგორც „მოქალაქე-მღვდლის დღიური“.

ლიტ.: გ. მ ა ჩ ურ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012.

მიხეილ ქართველიშვილი

თალაკვაძე ნიკიტა

თამარ მეფის ორდენი – სამხედრო ჯილდოს ერთ-ერთი სახეობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. I მსოფლიო ომის პერიოდში იყო სამხედრო წარჩინების ნიშანი გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების შეიარაღებული ძალების მხარდამხარ მებრძოლი ქართული ლეგიონისა, რომელიც ოსმალეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ჭანეთში (ვიწე) ჩამოყალიბდა. გასცემდა ბერლინში მოქმედი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. თავდაპირველად არსებობდა I და II ხარისხისა, მოგვიანებით მათ დაემატა III ხარისხისაც. სამივე მათგანზე, რვაქიმიანი ვარსკვლავის ცენტრში, მოთავსებულია მედალიონი, რომ-

ლის ცისფერი ან ლურჯი მინანქრის ფონზეც გამოსახულია თამარ მეფის რელიეფური პორტრეტი. მედალიონის ირგვლივ არის ზედწერილი ქართულ ენაზე (მხედრული შრიფტით): „ქართული ლეგიონი. 1915“. I ხარისხის ორდენის მედალიონს გარს აკრავს წვრილი ბრილიანტების ორი წყება, II ხარისხისას - ერთი წყება, ხოლო III ხარისხისა - ბრილიანტების გარეშეა. I და II ხარისხის ორდენებს ამზადებდნენ ვერცხლისაგან, ხოლო III ხარისხისას - ძირითადად ბრინჯაოსაგან. ორდენების ძირითადი ნაწილი დაამზადეს ბერლინში არსებულმა ფირმებმა: „პაულ კუსტმა“, „იოგენ გოდემ“, „პაულ მეიბაუერმა“, ხოლო გარკვეული ნაწილი ბრიუსელშიც დამზადდა. ამან თავისთავად წარმოშვა გარკვეული განსხვავებანი ხსენებული წარჩინების ნიშნის საორდენო ტიპებს შორის. ამ ორდენის კავალერი შესაძლოა გამხდარიყო როგორც ლეგიონერი, ასევე ის პიროვნებაც, რომელიც მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ პოლიტიკურ ალიანსს. სათანადო დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი ეძლევა იმ პირთ, რომლებმაც რაიმე თვალსაჩინო სამსახური გაუწიეს ქართულ საქმეს და იმ საპატიო პირთ, რომელთა გავლენასაც შეუძლია სამსახური გაუწიოს ამავე საქმეს“. მათ შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე გერმანელები. ორდენის ქართველ კავალერთა შორის იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ლეო კერესელიძე, სტეფანე ახმეტელი, დავით ვაჩნაძე, მემედ აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე, ალექსანდრე გრიგოლია, ნიკო ხორავა და სხვები, ხოლო გერმანელ კავალერთა შორის: გენერლები პაულ ფონ ჰინდენბურგი (რომელიც შემდგომში პრეზიდენტი გახდა), ერიხ ლუდენდორფი და ფონ ლოსოვი, პრუსიის პრინცი ვოლდემარი, გრაფი ფონ დერ შულენბურგი (რომელიც მუშაობდა გერმანიის კონსულად თბილისში, ხოლო შემდგომში ელჩად მოსკოვში), გრაფი კურტ ფონ გალენი, დოქტორები გ. შედე, რ. ფრიშკე და სხვ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით, 1918 წ-ის ივნისიდან ქვეყანაში იმყოფებოდა გერმანული ჯარი, რომელიც უზრუნველყოფდა ქართული სახელმწიფოს დაცვას საგარეო და საშინაო საფრთხეებისაგან. მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ გერმანული ჯარი იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, 1918 წ-ის 13 დეკემბერს, სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალ-მაიორმა ზაქარია მდივანმა, ხელი მოაწერა ბრძანებულებას №5332, რომლის თანახმადაც, 4 ნოემბრის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მყოფი გერმანელი სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც დამსახურება ჰქონდათ ქართული სახელმწიფოს წინაშე, ჯილდოვდებოდნენ წმ. თამარ მეფის ორდენებით. ამ ბრძანებულებით, ქართული ლეგიონის წარჩინების ნიშანმა ფაქტობრივად შეიძინა საქართველოს სახელმწიფო სამხედრო ჯილდოს ფუნქცია, თუმცა შემდგომში, აღნიშნული ორდენით აღარავინ დაუჯილდოებიათ. თამარ მეფის ორდენების ცალკეული ეგზემპლარები დაცულია მსოფლიოს მუზეუმებში (მათ შორის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში), ასევე, კერძო კოლექციებში.

თარხნიშვილი მარიამ

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995; ნ. ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბ., 1998.

ნიკო ჯავახიშვილი

თარხანოვი ნიკოლოზ (1879, თბილისი - ?) - სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. უმაღლესი განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო. სტუდენტობის პერიოდში შეუერთდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთ პარტიას. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა ნაფიცვექილად თბილისში.

1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სომეხთათვის გამოყოფილი კვოტით შევიდა პარლამენტში, წევრად დაასახელა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ. სომხეთ-საქართველოს 1918 წ-ის ომის პერიოდში გამოირჩეოდა ანტიქართული მოქმედებებით. 1918 წ-ის დეკემბერში პარლამენტის სხდომაზე დადგა მისი და მის თანაპარტიელ ლ. თუმანოვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ბრალად ედებოდა, მცხეთაში ძეგვის ხიდზე მოწყობილი ტერორისტული აქტის შემსრულებლებთან კავშირი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №109.

ირაკლი ირემაძე

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) მარიამ (მარო) ესტატეს ასული (21.XII.1881, სოფ. კავთისხევი - 03.X.1969, თბილისი) - პირველი ქართველი ქალი ლოტბარი. ხალხური სიმღერების შემსრულებელი, შემგროვებელი. „ქართული სიმღერის დედა“. დაიბადა გიორგი საკაძის შთამომავლების ოჯახში. ოპერაზე „პატარა კახი“ მუშაობის პერიოდში, თარხან-მოურავებთან სტუმრობისას, კომპოზიტორმა ნიკო სულხანიშვილმა შვიდი წლის გოგონას, ხალხურ სიმღერებთან ერთად, თავისი ცნობილ შედევრი - „დაიგვიანეს“ ასწავლა. მოგვიანებით მომღერალმა აღნიშნული ნაწარმოები თავის რეპერტუარში შეიტანა და გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი გადარჩენის საშვილიშვილო საქმეში. 14 წლის ასაკში მოგვარეს, მაგრამ არა ნათესავს, 21 წლის დიმიტრი თარხან-მოურავს გაჰყვა ცოლად, კასპის რაიონის სოფელ

ახალქალაქში გადავიდა და დააარსა მომღერალთა გუნდი. 1910 გორში გადადის საცხოვრებლად და დის - ეკატერინეს დახმარებით მეორე გუნდს აყალიბებს. გორში 1910 ზაფხულში წარმატებული სასცენო ნათლობის შემდეგ, კონცერტებს ცხინვალში, სურამში, ხაშურში, ბორჯომში და გორის მახლობელ სოფლებსა და დაბებში ატარებს. 1911 აკაკი წერეთლის იუბილეზე გამოდის და ქვაბულიძის არიას დიდი ოსტატობით ასრულებს. 1914 უკვე სამი შვილი ჰყავს: ვანო, თამარი და ნინო. 1915 აკაკის ნეშტის თბილისში გადმოსვენებისას თავისი გუნდით გრაკალში ხვდება პროცესიას და საგალობლებითა და ნ. სულხანიშვილის არიით „დაიგვიანეს“, მთაწმინდისაკენ აცილებს პოეტს.

1917 წ-ის შემოდგომიდან ოჯახთან ერთად თბილისში მკვიდრდება და საჯარო კონცერტების ჩატარებას იწყებს. თბილისში პირველად მსმენელის წინაშე დები და მათი გუნდი 1919 წ-ის 5 იანვარს, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში წარდგნენ და ქართულ კლუბში გამართული კონცერტის II განყოფილებაში წარმატებით გამოვიდნენ. ამის შემდეგ დედაქალაქში დიდი პოპულარობა მოიპოვეს. 1920 წ-ის 27 იანვარს, ნინოობას ტრადიციული „ქართული საღამოების“ ფარგლებში, ბათუმში მართავენ კონცერტს. მისი გუნდის გარდა, მონაწილეობენ სხვა ცნობილი არტისტებიც: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, პოეტი იოსებ გრიშაშვილი და ცნობილი მწერალი-იუმორისტი შალვა შარაშიძე (თაგუნა). შემდეგ წარმატებით გამოდის კონსერვატორიაში. მალე მსმენელის დიდ სიყვარულს იმსახურებს. 1920 წ-ის მარტში აზერბაიჯანის ქართველები ბაქოში იწვევენ, თუმცა სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო, სოღანლუღის სადგურში ფერხდება და კონცერტს იქ ატარებს. მისი საშემსრულებლო ოსტატობით აღფრთოვანებული კლასიკოსი კომპოზიტორების - ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის და დიმიტრი არაყიშვილის - ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებს. დ. არაყიშვილი ხმის დამუშავებას და საოპერო სცენაზე გამოსვლას ურჩევს და ამ მიზნით, მისი იტალიაში მივლინების საკითხსაც აყენებს. თუმცა ხალხური შემოქმედების სიყვარულისა და ოჯახური მოვალეობის გამო, მომღერალი უარს ამბობს ამ იდეის განხორციელებაზე.

1921 წ-დან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დ. არაყიშვილი თბილისის მეორე კონსერვატორიაში ქართული ხალხური სიმღერის მასწავლებლად იწვევს, სადაც 1923 წ-მდე სტუდენტთა ეთნოგრაფიულ გუნდს ხელმძღვანელობს. ბოლშევიკთა წინააღმდეგ მიმართული 1924 წ-ის აჯანყების შემდეგ, მის მეუღლეს - დიმიტრის, როგორც ყოფილ მემამულეს, აპატიმრებენ და ხვრეტენ. სიკვდილით დასჯისათვის ასევე განწირული შვილის - ივანესათვის შეწყალების დოკუმენტის მოპოვებას ახერხებს და გადაარჩენს მას. ბოლშევიკური დევნის გამო იძულებული ხდება, გვარი თარხნიშვილად გადაიკეთოს. საცხოვრებლად ისევ გორში გადადის შვილებთან ერთად, თუმცა მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ რჩება და შემდეგ კვლავ თბილისში მკვიდრდება, სადაც მაზლი, მთავარი მეღვინე - იორამ თარხან-მოურავი ეხმარება, ცხოვრების პირობებს უქმნის და გაჭირვებას არ აგრძნობინებს. ოჯახური ტრაგედიის მიუხედავად, აგრძელებს საყვარელ საქმეს და კვლავ ხალხური სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობს. 1927 მისი გუნდი ქუთაისში გამართულ საქართველოს პირველ ოლიმპიადაზე იმარჯვებს, შემდეგ მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში ჩატარებული კონცერტისათვის სიგელით აჯილდოებენ. 1930 ბაქოსა და ერევანში სამ სამ კონცერტს ატარებს. აზერბაიჯანელ და სომეხ მსმენელს განსაკუთრებით მისი აღმოსავლურ კილოზე შესრულებულ სოლო ჰანგები მოსწონს. 1933 მოსკოვში საგასტროლოდ მყოფი, მრავალ სიმღერას გრამოფონის ფირფიტაზე იწერს. 1937 თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 25 წლის იუბილეს უხდიან და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებას ანიჭებენ. 1938 მის ანსამბლს სახელმწიფო გუნდის სახელი მიაკუთვნეს. 1949 წ-მდე ქართლ-კახური სიმღერების სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობს. 1956 წ-მდე საქართველოს სარეწაო კავშირის კულტურის სახლთან არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამლბის ლოტბარი და სამხატვრო ხემძღვანელია. ასევე სათავეში უდგას არაერთ კოლექტივს თბილისში, რუსთავში, გორსა და კასპში. 1956 რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში 65 წლის იუბილეს უხდიან, შემდეგ სახალხო არტისტის წოდებას ანიჭებენ.

ლიტ.: ლ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, მარო თარხნიშვილი, წიგნიდან „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“. ხელოვნება. თბ., 1958; „მარო თარხნიშვილი“, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიმო ცენტრის ერთობლივი გამოცემა. თბ.,2008; პ. ხ უ ჭ უ ა, „მარო თარხნიშვილი“, თბ., 1962.

ზურაბ ლეჟავა

თაყაიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (26.V.1881-?) - გენერალი. დაწყებითი განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. სამხედრო სამსახური დაიწყო 1901. პირველი თანრიგით დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი. გაგზავნილ იქნა მესანგრეთა მე-19 ბატალიონში. პოდპორუჩიკი (1902). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. პორუჩიკი (1906). 1909 ქ. ირკუტსკში, აღმოსავლეთ-ციმბირის მე-2 ასეულშია. მოგვიანებით I კავკასიურ ასეულში. შტაბს-აპიტანი (1910). 1912 I თანრიგით დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო აკადემია. კაპიტანი (1912, წარჩინებისთვის). 1913 მესანგრეთა მე-2 კავკასიურ ბატალიონშია. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1915 წ-დან მე-2 კავკასიური საარმიო

კორპუსის ინჟინრის თანამდებობის მოვალეობის შემსრულებელია. პოდპოლკოვნიკი (1916). 1917 წ-ის 19 აპრილიდან მე-2 კავკასიური საინჟინრო პოლკის მეთაურია. პოლკოვნიკი (1917). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის (1907); წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით (1916); წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით (1916); წმ. ანას მე-4 ხარისხის (1916).

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1918). იყო ქართული არმიის საინჟინრო ნაწილების უფროსი. 1920 მივლინებით იმყოფებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, სადაც ხელმძღვანელობდა თავდაცვითი ზღუდის მშენებლობას მდ. სამურზე. 1921 წავიდა ემიგრაციაში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. I, 2007.

მიხეილ ბახტაძე

თაყაიშვილი ექვთიმე

თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე - (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი) (4.I.1863, სოფ. ლიხაური, ოზურგეთის მაზრ. - 21.II.1953, თბილისი), ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლისა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1887 დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, იქვე მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც და სამშობლოში დაბრუნდა. აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო, პედაგოგიურ და ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1889 აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. ამავე წელს დ. ბაქრაძესთან ერთად დააარსა საქართველოს საეგზარქოსო (საეკლესიო) მუზეუმი. კრებდა, სწავლობდა და მუზეუმში აბინავებდა ძველ ნივთებს, სიგელ-გუჯრებსა და ხელნაწერებს, ეპიგრაფიკულ მასალას. პირადად მოიძია „ვეფხისტყაოსნის“ ორ ათეულამდე ხელნაწერი. 1894-1904 წ-ში სათავეში ედგა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით გიმნაზიად გადაკეთდა. 1902, 1907 და 1917 წწ-ში სამგზის იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში („ოსმალეთის საქართველო“), აზომა და შეისწავლა მრავალი ქართული ისტორიული ძეგლი. 1907 მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც 1921 წ-მდე თვითონვე თავმჯდომარეობდა. დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. არჩეული იყო სხვადასხვა სამეცნიერო და საქველმოქმედო საზოგადოების შემადგენლობაში. იყო „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. 1918 წ-ის მაისში თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ მიანიჭა დოქტორის ხარისხი.

1917 წ-ის ივნისში ე. თაყაიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში. იმავე წლის ნოემბერში იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი, აირჩიეს საბჭოს წევრობის კანდიდატად. ეროვნული საბჭოს გაფართოებისას, ედპ-ის სიით გახდა საბჭოს წევრი. უძღვებოდა საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიას. იყო ამიერკავკასიის სეიმის სპეციალური კომისიის წევრი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიული გამიჯვნის მიზნით შეიქმნა. 1919 წ-ის თებერვალში ედპ-ის სიით მოიპოვა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის მანდატი, არჩეული იყო კრების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ), სახალხო განათლების კომისიის წევრად და, ასევე, მისი წინადადებით შექმნილი კრების საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარედ. პარალელურად, არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, მისი ორგანიზებით, ლეჩხუმსა და სვანეთში მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიციები, მონაწილეობდა ვანის აკროპოლის გათხრებში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგორის ცნობილი განძის შეგროვებასა და დაცვაში. მისი თაოსნობით 1920 დაფუძნდა საქართველოს ეროვნული არქივი.

1921 საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების გამო, დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა და თან წაიღო სამუზეუმო განძეულობა. განძის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ე. თაყაიშვილი დანიშნა. იგი გაემგზავრა უცხოეთში, სადაც 1945 წ-მდე დაჰყო და სამშობლოში განძთან ერთად დაბრუნდა. 1922 წ-ის მარტში, პარიზში, იყო იმ ინტერპარტიული კონფერენციის მონაწილე, რომელმაც „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ ჩამოაყალიბა და შექმნა დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი. როგორც პრეზიდიუმის წევრი, ესწრებოდა ემიგრანტული მთავრობის სხდომებს. 1924 არ გაიზიარა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის იდეა და ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საფრანგეთში განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. არჩეული იყო პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების წევრად, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. 1937-1939 წწ-ში იყო მის მიერვე დაარსებული „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ თავმჯდომარე, არჩეული იყო მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების წევრად ემიგრაციაში, შედიოდა სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „Georglca“ (ლონდონი) სარედაქციო საბჭოში. თანამშრომლობდა

ქართულ ემიგრანტულ გამოცემებთან: გაზ. „დამოუკიდებელი საქართველოს“, ჟურ. - „სამშობლო,“ „კავკასიონი,“ „ქართლოსი,“ „ჯვარი ვაზისა“ და „ბედი ქართლისას“ რედაქციებთან. მისი მონაწილეობით პარიზში დაფუძნდა წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, არჩეული იყო ამ ეკლესიის მზრუნველთა საბჭოს მუდმივ წევრად. 1945 სამშობლოში დაბრუნებული ე. თაყაიშვილი აღადგინეს თსუ-ის პროფესორად, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად, კითხულობდა საჯარო ლექციებს. 1951 საბჭოთა რეჟიმმა მისი შევიწროება დაიწყო, მალე უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს და პენსიაზე გადაიყვანეს. მისივე სიტყვებით: „ხმა დაყარეს, რომ მე მაქვს სახლში პატიმრობა და ისე დააშინეს მეცნიერები, რომ მათ შეწყვიტეს ჩემთან სიარული“. ჰყავდა მეუღლე - ნინო პოლტორაცკაია. ე. თაყაიშვილი თავდაპირველად ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. 1963 დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს, 2000 კი მთაწმინდის მიწას მიაბარეს. 2002 საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომამ ე. თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“, დაიწერა მისი ხატი და ტროპარი, დაარსდა „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის“ მედალი. თბილისსა და სოფელ ლიხაურში გახსნილია მისი სახლ-მუზეუმები, 2008 თბილისში აიგო „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის“ სახელობის ტაძარი. „ექვთიმე ღვთისკაცის“ ხსენების დღედ დაწესებულია 3 იანვარი (ძვ. სტილით). 2013 წელი იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა.

ლიტ.: დიდი ექვთიმე: ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემია, საქ. ისტორიკოსთა ეროვნ. კომიტეტი, სარედ. კოლ: რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი [და სხვ.], თბ., 2014; ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2007; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე, „ლიტერატურა და ხელოვნება”, 1998, №2.

ოთარ ჯანელიძე

თბილისისთვის ბრძოლა – თბილისისთვის ბრძოლა 1921 წ-ის 18-24 თებერვალს. 18 თებერვალს ქართულ შეიარაღებულ ძალებს შემდეგი თავდაცვითი პოზიციები ეკავათ: მარჯვენა ფლანგზე - კოჯორ-მანგლისის გზატკეცილზე, თეთრი დუქნიდან აზეულას (ქორ-ოღლის) ციხემდე მე-4 ათასეული იდგა. ტაბახმელას მონაკვეთი სამხედრო სკოლას ეკავა. ამ ფრთას გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. ცენტრში გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაქვემდებარებული ნაწილები იყო დისლოცირებული. შავნაბადას სიმაღლეები მე-9 ათასეულს ეკავა, სოღანლუღის სიმაღლეები სადარაჯო ათასეულსა და მეტყვიამფრქვევთა ბატალიონს. მათგან მარჯვნივ, რკინიგზის ხაზთან, სანაპირო ათასეულის ერთი რაზმი იყო განლაგებული ორი ზარბაზნით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კი რკინიგზის ხაზამდე გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები. მარცხენა ფლანგზე - გვარდიის აღდგენილი ნაწილები იდგა გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით, კერძოდ, იმერეთის მე-2, ზუგდიდისა და დუშეთის ბატალიონები და თითო-თითო საველე და სამთო საარტილერიო ბატარეები.

18 თებერვალს, 20-21 საათზე ქართველმა სადაზვერვო რაზმებმა მოწინააღმდეგის მოძრაობა დააფიქსირეს. 22 საათისათვის მოწინააღმდეგემ იაღლუჯას ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებისაკენ დაიძრა. არსებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ გენერალმა მაზნიაშვილმა დაასკვნა, რომ მტერი ძირითად იერიშს მხოლოდ ერთი მიმართულებით, მტკვრიდან რკინიგზის ხაზამდე არსებულ მონაკვეთზე მოიტანდა. მაზნიაშვილი გვარდიის გორის ბატალიონის მიერ დაკავებულ პოზიციებზე მივიდა, რადგან შეტევა სწორედ აქ იყო მოსალოდნელი. დაახლოებით 1.30 საათზე დაიწყო შეტევა. მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებდან მალევე ჯავშანმატარებელი სოღანლუღის ხიდთან მივიდა და ბრძოლაში ჩაება. მე-11 არმიის ნაწილებმა შეტევის ფრონტი გაშალეს და ბრძოლაში უკვე საყარაულო რაზმი და სადარაჯო ათასეულიც ჩაერთო. სადარაჯო ათასეული მტკიცედ იცავდა თავის პოზიციებს, სამაგიეროდ, სასტიკ ხელჩართულ ბრძოლაში ჩართულმა სანაპირო ათასეულის რაზმმა, რომელსაც ხელჩართულ ბრძოლაში ქართველი არტილერისტებიც ეხმარებოდნენ, მტრის შემოტევას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო ორი ზარბაზანი და ძალიან მიუახლოვდა სოღანლუღის სადგურს. ქართულმა ჯავშანმატარებელმა თავისი ცეცხლით მოწინააღმდეგეს სადგურის დაკავების საშუალება არ მისცა. 19 თებერვლის 2-დან 3 საათამდე პერიოდში მტერმა სადარაჯო ათასეულის მიმართულებით შეტევა შეწყვიტა, სამაგიეროდ, მთელი ძალებით გვარდიის გორის ბატალიონის პოზიციებს შეუტია. სადარაჯო ათასეული სანგრებიდან სროლით ცდილობდა გორის ბატალიონის დახმარებას. გვარდიელებმა ყველა შეტევა მოიგერიეს. ამ დროისათვის ბრძოლაში, კვინიტაძის ბრძანებით, გვარდიის სარეზერვო ბატალიონი ჩაერთო ვალიკო ჯუღელის მიერ მოყვანილი ჯავშანმანქანების მხარდაჭერით. მათ სუღანლუღის სადგურიდან უკუაგდეს მტერი. მთელი ამ ხნის მანძილზე შედარებით მცირე მასშტაბის შეტევა ხორციელდებოდა მე-9 ათასეულის პოზიციებზე. დაახლოებით 3-დან 4-ის ნახევრამდე პერიოდში გენერალი მაზნიაშვილი სადარაჯო ათასეულის განლაგებაში გადავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლის ხელმძღვანელობა. მოწინააღმდეგე ჯიუტად ცდილობდა გორის გვარდიელების პოზიციების გარღვევას. გამთენიისას, მოწინააღმდეგის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ, სადარაჯო ათასეული იერიშზე გა-

დავიდა. მას გორის ბატალიონმაც მიჰბაძა, სანგრებიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგეს შეუტია. მათ მხარი სარეზერვო ბატალიონმაც დაუჭირა. ბრძოლაში მონაწილეობდა ორი ქართული თვითმფრინავიც. მტერმა უკან დაიხია იაღლუჯას მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი.

მე-11 არმიის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა, 19 თებერვალს თბილისი აეღო. ცენტრში დამარცხების შემდეგ მათ შეტევის მიმართულება შეცვალეს და ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთას შეუტიეს. დილის 8 საათზე მტერი სოფლების ვაშლოვანისა და კუმისის წინ გამოჩნდა და ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით დაიძრა. ტაბახმელაში მყოფმა სამხედრო სკოლამ და მე-10 ათასეულის მეომრებმა შეტევა მოიგერიეს, სამაგიეროდ, მტერმა კოჯორი დაიკავა და წავკისის მიმართულებით დაიძრა. შეიქმნა საშიშროება, რომ ტაბახმელაში მყოფი ქართული შენაერთები ალყაში მოექცეოდნენ, ამიტომ გენერალმა ანდრონიკაშვილმა მათ უკან დახევა უბრძანა. ტაბახმელის მიმართულების ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ჩათვლა, რომ ბრძანების შესრულება მოწინააღმდეგეს გზას გაუხსნიდა თბილისისკენ და გენერალ ანდრონიკაშვილთან თათბირის შემდეგ კონტრიერიში განახორციელა. მოხერხდა მოწინააღმდეგის შეჩერება. ახლა საჭირო იყო კოჯრის დაბრუნება. ეს მეტად ძნელი ამოცანა იყო. პირდაპირი იერიში დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ამიტომ გადაწყდა, იერიში მოწინააღმდეგის ფლანგებზე განეხორციელებინათ. კოჯორ-ტაბახმელის მიმართულებაზე გადასროლილ იქნა ყველა რეზერვი. 19 თებერვილის საღამო და ღამე შენაერთების საწყის პოზიციებზე განლაგებამ დაიკავა.

20 თებერვალს დილით ადრე კოჯრის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო. ქართველთა შეტევის შეჩერების მიზნით, მოწინააღმდეგემ ტაბახმელის პოზიციებს შემოუტია, თუმცა უშედეგოდ. 14 საათისთვის კოჯორი ფაქტობრივად გათავისუფლებული იყო. 20 თებერვალს მთელი ღამე მოწინააღმდეგე კოჯორ-ტაბახმელის მიმართულებაზე უშედეგო შეტევას განაგრძობდა და მხოლოდ 21 თებერვალს დილით დაიწყო უკან დახევა. მალე მათი ქვეითი ჯარი აღარსად აღარ ჩანდა.

21 თებერვალს ძირითადი მოვლენები გენერალ ჯიჯიხიას სექტორში განვითარდა. მოწინააღმდეგემ თბილისის დამცველთა მარცხენა ფლანგის შემოვლა განიზრახა, მაგრამ გვარდიის ბატალიონები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ჯიჯიხიას დაქვემდებარებული ძალები კვინიტაძემ წინასწარ დამატებითი ბატალიონებით გააძლიერა. სოფელ ლილოდან ხუთმა გვარდიულმა ბატალიონმა, ქართველ კავალერისტთა მხარდაჭერით, და ასევე ორხევში მდგომმა ორმა გვარდიულმა ბატალიონმა მოწინააღმდეგეზე ძლიერი იერიში მიიტანეს. მე-11 არმიის ნაწილებმა უკან დახევა დაიწყეს. მათი დევნა დაღამებამდე გაგრძელდა. ქართულმა შენაერთებმა მტერს 10 კილომეტრზე მეტით დაახევინეს.

რადგან თბილისის პირდაპირი იერიშით აღება ვერ მოხერხდა, მე-11 არმიის სარდლობამ ქალაქის დამცველთა ფლანგებიდან შემოვლა განიზრახა და ძალების გადაჯგუფება დაიწყო. შეიქმნა ორი დაჯგუფება. ერთს ველიკანოვი მეთაურობდა, მეორეს კი - კუიბიშევი. ამ უკანასკნელმა დედოფლისწყაროსთან ქართულ ნაწილებთან ბრძოლის დროს მოკლული კურიშკო შეცვალა. კუიბიშევის დაჯგუფება მე-9 ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიებით გაძლიერდა. მას თბილისზე აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეტევა დაევალა. ველიკანოვს დასავლეთიდან უნდა განეხორციელებინა იერიში. 22 თებერვალს მოწინააღმდეგის ცხენოსანმა რაზმმა მანგლისი დაიკავა და მანგლისი-კოჯრის გზატკეცილით იერიში წამოიწყო, თუმცა მარცხი იწვნია.

23 თებერვალს მოწინააღმდეგემ თავისი მარჯვენა ფლანგის გაძლიერება დაიწყო. ამ მიმართულებით მე-11 არმიის ცხენოსანი ნაწილები, მე-12 და მე-18 საკავალერიო დივიზიები გამოჩდნენ. მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა ქართულ ნაწილებზე, რის გამოც გენერალ ჯიჯიხიას დაქვემდებარებაში მყოფმა ქართულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს და თავისი ძველი, 21 თებერვლამდელი, პოზიციები დაიკავეს. ქართულმა სარდლობამ კონტრშეტევის განხორციელება გადაწყვიტა. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი წინა დღეების მანძილზე მოწინააღმდეგის ძირითადი შეტევები კოჯორ-ტაბახმელისა და სოღანლუღის მიმართულებებზე ხორციელდებოდა, გენერალმა კვინიტაძემ კონტრშეტევის განხორციელება მარცხენა ფლანგიდან გადაწყვიტა. წარმატების მიღწევის შემთხვევაში, შენაერთების დიდი ნაწილი სასწრაფოდ მარჯვენა ფლანგზე იქნებოდა გადასროლილი და შემდეგ იქ განხორციელდებოდა შეტევა. კონტრშეტევის მიმართულებაზე რიცხობრივი უპირატესობის მოპოვების მიზნით, გენერალ ჯიჯიხიასთან დამატებითი ძალების კონცენტრაცია დაიწყო. 23 თებერვალს, 14 საათზე, მოწინააღმდეგემ ქართველების მიერ უკან დახევის დროს აფეთქებული ფოილოს სარკინიგზო ხიდი აღადგინა. ამან მას დამატებითი ძალების (მათ შორის ტანკების) სწრაფი გადაადგილებისა და, რაც ყველაზე მთავარია, ჯავშანმატარებლების გამოყენების საშუალება მისცა. იმავე საღამოს ამ ჯავშანმატარებლებმა ქართულ პოზოციებთან მოახლოება სცადეს, მაგრამ ქართველ არტილერისტთა ზუსტი ცეცხლის გამო იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. საღამოს მოწინააღმდეგემ ტაბახმელის პოზიციებზე მიიტანა იერიში, რომელიც რამდენჯერმე იქნა მოგერიებული.

24 თებერვალს ქართულმა შენაერთებმა მარცხენა ფლანგზე გადაჯგუფება ვერ მოასწრეს და კონტრშეტევის დაწყება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგემ ყველა მიმართულებით შეუტია ქართულ ნაწილებს.

მარჯვენა ფლანგზე მტერმა დილიდანვე დაუშინა ჩვენს პოზიციებს საარტილერიო ცეცხლი და შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა. იუნკერთა შემადგენლობიდან 85-90 კაციღა იყო დარჩენილი. დიდი იყო დანაკლისი ნაცვალთა შორისაც. მიუხედავად მრავალგზის შეტევისა, მოწინააღმდეგე ქართული პოზიციების გარღვევას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგეს დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, რამაც შედეგი გამოიღო და ნაშუადღევს მტერმა №4 სანგარი დაიკავა. ამის შემდეგ ისინი პირდაპირ ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის ბატარეის წინ აღმოჩდნენ და ქართველ არტილერისტებზე ხიშტებით წამოვიდნენ. ლეიტენანტმა მესხიშვილმა ხმალი იშიშვლა და თავისთან მყოფ იუნკრებთან ერთად მოწინააღმდეგეს ეკვეთა. ოფიცრების შავდიას, ხოშტარიასა და ჩოჩუას წინამძღოლობით მათ სხვა იუნკრებიც წამოეშველნენ და მტერს უკან დაახევინეს. მოწინააღმდეგე მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტა და ამით უკან მყოფ თავის მეტყვიამფრქვევეებს 100-120 ნაბიჯის მანძილიდან იუნკრებისათვის ცეცხლი გახსნის საშუალება მისცა. სხვა გამოსავალი არ იყო და იუნკრების ნაწილმა კაპიტან ჩოჩუას მეთაურობით მეტყვიამფრქვევეებს შეუტია. მტრის რიგებამდე პირველმა იუნკერმა შალვა ერისთავმა მიირბინა და მემიზნე ოფიცერი ხიშტით მოკლა, თუმცა თავადაც სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა. ასევე დაიღუპნენ იუნკრები ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი, 15-მდე კი დაიჭრა. დაიჭრნენ კაპიტნები ჩოჩუა, შავდია და ხოშტარია. იერიშები დაღამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბოლშევიკბმა ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. დაბნელებისთანავე მათ იერიშები შეწყვიტეს და უკან დაიხიეს.

არანაკლებ მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა სოღანლუღი-შავნაბადას მიმართულებაზე. ამ სექტორში მოწინააღმდეგემ მთავარი დარტყმა გზატკეცილისა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ განავითარა. ამ მიმართულებით მტრის მოგერიება მოხერხდა, მაგრამ კრიტიკული ვითარება მას შემდეგ შეიქმნა, რაც რუსები თელეთიდან გადმოვიდნენ შეტევაზე, ფრონტი გაარღვიეს და 18 საათისათვის სოღანლუღის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიული სიმაღლე №3150 დაიკავეს. შეიქმნა საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე წარმატებას განავითარებდა, უფრო ღრმად შემოიჭრებოდა და საშუალება მიეცემოდა, ზურგში მოჰქცეოდა არა მარტო გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებს, არამედ გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთებსაც. საჭირო იყო სასწრაფოდ სიმაღლის დაბრუნება. წყაროთა ერთი ნაწილის მონაცემებით, მათ შორის გენერალ მაზნიაშვილის თანახმად, სიმაღლის დაბრუნება მოხერხდა. საბჭოთა მონაცემებით, სიმაღლე მე-11 არმიის ქვედანაყოფებს ჰქონდათ დაკავებული.

უმძიმესი ბრძოლა მიმდინარეობდა მარცხენა ფრთაზე. დილის 7 საათზე მოწინააღმდეგის ქვეითი ნაწილები შეტევაზე გადმოვიდნენ. ქართული პოზიციებისკენ დაიძრა მოწინააღმდეგის ოთხი ჯავშანმატარებელიც. როდესაც მტერი ყარაჯალარის გადასარბენს მოუახლოვდა, ქართველმა არტილერისტებმა ჯავშანმატარებლების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ამავე დროს, მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცა, იძულებული გახდა, შეტევა შეეჩერებინა და დაწოლილიყო. მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენის გავლა სცადა, მაგრამ ოთხი ქართული ბატარეის საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მოქცეული, იძულებული გახდა, უკან დაეხია. ჯავშანმატარებლების შეტევა სამჯერ განმეორდა. 11 საათისათვის, მიუხედავად ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენი გაიარა, თუმცა მისი ჯავშანმატარებლები სერიოზულად დაზიანდა. 14 საათზე ქართული პოზიციებიდან კვლავ განახლდა საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლი. 16 საათისათვის დაიწყო თოვა, ჩამოწვა ბურუსი, ძალიან აცივდა. სწორედ ამ დროს ოთხმა ქართულმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მტრის ჯავშანმატარებლებზე და ოცდაათამდე ბომბი ჩამოყარა. ბრძოლაში ქართული ჯავშანმატარებელიც ჩაერთო, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალიან დიდი უპირატესობის გამო, ნავთლუღის მიმართულებით დაიხია. ნავთლუღის მიდამოები კი მოწინააღმდეგის ავიაციამ დაბომბა. ორხევის სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის არაერთი იერიში მოიგერიეს, მაგრამ როდესაც დაახლოებით 17 საათისათვის სანგრებთან მტრის სამი ტანკი გამოჩნდა, იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. გენერალმა ჯიჯიხიამ იმერეთის მე-2 ბატალიონს კონტრშეტევის განხორციელება დაავალა. კონტრშეტევა წარმატებული აღმოჩნდა და დაახლოებით 19.30 საათისთვის ქართულმა მხარემ პოზიციები დაიბრუნა.

სანამ ორხევის მიმართულებაზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგემ თავისი კავალერიით ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა და სოფელ ლილოსთან გამოჩნდა. მთავარსარდალი იძულებული გახდა, ამ მიმართულებით დაცვის კიდევ ერთი სექტორი გაეხსნა და მის უფროსად გენერალური შტაბის ოპერატიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი დანიშნა. წითელმა კავალერიამ სოფელ დიდ ლილოს შემოუარა და ავჭალის მიმართულებით დაიძრა. სოფელ ნორიოსთან გვარდიის კავალერიის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურიამ ორი ესკადრონით მოწინააღმდეგეს შეუტია და მისი შეჩერება სცადა. ეს იერიში გარკვეულწილად წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მოწინააღმდეგის წინსვლა შეფერხდა. თუმცა მისმა რამდენიმე რაზმმა ავჭალადე მისვლა მაინც შეძლო. ავჭალაში გაიგზავნა ჯავშანმატარებლები, მოხალისეები და წითლების უკუგდება მოხერხდა.

24 თებერვალს მოწინააღმდეგემ რეალურად ვერაფერს მიაღწია. ფრონტი ვერსად გაარღვია. ქართულმა შეიარაღბულმა ძალებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. მიუხედავად ამისა, მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ ჩათვალა, რომ თბილისის დაცვის გაგრძელება შეუძლებელია, რადგან: არსებობდა ფლანგებიდან შემოვლის საფრთხე, რაც თბილისის ალყაში მოქცევას ნიშნავდა. ამას ემატებოდა რეზერვის არარსებობა. ამიტომ საღამოს დაახლოებით 20.30 საათზე, მთავრსარდალმა ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო თბილისის დატოვების შესახებ. 24 საათზე ქართულმა შენაერთებმა მიღებული ბრძანების თანახმად, პოზიციების დატოვება დაიწყეს.

ლიტ.: ა. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003; ა. კ ვ ი ტ ა ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს, საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, ჟურ. „განთიადი“ 1990, №2; გ. კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე, მოგონებები, ტ. I-II თბ,. 2014; გ. მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, მოგონებები, ბათ., 1990; ა. ჩ ხ ე ი ძ ე, სამხედრო სკოლა, ჟურ. მხედარი, 1991, №1-4; А. К а д и ш е в, Интервенция и гражданская война в закавказии, М., 1960; М. Т р а с к у н о в, Героический боевой путь 11-ой армии на фронтах Гражданской войны. Тб., 1958; მ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბ., 2013; ლ. თ ო ი ძ ე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრიივ ანექსიაც, თბ., 1991.

ბახტაძე მიხეილ

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო – მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთში პირველად 1905 წარმოიქმნა, პირველი დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. საქართველოში ანალოგიური ორგანიზაციების როლს ასრულებდნენ საგაფიცვო კომიტეტები ან ბიუროები, რომლებიც შეიქმნა 1905 ხაშურში, ჭიათურაში, ქუთაისში, სამტრედიაში, ბათუმში, თბილისში და სხვ. ამავე წლის დეკემბერში შეიქმნა ამიერკავკასიის საგაფიცვო ბიურო.

რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, 1917 წ-ის 4 მარტს შეიქმნა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც აირჩია დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი. მასში უმთავრესად სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ, თავმჯდომარეც კავკასიელი და ქართველი სოციალ-დემოკრატების აღიარებული ლიდერი ნოე ჟორდანია გახდა. საბჭო წარმოადგენდა საქართველოს რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს. ქალაქისა და ქვეყნის ნორმალური წარმართვისათვის საბჭოსთან ჩამოყალიბდა კომისიები: სასურსათო, საფინანსო, საგამომძიებლო, სასოფლო, სამხედრო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სხვ. თბილისის მუშათა საბჭო ხელმძღვანელობდა საქართველოს სხვა ქალაქებში შექმნილ საბჭოების მუშაობას. იმავე წლის 6 მარტს შეიქმნა თბილისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ესერი ჯარისკაცი ვერეშჩაკი.

თბილისის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო

მალე ორივე საბჭო გაერთიანდა და მათ საქმიანობას ხელმძღვანელობდა პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარეც იყო ნ. ჟორდანია. ფუნქციონირებდა აგრეთვე ორი საბჭო: ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი, რომლის თავმჯდომარე ერთხანს იყო ნ. ჟორდანია და კავკასიის რუსული არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭო (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი). კავკასიიდან და საქართველოდან რუსული ჯარების გასვლის შემდეგ ჯარისკაცთა საბჭოებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს. 1918 წ-ის 24 მაისს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ნ. ჟორდანიამ და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დასვა. ნ. ჟორდანიას მოგონებით, თბილისისა და რაიონების მუშათა წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ფუნქციონირება შეწყვიტა და ადგილი დაუთმო სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი მეექვსე. რედ. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბ., 1972; ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული (მოგონებანი), თბ., 1990; შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში. თბ., 2001.

დიმიტრი შველიძე

თბილისის ობსერვატორია – თბილისში ე. წ. „საფიზიკო ობსერვატორია“ დაარსდა 1850. მას ევალებოდა არა მარტო თბილისში, არამედ მთელ კავკასიაში „კლიმატოლოგიური და საფიზიკო გამოკვლევა“. მის მიერ მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად მიღებული დასკვნები შევიდა 60-ტომიან ნაშრომში - „დაკვირვებანი ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიისა“ და 25-ტომიან „ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის თვიურ ბიულეტენში“, „ნიკოლოზის მთავარ საფიზიკო ობსერვატორიის მატიანეში“ და „სეისმურ ბიულეტენში“. XIX ს-ში პროფესორებმა ვოეიკოვმა, დოკუჩაევმა, კუზნეცოვმა, ფიგუროვსკიმ და სხვ. ამ კვლევებზე დაყრდნობით შეისწავლეს კავკასიის კლიმატი, ნიადაგი და შეიმუშავეს სუბტროპიკული და სხვა კულტურების დანერგვის თეორია. 1918 ობსერვატორიას ჰქონდა თბილისში განყოფილება სამეცნიერო დაკვირვებებისათვის, სადაც მუშაობდა გამგე, 2 ფიზიკოსი და 4 დამკვირვებელი. ობსერვატორიას ეკუთვნოდა 6 სეისმოგრაფი, სეისმური სადგური ბორჯომში, რომელიც აკვირდებოდა მიწისძვრასა და მინერალური წყლების „ინტერმიტეციას“. ობსერვატორიასთან იყო მექანიკური სახელოსნო, სადაც შეაკეთებდნენ დაზიანებულ ხელსაწყოებს, ზოგჯერ ამზადებდნენ ახალსაც, რადგან უცხოეთიდან ამ ხელსაწყოთა გამოწერა ჭირდა. ობსერვატორიას მაგნიტური გან-ბა ჰქონდა ქარხანაში, მცხეთასთან ახლოს. აქ იკვლევდნენ დედამიწის მაგნიტურ მდგომარეობას, ადგენდნენ ცვლილებების შკალას. თბილისის ობსერვატორიის დირექტორი იყო გ. ა. ფონ ლემლეინი. 1919 წ-ის ზაფხულში, მთავრობის დავალებით, დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის მიერ გამოყოფილმა მცირე კომისიამ შეამოწმა თბილისის ობსერვატორია, გამოავლინა მის სამეცნიერო და ტექნიკურ მუშაობაში მთელი რიგი ხარვეზები. ამის საფუძველზე დამფუძნებელი კრების 1919 წ-ის 28 ივლისის სხდომაზე გადაწყდა, თბილისის ობსერვატორია გაუქმებულიყო, მის ნაცვლად დაარსებულიყო „საქართველოს ფიზიკური ობსერვატორია“, დაწესებულება გადასცემოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გათავისუფლებულიყო მისი გამგე დაკავებული თანამდებობიდან და ეს ადგილი დაეკავებინა უნ-ის პროფესორს ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილს. გაუქმდა ძველი შტატები, უნ-მა შეიმუშავა ობსერვატორიის ახალი დებულება და შტატები.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 9, ფ. 12-17; ფ. 1935, საქ. 9, ფ. 44, 46, 48.

დოდო ჭუმბურიძე

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი – 1919 წ-ის 11 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. პედ. ინსტიტუტი არსდებოდა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებთან. ინსტიტუტის კურსი ორი საფეხურისგან შედგებოდა, ორ-ორი წლის კურსით. პირველი საფეხური ამზადებდა უმაღლესდაწყებითი სასწავლებლების პედაგოგებს, ორივე საფეხური ერთად კი - საშუალო სკოლის მასწავლებლებს. ინსტიტუტის მსმენელად მიიღებოდა უნ-ის სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ის ყველა სტუდენტი. პირველ საფეხურზე მიიღებოდნენ აგრეთვე საოსტატო სემინარიების კურსდამთავრებულნი და აგრეთვე ის პირები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებდნენ. ინსტიტუტის სტუდენტები თეორიულ საგნებს უნივერსიტეტში ისმენდნენ, პრაქტიკულ პედაგოგიურ საკითხებს კი ინსტიტუტში გაივლიდნენ. თუ უნ-ში არ მოისმენდა ზოგადთეორიულ საგნებს, ისე მსმენელი პედაგოგიურ ინსტიტუტში სპეციალურ საგნებს ვერ ჩააბარებდა. პედ. ინსტიტუტის საქმეებს განაგებდა საბჭო და დირექტორი, რომელსაც სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო ირჩევდა და სახალხო განათლების მინისტრი ამტკიცებდა. საბჭოს მოვალეობას შეადგენდა ლექციების პროგრამებისა და პრაქტიკული სამუშაოს გეგმების დამტკიცება. მსმენელების მიღება და გარიცხვა, გამოცდების წესების დადგენა და ორგანიზება, დიპლომების მინიჭება.

ინსტიტუტში პრაქტიკული მუშაობის შესასწავლად არსდებოდა კაბინეტები: ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის; მათემატიკის; გეოგრაფიის, ფიზიკა-ქიმიის, ანატომია-ფიზიოლოგიის, სასკოლო ხელოვნებათა, ისტორიის და სხვ. თბილისის სახ. უნ-ის პროფესორთა საბჭოს 1919 წ-ის 5 ივნისის დადგენილებით, პედაგოგიურ ინსტიტუტს „საჭიროებისათვის“ გადაეცა საოსტატო ინსტიტუტის შენობა და მთელი ქონება. 1920 წ-ის 1 იანვრიდან უნივერსიტეტს დაუმტკიცდა დამატებითი შტატები და ხარჯები და, მთავრობის გადაწყვეტილებით, მას ინსტიტუტისთვის გადაეცა 172 635 მანეთი - დამატებითი ჯილდოსათვის ძირითადი თანხები კი უნ-ს მიეცემოდა 4 480 076 მანეთის ოდენობით.

ლიტ.: დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000; სცსა, ფ. 1861, ან. 1, საქ. 218.

დოდო ჭუმბურიძე

თბილისის პედაგოგიური მუზეუმი – თბილისის პედაგოგიური მუზეუმი დაარსდა კავკასიის პედაგოგიური მუზეუმის ბაზაზე. ეს იყო მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, სასწავლო-საჩვენებელი დაწესებულება. დირექტორი იყო გ. ზინჩენკო. მუზეუმი 1903 გაიხსნა. 1907 ნ. რუდოლფმა დაიწყო მისი რეორგანიზაცია და იგი გადააკეთა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმად. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მუზეუმის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, სადაც 23 ათასზე მეტი წიგნი იყო დაცული. 1918 წ-ის სექტემბერში განათლების მინისტრმა გ. ლასხიშვილმა პარლამენტსა და მთავრობას წარუდგინა გეგმა-მოხსენება თბილისში ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის გახსნის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ მუზეუმს უნდა დაეჭირა დიდი ადგილი სახალხო განათლების სფეროში და მეტად დაახლოებოდა ეროვნული სკოლის ინტერესებს. ის წერდა: „მუზეუმის მოღვაწეობას რომ უფრო მტკიცე ხასიათი მიეცეს, ამიტომაც საჭიროა, რომ ეს მუზეუმი დაუახლოვდეს სკოლასა და საზოგადოთ სახალხო განათლების საქმეს საქართველოს რესპუბლიკაში, რაც თავისთავად გამოიწვევს მუზეუმის რეორგანიზაციას და ამ სამეცნიერო დაწესებულების სპეციალისტების ხელში გადასვლას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამ ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულების საქმეთა სათანადო დონეზე დაყენება, მისი მოწესრიგება“. მუზეუმის რეორგანიზაციისათვის მინისტრი ითხოვდა გარკვეულ თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სათანადო მხარდაჭერას. მთავრობამ და პარლამენტმა მოიწონეს კანონ-პროექტი. 1919 წ-ის 3 მაისის განკარგულებით, სახალხო განათლების სამინისტრომ ჩაატარა მუზეუმის რევიზია ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ჯავახიშვილის დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ მუზეუმი წარმოადგენდა ძვირფას განძს საქართველოში სწავლა-განათლებისათვის და განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებდა, მით უმეტეს „იმ დროს, როდესაც ქვეყანაში განათლების ახალ სისტემას ეყრებოდა საფუძველი და ქვეყანა თითქმის მოწყვეტილი იყო გარესამყაროს“. კომისიის სახელით, ალ. ჯავახიშვილი „ამ მუზეუმის ასაღორძინელად და სწავლა-განათლების სასარგებლო დაწესებულებად მისი გადაქცევისათვის“ საჭიროდ მიიჩნევდა მის ხელახალ ორგანიზებას, შესაფერისი ბინის გამონახვას, სადაც სამუზეუმო ნივთების შენახვისა და გამოფენის საუკეთესო პირობები იქნებოდა. ყურადღება დაეთმობოდა ნივთების დაცვისა და საგამოფენო ექსპოზიციების მოწყობას. ლექცია-საუბრებისათვის მუზეუმს სპეციალური აუდიტორია სჭირდებოდა. მუზეუმში შეიქმნებოდა ქართული და, ზოგადად, კავკასიის განყოფილება, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ადგილობრივი ბუნება, მცხოვრებლები (ეთნიკური ტიპები), მოსახლეობის საქმიანობა. აღიწერა მუზეუმის მთელი ქონება, შედგა კატალოგები, ყურადღება მიექცა კოლექციების დაცვას, რომელსაც ეტყობოდა „გაზიდვა-გატაცების ბეჭედი“. შეიქნა მუზეუმის ახალი მართვა-გამგეობის ორგანო, დაიგეგმა პედაგოგიური მუზეუმის გაფართოება-შევსება, რათა იგი ქცეულიყო „რესპუბლიკის სასარგებლო დაწესებულებად“. ხელმძღვანელ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ჯავახიშვილი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 250; სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 5.

დოდო ჭუმბურიძე

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი – 1917 დაარსდა და იყო პირველი უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლა საქართველოში. სასწავლებელს ჰქონდა საინჟინრო, ეკონომიკური, ჰიდრომექანიკური, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, ფიზიკის, ქიმიის, მინერალოგიის, კრისტალოგრაფიის, გეოდეზიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, მეფუტკრეობის, ცხოველთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის, მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკის, გეოდეზიის, საერთო და კავკასიის გეოგრაფიის, მათემატიკის კათედრები, კაბინეტ-ლაბორატორიები. სასწავლებელში ძირითადად არაქართველი პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ. რექტორი იყო პროფესორი გამბაროვი. იყვნენ ქართველებიც, მაგ.: 1917 წ-ის სექტემბერში მოიწვიეს მოსკოვის ქალთა გიმნაზიის პედაგოგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი. გამბაროვის შემდეგ რექტორად პროფესორი დიდებულიძე დაინიშნა. 1918 წ-ის სექტემბერში განათლების სამინისტროს კომისიამ შეისწავლა პოლიტექნიკურის ხარჯები და ეკონომიკური მდგომარეობა და დაადგინა, რომ „პოლიტექნიკური ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება, არ არის საჭირო“, რომ იგი ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს უნდა შეერთებოდა. დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ

სპეციალურად რამდენიმე სხდომა მიუძღვნა ამ საკითხის განხილვას. საინტერესო იყო პოლიტ. ინსტიტუტის რექტორის, პროფესორ დიდებულიძისა და ივანე ჯავახიშვილის დისპუტი კომისიაში პოლიტექნიკური განათლების შესახებ. ვრცელ მოხსენებაში დიდებულიძემ ახსნა პოლიტექნიკური უმაღლესი განათლების მნიშვნელობა და არსი როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. დიდებულიძის აზრით, „პოლიტექნიკურსა და უნივერსიტეტს შორის დიდი განსხვავება არის, თუმცა, ფაკულტეტები სახელწოდებით ერთი და იგივეა, მაგრამ შინაარსით - კი სულ სხვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ევროპაში პოლიტექნიკური ყველგან დამოუკიდებლად არსებობს, და სადაც კი დაკავშირებული იყო, ეს შეუძლებლად მიიჩნიეს და ჩამოაშორეს უნივერსიტეტებს". მას მიაჩნდა, რომ საქართველოშიც პოლიტექნიკური ცალკე უნდა ყოფილიყო, უნივერსიტეტთან კავშირით ის დაკარგავდა დამოუკიდებლობას და საზიანო იქნებოდა ქვეყნისთვის. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ცალკე პოლიტექნიკურის შენახვა საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა და ამიტომ უნდა გაერთიანებულიყო უნივერსიტეტთან. სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჯავახიშვილის აზრით, შეეძლო ამ საქმეს გასძღოლოდა. პირველ სამ წელს აქ მოისმენდნენ სტუდენტები ზოგად საგნებს, შემდეგ კი გაივლიდნენ სპეციალურ კურსს. ამის შემდეგ დიდებულიძემ ილაპარაკა იმაზე, რომ სასწავლებელს ჰქონდა ფული და სასწავლო კაბინეტები, მაგრამ იდგა საკითხი მისი გადასვლისა მთავრობის ხელში, ასევე, გაეროვნების, პოლიტექნიკურის გაერთიანება მთავრობას არც მატერიალურად მისცემდა რაიმეს და არც სხვა მხრივ, ეს არც პრაქტიკულად იყო გამართლებული: უნივერსიტეტში სტუდენტთა რიცხვი გაორმაგდებოდა, საჭირო გახდებოდა მეტი კაბინეტ-ლაბორატორიები, ამიტომ ის რჩებოდა ამ სასწავლებლის დამოუკიდებლობის მომხრედ. ივანე ჯავახიშვილმა ეჭვი გამოთქვა იმაზე, რომ პოლიტექნიკურს საკუთარი თავის შესანახად საკმარისი ფული ჰქონდა ან საკმარისი პროფესორები ჰყავდა, არც აუდიტორიები ეყოფოდა და არც კაბინეტები, სტუდენტებს მოუწევდათ აქეთ-იქით სიარული, გაეროვნებასაც ცალკე ვერ შეძლებდა, რადგან პროფესორების უმეტესობამ არ იცოდა ქართული ენა. ხანგრძლივი დავის შემდეგ განათლების კომისიის წევრებმა რამდენჯერმე უყარეს კენჭი სხვადასხვა წინადადებას, საბოლოოდ მიიღეს მუხრან ხოჭოლავას აზრი - ორი უმაღლესი სასწავლებელი ფართო ავტონომიის ნიადაგზე შეერთებულიყო.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 437, 265.

დოდო ჭუმბურიძე

თბილისის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი - საშუალო ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა შემდეგ სპეციალისტებს: ინჟინერთა უშუალო დამხმარეს, ტექნიკოსებს, რკინიგზის მექანიკოსებს, ელექტრიკოსებს და სხვ. დირექტორი 1918-1919 სასწავლო წელს იყო ვ. კაკაბაძე. მოსწავლეთათვის სავალდებულო იყო საზაფხულო პრაქტიკის გავლა. პრაქტიკას გადიოდნენ: სახაზინო რკინიგზის სამმართველოს მთავარ სახელოსნოში, კახეთის რკინიგზის სამმართველოს სახელოსნოში, გზატკეცილების განყოფილებაში, ტრამვაიზე, ელექტროსადგურებში, სამხედრო არსენალში და სხვ.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 440.

დოდო ჭუმბურიძე

თბილისის (ვანო სარაჯიშვილის სახელობის) სახელმწიფო კონსერვატორია – პირველი ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელია საქართველოსა და მთელ კავკასიაში. დაარსდა სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე. ოფიციალური გახსნის თარიღია 1917 წ-ის 1 მაისი. 1924 სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა. 1947 წ-დან ვ. სარაჯიშვილის სახელს ატარებს. სასწავლებელს მყარი პროფესიული საფუძველი



თბილისის კონსერვატორია

ჩაუყარა პედაგოგთა პირველმა თაობამ: ილია აისბერგმა, ანასტასია ვირსალაძემ, ანა თულაშვილმა, ფრანც კესნერმა, ვალენტინა კუფტინამ, ჰენრიჰ ნეიჰაუზმა, ლაუციან ტრუსკოვსკიმ, ოლღა ბახუტაშვილი-შულგინამ, ენრიკო ბროჯი-მუტინიმ, ვიქტორ ვილშაუმ, ევგენი ვრონსკიმ, სანდრო ინაშვილმა, ვარვარა ზარუდნაიამ, ვალერიან ქაშაქაშვილმა, მორის ლუდნიკმა, ევგენი გუზიკოვმა, კონსტანტინ მინიარ-ბელორუჩევმა (ჩელო); სერგეი ბარხუდარიანმა; მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვმა; ზაქარია ფალიაშვილმა (კომპოზიცია, თეორია); დიმიტრი არაყიშვილმა (ქართული ხალხური შემოქმედება); ივანე ფალიაშვილმა (დირიჟორი) და სხვ. თბილისში ჩამოდიოდნენ და მუშაობდნენ ცნობილი მუსიკოსები: ვლადიმერ შჩერბაჩოვი,

მარია იუდინა, პიოტრ რიაზანოვი, ალექსანდრ რიაბინოვიჩი. 1930-იანი წწ-დან მუშაობას იწყებენ: დირიჟორი ევგენი მიქელაძე, მუსიკათმცოდნეები: ფოლკლორისტი გრიგოლ ჩხიკვაძე, თეორეტიკოსი შალვა ასლანიშვილი; მუსიკის ისტორიკოსები: ვლადიმერ (ლადო) დონაძე და პავლე ხუჭუა, დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი და სხვ. იმავე 1930-იან წწ-ში დამკვიდრდა მუსიკალური აღზრდის ეროვნული კონცეფცია და დაინერგა სწავლების 5-წლიანი სისტემა, რომელიც 1990 წ-მდე თითქმის უცვლელად დარჩა. თსკ იყო პირველი საბჭოთა რესპუბლიკების კონსერვატორიებს შორის, რომელმაც სასწავლო გეგმაში ეროვნული პროფესიული მუსიკის თეორიისა და ისტორიის კურსები ჩართო. სისტემატურად ეწყობა ექსპედიციები. მიმდინარეობს ჩანაწერების გაშიფრვა. ქართული ხალხური სიმღერის ელემენტებით მდიდრდება სოლფეჯიოსა და ჰარმონიის სასწავლო კურსები. დამოუკიდებელი კურსის სახით ეს საგნები 1950-იან წწ-ში დამკვიდრდა. მუსიკის თეორიის, ისტორიისა და ფოლკლორის მიმართულებებს სათავეში შალვა ასლანიშვილი, ლადო დონაძე და გრიგოლ ჩხიკვაძე ჩაუდგნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს თსკ-ში მოღვწეობდნენ მაშინდელი საბჭოთა მუსიკალური ელიტის წარმომადგენლები: ალექსანდრ გაუკი, ალექსანდრ გოლდენვეიზერი, კონსტანტინ იგუმნოვი, ნიკოლაი მიასკოვსკი, სერგეი პროკოფევი, იური შაპორინი, სამუილ ფეინბერგი, ვერა დავიდოვა, ალექსანდრ იოხელესი და სხვ. თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ და კონცერტებს ატარებდნენ დიმიტრი შოსტაკოვიჩი, ჰეინრიჰ და სტანისლავ ნეიჰაუზები, ემილ გილელსი, სვიატოსლავ რიხტერი, დავიდ ოისტრახი, მსტისლავ როსტროპოვიჩი და სხვები. 50-იან წლებში ძლიერდება საკომპოზიტორო კლასი (ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშველიძე, ალექსი მაჭავარიანი, იონა ტუსკია, გრიგოლ კილაძე, ალექსანდრე შავერზაშვილი, დავით თორაძე, სულხან ცინცაძე). 1960-იანი წწ-დან, პოლიტიკური „დათბობის“ შემდეგ, ქართველ მუსიკოსებს ევროპული ხელოვნების მიღწევათა გაცნობის მეტი შესაძლებლობა მიეცათ. 1970-იანი წწ-დან ასპარეზზე გამოვიდა კომპოზიტორთა ახალი თაობა: სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, ნოდარ მამისაშვილი. „დაშვებულის“ ფარგლებში შესაძლებელი გახდა ქართველ მუსიკოსთა კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან და ქართული მუსიკის აჟღერება საზღვარგარეთ. სერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწიეს ცალკეულმა შემსრულებლებმაც და სტუდენტურმა კამერულმა ორკესტრმა ოთარ საფარიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 1978 საერთაშორისო კონკურსზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა. 1990-იანი წწ-ის მეორე ნახევრიდან შესაძლებელი ხდება თანამედროვე მუსიკალურ მსოფლიოსთან დაახლოებისათვის აუცილებელი სიახლეების დანერგვა. თსკ საუნივერსიტეტო ტიპის უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელია, რომელშიც, პროფესიულ საგნებთან ერთად, ისწავლება სხვადასხვა ჰუმანიტარული საგნები. არსებობს ენებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრაც. 1995 გადავიდა სწავლების დასავლურ ორსაფეხურიან სისტემაზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა). 2005 წ-დან „ევროპის კონსერვატორიების ასოციაციის“ წევრია. თსკ-ში მოქმედებს: 1917 გახსნილი ფონოტეკის კაბინეტი; 1919 დაარსებილი საოპერო სტუდია; 1932 დაარსებული კლავიშებიან საკრავთა ფაკულტეტი; 1932 შექმნილი კომპოზიციის კათედრა; 1935 დაარსებული აკადემიური სიმღერის ფაკულტეტი; 1934 წ-დან არსებული ფონიატრიული კაბინეტი; 1935 წ-დან საგუნდო-სადირიჟორო კათედრა; 1937 დაარსებული მუსიკის თეორიის ფაკულტეტი; 1946 წ-დან ფოლკლორისტიკის კაბინეტი (1971 გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით, ფოლკლორის კათედრად გარდაიქმნა); 1947 დაარსებული საორკესტრო ჩასაბერ და დასარტყამ საკრავთა ფაკულტეტი; 1997 დაარსებული მუზეუმ-კაბინეტი; 2003 შექმნილი ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი; ჯაზის ხელოვნების ფაკულტეტი; აკუსტიკური მუსიკის ჩამწერი სტუდია; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვ. ფართოვდება და ღრმავდება თსკ-ის კონტაქტები ევროპისა და ამერიკის მუსიკალურ დაწესებულებებთან. ტარდება საერთაშორისო კონკურსები და მოწვეული პროფესორების მასტერკლასები. უმაღლესი სასწავლებლის შენობა აგებულია XX საუკუნის დასაწყისში პიანისტისა და პეტერბურგის კონსერვატორიის დაამარსებლის - ანტონ რუბინშტეინის მიერ გაღებული შემოწირულობით. პროექტის ავტორია XIX საუკუნის 80-90-იან წწ-ში თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორი ალექსანდრ შიმკევიჩი. თსკ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია 53 000-მდე დასახელების წიგნი და 100 000-მდე დასახელების სანოტო მასალა. განსაკუთრებული შემოქმედებითი მიღწევების მქონე სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის სტიპენდიები. არსებობს თსკ-ის სამეცნიერო პერიოდული გამოცემები: „მუსიკისმცოდნეობის საკითხები“ (გამოდის 1972 წ-დან); ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების მოხსენებათა კრებული; 2003 წ-დან ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოდის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი; კონსერვატორიის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“; 2005 წ-დან გამოდის თსკ-ის, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთობლივი გაზეთი „კულტურა“. თსკ-ის რექტორები პირველი რესპუბლიკის პერიოდში იყვნენ: ნიკოლაი ნიკოლაევი (პიან. კომპ. 1917-1918); ზაქარია ფალიაშვილი (კომპ. 1917-1918,

1918-1919); ნიკოლაი ჩერეპნინი (კომპ. 1919-1922).

ლიტ.: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 1917-2007,(კონსერვატორიის გამოცემა).

ზურაბ ლეჟავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას ამაოდ ცდილობდა ქართველი მოღვაწეების არაერთი თაობა, მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ამის საშუალებას არ იძლეოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონარქიის დამხობის შემდეგ დაარსდა, 1918 წ-ის 26 იანვარს (ახ. სტ. 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, როგორც კერძო ქართული უნივერსიტეტი. იგი დაარსდა ქართველ მეცნიერთა ძალისხმევით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილი. მეცნიერებს ხელი შეუწყვეს ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომლებსაც რუსეთში დიდი გავლენა ჰქონდათ (ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, აკ. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი). გახსნის ცერემონიალს უამრავ ხალხთან ერთად პოლიტიკური პირები და კათალიკოს პატრიარქი კირიონი დაესწრნენ. 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი ოფიციალური სხდომა, რომელმაც ივანე ჯავახიშვილს რექტორობა სთხოვა, მაგრამ მან უარი განაცხადა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია. ხოლო 1919 წ-ის 17 დეკემბერს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა მისმა დამაარსებელმა ივ. ჯავახიშვილმა დაიკავა. 1918 წ-ის 27 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი კერძო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაქმნის შესახებ, რაც 3 სექტემბერს საზეიმოდ გამოცხადდა. გახსნის პერიოდში უნივერსიტეტს მხოლოდ სამი აუდიტორია ჰქონდა დათმობილი თბილისის სათავადაზნაურო შენობის მეორე სართულზე. 1918 წ-დან შენობა მთლიანად უნივერსიტეტს გადაეცა. უნ-თვის განკუთვნილი შენობა ჯერ კიდევ 1900-1906 წწ-ში აშენდა ნ. ცხვედაძის ხელმძღვანელობით, არქიტექტორ ს. კლდიაშვილის პროექტის მიხედვით. უნ-ის პროფესორთა პირველ საბჭოში შედიოდნენ ფაქტობრივად მისი დამაარსებლები: ივ. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე, ს. ავალიანი, გ. ახვლედიანი, ა. ბენაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი. თავდაპირველად უნივერსიტეტს მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ჰქონდა, რომელიც აერთიანებდა ჰუმანიტარულ, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო დარგებს. მისი დეკანი ივ. ჯავახიშვილი იყო. შემდგომში უნ-ში სამი ფაკულტეტი ჩამოყალიბდა და მათი რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა. 1919-1920 წწ-ში თსუ-ს ჰქონდა შემდეგი ფაკულტეტები და განყოფილებები: 1. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: ფსიქოლოგიის; ფილოსოფიის; ენათმეცნიერების; სიტყვიერების; საისტორიო; საეკონომიკო. 2. სამათემატიკო ფაკ-ი; 3. საბუნებისმეტყველო ფაკ-ტი; 4. საექიმო ფაკ-ტი. უნ-ის პროფესურა მკაცრად შეირჩა როგორც საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებიდან მოწვეული პროფესორებით, ასევე ადგილობრივი მაღალპროფესიული კადრებით. 1918-1919 სასწავლო წელს უნ-ში მოღვაწეობდა 27 პროფესორი, 8 ლექტორი, 20 ასისტენტი, 9 პირი, რომლებიც სხვადასხვა კათედრებზე იქნენ დატოვებულნი საპროფესორო სტიპენდიანტების სახელით. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში უნ-ს გადაეცა მთელი რიგი სასწავლო დაწესებულებები: სანიტარული ინსტიტუტი, პასტერის ინსტიტუტი, სამართლებრივ-სამედიცინო ლაბორატორია, სამხედრო სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს კლინიკის მდიდრული ტექნიკური აღჭურვილობა, სამეანო-საბებიო ინ-ი და სხვ. უნ-ის გამგებლობაში გადავიდა გაუქმებული საცენზურო კომიტეტის მდიდარი ბიბლიოთეკაც, სადაც ინახებოდა კავკასიის მხარეში სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი პრესისა და წიგნების ეგზემპლარები. უნ-ის ბიბლიოთეკა დამოუკიდებლობის წლებშივე შეივსო 25 ათასი იშვიათი გამოცემით. უნივერსიტეტში ირიცხებოდა 1801 სტუდენტი და 79 თავისუფალი მსმენელი. შემოწირულების სახით უნივერსიტეტს შეუვიდა 75 ათასი მანეთი, სწავლის შენატანი თანხა - 525 000 მან. ამასთანავე, როგორც საარქივო დოკუმენტი მიუთითებს, მან მთავრობისაგან დაარსებისთანავე 6 მილიონ მანეთზე მეტი მიიღო. 1922 პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა, მათ შორის იყვნენ მომავალში ცნობილი ქართველი მეცნიერები: ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, კ. ბაქრაძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა. თსუ-ში შემოღებული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იყო ერთი სამეცნიერო ხარისხი - მეცნიერების დოქტორი ანუ მოძღვართმოძღვარი, რომელიც დასავლეთ ევროპის უნ-ის დოქტორის ხარისხს შეესაბამებოდა. პირველი დისერტაცია პროფესორთა საბჭოს წინაშე დაიცვა ა. შანიძემ 1920 წ-ის 9 მაისს და მიენიჭა მეცნიერების დოქტორის ხარისხი. 1921 წ-ის თებერვალში რუსეთის მეთერთმეტე არმიის საქართველოში შემოჭრის დროს თსუ-ის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა სტუდენტებს მოუწოდა სამშობლო დაეცვათ და სტუდენტთა ჯგუფი პატრიოტული სიტყვით გააცილა ფრონტზე. 1989 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა, მისი დამაარსებლის - ივანე ჯავახიშვილის სახელი.

ლიტ.: გ. ს ა ი თ ი ძ ე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენციკლოპედიურ ლექსიკონში: „ივანე ჯავახიშვილი“, თბ., 2002; რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბ., 1996; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი. უნივერსიტეტი, თბ., 2001; სცსა, ფ. 1935, აღწ, 1, საქ. 54.

დიმიტრი შველიძე

თბილისის ქალაქის თვითმმართველობა - 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმა იმპერიის დედაქალაქებში თვითმმართველობების ახალი წესით მოწყობის შესახებ. 1917 წ-ის 15 აპრილს დამტკიცდა „დროებითი წესები საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნების წარმოებისა“, რომლის მიხედვით, ქალაქის ხმოსნები უნდა არჩეულიყვნენ 1919 წ-ის 1 იანვრამდე. გაუქმდა ქონებრივი ცენზი, მიღებულ იქნა მთელი რიგი დემოკრატიული დებულებები. არჩევნები ჩატარდა 1917 წ-ის 30 ივლისს. თბილისის 89 უბანზე (4 კომისია განკუთვნილი იყო მუსლიმი ქალებისათვის) მონაწილეობა მიიღო 92 677-მა ამომრჩეველმა. 120 ხმოსანის ხმა ასე გადანაწილდა: სოც. დემოკრატები - 50; დაშნაკები - 24; სოც. რევოლუციონერები - 20; ბოლშევიკები - 7; კონ. დემოკრატები - 7; სოც. ფედერალისტები - 4; ეროვნულ-დემოკრატები - 4; მუსლიმანური ორგანიზაცია - 3; ებრაელური ორგანიზაცია - 1.

ახლად არჩეული სათათბიროს პირველი სხდომა გაიმართა 1917 წ-ის 7 აგვისტოს, რომელზეც თავმჯდომარედ ერთი წლის ვადით აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. 1917 წ-ის 10 აგვისტოს სხდომაზე კი ქალაქისთავად აირჩიეს ნიკოლოზ ელიავა. ქალაქის თავის ამხანაგებად მიხეილ სმირნოვი და ლევან ნათაძე. თბილისის სათათბიროში მოქმედებდა 23 კომისია. 1917 წ-ის 28 ნოემბრიდან ევგენი გეგეჭკორი გახდა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, თბილისის სათათბირომ მის ნაცვლად, თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე ლომთათიძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თბილისის თვითმმართველობა ჩვეული რეჟიმით განაგრძობდა ფუნქციონირებას. კან-ნის შესაბამისად, თბილისის სათათბიროს უფლებამოსილების ვადა 1919 წ-ის 1 დეკემბერს უწყდებოდა. 1918 წ-ის 17 დეკემბერს პარლამენტმა დაამტკიცა დებულება „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა“, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის სათათბიროს სახელი ეცვლებოდა და მას ამიერიდან უნდა წოდებოდა - „ქალაქ თბილისის საბჭო“. ამასთანავე, მცირდებოდა წევრთა რიცხვი 120-დან 90-მდე. ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებს ირჩევენ ორი წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიის შედგენის დაწყებამდე შეუსრულდებოდა 20 წელი, ცხოვრობდა და საქმიანობდა დედაქალაქში. დაიწყო არჩევნებისთვის სამზადისი. ამისთვის 1918 წ-ის 28, 29 და 30 დეკემბერს თბილისში მოქალაქეთა აღწერა ჩატარდა. თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები 1919 წ-ის 2 თებერვალს ჩატარდა. მასში ხმის უფლების მქონე თბილისელთა 51 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. თბილისში არჩევნებში ხმა მისცა სულ 35.366-მა ამომრჩეველმა.

1919 წ-ის 2 თებერვალ ჩატარდა თბილისის ხმოსანთა საბჭოს არჩევნები. 71 ათასი ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიღო 36 366 მოქალაქემ. პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. სოციალ-დემოკრატიული პარტია - 26 908 ხმა (69 მანდატი), 2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 3816 (10 მანდატი), 3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 136, 4. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 440 (1 მანდატი), 5. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია - 2964 (7 მანდატი), 6. საქართველოს მუსლიმთა საბჭო - (3 მანდატი), 7. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ-მაშვრალთა პარტია - 418 (1 მანდატი), 8. ეროვნული პარტია - 389 (1 მანდატი), 9. თბილისის სახლის პატრონთა და მესაკუთრეთა პარტია - 309 (1 მანდატი). არსებული კანონის შესაბამისად პარლამენტის და მოგვიანებით, დამფუძნებელი კრების წევრებს არ ეკრძალებოდათ თბილისის საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. ამიტომაც საბჭოს წევრებად ითვლებოდნენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი გვაზავა, ბენიამინ ჩხიკვიშვილი და სხვები.

თბილისის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 1919 წ-ის 10 თებერვალს. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ერთი წლის ვადით აირჩიეს ალექსანდრე ლომთათიძე, მდივნად - ვასილ ხახანაშვილი. 1919 წ-ის 17 თებერვალს ახლად არჩეული საქალაქო საბჭოს მეორე სხდომაზე ქალაქის მოურავად არჩეულ იქნა ბენიამინ ჩხიკვიშვილი; ქალაქის მოურავის ამხანაგად (მოადგილედ), გიორგი კონიაშვილი. საბჭოში ფუნქციონირებდა 17 კომისია (1. საფინანსო-საბიუჯეტო; 2. სარევიზიო; 3. სამეურნეო-სასურსათო; 4. შტატების საორგანიზაციო; 5. ჯანმრთელობის; 6. იურიდიული; 7. ტექნი-

კური; 8. სარეკომენდაციო; 9. სასკოლო; 10. სატყეო-საბაღოსნო; 11. საადმინისტრაციო; 12. საადგილმამულო; 13. შრომის; 14. ბალნეოლოგიური; 15. ლომბარდის; 16. შეფასების უწყების შემმოწმებელი; 17. ქუჩების და საქალაქო დაწესებულებების სახელწოდებების გადამსინჯველი). თბილისის მართვას ახორციელებდა საბჭო, გამგეობა და ქალაქისთავი - მოურავი. მათ საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდათ. იმ პერიოდში ადგილობრივი თვითმართველობის ფუნქციაში, ტრანსპორტის, კეთილმოწყობითი სამუშაოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გარდა, შედიოდა სკოლების მართვა, საპოლიციო ზედამხედველობის განხორციელება, საავადმყოფოებისა და სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წარმართვა, პენსიონერებზე და სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობაზე ზრუნვა. 1919 შედგენილი საქალაქო დებულების პროექტის მიხედვით: ქალაქის თვითმმართველობა განაგებს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საქმეს. მის უფლება-კომპეტენციაში შედის: „ქალაქის გეგმის შედგენა, ზრუნვა ქალაქის უკეთ მოწყობისათვის, მისი განაშენიანების ხელმძღვანელობა, ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული გადასახადისა და ბეგარის გამგებლობა, ქალაქის უძრავი და მოძრავი ქონების მართვა, ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი ბაღების, მდინარის ნაპირების, ნავსადგურების, ხიდების, არხების კეთილმოწყობა, ქალაქის განათება, წყლით მომარაგება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოქალაქეთა უზრუნველყოფა, უსაფრთხოების დაცვა, სასწავლო დაწესებულებების დაფინანსება, მისი სრულყოფისათვის ზრუნვა, გამოფენათა მართვა, ჯანმრთელობის დაცვა, სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება, მოქალაქეთა სურსათ-სანოვაგით მომარაგება, მკვიდრთათვის იურიდიული დახმარების გაწევა, ღარიბთა თავშესაფრებისა და სამზრუნველოების დაარსება, პურის საცხობების, სასურსათო მაღაზიების გამართვა, მრეწველობის, ვაჭრობისა და საკრედიტო საქმის განვითარებაზე ზრუნვა, ქალაქის სტატისტიკური გამოკვლევა, პირადი და საზოგადოებრივი უშიშროების და წესიერების დაცვა, მოქმედ კანონმდებლობათა თანახმად მილიციის გამგებლობა, ქალაქზე დაკისრებული სამხედრო და სამოქალაქო ვალდებულებების შესრულებაზე ზრუნვა“. ქალაქს გააჩნდა თავისი ბიუჯეტი, თუმცა მძიმე ეკონომიური პოლიტიკის გამო, ვერ ხერხდებოდა ხარჯებისა და შემოსავლების დაბალანსება, ამიტომაც ხშირად თბილისის თვითმმართველობა მიმდინარე ხარჯებისათვის ცენტრალური მთავრობისაგან იღებდა სესხს. 1921 წ-ის იანვარში თბილისის საბჭომ დაიწყო არჩევნებისთვის მზადება. ჩატარდა ამომრჩევლების აღწერა. განისაზღვრა არჩევნების ვადა - 1921 წ-ის 27 თებერვალი, კვირა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის და სამხედრო წესების გამოცხადების შემდეგ ქალაქის თვითმმართველობამ რეალურად ფუნქცია დაკარგა.

ლიტ.: მ. კვარაცხელია, ქალაქ თბილისის თვითმმართველობა 1917-1921, თბ., 2014.

ჯაბა სამუშია

თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვა – დაიწყო 1919 წ-ის 24 მარტის საღამოს 6 საათიდან. ორგანიზატორი იყო პროფესიული კავშირები. გააჩნდა საყოველთაო ხასიათი და გაგრძელდა აპრილის დასაწყისამდე. გაფიცვის მიზეზად იქცა ქალაქის მხრიდან მოსამსახურეთათვის რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანება.

თვითმმართველობის მოხელეთა მასობრივი გაფიცვის საკითხი პირველად ნოემბრის დასაწყისში წამოიჭრა. ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოთხოვნა, სექტემბერ-ოქტომბრის დავალიანება დაეფარა 10 ნოემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქში დაიწყებოდა გაფიცვა. აღნიშნულ საკითხზე 11 ნოემბერს შეიკრიბა ქალაქის საბჭო, რომელზეც გადაწყდა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეთხოვათ ცენტრალური მთავრობისათვის 6 მილიონი მან. სესხის გამოყოფა. ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებმა ეს მოთხოვნა გააცნეს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ წინადადებას იმ პირობით, თუ ამ 6 მილიონში გათვალისწინებული იქნებოდა 1.5 მილიონი მან. მილიციისათვის ხელფასის დასარიგებლად. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტმა თბილისის თვითმმართველობას გამოუყო 4 მილიონი მანეთი არსებული სახელფასო დავალიანების დასაფარავად. ამას გარდა, ცალკე მთავრობამ გადადო ქალაქის მილიციისათვის გასაცემი ხელფასისათვის თანხები. ამ გადაწყვეტილებამ მოხელეთა გაფიცვის აუცილებლობა მოხსნა.

1919 წ-ის დასაწყისში სახელმწიფოს მხრიდან სახელფასო დავალიანება კვლავ გაჩნდა, რამაც გაფიცვის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დააყენა. ამავე პერიოდში ქალაქის მოსამსახურეთა კავშირი გამოვიდა ინიციატივით, მოსამსახურეებთან კოლექტიური ხელშეკრულება გაეფორმებინათ. ეს უკანასკნელი საკითხი დიდი განსჯის საგნად იქცა. მთავრობა არ ეთანხმებოდა ამ წინადადებას, მას ცალსახად მხარი არ დაუჭირა ქალაქთა კავშირმაც. 1919 წ-ის 2 თებერვალს თბილისის ხმოსანთა საბჭოს არჩევნების ჩატარების შემდეგ ქალაქში დასაქმებულმა მოხელეებმა მოითხოვეს იანვარ-თებერვლის დავალიანების გაცემა. 8 და 11 მარტს ამ საკითხზე გაიმართა საგანგებო კრება. მოთხოვნები საკმად რადიკალური იყო - დამფუძნებელი კრების პირველი საზეიმო სხდომის (12 მარტი) გახსნის წინა დღეებში დაწყებულიყო გაფიცვა. ქალაქის საბჭომ და გამგეობამ საორგანიზაციო ჯგუფს შესთავა-

ზა შემდეგი წინადადება - 15 მარტს დაიწყებდა იანვრის დავალიანების გასტუმრებას, ხოლო კოლექტიური ხელშეკრულების თაობაზე წარიმართებოდა მოლაპარაკება. ქალაქის მოსამსახურეთა კავშირმა გარკვეული დრო მისცა ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებს. მოთხოვნები ნაწილობრივ შესრულდა. სახელფასო დავალიანება სრულად არ იქნა დაფარული.

საგაფიცვო კომიტეტმა მორიგი შეხვედრა გამართა 20 მარტს, სადაც გადაწყდა საყოველთო გაფიცვის დაწყება. პროფესიულმა კავშირმა 23 მარტისთვის ზუბალაშვილის სახალხო სახლში დანიშნა საერთო ყრილობა. კრებას დაესწრო 2000 მოსამსახურე, ასევე, საქართველოს მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტროსა და ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ხელისუფლება პირობას დებდა, რომ უახლოეს პერიოდში მოახერხებდა თებერვლის ხელფასის გასტუმრებას და უკვე აპრილში დაიწყებდა მარტის დავალიანების დარიგებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოურავის მოადგილე კონიაშვილი ცდილობდა გაფიცულთა დარწმუნებას, შეეცვალათ გადაწყვეტილება, კრებამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ გაფიცვა დაიწყებოდა 24 მარტის საღამოს 6 საათზე და სამშაბათს, 25 მარტს აღარ გავიდოდნენ სამსახურში. გაფიცვას არ შეუერთდნენ მილიციის, ქართული დაწყებითი და უმაღლესი სასწავლებლების, ტრამვაის, წყალსადენის, ცხოველთა სასაკლაოს მოსამსახურენი. მიუხედავად ამისა, გაფიცვამ დიდი მასშტაბები მიიღო. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქალაქისთვის საავადმყოფოების, სამკურნალო დაწესებულებების, აფთიაქის თანამშრომლთა, ასევე, ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა სამსახურში გამოუცხადებლობა. სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა კი განაცხადეს, რომ ხანძრის შემთხვევაში ისინი გავიდოდნენ შემთხვევის ადგილზე შესაბამისი აღჭურვილობით, თუმცა უშუალოდ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ და ამ საქმეს მოხალისეებს მიანდობდნენ.

25 მარტს შეიკრიბა ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ ერთსულოვნად (წინააღმდეგი იყო მხოლოდ საბჭოს წევრი) მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „1. მიეცეთ გაფიცულთ წინადადება, შეუდგნენ თავის მოვალეობის ასრულებას არა უგვიანეს 27 მარტის დილის 9 საათისა. 2. ვინც ამ დროისათვის არ გამოცხადდება, ჩაითვალოს სამსახურიდან გასულად თავისი სურვილით. 3. საავადმყოფოებსა და ბარაკებში მომუშავენი კი თუ ამ ვადაზე არ შეუდგებიან მოვალეობის ასრულებას, მიცემულ იქნენ პასუხისგებაში“.

გაფიცვას იმდენად საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ დაიწყო კონტრზომების მიღება. სხვადასხვა ორგანიზაციები და კავშირები გმობდნენ ამ გაფიცვას და მოუწოდებდნენ გაფიცულებს, დაბრუნებულიყვნენ სამსახურებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მუშათა დეპუტატთა საბჭოს რეზოლუცია, რომლითაც საბჭომ დაგმო გაფიცვა. განცხადება საკმაოდ მკვეთრი იყო: „საბჭო აღნიშნავს, რომ გაფიცვა თავისი არსებით მიმართულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესთა წინააღმდეგ და ჰბადებს პირობებს ანარქიის გასაძლიერებლად რესპუბლიკაში და დემოკრატიის წრეებში შუღლის შექმნას“. გაფიცვას გაემიჯნა ასევე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების პროფკავშირი და მოუწოდა სავაჭროებსა და ქარხნებში დასაქმებულთ, მოეხსნათ გაფიცვა.

გაფიცულ თანამშრომლთა მორიგი კრება გაიმართა 29 მარტს, სახალხო უნივერსიტეტში. ამ შეხვედრაზე გაფიცულთა შეხედულებები უკვე ორად გაიყო. ნაწილი თვლიდა, რომ ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმი უნდა აერჩია, თუმცა იყვნენ რადიკალურად განწყობილნიც. მოსამსახურეთა ნაწილს აშინებდა, რომ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ისინი სამსახურებს დაკარგავდნენ და მათ ადგილებს სხვები დაიკავებდნენ. გაფიცულების აზრთა სხვადასხვაობა კენჭისყრამაც აჩვენა, კრებამ გადაწყვეტილება ვერ მიიღო, შეეწყვიტათ თუ გაეგრძელებინათ გაფიცვა. აპრილის დასაწყისში მოსამსახურეთა ნაწილმა გაფიცვა შეწყვიტა, თუმცა იყვნენ ისეთნიც, რომლებმაც უარი თქვეს ხელისუფლების ნებისმიერ შეთავაზებაზე და თავისი ნებით მიატოვეს სამსახურები. ამ გაფიცვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქალაქს. ასევე გარკვეული დრო დასჭირდა სამსახურიდან წასული თანამშრობლების (განსაკუთრეებით, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების) ჩანაცვლების პროცესს.

ჯაბა სამუშია

თბილისას და ვლადიკავკაზს შორის კავკასიონზე „საუღელტეხილო“ რკინიგზის მშენებლობის პროექტი - ითვალისწინებდა თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის მოწყობას. 1907 ამ პროექტზე მსჯელობა დაიწყო. 1909 რუსეთის გზათა სამინისტრომ ადგილზე შეისწავლა საუღელტეხილო გზის სავარაუდო მონაკვეთი. სპეციალისტთა აზრით, პროექტი წამგებიანი იყო, მიუხედავად ამისა, ის გადააგზავნეს სახელმწიფო სათათბიროში. პარალელურად, მეფის რუსეთის დროს ჩაფიქრებული იყო შავიზღვისპირეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, მაგრამ მისი განხორციელება 1917 რუსეთში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის გამო ვერ მოხერხდა. 1918 აქტიური განხილვა დაიწყო კიდევ ერთი პროექტის, რომლის მიხედვით რკინიგზის ხაზი უნდა აგებულიყო ქუთაისიდან (სადგურ კოპიტნარიდან) კავკასიონის უღელტეხილის გავლით დარგკოხამდე, მაგრამ საბოლოო პროექტმა სიძვირისა და სირთულის გამო მხარდაჭერა ვერ მიიღო.

1918 შეიქმნა „საუღელტეხილო რკინის გზის საზოგადოება“, რომლის გამგეობის თავმჯდომარე იყო კონსტანტინე აფხაზი, გამგეობის წევრები - გ. პ. თუმანიშვილი, ა. ა. კუჩინსკი და სხვა. საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა თბილისიდან ვლადიკავკაზამდე სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტის შემუშავება და მისი განხორციელება. საინჟინრო დოკუმენტაცია მოამზადა ა. ა კუჩინსკიმ, რომელმაც ხელახლა გადაამუშავა „ელექტრონის საუღელტეხილო რკინის გზის“ პროექტი. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა უცხოური ინვესტიცია (ძირითად ფულს, დაახ. 100 მილიონს, დებდა ინგლისური მხარე. მოლაპარაკება წარმოებდა ფრანგულ, იტალიურ და ქართულ ბანკებთანა.). სპეციალურად შექმნილმა 5-მა კომისიამ (ეკონომიური, სარკინიგზო-ტექნიკური, ჰიდროტექნიკური, ელექტროფიკაციის და იურიდიულ-საფინანსო) მოიწონა „საუღელტეხილო რკინის გზის საზოგადოების“ შემოთავაზებული ვარიანტი, შეიტანა გარკვეული ცვლილებები და რეკომენდაცია მისცა მის განხორციელებას. მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მდ. არაგვსა და თერგზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ სარკინიგზო ხაზის გაყვანა. ამ შენიშვნების გათვალისწინებით, პროექტი შევიდა დამფუძნებელი კრების საგზაო კომისიაში. მიუხედავად დადებითი დასკვნისა, თბილისი-ვლადიკავკაზის რკინიგზის პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა.

ჯაბა სამუშია

თეატრი და ცხოვრება (1918-1920) – ქართული ყოველკვირეული თეატრალური ჟურნალი. 1910 წ-ის 2 თებერვალს დაიბეჭდა პირველი ნომერი. გამოდიოდა 1914-1920 და 1923-1926 წწ-ში. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი იყო. გამოდიოდა თბილისში. ეხმიანებოდა ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებას. იბეჭდებოდა: კულტურული ცხოვრების ქრონიკა, წერილები, რეცენზიები, პიესები, ლექსები, ბიოგრაფიები, ნეკროლოგები, რეკლამები, მოწოდებები ქვეყნის კულტურული დაწესებულებებიდან და სხვ. უხვად იყო შემკული ფოტოებითა და ჩანახატებით, ხშირად იბეჭდებოდა კარიკატურები. წამყვანი ავტორები იყვნენ: იოსებ იმედაშვილი, იოსებ არიმათიელი, ს. წერეთელი, რ. ხუნდაძე, ს. ახვლედიანი, პ. კეკელია. ასევე თანამშრომლობდნენ: გ. ლახაშვილი, ექიმი შტოკმანი, მესხი, პ. გურგენიძე, მიხა დევიძე, ზ. ჭიჭინაძე, შ. ამირანაშვილი, ავტორები „ჭიათურელი მოკეთისა“ და „მიუდგომელის“ ფსევდონიმით და სხვ. იბეჭდებოდა საკმაოდ კრიტიკული ხასიათის წერილები, მოუწოდებდნენ მთავრობას, მეტი ყურადღება მიექციათ კულტურული ცხოვრებისათვის და მეტი დაფინანსება გამოეყოთ ქართული თეატრისათვის. იბეჭდებოდა ჩანახატები და კარიკატურები მხატვრების: მ. ჭიაურელის, შ. ქიქოძის, ლ. გუდიაშვილის, თ. თავაძის, ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის ხელმოწერით. შემოგვინახა ბევრი უცნობი ჩანახატი, რომელთა შესახებაც მხოლოდ ჟურნალიდან შეგვიძლია ვისაუბროთ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ხასიათის არ იყო, ხშირად პოლიტიკურ ფიგურათა ფოტოები და შარჟებიც გვხვდებოდა. სპეციალური ნომრები მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობისა და გვარდიის დღეს. საქართველოს მასშტაბით ჟურნალის დასახმარებლად არაერთი ღონისძიება გაიმართა, სადაც იმდროინდელი საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული. მაგ., 1919 წ-ის თებერვლის ბოლოს, ქართულ კლუბში, ჟურნალის გასაძლიერებლად, ქიონა (ეკატერინე) სვიმონის ასული ბენდუქიძის დიასახლისობით, სამუსიკო-სალიტერატურო-სამხატვრო საღამო გაიმართა. მონაწილეობდნენ: ი. გრიშაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ოლგა ბახუტაშვილი-შულგინა, ელო ანდრონიკაშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ასევე, პროგრამის გარეშე მარიამ თარხნიშვილი. 1919 წ-ის 10 ივნისს ზუგდიდის მოსამსახურეთა საკრებულოს სცენაზე სცენის მოყვარეთა წრის თაოსნობით საღამო გაიმართა. იოსებ იმედაშვილმა წაიკითხა ლექცია „დემოკრატიული რეჟიმი და გარდამავალი ხანა“, სცენისმოყვარეთა წრემ წარმოადგინა თითო მოქმედება კომედიებიდან: „მოულოდნელი შემთხვევა“ და „დარისპანის გასაჭირი“. 1920 ჟურნალის 10 წლის იუბილე აღნიშნეს. სპეციალური ნომერი მიეძღვნა რედაქტორს, ამავე დროს, გაიმართა მხატვრული საღამო.

ლიტ.: ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1918-1920.

სალომე ჭანტურიძე



თევზაია ბიქტორ

თევზაია ბიქტორ ვასილის ძე (1883 - 1932) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მისი ფსევდონიმია „ბ. თეკლათელი“. სრულიად ახალგაზრდამ, ფოთსა და სამეგრელოში, 1905 წ-ის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. პატიმრობას ის საზღვარგარეთ წასვლით გადაურჩა. დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და პოლიტიკურ ეკონომიაში საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. ამ საგანში იგი, როგორც პრივატ-დოცენტი, ჟენევის უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობდა.

1917 ბ. თევზაია დაბრუნდა საქართველოში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში ჩადგა. ის მუშაობდა, როგორც პროპაგანდისტი და ჟურნალისტი. 1917 აირჩიეს სოც. დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1919 წ-დან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წამრომადგენელი უკრაინაში.

1921 წ-ის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ბათუმში გახიზნული ბ. თევზაია თბილისში დაბრუნდა. მან ბოლშევიკების ზეწოლას ვეღარ გაუძლო, ორი წლის შემდეგ კონსპირაციული ბინა დატოვა და ბოლშევიკურ მთავრობას შეურიგდა. ბ. თევზაიამ ერთ-ერთმა პირველმა აიღო ხელი 1923, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაზე და წერილობითი აღთქმა მისცა ხელისუფლებას, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას აღარ მიიღებდა. მის მიერ 1923 წ-ის 28 თებერვალს ხელმოწერილი განცხადებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას მიმართავდა, სადაც უარყოფდა სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკურ კურსს და პარტიის რიგებიდან და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გასვლას ადასტურებდა. მიუხედავად ამისა, ყოფილი თანამებრძოლების წინააღმდეგ მას რაიმე ნაბიჯი არ გადაუდგამს. საბჭოთა საქართველოს პერიოდში ბ. თევზაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკურ ეკონომიკაში ლექციებს კითხულობდა. როცა ბოლშევიკებმა ინტელიგენციის „წმენდა“ განახორციელეს, ბ. თევზაია კონტრრევოლუციონერობის ბრალდებით გაასამართლეს. მასზე აქტიური ზეწოლის გამო, ის მძიმედ დაავადდა, შემდგომ კი - სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ლიტ.: გაზ. „ბრძოლის ხმა“, პარ., 1932, №26; გაზ. „კომუნისტი“, 2 მარტი, 1923.

ლელა სარალიძე

თევზაძე სარდიონ

თევზაძე ილია მოსეს ძე (6.II.1881, სოფ. მუხაყრუა, ქუთაისის მაზრ. - ?) - ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ნაფიცი ვექილი. დაიბადა მედავითნის ოჯახში. 1887-1896 წწ-ში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1899 სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, სადაც დაუახლოვდა „მესამედასელ“ მოსწავლეთა წრეს. ქუთაისში სწავლის დროს 1903-1904 წწ-ში მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ საქმიანობაში რის გამოც დაითხოვეს სემინარიიდან. 1904 შეუერთდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას. 1904 სწავლა დაიწყო თბილისის სასულიერო სემინარიაში, თუმცა პოლიტიკური საქმიანობის გამო, „მგლის ბილეთით“ დაითხოვეს. 1905 მასწავლებლად მუშაობა დაიწყო სოფ. დაფნარის სამრევლო სკოლაში, თუმცა თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი რექტორის ნიკანდრეს საჩივრის საფუძველზე დაითხოვეს. შემდგომში ცხოვრობდა არალეგალურად, არჩეული იყო ესერთა პარტიის საგუბერნიო კომიტეტში. 1905 იყო იმერეთში მოქმედი ესერთა წითელი რაზმის მეთაური. 1906 გაძლიერებული რეპრესიების გამო საქართველო დატოვა და ყაზანში გადავიდა, სადაც სწავლა დაიწყო ყაზანის უნივერსიტეტში. 1907 მონაწილეობა მიიღო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლონდონის ყრილობაში. 1910 დაასრულა უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ქუთაისის სასამართლოში. 1914 წ-დან ნაფიცი ვექილის თანაშემწედ მუშაობდა სამტრედიაში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეკავა სამტრედიის რაიონის კომისრის თანამდებობა. იყო სხვადასხვა კომიტეტის წევრი ესერთა პარტიიდან. 1917 აირჩიეს ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრად, შემდგომ კი - ქალაქის თავის ამხანაგად. 1918 აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით კენჭს იყრიდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა, იყო საარჩევნო სიის მე-8 ნომერი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 119.

ირაკლი ირემაძე

თვალჭრელიძე ალექსანდრე

თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე (1882, სოფ. წიაღობანი - 30.08.1924, თბილისი) - ს. თევზაძემ განათლება ოჯახში მიიღო. 1904 წ-დან შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1908 დაიჭირეს და თბილისის გუბერნიის საზღვრებიდან გაასახლეს. 1911 გაზეთ „აზრის“ რედაქციის წევრებთან ერთად კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს კავკასიის ფარგლებს გარეთ. 1917 წ-დან ის საქართველოს ეროვნული საბჭოს (შემდგომში - პარლამენტის), ცოტა მოგვიანებით კი დამფუძნებელი კრების წევრი ხდება. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ საქართელო არ დაუტოვებია. ჩეკამ მას კონტრრევოლუციური საქმიანობა დააბრალა და 1924 დააკავა, რის შემდეგაც სხვა პატიმრებთან ერთად დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919. თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე

თვალჭრელიძე ალექსანდრე (1881, ქ. ჩერკესკი - 1957, თბილისი) - გეოლოგი, პროფესორი, საქართველოში მინერალოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევათა ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941). დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა–მათემატიკის საბუნებისმეტყველო განყოფილება (1912). სტაჟირება გაიარა გეტინგენის უნივერსიტეტში (1910). მუშაობდა პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიის ლაბორატორიაში, და დონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1918 წ-ის 17 აგვისტოს თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, უნივერსიტეტის პროფესორად მოეწვიათ ალ. თვალჭრელიძე, 1919 წ-დან სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას. 1920 გამოსცა ნაშრომი „გეომეტრიული კრისტალოგრაფია“.

1928-1948 წწ-ში ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინტიტუტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას. 1929 წ-დან იყო მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი. იკვლევდა მინერალოგიის, პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიურ საკითხებს. ა. თვალჭრელიძის მიერაა აღმოჩენილი გუმბრისა და ასკანის ბენტონიტური თიხების, მარმარილოსა და ქალცედონის საბადოები. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „გეომეტრიული კრისტალოგრაფია“ (1920), „კრისტალთა ოპტიკის შესავალი“ (1957), „მაგმური ქანების პეტროგრაფია“ (1952), „ინტრუზიული ქანები“ და ა. შ.

ლიტ.: ქსე, ტ. IV, თბ., 1979; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

თვალჭრელიძე ანტონი (1854 - 1930, ციხისძირი) – პედაგოგი, მეცნიერ-მკვლევარი, ეთნოგრაფი, გეოგრაფი. 1876 ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისში ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1880 წ-დან ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას სტავროპოლის მხარეში. მოგვიანებით დაბრუნდა სამშობლოში.

იგი 1918 წ-ის 13 სექტემბრიდან, ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნა ახლად გახსნილი უნივერსიტეტის პირველ კომენდანტად, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, დაიწყო უნივერსიტეტის ბაღის გაშენება. რამდენიმე წელში იგი საცხოვრებლად გადავიდა ციხისძირში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ბოტანიკური ბაღის გაშენების საქმეში.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

თვალჭრელიძე პარმენ ივანეს ძე (? - 31.VIII.1919, ქუთაისი) – ქართული ენის მასწავლებელი ქუთაისის I კლასიკურ გიმნაზიაში. არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, მაგრამ, თანამედროვეთა გადმოცემით, იყო კარგი პედაგოგი, სპეციალისტი და უფლებრივად გაუთანაბრეს უმაღლეს დამთავრებულ მასწავლებლებს. მუშაობდა მასწავლებლად ბეშნაგირის ერთკლასიან სასწავლებელში 1888-1889 წწ-ში; 1908 წ-დან დროებით დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, შემდეგ დაამტკიცეს შტატის მასწავლებლად ამავე საგანში (1918). მინიჭებული ჰქონდა სამოქალაქო და სამრევლო მასწავლებლობის წოდება; 1911 წ-დან ქართული ენის მასწავლებლის წოდება.

1918 წ-ის დეკემბერში განათლების სამინისტროში გაგზავნილ დეპეშაში პ. თვალჭრელიძე სომხეთთან დაწყებულ ომში წასვლის უფლებას ითხოვდა: „გულს ვეღარ ვიკავებ, ჯარში ვეწერები, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ, გთხოვთ შეეკითხოთ მინისტრის ამხანაგს“. დეპეშაზე ასეთი პასუხი მიიღო: „ახალგაზრდობას, რომელიც სასწავლებელში სწავლობს, ისევე ჭირდება ხელმძღვანელნი, როგორც სამშობლოს დღეს მეომარნი. ვფიქრობ, ბ-ნი თვალჭრელიძე უნდა დარჩეს სასწავლებელში“. სამწუხაროდ, პ. თვალჭრელიძე ბოროტმოქმედების ხელით იქნა მოკლული.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 468.

დოდო ჭუმბურიძე

თიბილოვი ალექსანდრე



თვალჭროლიძე ანტონ

თიბილოვი ალექსანდრე არსენის ძე (ფსევდ. ხოსდაუ) (17.II.1887, სოფ. ზალდა, გორის მაზრ. - 8.VI.1938) - ოსი მწერალი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. 1910 დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1915 ოდესის უნივერსიტეტი. იმავე წლიდან ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში რუსულ ენას.

1918 წ-ის ოქტომბერში ა. თიბილოვი (ოსებისათვის გამოყოფილი კვოტით) აირჩიეს და ერთხანს იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი. ამავდროულად, მან პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძო ცხინვალის გიმნაზიაში. 1920 მუშაობა დაიწყო რეგიონის განათლების სისტემაში.

1924 იყო წამყვან გაზეთ „ხურზარინის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. 1927 ანალოგიური როლი შეასრულა ჟურნალ „ფიდიუაგის“ დაარსებაში და ფუნქციონირებაში. მონაწილეობდა სხვა ჟურნალ-გაზეთების გამოცემაშიც. 1932 მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა აგრობიოლოგიური ინსტიტუტი, სადაც იყო დირექტორის მოადგილე (შემდგომში გარდაიქმნა პედაგოგიურ ინსტიტუტად). ხშირად აქვეყნებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, ოსურ ენაზე თარგმნიდა რუს და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. 1989 წ-დან მისი სახელი მიენიჭა პედაგოგიურ ინსტიტუტს. რეპრესირებული და რეაბილიტირებულია.

ლიტ.: Очерки истории осетинской литературы. Орджоникидзе. 1967.

დიმიტრი შველიძე

თიკანაძე ივანე ელიშუქის ძე (**1868**, სოფ. კავნაეთი - **1943**, ქ. თბილისი) – მეან-გინეკოლოგი, საქართველოში მეცნიერული მეანობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერე-



თიკანაძე ივანე

ბათა დოქტორი (**1897**), პროფესორი (**1919**). იყო საქართველოს მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე, კიევისა და ხარკოვის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებების საპატიო წევრი. **1894** დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაინიშნა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მეანობა-გინეკოლოგიის განყოფილების გამგედ და ამ ჰოსპიტალის მთავარ ექიმად. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტისა და ამ ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი (1919) და მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო სიცოცხლის ბოლომდე. 1920 გამოსცა წიგნი „სამეცნიერო ტერმინოლოგიის მასალები“.

ი. თიკანაძეს ეკუთვნის არაერთი გამოკვლევა სასქესო ორგანოების ანომალიებისა და მათი ოპერაციული გზით მკურნალობის წესების, სასქესო ორგანოების სიმსივნეების ეტიოგენეზისა და მკურნალობის, ორსულთა ტოქსიკოზის, საშვილოსნოსა და მისი დანამატების ანთებითი პროცესების, უნაყოფობის პრობლემებისა და სხვა საკითხების შესახებ. მისი შრომებიდან მნიშვნელოვანია „მშობიარობის შემდეგი ატონიური სისხლის დენა და მასთან ბრძოლის საშუალებანი“ (1931) და ა.შ. ი. თიკანაძე აქტიურად მონაწილეობდა ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ დაარსებაში და წლების მანძილზე იყო მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: ქეს, ტ. IV, თბ., 1979; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

თოიძე ირაკლი

თოიძე ირაკლი მოსეს ძე (14.III.1902, თბილისი - 1.IV.1985, თბილისი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. დაიბადა ცნობილი მხატვრის - მოსე თოიძის ოჯახში. მისი, როგორც მხატვრისა და შემოქმედის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მამამ იქონია. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1925-1930). პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მ. თოიძის მიერ დაარსებულ სამხატვრო სტუდიასა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში. თანამშრომლობდა გაზეთებთან.

1919-1920 წწ-ში 17 წლის ი. თოიძემ მამასთან ერთად მონაწილეობა მიიღო არტისტული კაფე „ქიმერიონის“ მოხატვაში. იყო „АХР“-ის („რუსეთის მხატვართა ასოციაცია“) საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე, შემდეგ კი „სარმას“ - თავმჯდომარე.

1931 წ-დან საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. მიუხედავად ამისა, აგრძელებდა საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას და რეგულარულად მონაწილეობდა რეს-პუბლიკურ გამოფენებში. მოაწყო რამდენიმე პერსონალური გამოფენა. აღსანიშნავია მისი ღვაწლი პოლიტიკური პლაკატის განვითარების დარგში. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა პლაკატმა „დედასამშობლო გვეძახის!“ (1941). პლაკატი, რომელიც სტალინმა მოიწონა, 1941 წ-ის ივნისის მიწურულს, ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, თითქმის ერთდროულად აღიმართა მოსკოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქების სახლების ფასადებზე, გზებსა და გზაჯვარედინებზე. II მსოფლიო ომის წლებში მოსკოვში მცხოვრებმა ი. თოიძემ კიდევ მრავალი პლაკატი შექმნა: „წინ დასავლეთისკენ!“, „დედასამშობლოსათვის“, „სამშობლოს სახელით წინ, დევგმირებო!“, „ვფიცავ, დავამარცხებ მტერს!“, „ყველანი ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად!“, „გავათავისუფლებთ ევროპას ფაშისტური მონობის უღლისგან“ და სხვ. მხატვარს ომის დამთავრების შემდეგაც არ შეუწყვეტია პლაკატზე მუშაობა. გვიანდელ პერიოდში შექმნილი პლაკატებიდან აღსანიშნავია: „ოქტომბრის 50-ე წლისთავი ჩვენი საერთო დღესასწაულია“, „ჩვენი ერთობა ურღვევია“, „მძიმე ინდუსტრია ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველია“ და ა.შ. ი. თოიძის კიდევ ერთი ნახატი, რომელმაც სრულყოფილად ასახა ეპოქა, დაკავშირებულია დიდ მშენებლობებთან - ზაჰესის ამუშავებამ მხატვარს შთააგონა, შეექმნა „ილიჩის ნათურა“, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ცნობილ ნიმუშად ითვლება. მეტად პოპულარული იყო ი. თოიძის კიდევ ერთი სურათი – „ახალგაზრდა სტალინი კითხულობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. 1948 მხატვარი დაჯილდოვდა სტალინური პრემიით სურათისათვის „ი. ბ. სტალინის გამოსვლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე“ და სტალინის პორტრეტისათვის. ი. თოიძეს შექმნილი აქვს ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების სერიაც. ასევე დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებაში. გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი, მათ შორის, „ვეფხისტყაოსანი“ (1937). მიღებული აქვს სტალინური პრემიები „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ გაფორმებისთვის და „საქართველოს ისტორიის“ ილუსტრაციების სერიისათვის. იგი იყო სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ოთხგზის ლაურეატი (1941, 1948, 1949, 1951), შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, რსფსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1951) და საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი (1970). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებში (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმი; ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი, მოსკოვი),

ასევე, კერძო კოლექციებში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: მ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, ირაკლი თოიძის სახელოსნოში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, №5; В. Б е р и д з е, Н. Е з е р с к а я, Искусство советской Грузии, 1921-1970, М., 1975.

მაია ციციშვილი

თოიძე მოსე ივანეს ძე (21.I.1871, თბილისი - 17.VI.1953, თბილისი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა ხელოსნის ოჯახში. სიღარიბისა და გაჭირვების მიუხედავად, ქვრივი დედა ცდილობდა, ბავშვებისთვის განათლება მიეცა და მათ გულში ხელოვნებისადმი სიყვარული გაეღვიძებინა. მოსემ ხატვის მიმართ ინტერესი მოწაფეობის წლებშივე გამოიჩინა. სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა პეტერბურგში ჯერ ლ. დმიტრიევ-კავკაზსკისთან და ფ. მალიავინთან განაგრძო, ხოლო მოგვიანებით ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, ი. რეპინის კლასში. 1901 მისი სადიპლომო ნამუშევარი „მცხეთობა“ დაჯილდოვდა ოქროს მედლით. 1903-1904 წწ-ში მონაწილეობდა „პერედვიჟნიკების“ 31-ე საგაზაფხულო გამოფენასა და კავკასიის მხატვართა საზოგადოების გამოფენაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, განსაკუთრებით კი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდა თბილისურ ჟურნალ-გაზეთებში („კვალი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ფასკუნჯი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა). იყო თბილისში „რევმასის“ (რევოლუციის მხატვართა ასოციაცია) დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1915 თბილისში გაიხსნა მოსე თოიძის ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ასოცი სურათიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა: „ხევსური“, „მთვარიანი ღამე“, „განთიადი“, „გიორგი XIII“ და სხვა. მ. თოიძის ამ პერიოდის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის, უმეტესად, მშრომელი გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ცხოვრებას.

1919 მ. თოიძემ, თავის ვაჟთან ი. თოიძესთან ერთად, მონაწილება მიიღო არტისტული კაფე „ქიმერიონის“ მოხატვაში. მ. თოიძის თაოსნობით, 1922 თბილისში დაარსდა სახალხო -სამხატვრო სტუდია, რომელსაც მხატვარი თავადვე ხელმძღვანელობდა 1930 წ-მდე. მოსე თოიძე ერთ-ერთი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენში პროფესიულ სამხატვრო განათლებას. მისი დაარსებული სამხატვრო სტუდია გაიარეს მომავალში ისეთმა მხატვრებმა როგორებიც იყვნენ: უ. ჯაფარიძე, ს. ვირსალაძე, ქ. მაღალაშვლილი, კ. მერაბიშვილი, დ. კაკაბაძე, კ. სანაძე, არქიტექტორი გ. ლეჟავა და სხვ.

მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი თემაა ძველი თბილისის ყოფა და ხედები: „ვიწრო ქუჩა“ (1895), „მრეცხავი“ (1902), „ბაზაზხანა“ (1914), „მაწვნის გამყიდველი“ (1918), „მეთევზის დუქანი“ (1919), „ნავი მტკვარზე“ (1925), „ძველი თბილისის აშუღი“, „თბილისის სახურავები“ (ორივე 1940); ციკლი - თბილისის მთვარიანი ღამეები: „თბილისი, მთვარიანი ღამე“ (1910), „ქალები ბანზე“ (1934); შექმნა თანამედროვეთა პორტრეტები („ი. გრიშაშვილი“, 1939; „მ. ჭიაურელი“, 1943 და სხვა). მოგვიანებით განიზრახა ლითოგრაფიული წესით ქართველ მწერალთა პორტრეტების სერიის გამოცემა. ამ მიზნით დახატა რუსთაველის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვა ქართველ მწერალთა პორტრეტები. მ. თ. 1930 წ-დან იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1953 მას საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოში - ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); მ. თოიძის სახლ-მუზეუმი, თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი); ასევე საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

თოიძე მოსე

ლიტ.: მხატვარი მამა-შვილი - მოსე თოიძე და შვილი მისი ერეკლე, „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №25; მ. ჭ ი ა ურ ე ლ ი, მოსე თოიძის გამოფენაზე, „ეშმაკის მათრახი“, 1915 № 9; დ. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა, „შვიდი მნათობი“, 1919, №2; ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ხელოვანი, „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №25; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII –XX საუკუნეები, თბ., 2013; №25; К о б у л а д з е, Народный художник, „Советское искусство” (18/II), 1953.

მაია ციციშვილი

„თოლაბულისის სარტყელი“ (1919, თბილისი) - ყოველთვიური სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი. მოდერნისტული პრესის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში, რომელსაც რედაქტორობდა გრიგოლ ცეცხლაძე. სულ გამოიცა ჟურნალის სამი ნომერი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა ნომერმა: №1 (აპრილი), №2 (მაისი). ჟურნალში იბეჭდებოდნენ „ცისფერყანწელები“, სიმბოლისტურ ესთეტიკას ნაზიარები პოეტები. აქ გამოქვეყნდა რ. გვეტაძის, გ. ლეონიძის, გრ. ცეცხლაძის, გ. ტაბიძის, შ. კარმელის, ივ. ყიფიანის, აკ. ბერეკაშვილის, ლ. მაჭავარიანის, რ. გოგოხიას, კ. ებრალიძის, ლ. ლანის, შ. ლორდელის, გ. მეგრელიშვილის და Narcis-ის ლექსები. გამოცემის პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს წინათქმა - „ეკრანკამარა“, რომელშიც ჟურნალის კრედოა გაცხადებული („პოეტი ხელოვანი არავითარ სკოლას არ უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც შეუქმნია სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავისი უსახო მისვლით ზედმეტი სტუმარი იქნება პოეზიის მრავალსახეებიან დარბაზში და კამერდინერი მას უარს ეტყვის“). ჟურნალში დაისტამბა გალაკტიონ ტაბიძის შედევრები:

თოფურიძე დიომიდე

„შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ და „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“; ასევე - გიორგი ლეონიძის „უცნობ ქალს კაბარეში“, გრიგოლ ცეცხლაძის „სალამი ყველას“ და „ავი სიზმრები“, გ. მეგრელიშვილის „ტრიოლეტები“, ლ. მაჭავარიანის „ქუთაისი“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალს ბოლოში ერთვის ბიბლიოგრაფიული რუბრიკა - „ნელი ხაზები“, რომელშიც საგამომცემლო სიახლეებია წარმოდგენილი. მათ შორის საგულისხმოა: ლიენა ლანის „მეოცნებე ნიამორები“, რომელიც ქუთაისში, ვ. გაფრინდაშვილისა და ა. ცირეკიძის რედაქტორობით, ამ სახელწოდების ჟურნალის გამოცემის შესახებ გვამცნობს; შ. ლ-ის „შემოდგომის ცრემლები“ - ქუთაისში დია ჩიანელის ნოველებისა და ლეგენდების წიგნის გამოცემის შესახებ; „პოეტური ფელეტონები“ - გაზეთებში: „ხალხის მეგობარსა“ და „საქართველოში“ გამოქვეყნებული „პოეტური ფელეტონების“ შესახებ, სადაც პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძისა და უცნობი ავტორის ლექსებია დაბეჭდილი. ჟურნალის მეორე ნომერი გამორჩეულია იმით, რომ მასში მხატვრული ტექსტების გვერდით წარმოდგენილია დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის ნახატების - „ნახაზობისა“ და „XII საუკუნის“ რეპროდუქციები.

ლიტ.: ჟურ. „თოლაბულისის სარტყელი“, 1919, №1-2; ს. სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2002; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მანანა შამილიშვილი

თოფურია დიმიტრი სოლომონის ძე (11.II.1861 - 1934) - გენერალი. დაამთავრა ჯერ სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ - ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი. პრაპორშჩიკი (1878). პოდპორუჩიკი (1881). პორუჩიკი (1885). შტაბსკაპიტანი (1891). კაპიტანი (1898). პოდპოლკოვნიკი (1904). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1910). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. მსროლელთა 308-ე პოლკის უფროსი. გენერალი (1915 -წარჩინებისთვის). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისიხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის იარაღით.

1918 წ-დან ქართულ ჯარშია. 1921 საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წავიდა. იყო 1924 წ-ის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამეგრელოში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მიხეილ ბახტაძე

თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე (16. VIII.1871, სოფ. ხობი, ზუგდიდის მაზრ. - 11.XII. 1937) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ჟურნალისტი. უმაღლესი განათლება ჟენევის და პარიზის იურიდიულ ფაკულტეტებზე მიიღო. იყო პუბლიცისტი, ერთხანს გაზ. „კვალის“ რედაქტორი, შემდეგ რუსულ გამოცემებში მუშაობდა სარატოვსა და მოსკოვში. 1903 მონაწილეობა მიიღო რსდმპ-ის II ყრილობაზე და მიემხრო მენშევიკებს. პარტიული საქმიანობის გამო, არაერთხელ დააპატიმრეს.

რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ერთხანს იყო სარატოვის საგუბერნიო საზოგადო კომიტეტის თავმჯდომარე, სარატოვის გუბერნიის კომისარი. ამიერკავკასიის და შემდეგ საქართველოს მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ენერგიულად ჩაერთო ქვეყნის მშენებლობის საქმეში. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1919 მუშაობდა ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად. აქტიურად იყო ჩართული ბათუმში მყოფ ინგლისის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში, სადაც არაერთხელ დაისვა როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე აღიარების საკითხი. 1919 სოციალ-დემოკრატიულ გაზ. - „ერთობაში“ დ. თოფურიძის სტატია გამოქვეყნდა სათაურით: „საქართველოს ფინანსური და ეკონომიკური საკითხები“. 1919 აირჩიეს ქუთაისის ქალაქის თავად.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში, შეწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა. 1923 დააპატიმრეს. შემდგომში მუშაობდა საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა უწყებაში. ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. 1937 წ-ის ბოლოს „მენშევიკური ცენტრის“ წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107; ის. რამიშვილი, „მოგონებები“, თბ., 2012; გაზ. „ერთობა“, 1919, №74;

ლელა სარალიძე

თუმანოვი ლეონ გიორგის ძე (11.X.1890, თბილისი -10.VI.1938, მოსკოვი) - რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ეროვნებით სომეხი. დაიბადა ბანკის დირექტორის, თბილისელი თავადის, გიორგი თუმანოვის ოჯახში. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა ნაფიცივექილის თანაშემწედ. სტუდენტობის პერიოდში შეუერთდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას. პო-

ლიტიკური საქმიანობის გამო 1911 ოხრანკამ დააპატიმრა.

რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. 1917 არჩეულ იქნა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. რუსეთის დამფუძნებელი დუმის არჩევნებში კავკასიის ესერთა სიის მე-3 ნომერი იყო და აირჩიეს დუმაში. 1918 აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად. 1918 საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, სომეხთათვის გამოყოფილი კვოტით შევიდა პარლამენტში. სომხეთ-საქართველოს 1918 წ-ის ომის პერიოდში გამოირჩეოდა ანტიქართული მოქმედებებით. 1918 წ-ის დეკემბერში პარლამენტის სხდომაზე დადგა მისი და მისი თანაპარტიელის, ნ. თარხანოვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ბრალად ედებოდა მცხეთაში, ძეგვის ხიდზე მოწყობილი ტერორისტული აქტის შემსრულებლებთან კავშირი.

საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდა რუსეთში, მუშაობდა ჯერ სამეცნიერო მიმართულებით, ხოლო შემდეგ - საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში. 1938 დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; Туманов Леон Георгиевич, Армянская энциклопедия фонда „Хайазг“ (http://ru. hayazg. Info); გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №109.

ირაკლი ირემაძე

თუშმალიშვილი მიხეილ (?-?) - სუფლიორი (მოკარნახე) - 1893 წ-დან ავჭალის სახალხო სცენაზე, გახსნის დღიდან, სუფლიორობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, 1919 მოღვაწეობის 25 წლისთავი აღუნიშნეს.

ლიტ.: ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №3.

სალომე ჭანტურიძე

O

იაშვილი პაოლო

იაშვილი პაოლო (პავლე) ჯიბრაილის ძე (29. VI.1894, სოფ. გამოღმა არგვეთი - 22.VII.1937, თბილისი) - ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი. პაოლოს დედა იყო ბაბილინე მდივანი, მამა - ჯიბრაელ (ჯიბო) იაშვილი, დასავლეთ საქართველოში ცნობილი პიროვნება, კიევში განსწავლული პროვიზორი იყო. ოთხი ძმა და ერთი და ჰყავდა. 1924 ერთი ძმა, ვასილი, სახალხო აჯანყებაში მონაწილეობისათვის შორაპანში დახვრიტეს. 1940 მეორე ძმა გადაუსახლეს. 1900 პაოლო მშობლებმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. მასთან ერთად სწავლობდნენ „ცისფერყანწელთა“ მომავალი ლიტერატურული ჯგუფის გამოჩენილი წარმომადგენლები - ვალერიან გაფრინდაშვილი და ტიციან ტაბიძე. 1911 წ-დან მომავალმა პოეტმა სწავლა განაგრძო ანაპაში, კერძო გიმნაზიაში. თავდაპირველად მხატვარი იყო, მაგრამ არ გაჰყოლია მხატვრობას. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ კალმით შესრულებულმა ავტოპორტრეტმა და მეგობრების ნიღაბთა ჩანახატებმა. 1913 პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში სასწავლებლად გაემგზავრა. მოგვიანებით ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებას გაეცნო და პოეზიით გატაცებამ ფერწერა დაავიწყა. პარიზში გატარებულ პერიოდში საბოლოოდ დაინახა თავისი მოწოდება. რუსი მწერალი ილია ერენბურგი ასე იგონებს პარიზის კაფე „როტონდაში” პაოლოსთან შეხვედრას: „პაოლო იმ დროს გამხდარი და ფიცხი (ოცი წლის) ახალგაზრდა იყო. სულ მეკითხებოდა: „რომელ კაფეში იჯდა ვერლენი? როდის მოვა პიკასო? მართალია, რომ კაფეში წერთ ხოლმე?” 1915 მსოფლიო ომში გახვეული ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში. 1911 წ-დან ბეჭდავს ლექსებს გაზეთ „კოლხიდაში“. ტრიოლეტებისა და სონეტების გარდა, თავისუფალი ლექსის ტექნიკასაც ფლობდა. ვეღარ დაასრულა პოემა „გზა მშვიდობისა“. მუშაობდა პუბლიცისტიკაში და ეწეოდა მთარგმენლობით საქმიანობასაც. 1912-1913 წწ-ში გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, რედაქტორობდა ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალ „ოქროს ვერძს“. 1915 ტ. ტაბიძესთან, ვ. გაფრინდაშვილთან, კ. ნადირაძესთან, ს. ცირეკიძესთან, ლ. ჯაფარიძესთან, ივ. ყიფიანთან და სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად, დააარსა „ცისფერი ყანწების“ ორდენი. 1916 რედაქტორობდა ამავე სახელწოდების ალმანახს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში სიმბოლიზმის და სხვა მოდერნისტული მიმდინარეობების განვითარებაში.

1918-1921 წწ-ში მისი ლექსები და ნახატები იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში, იყო არაერთი ლიტერატურული საღამოს მონაწილე. 1919 გაზ. „კლდე“ სასარგებლოდ სეირნობას ხელმძღვანელობდა. კოტე მარჯანიშვილთან ერთად აქტიურად ჩაება ქართული თეატრის აღორძინებისათვის ბრძოლაში. 1919 კონსერვატორიის დარბაზში ტ. ტაბიძის პოეზიის საღამოში მონაწილეობდა. 1919 წ-ის 22 ივნისი ქართულ კლუბში მესხეთ - ჯავახეთის დღე აღინიშნა, სადაც მან ლექსები წაიკითხა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხელისუფლების მიმართ მკვეთრად შეურიგებელი პოზიცია არ გამოუმჟღავნებია. ხელისუფლება ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს პოეტი აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. 1927 აირჩიეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად და თბილისის საბჭოს წევრად, 1934 კი ამიერკავკასიის ცაკის წევრად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. დაუსრულებლად იბარებდნენ ჩეკაში დაკითხვებზე. მწერალთა კავშირში ხშირად იმართებოდა სხდომები, სადაც პოეტის „მოღალატეობრივ საქმიანობაზე“ მსჯელობდნენ. 1937 მწერალთა სასახლეში თავი მოიკლა. ამ ტრაგედიიდან მოყოლებული, მისი სახელის ხსენებაც კი აიკრძალა. 1955 - გამოიცა პირველი წიგნი, 1959 - ვრცელი კრებული. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; ლ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, პაოლო იაშვილი, თბ., 1977; გ. ა ს ა თ ი ა ნ ი, პაოლო იაშვილი, „მნათობი“, 1964, № 7; შ. ა ფ ხ ა ი ძ ე, პაოლო იაშვილი, იქვე, 1960 № 11, 12; Georgische Postmoderne Literatur. Im: Eine kurze Einführung in die georgische Literatur. Pop Verlag, Ludwigsburg, 2016; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №16; გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“, 1919, №82, №133.

გაგა ლომიძე

ივანიცკი (ინგილო) რაფიელ ალექსანდრეს ძე (23.VII. 1887, სოფელი კახი, ზაქათალის ოლქი - 27.VI.1966, პარიზი) - იურისტი, მთარგმნელი, სასულიერო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. თავდაპირველი განათლება თელავის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ დაამთავრა თბილისის გიმნაზია და მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნებული, მუშაობდა პედაგოგად და იურისტად, ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1916 წ-დან ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდება მისი წერილები „ინგილოს“ ფსევდონიმით. პუბლიკაციები უმთავრესად მისი მშობლიური კუთხის - საინგილოსა და ქართველ ინგილოთა ცხოვრების ავ-კარგს შეეხებოდა.

ივანიცკი რაფაელ

რ. ივანიცკიმ 1917 აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში, იყო საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი და მდივანი. ედპ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმის წევრად და ყრილობის ერთ-ერთ მდივნად. საინგილოს სახელით მიესალმა ყრილობას და აღნიშნა: „საინგილო ჟამთა ვითარების გამო მოწყვეტილი იყო დედა ქვეყანას - საქართველოს, მაგრამ ქართული სული და გრძნობა იქ არ მომკვდარა. აღდგენილმა საქართველომ უნდა შემოიერთოს მრავალტანჯული კუთხეც. ამას მოელის საინგილო“. აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად, იყო ედპ-ის მთავარი ბეჭდური ორგანოს, გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის თანაშემწე და გაზეთის პოლიტიკური განყოფილების გამგე. ედპ-ის სიით შედიოდა საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში. 1917 წ-ის ნოემბერში მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში, საბჭოს გაფართოებისას, 1918 წ-ის მაისში, აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად, როგორც ზაქათალის ოლქის (საინგილოს) წარმომადგენელი. არჩეული იყო საბჭოს იურიდიული კომისიის წევრად და მდივნად; მისი ინიციატივით საბჭოში შეიქმნა სარწმუნოებრივი კომისია, იყო ამ კომისიის წევრი. რ. ინგილო გაზეთ „საქართველოში“ ბევრს წერდა ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე, მიუთითებდა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის გზებზე. აღელვებდა საინგილოს ბედი, რომლის მომავალი მხოლოდ საქართველოს ფარგლებში წარმოედგინა. მისი პუბლიცისტური წერილები გამოირჩეოდა პირდაპირობით, აზრის სიცხადით, მძაფრი პოლემიკური ხასიათით. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციას რ. ინგილო უარყოფითად შეხვდა, დაგმო საინგილოს აზერბაიჯანისათვის გადაცემა და საქართველოს ეკლესიას ზაქათალის ოლქის მართლმადიდებელ მოსახლეობაზე ზრუნვისაკენ მოუწოდა. 1922 წ-ის თებერვალში იგი დააპატიმრეს, მაგრამ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას შუამდგომლობით, ციხიდან გაათავისუფლეს. იმავე წელს, სხვა 62 პოლიტიკურ მოღვაწესთან ერთად, საქართველოდან გაასახლეს. თავდაპირველად ცხოვრობდა გერმანიაში, შემდეგ - ავსტრიაში. 1924-1948 წწ-ში იტალიაში - რომში გაატარა, შემდეგ კი საფრანგეთსა და ესპანეთში გადაინაცვლა. თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებთან „დამოუკიდებელი საქართველო“ და „სამშობლო“. ერთა ლიგის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარისა და რომის პაპისთვის მიწერილ წერილებში ამხელდა საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოში განხორციელებულ რეპრესიებს, მათ შორის, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის დევნას. ედპ-ის გათიშვის შემდეგ, რ. გაბაშვილთან, შ. ამირეჯიბთან და დ. ვაჩნაძესთან ერთად, შედიოდა გაზეთ „მამულიშვილის“ ირგვლივ შემოკრებილ ჯგუფში, რომელიც 1929 ა. ასათიანის ჯგუფთან გაერთიანდა. საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭომ მას მიანდო თავისი წარმომადგენლობა რომში, პაპის უწმინდეს კარზე. 1937 იტალიაში წაიკითხა ლექციების ციკლი საქართველოსა და რუსთაველზე. 1942 იტალიის სამეფო კარის შეკვეთით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ იტალიურ ენაზე. იმავე წელს იტალიურ ენაზე გამოსცა ნაშრომი „საქართველო და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი“ („La Georgia e il suo bardo Scioto Rustaveli“), რომელსაც თან ახლდა „ვეფხისტყაოსნის“ მისივე შემოკლებული თარგმანი. 1948 პარიზიდან მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს და მღვდლად ხელდასხმა ითხოვა. საეკლესიო კანონების თანახმად, საქართველოს ეკლესიის მეთაურს ამის უფლება არ გააჩნდა. რ. ინგილო ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ეკურთხა და მადრიდის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებელი ტაძრის წინამძღვრად გამწესდა. ამ ეკლესიაში, რომელიც ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელისა და სხვა ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით დაარსდა, იგი ღვთისმსახურებას ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებზე ასრულებდა. მალე აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. რ. ივანიცკი-ინგილო თანამშრომლობდა ესპანეთის რადიოსა და რადიო „თავისუფლებასთან“ (მიუნხენი). ცოლ-შვილი არ ჰყოლია. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: ე. ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ბიოგრაფიისათვის, რელიგიის ისტორიის; საკითხები, ტ. I, თბ., 2010; გ. შ ა რ ა ძ ე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, თბ., 2003; დ. ჭ უ მ ბ ურ ი ძ ე, ისტორიული პორტრეტები: დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

იმედაშვილი ალექსანდრე

იმედაშვილი ალექსანდრე (18.II.1882, თბილისი - 30.IX.1942) - მსახიობი. 1890-1894 წწ-ში თბილისის სემინარიასთან არსებულ პირველდაწყებით სკოლაში სწავლობდა, შემდეგ სწავლა სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც არ დაუმთავრებია. 1898-1900 წწ-ში საბუღალტრო კურსებზე სწავლობდა. 1900 წ-ის 30 სექტემბერს სცენაზე პირველად გამოვიდა. მონაწილეობდა ვ. ხოლოსტოვის ერთმოქმედებიან ვოდევილში „უკუღმართი ადგილი“ და ჟოინტის პიესაში „ძალად ავაზაკი“, მიიღეს ქართული თეატრის დასში. 1902 ვლადიმერ ალექსიმესხიშვილმა ქუთაისში მიიწვია. 1903-1909 წწ-ში თბილისში განაგრძო მუშაობა. 1904-1905 წწ-ში დააარსა „ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობა“. დრამატული როლების გარდა, ვოკალური მონაცემების წყალობით ოპერეტებშიც მონაწილეობდა. 1908 პირველად გამოდის საოპერო სცენაზე, ე. ოდრანის „ნატვრის თვალში“ მღერის პიპოს პარტიას. 1909 ქუთაისის თეატრში ვალერიან გუნიამ მიიწვია. 1913 თბილისში ბრუნდება. 1914 წ-ის 13 თებერვალს შილერის „დონ კარლოსში“ მარკიზ პოზას როლს ასრულებს. იმავე წელს ოტელოს როლს ასრულებს შექსპირის პიესაში „ოტელო“. 1916-1917 წწ-ში იყო ქუთაისის დასის ხელმძღვანელი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში მისი ავტორობით არაერთი წერილი დაიბეჭდა, რომელიც თეატრის პრობლემებს შეეხებოდა. ამავე დროს, 1919-1920 წწ-ში იყო ქუთაისის დრამატული დასის ხელმძღვანელი. 1920-1921 წწ-ში თბილისის დრამატულ თეატრში მუშაობდა.

1921-1922 წწ-ში ბათუმის თეატრში მოღვაწეობს, 1922-1924 წწ-ში კი - რუსთაველის თეატრში. 1923-1924 წწ-ში თბილისის თეატრში მსახიობობის პარალელურად, ბათუმის თეატრალურ დასს ხელმძღვანელობდა, 1925-1926 წწ-ში კი ქუთაისის დასს. 1929-1930 ბრუნდება თბილისში, რუსთაველის თეატრში. 1931 წ-ის 26 თებერვლის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადეს. 1932 მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. 1939 წ-დან ქუთაისის დასში ბრუნდება, სადაც დოდო ანთაძესთან ერთად მუშაობდა.

ლიტ.: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა, წ. I.

სალომე ჭანტურიძე, ნანა ყიფიანი

იმედაშვილი იოსებ

იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე (23.III.1876, სოფ. ხაშმი, თბილისის მაზრ. - 5.V.1952, თბილისი) -საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ გამომცემელ-რედაქტორი. ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. ადრე დაობლდა. 12 წლის თბილისის სახელოსნო-საზეინკლო სკოლაში სწავლობდა. მეორე კლასიდან გამორიცხეს რევოლიციურ მოძრაობაში ჩაბმის გამო. ამ დროს დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „თარი“. ჰქონდა ორატორობის ნიჭი, რომლის წყალობითაც ყურადღების ცენტრში მალე მოექცა. 1892-1893 წწ-ში ქაშვეთის უკან, ჯორჯაძის ქუჩაზე ფიქტიური წიგნსაბეჭდი გახსნა, რომელიც არალეგალურ შეკრების ადგილად იქცა. აქ ხვდებოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ლ. კეცხოველი ა. ფურცელაძე, მ. ჯავახიშვილი და სხვ. 1893 ი.ი.-მა დააარსა პირველი მუშათა თეატრი - ავჭალის აუდიტორია, რომლის პირველი რეჟისორი და წესდების ავტორი თავად იყო. 1895 წ-დან ხელმისაწვდომ ფასად წიგნების გამოცემა დაიყწო. 1899 ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, პუშკინის ლექსები გამოსცა. 1902 კი - გორკის თხზულებათა ქართული თარგმანი, აგრეთვე, ევდოშვილის ლექსები. 1902-1903 წწ-ში დააარსა ისნის სახალხო თეატრი (მურაშკოს სახლში), სადაც მეუღლესთან, ანა ჟურულთან ერთად თამაშობდა. 1903-1904 წწ-ში გაზ. „ივერიას“ საკვირაო ფელეტონებში დაიბეჭდა მისი რომანი „აახ-ვააახ!“ ეს იყო პირველი ქართული სატირული რომანი. მანამდე თანამშრომლობდა გაზ. „ცნობის ფურცელისა“ და „კვალის“. 1904 ქართულად გამოსცა „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (მეორედ 1918, მესამედ კი - 1928-ში). 1904 წ-ის იანვარში არალეგალური საქმიანობისთვის დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გამოკეტეს. 1910 დააარსა ყოველკვირეული ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“. გამოდიოდა 1914-1920 და 1923-1926 წწ-ში. ჟურნალი ეხმიანებოდა ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ ცხოვრებას. იბეჭდებოდა: კულტურული ცხოვრების ქრონიკა, წერილები, რეცენზიები, პიესები, ლექსები, ბიოგრაფიები, ნეკროლოგები, რეკლამები, მოწოდებები ქვეყნის კულტურული დაწესებულებებიდან და სხვ. უხვად იყო შემკული ფოტოებითა და ჩანახატებით, ხშირად იბეჭდებოდა კარიკატურები.

1917 გამოსცემდა გაზ. „ხალხის ერთობა“, მოგვიანებით კი - „ხალხის თავისუფლება“. 1918 იყო უნივერსიტეტის დაარსების კრების მონაწილე. 1918 უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად შევიდა. თეატრისა და უნივერსიტეტის დასახმარებლად ჟურნალში ლატარიას ბეჭდავდა. პოლიტიკურად თავისუფალი გარემო ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ შეეხო. მის ფურცლებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე კულტურული ცხოვრების პარალელურად, რესპუბლიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენებიც შუქდებოდა, იბეჭდებოდა მთავრობის წევრების ფოტოები და ბიოგრაფიები. ჟურნალი ეხმიანებოდა ფრონტზე მიმდინარე მოვლენებს და

ბრძოლაში დაღუპულ მეომრებზე ნეკროლოგებს აქვეყნებდა. სპეციალური ნომრები მიეძღვნა 26 მაისის დღესასწაულს - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებას. ყოველივე ი.ი-ის აქტიურობითა და უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. ი.ი წერდა ფსევდონიმებით „უსავანი“, „ი. წინამძღვარი“, „ი-ელი“, „წინ-არი“. 1920 ჟურნალის 10 წლის იუბილეს სპეციალური ნომერი მიეძღვნა, სადაც ი.ი.-ის არაერთი ფოტო დაიბეჭდა, წერილები მიუძღვნეს და მის ღვაწლზე ისაუბრეს ივ. გომართელმა, ი. მოსაშვილმა, დ. ნახუცრიშვილმა, დ. ახვლედიანმა, ალ. მირიანაშვილმა, ეკ. გაბაშვილმა, გ. ჯაბაურმა, კ. გერგესელმა, სვ. წერეთელმა. ამავე ნომერში დაიბეჭდა ლადო გუდიაშვილის ჩანახატი - იოსებ იმედაშვილი მუშაობის დროს. გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: გ. იმედაშვილი, ი. იმედაშვილის ცხოვრების გზაზე, თბ., 1984; ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ., 1978; ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1918-1920.

სალომე ქანტურიძე

იმედხუზლა იოსებ მაქსიმეს ძე – იასე რაჭველი (1860, სოფ. ბაილეთი, ოზურგეთის მაზრ. - 1919, მარტი ლაგოდეხი) - მწერალი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი. დაამთავრა სოფლის ერთკლასიანი სასწავლებელი. სოფლის მასწავლებელმა ბესარიონ ჭიჭინაძემ, მშობლების თანხმობით, რაჭის ორკლასიან სასწავლებელში გაგზავნა. სკოლის დასრულების შემდეგ დარჩა რაჭაში. შეუერთდა არალეგალურ ორგანიზაციას, რომელიც მალევე ჟანდარმერიამ დახურა. დაბრუნდა გურიაში. თუმცა 1880-იან წწ-ში გადახვეწა მოუწია ოსმალეთში. საბერძნეთსა და სტამბოლში ყოფნის დროს შეისწავლა ენები. იმოგზაურა იტალიასა და საფრანგეთში. აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალას და დააარსა ამხანაგობა „გეორგია“. გადასახლებაში მყოფი, იასე რაჭველის ფსევდონიმით, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს, რომლებიც პატრიოტულ სულისკვეთებას უღვივებდა მკითხველთ. 1904 დაბრუნდა საქართველოში, თბილისის თვითმმართველობასთან გზების ქვებით მოპირკეთებასთან დაკავშირებით დადო შეთანხმება. ქვები თავდაპირველად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა, შემდეგ კი - სოფ. კურსებიდან (ქუთაისის მაზრა). 1907 მუხრანის ხიდის რკინის კონსტრუქციის მშენებლობა დაიწყო. თუმცა დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა. გადავიდა ლაგოდეხში. დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის „ჰერეთი“ გამოცემა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში მისი ფოტოები და თარგმანები იბეჭდებოდა. 1919 წ-ის მარტში ლაგოდეხში მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ბაილეთში (ოზურგეთის რ-ნი). ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა გარდაცვალების ნეკროლოგი და მასზე იოსებ არიმათიელის წერილი. მის ხსოვნას ვარდენ ყიფიანმა ლექსი მიუძღვნა. 1920 წ-ის 24 ივნისს მუშათა ცენტრალურ კლუბში იასე რაჭველის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო გაიმართა - „საღამო სოსიას ღელე“. დამსწრეებს სიტყვით იოსებ იმედაშვილმა მიმართა. ლექსები წაიკითხეს მგოსნებმა: ვ. რუხაძემ, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ქუჩიშვილმა, დარია ახვლედიანმა და სხვ.

იასე რაჭველი არაერთი ლექსის, პოემის, მოთხრობისა თუ რომანის ავტორია. მათ შორის: „მეექვსე ნომერი“, „რაშია ბედნიერება“, „ფერი ფერსა მადლი ღმერთსა“, „მარიანა“, „უმანკო მსხვერპლი“, „მართალი კაცი“ და სხვ.

ლიტ.: ი. არიმათიელი, იასე რაჭველი (გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო), ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919 №3, 1920, №8; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №858,

სალომე ქანტურიძე

იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე (1888, სოფ. შუხუთი, ოზურგეთის მაზრა - 1.X.191937, თბილისი) - სოციალ-დემოკრატი („ახალი სხივის“ ჯგუფი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. საშუალო განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. 1907-1912 წწ-ში სწავლობდა გერმანიაში, ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში ჩართული იყო პოლიტიკურ საქმიანობაში, 1904 შეუერთდა რსდმ პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. 1905 დააპატიმრეს რევოლუციაში მონაწილეობისა და რუსეთ-იაპონიის ომის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის. შემდგომში, 1906, 1912 და 1915 წწ-ში პოლიტიკური საბაბით იყო დაპატიმრებული მეფის რეჟიმის მიერ. ამავე პერიოდებში ეწოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო გორის მაზრის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ეწოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. 1918 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით შედიოდა პარლამენტის შემადგენლობაში. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. კრებაში საქმიანობდა განათლების, საბიბლიოთეკო, სარეგლამენტო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებში. დამფუძნებელ კრებაში იყო არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, მათ შორის, თბილისის ეროვნული სამხატვრო გალერეის და ფოთის რადიოსადგურის შექმნისა. 1920 წ-დან იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაჩენილი შიდაოპოზიციის გაზეთ „ახალი სხივის“ ჯგუფის წევრი. „სხიველებთან“ ერთად მოითხოვდა პარტიისა და სამთავრობო თანამდებობების შეუთავსებლობის საკითხის მოგვარებას. შიდაოპოზიციურ ჯგუფსა და

პარტიის ძირითად ხაზს შორის დაპირისპირებამ პიკს 1920 წ-ის ბოლოს მიაღწია, 1921 წ-ის თებერვალში კი დამფუძნებელ კრებაში ჯგუფი დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. თანამოაზრეებთან ერთად გარკვეული პერიოდი გამოსცემდა გაზ. „ახალი სხივს“. 1921 წ-ის ივნისის ბოლოს საბჭოთა რეჟიმმა დააპატიმრა გაზეთის გვერდებზე გამოქვეყნებული კრიტიკის გამო. 26 ივნისს „ახალ სხივში“ კრიტიკული წერილები დაიბეჭდა საბჭოთა რეჟიმის შესახებ. შემდგომში, 1922-1923 და 1931 წწ-ში, სამჯერ დააპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით, თუმცა ვერც ერთხელ დაუმტკიცეს ბრალდება. 1937 დიდი ტერორის დროს დააპატიმრეს. მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ ჩამოშორებულია ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას, რეჟიმმა ის დამნაშავედ ცნო. დახვრიტეს თბილისში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 108; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №70, №240, №268; გაზ. „ერთობა“, 1920, №179; გაზ. „ახალი სხივი“, 1921, №7, №11;

ირაკლი ირემაძე



იმნაძე ვლადიმერ

იმნაძე ვლადიმერ (?-?) - გენერალი. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1918 წ-ის დეკემბერში, სომხეთთან ომის დროს, იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების საველე შტაბის უფროსი.

ლიტ.: ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007.

მიხეილ ბახტაძე

ინაშვილი ალექსანდრე

ინაშვილი სანდრო იობის ძე (11.VIII.1887, თბილისი - 04.VI.1958, თბილისი) - საოპერო მომღერალი, ბარიტონი. დაიბადა შეძლებული გლეხის, პროფესიით დურგლის ოჯახში. სწავლა რკინიგზის სასწავლებელში დაიწყო. აქ სიმღერას ცნობილი მომღერალი სანდრო კავსაძე ასწავლიდა, რომელმაც ჯერ საბავშვო, შემდეგ კი ხალხურ მომღერალთა გუნდში აიყვანა. ოჯახის ნათესავის, ბარიტონ კაზიმირ ცხომელიძის წყალობით, ეზიარა საოპერო ხელოვნებას და მისივე მეშვეობით, ნიკო სულხანიშვილის გუნდში მოხვდა სოლისტად. 1909 ზუბალაშვილების სახლში, ოპერა „ფაუსტში“ ვაგნერის პარტიას ასრულებს. ხმის დასახვეწად ვარჯიშს ნიკოლოზ კოვალენკოსთან იწყებს, რომლის რუსეთში წასვლის შემდეგ ევგენი რიადნოვთან აგრძელებს მეცადინეობას. 1912 წ-ის 21 დეკემბერს სახალხო სახლის სცენაზე „კარმენიდან“ ტორეადორის პარტიას ასრულებს, მალე - რიგოლეტოს, შემდეგ კი ჟერმონის პარტიას ვერდის „ტრავიატადან“. ამზადებს მრავალ პარტიას და ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას ასმენინებს. შედეგად, სერგი ევლახიშვილს საგასტროლო დასში აჰყავს. 1914 ევგენი რიადნოვის სტუდიაში წარმოდგენილ მოცარტის „ფიგაროს ქორწინებაში“ ფიგაროს როლს ასრულებს. მის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვან როლს იოსებ გრიშაშვილიც თამაშობს. აქტიურად თანამშრომლობს ვანო სარაჯიშვილთან. 1913 წ-ის აპრილში აბესალომ და ეთერის მესამე აქტის დადგმაში ვანო სარაჯიშვილთან და უცხოელ მომღერლებთან ერთად გამოდის. 1916 ექვსწლიანი საფუძვლიანი სკოლის გავლის შემდეგ, თბილისის სამუსიკო სასწავლებელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს.

1917 წ-დან ვ. სარაჯისვილთან, ო. ბახუტაშვილ-შულგინასთან და ო. კალანდაძესთან ერთად „ქართულ კლუბში“ ჩამოყალიბებული საოპერო დასის წევრია. 1919 წ-ს მღერის: ვაგნერის „ტანჰოიზერში“; ალ. წუწუნავას მიერ ქართულ ენაზე დადგმულ „დემონში“; აბდულ არაბის როლს დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“; მურმანის პარტიას ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“. ერთ სეზონში ოთხ-ხუთ პრემიერაში მღერის და ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობს მრავალ სპექტაკლში (5 ნოემბერს - „ტოსკა“; 6 ნოემბერს - „ტრავიატა“; 12 ნოემბერს - „აბესალომ და ეთერი“; 13 ნოემბერს - „სევილიელი დალაქი“; 14 ნოემბერს - კვლავ „აბესალომ და ეთერი“ და სხვ.) 1920 წ-ს დადგმულ იპოლიტოვ ივანოვის ოპერაში „ღალატი“ ოთარ ბეგის როლს ასრულებს.

1922 ვ. დოლიძის ოპერაში „ლეილა“ რევაზის როლს ასრულებს. 1923 წ-ის 23 მაისს, ვანო სარაჯიშვილისა და ა. სუმბათაშვილ - იუჟინის დახმარებით, სასწავლებლად იტალიაში მიდის და წარმატებით იწყებს მეცადინეობას პროფესორ ჯირალდონისთან. ნახევარი წლის შემდეგ სწავლას თავს ანებებს და გასტროლირებას მიჰყოფს ხელს. ანტრეპრეენიორი ლუზარდი ბრესტსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გასტროლებს სთავაზობს. აღნიშნულ წინადაებაზე უარის თქმის შემდეგ, საქართველოში ბრუნდება. სწავლობს და ასრულებს კიაზოს პარტიას ზ. ფალიაშვილის „დაისიდან“. 1926 მოსკოვის დიდ თეატრში წარმატებით გამოდის და ონეგინისა და ტორეადორის პარტიებს ასრულებს. 1928 წ-ს ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრაში“ ინკუბუსის როლს ასრულებს, 1929 კი გორკის პარტიას მღერის ვ. დოლიძის ოპერა „ცისანაში“.

ლიტ.: შ. კაშმაძე, „სანდრო ინაშვილი“ მონოგრაფია, თბ., 1957; გ. გოგიჩაძე, „სანდრო ინაშვილი, როგორც მომღერალი და პედაგოგი“, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, №9; გ. იარალოვი, „სანდრო ინაშვილი და ბათუმის თეატრი“, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, №12.

ზურაბ ლეჟავა

ინგელსი ალბერტ (9.V.1872, ლილი - 11.VII.1941, ნიცა) - ფრანგი სოციალისტი. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი. ახალგაზრდობიდანვე ჩართული იყო პოლიტიკურ საქმიანობაში, 1887 შეუერთდა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში საქსოვი წარმოების მუშათა წრეებში და ახალგაზრდებში ეწეოდა აგიტაციას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა საქსოვ წარმოებაში. იყო საფრანგეთის საქსოვი წარმოების მუშათა გაერთიანების მდივანი. ხელმძღვანელობდა სოციალისტური გაზეთს „cri du Nord". 1914 სოციალისტური პარტიის სიით არჩეული იქნა პარლამენტის წევრად. მუშაობდა ბინათმესაკუთრეობის საკითხზე და მსოფლიო ომის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრის გეგმებზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის საქმიანობაში. 1919 კვლავ იქნა აირჩიეს პარლამენტის წევრად. 1920 წ-ის სექტემბერში როგორც მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცის წევრი, იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სიტყვით გამოვიდა თბილისის, თელავისა და ტყიბულის საზეიმო მიტინგებზე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ აკრიტიკებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს. XX ს-ის 20-30-იან წწ-ში აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, 1919-1924 და 1932-1936 წწ-ში იყო საფრანგეთის პარლამენტის წევრი სოციალისტური პარტიიდან, 1930-1935 წწ-ში - ქალაქ ტურკუენის მერი.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ). თბ., 1997; Mandats à l›Assemblée natlonale ou à la Chambre des députés (http://www2.assemblee-natlonale.fr); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920, №209, №210, №221; გაზ. „ერთობა", 1920, №212.

ირაკლი ირემაძე

ინგოროყვა პავლე იესეს ძე (1.XI.1893, ფოთი - 20.XI.1983, თბილისი) - ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს ეროვნული საბჭოს და პარლამენტის წევრი, მწერალთა კავშირის წევრი. განათლება მიიღო ფოთის გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე (1912-1916).

პ. ინგოროყვა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ხელმოწერა ამშვენებს დამოუკიდებლობის აქტს. იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. მოამზადა პარიზის საზავო კონფერენციისთვის წარსადგენი მოხსენებები საქართველოს მოსახლეობის და საზღვრების შესახებ. მასვე ეკუთვნის სდრის ადმინისტრაციული რეფორმის პროექტი (1920), რომელიც მომზადდა მთავრობის დავალებით, თუმცა განხორციელება ვერ მოესწრო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პ. ინგოროყვა დაუბრუნდა სამეცნიერო საქმიანობას. იყო სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგე (1929), „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" პირველი რედაქციის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი (1936-1938). 1938, 1940 და 1951 წწ-ში გამოსცა მონოგრაფიები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის შესახებ. თუმცა მას ყოველთვის ავიწროებდნენ, არ მისცეს დისერტაციის დაცვის საშუალება, 1955 უარი უთხრეს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევაზე. მისი მთავარი ნაშრომი „გიორგი მერჩულე" (1954), საბჭოთა ცენზურამ, ანტიაფხაზური ბრალდებით, სტამბიდან ამოიღო და ტირაჟის დიდი ნაწილი გაანადგურა. პ. ინგოროყვამ დააარსა ჟურნალი „კავკასიონი" (1924), გამომცემლობა „ქართული წიგნი" (1925-1933). ხელისუფლებამ ორივე დახურა ანტისაბჭოთა ბრალდებით. პ. ინგოროყვამ განსაკუთრებული წვლილი დასდო და მრავალი ნაშრომი უძღვნა რუსთველოლოგიურ კვლევებს: „რუსთველიანა" (1926), „რუსთაველი და მისი პოემა" (1937), „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა" (1940-1941), „რუსთველიანას ეპილოგი" (1963) და სხვ.

ინგელსი ალბერტ

ინგოროყვა პავლე



იპოლიტოვ-ივანოვი მიხეილ

თხზ.: პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებების სრული კრებული 7 ტომად, თბ., 1963-1978.

ლიტ.: რ. ჩ ხ ე ი ძ ე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 2003.

ბონდო კუპატაძე

იობაშვილი ნიკოლოზ (1883, სოფ. მრავალძალი, რაჭის მაზრ, - ?) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ელემენტარული განათლება ოჯახში მიიღო. პროფესიით რკინიგზის მემანქანე. ადრეული ასაკიდან ჩართული იყო რკინიგზის მუშათა გაერთიანების საქმიანობაში. პარტიულ მუშაობას ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქციის სასარგებლოდ.

1918 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. გაწევრიანებული იყო პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. იყო პარლამენტის გზათა კომისიის წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127.

ირაკლი ირემაძე

იპოლიტოვ-ივანოვი მიხეილ (1859, გატჩინა - 1935, მოსკოვი) - კომპოზიტორი, დირიჟორი. პედაგოგი. ქართული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების შემკრები. კონსერვატორიის რექტორი. 1872-1875 წწ-ში პეტერბურგში პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება

ირემაშვილი იოსებ

მიიღო. კომპოზიციის შესწავლა პეტერბურგის კონსერვატორიაში, კომპოზიტორ რიმსკი - კორსაკოვის კლასში განაგრძო. აღნიშნული სასწავლებელი 1882 დაამთავრა. მისი პირველი ნაწარმოებები რუსული ხალხური სიმღერების თემებს დაეფუძნა და 1883 წარმატებით შესრულდა პეტერბურგში. 1883 თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის გაცნობამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. თბილისში ყოფნისას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში, ხელმძღვანელობდა რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილებას და თბილისის მუსიკალურ სასწავლებელს, სადაც მუსიკის თეორიასა და ისტორიას ასწავლიდა. მისი მოსწავლეები იყვნენ ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. იწერდა და აგროვებდა ქართულ და, ზოგადად, კავკასიურ ხალხურ სიმღერებს. 1884-1893 წწ-ში იყო თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორი. სიმფონიური მუსიკის კონცერტებს აწყობდა და დირიჟორობდა. ეკუთვნის ნაშრომი „ქართული ხალხური სიმღერა და მისი სადღეისო მდგომარეობა“ (1895). აქტიურად მონაწილეობდა ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადატანაში. 1893 რუსეთში წავიდა და მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და რექტორი გახდა. იყო სრულიად რუსეთის მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. 1894 დაწერა საორკესტრო სიუიტა „კავკასიური ესკიზები“.

დამოუკიდებელ საქართველოში, 1920 წ-ის 19 სექტემბერს დაიდგა მისი ოპერა „ღალატი“, რომელიც ქართულ ენაზე კ. ფოცხვერაშვილმა თარგმნა. „ღალატი“ დაწერილია სუმბათაშვილ-იუჟინის ამავე სახელწოდების დრამის მიხედვით, რომლის შინაარსიც ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ასახავს. ოპერა დადგა ა. წუწუნავამ, დირიჟორი - სამუელ სტოლერმანი. როლებს ასრულებდნენ: ალეშენკო (ზეინაბი), ბურგაცეხანოვსკაია (რუქაია), ვ. სარაჯიშვილი (ერეკლე), ნ. ელიოზიშვილი (ოთარ-ბეგი), საბინინი (სულეიმანი), კურბატოვი (ბესო), დემიანენკო (ანანია), ეზროვი (საბა) და სხვ.

1924 ჩერეპნინის თხოვნით თბილისში ჩამოდის და 1924-1925 წწ-ში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორია. 1925 კვლავ რუსეთში მიდის, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის დირიჟორის თანამდებობას იკავებს და რუსული ოპერების პოპულარიზაციას ეწევა. 1935 გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში.

ლიტ.: შ. კ ა შ მ ა ძ ე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, თბ., 1950; მიხაილ იპოლიტოვ ივანოვი (ივანოვი), „100 ღირსსახსოვარი სახელი“, საქ. მეცერ. აკადემია, თბ., 2014; დ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, თბ., 1968; რ. მ ი ქ ა უ ტ ა ძ ე, „მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი“, გაზ. „კომუნარი“,1959, №135.

ზურაბ ლეჟავა

ირემაშვილი იოსებ გიორგის ძე (1879, სოფ. ურბნისი - 1944, ბერლინი) - 1894 დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. მისი დასრულების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. 1901 წ-დან გორის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი იყო. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა: „ხომლში“, „ნაპერწკალში“, „ახალ აზრში“, „ჩვენ გაზეთში“ და სხვა გამოცემებში. 1911 წ-ს ი. ირემაშვილი იაკობ გოგებაშვილმა საკუთარი ხარჯით გაგზავნა კიევში სასწავლებლად, სადაც დაამთავრა კომერციული ინსტიტუტი და საქართველოში დაბრუნდა.

1917 წ-ს ი. ირემაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლობას შეუდგა. დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან და დუშეთის კომისარი. 1922 წ-ს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად ქვეყნიდან გაასახლეს. ემიგრაციაში ყოფნისას დაწერა წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია”, რომელშიც მწვავედ აკრიტიკებდა თავის ყოფილ მეგობარსა და თანამოაზრეს ი. სტალინს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე

იუსტიციის სამინისტრო - 1918 წ-ის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით შეიქმნა საქართველოს პირველი დროებითი მთავრობა. მთავრობის სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურას იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა. 1918-1921 წწ-ში აღნიშნულ უწყებას ხელმძღვანელობდნენ შალვა ალექსი-მესხიშვილი (1918-1919), ევგენი გეგეჭკორი (1919) და რაჟდენ არსენიძე (1920-1921). საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავრობისა და მის სისტემაში შემავალი სამინისტროების სტრუქტურისა და უფლებამოსილების შესახებ იმდროინდელ ხელისუფლებას ერთიანი სამართლებრივი აქტი არ მიუღია. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის შესასწავლად ძირითადად გამოდგება ცალკეული ნორმატიული დოკუმენტები და საარქივო მასალა. იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა უწყებას, რომელსაც ქვეყანაში უნდა უზრუნველეყო სამართლებრივი რეფორმები, მათ შორის, სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია. იუსტიციის სამინისტროს მიზანს შეადგენდა „ზრუნვა დარღვეული ნორმალური წესწყობილების აღდგენისათვის, ცხოვრებაში უფლებრივი პრინციპების განმტკიცებისათვის, სასამართლოს დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნისათვის“. იუსტიციის სამინისტროს გამიზნული ჰქონდა, თავიდანვე დაესახა შემდეგი რეფორმები: „არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღება, საგამომძიებლო ნაწილის რეორგანიზაცია სასამა-

რთლოს გამომძიებელთა დამოუკიდებლობის განმტკიცების ნიადაგზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, უზენაესი საკასაციო სასამართლოს დაწესება, ყოველგვარი წოდებრივი სასამართლოთა მოსპობა და სხვა". ამ რეფორმების პროცესში „უდიდესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სასამართლო უწყების დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნას იურიდიული მეცნიერების მიერ მიღებულ დებულებათა საფუძველზე და განათლებული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით". იუსტიციის სამინისტროს დიდი შრომის შედეგად 1919 ჩამოყალიბდა პირველი სენატი, როგორც უზენაესი სასამართლო. სენატის დებულება შემუშავებულ იქნა იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გ. გველესიანის თავმჯდომარეობით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ. სწორედ იუსტიციის სამინისტრო ზრუნავდა იურიდიული განათლების განვითარებისათვის საქართველოში. ამის მკაფიო გამოხატულებაა იუსტიციის მინისტრ შ. ალექსი-მესხიშვილის მიმართვა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისადმი თხოვნით, რათა პროფესორთა საბჭოს წინაშე განსახილველად წარდგენილიყო იურიდიული ფაკულტეტის დაარსების შესახებ წინადადება. „თვის მხრივ სამინისტრო ყოველგვარ დამხმარებას აღუთქვამს უნივერსიტეტს ხსენებული ფაკულტეტის დაარსების საქმეში" - ნათქვამია იუსტიციის მინისტრის მიმართვაში. იუსტიციის სამინისტროსთან არსებობდა „სატერმინოლოგიო კომისია", რომელსაც დავალებული ჰქონდა „უსაჭიროეს იურიდიული ტერმინების გამორკვევა, დაბეჭდვა და სასამართლოს მოხელეთათვის დარიგება". სამინისტროს სისტემაში შესაძლებელი იყო საუწყებათაშორისო კომისიის შექმნაც. მსგავსი კომისია დაარსდა „განქორწინების პროექტთან" დაკავშირებით, რომელიც საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მიერ იყო შემუშავებული. იუსტიციის სამინისტრო, ასევე, ზრუნავდა კანონმდებლობის სრულყოფისათვის. სწორედ იუსტიციის მინისტრის მოხენების საფუძველზე შეიქმნა 1920 წ-ის 8 აპრილს დეკრეტით „კანონთა გადამსინჯავი დროებითი კომისია". იუსტიციის სამინისტროს საარქივო მასალებში ვკითხულობთ, რომ „კომისიამ პირველყოვლისა სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოს მოქმედი კანონმდებლობის არქაიზმები და შეიმუშაოს მათის გაუქმების ან შეცვლის პროექტი. ამავე დროს საძირკველი უნდა ჩაუყაროს ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ საკანონმდებლო კოდექსების შექმნას". დეკრეტის პირველი მუხლის თანახმად, სამინისტროს კომისიას ევალდებოდა მიმდინარე საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება. კომისია შედგებოდა მუდმივი და მოწვეული წევრებისაგან და მას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა. ამ რეფორმას წინ უსწრებდა 1918 წ-ის 11 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსება, რომლის მიზანი საკანონმდებლო მასალისა და უმაღლესი მთავრობის ზოგადი ხასიათის განკარგულებათა შეკრება, წესრიგში მოყვანა და გამოქვეყნება იყო. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საკოდიფიკაციო განყოფილების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა დაეკისრა იუსტიციის მინისტრს. 1918 წ-ის 11 ოქტომბრის „კანონთა გამოქვეყნების" შესახებ კანონით, საკოდიფიკაციო განყოფილება „განსაკუთრებული დაწესებულების დაარსებამდე" უზრუნველყოფდა „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის" ოფიციალურ გამოცემას. 1918-1921 წწ-ში ნორმატიულ დოკუმენტებში მოცემულია იუსტიციის მინისტრის ცალკეული უფლებამოსილებები. მის კომპეტენციაში შედიოდა გამომძიებლების, თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგების დანიშვნა. იუსტიციის სამინისტროს ფუნქცია იყო გამომძიებელთა საქმეების რევიზიაც, სასამართლო სისტემის რეფორმირება. საქართველოს რესპუბლიკის 1918 წ-ის 5 ივლისის „ტფილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირების" შესახებ კანონის პირველი მუხლის თანახმად, იუსტიციის მინისტრს დაევალა თბილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირების უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მინისტრის კომპეტენციაში შედიოდა აღნიშნული პალატის შტატგარეშე წევრების, მდივნების, მათი თანაშემწეების, მოხელეებისა და მოსამსახურეების დათხოვნა, თუ ის ამის საჭიროებას დაინახავდა. „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის" შესახებ 1918 წ-ის 24 სექტემბრის კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს დაარსებამდე მომრიგებელი მოსამართლის სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან ან მისი დროებით განთავისუფლება სამასახურიდან იუსტიციის მინისტრს შეეძლო. ასევე, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის სამსახურიდან დროებით განთავისუფლება იუსტიციის მინისტრის კომპეტენციაში შედიოდა. „ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღების" შესახებ 1919 წ-ის 17 იანვრის კანონის მე-3 მუხლის ძალით, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დაჩქარებით შემოღების მიზნით, იუსტიციის მინისტრს დაევალა, განესაზღვრა ნაფიც-მსაჯულთა ასარჩევად სათანადო სიების შედგენისთვის დრო და ვადა. 1919 წ-ის 29 მარტს იუსტიციის სამინისტროში სამინისტროს რეორგანიზაციაზე იმსჯელეს. ზოგიერთი ამ სამინისტროს გაუქმებას უჭერდა მხარს, ვინაიდან სამინისტროს ცალკე არსებობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. უმრავლესობა კი ამ ინიციატივას უარყოფდა: „სამინისტროს მოსპობა უხერხულს მდგომარეობას შეჰქმნის, რადგან ამ შემთხვევაში უწყებას აღარ ეყოლება ერთი ხელმძღვანელი, ერთის პოლიტიკის გამტარებელი, აღარ ეყოლება სასამართლო უწყების წარმომადგენელი მთავრობაშიც, როცა ამ წარმომადგენლის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა საკითხის გარჩევის დროს". საბოლოოდ, 1919 წ-ის მარტი-

დან დეკემბრის ბოლომდე იუსტიციის მინისტრის პორტფელი საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორს გადაეცა, ხოლო 1920 წ-ის დასაწყისიდანვე კვლავ დამოუკიდებელ სამინისტროდ გარდაიქმნა და რაჟდენ არსენიძე დაინშნა იუსტიციის მინისტრად. 1920 წ-ის 29 ივნისის „საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს“ შესახებ დებულების მიხედვით, იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭო, რომლის წევრი იყო იუსტიციის მინისტრი. საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავდა იუსტიციის მინისტრი. 1920 წ-ის 3 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების“ შესახებ კანონი მიიღო, რომლის 27-ე მუხლის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრი იუსტიციის მინისტრთან ერთად გამოსცემდა ინსტრუქციას აღნიშნული კანონის განსახორციელებლად.

ლიტ.: სცსა, ფ. 1938, აღწ. 1, საქ. 6, 35, 37; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება – პარლამენტის საკანონმდებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია კანონის გამოქვეყნება და ძალაში შესვლა. საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში კანონის ძალაში შესვლის სხვადასხვა დროები იყო დადგენილი და ეს პროცესი, თავიდან, კანონმდებლობით არ იყო მოწესრიგებული. კანონი ძალაში შედიოდა მიღებისთანავე, ზოგჯერ-კანონში მითითებული დღიდან, ან კანონის გამოცხადებისთანავე, ან კანონში ნათქვამი არ იყო ძალაში შესვლის ვადები. ქართველი კანონმდებლები ასეთ უსისტემობას და ნორმატიულ მოუწესრიგებლობას „არევ-დარევად და არა ნორმალურად“ მიიჩნევდნენ. შემუშავებულ იქნა კანონპროექტი და მას განმარტებაც დაერთო.

კონსტიტუციონალიზმში კანონისმიღებისა და ძალაში შესვლის რამდენიმე ფორმა იყო მიღებული, ძირითადად, ეს იყო საეკლესიო-სახალხო და ნორმატიული აქტებით დადგენილი პროცედურები. ქართველ კანონმდებელთა ნაწილი მოითხოვდა, რომ კანონი ძალაში შესულიყო მხოლოდ ერთ დღეს. რუსეთში მანიფესტებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებს ეკლესიებში კითხულობდნენ. ანალოგიური წესი არსებობდა შვეიცარიაში. იქ კანონი იურიდიულ ძალას იღებდა მაშინ, როდესაც მას წირვის დროს წაიკითხავდნენ. დანიაში კანონები ძალაში შედიოდა მათი გამოცხადებიდან 8, ბელგიაში 10, გერმანიაში 14, იტალიაში 15, ჰოლანდიაში 20, ნორვეგიაში 28 დღის შემდეგ. პარლამენტში განმარტავდნენ, რომ „ერთ ვადას ის კარგი მხარე აქვს, რომ მას შეაქვს კანონმდებლობაში მეტი გარკვეულობა, სიმარტივე“.

ქართველ კანონმდებელთა აზრით, ყოველი კანონი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე უნდა შესულიყო ძალაში ერთსა და იმავე დროს, მისი გამოცემიდან შვიდი დღის შემდეგ, თუ კანონში არ იქნებოდა მითითებული სხვა ვადა. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 31 ივლისის დადგენილებით, წესი „კანონთა გამოქვეყნების“ შესახებ წარედგინა იურიდიულ კომისიას დასკვნისათვის. კომისიის მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები გარკვეულწილად აისახა კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში. პარლამენტს კანონპროექტი დასამტკიცებლად წარედგინა 1918 წ-ის 10 ოქტომბერს, მეორე დღეს, 11 ოქტომბერს ის მიიღეს. კანონი „კანონთა გამოქვეყნების“ შესახებ მოიცავს ოთხ მუხლს. კანონის მეორე მუხლი და შენიშვნა ეხება კანონის ძალაში შესვლის საკითხს. ამ მუხლის მიხედვით, კანონი ძალაში შედიოდა მისი ოფიციალურ ორგანოში - „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ - გამოცემიდან შვიდი დღის შემდეგ. აღნიშნული მუხლი არ ვრცელდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონში სხვა ვადა იქნებოდა მითითებული ან კანონის აღსრულება გამოქვეყნებამდე იყო აუცილებელი.

კანონის ძალაში შესვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის გამოქვეყნებასთან. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონი პირველად იბეჭდებოდა მთავრობის ოფიციალურ გამოცემაში „საქართველოს რესპუბლიკაში“. თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი კანონმდებლები ნორმატიული აქტების გავრცელებისა და მოქმედების საკითხს, კარგად ჩანს პარლამენტის განმარტებაში: „სახელმწიფოში კანონიერების დასამყარებლად საჭიროა სასტიკად განსაზღვრული წესი კანონების საყოველთაოდ გამოქვეყნებისა და იმის შესახებ, თუ რა მომენტიდან ღებულობს კანონი თავის სავალდებულო ძალას“. ეროვნულ საბჭოში გამოითქვა აზრი, რომ საქართველოში უნდა დაარსებულიყო ოფიციალური კრებული, რომელიც უზრუნველყოფდა კანონების ხელმისაწვდომობასა და მათ კოდიფიკაციას. ეროვნულ საბჭოს ასეთ გამოცემად ესახებოდა „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“, რომლის ანალოგი გამოდიოდა რუსეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-12 პუნქტში ასეთ გამოცემას ეწოდება „კანონთა და განკარგულებათა კრებული“. მსგავსი ოფიციალური ორგანო გამოდიოდა გერმანიაშიც. საქართველოს პარლამენტის განმარტებაში ვკითხულობთ: „ასეთი ოფიციალური გამოცემა, რა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკისთვისაც აუცილებლად საჭიროა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვიდრე სენატი ანდა მის მსგავსი დაწესებულება დაარსდებოდეს ჩვენში, ამ კანონთა საქმე, მათი ოფიციალური გამოცემა გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს, როგორც ისეთ უწყებას, რომელიც უფრო ახლოს დგას კოდიფიკაციის საკითხებთან“.

„კანონთა გამოქვეყნების“ შესახებ კანონთან ერთად, პარლამენტმა დაამტკიცა „იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსების“ შესახებ კანონი. პირველი მუხლის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა საკოდიფიკაციო განყოფილება საკანონმდებლო მასალისა და მთავრობის ზოგადი ხასიათის განკარგულებათა შესაკრებად, წესრიგში მოსაყვანად და გამოსაქვეყნებლად. კანონის მიხედვით, პარლამენტის ნორმატიული აქტები ეგზავნებოდა მთავრობას ოფიციალურ ორგანოში გამოსაქვეყნებლად. კრებული ხელმისაწვდომი იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის. საქართველოს პირველ კონსტიტუციაში არაა გათვალისწინებული კანონის ძალაში შესვლისა და მისი გამოცემის საკითხები. აღსანიშნავია, რომ ძველი და ახალი კანონმდებლობის გადასინჯვის მიზნით შექმნილი იყო კანონთა გადამსინჯავი კომისია იუსტიციის სამინისტროსთან.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 289.

ბექა ქანთარია

3

კავსაძე ალექსანდრე

კავსაძე მიხეილ

კავკასიის ქალაქი, თბილისში გამომავალი ორკვირეული გამოცემა, რომელიც მიმოიხილავდა მუნიციპალურ საკითხებს. გამოდიოდა 1918-1919 წლებში. შეიქმნა, როგორც რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის სამხარეო ორგანიზაციის ჟურნალი, შემდეგ გადაკეთდა საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანოდ. გამოვიდა 1918 წ-ის 15 მარტს რუსულ ენაზე. სულ გამოვიდა 18 ნომერი (1918. №1/2 , 3/4, 5/6, 7/8, 9/10, 11/12, 13/14, 15/16; 1919. №1, №2 , №3, №4, №5/6, №7/8, №9/10, №11/12, №13/15, №17/16, №18/19). საქართველოს ქალაქთა კავშირის გადაწყვეტილებით, ჟურნალს ხელმძღვანელობდა რედკოლეგია (პირველ ეტაპზე რედკოლეგიაში იყვნენ: ი. ჟორდანია, ა. კალიუჟნი, გ. იაგჯიანი; მოგვიანებით - ს. რობაქიძე, ა. ბრიტნევა და მ. სმირნოვი. 1919 წ-ის აპრილიდან კი - ა. ბრიტნევა, ა. ჯაჯანაშვილი და ნ. ელიავა).

1918 წ-ის 14 სექტემბერს საქართველოს ქალაქთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე გადაწყდა, რომ რუსულენოვან ჟურნალ „კავკასიის ქალაქს“ ამიერიდან ექნებოდა ორი განყოფილება - ქართულ და რუსულ ენაზე. ჟურნალში იბეჭდებოდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით სტატიები, ბოლოში კი ქართულ და რუსულ ნაწილებს ერთოდა მიმდინარე მოვლენების ქრონიკა.

1919 წ-ის ოქტომბერში ქალაქთა და ერობათა კავშირების ერთობლივი გადაწყვეტილებით, ჟურნალ „კავკასიის ქალაქს“ სახელი უნდა შეცვლოდა და დარქმეოდა „თვითმართველობა“, თუმცა 1919 წლის მიწურულს ჟურნალი გამოვიდა განსხვავებული დასახელებით - „ერობა და ქალაქი.“ 1920 წელს ერობათა კავშირმა უარი განაცხადა ერთობლივ ჟურნალის გამოცემაზე და საქართველოს ქალაქთა კავშირმა 1920 წ-ის ივლისიდან დაიწყო მთავარი კომიტეტის ყოველთვიური ორგანოს „ჩვენი ქალაქის“ ბეჭდვა.

ჯაბა სამუშია

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) გრიგოლის ძე (1874, სოფ. ხოვლე, გორის მაზრ. - 12.VI.1939, თბილისი) - მომღერალი, ლოტბარი. მუსიკალური განათლება არ მიუღია. სწავლობდა და მღეროდა გორის სასულიერო სასწავლებელში. 1894 წ-დან გორის დაწყებით სკოლაში ასწავლიდა სიმღერას. მოსწავლეებისგან ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში ვ. სარაჯიშვილიც შედიოდა. 1896-1911 წწ-ში ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს. 1911 წ-დან მუშათა გუნდები ჩამოაყალიბა ჭიათურასა და ტყიბულში, სადაც 24 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ცნობით, „სადგურ შორაპანში რკინის გზის პროფესიონალურ კავშირთან არსებული კულტურა-განათლების კომისია, მუშათა კლუბის თეატრის აშენებას შეუდგა, ძველ თეატრში კი უკვე წარმოებს სისტემური წარმოდგენები და კონცერტები. ხელმძღვანელობს სახალხო მომღერალი სანდრო კავსაძე“. 1935 თბილისში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი 100-კაციანი შემადგენლობით.

ლიტ.: ქსე, ტ. V, თბ., 1980; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №14.

სალომე ჭანტურიძე

კავსაძე მიხეილ ლონგინოზის ძე (1880, სოფ. ხოვლე, გორის მაზრ. - 10.V.1951, თბილისი) - მომღერალი, სახალხო გუნდის ლოტბარი. 1888-1894 წწ-ში სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში, 1895-1899 წწ-ში კი - თბილისის ქართულ გიმნაზიაში. მუსიკალური განათლება არ მიუღია. 1897 ი. ჭავჭავაძის რჩევით, მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა. 1900-1903 წწ-ში კონცერტებს მართავდა თბილისის მუშათა უბნის თეატრებში. ასრულებდა რევოლუციურ სიმღერებს („მარსელიეზა“, „ჩვენ ვართ მჭედელნი“, „ძმებო, დროშა გაიშალა!“).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში მის შესახებ არაერთი წერილი და ფოტო გამოქვეყნდა. რეგუ-

ლარულად მართავდა კონცერტებს. 1918 წ-ის 31 ივლისს კონცერტი გამართა დემოკრატიულ კლუბ მუშტაიდში. 1918 წ-დან ქართული სიმღერა გალობის კურსები ჩამოაყალიბა.

1923-1926 წწ-ში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გუნდს. 1936 გორის მომღერალთა ეთნოგრაფიულ გუნდს, 1938 - კასპის, 1940 კი - თბილისის მომღერალთა გუნდებს. აგროვებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, აქვეყნებდა წერილებს ქართული ხალხური მუსიკის შესახებ.

ლიტ.: ქსე, ტ. V, თბ., 1980; ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2015; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №10; გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №294, №302.

სალომე ჭანტურიძე

კაკაბაძე დავით ნესტორის ძე (8.VIII.1889, კუხი - 10.VI.1952, თბილისი) - ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი და თეორეტიკოსი, უსათვალო სტერეოკინოს გამომგონებელი, დაწყებითი სამხატვრო განათლება მიიღო ქუთაისში ი. პაევსკისთან და ვ. კროტკოვთან. შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (1910-1918), პარალელურად კი - ლ. დმიტრიევ - კავკაზსკის სამხატვრო სტუდიაში (1910-1915). 1910 მუშაობას იწყებს ფოტოგრაფიაში. 1914 ოთხმა მხატვარმა – კაკაბაძემ, ფილონოვმა, კირილოვმა და ლასონ-სპიროვამ - დააფუძნეს საზოგადოება „ფერმწერთა და მხატვართა ინტიმური სახელოსნო“ და გამოაქვეყნეს მანიფესტი „გაკეთებული სურათები“. ეს მანიფესტი გამოხატავდა დ. კ.-ის შემოქმედების ძირითად პრინციპს - სურათი უნდა იყოს გაკეთებული, დასრულებული, ყველაფერი შემთხვევითისგან განთავისუფლებული და დაცლილი. ამავე პერიოდში ხატავს თავის ცნობილ „ავტოპორტრეტს სარკესთან“ და „კუბისტურ ავტოპორტრეტს“. 1916 უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დ. კ. ბრუნდება საქართველოში და იმავე წელს ხდება ქართველ მხატვართა საზოგადოების წევრი. სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი ბუნებისმეტყველებას და ხატვას ასწავლიდა ვაჟთა I გიმნაზიაში.

1917 დაიწყო მუშაობა იმერეთის პეიზაჟების სერიაზე, 1918 კი უკვე შესრულებული ჰქონდა ცნობილი ნამუშევრები: „იმერეთის ნატურმორტი“, „იმერეთი – დედაჩემი“ და სხვა. 1919 ლ. გუდიაშვილთან და ს. სუდეიკინთან ერთად მოხატა პოპულარული არტისტული კაფე „ქიმერიონი“, მონაწილეობდა არტისტული კაფეების „ფანტასტიკური დუქნისა“ და „ფარშევანგის კუდის“ მოხატვაში. 1919 თავის ძმასთან სარგის კაკაბაძესთან ერთად გამოსცემს არაპერიოდულ ინტერდისციპლინურ ჟურნალს „შვიდი მნათობი“, სადაც აქვეყნებს ტექსტებს ხელოვნებაზე. 1919 დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ უახლესი მხატვრული მიმდინარეობების გასაცნობად დავით კაკაბაძე რამდენიმე ახალგაზრდა მხატვართან ერთად პარიზში გააგზავნა. 1919-1927 წწ-ში დ. კაკაბაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში, სადაც შექმნა ცნობილი ფერწერული და გრაფიკული სერიები: „პარიზი“(1920), „ბრეტანი“ (1921), „იალქნიანი ნავები“ (1921), „აყვავებული ბაღის აბსტრაქტული ფორმები“ (1921), ობიექტები ლინზებით (1924) და სხვა. პარიზში ყოფნის დროს იგი მონაწილეობდა პარიზის „დამოუკიდებელთა სალონის“ ყოველწლიურ გამოფენებში. პარიზშივე გამოაქვეყნა წიგნები: „კონსტრუქციული სურათის შესახებ“ (ფრანგ. ენაზე, 1921), „პარიზი 1920-1923“ (1924), „ხელოვნება და სივრცე“ (ქართ. ენაზე, 1925). თანამშრომლობდა ლეონ როზენბერგის Bulletin de L'Effort Moderne-თან, სადაც ქვეყნდებოდა მისი წერილები თანამედროვე ხელოვნების შესახებ.



კაკაბაძე დავით

1922 ის ქმნის უსათვალო სტერეოაპარატს, რისთვისაც პატენტებს იღებს ამერიკიდან და ევროპის მრავალი ქვეყნიდან. 1926 Société Anonyme-ის დამფუძნებლებმა ქეთრინ დრაიერმა, მარსელ დუშანმა და მან რეიმ, ვასილი კანდინსკისთან, კურტ და ჰელენ შვიტერსებთან, ფერნან ლეჟესთან, ჰაინრიხ კამპენდონკისთან და ანტონ ჟულიო ბრაგალიასთან თანამშრომლობით, ბრუკლინის მუზეუმში მოაწყვეს თანამედროვე ხელოვნების დიდი საერთაშორისო გამოფენა. ამ მიზნით, დ. კ.-ის პარიზის სახელოსნოში Société Anonyme-მა შეიძინა მხატვრის ნამუშევრები, მათ შორის - ქანდაკება „Z“. ამჟამად იგი სხვა ნამუშევრებთან ერთად იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეაში ინახება. 1927 დ. კ. გერმანიაში, იტალიასა და საბერძნეთში მოგზაურობის შემდეგ, უკვე 6 წლის ანექსირებულ და გასაბჭოებულ საქართველოში ბრუნდება. სწორედ ამ დროიდან იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა დასავლური სახელოვნებო სამყაროსგან და, ბუნებრივია, სრულიად დავიწყებულიც. საქართველოში დაბრუნებისთანავე სასტუმრო „ორიენტში“ მოეწყო დ. კაკაბაძის პერსონალური გამოფენა (1928), ამ გამოფენის შემდეგ იგი 1933 წ-მდე არ ქმნის არც ერთ ნამუშევარს და ამ წლებს შემდგომში „დუმილის პერიოდი“ უწოდებს. 1930-იან წწ-ში-ვე მთელი მისი შემოქმედება, განსაკუთრებით კი პარიზული ნამუშევრები, ფორმალიზმად ჩაითვალა. 1933 იგი იძულებით ქმნის გრაფიკულ სერიას „რიონჰესი“, ხოლო 1940-1950-იან წწ-ში სურათებს ინდუსტრიულ თემაზე. ამ პერიოდში ის მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და კ. მარჯანიშვილის თეატრში, მოღვაწეობდა კინოშიც. 1929-1931 წწ-ში დ. კ. ხელმძღვანელობდა დოკუმენტური კინოფილმის („საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები“) გადაღებას. 1940-იან წწ-ში მხატვარმა დაასრულა ჯერ კიდევ პარიზში დაწყებული ნაშრომი ქართული ორნამენტის შესახებ.

1933-1942 წწ-ში დ. კ. სამხატვრო აკადემიის სასწავლო ნაწილის გამგე იყო, ხოლო 1943 წ-დან კი - პროფესორი. 1948 დ. კ. გაათავისუფლეს თანამდებობიდან, რადგან ბრალად დასდეს, რომ მან „ვერ უზრუნველყო სტუდენტების სოციალისტური მეთოდის საფუძველზე აღზრდა“. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ – ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა); საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმი, კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრის მუზეუმი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის მუზეუმი, დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვითი ხელოვნების მუზეუმი) და უცხოეთში (იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეა, აშშ), ასევე, არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციები.

ლიტ.: გ. ალიბეგაშვილი, დავით კაკაბაძის შემოქმედება, „მნათობი“, 1956, №8; კ. ზდანევიჩი, დავით კაკაბაძე, „მნათობი“, 1959, №1; ქ. კინწურაშვილი, დავით კაკაბაძე, თბ., 2013; პ. მარგველაშვილი, დავით კაკაბაძის არქივიდან, თბ., 1988;

მაია ციციშვილი

კაკაბაძე ვანო

კაკაბაძე პოლიკარპე

კაკაბაძე ვანო (27.II.1919 - 27. II. 1919) – სცენისმოყვარე. 1890-იანი წწ-დან გამოვიდა სცენაზე. მას შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე თელავის სცენაზე თამაშობდა. ასრულებდა მთავარ როლებს. ეხმარებოდა თბილისიდან თელავში ჩასულ ქართული დრამატული დასის მსახიობებს. ძირითადად, საქველმოქმედო მიზნით მსახურებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა მისი ფოტოები. 1918 წ-ის 8 ივლისს საიუბილეო წარმოდგენა გაუმართეს. თელავის სცენაზე დაიდგა „და-ძმა“ - მსახიობების ქ-ნ ბეჟანიშვილის, დ. აწყურელის, პ. კორიშვილის, ბ. ახოსპირელის და რუისპირელის მონაწილეობით. გაიოზის როლს ვანო კაკაბაძე ასრულებდა.

ლიტ.: ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1918, №11, 1919, №3

სალომე ჭანტურიძე

კაკაბაძე ილია პავლეს ძე (1869, სოფ. კუხი, ქუთაისის მაზრა -?) - ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, თუმცა უსახსრობის გამო სწავლის მიტოვება მოუხდა. ახალგაზრდობიდანვე თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, მისი სტატიები ქვეყნდებოდა „კვალში“, „ცნობის ფურცელსა“ და „შრომაში“. სწავლის შეწყვეტის შემდეგ მუშაობდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში. თავდაპირველად დაუახლოვდა „მესამე დასის“ ჯგუფებს, 1900 წ-დან კი მიემხრო გიორგი ზდანოვიჩის იდეებს. 1902 ევროპის ეკონომიკის გასაცნობად წავიდა საზღვარგარეთ. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მონაწილეობა მიიღო მრეწველთა საბჭოს დაარსებაში ზდანევიჩთან ერთად. 1904 წ-დან იყო სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი, შემდგომში მიემხრო სოციალისტ-რევოლუციონერებს. 1905 წ-ის რევოლუციის დროს იყო ჭიათურა-ყვირილას პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და პარტიული წითელი რაზმის მეთაური. 1907 დაიჭირეს ჟანდარმებმა, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. 1907-1908 წწ-ში იმყოფებოდა მიმალვაში.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ ეწეოდა პარტიულ მუშაობას. 1918 აირჩიეს ქუთაისის ქალაქის ხმოსნად. 1918 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა სიით გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. იყო ეროვნული საბჭოს საფინანსო კომისიის წევრი. 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა სიით. საკანდიდატო სიაში 24-ე ნომერი იყო.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 119, 121.

ირაკლი ირემაძე

კაკაბაძე პოლიკარპე მალხაზის ძე (23.II.1893, სოფელი დიდი კუხი - 15.X.1972, თბილისი) - ქართველი დრამატურგი. განათლება მიიღო ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში. 1915 მისი ნოველა „ბრძენი მოქანდაკე“ დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.

1918 მისი პირველი მნიშვნელოვანი, რევოლუციური ბრძოლის ამსახველი პიესა „გზაჯვარედინზე“, ალექსანდრე წუწუნავას რეჟისურით, წარმატებით დაიდგა ბაქოს თეატრის სცენაზე. 1919 ჟურნალში „შვიდი მნათობი“ დაიბეჭდა პიესები „სისხლი სინათლემდე“ და „სამი ასული“.

1925 შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა მისი დრამა „ლისაბონის ტუსაღები“. 1928 დაწერა ქართული კომედიოგრაფიის საუკეთესო ნიმუში - „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელიც 1929 კოტე მარჯანიშვილმა, ხოლო 1974 რობერტ სტურუამ დადგა. 1938 მარჯანიშვილის სახ. თეატრში დაიდგა კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება“. მნიშვნელოვანია მისი 40-50-იან წლებში შექმნილი პიესები: „შეხვედრა მშენებლობაზე“, „ბედნიერი სამჭედლო“, „ციცინათელა“, „პაექრობა“. 1964 შექმნა პიესა „ცხოვრების ჯარა“. ისტორიული პიესა „კახაბერის ხმალი“ („დავით მერვე“, 1954) 1957 ქუთაისის თეატრის სცენაზე დაიდგა, 1965 თბილისის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. სიცოცხლის ბოლო ათწლეულში გამოაქვეყნა დრამატული პოემები: „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1966), „მეფე ბაგრატ მეშვიდე“ (1967), ტრაგედია „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1971). 1978 მისი პიესის მიხედვით გადაიღეს ფილმი „ყვარყვარე თუთა-

ბერი“. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; **დ.** ბენაშვილი, „ლიტერატურული ძიებანი“, თბ., 1972; გ. ვარდოსანიძე, „წერილები“, თბ., 1974; დ. იოვაშვილი, „ლიტერატურული წერილები“, თბ., 1974; გ. ციციშვილი, „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, ნაწ. I, თბ., 1962.

ეკა ჯავახიშვილი

კალანდარიშვილი დიმიტრი ილარიონის ძე (?-?) - იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. 1911-1918 წწ-ში იყო ქ.შ.წ.გ. საზოგადოების ნამდვილი წევრი.

1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სენატის სამოქალაქო-საკასაციო დეპარტამენტში.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921). თბ., 2004.

ბექა ქანთარია.

კალანდაძე-აღასოვისა ოლღა (?-?) – კოლორატურული სოპრანო. საოპერო თეატრში 1918 წ-დან მოღვაწეობდა. შეასრულა ქრისტინეს პარტია რ. გოგნიაშვილის „ქრისტინეში“. დამოუკიდებელ საქართველოში, 1919 წ-ის 5 თებერვალს იყო ნინოს როლის პირველი შემსრულებელი დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“; ასევე აგრეთვე, ქეთოს პირველი შემსრულებელი ვ. დოლიძის ოპერაში „ქეთო და კოტე“.

გასაბჭოების შემდეგ, 1922 წ-ის 6 მაისს მონაწილეობდა ვ. დოლიძის „ლეილას“ პრემიერაში. მას ლექსი მიუძღვნა ცნობილმა პოეტმა ვ. გაფრინდაშვილმა.

ლიტ.: დ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, თბ., 1968; რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

კალაძე ერმალოზ თეოდორეს ძე (1888, სოფ. ოჭოფა - 12.12.1958, სოფ.ოჭოფა) - სოციალ-დემოკრატი. განათლება ჯერ ოჯახში, შემდეგ კი სოფლის სასწავლებელში მიიღო. 1905 წ-დან ის უკვე რსდმპ-ის მენშევიკების ფრაქციის წევრი ხდება. 1919 აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. 1917-1921 წწ-ში იყო სახალხო გვარდიის შორაპნის შტაბის წევრი და ამავდროულად მუშაობდა გზათა კომისიაში. 1921 წ-ის საბჭოთა ოკუპაციას ვერ შეეგუა, დარჩა საქართველოში და განაგრძო ბრძოლა თავისუფლებისათვის. ის ჯერ 1921 და 1923 წწ-ში დააპატიმრეს. სიცოცხლის ბოლო წლებში ის ცხოვრობდა ქუთაისის მაზრაში, სოფელ ოჭოფაში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე



კალგინი ანატოლი

კალგინი ანატოლი ნიკოლოზის ძე (20.IV.1875, ვლადიკავკაზი - 20.III.1943) - ინჟინერი, არქიტექტორი. 1900 დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო-საინჟინრო ინსტიტუტი. არქიტექტორის თანაშემწედ მუშაობდა პიატიგორსკში. 1901-1905 წწ-ში ცხოვრობდა ბაქოში. 1905-1907 წწ-ში ასწავლიდა სტროგანოვის სასწავლებელში - მოსკოვში. 1907 წ-დან თბილისში გადმოვიდა. მონაწილეობდა სხვადასხვა კვლევით ექსპედიციებში. 1907 ექვთიმე თაყაიშვილთან და მოყვარულ ფოტოგრაფ ედუარდ ლიოზენთან ერთად, იმოგზაურა კოლა-ოლთისისა და არტაანის ძეგლების შესასწავლად.

1917 ე. თაყაიშვილთან, ლადო გუდიაშვილთან, მიხეილ ჭიაურელთან და კირილე ზდანევიჩთან ერთად ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა. 1913-1916 წწ-ში მხატვარ ჰენრიხ ჰრინევსკისთან ერთად სათავადაზნაურო ბანკის შენობის პროექტი შექმნა და განახორციელა. 1920 წ-ის 13 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი „ძველი ხუროთ-მოძღვრების ძეგლების შეკეთება დაცვისთვის - 2 000 000 მან. გადადებისა“. მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ ამ სამუშაოების შესასწავლად და შესასრულებლად შექმნა კომისია, რომელშიც გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი და ა. კალგინი შევიდნენ. მკვლევრები ჯერ მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის ეკლესიების შესასწავლად გაემგზავრნენ, შემდეგ, კახეთის რეგიონის რამდენიმე ძეგლი შეისწავლეს და შეაკეთეს, ასევე, მუზეუმში გადაიტანეს წრომის ეკლესიის მოზაიკის ფრაგმენტები. 1920 წ-დან ეროვნული მუზეუმის შენობის ფასადის გასაფორმებლად ნ. სევეროვი და ა. კალგინი მიიწვიეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ამ სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდა.

კალანდაძე-აღასოვისა ოლღა

1922-1930 წწ-ში იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1927 ააგო ზემო ავჭალის ჰესი კ. ლეონტიევთან და მ. მაჭავარიანთან ერთად. 1930 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე ასწავლიდა. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მცხეთაში, სამთავროს ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917, ტ. II, 1963; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990; ქსე, ტ. V, თბ., 1980; გ. ჩ ხ ა ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №188.

სალომე ჭანტურიძე



კალაძე ერმალოზ

კალისტრატე კათოლიკოს-პატრიარქი (ერისკაცობაში კალისტრატე (ბიჭიკო) მიხეილის ძე

კათოლიკოს-პატრიარქი
კალისტრატე
(ცინცაძე)

კანდელაკი
კონსტანტინე

ცინცაძე) (12.IV.1866 სოფ. გადიდი, ქუთაისის გუბ. - 3.II.1952, თბილისი) - სასულიერო პირის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები იყვნენ: მამა - მღვდელი მიხეილი და დედა - ეკატერინე გოგორიშვილი. 1875 ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. 1882 თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, რომლის დასრულების შემდეგ 1889 სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძო. 1892 ის ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა საქართველოში. 1893 აკურთხეს დიდუბის ეკლესიის დიაკვნად, შემდეგ მღვდლად. ამ დროიდან საქართველოს პოლიტიკურ თუ საეკლესიო ცხოვრების სფეროში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი, რომელშიც კალისტრატე ცინცაძეს მონაწილეობა არ მიეღოს. 1903 გადაიყვანეს ქაშვეთში. 1909 წ-დან დეკანოზია.

1917 წ-ის თებერვალში რუსეთის იმპერიაში მომხდარი დიდი ცვლილების შემდეგ, 1917 წ-ის 12 (25) მარტს ქართველმა სამღვდელოებამ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. დეკანოზი კალისტრატე ჯერ საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში აირჩიეს, ხოლო 17 სექტემბერს – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის უმაღლეს ორგანოში – საკათალიკოსო საბჭოში. იგი მონაწილეობდა ყველა იმ მოლაპარაკებაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პრობლემებს ეხებოდა. თავის წერილებში და ქადაგებებში აკრიტიკებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რელიგიურ პოლიტიკასაც.

1923 წ-ის იანვარში დეკანოზი კალისტრატე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს. მან მეტეხის ციხეში 3 წელი გაატარა. 1925 წ-დან კალისტრატე მიტროპოლიტია, 1925 წ-ის 31 ოქტომებრს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარიქის ამბროსის ლოცვა-კურთხევით, დეკანოზი კალისტრატე აიყვანეს ნინოწმინდელი ეპისკოპოსის ხარისხში. 1925 წ-ის 11 ნოემბრიდან ნინოწმინდის მიტროპოლიტი კალისტრატე დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ, მიენიჭა ბარტყულაზე ჯვრის ტარების უფლება და მღვდელმთავართა შორის ღვთისმსახურების დროს უპირატესობა. 1926 წ-ის 30 დეკემბერს მიტროპოლიტმა კალისტრატემ უარი განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობაზე. 1927 წ-ის 12 იანვრიდან გაათავისუფლეს ნინოწმინდელობიდანაც და დატოვეს ქაშუეთის ეკლესიაში რიგით მღვდლად. კალისტრატე ცინცაძე ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიის აშენების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. 1927 გახდა მანგლელი ეპისკოპოსი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1932 წ-ის 10 იანვარს, საგანგებოდ შეიკრიბა საკათალიკოსო სინოდი. სინოდმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მიტროპოლიტ კალისტრატეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამორჩევის შესახებ. 1932 წ-ის 21 ივნისს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-6 კრებაზე, იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. 24 ივნისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შედგა მისი აღსაყდრება. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძარში. 2016 წ-ის 22 დეკემბერს გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა კალისტრატე ცინცაძე წმინდანად შერაცხა.

ლიტ.: ნ. ტ ა ბ ი ძ ე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, თბ., 2008; ნ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, თბ., 2009; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ. წ.), თბ., 2009; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ნ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი (რედ.), კალისტრატე ცინცაძე 150 (საიუბილეო კრებული). თბ., 2016.

მიხეილ ქართველიშვილი

კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე (1883, სამტრედია - 11.X.1959, ლოზანა) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა აზნაურის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია და მოსკოვის კომერციული ინსტიტუტი. სტუდენტობის პერიოდში გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკური მიმართულება) წევრი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩაება კოოპერატიულ მოძრაობაში და გახდა მისი მეთაური. 1909 თბილისში გამოცემულ მის პირველ წიგნს „კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა“. ქართულ პრესაში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გიორგი ჟურულის მოადგილე (1918-1919), ხოლო შემდეგ - მინისტრი (1919-1921). დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ნიშნის (ბონის) მიმოქცევაში შემოღების მიზნით ჩატარებულ მოსამზადებელ სამუშაოში, რაც 1919 ივლისში წარმატებით განხორციელდა. მისი ფაქსიმილე (მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერასთან ერთად) დაფიქსირებული იყო ქართული ქაღალდის ფულის ნიშნის ყველა ნომინალზე. მისი გონივრული საქმიანობის შედეგად მოხერხდა ქართული მანეთის შედარებით სტაბილური კურსის შენარჩუნება, განსხვავებით მეზობელი ქვეყნების ვალუტებისაგან, რომლებიც გაცილებით სწრაფად უფასურდებოდა. შედიოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების შემადგენლობაში, რომლებიც, საქართველოს

ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საგარეო ვალის აღებას ცდილობდნენ. ამ მხრივ ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა მისი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, სადაც სესხის გაცემაზე დათანხმდნენ.

საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთავრობის წევრთა ნაწილთან ერთად ემიგრაციაში გაიხიზნა. ცხოვრობდა საფრანგეთში. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პუბლიცისტურ საქმიანობას. მისი სტატიები იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ემიგრანტულ პრესაში, მათ შორის, ჟურნალებში: „ბრძოლა“, „ჩვენი დროშა“, გაზეთებში: „ბრძოლის ხმა“, „დამოუკიდებელი საქართველო“ და სხვ. „საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ასოციაციის“ წრეში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ეკონომიკის საკითხებზე. მიიჩნევდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ეკონომიკის ცოდნა არასათანადო სიმაღლეზე იდგა. გერმანული არმიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში (1940-1944), გავლენიან ქართველ ემიგრანტებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ებრაელების გადარჩენაში, რომლებსაც ნაცისტური რეჟიმის პირობებში უეჭველი დაღუპვა ემუქრებოდათ. კერძოდ, საქართველოს დევნილი მთავრობის სახელით, იგი ქართველ ებრაელებს აძლევდა დოკუმენტებს, სადაც მათი ეროვნების გრაფაში მითითებული იყო „ქართველი“. ყოველივე ეს მისი მხრიდან თავგანწირვის ტოლფასი გახლდათ. მის სამეცნიერო ნაშრომებს შორის გამორჩეული ღირებულების მქონეა ორტომეული „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, რომელიც პარიზში ქართულ ენაზე გამოიცა, ასევე, „საქართველოს საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (აქტები, დოკუმენტები, დამამტკიცებელი საბუთები)“, რომელიც პარიზში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა. გარდაიცვალა ლოზანაში (შვეიცარია), სადაც ის სამკურნალოდ იმყოფებოდა. გადაასვენეს საფრანგეთში და დაკრძალეს ლევილში, ქართველ ემიგრანტთა სასაფლაოზე. დაკრძალვისას სიტყვა წარმოთქვა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც განსვენებულის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა.

თხზ.: კ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, რას ამბობენ ფაქტები (საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებიდან), პარიზი, 1927; ეკონომიური კრიზისი, პარიზი, 1932; საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი I, ტერიტორია და მოსახლეობა, პარიზი, 1935; საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, დამოუკიდებელი საქართველო. მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი, 1960; The Georgian Question before the free World (Acts-Documents-EVIdence), Paris, 1953;

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტომი II, თბ., 1993; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

კარაევი ალი ჰაიდარ ქერიმის ძე (20.VI.1896 (1894?), შემახი - 24.IV.1938) - აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა აზერბაიჯანის პოლიტიკური მოღვაწე. სოციალ-დემოკრატიული „ჰუმეტის“ ფრაქციის ლიდერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო შემახის რეალურ სასწავლებელსა და ბაქოს რუსულ სკოლაში. სწავლობდა ნოვოჩერკასსკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თუმცა სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო გარიცხული იქნა ინსტიტუტიდან. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო შემახის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე.

კარაევი ალი

1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში აზერბაიჯანელთათვის გამოყოფილი კვოტით გახდა პარლამენტის წევრი. 1918 წ-ის 5 ნოემბრის სხდომაზე მოითხოვა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება, რადგანაც არ იცოდა ქართული ენა და ვერ იღებდა მონაწილეობას კანონშემოქმედებითობაში, მისივე განცხადებით, არ უნდოდა მოეტყუებინა ის ადამიანები, ვინც პარლამენტის წევრად დაასახელა. 1919-1920 წწ-ში იყო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წევრი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციას „ჰუმეტის“ ლიდერი. აზერბაიჯანის პარლამენტში ყოფნისას გამოირჩეოდა სომხეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებების და დათმობის პოლიტიკის ლობირებით, რის გამოც მმართველი „მუსავატის“ პარტია და მისი ლიდერები მოღალატედ მოიხსენიებდნენ.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებისას ბოლშევიკთა მხარე დაიკავა და მალევე დაწინაურდა. იყო აზერბაიჯანის რევკომის წევრი, აზერბაიჯანულენოვანი „კომუნისტის“ რედაქტორი, შემდგომში გახდა შრომის სახალხო კომისარი, მოგვიანებით კი - სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი. იყო ბაქოს ქალაქის აღმასკომის მდივანი. დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ბერიას რეკომენდაციითა და სტალინის ბრძანებით, როგორც შპიონაჟში ბრალდებული, დაატიმრეს და დაახვრიტეს ბაქოში.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; გაზ. „ერთობა“, 1918, №240; N. A f a n d I y e V a - M a X w e l l, Last Parllament Session Before the BolsheVIks Came-1920. Azerbaijan International (7. 3), 1999.

ირაკლი ირემაძე

კარგარეთელი ია

კარგარეთელი ია (ილია) გიორგის ძე (1867, ერთაწმინდა - 31.III.1939, თბილისი) - მომღერალი, კომპოზიტორი, რეჟისორი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ საოპერო სცენაზე ქართული ენის დამნერგავი, სარომანსო ჟანრის ერთ-ერთი წამომწყები. დაიბადა მღვდლის ოჯახში. რვა წლის

ასაკში გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1884-85 წწ-ში სიონის ტაძრის გუნდში გალობდა. შემდეგ ლადო აღნიაშვილის გუნდში მღეროდა. 1889 მუსიკალური განათლების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა და მოსკოვის მუსიკალურ დრამატულ სასწავლებელში ვოკალურ და თეორიულ განყოფილებებზე სწავლა დაიწყო. აქტიურად იყო ჩაბმული მოსკოვის მუსიკალურ ცხოვრებაში. 1895 საქართველოში დაბრუნდა და მრავალმხრივ მოღვაწეობას შეუდგა. დაწერა თავისი პირველი რომანსები - „მშვენიერთა ხელმწიფევ“ და „შევიშრობ ცრემლსა“. 1896 შედგა მისი დებიუტი თბილისის ოპერის თეატრში. იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მუსიკოსი, რომელმაც მთელი საქართველო მოიარა და ქართული ხალხური სიმღერის მნიშვნელოვანი ნიმუშები ჩაიწერა. 1899 გამოდის კრებული, სადაც მის მიერ ჩაწერილი 50 სიმღერა შევიდა. 1905 წ-მდე არტისტულ მოღვაწეობას ეწეოდა, ასევე, დაინიშნა საოპერო თეატრის დასის მეორე დირექტორად და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაში. ქართულ ენაზე თარგმნა ოპერები: „დემონი“, „ტრავიატა“, „ჯამბაზები“, „სოფლის პატიოსნება“, „ოტელო“, „პიკის ქალი“, „ფაუსტი“, „ბალ-მასკარადი“, „რიგოლეტო“, და „ბოჰემა“. 1909 წ-ის 13 დეკემბერს რუსეთის „ოხრანკის“ თანამშრომლებმა დააპატიმრეს, წაიყვანეს საგუბერნიო ციხის მახლობლად და ესროლეს. სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი, იძულებული გახდა, საოპერაციოდ ოდესაში წასულიყო. იქიდან დაბრუნების შემდეგ გაზეთ „ტალღაში“ ხელისუფლების საწინააღმდეგო სტატიის გამოქვეყნების გამო მეტეხის ციხეში სასჯელი მოიხადა. 1909 მისი მეორე კრებული დაიბეჭდა, რომელშიც 16 სიმღერა და ხალხური პოეზიის ნიმუშები შევიდა. 1910 წ-დან თბილისის სასულიერო სემინარიაში და ზოგადი განათლების სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. თბილისის კონსერვატორიაში დაარსების დღიდან ასწავლიდა მუსიკის ისტორიასა და ელემენტარულ თეორიას.

კარმელი
(გოგიაშვილი) შალვა

თბილისის უნივერსისტეტის დაფუძნების შემდეგ, 1918 მისი თაოსნობით, მუსიკოსთა ერთი ჯგუფი, უნივერსიტეტში ქართული მუსიკის ისტორიის შესასწავლად, კათედრის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოიწონა იდეა და მუსიკოსთა აღნიშნული ჯგუფის ხელმძღვანელის კანდიდატურის დასახელება შესთავაზა. ამ ამბავმა განათლების სამინისტრომდე მიაღწია, რომელმაც უნივერსიტეტს კ. ფოცხვერაშვილის კანდიდატურა შესთავაზა. უმაღლესი სასწავლებელი და სამინისტრო კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ, შედეგად, ეს მნიშვნელოვანი წამოწყება ვეღარ განხორციელდა. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში (1918.05.VII.) გაზ. „საქართველომ“ გამოაქვეყნა მისი სტატია „წერილის მაგიერ“. აღნიშნული სტატია ქართული მუსიკის პრობლემებს ეხებოდა. 1919 ასევე გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა მისი რეცენზია ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ შესახებ. წერილით კმაყოფილი იყო კომპოზიტორიც და ქართული საზოგადოებაც. 1920-1921 წწ-ში სკოლებისათვის განკუთვნილი მისი სახელმძღვანელო - „სიმღერა მუსიკისა“ გამოიცა.

1923 საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს. 1933 მისი ავტორობით „მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია“ დაიბეჭდა, 1938 კი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიიღო. სიცოცხლის ბოლო ორი ათეული წელი კონსერვატორიაში პედაგოგობასა და კვლევით სამუშაოებს მოანდომა. ქართული მრავალხმიანობის საკითხებს სწავლობდა და X-XII საუკუნეების ქართული საეკლესიო სანოტო დამწერლობის (ნევმების) გაშიფვრას ცდილობდა. გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ.

თხზ.: ი. კარგარეთელი, „მემუარები“. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. თბ., 2008; ; ი. კარგარეთელი, „წერილის მაგიერ“, გაზ. „საქართველო“, 1918, №130;

ლიტ.: ლ. გავაშელი, „ია კარგარეთელი“, მონოგრაფია, ხელოვნება, თბ., 1959; ლ. დონაძე, ო. ჩიჯავაძე, გ. ჩხიკვაძე, „ქართული მუსიკის ისტორია“, წ. I, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1990; ი. კარგარეთელი, „წერილის მაგიერ“, გაზ. „საქართველო“, 1918,N 130;

ზურაბ ლეჟავა

კარმელი (გოგიაშვილი) შალვა (1899, ქუთაისი - 19.I.1923, თბილისი) - პოეტი. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. ფსევდონიმად „კარმელი“ აირჩია - პალესტინაში ბიბლიური მთაგრეხილის აღსანიშნავად. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იეზუიტმა ბერებმა ამ მთაზე დააარსეს მონასტერი და „კარმელისტების“ ორდენი.

1918-1919 წწ-ში ცხოვრობდა თბილისში. 1919 თბილისში, ჟურნალ „თოლაბაურის სარტყელში“ დაიბეჭდა მისი ლექსი. 1920 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1921 აირჩიეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად. იმავე წელს გაწევრიანდა „ცისფერყანწელთა“ ორდენში. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „საქართველო“, „სამშობლო“, „მეოცნებე ნიამორები“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“. 1921 გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ბაბილონი“. იტაცებდა მითოლოგიური სიუჟეტები და ახალ რითმებს ეძებდა. გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა ორი ახალი კრებული: „აპოკალიფსის ცხენები“ და „თეთრი გიორგი“, რომლებიც მისი გარდაცვალების გამო გამოუცემელი დარჩა და რაჟდენ გვეტაძესთან ინახებოდა, შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

1922 ტუბერკულოზით დაავადდა და მკურნალობის კურსი ჩაიტარა აბასთუმანში. 1922 აბასთუმნიდან ჩავიდა ქუთაისში და შემდეგ

თბილისში. 1923 გარდაიცვალა. 1959 მისი ლექსების წიგნი საბჭოთა პერიოდში პირველად უნდა გამოსულიყო, მაგრამ ტირაჟი გაანადგურეს, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი. 1970 უმცროსი ძმის, კუკურ გოგიაშვილის ძალისხმევით, მაინც გამოვიდა ლექსების მცირე კრებული „ლექსები“, კოლაუ ნადირაძის შესავალი წერილით. 1982 ხელმეორედ გამოვიდა ლექსების წიგნი „ბაბილონი“.

ლიტ.: შ. აფხაიძე, შალვა კარმელი, ლიტერატურული გაზეთი, 18 სექტემბერი 1959; გ. ბენაშვილი, „ცისფერყანწელის“ ამაყი და კეთილშობილი სილუეტი, შ. კარმელის წიგნის „ბაბილონი“ შესავალი, თბ., 2000; ი. იმედაშვილი, ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი/ხელნაწერი. ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002; ჟურ. „თოლაბაურის სარტყელი“, 1919, №1.

გაგა ლომიძე

კაუკაზიშე პოსტ – Kaukasische Post (1906 – 1914; 1918 – 1922, თბილისი) - ყოველკვირეული გერმანული გაზეთი 1906 წელს მდიდარმა გერმანელმა მეწარმემ, კურტ ფონ კუჩენბახმა დააარსა თბილისში. თავდაპირველად მისი რედაქტორი და გამომცემელი ფორმალურად იყო კუჩენბახი, ფაქტობრივად კი - ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი არტურ ლაისტი. შემდეგ რედაქტორობა მთლიანად მას გადაეცა და სამი წელი რედაქტორობდა – 1909 წლის 21 ივნისამდე. არტურ ლაისტის შემდეგ გაზეთის რედაქტორები და რედაქციის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. გაზეთის გამოცემა შეწყდა პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წლის 3 აგვისტოს. 1918–1922 წწ-ში „კაუკაზიშე პოსტი“ კვლავ აღდგა, ოღონდ შეცვლილი პროგრამით და განსხვავებული მოცულობით. გამოცემა ორგვერდიანი გახდა და გამოდიოდა კვირაში ორჯერ. განახლებული გაზეთის №1-16 რედაქტორი იყო ლ. როთეკერი, ხოლო №71-91 – სარედაქციო კოლეგია. გაზეთის მხოლოდ ნაკლულმა კომპლექტებმა მოაღწია ჩვენამდე.

თავდაპირველად „კაუკაზიშე პოსტი“იყო ჟურნალის ფორმატის მრავალგვერდიანი გაზეთი. იბეჭდებოდა გოთური შრიფტით. იშვიათი იყო ილუსტრაციები და ფოტოები. ის პირველი გერმანულენოვანი ორგანოა, რომელიც საქართველოში გამოვიდა. მისი მიზანი იყო კავკასიაში მცხოვრები გერმანელების ყოფა-ცხოვრების ასახვა, მათთვის რჩევების მიცემა, გერმანული კულტურის გაცნობა, ვინაიდან კავკასიაში გერმანელების განათლების დონე იმ პერიოდში ძალიან დაბალი იყო, აგრეთვე, მათთვის მშობლიურ ენაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება. თუმცა, გაზეთი კავკასიაში მცხოვრები მცირე ერების ცხოვრებასა და კულტურასაც ეხმიანება, განსაკუთრებული ყურადღება კი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ეთმობა.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთს მეტად მრავალი საკითხი ჰქონდა გასაშუქებელი, მაინც დიდი წვლილი გაიღო ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული ყოფის გერმანელი მკითხველისთვის გაცნობის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი მთელ ამიერ და იმიერკავკასიაში ცხოვრებას ასახავდა, მაინც გარკვეულწილად, ქართული სულით სუნთქავდა.

გაზეთი გამოცემის დროისათვის მეტისმეტად გაბედული იყო. მის პირველსავე ნომერში დაიწყო ბეჭდვა ვრცელი გამოკვლევისა „გერმანული კოლონიები ამიერკავკასიაში“ (Die deutschen Kolonien in Transkaukasien”), რომელიც A. F. ინიციალით არის ხელმოწერილი. სავარაუდოდ, მისი ავტორი რედაქციის წევრი ალექსანრე ფუფაევია. წერილში განხილულია გერმანელი მოახალშენეების ამოცანებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. აღნიშნულია ეროვნული ინტერესების ერთიანობის იდეა და მათი უპირატესობა სოციალურ და პოლიტიკურ ინტერესებთან შედარებით. საინტერესოა წერილში მოცემული ცნობები, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იყო საქართველო XIX ს-ის დასაწყისში, როცა აქ გერმანელები ჩამოსახლდნენ და როგორი პროცესი განიცადა მან გავლილი 90 წლის მანძილზე. 1912 წ-ის მე-2 ნომრიდან გაზეთი აქვეყნებს კიდევ ერთ ვრცელ ნაშრომს ამავე თემაზე - სათაურით „გერმანელების გამომგზავრება ამიერკავკასიისკენ“ („Einwanderung der Deutschen nach Transkaukasien”), რომელიც იმავე ავტორს უნდა ეკუთვნოდეს – ხელმოწერილია: A. F. – Tiflis). გაზეთში მრავალი წერილი და მხატვრული ნაწარმოები იბეჭდება (თვით არტურ ლაისტის), მათ შორის, ქართულ თემატიკაზე. ესენია მწერლის ორი მოთხრობა: „კატასტროფა“ (1906, №1-3) და „ვარო“ (1908, №41-52). 1907 წ-ის მე-13 ნომერში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით არტურ ლაისტის გამოსათხოვარი წერილი მეგობართან, რომელსაც ახლავს ილიას ფოტო და აქვე იბეჭდება მისი სამი ნაწარმოების ლაისტისეული თარგმანი. ესენია: „კაკო ყაჩაღის“ შესავალი, სათაურით „ბინდი ალაზნის ველზე“, მდინარე არაგვისადმი მიძღვნილი მეხუთე თავი პოემიდან „აჩრდილი“, სათაურით „არაგვს“ და ლექსი „გაზაფხული“. ნეკროლოგში არტურ ლაისტი გერმანელ მკითხველს აცნობს ილია ჭავჭავაძის პიროვნებას, მის დამსახურებასა და როლს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლებაში. „ილია ჭავჭავაძე თვით უმცირესი ზომის ნაწარმოებებშიც უდიდეს იდეებს დებს“ – წერს ავტორი. გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ 1908 წ-ის 25-ე ნოემრში არტურ ლაისტი აკაკი წერეთლის საიუბილეო წერილში საუბრობს პოეტის შემოქმედებაზე. იგი აქვეყნებს აკაკის სამი ლექსის გერმანულ თარგმანს: „ჩემი სურვილი“, „სალამური“ და „ხალხური“ („მინდვრად ეგდო თეთრი ქვა...“). მესამე ქართველი მწერალი, რომლის მხატვრული შემოქმედება უთარგმნია არტურ ლაისტს და აქვეყნებს გაზეთში, ეს არის ანდრია დეკანოზიშვილი. მისი ფსიქოლოგიური ნოველა „პეპელა“ დაიბეჭდა „კაუკაზიშე

პოსტის“ 1906 წ-ის მე-11 ნომერში. ქართული ლიტერატურის გარდა, გაზეთში იბეჭდება კავკასიის სხვა ხალხების კულტურის ამსახველი წერილებიც. მაგალითად, 1906 წ-ის მე-4 ნომერში დაბეჭდილია სომეხი პოეტის ალექსანდრე ცატურიანის ორი ლექსი და მცირე ბიოგრაფიული ცნობები. 1909 წ-ის 43-ე ნომერში დაიბეჭდა არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი საიათნოვას ორი ლექსი, უსათაუროდ, დანომრილია რომაული ციფრებით. 1906 გაზეთის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ოსური გაზეთი“, რომელიც არის ვლადიკავკაზში გამოსულ პირველ ოსურ გაზეთზე გამოხმაურება.1908 წ-ის №37 არტურ ლაისტი გამოეხმაურა თბილისში გამომავალ აზერბაიჯანულ სატირულ–იუმორისტულ ჟურნალს „მოლა ნასრედინს“. „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა საქართველოს ისტორიის ამსახველი სტატიებიც, რაც მნიშვნელოვანი იყო გერმანულენოვანი მკითხველისათვის ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის გასაცნობად. „კაუკაზიშე პოსტის“ თითქმის ყველა ნომერს აქვს იუმორის კუთხე, სადაც უცხოური ანეკდოტები იბეჭდება, თუმცა არის ადგილობრივიც. მაგ.: 1910 წ-ის 14 მარტის 1 ნოემრში დაბეჭდილი სამი ანეკდოტიდან ერთი თბილისური სიუჟეტია, სათაურით „გახარებული ქათმები“. 1914 წ-ის 3 აგვისტოს (№31) გაზეთის რედაქცია მკითხველს ატყობინებს, რომ საომარი მდგომარეობით გამოწვეული საწარმოო შეფერხებების გამო „კაუკაზუშე პოსტის“ გამოცემა დროებით შეწყვეტილია. ამ დროს რედაქტორი იყო ვალტერ ფონ ზასი, ხოლო გამომცემელი - იოანეს შლოინინგი.

ლიტ.: ლ. ბ რ ე გ ა ძ ე, “მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე”, თბ., 2010; ლ. ბ რ ე გ ა ძ ე, “კავკასიელი გერმანელები და მათი გაზეთი”, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2007, №8; ვ. კ ა ვ თ ი ა შ ვ ი ლ ი, „„ქართული ლიტერატურული თემატიკა ჟურნალ „KaukasIsche Post”-ის ფურცლებზე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, №430; მ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, `გაზეთი „KaukasIsche Post” გერმანელთა ემიგრაციის მიზეზებისა და კავკასიაში გერმანელ მოსახლეთა მდგომარეობის შესახებ”, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, 1984, №1.

მანანა შამილიშვილი

კაუცკი კარლ

კაუცკი კარლ იოჰან (16.X.1854, პრაღა - 17.X.1938, ამსტერდამი) - მარქსიზმის თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი. დაიბადა საშუალო კლასის წარმომადგენელ ავსტროჩეხურ ოჯახში. უმაღლესი განათლება ვენის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც ისტორიას, ფილოსოფიასა და ეკონომიკას სწავლობდა. 1875 შეუერთდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. 1880-იან წწ-ში დაუახლოვდა გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს. 1883 შტუტგარტში დააფუძნა სოციალისტური გამოცემა „Die Neue Zeit”. შემდგომ წლებში დაუახლოვდა ფრიდრიხ ენგელსსა და გარკვეული პერიოდი ლონდონში ეწოდა თეორიულ მუშაობას. 1891 აუგუსტ ბებელთან და ედუარდ ბერნშტაინთან ერთად შეიმუშავა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი საპროგრამო დასაყრდენი, რომელიც „ერფრუტის პროგრამის“ სახელითაა ცნობილი. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ კაუცკი მიიჩნეოდა ყველაზე ცნობილ მარქსისტ თეორიტიკოსად. 1890-იან წწ-ში არ გაიზიარა ე. ბერნშტეინისეული მარქსიზმის რევიზიონისტული შეხედულებები და დაიცვა კლასობრიობის პრინციპი. XX ს-ის 90-იან წწ-ში კარლ კაუცკისთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერ ნ. ჟორდანიას. კაუცკი თავის თეორიულ ნაშრომებში მკაცრად იცავდა მცირე ერთა თვითგამორკვევის პრინციპებსა და მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას უჭერდა მხარს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას კაუცკი ეთანხმებოდა რაიხსტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიერ ომის კრედიტის მხარდაჭერას, იმპერიული რუსეთის დამარცხებისა და თავდაცვის მიზნით, თუმცა რამდენიმე თვეში, როდესაც ომის მიზნები თვალნათელი გახდა, ის აქტიურ ანტისაომარ პროპაგანდას ეწეოდა. მსოფლიო ომის შემდეგ მხარს უჭერდა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიული პარტიების რევოლუციურ მთავრობას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაუცკი მხარს უჭერდა იმპერიების ნგრევის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებსა და მათ განვითარებას. აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესს, ეხმარებოდა ქართულ დელეგაციას გერმანიაში. 1920 წ-ის სექტემბერ-დეკემბერში კარლ კაუცკი, როგორც მეორე სოციალისტური-ინტერნაციონალის ლიდერი, საქართველოში იმყოფებოდა. ის დელეგაციის სხვა წევრებთან შედარებით, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, გვიან ეწვია საქართველოს. საქართველოში ვიზიტის დროს მონაწილეობა მიიღო არაერთ მიტინგსა და გამოსვლაში. მრავალჯერ მიმართა საქართველოს მოქალაქეებს. დაესწრო სახალხო უნივერსიტეტის გახსნას, გვარდიის ყრილობას, ეკონომიკურ თათბირებს, შეხვდა რკინიგზელებს და დაესწრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომას, სადაც წარმოთქვა სიტყვები - „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მე უფრო დაახლოებულად ვგრძნობ თავს, ვიდრე რომელიმე სოციალისტურ პარტიასთან ევროპაში“. ვიზიტის ბოლოს კი საქართველოს თავდაცვის ფონდს მეუღლესთან ლუიზ კაუცკისთან ერთად შესწირა ძვირფასეულობა. საქართველოში ვიზიტისას, ადგილზე დაკვირვებების საფუძველზე, არაერთი ნაშრომი შექმნა სოციალ-დემოკრატიული პოლი-

ტიკური მოდელის განხორციელების შესახებ. ნაშრომებში, ქართულ მოდელზე დაყრდნობით, უპირისპირდება საბჭოთა მოდელს და აკრიტიკებს ლენინის ხედვებს.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მხარს უჭერდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას, პრესისა და წიგნების გვერდებზე აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმში. 1929 დავით შარაშიძის წიგნს „ჰ. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო“ გაუკეთა შესავალი სახელწოდებით - „საქართველო და მისი ჯალათები“. პოლიტიკურ დახმარებას უწევდა დევნილობაში მყოფ საქართველოს მთავრობას. XX ს-ის 20-30-იან წლებში ეწეოდა თეორიულ საქმიანობას, აკრიტიკებდა საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას, დასავლურ კაპიტალიზმსა და გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას. ჰიტლერის რეჟიმის კრიტიკის და ებრაული ფესვების გამო, გერმანიის დატოვება მოუხდა და თავი ნიდერლანდებს შეაფარა. მისი შვილი ბენედიქტი 7 წლის განმავლობაში ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდა. კარლ კაუცკის მეუღლე ლუიზი აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა, თავად კი ამსტერდამში გარდაიცვალა.

თხზ.: კ. კ ა უ ც კ ი, „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“, საქ. სოც. დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის გამოცემა, 1920; K. K a u t s k y, Georgia: A Social-DemocratIc Peasant Republic, Impressions and Observations. translated by H. J. Stenning and revised by the Author, London: International Bookshops, 1921.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ), თბ., 1997; გ. შ ა რ ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბ., 2003; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209, 1920, №233 №247; გაზ. „ერთობა“, 1921, №5„ №6; გაზ. „საქართველო“, 1920, №213; გაზ. „სახალხო საქმე“, 1921, №236.

ირაკლი ირემაძე

კაციაშვილი ნიკოლოზ აღდგომელის ძე (1975, სოფ. ქვემო გომი, გორის მაზ. - 19.II.1919, იქვე) - სოციალ-დემოკრატი. რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა შეძლებული გლეხის ოჯახში, საშუალო განათლება თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღო. 1899 გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა 1905 რევოლუციაში, დაპატიმრებულ იქნა მეფის ხელისუფლების მიერ. 1907 მონაწილეობა მიიღო რსდმპ-ის ლონდონის ყრილობაში, 1907 თბილისის გუბერნიიდან არჩეულ იქნა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად. სათათბიროს დაშლის შემდეგ დააპატიმრეს, სასჯელს იხდიდა პეტერბურგის ციხეში. შემდგომში დაბრუნდა მშობლიურ სოფელში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას გორის მაზრის პარტიულ ორგანიზაციაში. 1919 დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. მოიპოვა კრების წევრის მანდატი, თუმცა კრების გახსნამდე მოულოდნელად გარდაიცვალა. ნეკროლოგი დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში“. სსდმპ-ის ცეკა ნიკოლოზ კაციაშვილს გამოსათხოვარ ნეკროლოგში მოიხსენიებს, როგორც ენერგიულ, დაუღალავ და ერთგულ ამხანაგს. დამფუძნებელ კრებაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის წერილის თანახმად, გარდაცვლილი ნიკოლოზ კაციაშვილის ნაცვლად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით კრებაში შევიდა ანა სოლოღაშვილი. გარდაიცვალა მშობლიურ სოფელში, დაკრძალეს იქვე.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; გაზ. „ერთობა“ , 1919, №43.

ირაკლი ირემაძე

კახიანი ნიკოლოზ საულის ძე (1884, სოფ. როკითი - 1928, ქ. თბილისი) - ქირურგი და მორფოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1917), პროფესორი (1917). მან 1910 დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1910 - 1914 წწ-ში მუშაობდა ამავე ფაკულტეტის ანატომიის კათედრაზე, საიდანაც ოთხჯერ მიავლინეს ქაიროში ბალზამირების ეგვიპტური წესის შესასწავლად.

1917 აირჩიეს ეკატერინოსლავის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ანატომიის კათედრის გამგედ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1919 აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გამგედ.

1921 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის (*1930* წლიდან კი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის) ქირურგიული პროპედევტიკის კათედრას. ნ. კახიანმა საქართველოში დანერგა გასტროენტეროანასტომოზიის, კუჭის რეზექციის, ტუბერკულოზით დაზიანებული თირკმლის, სისხლძარღვების გადაკვანძვის, თავის ქალას ტრეპანაციის, გულის ჭრილობის გაკერვისა და სხვა ოპერაციები. ნ. კახიანმა, გ. მუხაძესა და ა. მაჭავარიანთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მეცნიერული ქირურგიის განვითარებას. მის შრომებს - ქირურგიული ანატომიის მოკლე სახელმძღვანელოს (*1925*), ქირურგიული ტუბერკულოზის იოდ-იოდოფორმის ემულსიით მკურნალობას (*1926*) და სხვ., დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.



კაციაშვილი ნიკოლოზ

ლიტ.: ვ. კ ა ხ ი ა ნ ი, გამოჩენილი ქართველი ქირურგი ნიკოლოზ კახიანი, თბ., 1951.

მანანა ლილუაშვილი

კედია მელქისედეკ (მექი) მიხეილის ძე (1878 – 25.XI.1945, პარიზი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის უფროსი. ადრეული პერიოდიდან მუშაობდა ჟანდარმერიაში უბნის ინსპექტორად.

კედია სპირიდონ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში არსებული კონტრრევოლუციური ელემენტების, სპეკულაციისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ საბრძოლველად, შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ინიციატივით შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმი. 1918 წ-ის 26 ივლისს ეროვნულმა საბჭომ საბოლოოდ დაამტკიცა კანონი განსაკუთრებული რაზმის შექმნისა და მისი უფლებამოსილების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის 1918 წ-ის 17 აგვისტოს №225 ბრძანებით, განსაკუთრებული რაზმის უფროსად მელქისედეკ კედია დაინიშნა, ხოლო მის ამხანაგად - პლატონ ფაჩულია. რაზმი თავდაპირველად 6 თვის ვადით შეიქმნა, შემდგომში ვადა 1920 წ-ის იანვრამდე გაგრძელდა, საბოლოოდ კი 1921 წ-ის მარტამდე მოქმედებდა. კედიას დაქვემდებარებაში არსებული რაზმი 131 შტატიანი და 16 შტატგარეშე თანამშრომლისგან შედგებოდა. მ. კედიასა და მისი რაზმის საქმიანობის ძირითად მიმართულებას ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლა, მოსალოდნელი ამბოხისა თუ ტერორისტული აქტის გამოვლენა და აღკვეთა, სპეკულაციების აღკვეთა, ბოლშევიკთა და სპეკულიანტთა შეპყრობა წარმოადგენდა. 1918 წ-ის ბოლოს განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა სომხეთთან ომის მიმდინარეობის პირობებში თბილისში არსებულ ფარულ სომხურ ორგანიზაციებთან მიმართებაში. 1918-1921 წწ-ში ათეულობით ფაქტი გამოაშკარავეს და დააკავეს სპეკულაციაში მხილებული დამნაშავეები. მ. კედიას მიერ წარმოებული ეფექტური მუშაობის შედეგად ასობით ბოლშევიკი იქნა დაპატიმრებული საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციისა და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების ბრალდებით. მ. კედია და რაზმი ებრძოდა ჯაშუშებს, 1919 შეიპყრო სამხედრო სამინისტროს თანამშრომელი პავლე ნიკიტინი სამხედრო სამინისტროდან საქართველოს ტოპოგრაფიული მასალების ჩრდილოეთ კავკასიაში გატანის მცდელობის დროს. ხშირი იყო შემთხვევები კედიას მხრიდან ყალბი ფულისა და სავაჭრო საქონელის გამოვლენისა. 1920 წ-ის დეკემბერში შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა ოფიციალური ბრძანებით მადლობა გამოუცხადა მექი კედიას მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მექი კედია მთავრობის წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ემიგრაციაშიც ინარჩუნებდა კავშირს მთავრობასთან და მთავრობის დავალებით აწარმოებდა დაზვერვით საქმიანობას. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: ო. თ უ შ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ო ხ უ ა, XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, თბ., 2013; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №125, №129. 1920, №282; გაზ. „საქართველო“, 1919, №21.

ირაკლი ირემაძე

კედია სპირიდონ მალხაზის ძე (20.IX.1884, ზუგდიდი - 17.V.1948, პარიზი), პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე. ზუგდიდის ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელის დასრულების შემდეგ სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გააგრძელა. თავდაპირველად ფედერალისტურ პარტიას დაუკავშირდა, თუმცა მალევე ჩამოშორდა მას. სტუდენტურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის გიმნაზიიდან გარიცხეს, ხოლო გლეხთა რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირისათვის, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. 1906 საფრანგეთში გახიზვნა მოახერხა. 1907 ჩაირიცხა სორბონის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, თუმცა, დაამთავრა მონპელიეს უნივერსიტეტი და შეუდგა მუშაობას ფიზიოლოგიაში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. სტუდენტობისას ფულად შემწეობას ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან იღებდა. პირველი მსოფლიო ომის წინ სხვისი პასპორტით სამშობლოში გამოემგზავრა, მაგრამ რუსეთში გამოჩენისთანავე დააპატიმრეს და კრონშტადტის ციხეში ჩასვეს, საიდანაც პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრთა ძალისხმევით განთავისუფლდა. 1914 თბილისში ჩამოვიდა. ქართველი მრეწველებისა და მეცენატების თანადგომით, დააარსა „საქართველო“. სპ. კედიას მოწინავეებსა თუ სხვა პუბლიკაციებს სათქმელის სიცხადე და პირდაპირობა, მიმზიდველი და დახვეწილი სტილი გამოარჩევდა. მიაჩნდა, რომ სამშობლო უზენაესი ღირებულებაა, რომ „ყოველი ნაბიჯი, ყოველი დასაწყები საქმე ეროვნული თვალსაზრისით უნდა განიზომებოდეს: იგი უნდა იყოს გზისა და ხერხის მაჩვენებელი კანდელი“.

სპ. კედიამ 1917 წ-ის მარტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო მთავარი კომიტეტი ჩამოაყალიბა. 1917 წ-ის 4-20 ივნისს თბილისში მოწვეულ ყრილობაზე გამოცხადდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა, რომლის თავმჯომარედ ერთხმად იქნა არჩეული სპ. კედია. შედიოდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“, საქართველოს ფილიალში. 1917 ეროვნულ ყრილობაზე, დაუსწრებლად აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წ-ის მაისში მონაწილეობდა ამიერკავკასია-ოსმალეთის ბათუმის საზავო კონფერენციაში, საიდანაც, როგორც ქართველი ერის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, გაიგზავნა გერმანიაში ამ ქვეყნის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

შედიოდა ჯერ დამფუძნებელი კრების საარჩევნო, შემდეგ, საკონსტიტუციო კომისიაში. 1919 წ-ის თებერვალში არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების დეპუტატად. იყო საკონსტიტუციო, ასევე, თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის მუდმივი კომისიების წევრი. პარლამენტში მემარჯვენე ოპოზიცია ჩამოაყალიბა და აკრიტიკებდა ხელისუფლების საქმიანობის ხარვეზებს, მიუთითებდა მის შეცდომებზე, განსაკუთრებით, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში, საგარეო ორიენტაციის, ეკონომიკური პოლიტიკისა თუ სხვა საკითხებში და სთავაზობდა ალტერნატიულ მოსაზრებებს. აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა კონსტიტუციის თავი „სახელმწიფო თავდაცვა".

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას სპ. კედია სამშობლოში დარჩა, იატაკქვეშეთში გადაინაცვლა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ეროვნული ძალების ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. 1922 წ-ის თებერვალში ჩეკამ დააპატიმრა და ჯერ მეტეხის, შემდეგ კი ორთაჭალის ციხეში ჩასვა. ერთი წლის შემდეგ საქართველოდან გააძევეს. 1923 წ-ის ივნისიდან იმყოფებოდა საფრანგეთში, იყო პარიტეტული კოლეგიისა და ემიგრაციაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვარგარეთის დელეგაციის წევრი. 1924 წ-დან მისი და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გზები გაიყარა. მიზეზად აგვისტოს აჯანყება იქცა, რომლის იდეასაც სპ. კედია არ იზიარებდა. ემიგრაციაში ქართველთა მთლიანობის აღდგენის მიზნით სპ. კედიამ 1925 დაარსა ჟურნალი „სამშობლოსათვის", ხოლო 1932-1936 წწ-ში გამოსცემდა გაზეთს „საქართველოს გუშაგი". ხელმძღვანელობდა გ. მაჩაბლის ამერიკული პარფიუმერული კომპანიის – „პრინცი მაჩაბელი" - ფილიალს პარიზში. II მსოფლიო ომის დროს იყო გერმანიის მიერ შექმნილი ქართული ეროვნული კომიტეტის წევრი. ჰყავდა მეუღლე - სოფიო ჩიჯავაძე და ქალიშვილი თეო. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წგნ. I, თბ., 1991; ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია: პოლიტ. პორტრეტი, თბ., 2002; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული. პარ. 2002.

ოთარ ჯანელიძე

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (1879, სოფ. ტობანიერი - 1962, ქ. თბილისი) – ქართველი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. საქართველოს აკადემიის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943). იგი სხვადასხვა დროს სწავლობდა ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში. 1904 დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია, 1905-1906 წწ-ში მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისსა და თბილისში; აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო მუზეუმის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. 1916 წ-დან ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას.

იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 1918 წლიდან გარდაცვალებამდე - ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, 1919 წ-ის 4 იანვარს უნივერისტეტის პროფესორთა საბჭომ კორნელი კეკელიძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩია. მან ამ თანამდებობაზე რექტორად არჩეული ივანე ჯავახიშვილი შეცვალა. კორნელი კეკელიძე სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად პოლიტიკურადაც აქტიური პერსონა იყო. 1919 წ-ის თებერვალში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიაში სიაში მე-20 ნომერი იყო.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ იყო თსუ-ის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პრორექტორი (1926-1930), თსუ-ის სიძველეთა მუზეუმის ხელმძღვანელი (1921-1930), ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე (1933-1936), რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი (1942-1949), სხვადასხვა დროს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. კ. კეკელიძის ღრმა განსწავლულობამ ძველი ქართული მწერლობის როგორც ზოგად, ისე ვიწრო სპეციალობის საკითხებში განაპირობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა. მოგვიანებით მის საფუძველზე შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი"- რუსულ ენაზე. რომში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მ. თამარაშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული კ. კეკელიძის ორტომეულის I ტომი (1955). მან ასევე დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. მისმა ადრეული ეტაპის სამეცნიერო ნაშრომებმა („იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა"-1912 „ძველი ქართული არქიერატიკონი" -1912 წ.) გამოიწვია ბევრი უცხოელი მკვლევრის დაინტერესება უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლებით. კ. კეკელიძემ მეცნიერულად აღწერა გელათში (1905) და სვანეთში (1911) დაცული ქართული ხელნაწერები, რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომში (1948-1954). განუზომელია მისი ღვაწლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 წწ-ში გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული.

კეკელიძე კორნელი

1930 - ციციშვილის „შვიდი მთიები“, 1935 - იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და სხვა. პარალელურად იკვლევდა ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-სპარსული ლიტერატურის ურთიერთობებს.

ლიტ.: ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, „ჩვენი დიდი მეცნიერი“, თბ., 1979; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, „ დიდი მეცნიერი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე'', 1965.

მანანა ლილუაშვილი

კერესელიძე ლეო

კერესელიძე ლეო მათეს ძე (1885 - 23.XI.1943) - გენერალი. 1904 ჩააბარა ჟენევის უნივერსიტეტში. ევროპაში ყოფნისას გაწევრიანდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში. იქვე დაუკავშირდა გიორგი დეკანოზიშვილს და 1905 მონაწილეობა მიიღო საქართველოში არალეგალურად იარაღის შემოტანის ოპერაციაში, პირადად იმყოფებოდა გემ „სირიუსზე“, რომელსაც ეს იარაღი შემოჰქონდა. მონაწილეობა მიიღო დუშეთში ხაზინის გატაცებაში (ს. გედევანიშვილთან ერთად). რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1906 წელს, წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა შვეიცარიაში, სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ გახდა ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. თანამშრომლობდა ევროპაში გამომავალ ქართულ გაზეთებთან. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას იყო გერმანიაში მოქმედი „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი. აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ლეგიონის“ ჩამოყალიბებაში და ლეგიონის შექმნის შემდეგ გახდა მისი მეთაური. 1916 წ-მდე ლეგიონი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციაებში.

1918 დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ლ. კერესელიძე დაბრუნდა საქართველოში. ლეგიონთან ერთად მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში და ეხმარებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიელებს. 1919 წ-დან იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მოქმედი ჩრდილოეთ-კავკასიისა და დაღესტნის ჯარების მთავარსარდალი. გენერალი (1920).

1921 წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა გერმანიაში. იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრაციაში გამომვალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. დაიღუპა ბერლინის საავიაციო დაბომბვის დროს.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I. თბ. 2001; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. I. 2007.

მიხეილ ბახტაძე

კერზონი ჯორჯ

კერზონი ჯორჯ ნათანიელ (11.I.1859, კედელსტონი - 20.III.1925, ლონდონი), ინგლისელი ლორდი, კონსერვატორი პოლიტიკოსი და დიპლომატი. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ინდოეთის მეფისნაცვალი. კედლსტონის გრაფი. დაიბადა ინგლისელი არისტოკრატის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ვიქსენფორდის სკოლაში. დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბალიოლის კოლეჯი. 1886 გახდა პარლამენტის წევრი. 1888-1889 წწ-ში იმოგზაურა რუსეთის იმპერიაში, მათ შორის საქართველოში, შემდგომ კი - სპარსეთში, ინდოჩინეთში, ბირმაში, კორეაში, ავღანეთსა და პამირში. მოგზაურობის შემდეგ გამოსცა წიგნი ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის შესახებ, რითაც გეოგრაფიის სამეფო საზოგადოების ჯილდო დაიმსახურა. 1891 წ-დან იკავებდა მაღალ თანამდებობებს ინდოეთის და საგარეო საქმეთა სამინისტროებში. 1899-1905 წწ-ში იყო ინდოეთის მეფისნაცვალი. იყო რუსეთის იმპერიის სამხრეთით სვლის შეჩერების პოლიტიკის ერთ-ერთი შემოქმედი. 1916 გახდა ლორდთა პალატის ლიდერი. იყო ანტისუფრაჟისტული ლიგის მეთაური, ეწინააღმდეგებოდა ქალებისათვის საარჩევნო ხმის მიცემის უფლებას.

1919 წ-ის იანვარში საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გახდა, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში - მინისტრი. ლორდი კერზონი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტში და, ზოგადად, მთელ დასავლეთში, აღმოსავლეთის ყველაზე კომპეტენტური პოლიტიკოსი იყო. პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, კერზონი კეთილგანწყობილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ, მოითხოვდა ბრიტანელების მიერ ბაქო-ბათუმის რკინიგზისა და კავკასიის ბუნებრივი ზღუდეების დროებით დაცვას, სპარსეთისა და ინდოეთის გზებზე რუსეთის შესაძლო გასვლის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. კერზონი ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში თეთრი თუ წითელი რუსეთის შესაძლო დაბრუნების საფრთხეს, ამ პოლიტიკის გატარებისას ბრიტანეთის მთავრობაში უპირისპირდებოდა სამხედრო მინისტრს, ბრიტანეთის მთავრობაში პროდენიკინური ფლანგის მთავარ ფიგურას უისტონ ჩერჩილს და გენერალური შტაბის უფროს ადმირალ ჰენრი უილსონს. საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი პოლიტიკის რეალიზებისათვის ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად კავკასიის კარგი მცოდნე და ქართველთა მეგობარი ოლივერ უორდროპი დანიშნა. 1919 წ-ის ბოლოს კერზონი ლონდონში შეხვდა ირაკლი წერეთელს, რომელთანაც საუბრისას არ დაუმალავს თავისი სიმპათიები საქართველოსადმი. 1920 წ-ის იანვარში ლორდმა კერზონმა თბილისში მყოფ ოლივერ უორდროპს გამოუგზავნა დეპეშა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის დე ფაქტო აღიარების შესახებ, ამ აღიარების მთავარი ინიციატორი სწორედ თავად იყო. კერზონის კავკასიური პოლიტიკა გულისხმობდა ბრიტანული ჯარების მიერ

კავკასიის ოკუპაციას გარკვეული პერიოდით, სანამ კავკასიის რესპუბლიკები შეძლებდნენ გაძლიერებას და ჩრდილოეთის საფრთხეებთან გამკლავებას, რაც თავისთავად დაიცავდა ბრიტანეთის ინტერესებს სპარსეთში, ინდოეთსა და ავღანეთში. საბოლოოდ კერზონის პოლიტიკა კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, ბრიტანეთის მთავრობაში პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯის ინერტულობისა და ჩერჩილი-უილსონის სამხედრო ფრთის დომინირების გამო დამარცხდა. ბოლშევიკების მიერ ბაქოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს დე იურედ აღიარებისა და ერთა ლიგაში გაწევრიანების იდეაც უარყო და სკეპტიკურად განეწყო კავკასიის საკითხისადმი. კერზონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1919 ომის შედეგად საზღვრის გავლება ითვლება. ის მონაწილეობდა მოლაპარაკებებში პალესტინისა და ტრანსიორდანიის მანდატის რეალიზებისა და მესოპოტამიის ოკუპაციის პროცესთან დაკავშირებით.

1921 მიენიჭა კედლსტონის გრაფის ტიტული. 1924 წ-მდე ინარჩუნებდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს. 1924-1925 წწ-ში იყო ლორდთა პალატის ლიდერი. 1925 ავადმყოფობისა და წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა.

ლიტ.: ბ. კობახიძე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ. 2015; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920. №9.

ირაკლი ირემაძე

კერძო სასწავლებლები 1918–1921 წლების საქართველოში – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბევრი კერძო სასწავლებელი არსებობდა. მთავრობა არ ზღუდავდა მათ გახსნას, თუმცა სპეციალურად ამოწმებდა განათლების საერთო კანონის შესრულებას და მოსწავლეთა და პედაგოგთა უფლებების დაცვას სკოლის დირექციის მიერ. დარღვევების შემთხვევაში სკოლას ხურავდა. კერძო სკოლები არსებობდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით ბევრი იყო თბილისში. ეს სასწავლებლები იყო: ფონ-ბრენერის რეალური სასწავლებელი, ტერ-სტეფანოვის 4-კლასიანი შერეული გიმნაზია, ო. პ. არაპაევის რეალური სასწავლებელი, პუშკინის გიმნაზია, ნიკოლოზ თევზაძის კერძო შერეული გიმნაზია. 1918 გაიხსნა ტროფიმენკოს მოზრდილთა კერძო გიმნაზია, აგრეთვე, პანჩენკოსა და ტიხომიროვის კერძო გიმნაზია, ს. მამულოვის, ბეროზაშვილის, პალმოვის გიმნაზიები; ქუთაისში - ვ. ნ. სოკოლოვისა და მარიამ კვინიხიძე-სოკოლოვის გიმნაზია. კერძო სასწავლებლების სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები მოწმდებოდა განათლების სამინისტროს სარევიზიო კომისიების მიერ და სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სტანდარტთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში იხურებოდა. მაგ.: ივანე პალმოვის რუსული კერძო გიმნაზია თბილისში (დირექტორი ციგანკოვი) 1920 განათლების სამინისტრომ შეამოწმა, სასწავლო პროცესი მიიჩნია თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამოდ და დახურა.

ლიტ.: სცსსა, ფ. 1935, აღწერა 1, საქმე 89, 314, 319, 236, 282, 178, 973.

დოდო ჭუმბურიძე

კვარაცხელია იოსებ ანტონის ძე (1883, სოფ. წალენჯიხა, ზუგდიდის მაზრ. - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში, დაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო. 1904 შეუერთდა რსდმპ-ის მენშევიკურ ფრაქციას. 1905 რევოლუციისას სოხუმში ეწოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. რევოლუციის დამარცხების შემდეგ დააპატიმრეს, თუმცა ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს. 1917 მშობლიურ წალენჯიხაში ეწეოდა პარტიულ საქმიანობას და ხელმძღვანელობდა წითელ რაზმებს.

1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში, 1921 ანტისაბჭოთა აგიტაციის გამო დაპატიმრებული იქნა. 1924 წ-ის აჯანყების მიმდინარეობისას მეთაურობდა ზუგდიდი-წალენჯიხის რაზმებს. სხვა ბიოგრაფიული ცნობები არ იძებნება.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52

ირაკლი ირემაძე

კვინიტაძე გიორგი ივანეს ძე (21.VIII.1874 - 7.VIII.1970) (ნამდვილი გვარი ჩიქოვანი) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1894). გაგზავნილ იქნა ვლადიკავკაზის 152-ე ქვეით პოლკში. პორუჩიკი (1897). შტაბსკაპიტანი (1901). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-9 პოლკში. კაპიტანი (1905). 1910 1-ლი თანრიგით დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. გაგზავნილ იქნა მე-16 გრენადერთა პოლკში. 1911 კავკასიის სამხედრო ოლქის დავალებათა ობეროფიცერია. ამავე დროს მუშაობდა სამხედრო სასწავლებელში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. პოდპოლკოვნიკი (1915). კავკასიის მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. პოლკოვნიკი

კვინიტაძე გიორგი

(1916). 1917 წ-დან კავკასიის მე-15 მსროლელთა პოლკის მეთაური. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენებით. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1918). 1918 სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაინიშნა რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლად და მინისტრის თანაშემწედ. ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხში ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან არსებული უთანხმოების გამო მალევე გადადგა. დეკემბერში სომხეთთან ომის დროს სადახლო-შულავერის ფრონტის სარდლის, გენერალ მაზნიაშვილის საველე შტაბის უფროსი. 1919 წ-ს მეთაურობდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში სეპარატისტთა წინააღმდეგ მებრძოლ სამხედრო შენაერთებს და შეძლო მათი დამარცხება. შემდეგ იბრძოდა ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობის შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ. მათთან ბრძოლისას, 1919 წ-ის აპრილში, გაათავისუფლა ძველი ქართული მხარე არტაანი. 1920 წ-ის 29 აპრილს დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად. მაისის დასაწყისში დაამარცხა საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში შემოჭრილი რუსეთის წითელი არმიის ნაწილები. სურდა შეტევის გაგრძელება და სამხედრო მოქმედებების გადატანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა სრულად დაემარცხებინა სამხრეთ კავკასიაში იმ დროს მყოფი წითელი არმიის ნაწილები. თუმცა ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ამის ნება არ მისცა. 8 სექტემბერს დატოვა მთავრსარდლის თანამდებობა. იყო ქართული სამხედრო სკოლის დამაარსებელი და პირველი უფროსი. 1921 წ-ის 16 თებერვალს უკვე მესამედ დაინიშნა ქართული არმიის მთავარსარდლად. ენერგიულად დაიწყო მოქმედება და მთელი ყურადღება თბილისის დაცვას მიაქცია. 18 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით ქართული შეიარაღებული ძალები, მისი სარდლობით, წარმატებით იცავდნენ დედაქალაქს. თუმცა 24 თებერვალს, ფრონტზე შექმნილი ვითარების ანალიზის შედეგად, მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება თბილისის დროებით დატოვების შესახებ. მისი გეგმით, უკან უნდა დაეხიათ მცხეთამდე. აქ უნდა განხორციელებულიყო ჯარების გადაჯგუფება, მომზადება და შემდეგ ძლიერი კონტრშეტევით მტრის განდევნა-დამარცხება. სამწუხაროდ, გეგმა ვერ განხორციელდა და ქართული შენაერთები უკან დახევას განაგრძობდნენ. გ. კვინიტაძემ ვერც ოსიაურთან ბრძოლაში შეძლო მოწინააღმდეგის შეკავება.



კიკვაძე თეოდორე

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა საფრანგეთში. მუშაობდა გრამფირფიტების ქარხანა “Pathe”-ში. ერთი ხანობა, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, თავს ირჩენდა მაწვნის წარმოებით და გაყიდვით. იყო ემიგრაციაში შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაციების წევრი. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრაციაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან. გარდაიცვალა 1970 პარიზის მახლობლად, დაბა შატუში.

თხზ.: გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I-II, თბ., 2014;

ლიტ.: გ. საითიძე, გენერალი გიორგი კვინიტაძე თბ., 1998; მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа т. I, 2007.

მიხეილ ბახტაძე

კიკვაძე თეოდორე გაბრიელის ძე (1868, სოფ. მაკვანეთი - 1935) - სოციალ-დემოკრატი. 1890 დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია. თავდაპირველად, 1890-1891 წწ-ში მასწავლებლობას ეწეოდა მშობლიურ სოფელში; მუშაობდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში, შემდგომში იყო ფოთში ღოღობერიძის ფირმის საექსპორტო კანტორის გამგე. აღსანიშნავია მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა: 1897 ჟურნალ „კრებულში" მუშაობდა, აქტიურად წერდა სოციალ-დემოკრატიულ გაზ. „კვალში". ქართულს ასწავლიდა პეტრაშევსკის სასწავლებელში და ქალთა გიმნაზიაში.

პირველი რესპუბლიკის პერიოდში მუშაობდა თბილისის სასურსათო საგუბერნიო კომიტეტში. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, აგრეთვე, განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირსა და განათლების სამინისტროსთან არსებული სასკოლო კომიტეტის და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი (1912 წ-დან).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მას ქვეყანა არ დაუტოვებია და სამშობლოში გააგრძელა მოღვაწეობა. 1921 მუშაობდა სახალხო განათლების კომისარიატში, შემდგომ - სამხედრო კოოპერატივში, ინფორმატორად, სასურსათო კომიტეტში. ამავდროულად, განაგრძობდა პედაგოგიურ საქმიანობას: კითხულობდა ქართულ ენაში ლექციებს სამხატვრო აკადემიაში და რუსულ ენას ასწავლიდა პედაგოგიურ ინსტიტუტში; წერდა მოთხრობებს, გამოაქვეყნა რამდენიმე თარგმანი.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; სსცა, ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 107-109. ნოდარ ჩხაიძე

კინემატოგრაფია 1918-1921 **წწ-ში** – 1908 წ-დან იწყება ქართული კინოს წელთაღრიცხვა, როდესაც ვასილ ამაშუკელმა დოკუმენტური სიუჟეტები გადაიღო: „ხალხის სეირნობა ზღვის სანაპიროზე", „მუშაობა ნავთის ჭაბურღილებთან", „შეჯიბრება ცურვაში", „გუნიბის პოლკის აღლუმი კაპიტან სიმონ ერაძის მონაწილეობით", „ბაქოს ბაზრის ტიპები", „ქვანახშირის

ზიდვა აქლემებით“, „გემის გადმოტვირთვა“, „ნავთის გადასხმა ტუმბოებით“. ორი წლის შემდეგ, 1910 წ-დან ალექსანდრე დიღმელოვის დოკუმენტური სიუჟეტები გამოჩნდა: „თბილისის ბოტანიკური ბაღი“, „ბორჯომის მინერალური წყლები“, „მცხეთობა“, „ლადო მესხიშვილის იუბილე“, „სამების დღესასწაული ნ. ერისთავის მამულში“. 1912 ვ. ამაშუკელმა პირველი შავ-თეთრი, ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი (5 ნაწილად) „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ გადაიღო. ფილმი მსოფლიო კინოხელოვნებაშიც პირველ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმად ითვლება. 1913 ს. ესაძისა და ლ. ჩერნის რეჟისორობით, ისტორიული ქრონიკები - „კავკასიის დაპყრობა“, „ღუნიბის აღება“ გამოვიდა. 1916-1917 წწ-ში გერმანე გოგიტიძის თაოსნობით მიმდინარეობდა პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ გადაღება.

1918 ფილმ „ქრისტინეს“ პრემიერა გაიმართა. სცენარის ავტორი და რეჟისორი იყო ა. წუწუნავა. სიუჟეტი ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დაიწერა. ოპერატორი ჯერ ა. შგერმანი იყო, მოგვიანებით კი - ა. დიღმელოვი. მონაწილეობდნენ: ა. აბელიშვილი (ქრისტინე), გ. ფრონისპირელი (იასონი), ვ. არაბიძე (დათია), ს. ყიფშიძე (მარიკა), მ. მგალობლიშვილი (სონა), ბ. როსტომაშვილი (ნატა), ც. წუწუნავა (მარინე). ეპიზოდურ როლებს ასრულებდნენ: ვ. აბაშძე, ი. ზურაბიშვილი, ნ. გვარაძე, თ. გაჩეჩილაძე, ს. ჟივაძე, პ. ფრანგიშვილი, ს. თარალაშვილი, ვ. მატარიძე, გ. იორდანიშვილი. 1919 წ-ის 27 სექტემბერს კოოპერატივთა კავშირის გამგეობისა და გერმანე გოგიტიძეს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომელიც საქართველოს პროვინციებში ფილმების ჩვენებას ითვალისწინებდა, შემოსული თანხა კი თანაბრად განაწილდებოდა. ქართული კინო ამ ხელშეკრულების დადებით საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გოგიტიძემ დოკუმენტური ფილმებიც გადაიღო: „სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედაქალაქში, 12 დეკემბერი 1918 წლისა“, „დღესასწაული დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს“, ასევე, მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური სიუჟეტებიც გადაიღო: „აზერბაიჯანის ფრონტი“, „ბათუმის გადმოცემა საქართველოსთვის“, „ბათუმის სიმაგრეები“, „1919 წლის 26 მაისი“, „გორის მიწისძვრა“, „მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა დელეგაცია“, „სახალხო გვარდიის სასოფლო მუშაობა“, „აჭარა“, „სახალხო გვარდიელთა ჯირითი“, „1920 წლის 26 მაისი“, „ბათუმის პროტესტი“, „გორის წისქვილი“. 1918 წ-დან კინოგადაღება გახდა პოპულარული. კინოთეატრ „აპოლოს“ მეპატრონე ჰენრიხ გეგელესა და ამიერკავკასიის კინოთეატრების ქსელის მფლობელ პავლე პირონეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ფილმის შემოტანასა და ტიტრებით გაფორმებას უზრუნველყოფდა. თუმცა მალევე პირონე გერმანე გოგიტიძესთან კონკურენციაში შევიდა და ფილმების წარმოებას შეუდგა. ბაქოდან თბილისში მსახიობი ვლადიმირ ბარსკი ჩამოიყვანა, რომელსაც რეჟისორობა დაავალა. ოპერატორად ალექსანდრე დიღმელოვი მიიწვია და ათკაციანი კინოჯგუფი შექმნა. მათ გადაიღეს: „თავმოკვეთილი გვამი“, „მითხარ რისთვის“, „ცეცხლთაყვანისმცემლები“ და სხვ. ფილმების უხარისხობის მიუხედავად, ჯგუფს კომერციული მოგება მაინც გააჩნდა. პირონემ თბილისში იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი, ააშენა კინოატელიე. 1920 წ-დან თავისი სტუდია მთავრობას მიჰყიდა და საქართველოდან გაემგზავრა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გადაღებული ფილმების დიდი ნაწილი ცენზურას შეეწირა. კინო კი საბჭოთა პროპაგანდისტულ იარაღად იქცა.

ლიტ.: ნ. ამირეჯიბი, დროთა ეკრანი, თბ., 1990; ნ. ამირეჯიბი, სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; გ. გოგიტიძე, ქართული კინოს წარსულიდან, 2013; ი. მახარაძე, დიადი მუნჯი ქართული კინოს ისტორია, თბ., 2014.

სალომე ქანტურიძე

კინოთეატრები 1918–1921 წწ-ის საქართველოში - კინოს დაბადებიდან, როცა ჯერ კიდევ კინოთეატრები არ არსებობდა, ფილმებს საცირკო შაპიტოებში, სახლებსა და სასტუმროებში უჩვენებდნენ. კინოთეატრების არქიტექტურა მოგვიანებით გამოიკვეთა. თბილისი რამდენიმე თვით ჩამორჩა პარიზსა და პეტერბურგში გამართულ კინოჩვენებებს. 1895 წ-ის მაისში თბილისში კინოჩვენება გაიმართა. 1904 თბილისში, რესტორან „დათვში“ (გოლოვინის გამზირზე) პირველი სტაციონარული კინოთეატრი „ილუზიონი“ გაიხსნა. 1905 სოფია ივანეცკაიამ მუშტაიდის ბაღში საზაფხულო კინოთეატრი გახსნა. 1907 წ-დან თბილისში კინოთეატრები აშენდა: „მუზა“, „აპოლო“, „კო-

კინოთეატრი აპოლო

ლიზეი“, „ლირა“, „მინიონი“, „სინემა-დისკი“. მათ ხშირ შემთხვევაში პროჟექტორებს ან ელექტროთეატრებს უწოდებდნენ. პირველი ელექტროთეატრი „აპოლო“ იყო. მსოფლიოში მოდერნის სტილის კინოთეატრის არქიტექტურა რამდენიმეა, მათ შორის ერთ-ერთია „აპოლო“ (ევროპაში მოდერნისა და კინოს გავრცელება ერთმანეთს დაემთხვა). თბილისში კინოთეატრების უმრავლესობა მიხაილოვის გამზირზე იყო განლაგებული. მხოლოდ „არფასტო“ მდებარეობდა გოლოვინის გამზირზე (ახლანდელი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობა). თბილისში გაიხსნა უცხოური კინოკომპანიების ფილიალებიც: „პატე“, „გომონი“, „ამბროზიო“, „ჩინეზი“. თბილისის ქუჩებში 15 სარეკლამო ბოძი იდგა და მათზე სარეკლამო აფიშები იყო გაკრული. 1911-1915 წწ-ში ვინმე გაბელიამ ფოთში 500- ადგილიანი კინოთეატრი ააშენა. 1915 მიხაილის პროსპექტზე შვიდი კინოთეატრი ფუნქციონირებდა: „სატურნი“, „მოდერნი“, „ლირა“, „ოდეონი“, „მულენ-ელექტრიკი“, „მულენ-ელექტრიკის“ საზაფხულო დარბაზი და „აპოლო“, ხოლო მუშტაიდის ბაღში - „ილუზიონი“. კინოთეატრებში „სკიფი'' და „ურანი'' ფრანგულ ფილმებს უჩვენებდნენ. სასტუმრო „მაჟესტიკის'' (თბილისის მარიოტი) სარდაფში იყო კინოთეატრი „მინიონი“.

კირიონ კათალიკოსი

1918-1921 წწ-ში საქართველოში ოცზე მეტი კინოთეატრი არსებობდა: „აპოლო“, „პალასი“, „ოდეონი“, „კოლიზეი“, „მუზა“, „მულენ-ელექტრიკი“, „კინოტიტანიკი“, „ილუზიონი“, „ამირანი“ და სხვ. თბილისის კინოთეატრებში საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ამერიკულ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ფილმებს უჩვენებდნენ. ფილმებში მონაწილეობდნენ: ვივიენ მარტენი, მოჟუხინი, ლისენკი, მარია კარმი და სხვ. მოსკოვში გადაღებულ ფილმებში ძირითადად ქართველი მსახიობები: ლადო ალექსი-მესხიშვილი, ბარბარე ალექსი-მესხიშვილი, თამარ გედევანიშვილი, ნიკოლოზ წერეთელი და სხვ. მონაწილეობდნენ. 1918 წ-ის 26 ოქტომბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ცნობა კინოთეატრებში მხოლოდ ბილეთებით შეშვებასთან დაკავშირებით. 1918 პირველმა კავკასიურმა კინემატოგრაფიულმა „კინოსაიუზმა“ კინომექანიკოსის სამთვიანი კურსებიც კი გამოაცხადა, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემოდა ცნობა. ამავე დროს, თბილისში ხოდოროვის და ლეონტოვიჩის დრამატული სტუდია ფუნქციონირებდა, სადაც კინოხელოვნების კლასიც იყო გაერთიანებილი. 1918-1921 წწ-ში პერიოდულ გამოცემებში აშუქებდნენ კინოთეატრებთან დაკავშირებულ სიახლეებს. 1918 წ-ის 27 ივლისს გამოქვეყნდა ცნობა კინოთეატრ „ამირანის“ უახლოეს დღეებში გახსნასთან დაკავშირებით. 1918 წ-ის 5 ოქტომბერს ახალი ელექტროთეატრი „კინოტიტანიკი“ გაიხსნა (მის. ჩერქეზიშვილის ქ. №93). „კინო მინიონში“ 9 და 10 მარტს წარმოდგენილი იქნება პირველი ქართული კინოდრამა „ქრისტინე“. დრამა გადმოკეთებულია ნინოშვილის მოთხრობიდან. რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა. 1919 მუშათა კლუბებში დაგეგმილ ღონისძიებებს შორის კინოს ჩვენებაც იყო დაგეგმილი. ფილმის ნახვის შემდეგ იმართებოდა დისკუსიები. 1920 წ-ის 17 ოქტომბერს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე უჩვენებდნენ დოკუმენტურ კადრებს - „ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა და მათი მოგზაურობა პროვინციებში“. „ტფილისისა და საქართველოს ყველა მხატვრული კუთხეები ეკრანზე“. ქართული დემოკრატიის უდიდესი საზეიმო დღეები. 1920 წ-ის 2 დეკემბერს კინო „არფასტოში“ 1,2,3, და 4 დეკემბერს გაიმართება ჩვენება დრამის არტისტის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის მიერ შესრულებული პროფესორი ვერხოვცევის როლისა. 1920 წ-ის 8 დეკემბერს სახალხო განათლების სამინისტრო მთავრობის წინაშე წარსდგა კინოატელიეების გაფართოების ინიციატივით. 1921 წ-ის 28 იანვარს ქალაქის თვითმმართველობის სოციალური დახმარების განყოფილებამ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მუშათა კინოთეატრი გახსნა.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №1, №34, №75; 1919 №279; 1921, №20; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920. №773, №954; გაზ. „ბარბა“, 1918, №128, 1919, №229.

ლევან გელაშვილი, სალომე ჭანტურიძე

კირიონ II კათოლიკოს-პატრიარქი (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) (10. XI. 1855, ს. ნიქოზი, გორის მაზრა - 27. VII. 1918, ქ. თბილისი) - სწავლობდა ანანურის მონასტერთან არსებულ სკოლაში, ხოლო 1862 ჩაირიცხა გორის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია 1876 და უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა 1880. იმავე წელს დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 დაბრუნდა საქართველოში და 1885 წ-მდე მუშაობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1885-1890 წწ-ში გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის თანაშემწეა, 1891 წ. მოღვაწეობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1891-1896 წწ-ში თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგია. მისი ღვაწლით საქართველოს მთიანეთში გაიხსნა 19 სამრევლო სკოლა. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. 1896 გ. საძაგლიშვილს დიდი ოჯახური ტრაგედია დაატყდა თავს, ეპიდემიამ იმსხვერპლა მისი ცოლ-შვილი. მან მიიღო გადაწყვეტილება, ბერად აღკვეცილიყო. ბერობის სახელად შეურჩიეს კირიონი და გაგზავნეს ქვათახევის მონასტერში, იმავე წელს აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. მის სახელთანაა დაკავში-

რებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება, რაც გახდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისგან მისი დევნა-შევიწროების მიზეზი. მას ხშირად უცვლიდნენ ეპარქიებს: გორში, კამენეც-პოდოლსკში, ხერსონესში, ორიოლში... 1905 ქართველმა სამღვდელოებამ კატეგორიულად მოითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 1906 წ-ის იანვარში პეტერბურგში საქართველოს ეკლესიის საკითხზე იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბრძანებულებით მოწვეულ იქნა რუსეთის ეკლესიის სინოდის წინარე სხდომა. სხდომაზე დასასწრებად გაიწვიეს ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, ექვთიმე (ელიაშვილი). 1908 წ-ის 28 მაისს თბილისში მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი (სოფისკი). რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ნიკონის მკვლელობა ქართველ ავტოკეფალისტებს დააბრალა. 1908 ეპისკოპოს კირიონს ჩამოართვეს ეპარქია, ეპისკოპოსის ხარისხი და პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეს ტამბოვის გუბერნიის სანაქსარის უდაბნოში. 1910-1915 წწ. მან ხერსონის მონასტერში გაატარა. 1915 კირიონს აღუდგინეს ეპარქიის მართვის უფლება, ჩააბარეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია, დააჯილდოეს წმიდა ანას პირველი ხარისხის ორდენით, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. ეპისკოპოსი კირიონი იყო ცნობილი მეცნიერი, რომელიც საფუძვლიანად იკვლევდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს ეკლესიის, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების, რუსული სამონასტრო ცენტრების ისტორიას, ქართველ მეფეთა და წმინდანთა ცხოვრების, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს. კირიონის ღვაწლით, 1907 პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან დაარსდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა. ეპისკოპოსი კირიონი იყო უდიდესი ქველმოქმედი და განათლებას მოწყურებული, ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდობის თანამდგომი. მისი მატერიალური ხელშეწყობით 300-ზე მეტმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთსა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. საქართველოში დარჩენილმა კირიონის თანამოაზრე ავტოკეფალისტებმა 12 (25) მარტს მცხეთაში მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და შექმნეს დროებითი მმართველობა გურია-ოდიშის ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით. ეპისკოპოსი კირიონი ჯერ ისევ რუსეთში იმყოფებოდა, ქართველ მორწმუნეთა ჯგუფმა დელეგაცია გაგზავნა მასთან, რათა დაბრუნებულიყო საქართველოში. როგორც ირკვევა, 1917 წ-ის 17 სექტემბერს, I საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 441 დელეგატი ესწრებოდა, 231 დელეგატმა ხმა მისცა ეპისკოპოს კირიონის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის წინადადებას (მან 11 ხმით გაუსწრო მიტროპოლიტ ლეონიდეს) და არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. საქართველოს დემოკრატიული ხელიუფლებისადმი პატრიარქის დამოკიდებულება გამოირჩეოდა ზომიერებით, რაც ძირითადად იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ამ მოკლე პერიოდში, როდესაც კირიონს პატრიარქობა მოუწია, ცენტრალურ ხელიუფლებას რაიმე განსაკუთრებული ქმედება რელიგიის მიმართულებით არ განუხორციელებია. 1918 წ-ის 27 ივლისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II მიგზავნილმა მკვლელმა სიცოცხლეს გამოასალმა მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში. დაკრძალეს 7 ივლისს სიონის საპატრიარქო ტაძარში. 2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა კათოლიკოს-პატრიარქი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დააწესა 9 ივლისი (ძვ. სტ. 26 ივნისი).

ლიტ.: ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ს. ვარდოსანიძე, უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918 წ. წ.), თბ., 2014.

მიხეილ ქართველიშვილი

კიროვი სერგეი

კიროვი სერგეი მირონის ძე (ნ.ს. კოსტრიკოვი სერგეი) (27.III.1886, ურზუმი, ვიატკის გუბერნია - 1.XII.1934, სანკტ-პეტერბურგი) - რუსი ბოლშევიკი. საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, კომუნისტური პარტიის ლენინგრადის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი. დაიბადა ღარიბ მრავალშვილიან ოჯახში. ადრეულ ასაკში დედით დაობლდა. დაამთავრა ყაზანის ინდუსტრიული სასწავლებელი. 1904 გახდა მარქსისტი და შეურთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. 1905 რევოლუციის შემდეგ შეუერთდა ბოლშევიკებს. 1906 საიმპერიო რეჟიმმა დააპატიმრა არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვისა და გავრცელების გამო, იმავე ბრალდებით რამდენიმეჯერ დააპატიმრეს. შემდგომში საცხოვრებლად გადავიდა კავკასიაში. 1912 წ-დან აქვეყნებდა სტატიებს „კიროვის“ ფსევდონიმით. მოგვიანებით გახდა ასტრახანის ბოლშევიკური შეიარაღებული ჯგუფის ხელმძღვანელი. 1917 წ-დან მონაწილეობდა რუსეთის სამოქალაქო ომში, იბრძოდა ასტრახანის მიმართულებით.

1920 წ-დან ს. ორჯონიკიძესა და ა. მიქოიანთან ერთად პარტიულ საქმიანობას ეწოდა კავკასიაში. 1920 წ-ის 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. 29 მაისს კი თავის წარმომადგენლად საქართვე-

ლოში დანიშნა ს. კიროვი. ივნისის ბოლოს კიროვი საქართველოში ჩამოვიდა, მისასალმებელ სიტყვაში საქართველოსა და რუსეთის დემოკრატიის სადღეგრძელო წარმოთქვა. მიუხედავად იმისა, რომ 7 მაისის ხელშეკრულების დამატებითი საიდუმლო მუხლების საფუძველზე საქართველოს ციხეებში მყოფი ბოლშევიკები გაათავისუფლეს, ბოლშევიკებმა მოქალაქეების მხარდაჭერის არქონის პირობებში ვერ შეძლეს ლეგალური ორგანიზაციების გამართვა და კვლავ არალეგალური საქმიანობა გააგრძელეს, რის გამოც ათეულობით ბოლშევიკი კვლავ დააპატიმრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. რუსეთის წარმომადგენელი კიროვი პროტესტს გამოთქვამდა ბოლშევიკთა დაპატიმრების გამო. 1920 წ-ის სექტემბერში მონაწილეობას იღებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის თბილისში მიმდინარე მოლაპარაკებებში. 1920 წ-ის 12 ოქტომბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოში რუსეთის წარმომადგენლად ს. კიროვის ნაცვლად აარონ შეიმანი დაინიშნა.

1920 წ-ის ბოლოდან აგრძელებდა პარტიულ საქმიანობას ბაქოში, შედიოდა კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში. 1921 წ-ის იანვარში ს. ორჯონიკიძესთან ერთად აქტიურად მოითხოვდა საქართველოს გასაბჭოებას. 1921-1926 წწ-ში იყო აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი. 1927-1934 წწ-ში პარტიულ თანამდებობებს იკავებდა ლენინგრადში. ითვლებოდა ერთ-ერთ გავლენიან კომუნისტ ლიდერად. 1934 ს. კიროვის გაურკვეველ სიტუაციაში მკვლელობა მიიჩნევა სტალინის მიერ „წითელი ტერორისა“ და „პარტიული წმენდის“ დაწყების ათვლის წერტილად.

ლიტ.: ა. მ ო რ გ ო შ ი ა, სერგეი მირონის ძე კიროვის მოღვაწეობა ამიერკავკასიაში: (1920-1925-წწ.) დისერტაცია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1957; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №117, №136, №198, №236.

ირაკლი ირემაძე



კიღურაძე ლავრენტი

კიღურაძე ლავრენტი პავლეს ძე (მეტსახელი ლავროსი) (3.IV.1880, სოფ. ვანისქედი - VII.1920) - განათლება იურიევის უნივერსიტეტში მიიღო ფიზიკა-მათემატიკის განხრით. თავისი პოლიტიკური არჩევანი მან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაზე შეაჩერა და მისი წევრი გახდა. ლ. კიღურაძე რევოლუციურ მოძრაობაში ყოფნის ბრალდებით პირველად დააკავეს 1907 შემდეგ კი - 1909. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, და არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად, როგორც აღნიშნული პარტიის წარმომადგენელი. იყო აგრარული და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების წევრი.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

„კლდე“ (1918 – 1920, **თბილისი**) - ყოველკვირეული გაზეთი. დამოუკიდებელი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ორგანო (1920 წელს - „ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო” - საქართველოს ნაციონალური პარტიის ორგანო). 1918 წ-ის 10 დეკემბრიდან გაზეთი გამოიცემა ყოველდღიურად, 1919 წ. №1-31 - ყოველკვირეულად, ხოლო 1920 წ-დან №33 (4 ივლ.) - ისევ ყოველდღიურად. იბეჭდება სამხედრო სამინისტროს სტამბაში. რედაქტორი - გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე); გამომცემელი - დამოუკიდებელი ნაც.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია. 1919 გაზეთი გამოდიოდა აგრეთვე „სალი კლდის“ (№1 (7/1) - №58 (28/VII) და შემდეგ „პიტალო კლდის“ №1 (4/VIII) - №22 (29/VII) სახელწოდებებით. „სალი კლდე“ ყოველკვირეული გაზეთია, ხოლო „პიტალო კლდე“ - ყოველკვირეული საორშაბათო გამოცემა. ორივე ქართული ნაციონალური პოლიტიკის ორგანოა, რომელთაც რედაქტორობდა გრ. ვეშაპელი. აღსანიშნავია, რომ გაზეთი მემკვიდრეა ამავე სახელდების ყოველკვირეული ჟურნალისა, რომელიც 1912 – 1915 წწ-ში გამოდიოდა. სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდის“ მესვეურთა და ავტორ-თანამშრომელთა გუნდის, ე.წ. „კლდეისტების“ (რ. გაბაშვილის ტერმინი) დიდი ნაწილის ძალისხმევით მოხერხდა რამდენიმე წლით გვიან გაზეთის გამოცემა. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყო რამდენიმე წევრი: გრ. ვეშაპელი, ვ. წერეთელი, დ. ვაჩნაძე, ივ. ელიაშვილი, შ. ქარუმიძე, რ. გაბაშვილი, დიმ. ჯავახიშვილი. მათ თავი გამოაცხადეს „დამოუკიდებელ ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტად“ და დააარსეს გაზეთი „კლდე“, რომელიც წინამორბედის ღირსეული მიმდევარი აღმოჩნდა. გაზეთის პირველივე ნომერში ვეცნობით ამ ჟურნალისტური ტრადიციის ამსახველ პუბლიკაციებს: დ. ვაჩნაძის (დ. კახელი) ვრცელ წერილს „კლდის ტრადიცია”, რომელშიც ავტორი გვაცნობს ეროვნული ინტერესების დამცველი გამოცემის ისტორიას. ამავე საკითხს ეხება დიმ. ჯავახიშვილის სტატია „ექვსი წელი“. სიმბოლურ დატვირთვას იძენს გაზეთის მესამე ნომერში „განდეგილის“ (დომინიკა ერისთავი-მდივანი) ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „რამე თუ შენ ხარ კლდე“. ავტორი სახარებისეული ენით ხსნის გამოცემის დანიშნულებას, მის მზაობას, მედგრად შეხვდეს ყოველგვარ წინააღმდეგობას, რაც კონცეპტუალურადაა გაცხადებული გაზეთის სახელწოდებაში. „კლდის“ მიზანდასახულობა ეროვნული პრობლემატიკის პრიორიტეტულობაში გამოიხატება და ყველა იმ

საჭირბოროტო თემატიკას მოიცავს, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამავე დროს, მისი მხედველობის არეში ექცევა თანამედროვეობის ყველა აქტუალური საკითხი, რასაც საზოგადოების წინსვლა- განვითარებისთვის ხელის შეწყობა შეუძლია. თემათა ფართო სპექტრიდან, რომელსაც გამოცემა გვთავაზობს, ცალკე უნდა გამოიყოს პუბლიკაციები როგორც პარტიის შიგნით მიმდინარე რეორგანიზაციულ პროცესებზე (მაგ.: გრ. ვეშაპელის „სოციალ-დემოკრატია და ჩვენი პარტია", სარედაქციო წერილი „პარტიის რეორგანიზაცია" და სხვ.), ასევე, პარტიათა შორის დაპირისპირებაზე (მაგ.: მოწინავე წერილი „ოპოზიცია ნოე ჟორდანიას პარტიაში"), დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაზე, ქართული ჯარის მოწყობაზე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე, ეკონომიკურ და აგრარულ საკითხებზე (მაგ.: ვ. წერეთლის „მიწის ნორმა" და სამეურნეო კულტურა"), სომხეთთან საომარ ვითარებასა და სომეხი ლტოლვილების პრობლემაზე (მაგ.: ივ. ტატიშვილის „სომეხ ლტოლვილთა კოლონიზაცია საქართველოში", გრ. ვეშაპელის „ომი სომხებთან", ილ. ჭყონიას „საქ. და სომხეთის საზღვრები", „სომეხ-ქართველთა ბრძოლა" და სხვ.), განსაკუთრებით აქტუალურია საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობისა და აჭარის (ბათუმის) საკითხი (მაგ.: ი. დოლიძის „ოსმალეთი და საქართველო"; რ. გაბაშვილის „ბათომის ბედზე", „აჭარაში მუშაობისათვის" და სხვ.). გაზეთში დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პერიოდულ გამოცემებთან პოლემიკას. „კლდეში" ძირითადად პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებია გაშუქებული. ნაკლებად გვხვდება კულტურული ცხოვრების ამსახველი და ლიტერატურული მასალა. გაზეთის მუდმივ რუბრიკებს შორის შეიძლება დავასახელოთ: „ქართული პრესა", „გერმანული პრესა", „ქრონიკა", „ფელეტონი", „უკანასკნელი ცნობები", „დეპეშები" და სხვ.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947. გაზ. „კლდე", 1918-1920. დ. ჭუმბურიძე, „ისტორიული პორტრეტები: დასაწყისი XX საუკუნისა", თბ., 2008.

მანანა შამილიშვილი

კლდიაშვილი დავით სამსონის ძე (29.VIII.1862, სოფ. სიმონეთი - 24.VI.1931, თბილისი) - მწერალი. განათლება მიიღო კიევის სამხედრო გიმნაზიასა და მოსკოვის III სამხედრო სასწავლებელში. 1882 გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, ბათუმში. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. მონაწილეობდა ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. 1885 პირველი მხატვრული თარგმანები დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი". 1893 ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნდა პირველი მოთხრობა „შერისხვა", ამ პერიოდში დაწერილი მოთხრობებიდან აღსანიშნავია: „მსხვერპლი", „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ქამუშაძის გაჭირვება", პიესა - „ირინეს ბედნიერება". 1901 გამოიცა მოთხრობათა პირველი კრებული. 1903 დაწერა „დარისპანის გასაჭირი". 1905-1907 წწ-ში რევოლუციის შემდეგ, როგორც არაკეთილსაიმედო პოდპოლკოვნიკი, აიძულეს, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარიყო. მსახურობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის სამმართველოში. ამ პერიოდში დაიწერა „როსტომ მანველიძე" და „უბედურება". 1915 მობილიზაციით გაიწვიეს ოსმალეთის ფრონტზე.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1918-1921 წწ-ში მწერლის საღამოები იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1920 იუბილეების მომწყობი კომისიისა და მწერალთა კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე შემუშავებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო თეატრში გაიმართა დავით კლდიაშვილის იუბილე. მისი ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა პიესა, რომელიც მის იუბილეს მიეძღვნა. მწერლის 30-წლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის პატივსაცემად, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა უამრავი მილოცვა და კარიკატურა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", რომელიც იმდროინდელი სახელისუფლებო ბეჭდვითი ორგანო იყო, იუბილეს სპეციალური ნომერი მიეძღვნა. გაზეთში „თეატრი და ცხოვრება" დაიბეჭდა შიო მღვიმელის და გიორგი ქუჩიშვილის მილოცვები. 1920 დავით კლდიაშვილმა დაწერა თავისი ცნობილი სატირა „ბაკულას ღორები".



კლდიაშვილი დავით

1924-1926 წწ-ში დაიბეჭდა კლდიაშვილის ახალი მოთხრობები - „შუა ცეცხლის პირას" და „კიმოთე მეშველიძე". 1925 გამოქვეყნდა მოგონებები: „ჩემი ცხოვრების გზაზე". 1930 სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე რესპუბლიკის სახალხო მწერლის წოდება მიენიჭა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: კ. აბაშიძე, „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" თბ., 1962; ს. კლდიაშვილი, „დავით კლდიაშვილი", თბ., 1945; ს. ჭილაია, „უახლესი ქართული მწერლობა", თბ., 1972; მ. ჯოხაძე, „ჩემი დავით კლდიაშვილი", თბ.,1955; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 17 თებერვალი 1920.

ეკა ჯავახიშვილი

კლდიაშვილი სერგო

კლდიაშვილი **სერგო დავითის ძე** (6.X.1893, ზედა სიმონეთი, - 14.X.1986, თბილისი) - მწერალი; ნოველისტი, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1911 გაზეთ „სინათლეში" გამოაქვეყნა პირველი ლიტერატურული მინიატურა. მამასთან ერთად (ცნობილი მწერალი დ. კლდიაშვილი) მონაწილეობას იღებდა I მსოფლიო ომში.

1917 დაბრუნდა საქართველოში. იყო „ცისფერყანწელთა" ორდენის ერთ-ერთი დამაარ-

სებელი და აქტიური წევრი. 1918 წ-დან მუშაობა დაიწყო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. ავტორია მრავალი ნოველისა და მინიატურისა: „ჭინკა ბიჭები“, „გორგასლის თასი“, „შემოდგომის წვიმა“, „ჯორდანო ბრუნო“, „სოფლის გზაზე საქართველოში“, „შორეული ციალი“ და ა.შ. მის სახელს უკავშირდება ქართული ნოველის შექმნა. მისი პიესები - „გმირთა თაობა“, „ირმის ხევი“, „დაბრუნება“ - წარმატებით იდგმებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე. ცხოვრების ბოლო წლებში დაბრმავდა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994;

ეკა ჯავახიშვილი



კლემანსო ჟორჟ

კლემანსო ჟორჟ ბენჟამინ (28.IX.1841, მუირონან-პარე, ვანდეას რეგ. – 24.XI.1929, პარიზი), საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი. საფრანგეთის რადიკალური პარტიის ლიდერი. დაიბადა ფრანგი პოლიტიკური აქტივისტის ოჯახში. ფიზიკის განხრით უმაღლესი განათლება ნანტის უნივერისტეტში მიიღო. შემდგომში პარიზში მოიპოვა მედიცინის დოქტორის ხარისხი. ადრეული ასაკიდან ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში, იყო ანტიკლერიკალური რადიკალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1861 პარიზში თანამებრძოლებთან ერთად დაარსა ყოველკვირეული გაზეთი „Le Travail“. 1862 დააპატიმრეს დემონსტრაციის გამართვისათვის. ნაპოლეონ მესამის რეჟიმთან დაპირისპირების შემდეგ იძულებული გახდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასულიყო საცხოვრებლად და სამუშაოდ. მესამე რესპუბლიკის პერიოდში დაბრუნდა სამშობლოში, არჩეულ იქნა წარმომადგენელთა საბჭოს წევრად. შემდგომში აგრძელებდა პოლიტიკურ და ჟურნალისტურ საქმიანობას. ეწინააღმდეგებოდა სინო-ფრანგულ ომს. 1906 რადიკალურ პარტიასთან ერთად მოიგო არჩევნები და გახდა ქვეყნის პრემიერ მინისტრი. 1909 დატოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი. 1917 წ-ის ნოემბერში კლემანსო მეორე ვადით გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ამავდროულად იკავებდა ომის მინისტრის პოსტსაც.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯთან და აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონთან ერთად გახსნა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. კლემანსოსა და ზოგადად საფრანგეთის მთავრობას კავკასიის რეგიონისადმი ინტერესი არ გამოუხატავს, იმპერიული რუსეთისთვის გაცემული მილიონობით ფრანკის ვალის დაბრუნების იმედით, მხარს უჭერდა დენიკინის არმიას. საფრანგეთი ამიერკავკასიაში მხოლოდ სომხეთისადმი ინტერესს გამოხატავდა, ისიც კონკრეტული მიზნის მისაღწევად - კილიკიაში საფრანგეთის დაფუძნებისათვის და საიქს-პიკოს შეთანხმების სარეალიზაციოდ. კლემანსოს კაბინეტის საგარეო საქმეთა მინისტრი პიშონი რამდენიმეჯერ შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას, თუმცა უშედეგოდ, რადგანაც საფრანგეთის ინტერესები არ ემთხვეოდა დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებს. 1919 წ-ის ბოლოს გამართულ არჩევნებზე კლემანსოს პარტია დამარცხდა, 1920 წ-ის დასაწყისში კი ხელისუფლების სათავეში სოციალისტი ალექსანდრე მილეირანი მოვიდა. 1920 წ-ის სექტემბრიდან მილეირანმა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, პრემიერ-მინისტრის პოსტს კი ჯერ - ჟორჟ ლეიგი, ხოლო შემდეგ არისტიდ ბრიანი იკავებდა. კლემანსოს შემდგომი საფრანგეთის სოციალისტი პრემიერ-მინისტრები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ბევრად უფრო კეთილგანწყობილი აღმოჩნდნენ, 1920 წ-ის იანვარში სწორედ არისტიდ ბრიანმა ითამაშა მთავარი როლი მოკავშირეთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ აღიარების საკითხში.

პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ იმოგზაურა აფრიკაში. 1921 მიანიჭეს ოქსფორდის უნივერისტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი. სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა პუბლიცისტურ საქმიანობას.

ლიტ.: ბ. კობახიძე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015.

ირაკლი ირემაძე

კლიმიაშვილი მიხეილ იოსების ძე (5.I.1874. სოფ, მჭადისჯვარი, დუშეთის მაზრა - ?) - ქართველი სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. განათლება მიიღო თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო სასწავლებელში, თუმცა მისი დასრულება ვერ შეძლო. პროფესიით სახალხო მასწავლებელი. მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში მოანგარიშედ. იყო სახალხო იაფფასიანი წიგნის მაღაზიის გამგე. ახალგაზრდობაშივე შეუერთდა მემარცხენე ახალგაზრდებს, გახდა ფილოქსერას ჯგუფის წევრი. მუშაობდა ქ.შ.წ.გ. საზოგადოების გომარეთის სკოლაში. 1898-1900 წწ-ში მუშაობდა „კვალის“, „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბის“ კორექტორად. 1901 წ-დან მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოში, აქტიურად იყო ჩართული მუშათა გამოსვლებში. 1903 დაიჭირეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. 1095 წ-ის მოვლენების შემდეგ დაითხოვეს რკინიგზის სახელოსნოდან. 1905-1908 წწ-ში ცხოვრობდა არალეგალურად კავკასიასა და რუსეთში. 1908 დაიჭირეს გორში და გადაასახლეს პერმში. 1916 დაიჭირეს და გადაასახლეს ირკუტსკში.

1917 რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. შეუდგა აქტიურ პარტიულ საქმიანობას. იყო დუშეთის მაზრის კომისარი. 1918

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა ეროვნული საბჭოს წევრი. იყო ეროვნული საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სარწმუნოების საქმეთა კომისიის წევრი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109.

ირაკლი ირემაძე

კოვალიოვი მიხეილ ანდრეის ძე (1879, თბილისი - გარდაცვალება უცნობია) - კოვალიოვს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება. შემდეგ ის გახდა რსდმპ-ის წევრი. 1917 წ-დან იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით შევიდა დამფუძნებელ კრებაში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და აქ განაგრძო ცხოვრება.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

კოლოკოლ – Колоколь (№1,2, 1919, თბილისი) – საგანმანათლებლო თემატიკის პროფილური რუსულენოვანი გაზეთი „Колоколь“ გამოდიოდა 1919 წელს, ქ. თბილისში. გამოცემას რედაქტორობდა გეორგ ტერ-ნიკოლოსიანი. იბეჭდებოდა სტამბაში „Прогрессъ». გამოიცემოდა ოთხ გვერდზე. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში დაცულია გაზეთის მეორე ნომერი. გაზეთი ძირითადად წმინდა საგანმანათლებლო თემებს უთმობს ადგილს, საუბრობს სკოლისა და განათლების მნიშვნელობაზე; ამ კუთხით რესპუბლიკაში არსებულ პრობლემებსა და რეფორმების საჭიროებაზე; განსაკუთრებით კი - განათლების სფეროს დეპოლიტიზების აუცილებლობაზე. მაგალითად, გაზეთის №2-ის მეთაურში „ტიფლისი, 8 თებერვალი“ ნათქვამია, რომ სკოლა უნდა იყოს პოლიტიკის გარეშე“ და რომ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, მოემზადონ მომავალი საქმიანობისთვის, რომელიც მიმართული იქნება „ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“. გ. ტერტერიანის პრობლემური სტატია „წარმომადგენლობა“ ეხება პედაგოგიური საბჭოებიდან მოსწავლეთა წარმომადგენლობების დათხოვნის საკითხს, მოსწავლეთა უფლებებს, თავისუფალი სკოლის პრინციპებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ფსევდონიმით „Г.Т.Н.“ ხელმოწერილ წერილში „საშუალო სკოლის სანიტარული მდგომარეობა“ საუბარია ამ კუთხით სკოლებში არსებულ მძიმე ვითარებაზე. „В.П.“-ს ავტორობით დასტამბულ წერილში კრიტიკულად არის განხილული თვითგანათლების წრის ბიულეტენი და ა.შ. გაზეთს აქვს რამდენიმე რუბრიკა: „ჩვენი პრესა“, „ქრონიკა“, „სხვა აქალაქების ქრონიკა“, „ჩვენი ლექსიკონი“. ამ რუბრიკებში გვხვდება წერილები რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის სასკოლო ცხოვრებასა და იქ არსებულ პრობლემებზე. გარდა განათლების საკითხებისა, გაზეთი აქვეყნებს განსხვავებული თემატიკის შემცველ პუბლიკაციებსაც. მაგალითად, წერილში „სალამი“ საუბარია ეროვნულ თვითშეგნებაზე, მის დიდ მნიშვნელობაზე სახელმწიფოს განვითარებისთვის. წერილში „სომხეთის სახალხო პარტიის მოსწავლეთა ფრაქცია“ ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული ფრაქციის საქმიანობასა და ფრაქციის კლუბის გახსნაზე.

ლიტ.: გაზ. Колоколь, 1919, №2.

მანანა შამილიშვილი



კოვალიოვი მიხეილ

„კომუნისტი“ (№1-10, 1920, თბილისი) - ყოველდღიური გაზეთი, პერიოდული ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა. გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე, სტამბაში - „ეკონომია“. სულ გამოვიდა გაზეთის ათი ნომერი: პირველი ნომერი თარიღდება 3 ივნისით, ხოლო მეათე - 13 ივნისით. გამოცემა დაიხურა გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით (იხ. „საქართველოს კომუნისტი“, 1920 წ. №1, წერილი „რა მოხდა“). მის ნაცვლად გამოვიდა გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“ (1920), რომლის ფაქტობრივი რედაქტორი იყო ფილიპე მახარაძე. ამ გამოცემის დახურვის შემდეგ გაზეთმა განაგრძო არსებობა „ახალი კომუნისტის“ (დრ. რედაქტორები: დ. ჯორბენაძე (№1-48), ა. ქურიძე (№49-72), ლ. სუხიშვილი (№73-დან ბოლომდე) სახელით. სულ გამოიცა 121 ნომერი. დაიხურა მენშევიკური ხელისუფლების მიერ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წ-ის მარტიდან, გაზეთმა კვლავ „კომუნისტის“ სახელით დაიწყო გამოსვლა. გაზეთი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამტარებელია. მოწინავე წერილში „ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა“ ნათლადაა გაცხადებული მისი მიზანი, ემსახუროს საბჭოთა რუსეთის ინტერესებს. იგი სიხარულით ხვდება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმებას (5 ივნისის ნომერში ქვეყნდება ამ ხელშეკრულების მუხლები) და იმედს გამოთქვამს, რომ ბოლშევიკები, ბოლოს და ბოლოს, საქართველოშიც გაიმარჯვებენ, ქართველი ხალხი თავს დააღწევს მენშევიკთა ბატონობას, კომუნისტური პარტია კი - არალეგალურ მდგომარეობას. „კომუნისტი“ დიდ ადგილს უთმობს რუსეთში მიმდინარე პროცესების მიმოხილვას, ამ ტიპის მასალა ქვეყნდება სათაურებით: „საბჭოთა რუსეთის შიგნით“, „საბჭოთა რუსეთში“, „საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა“, „შრომის ბირჟები ევროპასა და რუსეთში“ და ა.შ. წერილში „რატომ გვინდა საბჭოები“ ავტორი („თენგიზი“) განუმარტავს მკითხველს საბჭოების მნიშვნელობას და მის როლს ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში. გაზეთ „პრავდიდან“ გადმობეჭდილი კარლ

რადეკის სტატია „ინგლისის პროლეტარიატი და ინტერნაციონალი“ მიმოიხილავს ინგლისის მუშათა დელეგაციის ვიზიტს რუსეთში. გაზეთი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს არა მხოლოდ მმართველ პოლიტიკურ ძალას, არამედ საქართველოში მოქმედ სხვა გავლენიან პარტიებსაც. ეს დაპირისპირება მედიაოპონირების ხასიათს იძენს და პარტიულ გამოცემათა წინააღმდეგ პოლემიკის სახით გვევლინება. სპეციალური რუბრიკით „პრესაში“ ქვეყნდება წერილები, რომლებიც მიმართულია ქართველი ფედერალისტების პერიოდული ორგანოს „სახალხო საქმის“, სოციალ-დემოკრატების „ერთობის“ და სხვა გამოცემათა საკრიტიკოდ. გარდა ზემოხსენებულისა, გაზეთში წარმოდგენილია ასევე რუბრიკები: „საზღვარ გარეთ“, „ახალი ამბები“, „მუშათა ცხოვრება“, „მისალმების დეპეშები“, „პარტიული ცხოვრება“. თითქმის არ გვხვდება ქვეყნის კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალა. აქა-იქ ვაწყდებით სარეკლამო განცხადებებს.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; გაზ. „კომუნისტი“, 1920, № 1-10.

მანანა შამილიშვილი

კომუნისტური პარტია – რევოლუციურ-რადიკალური ფრთა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჯერ კიდევ „მესამე დასის“ პირველ კონფერენციაზე, 1892 ჩაისახა. 1903 წ-დან, როცა ქართული სოციალ-დემოკრატია ოფიციალურად გახდა რსდმპ-ის შემადგენელი ნაწილი, რადიკალურ-რევოლუციური ფრთა მოქმედებდა ბოლშევიკური ფრაქციის სახით. 1907 წ-დან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში საბოლოოდ გაიმარჯვა მენშევიკურმა ფრთამ, რის გამოც ბოლშევიკების გავლენა ადგილობრივ რევოლუციურ მოძრაობაში მნიშვნელოვნად შესუსტდა.

1917 წ-ის რევოლუციების შემდეგ საქართველოში დროდადრო შეიმჩნეოდა ხოლმე ბოლშევიკების გააქტიურება, რასაც განაპირობებდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებისა და რუსეთის ბოლშევიკური პარტიის მხრიდან ფინანსური, მატერიალური და, ხშირ შემთხვევაში, სამხედრო რესურსებით მხარდაჭერა. 1917 წ-ის ოქტომბერში შეიქმნა რსდმპ (ბ)-ის, შემდგომში კი - რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოსა და კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლებების: „ოზაკომის“, კომისარიატის, სეიმის და, რაც მთავარია, - დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს თუ აჯანყებებს. ყველა ცდა მარცხით დასრულდა (შამქორის ამბები, 1918 წ-ის გლეხთა გამოსვლები; 1919 წ-ის საყოველთაო აჯანყების მცდელობა და სხვ). 1920 წ-ის გაზაფხულიდან საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და საქართველოს ოკუპაციაზე აიღო გეზი, „რევოლუციის ექსპორტის“ გზით. 1920 წ-ის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა ლეგალური გახდა. 1920 წ-ის 8 აპრილს რკპ(ბ) ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება რკპ(ბ) კავკასიის ბიუროსა და საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტური პარტიების შექმნის შესახებ. 1920 წ-ის 20 მაისს კავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი გაუქმდა და ფორმალურად გარდაიქმნა საქართველოს კომუნისტურ პარტიად (შესაბამისად გაფორმდა აზერბაიჯანის და სომხეთის კომპარტიები). 3 ივნისს გამოვიდა ახალგაფორმებული პარტიის ორგანო - გაზ. „კომუნისტი“. საქ. კომპარტია მოქმედებდა რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს მითითებებით, რომელსაც სათავეში ს. ორჯონიკიძე ედგა და, თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მეთაურის ვ. ლენინის მითითებებს ასრულებდა. საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის „გასაბჭოების“ შემდეგ მოსკოვის დღის წესრიგში საქართველოს დაპყრობის ამოცანა დადგა. 1920 წ-ის ნოემბრის ბოლოს თბილისში გაიმართა საქ. კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი განიხილა. კონფერენციამ აირჩია კპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტი ფ. მახარაძის, გ. სტურუას, მ. ორახელაშვილის, მ. ტოროშელიძის და სხვათა შემადგენლობით. 1921 წ-ის დასაწყისში კავკასიის ბიურომ საქ. კპ(ბ) ცკ-ს „ოპერატიული დავალება“ მისცა, მოემზადებინა აჯანყება. მოსკოვის მითითებით და კავკასიის ბიუროს დავალებით, საქ. კპ(ბ) ცკ-მა შექმნა ე. წ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ფორმალურად ჩაიბარა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას სთხოვა „ინტერნაციონალური“ დახმარება საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დასამხობად. საქ. კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით შეასრულა ტიპური „მეხუთე კოლონის“ როლი და საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით განახორციელა „რევოლუციის ექსპორტი“ საქართველოში.

1921 წ-დან შემდგომი 70 წლის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია მხოლოდ იურიდიულად არსებობდა, ფაქტობრივად კი, საბჭოთა კავშირის კომპარტიის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა და ადგილობრივ ავტონომიურ მარიონეტულ ხელისუფლებას წარმოადგენდა.

ლიტ.: ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991.

დიმიტრი შველიძე

კონდაკოვი ნიკოდიმე პავლეს ძე (1844, სოფ. ხალანი, ნოვი-ოსკოლის მაზრა, კურსკის გუბ. - 1925, პრაღა) – რუსი ხელოვნების ისტორიკოსი, იკვლევდა ბიზანტიური და რუსული ხელოვნების ძეგლებს. 1861-1865 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, სხვადასხვა წლებში ასწავლიდა ოდესის, ნოვოროსიის (1870-1888) და პეტერბურგის (1888-1917) უნივერსიტეტებში.

1918 წ-ის 27 თებერვალს, თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე, უნივერსიტეტის რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა საბჭოს მიმართა სიტყვიერი თხოვნით აკადემიკოს ნ. კონდაკოვის უნივერსიტეტის საპატიო წევრ-პროფესორად არჩევის შესახებ. 15 მარტის სხდომაზე, ქართული კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში გაწეული ღვაწლისთვის, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი ერთხმად აირჩიეს ქართული უნივერსიტეტის საპატიო წევრად.

1920 წ-დან ცხოვრობდა საზღვარგარეთ, 1922 წ-დან ასწავლიდა პრაღის უნივერსიტეტში. იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1898), პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრი (1893). მან შეისწავლა ხელოვნების ნაწარმოებთა იკონოგრაფიული მეთოდი, გაანალიზა ძეგლთა ტიპოლოგიური თავისებურებები. სწავლობდა ქართულ ძეგლებს, აინტერესებდა მათი მიმართება ბიზანტიურ კულტურასთან. ზოგიერთი შეცდომის მიუხედავად, ქართული ხელოვნების შესწავლა მაღალ მეცნიერულ დონეზე აიყვანა. მისი და დ. ბაქრაძის თანამშრომლობით შექმნილი ნაშრომი „საქართველოს ზოგიერთ ტაძარსა და მონასტერში დაცული სიძველეთა ძეგლების აღწერილობა“ დღესაც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას.

ლიტ.: გ. ჩუბინაშვილი, ნიკოდიმე კონდაკოვი (1844-1925), მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა, „თფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, ტ. VI, 1926; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

კონიაშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე (1873-1951) - გენერალი. სწავლობდა ჯერ ტფილისის I კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ - ტფილისის კადეტთა სასწავლებელში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა ჯერ ქვეითთა 196-ე ლაშქარში, შემდეგ - 155-ე პოლკში. 1916 წ-ის მარტში კაპიტანი კონიაშვილი დააჯილდოეს წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით, ქალაქ ერზერუმის აღების დროს გამოჩენილი მამაცობისთვის.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. გენერალი (1918 ან 1919). 1918 წ-ის შემოდგომაზე დაინიშნა სოჭის ოლქისა და შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ქართული შენაერთების სარდლად. 1919 წ-ის დასაწყისში მარცხი განიცადა დენიკინის არმიასთან ბრძოლაში, ჩავარდა ტყვედ, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. შემდეგ ერთხანს თბილისის მილიციის უფროსი იყო. 1920 მონაწილეობდა ანტისახელმწიფოებრივი აჯანყების ჩახშობაში ცხინვალის რეგიონში. 1921 მეთაურობდა სახალხო გვარდიის ბატალიონებს.

ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1926 წ-დან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. იყო დივიზიის მეთაურის მოადგილე. აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის არმიის საბრძოლო მოქმედებებში მეორე მსოფლიო ომის დროს. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ გადადგა სამხედრო სამსახურიდან და საცხოვრებლად გადავიდა იტალიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ცხოვრობდა არგენტინაში. გარდაიცვალა ბუენოს-აირესში.

ლიტ.: ა. ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში 1918-1920 წლებში, თბ., 2014; მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; ლ. ურუშაძე, ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005.

მიხეილ ბახტაძე

კონდაკოვი ნიკომიდ

კოპალეიშვილი ილია ივანეს ძე (1865, სოფ. ეწერა, ქუთაისის მაზ. - 1924, სამტრედია) - სოციალ-დემოკრატი („ახალი სხივის“ ჯგუფი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში, დაამთავრა პირველადი სასწავლებელი. ახალგაზრდობიდანვე ჩართული იყო მუშათა მოძრაობებში, თავდაპირველად თბილისში კავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშათა წრეში საქმიანობდა. 1898 წ-დან იყო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წევრი, შემდგომში - რსდმპ-ის მენშევიკური ფრაქციის აქტიური წევრი. 1903 წ-დან იყო პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრი. პოლიტიკური საქმიანობის გამო არაერთხელ დააპატიმრეს. წლების განმავლობაში იყო წ.კ.გ.ს. წევრი.

კოპალეიშვილი ილია

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას სამტრედიის რაიონში და რკინიგზის მუშებს შორის. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად. კრებაში საქმიანობდა შრომის, აგრარული და თვითმმართველობის მიმართულებით. 1920 წ-დან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაჩენილი შიდაოპოზიციის გაზეთ „ახალი სხივის“ ჯგუფის წევრი იყო. „სხიველებთან“ ერთად მოითხოვდა პარტიისა და სამთავრობო თანამდებობების შეუთავსებლობის საკითხის მოგვარებას. შიდა ოპოზიციურ ჯგუფსა და პარტიის ძირითად ხაზს შორის დაპირისპირებამ პიკს 1920 წ-ის ბოლოს მიაღწია, 1921 წ-ის თებერვალში კი დამფუძნებელ

კონიაშვილი ალექსანდრე

კრებაში დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციად ჩამოყალიბდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში, აქტიურად იყო ჩართული ანტისაბჭოთა საქმიანობაში. 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყების შემდეგ, (მიუხედავად იმისა რომ თავად არ მონაწილეობდა აჯანყებაში) დახვრიტეს სამტრედიაში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „ახალი სხივი“, 1921, №7;

ირაკლი ირემაძე

ფრიდრიხ ფონ კრეს კრესენშტეინი

კრესენშტაინი კრეს ფონ ფრიდრიხ ზიგმუნდ გეორგ ფრაიჰერ (24.IV.1870, ნიურნბერგი - 16.I.1948, მიუნხენი) - ბავარიელი სამხედრო მაღალჩინოსანი. 1918 წელს გერმანიის კავკასიური სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ოსმალეთის არაბულ პროვინციებში.

დაიბადა ნიურნბერგში, ფრანკონიის არისტოკრატიული წარმომავლობის ოჯახში, რომლის წევრები საუკუნეების მანძილზე უწყვეტად სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებულნი. 1879-1888 წწ-ში სწავლობდა ნიურნბერგის ჰუმანიტარულ გიმნაზიაში, 1889 წ-დან კი იღებდა შესაფერის სამხედრო განათლებას ჯერ აუგსბურგში, შემდეგ კი მიუნხენის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლებში. 1901 მიიღო კაპიტნის, 1910 კი - მაიორის ჩინი. მუშაობდა ბერლინში, პრუსიის დიდ გენერალურ შტაბში, ბავარიის სამხედრო წარმომადგენლად.

1914 წ-ის იანვარში დატოვა ბავარიის სამხედრო სამსახური და გაემგზავრა ოსმალეთში, სადაც სულთნის სამხედრო სამსახურში მყოფ გერმანელ ოფიცრებს შეუერთდა. ჩაბარებული ჰქონდა მნიშვნელოვანი დარგები და ეკავა გავლენიანი სამხედრო თანამდებობები ოსმალურ არმიაში, მათ შორის, იყო დამასკოში მე-8 თურქული არმიის შტაბის უფროსი. მიიღო მონაწილეობა სუეცის არხთან წარმოებულ პირველ სამხედრო ექსპედიციაში ჯემალ ფაშას გვერდით და აქ გაითქვა სახელი სამხედრო უნარებით. სინაის მეორე ექსპედიციის დროს ის უკვე თავად იყო თურქული არმიის სარდალი და 1916-1917 წწ-ში აწარმოა ურთულესი ბრძოლები სინაის ნახევარკუნძულზე, პალესტინაში და ღაზასთან ინგლისელების წინააღმდეგ. მისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ დაგვიტოვა მოგონებების წიგნი - „თურქებთან ერთად სუეცის არხისკენ“.

1918 წ-ის დასაწყისში დაბრუნდა გერმანიაში და მიავლინეს დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთში. მალევე დაინიშნა ბავარიის წარმომადგენლად გერმანიის უმაღლეს მთავარსარდლობასთან. 1918 წ-ის მაისში გადაწყდა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა და კავკასიაში საკუთარი სამხედრო-დიპლომატიური მისიის გაგზავნა, რომელსაც გერმანელები კავკასიურ ექსპედიციას უწოდებდნენ. ამ ექსპედიციის ხელმძღვანელად, რომელიც ივნისში ჩავიდა საქართველოში, სწორედ ბავარიელი გენერალ-მაიორი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი დაინიშნა. მისიის შტაბი თბილისში იყო, თუმცა გავლენის თვალსაზრისით, მისია მთელ ამიერკავკასიას უნდა გასწვდომოდა. კავკასიაში გენერალი ფონ კრესი გამოირჩეოდა ჰუმანური დამოკიდებულებით ადგილობრივების მიმართ, რამაც კარგი ქართულ-გერმანული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ძალიან შეუწყო ხელი. კრესის და მისი გერმანული ჯარების დახმარებით, დიდწილად მოხერხდა საქართველოს ტერიტორიაზე ქაოსის, ბანდიტობის და სეპარატისტული მიდრეკილებების აღკვეთა.

1918 წ-ის ნოემბერში გერმანიის მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ გერმანელებმა იძულების წესით დატოვეს კავკასია. გენერალი კრესენშტაინი, შულენბურგთან და მისიის სხვა წევრებთან ერთად, გარკვეული დროით მოკავშირეთა ტყვეობაში აღმოჩნდა კუნძულ პრინკიპოზე და სამშობლოში 1919 წ-ის ზაფხულში ჩააღწია. მისი კავკასიაში ყოფნის პერიოდზე დაწერა საინტერესო მოგონებები - „ჩემი მისია კავკასიაში“.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ განაგრძო ბავარიის სამხედრო ძალებში სამსახური. 1921 ხელმეორედ მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი, 1924 გახდა გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო 1928 -არტილერიის გენერალი. 1929 წ-დან გავიდა დამსახურებულ სამხედრო პენსიაში, 30-იანი წწ-დან მოყოლებული აწყობდა ვიზიტებს აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე. მან მოიძია სპონსორი და აღადგინა კრაფტსჰოფში კრესენშტაინების უძველესი საგვარეულო სახლი, სადაც აპირებდა ცხოვრების ბოლო პერიოდის სიმშვიდეში გატარებას. თუმცა სიმყუდროვე გენერალ კრესენშტაინს სიბერეში არ ეღირსა. მეორე მსოფლიო ომის დროს დაბომბვების შედეგად პირწმინდად განადგურდა გენერლის სახლი მიუნხენში და კრესების აღდგენილი საგვარეულო სახლი კრაფტსჰოფში. ბრწყინვალე სამხედრო კარიერის პატრონი გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი მძიმე პირობებში გარდაიცვალა დანგრეულ და ოკუპირებულ გერმანიაში 1948 წელს.

ლიტ.: Frank zu Döfering, Karl Friedrich Von, Die Kressen. Eine Familiengeschichte, Schloss Senftenegg 1936; Kress von Kressensteln, Hans Karl Frhr., DIe Kressen, Eine Familiengeschlihte, II. Buch, Aalen Württemberg 1984; W. Haupt, Deutsche Truppen im Kaukasus – 1918, in: Deutsches Soldatenjahrbuch. München 1971 S. 140-148; F. Kressenstein, Mit den Türken zum Suezkanal. Berlin 1938; F. Kressenstein, „ჩემი მისია კავკასიაში“ („Meine Mission im Kaukasus“), Aus dem deutschen ins georgische übertragen, eingeleitet und mit Erläuterungen zum Text Versehen von Nodar Muschkudiani, Kutaisi 2002; Archiv des Germanischen Nationalmuseums: N21,

N166, ZR7017; PolitIsches Archiv des Auswärtigen Amtes, Georgien: R7308 bis R7317.

გიორგი ასტამაძე

„კრონოსის სარკე“ (№1-ოქტომბერი, №2 - ნოემბერი, 1919, თბილისი) - ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი. რედ. - სარედაქციო კოლეგია. ჟურნალს გამოსცემდნენ „ცისფერყანწელთა“ მიმდევარი ახალგაზრდა სიმბოლისტი მწერლები. მათ შორის იყო გენიალური ტერენტი გრანელიც (კვირკველია). სწორედ ამ გამოცემით დაიწყო მისი დამკვიდრება ქართულ პოეზიაში. სულ გამოვიდა „კრონოსის სარკის“ ორი ნომერი - 1919 წ-ის ოქტომბერსა და ნოემბერში. ჟურნალის სახელწოდება აღებულია ბერძნული მითოლოგიიდან (კრონოსი არის ზევსის მამა, ურანოსისა და გეას შვილი). ახალგაზრდა სიმბოლისტების მიერ დაარსებული ჟურნალის მიმართულება და მიზანდასახულობა კარგად ჩანს მის წინათქმაში, სახელწოდებით - „ახალ სამყაროში“, რომელიც სიმბოლიზმის, როგორც კულტურულ-ესთეტიკური მიმდინარეობის, მნიშვნელობის განსაზღვრას, ძველის კრიტიკასა და ახალ ქართულ მწერლობაში მისი ადგილის გამოკვეთას ემსახურება („ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი“...). ჟურნალში გამოქვეყნდა ტერენტი გრანელის სონეტები და წერილები („ტ. წალენჯიხელის“ ფსევდონიმით); აგრეთვე, კონსტანტინე გაჩეჩილაძის (იბეჭდებოდა „კონნე სპერელლის“ ფსევდონიმით) „თეთრი გვირგვინოსანი“, „ტერენტი გრანელს“, არჩილ კორინთელის „ძველ პოეზიას“, „ტრიოლეტი“, „ორდიკალიდან“, ირაკლი ყანჩელის (იყენებდა „ჰერკულეს ყანჩელის“ ფსევდონიმს) „შავი ყაბახი“, „შამილის ლოცვა“ და სხვ. ჟურნალის პირველ ნომერში იბეჭდება მხოლოდ პოეტური ნაწარმოებები, მეორე ნომერში კი ლექსებთან ერთად გვხვდება პროზის ნიმუშები, მათ შორის: აკაკი ბერიკაშვილისა და დემნა შენგელაიას მინიატურები; ჟურნალ „ხელოვნების“ (1919) განხილვა; ტ. გრანელის რეცენზია, რომელიც ვ. გაფრინდაშვილის „დაისებს“ ეძღვნება და ავტორისა და, ზოგადად, სიმბოლისტების დამსახურებას წარმოაჩენს თანადროული ქართული მწერლობის განვითარებაში („ეჭვი არ არის, კერძოდ გაფრინდაშვილის და, საერთოდ, სიმბოლისტების, სახელი წარუშლელი დარჩება ხელოვნების ისტორიაში“).

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1947; ჟ. „კრონოსის სარკე“, 1919, №1-2; ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002;

მანანა შამილიშვილი

კუკ-კოლისი ჯეიმს ნორმანი (W. J. N. Cooke-Coilis) (7.V.1876 - 14.IV.1941) - ინგლისელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, 1919-1920 წწ-ში ბათუმის გენერალ-გუბერნატორი. დაიბადა ირლანდიაში, კუკის ციხესიმაგრეში, კორკის საგრაფოში. განათლება მიიღო ჩელტენჰემის კოლეჯში. მონაწილეობდა ბურების მეორე ომში (1899-1902), პირველ მსოფლიო ომში. მისი სახელი უკავშირდება არაერთ მნიშვნელოვან სამხედრო მოქმედებას. პირველ მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მუდროსის ზავის თანახმად, 1918 წლის დეკემბრიდან საქართველოში ჩამოვიდა ინგლისელთა 5 გემი 15-20-ათასკაციანი ჯარით, რომელიც განლაგდა, ძირითადად, ბათუმსა და თბილისში. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკ-კოლისი. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით, ბათუმის მმართველობა ხელში აიღო კადეტმა მასლოვმა, რომელმაც ოლქის მმართველობაში რუსი მოხელეები მოიყვანა.

კუკ-კოლისმა ბათუმის ოლქში ინგლისელთა სრული დიქტატურა დაამყარა. 21 იანვრიდან ბათუმში დაწესდა ინგლისის ფლოტზე მიღებული დრო. სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, გამკაცრდა ფინანსური და ეკონომიკური სანქციები, მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური გამოსვლების შემდეგ აიკრძალა მანიფესტაციები. ისჯებოდა ყველა, ვინც ბათუმში ნარგავების განადგურებას შეეცდებოდა ან ქუჩებს დაანაგვიანებდა. 1919 წ-ის სექტემბრიდან ბათუმში და მთლიანად ოლქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ქართული პრესა საკმაოდ უარყოფითად აფასებდა კუკ-კოლისის საქმიანობას. მას არაერთი უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა საქართველოს დემოკრეატიული რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ურთიერთობისას (მაგ., კუკ-კოლისმა მასთან ორჯერ აუდიენციაზე მისული საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი გედევანიშვილი არ მიიღო). დენიკინის დამარცხების შემდეგ, რუსეთიდან დევნილი თეთრგვარდიელების თავშესაფრად ბათუმი იქცა. კუკ-კოლისი აქტიურად უჭერდა მხარს სამხრეთ რუსეთის მოქმედ მოხალისეთა არმიას.

1920 წ-ის დასაწყისიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ბათუმის ოლქის შემოერთებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რასაც სამხედრო გუბერნატორის, კუკ-კოლისის მხრიდან საპასუხო ქმედება მოჰყვა. 1920 წ-ის 2 მარტს გენერალმა კუკ-კოლისმა ქართულ მხარეს შემდეგი მოთხოვნები წარუდგინა: „1. ბათომის ოლქში ნატანების, ახალციხის და არტაანის მხრით აშკარად სწარმოებს შეტევა საქართველოს ჯარისა; 2. ამ ჟამამდის ორი უკანასკნელი პუნქტის სამხედრო ძალებმა გადმოლახეს არსებული საზღვარი. არტაანის რაზმმა უკვე გადააყენა შავშეთში ადგილობრივი ადმინისტრაცია და მის ადგილზე თავისი დანიშნა. ამას გარდა, სამი ქართველი ჯარისკაცი შევიდა ქალაქ არტანუჯში. ნატანების რაზმი მზვერავებს უშვებს საზღვარზე. 3. ვინაიდან მე მაქვს მიღებული კატეგორიული ბრძანება მთავარსარდლის გენერალ სერ ჯორჯ მილნისაგან, რომ არავითარ სამხედრო

ძალას არ მიეცეს საზღვრის გადალახვის საშუალება და საქართველოს ჯარი კი ნებადაურთველად გადმოვიდა ბრიტანეთის გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, გთხოვთ, დაუყოვნებლივ გაიყვანოთ საქართველოს ჯარის ყველა ნაწილები, რომლებიც ამჟამად ბათომის ოლქის ფარგლებში იმყოფებიან. 4. თუ არავითარი ამგვარი ბრძანება არ იქნა გაცემული, ამისათვის საჭირო დროის განმავლობაში, მე ვიტოვებ უფლებას მივიღო ისეთი ზომები, როგორსაც საჭიროდ ვცნობ, რომ საშუალება მექნეს მთავარსარდლის განკარგულება სისრულეში მოვიყვანო. მე ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ პასუხი გამომეგზავნება“.

ინგლისის მთავრობის მიერ ბათუმის ოლქიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილების მიღებისას, გენერალ კუკ-კოლისის ბრძანებით, მოსახლეობაში დაიგზავნა სპეციალური მოხელეები არსებული ვითარების ასახსნელად, რათა ხელისუფლების შეცვლის პროცესი მშვიდობიანად წარმართულიყო.

ბათუმის სამხედრო გუბერნატორობიდან გადადგომის შემდეგ კუკ-კოლისი განაგრძობს სამსახურს ბრიტანეთის არმიაში. 1927 გახდა მე-11 ქვეითი ბრიგადის, ხოლო 1934 წელს 55-ე ქვეითი დივიზიის მეთაური. 1935-1938 წწ-ში იყო ჩრდილოეთ ირლანდიაში დისლოცილებული ბრიტანეთის ჯარების ხელმძღვანელი. მიღებული აქვს ბრიტანეთის სამხედრო ორდენი „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ (D.S.O. 1918 წელს), წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის რუსული ორდენი, იყო ბრიტანეთის წმინდა მიქაელისა და წმინდა გიორგის რაინდული ორდენის კავალერი (C.M.G. 1919). 1938 წლიდან ცხოვრობდა ირლანდიაში, კუკების სასახლეში.

ჯაბა სამუშია

ლაისტი არტურ (1852, ბრესლაუ - 1927, ქ. თბილისი) - გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ქართველოლოგი. დაამთავრა ბრესლაუს უნივერსიტეტი. 1881 გაიცნო ფ. ბოდენშტედტი და დაინტერესდა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიით, კერძოდ, საქართველოთი. შეისწავლა ქართული ენა. დაუკავშირდა ნ. ნიკოლაძეს, დ. ერისთავს, ა. წერეთელს, ი. მეუნარგიას, ი. ჭავჭავაძეს და სხვებს. 1884 ილია ჭავჭავაძემ მოიწვია საქართველოში. სამშობლოში დაბრუნებულმა, საქართველოს შესახებ გამოსცა წიგნი „საქართველოს ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“, რომელიც პოლონურადაც ითარგმნა. ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა საქართველოში და, ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით, დაიწყო „ვეფხისტყაოსნის'' თარგმნა, რომელიც 1890 დრეზდენსა და ლაიფციგში გამოქვეყნდა. 1887 გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე. 1892 საცხოვრებლად გადმოდის საქართველოში. 1904 გამოიცა მისი ნაშრომი „ქართველი ხალხი“, რომელიც მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. ა. ლაისტს ეკუთვნის მოთხრობები: „ქეთევანი“, „ვარო“, „ვარიპანიძიაანთ ნინო“; ავტობიოგრაფიული მოთხრობა „რუდოლფ ბოლტის სამოგზაურო ცხოვრება“, „მოგზაურის დღიური“,

1918 არტურ ლაისტი ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით მოიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში გერმანული ენის ლექტორად. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წ-ის 17 იანვრის სხდომის ოქმის თანახმად, თავდაპირველად პროფესორი ლაისტი მხოლოდ უფროს ჯგუფთან ლექციების წაკითხვას დათანხმდა, თუმცა პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, უსახსრობის გამო, შეუძლებელი იყო ერთ საგანში ორი ლექტორის მოწვევა და უმცროს ჯგუფთანაც ლექციების წაკითხვა მას უნდა ეკისრა თავზე.

1922 საქართველოში აღნიშნა ა. ლაისტის მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

ლიტ.: კ. გამსახურდია, „რჩეული თხზულებანი:, ტ. VI, თბ., 1963; შ. რევიშვილი, არტურ ლაისტი და ქართული ლიტერატურა, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1967, №1; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი



ლაისტი არტურ



ლანსერე ევგენი

ლანსერე ევგენი ევგენის ძე (23.VIII.1875, პავლოვსკი - 13.IX.1946, მოსკოვი) - ფერმწერი, მოქანდაკე, ილუსტრატორი, თეატრის მხატვარი, პედაგოგი. დაიბადა ფრანგული წარმომავლობის ცნობილი რუსი ხელოვანების ოჯახში. 1895 მიემგზავრება ევროპაში და პარიზში სწავლას იწყებს ჯერ ფილიპო კოლაროსის აკადემიაში (Académie Colarossi) (1895-1896), შემდეგ - როდოლფ ჟულიანის აკადემიაში (Académie Julian) (1896-1897). 1898 იღებს დაკვეთას და ასრულებს გრაფიკულ ნამუშევრებს 1899 ეკატერინე ბალაბანოვას მიერ პეტერბურგში გამოცემული წიგნისთვის „ლეგენდები ბრეტანის ძველი ციხესიმაგრეების შესახებ“. 1907-1908 წწ-ში თანამშრომლობს ნიკოლაი ევრეინოვთან და თეატრის ისტორიკოსთან, მემუარისტ ბარონ ნიკოლაი ფონ დერ ოსტენ-დრიზენთან ერთად მონაწილეობს „ძველებურ თეატრის“ დაარსებაში. ასრულებს თეატრის სპექტაკლებისთვის ესკიზებს (ბალეტი „სილვია“, „პატრიკის ტაძრები“). 1911 ქმნის ნამუშევარს ტემპერაში - „პეტრე პირველის დროის ხომალდები“, რომელსაც ტრეტიაკოვის გალერეა იძენს. თანამშრომლობს არქიტექტორებთან და აპროექტებს საინტერესო ინტერიერებს („კაფე ბელგრადში“); მუშაობს კედლის მხატვრობაში (ფრესკა მოსკოვის დიდ სასტუმროში, პლაფონისა და ფრიზის მოხატულობა ტარასოვების სახლში, პეტერბურგში ფრესკა Café de France-ში). პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1915) სამხედრო მხატვარი-კორესპონდენტია კავკასიაში. მისი ნახატები ღია ბარათებად იბეჭდებოდა.

1917-1919 წწ-ში ცხოვრობს დაღესტანში, თემირ-ხან-შურაში. 1919 მუშაობს მხატვრად ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის სამაუ-

ლასხიშვილი გიორგი

წყებლო-პროპაგანდისტულ ბიუროში. 1920 გადმოდის თბილისში, სადაც 14 წელს დაჰყოფს - იცხოვრებს 1934 წ-მდე, შემდეგ კი ბრუნდება მოსკოვში. 1920 მუშაობას იწყებს მხატვრად საქართველოს ისტორიისა და ბუნების ცენტრალურ მუზეუმში (შემდგომში სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი), რაც მას საშუალებას აძლევს გაეცნოს საქართველოს კულტურას, ისტორიას, მატერიალურ ძეგლებს. როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (11. VI. 1920) იუწყება, მხატვრები ლანსერე, ნიკოლაძე, შევარდნაძე, ერისთავი და შარლემანი შეუდგნენ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ახალი ფულის ნიშნების პროექტის შედგენას. მაგრამ 1921 წ-ის ანექსიის შემდეგ ე. ლ. იოსებ შარლემანთან ერთად უკვე ქმნის გასაბჭოებული საქართველოს გერბს. 1920-იანი წწ-ის დასაწყისში აფორმებს ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბას“; 1921 ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ის გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ორგანიზებულ დავით გარეჯის ექსპედიციაშია. ქმნის ფერწერულ ნამუშევრებს: „ლავრას საგუშაგო კოშკი მზის ჩასვლისას“, „უდაბნოს მონასტერი. საერთო ხედი მთის წვერიდან. თბილისის მხარეს“, „ლავრას შიდა ეზო“ და სხვ.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ექსპედიციებშია: შიო მღვიმეში, გურიაში, მცხეთაში, ზედაზენზე, ბეთანიაში, ქუთაისში, დაღესტანში, სომხეთში, აზერბაიჯანში. უნიკალური იყო მისი ექსპედიცია 1927 სვანეთში, სადამდეც 30-კმ-იანი ლეჩხუმის უღელტეხილის ფეხით გადასვლით მიაღწია და სადაც აწარმოა დღიურის ჩანაწერები, პირადი წერილები და უმდიდრესი სახვითი მასალა (ჩანახატების 3 ალბომი, 30 ნამუშევარი ტემპერით, სანგინით, ნახშირითა და აკვარელით), რომელიც ძირითადად ასახავს ზემო სვანეთის 14 თემის ყოფას. ამზადებს მაკეტებს წიგნებისთვის თბილისზე, სადაც შედის 12 ლითოგრაფია თბილისის ხედებით და სვანეთში ექსპედიციისას შესრულებული სერიისთვის (არც ერთი წიგნი არ გამოიცა). 1922 ვალერიან სიდამონ-ერისთავთან ერთად მუშაობს მხატვრად ივანე პერესტიანის ფილმზე „სურამის ციხე“. 1922 მონაწილეობს თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებაში. იყო მისი პროფესორი, ფერწერის ფაქულტეტის დეკანი. 1927 თბილისის სამხატვრო აკადემიის მივლინებით ნახევარი წლით მიემგზავრება პარიზში. 1930 მოხატა საქართველოს ისტორიის მუზეუმის ვესტიბიული. 1937 გიორგი ჩუბინაშვილმა უკვე მოსკოვში მცხოვრები ე. ლანსერე მოიწვია შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე მონაწილეობისთვის. სერია მიძღვნილი რუსთაველის ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრებისადმი სწორედ ამ გამოფენასთან დაკავშირებით შეიქმნა.

ლიტ.: Е. Е. Лансере, Несколько слов о моей жизни на Кавказе, ჟურ. Творчество, 1936, №1; Г. А. Масхарашвили, Закавказье в произведениях Е. Е. Лансере, ჟურ. Искусство, 1960, №11; П. СПавлинов, Экспедиция Е. Лансере в Сванетию в 1929, კრებ. Искусствознание, 2013, №1-2; Подобедова О. И. Е. Е. Лансере, М., 1961; რ. შმერლინგი, ა. ვოლსკაია, ევ. ლანსერე, დაღესტნური ეტიუდები, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1961, №3.

ნანა ყიფიანი

ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე (ფსევდ. ლალი) (25.XII.1865, ქუთაისი, - 15.V.1931, თბილისი) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. 1885 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შევიდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა მღელვარებაში. შედიოდა სტუდენტთა ხალხოსნური ორგანიზაციის „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლიას“ („ნაროდნაია ვოლიას ახალგაზრდა პარტია“) სამხრეთ რუსეთის ჯგუფში. 1887 გარიცხეს უნივერსიტეტიდან, დააპატიმრეს და ჯერ სამშობლოში გადმოასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო 1888 ხუთი წლით გადაასახლეს ციმბირში, ჯერ უსტ-კამენოგორსკში, შემდეგ პეტროპავლოვსკში. 1895 სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ი. ჭავჭავაძემ მიიღო გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში სამუშაოდ. გაზეთის ახალი თაობის წარმომადგენლებთან ერთად, მან საფუძველი ჩაუყარა „ახალგაზრდა ივერიელების“ ეროვნულ-რადიკალურ მიმდინარეობას. 1901 სათავეში ედგა საინიციატივო ჯგუფს, ე. წ. მთავარ კომიტეტს, რომლის მიზანიც იყო საქართველოს ავტონომიისათვის მებრძოლი პოლიტიკური პარტიის დაარსება, რომელიც გააერთიანებდა ეროვნულ ძალებს. იგი წერდა: „დღეს დროთა ვითარების გამო, ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ პარტიას, ერთი აზრით განმსჭვალულს“. 1904 გახდა ახალდაარსებული საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, იყო პარტიული გაზ. „ცნობის ფურცლის“ და სხვა ორგანოების არაოფიციალური ფაქტობრივი რედაქტორი და პარტიის თავმჯდომარე. ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ პრობლემებზე. გარდა ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობისა, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებათა ხელმძღვანელ ორგანოებში, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის, დრამატული საზოგადოების გამგეობის, თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სხვათა წევრი. 1910 ხელისუფლების მიერ სოც-ფედ. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების დარბევა-ლიკვიდაციის დროს შვიდი თვით დააპატიმრეს მეტეხის ციხეში, ხოლო შემდეგ, ადმინისტრაციული სასჯელის პირობების მიხედვით, ხუთი წლით აუკრძალეს კავკასიაში ცხოვრება და ხარკოვში იმყოფებოდა. 1913 შე-

ეხო ამნისტია და ორი წლით ადრე დაბრუნდა სამშობლოში.

რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ ეროვნული ინტერპარტიული კრებების მონაწილე და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო მოგვიანებით გახდა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე). საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს იმყოფებოდა ეროვნული საბჭოს სხდომის პრეზიდიუმში და დამოუკიდებლობის აქტს რიგით მეოთხემ მოაწერა ხელი. იგი შევიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ე.წ. დროებითი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში და რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის პოსტი ჩაიბარა. განახორციელა რიგი რეფორმები განათლების სფეროში; მისი ხელმძღვანელობით მოხდა ქართული სკოლის ნაციონალიზაცია-„გაეროვნება"; მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების შექმნა ქართულ ენაზე სწავლებისათვის და სხვ. 1919 წ-ის მარტში აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების წევრად, სოც.-ფედ. პარტიიდან და შედიოდა საკონსტიტუციო კომისიის ახალ გადახალისებულ შემადგენლობაში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გ. ლასხიშვილი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.

1921 წ-ის მარტში, როცა მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, გ. ლასხიშვილი ბათუმში ჩავიდა, მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაში და თავისი ოჯახით ემიგრაციაში გახიზვნას აპირებდა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა და სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ცხადია, ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. ერთხანს მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, კოოპერატიულ ბანკში. მის მიმართ მუდმივ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები: საგანგებო კომისია, პოლიტსამმართველო და, ალბათ ვერც გადაურჩებოდა 30-იანი წწ-ის რეპრესიებს, მაგრამ, უფრო ადრე, ავადმყოფობით გარდაიცვალა. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, არჩილ ჯორჯაძის გვერდით.

თხზ.: გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, პირველი გამოცემა, ტფ., 1934, მეორე გამოცემა, თბ., 1992, უ. სიდამონიძის წინასიტყვაობით.

ლიტ.: დ. შველიძე, განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი, გაზ. „სახალხო განათლება", 24 მაისი, 1990; დ. შველიძე, გიორგი ლასხიშვილი-ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ პარტიას, თბ., 2018.

დიმიტრი შველიძე

ლატარია – პირველი ქართული ლატარია. საქველმოქმედო ეროვნული ლატარია, რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდა თბილისის უნივერსიტეტსა და ქართულ თეატრს. ამ ლატარიის საბჭოს თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მმართველობის თავმჯდომარე - გიორგი ლასხიშვილი. ლატარიის მოწყობის იდეა გაჩნდა 1917 წ-ის ზაფხულში. მისი მიზანი იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის საჭირო სახსრების შეგროვება. 1917 წ-ის 29 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა თანხმობა განაცხადა ამ ლატარიის მოწყობაზე. გადაწყდა, გამოეშვათ 25 მანეთის ნომინალური ღირებულების მქონე ლატარიის ბილეთები (5 მლნ მანეთის საერთო ოდენობით). აქედან ნახევარი მლნ უნდა დახარჯულიყო მოგებაზე, შემოსავლის ნახევარი უნდა გადასცემოდა ქართულ უნივერსიტეტს (ნაღდი თანხის სახით), მოგების 5 პროცენტი უნდა მიეღო მსახიობთა კავშირს, ხოლო დანარჩენი თანხით უნდა აეშენებინათ შენობა ქართული თეატრისათვის. ლატარიის ბილეთების გავრცელება გაჭიანურდა. ქართულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მოწოდებები ლატარიის ბილეთების შესაძენად. ბილეთები იყიდებოდა საქართველოს ქალაქებსა და დაბებში, სადაც ცნობილი ქართველი მწერლები, მსახიობები და საზოგადო მოღვაწეები აგიტაციას უწევდნენ მის გავრცელებას. მაგალითად, ამ მიზნით, შ. დადიანი და ვ. აბაშიძე ჩავიდნენ ქუთაისში, ფოთში, სენაკსა და ზუგდიდში, ვ. ბარნოვი და დ. ჭიაბრიშვილი - დუშეთსა და თიანეთში და სხვ. ლატარიის გათამაშება განზრახული იყო 1918 წ-ის 25 დეკემბერს, მაგრამ მას ხელი შეუშალა იმხანად მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომმა და მკაცრმა ზამთარმა. ამის გამო, ლატარიის გათამაშება 1919 წ-ის 1 ნოემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო თეატრში (ამჟამინდელი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი). ლატარიიდან მიღებული შემოსავლიდან თბილისის უნივერსიტეტს გადაეცა 1 077 677 მანეთი.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, პირველი ქართული ლატარია, ენციკლოპედია, „თბილისი", თბ., 2002; С. Нуцубидзе, Первая грузинская лотерея, „Народное образование", Тб., 1992, №62.

ნიკოლოზ ჯავახიშილი

ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო საქართველოში – 1920-1922 წწ-ში მდებარეობდა თბილისში, მიხეილის (შემდგომში - პლეხანოვის, ამჟამად - დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე, №171-ში, ლატვიელთა სათვისტომოს მახლობლად (№180). დაფუძნდა 1920 წ-ის მარტში, როგორც ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. კონსულის თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ ოსკარს ბუმანისი (1899-1937) და იანის პუნინში (1889-1968). 1921 წ-დან ლატვიის ვიცე-კონსულის მოვალეობას ასრულებდა იული კარლის ოსკარ სტრაუმე (1874-1970) - საზოგადო მო-

ღვაწე, ეთნოგრაფი, მხატვარი და პედაგოგი, რომელიც საქართველოში 16 წელიწადს (1907-1923) ცხოვრობდა. ამ თანამდებობაზე იგი მოღვაწეობდა ლატვიის საკონსულოს დახურვამდე, კერძოდ, 1922 წ-ის 10 თებერვლამდე. საკონსულო ზრუნავდა საქართველოში მყოფ ლატვიელთა სამშობლოში დაბრუნებისათვის. 1922 წ-ის 12 სექტემბერს ი. სტრაუმემ ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „თუ ამიერკავკასია ის ხიდია, რომელზედაც აღმოსავლეთთან გადებულია ეკონომიკური, სავაჭრო და საწარმო ინტერესების გზა, თუ ლიტვა და ესტონეთი საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას ცდილობენ (ლიტვამ გამოგზავნა სრულუფლებიანი სავაჭრო წარმომადგენელი, ხოლო ესტონეთმა ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თბილისში დააარსა თავისი წარმომადგენლობა - სრულიად კავკასიასთან და სპარსეთთან კავშირისათვის და ახლო მომავალში ელოდება გემს - ესტონური საქონლით), მაშინ ლატვიასაც, ჩემი რწმენით, კავკასიაში თავისი წარმომადგენლობის შენარჩუნების საკმაო დაინტერესება უნდა გააჩნდეს“. ამის მიუხედავად, თბილისში ვეღარ მოხერხდა ლატვიის საკონსულოს აღდგენა, რის გამოც ი. სტრაუმე 1923 წ-ის ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა.

ლიტ.: Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი



ლეიბენზონი ლეონიდ

ლეიბენზონი ლეონიდ სამუილის ძე (1879, ქ. ხარკოვი - 1951, ქ. მოსკოვი)- მეცნიერი მექანიკისა და ნავთობის მოპოვების დარგში. სსრკ აკადემიის აკადემიკოსი (1943). 1901 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი.

1920 წ-ის 15 ოქტომბერს გამართულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა საკითხი პროფესორ ლეიბზონის თეორიული ფიზიკის კათედრის მეორე პროფესორად არჩევის შესახებ, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებით, დადგენილების მიღებამდე აუცილებელი იყო, ფაკულტეტს საბჭოსათვის მიემართა კათედრაზე მეორე პროფესორის ადგილის შემოღების შესახებ. ამავე წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე კი პროფესორი ლეიბზონი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე პროფესორად ფიზიკის კათედრაზე.

1921 აირჩიეს ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორად. 1922 იგი უბრუნდება მოსკოვის უნივერსიტეტს, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. 1925 მისი ინციატივით მოსკოვში ჩამოყალიბდა სსრკ პირველი ნავთობსარეწი ლაბორატორია. 1934-1936 წწ-ში იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. ლეიბენზონის ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომია „დრეკადობის თეორიის ამოცანათა გადაწყვეტის ვარიაციული მეთოდები“ (1943). იგი ფუძემდებელია მიწისქვეშა ჰიდრავლიკისა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ნავთობის საბადოთა დამუშავების მეცნიერული საფუძვლების შექმნაში.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

„ლეილა“ (1917, 1920, 1924, თბილისი) - სამხატვრო-სალიტერატურო კრებული, რედაქტორი იოსებ გრიშაშვილი, გამომცემელი მ. ციციშვილი. თავიდან იბეჭდებოდა სტამბა „ქართლში“, 1924 კი დაიბეჭდა „პოლიგრაფსკოლის“ სტამბაში. სულ გამოვიდა ჟურნალის სამი ნომერი. კრებული ძირითადად მხატვრულ ნაწარმოებებს უთმობდა ადგილს. აქ დაბეჭდილი თხზულებებიდან უნდა გამოვყოთ ი. გრიშაშვილის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ს. შანშიაშვილის, ს. აბაშელის, კ. მაყაშვილის, ი. მჭედლიშვილის, ს. ფაშალიშვილის, გ. გვაზავას, კ. ჭიჭინაძის, მარიჯანის ლექსები; შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, გ. ქიქოძის, ა. ჭუმბაძის, ნ. შიუკაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ივ. გომართელის, კ. კაპანელის, ლ. შენგელაიას, მიხ. ბოჭორიშვილის, დ. თურდოსპირელის, ა. პაპავასა და სხვათა პროზაული ნაწარმოებები. მეორე ნომრიდან (1920) მარუთა შუამდინარელის ავტორობით კრებულში ჩნდება რუბრიკა „ახალი წიგნები“, რომელიც მკითხველს საგამომცემლო სიახლეების შესახებ აწვდის ინფორმაციას (მაგ.: გ. ქიქოძის წიგნი „ეროვნული ენერგია“, ვ. გაფრინდაშვილის „დაისები“ გ. ტაბიძის ლექსების მეორე ტომი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ჟურნალის მეორე ნომრის გარეკანი ნომრის ავტორთა ხელმოწერებითაა გაფორმებული, მესამე ნომერს კი ერთვის სარეკლამო განცხადებები. ჟურნალის პირველ ნომერში (1917) იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის წინათქმა „ლეილა“, რომელშიც ავტორი რედაქტორს, იოსებ გრიშაშვილს, გამოცემისთვის შერჩეულ სახელს უწონებს („მგონი, პირველად ერქვა ჟურნალს ქალის სახელი, „ლეილა“ აღმოსავლეთის სილამაზეა“). წერილში ჟურნალის კონცეფციაა გაცხადებული და საქართველოსთვის აღმოსავლეთის, როგორც კულტურული და მსოფლმხედველობრივი ვექტორის, ღირებულებით მნიშვნელობას წარმოაჩენს. მას ავტორი დასავლეთთან არა ოპოზიციურ, არამედ თანამშრომლობით ჭრილში განიხილავს. მისი თქმით, დასავლეთი ძვირფასია, მაგრამ „ევროპისთვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ“. „ლეილამ“ სწორედ აღმოსავლეთის გული და გონება უნდა გადაგვიშალოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ევროპას დაივიწყებს. „მრავალი სატეხნიკო შეძენა ხელოვნებაში მოგვცა ევროპამ. ჩვენც მათ გამოვიყენებთ, როგორც ინსტრუმენტებს, - ხოლო მათ აღმოსავლეთური ჰანგებით ავამე-

ტყველებთ“... - ასეთია, გრ. რობაქიძის შეფასებით, ჟურნალ „ლეილას“ დანიშნულება. ქართული კულტურის ღირებულებითი ორიენტაციის თემას ეძღვნება ასევე ვახტანგ კოტეტიშვილის ცნობილი წერილი „აზიისაკენ“ (№2, 1920 წ.), რომელშიც ავტორი ქართული ხელოვნების საჭიროებებსა და მის იდეურ მიმართულებაზე საუბრობს. იგი გამოკვეთს აღმოსავლეთის როლს ქართული კულტურის განვითარებაში და ეხმიანება ზემოაღნიშნული წერილის პათოსს ჟურნალის დანიშნულების თაობაზე. მწერლის თქმით, ქართული ხელოვნება ასცდა თავისი ბუნებრივი განვითარების გზას და საჭიროა დაუბრუნდეს მას, ანუ კვლავ აზიისაკენ აიღოს გეზი („..აზიაში მყოფნი, ევროპიდან უმზერდით აზიას. ამიტომ ჩაგვიქრა შემოქმედება, მკვდარ მიმბაძველობამ კი დაგვასნეულა“.) „ლეილაში“ გამოთქმულ შეხედულებებს კრიტიკული შეფასებები მოჰყვა სხვა გამოცემების მხრიდან. მაგ., ვ. კოტეტიშვილის წერილის პასუხად, ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№26, 1920) დაიბეჭდა პ. კეკელიას სტატია „ევროპა თუ აზია“, რომელშიც ავტორი საუბრობს ჩვენში გაბატონებულ კულტურულ-ესთეტიკურ მიმდინარეობებზე და დაასკვნის, რომ მისი თანადროული ქართული ხელოვნების „დევიზი უნდა იყოს არა აზიისაკენ, არამედ წინ – ევროპისაკენ“. მისი თქმით, „ჩვენი ყოველმხრივი განვითარება ევროპულ ყაიდაზე სწარმოებს“. ჟურნალში იბეჭდება იოსებ გრიშაშვილის ლექსები: „სპარსეთის დედოფალი“, “ერთგვირგვინოსანს“, „ქორწილი ჩვენუბანში“ (1920, №2), „ჩემს ცოლებს“ (1924, №3) და სხვ.

ლიტ.: ჟურ. „ლეილა“, 1917, 1920, 1924; ს. სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2008.

მანანა შამილიშვილი

ლენინი (ულიანოვი) ვ. ი. და დამოუკიდებელი საქართველო – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეთაური, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ლენინი (ულიანოვი), დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თავიდანვე განიხილავდა კლასობრივი ბრძოლის პოზიციდან. შესაბამისად, მას მიაჩნდა რომ საქართველოში დამყარებული იყო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა, ქართველი მენშევიკების მეთაურობით. ამ უკანასკნელების ხელისუფლებას მხარს უჭერდნენ დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამ იდეოლოგიური დემაგოგიის უკან იდგა რუსეთის იმპერიის მთლიანობის აღდგენის მოსურნე ველიკოდერჟავნიკი ლიდერი და მისი ბოლშევიკური ადინისტრაცია, რომელიც მიზანმიმართულად იბრძოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დასაპყრობად, მისი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღიდანვე.

ლენინმა დაპყრობის პირველი ცდა 1918 წ-ის დასაწყისში განახორციელა, როცა საქართველო ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ერთიან პოლიტიკურ წარმონაქმნში - ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის შემადგენლობაში შედიოდა. ამიერკავკასიის გასაბჭოება ლენინის ჩანაფიქრით უნდა განეხორციელებინათ ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებულ რუსეთის არმიის ნაწილებს, რომელნიც კავკასიის გავლით რუსეთში ბრუნდებოდნენ. 1918 წ-ის იანვარ-თებერვალში ლენინის ეს გეგმა ჩაიშალა ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს ენერგიული ღონისძიებების შედეგად (იხ: შამქორის ამბები). 1918-1919 წწ-ში საბჭოთა რუსეთის ხელშეწყობით მომხდარი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების ნეიტრალიზება საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეძლო. სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებას და მის ლიდერს ლენინს საშუალება მიეცათ ამიერკავკასიის დაპყრობისათვის მიეხედათ. 1920 წ-ის აპრილსა და ნოემბერში მოხდა აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპყრობა, ჯერი საქართველოზე მიდგა.

უკვე 1920 წ-ის დასაწყისში ლენინს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას უცდიდა. 1920 წ-ის 17 მარტს ის გ. კ. ორჯონიკიძეს დეპეშით აძლევდა მითითებას, რომ „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონიძიებანი აქეთ წარმართეთ... იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს“. აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ საქართველოს დაპყრობის საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდა. 1920 წ-ის 3 მაისს ორჯონიკიძე დეპეშით არწმუნებდა ლენინს და სტალინს, რომ წითელი არმია 12 მაისს უკვე თბილისში იქნებოდა, თუ მას ამის ნებას დართავდნენ. მაგრამ ლენინი მოერიდა საერთაშორისო გართულებას. ჯერ ერთი საბჭოთა რუსეთი პოლონეთთან ომში იყო ჩაბმული. საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა აგრეთვე გენერალი ვრანგელი, ყირიმიდან. ასეთ ვითარებაში, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა 1920 წ-ის 4 მაისს, მოსკოვს გაუგზავნა მოთხოვნა - შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები ყირიმსა და კავკასიაში. ამ უკანასკნელში კერზონი საქართველოს გულისხმობდა. ამ ეტაპზე ლენინმა ორჯონიკიძეს საქართველოში შეჭრა მკაცრად აუკრძალა, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა რა თქმა უნდა, არ გადაუფიქრებია. ლენინი ისევ ხელსაყრელ ვითარებას უცდიდა, იგი ითხოვდა გარანტიას, რომ საქართველოს დაპყრობა არ გამოიწვევდა საერთაშორისო გართულებებს. ასეთი პოზიცია ჰქონდა მას 1920 წ-ის დეკემბერშიც და ჯერჯერობით გამორიცხავდა საქართველოსთან ომს. საბჭოთა ლიდერი პირველ რიგში ელოდებოდა ბრიტანეთთან მიმდინარე სავაჭრო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების შედეგებს. 1921 წ-ის დასაწყისში, ლენინმა

ლეონიდე კათალიკოსი

ჩათვალა რომ საქართველოსთან ომი შესაძლებელია. 26 იანვარს შემდგარმა რკპ (ბ) (რუსეთის კომუნისტური პარტიის) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი დადგენილების პროექტი, რომელმაც ფაქტობრივად გადაწყვიტა საქართველოზე შეიარაღებული თავდასმა. თავდასხმის კონკრეტულ დრომდე უნდა ჩაეტარებინათ მოსამზადებელი ღონისძიებები. მას შემდეგ, რაც საქართველოს სამხრეთ საზღვრებში შემოიჭრნენ აგრესორები 1921 წ-ის 11-12 თებერვლის ღამეს და დაიწყო საომარი მოქმედებები, 14 თებერვალს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა XI წითელი არმიის სარდლობისათვის გასაგზავნი დეპეშის ტექსტი, რომელიც ლენინის მიერ იყო შედგენილი: „ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი...“ XI არმიის ნაწილები ახლა უკვე სრულიად ოფიციალურად შემოიჭრნენ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე - ეს მოხდა 15 თებერვალს, მაშინ როდესაც საბრძოლო მოქმედებები უკვე 12 თებერვლიდან მიმდინარებდა საქართველოს ჯარსა და აგრესორებს შორის. საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები, რომ ლენინმა სცადა დაეყოლიებინა ნ. ჟორდანია, შერიგებოდა „საბჭოების“ დამყარებას საქართველოში და დარჩენილიყო ქვეყანაში. 1921 წ-ის 2 მარტს ლენინი წერდა ქართველ კომუნისტებს „გამოენახათ მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან“. ასეთ შემთხვევაში მოხდებოდა საქართველოს დაპყრობის ლეგიტიმაცია - ვითომ საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც გარკვეულ მომავალში ნებაყოფლობით შევიდოდა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებაში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ და მისმა ლიდერმა, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, არ მიიღო დამპყრობლების შეთავაზება და საზღვარგარეთ გახიზვნა და იქ ბრძოლის გაგრძელება არჩია. 1921 წ-ის 25 თებერვალს ორჯონიკიძემ თავისი ცნობილი დეპეშა გაუგზავნა ლენინს, რომ თბილისის თავზე ფრიალებდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოხდა ვ. ლენინის მითითებებით, ხოლო ქართველი ბოლშევიკები, სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები, მხოლოდ ახალი რუსული იმპერიის ხელისუფლების მარიონეტებს წარმოადგენდნენ და მის ნებას ასრულებდნენ.

ლიტ: ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვი), თბ., 1991; დ. შველიძე, საქართველოს ოკუპაციაში ქართველი ბოლშევიკების როლის შეფასებისათვის. კრებულში: „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები“, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2009.

დიმიტრი შველიძე

ლეონიდე კათოლიკოს-პატრიარქი (ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე) (15.II.1861 გორის მაზრა, სოფელი დისევი - 11.VII.1921, ქ. თბილისი) - 1867 ლონგინოზი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გადავიდა სტავროპოლის სემინარიაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1884-1888 წწ-ში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მან, როგორც ახალგაზრდა განათლებულმა სასულიერო პირმა, მიზნად დაისახა საქართველოს ეკლესიის ინტერესებისათვის ბრძოლა. 1888 დაინიშნა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების” მიერ დაარსებული სკოლების ინსპექტორად. 1891-1897 წწ-ში ბერმონაზონი ლეონიდე მუშაობდა ჯერ ქართლ-კახეთის სინოდის კანტორის წევრად, 1897 წ-დან დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარია. 1898 წ-ის 17 აპრილს არქიმანდრიტი ლეონიდე აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. 1908 წ-დან გურია-ოდიშის ეპარქიას განაგებდა და მკაცრად ილაშქრებდა რუსეთის ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ.

1917 წ-ის 12(25) მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. იგი დაინიშნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ. 13 მარტს ეპისკოპოსი ლეონიდე შეხვდა ამერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი”) წარმომადგენელ ხატისოვს და მოახსენა მცხეთაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. 14 მარტს გამოცხადდა ეგზარქოსის სასახლეში და საქართველოს ეგზარქოს პლატონს გამოუცხადა, რომ მცხეთაში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იგი გადაყენებული იყო ეგზარქოსის თანამდებობიდან. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ეპისკოპოს ლეონიდეს ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ეგზარქოსყოფილი პლატონი რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მითითებით ცდილობდა, არ დაეთმო პოზიციები, 27 მარტს იგი გამოაცხადეს ამიერკავკასიის ეგზარქოსად და თბილელ მიტროპოლიტად. 15 აგვისტოს ქართველმა სამღვდელოებამ გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე თბილელ მიტროპოლიტად აირჩია. 1917 წ-ის 23 აგვისტოს ყოფილმა ეგზარქოსმა პლატონმა თბილისი დატოვა. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიტროპოლიტ ლეონიდეს ხელმძღვანელობით ეგზარქოსის სასახლე დაიკავა. 1918 წ-ის 23 აგვისტოდან 1919 წ-ის 23 თებერვლამდე მიტროპოლიტი ლეონიდე იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ხოლო უწმიდესი კირიონის გარდაცვალების შემდეგ (1918 წ. 27

ივნისი) - კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი. იგი ესწრებოდა 1918 წ-ის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 1919-1921 წწ-ში იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. პატრიარქობის დროს აქტიურად დაუპირისპირდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რელიგიურ პოლიტიკას, მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავისი პოლიტიკით ეკლესიის დასუსტებას უწყობდა ხელს. ამ თემაზე ცნობილია მისი წერილი ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ, სადაც მწვავედ არის გაკრიტიკებული ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა. დაკრძალულია თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში. იყო თავისი ეპოქის სასულიერო პირთა შორის გამორჩეული მქადაგებელი.

ლიტ.: ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე, XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012; ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.), თბ., 2014; კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, წერილი ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ. თბ., 2005.

მიხეილ ქართველიშვილი

ლეონიძე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე (27. XII.1899, სოფ. პატარძეული, - 9.VIII.1966, თბილისი) - ქართველი მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი (1959), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში. 1911 ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა მისი პირველი პუბლიკაციები. რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს „გვირგვინი“ და „ფანდური“, რომლებიც სემინარიაში გამოდიოდა. 1911 გაზ. „სინათლეში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსი „მცხეთა“. 1912 მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1916 მისი რედაქტორობით გამოვიდა ლიტერატურული ალმანახი „საფირონი“.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1918 დაუახლოვდა სიმბოლისტთა ჯგუფს – „ცისფერყანწელებს“, იყო ორდენის აქტიური წევრი. ამ პერიოდში დაიწერა მისი მოდერნისტული ლექსები. 21 წლის ასაკში გამოაქვეყნა პირველი წერილი გაზეთ „ნაციონალისტში“ - „ძველ პოეზიაზე“. ამავე წელს დაიწერა მისი საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ლექსი „26 მაისი“. 1919 სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1920 კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნილი“. ამავე წელს მისი ესეი „მცხეთა“ გამოქვეყნდა გაზეთ „ნაციონალისტში“. 1920 გაზ. „ბარრიკადში“ გამოაქვეყნა სტატია „პარნასი და სინაი“. 1921 წ-ის 22 იანვარს გაზეთ „ბარრიკადში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ უკვე იყიდებოდა ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოცემული წიგნი „რევოლუციის პოეტები“.

1922-1923 წწ-ში რედაქტორობდა „ცისფერყანწელთა“ ყოველკვირეულ სალიტერატურო გაზეთს „ბახტრიონი“. 30-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი, რომელიც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმად გადაკეთდა. წლების მანძილზე მუშაობდა ამ მუზეუმის დირექტორად. დააარსა ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ალმანახი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. 1944 აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებეთა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1940-1948 წწ-ში იყო „ლიტერატურული მატიანის“ რედაქტორი, 1951-1953 წწ-ში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, 1957-1966 წწ-ში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. იყო მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი. კომიტეტის სახელით 1958 ბუქარესტში გააკეთა მოხსენება ქართულ-რუმინულ კულტურათა ურთიერთობაზე. 1959 ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო პოეტის საპატიო წოდება. ლექსებისა და პოემების გარდა, მას ეკუთვნის კვლევები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“, იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“, ვეფხისტყაოსნის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვის და სხვათა შესახებ. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლეონიძე გიორგი

ლიტ.: გ. კალანდაძე, „გიორგი ლეონიძის შემოქმედება“ (თბ., 1967); გ. მარგველაშვილი, „ლიტერატურული წერილები“, თბ., 1972; გ. ხერხეულიძე, „გიორგი ლეონიძის პოეზია“, თბ., 1959; გაზ. „ერთობა“, 5 სექტემბერი, 1920; გაზ. „ნაციონალისტი“, 1920, № 4.

ეკა ჯავახიშვილი

„ლიგეია“ (1918, ქუთაისი, თბილისი) - „ცისფერყანწელთა“ პერიოდული გამოცემა. „ლიგეია“ იყო ესერული გაზეთების - „რევოლუციური ნობათისა“ და „შრომის“ - ორკვირეული ლიტერატურული დამატება. სახელი ეწოდა ედგარ პოს პოემის, „ალ–აარააფის“, პერსონაჟი ქალის მიხედვით (მწერლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობა „ლიგეია“). მისი რედაქტორი უცნობია. ჩვენამდე მოაღწია გაზეთის მხოლოდ ორმა ნომერმა: №ა და №ბ, რომლებიც გრიშაშვილის ბიბლიოთეკაშია დაცული. გაზეთში თანამშრომლობდნენ: გალაკტიონ ტაბიძე, ხარიტონ ვარდოშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა კარმელი, გროგოლ ცეცხლაძე, რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლო მიწიშვილი, დია

ჩიანელი, იოსებ გრიშაშვილი, კოლაუ ნადირაძე. გამოცემაში მხოლოდ სიმბოლისტური ნაწარმოებები იბეჭდებოდა. მასში გამოქვეყნდა ედგარ პოს „ყორანი“, თარგმნილი გრიგოლ მეგრელიშვილის მიერ. სწორედ „ცისფერყანწელებმა“ შემოიყვანეს ქართულ მწერლობაში ედგარ პო და ლიგეია. აქ დაისტამბა ვალერიან გაფრინდაშვილის საუკეთესო ლექსი - „ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა“; ასევე, კნუტ ჰამსუნის მინიატურები. „ლიგეიას“ პროპაგანდას უწევდა ქუთაისელ სოციალ-ფედერალისტთა გაზეთი „ხალხის მეგობარი“.

ლიტ.: გაზ. „ლიგეია“, 1918; ს. სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2008;

მანანა შამილიშვილი

ლიონიძე ვასილი დიმიტრის ძე (17.VIII.1864 - 1929) - გენერალი. დაამთავრა ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1885). პორუჩიკი (1889). შტაბსკაპიტანი (1895). კაპიტანი (1898). პოდპოლკოვნიკი (1905). ბატალიონის მეთაური. პოლკოვნიკი (1911). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ქვეითთა 118-ე სათადარიგო ბატალიონის უფროსი. კავკასიის მე-3 სასაზღვრო პოლკის უფროსი. 1916 წ-დან ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში. 1916-1917 წწ-ში ქვეითთა 222-ე პოლკის უფროსი. გენერალი (1917). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის.

1918 ქართულ ჯარშია. იყო სამხედრო-საარიცხვო განყოფილების უფროსი. 1921 წელს ემიგრაციაში არ წავიდა. ცხოვრობდა თბილისში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მიხეილ ბახტაძე

ლიტველთა ეროვნული საბჭო კავკასიაში – 1917-1918 წწ-ში კავკასიაში მოქმედი ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობის შტაბიც თბილისში მდებარეობდა. იმხანად კავკასიაში ათი ათასამდე ლიტველი იმყოფებოდა. მათი ნაწილი აქ სამუშაოდ ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩამოვიდა, მეორე ნაწილი იყო გადმოსახლებული ანდა ლტოლვილი, ხოლო მესამე და უმრავლესი ნაწილი კავკასიის ფრონტზე მყოფი სამხედრო პირები. ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩეოდა ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი პეტრას ვილეიშისი (პროფესიით ინჟინერი), რომელიც კავკასიელ ლიტველთა ლიდერად ჩამოყალიბდა. 1917 წ-ის აპრილში თბილისში მცხოვრებმა ლიტველებმა ჩამოაყალიბეს ეროვნული საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვაჟთა IV გიმნაზიის მათემატიკის პედაგოგი პრანას დაილიდე. საბჭოსთან შეიქმნა ლიტვური ენის შემსწავლელი წრე მათთვის, ვინც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდა ანდა უკვე დავიწყებული ჰქონდა. ასეთი საბჭოები დაარსდა კავკასიის სხვა ქალაქებშიც. კავკასიის ფრონტის ხაზის რღვევის გამო, ლიტველმა სამხედრო პირებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ლიტველთა საბჭო აქტიურად საქმიანობდა, თბილისში მოიყარეს. ამის გამო, კავკასიაში იმხანად მცხოვრებ ბალტიელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლონია ლიტველებმა ჩამოაყალიბეს. იმავე წლის 27-30 დეკემბერს თბილისში ჩატარდა კავკასიის ლიტველთა ყრილობა. მისი დელეგატები წარმოადგენდნენ ლიტვურ დიასპორებს, რომლებიც არსებობდა: ბათუმში, ყარსში, ტრაპიზონსა და სხვა ქალაქებში. აირჩიეს საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პეტრას ვილეიშისი. მის მოადგილეებად აირჩიეს პრანას პაილიდე, რომელიც დარჩა თბილისის ლიტველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ და პეტრას გუდელისი, მდივნებად - ბ. შიპავიჩუსი და ს. იაზდაუსკასი. მათი მიზანი იყო სათანადო გაერთიანების ჩამოყალიბება, რომელიც დაიცავდა მათ და დაამყარებდა კავშირს ლიტვასთან, რათა კავკასიაში მყოფი ლიტველები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში. იმავე მიზნით, მათ ადგილობრივ ლიტველთა რეგისტრაცია დაიწყეს. ყრილობამ მისასალმებელი ტელეგრამები გაუგზავნა ლიტვის სახელმწიფო საბჭოს და რუსეთში მცხოვრებ ლიტველთა საბჭოს. წერილებში გამოთქმული იყო რწმენა, რომ ეს საბჭოები ჩაატარებდნენ დამფუძნებელ კრებას და ხელს შეუწყობდნენ ლიტვის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. პ. ვილეიშისმა და პ. დაილიდემ დააყენეს ლიტვის სრული დამოუკიდებლობის საკითხი, რამაც დისკუსია გამოიწვია. დელეგატთა ნაწილის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ავტონომია დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში. ხმათა უმრავლესობით მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ლიტვის მომავალი უნდა უზრუნველეყო დამფუძნებელ კრებას. კავკასიის ლიტველთა ეროვნული საბჭოს საქმიანობა წარიმართებოდა შემდეგი ძირითადი მიმართულებით: 1) ლიტველთა რეგისტრაცია; 2) მათი პრობლემების გაცნობა ხელისუფლების ორგანოებსა და თბილისში აკრედიტებულ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობებში; 3) ლიტვაში დაბრუნების ორგანიზება. ამ ფუნქციათა შესრულებით ეს საბჭო ფაქტობრივად წარმოადგენდა ლიტვის არაოფიციალურ საკონსულოს თბილისში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ აუცილებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მათ შორის ლიტველთა იურიდიული სტატუსის განსაზღვრა. გადაწყდა, რომ ლიტველებისათვის მიეცათ პასპორტის შემცვლელი მოწმობა. ვინაიდან თბილისში უკვე არსებობდა პოლონეთის და უკრაინის წარმომადგენლობანი, კავკასიაში ჩარჩენილ ლიტველთა მდგომარეობა საჭირო-

ებდა, წარმომადგენლობა ლიტვასაც ჰქონოდა. 1918 წ-ის 2 ივნისს კავკასიის ლიტველთა ეროვნულმა საბჭომ შესაბამისი თხოვნით მიმართა ლიტვის სახელმწიფო საბჭოს. 23 ივლისს სამშობლოში ჩასულმა კავკასიელ ლიტველთა დელეგაციამ პ. დაილიდეს მეთაურობით ლიტვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ანტანას სმეტონას გადასცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წერილი, რომელშიც, მილოცვასთან ერთად, გამოთქმული იყო სურვილი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დამყარების თაობაზე. ამ ვიზიტს შედეგად მოჰყვა ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობის გახსნა საქართველოში.

ლიტ.: Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობა და საკონსულო საქართველოში – 1918-1921 წწ-ში მდებარეობდა თბილისში, ამჟამინდელი კოტე მარჯანიშვილის ქუჩაზე, № 45-ში. დაფუძნდა 1918 წ-ის 30 აგვისტოს, როგორც ლიტვის სახელმწიფოს დროებითი წარმომადგენლობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მას ხელმძღვანელობდა პრანას დაილიდე. საქართველოს ხელისუფლება პატივისცემით ეკიდებოდა ლიტვის დროებით წარმომადგენლობას და მას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. თბილისში აკრედიტებული ლიტვის დროებითი წარმომადგენლობის თანამშრომელი ლიტვის სახელმწიფო საბჭოსთვის გაგზავნილ ანგარიშში აღნიშნავდა: „Имея всего лишь временные полномочия Совета, не сообщаясь с властями Литвы и постоянно испытывая недостаток средств, благодаря симпатиям Закавказья к Литве, идущей по тому же пути самоопределения, представитель был признан всеми народами Кавказа". ლიტვის რესპუბლიკის კონსულად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაინიშნა პ. დაილიდე. 1921 წ-ის იანვრის მიწურულს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურედ აღიარება დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მხრიდან 6 თებერვალს ოფიციალურად მიულოცა ჩვენი ქვეყნის მთავრობას ლიტვის კონსულმა პ. დაილიდემ, რომელიც მთავრობის სასახლეში ნოე ჟორდანიას ეწვია.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობამ თბილისში საქმიანობა მცირე ხანს კიდევ განაგრძო. ლიტვის მთავრობამ თბილისში გამოგზავნა თავისი სრულუფლებიანი სავაჭრო წარმომადგენელი.

ლიტ.: „საქართველოს რესპუბლიკა", 10 თებერვალი, 1921; Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

ლოიდ ჯორჯი დევიდ (17.I.1863, მანჩესტერი - 26. III.1945, ქარნარვონშირი, უელსი) - დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ბრიტანეთის ლიბერალური პარტიის ლიდერი. დაიბადა უელსელი მასწავლებლის ოჯახში. განათლება ანგლიკანურ სკოლაში მიიღო. ახალგაზრდობაში დაინტერესებული იყო ბრიტანელი ფაბიანელების ნაწარმოებებით, კითხულობდა ბერნარდ შოუს, სიდნი ვებს და სხვებს. 1884 ადვოკატის კვალიფიკაცია მიენიჭა, 1908 კი ოქსფორდის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი გახდა. 1885 წ-დან ლიბერალურ პარტიას დაუკავშირდა და ჩაება საარჩევნო კამპანიაში. 1890 წ-დან გახდა პარლამენტის წევრი ქარნაფორნიდან (უელსი). ეწინააღმდეგებოდა ბურებთან ომს. აკრიტიკებდა საეკლესიო სკოლების განათლების სისტემას, რომელიც რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა. 1905-1980 წწ-ში შედიოდა ლიბერალი პრემიერ-მინისტრის ჩემპბელ-ბანერმანის კაბინეტში, მუშაობდა ვაჭრობის საბჭოს ხელმძღვანელის პოსტზე. 1908-1915 წწ-ში იკავებდა ბრიტანეთის ხაზინის უფროსის პოსტს, სადაც გაატარა არაერთი რეფორმა, მათ შორის, სახალხო ბიუჯეტის სისტემასთან და გადასახადების მარჟების ცვლილებასთან დაკავშირებით. 1915-1916 წწ-ში იყო მომარაგების მინისტრი (საომარ მასალათა). 1916 დაინიშნა ომის მინისტრად. 1916 წ-ის დეკემბერში კონსერვატორების მხარდაჭერით გახდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ლოიდ ჯორჯი იყო პირველი უელსელი, ვინც ეს თანამდებობა დაიკავა.



ლოიდ ჯორჯი

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როგორც ომში გამარჯვებული ქვეყნის პირველი პირი, მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ფიგურად მიიჩნეოდა. 1919 წ-ის პარიზის საზავო კონფერენცია გახსნა მოკავშირეთა ქვეყნების ლიდერებთან ერთად. პოსტმსოფლიო ომის შემდგომ ლოიდ ჯორჯის კაბინეტში სამხედრო მინისტრის პოსტს უინსტონ ჩერჩილი იკავებდა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს - ლორდი ჯორჯ კერზონი. ეს ორი ადამიანი წარმართავდა ბრიტანეთის მთავრობაში აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ დისკუსიებს, სწორედ ეს დისკუსიები განსაზღვრავდა კავკასიაში წარმოქმნილი ახალი რესპუბლიკების ბედს. თავად ლოიდ ჯორჯი არ ერეოდა უშუალოდ კავკასიის საკითხების განხილვაში და მაქსიმალურად ცდილობდა, სწრაფად მოგვარებულიყო ყოფილი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი პრობლემები. ლოიდ ჯორჯთან და ბრიტანეთის მთავრობასთან კავშირების დამყარებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ცდილობდა. 1919 წ-ის ივნისში გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" იტყობინებოდა, რომ ლონდონში სდრ-ის წარმომადგენელ დავით ღამბაშიძეს მოლაპარაკებები ჰქონდა ლოიდ ჯორჯთან დენიკინის არმიის საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ. ბრიტა-

ნეთის პრემიერმა ღამბაშიძეს პირობა მისცა, რომ მოკავშირეები შეაჩერებდნენ დენიკინს. 1919 სდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა წერილი მისწერა ლოიდ ჯორჯს მოხალისეთა მხრიდან მომავალი საფრთხეებისა და კრიზისიდან გამოსავლის შეთავაზების შესახებ. 1920 წ-ის 9 დეკემბერს გეგეჭკორი ლონდონში მიიღო ლოიდ ჯორჯმა, შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოში არსებული მდგომარეობა გააცნო და თხოვნით მიმართა ბრიტანეთის პრემიერს საქართველოს დე იურედ აღიარებასთან დაკავშირებით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ირლანდიის დამოუკიდებლობა წარმოადგენდა, 1921 წ-ის 9 დეკემბერს ლოიდ ჯორჯის ინიციატივით ხელი მოეწერა ანგლო-ირლანდიურ შეთანხმებას. 1920-1922 წწ-ში აგრძელებდა რეფორმებს ქვეყნის შიგნით. 1922 ლოიდ ჯორჯმა თანამდებობა დატოვა, პრემიერის პოსტი კი კონსერვატორმა ანდრიუ ბონარ ლოუმ დაიკავა. 1924-1931 წწ-ში იყო ლიბერალური პარტიის ლიდერი. დაჯილდოებული იყო ბრიტანული და საერთაშორისო აკადემიური და სამოქალაქო წოდებებით.

ლიტ.: ბ. კობახიძე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №121, №141; გაზ. „ერთობა“, 1921, №4.

ირაკლი ირემაძე

ლოლუა ძუკუ

ლოლუა ძუკუ (პორფილე) ბახვას ძე (08.IV.1877. სოფ. ქვალონი, ზუგდიდის მაზრ. - 09.VIII.1924, თბილისი) - ხალხური სიმღერის შემსრულებელი, მგალობელი, ლოტბარი, მეჩონგურე. დედამ, განთქმულმა მეჩონგურემ და მოტირალმა ჭამჭალა ჩიქვანიძემ, ასწავლა წერა, კითხვა, სიმღერა და ჩონგურზე დაკვრა. 1891 გურიასამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის კარზე მედავითნეობას და საეკლესიო გალობას სწავლობდა, ერთი წლის შემდეგ გალობისა და ღვთისმეტყველების შესასწავლად ხობის მონასტერში გაიგზავნა. ახალი ათონისა და ბიჭვინთის მონასტრებში შეისწავლა ძველი სლავური ენა და მღვდელმსახურების დაწყებითი კურსი გაიარა. 1894 სოფ. ჭალადიდისა და სოფ. კოკის ეკლესიებში მედავითნეობდა. კოკის მომღერლებისაგან ჩამოაყალიბა „მეგრელ მომღერალთა გუნდი“ და 1897 წ-ის 27 თებერვალს ქუთაისის თეატრის სცენაზე პირველი კონცერტი გამართა, შემდეგი კონცერტები კი სოხუმსა და ბათუმში ჩაატარა. 1889 დააპატიმრეს ჩხუბში მონაწილეობის გამო და რვა წელი მიუსაჯეს. მისი სასჯელი ნებაყოფლობით გაიწაწილა მისმა დამ ნოტიო ლოლუამ. მაშინდელი კანონმდებლობით ეს შესაძლებელი იყო. ამიტომ მხოლოდ ოთხი წელი გაატარა ციხეში, სადაც გაიცნო ნოე ჟორდანია და იოსებ ჯუღაშვილი. 1904 საპყრობილიდან გათავისუფლდა, გადავიდა სოხუმში, შეხვდა ილია ჭავჭავაძეს და წიგნის პირველი ფარდული, „დიოსკურია“, დააარსა. სოხუმში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომლის პირველი საჩვენებელი კონცერტიც 25 სექტემბერს გამართა. რეპერტუარი შედგებოდა როგორც ქართული, ასევე აფხაზური სიმღერებისაგან. 1905 გუნდმა იმოგზაურა და კონცერტები ჩაატარა სოხუმის, გაგრის, სოჭისა და ადლერის ოლქებში. 1909 გუნდის ცხრა წევრი სოჭში დააპატიმრეს. 1810-11 წწ-ში გუნდმა რეპერტუარი გააფართოვა და მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს სვანური, გურული და იმერული სიმღერებიც დაამატა. გუნდის წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შვილები და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. გუნდმა შეიცვალა სახელიც და „დასავლეთ საქართველოს სახალხო მომღერალთა გუნდი“ დაირქვა. 1912 სოხუმში მყოფი იროდიონ ევდოშვილის დასახმარებლად გამართეს კონცერტი, შემდეგ იმოგზაურეს ზემო იმერეთში და აკაკი წერეთლის იუბილეზე იმღერეს. 1917 წ-ის 26 აგვისტოს ჩაატარეს კონცერტი თბილისში.

1918 კვლავ ჩაატარეს კონცერტი თბილისში და უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დიდი პოპულარობა გაუწიეს აფხაზურ სიმღერებს. 1919 მომღერალი ფოთში დაბრუნდა და დაქორწინდა. 1920 ფოთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში გალობის მასწავლებლად მუშაობდა.

1921 წ-დან დასავლეთ საქართველოს სახალხო გუნდების ინსტრუქტორად დაინიშნა. 1923 ქუთაისში, მწერალთა კავშირის თხოვნით, მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა. გუნდმა რამდენიმე კონცერტი გამართა. 1924 სანდრო კავსაძის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად თბილისში გაემგზავრა. მალე ავად გახდა და გარდაიცვალა. დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. 1958 გადაასვენეს ფოთში.

ლიტ.: ა. ბიბილეიშვილი, „ძუკუ ლოლუა“, სოხ., 1971; თ. ჟვანია, „ძუკუ ლოლუას ცხოვრება და შემოქმედება (წიგნიდან ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, სამეგრელო I ძუკუ ლოლუა, მესამე განახლებული გამოცემა), თბ., 2007.

ზურაბ ლეჟავა

ლომთათიძე ალექსანდრე

ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე (1882 - 1924, ტაშკენტი) - პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დაიბადა ღარიბ ოჯახში. მისმა განსაკუთრებულმა ნიჭმა სოფლის სკოლაშივე მიიპყრო მასწავლებლების ყურადღება და, მათი დახმარებით, ერთი თბილისელი ექიმის ოჯახში მოხვდა, სადაც იგი ექიმის მეკარის როლს ასრულებდა, ხოლო თავისუფალ დროს მეცადინეობას ანდომებდა. გიმნაზიაში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. უმაღლესი განათლება ხარკოვის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც სტუდენტურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა და

ერთ-ერთ საუკეთესო ორატორად ითვლებოდა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მოძრაობას უკვე გიმნაზიის წლებიდან დაუკავშირდა. თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან. პირველი მსოფლიო ომის დროს ა. ლომთათიძე თბილისის ხმოსანთა იმ მცირე ჯგუფში იყო, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით და დირექტივებით, დემოკრატიულ ოპოზიციას წარმოადგენდა.

1917 წ-ის დემოკრატიული რევოლუციის დღეებში ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკვე აღიარებული ლიდერთაგანი იყო. როგორც დელეგატი, მონაწილეობდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მუშაობაში. დამოუკიდებლობის წლებში შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელ ბირთვში: იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, აირჩიეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ), ფაქტობრივად, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, რადგან თვით თავმჯდომარე, კარლო ჩხეიძე, დიდი ხნით ევროპაში იმყოფებოდა. აღნიშნულ პოსტზე ა. ლოთათიძემ თავი გამოიჩინა, როგორც შეუვალმა და მიუდგომელმა თავმჯდომარემ. დამფუძნებელი კრების დებატებს ის იშვიათი ტაქტით ხელმძღვანელობდა და პოლიტიკურ წრეებში დიდი ავტორიტეტიც მოიხვეჭა.

რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921) მან, ს. ჯიბლაძესთან ერთად, საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა, მიუხედავად იმ საფრთხისა, რაც მას ბოლშევიკების მხრიდან მოელოდა. ამით მან თავის პარტიულ მეგობრებს, იმ უწმინდესი მოვალეობის მაგალითი მისცა, რასაც საკუთარი სამშობლოს დაცვა ჰქვია. ბოლშევიკები მას დაეძებდნენ. 1921 წ-ის მაისში ა. ლომთათიძე დაატიმრეს. 1922 ის, სხვა მძევლებთან ერთად, სუზდალის ციხეში გაგზავნეს. გადასახლებაში მას გული და ფილტვები დაუავადდა, მიუხედავად ამისა, იგი ცივ, სუსხიან ჩუვაშეთში გაგზავნეს, სადაც ერთ მიყრუებულ სოფელში მიუჩინეს ბინა. თავის რჩენის მიზნით, ერთი ჩუვაშის ოჯახში შეშის მპობლად მუშაობდა. ამ ტანჯვა-წამებამ საბოლოოდ გატეხა მისი ჯანმრთელობა. ბოლოს ტაშკენტის ციხეში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა. ცნობილი სოციალ-დემოკრატი რ. არსენიძე მის შესახებ წერდა: „...თავმდაბალი და უბრალო, ის ყველასათვის მისაწვდომი იყო, მარა ამ თავმდაბლობაში ერთხელაც არ დაუხრია ძირს მაღალი დროშა იმ ვალდებულებების, რომელიც მას აწვა. ერთნაირის უბრალოებით ასრულებდა ის ერთსა და იმავე დროს ამ მაღალ ფუნქციას და თავის პარტიულ მოვალეობასაც, რომლის მუშაობაში განუწყვეტლივ იყო ჩაბმული. იგი არსად წინ არ მიიქაჩებოდა, მარა ბუნებრივად თავისი ნიჭით, ცოდნით, გამოცდილებით ამ წინა ადგილებზე ხვდებოდა პარტიის საერთო სურვილით, როგორც უდავოდ ღირსი დიდი ნდობის და მაღალი მოვალეობის. . . ხორცი მოკლეს, მარა მისი სული ერთხელაც არ შერყეულა. პირიქით, ის იქ სხვა გასახლებულთ ამხნევებდა და რევოლუციური ბრძოლის გზაზე მტკიცედ დგომას უქადაგებდა. საქართველოს განთავისუფლება იყო მისი ოცნება და უკანასკნელი სიტყვა. დატანჯული და განაწამები, როგორც თვით ქართველი ერი, იგი მის დალხინებულ ხანაში, უმაღლეს თანამდებობებზე იყო მოწადინებული ერის სამსახურით, როგორც ღირსეული მოღვაწე, ხოლო როცა მის სამშობლოს შავი დღეები დაატყდა, მან ქვეყნის ტანჯვა-ვაება გაიზიარა და მსხვერპლად შეეწირა თავის საყვარელ იდეას, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. ამიერიდან მისი სახე სამარადისოდ აღბეჭდილია ამ ბრძოლის ისტორიის ფურცლებზე. ჩვენ, მისმა ამხანაგებმა მასში წრფელი და საყვარელი მეგობარი დავკარგეთ, ერმა დიდი მოღვაწე და თავდადებული შვილი. საქართველოს ისტორიამ კი მოიპოვა ერთი უდიდესი აკლდამათაგანი, მარად მოსაგონი და მისაბაძი“. ა. ლომთათიძე გარდაიცვალა ტაშკენტის ციხეში. დაკრძალეს იქვე, ტაშკენტში.

ლიტ.: ჟურნალი „ბრძოლა“, პარ., 1925, №3.

ლელა სარალიძე

ლომოური იულონ

ლომოური იულონ ნიკოლოზის ძე (1885, სოფ. არბო, - 1966, ქ. თბილისი) – აგრონომ-მემცენარე, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1910 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება გეოლოგიის განხრით, და 1913 კი - მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომიის სპეციალობით.

1920 წ-ის 19 ივნისს უნივერისტეტის პროფესორთა საბჭომ ი. ლომოური სოფლის მეურნეობის მექანიკის კათედრის ასისტენტად დაამტკიცა. 1920 წ-ის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, კითხულობდა ლექციებს კერძო მიწათმოქმედების საგანში. 1920-1929 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის ასისტენტი, პროფესორი და გამგე.

1923-1929 წწ-ში იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, 1929-1960 წწ-ში - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგე. ი. ლომოური იკვლევდა მინდვრის კულტურების აგროტექნიკურ საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოსი - „მარცვლეული კულტურები“' (1946-1950), თანაავტორია წიგნისა - „ძირხვენა მცენარეების კულტურები“ (1954). დაჯილდოებილია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: ქსე, ტ. VI, თბ., 1983; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ლორთქიფანიძე
გრიგოლ



ლორთქიფანიძე იასონ

ლორთქიფანიძე გრიგოლ (2.IX. 1881, სოფ. ისრითი - 2.IX.1937) - სოციალ-დემოკრატი. 1902 დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტში ჯერ სამედიცინო ფაკულტეტზე, ხოლო შემდგომ ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. რევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმისათვის ის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და რამდენიმე წლით დააპატიმრეს. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1907 კვლავ განაგრძო სწავლა ოდესის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ფილოსოფიის განხრით. 1911-1912 წწ-ში კვლავ დააპატიმრეს რევოლუციური საქმიანობისათვის და სასჯელს იხდიდა მეტეხის ციხეში, რის შემდეგაც რუსეთის ჩრდილოეთში გადაასახლეს. 1916 ვორონეჟის გუბერნიაში ცხოვრების უფლება მისცეს, სადაც დაოჯახდა.

1918 წ-ის დასაწყისში დაბრუნდა საქართველოში და აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება. 1920 წ-ის იანვარში დაინიშნა სამხედრო მინისტრად. მის სახელმწიფოებრივ ხედვას და პოზიციას ანგარიშს უწევდა ყველა მისი მომხრეცა თუ ოპონენტიც. მინისტრობის პერიოდში ცდილობდა, დისციპლინა დაემყარებინა შეიარაღებულ ძალებში, განსაკუთრებით ებრძოდა არასაწესდებო ურთიერთობების ფაქტებს. მომხრე იყო რეგულარული ჯარის და სახალხო გვარდიის გაერთიანებისა, თუმცა ამისათვის მხოლოდ სამხედრო მინისტრის ნება არ აღმოჩნდა საკმარისი. 1920 წ-ის შუა პერიოდიდან, თავდაცვის მინისტრობასთან ერთად, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციასაც ითავსებდა. 1920 წ-ის 3 დეკემბერს გ. ლორთქიფანიძე თანამდებობაზე ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძემ შეცვალა. ხოლო გრიგოლი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეობასთან ერთად, განათლების მინისტრიც გახდა. დამოუკიდებლობის დარჩენილ პერიოდში, როგორც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს საქმიანობაში. რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის ბოლო ეტაპზე იყო მთავრობის წარმომადგენელი 17-18 მარტს ქუთაისის მოლაპარაკებებზე, სადაც მან უარი განაცხადა ბოლშევიკების მოთხოვნაზე, გადაეცა ხელისუფლება მათთვის და კაპიტულაციაზე ხელი არ მოაწერა. გ. ლორთქიფანიძე მთავრობას ემიგრაციაში არ გაჰყოლია და საქართველოში ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თუმცა მალევე დააპატიმრეს. ამის შემდეგ დარჩენილი ცხოვრება სულ გადასახლებებსა და საპატიმროებში გაატარა, პერიოდულად ათავისუფლებდნენ კიდეც, მაგრამ მალევე აპატიმრებდნენ. 1937 გ. ლორთქიფანიძე დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ.

თხზ.: გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე. თბ., 1995.

ლიტ.: დ. ჭუმბურიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937). თბ., 2012.

დიმიტრი სილაქაძე

ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე (30.III.1866, სოფ. ჩუნეში, ქუთაისის მაზრა - VII.1949, თბილისი) - იურისტი, ფინანსისტი, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. ქუთაისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1889 დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მსახურობდა სახაზინო მამულების უწყებაში თბილისში, აქტიურად იყო ჩართული პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ი. ლორთქიფანიძემ ჯერ განჯაში, შემდგომ კავკავში გააგრძელა მუშაობა იურისკონსულტად. განჯაში ყოფნის დროს თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ნ. ბარათაშვილის საფლავის მოძიებასა და 1893 პოეტის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებაში. კავკავში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ქართული კოლონიის საქმიანობაში, ხელმძღვანელობდა ქართულ სათვისტომოს, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის ქართული სკოლის მზრუნველთა კომიტეტის თავმჯდომარე, კავკავის ურთიერთდამხმარე საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე, არჩეული იყო ამავე ქალაქის სათათბიროს ხმოსნად. 1906 თერგის ოლქიდან დასახელებული იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატად.

1917 წ-დან ი. ლორთქიფანიძე იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების კომისიის წევრი და განაგებდა მის საფინანსო ნაწილს. 1917 წ-ის ნოემბერში კოოპტაციის წესით შეიყვანეს ედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრად. იყო ამიერკავკასიის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. 1918 წ-ის სექტემბერში, როდესაც საქართველოს ეროვნული საბჭო გაფართოვდა, ი. ლორთქიფანიძე ედპ-ის სიით საბჭოს წევრი გახდა. არჩეული იყო საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ, ასევე, სამანდატო კომისიის წევრად. 1920 თბილისში საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაფუძნების შემდეგ, ი. ლორთქიფანიძე მის პირველი მმართველად დაინიშნა. ამ უმნიშვნელოვანესი თანამდებობის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისათვის მინდობა ი. ლორთქიფანიძის ავტორიტეტითა და მაღალი პროფესიონალიზმით უნდა აიხსნას. ედპ-ისა და მისგან გამოყოფილი ორგანიზაციების გაერთიანებისას, 1921 წ-ის იანვარში, ი. ლორთქიფანიძე დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს.

1921 წ-ის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ი. ლორთქიფანიძე პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა. ამის მიუხედავად, ის აიძულეს ედპ-ის სხვა თვალსაჩინო წევრებთან ერთად, ხელი მოეწერა დეკლარაციაზე, რომელიც პარტიის ლიკვიდაციისათვის კონფერენციის მოწვევას ითვალისწინებდა. კონფერენცია 1923 წ-ის 28 ოქტომბერს გაიმართა და ედპ დაშლილად გამოაცხადა. საბჭოთა ხელისუფლებამ ი. ლორ-

თქიფანიძე 1923 წ-მდე დატოვა მმართველის თანამდებობაზე იმავე ბანკში, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო ბანკად გადაკეთდა, შემდეგ მოადგილედ დააქვეითეს, ხოლო 1924 მის მიერვე ჩამოყალიბებული სამრეწველო ბანკის ხელმძღვანელად გადაიყვანეს. 1925 იყო საგამომცემლო ამხანაგობა „ქართული წიგნის“ გამგეობის წევრი. 1927 წ-დან აკრძალული ჰქონდა საფინანსო და საზოგადოებრივი სამსახური. ამ პერიოდში შეუდგა საისტორიო კვლევა-ძიებას და მოამზადა ნაშრომი სახელწოდებით: „ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“, რომელიც ორ წიგნად გამოიცა (თბ., 1935-1938). თითოეული მათგანი ორ-ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი წიგნი წყაროების გამოკვლევასა და გეოგრაფიიულ ცნობებს ეთმობა, ხოლო მეორეში მოსახლეობისა და მფლობელობის სტატისტიკაა შესწავლილი. 1937 ი. ლორთქიფანიძე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მიიღეს და ძველი არქივების მოწესრიგება-აღწერის საქმე დაავალეს. ჰყავდა მეუღლე. მის პირად არქივში დაცული მასალები, განსაკუთრებით ეპისტოლური მემკვიდრეობა, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოში საბანკო საქმის შესახებ.

ლიტ.: გ. მაჭავარიანი, იასონ ლორთქიფანიძე - საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, მეცნიერი, გაზ. „სახალხო განათლება“, 27 სექტემბერი, 1990; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ლორთქიფანიძე ივანე ნესტორის ძე (30.VII.1890, სოფ. მარანი, სენაკის მაზრ. - 14.IX.1937) -ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზათა მინისტრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა აზნაურის ოჯახში. ესერთა პარტიას ახალგაზრდობიდანვე, თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლის პერიოდში შეუერთდა. 1905 დააპატიმრეს პოლიტიკური მიზეზით. 1907 ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტში, სწავლობდა სამედიცინო ფაკულტეტზე, აქტიურად მონაწილეობდა ესერ სტუდენტთა საქმიანობაში. 1913 წელს კვლავ დააპატიმრეს. 1914 წ-დან როგორც სამხედრო ექიმი, გაიწვიეს რუსეთის იმპერიის არმიაში.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ამიერკავკასიისა და საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში. 1918 იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. იგი შედიოდა ამიერკავკასიის სეიმის მიერ შერჩეულ დელეგაციაში, რომელიც გაიგზავნა ტრაპიზონის კონფერენციაზე, ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად, რომელიც 1917 წ-ის 14 მარტს დაიწყო. თავდაპირველად, ი. ლორთქიფანიძე კონფერენციაზე გამოდიოდა ოსმალებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოთხოვნით. მოგვიანებით მან მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. შედიოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში და იყო გზათა მინისტრი. საქართველოს დამოუკიდებელ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე კონფერენციაზე, 1918 წ-ის 10-15 დეკემბერს, მისმა მოხსენებამ მთავრობაში თავისი სამინისტროს მუშაობის შესახებ, ვერ დააკმაყოფილა ყრილობის მონაწილეები. 1920 წ-ის გაზაფხულზე დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითი არჩევნების შედეგად, სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის სიით მოიპოვა კრების წევრის მანდატი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და აგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. 1922 წ-დან სოციალ-რევოლუციონერთა შორის წარმოშობილი განხეთქილების შემდეგ, იყო „მემარჯვენეთა ჯგუფის“ ერთ-ერთი ლიდერი. 1922 „ჩეკამ“ იზოლაციის წესით პატიმრობა მიუსაჯა. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მალევე 1924 წ-ის აჯანყებასთან დაკავშირებით კვლავ დააპატიმრეს, თუმცა გაამართლეს. შემდგომ მუშაობდა ჯანდაცვის სახალხო კომისარიატში. საბჭოთა დიდი ტერორის დროს „ესერების კონტრრევოლოციური ცენტრის“ ლიდერობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, თბ., 2016; რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998; ფ. ქაზემზადე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის (1917-1921), ლ. ბაქრაძის წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის, თბ., 2016.

დიმიტრი შველიძე



ლორთქიფანიძე ივანე

ლორთქიფანიძე ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის ძე (29. IX.1880, სოფელი ჩუნეში - 25.V.1944, თბილისი) - მწერალი. წერა-კითხვა შინ შეისწავლა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან გარიცხვის შემდეგ, ვლადიკავკაზში გაიარა გიმნაზიის სრული კურსი. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე, მალევე იურიდიულზე გადავიდა, თუმცა, სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო, უნივერსიტეტიდან გარიცხეს. 1902 დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი თხზულებები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ნიშადური“, „საქართველო“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ. 1902 გაემგზავრა ავსტრიაში სამთო აკადემიაში სასწავლებლად, აკადემიის დაუსრულებლად, 1907 თბილისში დაბრუნდა. 1907-1908 წწ-ში გერმანულის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რედაქტორობდა გაზეთს „ერი“. 1910-1911 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ლიტერატურა“. 1912-

ლორთქიფანიძე ნიკო

ლოსოვი ოტო ფონ

1925 წწ-ში ცხოვრობდა ქუთაისში, მუშაობდა საადგილმამულო ბანკში დამფინანსებლად.

1917 მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „სამშობლოს“ პასუხისმგებელ მდივნად. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორად. 1920 წ-ის 18 ოქტომბერს ჟურ. „ბარრიკადში“ ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად განიხილა ნ. ლორთქიფანიძის ლექსები და წერილები. 1920 წ-ის 18 სექტემებრს გაზ. „ბარრიკადში“ დაიბეჭდა ნიკო ლორთქიფანიძის „ბოროტმოქმედნი“. 1920 დაწერა „ჟამთა სიავე“ და „ქაღალდის კაცი“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუთაისში ნიკო ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოდიოდა ლიტერატურული ალმანახი „კრებული“. 1925 საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უცხო ენების კათედრას განაგებდა. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შედის: 200-მდე მინიატურა, ნოველა, მოთხრობა, 1 რომანი და 2 პიესა. ავტორია ცნობილი ნაწარმოებებისა: „საქართველო იყიდება“, „ტრაგედია უგმიროთ“, „თავსაფრიანი დედაკაცი“ „შელოცვა რადიოთი“ ანუ „დიდი გოდების მცირე ნაკადი“ და ა.შ. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, საიდანაც 1954 დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

ლიტ.: „ბარრიკადი“, 18 ოქტომბერი, 1920.

ეკა ჯავახიშვილი



ლორია ფილიპე

ლორია ფილიპე გლახუნას ძე (19.VIII.1878, სოფ. ნოღა. ქუთაისის მაზრა - 1962, პრაღა) - საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ტფილისის ტრამვაის სადგურის უფროსის თანაშემწე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (მენშევიკი, 1903 წ-დან). განათლება მიიღო სოფელ ნოღას სამრევლო სკოლაში. მონაწილეობდა 1905-1907 წწ-ის რევოლუციაში, თბილისსა და ოზურგეთის მაზრაში. 1913-1914 წწ-ში იყო დაპატიმრებული გაფიცვის ორგანიზებისთვის და იჯდა მეტეხის ციხეში. 1914-1915 წწ-ში იყო გასახლებული ქ. ცარიცინში (სარატოვის გუბერნია). სხვადასხვა დროს იყო ტრამვაის მუშათა პროფკავშირების გამგეობის (1913 წ-დან) წევრი.

1917 წ-დან იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წევრი. 1918 ფ. ლორია იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა ჩეხოსლოვაკიაში.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. თბ., 2016.

ბონდო კუპატაძე

ლოსოვი ოტო ჰერმან ფონ (15.I.1868, ჰოფ/ზაალე - 25.XI.1938, მიუნხენი) - გერმანელი სამხედრო მაღალჩინოსანი ოსმალეთის გერმანულ შტაბში პირველი მსოფლიო ომის დროს. საქართველოს დამოუკიდებლობის ერთერთი მთავარი იდეოლოგი გერმანელთა მხრიდან 1918 წ-ის მაისში.

დაიბადა ბავარიაში, არისტოკრატიულ ოჯახში. 1886-1888 წწ-ში იღებდა განათლებას მიუნხენის სამხედრო აკადემიაში. 1900-1901 წწ-ში მონაწილეობა მიიღო იჰეტუანების აჯანყების ჩახშობაში ჩინეთში. 1908 ხდება მაიორი და 1910 წ-მდე მუშაობს პრუსიის დიდ გენერალურ შტაბში. 1911 მიდის ინსტრუქტორად ოსმალეთში და ასწავლის ადგილობრივ სამხედრო აკადემიაში, ასევე წევრია, ადგილობრივი გენერალური შტაბის. 1912-1913 წწ-ში თურქული ქვეითი დივიზიის მეთაურის რანგში იღებს მონაწილეობას ბალკანეთის ომში. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჯერ იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, 1915 წ-დან კი კონსტანტინოპოლში გადაიყვანეს სამხედრო ატაშედ. 1916 აიყვანეს გენერალ-მაიორის რანგში და დანიშნეს გერმანიის სამხედრო რწმუნებულად კონსტანტინოპოლში, რის შემდეგაც მის პირდაპირ მოვალეობაში შედიოდა ბერლინის ინფორმირება თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ოტო ფონ ლოსოვი გერმანელი სამხედრო მაღალჩინოსნების იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებიც კავკასიას ოსმალეთის გავლენის ზონად მიიჩნევდნენ რუსეთის დამარცხების შემდეგ და მისთვის დათმობას აპირებდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც ის კარგად გაეცნო ვითარებას, თურქეთის აგრესიული მისწრაფებების მოთოკვას დაუჭირა მხარი. ლოსოვი ცდილობდა კავკასიელებსა და თურქებს შორის მოლაპარაკებებში ჩართვას ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე, რასაც თურქები ყველა მეთოდით ეწინააღმდეგებოდნენ. ასეთ ფონზე ლოსოვი ღიად კავკასიის დამოუკიდებლობის მომხრეთა რიგებში გადავიდა და გერმანული ჯარების კავკასიაში გაგზავნას დაუჭირა მხარი. უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს 1918 წ-ის მაისში კავკასიური წარმომადგენლობის მეთაურ აკაკი ჩხენკელთან და მისი მხარდაჭერით გამოაცხადეს სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წ-ის 26 მაისს თბილისში.

ამ მოვლენიდან მალე ფონ ლოსოვი გერმანიაში გაიწვიეს და ომის ბოლომდე სამხედრო სამსახურში რჩებოდა. გერმანიაში რევოლუციისა და კაიზერის გადაგდების შემდეგ უნდობლად ეკიდება ვაიმარის რესპუბლიკას და სიმპათიას ამჟღავნებს რევიზიონისტული ძალების, მათ შორის ბავარიაში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიმართ. 1921 ინიშნება ბავარიის კომენდანტად. 1923 მიუნხენში ჰიტლერის პუტჩის დროს, ფონ კართან და ფონ ზაისერთან ერთად, ბავარიის მმართველ ტრი-

უმვირატს მიეკუთვნება. პირველ ეტაპზე ის მხარს უჭერდა პუტჩს, თუმცა ბოლოს დაუპირისპირდა მას და ჩახშობაში მიიღო მონაწილეობა. პუტჩის დამარცხების შემდეგ გერმანიის ხელისუფლებამ ოტო ფონ ლოსოვი, როგორც არასაიმედო პირი, გაათავისუფლა როგორც ბავარიის კომენდანტის თანამდებობიდან, ასევე, მთლიანად არმიიდან. იგი ჰიტლერის პროცესზეც იყო დაბარებული, თუმცა ბრალი არ წარუდგენიათ. 1924 წ-დან მთლიანად წავიდა საჯარო ცხოვრებიდან. ცოტა ხნით თურქეთში ცხოვრობდა.

ლიტ.: F. Menges, Lossow, Otto von, Neue Deutsche Biografie, Band 15, Duncker und Humblot, Berlin 1987 S. 204-205. H. H. Hofmann, Der Hitlerputsch. Krisenjahre deutscher Geschichte 1920-1924, München 1961; K. U. Tapken, Die Reichswehr In Bayern von 1919 bis 1924, Hamburg 2002; Politisches Archiv des Auswärtigen Amtes, Georgien: R7308, R7309. Russisch Asien: R11043 bis R11047. Transkaukasien: R22340 bis R22343.

გიორგი ასტამაძე

ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე (1892, ქ. თბილისი - 29.XI.1937, თბილისი) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა თბილისში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეთა ოჯახში, ადრეული ასაკიდან შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, იყო მენშევიკური ფრაქციის წევრი, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან.



ლოსკუტოვი ანდრია

დამოუკიდებლობის პერიოდში ჩართული იყო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად, შედიოდა შრომის კომისიაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. გაემიჯნა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. 1923 მცირე ხნით იყო დაპატიმრებული. 1937 წ-ის ოქტომბერში დააპატიმრეს მავნებლობის ბრალდებით. ამავე წლის დეკემბრის ბოლოს დამნაშავედ ცნო ე.წ. „ტროიკამ“. დახვრიტეს თბილისში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბ., 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108.

ირაკლი ირემაძე

მ



მაზნიაშვილი გიორგი

მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძე (11.XII.1872, სოფ. სასირეთი, გორის მაზრ. - 1937) - გამოჩენილი ქართველი გენერალი. სამხედრო განათლების მიღების შემდეგ სამსახური დაიწყო რუსეთის არმიაში. მონაწილეობდა 1904-05 წწ-ის რუსეთ-იაპონიის ომში. დაიჭრა და მკურნალობდა პეტერბურგის ჰოსპიტალში, სადაც პირადად იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ინახულა და ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ოქროს ხმალი და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი გადასცა. 1909 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-2 პოლკის კაპიტანია. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო პოლკის მეთაური. ვარშავასთან ბრძოლების დროს მძიმედ დაიჭრა.

1917 დაბრუნდა საქართველოში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული შენაერთების ჩამოყალიბებაში. იყო ქართული დივიზიის მეთაური. გენერალი (1918). 1918 წ-ის დასაწყისში, როცა ოსმალებმა შეტევა განაახლეს და მათი შეჩერება ვერ ხერხდებოდა მათ წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლად მაზნიაშვილი დაინიშნა. მან, ჩვეული წესით, ჯერ მოსამზადებელი ღონისძიებები გაატარა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო აქტიური სამხედრო მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ გენერალი ყოველთვის უფრთხილდებოდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიცოცხლეს და სამხედრო ოპერაციებსაც შესაბამისად გეგმავდა. მაზნიაშვილმა მდინარე ჩოლოქთან შეაჩერა ოსმალთა ჯარის წინსვლა, შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა და ბათუმი გაათავისუფლა. 1918 წ-ის ზაფხულში, აფხაზეთში ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი აჯანყების შემდეგ, გ. მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და იქ მყოფი ქართული ჯარების სარდლად დაინიშნა. ივნისის მეორე ნახევარში მან კონტრშეტევა დაიწყო, გაათავისუფლა ჯერ ახალი ათონი, გუდაუთა და გაგრა, ხოლო შემდეგ ქართულმა ჯარმა დაიკავა ადლერი, 6 ივლისს - სოჭი (სოჩა). ივლისის ბოლოს ქართულმა შენაერთებმა ქალაქი ტუაფსეც დაიკავეს. აქ ქართულ ჯარს ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ეს გენერალ დენიკინის არმია იყო. მასთან შეირაღებული შეტაკების თავიდან აცილების მიზნით, მაზნიაშვილმა ტუაფსე დატოვა და უკან დაიხია. ქართულ და რუსულ მხარეებს შორის მოლაპარაკებებში გენერალი მაზნიაშვილიც მონაწილეობდა. 1918 წ-ის ნოემბრდან მაზნიაშვილი თბილისის გენერალ-გუბერნატორი იყო. სომხეთთან ომის დაწყების შემდეგ, დეკემბრის მეორე ნახევარში, მაზნიაშვილი ყველაზე მთავარი და რთული მიმართულების, შულავერი-სადახლოს ფრონტის სარდლად დაინიშნა. სათანადო მომზადების შემდეგ მისი შენაერთები შეტევაზე გადავიდნენ და გაათავისუფლეს შულავერიც და სადახლოც. ქართული ნაწილების წინსვლა 31 დეკემბრის 24 საათზე სამხედრო ოპერაციების შეწყვეტამ შეაჩერა. 1919 წ-ის დასაწყისში მაზნიაშვილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გუბერნატორია და ოსმალთა აგენტების მიერ პროვოცირებული ანტისახელმწიფოებრივი ამბოხების ჩაქრობას ხელმძღვანელობს. მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები მეტად მცირერიცხოვანი იყო, დამატებითი ძალების გაგზავნას კი გენერალი შეგნებულად არ ითხოვდა, რადგან ამ დროს სოჭის ფრონტზე დენიკინელთა შემოტევა დაიწყო და ყველაზე დიდი საფრთხე „თეთრგვარდიელთა“ აგრესია იყო, ამიტომ მთელი ძალები სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგზავნილიყო. მიუხედავად ამისა, გენერალმა მაინც შეძლო პირველ ეტაპზე გარკვეული წარმატების მიღწევა და თურქთაგან რამდენიმე დასახლებული პუნქტიც გაათავისუფლა, მაგრამ შემდგომ ვითარება შეიცვალა და ქართულმა ჯარმა ახალციხე დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ, სამხედრო მინისტრის ბრძანებით, მაზნიაშვილი თბილისში გაიწვიეს, მის ადგილზე კი გენერალი კვინიტაძე დაინიშნა. თბილისში დაბრუნებულ გენერალს აბსურდული ბრალდება, ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა წაუყენეს და ახალციხის დატოვებაც დანაშაულად ჩაუთვალეს. ძიება წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. 1920

წ-ის ოქტომბერის დასაწყისში გამართულმა სასამართლომ გენერალი გაამართლა. მთელი ამ ხნის მანძილზე გ. მაზნიაშვილი აქტიურ სამხედრო საქმიანობას ჩამოცილებული იყო. 1920 წ-ის ოქტომბერში ის თბილისის გარნიზონის უფროსად დაინიშნა. 1921 წ-ის თებერვალში თბილისთან მიმდინარე ბრძოლის დროს გენერალი მაზნიაშვილი მეთაურობდა ფრონტის ცენტრალურ - სოღანლუღის მიმართულებას. 18-19 თებერვლის ღამეს მან მძიმე მარცხი აგემა მოწინააღმდეგეს და დაატყვევა 1500 წითელარმიელი. თბილისის დატოვების შემდეგ მონაწილეობდა ოსიაურთან განხორციელებულ კონტრშეტევაში (სარდლობდა მთავარ მიმართულებას) - უღელტეხილების დაცვაში ლიხის ქედზე. დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ დაინიშნა არიერგარდის მეთაურად. წარმატებით შეაჩერა სენაკთან აფხაზეთის მხრიდან მომავალი საბჭოთა რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები და ამით მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებს ქუთაისიდან ბათუმში ევაკუაციის საშუალება მისცა. ბათუმში ჩასვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა იქ მყოფ ქართული ჯარის ნაწილებს, 1921 წ-ის 18-20 მარტს ქალაქ ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან განდევნა ქემალისტები, რის შედეგადაც ეს მხარე კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. სამხედრო სამსახური განაგრძო საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარში. იყო: ქვეითთა დივიზიის მეთური; მთავარი სამხედრი ინსპექტორი. 1923 დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებით და მიუსაჯეს დახვრეტა, რომელიც საზღვარგარეთ გასახლებით შეუცვალეს. რამდენიმე წელი ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მშობლიურ სოფელში გლეხურ მეურნეობას ეწეოდა. 1937 ჯერ მისი ვაჟიშვილი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო შემდეგ ის.

თხზ.: გ. მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, მოგონებები, ბათ, 1990.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; M. Г о г и т и д з е. Военная элита Кавказа, т. I, 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში 1918-1920 წლებში, თბ., 2014.

მიხეილ ბახტაძე

მაისურაძე ალექსანდრე (სანდრო) (1884 - 1918) **–** ქართველი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი შტაბის წევრი. ალექსანდრე დგებუაძესთან ერთად იყო სახალხო გვარდიის ფაქტობრივი მეთაურის, ვალიკო ჯუღელის უახლოესი დამხმარე და თანამებრძოლი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის არსენალის რუსული გარნიზონის განიარაღებაში 1917 წ-ის 12 დეკემბერს, 1918 წ-ის ზამთარსა და გაზაფხულზე ქართული ნაციონალური პოლკების ბოლშევიკური გამოსვლების ჩახშობაში, ოსმალური ნაწილების შეჩერებასა და 1918 წ-ის ზაფხულში აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ბოლშევიკებისაგან გაწმენდის ოპერაციაში. დაიღუპა 1918 წ-ის სომხეთ-საქართველოს ომში, ეკატერინენფელდის ბრძოლის დროს, 19 დეკემბერს. მის დაღუპვას ვალიკო ჯუღელი შემდეგნაირად იხსენებდა: „ბრძოლა უფრო და უფრო ცხარე ხასიათს იღებდა .... უცებ მოვარდა ერთი გვარდიელი და მითხრა: „სანდრო მოჰკლეს“. მე გავფითრდი! მაგრამ ცრემლების დრო არ იყო. ეს საშინელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მეომართა წყებებს, მაგრამ არ შედრკა ეს წყებები... პირიქით! კიდევ უფრო მეტის სიმტკიცით და სიძლიერით გაიწიეს წინ, გამარჯვებისაკენ“.

მაისურაძე ალექსანდრე

ლიტ.: ს. მ ა ი ს უ რ ა ძ ე (1884-1918), რაჟდენ არსენიძის რედაქტორობით, თბ., 1920.

დიმიტრი სილაქაძე

მაისურაძე ზაქარია ნიკოლოზის ძე (1891, ქარელი - 1975, ქ. თბილისი) **–** ანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1942), პროფესორი (1945). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961).

1917 დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის ნორმალური ანატომიის კათედრაზე.

1935-1948 წწ-ში იყო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგე და ფაკულტეტის დეკანი, 1959-1974 წწ-ში განაგებდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრას. მისი შრომებიდან აღსანიშნავია „ადამიანის ნორმალური ანატომია“ (1932, 1962). დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით.

მაისურაძე ზაქარია

ლიტ.: ქსე, ტ. VI, თბ., 1983. ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

მაკდონალდი ჯეიმს რამსეი (12.X.1866, მორაიშირი - 9.XI.1937, ატლანტის ოკეანე) - დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. დაიბადა შოტლანდიის აგრარულ რეგიონში, იყო ფერმის მუშისა და დიასახლისის შვილი. ელემენტარული განათლება მიიღო შოტლანდიის თავისუფალი ეკლესიის სკოლაში. ადრეულ ასაკში საზაფხულო სამუშაოებს ეწოდა ფერმაში



მაკდონალდი რემზეი

და ამასთანავე იღრმავებდა ცოდნას. ახალგაზრდობიდანვე შეუერთდა მემარცხენე მოძრაობებს, ჯერ ბრისტოლის სოციალისტურ საზოგადოებას, ხოლო შემდგომში ლონდონში განაგრძო აქტიური საქმიანობა. პარალელურად, 1880-იან წწ-ში ბაირბეკის ლიტერატურისა და მეცნიერების ინსტიტუტში საღამოს კლასებში იღებდა განათლებას ბოტანიკისა და სოფლის მეურნეობის დარგებში, თუმცა ჯანმრთელობის პრობლემების გამო, სწავლის მიტოვება მოუხდა. 1890-იანი წწ-ის დასაწყისიდან აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო, დაუახლოვდა რადიკალ ლიბერალ პოლიტიკოსებს. შემდგომში ხდება ფაბიანური საზოგადოების წევრი, თავისუფალი ჟურნალისტია და სხვადასხვა დროს, ცოდნის შევსების მიზნით, ესწრება ლექციებს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 1894 შეუერთდა ახლად შექმნილ დამოუკიდებელ ლეიბორისტულ პარტიას. 1901 არჩეულ იქნა ქალაქ ლონდონის საბჭოში. 1900 აირჩიეს ინგლისის ლეიბორისტული პარტიის მდივნად. პირველად 1906 არჩეული იქნა იყო დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრად. 1911 აირჩიეს ინგლისის ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარედ. წლების განმავლობაში იყო მემარცხენე ჟურნალის „The socialist Review" რედაქტორი. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა რადიკალური პაციფისტური მოწოდებებით და ეწეოდა ანტისაომარ პროპაგანდას.

მამედოვი ჰუსეინ

ომის შემდგომ პერიოდში აქტიურ საქმიანობას ეწოდა სოციალისტურ ინტერნაციონალში. იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში. 1920 წ-ის სექტემბერში, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, რამსეი მაკდონალდი ეწვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სიტყვით გამოვიდა საგარეჯოსა და ტყიბულის მიტინგებზე. საქართველოში ყოფნისას შეხვდა ბრიტანეთის წარმომადგენელ პოლკოვნიკ სტოუკს და საქართველოსათვის ყოველმხრივ დახმარება სთხოვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ არაერთი სტატია და მოხსენება გამოაქვეყნა. ერთ-ერთი მთავარი წერილი კი გაზეთ „ნეიშენში" გამოქვეყნდა, სადაც წერს: „საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მოახერხა ის, რაც ვერ გააკეთეს ევროპელმა სოციალ-დემოკრატებმა. მათ გაატარეს აგრარული რეფორმა; მოახდინეს ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია... შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით... თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, აპროტესტებდა აღნიშნულ ქმედებას და გარკვეულ დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილ მთავრობას. 1920-იან წწ-ში იყო თემთა პალატის ლიდერი. 1924 რამსეი მაკდონალდი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. წარუმატებელი მმართველობისა და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, 10 თვეში გადადგა, 1929-1931 წწ-ში მეორედ ჩაუდგა სათავეში ლეიბორისტულ მინისტრთა კაბინეტს, მმართველობის ეს პერიოდი „დიდ დეპრესიას" დაემთხვა და არცთუ წარმატებული გამოდგა. 1931-1935 წწ-ში ხელმძღვანელობდა ეროვნული მთავრობას, ეროვნულ ლეიბორისტული ორგანიზაციისა და კონსერვატიული პარტიის შემადგენლობით, თუმცა წარუმატებლად. 1937 ჯანმრთელობის პრობლემების გამო, საზღვაო ლაინერით გაემგზავრა სამოგზაუროდ, გარდაიცვალა ატლანტის ოკეანეში, ჩაუტარდა კრემაცია, თავდაპირველად დაკრძალეს ვესტმინისტერში, შემდეგ - მშობლიურ მხარეში.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ). თბ., 1997; გ. შ ა - რ ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბ., 2003; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920, №209, №216, №236; გაზ. „ერთობა", 1920, №211.

ირაკლი ირემაძე

მამედოვი ჰუსეინ ყული-მამედ ოღლი (1875, სოფ. იორმუღალნო, სიღნაღის მაზ. - ?) სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა აზერბაიჯანელი გლეხის ოჯახში. განათლება ოჯახში მიიღო. 1903 წ-დან იყო რსდმ პარტიის წევრი. 1904 აქტიურად მონაწილეობდა რსდმპ-ის მუსლიმური ფრაქცია „ჰუმეტის" ჩამოყალიბების პროცესში. თანამშრომლობდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან.

1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წ-ის მარტში, გიორგი ანჯაფარიძესთან, სამსონ ფირცხალავასთან და პეტრე სურგულაძესთან ერთად, აირჩიეს ახალციხის აჯანყების მიზეზების შესასწავლად შექმნილ სპეციალურ კომისიაში. აქტიურად იყო ჩართული მუსლიმი მოსახლეობისათვის პრობლემების მოგვარების საქმეში. ასრულებდა მნიშვნელოვან როლს მთავრობასა და მოსახლეობას შორის კავშირების გაბმის კუთხით. თანამშრომლობდა გაზ. „ერთობასთან", აქვეყნებდა სტატიებს ზაქათალის საკითხის გარშემო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ბიოგრაფიული ცნობები არ მოიძებნა.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბ., 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108. ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №60 .

ირაკლი ირემაძე

მამულაიშვილი არსენ ანტონის ძე (1866 - სოფ. დვაბზუ - 17.IX.1918, თბილისი) - სოციალ-დემოკრატი. თავდაპირველად განათლება ოზურგეთის სასწავლებელში მიიღო, ხოლო 1883 თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა. მოღვაწეობდა შემახაში და ნახიჩევანში მასწავლებლად. ნახიჩევანში დაავადდა, რის გამოც პედაგოგიური საქმიანობა თბილისში გააგრძელა. ასწავლიდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, 1903 ივანე გომართელთან ერთად სასწავლებელი დააარსა, რომელიც 1906 დაიხურა. ამის შემდეგ მამულაიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ვერის დაწყებით სკოლაში მუშაობდა. თავისი კვალი განსაკუთრებით ლიტერატურაში დატოვა: მის კალამს ეკუთვნის 11 მოთხრობა, განსაკუთრებით ცნობილია პირველი ნაწარმოები - „ფირალი დავლაძე“.

ა. მამულაიშვილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, თუმცა მისი სადეპუტატო საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: სსცა. ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107

ნოდარ ჩხაიძე

მანუილოვი ალექსანდრე აპოლონის ძე (1861 - 1929) **-** ეკონომისტი. 1908-1911 წწ-ში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი. 1917 რუსეთის დროებით მთავრობაში - განათლების მინისტრი. 1920 წ-ის 15 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად მოიწვია იმჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. მანუილოვი. 1924 წ-დან იყო სახბანკის გამგეობის წევრი.

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე (1891 - 1946) - ეროვნულ-დემოკრატი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. 1913 ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ისტორიის დარგში, რის შემდეგაც საქართველოში დაბრუნდა და გიმნაზიის მასწავლებლობას შეუდგა ქუთაისში. პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა ქართულ პრესაში.

ხელი მოაწერა 1918 წ-ის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გადაიხვეწა გერმანიაში. ხელმძღვანელობდა ქართულ სათვისტომოს და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ ემიგრანტებს შორის. კითხულობდა ლექციებს ბერლინის უნივერსტეტში ფილოსოფიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით. ტ. მარგველაშვილის მეუღლე იყო ასევე ქართველი ემიგრანტი, გვარად ხეჩინაშვილი. მან ვერ გაუძლო სამშობლოს მოშორებით გამოწვეულ ნაღველს და 1931 სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დარჩა მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი, უმცროსი ცნობილი გერმანულენოვანი ქართველი მწერალი - გივი მარგველაშვილი. ემიგრაციაში მყოფი ტ. მარგველაშვილი აქვეყნებდა ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ და ისტორიული ხასიათის წერილებს სხვადასხვა ემიგრანტულ გამოცემაში, გაზეთებში: „დამოუკიდებელი საქართველო“ (პარიზი, 1926-1938), „საქართველოს გუშაგი“ (პარიზი, 1932-1936), ჟურნალში - „ახალი ივერია“. მის კალამს ეკუთვნის ინგლისურ ენაზე დაწერილი, ჟურნალ „გეორგიკაში“ გამოქვეყნებული სტატია „გილგამეშისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ეპოსის ტიპოლოგიურ მსგავსებაზე. 1932 ედპ-ში მომხდარი გახეთქილების შემდეგ მიემხრო ს. კედიას ჯგუფს. ომის დამთავრების და ქალაქის ორად გაყოფის შემდეგ მარგველაშვილის საცხოვრებელი ბინა ბერლინის დასავლეთ ნაწილში, ბრიტანულ სექტორში აღმოჩნდა, რაც ტ. მარგველაშვილს უძლიერებდა იმედს, რომ კომუნისტები მათ ოჯახს ვერ შეეხებოდნენ. თუმცა ეს იმედი არ გამართლდა - 1946 ტ. მარგველაშვილი 18 წლის ვაჟთან ერთად მიიწვიეს სამშობლოდან ჩამოსული ქართველების გასაცნობად, შეხვედრისას დააპატიმრეს და ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში გადაიყვანეს. 8 თვის ტყვეობის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს. სანამ დახვრეტდნენ, ცნობილ მეცნიერს სუკ-ის სარდაფებში აწამებდნენ. 1946 წ-ის 17 ოქტომბერს ტ. მარგველაშვილი დახვრიტეს, მისმა ვაჟმა კი წელიწად ნახევარი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა, რის შემდეგაც ის საქართველოში ჩამოვიდა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108;

დოდო ჭუმბურიძე

მარკე ადრიან (6.X.1884, ბორდო - 3.II.1955, ბორდო) - ფრანგი სოციალისტი. საფრანგეთის ტრანსპორტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო მინისტრი, ქალაქ ბორდოს მერი. მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი. პროფესიით სტომატოლოგი. 1905 შეუერთდა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას. 1912 აირჩიეს ბორდოს ხმოსნად. იყო სოციალისტური პარტიის ჟირონდის ორგანიზაციის მდივანი. გამოსცემდა მემარცხენე გაზეთს - „Cri populaire”.

1920 წ-ის სექტემბერში, როგორც მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი,

მამულაიშვილი არსენ

მანუილოვი ალექსანდრე

მარგველაშვილი ტიტე

მარკე ანდრე

მარჯანიშვილი მიხეილ

იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იმოგზაურა საქართველოს რეგიონებში, 25 სექტემბერს სიტყვით გამოვიდა ქალაქ ქუთაისში გამართულ საზეიმო მიტინგზე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ აკრიტიკებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს. ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. 1925-1944 წწ-ში იყო ქალაქ ბორდოს მერი. 1934 გასტონ დიუმერჟის მთავრობაში იკავებდა ტრანსპორტის მინისტრის თანამდებობას. 1933 წ-დან გაემიჯნა ლეონ ბლუმის ხელმძღვანელობით მოქმედ სოციალისტურ პარტიას და შეუერთდა პიერ რენოდელის მიერ შექმნილ ნეოსოციალისტურ პარტიას. 1940 ფილიპ პეტენის მთავრობაში იყო ჯერ სახელმწიფო მინისტრი, ხოლო შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრი.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ), თბ., 1997; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209, №221; გაზ. „ერთობა“, 1920, №212.

ირაკლი ირემაძე

მარუაშვილი იოსებ მალაქიას ძე (1876, ქუთაისი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო. პროფესიით მიწის მზომელი.

1918 დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით შევიდა განახლებულ ეროვნულ საბჭოში. იყო ეროვნული საბჭოს სარწმუნოებათა კომისიის მდივანი. 1918 წ-ის 10 სექტემბერს ეროვნული საბჭო დატოვა. დამოუკიდებლობის პერიოდში იყო წ.კ.გ. საზოგადოების წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ მოიძებნა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127.

ირაკლი ირემაძე

მარშაკი ნიკოლოზ იაკობის ძე (15.II.1902, ტულა - 30.XII.1962, თბილისი) - რუსი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. ჭაბუკობიდანვე ეზიარა თეატრს. 1918 წ-დან მონაწილეობდა თბილისის სცენის მოყვარეთა რუსულ წარმოდგენებში, როგორც მსახიობი და რეჟისორი. მისი დიდი მეცადინეობით, 1927 წ-ის 18 აპრილს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში დაიდგა, ამერიკელი პოეტის ჰ. ლონგფელოს მიხედვით, ნ. ოგნევის პიესა „ჰაიავატა, ირიკეზების ბელადი“. ეს თარიღი იქცა ამერკავკასიაში პირველი საბავშვო თეატრის დაბადების დღედ - თბილისში ჩამოყალიბდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი. მის კვალად, 1928 შეიქმნა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრიც. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994.

მერაბ გეგია

მარჯანიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (? – 1919, თბილისი) - სუფლიორი (მოკარნახე). 1892 ქუთაისში, კ. მესხის პირველად შედგენილ დასში დაიწყო მუშაობა. ქუთაისის თეატრის დაწვის შემდეგ დასი დაიშალა. მიხეილმა ახალი დასი შეადგინა და ხარაზოვის თეატრში დაიწყო მუშაობა. 1909 წ-დან ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად. 1915 წ-დან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების წევრი. თეატრში მოღვაწეობის 10 და 20 წლის იუბილე გადაუხადეს. თარგმნა პიესები: „კაეშანი“, „ახალი სისტემა“, „მეამბოხე“, „პაულ და ანგე“. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ მისი გარდაცვალების ნეკროლოგი დაიბეჭდა.

ლიტ.: ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №9.

სალომე ჭანტურიძე

მასწავლებელთა დახელოვნების კურსები – ჯერ კიდევ ამერკავკასიის სეიმმა, 1918 წ-ის 1 მაისს თბილისში მოქმედ დახელოვნების კურსებზე მოიწვია საქართველოში არსებული სკოლების პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ ენებს, ღვთისმეტყველებასა და ისტორიას. კურსები 300 კაცზე იყო გათვალისწინებული ამერკავკასიის სამივე ეროვნების 100-100 მსმენელისათვის. ლექციებს საუკეთესო სპეციალისტები კითხულობდნენ. შემდეგში ეს კურსები გადაკეთდა ქართული ეროვნული სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებად. კურსების მსმენელებს მგზავრობის, ბინის და კვების თანხებს სახელმწიფო უნაზღაურებდა. საქართველოს ეროვნულ საბჭოში განათლების მინისტრმა შეიტანა კანონპროექტი სახალხო სკოლების მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად საზაფხულო კურსების გახსნის შესახებ. სპეციალურ მიმართვაში მინისტრი წერდა, რომ საჭირო იყო, დაარსებულიყო მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები საქართველოს 10 რაიონსა და ქალაქში. კურსების სიმრავლე აიხსნებოდა იმით, რომ უფრო ხელმისაწვდომი და ნაკლებხარჯიანი გამხდარიყო მსმენელთა მომზადება. კურსებთან ერთად, გაიხსნებოდა საცდელი სკოლები, სადაც კურსებზე მყოფი მასწავლებლები ჩაატარებდნენ საცდელ გაკვეთილებს, მიიღებდნენ პედაგოგიურ გამოცდილებას, პრაქტიკულ ჩვევებს და სათანადო მითითებებს სპეციალისტებისაგან. კუსებზე 300 მსმენელი იქნებოდა (30 თითო რაიონში). 1919 წ-ის ზაფხულში პარლამენტმა საბოლოოდ მიიღო კანონი საზაფხულო კურსების დაარსების შესახებ. შემდეგში კურსების

ქსელი თანდათან გაიზარდა - თითქმის ყველა რაიონში გაიხსნა. სახელმწიფო კურსების ორგანიზებისთვის საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდა. მაგ., 1919 წ-ის ზაფხულში თბილისის კურსებზე დაიხარჯა 236 000 მანეთი, რაც ეკონომიკური სირთულეების მქონე ქვეყანაში სოლიდური თანხა იყო. კურსები, ფაქტობრივად, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომებს ენაცვლებოდა, რადგან მისი გავლის შემდეგ სპეციალისტს ეძლეოდა გარკვეული საგნების სწავლების უფლება. კურსების დამთავრების შემდეგ მიღებული მოწმობა ასეთი იყო: მოწმობა ესე მიეცა ...ალექსანდრე გიორგის ძე მამულაშვილს, მას შინა, რომ მან მოისმინა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის ქალაქ ტფილისში 1918 წ-ის 1 აგვისტოდან ამავე წლის 1 ოქტომბრამდე გამართული კურსები და, თანახმად სამინისტროს მიერ ამ კურსების შესახებ დამტკიცებული ოქმისა, 1918 წ-ის 28 ოქტომბრიდან მას, მამულაშვილს, ენიჭება სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდება. 1920 წ-ის აგვისტოში თბილისში ჩატარდა იტალიური პედაგოგიკის სპეციალური, ე.წ. მონტესორის კურსები. განათლების სამინისტრომ სპეციალურად გამოიძახა იტალიიდან მონტესორის ერთ-ერთი მოწაფე - ლოლა კონდულ მარი, რომელიც აგვისტოში ჩამოვიდა თბილისში. მან წაიკითხა ლექციები მონტესორის სისტემაზე, რათა საქართველოს პირველდაწყებით სკოლებში გატარებულიყო ამ სისტემის ზოგიერთი ღონისძიება და პირველდაწყებითი სკოლა საბავშვო ბაღის პრინციპზე მოწყობილიყო. ღონისძიებას მრავალი თბილისელი და ჩამოსული პედაგოგი დაესწრო. ქალაქის თვითმმართველობა კმაყოფილი დარჩა იტალიელი პედაგოგის მიერ მოწყობილი სახელდახელო კურსებით. თბილისში ბევრი ისეთი კურსები გაიხსნა, რომელიც ხელს უწყობდა ქართული კადრების მომზადებას. ასეთი იყო: მედდების, საბუღალტრო, უმაღლესი საინჟინრო კურსები; საინჟინრო-სამშენებლო და საინჟინრო-მექანიკური კურსები და სხვ. კურსების დირექტორი იყო ინჟინერი გრიგოლ შარმაზანოვი. იმ მასწავლებლებს, რომლებსაც სამინისტროს სარევიზიო კომისია უწუნებდა კვალიფიკაციას, აგზავნიდნენ კურსებზე და ამით მათ ენიჭებოდათ მასწავლებლობისთვის საჭირო ცენზი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 251, საქ. 399, საქ. 959; სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 263; სცსა, ფონდი 1935, აღწ. 2, საქ. 1426; გაზ. „საქართველოს. რესპუბლიკა“, 1919, №101;

დოდო ჭუმბურიძე

მასწავლებელთა კავშირები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მასწავლებლები გაერთიანებულნი იყვნენ პროფესიულ კავშირებში. არსებობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირები. ისინი ხელმძღვანელობდნენ განათლების რეფორმის განხორციელების პროცესს და სკოლებში გაშლილ საგანმანათლებლო მუშაობას, იცავდნენ მასწავლებელთა უფლებებს, ზრუნავდნენ მათი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. მასწავლებელთა კავშირის უმაღლესი ორგანო მასწავლებელთა ყრილობა იყო. 1918 წ-ის 5 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშრის ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც დას. საქართველოში რეფორმის გატარების ფორმებს ეხებოდა. დადგენილებაში ეწერა: „1. დას. საქართველოს საშ. სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კავშირის კრება მხარს უჭერს საქ. დემოკრატ. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს რეფორმებს, აღუთქვამს მას დახმარებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, რომ საშ. სასწავლებლების მართვა-გამგეობის საკითხში, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ადგილობრივი პრობლემების მიხედვით, მაგ. ქუთაისის გუბერნიაში, დაცული იქმნეს სავსებით სკოლის ავტონომია, ე.ი. მასწავლებლების, ინსპექტორების და დირექტორების კანდიდატურას უნდა ადგენდნენ პედაგოგიური საბჭოები და ამტკიცებდეს მთავრობა. 2. დას. საქართველოს საშ. სკოლების მასწავლებელთა კავშირმა იქონია მსჯელობა ამა თვის ოქტომბრის 1918 წლის, კავშირის საერთო ყრილობაზე მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და დაადგინა: ა) მოსთხოვოს მთავრობას 3 მარტის კანონის ძალით ბოძებული დახმარების გაორმაგება, მაგრამ ვინაიდან ეს გაორკეცებული დახმარება მთავრობისა ვერ დააკმაყოფილებს მოსამსახურე პირთ, ეთხოვოს პედაგოგიურ საბჭოებს, აღმოუჩინონ მათ ყოველთვიური დახმარება დამატებითი ჯამაგირის სახით სპეციალური თანხიდან, მისი რაოდენობის მიხედვით“. წინადადება მიეცა საშ. სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს, მკაცრად დაეცვათ სკოლის ავტონომია და „არ მიეღოთ თავის წრეში მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირნი“. საქართველოს მასწავლებელთა კავშირების უმაღლესი ორგანო იყო რესპუბლიკური ყრილობა. 1920 წ-ის იანვარში თბილისის რეალური სასწავლებლის დარბაზში გაიხსნა მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობა. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო ალექსანდრე მდივანი. მასწავლებელთა კავშირის შექმნასა და მის მიერ მოწვეულ ამ ყრილობას დიდ შეფასებას აძლევდა პრესა. ყრილობამ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელა. ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს: დამფუძნებელი კრების თავ-რის ამხანაგმა სიმონ მდივანმა, დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის წარმომადგენელმა ლეო ნათაძემ, სოც-ფედერალისტმა იოსებ ბარათაშვილმა. მასწავლებელთა კავშირის მუდმივ მდივნად აირჩიეს პ. ჭანიშვილი. შეირჩა შენობა ამ კავშირისათვის, ჟურნალ „განათლების“ რედაქცია, საბავშვო და პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემელი კომისია და ლექციების წასაკითხი აუდიტორია.

ბიუროს უნდა მოეწვია კვირაში ერთი სხდომა, მისი თაოსნობით, მასწავლებელთა კავშირის საბჭოსთან დაარსდა მუდმივი პედაგოგიური ლიტერატურის კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია და ეთარგმნა პედაგოგიური წიგნები. დაარსდა საბავშვო ლიტ-ისა და ჟურნალის კომისია, რომლისთვისაც ნივთიერი დახმარება სამინისტროს უნდა გაეწია. განათლების სამინისტრომ მასწ. კავშირს 80 ათასი მანეთის დახმარება მისცა. 1920 წ-ის 24 ოქტომბერს გაიხსნა მასწავლებელთა სრულიად საქართველოს კონფერენცია. ყრილობაზე მასწავლებლებმა წამოაყენეს მოთხოვნები, რომელთა დიდი ნაწილი ხელისუფლებამ თავისი არგუმენტებით უარყო. მასწავლებელთა კავშირის საქმიანობა, მათი ყრილობები და კონფერენციები განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გამოაშკარავებასა და მოგვარებას ეხმარებოდა, ხელს უწყობდა განათლების რეფორმის განხორციელებას ქვეყანაში.

ლიტ.: დ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000; ქუთ. სახ. საისტ. არქ, ფ. 15, საქ. 3828; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №723.

დოდო ჭუმბურიძე

მაღლაკელიძე შალვა

მაღლაკელიძე შალვა ნიკოლოზის ძე (2.V.1894, დიხაშხო - 7.XI.1976, თბილისი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დასრულებაშიც ხელი შეუშალა I მსოფლიო ომის დაწყებამ. მივლინეს თბილისის იუნკერთა სასწავლებელში, რომლის დაჩქარებული კურსის დასრულებისთანავე მიენიჭა რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცრის წოდება. მსახურობდა ახალციხეში დისლოცირებულ 114-ე ქვეით პოლკში.

1917 წ-ის თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ იყო ახალციხის გარნიზონის სამხედრო პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამიერკავკასიის კომისარიატმა დანიშნა სამუსლიმანო საქართველოს სრულუფლებიან რწმუნებულად სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში. ამ თანამდებობაზე დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველ ხანებშიც. მისი გონივრული მოქმედების შედეგად, ქართულმა სახელმწიფომ იმხანად არსებულ ურთულეს ვითარებაში მოახერხა ამ ძირძველი ისტორიული მხარის შენარჩუნება. მიენიჭა საქართველოს შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკის წოდება. სხვადასხვა დროს მსახურობდა ახალციხის, თბილისისა და აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, რევკომის გადაწყვეტილებით, დააპატიმრეს და მოათავსეს ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ მეტეხის ციხეში. გათავისუფლების შემდეგ მოახერხა ემიგრაციაში წასვლა. 1923 თავის მეუღლესთან, რიგელ გერმანელ მარია გრასისთან და ვაჟიშვილ გაიოზთან ერთად ლატვიაში დასახლდა. იყო რიგაში ჩამოყალიბებული ქართული და კავკასიური საზოგადოებების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პრაღის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მუშაობდა რიგის ერთ-ერთ ბანკში იურისტკონსულტად. 1934 წ-დან საცხოვრებლად გადავიდა პარიზში. იყო დამფუძნებელი და ხელმძღვანელი არაერთი ემიგრანტული ორგანიზაციისა, მათ შორის „თეთრი გიორგისა“. ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. მის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა გერმანიის მხარდაჭერით. II მსოფლიო ომის პერიოდში იყო გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველი, ბერლინში მოქმედი ქართული ეროვნული კომიტეტისა და ქართული სამოკავშირეო შტაბის წევრი. მისი თაოსნობით დაღუპვას გადაურჩა ათასობით ქართველი სამხედრო ტყვე, საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი. ხელმძღვანელობდა ქართულ ლეგიონს, რომელიც სსრკ-ის წინააღმდეგ მებრძოლი გერმანული არმიის შემადგენლობაში შეიქმნა. ქართველ ლეგიონერებთან ერთად, ბრძოლით მოაღწია საქართველოს საზღვრამდე, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში შემავალ ურუხის ხეობამდე, რომელიც მამისონის უღელტეხილის მახლობლად მდებარეობს. სტალინგრადთან გერმანელთა მარცხის შემდეგ დაბრუნდა გერმანიაში, სადაც განაგრძო ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა. 1944 წ-ის 17 ივლისს მიენიჭა ვერმახტის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. ომის დასრულების შემდეგ რომში დასახლდა. სამხედრო მრჩევლად მსახურობდა: ორგანიზაციაში „ხმელთაშუა ზღვის პაქტი“ (1948-1950), პაკისტანის მომავალ პრეზიდენტ აიუბ-ხანთან (1950-1952), დასავლეთ გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერთან (1953-1954). 1954 წ-ის დასაწყისში თავის ვაჟთან გაიოზთან ერთად ჩამოაყალიბა ორგანიზაცია: „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“. იმავე წლის 2 აგვისტოს, დასავლეთ ბერლინში მყოფი, დაატყვევეს სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა და იძულებით გადაიყვანეს ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ თბილისში. მსახურობდა ადვოკატად, ხოლო შემდეგ იურისტად საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობაში. გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე. შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების არქივი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლიტ.: შ. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე, მოგონებები, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და

შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 2012; Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

მაღნარიძე გიორგი ისიდორეს ძე (?-?) – იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. იყო ქმწგ საზოგადოების ნამდვილი წევრი.

1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია. 1920 წ-ის 19 ნოემბერს, საკუთარი განცხადების საფუძველზე, დამფუძნებელმა კრებამ სენატორის უფლებამოსილება შეუწყვიტა.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921). თბ., 2004.

ბექა ქანთარია

მაყაშვილი აბელ (ბალო) გაბრიელის ძე (6.VI.1860 - 1920) - სამხედრო მოსამსახურე. დაამთავრა ყაზანის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. პრაპორშჩიკი (1880). პოდპორუჩიკი (1881). პორუჩიკი (1885). შტაბსკაპიტანი (1890). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა. კაპიტანი (1895). პოდპოლკოვნიკი (1905). პოლკოვნიკი (1910). დაინიშნა ქვეითთა 185-ე პოლკის უფროსად. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წ-დან მე-14 პოლკის მეთაურია. გენერალ-მაიორი (1915). გრენადერთა მე-16 პოლკის უფროსი. 1917 - ჯერ კავკასიის გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაური, შემდეგ -დივიზიის მეთაური. დაჯილდოებული იყო - წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის და წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1918 წ-დან ქართულ ჯარშია. 1918 სომხეთთან ომის დროს იყო ახალქალაქ-ახალციხის მაზრის გენერალ-გუბერნატორი და ახალქალაქის ფრონტის სარდალი. 1919 წ-დან სამსახური განაგრძო აზერბაიჯანის რესპუბლიკის არმიაში. იყო ქვეითთა მე-2 დივიზიის უფროსის თანაშემწე. 1920 დაინიშნა განჯის სამხედრო სკოლის უფროსად. დაიღუპა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1 2007.

მიხეილ ბახტაძე

მაყაშვილი კონსტანტინე ზაქარიას ძე (26.XI.1876, სოფ. იყალთო, თელავის მაზრა - 29.VIII.1927, წაღვერი). ქართველი პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე (1917-1927). მამის გარდაცვალების შემდგომ (1880-1883) სამი წელი გაატარა დაბა სარიყამიშში, სამხედრო სამსახურში მყოფ ძმებთან. განათლება მიიღო თბილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიასა (1888-1895) და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებზე (1895-1900). უნივერსიტეტიდან გარიცხეს სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქართული გიმნაზიის მასწავლებლად, შემდგომ - სათავადაზნაურო ბანკში შემფასებლად (1915 წ-დან იყო დირექტორი). მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში.

1917 წ-დან იყო მწერალთა კავშირის შექმნის ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე. 1918 იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს გერბის, ჰიმნისა და დროშის დამტკიცების პროცესში. 1919 წ-ის დამფუძნებელი კრების არჩევნებში გამოდიოდა „უპარტიოთა კავშირის“ სიით, 1921 აღნიშნული პარტია, ედპ-სა და სხვა მემარჯვენე ძალებთან ერთად, „დემოკრატიულ პარტიად“ გაერთიანდა. 1918 დააარსა ხელოვანთა ცენტრი, 1921 აირჩიეს ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარედ. მონაწილეობდა არაერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში (ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების გამგეობა, ქართული ფილარმონიული საზოგადოება, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება). გაერთიანებული იყო ქართველ მწერალთა „აკადემიურ ჯგუფში“. ქალიშვილის - მარო მაყაშვილის - ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ დაავადდა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: სსცა. ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107.

ბონდო კუპატაძე

მაყაშვილი აბელ

მაყაშვილი მარო

მაყაშვილი
კონსტანტინე

მაყაშვილი მარიამ (მარო) კონსტანტინეს ასული (25.VIII.1902, თბილისი - 1 9.II.1921, თბილისი) - საქართველოს ეროვნული გმირი. დაამთავრა ქალთა ქართული გიმნაზია და სწავლა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე განაგრძო. წითელი არმიის შემოჭრის დღეებში 19 წლის სტუდენტი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წითელ ჯვარში ჩაეწერა მოწყალების დად და შეუერთდა კოჯრისკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს. 19 თებერვალს ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში. დაკრძალულია ქართველ იუნკრებთან ერთად ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში (ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობის ტერიტორია რუსთაველის გამზირზე). შემორჩენილია მაყაშვილის დღიურები და წერილები. მარო მაყაშვილის პატივსაცემად, ზაქარია ფალიაშვილმა თავისი ოპერის დაისის მთავარ გმირს მისი სახელი - მარო - დაარქვა. 2015 წ-ის 24 დეკემბერს მარო მაყაშვილს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

ლიტ.: მ ა რ ო მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. დღიური (1918-1920), გამომც. ლ. ბაქრაძე, გიორგი ლეონიძის სა-

ხელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2014.

მანანა ლილუაშვილი



მაჩაბელი მიხეილ

მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე (15.XI. 858, თბილისი - 1927, თბილისი) - ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. 1878 დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი. უმაღლეს განათლებას დაეუფლა მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, თუმცა დიპლომი არ მიუღია, რადგან სტუდენტურ მღელვარებაში მონაწილეობისათვის სასწავლებელიცა და მოსკოვიც დაატოვებინეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1883 წ-დან მუშაობდა თბილისის თვითმმართველობის საფინანსო განყოფილებასა და სავაჭრო ზედამხედველთა უწყებაში, ასევე, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში. 1887-1892 წწ-ში იყო თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. თანამშრომლობდა გაზეთებთან „ივერია“ და „კავკაზი“. 1899 წ-დან იყო გლეხკაცთა მიწათმომწყობი პარტიის მთავარ-გამგე. მისი ინიციატივით, 1907 თავადაზნაურობამ დააარსდა საადგილმამულო კომისია ყოფილ ყმაგლეხთათვის მიწის შეძენა-დამუშავებაში ხელშესაწყობად. 1907-1911 წწ-ში იყო ამ კომისიის თავმჯდომარე. 1909 და 1915 წწ-ში საქართველოს თავადაზნაურობის მიერ ორჯერ იყო არჩეული ამომრჩევლად სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა ყრილობებზე სახელმწიფო საბჭოს წევრთა ასარჩევად. 1914-1921 იყო ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე. რედაქტორობდა გაზეთ „ზაკავკაზიეს“. წერდა ფსევდონიმით „თბილისელი“. მიღებული ჰქონდა რუსეთის მაღალი საიმპერიო ორდენები და მედლები (სტანისლავის, ანას, ვლადიმირის). აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა კავკასიის გეოგრაფიულ და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებში; იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული დრამატული საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საზოგადო კრების წევრი, კახეთის რკინიგზის მშენებლობის კომისიის წევრი და სხვ.

1917 წ-დან მ. მაჩაბელი შედიოდა კავკასიის ლტოლვილთა მომწყობ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტში. 1917 წ-ის ივნისში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნაში. იმავე წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ აირჩია საკათალიკოსო საბჭოს წევრად. 1917 წ-ის ნოემბერში იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი. ეროვნული საბჭოს გაფართოებისას, 1918 წ-ის მაისში, ედპ-ის სიით აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად, სათავეში ედგა საბჭოს სარწმუნოებათა კომისიას. მალე მ. მაჩაბელმა ედპ-ის მთავარ კომიტეტთან შეთანხმებით, უარი განაცხადა საბჭოს წევრობაზე დ. ვაჩნაძის სასარგებლოდ. მ. მაჩაბელი იყო ამიერკავკასიის სეიმის სპეციალური კომისიის წევრი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიული გამიჯვნის მიზნით შეიქმნა. 1918 წ-ის სექტემბერში მონაწილეობდა ედპ-სგან გამოყოფილი დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბებაში. ამ ფრაქციის ბაზაზე წარმოიშვა საქართველოს ეროვნული (იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული) პარტია, რომლის პირველ კონფერენციაზე, 1920 წ-ის ოქტომბერში, მ. მაჩაბელი მთავარი კომიტეტის წევრად აირჩიეს.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ მ. მაჩაბელი სამშობლოში დარჩა, ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და მუშაობა დაიწყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, შინამრეწველობის განყოფილების გამგედ. 1923 სამსახურიდან გაათავისუფლეს, თუმცა მომდევნო წელს იმავე თანამდებობაზე აღადგინეს. იყო საქართველოში ხელოსნური მრეწველობის კოოპერაციის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილე. მას, როგორც სპეციალისტს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დარგის აღორძინებისა და ორგანიზაციის საქმეში. ავტორია წიგნისა „გამოკვლევა თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრებისა“ (თბ., 1887, რუსულ ენაზე). ჰყავდა მეუღლე - ანა ერისთავი და ერთი ვაჟი. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე , ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

მაჭავარიანი ალექსანდრე

მაჭავარიანი ალექსანდრე გიორგის ძე (1884, ბათუმი - 1941) – ქირურგი, საქართველოში კლინიკური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი (1919). 1910 დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. 1911 მოაწყო ექსპედიცია სვანეთში ჩიყვის შესასწავლად და, ამ მასალაზე დაყრდნობით, 1914 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. 1914-1918 წწ-ში მონაწილეობდა I მსოფლიო ომში.

1919 დაიწყო მუშაობა თბილისში, ამიერკავკასიის ჰოსპიტალში ქირურგ-კონსულტანტად. 1919 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე დააარსა (და ხელმძღვანელობდა) ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრა.

1927-1928 წწ-ში იყო თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, 1937-1941 წწ-ში - თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი

და, ერთდროულად, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე. ა. მაჭავარიანი იკვლევდა ფარისებრ ჯირკვალს, ბრმანაწლავს, სწორი ნაწლავის კიბოს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებებს და ა. შ. გამოცემული აქვს არაერთი ნაშრომი ქართულ ენაზე: „მუცლის ღრუს ქირურგია“ (1925), „კიდურთა ქირურგია“ (1932), „თავის, კისრის, გულმკერდის ქირურგია“ (1932) და სხვა.

ლიტ.: ს. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე, „ალექსანდრე მაჭავარიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1956.

მანანა ლილუაშვილი

მაჭავარიანი დავით მიხეილის ძე (30.VIII.1864 - 15. VII.1924) - გენერალი. დაწყებითი განათლება მიიღო რეალურ სასწავლებელში. დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1888). პორუჩიკი (1892). შტაბ-სკაპიტანი (1900). კაპიტანი (1901). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა. მსახურობდა ლაიბ-გრენადერთა მე-13 პოლკში. პოდპოლკოვნიკი (1913). პოლკოვნიკი (1915). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1916-1917 წლებში ჯერ 490-ე პოლკის უფროსია, შემდეგ - სახალხო ლაშქრის 37-ე ბრიგადის მეთაური. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ხმლებით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში. გენერალი (1919). დაიღუპა 1924 რეპრესიების დროს.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

მაჭავარიანი იოსეპ ივანეს ძე (1877, სოფ. ახაშენი, სიღნაღის მაზრა - 21.IV.1938) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა აზნაურის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1898 შეუერთდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, იყო თბილისის კომიტეტის აქტიური წევრი. 1905 მიემხრო რსდმ პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. მეფის რეჟიმმა 1908 დააპატიმრა, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თელავის კომიტეტის თავმჯდომარე.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან, 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად, საქმიანობდა აგრარულ კომისიაში. ეწეოდა პროპაგანდისტულ საქმიანობას კახეთის მაზრებში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ჩაბმული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობაში. მუშაობდა ადვოკატად. სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ყვარელში. დახვრიტეს ე.წ. „ტროიკის“ განაჩენის საფუძველზე.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016. სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108.

ირაკლი ირემაძე

მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე (3.XI.1873, სოფელი ილემი, შორაპნის მაზრა - 17.IX.1937, თბილისი) - იურისტი, ნაფიცი ვექილი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. დაასრულა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩაერთო საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ საქმიანობაში, თანამშრომლობდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. 1909 წ-დან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. მონაწილეობდა ლიტერატურულ გასამართლებებში. დ. ერისთავის პიესის „სამშობლო“ გმირების გასამართლებაზე მის მიერ ქართულ თეატრში წარმოთქმული სიტყვა 1910 დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის შემდეგ დაუახლოვდა ეროვნულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას.

მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე

1917 წ-ის ივნისში, ედპ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე, აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წევრად, ასევე, ედპ-ს თავმჯდომარის მოადგილედ. აგვისტოში, როგორც ედპ-ის წარმომადგენელი, მონაწილეობდა მოსკოვის დემოკრატიული თათბირის მუშაობაში, იმავე წლის სექტემბერში დაესწრო კიევში გამართულ ერთა წარმომადგენლების ყრილობას და წარმოთქვა სიტყვა. მან ორივეგან საქართველოს პოლიტიკური უფლებების აღდგენა მოითხოვა. ი. მაჭავარიანი შედიოდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს შემადგენლობაში. საბჭოს მეორე გაფართოებისას, 1918 წ-ის ოქტომბერში, ედპ-ის სიით გახდა ეროვნული საბჭოს წევრი, არჩეული იყო საბჭოს მუდმივმოქმედ იურიდიულ კომისიაში. 1919 წ-ის თებერვალში, ედპ-ის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად, იყო კრების იურიდიული კომისიის წევრი. 1921 წ-ის იანვარში, ედპ-სა და მისგან გამოყოფილი ორგანიზაციების გაერთიანებისას, აირჩიეს გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად.



მაჭავარიანი იოსებ ივანეს ძე

1921 საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას, უცხოეთში არ გახიზნულა, სამშობლოში დარჩა და ძირითადად საადვოკატო მუშაობას ეწეოდა. 1922 კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. 1923 სხვა ცნობილ

ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად, აიძულეს, ხელი მოეწერა დეკლარაციაზე, რომელიც პარტიის ლიკვიდაციისათვის კონფერენციის მოწვევას ითვალისწინებდა. კონფერენცია 1923 წ-ის 28 ოქტომბერს გაიმართა და ედპ დაშლილად გამოაცხადა. ამის შემდეგ ი. მაჭავარიანი მთლიანად ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 1928 საიდუმლო-პოლიტიკურმა განყოფილებამ ეჭვი შეიტანა კომუნისტური ხელისუფლებისადმი ი. მაჭავარიანის ლოიალობაში და იგი ისევ დააპატიმრა. ძიება დიდხანს გრძელდებოდა, თუმცა არასაკმარისი ბრალდების გამო, 1934 სისხლის სამართლის საქმე შეწყდა და გაათავისუფლეს. 1937 ხელახლა დააპატიმრეს. საქმე სსრკ სამხედრო კოლეგიამ განიხილა. ძიების საქმის შენიშვნაში აღნიშნულია: „გადის საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საიდუმლო განყოფილებაში, როგორც საგანგებო რაზმელი“. რეპრესირებულთა სია, რომელშიც შეტანილია ი. მაჭავარიანის გვარი და რომელთა სიკვდილით დასჯის თაობაზე თანხმობას ხელს ი. სტალინი, ვ. მოლოტოვი და ლ. კაგანოვიჩი აწერენ, 1937 წ-ის 10 აგვისტოთი თარიღდება. სამხედო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ი. მაჭავარიანი 1937 წ-ის 17 სექტემბერს დახვრიტეს. საფლავი უცნობია, ცნობა არ მოიპოვება არც მისი რეაბილიტირების შესახებ. ი. მაჭავარიანი ავტორია ნაშრომისა: „სამი სიტყვა - თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა“ (თბ., 1905).

ლიტ.:ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე , ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონულ მონაცემთა ბაზა] /ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში – HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი – INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION (IDFI), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“, საქართველოში შვეიცარიის საელჩო – Embassy of Switzerland in Georgia, 2013.

ოთარ ჯანელიძე

მაჭავარიანი მიხეილ

მაჭავარიანი მიხეილ (20.II.1888, ქუთაისი - 1969) – სამხედრო პირი. დაიბადა ოფიცრის ოჯახში. 1907 წელს დაამთავრა სუვოროვის კადეტთა კორპუსი. 1910 დაამთავრა საარტილერიო სასწავლებელი, მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადაში. 1915 დაასრულა სევასტოპოლის სამხედრო-საავიაციო სკოლა. პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. რუსულ არმიაში მხოლოდ მან შეძლო კავკასიის ფრონტზე საჰაერო ბრძოლაში მოწინააღმდეგის აეროპლანის ჩამოგდება. პირველ მსოფლიო ომში მის ანგარიშზე მრავალი წარმატებულად შესრულებული საბრძოლო დავალებაა, რომელიც მოიცავდა როგორც მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვრევას, ასევე დაბომბვას. მას მიღებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის მრავალი ორდენი: წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი, წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხსი ორდენი - საავიაციო სკოლის დამთავრებისათვის, წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი - განსაკუთრებული საქმიანობისათვის საომარ ვითარებაში, წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი - სიმამაცისათვის, ასევე, წმინდა ანას მესამე და წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხსი ორდენები. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ქართულ ავიაციას. მისი მეთაურობით ქართული არმიის საფრენი აპარატები დაფრინავდნენ და მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო მოქმედებებში, მაგალითად სომხეთ-საქართველოს 1918 წ-სა და რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომებში. მიხეილ მაჭავარიანის სახელთანაა დაკავშირებული (1920) იტალიაში, ტურინში, ანსალდოს ქარხანაში ათი უახლესი SVA-10 ტიპის აეროპლანის შეძენის ისტორია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მიხეილ მაჭავარიანი - ქართული წითელი არმიის საავიაციო დივიზიონს, საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ კი სხვადასხვა ცალკეულ საავიაციო რაზმს მეთაურობდა. 1924 წ-ის აჯანყების დროს იბრძოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ. 1929 ავადმყოფობის გამო წითელი არმიის თადარიგში გავიდა, მაგრამ 1960 წ-დე მსახურობდა სამოქალაქო ავიაციაში სხვადასხვა თანამდებობაზე.

ლიტ.: Михаил Мачавариани, Глаза - На Юг, Тб., 1969; დ. ს ი ლ ა ქ ა ძ ე, ერთი საჰაერო ბრძოლის ისტორია, მიხეილ მაჭავარიანი თურქული ავიაციის ლეგენდის ვეჩიჰი ჰურკუშის წინააღმდეგ, ისტორიანი., თბ., 2013, №12 (36);

დიმიტრი სილაქაძე

მაჭავარიანი ნიკოლოზ გიორგის ძე (?-?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. ქშწკგ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ნამდვილი წევრი. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სენატორად იყო ქუთაისის სასამართლოს წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

მაჭავარიანი სვიმონ როსაპის ძე (?-?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატი (წევრი ?). 1917 წ-ის ნოემბერში ახლად შექმნილი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელდა. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. დამოუკიდებლობის პერიოდში ხელმძღვანელობდა კოოპერატივების კავშირს. აქტიურად იყო ჩართული საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის რეფორმირების საქმეში. იყო ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, თბ., 2000; გაზ. „ერთობა“, 1919, №117.

ირაკლი ირემაძე

მაჭარაძე პოლიკარპე ნიკოლოზის ძე (1878, სოფ. ივანდიდი, ხონის საზოგადოება - ?) – სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. მხატვარი. დაიბადა გლეხის ოჯახში. ერთი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა. წერა-კითხვა ისწავლა სოფლის დიაკვანთან. შემდგომში სწავლა გააგრძელა ორკლასიან სკოლაში, თუმცა ოჯახის უსახსრობის გამო სწავლის მიტოვება მოუხდა. 14 წლის ასაკიდან დაიწყო მუშაობა თბილისის რკინიგზის სახელოსნოში. 1895 წ-დან დაუახლოვდა „მესამე დასს“. საუკუნის მიწურულს ქ. ბაქოში კეცხოველთან ერთად მოაწყო არალეგალური სტამბა. შემდგომში დაბრუნდა სამშობლოში. პარტიის დავალებით, 1901 წ-ის მუშათა გამოსვლებისას დახატა წითელი დროშა მარქსის, ენგელსისა და ლასალის ფოტოებით. 1902 დააპატიმრეს და გაასახლეს ხონში. მეორედ 1903 დააპატიმრეს და 3 წლით გადაასახლეს. 1905 შეეხო ამნისტიის აქტი და დაბრუნდა თბილისში. 1906 მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოში. 1907 კვლავ დაიჭირეს და გადაასახლეს, თუმცა გაპარვა შეძლო და არალეგალურ საქმიანობას მიჰყო ხელი. 1914 კვლავ დაიჭირეს.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა აქტიურ პარტიულ მუშაობას. იყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში იყო რკინიგზის მუშათა გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი. 1918 სოციალ-დემოკრატების სიით შევიდა ეროვნულ საბჭოში. იყო ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1918 წ-ის 15 ოქტომბერს ეროვნული საბჭო დატოვა. 1919 წ-ის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე კენჭს იყრიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, თუმცა დეპუტატის მანდატი ვერ მოიპოვა. პარტიულ სიაში 129-ე ადგილი ეკავა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომი პერიოდის ცნობები არ მოიძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 1919, 127; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკ“ა, 1920. №263.

ირაკლი ირემაძე

მაჭუტაძე გიორგი მიხეილის ძე (1874, აგვისტო - 1922) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატი. დაიბადა აზნაურ მიხეილ ბეჟანის ძე მაჭუტაძის ოჯახში. 1921 წ-ის იანვრიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საპატიო კონსული ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში. საპატიო საკონსულო მდებარეობდა ქალაქ რიგაში. დაკრძალულია ამავე ქალაქში მდებარე სასაფლაოზე (Покровское кладбище). ამის შესახებ 13 აგვისტოს იუწყებოდა რიგაში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთი „Сегодня“. ჰყავდა ორი ვაჟი - დიმიტრი და ალექსანდრე მაჭუტაძეები.

ლიტ.: Н. Д ж а в а х и ш в и ли, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

მახარაძე გერასიმე თომას ძე (1881, სოფ. გომი, ოზურგეთის მაზრა - 13.IX.1937) - სოციალ-დემოკრატი, დიპლომატი, მუშაობდა სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე. მიიღო საშუალო განათლება, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. იყო რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.

მახარაძე გერასიმე

1918 დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ. იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. პარლამენტის დეპუტატობასთან ერთად, იყო თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მის მიერ პარლამენტში რამდენიმე კანონპროექტი იქნა შეტანილი. 1919 წ-ის 27 ივლისს გ. მახარაძე დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენლად. სომხეთის პარლამენტის 4 სექტემბრის სხდომაზე თავმჯდომარე მიესალმა მახარაძეს და მწუხარება გამოთქვა წინა წლის სამხედრო კონფლიქტის გამო საქართველო-სომხეთს შორის. 1920 წ-ის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად, ორივე ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობები გაიხსნა: საბჭოთა რუსეთში საქართველოს ელჩად გ. მახარაძე დაინიშნა. სამხედრო ატაშე იყო ანტონ ნაცვლიშვილი. საქართველოსთვის ამ ურთულეს პერიოდში მახარაძე ყველა დიპლომატიურ ხერხს იყენებდა მტრულად განწყობილი რუსი პოლიტიკოსების დასარწმუნებლად, რომ საქართველო არასოდეს მისცემდა ანტანტის ქვეყნებს პლაცდარმს რუსეთზე თავდასასხმელად, რომ მისი ქვეყანა დემოკრატიულ პრინციპებს არ დაარღვევდა. აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოებამ კიდევ უფრო მეტად დაძაბა ვითარება ამიერკავკასიაში, წარმოიქმნა დავა საზღვრებზე. სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობების მხრიდან წამოყენებულ პრეტენზიებზე არბიტრობას რუსეთი ახორციელებდა, რის გამოც მახარაძე კონკრეტულ საკითხებზე რამდენჯერმე შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ გიორგი ჩიჩერინსა და მის მოადგილე კარახანს. 1920 წ-ის დეკემბერში კიდევ უფრო დაიძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. 13 დეკემბერს, დღის 3 საათზე, გ. მახარაძე



მახარაძე ფილიპე

შეხვდა ლენინს. შეხვედრას დაესწრნენ: მახარაძის მრჩეველი კონსტანტინე ქავთარაძე და რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი აბელ ენუქიძე. მწვავე კამათი გაიმართა, ლენინმაც და ქართველმა ელჩმაც წარმოადგინეს საკუთარი არგუმენტები კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე, ლენინის აზრით, საქართველო ჩაითრია ანტანტამ, რომ იგი მხარს უჭერდა ვრანგელს და მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა რუსეთის მიმართ, აფერხებდა სარკინიგზო ტვირთების გატარებას სომხეთ-აზერბაიჯანისაკენ და სხვ. ყველა ბრალდებას მახარაძემ დასაბუთებულად უპასუხა. საბოლოოდ, ლენინმა ითხოვა ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე პირდაპირ მისგან ინფორმაციების მიღება, დაჰპირდა, რომ რუსეთი საქართველოს დამუკიდებლობას არ ხელყოფდა და შეასრულებდა 7 მაისის ხელშეკრულებას. მომდევნო დღეებში ჩიჩერინის ნოტაში ეწერა, რომ მახარაძე ცდილობდა ორი სახელმწიფოს ურთერთობის დარეგულირებას, თავად კი ამის პირობად გარკვეული მოთხოვნების შესრულებას აყენებდა. მიუხედავად ამისა, 1921 წ-ის 11 თებერვალს დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. მახარაძე იმ დღეებში კრემლში გამოკეტეს, გადაუჭრეს რადიო-სატელეფონო კავშირი და ისე გასაბჭოვდა საქართველო, რომ ქართველ ელჩს არ გაუგია.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წ-ის 14 ივნისს, გ. მახარაძე დააპატიმრეს კონტრრევოლუციური ბრალდებით, თუმცა მალევე გაათავისუფლეს, რადგან ბრალი არ დაუმტკიცდა. მიუხედავად იმისა, რომ დატოვა სოციალ-დემოკრატიული პარტია, მასზე მაინც მიმდინარეობდა თვალთვალი. 1937 წ-ის 4 აპრილს ის დააპატიმრეს. სამხედრო კოლეგიამ ბრალდებად წაუყენა, რომ ის იყო „მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა მენშევიკურ საქმიანობას“. მის გასამართლებაში მონაწილეობდნენ სამხედრო კოლეგიის წევრები: მატულევიჩი, ზარიანოვი, ჟიგური, კოსტიუშკო. სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის 1937 წ-ის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით, გ. მახარაძეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. 14 სექტემბერს დახვრიტეს. მისი გვარი დასახვრეტთა ორ სტალინურ სიაში იყო შეტანილი (1937 წ-ის 26 ივნისის და 10 აგვისტოს სიებში), რომელსაც ხელს აწერდნენ სტალინი, მოლოტოვი და კაგანოვიჩი.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 ივლისი, 1919; სცსა, ფ. 1864, აღწ. 1, საქ. 59, 100, 190; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 სექტემბერი, 1919; დ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს. -ის დასაწყისში: 1918-1921 წლები“, თბ., 2003.

დოდო ჭუმბურიძე

მახარაძე ფილიპე ესეს ძე (9.III.1868, სოფ. შემოქმედი, ოზურგეთის მაზრა - 10.XII.1941, თბილისი) - სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ვეტერანი, რევოლუციონერი, ბოლშევიკი, ეროვნული მოძრაობის დაუძინებელი მოწინააღმდეგე. სწავლობდა ოზურგეთისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში, 1891 წ-დან ვარშავის ვეტერინარიულ ინსტიტუტში, თუმცა უკანასკნელი ორი არ დაუსრულებია. სტუდენტობის პერიოდიდან აქტიურად ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, რისთვისაც 1893 დააპატიმრეს და საქართველოში დაბრუნეს, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. 1890-იანი წწ-ის მეორე ნახევარში ის ჯერ „მესამე დასშია“, ხოლო შემდეგ იზიარებს და ერთიანდება რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიული დასის შემადგენლობაში. 1901 აპატიმრებენ თბილისში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. 1903 წ-დან ემხრობა ბოლშევიკებს და შედის რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში. 1905 მან თარგმნა და გამოაქვეყნა ვ. ლენინის ნაშრომი „სოფლის ღარიბებს“. იყო ორკვირეული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის „მოგზაურის“ ფაქტობრივი რედაქტორი (1905), რომელმაც ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რათა რევოლუციურად განწყობილი გლეხობის თვალში შეექმნათ მტრის ხატი ილიას სახით. ამ მიზანს მან მიაღწია, რადგან ი. ჭავჭავაძის მკვლელობა განხორციელდა სოციალ-დემოკრატიულად განწყობილი „წითელი რაზმის“ წევრთა მიერ, ხოლო ფ. მახარაძეს დაუმკვიდრდა ილიას ინტელექტუალური მკვლელის სახელი. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, ხოლო 1911 გადაასახლეს ასტრახანში. 1913 ბაქოში რედაქტორობდა ქართულ გაზ. „ჩვენ წყაროს“. 1915 აირჩიეს რსდმპ კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში.

1917 წ-დან იყო თბილისის საბჭოს ერთ-ერთი ორგანიზატორი. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ იყო რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი და მტკიცედ ასრულებდა საბჭოთა რუსეთიდან მომდინარე მითითებებს. იგი მწვავედ დაუპირისპირდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას და, ფაქტობრივად, იყო მეხუთე კოლონის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1919 წ-ის თებერვალში არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების ორგანიზებას, რაც მარცხით დამთავრდა. ნოემბერში ფ. მახარაძე დააპატიმრეს, მაგრამ 1920 წ-ის თებერვალში მეტეხის ციხიდან გაიქცა. 1921 წ-ის 16 თებერვალს ფ. მახარაძე, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა, დაინიშნა ე. წ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ და უკვე ოფიციალურადაც გახდა მეხუთე კოლონის მეთაური, რომელმაც საკუთარი ქვეყნის დასაპყრობად მოიწვია უცხო სახელმწიფოს ამ

შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის, არმია. 1921 წ-ის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ რევკომის წევრები, პირველ რიგში კი - ფ. მახარაძე, „აღიარებულ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებად“.

1921 წ-დან ფ. მახარაძე იყო დაპყრობილ-გასაბჭოებული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი-მარიონეტი; 1922 წ-დან სხვადასხვა დროს იყო: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე; საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ. ფ. მახარაძე, როგორც ფანატიკური იდეალისტი, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა არმიები მალე დატოვებდნენ ქვეყანას და საქართველო იქნებოდა დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მის გულუბრყვილო უტოპიურ იდეას არაერთხელ ელოდა გაკოტრება. ჯერ კიდევ 1921 იგი - ვ. ლენინის და შემდეგ კი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისთვის გაგზავნილ წერილებში წუხილს გამოთქვამდა, რომ საბჭოთა არმიის შემოსვლა იყო საქართველოს ოკუპაცია და გარედან დაპყრობა, ხოლო რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები - რკპ-ის კავკასიის ბიურო და არმიის ხელმძღვანელობა ისე განაგებდნენ ქვეყანას, რომ არაფერს ეკითხებოდნენ ადგილობრივ ქართველ ბოლშევიკებს და ხელისუფლებას. 1921-1922 წწ-ში იგი მეთაურობდა ქართველი ბოლშევიკების გამოფხიზლებულ ოპოზიციას, ნაციონალ-უკლონისტებს, რომლებმაც სცადეს, შეენარჩუნებინათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით შესულიყვნენ საბჭოთა კავშირში. ნაციონალ-უკლონისტები დამარცხდნენ და მათი უმეტესობა რეპრესიებს შეეწირა. ფ. მახარაძე გადარჩა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში მის კიდევ ერთ ფუნდამენტურ იდეას ელოდა გაკოტრება - 1937 მოხდა მისთვის საძულველი ილია ჭავჭავაძის სახელის რეაბილიტაცია, ხოლო 1941-1942 წწ-ის დეკემბერ-იანვარში მოეწყო ილიას ერთ-ერთი მკვლელის, ბერბიჭაშვილის გასამართლება. ნიშანდობლივია, რომ ფ. მახარაძე სასამართლომდე ორი კვირით ადრე გარდაიცვალა. თავდაპირველად დაკრძალული იყო მთაწმინდის პანთეონში, ილიას საფლავის გვერდით. საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს ფ. მახარაძის საფლავი უცნობმა პირებმა ააფეთქეს, ხოლო 1989 მთაწმინდიდან გადაიტანეს ხუდადოვის სასაფლაოზე.

თხზ.: ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. 1-8, ტფ., 1924-31.

ლიტ.: ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1958; ნ. გ რ ი გ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, თანამდევი სული, ტ. II, თბ., 2011.

დიმიტრი შველიძე

მგალობლიშვილი მიხეილ (1887, ქ. ვენა - 1931) - ექიმი, გინეკოლოგი. დაამთავრა ვენის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, 1914-1919 წწ-ში მუშაობდა იქვე მეან-გინეკოლოგად.

1920 წ-დან მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის გინეკოლოგიური კლინიკის ასისტენტად.

1925 დაიცვა სადოქტორი დისერტაცია, იმყოფებოდა საფრანგეთსა და გერმანიაში სამეცნიერო მივლინებით. იყო პროფესორი (1930).

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

მგალობლიშვილი სოფრომ

მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე (20. VII.1851, სოფ. დირბი - გ. 30.XI.1925, თბილისი) - ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1873 დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, მუშაობდა რუსული და ქართული ენების მასწავლებლად. გორში ეწეოდა საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოღვაწეობასაც. ასევე ავრცელებდა აკრძალულ ლიტერატურას, რისთვისაც ორჯერ დააპატიმრეს. თანამშრომლობდა ქართველ ხალხოსანთა ჟ. „იმედთან“. 1912-1913 წწ-ში გაზ. „ჩვენი დროების“, ხოლო 1912 გაზ. „თემის“ რედაქტორი იყო. ის ხალხოსნური მიმართულების მწერალია. მის შემოქმედებაში აისახა ქართველი გლეხობის ცხოვრება ბატონყმობის გადავარდნის წინა პერიოდიდან 1905-1907 წწ-ის რევოლუციის ხანამდე. შემდეგ ფოთში მუშაობდა საეპარქიო სამმართველოში. 1897 გადმოდის თბილისში და იწყებს სამსახურს სინოდის კანტორაში. 1910 დაითხოვეს სინოდიდან და ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. წერა სემინარიაში დაიწყო. თანამშრომლობდა „დროებასა“ და „მნათობთან“, სადაც ბეჭდავდა როგორც ორიგინალურ ნაწარმოებებს, ასევე თარგმანებსაც. თარგმნა შილერის „ორლეანელი ქალი“. ბეჭდავდა მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებს. მისმა მოთხრობებმა „დედა მაია“, „ღამის მეხრე ცეცო“, „წითელი სარჩული“, „ჯორ-ზაქარია“, „ყაყიტას ქურდები“ და სხვ., იმთავითვე მკითხველის მოწონება დაიმსახურა.

1919 ჟურ. „ნაკადულმა“ გამოაქვეყნა მისი „მოგონებები“. 1918-1921 წწ-ში ეწეოდა სამწერლობო საქმიანობას. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, სოფრომ მგალობლიშვილი, ჩვენი მწერლები, თბ., 1972; ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; მ. გ ო გ ო ლ ა ძ ე - გ ა ბ უ ნ ი ა, მწერალთა ბიოგრაფიები, თბ., 2004; მ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ., 1953.

გაგა ლომიძე

მგელაძე ვლასა

მგელაძე ვლასა დარისპანის ძე (1868, ზომლეთი - 1943, პარიზი) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატი. ადრე დაობლდა და სასწავლებლად თავის სახლში წაიყვანა მთავარდიაკონმა ექვთიმემ. მღვდლის ოჯახიდან დაბრუნების შემდეგ შეიყვანეს სოფ. აკეთის სკოლაში, რომელიც მატერიალური გაჭირვების გამო ვერ დაამთავრა. ამის შემდეგ შეგირდად მიაბარეს პ. წულუკიძის სტამბაში, ქუთაისში. სტამბაში მუშაობა კარგად გამოიყენა თვითგანათლებისათვის. თბილისში გადმოსვლის შემდეგ მალე მუშაობა დაიწყო ჯერ ექვთიმე ხელაძის, შემდეგ კი გაზეთ „ივერიის“ სტამბაში, მაქსიმე შარაძესთან, ასოთამწყობად. აქ გაიცნო ქართველ სამოციანელთა არაერთი წარმომადგენელი, რომლებიც „ივერიის“ გარშემო იყრიდნენ თავს. 1894 წ-დან მატინიანცის სტამბაში გაზეთ „კვალს“ აწყობდა და ამჯერად რედაქტორ გიორგი ნერეთელს და მის ოჯახს დაუახლოვდა. „კვალში“ დაიწყო პირველი წერილების ბეჭდვა. აქ მუშაობის პერიოდში ჩაება პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის - „მესამე დასის“ - საქმიანობასა და რევოლუციურ მოძრაობაში. ორგანიზაციის დავალებით, კარლო ჩხეიძესთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ბათუმის სოც-დემ. ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, მუშებს შორის ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას. 1902 დააპატიმრეს და იჯდა მეტეხის ციხეში. 1907 წ-ის სექტემბერში, ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე, მან მუშების სახელით წარმოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა. 1908 ევროპაში ყოფნის დროს, ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის სოც-დემ. მოძრაობის ლიდერებთან: პლეხანოვთან, აქსელროდთან და სხვებთან. რევოლუციურ მოძრაობაში მისი პარტიული მეტსახელი იყო „ტრია“. მონაწილეობა მიიღო სპარსეთის რევოლუციაში. 1910 დაესწრო თეირანში მეჯლისის გახსნას და წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს სიტყვა გამოქვეყნდა „რუსსკოე სლოვოში“ და ევროპაშიც გავრცელდა. ამავე წელს ევროპაში ჩავიდა და ლექციებს კითხულობდა სპარსეთის რევოლუციის შესახებ სხვადასხვა ქალაქებში. ამავე პერიოდში მაქსიმ გორკის მიწვევით იყო კუნძულ კაპრიზე, სადაც გაიცნო ლენინი. 1911 ჩამოვიდა სამშობლოში, სადაც დააპატიმრეს, ჯერ იჯდა ბათუმისა და მეტეხის ციხეებში, 1913 კი ეტაპით გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც მალე გამოიქცა და, ბაქოს, საქართველოს და პეტერბურგის გავლის შემდეგ, მოახერხა გერმანიაში წასვლა. პირველი მსოფლიო ომის წლებში ევროპაში განაგრძობდა რევოლუციურ საქმიანობას და, ზოგიერთი ცნობით, შედიოდა რსდმპ-ის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში (შესაძლოა, მცირე ხნით, რადგან ეს ცნობა წყაროებით არ დასტურდება).

1917 წ-ის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პროცესებში. მხურვალე სიტყვებით მიესალმა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მერე მამადავითის ეკლესიაში აიჭრა და როგორც თვითონ ამბობდა, ზარების რეკვით ამცნო ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. ყიფიანის საფლავებს სასიხარულო ამბავი: „აღსდგა საქართველო!“. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „მარტოდმარტო ეს ფაქტი საკმაოა, რომ ვლასა მგელაძე შევიდეს „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც რაინდი, მზიური შარავანდედით მოსილი“. ვ. მგელაძე იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებითი დამყარების შემდეგ მცირე ხნით დარჩა საქართველოში. შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და ჯერ - ბერლინში, შემდეგ კი საფრანგეთში დამკვიდრდა. ძირითადად ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, ნაწარმოებებს ბეჭდავდა ჟურნალ „კავკასიონში“ და სხვა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში. 1934 პარიზში, დავით ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა ვ. მგელაძის წიგნი „26 მაისი“, რომელშიც აღწერილია რამდენიმე საერთო-ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა, რომელთა თვითმხილველიც თავად იყო: დ. ყიფიანის დაკრძალვა; ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება მთაწმინდაზე; კრწანისის ომის პანაშვიდი და სხვ. ვ.მგელაძის პიროვნებასა და მოღვაწეობაში შესანიშნავად იყო შერწყმული ეროვნული ღირებულებების ერთგულება და სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლი რევოლუციონერის თვისებები. თავისი ცხოვრებისეული წარსული მან აღწერა „მოგონებების“ სამ წიგნში, რომლებიც 1936, 1972-1974 წწ-ში გამოქვეყნდა პარიზში. დაკრძალულია საფრანგეთში, დაბა ლევილის ქართველთა სავანეში.

ლიტ.: ვ. მ გ ე ლ ა ძ ე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, პარ., 1936, თბ., 1991; გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მეორე, თბ., 1993.

დიმიტრი შველიძე

მდივანი ალექსანდრე

მდივანი ალექსანდრე კირილეს ძე (1892, სოფ. ძეგვი - 3.IV.1938) - სამხედრო, რუსეთის იმპერიის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი, კაპიტანი. იყო ქალაქ თბილისის საბჭოს წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ხელი მოაწერა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ მსახურობდა თბილისის ორჯონიკიძის რ-ის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შტაბის უფროსად. გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: სტალინური სიები საქართველოდან. ელექტრონული ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ბონდო კუპატაძე

მდივანი ზაქარია ასლანის ძე (5.IX.1867 - 18.IV. 1933) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ - კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1886). მსახურობდა ჯერ ვარშავის ციხესიმაგრის არტილერიაში, შემდეგ -კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. პორუჩიკი (1889). დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. კაპიტანი (1889), პოდპოლკოვნიკი (1902), პოლკოვნიკი (1906). 1910-1912 წწ-ში იყო სევასტოპოლის ციხესიმაგრის შტაბის უფროსი. 1912-1915 წწ-ში ლაიბგვარდიის მე-13 პოლკის უფროსია. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. გენერალი (1915). იყო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ამალის წევრი. კავკასიის მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი (1915). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის ხმლებით, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას 1-ლი ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-2 ხარისხის.

1917-1918 წწ-ში ბათუმის ციხესიმაგრის და ქალაქ ბათუმის კომენდანტია. 1918 წ-ის დეკემბერში სომხეთთან ომის დროს იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე. შემდგომში აგრძელებდა სამსახურს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში.

1921 წავიდა ემიგრაციაში თურქეთში. 1924 აპირებდა საქართველოში არალეგალურად შემოსვლას, რაც ვერ მოახერხა. შემდეგ წავიდა საფრანგეთში, ცხოვრობდა პარიზში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, 2007.

მიხეილ ბახტაძე

მდივანი ზაქარია

მდივანი სიმონ გურგენის ძე (20.X.1876, ხონი - 13.XII.1937, სოშო, საფრანგეთი) - სოციალისტ-ფედერალისტი, ეროვნული საბჭოს წევრი, დამფუძნებელი კრების დეპუტატი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი ბოლშევიკის - ბუდუ მდივანის ძმა. დაიბადა ადგილობრივი ინტელიგენტების ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძო. უმაღლესი განათლება მიიღო ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სტუდენტთა არალეგალური ჯგუფის წევრი იყო. სწავლის დამთავრებიდან პირველ ხანებში ოდესაში დარჩა და ქალაქის თვითმმართველობაში მსახურობდა, როგორც ქიმიკოსი. 1905 წ-ის საერთო-სახალხო მოძრაობის დროს ს. მდივანი სამშობლოში დაბრუნდა, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის რიგებში ჩადგა და ენერგიულად ჩაება ეროვნულ-რევოლუციურ პროცესებში; იგი მონაწილეობდა ისეთ სახიფათო ოპერაციებში, როგორიც იყო უცხოეთიდან იარაღის ფარულად მიღება და მებრძოლთა რაზმების შექმნა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ს. მდივანი ბათუმში დასახლდა, სადაც აირჩიეს „საურთიერთობო ნდობის საზოგადოების“ ქართული ბანკის დირექტორად. განაგრძო საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობაც - რედაქტორობდა ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთს, იყო ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ხმოსანი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და ბათუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციამ კვლავ შეცვალა ს. მდივნის ცხოვრების მიმართულება. მან თავი დაანება ბათუმში კერძო სამსახურს და თბილისში დაბრუნდა. ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს (შემდგომში - პარლამენტის) წევრად. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ს. მდივანი დაინიშნა პირველ ელჩად სომხეთის რესპუბლიკაში. 1919 წ-ის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე, იგი სოციალისტ-ფედერალისტების სიით თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების გარეშე საქმეთა კომისიას. 1921 წ-ის დასაწყისში მთავრობამ სწორედ ის წარგზავნა ელჩად თურქეთში. მას ისტორიული დავალება ჰქონდა - ქემალის მთავრობისთვის უნდა მიეტანა საქართველოსგან თურქეთის ცნობის ფირმანი. ანკარაში მასთან ერთად საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში იყვნენ: გენერალი ალ. ერისთავი - სამხედრო მრჩეველი; არისტო ჭუმბაძე - საქმეთა მწარმოებელი; მელიტონ (ოსმან-ბეი) ქარცივაძე; ზია ბეი აბაშიძე - ატაშე; ოფიცრები საგანგებო დავალებისთვის - ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი. ს. მდივანი მთელი ცხოვრება ამაყობდა, რომ პირველი იყო ელჩებს შორის, ვინც ახალ თურქეთს თავისუფლება მიულოცა და საქართველოს მიერ მისი ცნობა ახარა. ალბათ ბედის ირონია იყო, რომ იმ დროს, როცა ს. მდივანი თურქეთში საქართველოს წარმოადგენდა, მისი ძმა - ბოლშევიკი ბუდუ მდივანი - საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი იყო.

მდივანი სიმონ

მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ 1921 წ-ის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ვერაგული თავდასხმის შედეგად საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ს. მდივანი იძულებული გახდა, ანკარიდან ჯერ სტამბოლში, ხოლო შემდეგ, მთავრობასთან ერთად, საფრანგეთში წასულიყო ემიგრაციაში. იგი ოკუპირებული სამშობლოს ინტერესების დაცვას ცდილობდა გენუის 1922 წ-ის კონფერენციაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციაში მის გარდა იყვნენ: აკაკი ჩხენკელი (თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელი, გრიგოლ ვეშაპელი და ზურაბ ავალიშვილი. ემიგრაციის წლებში, თურქეთსა და საფრანგეთს გარდა, როგორც დიპლომა-

ტი, მოღვაწეობდა პოლონეთშიც. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იგი საქართველოს ეროვნული ინტერესების ერთგული და შეუპოვარი დამცველი იყო. მან მონაწილეობა მიიღო „კავკასიის კონფედერაციის პაქტის“ შედგენაში და ეწეოდა მის პოპულარიზაციას. იდგა „პრომეთეისტული“ მოძრაობის სათავეებთან, იყო კავკასიის ერთიანობის აპოლოგეტი და იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური გაერთიანების წევრი (ვარშავის „პრომეთეს კლუბი“, „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“, „ხუთთა მეგობრობის კომიტეტი“). ასეთი დატვირთვის მიუხედავად, ს. მდივანი არ ივიწყებდა თავის საყვარელ პარტიას და, ს. ფირცხალავასთან ერთად, უცხოეთში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერად ითვლებოდა. სიცოცხლის ბოლო დღეებში ს. მდივანი ახალგაზრდული ენერგიით ემზადებოდა სორბონის უნივერსიტეტში რუსთაველისადმი მიძღვნილი დღეების გამართვისთვის, მაგრამ ვეღარ მოესწრო. გარდაიცვალა საფრანგეთში, ქალაქ სოშოში. დაკრძალეს ლევილში. ნეკროლოგები გამოქვეყნდა ქართულ ემიგრანტულ პრესასა და პოლონურ გაზეთებში. მას დარჩა მეუღლე - ნელი (ელენე) ნაკაშიძე და შვილები - ირინე, ელისაბედი, ელენე და ნინო.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, სვიმონ მდივანი, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, თბ., 1993; მდივანი სვიმონ, ქართველები უცხოეთში: წ. 1, რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, რ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თ. ტ ა რ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, თბ., 2012.

დოდო ჭუმბურიძე

მეგრელი დუტუ

მეგრელი დუტუ (დიმიტრი თომას ძე ხოშტარია) (26.X.1867, სოფ. სუჯუნა - 13.III.1938, თბილისი) - ქართველი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. ქ.შ.წ.გ.ს-ის წევრი. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა, სახელმწიფო ხარჯზე, ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. 1891 ქუთაისში გამოსულ კრებულში „ცდა“ შევიდა დუტუ მეგრელის ფსევდონიმით დაბეჭდილი ლექსები. 1892 გამოსცა პირველი წიგნი „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“. 1893 ლექსების კრებული „ცრემლები“. 1893 დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა გადასახადთა ინსპექტორად და საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად ყარსის ოლქსა და ერევნისა და განჯის გუბერნიებში. 1901 დაწერა პოპულარული ლექსი „პატარა ქართველი“.

1917 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. მუშაობა დაიწყო მეხუთე კლასის საგანგებო საქმეთა მოხელედ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სამმართველოში. მუშაობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეთა სამმართველოში და თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად. 1919 ცალკე წიგნად გამოიცა პოემა „პრომეთე“. 1919 წ-ის 26 მაისს გაზ. „ერთობაში“ დაიბეჭდა დუტუ მეგრელის ლექსი „განთავისუფლდა ამირანგმირი“, რომელიც ივ. გომართელს მიეძღვნა. ასევე, 1919 მონაწილეობა მიიღო ქართულ კლუბში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდასაჭერ საღამოში. 1920 წ-ის 5 სექტემბერს სიღნაღში გამართულ ვასილ ბარნოვის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეზე წაიკითხა მოხსენება. 1920 წ-ის 15 ივლისს მეორე ქართულ კლუბში (პლეხანოვის პროსპ.) გაიმართა საღამო გალაკტიონ ტაბიძის, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, დუტუ მეგრელის, რობაქიძის, თაგუნას და სხვ. მონაწილეობით.

საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მუშაობდა საფინანსო კომისარიატში ჯერ განსაკუთრებული საგადასახადო საბჭოს წევრად, ხოლო შემდეგ უფროს რევიზორ-ინსტრუქტორად. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, 1968 გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; გაზ. „ერთობა“, 15 ივლისი, 1920; გაზ. „სახალხო საქმე“, 28 დეკემბერი, 1919.

ეკა ჯავახიშვილი

მევენახეობა და მეღვინეობა (1919-1920) - ყოველთვიური ჟურნალი. რედაქტორი კ. ბერეკაშვილი. გამოიცემოდა ქუთაისსა და თბილისში. სარედაქციო საბჭოში იყვნენ: ტ. ბაკაშვილი, ა. ეგოროვი, თ. მეგრელიშვილი, ე. ნაკაშიძე, ს. ტიმოფეევი, ს. ხუნდაძე, ს. ჩოლოყაშვილი და სხვ. ჟურნალი სპეციალიზებული გამოცემა იყო და მიზნად ისახავდა მევენახეობა - მეღვინეობის დარგის ყოველმხრივ წარმოჩენასა და განვითარების ხელშეწყობას, ამ მიმართულებით მკითხველის ინფორმირებას. არაერთი პუბლიკაცია შეეხება დარგის როლს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების სიმცირეს. ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები განხილულია 1920 წ-ის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ კ. ბერეკაშვილის წერილებში: „ერობები და მევენახეობა“, „ვაზის სნეულება ჭრაქი (მიდიუ)“. რედაქცია ცდილობდა, გაეფართოებინა მკითხველის ცოდნა ამ მიმართულებით, ამიტომაც აცნობდა მას უცხოურ გამოცდილებას. საფრანგეთში მეღვინეობისა და მევენახეობის განვითარების შესახებაა საუბარი ვ. ბიბილაშვილის წერილში „წყარო კეთილდღეობისა (წერილი საფრანგეთიდან)“. ჟურნალი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან სიახლეს. მაგ., სათაურით „მეღვინეობის სადგური განყოფილებებით“ იბეჭდება მევენახეთა და მეღვინეთა პირველ კონგრესზე წაკითხული ა. ა. ეგოროვის მოხსენება, რომელიც შეეხება საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მეღვინეობის სადგურის დაარსების საკითხს და შემდგომ მისი ფილიალების გახსნას კახეთში, წინანდალსა და იმერეთში. გამოცემა მკითხველს სთავაზობს ცალკეულ რეკომენდაციებს ვენახის მოვლის შესახებ (კ. მოდებაძე

- „მორიგი მუშაობა აპრილში“). იბეჭდება „კორესპონდენციები“ საქართველოს სხვადასხვა სოფლიდან (კავთისხევი, მანავი, ჩაილური). ჟურნალში გვხვდება რუბრიკები: „ცნობები“ - მევენახეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: „სასოფლო მეურნეობის სასწავლებელი“, „შაბიამანი და გოგირდი“, ვაზის საწალებელი მანქანები“, „აქციზი ღვინოზედ“ და სხვ.

ლიტ.: ჟურ. „მევენახეობა და მეღვინეობა“ - 1919, №1-2, 1920, №3-4; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1819-1945, თბ., 1947.

მარი წერეთელი

მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე (1850, თბილისი - 1927, თბილისი) – ქართველი ქიმიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი (1918-1919), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1868 დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, 1872 - ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1876 მუშაობა დაიწყო იმავე უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში. 1881 წ. დაიცვა დისერტაცია მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (თემაზე -„აკრილმჟავას ნაწარმთა შესახებ“), 1885 კი - სადოქტორო დისერტაცია (თემაზე-„იზომერული კროტონმჟავების ნაწარმთა შესახებ“). 1884 წლიდან აირჩიეს ნოვოროსიის უნივერსიტეტის დოცენტად, ხოლო 1885 წლიდან კი - პროფესორად. 1900 დიდი სამეცნიერო დამსახურებისათვის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ ლომონოსოვის სახელობის პრემია და ოქროს მედალი გადასცა.

1918 წ-ის იანვარში თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პირველ რექტორად ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩია. 1918 წ-დან ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრას. 1919 პ. მელიქიშვილი უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გადადგა. მისი თაოსნობით უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა 4 ქიმიურ ლაბორატორიას, შეიქმნა არაორგანული, ორგანული და აგრონომიული ქიმიის კათედრები. მას ამავე დროს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში.

პ. მელიქიშვილმა შეისწავლა ორგანულ მჟავათა ზოგიერთი წარმომადგენლისა და მათი წარმოებულების სინთეზის საკითხები, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ამ საკითხების გამოკვლევებმა ხელი შეუწყო სტერეოქიმიური თეორიის განმტკიცებას. ქართველმა მეცნიერმა პირველმა მიიღო ორგანულ ნაერთთა კლასი, რომელთაც გლიციდმჟავები უწოდა. მისი გამოკვლევების მეორე ნაწილი არაორგანული ქიმიის საკითხებს ეხება. ამ შრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგიერთი ელემენტის ზემჟავების სინთეზი. ეს კვლევა მან თავის მოწაფესთან, ლ. პისარჟევსკისთან, ერთად შეასრულა (1897-1913). პ. მელიქიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს ანალიზური ქიმიის საკითხებსაც. მან დაადგინა თვისებითი რეაქციები ნიობიუმზე, ტანტალსა და მოლიბდენზე. იგი უდიდეს ყურადღებას უთმობდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის, წიაღისეულისა და საკვები პროდუქტების შესწავლას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თსუ-ში დაარსებულია პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიები.

ლიტ.: ი. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი, პეტრე მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1975; პეტრე მელიქიშვილის პირადი ფონდი, საქართველოს ეროვნული არქივი.

მანანა ლილუაშვილი



მელიქიშვილი პეტრე.tif

მელიქსეთ-ბეგი ლეონ მელიქსეთის ძე (1890, თბილისი - 1963, თბილისი) – არმენოლოგი, პროფესორი. დაამთავრა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1918 წ-ის 13 სექტემბერს, ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ლ. მელიქსეთბეგი მოიწვია უნივერსიტეტში სომხური ენის ლექტორად.

1922 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე იყო არმენოლოგიის კათედრის გამგე მუშაობდა ლიტმცოდნეობის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეპიგრაფიკის, სამართლის, ბიბლიოგრაფიის, ტექსტოლოგიისა და სხვა საკითხებზე. ავტორია შრომებისა: „ქართველების ნათესაობა ესპანელებთან უძველესი წყაროების მიხედვით“ (1911), „მეგალითური კულტურა საქართველოში“ (1938), „საქართველოს ისტორიული წერილობითი წყაროების პუბლიკაციები“ (1949), „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“ (1934-1955) და ა.შ.



მელიქსეთ-ბეგი ლეონ

ლიტ.: ს. ჯ ი ქ ი ა, ლეონ მელიქსეთ-ბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა, „თსუ შრომები“, ტ. IX, 1962.

მანანა ლილუაშვილი

მელქისედეკი (კათოლიკოს-პატრიარქი) (ერისკაცობაში მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე) (2.XI. 1872, სოფ. ზემო ყანდაურა, სიღნაღი მაზრა - 10.I.1960, თბილისი) - ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1890 თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. სწავლა ყაზანის სასულიერო აკადემიაში განაგრძო, რომლის დასრულებისთანავე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად დაინიშნა. მოგვიანებით ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად გადაიყვანეს. 1904 წ-დან სმოლენსკის გუბერნიის ქ. ბელის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიის მასწავლებელია,

1915 ქ. ტივროვოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი. 1915 მღვდლად აკურთხეს.

1917 წ-ის ივნისში დაბრუნდა საქართველოში და გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. 1918 წ-ის ნოემბერს დეკანოზის ხარისხში აიყვანეს. 1920-1922 წწ-ში იყო უმუშევარი და განმოსილი. 1922 წ-ის აპრილში დაბრუნდა ეკლესიაში და დაინიშნა სიონის საპატრიარქო ტაძრის კანდელაკად. 1925 წ-ის თებერვალში ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვრი გახდა და ბერად აღიკვეცა, სახელად მელქისედეკი ეწოდა. 14 ოქტომბერს ეპისკოპოსად აკურთხეს და ალავერდის ეპარქია ჩააბარეს. 1927 წ-დან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველია. 1935 უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით, მიენიჭა მიტროპოლიტობა. 1943 დაინიშნა კუკიის ეკლესიაში რიგით სასულიერო პირად, 1944 წ-ის აპრილიდან ითვლებოდა ურბნელად და თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ. 1952 წ-ის 5 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; გ. მ ა ჩ უ რ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, პატრიარქი კალისტრატე; პატრიარქი მელქისედეკ III. თბ., 2013.

მიხეილ ქართველიშვილი

მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის (ევროპელი სოციალისტების) დელეგაცია საქართველოში – მეორე ინტერნაციონალის ჟენევის კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წ-ის 31 ივლის - 4 აგვისტოს, შეიქმნა ოფიციალური დელეგაცია, რომელიც უნდა ჩამოსულიყო საქართველოში. ვიზიტის მიზანი იყო, ინტერნაციონალის ლიდერები გასცნობოდნენ

მეორე სოციალისტური ინტერნაციონალი

საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, რათა მხარი დაეჭირათ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარებისათვის დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა (ანტანტის) მთავრობებზე ზეგავლენის მოხდენის გზით. 1920 წ-ის 14 სექტემბერს საქართველოში ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია. მასში შედიოდნენ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი ლიდერები - დიდი ბრიტანეთიდან: ჯეიმს რამსეი მაკდონალდი, ტომას შოუ, ქ-ნი სნოუდენი; საფრანგეთიდან: პიერ რენოდელი, ინგელსი, მარკე; ბელგიიდან: ემილ ვანდერველდე, ჰიუსმანსი, მისი მეუღლე და დე ბრიუკერი. ავადმყოფობის გამო დელეგაციაში არ იმყოფებოდა მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელი კარლ კაუცკი, რომელიც საქართველოში მოგვიანებით ჩამოვიდა თავის მეუღლე ლუიზასთან ერთად (იხ. სტ: კ. კაუცკი). დელეგაცია ბათუმში ჩამოსვლისა და ქალაქის დათვალიერების შემდეგ გამოემგზავრა თბილისში. საქართველოს მთავრობამ 15 დეკემბერი უქმე დღედ გამოაცხადა. დედაქალაქში შედგა დამფუძნებელი კრების რიგით 51-ე საგანგებო კრება, რომელსაც სტუმრები ესწრებოდნენ. სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) ალ. ლომთათიძე, ყველა პარტიული ფრაქციის წარმომადგენლები: გრ. გიორგაძე, შ. მესხიშვილი, გ. გვაზავა, გ. ვეშაპელი, ლ. შენგელაია, ტერ-სტეპანიანი. დამფუძნებელ კრებაში შეხვედრის შემდეგ დელეგაციამ იმოგზაურა ქვეყნის არაერთ კუთხეში, სადაც ხვდებოდა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას, სტუმრებმა ათი დღე დაყვეს საქართველოში და ყველგან ხვდებოდნენ აღფრთოვანებულ და სტუმართმოყვარე განწყობას, საზეიმო სხდომებს, მიტინგებს თუ ტრადიციულ ქართულ გამასპინძლებას სუფრასთან. თავის მხრივ, დელეგაციის წევრებმა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მრავალი სტატია, წერილი თუ პუბლიკაცია გამოაქვეყნეს ევროპულ პრესაში, მოაწყვეს შეხვედრები, მიტინგები, კითხულობდნენ მოხსენებებს, რომლებშიც არ ფარავდნენ ემოციებს ქართველი ხალხის ბუნების, საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერისა და ქართული დემოკრატიის დაცვის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც აგრესიის საფრთხე ემუქრებოდა დიდი მეზობლებისაგან. მაგ., ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ დაიბეჭდა ქ-ნ სნოუდენის ინტერვიუ; ლონდონის ყოველკვირეულ „დე მატენში“ - მაკდონალდის სტატია „სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში“; ბელგიურ გაზეთ „ლე სეირში“ - ვანდერველდეს ინტერვიუ; ა. ინგელსმა ფრანგულ „ლე კრი დუ ნორში“ გამოაქვეყნა მთელი სერიალი საქართველოში მოგზაურობისა და განცდილი შთაბეჭდილებების შესახებ; პიერ რენოდელმა - მისივე რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ლა ვი სოციალისტში“ და ა. შ. 1920 წ-ის 16 ოქტომბერს გაზ. „ნეიშენში“ რამსეი

მეორე
სოციალისტური
ინტერნაციონალი

მაკდონალდი წერდა: „(საქართველოში) მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით, თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე“. სავარაუდოა, რომ მეორე ინტერნაციონალის მხარდაჭერამ და დასავლეთის ქვეყნების სოციალისტური პარტიებისა და მათი ლიდერების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის პოპულარიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპული სახელმწიფოების მთავრობათა და ანტანტის ხელმძღვანელობაზე, რომლის შედეგიც იყო საქართველოს დე იურე დამოუკიდებლობის აღიარება. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპელების ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში იმითაც ჩანს, რომ ვიზიტის დღეებში გადაიღეს ოთხნაწილიანი დოკუმენტური ფილმი - „ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში“.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ), თბ., 1997; ა. ბ ე ნ - დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ), თბ., 2001.

დიმიტრი შველიძე

მეორე სოციალისტური ინტერნაციონალი და საქართველო – 1919 წ-ის 3-10 თებერვალს ბერნში (შვეიცარია) მიმდინარეობდა მეორე ინტერნაციონალის კონფერენცია. მას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციამ მოუწოდა და შესაბამისი რეზოლუციაც წარუდგინა კონფერენციას, რომლითაც ითხოვდა, მეორე ინტერნაციონალს მხარი დაეჭირა საქართველოსათვის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების (დე იურე) პროცესში. კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომლითაც მეორე ინტერნაციონალი მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, კერძოდ, აცხადებდა, რომ: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდების საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო ინტერნაციონალისადმი, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია აცხადებს, რომ ის თვლის საქართველოს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებად მის ნაციონალურ დამოუკიდებლობას, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლების უმთავრეს დებულებას, თვითგამორკვევას, რომელიც დიდი ხანია, რაც გამოაქვეყნა ინტერნაციონალმა, და რომელიც მიღებულია პრეზიდენტ უილსონის პროგრამაში, როგორც საფუძველი ზავისა. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უდავო პოლიტიკური შეგნება, როდესაც შექმნა, მიუხედავად ყველაზე მძიმე პირობებისა, დემოკრატიული და რეს-

მეორე ინტერნაციონალი

პუბლიკანური წესწყობილება და დამოუკიდებელი ცხოვრების უკვე რვა თვის განმავლობაში. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოითხოვს საზავო კონფერენციისაგან (იგულისხმებოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია - დ. შ.), რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნეს ცნობილი...“ 1920-ის 31 ივლის - 4 აგვისტოს ჟენევაში მიმდინარეობდა ინტერნაციონალის მორიგი კონფერენცია. მან მიიღო გადაწყვეტილება, შეედგინა ოფიციალური დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდოდა საქართველოში. ვიზიტის მიზანი იყო, გასცნობოდნენ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, რათა შემდგომში მხარი დაეჭირათ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარებისათვის. მხარდაჭერა უნდა გამოხატულიყო დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა (ანტანტის) მთავრობებზე ზეგავლენის მოხდენის გზით. მეორე ინტერნაციონალი საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც ენერგიულად უჭერდა მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და გმობდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. 1921 წ-ის 22 ნოემბერს მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი რეზოლუცია. მასში ვკითხულობთ: „...საქართველოს ტერიტორია დაპყრობილ იქნა მოსკოვის ჯარების მიერ და მოსკოვის მთავრობას დანიშნული ჰყავს საქართველოს ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომლისადმი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილნი; რომ მსოფლიოს პროლეტარიატის თვალში მოსკოვის მთავრობაა ერთადერთი პასუხისმგებელი საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისა და იქ გამეფებული ტერორის რეჟიმისათვის... ამიტომ აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ დაჟინებით მოითხოვს: რუსეთის მთავრობამ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან და ამით შესაძლებლობა მისცეს ქართველ ხალხს, თვით გახდეს თავისი ბედის პატრონი“.

ლიტ.: ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ), თბ., 1997; ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ), თბ., 2001.

დიმიტრი შველიძე



მეოცნებე ნიამორები

„მეოცნებე ნიამორები“ (II.1919 - XII.1924, თბილისი) - ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი. ქართველ მოდერნისტ მწერალთა ჯგუფის, „ცისფერი ყანწების” ერთ-ერთი გამოცემა. პირველი ნომრის რედაქტორები არიან ვალერიან გაფრინდაშვილი და სანდრო ცირეკიძე. შემდგომში ჟურნალს რედაქტორობს მხოლოდ ვ. გაფრინდაშვილი. ჟურნალის უკანასკნელი ნომერი (№11) გამოვიდა „ნიამორების” სახელით. იბეჭდებოდა ქ. თბილისში, გამომცემლობა „კირჩხიბში“, შემდგომ - სამხედრო კომისარიატის სტამბაში. ჟურნალის ბოლო გვერდები ეთმობა რეკლამას. „ცისფერყანწელთა“ ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ (ნიამორი, სულხან საბას მიხედვით, „კლდის თხას“ ანუ ქურციკს ნიშნავს) წმინდა ლიტერატურულ-ესთეტიკური გამოცემაა, რომელშიც მეტწილად მხატვრული ნაწარმოებები და ლიტერატურული კრიტიკა იბეჭდებოდა. სულ გამოვიდა 16-გვერდიანი ჟურნალის 11 ნომერი. გამოცემის მანძილზე იცვლებოდა მხოლოდ ფასი და ფორმატი, გვერდების რაოდენობა კი უცვლელი რჩებოდა. ალმანახი შედგებოდა 4 განყოფილებისგან: 1. პოეზია, 2. მხატვრული პროზა, 3. კრიტიკა, 4. ქრონიკა და ბიბლიოგრაფია. ჟურნალის ყველა ნომრის ყდას (პირველი, მე-10 და მე-11 ნომრების გამოკლებით) ამშვენებს ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული გრაფიკული ნახატი, ვინიეტი - მთაზე მდგარი ორი ყელმოღერებული ნიამორი. ეს არის ჟურნალის სახელწოდების, „მეოცნებე ნიამორების“, გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ჟურნალის ემბლემად იქცა. სარედაქციო კოლეგიის შესახებ ჟურნალი არაფერს იუწყება. მის მუდმივ ავტორებად გვევლინებიან: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი (ფსევდონიმით – ელენე დარიანი), ტიციან ტაბიძე (ვარამ გაგელი), ვალერიან გაფრინდაშვილი (ტრისტან მაჩაბელი), შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ ჯაფარი (ჯაფარიძე), შალვა კარმელი (გოგიაშვილი), რაჟდენ გვეტაძე, სანდრო ცირეკიძე, ლელი ჯაფარიძე, ნიკოლო მიწიშვილი (სირბილაძე), სერგო კლდიაშვილი, დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე), კოკი ებრალიძე, ლილი მეუნარგია, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ ზოდელი (გამყრელიძე), ლევან ასათიანი, ნ. ლ. (ნიკო ლორთქიფანიძე) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ჟურნალის ყოველი ნომერი, გარდა მე-11 ნომრისა, იხსნება გრიგოლ რობაქიძის ლექსით, მათ შორის აღსანიშნავია: „დიდი შუადღე“, „ვასილი კამენსკის“, „რთველი“, „ტიციან ტაბიძეს“, „ვალერიან გაფრინდაშვილს“, „ავტომედალიონი“ და სხვ. ყველაზე მეტი პუბლიკაცია ეკუთვნის ჟურნალის რედაქტორს, ვალერიან გაფრინდაშვილს. მან გამოცემის ფურცლებზე დაბეჭდა ათი ესეი და ცამეტი ლექსი. ლექსების გვერდით ჟურნალში ქვეყნდება წმინდა ლიტერატურული პრობლემატიკის შემცველი წერილები, მაგ.: სანდრო ცირეკიძის „პოეზიის ნაპირები“, „მინიატურა“; ვალერიან გაფრინდაშვილის „სახელების მაგია“ („..მსოფლიოს „დეფორმაციის“ საშინელი მოჩვენება, რომელიც ეიფელის კოშკიდან ელანდება დაქანცულს და შეშინებულს ევროპიელს, ძნელი დასანახია თბილისის ფუნიკულიორიდან“), „სონეტის პრობლემა“„ შენიშვნები ლირიკაზე“, ლიტერატურული პორტრეტი „სტეფან მალარმე“, რომელიც ფრანგ სიმბოლისტ პოეტს ეძღვნება, „ქართული პოეზია“ (ტრისტან მაჩაბლის ფსევდონიმით) და სხვ. ლიტერატურული წერილების უმეტესობა ჟურნალის „კრიტიკის“ რუბრიკის ქვეშ დაიბეჭდა. ცალკე უნდა აღინიშნოს ტიციან ტაბიძის კრიტიკული წერილები: „პოეტები სტამბაში -

ფრაგმენტები ბიოგრაფიისთვის“ (ფსევდონიმით „ვარამ გაგელი“), „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“, „ირონია და ცინიზმი“ (აქ ტიციანი ილაშქრებს ფუტურიზმის წინააღმდეგ და აკრიტიკებს იტალიური ფუტურიზმის ფუძემდებელს მარინეტის). „მეოცნებე ნიამორებში“ პროზის სახით იბეჭდებოდა მხოლოდ მცირე ეპიკური ფორმის ნაწარმოებები - მინიატურები. აღსანიშნავია სანდრო ცირეკიძის „ლაია“ (1919, №1); ნიკო ლორთქიფანიძის „მთვარიან ღამის ჩრდილში“ (1919, №2); სერგო კლდიაშვილის ნოველა „მთვრალ საუბარით“ (1919, №2), მინიატურები „მზე ბალდახინზე“, „უსათაურო“ (1921, №5); „დაბრუნება“ (1921, №8); სანდრო ცირეკიძის მინიატურა „რომანი“ (1920, №4) და სხვ. ჟურნალში დაისტამბა მხოლოდ სამი ავტორის თარგმანი: ჟიულ ლაფორგის „სამგლოვიარო მარში“, ვალერი ბრიუსოვის „წითელი დროშა“ და ტრისტან კორბიერის „ორი პარიზი“. სამივე ლექსი თარგმნილია ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ.

ლიტ.: ჟ. „მეოცნებე ნიამორები“, 1919–1924; ს. ს ი გ უ ა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2008; ჟურ. „ხომალდი“, 1921, №1; მ. ა ბ უ ლ ა ძ ე, „ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიისათვის მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში“, თბ., 1977.

მანანა შამილიშვილი

მესხი კოტე დავითის ძე (? - 1932) - სოციალისტ-რევოლუციონერი. სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობდა სტუდენტურ მღელვარებებში. გ. ლასხიშვილთან ერთად შედიოდა რუსეთის რევოლუციურ-ხალხისნურ ორგანიზაციაში „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლია“ („ნაროდნაია ვოლიას ახალგაზრდა პარტია“), რისთვისაც თავისი თანამემამულის ანალოგიური სასჯელი ერგო: იგი ჯერ სამშობლოში ჩამოასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, შემდეგ კი ხუთი წლით გადაასახლეს ციმბირში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1890-იან წწ-ში, მონაწილეობა განაგრძო რევოლუციურ-ხალხისნურ მოძრაობაში და შედიოდა თბილისის გამგეობაში შექმნილ ფარულ ხალხისნურ ჯგუფში. 1900-იან წწ-ში, ყოფილმა ხალხისნებმა საქართველოში სცადეს რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნა, რომელშიც კ. მესხი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. 1906 წ-ის 1 იანვარს მისი რედაქტორობით გამოვიდა ესერული მიმართულების გაზეთი „პატარა გაზეთი“, რომლის სულ ოთხი ნომერი გამოვიდა. როგორც გაზეთის შინაარსიდან ჩანს, მისი რედაქტორი მტკიცე ეროვნულ პოზიციაზე იდგა და საქართველოს ავტონომიას მიიჩნევდა ქვეყნისთვის სასურველ სტატუსად. რაც შეეხება სამოქალაქო სამსახურს, კ. მესხი, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის გამგეობაში; შემდეგ კი - ერთხანს, დამზღვევი საზოგადოების ინსპექტორად კავკასიაში.

რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ განაგრძობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში მოღვაწეობას. 1917 წ-ის ნოემბერში შემდგარმა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭოს წევრად. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აირჩიეს 15 წევრისაგან შემდგარი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში (ესერთა პარტიისაგან).

ლიტ.: რ. გ რ ძ ე ლ ი ძ ე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924). თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა - არსებობის მანძილზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰყავდა 3 მთავრობა. პირველი კოალიციური დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა 1918 წ-ის 26 მაისს და იარსება 24 ივნისამდე. 1918 წ-ის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობა ეროვნული საბჭოს აღმასკომის მიერ მოწონებული და ფრაქციებთან შეთანხმებული შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი (მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი), აკაკი ჩხენკელი (საგარეო საქმეთა მინისტრი), გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი), გიორგი ჟურული (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი), გიორგი ლასხიშვილი (განათლების მინისტრი), ნოე ხომერიკი (მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი), შალვა ალექსი-მესხიშვილი (იუსტიციის მინისტრი), ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი).



მესხი კოტე

მეორე მთავრობაში, პირველთან შედარებით, ორი ცვლილება განხორციელდა. 1918 წ-ის 24 ივნისს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილის ნაცვლად გახდა ნოე ჟორდანია, ხოლო 1918 წ-ის შემოდგომაზე საგარეო საქმეთა მინისტრად (აკაკი ჩხენკელის ნაცვლად) ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა. მეორე მთავრობა არსებობდა 9 თვის მანძილზე, 1919 წ-ის მარტამდე.



მესამე ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა შედგა დამფუძნებელი კრების არჩევის შემდგომ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაჯერებელი გამარჯვების პირობებში დამფუძნებელმა კრებამ მესამე მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება უფრო გაზარდა. მას მიენიჭა ქვეყნის გარეთ სახელმწიფოს პირველი პირის სტატუსი (პრეზიდენტის უფლებამოსილებით). ოპოზიციის ნაწილი (ესერები და ფედერალისტები) მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ამგვარ გაფართოებას ეწინააღმდეგებოდა. კრებამ მთავრობის თავმჯდომარეობა დაავალა ნოე ჟორდანიას. მასვე ერთპიროვნულად დაეკისრა მთავრობის დაკომპლექტება. ახალი მთავრობა კაბინეტის ოპტიმიზაციის შედეგად, სამინისტროთა გაერთიანების კურსით ჩამოყალიბდა. 1919 წ-ის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა მესამე ერთპარტიული მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), ევგენი გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი), ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების, სამხედრო მინისტრი), ნოე ხომერიკი (მიწათმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრი), კონსტანტინე კანდელაკი (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი). 1919 წ-ის ბოლოს მთავრობის წევრად გიორგი ერაძე (შრომის და მომარაგების მინისტრად) დაინიშნა. 1920 წ-ის იანვარში სამხედრო მინისტრი გახდა გრიგოლ ლორთქიფანიძე, იუსტიციის მინისტრი კი - რაჟდენ არსენიძე. 1920 წ-ის 3 დეკემბერს კიდევ ერთი სამთავრობო ცვლილება განხორციელდა. განათლების მინისტრის პოსტი დიაკავა გრიგოლ ლორთქიფანძემ, თავდაცვის მინისტრი გახდა ნოე რამიშვილის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე, ხოლო მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა დავით ონიაშვილი.

ბონდო კუპატაძე

მთავრობის თავმჯდომარე, როგორც ინსტიტუტი – 1918 წ-ის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის თანახმად, საქართველოში პირველად დამკვიდრდა რესპუბლიკური მმართველობა საპარლამენტო დემოკრატიის სახით, რომლის მიხედვით, საქართველოს დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წინაშე (იხილეთ, ასევე, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 20 აგვისტოს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის“ შესახებ, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა). სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მთავარი ადგილი მთავრობას, კერძოდ კი, მის ხელმძღვანელს - მთავრობის თავმჯდომარეს ეკავა. პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფამ მთავრობის თავმჯდომარის პოზიციების განმტკიცება გამოიწვია. იგი ამ დროის განმავლობაში ითავსებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს. ამას ადასტურებს საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წ-ის 14 მარტის დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა“, რომლის მიხედვით, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრ ნ. ჟორდანიას დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით. მე-2 მუხლის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი. მნიშვნელოვანი დისკუსიები შედგა მთავრობის თავმჯდომარის სტატუსთან დაკავშირებით 1918-1921 წწ-ის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში. საკონსტიტუციო კომისიამ დიდი პოლიტიკური დებატების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიხედვით, მონარქის და პრეზიდენტის გარკვეული პრეროგატივები მთავრობის თავმჯდომარეს გადაეცა. საერთაშორისო წარმომადგენლობა, ელჩების მოწვევა, მთავრობის შემადგენლობის ფორმირება და განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიარაღებული ძალების გამოყვანა კონსტიტუციურად პრემიერს უნდა ეწარმოებინა.

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველმა კონსტიტუციამ პრემიერი პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვა, რაც სწორი არ არის. კონსტიტუციურად მთავრობის თავმჯდომარე სარგებლობდა უფლებამოსილებათა მცირედი ნაწილით.

მთავრობის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქციაში მთავარი პოლიტიკური ფიგურა. საპარლამენტო მთავრობის პოლიტიკური მთლიანობა გამოიხატება პრემიერის პიროვნებაში, რომელიც აერთიანებს კაბინეტს და წარმოადგენს საპარლამენტო სახელმწიფოს პოლიტიკის პასუხისმგებელ პირს. კონსტიტუციაში მთლიანადაა ასახული დამფუძნებელი კრების 1919 წ-ის 30 დეკემბრის რეზოლუციის სულისკვეთება, რომლის მიხედვით, სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლებანი მართვა-გამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს 1921 წ-ის კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭა პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლებების მხოლოდ გარკვეული ნაწილი:

ა) ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობებში; ელჩების დანიშვნა და უცხოელი დიპლომატიური კორპუსის აკრედიტაცია;

ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, შეიარაღებული ძალის გამოყვანა;

გ) მთავრობის წევრების გამოწვევა ან დანიშვნა;

დ) მთავრობის წევრების დათხოვნა ან მთლიანად კაბინეტის გარდაქმნა.

სხვა სფეროში მთავრობის თავმჯდომარე შეზღუდულ იყო.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2013; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

მთავრობის შტანდარტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918 წ-ის 27 დეკემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სახელმწიფო გერბის ოფიციალური აღწერილობის დამტკიცებასთან ერთად, დაამტკიცეს საქართველოს მთავრობის შტანდარტის აღწერილობა, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შესდგება კვადრატულ ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუწუბებით შიგნითა მხრიდან. არშიას გარს არტყია ოქრომკედით ამოქარგული ქართული სირმა. ანძა არის სამფეროვანი: ვიწრო ზოლები - შავი და თეთრი, მომსხო ზოლები - შვინდისფერისა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტის ესკიზის ავტორია სახელმწიფო გერბის ესკიზის ავტორი - ფრანგული წარმომავლობის რუსი მხატვარი ევგენი ევგენის ძე ლანსერე (1875-1946), რომელიც 1917-1934 წ-ში კავკასიაში, ძირითადად კი, თბილისში მოღვაწეობდა. მოგვიანებით (1933) მას მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს, წგნ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბ., 1990.

ნიკო ჯავახიშვილი

მთიელთა დემოკრატიული რესპუბლიკა – ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ძირითადად მოიცავდა რუსეთის ყოფილი იმპერიის თერგისა და დაღესტნის ოლქებს, დაღესტნელებით, ჩეჩნებით, ინგუშებით, ბალყარებითა და ყაბარდოელებით დასახლებულ ტერიტორიებს. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წ-ის მარტში ჩრდილოკავკასიელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ჩამოაყალიბეს „ჩრდილოკავკასიელ ხალხთა გაერთიანება“, რომელმაც აირჩია გაერთიანების აღმასრულებელი კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტი ძირითადად ჩრდილოკავკასიელი განათლებული ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური პირებისაგან დაკომპლექტდა, მათ შორის იყვნენ ჩეჩენი ტაპა ჩერმოევი, დაღესტნელი ჰაიდარ ბამატი, ასევე, იმამ შამილის შვილიშვილი საიდ შამილი. 1917 წ-ის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რუსეთის ყოფილ იმპერიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა კავკასია ფაქტობრივად ჩამოაშორა რუსეთს. სამოქალაქო ომმა ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ ლიდერთა საქმიანობა და დამოუკიდებლობისაკენ მიმართული ნაბიჯები დააჩქარა. სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, მთიელთა გაერთიანებამ დაიწყო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. 1917 წ-ის 21 დეკემბერს ჩრდილოკავკასიელთა დროებითმა მთავრობამ, რუსეთის ჩრდილოკავკასიის ხალხთა კავშირის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წ-ის დასაწყისში რუსეთის სამოქალაქო ომის ქარცეცხლი კავკასიამდეც აღწევდა. 1918 წ-ის 19 აპრილს დაღესტანში რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1918 წ-ის აპრილ-მაისში ტრაპიზონსა და ბათუმში მთიელთა წარმომადგენლებმა ბამათის მეთაურობით მოლაპარაკებები გამართეს ოსმალეთთან და გერმანიასთან და მათგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება და დაცვა მოითხოვეს. 1918 წ-ის 11 მაისს ჩრდილოკავკასიელ მთიელთა რესპუბლიკა ოფიციალურად შეიქმნა. მალევე ჩამოყალიბდა ჩრდილო კავკასიის მთავრობა. მთავრობის მეთაურად ტაპა ჩერმოევი შეირჩა, მთავრობაში შევიდნენ ფშეხო კოცევი, ზუბაირ თემირხანოვი, ალიხანოვი, ჯაბაგიევი და სხვ. რესპუბლიკაში საპარლამენტო მმართველობის ფორმა იქნა შემოღებული. მთიელთა რესპუბლიკის მთავრობა თავდაპირველად ვლადიკავკაზში განთავსდა, შემდეგ ნაზრანში, ხოლო საბოლოოდ - თემირ-ხან-შურაში (ბუინაკსკი). მთიელთა რესპუბლიკა, ძირითადად, ოსმალეთისგან დახმარების მოლოდინში

მთიელთა
რესპუბლიკის დროშა

მთიელთა რესპუბლიკის მთავრობა

მიკირტუმოვი ბაგრატ

მილნი ჯორჯ

იყო. 1918 წ-ის ივნისში ბამატის მეთაურობით დელეგაცია გაიგზავნა სტამბულში. მთიელთა რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობდა საერთო-კავკასიური ერთობის ჩამოყალიბების კუთხითაც, მთიელთა მთავრობის წევრები 1918 წ-ის ნოემბერში, საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ თბილისში გამართულ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზე. 1918 წ-ის შემოდგომაზე მთიელთა რესპუბლიკის სამხედრო ძალებმა ბოლშევიკები თითქმის განდევნეს რესპუბლიკის ტერიტორიიდან. 1918 წ-ის დეკემბერში მთიელთა რესპუბლიკის მთავრობას სათავეში, ჩერმოევის ნაცვლად, კოცევი ჩაუდგა. მალევე მუშაობა დაიწყო მთიელთა რესპუბლიკის პარლამენტმა. მთიელთა რესპუბლიკა, რუსეთის სამოქალაქო ომის გავლენით, მძიმე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, 1919-ის მარტში საქართველოს მთავრობამ 3 მილიონი მანეთი გამოუყო სესხის სახით. 1919 წ-ის მარტში ტაპა ჩერმოევის მეთაურობით, მთიელთა რესპუბლიკის დელეგაცია პარიზში გაემგზავრა, სამშვიდობო კონფერენციაზე მთიელთა საკითხის დაყენებისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. 1919 წ-ის თებერვლიდან დენიკინის მოხალისეთა არმიამ ჩრდილო კავკასიას შეუტია, წინააღმდეგობისა და მთიელთა თავგანწირვის მიუხედავად, მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაცია განახორციელა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, შეზღუდული რესურსების მიუხედავად, ჩრდილოკავკასიელებს ბოლშევიკთა და დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ დახმარებას უწევდა. მთიელთა რიგებში იბრძოდა ქართული ლეგიონი ლეო კერესელიძის მეთაურობით. 1919 ლეო კერესელიძე მთიელთა ჯარების მთავარსარდლადაც დაინიშნა. 1919 წ-ის გაზაფხულზე მთიელთა მთავრობამ ნოტა გამოაქვეყნა მოკავშირეთა მიმართ და დახმარებისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მიმართა. 1919 წ-ის ოქტომბერში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა მოკავშირეთა უმაღლეს კომისარს და ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ნოტა გაუგზავნა მთიელთა დახმარების თხოვნით, ნოტაში გეგეჭკორი მოითხოვდა, მოკავშირეებს შეეჩერებინათ მოხალისეთა არმიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩაღებული სისხლის ღვრა. საბოლოოდ მთიელთა რესპუბლიკა სრულად დაიკავა დენიკინის მოხალისეთა არმიამ. მთიელთა რესპუბლიკის მთავრობამ, ევაკუაციის შემდეგ თბილისში განაგრძო მუშაობა. 1920 წ-ის დასაწყისიდან რუსეთის სამოქალაქო ომში უპირატესობა ბოლშევიკებმა მოიპოვეს და მოხალისეთა არმიასთან შეტაკებები უკვე კავკასიაში მიმდინარეობდა. მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორია 1920 წ-ის ივნისში ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა.

ლიტ.: მ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, გ. მ ა მ უ ლ ი ა, მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005; კ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, მ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, საქართველო და ერთიანი კავკასია (1918-1921 წლების საარქივო დოკუმენტები), თბ., 2000; გაზ. „საქართველო“, 1918, №122; გაზ. „ერთობა“, 1918, №244; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №51, №223.

ირაკლი ირემაძე

მიკირტუმოვი ბაგრატ ბადალის ძე (1869, სოფ. შინიხი, ბორჩალოს მაზრ. - ?) - სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ეროვნებით სომეხი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება ოჯახში მიიღო. 1903-1916 წწ-ში მუშაობდა ქართულ გამომცემლობათა ამხანაგობის სტამბაში, სადაც ისწავლა ქართული წერა-კითხვა, აქედანვე ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ. მისივე აღნიშვნით, სტამბაში მუშაობამ მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა. 1907-1917 წწ-ში მუშაობდა პარტიის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სამეურნეო სექციაში და სხვადასხვა პარტიულ კომისიებში. 1912 მონაწილეობდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში თბილისის გუბერნიის მუშების ამომრჩევლად. არჩევნებში მუშათა ხმა მისცა კარლო ჩხეიძეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. 1918 იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. შედიოდა ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციაში.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 119, 121.

ირაკლი ირემაძე

მილნი ჯორჯ (5.XI.1866, აბერდინი, შოტლანდია - 23.III.1948, ლონდონი) - ბრიტანელი ბარონი, ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი. ბრიტანეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდალი. სამხედრო განათლება ვულვიჩის სამეფო სამხედრო აკადემიაში მიიღო. 1885 წ-დან მსახურობდა ბრიტანეთის არმიაში. ადრეულ ეტაპზე სხვადასხვა დროს მსახურობდა ბრიტანეთის არმიის ინდოეთისა და მალტის ძალებში. მონაწილეობას იღებდა ბურების მეორე ომში. 1913 მიენიჭა ბრიგადის გენერლის წოდება. პირველ მსოფლიო ომში არტილერიის გენერლის სტატუსით მონაწილეობდა. 1915 წ-დან კი ბრიტანეტის არმიის 27-ე დივიზიის მეთაურად დაინიშნა. 1916 წ-დან სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ბალკანეთში, სალონიკსა და მაკედონიის ფრონტზე.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, 1918 წ-ის სექტემბერში, დაინიშნა ბრიტანეთის არ-

მიის შავი ზღვის ჯარების მეთაურად. პოლიტიკური გამოცდილების არმქონე გენერალს გაუჭირდა კავკასისა და მის სამეზობლოდ მიმდინარე პროცესებში გარკვევა და მოქმედება. ცალსახად მხარს უჭერდა დენიკინ-კოლჩაკის ოპერაციას და ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას. მილნის მიერ ლონდონში გაგზავნილ ანგარიშებში ნეგატიურად იყო წარმოდგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, როგორც ულტრასოციალისტური პოლიტიკური ძალა. მილნი გამოირჩეოდა უხეშობით საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას და არ მალავდა თავის დამოკიდებულებას. მილნი ბრიტანეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსის, ამიერკავკასიისადმი ასევე სკეპტიკურად განწყობილ ფელდმარშალ ჰენრი უილსონისათვის გაგზავნილ ანგარიშებში აშკარად ავლენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური პროცესების უცოდინარობას. პირად წერილებში უილსონს სწერდა, რომ ამიერკავკასიას პოლიტიკური მომავალი არ აქვს, მართალია, ბრიტანეთის გასვლის შემდეგ რეგიონში სისხლისღვრა გარდაუალი იქნება და „რეგიონის მცხოვრებლები ერთმანეთს ყელებს დააჭრიან“, მაგრამ ეს არაფრად ღირს თუნდაც ერთი ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლესთან შედარებით. მილნიმ 1918 წ-ის ბოლოს ბრიტანეთის მთავრობას მოსთხოვა, საქართველოს დელეგატები გაეძევებინა ლონდონიდან და პარიზიდან. მილნის შეფასებით, საქართველოს მთავრობა მოსახელობის ყველაზე ცუდი ნაწილისგან შედგება და არ წარმოადგენს თავად ქართველ ხალხს. მილნის და ბრიტანეთის არმიის გენერალური შტაბის დაჟინებული მოთხოვნით, 1919 წ-ის აგვისტოში ბრიტანეთის სამხედრო ნაწილები გაიწვიეს ბაქოდან, მხოლოდ 3 ბატალიონი განთავსდა ბათუმში, საბოლოოდ კი, 1920 წ-ის ივლისის დასაწყისში, ამ ბატალიონებმაც დატოვეს კავკასია.

1923 გენერალი მილნი ბრიტანეთის არმიის აღმოსავლეთის სარდლად დაინიშნა. 1926 წ-ის თებერვალში ბრიტანეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გახდა, 1933 გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. სამხედრო დამსახურებების გამო დაჯილოდებული იყო არაერთი მედლითა და ხმლით.

ლიტ.: ბ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015.

ირაკლი ირემაძე

მიურატი ლუი-ნაპოლეონ აშილის ძე (25.VIII.1872 - 14.VI.1943) - სამხედრო სამსახური დაიწყო საფრანგეთში. დაამთავრა სომიურის სამხედრო სასწავლებელი. რუსეთის არმიაში სამსახურში გადმოვიდა პორუჩიკის ჩინით (1904). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის მონაწილე. იასაული (1905). როტმისტრი (1908). პოლკოვნიკი (1910). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ინგუშთა ცხენოსანი პოლკის უფროსის თანაშემწე. ოფიცერთა საკავალერო სკოლის პოლკის უფროსი. 1915 წ-დან კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაშია. 1916 წ-დან დრაგუნთა მე-12 პოლკის უფროსი. გენერალ-მაიორი (1917). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ, ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე- 3 ხარისხის ხმლებით.

1917 დაბრუნდა საქართველოში. 1919 დაინიშნა უცხოეთის მისიებთან ურთიერთობის ჯგუფის უფროსის თანაშემწედ. 1921 დატოვა საქართველო. ცხოვრობდა ნიცაში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მიხეილ ბახტაძე

მიქაშავიძე აკაკი ნიკოლოზის ძე (1876-1971) - 1904-1905 წწ-ის რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე. პოლკოვნიკი (1917). ორდენები: წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. გენერალი (1920). 1920 იყო თბილისის კომენდანტი.

მიქაშავიძე აკაკი

ლიტ.: M. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

მიქელაძე კატო დავითის ასული (18.IX.1878, სოფ. კულაში, ქუთაისის მაზრა - 1942, თბილისი) -ფემინისტრი, პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. დედა ადრე გარდაეცვალა, იზრდებოდა დაბა სუჯუნაში ნათლიასთან, ბარბარე გაბუნიასთან. ოთხი კლასი ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში დაამთავრა. ნათლიის გარდაცვალების შემდეგ თბილისში ნათესავთან გადავიდა საცხოვებლად. 1899 წ-დან სამეანო კურსებზე სწავლობდა. დასრულების შემდეგ გორში გადავიდა სამუშაოდ. იქ დააარსა ბიბლიოთეკა, შექმნა სცენისმოყვარეთა წრე, ზრუნავდა ახალგაზრდების განათლებაზე. 1900 წ-დან ჟურ. „კვალში“ და არალეგალურ გაზ. „ბრძოლა“ ბეჭდავდა ლექსებს. 1903-1904 წწ-ში მუშაობდა ცხინვალში, ასევე, თანამშრომლობდა მესამე დასელებთან. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით, ქართველი მეცნიერების მიერ ახლად გახსნილ პედაგოგიურ კურსებზე სასწავლებლად მოსკოვში გაემგზავრა. 1906 იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთი და შვეიცარიაში გადასულიყო. ფინანსური დახმარების მიზნით, ზუბალაშვილს მიმართა, რომლის მხარდაჭერით გაემგზავრა პარიზში. 1910 რუსი მეცენატის

მიქელაძე კატო

ეკატერინე სკარჟინსკაიასაგან დაენიშნა სტიპენდია. 1911 ბრიუსელის ახალ უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სტუდენტობიდან დაინტერესდა ქალთა უფლებებითა და მარქსიზმით. 1914 უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. 1916 წ-დან ქალთა უფლებებსა და მდგომარეობაზე ქუთაისში კითხულობდა ლექციებს. პარალელურად სტუმრობდა სხვადასხვა დაბებს. მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ტრიბუნა“, „თეატრი და ცხოვრება“, „რუბიკონი“, „ბარრიკად“ და სხვ.

1917 ქუთაისში დააარსა ქალთა კლუბი. 1917 წ-ის 5 აპრილს კ. მ.-ის რედაქტორობით და კლუბის წევრ ქალთა აქტიურობით გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოიცა, რომელმაც 1918 წ-ის სექტემბრამდე იარსება. ჟურნალი პოლიტიკურ-ლიტერატურული იყო, რომელსაც ახალი ამბები ერთვოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. გაზეთთან თანამშრომლობდნენ: მარიამ გარიყული, ეკატერინე გაბაშვილი, დომენიკა ერისთავი, საფო მგელაძე და სხვ. კ.მ. 1918-1919 წწ-ში გუდაუთაში, 1920 კი - სიღნაღში მუშაობდა პედაგოგად. 1921 წ-დან საბოლოოდ დასახლდა თბილისში.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროიდან მასაც საბჭოთა წნეხის ქვეშ მოუწია ყოფნა, ფიზიკური გადარჩენის მიზნით, რამდენიმე ლექსიც კი მიუძღვნა ბელადს. 1930 წ-დან მუშაობდა ცენტრალურ არქივსა და რევოლუციის მუზეუმში. მოგვიანებით გაწევრიანდა მწერალთა კავშირში. 1940 წ-დან ფრანგული ენის კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. მისი საფლავი დაკარგულად ითვლება.

ლიტ.: თ. მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, კატო მიქელაძე, ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, 2013; ნ. ჩ ი ხ ლ ა ძ ე, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, გამომცემლობა საქართველო, თბ.,1990.

სალომე ჭანტურიძე

მიქელაძე კონსტანტინე დიმიტრის ძე (?-?) – საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიების წევრი, საქართველოს 1921 კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის 1918 წ-ის 5 ოქტომბრის სხდომაზე პ. საყვარელიძემ წამოაყენა წინადადება საკონსტიტუციო კომისიაში დამხმარე წევრად მცოდნე კ. მიქელაძის მოწვევის შესახებ. საკონსტიტუციო კომისიის 1918 წ-ის 20 ნოემბრის საბოლოო დადგენილებით, იგი დამტკიცებულ იქნა კომისიის მოწვეულ წევრად. 1919 წ-ის 26 მარტს კ. მიქელაძე, გ. ნანეიშვილთან ერთად, კვლავ მიიწვიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. 1918 წ-ის 27 წ-ის ნოემბერს, საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, კ. მიქელაძეს დაევალა, დაეწერა საქართველოს მომავალი კონსტიტუციის ერთ-ერთი თავი - „მოხელეთა უფლება-მოვალეობანი“. დებულების პროექტი საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე განიხილეს 1920 წ-ის 24 მაისს. მთავარი მომხსენებელი იყო თავად დებულების ავტორი კ. მიქელაძე. კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტში მიქელაძის პროექტი „სახელმწიფო მოხელენი“ მე-15 თავად შევიდა. 1918 საქართველოს მთავრობამ დასტამბა კ. მიქელაძის წიგნი: „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“, რომელიც იმთავითვე საკონსტიტუციო კომისიისათვის იყო განკუთვნილი. ამ წიგნზე 1919 ჟურნალ „შვიდი მნათობის“ №1 და №2-ში გამოქვეყნდა უარყოფითი რეცენზია ვინმე ბ. ნიკრისელის ავტორობით. 1919 წ-ის 10 დეკემბრის გაზეთ „ერთობაში“ კ. მიქელაძის საპასუხო წერილი - „ერთი რეცენზიის შესახებ“ - დაიბეჭდა. აღნიშნულ წიგნში იგი მიმოიხილავს კონსტიტუციონალიზმის არსებით საკითხებს. ესენია: კონსტიტუცია, კონსტიტუციის მიღების ფორმები, მოხელეთა უფლებები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო კონტროლი, სამართლებრივი სახელმწიფო, ძირითადი უფლებები, მოქალაქეობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, სახელმწიფოს ფუნქციები, სახელმწიფოს ნიშნები, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, სახელმწიფო სუვერენიტეტი, პარლამენტი, პარლამენტის სტრუქტურა და შემადგენლობა, სასამართლო, სასამართლო კონტროლის ფორმები, ადმინისტრაციული იუსტიცია, ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი, აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობა, პრეზიდენტი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კ. მიქელაძე იყო ამიერკავკასიის გზათა სამინისტროს იურისტ-კონსულტი (1910-1918), საქართველოს გზათა (მიმოსვლის) სამინისტროს იურისკონსულტი (1918 წ-ის 1 ივნისიდან 1921 წ-ის თებერვლამდე). მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის სამინისტროს მენარდეების ანგარიშის კომისიაში, პეტერბურგის საოლქო სასამართლოს პალატაში, პეტერბურგის კომერციულ სასამართლოში (1918 წ-ის 27 ივნისიდან). იყო ჩრდილო-დასავლეთ რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტის თანაშემწე, ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის მომარაგების კომიტეტის საქმეთა ხელმძღვანელი. კ. მიქელაძე ემიგრაციიდან აღარ დაბრუნებულა. მისი შთამომავლები თბილისში ცხოვრობენ.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი. 2003. სცსა. ფ. 1836. საქ. 201. ფ. 1833. საქ. 181. ფ. 1881. საქ. 164.

ბექა ქანთარია

მიქელაძე სოლომონ გიორგის ძე (21.VI.1957 - ?) - იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. 1882 წ-დან მუშაობ-

და სასამართლო ორგანოებში. მოსამართლედ მუშაობის გამო რუსეთის იმპერიის მიერ დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის ორდენებითა და ვერცხლის მედლით.

1917 დროებითი მთავრობის ბრძანებით დაინიშნა ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარედ. 1918 საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თბილისის სასამართლო პალატის წევრად დანიშნა. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში. 1920 წ-ის აპრილში დაინიშნა სოხუმის ოლქის სასამართლოების რევიზორად.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921). თბ., 2004.

ბექა ქანთარია

მიქელაძე ოსმან შავყი ეფენდი (1894, სოფ. დანისპარაული, ბათუმის ოლქი - 15.X.1937) -ქართველი მუსულმანი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო სტამბოლის უნივერსიტეტში.

1919 აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო ახალციხეში გამომავალი გაზეთის „განახლებული მესხეთის“ რედაქტორი. ოსმან მიქელაძე 1919 წ-ის 4 აპრილს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე (თავმჯდომარე ა. ლომთათიძე), ახალციხეში პანისლამისტური და პანთურქული მოძრაობის გაძლიერების გამო მოხსენებით გამოვიდა. მან თქვა: „მე დავალებული მაქვს თქვენს წინაშე განვაცხადო, რომ მესხეთის ხალხს იმ სისხლში, რომელიც ფოცხოვის აჯანყებით დაიღვარა, ხელი არ გაუსვრია. თქვენ იცით, რომ აჯანყება მოაწყვეს ოსმალეთის აგენტებმა, რომლებსაც სურდათ სამუსულმანო საქართველო საქრისტიანო საქართველოსთვის გამოეგლიჯათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ახალციხის ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, აგრეთვე, აჭარაში, სადაც დატრიალდნენ ოსმალთა აგენტები და გასწიეს საქართველოს წინააღმდეგ აგიტაცია. მე იქ წავედი და ეს-ეს არის იქიდან დავბრუნდი და ჩვენდა სასიხარულოდ უნდა განვაცხადო, რომ აჭარა ოსმალეთის აგენტების აზრს არ იზიარებს და საქართველოსთან სურს ყოფნა. თქვენ იცით, რომ დღეს სამუსულმანო საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება, ის თქვენგან მოელის დახმარებას და მე ვიმედოვნებ, რომ კიდევაც მიიღებს ყოველგვარ დახმარებას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს საქართველოსთან ერთად სამუსულმანო საქართველოსაც! მე, ბატონებო, კარგად არ ვიცი ქართული ენა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა და რესპუბლიკა, ჩემისთანებს შეითვისებს, ასწავლის და განავითარებს“.

ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა, ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში, ეწეოდა სოფლის მეურნეობას. 1923 ჩეკამ დააპატიმრა, დაეთანხმა „ყოფილი მენშევიკების“ კონფერენციის გადაწყვეტილებას. 1937 კვლავ დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; დამფუძნებელი კრების 1919 წლის 4 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გაზ. „ერთობა“, 1919 №78;

ლელა სარალიძე

მიქელაძე შალვა



მიქელაძე ოსმან

მიქელაძე შალვა ანტონის ძე (17.IX.1884, ქუთაისი - 1938, თბილისი) - თერაპევტი, საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნ. დოქტორი, პროფესორი. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1907. ჯერ დაბა ხონში მუშაობდა ექიმად ორი წლის განმავლობაში, ხოლო 1910 წ-დან თბილისში გადმოვიდა „ქალაქის ექიმად“. 1911 წ-დან იყო ქართული დრამატული საზოგადოების წევრი, 1911-1914 წწ-ში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. 1904 შ. მიქელაძე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი გახდა. 1909 წ-დან თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთსა“ და ფედერალისტური პრესის სხვა ორგანოებში. 1910-იანი წწ-დან იგი სოც-ფედ. პარტიის ხელმძღვანელ ბირთვშია.

1917 წ-ის 22 ნოემბერს შ. მიქელაძე საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე არჩეული ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად დაასახელეს. 1918 წ-ის 29 მაისს ის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) გაფართოებულ შემადგენლობაში შევიდა. თანამშრომლობდა სოც-ფედ. პარტიის გაზ. „სახალხო საქმეში“.

საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოების შემდეგ შ. მიქელაძე პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოსცილდა. 1924 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1926-1930 წწ-ში იყო თსუ-ს სამკურნალო ფაკ-ის კერძო პათოლოგიისა და თერაპიის, ხოლო 1930-1935 თბილ. სამედიცინო ინსტ-ის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრის გამგე. 1935-1938 წწ-ში განაგებდა ამავე ინსტ-ის პროპედევტიკისა და ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თერაპიის კათედრებს. იყო პირველი ქართული საექიმო ჟურნალის „ექიმი“ რედაქტორი (ს. ვირსალაძესთან ერთად); აგრეთვე, ჟურნ. „თანამედროვე მედიცინის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და სხვ.

ლიტ.: ი. ც ი ნ ც ა ძ ე, შ. ა. მიქელაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, „თბილისის საქალაქო I კლინიკური საავადმყოფოს შრომები“, ტ. VI, 1964; მიქელაძე შალვა ანტონის ძე, ქსე, ტ. VII, 1984; სცსა, ფ. 1836, აღნ. 1, საქ. 107.

დიმიტრი შველიძე

მიწა (1920-1921) - მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ორგანო. 1921 წ-დან ყოველდღიური, ოთხგვერდიანი გაზეთი, ყოველკვირეული გახდა. გამოიცემოდა თბილისში. რედაქტორ - გამომცემელი გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), მისი მოადგილე იყო გიორგი ლეონიძე, რომელმაც 1920 წლის რამდენიმე ნომერს რედაქტორის ნაცვლად მოაწერა ხელი. სულ გამოვიდა 45 ნომერი. გაზეთის თემატიკა მრავალფეროვანია. მასში აისახებოდა იმ პერიოდის საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა; იბეჭდებოდა როგორც ქვეყნის ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი პუბლიკაციები, აგრეთვე, სტატიები უცხოეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. გამოცემა განსაკუთრებით აკრიტიკებდა მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და, საზოგადოდ, მის მიერ გატარებულ საშინაო პოლიტიკას. მთავარი ტენდენციაა ნაციონალური იდეოლოგიის ერთგულება, ეროვნული პრობლემების მწვავედ წარმოჩენა. გაზეთი გამოირჩევა პრაქტიკული მიზანდასახულობით. აქტიურად უჭერს მხარს სამუსლიმანო საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებას: „სამუსლიმანო საქართველოს დაუყოვნებელი ავტონომია“, „სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისათვის“ და სხვ. ხშირად იბეჭდება პუბლიკაციები აჭარასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, აგრეთვე, ამ რეგიონში ინგლისისა და რუსეთის ინტერესებზე. მაგ., „ინგლისის განზრახვანი ბათუმში და რუსეთის პროტესტი“, „ჩიჩერინის ნოტა ბათუმის შესახებ“ და სხვ. გაზეთი აქტიურად განიხილავს ოსმალეთის საკითხს. მაგ., „ანტანტა და ქემალი“, „საფრანგეთი და ქემალი“, „სტამბოლი და ქემალისტები“, „მუსტაფა ქემალის პირობები“ და სხვა. მუდმივად აშუქებს სომხეთ–ოსმალეთის ომის მიმდინარეობას. „ეკონომიკური პოლიტიკისათვის“ - ამ რუბრიკით დაიბეჭდა რ. გაბაშვილის რამდენიმე წერილი: „შრომის ბეგარა“ , „იძულებითი სესხი“, „იძულებითი პური“. „მიწა“ დიდ ადგილს უთმობს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. გაზეთი უყურადღებოდ არ ტოვებს ქართული კულტურის ისტორიულ ძეგლებს: „შიომღვიმის მონასტერი“, „ბედია და ბედიის ტაძარი“. წერილებს გელათის მონასტრის შესახებ მთლიანად დაეთმო 1920 წლის 5 დეკემბერის (№30) გაზეთი. „მიწაში“ სისტემატურად ქვეყნდება განცხადებები და რეკლამები. მაგ., განცხადებას „ქიზიყ-კახეთის სავაჭრო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბანკის აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება“ 1920 წ-ის დეკემბრის ნომრების პირველი გვერდი თითქმის მთლიანად დაეთმო. გაზეთის მუდმივი რუბრიკებია: „უცხოეთის დეპეშები“, „საქართველოს ქრონიკა“, „რუსეთის ცნობები“ და სხვ. თითქმის ყველა ნომერში ვხვდებით: „პრესის მიმოხილვას“, „უცხოეთის დეპეშებს“, „საქართველოს ქრონიკას“, „რუსეთის ცნობებს“, იშვიათად იბეჭდება ფელეტონები და ლექსები.

ლიტ.: გაზ. „მიწა“, 1920, №1 (2/XI) - №40 (26/XII). 1921 №1 (იანვ.) - №5 (30/I.); გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

მიწათმოქმედების სამინისტრო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში მნიშვნელოვან სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა. 1918 წ-ის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მთავრობის ფორმირებისას, ცალკე ორგანოდ ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების სამინისტრო. მიწათმოქმედების მინისტრად სოციალ-დემოკრატი ნოე ხომერიკი შეირჩა, მის მოადგილედ კი - პეტრე გელეიშვილი. სამინისტროს უმთავრეს ფუნქციად თავიდანვე აგრარული რეფორმის მომზადება და განხორციელება განისაზღვრა. ქართული სახელმწიფო კანონმდებლობის შემუშავებამდე სამინისტროს საქმიანობა ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ-ის 20 (7) მარტს მიერ მიღებულ კანონს ეყრდნობოდა. ამიერკავკასიის აგრარული რეფორმის კანონი მრავალ ნაკლს შეიცავდა, რის გამოც აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ქართულ რეალობაზე მორგებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, პარლამენტთან ერთად ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა თავად მინისტრი ხომერიკიც. მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურა შემდეგი განყოფილებებისგან შედგებოდა: ა) აგრარული რეფორმის განყოფილება, ბ) სახელმწიფო მამულთა განყოფილება, გ) იურიდიული განყოფილება, დ) საიჯარო განყოფილება, ე) გადასახადების განყოფილება, ვ) შინა-მრეწველობის განყოფილება და ზ) სატყეო განყოფილება. სამინისტროს საქმიანობას უმნიშვნელოვანესი გავლენა ჰქონდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე, თავდაპირველად აგრარული რეფორმის შეფერხებამ კარგი ნიადაგი მისცა ბოლშევიკურ ჯგუფებს ანტისამთავრობო გამოსვლებისათვის, თუმცა აგრარული რეფორმის ამოქმედებისა და რეალობაში გატარების შემდეგ ამ მიზეზით აჯანყებებს ადგილი აღარ ჰქონია. 1919 წ-ის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აგრარული რეფორმის კანონი, რის შემდეგაც მიწათმოქმედების სამინისტრო მის გატარებას შეუდგა. სამინისტროს საქმიანობის უმთავრესი საკითხი თავდაპირველად მიწების მემამულთაგან ჩამორთმევა, საერთო ფონდის შექმნა და შემდგომში მისი სამართლიანი განაწილება იყო. სამინისტრომ საკუთრება 4000-მდე მსხვილ მემამულეს ჩამოართვა, ჯამში, 640 000 ჰა. სამინისტროს განკარგულებაში არსებული მიწის ფონდი, რომელიც სახნავ-სათეს და ბაღების გარდა ტყეებსა და საძოვრებსაც მოიცავდა, 3 900 000 ჰექტარი შეადგინა. სამინისტრომ, კანონის შესაბამისად, მიწის განაწილება დაიწყო, მიწა თითქმის სიმბოლურ ფასად - ჰა დაახლოებით 400-1000 მანეთამდე - გადაეცემოდათ გლეხებს კერძო საკუთრებაში. საბოლოო ჯამში, სამინსიტროს გეგმით, სასოფლო-სამეურნეო მიწა 290000

მცირემიწიან გლეხს უნდა გადასცემოდა. სამინისტრო ტყეებსა და საძოვრებს ძირითადად ერობებს გადასცემდა გამოსაყენებლად, თუმცა სამრეწველო და რეკრეაციული დანიშნულების ტყეები სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა. მიწათმოქმედების სამინისტრომ ყოფილი საიმპერატორო მამულების ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, ნაწილი კი (ძირითადად ვენახები) სამრეწველო დანიშნულებას ატარებდა, რომლის უმეტესი ნაწილის შემდგომში სანერგე თუ სხვა მსგავსი სამუშაოებისათვის გამოყენებას გეგმავდა. მიწათმოქმედების სამინისტრო, გარდა არსებული მიწის ფონდისა, გეგმავდა დამატებით 65 000 ჰა ახალი ფონდის შექმნას, რომელსაც ტყე-ბუჩქნარების გაწმენდით, ჭაობების დაშრობითა და საირიგაციო სისტემით სტეპების ათვისებით მიიღებდა.

1920 წ-ის 3 დეკემბერს მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა თანამდებობა დატოვა, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ მინისტრის თანამდებობაზე სოციალ-დემოკრატი დავით ონიაშვილი დანიშნა.

ლიტ.: ვ. ვ ო ი ტ ი ნ ს კ ი, „ქართული დემოკრატია“, თბ., თსუ, 2018; სცსა, ფ. 1915, აღწ. 2, საქ. 12, 13, 14, 63, 64.

ირაკლი ირემაძე

მიწიშვილი ნიკოლოზ (სირბილაძე ნიკოლოზ იოსების ძე) (8.XI.1896, სოფ. ჯვარისა - 13.VII.1937) - ქართველი პოეტი, „ცისფერყანწელთა“ წევრი. 1903 შევიდა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში, სწავლა გააგრძელა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. დაამთავრა ორწლიანი სამასწავლებლო კურსები. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ვანის რაიონში. 1912 ჟურ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ პირველად გამოქვეყნდა მისი ლექსი „მთებში“. 1917 იყო ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა გ. „გოლოს სალდატას“ რედაქტორი.

1918 „ცისფერყანწელთა“ ორდენს შეუერთდა. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „მეოცნებე ნიამორები“, „პოეზიის დღე“, „ბახტრიონი“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“. 1919 კონსერვატორიის დარბაზში ტ. ტაბიძის პოეზიის საღამოში მონაწილეობდა. 1920 „ბარრიკადში“ გამოქვეყნდა სტატია გაბრიელ სირბაილის ფსევდონიმით - „საქართველოს ძლიერება“. 1921 დააარსა რუსულენოვანი გაზეთი „ფიგარო“. იმავე წელს გამოიცა კრებული „პოეტი გრუზიი“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი თავად იყო. სათავე დაუდო ქართულ დოკუმენტურ პროზას („თებერვალი“).

1922 გამოიცა მისი პირველი წიგნი - „წმინდანიანი“. იმავე წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა. რამდენიმე ხანი იცხოვრა სტამბოლში, სადაც დაიბეჭდა მისი მეორე წიგნი - „შავი ვარსკვლავი“. 1922-1925 წწ-ში ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. 1924 პარიზში ჩამოაყალიბა „ქართველ ხელოვანთა კავშირი“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იყო სახელმწიფო გამომცემლობის სამხატვრო განყოფილების ხელმძღვანელი, 1926-1928 წწ-ში მწერალთა კავშირის ჟურ. „ქართული მწერლობის“ რედაქტორია. დააფუძნა ლიტფონდი, ხელმძღვანელობდა სახელგამს. მისი ინიციატივით შეიქმნა სახელგამთან არსებული სემინარი სტილისტების, რედაქტორების და კორექტორებისთვის, სადაც ლექციებს კითხულობდნენ არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები. დაპატიმრებამდე იყო „ზარია ვოსტოკას“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგე. 1937 დააპატიმრეს, ბრალად წაუყენეს ჯაშუშობა, მავნებლობა და აგიტაცია-პროპაგანდა; ორგანიზებული ქმედება, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ და დახვრიტეს. 1956 რეაბილიტირებულია.

ლიტ.: ქსე, ტ. VII, თბ., 1984; „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა (1921-1941)“, თბ., 2016; მ. ჩ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნიკოლო მიწიშვილი - 110, ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 2006, №7; ნ. ყ ი ფ შ ი ძ ე, რეპრესირებული ქართველი მწერლები, საარქივო მოამბე, თბ., 2011, №10; ო. ქ ა ზ უ მ ო ვ ი, ფიქრები სამშობლოზე. ჟურ. „ახალი საუნჯე“, თბ., 2014 №(13); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №82.

გაგა ლომიძე

მიწიშვილი ნიკოლოზ

მიხაილოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1874, ბორჩალოს მაზრ -?) - მასწავლებელი. საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ეროვნებით ბერძენი. უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. წლების განმავლობაში ეწოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხელმძღვანელობდა საქართველოში მცხოვრებ ელინთა (ბერძენთა) ეროვნულ საბჭოს. 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ ბერძენთათვის გამოყოფილი კვოტით შევიდა პარლამენტში. 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდა ელინთა დემოკრატიული პარტიიდან, იყო საარჩევნო სიის მესამე ნომერი, თუმცა დამფუძნებელი კრების წევრის მანდატი ვერ მოიპოვა.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127. ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 76.

ირაკლი ირემაძე

„მომავალი“ (1920 – 1921, თბილისი) - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი, გამომც. - სტუდენტთა ჯგუფის საგამომცემლო კომიტეტი. ჟურნალი პირველი ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებას წარმოაჩენს. მიუხედა-

ვად კონკრეტული ამოცანისა, მისი პროფილი ფართოა და მოიცავს როგორც სამეცნიერო სიახლეებს, სხვადასხვა დარგის ცნობილ წარმომადგენელთა ნაშრომებს, ასევე მხატვრულ პროდუქციასა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური პრობლემების ამსახველ პუბლიკაციებს. გამოცემის კონცეფცია მკაფიოდაა გადმოცემული წინასიტყვაობაში, რომელშიც დამოუკიდებელი ქვეყნის ნათელი მომავლისთვის მეცნიერების ტაძრის - ქართული უნივერსიტეტის, სტუდენტი - ახალგაზრდობის სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის და, ზოგადად, ცოდნის, მაღალი ინტელექტის მნიშვნელობაზეა საუბარი („ქართული უნივერსიტეტი, ქართველი ახალგაზრდობა, საქართველოს მომავალია... საჭიროა ახალგაზრდობა მოძრაობით, თვითაზროვნებით, შემოქმედებით ცოცხლობდეს“). სწორედ ამ თემების აქტუალიზებას ემსახურება ჟურნალი, რომლის კრედო სარედაქციო გამოსვლაში ასეა გაცხადებული: „ჟურნალი „მომავალი“ ის ორგანოა, რომელშიც ასახულია სტუდენტების სული, სულის მოძრაობა. ჟურნალის მიზანია, სტუდენტების დარაზმვა მეცნიერული შემოქმედებისათვის, ჭეშმარიტებისათვის, სიკეთის მშვენიერებისა და დაგროვებული ცოდნის საზოგადოების წინაშე გადაშლისათვის“. ცნობილ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებისა და გამოკვლევების გვერდით, ჟურნალი მკითხველს აცნობს მათ ბიოგრაფიულ ცნობებს, შრომების ბიბლიოგრაფიას. მაგალითად, გამოცემაში წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძის, კ. კეკელიძის მოღვაწეობის ამსახველი ინფორმაცია, რომელსაც ერთვის მეცნიერთა ფოტოსურათები. ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია: პლ. გირიელის „ქართული უნივერსიტეტის მნიშვნელობა“, ა. შილაკაძის „ხელოვნების ისტორიიდან (ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენის გამო)“, ვასილ გიორგაძის „სასულიერო პოეტები: იოანე საბანისძე, ივანე მინჩხი და ფილიპე“, ს. მაკალათიას „ატენის სიონი“, გ. ახვლედიანის „მარცვლის საკითხის გარშემო“ (საუბარია ფონეტიკურ ერთეულზე), თ. სიხარულიძის „გუსტავ ლებონის ახალი თეორია“, ლეონ მელიქსეთ-ბეგის „მცხეთა-ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო“, ექიმ ვლ. ცეცხლაძის „სიცოცხლე და სიკვდილი“ და სხვ. ჟურნალში იბეჭდება ლიტერატურული ნაწარმოებებიც, მათ შორის: „ბაბილინას“ (ბარბარე ხოსიტაშვილი-კურდღელაშვილისა), „ღრუბელის“ (ილია სიხარულიძე), ვ. გორგაძის, ს. აბულაძის, ილ. გოგიას ლექსები, ვ. გორგაძის „ებრაული ლირიკა“ და სხვ. „მომავლის“ ყოველი ნომრის ბოლოს იბეჭდება წერილები საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ. პუბლიკაციები ძირითადად ფსევდონიმებითაა ხელმოწერილი, მაგ.: „ლიას“ (იოსებ იმედაშვილი) წერილები - „ვერ დამიმონებ!..“, „რატომ არ ცხრები?“, „ა. კ-ძის“ (აკაკი კალაძე) „ზავი საბჭოთა რუსეთთან“, „ შ. დ-ვას“ (შ. დუდუჩავა) „ორი ქვეყანა“ და ა. შ.

ლიტ.: გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ჟურნალი „მომავალი“, 1920-1921;

მანანა შამილიშვილი

მომარაგების და შრომის სამინისტრო – სახელმწიფო ორგანო, რომელიც 1918 წ-ის მაისიდან მიწათმოქმედების სამინისტროსთან ერთად არსებობდა, მინისტრი ნოე ხომერიკი, რომელმაც ამ მიმართულებით თავის მოადგილედ გიორგი ერაძე დანიშნა. 1919 წ-ის ბოლოს შრომისა და მომარაგების სამინისტრო ცალკე უწყებად ჩამოყალიბდა და სამინისტროს ხელმძღვანელად გ. ერაძე დაინიშნა, მის მოადგილეებად კი - ივანე ჭავჭანიძე და ილია გოლდმანი. სამინისტრო მომარაგებისა და შრომის რეგულაციის მიმართულებით აქტიურად მუშაობდა, თუმცა ხშირად ოპოზიციის კრიტიკის მთავარი ადრესატი სოციალ-დემოკრატიულ მთავრობაში სწორედ მომარაგების მინისტრი იყო. მას ოპოზიცია არაკომპეტენტურობას სწამებდნენ და გამოცდილების არმქონედ მოიხსენიებდა, თუმცა ფაქტია, მთავრობაშიც და საკანონმდებლო ორგანოშიც დიდი ნდობით სარგებლობდა. სამინსიტროს დაქვემდებარებაში არსებული ორივე ძირითადი მიმართულება ძალზე პრობლემურად იდგა დამოუკიდებლობის პერიოდში. შრომის საკითხების მოგვარება სამინისტრომ პროფკავშირებთან ერთად, სატარიფო პალატის და შრომის კომისიების (საბჭოების) საშუალებით, მნიშვნელოვნად გადაჭრა. 1920-1921 წწ-ის ბიუჯეტის თანახმად, შრომის სამინისტროს დაფინანსება 32 მილიონ მანეთს აღემატებოდა, სამინისტროს ბიუჯეტი ძირითადად მუშათა შემწეობებს, მუშათა ჯილდოებს, კომისიების მუშაობაზე და ადმინისტრაციულ ხარჯებს ხმარდებოდა. სამინისტროს, სატარიფო პალატის, შრომის კომისიებისა და დამფუძნებელი კრების შესაბამისი კომისიის ეფექტური მუშაობის შედეგად მიღებულ იქნა შრომის ეფექტური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავდა: 8 - საათიან სამუშაო დროს, შრომის პირობების მონიტორინგს, დავების ეფექტურად გადაწყვეტის მექანიზმებს, ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის რეგულაციას.

მომარაგების მიმართულებით სამინისტრო, საქართველოს გარშემო არსებული ვითარებიდან და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, დიდ პრობლემებს სწყდებოდა. საბჭოთა და თეთრგვარდიელთა რუსეთის მიერ საქართველოსათვის დაწესებულმა სასურსათო ბლოკადამ, საერთაშორისო კომუნიკაციების მოშლამ საქართველო მძიმე სასურსათო კრიზისის წინაშე დააყენა, სამინისტროს მცდელობები მიეღო სტაბილური სასურსათო მარაგები, ხშირად უშედეგოდ სრულდებოდა. მომარაგების სამინისტროს ბიუჯეტი 1920 წ-სთვის ქვეყნის ბიუჯეტის 29%-ს

აღემატებოდა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი არა მხოლოდ სურსათის, არამედ ნავთობ პროდუქტების, სხვა მასალებისა და იარაღის შესყიდვაზე იხარჯებოდა. მომარაგების სამინისტრო ებრძოდა ქვეყნის შიგნით არსებული მარცვლეულის სპეკულანტების ხელში ჩავარდნასა და კონტრაბანდის სახით ქვეყნიდან გატანას.

ლიტ.: ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21 წწ.)“, თბ., 2001; ვ. ვ ო ი ტ ი ნ ს კ ი, „ქართული დემოკრატია“, თბ., 2018; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №185, №278, 1920, №1, 1921, №24.

ირაკლი ირემაძე

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი – მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი საქართველოში, ტრადიციულად, საქართველოს პირველ რესპუბლიკამდე არსებობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს უკავშირდება მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის ნორმატიული რეგლამენტაცია.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 24 სექტემბერს „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის“ შესახებ კანონი დაამტკიცა, რომელიც ორი თავისა და 20 მუხლისაგან შედგება. კანონით მოწესრიგებული იყო მომრიგებელ მოსამართლეთა იურისდიქცია, მათი არჩევისა და დანიშვნის წესი. გარდა ამისა, დაწესებულ იქნა საპატიო მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა. ამ კანონით გაუქმდა სოფლის სასამართლოები და ყველა დაუმთავრებელი საქმე გადაეცა მომრიგებელ მოსამართლეს. გათვალისწინებულ იქნა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი როგორც ქალაქებში, ისე მაზრებში. თბილისში არსებობდა ცალკე სამომრიგებლო ოლქი. უმაღლეს სამომრიგებლო ინსტანციად დადგინდა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა. საქართველოს სენატის 1920 წ-ის 3 აპრილის საზოგადო სხდომაზე დაადგინეს, რომ სოფლის სასამართლოების განაჩენებზე საკასაციო საჩივრები გადაეცეს აპელაციის წესით მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებს. თბილისში და სხვა ქალქებში (მათ შორის ერთ სამომრიგებლო ოლქად იყვნენ გაერთიანებულ ქალაქებში) მომრიგებელ მოსამართლეებს ირჩევდა ქალაქის საბჭო, ხოლო სამომრიგებლო ოლქებში - მაზრის (ოლქის) საერობო კრება (ერობების არჩევამდე ეს უფლებამოსილება დროებით იუსტიციის მინისტრს გადაეცა). საქართველოს სენატის 1919 წ-ის 29 ივლისის დებულების 34-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, ერობისა და ქალაქის თვითმართველობათა მიერ არჩეული მომრიგებელი მოსამართლის დამტკიცება სენატის ფუნქციებში შედიოდა. გარდა ამისა, მომრიგებელი მოსამართლის სამსახურიდან დათხოვნა ან მისი გათავისუფლება, ორ თვეზე მეტი ვადით, სენატის კომპეტენცია იყო.

კანონით განისაზღვრა მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატებისათვის წაყენებული შემდეგი მოთხოვნები; 25 წელი, უმაღლესი ან საშუალო განათლება (განსაკუთრებულ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებდა გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც პირი ინიშნებოდა მოსამართლედ უმაღლესი ან საშუალო განათლების გარეშე), გარდა ქართულისა, იცოდა ის ენა, რომლითაც უბნის უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი უმცირესობა ლაპარაკობდა. დაუშვებელი იყო პირის დანიშვნა მომრიგებელ მოსამართლედ, თუ მისი საქმე გამოძიებაში იყო, ან მის მიმართ არსებობდა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, თუ ის სასამართლოს მიერ სამსახურიდან იყო დათხოვნილი, ან შეუძლებელ მოვალედ (თანამედროვე ენით - „ვალაუვალად“) იყო გამოცხადებული, თუ მფლანგველობის გამო მზრუნველის ქვეშ იმყოფებოდა. მომრიგებელ მოსამართლესთან საქმისწარმოება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქართულ ენაზე. თუმცა კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, იმ სამომრიგებლო უბანში, სადაც უმრავლესობა არაქართული იყო, საქმისწარმოება შეიძლებოდა უბნის უმრავლესობის ენაზე, მაგრამ ოფიციალურ ტექსტად მაინც ქართული ტექსტი მიიჩნეოდა. მომრიგებელი მოსამართლეები, ისევე როგორც სხვა სასამართლოები, იყენებდნენ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს მიღებულ კანონმდებლობას სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებათა და წარმოებათა შესახებ. აღნიშნული კანონით, მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარებოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები. თუმცა მოსამართლე შეზღუდული იყო და მას უფლება არ ჰქონდა, ყველა კატეგორიის საქმეები განეხილა. მაგალითად, „მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოების“ შესახებ საქართველოს პარლამენტის 1919 წ-ის 30 იანვრის კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარებოდა ისეთი დანაშაულობანი, რომელთათვის არ იყო გათვალისწინებული უფლების აყრა, ანუ შეზღუდვა. კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმესთან ერთად არსებული სამოქალაქო საჩივარი, რომელიც ზარალის ანაზღაურებისათვის ოთხი ათას მანეთზე მეტს ითვალისწინებდა, არ შედიოდა მომრიგებელი მოსამართლის იურისდიქციაში. მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენციები გაფართოვდა, ასევე, „მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოების“ შესახებ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წ-ის 30 მარტის კანონით. ძირითადად სასჯელთა წესდებამ განიცადა ცვლილება და გაიზარდა ჯარიმების ოდენობა. მომრიგებელი მოსამართლე საქართველოს სენატის (უმაღლესი სასამართლო) კონტროლს (რევიზიას) ექვემდებარებოდა (საქართველოს სენატის 1919 წ-ის 29 ივლისის დებულების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად). მაგალითად, საქართველოს სენატის წევრ ი. ჯაფარიძის მიერ საქა-

რთველოს სენატისთვის გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მას ჩაუტარებია ახალციხის მაზრის სამომრიგებლო სასამართლოს რევიზია, რის შედეგადაც გამოურკვევია, რომ მომრიგებელ მოსამართლეს არაერთგზის ჩაუდენია კორუცფიული დანაშაული. 1918 წ-ის 5 ივლისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დებულებით გააუქმა თბილისის საობლო სასამართლო და ყველა ის საქმე, რომელიც ამ სასამართლოს იურისდიქციაში შედიოდა, დაექვემდებარა მომრიგებელ მოსამართლეს. 1919 წ-ის 27 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი მიიღო, რომელიც მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენციებს ეხება. კანონის მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველ ქვეშევრდომს შეეძლო საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ამ საკითხს მომრიგებელი მოსამართლე განიხილავდა და გასცემდა მოქალაქეობის შესაბამის მოწმობას. მომრიგებელი მოსამართლის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი დაფიქსირდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ-ის 29 ივლისს მიღებულ კანონში „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა“, რომლითაც ცვლილებები შევიდა „სასამართლო დაწესებულებათა დებულებაში“, კერძოდ მის 431-ე მუხლში, რომელიც შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის მომრიგებელ-მოსამართლეს, მათ ყრილობათ, ოლქის სასამართლოს, სასამართლო პალატას და სენატს“.

ლიტ.: სცსა, ფ. 1837, საქ. 6, საქ. 10. ფ. 1938. საქ. 883. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

მოტა ჯუზეპე

მოსეშვილი ვარლამ

მოსეშვილი ვარლამ პავლეს ძე (1871, სოფ. გუბი - 1943, თბილისი) – ფარმაკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. 1898 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1910-1911 წწ-ში მივლინებული იყო პარიზში.

1918 აირჩიეს ხარკოვის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის პროფესორად. 1918 თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ქართული უნივერსიტეტის პროფესორად მოიწვია. 1918-1919 წწ-ში ასრულებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას. 1920 არჩეულ იქნა ფარმაციის კათედრის გამგედ, ხოლო მოგვიანებით სამკურნალო ფაკულტეტის დეკანად.

1930-1943 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრას. ვ. მოსეშვილი იკვლევდა სანარკოზო ნივთიერებების მოქმედებას, მცენარეული წარმოშობის სამკურნალო ნივთიერებების გავლენას გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის სისტემებზე და სხვა. დაწერა ზოგადი ფარმაკოლოგიის სახელმძღვანელო, თბ., 1938.

ლიტ.: ქსე, ტ. VII, თბ., 1984; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

მოსეშვილი იასონ პავლეს ძე (1876, სოფ. გუბი, ქუთაისის მაზრ. – 1968, ქ. თბილისი) – ქიმიკოსი, პროფესორი (1920). 1902 დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება და დატოვებული იქნა ქიმიის კათედრაზე.

1919 მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა არაორგანული ქიმიის კათედრას, სადაც მუშაობდა 1965 წ-მდე. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში არაორგანული და ანალიზური ქიმიის სწავლების საქმეს. იგი იკვლევდა საქართველოს ტერიტორიაზე (ქანებში, ნიადაგში, წყლებში) მიკროელემენტების გავრცელების საკითხებს. დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: ქსე, ტ. VII, თბ.,1984; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

მოტა ჯუზეპე (Giuseppe Motta) (29.XII.1871 - 23.I.1940) - შვეიცარიელი პოლიტიკოსი, პრეზიდენტი, დიპლომატი. ერთა ლიგაში შვეიცარიის დელეგაციის მუდმივი თავმჯდომარე. ის იყო შვეიცარიის ფედერალური საბჭოს წევრი (1911-1940) და ერთა ლიგის პრეზიდენტი (1924-1925). წმინდა მიქაელის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ჯ. მოტა სამართლის სპეციალობას ფრაიბურგის, მიუნხენის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში დაეუფლა. 1893 იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი მიიღო. 1895 წ-დან ადვოკატად და ნოტარიუსად მუშაობდა. 1911 წ-ის დეკემბერში ფედერალური საბჭოს წევრად აირჩიეს. 1920 წ-ის 16 მაისის რეფერენდუმზე ხალხმა, ნეიტრალიტეტის შენარჩუნების პირობით, ერთა ლიგაში შესვლას მხარი დაუჭირა. 1924 ჯ. მოტა ერთა ლიგის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარედ აირჩიეს. ჯუზეპე მოტა ხუთჯერ იყო შვეიცარიის პრეზიდენტი სხვადასხვა დროს: 1915, 1920, 1927, 1932 და 1937 წლებში.

ქართული ემიგრაციული პრესა დადებითად აფასებდა ჯ. მოტას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის მხარდაჭერას როგორც საქართველოში, ასევე, მთავრობის ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში.

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ წერდა: „...ერთა ლიგის პირველი ყრილობა მან გახსნა. მან, წინააღმდეგ აგრარული რეფორმით უკმაყოფილო ჩვენში მობინადრე შვეიცარიელებისა, რომელთაც ჩამოერთვათ მამულები, მხარი დაუჭირა ჩვენს ქვეყანას და ხმამაღლა წამოიძახა: „დიახო“. 1922 წელს ერთა ლიგის მე-6 კომისიის დებატებში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად წარდგენილი რეზოლუციის შესახებ და ბრანტინგთან, დე ბრუკერთან და ერიხთან ერთად ხელი შეუწყო მის გატარებას. 1924 წელს მისი თავმჯდომარეობით ერთა ლიგამ კვლავ მიიღო რეზოლუცია საქართველოს აჯანყების დროს და ბოლოს 1934 წელს, როცა საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში დაშვების საკითხი დაისვა და როცა ამ დაშვებას ბევრი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ, პრეზიდენტმა მოტამ წინააღმდეგ მისცა ხმა...“

ლიტ.: გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1937, №31; ა. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „რუსეთი და დამოუკიდებელი საქართველო“. სან ფრანცისკო, 1984; Mauro Cerutti: Motta, Gluseppe. in: Neue Deutsche Biographie (NDB). Band 18, Duncker & Humblot, Berlin 1997, ISBN 3-428-00199-0, S. 225 f. (Digitalisat); Gluseppe Motta dans la base de données Dodis des Documents diplomatiques suisses; გაზ. „სამშობლო“, პარიზი, 1934, №16; გ. შ ა რ ა ძ ე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია”, ტომი V, თბ., 2004.

ლელა სარალიძე

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონი – საკონსტიტუციო კომისიის 1918-ის 29 ივნისის სხდომის მასალიდან ჩანს, რომ მოქალაქეობის შესახებ დებულება რ. არსენიძემ შეადგინა. მანვე დებულების სრული ვარიანტი 1918 წ-ის 30 ივნისის სხდომაზე წარუდგინა საკონსტიტუციო კომისიას. კანონპროექტზე საკონსტიტუციო კომისიამ 1918 წ-ის 6 და 10 ივლისს იმსჯელა. პროექტი კი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 16 ივლისს მიიღო, როგორც დროებითი ხასიათის დებულება „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის)“ შესახებ. იგი მოიცავს 4 პუნქტს და მოქალაქეობის ფუნდამენტურ პრინციპებს განამტკიცებს. დებულების მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვალა ყველა მკვიდრი. დებულებაში მკვიდრი განმარტებულია შემდეგნაირად: ის, ვინც მიწერილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წ-ის 19 ივლისამდე. მოგვიანებით რ. არსენიძის მინაწერიდან ჩანს, რომ ჩანაწერი „მიწერილია რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე“ პრაქტიკაში იწვევდა გაუგებრობას. განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „ამ კანონმა საქართველოს მოქალაქეთა გარეშე დასტოვა ჩვენი ქვეყნის დიდ-ძალი მცხოვრებნი, როგორც ქართველნი ისე უცხოელნი, რომელინიც მიწერილნი არ არიან არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულზე, რომელთა პოლიტიკური და სამოქალაქო მდგომარეობა დღემდე გამოურკვეველია. ასეთი აუტანელი მდგომარეობის მოსასპობად საჭიროა მიღებულ იქნეს დამატებითი კანონი. ყოველი ქართველი, რომელიც მიწერილი არ არის ჩვენი ტერიტორიის ადმინისტრაციულ ერთეულზე, სულ ერთია, სცხოვრობს ახლა აქ თუ არა, უნდა მიჩნეულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ“. მიუხედავად ამ განმარტებისა, მომდევნო კანონში ეს ჩანაწერი ისევ დარჩა.

დებულებით ერთიანი მოქალაქეობა განისაზღვრა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეს უფლება არ ჰქონდა, სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ყოფილიყო. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის გახდა გარანტირებული პოლიტიკური უფლებები, როგორიცაა პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და სხვა. დებულებას თან ახლავს შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის უფლებას, დაწესებულებათა გარდაქმნის დასრულებამდე, მოეწვია უცხო ქვეყნის მოქალაქე თანამდებობაზე. მე-4 პუნქტი ითვალისწინებდა დათქმას, რომ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის საქართველოს მოქალაქედ მიღების პირობები და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის წესები ცალკე კანონით იქნებოდა მოწესრიგებული. დებულება არ შეიცავდა საკმარის ნორმებს მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის ყველა წესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეწყო მსჯელობა ისეთ სრულყოფილ კანონპროექტზე, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრავდა აღნიშნულ საკითხებს.

1918 წ-ის 14 სექტემბრის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის მასალიდან ჩანს, რომ მთავრობა გამოსულა ინიციატივით, შემუშავებული ყოფილიყო დამატებითი კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ. კანონპროექტის შედგენა ეთხოვა დეპუტატ ჩერქეზიშვილს, რომელსაც დაევალა პროექტის წარმოდგენა. თუმცა 1918 წ-ის 9 ოქტომბრის სხდომის მასალებიდან ირკვევა, რომ განსახილველად შემოტანილი იყო გ. ნანეიშვილის მიერ შემუშავებული პროექტი. 12 ოქტომბერს საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა მოისმინეს ნანეიშვილის ვარიანტი და იქვე დაადგინეს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა განახლდებოდა მაშინ, როდესაც მთავრობა იმავე საკითხზე საკუთარ პროექტს წარმოადგენდა. კომისია ამ საკითხს კვლავ მიუბრუნდა 9 ნოემბრის სხდომაზე. გამოიკვეთა, რომ მთავრობის წინაშე მოქალაქეობის შესახებ ორი კანონპროექტი იყო წარდგენილი - იუსტიციის მინისტრის და ს. ჯაფარიძის პროექტები. მთავრობას ჯაფარიძის პროექტი მოუწონებია. საბოლოოდ დამფუძნებელმა კრებამ „მოქალაქეობის შესახებ“ შეჯერებული კანონპროექტი 1919 წ-ის 27 მაისს დაამტკიცა. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის ძალით, გაუქმდა 1918

წ-ის 16 ივლისის დებულება. კანონი შედგება 11 მუხლისაგან. იგი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის წესებს. კვლავ ერთიანი მოქალაქეობის პრინციპი დადგინდა. პოლიტიკური უფლებებით მხოლოდ მოქალაქეები აღიჭურვნენ. განისაზღვრა დაბადებით და ნატურალიზაციით მოქალაქეობის მიღების წესი. ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობაზე განაცხადის შეტანის უფლება ჰქონდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე (უქვეშევრდომო) პირებს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. კანონი თვალისწინებდა „საპატიო მოქალაქეობის“ ინსტიტუტს. მე-7 მუხლს აქვს შენიშვნა, სადაც წერია: „ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელადაც იქნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ“. კანონმა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის პირობებიც დაადგინა. მე-10 მუხლის მიხედვით, მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი იყო: უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ან უცხო ქვეყნის სამხედრო/სამოქალაქო თანამდებობის დაკავება საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად, ან უცხოელზე დაქორწინება, თუ იგი არ განაცხადებდა სურვილს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის თაობაზე.

ლიტ.: სცსა, ფ. 1833, საქ. 191, ფ. 1836, საქ. 46, საქ. 201; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). 1990.

ბექა ქანთარია



მურვანიძე გიორგი

მუსაიასული (მუსაევი) ჰალილ-ბეგ

„მსახიობის დღე“ (1920, 1921, 1923) - მსახიობთა ყოველწლიური ორგანო. გამომცემელი სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირი. გაზეთის რედაქტორი იყო შალვა დადიანი. გამოიცემოდა თბილისში, მსახიობის დღის აღსანიშნავად. 2 იანვარი ქართული თეატრის დაბადების დღეა, სწორედ ამ დღეს, 1920, გაიმართა ქართველ მსახიობთა ყრილობა. გაზეთის 1920 წ-ის მეორე ნომერი მთლიანად ეძღვნება სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის ისტორიას. პირველივე გვერდზე დაბეჭდილია განცხადება მსახიობის დღის აღნიშვნის შესახებ და თბილისში წარმოდგენილი 14 სპექტაკლის ჩამონათვალი. საგაზეთო პუბლიკაციები ეხმიანება მსახიობთა დღესასწაულს. ამ მოვლენას ეძღვნება გ. ახალციხელის „მსახიობთა დღე – ჩვენი დღესასწაულიც არის“, დ. ჭიაბერაშვილის „სალამი“, აგრეთვე ე. ანდრონიკაშვილის „ოცნება... და მხოლოდ ოცნება“ და სხვ. იოსებ იმედაშვილის სტატიაში „ქურუმი ეროვნებისა“ საუბარია ქართული სამსახიობო სკოლის განვითარებისა და ჩამოყალიბების ეტაპებზე. ავტორი საზოგადოებას ულოცავს დღესასწაულს და მას ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს. ამავე ნომერში იბეჭდება ანკეტა, რომელიც მსახიობთა საბჭომ დაუგზავნა თავის წევრებს.

1923 წ-ის ექვსგვერდიანი გამოცემა თავს უყრის ქართული თეატრის დაარსების 73-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მწერალთა და მსახიობთა სტატიებს. ქართული თეატრის მდგომარეობას, განვითარების პერსპექტივასა და პრობლემებს ასახავს დ. კანდელაკის „განათლების სახალხო კომისარის წერილი“ და გრ. რობაქიძის „ქართული თეატრი“. გაზეთში იბეჭდება ინტერვიუ იმჟამად საქართველოში მყოფ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინთან, რომელსაც ესაუბრა მსახიობი ვ. ჯიქია. საუბარი შეეხო თეატრის აწმყოს, ამოცანებს, ქართულ დრამატურგიას, თეატრალური სკოლების დაარსების საკითხს. ქართული თეატრის იუბილეს ეძღვნება აკაკი ფაღავას წერილი „73“. გაზეთში იბეჭდება ივ. გომართელის სტატია „ქართული ხელოვნება“, ალ. ახმეტელის „ახალი სახიობა“, კ. აბაშიძის „ქართული დრამის მოკლე მიმოხილვა“, დ. ლიხელის „ქართული თეატრი“, ალ. წუწუნავას „მისალოცი ქართული თეატრისადმი“, ვ. ფალიაშვილის „ოპერა“ და სხვ. ახლაფეხადგმულ კინოხელოვნებას ეხება ვ. ბარსკის „წერილი კინემატოგრაფიაზე“. გაზეთი აქვეყნებს მ. ბალანჩივაძის მუსიკალური ნაწარმოების „ზღაპრის“ ნოტებს, აქვე იბეჭდება ს. შანშიაშვილის, შ, მღვიმელისა და ვ. რუხაძის ლექსები.

ლიტ.: გაზ. „მსახიობის დღე“, 1920, №1-2, გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947;

მარი წერეთელი

მურვანიძე გიორგი ეფვთიმეს ძე (I.1883 სოფ. ჩოჩხათი - ?) - სოციალ-დემოკრატი. განათლება ფოთში მიიღო, სამოქალაქო სასწავლებელში. 1902 წ-დან ერთიანდება რსდმპ-ში. პროფესიით პედაგოგი იყო. გარკვეულ ეტაპზე მუშაობა ბაქოში განაგრძო, თუმცა 1907 დააპატიმრეს. ორი წლის შემდეგ მას სამუდამო გადასახლება მიესაჯა ციმბირში. საქართველოში დაბრუნების საშუალება მას მხოლოდ 1918 მიეცა, რის შემდეგაც ის ოზურგეთის ქალაქისთავი გახდა. 1919 დამფუძნებელი კრების წევრი ხდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ გ. მურვანიძე სამშობლოში დარჩა და წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016

მანუჩარ გუნცაძე

მუსაიასული (მუსაევი) ჰალილ-ბეგ (1897, სოფ. ჭოხი, გუნიბის რაიონი - 1948, ნიუ-იორკი) - დაღესტნელი (ხუნძი) მხატვარი და საზოგადო მოღვაწე. დაწყებითი სამხატვრო განათლება მიიღო თბილისში (1910-1913), სადაც დროდად-

რო ცხოვრობდა 1916-1921 წწ-შიც. კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაემგზავრა გერმანიაში. დაამთავრა სახვითი ხელოვნების ბავარიის სამეფო აკადემია (მიუნხენი), რომელსაც 1934 წ-დან ხელმძღვანელობდა. მეგობრობდა ქართველი საზოგადოებრიობის ისეთ ცნობილ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი, რაჟდენ რუსიშვილი და სხვები. დახატა არაერთი ქართველი მოღვაწე, მათ შორის: კომპოზიტორი თამარ ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილი (1893-1937), ადვოკატი შალვა ივანეს ძე ქართველიშვილი (1890-1937) - ივანე მაჩაბლის ჯვარდაწერილი ქორწინების გარეშე გაჩენილი ვაჟი და მისი მეუღლე, პოეტი ელენე თევდორეს ასული ბაქრაძე (1897-1979), რომელიც ცნობილი იყო ფსევდონიმით „ელენე დარიანი“, თავადი ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი (1909-1977), რომელსაც ემიგრანტთა ნაწილი მიიჩნევდა საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტად და სხვ. ამ ნამუშევრების ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციებში. საბჭოთა რუსეთის მიერ მთიელთა რესპუბლიკის (და მათ შორის დაღესტნის) ოკუპაციისა და იძულებით გასაბჭოების შემდეგ შემოაღწია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელიც 1921 წ-ის დამდეგისათვის კავკასიაში ერთადერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა. თავის წიგნში „უკანასკნელ რაინდთა ქვეყანა“, რომელიც პირველად მიუნხენში გამოიცა (1936), ემოციურად აღწერს, თუ როგორი განცდებით გადმოლახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანიდან 1921 წ-ის თებერვლის დასაწყისში. „დავიჩოქე, ავიღე საქართველოს მიწა და პეშვით მივიტანე ბაგესთან სიტყვებით: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ - წერს იგი. იქვე ის სიყვარულით იგონებს ჯერ კიდევ თავისუფალი საქართველოს დედაქალაქს, სადაც თავის ქართველ მეგობრებთან დაუვიწყარი შეხვედრები ჰქონდა. საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში შემოჭრის შემდეგ გადასახლდა დასავლეთ ევროპაში, სადაც ემიგრაციაში მყოფ ქართველ მოღვაწეებთან მჭიდრო ურთიერთობა შეინარჩუნა. დასავლეთში მოიპოვა დიდი აღიარება, როგორც მხატვარმა და დიზაინერმა. ცოლად ჰყავდა გერმანელი გენერლის ასული, არქიტექტურის პროფესორი, პოეტი, ბარონესა მელანი ოლივია იულია ფონ ნაგელი (1908-2006), რომელმაც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ქმრის მხატვრული ნამუშევრების მასთან დაცული ნაწილი, პირად არქივთან ერთად, საჩუქრად გადასცა დაღესტანს. ამჟამად ეს ნამუშევრები დაცულია დაღესტნის ფ. ჰამზათოვის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში. მისი ნამუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია მეტროპოლიტენ-მუზეუმში (აშშ), ასევე ევროპის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ლიტ.: H a l i l - B e g, Das Land der Letzten Ritter, München, 1936; X. M у с а я с у л, Страна последних рыцарей, Махачкала, 1999; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჰალილ-ბეგ მუსაიასული და საქართველო, ჟურნალი „ისტორიანი“, თბ., 2012, № 1 (13).

ნიკო ჯავახიშვილი

მუსიკა 1918–1921 წწ-ის დამოუკიდებელ საქართველოში – XIX საუკუნის II ნახევარში თერგდალეულთა მიერ დაწყებული ეროვნული აღმავლობა ქართულ მუსიკასაც შეეხო. ახალი ეპოქის ქართველ მუსიკოსებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა შეესრულებინათ: დავიწყებისგან ეხსნათ ქართული გალობა და სიმღერა, აეთვისებინათ ევროპული მუსიკის იმდროინდელი მიღწევები და ევროპული გამოცდილების საფუძველზე შეექმნათ ახალი ქართული პროფესიული ეროვნული მუსიკა. ამ ამოცანას ქართველმა მუსიკოსებმა წარმატებით გაართვეს თავი. გამოჩნდა მრავალი ახალი პროფესიონალი, რომელთა უმრავლესობასაც უმაღლესი მუსიკალური განათლება რუსეთისა და ევროპის კონსერვატორიებში ჰქონდათ მიღებული. ახალი ქართული მუსიკის ოქროს ხანა არის 1918-1921 წწ-ის დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდი. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთი წლით ადრე (01.V.1917.) თბ. სამუსიკო სასწავლებელი კონსერვატორიად გადაკეთდა. ეს იყო პირველი ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი საქართველოსა და მთელს კავკასიაში. 1918 წ-ის 21 მაისს ქართულ კლუბში, ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით, სცენაზე პირველი ქართული ოპერის - რ. გოგნიაშვილის „ქრისტინეს“ პრემიერა მოეწყო. დამოუკიდებელ საქართველოში მოღვაწეობდა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის დამფუძნებელი ხუთივე კლასიკოსი: 1917 საქართველოში ბრუნდება და 1918 ქუთაისში მუსიკალურ სასწავლებელს აარსებს მელიტონ ბალანჩივაძე. 1918 წ-ის 9 ივნისს ქართულ კლუბში და 1918 წ-ის 30 ივნისს თბილისის ოპერის თეატრში „ქალ-ვაჟთა“ გუნდმა, ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით, ეროვნული მუსიკის ორი კონცერტი ჩაატარა - მონაწილეობდნენ პირველი ქართველი საოპერო მომღერლები: ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, ო. კალანდაძე და ვ. ლორთქიფანიძე. კონცერტებზე ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის. დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ა. ყარაშვილის და ი. ჯაბადარის ნაწარმოებები შესრულდა. 1919 განსაკუთრებული წელია ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში. ნ. სულხანიშვილი წერს თავის უკანასკნელ ნაწარმოებს - „ღმერთო ღმერთო“. 1919 წ-ის 5 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე და-

იდგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ამით დაიწყო ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია. 1919 წ-ის 21 თებერვალს თბილისის ოპერის სცენაზე პირველად დაიდგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. 1919 წ-ის 11 დეკემბერს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შედგა პირველი ქართული კომიკური ოპერის, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ პრემიერა. ოპერამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და პოპულარობით ქართული მუსიკის ყველა სხვა დიდი მასშტაბის ნაწარმოებს გადააჭარბა. 1919 წ-დან გასაბჭოებამდე სრულდებოდა კ. ფოცხვერაშვილის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება“. 1919 „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ „ქართულ სამუსიკო საზოგადოებად“ გადაკეთდა, გაიხსნა მისი ფილიალები სოხუმსა და თელავში, მოეწყო ფოლკლორული ექსპედიციები, შეიქმნა ქართული მუსიკალური სასწავლებელი, დ. არაყიშვილისა და ქართველი მომღერლების ორგანიზებით დაარსდა პირველი საოპერო სტუდია, რომლის თანამშრომლებმაც ქართულად თარგმნეს ა. რუბინშტეინის „დემონი“, ჟ. ბიზეს „კარმენი“ და შ. გუნოს „ფაუსტი“. საოპერო სტუდიის პირველი ნამუშევარი იყო დ. ჩიმაროზას ოპერა „საიდუმლო ქორწინება“. იმ პერიოდში თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა პირველი ქართული ბალეტებიც: „ბახუსის დღესასწაული“ (1919, სხვა ვერსიით - 1918) და „სიყვარულის ნექტარი“ (პრემ. 1920.20.VI). ბალეტების ავტორი იყო პირველი ქართველი კომპოზიტორი ქალი, მოდერნისტი თ. ვახვახიშვილი.

მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული გალობისა და ხალხური მუსიკისთვისაც: 1918 მ. ბალანჩივაძისა და კ. ფოცხვერაშვილის ინიციატივით, თბილისში, ერთი თვით, იწვევენ ნ. კონტრიძის მგალობელთა გუნდს, ერქომაიშვილებისა და გ. ბაბილოძის საოჯახო ანსამბლს და ძ. ლოლუას გუნდს. 1918 აფხაზეთში (ოჩამჩირეში) ხალხური სიმღერის გუნდს ქმნის ლოტბარი კ. პაჭკორია. 1919 წ-ის 5 იანვარს. ქართულ კლუბში გამართული კონცერტის II განყოფილებაში, დედაქალაქში პირველად, მსმენელის წინაშე წარმატებით გამოდის დები თარხნიშვილების გუნდი. იმ დროისთვის პოპულარული მუსიკის ჟანრშიც იყო სიახლეები. 1920 თბილისში ბოშური რომანსის პირველი ქართველი შემსრულებლის - თ. წერეთლის სადებიუტო კონცერტი ჩატარდა. დამოუკიდებლობის წლებში საგარეჯოში გასართობ წარმოდგენებს მართავდა მომავალში ევროპაში ცნობილი მოხეტიალე მუსიკოსი და მომღერალი, მევიოლინე ი. ქურხული. მნიშვნელოვანი არტისტები მოღვაწეობდნენ საოპერო ხელოვნებაშიც. 1918-1921 წწ-ში თბ. ოპ. სცენაზე გამოდიოდნენ ცნობილი მომღერლები: სოპრანოები - ო. ბახუტაშვილი-შულგინა, ო. კალანდაძე აღასოვისა, ს. ღაბაშიძე, დ. ოქროპირიძე; ტენორები - ვ. სარაჯიშვილი, ა ჭუმბურიძე და ი. ფხალაძე; ბარიტონები - ს. ინაშვილი, ნ. ელიოზიშვილი, გ. ქურხული, მ. თარხნიშვილი, გ. ვენაძე (ინაშვილი) და გ. ქარცივაძე; ბანები - ვ. ლორთქიფანიძე და ე. იმერლიშვილი. 1920 საქართველოში ჩამოვიდა და თბ. სახ. ოპ. თეატრში იმღერა მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა ტენორმა - მ. ნანობაშვილმა (მიშელ დარიალმა). 1920.15.VI. მას ბენეფისიც გადაუხადეს და აირჩიეს „ქართველ მუსიკოს მომღერალთა კავშირის“ თავმჯდომარედ. 1920.19.XI. დაიდგა იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატი“, რომელიც ქართულ ენაზე კ. ფოცხვერაშვილმა თარგმნა. „ქართულ ფილარმონიულ სამუსიკო სასწავლებელში“ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული სავიოლინო საშემსრულებლო სკოლის ფუძემდებელი, მევიოლინე და კომპ. ა. ყარაშვილი. საქართველოს ფარგლებს გარეთაც წარმატებით მოღვაწეობდნენ ქართველი მუსიკოსები. ევროპაში მოღვაწე ქართველმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ე. ჯაბადარმა 1918 (ზოგიერთი ცნობით - 1919) ვენაში დაამთავრა მუშაობა სამმოქმედებიან ოპერაზე „გულნარა“. მოგვიანებით (1924), „გულნარა“ პარიზის გრანდ-ოპერის რეპერტუარში შეიტანეს. ვენის კონსერვატორიაში სწავლობდა და კონცერტებში მონაწილეობდა თ. გოცირიძე. იტალიისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქების საოპერო სცენებზე გამოდიოდა მომღერალი ქალი, კოლორატურული სოპრანო, ემიგრანტი ე. თარხნიშვილი. 1920 წ-დან იყო ცნობილი იტალიელი ტენორის და პიანისტის ა. დე ვიტას მეუღლე. მან მილანში დააარსა სალონი, სადაც იკრიბებოდნენ მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები: პ. მასკანი, ე. კარუზო, ტ. რუფფა და ასევე უცხოეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსები. გერმანიის ქ. დარმშტატის საოპ. თეატრის წამყვანი სოლისტი იყო კოლორატ. სოპრანო მ. ნიჟარაძე. 1920.06.III. თბილისს ეწვია და სასტუმრო „ნოეს“ საკონცერტო დარბაზში მოწყობილ კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

რუსეთში მოღვაწეობდა კომპ. ზ. ფალიაშვილის ძმა - დირიჟორი ი. ფალიაშვილი. კანონზომიერია, რომ სწორედ ხანმოკლე პოლიტიკური დამოუკიდებლობის წლებმა გამოავლინა ყველაზე უკეთ ქართული მუსიკის ის მიღწევები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს XIX. ს-ის მეორე ნახევრიდან მოღვაწე მუსიკოსებმა: ლ. აღნიაშვილმა, ხ. სავანელმა, ა. მიზანდარმა, ფ. ქორიძემ და სხვ. დამოუკიდებელ საქართველოში აღსრულდა მრავალი თაობის სურვილი ქართული ეროვნული ოპერის შექმნისა, გამოიკვეთა ქართული მუსიკის განვითარების გზები, აღორძინდა ტრადიციული გალობა და მრავალხმიანი სიმღერა, გაჩნდა როგორც მოდერნისტული ექსპერიმენტული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშები, ასევე აღმოცენდა მსუბუქი საესტრადო მიმართულებებიც. ქართულ მუსიკას საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობაც გაუჩნდა. როგორც საქართველოში, ასევე ევროპისა თუ აშშ-ის სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწე მუსიკოსების წარმატებამ ცხადყო, რომ, ქართული კულტურის სხვა დარგებთან ერთად, ქართული მუსიკაც სრულყოფილ ადგილს იმკვიდრებდა ცივილიზებული სამყაროს სივრცეში, თუმცა გასაბჭოების ტრაგიკულმა ხვედრმა ამ შესაძლებლობის განხორციელებას ხელი შეუშალა და მძიმე დაღი დაასვა ქართული მუსიკის შემდგომ განვითარებას. ნოვაციებით აღსავსე XX საუკუნის საუკეთესო ათწლეულები საქართველომ, სამწუხაროდ, წითელი ტერორის ქვეშ გაატარა. თუმცა დამოუკიდებლობის წლებში მიღწეულმა წარმატებებმა ისეთი მყარი პროფესიული საფუძველი ჩაუყარა აღორძინებულ ქართულ მუსიკას, რომ მათი აღმოფხვრა თვით საბჭოთა რეჟიმმაც კი ვერ შეძლო. 1918-1921 წწ-ის საუკეთესო პერიოდად შევიდა, და ასეთად დარჩება კიდეც, ახალი ქართული მუსიკის ისტორიაში.

ლიტ.: შ. კ ა შ მ ა ძ ე, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921“ (ორ ტომად), თბ., 1950; ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, „უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი“, თბ., 1962; დ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, თბ., 1968; ვ. ბ ე რ ი ძ ე, „კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები)“, თბ., 1992; რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

მუსულმანთა ეროვნული საბჭო – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებდა მუსლიმთა ეროვნული საბჭო, რომელიც 1919 მონაწილეობას იღებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პოლიტიკურმა სუბიექტმა ქართულ და რუსულ ენაზე შედგენილი 5-კაციანი საკანდიდატო სია წარუდგინა. საკანდიდატო სია დამოწმებული იყო მუსლიმთა ეროვნული საბჭოს ბეჭდითა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საკანდიდატო სიის პირველი ნომრის, ალიბეგ ასლან აღა ოღლ ბაირამოვის ხელმოწერით. დამფუძნებელი კრების ძირითად არჩევნებში პოლიტიკურმა სუბიექტმა ყველაზე ცოტა, 6 ხმა მიიღო. საბოლოოდ, ორი დამატებითი არჩევნების შედეგად, ჯამში 106 ხმა მოაგროვა.

ლიტ.: ი. ი რ ე მ ა ძ ე, ს. ჭ ა ნ ტ უ რ ი ძ ე, „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“, თსუ, ცესკო, IFES. 2017.

ირაკლი ირემაძე

მუსხელიშვილი იაკობ ლევანის ძე (9.IX.1865 - 1936) - გენერალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი. პოდპორუჩიკი (1885). პორუჩიკი (1889). შტაბსკაპიტანი (1895). კაპიტანი (1899). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა. რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. პოდპოლკოვნიკი (1907). პოლკოვნიკი (1911, წარჩინებისთვის). 1913 ყარსის ციხესიმაგრის არტილერიის I-III ბატარეების უფროსი. პირველი მსოფლი ომის მონაწილე. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით.

მუსხელიშვილი იაკობ

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 ბათუმის ციხესიმაგრის არტილერიის უფროსი. გენერალი (1918). მსახურობდა ქართულ ჯარში. საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული საბჭოთა სპეცამსახურების მიერ. აკრძალული ჰქონდა თბილისში ცხოვრება.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (1891, ქ. თბილისი - 1976, ქ. თბილისი) – მათემატიკოსი და მექანიკოსი. საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი. ნ. მუსხელიშვილმა 1914 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი.

მუსხელიშვილი ნიკო

1920 წ-ის 15 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ნ. მუსხელიშვილი თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტად აირჩია და პროფესორის ჯამაგირი დაუნიშნა. თავდაპირველად პროფესორთა საბჭო მუსხელიშვილის პროფესორის მოადგილედ არჩევას გეგმავდა, თუმცა ხარისხის არქონის გამო საბოლოოდ უარი უთხრეს.

ნ. მუსხელიშვილი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), მისი პრეზიდენტი (1941-1972), 1933-

1935 წწ-ში და 1941 წ-დან გარდაცვალებამდე - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, სომხეთისა (1961) და აზერბაიჯანის (1972) მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ბულგარეთის (1952), პოლონეთის (1960), ბერლინის (1967) აკადემიების წევრი, სსრკ სახელმწიფო პრემიის (1941, 1947), ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლის (1972), ტურინის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პრემიისა და ოქროს მედლის (1969), სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის მედლის მფლობელი. ავტორია ფუძემდებლური გამოკვლევებისა დრეკადობის თეორიასა და ინტეგრალურ გამოკვლევებში. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კომპლ. ცვლადის ფუნქციათა გამოყენება დრეკადობის თეორიის ამოცანებისათვის, შემოიღო მრავალი მეთოდი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ მათემატიკის სხვა დარგებშიც თეორიულ ფიზიკასა და მექანიკაში. მან მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანალიზური ფუნქციების წრფივი სასაზღვრო ამოცანებისა და ერთგანზომილებიანი განსაკუთრებული ბირთვების მქონე ინტეგრალური განტოლებების თეორიაში. ნ. მუსხელიშვილმა აღმოაჩინა არეთა ფართო კლასი, რომელთათვისაც ბრტყელი ამოცანა რედუცირდება ალგებრულ განტოლებათა სასრულ წრფივ სისტემაზე. იგი ავტორია ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში. მისი მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ სამაგიდო წიგნია მსოფლიო მათემატიკური სკოლის წარმომადგენელებისთვის. ნ. მუსხელიშვილი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით.

ლიტ.: ი. ვ ე კ უ ა, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, თბ., 1961; გ. მ ა ნ ჯ ა ვ ი ძ ე, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, თბ., 1982.

მანანა ლილუაშვილი

მუშათა ცხოვრება (1919-1921) - საქართველოს პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანო. სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ორკვირეული ჟურნალი. ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია. გამოიცემოდა თბილისში. ჟურნალში იბეჭდება წერილები პროფკავშირების საქმიანობასა და მუშათა ცხოვრებაზე. ყურადღება გამახვილებულია სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, პროდუქციის ფასებზე, მაგ., 1919 წ-ის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია ი. გოლდმანის სტატია „სატარიფო პალატა და მისი მიზანი“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ „საქონელსა და პროდუქტებზე ფასების რყევა, აწევ-დაწევა იწვევს სამუშაო ქირის ცვლილებებსაც, მაგრამ ეს ცვლილება მუშების მდგომარეობას არასოდეს აუმჯობესებს“. როგორც ავტორი აღნიშნავს, საქართველოს პროფესიული ორგანიზაციების ყრილობამ მთავრობისაგან მოითხოვა, ეწარმოებინა ერთიანი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა და მიუთითა, რა ზომების მიღება იყო საჭირო სამუშაო ქირის მოსაწესრიგებლად. ჟურნალი უცხოეთის სიახლეებსაც აცნობს მკითხველს. 1921 წ-ის პირველ ნომერში ფსევდონიმით იპ. ნ-ია დაბეჭდილია ვრცელი სტატია - „სიძვირე და რეალური ხელფასის პრობლემა გერმანიაში“, რომელშიც საუბარია პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიის სახალხო მეურნეობაზე. ამავე ნომერში ფსევდონიმით „ძველი მუშა“ გამოქვეყნებული სტატია „სამხრეთ რუსეთის ლითონის მრეწველობა“ წარმოაჩენს ამ მხარეში ლითონის მრეწველობაში არსებულ მდგომარეობას, ასევე, მუშათა ცხოვრების პირობებს. რუბრიკებით „მუშათა ცხოვრებიდან“ ან „მუშათა ცხოვრება“ გამოქვეყნებულ წერილებში („ლითონზე მომუშავე პროფესიონალურ კავშირის ახალი მოთხოვნილებები და გაფიცვების მიზეზები“, „მეთუთუნეთა პროფესიულ კავშირის მუშათა ცხოვრებიდან“, „ელექტრონზე მომუშავეთა კავშირში“, „მებაღეების კავშირი“ და სხვ.) ასახულია საქართველოს სხვადასხვა საწარმოს მუშათა ყოფა და პრობლემები. რუბრიკით „საზღვარგარეთ“ გამოქვეყნებულია პუბლიკაციები („პროფესიონალური მოძრაობა საფრანგეთში“, „საქსოვ ფაბრიკების მუშათა გაფიცვა მანჩესტერში“, „ნახშირზე მომუშავეთა მუშების გაფიცვა საფრანგეთში“ და სხვ.) მკითხველს აცნობს პროფესიული კავშირების ისტორიასა და საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში. ჟურნალი ევროპიდან საქართველოში სოციალისტთა დელეგაციის ჩამოსვლას ეხმაურება ას.-ამწყ. დონ-ლანის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილით „ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლა და ზოგიერთი დამხვედრნი“. 1920 წ-დან გამოცემა უფრო მრავალფეროვანი ხდება, ჩნდება პუბლიკაციები ხელოვნებასა და კულტურაზე, იბეჭდება როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაწარმოებები. მაგ., პრ. ოდიშელის და ვარ. კაკაურიძის ლექსები, დ. თურდოსპირელის ჩანახატი „გულის კბილის ტკივილი“ და სხვ. 1920 წ-ის 1 მაისის ნომერი მთლიანად სადღესასწაულოა. იბეჭდება რ. არსენიძის, აკ. ჩხენკელის, ივ. გომართელის, გრ. გიორგაძის, ვ. თევზაძის, ის. რამიშვილის წერილები, აგრეთვე, გრ. ცეცხალაძის, ი. ტოფაძის, დ. ჭანჭათელისა და სხვა ავტორთა ლექსები.

ლიტ.: ჟურ. „მუშათა ცხოვრება“ 1919-1921; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

„მუშის სიმართლე“ (№1, 2, 1918, ბათუმი) - ყოველკვირეული გაზეთი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ბათომის კომიტეტის ორგანო. რედაქტორი - სარედაქციო კოლეგია. ე. ი. მახარაძის სტამბა. სულ გამოვიდა 22 და 29 იანვრით დათარიღებული ოთხგვერდიანი გაზეთის ორი

ნომერი. პარტიული გამოცემის ამოცანებიდან გამომდინარე, „მუშის სიმართლე“ ადგილს ძირითადად უთმობს ბოლშევიკების საქმიანობის ამსახველ მასალას და კრიტიკულად აფასებს მენშევიკების მოღვაწეობას. განსაკუთრებით მწვავეა მისი პოზიცია გაზეთების - „კავკაზსკი რაბოჩისა“ და „ერთობის“ მიმართ. ამ ყაიდის პუბლიკაციები თავს იყრის რუბრიკაში „პრესა“, ხოლო რუბრიკით „საზღვარ გარეთ“ წარმოდგენილია საერთაშორისო ახალი ამბები. გაზეთი არ გამოირჩევა შინაარსობრივი მრავალფეროვნებით. მისი ავტორები ბოლშევიკური პარტიის აპოლოგეტებად გვევლინებიან და ყოველმხრივ ცდილობენ მენშევიკური პარტიის დაკნინებას. მაგალითად, მსგავსი მიზანდასახულობისაა მიხ. კახიანის „კლასთა ბრძოლა და სამოქალაქო ზავი?“, მ. უბნელის „მობილიზაციის გარშემო“, „კ. კიბერ.“ - ის „ვისთან უნდა ვიქნეთ დღეს ჩვენ?“, „კან“ (კონსტანტინე კანდელაკი?) ფსევდონიმით ხელმოწერილი „ძმური სისხლი“ და სხვ. გაზეთში მწირედაა წარმოდგენილი კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალა. უნდა აღინიშნოს „მ. კახის“ (მიხ. კახიანი) რეცენზია „თეატრი და ხელოვნება“, სადაც საუბარია ბათუმის თეატრის სცენაზე წარმოდგენილ სპექტაკლებზე: „ივდითი“, მედეა“, „ვიდრე ჰხვალ უფალო?!“ და „გედი მარქსისტის“ (გედეონ მჟავანაძე) ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატია „მ. გორკი და რევოლუცია“. „შატოს“ ფსევდონიმით იბეჭდება ლექსი „მუშის სიმართლე“, ასევე დეკრეტი „ჯარის უფროსთა არჩევის და მისი ორგანიზაციული მოწყობის შესახებ“. გამოცემაში გვხვდება განცხადებები და შემოწირულობების სია.

ლიტ.: გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ., 1947; გაზეთი „მუშის სიმართლე“, 1918, №1, 2.

მანანა შამილიშვილი

მუხაძე გრიგოლ მიხეილის ძე (1879, ქ. თბილისი - 1948 , ქ. თბილისი) – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი , საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე (1947-1948). 1908 დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1918 სპ. ვირსალაძესთან და ივ. თიკანაძესთან ერთად, იყო ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მეთაური. 1919 წ-დან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 1919-1921 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრას.

1921-1948 წწ-ში იყო ჯერ თსუ-ის, მოგვიანებით კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, ხოლო 1924-1925 წწ-ში - თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი. 1925-1937 წწ-ში იყო ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი. მისი თაოსნობით 1932 შეიქმნა სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, რომელიც ჯერ სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა (1935), ხოლო მოგვიანებით - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტად (1946), რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ორთოპედიის, ტრავმატოლოგიის, ბავშვთა ქირურგიის, ონკოლოგიის, ნეიროქირურგიისა და სხვა დარგების განვითარებაში. იკვლევდა გულ-სისხლძარღვთა სისტემას, სამხარეო პათოლოგიასა და სისხლის გადასხმის საკითხებს. ავტორია მრავალი სახელმძღვანელოსი: კერძო ქირურგია, ტ.1, თბ., 1949, თანაავტორი კ. ვეფხვაძე; სისხლის გადასხმის სახელმძღვანელო, თბ., 1939; სისხლის გადასხმის ცნობარი, თბ., 1941.

ლიტ.: დ. მ ა მ ა მ თ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი, მ. კ ო მ ა ხ ი ძ ე, გრიგოლ მუხაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1954.

მანანა ლილუაშვილი

მღვიმელი შიო ილარიონის ძე (ქუჩუკაშვილი) (12. II.1866, სოფ. ბრეთი, - 29.XII.1933, თბილისი) - საბავშვო პოეტი, ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიასთან არსებულ ოთხკლასიან სასწავლებელში. აქვე, ნიკო ლომოურმა შეარქვა შიო მღვიმელი. 1885 გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა პირველი ლექსი „დილა“. 1887 დაამთავრა სასწავლებელი და თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მუშაობა დაიწყო ქ.შ.წ.კ.გ.-ის წიგნის მაღაზიაში. 1891 მისი ლექსები დაისტამბა ცალკე წიგნად. 1916 აღინიშნა მისი სამწერლო მოღვაწეობის ოცდაათი წლის იუბილე.

მღვიმელი შიო



მუხაძე გრიგოლ

დამოუკიდებლობის პერიოდში მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთში „სახალხო საქმე“ და ქართული პრესის სხვა გამოცემებში. პენსიაზე გასვლამდე (1923), მუშაობდა ჟურნალ-გაზეთებში კორექტორად. 1923 მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწერლის წოდება. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „პიონერი“, დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ქსე, ტ. VII, გვ. 237, თბ., 1984; ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994.

ეკა ჯავახიშვილი

„მშრომელი“ (1919 - 1920, თბილისი) - სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთიუნის” საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ორგანო (სოციალისტური ინტერნაციონალის სომეხთა შტო). მუშათა და სოფლის მშრომელთა

ყოველდღიური გაზეთი. რედ. - სარედ. კოლეგია. გამომცემელი - „დაშნაკცუთიუნის“ საქ. ცენტრალ. კომიტეტი, სტამბა „აშხატავორ“. ჩვენამდე მოაღწია ოთხგვერდიანი გაზეთის შვიდმა ნომერმა. ბოლო, მეშვიდე ნომერი გამოიცა 1920 წ-ის 1 იანვარს. გაზეთი მიზნად ისახავდა სომხური და ქართული დემოკრატიების დაახლოებას, რაც ნათლად იყო გაცხადებული სტატიაში „ძმურმა ძმამ გვიბრძანა“ (1919, №2). მასში ნათქვამია, რომ ამ ორ ერს შორის გამყოფი კედელი ინგრევა, რასაც ადასტურებს იქვე გამოქვეყნებული დოკუმენტი - „საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკათა შეთანხმება“. ქვეყნდება ასევე „სომხეთ-აზერბაიჯანის შეთანხმება“ და დეპეშები ამ შეთანხმებებთან დაკავშირებით. სომხეთ - საქართველოს ურთიერთობის ახალ ეტაპზე საუბრობს გაზეთი სხვა პუბლიკაციებშიც. მათ შორის უნდა გამოიყოს „ა.-კ.“ - ს ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „თავისუფალი საქართველო და ჩვენ“ და „დაშნაკელის“ ფსევდონიმით - „დაშნაკელი სომეხია - სომეხი „დაშნაკელია“. პუბლიკაციების პათოსი ორი ქვეყნის დემოკრატიათა დაახლოებისა და არსებული უნდობლობის დაძლევის სურვილითაა ნაკარნახევი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საქართველოში მცხოვრები სომხების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თემაზე. გაზეთში ჭარბადაა წარმოდგენილი ცნობები „დაშნაკცუთიუნის“ პარტიული საქმიანობის შესახებ სომხეთსა და საქართველოში. მუდმივი რუბრიკით - „სომხეთის ამბები“ - იბეჭდება მეზობელ ქვეყანაში არსებული სიახლეები (მაგ.: „ჯარის დღე სომხეთში“ და მსგავსი ინფორმაციები). „მშრომელი“ თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს მხატვრულ ნაწარმოებებსაც, კერძოდ, ფსევდონიმით Rekord იბეჭდება ლექსები: „სონეტა რკალიდან“, „მე და მსოფლიო“ (№5) „ახალი წელი“, „ამიერკავკასიის დემოკრატიას“ (№7) და სხვა. გამოცემაში გვხვდება სარეკლამო განცხადებებიც.

ლიტ.: გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1819-1945, თბ.,1947; გაზ. „მშრომელი“, 1919-1920, №1-7.

მანანა შამილიშვილი

მხედარი – სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის ყოველკვირეული დასურათებული ჟურნალი. გამოდიოდა 1920 წელს. ჟურნალის პირველი ნომერი გამოიცა 1920 წლის 26 მაისს, ხოლო ბოლო ნომერი კი 1920 წლის 5 დეკემბერს. სულ ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა ჟურნალის 27 ნომერი. გამოცემის რედაქტორი იყო ნიკო კურდღელაშვილი. ჟურნალი გადიოდა სამხედრო ცენზურას. გამოცემა უფასოდ ეგზავნებოდა ჯარის ნაწილებს, ხოლო გასაყიდი ფასი თავდაპირველად შეადგენდა 10 მანეთს, ბოლოს კი ფასი 25 მანეთზე ავიდა. ჟურნალში იბეჭდებოდა მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს ოფიციალური ბრძანებები; სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სტატიები; ინფორმაციები ომში დაღუპული სამხედროების შესახებ; მხატვრული ნაწარმოებები - მათ შორის მოქმედ ჯარისკაცთა შემოქმედება.

ლიტ.: ჟურნალი მხედარი, თბ., 1920 №1-27.

დიმიტრი სილაქაძე

ნ

ნადირაძე კოლაუ გალაქტიონის ძე (8.III.1895, ქუთაისი - 28.X.1990, ქუთაისი) - პოეტი, „ცისფერყანწელთა ორდენის“ წევრი. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, საიდანაც რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო „მგლის ბილეთით“ გარიცხეს, თუმცა სიმწიფის ატესტატის აღება მაინც მოახერხა. გიმნაზიაში სწავლისას დაუმეგობრდა ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაასრულა. 1916 ჟურ. „ცისფერ ყანწებში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ავზნიანი ქალაქი“.

1918 კონსერვატორიის დარბაზში გამართულ ცისფერყანწელთა პოეზიის საღამოზე წაიკითხა დეკლარაცია ცისფერი ყანწების შესახებ. 1919 გამოსცა პირველი წიგნი „ბალდახინი“. 1920 თანამშრომლობდა ჟურ. „შვილდოსანთან; 8.XI.1920 გაზ. „ბარრიკადში“ „ტრისტან მაჩაბლის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი „პოეტები წერის დროს”, რომელიც ეხებოდა გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, კოლაუ ნადირაძეს, სანდრო ცირეკიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილსა და ლელი ჯაფარიძეს.

1985 გააკრიტიკეს პოეტურ კრებულში ლექსის „25 თებერვალი 1921 წელს“ დაბეჭდვის გამო, რომელსაც მკაცრი „პარტიული“ შეფასება მიეცა. ავტორია პოემებისა: „თვრამეტი წელი“, „ფრონტებზე“, „როალდ ამუნდსენ“, „რიონი-პორტი“; მოთხრობებისა და ნარკვევებისა, წერილებისა ქართველ, რუს, სომეხ მწერლებზე, მხატვრებზე; ნათარგმნი აქვს პუშკინის, ბუნინის, ბალმონტის, ბლოკის, ბოდლერის, ვერლენის, ისააკიანის ნაწარმოებები. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ქართული მწერლობა, ნაწ. II, თბ., 2008; გაზ. „საქართველო“, 6 ივლისი 1918; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 თებერვალი 1920; გაზ. „ბარრიკადი“, 8 ნოემბერი 1920.

ეკა ჯავახიშვილი

ნავაშინი სერგეი გაბრიელის ძე (1857, სოფ. ცარიოვშჩინა, სარატოვის ოლქი - 1930, პუშკინი, ლენინგრადის ოლქი) – ბოტანიკოსი და ციტოლოგი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი (1894 -1915).

1918 მოიწვიეს თბილისის სახელმიწფო უნივერსიტეტის პროფესორად. 1918-1923 წწ-ში იყო თსუ-ს პროფესორი. აღმოაჩინა არყის თესლკვირტში მისი ფუძიდან მტვრის მილისშეჭრის მოვლენა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის მიერ აღმოჩენილ ორმაგ განაყოფიერებას ფარულთესლიანებში. იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ნადირაძე კოლაუ

ნაზარი (ერისკაცობაში იოსებ ანდრიას ძე ლეჟავა) (1872, ქუთაისის გუბერნია, სოფ. დიდი ჯიხაიში - 28.VIII.1924) – მიტროპოლიტი, დაიბადა სასულიერო პირის ოჯახში. პატარა იოსები მამამ ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1892 წარჩინებით დაამთავრა სემინარია და დაიწყო სამღვდელმსახურო საქმიანობა დიაკვნის ხარისხში, 1893 ხონის ფერისცვალების ეკლესიაში აკურთხეს მღვდლად. 1894 დაჯილდოვდა საგვერდულით, 1897 სკუფიით. ამ დროს მას ოჯახური ტრაგედია დაატყდა თავს, გარდაეცვალა მეუღლე და შვილები. 1900 მამა იოსები ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში. 1904 ბერად აღიკვეცა და ეწოდა სახელად „ნაზარი” (ღვთისათვის შენირული). 1905 დაამთავრა სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. მისი სადიპლომო ნაშრომი იყო „კაბადოკიური საღვთისმეტყველო სკოლა“. 1905 დაინიშნა ველინსკის სასწავლებლის ჰომილეტიკის პედაგოგად, ხოლო 1907 წ-ს გადაიყვანეს კლევანსკის სასულიერო სასწავლებლის

მიტროპოლიტი ნაზარი

ზედამხედველად. 1910 აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. 1911 დაინიშნა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად და იმავე წელს დადგენილ იქნა არქიმანდრიტად და ქართლ-კახეთის კეთილმოწესედ. 1912 აირჩიეს საქართველოს ეპარქიების მუზეუმების კომიტეტის წევრად. 1913 დაჯილდოვდა წმიდა ანას I ხარისხის ორდენით. 1916 საქართველოს ეგზარქოსის, პლატონის, წარდგინებით დაინიშნა სინოდის კანტორის წევრად.

ნათაძე გრიგოლ

1917 აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში. მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში, პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. 1918 წ-ის 17 ნოემბერს არქიმანდრიტი ნაზარი აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დადგენილ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად. იგი აქტიურად დაუპირისპირდა საქართველოს დრ. მთავრობის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც საკათოლიკოსო საბჭოსა და ადგილობრივ ეპარქიასთან შეუთანხმებლად გელათის მონასტრიდან გამოიტანეს საეკლესიო სიწმინდენი და გადაიტანეს მუზეუმში.

1921 წ-ის 25 თებერვალს, რუსეთის საოკუპაციო ჯარების თბილისში შემოსვლამდე ორი დღით ადრე, საკათოლიკოსო საბჭომ საგანგებო სხდომაზე მიიღო დადგენილება საეკლესიო სიწმიდეთა ქუთაისში გადატანის შესახებ, რომლებიც მიტროპოლიტ ნაზარის საეპარქიო სახლის სარდაფში დამალეს. ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს, ეპისკოპოს დავითს (კაჭახიძე), არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძე), დეკანოზ დიმიტრის (ლაზარიშვილს) და მიტროპოლიტ ნაზარს. 1923 წ-ის 25 აპრილს შედგენილი აქტით, რომელსაც ხელს აწერდნენ ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ლორთქიფანიძე და ბოლშევიკური ხელისუფლების სხვა აღმასრულებლები, სარდაფიდან ამოიღეს საეკლესიო განძი, ხოლო ნაზარი დააპატიმრეს. სასამართლომ ვერ დაუმტკიცა მიტროპოლიტს დანაშაული და გაათავისუფლა წინასწარი პატიმრობიდან. 28 აგვისტოს ნაზარმა ერთ-ერთი სოფლის ეკლესია აკურთხა და იმ ღამით მღვდელ პ. ვარდოსანიძის ოჯახში დარჩა, სადაც ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს. „განსაკუთრებული სამეულის" (ტროიკა) გადაწყვეტილებით ნაზარი და სხვა დაპატიმრებულები საფიჩხიის ტყეში გაიყვანეს და დახვრიტეს. 1995 წ-ის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ღვთისა და ერის წინაშე მოწამებრივი ღვაწლისათვის მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად მღვდელნი: სიმონ მჭედლიძე, გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და საბჭოთა რეჟიმის დროს ყოველნი უღმერთოთგან წამებულნი წმინდანებად შერაცხა.

ლიტ.: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ცხოვრება და მოღვაწეობა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გოჩა ასათიანმა, თბ., 1995; მათ არ უღალატეს ქრისტეს, შემდგენელ-გამომცემელი დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე, თბ., 2005; ვ. გ უ რ უ ლ ი, მიტროპოლიტ ნაზარის საქმე (1924 წლის აგვისტო-სექტემბერი), თბ., 2009.

მიხეილ ქართველიშვილი

ნათაძე გრიგოლ იასონის ძე (1878, გორის მაზრის სოფელი კასპი - 24.V.1951, თბილისი) -. ქართველი ისტორიკოსი, მსოფლიოს ისტორიის დარგების ფუძემდებელი და მედიევისტიკის პირველი წარმომადგენელი საქართველოში, პროფესორი (1926), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1941). მამამისი - იასონი იყო ხალხოსანი. გ. ნათაძე სწავლობდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, 1892 წ-დან ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. 1898 შევიდა კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საიდანაც სტუდენტურ დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის, 1901-1902 წწ-ში, ორჯერ გარიცხეს უნივერსიტეტიდან. მცირე ხნით სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტში. საბოლოოდ, 1907 ექსტერნად დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. 1905 დააპატიმრეს და იმავე წელს გაათავისუფლეს ამნისტიის წყალობით. ასწავლიდა ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიებში და სახალხო უნივერსიტეტებში. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი და საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოებების წევრი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში.

1917 წ-ის თებერვალ-მარტის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გ. ნათაძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში, ჯერ როგორც რუსული ესერთა პარტიის, 1918 წ-დან კი საქართველოს ესერთა პარტიის თვალსაჩინო წევრი. 1918 წ-ის მაისში აირჩიეს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებულ შემადგენლობაში. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ესერთა პარტიის ფრაქციის წევრი. იმავდროულად, განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა სახალხო განათლების სამინისტროში, ხელმძღვანელობდა სასკოლო დაწესებულებათა სამმართველოს. 1919 მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს და იყო შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგე.

1921 წ-დან ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ორმოცამდე ნაშრომი ეხებოდა როგორც ძველი, ისე ახალი, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების ისტორიას. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ფეო-

დალიზმის გენეზისის მეცნიერულ შესწავლას, რასაც მარქსისტული პოზიციიდან აანალიზებდა. მანვე შემოიღო უნივერსიტეტში ისტორიის სწავლების მეთოდიკის სალექციო კურსი; შექმნა შუა საუკუნეების პირველი ქართული სახელმძღვანელო და პირველმა დაამკვიდრა ტერმინი - „შუა საუკუნეები“.

ლიტ.: ა. ნ ა მ ო რ ა ძ ე, პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), „თსუ შრომები“, 1959, ტ. 77, ისტ. მეცნ. სერია; ვ. ჟ ო რ - დ ა ნ ი ა, გრიგოლ იასონის ძე ნათაძე, ქსე, ტ. VII, 1984; მ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში საუკუნის ნახევარში, თბ., 1999.

დიმიტრი შველიძე

ნათაძე ლევან (1880, სოფ. კასპი, გორის მაზრა - 1922, თბილისი) - ქართველი სოციალ-დემოკრატი. დაამთავრა 4 კლასი სათავადაზნაურო სკოლაში, მე-5-8 კლასები თბილისის მესამე გიმნაზიაში, ხოლო უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. მისი პარტიული მოღვაწეობა 1902 წ-დან იწყება, აქტიურ აგიტაციას ეწეოდა, ავრცელებდა პროკლამაციებს და სტატიებს წერდა მარქსისტულ პრესაში. იყო 6-ჯერ დაპატიმრებული და 2-ჯერ თბილისიდან გასახლებული რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზ. „Борьба“-ს რედაქტორობა. შემდგომ პერიოდში იყო სოციალ-დემოკრატიული გაზეთ „ერთობის'' რედაქტორი; კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობას ეწეოდა განათლების სისტემის რეფორმირების ხელშეწყობის კუთხით, მონაწილეობდა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, თუმცა ტიფის ეპიდამიას ემსხვერპლა. თავდაპირველად დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919 თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე

ნათიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1878, თბილისი - 1959, თბილისი) - ანატომი, საქართველოში მეცნიერული ანატომიის ფუძემდებელი და უმაღლესი სამედიცინო განათლების ორგანიზატორი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1917), პროფესორი (1918), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1905 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მუშაობდა ექიმად ხარკოვში და შემდეგ იმავე უნივერსიტეტში ანატომიის კათედრაზე.

1918 პ. მელიქიშვილის მოწვევით ჩამოვიდა თბილისში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ადამიანის ანატომიის კათედრა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. 1919 დროებით ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს.

1921-1930 წწ-ში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ჰისტოლოგიის კათედრას და 1926-1928 წწ-ში - ტოპოგრაფიული ანატომიის დოცენტურას, ხოლო 1919-1920 წწ-ში - სამედიცინო ფაკულტეტს. იყო თსუ-ის პრორექტორი (1923-1925), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი (1930-1932). 1946 დააარსა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო სიცოცხლის ბოლომდე. 1952-1955 წწ-ში ხელმძღვანელობდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს. შექმნა ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოები: ადამიანის ნორმალური ანატომია (1921), შინაურ ცხოველთა ანატომია 2 ტომად (1931-1953), პლასტიკური ანატომია (თანაავტორია. ა. მალაევი). მისივე ხელმძღვანელობით დამზადდა ნერვიული სისტემების მოდელები და დაიწყო მათი სერიული წარმოება (1951). მას ეკუთვნის არაერთი შრომა, კერძოდ, ადამიანის საღეჭი აპარატი, თბ., 1937; გადანერგილი ნაწლავის ვასკულარიზაცია და პლასტიკურობა, „ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, 1949, ტ 2 და ა.შ. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით

ლიტ.: ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მ. კ ო მ ა ხ ი ძ ე, ალექსანდრე ნათიშვილი, თბ., 1980.

მანანა ლილუაშვილი



ნათაძე ლევან

ნაკაშიძე-ანთაძე ნინო იოსების ასული (13.I.1872, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრ. - 2.VII.1963, თბილისი) - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ოზურგეთის ქალთა ორკლასიან სასწავლებელში. 1892 გაიცნო მომავალი მეუღლე, პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე. 1894 დაქორწინდნენ. 1902 გამოაქვეყნა პირველი ლექსი „იმედი“ ჟურ. „კვალში“. მეუღლესთან ერთად მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. მოსკოვში შევიდა გერიეს სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე, ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო მეცადინეობა მიატოვა. 1899 საქართველოში დაბრუნდა. 1903-1904 გამოაქვეყნა პირველი მოთხრობები: „ძიძა“, „შობა“, „დამნაშავე“. 1904 მარიამ დემურიასთან ერთად გამოსცა საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“. 1905 მონაწილეობდა რევოლუციაში, რომელსაც გურიაში აჯანყება და რესპუბლიკის გამოცხადება მოჰყვა. ამის გამო დაიჭირეს და გადასაახლეს ვიატკის გუბერნიაში, მაგრამ მალევე დაბრუნდა საქართველოში. ვერაზე დააარსა საკვირაო სკოლა მუშების ბავშვებისათვის, სადაც ასწავლიდა ქართულ ენასა და ანგარიშს, ი.ნ. - საქართველოს ისტორიას, პეტრე სურგულაძე - ბუნებისმეტყველებას. 1910 გაიხსნა პირველი

ნაკაშიძე ნინო



ნათიშვილი ალექსანდრე

ქართული საბავშვო ბაღი, რუსეთის განათლების მინისტრის წინააღმდეგობის მიუხედავად. ბაღისათვის სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) შენობაში გამოიყო ორი ოთახი. ამ საქმით აღფრთოვანებული იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ბაღს თვეში თუმანს უგზავნიდა. 1914 წ-დან მუშაობდა „კავკასიელ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ. საზოგადოებასთან ჩამოყალიბებული იყო წერა-კითხვის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის შემსწავლელი წრეები, აგრეთვე სამკერვალო, ფეხსაცმლის სახელოსნო და ასოთამწყობთა სკოლა ქალებისათვის. საზოგადოების თაოსნობით დაარსდა კოოპერატიული სასადილო. 1914 აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. თარგმნიდა ისეთი მწერლების საბავშვო ლიტერატურას, როგორებიცაა: ტოლსტოი, ჩარლზ დიკენსი, ანდერსენი, რაბინდრანათ თაგორი.

1910-1928 წწ-ში რედაქტორობდა „ნაკადულს“, აქვეყნებდა საბავშვო მოთხრობებს. 1921 მუშაობდა სოციალისტური აღზრდის მთავარი სამმართველოს სამხატვრო-სალიტერატურო სექტორის გამგედ. ამავე წელს გამოსცა პირველი ფერადნახატებიანი ქართული წიგნი - ხალხური ზღაპარი „დედაბერი, ტურა და მელია-კუდიგრძელია“. შემდეგი იყო ზღაპარი „კომბლე“. 1921 მისი ინიციატივით დაარსდა პირველი ქართული საბავშვო თეატრი. პირველი საბავშვო წარმოდგენა იყო ანდერსენის „მფრინავი ზანდუკი“.

ნანობაშვილი მიხეილ

დაწერილი აქვს რამდენიმე პიესაც, მათ შორის „ვინ არის დამნაშავე?“ (1908), რომლის მიხედვით გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმი. 1924 აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრად. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994.

გაგა ლომიძე



ნაკაშიძე ილია

ნაკაშიძე ილია პეტრეს ძე (1866, თბილისი - 27.V.1923, თბილისი) - ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. შეისწავლა ევროპული და კლასიკური ენები. დამოუკიდებლად სწავლობდა ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას. ამ მიზნით თანაკლასელ ნიკო მართან ერთად მოწაფეთა საგანგებო წრეც ჩამოაყალიბა. 1886 დაამთავრა გიმნაზია და ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მაგრამ მალე გარიცხეს პოლიტიკურ შეხედულებათა გამო და იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო პეტერბურგს, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1895 დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლევ ტოლსტოისთან რუსი დუხობორების უფლებათა დაცვის საკითხში. 1897 მოსკოვში დასახლდა, სადაც ხშირად ხვდებოდა ლ. ტ-ს. 1903 მეუღლესთან ერთად ბრუნდება საქართველოში. 1905 იმედით შეხვდა რევოლუციას და აქტიურად მონაწილეობდა გურიის გლეხთა მოძრაობაში, მაგრამ რევოლუციის დამარცხებამ და ქვეყანაში დაწყებულმა რეპრესიებმა აიძულეს დაბრუნებულიყო თბილისში.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. 1918 წ-ის 29 სექტემბერს მონაწილეობდა მუშათა კლუბში გამართულ ილიკო ქურხულის ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოზე. 1918 წ-ის 13 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, გამართა ლექცია სახელწოდებით: „დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“. 1919 წ-ის 22 სექტემბერს მონაწილეობდა სახელოსნო კლუბში სალიტერატურო და სამუსიკო საღამოზე.

ილია ნაკაშიძის წერილების თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ იგი უფრო ხშირად პედაგოგიკის, ბავშვთა-აღზრდის საკითხებს ეხება. მისი კონცეფცია ემყარებოდა თავისუფალი აღზრდის თეორიას და ეწეოდა მის პროპაგანდას როგორც ქართულ, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. თანამშრომლობდა ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტთან, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“. ავტორია არაერთი საინტერესო წერილის ქართველ, რუს და უცხოელ მწერალთა შემოქმედებაზე. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №633.

გაგა ლომიძე

ნანობაშვილი მიხეილ (მიშელ დარიალი) (1878, თელავი (სხვ. ცნობით თბილისი) - 13.IX.1941, პარიზი) - საოპერო მომღერალი. ტენორი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. თბ. ვაჟთა II გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა. სწავლას მესამე კურსიდან თავი დაანება და 1896 პეტერბურგის კონსერვატორიას მიაკითხა. სიმღერას პროფ. გაბელი ასწავლიდა, შემდეგ „მომღერალთა ქალღმერთად“ წოდებული ფერნი ჯირალდონი (ევგენი ჯირალდონის დედა). 1900 ფერნიმ მილანში წაიყვანა და თავის ვაჟიშვილს მიაბარა. 1903 პარიზში გადავიდა. 1906 წ-დან პიანისტ ჟანეტა კენისთან (მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა) თანამშრომლობდა, მასთან ერთად საგასტროლოდ მოგზაურობდა და პროვინციებში კონცერტებს ატარებდა. 1907 ორი თვით მონტე კარლოში საგასტროლოდ მიიწვიეს. 1908-1909 წწ-ში პარიზის გრანდ ოპერაში მღეროდა. 1909 წ-ის მაისში ქ. ლაკალში გ. დონიცეტის „ფავორიტ ქალში“ იმღერა. 1910 წ-ის მარტსა და აპრილში საგასტროლოდ ბალ-

კანეთის ქალაქებსა და სტამბოლს სტუმრობდა. 1911 საქართველოში ჩამოვიდა და კონცერტები ჩაატარა (03. 01 ჯ. მეიერბერის „ჰუგენოტებში“ რაულის პარტია შეასრულა, 08.01 კი ფაუსტისა შ. გუნოს „ფაუსტში“). 1911-1912 წწ-ში წარმატებით გამოვიდა კანადის ქალაქებში - მონრეალსა და ტორონტოში; 1912 მარტში კვლავ თბილისშია - ჟ. ბიზეს „კარმენში“, ჟ. მასნეს „ვერთერში“ და ჯ. მეიერბერის „ჰუგენოტებში“ მონაწილეობს. 1914 ნიცაში მიიწვიეს. იმავე პირინეის მთებში, ქ. ლუშენში (საფრანგეთი) და აშშ-ის ქ. ჰინსბურგში იმღერა. 1916 მოსკოვის საოპერო თეატრში ალფრედის როლი შეასრულა ჯ. ვერდის „ტრავიატადან“. პეტებურგში გაემგზავრების შემდეგ პარიზში დაბრუნდა. დამოუკიდებელ საქართველოში 1920 ჩამოვიდა და თბ. სახ. თეტრში ჟ. მასნეს „ვერთერში“, ჯ. მეიერბერის „რახილში“, ჯ. პუჩინის „ტოსკაში“, შ. გუნოს „ფაუსტში“, ჟ. ბიზეს „კარმენში“ და ჯ. მეიერბერის „ჰუგენოტებში“ იმღერა. 1920 წ-ის 15 ივნისს ბენეფისი გადაუხადეს. იმავე წ-ის დეკემბერში საქართველო დატოვა.

გასაბჭოების შემდეგ, 1921, აშშ-ში, ჯორჯიის შტატის ბატსის ოლქში და ესპანეთში, ქ. ბარსელონაში იყო საგასტროლოდ. 1924 პარიზის გრანდ ოპერიდან მადრიდში მიიწვიეს. 1935 წ-ს კვლავ ბარსელონაში იმღერა. დაკრძალულია პარიზის მონმარტრის წმ. ვერსალის სასაფლაოზე.

ლიტ.: ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, ქართველი მომღერლები უცხოეთში, წგნ. „უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანები“, თბ., 1962; დ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი), წგნ. „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, „მერანი“, თბ., 1968.

ზურაბ ლეჟავა

ნანსენი ფრიტიოფ Fridtjof Nansen (1861-1930) - ნორვეგიელი მეცნიერი, სწავლული ზოოლოგი, ახალი მეცნიერების - ფიზიკური ოკეანოგრაფიის დამაარსებელი, პოლიტიკური მოღვაწე, ჰუმანისტი, ფილანტროპი. 1922 მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი. ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში. მან მხარი დაუჭირა ერთა ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების საკითხს, როცა საქართველოს ხელისუფლების მიერ წარდგენილი დოკუმენტები ლიგის სპეციალურ კომისიას გადაეცა, რომელსაც ნანსენი თავმჯდომარეობდა. მან თქვა: „დამოუკიდებლობა საქართველოსი, უკეთ ქართველი ერისა მოდის ძალიან შორეული წარსულიდან. ეს ძველი ერი, რომელიც შეიცავს საკვირველ ღირსებებს და რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთთან უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, ახლა დამოუკიდებელია, როგორც ის იყო რუსეთთან შეერთებამდე. ამგვარად, ამ თვალსაზრისით, არ არსებობს საბუთი, რომ მისი მიღების შესახებ თხოვნა უკუგდებულ იქნას“.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილი კონფლიქტების შედეგად, უცხოეთში გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად, მისი ინიციატივით, „ნანსენის პასპორტი“ შემოიღეს, რომელიც 50-ზე მეტ ქვეყანაში იყო აღიარებული. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ჯერ კიდევ 1918, რუსეთის ტერიტორია სამმა მილიონმა ადამიანმა დატოვა. სამოქალაქო ომმა, რუსეთის მიერ შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ოკუპაციამ ერთა ლიგის წინაშე ლტოლვილთა საკითხი მთელი სიმწვავით დააყენა. პრობლემის გადასაწყვეტად 1921 წ-ის ზაფხულში ჟენევის კონფერენციაზე „ლტოლვილთა კომისარიატი“ შეიქმნა. ლტოლვილები უცხოეთის ქვეყნებში ე. წ. „ნანსენის პასპორტით“ გადაადგილდებოდნენ.

ლიტ.: ა. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984, გვ. 123; A. I r w I n, The Nobel Peace PrIze and the Laureates: an IllustratedbIographIcal hIstory 1901-2001. Nantucket MA: Watson PublIshIng InternatIonal. ISBN 0-88135-388-4; PollocK, FrederIck (2003). The League of NatIons. Clark, New Jersey: The LawbooK EXchange Ltd. ISBN 1-58477-247-6.

ლელა სარალიძე

ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო – საქართველოს პარლამენტმა 1919 წ-ის 17 იანვარს „ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ შესახებ კანონი მიიღო. თუმცა კანონის მიღებას წინ უსწრებდა (1919 წ-ის 8 იანვარს) მწვავე დებატები საკონსტიტუციო კომისიაში, სადაც განიხილეს გ. ნანეიშვილის დებულება „სასამართლოსი“. განხილვის უმთავრესი ობიექტი ნაფიც-მსაჯულთა კომპეტენცია იყო. ამ დებულების მიხედვით, გაითვალისწინეს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღება „ყოველგვარი სისხლის სამართლის, პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭვდითი დანაშაულობისათვის“. ამ მუხლის დადგენის წინააღმდეგ ს. ჯაფარიძე გამოვიდა. მისი აზრით, „პრინციპიალურად და იურიდიულადაც კარგიც არის და სასურველიც, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია იმ მოთხოვნილების განხორციელება, რომ ყოველი საქმე ირჩეოდეს ნაფიც-მსაჯულების მიერ“. ს. ჯ.-ს მიაჩნდა, რომ ის მუხლი, რომელიც ნაფიც-მსაჯულებს ეხებოდა, ცალკე კი არა, არამედ სხვა მუხლთან ყოფილიყო შეერთებული. გ. ნ-ის აზრით, ნაფიც მსაჯულეთა ინსტიტუტი კონსტიტუციაში ცალკე მუხლად უნდა ყოფილიყო, ვინაიდან „მას სახელმწიფოებრივი დიდი მნიშვნელობა აქვს“. გ-ის ეს მოსაზრება აისახა საქართველოს 1921 წ-ის კონსტიტუციის 81-ე მუხლში: „მძიმე სისხლი სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის“. ს. ჯ-ის მოთხოვნით, კონსტიტუციის ტექსტში შევიდა კორექტივი, რომლის თანახმად, ნაფიც-მსაჯულთა იურისდიქციაში მხოლოდ „მძიმე“ სისხლის სამართლის საქმეები შედიოდა. საქართველოს პარლამენტმა



ნანსენი ფრიტიოფ

1919 წ-ის 17 იანვარს „ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს“ შესახებ დებულება დაამტკიცა. განისაზღვრა ნაფიც-მსაჯულად ასარჩევი პირისთვის წაყენებული მოთხოვნები. ძირითადი იყო: საქართველოს მოქალაქეობა, ქართული ენის ცოდნა, ასევე წერა-კითხვის ცოდნა რომელიმე სხვა ენაზე, 25 წლის ასაკი და არანაკლებ ერთი წლის ცხოვრების ცენზი იმ მაზრასა თუ ქალაქში, სადაც ის ნაფიც-მსაჯულად უნდა ყოფილიყო არჩეული. არ შეიძლებოდა გამოძიებაში ან სამართალში მიცემული, ან სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილი, ვალაუვალ მოვალედ გამოცხადებული, მზრუნველობის ქვეშ მყოფი, ან ბრმა, ყრუ-მუნჯი და შეშლილი პირის არჩევა ნაფიც-მსაჯულის თანამდებობაზე. დებულება დეტალურად ადგენს არჩევისა და ნაფიც-მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის წესებს. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წ-ის 23 აპრილის „ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის“ შესახებ დროებითი კანონით დაწესდა ფულადი სანქციები იმ ნაფიცი-მსაჯულების მიმართ, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდებოდნენ სასამართლოში. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 20 სექტემბერს „რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს“ შესახებ დებულება დაამტკიცა, რომლის 33-ე მუხლის მიხედვით, დებულება ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შემდეგ უნდა გაუქმებულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ დროებითი საგანგებო სასამართლოს ფუნქციები ნაფიც-მსაჯულთა იურისდიქციაში უნდა გადასულიყო.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836. საქ. 420; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

„ნაციონალისტი“ (1920) - ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში. გაზეთის რედაქტორი იყო პოლიტიკოსი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, გრიგოლ ვეშაპელი (1891-1926). წამყვანი ავტორები იყვნენ: გ. ლეონიძე, კ. კაპანელი, დ. ვაჩნაძე, მ. იშხნელი, დ. ს. ღოღობერიძე. ა. კარგარეთელი და სხვ. „ნაციონალისტი“ უპირატესობას ანიჭებდა აგრარულ საკითხებს, დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლის მეურეობის ცალკეული დარგებისა და მიმართულებების განვითარებას, ასევე საქართველოს რეგიონების პრობლემებს. ორიენტირებული იყო თავისი მთავარი მკითხველის - გლეხების ინფორმირებაზე, შემეცნებასა და განათლებაზე, გვევლინებოდა მათ ქომაგად და დამხმარედ. გაზეთი დაინტერესებულ მკითხველს მუდმივად აწვდიდა სასოფლო-სამეურნეო დარგების სიახლეებს. გლეხებისთვის აქვეყნებდა ინფორმაციებს მატყლის ყიდვა-გაყიდვის, საძოვრების ფასის, მევენახეობა-მეხილეობის, საცდელი სადგურების, სანერგეებისა და ლაბორატორიების შესახებ. თვალს ადევნებდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ აგრარულ პოლიტიკას, შიდა თუ გარე ბაზრის პრობლემებს და სხვ. გამოცემა, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისა და მოსავლის გაზრდის მიზნით, მხარს უჭერდა ახალი ტექნოლოგიის შემოტანას, საზღვარგარეთ პროდუქციის ფართო ბაზრის მოპოვებას. საგაზეთო გვერდები მუდმივად ეთმობოდა მთავრობის გადაწყვეტილებებს, ცალკეულ კანონებსა თუ კანონპროექტებს. მაგ., „ღვინის კანონის გაფართოება“, „საქონლის ჭირთან ბრძოლის წესდება“, „საქონლის ნედლი მასალის გადმოტანის წესდება“ და სხვ. არსებულ კრიზისულ ვითარებაში „ნაციონალისტი“ თვალს ადევნებდა ხორბლეულის შენახვის, ტრანსპორტირების, კანონიერად რეგულირების პროცესს, ააშკარავებდა დარღვევებს სურსათის აღრიცხვისა და კონტროლის საქმეში. გაზეთი მთავრობის გადაწყვეტილებებს კრიტიკულად განიხილავდა და საკუთარ რეკომენდაციებს სთავაზობდა მკითხველს, ცდილობდა სოფლის მეურნეობისა და წარმოების ყველა სფეროში ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, მხარს უჭერდა შრომის ინტენსიფიკაციას და წარმოების მოცულობის გაზრდას. გამოცემა მკითხველს აცნობდა რეგიონებში მიმდინარე აგრარული რეფორმის შემაფერხებელ მიზეზებს. „ნაციონალისტის“ პუბლიკაციებში იკვეთება იდეური განსხვავებები სხვადასხვა პარტიულ პლატფორმას შორის. თვალსაჩინოა სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისა და, ზოგადად, პარტიის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, რომელიც დიდწილად ეხება ქვეყნის მართვის ტაქტიკას, თუმცა გაზეთი ყველაზე შეურიგებელია ბოლშევიკების მიმართ. ეროვნული იდეოლოგია ყველა თემის განხილვისას ვლინდება. გამორჩეული ავტორია გ. ლეონიძე (გაზეთში გამოქვეყნდა მისი სტატიები: „ქართული წიგნი“, „ძველ პოეზიაზე“, „ვახტანგ VI“, „მცხეთა“), რომლის პუბლიცისტურ წერილებში აღსანიშნავია ნაციონალისტური და კოსმოპოლიტური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი. ავტორი „კომერციულ კულტურად“ მოიხსენიებს ე.წ. ინტერნაციონალური კულტურების ნაკადს, რომელიც, მისი თქმით, „ვეშაპივით მოექანება და საფრთხეს უქმნის ეროვნულ კულტურას“. „ნაციონალისტი“ არაერთ პუბლიკაციას უძღვნის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს და ამ თემაზე სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებულ პოზიციას გამოხატავს - მხარს უჭერს ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან, თუმცა საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ ყველა კონფესიის ეკლესიის დაფინანსებას, ეკლესიის ქონების ხელშეუხებლობას, სკოლაში სახარების სწავლებას. მაგალითად იმოწმებს

გერმანიის გამოცდილებას. გაზეთი სისტემატურად აშუქებს დამფუძნებელი საბჭოს მუშაობას, მხარს უჭერს არსებულ კრიზისულ ვითარებაში ერთიანი ფრონტის შექმნას, თუმცა ზოგიერთი ავტორი (მაგ., „ნალი“) მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მყარი პოლიტიკური ორიენტაციის არქონას საყვედურობს - მარჯვნივ თუ მარცხნივ? „მარჯვნივ - ევროპისკენაა გზა, მარცხნივ-რუსეთისკენ. დროა ერთად დავდგეთ . „ნაციონალისტი“ მუდმივად ადევნებს თვალს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს - პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მოვლენებს, რუსეთის სამოქალაქო ომის მიმდინარეობას, თურქეთ-სომხეთის კონფლიქტს.

ლიტ.: გაზ. „ნაციონალისტი“, 1920, №1 (6/IX) - №27 (32/X); გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

ნესტორი (ერისკაცობაში ნესტორ დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი, 5.IX.1853, ქუთაისის გუბერნია, ს. მუხაყრუა - 15.VI.1938, ქუთაისი) - ეპისკოპოსი, დაიბადა მღვდლის ოჯახში. 1871 დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, 1877 თბილისის სასულიერო სემინარია. 1877 წ-დან მუშაობდა მასწავლებლად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში. 1882 წ-დან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგია. 1883 ეპისკოპოს გაბრიელის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა დიაკვნად ბარსაჯავახოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. იმავე წელს აკურთხეს მღვდლად და კეთილმოწესედ, 1884 ბარსაჯავახოს ეკლესიასთან დააფუძნა საეკლესიო სამრევლო სკოლა. 1887 წ-დან ჯერ ქუთაისის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურია, შემდეგ ქუთაისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი. 1888 წმიდა გიორგის ეკლესიასთან დააფუძნა საეკლესიო სამრევლო სკოლა. 1889 წ-ის შემდეგ პერიოდში სხვადასხვა დროს იყო: ჩუნეშის ოლქის კეთილმოწესე; ქუთაისის ეკლესიების კეთილმოწესე; გოჭურის სასაფლაოს ეკლესიის განახლების კომიტეტის თავმჯდომარე; აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში; ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში; აღიკვეცა ბერად; მოწამეთას ეკლესიის წინამძღვარი; მსახურობდა შუამთის, ალავერდის და თეთრი გიორგის ეკლესიებში.

1917 აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1915-1917 წწ-ში კვლავ მოწამეთას მონასტერშია, 1918-1923 წწ-ში გელათის მონასტრის წინამძღვარი.

1924 წ-ის 18 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველის, ეპისკოპოს ქრისტეფორეს, მიერ ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად. 1926 გადაყვანილ იქნა ჭყონდიდელად. მონაწილეობდა 1926 დეკემბერში ქუთაისის საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელიც მიმართული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის წინააღმდეგ. 1928 გადაყვანილ იქნა ცაგერელ ეპისკოპოსად, 1929 წ-დან წილკნელია. 1930 ითხოვა პენსიაზე გასვლა. დაკრძალულია საფიჩხიის (ქუთაისი) სამების ეკლესიის გალავანში. გამოქვეყნებული აქვს წიგნები.

ლიტ.: ნ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ეპისკოპოს ნესტორის (ყუბანეიშვილი) ცხოვრება და მოღვაწეობა, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. XI. თბ., 2009; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010.

მიხეილ ქართველიშვილი



ნიკოლაძე იაკობ

ნესტორ ეპისკოპოსი

ნიკოლაძე იაკობ ივანეს ძე (16(29).V.1876, ქუთაისი - 10.III.1951, თბილისი) - მოქანდაკე. სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში. თუმცა, აკადემიური ჩამორჩენილობის გამო, სწავლა ვერ დაასრულა და ძის დასახმარებლად ბათუმში გადავიდა. 1889 სწავლობდა ბათუმის ახლად დარსებულ ტექნიკურ-სახელოსნო სასწავლებელში. ხატვისადმი ინტერესი სწორედ ამ დროს გამოამჟღავნა. 1981 დაასრულა სწავლა და გაემგზავრა მოსკოვში. მეცადინეობდა გრაფ სტროგანოვის ტექნიკურ სასწავლებელში, რათა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ჩაებარებია. 3-წლიანი მცდელობის მიუხედავად, გამოცდა ვერ ჩააბარა და გადავიდა ოდესის სამხატვრო სასწავლებელში. ჯერ დაეუფლა მხატვრობას, შემდეგ კი ქანდაკების კლასში შედის. ოდესაში სწავლა არ დაუსრულებია. ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში და დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა. ამ დროს შექმნა შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც 1897 თბილისში, „დიდების ტაძარში“, კავკასიელ მხატვართა მეხუთე გამოფენაზე გაიტანა. 1899 წ-ის სექტემბერში პარიზში გადადის. სწავლა დაიწყო კაზმული (სახვითი) ხელოვნების სკოლაში ჯერ ა. ფალგიერის სახელოსნოში, 1900 წ-დან კი ან. მერსიეს კლასში. მასალაში მუშაობას პრ. მანგელიესთან სწავლობდა. 1901 დაბრუნდა საქართველოში. 1904 გაემგზავრა ფლორენციაში, 7 თვის განმავლობაში რენესანსის ხელოვნებას სწავლობდა. 1905 ფლორენციიდან პარიზში წავიდა. 1906 რუს მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარის, ვ. ვ. გოლუბიევის, ოჯახის დახმარებით მუშაობას იწყებს როდენთან. მასთან პირველი ნამუშევარია „იოანე ნათლისმცემელი“. 1908 დაბრუნდა საქართველოში. მუშაობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლზე „მწუხარე საქართველო“. 1910 მცირე ხნით პარიზში წავიდა. 1910 წ-დან ისევ თბილისში დაბრუნდა.

1910-1919 წწ-ში ხატვას ასწავლიდა თბილისის სხვადასხვა სასწავლებელში (მეორე კომერციულ სასწავლებელში, ქართულ გიმნაზიაში, წმ. ნინოს სახ. ქალთა გიმნაზიაში). 1918 წ-ის იანვარში გააფორმა ჟურნალ „პრომეთეს“ ყდა. მას ეკუთვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშის ესკიზი. 1918 წ-ის 4 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ

მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის დროშის პროექტის შედგენის ხარჯისა“, რომელშიც ვკითხულობთ: „მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდგან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამრჯელოდ სამი ათასი (3,000) მანეთი“. 1919 წ-ის მაისში მონაწილეობდა ქართველ მხატვართა სურათების გამოფენაში. მის შემოქმედებაზე ჟურ. „შვიდ მნათობში“ დ. კაკაბაძის წერილი დაიბეჭდა. დაუკვეთეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას, ბიუსტი. 1920 ჟურ. „ეშმაკის მათრახში“ მისი არაერთი კარიკატურაა, სადაც დახატულია ნ. ჟ-ს ბიუსტის შექმნის პროცესში. ეს გვაძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ პორტრეტი 1920 წ-მდე უნდა იყოს შექმნილი. აღსანიშნავია, რომ 1968 გადაღებულ ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ერთ-ერთ რეკვიზიტად ნ.ჟ-ს ბიუსტია გამოყენებული. როგორც ჩანს, საბჭოთა ცენზურას ეს დეტალი შემთხვევით გაეპარა. 2016 მოქანდაკის სახელოსნოში თაბაშირის ბიუსტი აღმოჩნდა.

1921 საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის დროს, რამდენიმე თვით კონსტანტინეპოლს შეაფარა თავი. მალევე დაბრუნდა, თანამშრომლობდა ბოლშევიკურ მთავრობასთან და ძირითადად ქმნიდა ლენინისა და სტალინის ბიუსტებს. თუმცა 1945 მაღალმხატვრული ღირებულების გრიგოლ ჩახრუხაძის პორტრეტიც შექმნა. 1922 წ-დან იყო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პრორექტორი. ხელმძღვანელობდა ქანდაკების ფაკულტეტს. დაჯილდოებულია საბჭოთა ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

მისი ნამუშევრებია: ო. შმერლინგი (1903), ქარი (ქვა, 1905), მოცეკვავე (ბრინჯაო, 1906), ჩრდილოეთის ასული (მარმარილო, 1906), სალომე (მარმარილო, 1906), მიშელ დარიალ ნანობაშვილი (ბრინჯაო, 1906), რობერტ ოუჟენი (თაბაშირი, 1918), ბერიძე (თაბაშირი, 1918), შ. ამირანაშვილი (თაბაშირი, 1940), ივანე ჯავახიშვილი (ბრინჯაო, 1948) და სხვ.

ლიტ.: მ. დ უ დ უ ჩ ა ვ ა, იაკობ ნიკოლაძე, თბილისი, 1976; ი. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ერთი წელი როდენთან, II გამოცემა, ლიტ. და ხელ., თბ., 1963; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბილისი, 1990; ჟურ, „ეშმაკის მათრახი“, 1920, №38; ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, №10; ჟურ. „შვიდი მნათობი“, 1919, №2.

სალომე ჭანტურიძე, მაია ციციშვილი



ნიკოლაძე ნიკო

ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (27.IX.1843, ქუთაისი - 1.IV.1928, თბილისი), დიდი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, თერგდალეულთა ბრწყინვალე წარმომადგენელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და 1861 სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. სტუდენტურ დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. საპატიმროდან განთავისუფლებული უნივერსიტეტს ჩამოაშორეს, პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს და საქართველოში გამოისტუმრეს. მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე ძველ და ახალ თაობათა (მამათა და შვილთა) შორის გამართულ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში. 1864 საფრანგეთში გაემგზავრა და სორბონის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. სწავლობდა ჟენევაშიც, დასრულებით კი 1868 ციურიხის უნივერსიტეტი დაასრულა. იქვე ნაშრომისათვის „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური მნიშვნელობა“ სამართლის დოქტორის კვალიფიკაცია მიიღო. პირველი წერილი ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფემ გაზეთ „ცისკარში“ გამოაქვეყნა, პეტერბურგში ნ. ნეკრასოვისა და ნ. ჩერნიშევსკის ჟურნალ „Современник“-თან, ხოლო ევროპაში ა. გერცენისა და ნ. ოგარიოვის გაზეთ „Колокол“-თან თანამშრომლობდა. 1868 რუს ემიგრანტ ლ. მეჩნიკოვთან ერთად ციურიხში სათავეში ედგა ჟურნალ „Современность“-ს. ამავე წელს მან და მ. ელპიდინმა გამოსცეს ნ. ჩ-ის თხზულებათა პირველი ტომი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გადასახლებიდან ნ. ჩ-ს განთავისუფლებაში. ლონდონში ყოფნისას პ. ლაფარგის მეშვეობით შეხვდა და გაეცნო კ. მარქსს, რომელსაც მისთვის კავკასიაში I ინტერნაციონალის წარმომადგენლობა შეუთავაზებია. ნ. ნიკოლაძემ ეს წინადადება არ მიიღო. 1871 მან და გ. წერეთელმა თბილისში ჟურნალი „კრებული“ დააფუძნეს. 1873 თანამოაზრეებთან ერთად პარიზში პირველი ქართული ჰექტოგრაფიული გაზეთი „დროშა“ გამოსცა. იმავე წელს სამშობლოში დაბრუნდა, მხარში ამოუდგა „დროების“ ჯგუფს და განაგრძო დაწყებული ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1878 წ-დან რედაქტორობდა მის მიერვე თბილისში დაარსებულ რუსულენოვან ყოველდღიურ გაზეთ „Обзор“-ს, რომელიც 1880 მთავრობამ დაუხურა, ხოლო თვითონ სტავროპოლში გადასახლებით დასაჯეს. 1887-1891 წწ.-ში სათავეში ედგა თბილისში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ „Новое обозрение“-ს, შემდეგ გამოსცემდა ჟურნალ „მოამბეს“. 1894-1912 წწ-ში იყო ფოთის ქალაქის თავი და დიდი ღვაწლი დასდო პორტისა და ქალაქის მოდერნიზაციას. მომდევნო რამდენიმე წელი პეტროგრადში მოუწია ცხოვრება, სადაც შეესწრო 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციას.

ნ. ნიკოლაძე იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1917 წ-ის ივნისში ედპ-ის პირველ ყრილობაზე ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. 1917 წ-ის ნოემბერში იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი. ყრილობამ იგი ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, საბჭომ კი თავისი აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩია. 1918 წ-ის მაისში, როგორც ამიერკავკასიის დელეგაციის წევრმა, მონაწილეობა მიიღო ბათუმის საზავო კონფერენციაში. ბათუმში ქართველი დელეგატების გერმანიის დელეგაციასთან დაახლოებამ დააჩქარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება, რაშიც თვალსაჩინო წვლილი ნ. ნიკოლაძეს მიუძღვის. აქვე შეადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ბათუმში ჩასულ ნ. ჟორდანიას გადასცა. 1918 წ-ის 27-28 მაისს ჩართული იყო საქართველოსა და გერმანიას შორის ფოთის დროებითი შეთანხმების გაფორმებაში. შემდეგ ა. ჩხენკელთან და სხვ. ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით, გაემგზავრა ბერლინში გერმანიის მთავრობასთან ურთიერთობის დასამყარებლად. სამშობლოს თავისუფლებისათვის გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ნ. ნიკოლაძე თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. 1919 შედიოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, თუმცა საფრანგეთის ვიზა ვერ მიიღო და სტამბოლიდან უკან დაბრუნდა. 1919 წ-ის თებერვალში, ედპ-ს სიით, აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად, იყო კრების გზათა კომისიის წევრი. 1920 წ-ის აპრილში დეპუტატობისაგან განთავისუფლდა, რადგან მიავლინეს ევროპაში საქართველოს ეკონომიკური მისიის წევრად.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციასა ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. იგი დარჩა დასავლეთ ევროპაში, სადაც მინდობილი ჰქონდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოება „ჩემოს“ წარმომადგენლობა. 1922 მონაწილეობდა პარიზში გამართული ინტერპარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც ჩამოაყალიბა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და შექმნა „საქართველოს დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი“. როცა საბჭოთა რეჟიმმა კონცესიების წესი დაუშვა, დიდი ინტერესით დაეძებდა უცხოელ ინვესტორებს საქართველოს ბუნებრივი რესურსების გონივრული ექსპლუატაციისათვის. ცნობილი ამერიკელი მრეწველი ჰარიმანი საქართველოში მისი რჩევით ჩამოვიდა. 1924 სამშობლოში დაბრუნდა. აგვისტოს აჯანყების წინააღმდეგი იყო და საქართველოს დამკომის წევრებსაც გამოსვლისაგან თავის შეკავებას ურჩევდა. 1925 მისი თაოსნობით თბილისში ჩამოყალიბდა ამხანაგობა „ქართული წიგნი“ (გამოსცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული და სხვ.). ცალკეულ წლებში იყენებდა ფსევდონიმებს: „ნიკიფორე გ.“, „სკანდელი“, „რიონელი“. მისი პუბლიკაციები გაბნეულია ათეულობით ქართულ, რუსულ თუ ფრანგულენოვან ჟურნალსა და გაზეთში. გამოქვეყნებულია ნ. ნიკოლაძის თხზულებათ 10 ტომი, ბევრი მისი ნააზრევი ჯერაც ელოდება გამოცემას. დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის კრიტიკის განვითარებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა და მრავალი სხვა საქვეყნო პრაქტიკული საქმე. ჰყავდა მეუღლე - ოლგა გურამიშვილი და შვილები გიორგი, რუსუდანი და თამარი. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი ათ ტომად, 1960-1980-ანი წწ.

ლიტ.: ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ნიკო ნიკოლაძე, თბ. ; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1999; ო. ჯ ა ნ ე ლ ი - ძ ე, უკანასკნელი თერგდალეული, თბ., 2010.

ოთარ ჯანელიძე



ნიკოლეიშვილი იასონ

ნიკოლაიშვილი იასონ (ბელზებელი) (24.III.1865 - 2V.1941, თბილისი) - ცნობილი პედაგოგი. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1885 დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაინიშნა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის განყოფილების აღმზრდელად და გალობის მასწავლებლად სოფელ ძველ სენაკში. მომდევნო წლიდან იმავე სკოლაში ყველა საგნებს ასწავლიდა. ყოველ ზაფხულს მიდიოდა გურიაში და ეწეოდა სხვადახვა სახის საზოგადოებრივ მუშაობას, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი აბრეშუმის საუკეთესო თესლის შეძენისა და ხალხში გავრცელების საქმეში. სხვებთან ერთად ადგენდა სცენის მოყვარულთა დასს. ისინი მოგზაურობდნენ გურიაში და მართავდნენ წარმოდგენებს, ხოლო მიღებულ შემოსავალს ახმარდნენ სოფლის სამკითხველოებს და ფულად დახმარებას უწევდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს. 12 წელი მუშაობდა ძველ სენაკში მასწავლებლად, შემდეგ გადავიდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და ასწავლიდა მოსამზადებელ კლასებში, მოგვიანებით დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად უფროს კლასებში. აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის ყველა კულტურულ წამოწყებაში. სამწერლო ასპარეზზე 1889 გამოვიდა. პირველი მოთხრობა „პერიას ოჯახში“ დაიბეჭდა გაზეთ “ივერიაში“, ამის შემდეგ განაგრძობდა წერას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1912 გამოსცა „ქართული ენის მოკლე გრამატიკა“. კარგად ერკვეოდა მუსიკაში. მის მიერ ნოტებზე გადატანილი სიმღერები საყმაწვილო ჟურნალებში იბეჭდებოდა. ხოლო საბავშვო სიმღერები წლების მანძილზე ისწავლებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მოღვაწეობდა ქუთაისში, ასწავლიდა ვაჟთა II გიმნაზიაში. დაკრძალულია ახალი ვერის სასაფლაოზე.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი II, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1955. http://nateba. net/IndeX. php/blographIes/149-nIkolaIshVIII.

დოდო ჭუმბურიძე

ნიკურაძე ალექსანდრე

ნიკურაძე ალექსანდრე ილიას ძე (10.X.1900, სამტრედია - 13.VI.1981, მიუნხენი, გფრ) - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკოსი, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი. დაიბადა რკინიგზის დეპოს უფროსის ოჯახში.დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია (1917). 1918 სწავლა დაიწყო თბილისში ახლად გახსნილი ქართული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური თანადგომით, თავის უფროს ძმასთან, ივანე ნიკურაძესთან, ერთად გაიგზავნა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად (1919).

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მიიღო გერმანიის მოქალაქეობა. დაამთავრა მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიკის სპეციალობით (1928). მუშაობდა მყარი სხეულების ფიზიკისა და ენერგეტიკის დარგში. სწავლობდა ნაწილაკებს (იონებს, ელექტრონებს). მისი ნაშრომები იბეჭდებოდა გერმანიაში გამომავალ ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. მათი თანაავტორი ზოგჯერ იყო მისი უახლოესი მეგობარი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი რაჟდენ რუსიშვილი. გამოსცა ფუნდამენტური გამოკვლევა „თხევადი დიელექტრიკები“ (1934). მოღვაწეობდა მიუნხენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და ბერლინის უნივერსიტეტში ჯერ პრივატ-დოცენტის, ხოლო შემდეგ პროფესორის რანგში. ამის პარალელურად, ნაყოფიერად მუშაობდა გეოპოლიტიკის სფეროშიც. იზიარებდა გეოპოლიტიკის ფუძემდებლის, კარლ ჰაუსჰოფერის, შეხედულებებს. ზოგჯერ წერდა ფსევდონიმით: A. Sanders. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული და სხვა კავკასიელი ერების ემიგრაციის ცნობილ წარმომადგენლებთან. ხელმძღვანელობდა თავის მიერვე დაარსებულ კონტინენტური ევროპის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც 1941-1944 წწ-ში ფუნქციონირებდა მიუნხენში, ხოლო 1944-1945 წწ-ში - შვარცენფელდში. იყო გერმანიის მეშვეობით კავკასიის განთავისუფლების მთავარი იდეოლოგი, რომლის ძირითადი მიზანი იყო კავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბება საქართველოს ჰეგემონიითა და გერმანიის პროტექტორატით. მისი ძალისხმევით დაღუპვას გადაურჩა გერმანელთა ტყვეობაში ჩავარდნილი ათასობით ქართველი, ყოფილი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე. თანამშრომლობდა გერმანიაში მოქმედ ქართულ ეროვნულ კომიტეტთან და ცალკეულ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან, ასევე პრესასთან, ძირითადად ჟურნალთან „ბედი ქართლისა“. შალვა მაღლაკელიძე იგონებდა, რომ ალ. ნიკურაძე წერდა „ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებს, სადაც ის აზრი გაატარა, რომ გერმანელ ტევტონთა გავლენის სფერო ყირიმს აღწევდა და არავითარ შემთხვევაში საქართველოს... პატარა ტანის კაცი იყო, ლურჯი სათვალეებით... გიტარა ჰქონდა საქართველოდან წამოღებული და ჩვენებურ სიმღერებს მღეროდა“. მისი არქივი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ნიკურაძე ივანე

თხზ.: Untersuchungen über Spiltzenentladungen in Transformatorenölen. Berlin: J. Springer, 1928; Das flüssige Dielektrikum (isolierende Flüssigkelten). Berlin: J. Sprlinger, 1934; Um dIe Gestaltung Europas. München, Hoheneichen-Verlag, 1938; Um das Erbe Großbritanniens. München, 1941; Kaukasien. München, 1942; Osteuropa in kontinentaleuropaeischer Schau, München, 1942 (ჰოლანდიური ვერსია - Oost-Europa van uit kontinentaal Europeesch gezichtspunt. Amsterdam: Westland, 1943); Um das Erbe Großbritanniens. Zur Wandlung der politischen Struktur der Übersee. München, 1942; DIe Stunden der Entscheidung, München, 1943 (მიძღვნილი ა. როზენბერგის 50 წლისთავისადმი); Das Zweistoffsystem Gas-Metall. München: Oldenbourg, 1950; Vom Traum zur Tat. Wiesbaden: Dieterich, 1951; Naturwissenschaft und Technik im Leben der Völker. München: Oldenbourg, 1952; Zur Frage der Europa-Forschung. München: Oldenbourg, 1955 (ფრანგული ვერსია - ObjectIfs et méthodes des études européennes. Paris: Union fédéraliste InteruniversitaIre, 1956); Energieabsorption von Atomkernstrahlen in organischen Stoffen und durch sie hervorgerufene Reaktionsprozesse. Köln: Westdt. Verl., 1958.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991; რ. დაუშვილი, ძმები ნიკურაძეები, გაზ. „PrIme TIme“, თბ., 17. IV. 2011; შ. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი - ძ ე, მოგონებები, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რ ც ხ ი - ლ ა ძ ე მ, თბ., 2012; Н. Д ж а в а х и ш в и л и, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

ნიკურაძე ივანე (გერმანიაში – იოჰან) ილიას ძე (20.XI.1894, სამტრედია - 18.VII.1979, გიოტინგენი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი. დაიბადა რკინიგზის დეპოს უფროსის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია (1917). 1918 სწავლა დაიწყო თბილისში ახლად გახსნილი ქართული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, რეკომენდაციითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური თანადგომით, თავის უმცროს ძმასთან, ალექსანდრე ნიკურაძესთან, ერთად, გაიგზავნა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად (1919). ცხოვრობდა გიოტინგენში. იყო თანამედროვე ჰიდროდინამიკისა და აეროდინამიკის ფუძემდებლის, ლუდვიგ პრანდტლის, გამორჩეული მოწაფე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მიიღო გერმანიის მოქალაქეობა. დაი-

ცვა სადოქტორო დისერტაცია ქიმიის სპეციალობით (1923). მუშაობდა კაიზერ ვილჰელმის (ამჟამად - მაქს პლანკის) სახელობის ჰიდრავლიკურ კვლევათა და დინამიკის ინსტიტუტში, სადაც მოგვიანებით ხელმძღვანელობდა განყოფილებას (1934 წლამდე). ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მისი ნაშრომები იბეჭდებოდა გერმანიაში გამომავალ ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში (ზოგჯერ თავისი ძმის, ალექსანდრე ნიკურაძის, თანაავტორობით). შექმნა სახელმძღვანელო ჰიდრომექანიკაში, გამოიკვლია სითხის ლამინარული და ტურბულენტური დინება, რეინოლდსის რიცხვის დიდი მნიშვნელობისათვის მიიღო ჰიდროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტის ემპირიული ფორმულა, რომელსაც მისი სახელი მიანიჭეს. მისი სახელი ასევე ეწოდება დიაგრამებსა და მრუდეებს, რომლებიც ჰიდრავლიკაში გამოიყენება. პროფესორად მოღვაწეობდა ჯერ ბრესლაუს უნივერსიტეტში (1945 წ-დე), ხოლო შემდეგ აახენის უნივერსიტეტში. მისი არქივი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლიტ.: M. R e n n e b e r g, Science Technology, and National Socialism, Cambridge University Press, 1994; გ. შ ა რ ა ძ ე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, ძმები ნიკურაძეები, გაზ. „Prime Time", თბ., 17. IV. 2011; Н. Д ж а в а х и ш в и л и, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

ნინიძე ბიქტორ (1890, სოფ. ასკანა, ოზურგეთის მაზრ - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაამთავრა ექვსკლასიანი სკოლა. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ადრეული ასაკიდან შეუერთდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. რკინიგზის მუშათა შორის ეწეოდა აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას.

1918 საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დაასახელა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. იყო ეროვნული საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიის წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127.

ირაკლი ირემაძე

ნინიძე კირილე ესეს ძე (1879, სოფ. ასკანა - 1937) - სოციალ-დემოკრატი. დაიბადა გლეხის ოჯახში. სწავლობდა დორპატის უნივერსიტეტში. ახალგაზრდობაშვე შეურთდა რსდმპ-ს, იყო მენშევიკური ფრაქციის წევრი. მოღვაწეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში 1908 წ-დან, იყო ამ საზოგადოების მდივანი ხონსა და ხაშურში.

1918 საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრია. 1919 წ-დან დამფუძნებელ კრებაშია. 1920 წ-დან აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოქმედებას და პარტიის შიგნით ოპოზიციურ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში. პარტიას ძირითადად მთავრობისა და ცენტრალური კომიტეტის გაუმიჯნაობაში ადანაშაულებდა. 1920 წ-ის ბოლოს რამდენიმე პირთან ერთად გამოეყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მათ გამოსცეს ჯერ გაზეთი „ახალი სხივი", ხოლო შემდეგ, 1921, შექმნეს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დამფუძნებელ კრებაში, ამ ჯგუფს „სხიველები" ეწოდა.

აქტიურად იყო ჩაბმული 1924 წ-ის აჯანყებაში. იყო სამხედრო კომისიის წევრი. ადვოკატობას უწევდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას. დიდი საბჭოთა ტერორის დროს დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე

ნოდია ვასილ გიორგის ძე (1890, ფოთი - 1924) - სოციალ-დემოკრატი. დაასრულა ფოთის საქალაქო სასწავლებელი, იყო მუშა, ეწეოდა რევოლუციურ და პუბლიცისტურ საქმიანობას.

ნოდია ვასილ

დამოუკიდებლობის წლებში აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, 1919 აირჩიეს დამფუძნებელი კრების დეპუტატად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა, იმთავითვე ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, გახდა 1924 აჯანყების მონაწილე და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი. თავდაპირველად შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიაში. კახეთ-ხევსურეთის აჯანყების მარცხის შემდეგ, როდესაც მიმდინარეობდა საყოველთაო აჯანყების მზადება, 1923 წ-ის ბოლოს, გაიგზავნა საზღვარგარეთ საერთაშორისო მდგომარეობის გამოსარკვევად და პოლიტიკური მუშაობისათვის იქიდან დამხმარე ძალების ჩამოსაყვანად. თბილისში 1924 წ-ის მაისში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ მისცეს გაფრთხილება, არ წამოეყვანა ვ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვშვილი, რადგან მათი პროცესში მონაწილეობა, რადიკალიზმისა და შეურიგებელი ხასიათის გამო, მდგომარეობას დაძაბავდა, მას თან ჩამოჰყვნენ როგორც ვ. ჯ. და ბ.ჩ., ასევე, ვ. მგელაძე, ვ. ცინცაბაძე და ბ. ცენტერაძე. ნოდიამ ჩამოიტანა ცნობა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობდა აჯანყების დაწყებას და თუ ვინიცობაა აჯანყება დამარცხდებოდა, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელებულიყო, რომ ამით პარიზში მყოფ გაერთიანებულ ცენტრს შეძლებოდა მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოებთან დიპლომატიური



ნინიძე კირილე

წესით მოეგვარებინა საქართველოს საკითხი რუსებთან (ს. ზალდასტანიშვილი). დამკომმა მიღებული ცნობა საკმარისად მიიჩნია აჯანყების დაწყებისათვის, თუმცა მისი ზოგიერთი წევრი ჩამოტანილ ცნობას არ ენდობოდა და აჯანყების გადადებას ან ჩაშლას ითხოვდა. ვ. ნოდია 1924 წ-ის 25 ივლისს დააპატიმრეს აჯანყების სხვა მეთაურებთან - გ. ფაღავასთან, ნ. ხომერიკთან, ბ. ჩხიკვიშვილთან, გ. წინამძღვრიშვილთან ერთად და დახვრიტეს რუსეთის ტერიტორიაზე.

ლიტ.: ს. ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, 1989.

დოდო ჭუმბურიძე

ნუცუბიძე შალვა

ნუცუბიძე ვარლამ (შალვა) ისაკის ძე (14.XII.1888, სოფ. ფარცხანაყანევი - 1969) ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1910 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის განხრით. 1911-1914 წწ-ში იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ლაიფციგში ყოფნის დროს ჩამოაყალიბა ორიგინალური ფილოსოფიური მოძღვრება - ალეთოლოგია. 1915 მიენიჭა აღნიშნული უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1916-1918 წწ-ში პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორია.

1918 იყო თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, 1918-1953 და 1960-1969 წწ-ში ამავე უნივერსიტეტის პროფესორი. 1919-1921 წწ-ში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. ამ პარტიაში 1915 წ-დან გაწევრიანდა. ამ დრომდე კი, როგორც თავად წერს 1918 წ-ს დაწერილ ავტობიოგრაფიაში, იყო სოციალ-დემოკრატი. შედიოდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში, რომელიც გამოეყო ძირითად პარტიას და 1921-1923 წწ-ში თანამშრომლობდა ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან, თუმცა მკაცრად აკრიტიკებდა მათ ეროვნულ პოლიტიკას.



ნუცუბიძე ილია

1925-1926 წწ-ში იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი. 1927 მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ოცდაათიანი წლების II ნახევრიდან ინტენსიურად იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ „აღმოსავლური რენესანსის“ საკითხებს. დიდი წვლილი შეიტანა ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის საკითხის კვლევაში. ეს ჰიპოთეზა წამოაყენა 1942. მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი და ბიზანტიოლოგი ერნესტ ჰონიგმანი 1952, რის შემდეგაც აღნიშნულ თეორიას ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეწოდა. შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ავტორის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. ნუცუბიძის აზრით, ვეფხისტყაოსანი მოწინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტური გამოსახვა და ქართული რენესანსის მწვერვალია. მისი დასაბუთებით, ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა - სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება - პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული. მან რუსულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, ხალხური „ამირანიანი“. ცნობილია აგრეთვე ნუცუბიძის გამოკვლევები ესთეტიკის, ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, ბერძნული „ბალავარიანის“ ქართული წარმომავლობის შესახებ და სხვ . 1921 წ-ის 25 თებერვლის შემდეგ მუდმივად განიცდიდა დევნას საბჭოთა რეჟიმის მხრიდან: დაპატიმრებული იყო 1921 და 1938-1940 წწ-ში, 1953-1960 წწ-ში გაძევებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა. თბილისის უნივერსიტეტში ნუცუბიძის მიერ 20-იან წლებში დაარსებული სემინარები იქცა ფილოსოფიური აზროვნების კერად, სადაც აღიზარდნენ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები. დაკრძალულია თსუ-ის ბაღში.

თხზ.: შ. ნუცუბიძე, კითხვები ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაზე, ტომი I-II, სანკტ-პეტერბურგი, 1913 (რუსულად); ხელოვნების თეორია, მონისტური ესთეტიკის საფუძვლები, თბ., 1920; ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა (მონოგრაფია), ბერლინი-ლაიფციგი, 1926 (გერმანულად); ფილოსოფია და სიბრძნე (მონოგრაფია), ბერლინი, 1931 (გერმანულად); რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი (მონოგრაფია), თბ,. 1947, 1967 (რუსულად); ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი I, თბ., 1956; ტომი II, თბ., 1958 (ქართულად).

ლიტ.: შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, შალვა ნუცუბიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1969 (ახლავს ნუცუბიძის ბიბლიოგრაფია); Ш. И. Н у ц у б и д з е, (К 90-летию со дня рождения), Сборник, Тб., 1980; სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 1378.

დოდო ჭუმბურიძე

ნუცუბიძე ილია (1883, სოფ, ფარცხანაყანევი - ?) - დაიბადა სასულიერო პირის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. სწავლობდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში.

იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. 1907 და 1909 წწ-ში ორჯერ დაეპატიმრეს.

იყო 1918 წ-ის მაისში შექმნილი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. შედიოდა პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზეთ „შრომის“ სარედაქციო კოლეგიაში. 1918 შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში. 1919 წ-ის არჩევნების შედეგად აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად და შედიოდა ესერთა პარტიის ხუთკაციან ფრაქციაში.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა საფრანგეთში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: რ. გ რ ძ ე ლ ი ძ ე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924, თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

ო

ოდიშელიძე ილია

ოდიშელიძე ილია ზურაბის ძე (25.III.1865 - 1925) - გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი. სწავლა მოსკოვში ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. 1888 პოდპორუჩიკის წოდებით 39-ე საარტილერიო ბრიგადაში გაიგზავნა. პორუჩიკი (1891). 1891-1894 წ-ში სწავლობდა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემიაში. შტაბსკაპიტანი (1894). 1895 წ-ს კავკასიის კაზაკთა მე-2 დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. კაპიტანი (1896). კავკასიის მსროლელთა მე-2 ბატალიონის ასმეთაური. 1897 დაინიშნა უსტ-დვინის სიმაგრის შტაბის სამწყობრო განყოფილების უფროსად, 1900 წ-ს უსტ-დვინის სიმაგრის შტაბის უფროსად. პოდპოლკოვნიკი (1900). 1902 წ-დან აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-6 ბრიგადის შტაბ-ოფიცერი. 1904 წ-დან აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-6 დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1904 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-3 დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. პოლკოვნიკი (1904). 1906 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-3 პოლკის უფროსი. 1907 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მე-11 პოლკის მეთაური. 1909 თურქესტანის სამხედრო ოლქის სარდლის დავალებათა გენერლის მოვალეობის შემსრულებელი. გენერალ-მაიორი (1910). 1911 სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. 1914 თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. გენერალ-ლეიტენანტი (1914). პირველი მსოფლიო ომის დროს ჯერ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-10 არმიის შტაბის უფროსი, შემდეგ კი 1917 წ-ის იანვრამდე 1-ლი არმიის შტაბის უფროსი. 1917 გადაყვანილ იქნა ჯერ XV საარმიო კორპუსის მეთაურად, შემდეგ მე-3 არმიის სარდალად. 1917 წ-ის 2 ოქტომბერს კავკასიის არმიის სარდლად ინიშნება. დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებით და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებით და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის, წმ. ანას 1-ლი ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-2 ხარისხის, თეთრი არწივის ორდენებით, აგრეთვე იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. სხვადასხვა დროს იყო: სამხედრო მინისტრის მოადგილე, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. 1919 ივანე ჯავახიშვილთან ერთად წარადგინა დოკუმენტი, სადაც დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები. მთავრობისადმი წარდგენილ არაერთ მოხსენებაში სახავდა კონკრეტულ გეგმებს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად. 1920 წ-ის დეკემბერში დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. ამ პოსტზე მოუსწრო 1921 საბჭოთა რუსეთთან დაწყებულმა ომმა. დაუშვა რამდენიმე მძიმე შეცდომა და 16 თებერვალს ომის პირველ ეტაპზე განცდილი მარცხის გამო გადააყენეს. დაინიშნა მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლად. ერთადერთი იყო, ვინც შეეწინააღმდეგა ახალი მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის, გადაწყვეტილებას თბილისის დატოვების შესახებ. თვლიდა, რომ დედაქალაქის დატოვება მორალურად გაანადგურებდა ჯარს, დასცემდა მის ბრძოლისუნარიანობას და ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა.

1921 წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, სადაც ორჯერ წაიკითხა მოხსენებები 1921 წ-ის ომთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, კონსტანტინოპოლშივე გარდაიცვალა.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru; http://reglment. ru; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; მ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013.

მიხეილ ბახტაძე

ონიაშვილი დავით ეფრემის ძე (22.XII.1883, სოფ. ხიდისთავი, გორის მაზ. - 14.VII.1937, თბილისი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი. დაიბადა გლეხის ოჯახში. თავდაპირველად საშუალო განათლება მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდგომში სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო იურიევის (ტარტუს) და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1904 შეურთდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას პარტიულ პრესაში. 1906 მეფის რეჟიმმა დააპატიმრა რამდენიმე თვით. 1918 წ-ის თებერვალ-მაისში იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი, სოციალ-დემოკრატების ფრაქციის სახელით 1918 წ-ის 22 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საჭიროების შესახებ განცხადება სეიმის სხდომაზე სწორედ მან გააკეთა.

1917 საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. ხელი მოაწერა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. ეროვნულ საბჭოში ასრულებდა მდივნის მოვალეობას. ეწეოდა აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობას, იყო არაერთი კანონის ინიციატორი. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კრების იურიდიულ კომისიას, ასევე იყო თვითმმართველობისა და საფინანსო კომისიის წევრი. 1920 წ-ის 3 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა. ამ პოსტზე მან ნოე ხომერიკი შეცვალა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. აქტიურად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. იყო სოციალ-დემოკრატების არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრი. მონაწილეობდა დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობაში და ჩართული იყო აჯანყების მომზადების პროცესში. 1924 დააპატიმრეს, თუმცა ფსიქიური აშლილობის გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც გაქცევა მოახერხა. 1925 კვლავ დააპატიმრეს თურქეთის საზღვრის ყალბი პასპორტით გადაკვეთის მცდელობისას. ფსიქიური მდგომარეობის გამო კვლავ არ მიუსაჯეს პატიმრობა. შემდგომში წლების განმავლობაში მუშაობდა გერმანულიდან მარქსის „კაპიტალის“ (მალაქია ტოროშელიძესთან ერთად) და გოეთეს „ფაუსტის“ ქართულად თარგმანზე. ეს უკანასკნელი მხოლოდ 1962 გამოიცა. 1937 კვლავ დააპატიმრეს და რამდენიმე თვეში დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 108, 109; გაზ. „ერთობა“, 1920, №279.

ირაკლი ირემაძე



ონიაშილი დავით

ოპერისა და ბალეტის თეატრი – 1847 წ-ის 15 აპრილს საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ქარვასლის თეატრს“. თეატრის აგების ერთ-ერთი მომხრე კავკასიის იმდროინდელი მეფისნაცვალი, გენერალ ადიუტანტი, გრაფი მიხეილ ვორონცოვი იყო. თბილისის ცენტრში, ერევნის მოედანზე გაბრიელ ივანეს ძე თამამშევს უსასყიდლოდ გადაეცა მიწა, რომელზეც საკუთარი ხარჯით ააგო ორსართულიანი შენობა. ერთ ნაწილში თეატრი განთავსდა და გადაეცა ქალაქს. მეორე ნაწილში კი ქარვასლა იყო, რომელსაც თავად განკარგავდა. შენობის პროექტი შექმნა ოდესიდან მოწვეულმა იტალიელმა არქიტექტორმა, ჯოვანი სკუდიერიმ. 1851 წ-ის გაზაფხულზე შენობა მზად იყო. ინტერიერი მოხატა გრიგოლ გაგარინმა. 1851 წ-ის 12 აპრილს თეატრის კარი მაყურებლისთვის გაიხსნა. 1851 წ-ის 8 ნოემბერს საზეიმო ღონისძიება გაიმართა, 1851 წ-ის 9 ნოემბერს იტალიური დასის მიერ, დირიჟორ ბარბიერის ხელმძღვანელობით, პირველი საოპერო სეზონი დაიწყო. 1874 წ-ის 11 ოქტომბერს „ქარვასლის თეატრი“ დაიწვა. ოპერამ 22 წლით საინჟინრო უწყების ბაღში მდებარე „საზაფხულო თეატრს“ შეაფარა თავი. 1896 გოლოვინის გამზირზე (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) არქიტექტორ ვიქტორ შრეტერის დაპროექტებული ე.წ. „სახაზინო თეატრი“ აიგო. მშენებლობა 16 წელი მიმდინარეობდა. მშენებლობის მეთვალყურედ ჯერ ზალცმანი დაინიშნა, შემდეგ სიმონიანი, ბოლოს, 1896, შიმკევიჩი. სცენა მოაწყო საიმპერატორო თეატრების განთქმულმა დეკორატორმა,

ოპერის თეატრი

ვალცმა. შენობა რიჰარდ ვაგნერის ბაიროითის გეგმის მიხედვით აიგო. მის გარეგნულ სახეს კი ისლამური არქიტექტურის ელემენტები, ე.წ. მავრიტანული სტილი განსაზღვრავს. ოპერის სცენაზე სხვადასხვა დროს მსოფლიოში წამყვანი საოპერო და საბალეტო დასები გამოდიოდნენ: 1897-1898 წწ-ში - იტალიური ოპერა, 1903 ვენის საიმპერატორო ოპერეტა, 1907 პეტერბურგისა და მოსკოვის კომიკური ოპერები, 1907, 1908, 1913 წწ-ში პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტი და სხვ. თეატრს ემსახურებოდა ფოტოგრაფი ედუარდ კლარი, გრიმიორი გრიგოლ გიორგობიანი, რომლის გარდაცვალების შემდეგ, 1876 წ-დან ი. ნ. მხეიძის სახელოსნო გაისხნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში თეატრს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრი ეწოდა. 1918 წ-ის 18 მაისს ოპერის კომისრად ალექსანდრე წუწუნავა დაინიშნა. 1918-1919 წწ-ის სეზონი ვაგნერის ოპერა „ტანჰეიზერით“ გაიხსნა. 1918 წ-ის 17 ივნისს პირველი ქართული ოპერა, რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე“ დაიდგა. თუმცა ამ ჟანრის პირველ კლასიკურ ნიმუშებად 1919 წ-ის 5 თებერვალს დადგმული დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 1919 წ-ის 21 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, დეკემბერში დადგმული ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ მიიჩნევა. 1918 წ-ის ოქტომბრიდან ანტიპრიზა ს. ი. ევლახიშვილის გადაეცა. 1919 ჩამოყალიბდა ქართული საოპერო სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დ. არაყიშვილი და სამუელ სტოლერმანი. 1920 ჩატარდა მ. ნანობაშვილისა და ნ. ა. შეველიოვის გასტროლები. 1920 წ-ის 19 ნოემბერს ქართულ ენაზე დაიდგა ოპერა „ღალატი“. რესპუბლიკის პრესა აქტიურად აშუქებდა ოპერაში მიმდინარე პროცესებს. დაიბეჭდა არაერთი აფიშა, ფოტო თუ წერილი, რომელიც ოპერისა და ბალეტის საქმიანობას შეეხებოდა.

ორნალდო ვიტორიო

საბჭოთა პერიოდში ქართული ოპერები და ბალეტი გასცდა საქართველოს ფარგლებს. 1973 თეატრს ხანძარი გაუჩნდა და ინტერიერი განადგურდა. აღდგენით სამუშაოებს არქიტექტორები მეძმარიაშვილი და ჩაჩანიძე ხელმძღვანელობდნენ. 2010 წ-ს თეატრის შენობის რემონტი დაიწყო (არქიტექტორი ლერი მეძმარიაშვილი). 2016 განახლებული თეატრი გაიხსნა.

ლიტ.: შ. კ ა შ მ ა ძ ე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ნაწ. I, თბ., 1950.

სალომე ჭანტურიძე

ორბელიანი ელისაბედ

ორბელიანი (ბაგრატიონი) ელისაბედ ირაკლის ასული (1871, თბილისი - 1942, თბილისი) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ცნობილია ლიტერატურული ფსევდონიმით „საზანდარი“. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა (მამის მხრიდან) და ჭავჭავაძის (დედის მხრიდან) შთამომავალი. განათლება პარიზში მიიღო. ერთხანს ცხოვრობდა იტალიასა და შვეიცარიაში. ლექსებს ფრანგულად წერდა. 1919-1920 წწ-ში რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფრანგულ და ინგლისურენოვან გაზეთებს „თავისუფალ საქართველოს“, „საქართველოს რესპუბლიკას“ (ორივე ფრანგულ ენაზე) და „საქართველოს მოამბეს“ (ინგლისურ ენაზე). ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ქართველ კლასიკოსთა პოეზია, კერძოდ, ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შემოქმედება. 1918 ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიწვია უნივერსიტეტში უცხო ენათა ლექტორად, კითხულობდა ფრანგული (1918) და ინგლისური (1921) ენების კურსს.

ლიტ.: ნ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ღვაწლმოსილი მანდილოსნები, თბ., 1976; ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ორლანდო ვიტორიო ემანუელ (19.V.1860, პალერმო - 1.XII.1952, რომი) - იტალიელი პოლიტიკოსი. იტალიის სამეფოს პრემიერ-მინისტრი. იტალიის ლიბერალური პარტიის ლიდერი. იურიდიული განათლება პალერმოს უნივერსიტეტში მიიღო. ადრეული ასაკიდან ჩაერთო პოლიტიკაში. 1897 აირჩიეს იტალიის პარლამენტის წევრად. სხვადასხვა წლებში იყო იტალიის ლიბერალური მთავრობის წევრი, იკავებდა განათლების, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტებს. 1915 ლონდონის პაქტის შემდეგ, იტალია პირველ მსოფლიო ომში ჩაება ანტანტის მხარეს. 1917 როდესაც იტალიის არმიამ სამხედრო კატასტროფა განიცადა ავსტრია-უნგრეთთან, ლიბერალი პრემიერ-მინისტრი პაოლო ბოსელი პოსტზე ვიტორიო ორლანდომ შეცვალა. საბოლოოდ მოკავშირეებთან ერთად იტალიამ მსოფლიო ომში გაიმარჯვა, ხოლო ორლანდოს ზედმეტ სახელად „გამარჯვების პრემიერი“ შეარქვეს.

იტალიამ, მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომში ნომინალური გამარჯვება მოიპოვა მოკავშირეებთან ერთად, რეალურად ომის შედეგებით, პოლიტიკურ-ეკონომიკური ნადავლის გაყოფისას ყველაზე ნაკლები სარგებელი ნახა. პრემიერმა ორლანდომ 1919 მოკავშირეთა ლიდერებთან, ლოიდ ჯორჯთან, კლემანსოსა და უილსონთან, ერთად გახსნა პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებები. ორლანდო ცდილობდა მანდატის მიღებას ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვაზე, თუმცა უშედეგოდ. 1919 წ-ის დასაწყისში, მაშინ როდესაც ბრიტანეთს ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი ჰქონდა ამიერკავკასიის დატოვება, პრემიერ-მინისტრმა, ლოიდ ჯორჯმა, ამიერკავკასიის მანდატი იტალიას შესთავაზა. იტალიისათვის ამიერკავკასია მიმზიდველი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით, ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგის გამო. გარდა ამისა, მისთვის

სხვა ალტერნატივა ახალ სივრცეზე მანდატის მოპოვებისა არ ჩანდა. მიუხედავად ბრიტანეთისა და იტალიის მთავრობის წევრების წინააღმდეგობისა, პრემიერ-მინისტრების დონეზე ამიერკავკასიის მანდატის იტალიაზე მინიჭების საკითხი თითქმის გადაწყდა. საბოლოოდ იტალიის სამხედრო ძალების მეთაურმა, გენ. დიასმა, კავკასიის შესასწავლად 18-კაციანი ექსპედიცია გამოგზავნა პოლკოვნიკ გაბბას მეთაურობით. ექსპედიციის მისიის დასრულების შემდეგ გაბბა მხარს უჭერდა იტალიის მხრიდან კავკასიაზე მანდატის აღებას. ეს ფაქტორი აძლიერებდა ორლანდოს და უფრო მყარად იცავდა მანდატის აღების აუცილებლობის პოზიციას. თუმცა, ეკონომიკური კრიზისის გამო, 1919 წ-ის ივნისში პარლამენტმა ორლანდოს მთავრობა გადააყენა. ახალ პრემიერ-მინისტრად ნიტი აირჩიეს, რომელმაც უარი თქვა კავკასიაზე სამხედრო-პოლიტიკური მანდატის აღებაზე და მხოლოდ ეკონომიკური საკითხებით დაინტერესდა. 1919 წ-ის დეკემბერში იტალიის პარლამენტის პრეზიდენტად აირჩიეს.

იტალიის ხელისუფლებაში ბენიტო მუსოლინის მოსვლის შემდეგ მხარს უჭერდა მის პოლიტიკას, 1925 წ-დან პოლიტიკურ აქტივობას თავი დაანება. 30-იან წწ-ში გახდა ნაციონალისტი. მხარს უჭერდა მუსოლინის მარშს ეთიოპიაში. 1944 დაბრუნდა პოლიტიკაში. გახდა ეროვნულ დემოკრატიული კავშირის ლიდერი, აირჩიეს პარლამენტის, საკონსტიტუციო ანსამბლეისა და სენატის წევრად (სიცოცხლის ბოლომდე).

ლიტ.: ბ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015.

ირაკლი ირემაძე

ორმოცდაერთი გრადუსი = 41° – „Сорок первый градус” (14-20 ივლისი,1919, თბილისი) – რუსულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი 41° -„Сорок первый градус» („ორმოცდაერთი გრადუსი“) . გაზეთს გამოსცემდა კომპანია ”41°”. გამოცემას ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია ალექსეი კრუჩენიხის, ილია ზდანევიჩისა და კირილ ზდანევიჩის შემადგენლობით. დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ტიპოგრაფიაში. იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე. გამოვიდა გაზეთის ერთადერთი ნომერი. 41° ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა 41◦ („ორმოცდაერთი გრადუსი“) ეწოდებოდა 1918 წ-ის დასაწყისში თბილისში ჩამოყალიბებულ ფუტურისტების ჯგუფს, რომელიც ძმებმა ილია და კირილ ზდანევიჩებმა, ალექსეი კრუჩენიხმა და იგორ ტერენტიევმა დააარსეს. სხვა ფუტურისტებისა და დადაისტებისგან განსხვავებით, რომლებიც წარსულს სრულიად უარყოფდნენ, ამ ჯგუფის წევრები მიიჩნევდნენ, რომ შთაგონება შეეძლოთ ნებისმიერი სტილიდან და ეპოქიდან მიეღოთ. ჯგუფი 1920 წ-მდე არსებობდა და მისი დაშლის შემდეგაც ჯგუფის წევრების ნაწარმოებები გამოდიოდა სამარკო ნიშნით 41◦. ავანგარდისტების ამ ჯგუფის სახელდება უკავშირდება გეოგრაფიულ განედს, რომელზეც თბილისი იმყოფება (ისევე როგორც ბარსელონა და რომი); ამასთანავე, გრადუსი ის მაჩვენებელია, რომელიც არყის საშუალო გრადუსზე მეტია და, იმავდროულად, ადამიანის სხეულის ტემპერატურის ის ზღვარია, როდესაც ბოდვა იწყება.

ფუტურისტული გამოცემის პირველი და ერთადერთი ნომერი 1919 წ-ის 14-20 ივლისს გამოვიდა. გაზეთის პირველივე გვერდზე საუბარია კომპანია „41◦“-ის მნიშვნელობასა და მიზანდასახულობაზე. გამოქვეყნებულია ჯგუფის მეტად ამბიციური მანიფესტი, რომელშიც ხელოვნების აუცილებელ ფორმად გამოცხადებულია ე.წ. „ზაუმი”. გაზეთში ვკითხულობთ: „41◦ ამოცანაა - თანამშრომელთა ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენების გამოყენებით მსოფლიოს დატრიალება ახალ ღერძზე“. „41◦“ გვაწვდის ინფორმაციას კომპანიის საგამომცემლო საქმიანობის შესახებ (გარდა მოცემული გაზეთისა, ჯგუფმა თბილისში გამოსცა ა. კრუჩენიხის, ი. ზდანევიჩისა და ი. ტერენტიევის არაერთი ნაწარმოები). გაზეთში იბეჭდება ნაწყვეტი იგორ ტერენტიევის წიგნიდან „ქერუბიმები უსტვენენ“ („Херубимы свистят“), ლექსები: „ნაღველი“, „ილია ზდანევიჩს“, „სინაზის რეკორდი“ (ილია ზდანევიჩის ცხოვრება), ვ. მაიაკოვსკის „აზეფ-იუდა - ხლებნიკოვი“, ი. ზდანევიჩის „იზაბელ მეშვიდეს“; აგრეთვე კრუჩენიხის წერილები, რომლებიც ეხება მაიაკოვსკის, ტიუტჩევის, ბელის და სხვათა შემოქმედებას. გაზეთის რუბრიკაში „ხელოვნება და მუსიკა“ წარმოდგენილია ტერენტიევის „ჟანა მატინიონისა და გურჯიევის საღამო“. რუბრიკა „ქრონიკაში“ იბეჭდება მოკლე ინფორმაციები მწერლებისა და, ზოგადად, ლიტერატურის შესახებ. მაგ.: „უკვალოდ დაიკარგა ვასილი (იგივე ანატოლი) კამენსკი“, „ყაზახიდან დაბრუნდა პოეტი გრ. რობაქიძე“, „ადმირალმა სეიმურმა თბილისში შეიძინა ზომერის ნახატი, ასეთივე გემოვნებით გამოირჩევიან დანარჩენი ინგლისელებიც“ და სხვ.

ლიტ.: გაზ. „Сорок первый градус», 1919, № 1.

მანანა შამილიშვილი

ორჯონიკიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე, პარტიული სახელი სერგო (12.X.1886, სოფ. ღორეშა, შორაპნის მაზრ. - 18.II.1937, მოსკოვი) - ქართველი ბოლშევიკი, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა აზნაურის ოჯახში. მალე დაობლდა. 1901-1905 წწ-ში სწავლობდა და დაამთავრა საფერშლო სკოლა. ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი. 1903 შევიდა რსდმპ-ში და ბოლშევიკებს მიემხრო. პირველად 1904, მეორედ კი 1905 წ-ის სექტემბერში დააპატიმრეს საზღვარგარეთიდან შემოტანილი იარაღის გადმოზიდვაში მონაწი-



ორჯონიკიძე სერგო

ლეობისათვის. ისტორიოგრაფიაში არსებული ერთ-ერთი ვერსიით, თითქოს მონაწილეობდა ი. ჭავჭავაძის მკვლელობაში. რამდენიმე დაპატიმრების შემდეგ, 1909, გადაასახლეს ენისეისკის გუბერნიაში, საიდანაც გამოიქცა და სპარსეთში გაიხიზნა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა იქ მიმდინარე რევოლუციაში. 1910 წ-ის ბოლოს პარიზში ჩავიდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ისმენდა ვ. ლენინის ლექციებს ბოლშევიკების მიერ დაარსებულ ლონჟიუმოს სკოლაში, რომელიც არალეგალური მუშაობისთვის ამზადებდა რევოლუციონერებს. იმავე წელს, ლენინის დავალებით, დაბრუნდა რუსეთში და მონაწილეობდა ბოლშევიკების პრაღის კონფერენციის მომზადებასა და მუშაობაში. აირჩიეს რსდმპ ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტისა და ბიუროს წევრად. 1912 წ-ის აპრილში დააპატიმრეს, ერთხანს შლისელბურგის ციხეში იჯდა, ხოლო შემდეგ გადაასახლეს იაკუტსკში, სადაც მუშაობდა ექიმად. 1917 აქტიურად მონაწილეობდა ბოლშევიკების მიერ მომზადებულ სახელმწიფო გადატრიალებაში, რომლის შედეგადაც დაემხო დროებითი მთავრობა. დენიკინის განადგურების შემდეგ, როდესაც საბჭოთა რუსეთის საზღვრები ამიერკავკასიას დაუმეზობლდა, ს. ორჯონიკიძე დაინიშნა რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკებისა) პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს თავმჯდომარედ. მისი მთავარი დანიშნულება იყო, მოემზადებინა ნიადაგი და ეხელმძღვანელა კავკასიის სამივე რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ანუ მათი დაპყრობისათვის. 1920 წ-ის 17 მარტს ვ. ლენინი მას წერდა, რომ უაღრესად საჭირო იყო „ბაქოს აღება“ და „ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადება“ და იქვე განუმარტავდა: „იგივე ეხება საქართველოს“. ს. ორჯონიკიძის ფაქტობრივ განკარგულებაში იყო XI რუსული არმია. 1920 წ-ის აპრილსა და ნოემბერში ს. ორჯონიკიძის უშუალო მითითებებით რუსეთის არმიამ ჯერ აზერბაიჯანი და შემდეგ სომხეთი დაიპყრო. 1920 წ-ის მაისში სცადა, საქართველოსკენ დაეძრა რუსული არმია და თბილისი აეღო, მაგრამ იმჯერად ცენტრალური ხელისუფლების (ლენინისა და სტალინის) თანხმობა ვერ მიიღო, პირიქით, მას უბრძანეს, რომ სასწრაფოდ გაეყვანა ჯარი საქართველოს საზღვრებიდან. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, რამდენჯერმე მიმართა კავკასიის ბიუროს სახელით რკპ(ბ) ცკ-ს, რომ უკვე შექმნილი იყო ხელსაყრელი ვითარება, რუსული არმია საქართველოში შემოჭრილიყო და საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინა (1920 წ-ის 15 დეკემბრის დეპეშა ლენინისადმი; 1921 წ-ის 2 იანვრის მოხსენება რკპ ცკ-სადმი). 1921 წ-ის 15 თებერვალს რკპ(ბ) ცკ-მა „ნება დართო“ ს. ორჯონიკიძეს და XI არმიის სარდლობას, შეჭრილიყო საქართველოში და საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინა, რაც შესრულდა კიდეც. 25 თებერვალს ლენინისა და სტალინის სახელზე გაგზავნა ცნობილი დეპეშა: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას“.

1921 წ-ის შემდეგ კვლავ ასრულებდა მოსკოვის მთავარი აღმსრულებლის როლს კავკასიაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეუერთეს სამი რესპუბლიკა ერთმანეთს, ჩამოაყალიბეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა და ამ სახით შეიყვანეს საბჭოთა კავშირში; გატეხეს ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობა; სისხლში ჩაახშვეს 1924 წ-ის აგვისტოს ეროვნული აჯანყება. 1922-1926 წწ-ში იყო საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის სამხარეო კომიტეტების თავმჯდომარე. 1926 წ-დან იმყოფებოდა კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის წამყვან თანამდებობებზე; 1932 წ-დან იყო საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი (მინისტრი). დიდი როლი მიუძღვოდა სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციის პროცესში, რისთვისაც „რკინის სერგო“ შეარქვეს. მაგრამ რამდენადაც პოპულარული იყო საბჭოთა იმპერიაში, იმდენად არაპოპულარული გახლდათ საკუთარ სამშობლოში, რომელსაც მტრად უფრო მოევლინა, ვიდრე მოყვარედ. იგი გულუბრყვილო იდეალისტის მონდომებით აშენებდა წითელ საბჭოთა იმპერიას და სრულიად არ უწევდა ანგარიშს ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. როგორც ტიპური პოლიტიკური რომანტიკოსი, ამ სიტყვის ყველაზე უარესი მნიშვნელობით, იგი დარწმუნებული იყო, რომ მომავალი საბჭოთა სახელმწიფო იქნებოდა თანასწორი ერების საერთო სივრცე. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით, რაც, შესაძლოა, მისი ცრუიდეალების სრული გაკოტრების შედეგიც იყო. ჰყავდა რუსი მეუღლე, ზ. გ. პავლუცკაია. ს. ორჯონიკიძე დაკრძალულია კრემლის კედელში.

Г. К. О р д ж о н и к и д з е, Статьи и речи, Т 1-2,Мо.,1956-1957.

ლიტ.: ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1956. დიმიტრი შველიძე

ოსების ანტისახელმწიფოებრივი სეპარატისტული აჯანყებები საქართველოში – ოსთა სეპარატისტული გამოსვლების მიზანი შიდა ქართლის მთიანი ზონიდან ქართველი მოსახლეობის გამოდევნა და ამ ტერიტორიის საქართველოსაგან ჩამოცილება იყო. ამ მიზნით ოსთა სამი მასშტაბური აჯანყება მოეწყო 1918-1921 წწ-ში, რომლებიც რესპუბლიკის არსებობას უქმნიდნენ საფრთხეს, რადგან აჯანყებულებს საბჭოთა რუსეთი ეხმარებოდა იარაღით და შეიარაღებული ძალით. 1918 წ-ის 25 იანვარს პორუჩიკ ი. ხარებოვის 300-კაციანმა შეიარაღებულმა რაზმმა მარტის დასაწყისამდე შიდა ქართლის ოცზე მეტი სოფლის თავადაზნაურობა გაძარცვა, მათი სახლ-კარი გადაწვა, ხოლო უმეტესობა ადგილზევე სიკვდილით დასაჯა. ამ დროს ქართული შეიარაღებული

ძალები ოსმალეთის ფრონტზე იყო გადასროლილი. ი. ხარებოვის წინააღმდეგ სახალხო გვარდიის ნაწილები გაიგზავნა. 1918 წ-ის 13-14 მარტს, ოსმა ბოლშევიკებმა ჩრდილო კავკასიიდან მიღებულ შეიარაღებულ დამხმარე ძალებზე დაყრდნობით, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში ახალი აჯანყება წამოიწყეს, ცხინვალი აიღეს, გაძარცვეს და წამებით დახოცეს გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფრემიძე, კოსტა კაზიევი და სხვ. 140 გვარდიელი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს ოსების ეროვნული საბჭოს სახელით ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებით, ცხინვალის რაიონში ალ. კონიაშვილისა და ვ. ჯუღელის სარდლობით, სახალხო გვარდია გაიგზავნა. 22 მარტს ოსების აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა. შემდეგი გამოსვლები 1918 წ-ის ივნისში საჩხერის რაიონში დაიწყო, რომელსაც ი.ხარებოვი ხელმძღვანელობდა. გამოსვლის მიზანი სამთავრობო ძალების შეჩერება, რკინიგზის დაკავება, ქუთაისზე გალაშქრება და საქართველოში ფართომასშტაბიანი აჯანყება იყო. აჯანყებულთა რაოდენობა 5000 კაცს აღწევდა. 1918 წ-ის 26 ივნისს აჯანყებულებმა საჩხერე აიღეს, თუმცა მალევე დაკარგეს სამთავრობო ძალების შეტევის შედეგად. 19 ივნისს დუშეთის მაზრის აჯანყებულმა ოსებმა ქალაქი აიღეს და 26 ივნისს დუშეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. სამთავრობო ძალების მაქსიმალური მობილიზაციის შემდეგ აჯანყებულები დამარცხდნენ, მაგრამ ეს გამარჯვება საქართველოს რესპუბლიკის ხაზინას 1 მილიარდ მანეთზე მეტი დაუჯდა. 1 მილიარდზე მეტს შეადგენდა აგრეთვე ცხინვალისა და საჩხერის რაიონებში აჯანყებული ოსი სეპარატისტების მიერ მიყენებული ზარალი. შიდა ქართლის მთიან ზონაში ოსებით დასახლებულ სოფლებში, ბოლშევიკური ორგანიზაციების აქტიური წაქეზებისა და რუსეთისაგან დახმარების შედეგად, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ 1919 წ-ისათვის კვლავ დაიგეგმა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება. ეს საკითხი „სამხრეთ ოსეთის“ ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი არალეგარული კონფერენციის 1919 წ-ის 12 ივნისის სხდომაზე იქნა განხილული. იმავე საკითხზე რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, 5 აგვისტოს მიღებული დადგენილებით, აჯანყების ეპიცენტრად როკის რაიონი გამოაცხადა. დასახული მიზნის განსახორციელებლად საბჭოთა რუსეთმა 1919 წ-ის 29 ივნისიდან 10 ნოემბრამდე მონაკვეთში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისადმი გამოყოფილი 40 მილიონ 367 ათასი (ოქროს კურსით) მანეთიდან დიდი ნაწილი ოსების აჯანყების მომზადებას მოახმარა. აჯანყების დაწყებიდან ორი დღით ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული განყოფილების მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, დუშეთში აჯანყების მოსაწყობად გაგზავნილი ვლ .სუხიშვილი და გ. გაფრინდაშვილი დააპატიმრეს. იმავდროულად, დააპატიმრეს გორის მაზრის აჯანყების ცენტრის, თბილისის აჯანყების ბოლშევიკთა სამხედრო რევოლუციური შტაბისა და საბჭოს წევრთა უმეტესობა. მიუხედავად ამისა, 1919 წ-ის 7 აგვისტოს ოსების შეიარაღებული აჯანყება მაინც დაიწყო ჯავისა და როკის ხეობებში. ოქტომბრიდან ოსების აჯანყება გავრცელდა ოსებით დასახლებულ სხვა სოფლებშიც, მაგრამ წარმატება არ მოჰყოლია. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ამის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა და ფინანსები დასჭირდა. ოსთა რიგით მესამე მასშტაბური აჯანყება1920 წ-ის მაისში დაიწყო, როცა ქართული ჯარის ნაწილები საბჭოთა რუსეთის XI არმიის სამხედრო შენაერთებს ქვეყნის საზღვრებთან ებრძოდა. „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის“ დადგენილებით, 1920 წ-ის 8 მაისს როკის რაიონში აჯანყებულმა ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. იმავდროულად მიიღეს ამ რაიონის რუსეთის სფს რესპუბლიკასთან შეერთების დადგენილებაც. აჯანყებულებს როკის ხეობის, კუდაროს, ქემერტის და ყორნისის ოსებიც შეუერთდნენ. იმავდროულად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩრდილო ოსეთიდან როკის, ზეკარისა და მამისონის უღელტეხილებით სამ კოლონად შემოვიდა ოსთა პარტიზანული რაზმი ვ. სანაკოევის ხელმძღვანელობით, ისინი სოფ. ჯავაში შეერთდნენ და შემოიტანეს იარაღი აჯანყებულებისათვის. ახლად ფორმირებულ ოსურ რაზმებს ა. ჯატიევი, ა. აბაევი და მ. გაგლოევი ჩაუდგნენ სათავეში. 7 ივნისს აჯანყებულებმა ცხინვალი აიღეს, ხოლო 8 ივნისს ცხინვალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1920 წ-ის 12 ივნისს ქართულმა ჯარმა (სარდალი გენ. გ. კვინიტაძე. მეთაურები: ვ. ჯუღელი, ალ. კონიაშვილი, ალ. დგებუაძე, ნ(?). გედევანიშვილი) დაბა ცხინვალი აიღო, ხოლო 23 ივნისს ოსების უკანასკნელი ნარჩენები როკის უღელტეხილით ჩრდილოეთით განდევნა. ქართული ჯარის წარმატებულმა სამხედრო ოპერაციამ აჯანყების ლიკვიდაცია მოახდინა და შიდა ქართლის მოსახლეობა დევნილობისაგან იხსნა.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917- 1925 წწ.), თბ., 2017. შოთა ვადაჭკორია

ოსური ავტონომიის საკითხი 1917-1920 **წწ-ში** – ამიერკავკასიის ოსების ჯავის ყრილობაზე (1917 წ-ის ივნისი) მიღებული რეზოლუციით, საქართველოს ოსებისთვის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება უნდა მიეცა და მათთვის ეროვნულ-ტერიტორიული ერთეული შეექმნა. ცხინვალში 1917 წ-ის 15-17 დეკემბერში ჩატარებულ ოსების მეორე ყრილობაზე მიღებულ დადგენილებაში შემდეგი მოთხოვნები იყო დაყენებული: 1. სამხრეთ ოსეთში უნდა შემოეღოთ ერობა და ტერიტორიულად გამოეყოთ

ოსებით დასახლებული მთის ზოლი - რაჭის, შორაპნის, გორისა და დუშეთის მაზრებიდან; 2. ერობა არჩეული უნდა ყოფილიყო საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პროპორციული უფლებებით. ერობას სავალდებულო დადგენილებების მიღების უფლება მისცემოდა; 3. სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღება უნდა განეხორციელებინა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს. აშკარად გამოიკვეთა ოსებისგან საქართველოს ტერიტორიის მიტაცების სურვილი. ეს მისწრაფება ოფიციალური დოკუმენტით იქნა დადასტურებული ამიერკავკასიის კომისარიატისადმი 1918 წ-ის იანვარში წარდგენილ პროექტში - „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საერობო თვითმმართველობის შესახებ". პროექტი ითვალისწინებდა - გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებისათვის ჩამოჭრილი ტერიტორიების საფუძველზე, „სამხრეთ ოსეთის" განსაკუთრებული ადმინისტრაციის შექმნას, რომელშიც უნდა შესულიყო ოთხი მაზრა და ერთი ქალაქი - ცხინვალი. დოკუმენტი იმავე წლის 18 მარტს საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადაეგზავნა. 1918 წ-ის სქტემბრიდან, ოსების ეროვნულმა საბჭომ ოსებისთვის ცალკე ადმინისტრაციული საოლქო ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ ოსებისთვის საერობო ერთეულის შემოღების შესახებ 1919 წ-ის ივლისში საგანგებო პროექტი წარუდგინა მთავრობას. ამ დოკუმენტის მიხედვით, გორის, რაჭისა და შორაპნის მაზრებიდან ჩამოჭრილი ტერიტორიების (8 სასოფლო საზოგადოება და სამი სოფელი) საფუძველზე, ოსებისთვის განსაკუთრებული ჯავის სამაზრო ერთეულის შექმნა იყო გათვალისწინებული. საკითხი იხილებოდა ოსებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე შექმნილი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა, ალ. თიბილოვმა, ამ კომისიას „სამხრეთ ოსეთისა" და ჩრდილო ოსეთის გაერთიანების ბაზაზე შესაქმნელი ერთიანი ოსური სახელმწიფოს რუკა წარუდგინა. იმჟამად ოსთა ცალკე ადმინისტრაციული სამაზრო ერთეულის შექმნა, გენერალ-ლეიტენანტ ანდრია ბენაშვილისა და პროფ. ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით, საუწყებათაშორისო კომისიამ მიუღებლად ჩათვალა, რადგან ჯავის მაზრის შექმნით, ოსური მოსახლეობა შიდა ქართლის შუაგულ ტერიტორიას დაეპატრონებოდა; ჩრდილო ოსეთის საზღვრის და საქართველოს სტრატეგიული საუღელტეხილო გადმოსასვლელების (მამისონი, როკი, თრუსო) გაკონტროლება საქართველოს ხელისუფლებას გაუჭირდებოდა და სხვ. იმ შემთხვევაში, თუკი ფართო საერობო თვითმმართველობის უფლებით ეროვნულ პრინციპებზე აგებული ოსური მაზრის შექმნა აუცილებელი გახდებოდა, მისი საზღვარი მთავარ რკინიგზას და საქართველოს სამხედრო გზას მაქსიმალურად უნდა დაშორებოდა; ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო. კომისიის ეს დასკვნა ქვეყნის დაცვას და მისი უსაფრთხოების გარანტიის შექმნას ითვალისწინებდა. ამ პერიოდში ოსთა ყრილობებისა და ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტები „სამხრეთ ოსეთის" ეროვნულ საბჭოს განიხილავდნენ, როგორც ჩრდილო ოსეთის საბჭოს სექციას და მისადმი დაქვემდებარებულ სტრუქტურას. ასეთ შემთხვევაში შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორია შესაძლოა საქართველოს იურისდიქციის სივრციდან გარეთ აღმოჩენილიყო. 1919 წ-ის 19 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტი. დოკუმენტი საქართველოს ფარგლებში ოსებისთვის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფო წარმონაქმნის მქონე კანტონის შექმნას მოითხოვდა, რომელიც შვეიცარიულ-კონფედერაციულ მოდელს ჰგავდა. შვეიცარიული კანტონისგან განსხვავებით, ოსური კანტონის ხელისუფლებას საქართველოს მთავრობის წინაშე არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებიოდა და არც საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას აღიარებდა. ქართველმა კანონმდებლებმა ოსების მიერ წარმოდგენილი პროექტი მიუღებლად მიიჩნიეს. საქართველოს კანონმდებლობისა და კონსტიტუციის მიხედვით, ეროვნული უმცირესობებს და მათ შორის ოს მოსახლეობას უნდა ესარგებლა კულტურული ავტონომიის უფლებებით, რაც კონსტიტუციის IV თავის 130-ე მუხლში იქნა შეტანილი. ამ დოკუმენტის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების მოწყობა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების (თემები, ერობა, ქალაქი) სახით დაკანონდა. საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა ამ უფლებრივ ჩარჩოში იქნა მოქცეული.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წწ), თბ., 2017.

შოთა ვადაჭკორია

ოსიაურის ბრძოლა (1921 წლის 4-6 მარტი) **–** ქართულმა არმიამ დედაქალაქის დატოვების შემდეგ პოზიციების შენარჩუნება ვერც მცხეთასთან და ვერც გორთან ვერ მოახერხა და მცირე არიერგარდული ბრძოლებით სამხედრო შენაერთებმა ხაშურისა და ლიხის ქედისაკენ დაიხიეს. თბილისის აღების შემდეგ რუსებმა შექმნეს ბათუმის მიმართულების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა 4 მსროლელი და 4 ცხენოსანი ბრიგადა. ეს ძალები თბილისიდან ქარელამდე იყო გადაჭიმული, რაც მათ წინააღმდეგ ბრძოლას აიოლებდა. რუსთა მეწინავე ნაწილებს ჩამორჩა არტილერია და სურსათი. ბათუმის ჯგუფის პირველი ამოცანა იყო ქართული არმიის დევნა მცხეთა-გორი-სურამის მიმართულებით და სურამის უღელტეხილის დაკავება. ქართული არმიის მთავარსარდალ-

მა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, გადაწყვიტა საბჭოთა რუსეთის არმიის დაჯგუფების ავანგარდზე იერიშის მიტანა, მათი ალყაში მოქცევა და განადგურება. შეტევის დაწყება გადაწყდა 4 მარტს, დილის 7 საათზე. ამ დროისათვის კვინიტაძეს ძალებს შეადგენდა 6 000 ჯარისკაცი, 3 ჯავშანმატარებელი და 4 საარტილერიო ბატარეა, უახლოესი რეზერვი ახალციხიდან მომავალი 1 500-კაციანი მე-11 ქვეითი პოლკი იყო. ქართული რეგულარული არმიის ნაწილები გენერლების, მაზნიაშვილისა და სუმბათაშვილის, მეთაურობით განლაგდა ხაშურის აღმოსავლეთით, რათა მოწინააღმდეგისათვის ფრონტალური დარტყმა მიეყენებინა, ხოლო სახალხო გვარდიელებმა, რომელთაც მეთაურობდნენ გენერლები კონიაშვილი და ჯიჯიხია, დაიკავეს ხაშურის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული გაბატონებული სიმაღლეები. გვარდიელები, რომლებიც შეტევას მაღლობიდან იწყებდნენ, თავისუფლად უნდა გასულიყვნენ რუსული ნაწილების ფლანგსა და ზურგში, რის შედეგადაც რუსული არმიის ავანგარდი, დაახლოებით 5 000 ჯარისკაცი, სრულ ალყაში ექცეოდა. ხაშურში განთავსდა მთავარსარდლის შტაბი და მათი დაცვა დაევალა იუნკერთა სასწავლებლის კურსანტებს. 4 მარტის დილით შეტევა წარმატებულად წარიმართა - სუმბათაშვილისა და მაზნიაშვილის დაჯგუფებებმა ჯერ საარტილერიო ცეცხლით დაამუშავეს მოწინააღმდეგე და შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტიც დაიკავეს. წარმატებით ვითარდებოდა შეტევა ფლანგსა და ზურგში, გვარდიელებმა მეტოქის ფლანგს შემოუარეს, თუმცა დაღამებამდე მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა და ალყაში მოქცევა ვერ მოხერხდა, რაშიც კვინიტაძე ბრალს გვარდიას დებს, რადგანაც მათ შეტევა დათქმულ დროზე საათ-ნახევრით გვიან დაიწყეს. ოპერაციის დასრულება მეორე დილისათვის გადაიდო. დაღამებისას არმიის შტაბში მსუბუქად დაჭრილი ვალიკო ჯუღელი მივიდა. მისმა დაჭრამ გვარდიის ნაწილებში არევ-დარევა გამოიწვია, თუმცა, მისივე თქმით, მან მოახერხა მათი დამშვიდება. 5 მარტის ღამის პირველ საათზე გენერალმა კონიაშვილმა მთავარსარდალს უპატაკა, რომ გვარდიამ თვითნებურად, ბრძოლის გარეშე მიატოვა პოზიციები და სურამისაკენ დაიხია. ახლა უკვე წინ გაჭრილი ქართული არმია ვარდებოდა ალყაში. ქართულმა ნაწილებმა ლიხის ქედისკენ დაიხიეს, მაგრამ იქაც ვერ მოხერხდა პოზიციების შენარჩუნება და რუსულმა ნაწილებმა 6 მარტს გადალახეს ლიხის ქედი და დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ.

ლიტ.: დ. ს ი ლ ა ქ ა ძ ე, ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ. I. თბ., 2011.

დიმიტრი სილაქაძე

ოსტროვსკი ვაცლავ ვიქტორის ძე (1.IX.1870, ვარშავა - 1944 (?), ვარშავა) - პოლონელი დიპლომატი და ინჟინერი. საშუალო განათლება ვარშავის გიმნაზიაში მიიღო. სწავლობდა ციურიხის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მოგვიანებით დაამთავრა მიუნხენის პოლიტექნიკური სასწავლებელი. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა გერმანიის რკინიგზაში ინჟინრად. მონაწილეობდა სარკინიგზო ხაზების მშენებლობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში.

1918 დაინიშნა ჯერ სარენეგატო საბჭოს, ხოლო შემდეგ პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. პოლონეთი, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილი და ახლად გამოცხადებული დამოუკიდებელი სახელმწიფო, უთანაგრძნობდა საქართველოს და მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა იძულებული იყო მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებამდე მყარი ნაბიჯები არ გადაედგა. ვ. ოსტროვკი, როგორც პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი, თბილისში მყოფ სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა ოფიციალურ ღონისძიებებში. 1919 წ-ის 12 მარტს დაესწრო დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას. 1920 წ-ის მარტში გორში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად 10 000 მანეთი შესწირა, ო. უორდროპთან და სხვა დიპლომატებთან ერთად მოინახულა განადგურებული ქალაქი. 1920 წ-ის მარტში პოლონეთს საგარეო საქმეთა მინისტრმა, პატეკმა, ევგენი გეგეჭკორს მისწერა წერილი, რომლითაც გამოხატავდა სრულ მხარდაჭერას საქართველოსადმი, ამასთან პოლონეთის მთავრობა დიპლომატ ტიტუს ფილიპოვიჩს ნიშნავდა ამიერკავკასიაში პოლონეთის მისიის ხელმძღვანელად, მისიაში ასევე შევიდოდა თბილისში მყოფი პოლონეთის წარმომადგენელი ვ. ოსტროვსკიც.

1921-1922 წწ-ში მუშაობდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1922-1936 წწ-ში იყო პოლონეთ-საფრანგეთის სავაჭრო პალატის დირექტორი და პოლონეთ-საფრანგეთის საზოგადოების მდივანი. ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, იყო უცხოური პრესის კორესპონდენტი პოლონეთში.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №57, №260, 1920, №49, №66, №67, №76.

ირაკლი ირემაძე



ოცხელი იოსებ

ოცხელი იოსებ (16.IX.1865, ქუთაისი - 27.III.1919, ქუთაისი) - ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. აღმსარებლობით კათოლიკემ დაწყებითი სწავლა კათოლიკურ სასწავლებელში მიიღო, საშუალო განათლება ვაჟთა გიმნაზიაში. 1885 ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულეტი პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. შემდეგ მუშა-

ოცხელი სვიმონ

ობდა ქუთაისის გუბერნიის კანცელარიის მმართველად და თბილისის სახელმწიფო ბანკის თანამშრომლად. 1900 წ-დან შეუდგა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1901 „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, იგი დაამტკიცა ქუთაისის პირველი ქართული სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად. 1905 ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის თაოსნობით, ეს სკოლა გადაკეთდა ქართულ კერძო სათავადაზნაურო გიმნაზიად. მისი ინიციატივითა და გულმოდგინებით დაარსდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც არაერთი მოღვაწე (გრიგოლ რობაქიძე, სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე წერეთელი, ვასილ წერეთელი, დიმიტრი უზნაძე და სხვანი) კითხულობდა ლექციებს. მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ სახელი გაუთქვა ქუთაისის ქართულ გიმნაზიას.

1918-1919 სასწავლო წელს ამ გიმნაზიის დირექტორი იყო. 1919 წ-ის 28 მარტს სილოვან ხუნდაძე უდეპეშებდა განათლების მინისტრს, რომ მოულოდნელად, პარტახტიანი ტიფით, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა იოსებ ოცხელი. ჯერ ჩვეულებრივ სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდეგ გადაასვენეს მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ანდერძის თანახმად, დაკრძალვისათვის განკუთვნილი თანხის ნაწილი ჩაირიცხა ოცხელის სასტიპენდიო ფონდში, რომელსაც გაჭირვებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს აძლევდნენ. ოცხელის ადგილზე ქუთაისის II გიმნაზიის დირექტორად სილოვან ხუნდაძე აირჩიეს. ი. ოცხელის აღზრდილთა შორის არიან: აკადემიკოსები დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე ერისთავი და ალექსანდრე ჯანელიძე, პროფესორი სევერიან ბუაძე, პროფესორი ვიქტორ ნოზაძე, მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია და სხვა მოღვაწენი.

ლიტ.: ქსე, ტ. VII, თბ., 1984; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნ. ინსტ-ის გამომც., თბ., 1953; ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული პუბლიცისტრი და პედაგოგიური ნაწერები, თბ., 1940.

დოდო ჭუმბურიძე

ოცხელი სიმონ (1868, ქუთაისი - ?) - ცნობილი პედაგოგი. იოსებ ოცხელის ძმა. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ, 1889 ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ორმოცდასამი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1893-1905 წწ-ში ასწავლიდა თბილისის მესამე ვაჟთა გიმნაზიაში; 1905-1921 წწ-ში ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში; 1921 წ-დან ქუთისის სხვადასხვა სკოლასა და ტექნიკუმში. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მონაწილეობდა სკოლების გაეროვნების საქმეში; შეადგინა დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის ქართული სახელმძღვანელოები ალგებრაში, გეომეტრიაში, არითმეტიკაში, ფიზიკაში. პედაგოგიური მუშაობის გარდა მონაწილეობდა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებებში, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. იყო ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსების უშუალო მონაწილე. ძმები სიმონ და იოსებ ოცხელების თაოსნობით ქუთაისში დაარსდა გამომცემლობები “განათლება” და “სკოლა”, ს. ოცხელი გამომცემლობა “განათლების” მთავარი რედაქტორი იყო.

ლიტ.: http://nateba. net/IndeX. php/bIographIes/155-otskhell

დოდო ჭუმბურიძე

პ

პავლე (ერისკაცობაში პახუმ პლატონის ძე ჯაფარიძე) (01.V.1888, შორაპნის მაზრა, სოფ. ხრეითი – 03.XI.1929, თბილისი) - **ეპისკოპოსი**. ბავშობიდანვე გატაცებული იყო სასულიერო წიგნებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობის სურვილით, სხვადასხვა მონასტრებში იყო მორჩილი, წიგნის მკითხველი. ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1906 წ-ს, გაემგზავრა ათონზე, სადაც 1907 წ-ის 18 აგვისტოს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად პავლე. 1910 დაბრუნდა საქართველოში, სადაც გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა, ლეონიდემ, ხელი დაასხა მღვდელმონაზვნად შიომღვიმის მონასტერში.

1918 საბუთები შეიტანა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

1921 წ-ის 25 თებერვლის შემდეგ, როცა ბოლშევიკებმა დაიწყეს ეკლესია-მონასტრების ნგრევა, საეკლესიო სიწმიდეების შეურაცხყოფა, მიატოვა უნივერსიტეტი და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში წინამძღვრის მოადგილედ დაბრუნდა, სადაც ამხნევებდა მრევლს და ცდილობდა მათში სამშობლოსა და სარწმუნოების სიყვარულის შენარჩუნებას. ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარების თბილისში შემოსვლამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, საეკლესიო განძი და სიწმინდეები სასწრაფოდ განერიდებინათ თბილისიდან. კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ არქიმანდრიტ პავლეს და ეპისკოპოს დავითს (კაჭახიძე) დაავალა ქუთაისში გაჰყოლოდნენ განძს და დაებინავებინათ იგი ქუთათელი მიტროპოლიტის, ნაზარის, საეპარქიო სახლის სარდაფში. ბოლშევიკებმა ერთი სულმოკლე ადამიანის მეშვეობით მიაგნეს განძს, ამოიღეს და დაიტაცეს. არქიმანდრიტი პავლე 1924 წ-ის მარტში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, გაასამართლეს. ბრალდების შინაარსი ასეთი იყო – რატომ არ აცნობა მან საბჭოთა ხელისუფლებას განძეულის ადგილსამყოფელის შესახებ. არქიმანდრიტმა პავლემ სასამართლოზე განაცხადა, რომ იგი ასრულებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ლოცვა-კურთხევას და იცავდა პატრიარქისათვის მოცემულ სიტყვას განძეულის ადგილსამყოფელის საიდუმლოდ შენახვის შესახებ. სასამართლომ პირობითი სასჯელი შეუფარდა. 1924 წ-ის 18 აპრილს შეიკრიბა დაპატიმრებას გადარჩენილი საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობა. მსჯელობის შემდეგ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება არქიმანდრიტი პავლეს ეპისკოპოსად გამორჩევის შესახებ. მას ჩაბარდა წილკნის ეპარქია. იყო გაწონასწორებული, მიუკერძოებელი სასულიერო პირი, ამიტომ არაერთხელ დაასახელეს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის მოვალეობის შემსრულებლად, მაგრამ ხშირი ავადმყოფობის გამო მას არ შეეძლო ამ დიდი ტვირთვის ზიდვა. 1928 წ-ის 26 მარტიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველია. აფხაზეთის ნოტიო ჰავამ უარყოფითად იმოქმედა მასზე, რის გამოც დააბრუნეს სვეტიცხოველში, სადაც, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, ახერხებდა თავისი მრევლისათვის გაეწია სულიერი შემწეობა. მრევლი დიდად აფასებდა მის სიწმინდესა და უბრალოებას. მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1929 წ-ის თებერვალში სამკურნალოდ ალექსანდრეს საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა. დაიკრძალა სვეტიცხოვლის ეზოში.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; გ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, მ. კ ე ზ ე ვ ა ძ ე, ქუთაის-გაენათის ეპარქია: ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2005.

მიხეილ ქართველიშვილი



პაპავა აკაკი

პაპავა აკაკი (1890, სამტრედია - 27.VII.1964) - ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტი. პირვე-

ლდაწყებითი განათლება სამტრედიაში მიიღო, ჯერ ნიკოლაძის ნორმალურ სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ შევიდა იურიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საიდანაც მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. დორპტში სწავლისას რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს. აქვე დააარსა არჩილ ჯორჯაძის სახელობის სალიტერატურო-სამეცნიეროი წრე. ქართველი საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიპყრო, როცა საქართველოს ქალაქებსა და დაბებში კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე, ეწეოდა საზოგდოებრივ მოღვაწეობას. მისი პირველი წერილები 1910-იანი წწ-დან ქვეყნდებოდა ქართული გაზეთებში: „იმერეთი", „კოლხიდა", „თემი", „ერი", „თეატრი და ცხოვრება", „პრომეთე", „ლომისი", „სახალხო გაზეთი" და სხვ. 1912 დააპატიმრეს რუსეთში და ადმინისტრაციული სასჯელი მისცეს სოციალ-ფედერალისტთა კონფერენციაში მონაწილეობისათვის. 1914 მონაწილეობდა საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის მუშაობაში, ხოლო ქართველ მწერალთა საერთო ყრილობამ მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარედ დანიშნა. I მსოფლიო ომის წლებში სამხედრო სამსახურში, კავკასიის ფრონტზე გაიწვიეს, სადაც აირჩიეს კავკასიის ჯარისკაცთა საბჭოს წევრად.

1917 წ-ის რევოლუციამ კავკასიის ფრონტზე მოუსწრო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იყო ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ქალაქის გამგეობის წევრი, 1918 გახდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. ამ დროს იყო ნაფიცი ვექილის თანაშემწე ქალაქ ჭიათურაში. 1918-21 წწ-ში მისი პუბლიცისტური წერილები ქვეყნდებოდა გაზეთ „სახალხო საქმეში".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის განყოფილებას, რედაქტორობდა ორკვირეულ სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალ „ხელოვნებას". 1922 გერმანიაში, ბერლინში მიემგზავრება. 1923 ოჯახიც უერთდება და მეუღლესთან, თამართან, ერთად უცხოეთში იწყებს ერთობლივ ლიტერატურულ და მეცნიერულ საქმიანობას. 1949 წ-დან არგენტინაში დასახლდა. ამ პერიოდიდან ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში - „კავკასიონი", „ბედი ქართლისა", „მამული", „სახალხო გაზეთი". წერდა ნოველებს, რომანებს, იყო დრამატურგიც და ისტორიის მკვლევარიც. 1956 ბუენოს-აირესში მეუღლესთან ერთად გამოსცა წიგნი: „მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი". საინტერესო წერილები მიუძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მისი წერილი - „ვეფხისტყაოსანი" და მისი ავტორი" 1966 პარიზში „კავკასიონის" საგანგებო ნომერში გამოქვეყნდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პაპავების ღვაწლი უცხოეთში გაბნეული ქართული რელიკვიებისა და არტეფაქტების მოძიებისა და გადარჩენის საქმეში, მათ შორისაა თბილისის სიონის საკურთხევლის ოქროსა და ვერცხლის მკედით ნაქარგი გადასაფარებელი, რომელსაც ბერლინში წააწყდა. ქართველმა ემიგრანტებმა იგი შეიძინეს - ინახებოდა პაპავების ოჯახში. დიდი ხნის შემდეგ, რეზო თაბუკაშვილის ხელით, საქართველოში დაბრუნდა და დღეს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. გარდაიცვალა არგენტინაში. ანდერძის თანახმად, გადაასვენეს საფრანგეთში და ლევილში, ქართველთა სავანეში დაკრძალეს.

პაშალიდი ივანე

ლიტ.: გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991.

დოდო ჭუმბურიძე

„პარნასი" (1920, **თბილისი**) – ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი. გამომცემელი, პერიოდულობა, სტამბა არ არის ჟურნალში მითითებული. გამოცემას რედაქტორობდა შალვა მეჩონგურე. ჟურნალის წინათქმაში „წინასიტყვაობის ნაწყვეტი" გაცხადებულია მისი მიზანდასახულობა და ნათქვამია, რომ „ჩვენი თავისუფალი ერის შემოქმედების პარნასის მთა ჯერ კიდევ არ გაცისკროვნებულა... ჩვენი ერის პარნასი ბინდით არის მოცული!... ჩვენი ჟურნალი ერთი ასეთი სხივთაგანია, რომელიც ვით წმინდა სანთელი, ანთებულა რწმენით აღსავსე გულით და უერთდება საერთო სხივთა კონას"... ჟურნალი ვიწროპროფილურია. მისი ერთადერთი ნომერი (1920, №1) წარმოდგენილია მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებებით, რომელთა უმრავლესობა მაღალი მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა. „პარნასში" დაიბეჭდა ლექსები ი. მჭედლიშვილის, კ. რატიშვილის, ლ. ძიძიგურის, აქილესის, შალვა მეჩონგურეს, Chale Romle-ს და ჰერკულეს ყანჩელის ავტორობით; ასევე ნოველები არჩილ მაჭავარიანის, ლენა პარნასელის, სანდრო რუშაველის, შალვა გომართელის, კ. გერგესელისა და სხვათა შემოქმედებიდან.

ჟურნალის ყდა გაფორმებულია მოსე თოიძის მიერ.

ლიტ.: ჟურნ. „პარნასი", 1920; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მანანა შამილიშვილი

პაშალიდი (ფაშალიდისი) ივანე (იონის) გეორგის ძე (25.X.1885, ამასიის პროვ. ოსმალეთის იმპ. 14.III.1968, თესალონიკი, საბერძნეთი) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. საბერძნეთის სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი. დაიბადა ბერძენი გლეხის ოჯახში, საშუალო განათლება მიიღო თბილისის რუსულ გიმნაზიაში. უმაღლესი განათლების მისაღებად ჯერ ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა, საიდანაც სტუდენტური მოძრაობის წევრობისათვის გარიცხეს, ხოლო შემდეგ

მოსკოვის უნივერსიტეტში მოიპოვა ექიმის დიპლომი. 1903 წ-დან რსდმპ-ს წევრი. ექიმად მუშაობა დაიწყო ქალაქ სოხუმში, აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობაში. 1917 წ-დან შეუერთდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

1919 აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წევრი. თანამშრომლობდა ქართულ და საქართველოში გამომავალ ბერძნულ გაზეთებთან.

1921 წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა სტამბოლსა და ბერლინში, საბოლოოდ დასახლდა თესალონიკში და აქტიურად ჩაება საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პარალელურად ეწეოდა სამედიცინო საქმიანობასაც. ემიგრაციაში არ წყვეტდა კავშირს ამიერკავკასიელ ემიგრანტებთან. 1931 იოანის პაშალიდისმა, სხვა ბერძენ მემარცხენე პოლიტიკოსებთან ერთად, დააარსა „საბერძნეთის სოციალისტური პარტია“, 1951 კი „მემარცხენე დემოკრატიული გაერთიანება“, რომლის თავმჯდომარეც იყო 1952-1964 წწ-ბში, ამავე პერიოდში არაერთხელ გახდა საბერძნეთის პარლამენტის წევრი. 1967 სამხედრო გადატრიალების შემდეგ, იყო შინაპატიმრობაში ქალაქ თესალონიკში, დაკრძალულია თესალონიკში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქმე 108; ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52.

ირაკლი ირემაძე

პაჭკორია კირილე (1888 - 28.II.1957) - ლოტბარი. ხალხური სიმღერის შემსრულებელი. გუნდების ხელმძღვანელი. დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიაში. დაწყებითი განათლება ფოთის საქალაქო სასწავლებელში მიიღო. 1903-1907 წწ-ში ავქსენტი მეგრელიძის გუნდში მღეროდა. 1908 ფოთი დატოვა და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გუდაუთაში გადავიდა. იმავე წელს, როგორც დამოუკიდებელი ლოტბარი, პირველად წარსდგა საზოგადოების წინაშე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ფილიალის თავმჯდომარის - მაშო დადიანი-ანჩაბაძის წინადადებით, მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა. ხშირად ჩადიოდა სოხუმში და მონაწილეობდა ძუკუ ლოლუას გუნდის გამოსვლებში.

1918 ოჩამჩირეში ხალხური სიმღერის გუნდი შექმნა და მას დამოუკიდებელ საქართველოში ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით აღნიშნული გუნდის თავკაცობა პლატონ ფანცულაიას გადააბარა.

1921 წ-დან საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. 1925 ძუკუ ლოლუას სახელობის გუნდს ჩაუდგა სათავეში. 1927 გუნდი მოსკოვში გამოვიდა. 1929 თბილისში გამართულ II რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე I პრემია მოიპოვა და საკონცერტო ტურნე გამართა მაშინდელი სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში. 1934 გუნდმა ამიერკავკასიის ხალხთა ოლიმპიადაზე უმაღლესი ჯილდო მიიღო. 1935 წარმატებით გამოვიდა მოსკოვში. 1938-1939 წწ-ებში რუსეთის ოლქებში კონცერტების სერია ჩაატარა. იმავე წლის ბოლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდები გაერთიანდა. 1946 მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1950 წ-ის 9 მაისს დაბადებიდან 70 და მოღვაწეობის 50 წლისადმი მიძღვნილი იუბილე აღუნიშნეს. გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: მ. კვიჟინაძე, უ. პატარიძე, კირილე პაჭკორია, ქართული ხალხური სიმღერის ისტატები, სამეგრელო, II, თბ., 2007.

ზურაბ ლეჟავა

პერინი მარია

პერინი მარია (10.III.1873, ტურინი- 1939 ნიცა) - ბალერინა, ბალეტმეისტერი, ქართული საბალეტო დასის ფუძემდებელი, პედაგოგი. მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკის მეუღლე. 1890 დაამთავრა ტურინის სამეფო საბალეტო სკოლა. იყო იტალიელი მოცეკვავის, ენრიკო ჩეკეტის, მოსწავლე. ასწავლიდა პეტერბურგის სამეფო ბალეტის სკოლაში. 1891 წ-დან მოიწვიეს საქართველოში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტად. 1897-1907 წწ-ში იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის პრიმა ბალერინა. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1916 თბილისში დააარსა საბალეტო სკოლა. 1920 წ-დან სტუდიას „სახელმწიფო თეატრის საბალეტო სკოლა“ ეწოდა, რომლის დირექტორადაც თავად დაინიშნა.

პაჭკორია კირილე

1922 ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიაში საბალეტო სკოლა გახსნა. 1927 საქართველოში გადაუხადეს საბალეტო-პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. 1937 წ-მდე სამხატვრო აკადემიის სივრცეში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მარია პერინის მოწაფეები იყვნენ: ვ. და თ. ჭაბუკიანები, ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი, ი. და დ. ალექსიძეები, ე. გვარამაძე, ს. ვირსალაძე, ვ. ვრონსკინადირაძე, ე. ჩიკვაიძე, მ. ბაუერი. 1937 საბჭოთა რეპრესიები შეეხო მის ოჯახს. იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო. დასახლდა ჯერ ტურინში, შემდეგ კი ნიცაში, სადაც დის პანსიონში გარდაიცვალა.

ლიტ.: ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2015.

სალომე ჭანტურიძე

პიროსი (ერისკაცობაში მათე იოანეს ძე ოქროპირიძე) (XI.1874, დისევი, გორის მაზრა - 28.IV.1922, თელავი.) - ეპისკოპოსი. 7 წლის ასაკში მამამ მიაბარა ალავერდის მონასტერში, სადაც მიიღო დაწყებითი სასულიერო გა-

ნათლება თავის პაპასთან, მღვდელ-მონაზონ სილვესტერთან (ცნობილი თავისი მკაცრი ცხოვრებით), რომელიც იყო ალექსანდრე ეპისკოპოსის ძმა. მალე ის შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო კურსის დასრულების შემდეგ, 1890 გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში; 1893-1994 სასწავლო წწ-ებში გადავიდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში და დაამთავრა 1896. იმავე წელს შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში და 1900 დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1900 აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად პიროსი, ამავე დროს აკურთხეს ჯერ იეროდიაკვნად, შემდეგ - მღვდელმონაზვნად; 1900 დაინიშნა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლის ინსპექტორად, 1902 - გორის სასულიერო სასწავლებლების უფროსის თანაშემწედ, 1905 - მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად; 1907 წ-ს აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში; 1909 დაინიშნა საქართველოს-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და დავითგარეჯის უდაბნოს წინამძღვრად, 1915 - ალავერდის ეპისკოპოსად. საქართველოს ეპარქიაში გადასვლის შემდეგ სხვადასხვა დროს ეკავა შემდეგი თანამდებობები: საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარის ამხანაგის და ქართულ ენაზე საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნების გამოცემის კომიტეტის თავმჯდომარე; სინოდალურ კრებასთან არსებული ღვთისმშობლის საძმოს თავმჯდომარე; „საქართველოს საეგზარხოსოს მოამბის" რედაქტორი და სხვ. 1916 დაინიშნა საქართველოს ეპარქიაში ქორეპისკოპოსად.

1917 წ-ის სექტემბერში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ აირჩია ალავერდის საეპარქიო კათედრაზე, სახელწოდებით „ალავერდელი".

გარდაიცვალა დამბლით. დაკრძალულია ალავერდის საკათედრო ტაძარში.

ლიტ.: გ. მაჩურიშვილი, ალავერდის ეპარქია 1917-2007 წლებში, თბ., 2009.

მიხეილ ქართველიშვილი

პირუმოვი (ფირუმოვი) სვიმონ (?, ტფილისი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ეროვნებით სომეხი. ინჟინერი. უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო.

1918 წ-ის თებერვალში დამატებითი სიით აირჩიეს ამიერკავკასიის სეიმის წევრად, შედიოდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. 1918 წ-ის შემოდგომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სომეხთათვის გამოყოფილი კვოტით გახდა პარლამენტის წევრი. იყო პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა,ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; გაზ. „ერთობა", 1918, №30, №207.

ირაკლი ირემაძე

პოლიევქტოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე (1872, პეტერბურგი - 1942, თბილისი)- ისტორიკოსი. 1894 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ უნივერსიტეტში. 1902 წ-ს გახდა პრივატ-დოცენტი, ხოლო 1917 პროფესორი. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან იგი მიავლინეს საზღვარგარეთის არქივებში რუსული ხელნაწერების შესასწავლად. მის ნაშრომს „რუსეთის პოლიტიკა ბალტიის საკითხში ნიშტატდის ზავის შემდეგ (1721-1725)" 1908 მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

1920 წ-დან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ცენტრლურ არქივში. *1920* წ-ის *15* ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მ. პოლიექტოვი აირჩია მსოფლიო ისტორიის კათედრის პროფესორად. იკვლევდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და ისტორიის საკითხებს.

ლიტ.: გ. პაიჭაძე, მ. პოლიევქტოვი, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია", 1972, №2.

მანანა ლილუაშვილი

პროლეტარი (1919) - ყოველკვირეული სოციალ-დემოკრატიული მუშათა ჟურნალი, ჟურ. „პირველი ნაბიჯის" გაგრძელება. გამოიცემოდა თბილისში. იბეჭდებოდა ვ. რუხაძის სტამბაში. გამოცემას ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია. პირველ ნომერში გამოქვეყნებულია სარედაქციო სტატია „რედაქციისაგან", რომელშიც საუბარია ჟურნალის დანიშნულებაზე, მიზნებსა და ამოცანებზე. მასში აღნიშნულია, რომ გამოცემის მიზანია „ცხოვრების ყოველგვარ საჭირბოროტო კითხვების" გაშუქება „ინტერნაციონალ მარქსისტულ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით". ამავე ნომერში "მუშა-დოპოელის" ფსევდონიმით იბეჭდება წერილი„მუშათა ჟურნალს „პროლეტარს", რომელშიც ავტორი მომავლის რწმენას გამოხატავს ჟურნალის გამოსვლის გამო: „მუშების შემოქმედებითი გონების ამუშავება და მათი სამწერლო მოძრაობაში ჩართვა, კულტურულ სარბიელზე გამოსვლა, მუშათა კლასის შემდგომი განვითარების ხელის შეწყობაა". გამოცემა დიდ ადგილს უთმობს თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის ასახვასა და განსჯას. მაგ., პირველ ნომერში "მუშა-ანერის" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „მსოფლიო ომის დასასრული და მომავლის პერსპექტივა" საუბარია მსოფლიო ომის მიზეზებსა და შედეგებზე, მეორე ნომერში დაბეჭდილ მეთაურ სტატიაში „საითკენ მივყავართ დღევანდელ მდგომარეობას?" აღწერილია ქვეყნის

ირგვლივ შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რომელსაც დაღუპვამდე შეეძლო ქვეყნის მიყვანა. პოლიტიკური საკითხების გარდა, ჟურნალი ეკონომიკურ და სოციალურ თემებსაც ეხება. მაგ., სტატია „მუშის შენიშვნებში“ საუბარია ქვეყანაზე თავსდატეხილ კრიზისზე. ჟურნალი ასევე ინტერესდება უცხოეთის ამბებით, მაგ., მ. ცეკვაშვილის „ინტერნაციონალის დღიური“ (ფურცლები საერთაშორისო მოძრაობიდან); ამავე ნომერში "მ. ცელის" ფსევდონიმით გამოქვეყნებულია სტატია „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“, მ. ცეკვაშვილის „ბერნი და მოსკოვი“. ჟურნალის სამივე ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ფოტოები ე. წ. „ხაშურის გმირებისა“, რომლებიც სომხეთთან ომში დაიღუპნენ. ფსევდონიმით „პროლეტარი“ ჟურნალის პირველ და მეორე ნომრებში იბეჭდება სტატია „საქართ. დამფუძნებელი კრების გარშემო“. ავტორის აზრით, დამფუძნებელი კრება გადალახავს დაბრკოლებებს და თავის მისიას შეასრულებს. გამოცემა კულტურას და ხელოვნებასაც წარმოაჩენს. მაგ., მ. თურდოსპირელი სტატიაში „ხელოვნება და საზოგადოებრიობა“ პოლონელი პოეტის, ვლადისლავ ოსკარის, შემოქმედების მაგალითზე საუბრობს საზოგადოებაში ხელოვნების როლსა და დანიშნულებაზე, ჟურნალში გამოქვეყნებული „ობოლი მუშის“, დ. მეჩონგურის, ვ. რუხაძის, ვ. მიქაძის, ი. სხირტლაძის ლექსების უმეტესობა ეძღვნება პროლეტარიატს. გვხვდება რუბრიკა „პროვინციის ამბები”, რომელშიც შუქდება საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგ., საუბარია სოფელ ვარიანში კორპორაციული დუქნის „სხივის“ წევრთა კრებაზე, აგრეთვე ქ. ხაშურში წარმოდგენილ სპექტაკლებზე „მსხვერპლი“ და „ავტოკეფალია“.

ლიტ.: ჟურ. „პროლეტარი“ 1919 №1 (13/IV), №2 (4/V), №3 (18/V); გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

„პრომეთე“ (№1,2, 3, 1918) - ყოველთვიური სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალი. რედაქტორები: პავლე ინგოროყვა, იოსებ ყიფშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გამომცემელი ისიდორე სტურუა. ჟურნალის სულ სამი ნომერი დაიბეჭდა. „პრომეთეს“ ეხმარებოდა და პროპაგანდას უწევდა სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარი ორგანო „სახალხო საქმე“, რომელსაც სამსონ ფირცხალავა რედაქტორობდა. გამოცემის თანამშრომელთა უმრავლესობა და გამავრცელებლებიც ამ პარტიის წევრები იყვნენ. ცნობილია, რომ ბერლინიდან დაბრუნებული ახალგაზრდა კ. გამსახურდია სწორედ „სახალხო საქმის“ რედაქციაში მუშაობდა იმ დროს, როცა „პრომეთეს“ გამოცემაზე დაიწყო ზრუნვა. თანამოაზრეებთან ერთად, მან ჟურნალის ირგვლივ თვალსაჩინო ქართველი მწერლები და მეცნიერები შემოიკრიბა. „პრომეთეს“ ავტორებად გვევლინებიან: კონსტანტინე გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა, იოსებ გრიშაშვილი, დავით კლდიაშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვასილ ბარნოვი, აკაკი პაპავა, კოტე მაყაშვილი, არისტო ჭუმბაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სერგო გორგაძე, სიმონ გაჩეჩილაძე („წეველი“), გიორგი ახვლედიანი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვები. ჟურნალის ძირითადი თემა იყო კულტურის პრობლემები. მისი შინაარსი რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: ბელეტრისტიკა (ვ. ბარნოვი, ვაჟა-ფშაველა, ი. გრიშაშვილი, ა. ჭუმბაძე და სხვ.); საქართველოს ისტორია (ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და სხვ. გამოკვლები); სხვადასხვა დარგის სამეცნიერო სტატიები (დ. უზნაძის, გ. ახვლედიანის, ვ. ჩერქეზიშვილისა და სხვათა ავტორობით). წარმოდგენილი იყო ასევე პოლიტიკური მიმოხილვები და უცხოეთის მწერლობის განყოფილება. სარედაქციო წინათქმაში „რედაქციის მიერ“ ნათლადაა ჩამოყალიბებული ის ამოცანები, რომელთაც ჟურნალის მესვეურები თავიანთ გამოცემას აკისრებდნენ. მთავარ მისიად ისახავდნენ ქართული კულტურის, მათ შორის ბეჭდური სიტყვის განვითარების ხელშეწყობას („დღეს უნდა დაადგეს განახლებისა და აღორძინების გზას ჩვენი კულტურა, კულტურა, რომელსაც თავისებური ქართული სახე აქვს და რომელსაც მრავალი საუკუნე უმაგრებს ზურგს“...). გამოცემის შინაარსსა და სტრუქტურაზე საუბრის გარდა, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სარედაქციო პოლიტიკაზე, რომელსაც მაღალეთიკური პრინციპებით საზღვრავდნენ. მაგალითად, ჟურნალი პოლიტიკური თემატიკის განხილვისას მიუმხრობლობისა და სამართლიანობის დაცვის პირობას იძლეოდა („პოლიტიკურ მიმოხილვაში დაცული იქნება სრული მიუკერძოებლობა და ობიექტურობა“). ჟურნალში დასტამბულ მრავალრიცხოვან პუბლიკაციათა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია: ვაჟა-ფშაველას ლექსი „ბუნების გლოვა“ (№2), დ. კლდიაშვილის „მშობლის ნუგეში“ (№1), ვ. ბარნოვის მოთხრობა „ამქრის მშვენება“ (#3), კ. გამსახურდიას ლექსები: „ბერლინი“ (№1), „მიზანტროპი“ (№2), „ქორწილი“ (№2), სონეტები (№3), პოლიტიკური ესსე „Anno, 1917“, აკ. პაპავას „ნახშირის ხაზები“ (№1), ა. შანიძის „ქართული ეროვნული ჰიმნი“ (№1), ივ. ჯავახიშვილის „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს.“ (№1), კ. კეკელიძის „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“ (№1), ს. გიორგაძის „ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა” (№2), პ. ინგოროყვას „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“ (№2), ვ. ჩერქეზიშვილის „საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში

1907 წ.“ (№3), ო. ტერ-გრიგორიანის „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“(№2) და სხვ.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ჟ. „პრომეთე“, 1918, №1-3, ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.

მანანა შამილიშვილი

პროფესიული კავშირების ცენტრი – შრომის საკითხი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. 1-ლი მაისის დღესასწაული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იმ მცირე რაოდენობის უქმე დღეთა შორის იქნა შეტანილი, რომელსაც რესპუბლიკა აცხადებდა. დემოკრატიული რესპუბლიკა გამოსცემდა კანონებს, რომელიც მიმართული იყო მშრომელთა უფლებების დაცვისაკენ. თავად ქვეყნის უმაღლეს კანონში, კონსტიტუციაში, ცალკე თავში „სოციალ-ეკონომიკური უფლებანი“ გაცხადებული იყო შრომის თავისუფლებასთან, მშრომელთა უფლებებისა და შრომის სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოში 113 პროფესიული გაერთიანება არსებობდა, მათგან 33 თბილისში, ხოლო 80 საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროფესიულ კავშირების წევრთა რაოდენობა 54 700-ს აღემატებოდა, მათგან ნახევარზე მეტი თბილისში იყო თავმოყრილი. პროფესიული კავშირის ცენტრი თბილისში მდებარეობდა, ე.წ. „შრომის სასახლეში“. პროფესიული კავშირის მნიშვნელოვანი ცენტრები იყო ფოთში, ბათუმში, ქუთაისში, ტყიბულსა და ჭიათურაში. 1919 წ-ის 11-16 აპრილს თბილისში გაიმართა პროფესიული კავშირების პირველი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 87 კავშირის 198 დელეგატი.. ყრილობის დღის წესრიგში შედიოდა: ა) შრომის სამინისტროს მუშაობა, ბ) ფასებისა და ხელფასების დამოკიდებულება, გ) შრომის ბაზარი, დ) დღევანდელი მომენტი და პროფკავშირთა ამოცანები. ყრილობაში მონაწილეობდა მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრის მოადგილე გიორგი ერაძე. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, შრომის სამინისტროსთან ერთად შეექმნა სატარიფო პალატა, რომელიც დაარეგულირებდა შრომით დავებსა და ხელფასებთან დაკავშირებულ საკითხებს. პროფესიული კავშირების ცენტრი ხშირად მონაწილეობდა გაფიცვებში. 1919 9 გაფიცვა გაიმართა, მათ შორის განსაკუთრებით მასშტაბური იყო ტყიბულის მეშახტეთა და თბილისი თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვები. ცენტრმა პირველი ყრილობის შემდეგ დააარსა პერიოდული გამოცემა „მუშათა ცხოვრება“. პროფესიული კავშირის ცენტრის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული პარტიათა წარმომადგენლებიც. კავშირის წევრთა აბსულუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისგან შედგებოდა, თუმცა ცალკეულ პროფესიულ კავშირებში სხვა პარტიებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო წარმოდგენილი, მაგალითად, მასწავლებელთა და ბეჭდური სიტყვის კავშირში სოციალ-ფედერალისტი დელეგატები ჭარბობდნენ. პროფესიული კავშირი ეთნიკური სიჭრელითაც გამოირჩეოდა, გამომდინარე იქიდან, რომ პროლეტარიატთა მნიშვნელოვან ნაწილს სომხები და რუსები შეადგენდნენ. მუშათა გაერთიანებები პოლიტიკური საკითხების გადაჭრის პროცესში აქტიურად იყო ჩართული. პროფესიული კავშირების ცენტრი 1920 გეგმავდა დელეგაციის გაგზავნას რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან. დელეგაციის წევრები არჩეულიც იქნა, თუმცა საბჭოთა რუსეთმა დელეგაცია არ მიიღო. პროფკავშირების ცენტრი 1921 წ-ის თებერვალში აქტიურად იყო ჩართული დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლაში, უშუალოდ ბრძოლებში მონაწილეობის გარდა, აქვეყნებდა მუშებისადმი მიმართვებსა და მოწოდებებს.

ლიტ.: ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21), თბ., 2001; ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბ., 2018.

ირაკლი ირემაძე



ჟორდანია ნოე

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (ფსევდონიმები: ანი, ნარი, ნარიძე, კოსტროვი) (15.I.1868, ლანჩხუთი - 11.I.1953, პარიზი) - ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერი, პუბლიცისტი, თეორეტიკოსი, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წწ-ში. დაიბადა ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. სწავლობდა ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში. 1892 მონაწილეობდა პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ დაფუძნებაში. ორგანიზაციის მეორე კონფერენციამ (1893) მიიღო მის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელიც ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეების გავლენით იყო ჩამოყალიბებული. პროგრამა კაპიტალისტური სისტემის სოციალისტურად ევოლუციას ითვალისწინებდა და უარყოფდა რუსული მარქსიზმის დოქტრინას შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. მან ადამიანთა ცხოვრების უპირველეს საფუძვლად ეკონომიკური კეთილდღეობის ფაქტორი აღიარა და ეროვნული თავისუფლების პრობლემა მჭიდროდ დაუკავშირა პიროვნების თავისუფლების საკითხს. 1893-1897 წწ-ში ჟენევის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში ისმენდა ლექციებს, ეცნობოდა ევრომარქსიზმის თეორიას. საქართველოში ჩამოსვლისთანავე გახდა გაზეთ „კვალის“ ფაქტობრივი რედაქტორი და ის მარქსისტულ ორგანოდ აქცია. 1900 მწვავე პოლემიკა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან და მიიჩნევდა მას ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული კლასების ინტერესების დამცველ რეაქციონერ მოღვაწედ. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, ნ. ჟორდანიამ ხელი ვერ შეუშალა ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შერწყმას რსდმპ-სთან. 1901-1902 წწ-ში ორჯერ იყო დაპატიმრებული და სასჯელს იხდიდა ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისისა და ფოთის ციხეებში, ხოლო განთავისუფლების შემდეგ საცხოვრებლად მიუჩინეს ჯერ ლანჩხუთი, შემდეგ განჯა, პოლიციის მეთვალყურეობით. 1903 გადაუწყვიტეს სამი წლით გადასახლება ვიატკის გუბერნიაში, მაგრამ სასჯელს ევროპაში წასვლით დააღწია თავი. 1903 იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი. იმავე წელს სათათბირო ხმით მონაწილეობდა რსდმპ II ყრილობაში და მიემხრო მენშევიკებს. ამ პერიოდიდან იძულებული გახდა, დამორჩილებოდა რუსული მარქსიზმის ნიჰილისტურ პოზიციას ეროვნული საკითხისადმი. იგი მკვეთრად დაუპირისპირდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნას, საქართველოს ავტონომიის ფორმით; მწვავედ გააკრიტიკა 1904 შექმნილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და ავტონომიის მომხრე ძალები. 1905-1907 წწ-ში ჟორდანიას ხელმძღვანელობით წარმოებდა იდეურ-ორგანიზაციული ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რაც საქართველოში მისი მომხრეების გამარჯვებით დამთავრდა. 1905 რედაქტორობდა ჟურ. „სოციალ-დემოკრატს“. 1906 აირჩიეს რუსეთის I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად და იყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. სათათბიროს დათხოვნის შემდეგ იყო „ვიბორგის მოწოდების“ ერთ-ერთი ავტორი და ხელმომწერი, რის გამოც სამთვიანი პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლით გადაურჩა სასჯელს. რსდმპ IV და V ყრილობების მიერ არჩეული იყო ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1908 წ-ს დააპატიმრეს და 8 თვე იჯდა პეტერბურგის ციხეში. I მსოფლიო ომის წლებში მხარს უჭერდა ანტანტის ორიენტაციას, მაგრამ, იმავდროულად, ფარულად შეუთანხმდა პროგერმანული ორიენტაციის მქონე ეროვნულ ძალებს და მხარი დაუჭირა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეას ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში.

1917 წ-ის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ახალი ხელისუფლების რევოლუციურ ორგანოებს - თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბ-

ჭოს სამხარეო ცენტრს, რომლებიც რეგიონში რეალურ ძალაუფლებას ფლობდნენ. 1917 წ-ის ნოემბერში საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ეროვნული საბჭოს, იმავდროულად, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს. საბჭოს უნდა მოემზადებინა საფუძველი ქართველი ერის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისათვის, რაც მან წარმატებით განახორციელა. 1918 წ-ის 26 მაისს ნ. ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თავდაპირველად ის განაგრძობდა ეროვნული საბჭოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, თავმჯდომარეობას, იმავე წლის 24 ივნისიდან გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი კოალიციური მთავრობის თავმჯდომარე და ამ პოსტზე შეცვალა ნ. რამიშვილი. იმავდროულად, იგი იყო რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი. 1919 წ-ის დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყო, 21 მარტიდან დამფუძნებელმა კრებამ აირჩია ახლა უკვე ერთპარტიული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარედ. 1918 წ-ის ნოემბრიდან იყო რუსეთის სოც-დემ. პარტიისაგან გამოყოფილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ დამფუძნებელი კრების მანდატით ემიგრაციაში წავიდა და საფრანგეთში ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. განაგრძობდა დიპლომატიურ აქტივობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ უშედეგოდ. 1924 იყო ანტირუსული აჯანყების მომხრე, თუ ქართველებთან ერთად აჯანყდებოდნენ კავკასიის სხვა ხალხებიც. II მსოფლიო ომის პერიოდში იდგა მოკავშირე ანტიფაშისტური სახელმწიფოების გამარჯვების პოზიციაზე. ემიგრაციაში განაგრძობდა პოლიტიკურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას და გამოაქვეყნა 12 წიგნი, რომლებშიც მწვავედ აკრიტიკებდა საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმს და ასაბუთებდა სსრკ-ის დაშლას. ერთ-ერთი ნაშრომი მიუძღვნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ჰყავდა მეუღლე - ინა კორენევა და ოთხი შვილი: ასმათი, ანდრეიკა, ნათელა და რეჯები.

თხზ.: ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია, თბ., 1918; Н. Жорданиа,. За два года,Тифлис, 1919; ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., გამოსცა უ. სიდამონიძემ, თბ., 1990.

ლიტ.: ვ. გ ურ უ ლ ი, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.

დიმიტრი შველიძე

ჟორდანია ინა

ჟ ო რ დ ა ნ ი ა–კ ო რ ე ნ ე ვ ა ი ნ ა (1877, სოფ. ბერდინო, ორლოვის გუბ. - 1967, პარიზი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას, ცოლი. სოციალ-დემოკრატი. დაიბადა მღვდელის ოჯახში. 1902 დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მომავალი ქმარი 1903 პარიზში გაიცნო. 1904 საქართველოში დაქორწინდა ნოე ჟორდანიაზე. ახალგაზრდობიდანვე შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, იყო მენშევიკური ფრაქციის წევრი პარტიული ფსევდონიმით „თამარი“. ქმართან ერთად აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. გარკვეული პერიოდი იყო მენშევიკური ფრაქციის ბაქოს კომიტეტის წევრი, 1905 ბაქოში მეფის ჟანდარმერიამ დაატიმრა, თუმცა ფეხმძიმობის გამო, ექიმთა შუამდგომლობით, გაათავისუფლეს. რუსეთის მეოთხე დუმის არჩევნების დროს ხელმძღვანელობდა არჩევნებში გამარჯვებულ სოციალ-დემოკრატ მათე სკობელევის საარჩევნო კამპანიას, რის გამოც მას აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება და გადასახლდა მოსკოვში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კვლავ აგრძელებდა აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. 1917 წ-ის ბოლოს სოციალ-დემოკრატიული სიით მონაწილეობდა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, როგორც მთავრობის თავმჯდომარის მეუღლე, აქტიურად იყო ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში. ოლივერ უორდროპის ცნობით, ის ხელმძღვანელობდა „ქალთა საზოგადოებას ბავშვთა კეთილდღეობისათვის“. ნოე რამიშვილის და აკაკი ჩხენკელის ცოლებთან - მარო რამიშვილთან და მაკრინე ჩხენკელთან - ერთად აწყობდა კულტურულ საღამოებს გაჭირვებულთა და ავადმყოფ ბავშვთა დასახმარებლად. ხელს უწყობდა ქალთა განათლების წახალისებასა და სამკითხველოების გახსნას. იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, დამფუძნებელი კრების მანდატით, შვილებთან ერთად ემიგრაციაში გაჰყვა მეუღლეს. შემდგომ პერიოდშიც აქტიურად აგრძელებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ემიგრაციული წრეების გასაძლიერებლად და გაჭირვებულთა დასახმარებლად პარიზში აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს, რომლისგანაც შემოსული თანხებით ტუბერკულოზისა და სხვა მძიმე დავადებების მქონე ქართველ ემიგრანტებს ეხმარებოდა. სიცოცხლის ბოლო წლებში გახდა წევრი საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა (SFIO). დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით.

ლიტ.: ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული, პარიზი, 1953; ქ. ფაღავა-ბულეზი, ერთი უჩვეულო ოჯახი, თბ., არტანუჯი, 2017; ბ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, სერ ოლივერ უორდროპი 150, თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ეროვნული არქივი, 2015; ჟურ. „ჩვენი დროშა“, პარ., 1967, №47.

ირაკლი ირემაძე



ჟურული გიორგი

ჟურული გიორგი დურმიშხანის ძე (22.X.1865, ბათუმი - 9.X.1951, პარიზი), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1886 დაასრულა თბილისის კადეტთა კორპუსი და იმავე წელს გაემგზავრა საფრანგეთში, პარიზის სამთო ინსტიტუტში აგრონომიის შესასწავლად. შემდეგ შევიდა მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1893. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩაერთო საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ საქმიანობაში. იყო გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი (შედიოდა იმ ჯგუფში, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელებად“ იწოდება). არჩეული იყო ქართული სასკოლო კომიტეტისა და სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრად, ასევე დრამატული საზოგადოების გამგეობაში. 1897-1903 წწ-ში იყო ცენზორი კავკასიის საცენზურო კომიტეტში, შემდეგ მუშაობდა სამინაწამოქმედო სამინისტროს საშუალო რგოლის მოხელედ. 1903 აირჩიეს ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრად. დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის, შემდეგ თბილისის თვითმმართველობაში, იყო ბათუმის ქალაქის თავი (1910-1913), თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი, გამგეობის წევრი და საფინანსო კომისიის თავმჯდომარე. თავისი ნაყოფიერი საქმიანობით მან არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელი რუსეთის მასშტაბით საუკეთესო, პროგრესული მუნიციპალური მოღვაწის სახელი დაიმსახურა. 1905-1906 წწ-ში ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძესთან ერთად შედიოდა პეტერბურგში წარგზავნილ დელეგაციაში, რომელმაც სახელმწიფო საბჭოსაგან ამიერკავკასიისათვის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოითხოვა. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ქმედითი მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებისათვის გაშლილ მუშაობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, თუმცა მაშინ პოლიტიკური პარტია ვერ ჩამოყალიბდა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, 1908-1910 წწ-ში სათავეში ედგა საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობას.

1917 შედიოდა ოზაკომთან ჩამოყალიბებული ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში. იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების, ასევე საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წევრი. 1917 წ-ის ივნისში ედპ-ს დამფუძნებელ ყრილობაზე იგი ყრილობის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ აირჩიეს. ყრილობამ მოისმინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მისი მოხსენება „საქართველოს ფინანსები“. დელეგატებმა გაიზიარეს გ. ჟურულის თვალსაზრისი, რომ „საქართველოს ავტონომიის დამყარება და არსებობა ფინანსების მხრივ უზრუნველყოფილია“. გ. ჟურული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად იქნა არჩეული, მოგვიანებით იგი ედპ-ის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრადაც აირჩიეს. 1917 წ-ის სექტემბერში მონაწილეობდა საქართველოს საეკლესიო კრების მუშაობაში (იყო კრების ერთ-ერთი თავმჯდომარე), რომელმაც აირჩია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. იმავე წლის ნოემბერში იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი, აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წ-ის მაისში, როგორც ა/კავკასიის დელეგაციის მრჩეველი, მონაწილეობდა ბათუმის საზავო კონფერენციაში. 1918 წ-ის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისას, შევიდა მისი პირველი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში, როგორც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. ეს პოსტი ნ. ჟორდანიას პრემიერობის პერიოდშიც შეინარჩუნა 1919 წ-ის მარტამდე, ვიდრე საქართველოს დამფუძნებელი კრება მთავრობას არჩევნებში გამარჯვებული ერთი პარტიის - სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლებით დააკომპლექტებდა. მისი ფაქსიმილე დაფიქსირებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო (5%-იანი) ერთწლიანი ვალდებულებების ნომინალებზე, რომლებიც 1919 წ-ის იანვარში მოსახლეობიდან ნაღდი ფულადი მასის ამოსაღებად გამოუშვეს. გ. ჟურული 1917 არჩეული იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის თავმჯდომარის მოადგილედ, 1919 წ-დან ხელმძღვანელობდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს. 1919-1920 წწ-ში მინდობილი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა ბათუმში განლაგებულ მოკავშირეთა არმიის სარდლობასთან. საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ გ. ჟურული, მთავრობის წევრთა ნაწილთან ერთად, ემიგრაციაში გაიხიზნა. ცხოვრობდა საფრანგეთში. შედიოდა რ. გაბაშვილის იმ ჯგუფში, რომელიც 1926 ემიგრაციაში პირველი გამოეყო ედპ-ს და გაზეთ „მამულიშვილის“ ირგვლივ დაჯგუფდა. ჰყავდა მეუღლე - ელენე ჟურული და ვაჟი - დურმიშხანი. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. ავტორია მეტად საინტერესო მოგონებებისა ილია ჭავჭავაძეზე.

თხზ.: გ. ჟ ურ ულ ი, ილიასთან შორი-ახლოს დგომით (ფურცლები ჩემი თავგადასავლის რვეულიდან), ჟურნ. „ქართლოსი“, პარიზი, 1937, №21-22. ლიტ.: ნ. ჯ ავ ახ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996; ო. ჯ ან ელ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ჟღენტი ლეონტი

ჟღენტი ვიქტორ ალმასხანის ძე (მეტსახელი ლეონტი) (1884, სოფ. ჯვარცმა - 08.04.1969) - განათლება ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში მიიღო, პროფესიით ფეიქარი იყო. საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობით იყო დაკავებული. მისი ხელმოწერა არის 1918 წ-ის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. ის ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების წევრი გახდა. დამოუკიდებლობის პერიოდში მუშაობდა საგანგებო რწმუნებულად ცხინვალში. 1921 საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, დატოვა სამშობლო და საფრანგეთში გაემგზავრა ემიგრაციაში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე



რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – დაარსდა 1917 წ-ის ოქტომბერში იმ ჯგუფის ბაზაზე, რომელიც დავით ჩიქოვანის ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყო. ძირითად პარტიასთან ამ ჯგუფის დაპირისპირების ნიშნები ჯერ კიდევ 1917 წ-ის ივნისში, ედპ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე გამოიკვეთა. მაშინ უმრავლესობამ არ გაიზიარა დ. ჩ.-ს თვალსაზრისი და პროგრამაში არ შეიტანა მუხლი საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მოთხოვნის შესახებ. 1917 წ-ის 19-23 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. კრებამ აირჩია სამი კომიტეტი: მთავარი, თბილისისა და სიღნაღის სამაზრო. მთავარ კომიტეტში აირჩიეს: თედო სახოკია (თავმჯდომარე), ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი და დიმიტრი დეკანოზიშვილი. თბილისის კომიტეტში შევიდნენ: ქრისტეფორე კაპანაძე (თავმჯდომარე), ალექსანდრე გველესიანი, ნიკო კურდღელაშვილი, ივანე ბაქრაძე, გობრონ ციცქიშვილი, ვასილ ბარნოვი და ივანე არონიშიძე; სიღნაღის სამაზრო კომიტეტი შეადგინეს: კოტე ტყავაძემ (თავმჯდომარე), დავით სამადაშვილმა, ილო მოსაშვილმა, ნიკო ტურიაშვილმა და ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილმა. კრებამ გაზეთი „ჩვენი რესპუბლიკა“ პარტიის პერიოდულ ორგანოდ დაადგინა და იგი ყოველკვირეულიდან ყოველდღიურ გამოცემად გადააკეთა. გაზეთის რედაქტორად დ. ჩ. დაამტკიცეს. 1917 წ-ის 7 დეკემბერს სიღნაღში შედგა რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის სიღნაღის მაზრის ყრილობა. განიხილეს და მიიღეს პარტიის პროგრამა, რომელიც მთავარმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ივლისში შეიმუშავა. იმსჯელეს საორგანიზაციო და სხვ. საკითხებზე. ხელახლა აირჩიეს სიღნაღის სამაზრო კომიტეტი, რომელიც ორი წევრით (ნ. სიყმაშვილი და ნ. ჩუთლაშვილი) შეივსო. სიღნაღის კომიტეტშიც 7 კაცი იქნა არჩეული: ნ. კორაშვილი (თავმჯდომარე), მ. ტყავაძისა, მ. გოცირიძე, კ. იმერლიშვილი, მ. სიყმაშვილი, ი. ტყავაძე და ტ. მჭედლიშვილი. შედგა მოწაფეთა კომიტეტიც. პარტიის გეოგრაფიული არეალი ძირითადად ერთი - სიღნაღის მაზრით შემოიფარგლა. ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციაში თავი მოიყარეს ცნობილმა თუ ახალგაზრდა მწერლებმა, ვასილ ბარნოვმა, შიო დედაბრიშვილმა (არაგვისპირელი), ილო მოსაშვილმა, მომავალში სახელგანთქმულმა რეჟისორმა ალექსანდრე ახმეტელმა და სხვ., მაგრამ გლეხთა პარტიამ თავისი რიგების უფრო გაფართოება ვეღარ შეძლო.

რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია იყო პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც ოფიციალურად დააყენა სახელმწიფოებრიობის, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. რადიკალები საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობისაგან მოელოდნენ, რომ იგი მიიღებდა მკაფიო და ნათელ გადაწყვეტილებას საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ. „ეროვნული კრების დანიშნულებაა, - წერდა გაზ. „ჩვენი რესპუბლიკა“ 1917 წ-ის 19 ნოემბერს, - აღიაროს საქართველოს უზენაესი უფლებები და მანიფესტით აუწყოს მთელს ქვეყანას დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. მანვე უნდა შეადგინოს საქართველოს სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, რომელსაც დაევალება დემოკრატიული წესით არჩეული სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა”. რადიკალ-დემოკრატთა მესვეურებს არაერთ საკითხზე ყოფილი თანაპარტიელებისაგან განსხვავებული შეხედულებანი ჰქონდათ. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო გლეხთა პარტიის „ეკონომიკური რადიკალიზმი“. იგი ითვალისწინებდა საკაბინეტო, საუფლისწულო და სახაზინო მიწების გლეხობისათვის უფასოდ გადაცემას. ასევე თავადაზნაურ-მემამულეთათვის ნორმაზე მეტი იმ მიწების იძუ-

ლებით ჩამორთმევას, „რომლებიც თავიანთ პატრონთ თუმცა შეუძენიათ, მაგრამ შემდეგ უყურადღებოდ მიუგდიათ და გაუვერანებიათ“. რადიკალ-დემოკრატებს სწამდათ კლასგარეშე მდგომი, ზეკლასობრივი პარტიის არსებობა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ასეთად არ მიაჩნდათ. რადიკალ-დემოკრატები საჭიროდ თვლიდნენ, რომ ქართული სახელმწიფო „რეალუნიის“ წესით შეკავშირებოდა რომელიმე ძლიერ ქვეყანას, მაგრამ თვით ქვეყნის დასახელებისგან გარკვეული დროით თავს იკავებდნენ. რადიკალ-დემოკრატების განდგომა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან დიდხანს არ გაგრძელებულა. 1919 წ-ის დამდეგიდან დაიწყო ხელახალი ურთიერთდაახლოების პროცესი. ეროვნული და რადიკალ-დემოკრატები ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ თბილისის საქალაქო ხმოსანთა არჩევნებში, რომელიც 1919 წ-ის 1-2 თებერვალს გაიმართა. თუმცა იმავე წლის თებერვალში, რადიკალ-დემოკრატიულმა გლეხთა პარტიამ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. გლეხთა პარტიამ ვერ შეძლო ხმების საჭირო რაოდენობის მოგროვება (მიიღო 3000-ზე ოდნავ მეტი ხმა). საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამ პარტიის არც ერთი წევრი არ ყოფილა არჩეული. 1920 წ-ის ნოემბერში რადიკალ-დემოკრატები ჯერ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან გამიჯნულ ეროვნულ პარტიასთან გაერთიანდნენ. შეიქმნა ორგანიზაცია „მიწის მესაკუთრეთა დემოკრატიული პარტიის“ სახელწოდებით. 1921 წ-ის იანვარში თბილისში მოწვეულ იქნა არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებით ეროვნულ-დემოკრატები, უპარტიოთა კავშირი და მიწის მესაკუთრეთა დემოკრატიული პარტია „საქართველოს დემოკრატიულ პარტიად“ ჩამოყალიბდნენ.

ლიტ.: ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ო. ჯანელიძე, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია, კრ. საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები, 1906-1921, თბ., 2008.

ოთარ ჯანელიძე

რაზმაძე ანდრია

რაზმაძე ანდრია მიხეილის ძე (1889, სოფ. ჩხენიში, - 1929, თბილისი) – ქართველი მათემატიკოსი, თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრე და თანამებრძოლი. 1906 დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1907 ჩააბარა მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. 1910 ვადაზე ადრე დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და მის სადიპლომო ნაშრომს „რიცხვთა თეორიის კონსპექტს“ პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭეს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ ანდრია რაზმაძემ პედაგოგად დაიწყო მუშაობა რუსეთის პროვინციაში, ქ. მურომში. მისი პირველი გამოკვლევა ვარიაციულ აღრიცხვაზე გამოქვეყნდა ევროპის ერთ-ერთ ცნობილ მათემატიკურ ჟურნალში.

1917 წარმატებით ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და მაგისტრის წოდება მოიპოვა. მოგვიანებით კი წმინდა მათემატიკის კათედრის პრივატდოცენტი გახდა. მისი შრომები გამოქვეყნდა საქართველოს, საფრანგეთის, ამერიკის, გერმანიის ცნობილ სამეცნიერო ჟურნალებსა და კონგრესის ანგარიშებში. 1918 წ-დან ასწავლიდა თბილისის ქართულ უნივერსიტეტში, მისი ინიციატივით უნივერსიტეტში მოიწვიეს ცნობილი ჰოლანდიელი პროფესორი ერენფესტი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი დეკანი. სწორედ მის მიერაა შედგენილი ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკურ დისციპლინათა პროგრამები და სასწავლო გეგმები. პირველმა წაიკითხა მშობლიურ ენაზე მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის ძირითადი კურსი, დაწერა პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები მათემატიკაში და საფუძველი ჩაუყარა ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას.

1924 მონაწილეობდა მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესზე ამერიკაში, 1926 რუსეთის მათემატიკოსთა კონგრესზე. 1928 მოსკოვის მათემატიკური საზოგადოების კრებაზე წაკითხული მისი მოხსენება ეხებოდა ვარიაციათა აღრიცხვის გამოყენებას ზეციურ მექანიკაში. 1920-იან წწ-ში ევროპისა და ამერიკის ცნობილი უნივერისტეტებიდან მიღებულ მრავალ მომხიბლავ წინადადებას არ დათანხმდა და დარჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი წინადადებით საქართველო 1924 მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის წევრი გახდა. 1925 წარჩინებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პარიზში. დისერტაცია შეეხებოდა ვარიაციათა აღრიცხვის ამოცანებს წყვეტილ წირთა კლასში, რითაც საფუძველი ჩაუყარა ვარიაციათა აღრიცხვის ახალ მიმართულებას. 1925 გამოცემულ მათემატიკური ტერმინების ლექსიკონის წინასიტყვაობაში ნიკო მუსხელიშვილი წერდა - „ტერმინების უმრავლესი ნაწილი ა. რაზმაძესთან ერთადაა დამუშავებული, და მრავალი ტერმინი პირდაპირ მის შრომებიდან არის ამოღებული“.

ლიტ.: ანდ. რაზმაძე, (კრებული), თბ., 1945 (ვ. კუპრაძე,შ. ნუცუბიძე, ლ. გოკიელი), 1954; საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკოსთა VIII კონფერენცია, თეზისები, ქუთაისი, 1979წ-ის 26-30 ივნისი, ეძღვნება ა. რაზმაძის დაბადებიდან 90 წლისთავს; მ. ლილუაშვილი, ანდრია რაზმაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, თბ., 2016; პირადი არქივი.

მანანა ლილუაშვილი

რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე (7.VI.1859, სოფ. დიდი ვანი, ოზურგეთის მაზ. - 14.X.1937, თბილისი) - ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. ცნობილი პედაგოგი და განმანათლებელი. დაიბადა სურების ხეობაში გლეხის ოჯახში. თავდაპირველად განათლება მიიღო ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, შემდგომში სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ასევე სწავლობდა მისი ბავშვობის მეგობარი სილიბისტრო ჯიბლაძე. სემინარიაში სწავლისას აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა ხალხოსნური ჯგუფების ფორმირებასა და საქმიანობაში, აწყობდა არალეგალურ კითხვის წრეებს, რის გამოც არაერთხელ დამდგარა სემინარიიდან გარიცხვის საფრთხის წინაშე. 1885 დაასრულა სასულიერო სემინარია, 1886-87 წწ-ში წინამძღვრიანთკარის სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. პედაგოგობის პერიოდში აქტიურად ეწეოდა ხალხოსნურ საქმიანობას. 1887 მის მშობლიურ სურების ხეობაში დააარსა ორკლასიანი სკოლა, სადაც თავადვე იყო პირველი მასწავლებელი, ამავე პერიოდში მისი მოსწავლე იყო ნოე რამიშვილი. 1891 მისი ინიციატივით დაარსდა გურიის სახალხო ბიბლიოთეკა. აქტიურად მონაწილეობდა 1892 წ-ს ყვირილის შეკრებაში, რომელზეც საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას (მესამე დასს). ყვირილის კონფერენციაზე იდგა ხალხოსნურ ნიადაგზე. შემდგომში ეზიარა ნოე ჟორდანიასეულ ევროპული სოციალიზმის ღირებულებებს. 1893 წ-ის შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა ჯერ სენაკის სკოლაში, ხოლო შემდგომ წკგს-ის ბათუმის ქართულ სკოლაში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა და იყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის აღიარებული ლიდერი. 1905 დააპატიმრეს ორი თვით, ამავე წელს მონაწილეობდა თბილისში მიმდინარე აზერბაიჯანელთა და სომეხთა დაპირისპირების დეესკალაციაში, წამყვან როლს ასრულებდა მეფისნაცვალთან მოლაპარაკებებში. 1906 მონაწილეობდა რსდმპ-ს სტოკჰოლმის კონფერენციაში თბილისი ორგანიზაციის მანდატით. 1906 წ-ს აირჩიეს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ხელი მოაწერა „ვიბორგის მოწოდებას“, რის გამოც მიესაჯა სამთვიანი პატიმრობა, თუმცა მიმალვა შეძლო და მისი დაპატიმრება ვერ მოხერხდა. 1907 მონაწილეობდა რსდმპ ლონდონის V ყრილობაში. 1908 და 1913 წწ-ში კვლავ დააპატიმრეს, უკანასკნელი დაპატიმრების შემდეგ გადაასახლეს სამარის გუბერნიაში, სადაც 1917 წ-მდე იმყოფებოდა.

1917 საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატების სიით აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, ამავე წელს აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად, იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წ-ის გაზაფხულზე ოსმალეთის არმიის შემოტევისას ნატანების ფრონტზე აქტიურ პოლიტიკურ დახმარებას უწევდა გენერალ მაზნიაშვილს. 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. დემოკრატიული რესპუბლიკის დროს დაინიშნა ხელისუფლების წარმომადგენლად სოხუმის ოლქში. 1919 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეული იქნა დამფუძნებელი კრების წევრად. დამოუკიდებლობის პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მოგზაურობდა რეგიონებში და აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდა როგორც პარტიის წევრებში, ასევე მოქალაქეებში. როგორც პარტიის უხუცესი წევრი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. 1921 წ-ის მარტში გურიის სოფლებში აგროვებდა მოხალისეებს ოკუპანტებთან საბრძოლველად და დამოუკიდებლობის დასაცავად.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სამშობლოში დარჩა. როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებული ლიდერი მრავალჯერ მოექცა ბოლშევიკური რეპრესიული რეჟიმის კლანჭებში. საბჭოთა პერიოდში პირველად დააპატიმრეს 1921 წ-ის 13 ივლისს ნაძალადევში მუშათა სახლში სტალინის სტუმრობისას საპროტესტო გამოსვლის ორგანიზების მიზეზით. 1922 საქართველოდან გადაასახლეს. სხვადასხვა დროს გადასახლებებში ცხოვრობდა კაშინში, ასტრახანში, ტაშკენტში, ხოჯენტში. 1934 საბჭოთა რეჟიმმა მცირე ხნით საქართველოში ცხოვრების უფლება მისცა, თუმცა რამდენიმე თვეში ჯერ ცხინვალში, ხოლო შემდგომ ვლადიკავკაზში გადაასახლეს, სადაც 1937 დააპატიმრეს. 1937 წ-ის 14 ნოემბერს საბჭოთა საქართველოს შინსახკომის განსაკუთრებულმა სამეულმა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა, ამავე დღეს დახვრიტეს თბილისში. მისი საფლავი დაკარგულია. 2016 ისიდორე რამიშვილის მიერ დაარსებულ დიდი ვანის სკოლას მისი სახელი მიენიჭა.



რამიშილი ისიდორე

თხზ.: ის. რამიშვილი, მოგონებები, გამოსაცემად მოამზადეს გ. საითიძემ და ქ. რამიშვილმა, თბ., 2012.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 108, 109; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 2014; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №263.

ირაკლი ირემაძე

რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე (5.IV.1881, სოფ. დიდი ვანი - 7.XII.1930, პარიზი) - სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი.

რამიშვილი ნოე

სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა და დაამთავრა. 1901 ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, დერპტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, თუმცა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გარიცხეს და 1902 საქართველოში დაბრუნდა. ბათუმში სათავეში ჩაუდგა მუშათა მოძრაობას, დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა გურიაში. ჟანდარმერიის დევნის გამო, თბილისში გადავიდა, გახდა მუშათა კომიტეტის წევრი. რევოლუციური მუშაობისათვის თბილისში დააპატიმრეს და ბათუმში წაიყვანეს, მაგრამ მატარებლიდან გადახტა და რუსეთში, კერძოდ, დონის როსტოვში გაიქცა. რსდმპ V ყრილობაზე აირჩიეს ცკ- ის წევრად მენშევიკებისაგან. 1908-1909 წწ-ში სწავლობდა ლაიფციგის უნივერსიტეტში (გერმანია).

თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1917) გახდა კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრის თავმჯდომარე, ქართველ მენშევიკთა ცკ-ის წევრი და ამ პარტიის ორგანოს, გაზეთ „ერთობის“ რედაქტორი. იგი ცნობილი იყო პარტიული ფსევდონიმებით: პეტრე, სემიონოვი ნ. 1917 წ-ის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას. იყო ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი. 1918 წ-ის 26 მაისს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, ნ. რამიშვილის მეთაურობით შეიქმნა საქართველოს დროებითი მთავრობა, თუმცა ერთ თვეში, 24 ივნისს, გადადგა და ხელისუფლება ნ. ჟორდანიას გადასცა. რამიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ჩაიბარა და, პარალელურად, 1919 წ-ის განმავლობაში იყო სამხედრო მინისტრი. იმავე წელს ასევე აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ჯარის რეორგანიზაცია, განათლების რეფორმა, კავშირგაბმულობის სფეროს განვითარება, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თბილისის უნივერსიტეტის მიმართ. შსს მინისტრობის დროს კი უხელმძღვანელა საქართველოს მივარდნილ სოფლებში გზების გაყვანას, ფოსტა-ტელეგრაფისა და სკოლების აშენებას. მან მთელი ძალისხმევა მიმართა ანტისახელმწიფოებრივი აქციებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ასეთ უკომპრომისო ბრძოლაში ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. შს სამინისტროში ჩამოაყალიბა განსაკუთრებული რაზმი, რომელსაც ქვეყანაში წესრიგი უნდა დაეცვა. მასში თავიდან 800 მილიციელი შევიდა, მაგრამ მათი რიცხვი 2500-მდე გაიზარდა. რაზმმა დიდი როლი შეასრულა სახელმწიფოს უშიშროებისათვის და აღკვეთა არაერთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. რამიშვილს ხშირად აკრიტიკებდნენ სახელმწიფოს მოწინააღმდეგეებისდმი სიმკაცრისა და დიქტატორული მისწრაფებების გამო. მეორე მხრივ, გამორჩეული პრინციპულობისა და უკანონობასთან შეურიგებელი ბრძოლის გამო, დამოუკიდებლობის წლებში ზედმეტსახელად „რკინის მინისტრი“ შეარქვეს. მისი სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას: მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა დიდი დარგობრივი ბიბლიოთეკა, რისთვისაც ოდესაში სპეციალურად მიავლინა უნივერსიტეტის კომისია პროფესორ ივანე ბერიტაშვილის მეთაურობით. მინისტრის დავალებით, აქციონერულმა საზოგადოება „ფილმმა“ იმ დროის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა გადაიღო, რასაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს.

1921 წ-ის თებერვალ-მარტის მოვლენების შემდეგ დატოვა საქართველო და მთავრობასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში, თუმცა, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა არც იქ შეუწყვეტია: წერდა წერილებს, საქართველოში მომხდარ მოვლენებზე ინფორმაციას აწვდიდა საერთაშორისო საზოგადოებას. ქართული ემიგრაციის წევრებიდან ის ყველაზე აქტიურად უჭერდა მხარს 1924 წ-ის აჯანყებას, ჩართული იყო პოლონელი ხალხის ანტისაბჭოთა მოძრაობაში. ჰყავდა მეუღლე - მარიამ გოგიაშვილი და ოთხი შვილი, ორი ვაჟი: ბენო და აკაკი და ორი ქალიშვილი: ნუცა და თამარი. ცხოვრობდა პარიზის ახლოს, თავდაპირველად სენ-კლუში, შემდეგ კი ლევილის მამულში. 1930 წ-ის 7 დეკემბერს პარიზის ქუჩაში მიმავალს საბჭოთა „ჩეკას“ მიერ მოსყიდულმა მკვლელმა, ქართველმა ემიგრანტმა, პ. ჭანუყვაძემ, ესროლა. დაკრძალეს ბანიოს სასაფლაოზე, შემდეგ კი ლევილში გადაასვენეს. ნ. რამიშვილს ეკუთვნის ნაშრომები: „ისტორიული მატერიალიზმი“ (1911), რომელსაც ახლავს ნ. ჟორდანიას წინასიტყვაობა; „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“ (კონსტანტინოპოლი,1922); „საქართველო და რუსეთი“ (პარიზი, 1924); „დემოკრატიული სოციალიზმი“ (პარიზი, 1931 წ.) და სხვ.

ლიტ.: ი. სიხარულიძე, ნოე რამიშვილი, თბ., 2006; დ. ჭუმბურიძე, ნოე რამიშვილი, წიგნში: „ისტორიული პორტრეტები, წერილები“, თბ., 2012; ო. ჯანელიძე, ნოე რამიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015.

დოდო ჭუმბურიძე

რატიშვილი დავით ბეჟანის ძე (1881-1937) - პოლკოვნიკი (1915). მიღებული აქვს სპარსეთის ლომისა და მზის მე-3 ხარისხის ორდენი. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. გენერალი (1920). 1920 ახალციხის სამხედრო კომენდანტი და ცხენოსანი ესკადრონის უფროსია. 1937 წ-ს დახვრიტეს.

ლიტ.: М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

რაუშერი ულრიხ კარლ პაულ (26.VI.1884, შტუტგარტი - 18.XII.1930, სტ. ბლაზიენი) - გერმანელი სახელმწიფო მოხელე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დიპლომატი, ჟურნალისტი და მწერალი. გერმანიის (ვაიმარის რესპუბლიკის) ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920-1922 წწ-ში. წარმოშობით ბურჟუაზიული ოჯახიდან იყო. მიიღო შესანიშნავი განათლება მიუნხენში, ჰაიდელბერგში, სტრასბურგსა და ოქსფორდში. პროფესიით იურისტი გატაცებული იყო მუსიკით, ხელოვნებით, გერმანულად თარგმნიდა ფრანგულ ლიტერატურას, საკუთარ წერილებს ხელოვნების სფეროზე აქვეყნებდა წამყვან გერმანულ გამოცემებში.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მუშაობდა იმპერიის პრესის განყოფილებაში (Reichspresseamt) ბრიუსელის საგენერალგუბერნატოროში და მხარს უჭერდა გერმანიის იმპერიის პოლიტიკას ბელგიის მიმართ. ერთი პერიოდი იბრძოდა კიდეც არტილერისტად დასავლეთის ფრონტზე, 1918 წ-დან კი კვლავ ჟურნალისტად დაბრუნდა ბერლინში. წლის ბოლოს ხდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მალე იკავებს რამდენიმე მნიშვნელოვან თანამდებობას: ინიშნება ფილიპ შაიდემანის პირად მდივანად, 1919 კი გერმანიის ხელისუფლების პრესის განყოფილების უფროსად.

1920 წ-ის სექტემბერში ვაიმარის რესპუბლიკამ დე იურე აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. იმავე წლის დეკემბერში გერმანიამ საქართველოში თავის წარმომადგენლად ულრიხ რაუშერი დამტკიცდა, რომელიც თბილისში 1921 წ-ის 8 იანვარს ჩამოვიდა. საქართველოს თავს დამტყდარი ბოლშევიკური აგრესიის გამო, ფაქტობრივად, მხოლოდ ომის ხანაში მოუწია საქართველოში ყოფნა. მუდმივად საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების გვერდით იმყოფებოდა ომის მიმდინარეობისას და დარჩა მასთან ევაკუაციამდე, რაც 1921 წ-ის მარტში განხორციელდა. ამის მერეც მთელი წლის მანძილზე ასრულებდა თავის მოვალეობას და გერმანიაში გაემგზავრა 1922 წ-ის დასაწყისში.

1922 წ-ის აპრილიდან იყო გერმანიის ელჩი მეზობელ პოლონეთში სიცოცხლის ბოლომდე. მხარს უჭერდა ტრადიციული გერმანულ-პოლონური მტრობის ჩარჩოებში მოქცევას და ურთიერთობის ნორმალიზებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ელჩობისას გერმანია-პოლონეთს შორის გაფორმებული ორი ხელშეკრულება, ე.წ. „ლიკვიდაციის ხელშეკრულება“ (31.10.1929), რომლის ძალითაც გერმანიამ და პოლონეთმა უარი თქვეს მსოფლიო ომისგან და ვერსალის ზავისგან მომდინარე ფინანსურ მოთხოვნებზე ერთმანეთის მიმართ და ასევე სავაჭრო ხელშეკრულება (17.3.1930). ურთიერთობების ნორმალიზაცია ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა. გარდაიცვალა გერმანიაში, შვარცვალდში ყოფნისას ხორხის ტუბერკულოზით.

ლიტ.: Kurt Doß, Zwlschen Welmar und Warschau, U. Rauscher, Deutscher Gesandter In Polen 1922-1930. Elne polltlsche Blographle, 1984 Franz Osterroth, Blographlsches LeXIkon des Sozlallsmus, Bd. 1, 1960 Wolfgang Elz: Rauscher, Ulrlch Karl Paul, Neue Deutsche Blographle, Band 21, Duncker & Humblot, Berlln 2003. Polltlsches ArchIV des Auswärtlgen Amtes, Relchskanzlel: R011823. Länderabtellung IV: R84084, R84085, R84086, R84107, R84108.

გიორგი ასტამაძე

რაუშერი ულრიხ

რაჭველიშვილი ქრისტეფორე ლუკას ძე (1894, სოფ. სხვავა, რაჭის მაზრა - 17.I.1937) - ფილოლოგი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი (პუბლიცისტური ფსევდონიმი - რაჭველი). საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი (1917 წ-დან). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1914-1927). სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიასა და ხარკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც სტუდენტთა მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის გარიცხეს და დააპატიმრეს, შემდეგ კი გაგზავნეს თავისუფალ გადასახლებაში. 1914-1917 წწ-ში სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამ პერიოდში თანამშრომლობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან და გ. მაჩაბლის დავალებით ეწეოდა ქართველ სტუდენტებში პროგერმანული ორიენტაციის პროპაგანდას.

რაჭველიშვილი ქრისტეფორე

სამშობლოში დაბრუნების შემდგომ მიიწვიეს საქართველოს ეროვნულ საბჭოში. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. მონაწილეობდა აფხაზეთში ეროვნული საბჭოს მიერ გაგზავნილ სპეციალურ დელეგაციაში. 1917 მისი მონაწილეობით დაარსდა „ქართველ სამხედროთა კავშირი“.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იყო მემარჯვენე ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი და თანამშრომლობდა პარიტეტულ კომიტეტთან. ჩეკამ დააპატიმრა და მეტეხის ციხეში იჯდა 1923 წ-ის ნოემბრიდან 1924 წ-ის ივნისამდე. შემდეგ პოლიტიკას ჩამოშორდა და ეწეოდა სამეცნიერო-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელგამში, ჟურნალ „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ რედაქციაში; „ქართული სიტყვიერების საუნჯის“ კოლეგიის წევრად; ენობრივი ნორმების დამდგენ სახელმწიფო კომისიაში. დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს სატელეგრაფო სააგენტოს სტილისტად. 1937 კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს შინსახკომის სამეულის დადგენილებით. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წ-ის 5 იანვრის გადაწყვეტილებით რეაბილიტირებულია. მისი პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

თხზ.: საქართველოს მოკლე ისტორია (დასაბამითგან 1917 წლამდე), თბ., 1925; საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1927; ქართული სტამბის წიგნი, თბ., 1934; ილია ჭავჭავაძე, თბ., 1937.

ლიტ.: ლ. ურუშაძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილის ბიოგრაფიისათვის, ჟურ. „ამირანი“, ტ. XIX, თბ., 2008; ბ. რაჭველიშვილი, ქარვის კრიალოსანი: მოგონებანი ქრისტეფორე რაჭველიშვილსა და მისი მეგობრების შესახებ, თბ., 2010; სტალინური სიები საქართველოდან, ელექტრონული ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტი.

ბონდო კუპატაძე

რეგულარული არმია - ქართული რეგულარული შენაერთების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო, მართალია თავიდან ამ ყველაფერს უფრო სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ 1917 წ-ის რევოლუციების შემდეგ კავკასიის ფრონტზე დაიწყო ნაციონალური შენაერთების ჩამოყალიბება. დაიგეგმა ქართული კორპუსის შექმნა, მაგრამ 1918 წ-ის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის არსებობდა რამდენიმე მცირერიცხოვანი ქართული პოლკი. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე 1918 წ-ის 2 ივნისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა სამხედრო უწყების დროებითი მმართველობის გეგმა. 1918 წ-ის 20 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი რეგულარული არმიის ორგანიზაციის, დებულება რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა, ასევე დებულება სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ. რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის დებულების მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების უზენაესი ორგანო ეროვნული საბჭო იყო, რომლის აღმასრულებელი ორგანო მთავრობაა, ეს უკანასკნელი კი თავის უფლებას შეიარაღებული ძალების მიმართ სამხედრო სამინისტროს მეშვეობით ახორციელებდა. სამხედრო სამინისტროს სათავეში იდგა სამხედრო მინისტრი. ომის დროს, მთავრობის საგანგებო დეკრეტით, ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელიც ოპერატიულ საქმეებში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. რესპუბლიკის რეგულარული ჯარი შედგებოდა ორი ქვეითი დივიზიის, ერთი ცხენოსანი ბრიგადის, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადის, სანაპირო ჯარის, საპიორთა ბატალიონის, სატექნიკო ბატალიონის, საავტომობილო ასეულის, ჯავშნოსანი ასეულისა და საავიაციო გუნდისაგან. ჯარის შევსება ხდებოდა საყოველთაო სამხედრო გაწვევის საფუძველზე. რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობა, ზურგის ნაწილებისა და სამხედრო სამინისტროს თანამშრომლების ჩათვლით, შეადგენდა 41 260 სამხედრო მოსამსახურეს. ამ რაოდენობის არმიის შენახვა ქვეყანას და მის ბიუჯეტს არ შეეძლო, ამიტომ 1919 ჩატარდა რეორგანიზაცია და პირადი შემადგენლობა მშვიდობიანობის პერიოდში 16 950 კაცამდე შემცირდა. ახალი ორგანიზაციის მიხედვით რეგულარულ ჯარში მშვიდობიანობის პერიოდში ირიცხებოდა: 3 საარმიო ქვეითი ბრიგადა; საარმიო არტილერიის დივიზიონი; ცხენოსანი რაზმი; სანაპირო რაზმი; საინჟინრო-სატექნიკო ძალები და სამხედრო სკოლა. ომის დროს ბრიგადები უნდა გაშლილიყო დივიზიებად, ხოლო ბატალიონები პოლკებად. 1920-1921 წწ-ში მცირე ცვლილებები შევიდა 1919 დამტკიცებულ შტატებში, რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობა 1920 წ-ის 25 ივნისის დეკრეტის საფუძველზე გაიზარდა 16 950-დან 19 630 კაცამდე.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული, თბ., 1990; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, 1 აგვისტო 1919 წ., თბილისი №162; სცსა. ფ. 1836. აღწ. 1, საქ. 412.

დიმიტრი სილაქაძე

რეგულარული ჯარის გენერალური შტაბი – რესპუბლიკის გენერალური შტაბი შედიოდა სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში განყოფილების სახით. შტაბს სათავეში ედგა გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც ომის დროს ინიშნებოდა არმიის საველე შტაბის უფროსად. 1918 წ-ის ორგანიზაციით გენერალური შტაბი შედგებოდა ექვსი სექციისაგან: 1. საოპერაციო - ამ სექციას ევალებოდა ჯარის შედგენა და ორგანიზაცია, მობილიზაცია, დაზვერვა, ჯარების გაწვრთნა და აღლუმი, ტერიტორიის დაცვა და რკინიგზის საქმე, საზღვრების დაცვა და საველე ჯარების ოპერაციები ომის დროს; 2. საორგანიზაციო - შეიმუშავებდა საკითხებს, რომლებიც შეეხებოდა ახალგაზრდების ჯარში გაწვევას, დისციპლინას, სამხედრო სკოლებს, სამსახურის წესრიგს, ჯარის შინაური ცხოვრების ვითარებას და სამხედრო გამოცემათა საქმეს; 3. საარტილერიო – განაგებდა ჯარისათვის ზარბაზნების, შაშხანებისა და სხვა საომარი იარაღისა და მასალის მიწოდების საქმეს, საარტილერიო ქარხნების, საწყობების, მსროლელთა სკოლებისა და სასწავლო პოლიგონების საქმეს; 4. საინჟინერო-სატექნიკო - სექცია უზრუნველყოფდა ტექნიკურ ნაწილებს მათთვის საჭირო მასალით და განაგებდა საინჟინრო-ტექნიკურ სკოლას; 5. სამხედრო-საზღვაო - შეიმუშავებდა სამხედრო-საზღვაო საკითხებს. 1919 ჩატარდა შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია, რომლის შემდეგაც გენერალური შტაბის განყოფილებაში დარჩა 4 სექცია: 1. ოპერატიული; 2. სამხედრო საზღვაო; 3. კანცელარია; 4. სამხედრო-საისტორიო არქივის წიგნთსაცავი. საარტილერიო და საინჟინრო-სატექნიკო სექციები სამნეო განყოფილების დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 1918 არსებული საორგანიზაციო სექცია - ოპერატიული სექციის დაქვემდებარებაში.

ლიტ.: სცსა. ფ. 1836. აღ. 1, საქ. 176. განმარტებითი წერილი სამხედრო სამინისტროს შტატებისათ-

ვის; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, 1 აგვისტო 1919 წ., თბ., №162.

დიმიტრი სილაქაძე

რევოლუციური კომიტეტი – 1921 წ-ის 26 იანვარს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ფაქტობრივად, გადაწყდა საქართველოს გასაბჭოება სამხედრო ინტერვენციის გზით. მოგვიანებით მხედველობაში მიიღეს სტალინის მიერ ადრე წამოყენებული წინადადება საქართველოს რომელიმე რაიონში შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. რკპ(ბ) კავკასიის ბიურომ წინასწარ შეარჩია აჯანყების ადგილი - ლორეს რაიონი, სადაც უნდა მომხდარიყო ადგილობრივი სომხურ-რუსული სოფლების მოსახლეობის გამოსვლა. 1920 წ-ის დეკემბრის მეორე ნახევარში შეიქმნა „მეამბოხეთა შტაბი“ , რომლის ხელმძღვანელად, ს. ორჯონიკიძის მითითებით, დაინიშნა ი. ლაზიანი. საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის ნაწილები 11-12 თებერვლის ღამეს თავს დაესხა ქართული არმიის ნაწილებს, ხოლო წითელი არმიის ძირითადი ძალები 16 თებერვალს შემოიჭრა საქართველოში აზერბაიჯანის მხრიდან. სწორედ ამ დროს, 1921 წ-ის 16 თებერვალს, კავბიუროს მითითებით, საქრთველოს კპ(ბ) ცკ-მა სოფ. შულავერში შექმნა ე. წ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც თითქოს უნდა ეხელმძღვანელა მშრომელთა აჯანყებისათვის. გარდა ამისა, რევოლუციურმა კომიტეტმა 16 თებერვალს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას თხოვნა, დახმარება აღმოეჩინა საქართველოს თითქოს აჯანყებული მშრომელებისათვის. სინამდვილეში ეს აქტი ცუდად შენიღბული ფარსი იყო, რადგან ამ დროს უკვე ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლები საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ძალებს შორის და საბჭოთა არმია უკვე შემოჭრილი იყო სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე. კრემლს თავი არ შეუწუხებია აჯანყების ინსცენირების სრულყოფილად შენიღბვისათვის. თვით რევოლუციური კომიტეტის ვითომდა ხელმძღვანელი ფ. მახარაძე „შულავერის კომიტეტის“ შექმნის დროს მოსკოვში იმყოფებოდა, ხოლო მეორე ყველაზე თვალსაჩინო ბოლშევიკი წევრი ბ. მდივანი - ოსმალეთში, როგორც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ამ ქვეყანაში. ფაქტობრივად, რევკომი კოსმეტიკური სტრუქტურა იყო, რომელიც ფორმალურად გამოდიოდა არარსებულ საქართველოს აჯანყებულ მშრომელთა სახელით. მიუხედავად ამისა, რევკომმა წარმატებით შეასრულა მეხუთე კოლონის ხელმძღვანელის ფუნქცია - უცხო სახელმწიფოს დამპყრობელ არმიას შემოუძღვა საკუთარ სუვერენულ სახელმწიფოში, საოკუპაციო არმიის ხელით დაამხო ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება და მასთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობაც. საქართველოს ხელისუფლებამ ერთადერთი და ადეკვატური შეფასება მისცა „შულავერის კომიტეტის“ მოქმედებას. 1921 წ-ის 21 თებერვალს შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა, რომლის მიერ მიღებული დადგენილებით, რევკომის წევრები: „ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებულ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებად, ჩამოერთვათ მათ მთელი ქონება და გამოცხადდნენ საქართველოს კანონთა მფლობელობის გარეშე“.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ რევკომი ფორმალურად ასრულებდა ქვეყანაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, რეალურად კი ემორჩილებოდა კავკასიის ბიუროს მითითებებს, რომელიც, თავის მხრივ, მოსკოვის ნების აღმსრულებელი იყო. 1922 წ-ის თებერვალში რევკომმა დაასრულა თავისი ერთწლიანი მარიონეტული ფუნქციონირება და ასევე ფორმალურად ხელისუფლება გადასცა ახალარჩეულ საბჭოებს, რომელიც უკვე სამმაგი დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდა - რკპ (ბ) ცკ-ისა, კავკასიის ბიუროსი და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ისა. ქართველი ბოლშევიკ-კომუნისტების ნაწილს იქნებ მართლაც სჯეროდა, რომ გასაბჭოებული საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი აღიარებდა, რომ საქართველოში საბჭოთა რუსეთის ინტერვენცია და ოკუპაცია განხორციელდა. 1921 წ-ის 6 დეკემბერს ფ. მახარაძე რკპ(ბ) ცკ-დმი დაწერილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ 1921 წ-ის დასაწყისში საქართველოში არავინ აჯანყებულა და კომუნისტური ორგანიზაციებიდან არავის უფიქრია არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლაზე, ხოლო „საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარებს შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო“. თავდაპირველად და არაოფიციალურად, იმავეს აღიარებდნენ სხვა კომუნისტი ლიდერები (სტალინი, ტროცკი, ორჯონიკიძე...).

ლიტ.: ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.

დიმიტრი შველიძე

რელიგიის საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში –საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში ყურადღება ეთმობოდა რელიგიის საკითხს და მართლმადიდებელი ეკლესიის როლს. ამ კუთხით მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წ-ის 28 ნოემბრის კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა, რაც ითვალისწინებდა: 1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა. 2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის; 3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წ-ის ივლისის 5-ის კანონით; 4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოთ სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას. 5. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთავრობის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“-ში. შემდეგი იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წ-ის 17 ივნისის კანონი უქმე დღეების შემცირებისა, რომლითაც გაუქმდა მირქმა უფლისა - თებერვლის 15; აღდგომის მესამე დღე - სამშაბათი, მეორე დღე სულიწმინდის მოფენისა, ფერისცვალება უფლისა - აგვისტოს 19, მიძინება ღვთისმშობლისა - აგვისტოს 28, ჯვართ-ამაღლება - სექტემბრის 27 და ტაძრად მიყვანება -დეკემბრის 4. რელიგიის თემატიკა ასევე აისახა 1921 წ-ის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, სადაც თავი 16 ეხება სახელმწიფოს და ეკლესიას, რომლის მიხედვითაც:

რენოდელი პიერ

მუხლი 142. სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143. არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა; მუხლი 144. ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990.

მიხეილ ქართველიშვილი

რელიგიური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა რამდენიმე ასპექტით გამოვლინდა: 1. ქონებრივი საკითხი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იურიდიულად უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის უფლება ჩამოართვა და ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, ამით ეკლესიას არსებობის მატერიალური შესაძლებლობა წაერთვა და ის მხოლოდ მრევლისგან შენაწირი თანხის იმედად დატოვა, რაც, თუ გავითვალისწინებთ იმ დროინდელი საზოგადოების მძიმე ეკონომიკურ ყოფას, მისი მძიმე მდგომერეობისათვის გაწირვის ტოლფასი იყო; 2. სასულიერო განათლების საკითხი, რომლის მიხედვითაც ყველა სახის სასულიერო განათლება გაუქმდა, მათ შორის სასულიერო სემინარია რიგით და ჩვეულებრივ დაწესებულებად გადაკეთდა. ეს ყველაფერი მართლმადიდებელ ეკლესიას საშუალებას უსპობდა, აღეზარდა მომავალი სასულიერო კადრები; 3. სასულიერო გამოცემების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რელიგიურ თემატიკაზე ოფიციალური ცენზურა არ არსებობდა, რელიგიური შინაარსის გამოცემები უკიდურესად შეზღუდული რაოდენობით იბეჭდებოდა, გარდა ამისა, სახელმწიფომ არ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის პერიოდული გამოცემის საკითხი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისადმი მთავრობის სოციალისტური იდეოლოგიით უნდა აიხსნას. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალა მკვეთრად სეკულარისტულ პოლიტიკას ატარებდა. ხელისუფლება მედიის მეშვეობით მკვეთრ ანტირელიგიურ პროპაგანდას არ აწარმოებდა.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990; ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წ. წ., თბ., 2000; ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008.

მიხეილ ქართველიშვილი

რენოდელი პიერ (19.XII.1871, ნორმანდია - 1.IV. 1935, პალმა დე მალიორკა) - ფრანგი სოციალისტი. საფრანგეთის პარლამენტის წევრი. მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი. განათლება მიიღო საექიმო სასწავლებელში. ახალგაზრდობიდანვე ჩართული იყო პოლიტიკურ საქმიანობაში. 1899 შეუერთდა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას. მარსელ სამბასთან ერთად იყო რადიკალური მემარცხენე ბლანკისტური სოციალ-რევოლუციური ფრაქციის (პარტიის) ლიდერი. წლების განმავლობაში პარტიის დავალებით ეწეოდა პროპაგანდისტულ საქმიანობას. აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა და სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესებში. 1906 წ-დან იყო საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მთავარი პოლიტიკური გამოცემის „l'Humanité“-ს რედაქტორი. 1914 ფრანგ სოციალისტთა ლიდერის, ჟან ჟორესის, მკვლელობის შემდეგ, გახდა ჟურნალის დირექტორი და პარტიის ლიდერი. 1914 არჩეულ იქნა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პარლამენტის წევრად.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას სოციალისტურ პარტიასა და სოციალისტურ

ინტერნაციონალში. 1919 დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში. მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის მცირე ერთა დამოუკიდებლობის იდეას. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ჩხეიძე რენოდელს მოიხსენიებს როგორც ყველაზე ერთგულ მეგობარს, რომელიც ეხმარება ფრანგ და ევროპელ სოციალისტებთან კავშირების დამყარებაში. 1920 როგორც მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი, იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოს მოქალაქეებს საზეიმო მიტინგებზე სიტყვით მიმართა თბილისსა და გურჯაანში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჟურნალ „La Vie Socialiste"-ში, რომელსაც თავადვე რედაქტორობდა, არაერთი დადებითი სტატია გამოაქვეყნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ აკრიტიკებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს. დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილ მთავრობას. XX-ის 20-30-იან წწ-ში აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, 1924-1935 წწ-ში იყო საფრანგეთის პარლამენტის წევრი, 1932 წ-დან ნეო-სოციალისტური მიმართულების ჯგუფის ლიდერი.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბ., 2003; ნ. კ ი რ თ ა ძ ე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921), თბ., 1997; Mandats à l›Assemblée natlonale ou à la Chambre des députés (http://www2. assemblee-natlonale. fr); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920, №209, №210, №216; გაზ. „ერთობა", 1920, №212.

ირაკლი ირემაძე

რესპუბლიკის ჯარი – პირველი რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი გამოიცემოდა 1918-1919 წწ-ში. სულ გამოიცა 17 ნომერი. ჟურნალის ერთი ნომერის ფასი იყო 1 მან. და 50 კაპ.. ჟურნალში მოთავსებული იყო სამხედრო სამინისტროს მიერ გაცემული ოფიციალური ბრძანებები. იბეჭდებოდა პროპაგანდისტული ხასიათის შეგონებები და ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნებოდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა დამოკიდებულებას, ჯარში სამსახურის მნიშვნელობას დემოკრატიულ სახელმწიფოში, დისციპლინის, დეზერტირობის პრობლემას. ქვეყნდებოდა რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური მეთაურების ფოტოები, მასალები საქართველოს და მსოფლიოს სამხედრო ისტორიიდან, მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ქრონიკა. განიხილავდნენ სხვადასხვა საბრძოლო ტაქტიკას.

ლიტ.: ჟურ. „რესპუბლიკის ჯარი", 1918-1919, №1-17.

დიმიტრი სილაქაძე

რობაქიძე გრიგოლ ტიტეს ძე (28.X.1882, სოფ. სვირი - 19.XI. 1962, ჟენევა) - ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის დასრულების შემდეგ სწავლა ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, საიდანაც ერთ წელში, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, გარიცხეს. 1902 სწავლა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1908 დაბრუნდა საქართველოში და მალე ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1915 იყო „ცისფერყანწელების" ორდენის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1917 წ-ს მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917 რამდენიმე თვე სპარსეთის ომში გაატარა. 1918-1921 წწ-ში მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. მისი წერილები ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა გაზეთებში: *„საქართველო"* და *„კავკაზი"* ფსევდონიმებით *„გივი გოლენდი"* და *„გ. რობაქიძე-კავკასიელი"*. 1918 გივი გოლენდის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ესეი „გიორგი შერვაშიძე". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ აირჩიეს დოცენტად ქართული ლიტერატურის კათედრაზე. 1919 თბილისში რუსულ ენაზე დაიბეჭდა ესეების კრებული „პორტრეტები". საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მუშაობდა სახელმწიფო საქმეთა სამმართველოში, იყო მთავრობის სხდომების მდივანი. იმავდროულად კითხულობდა ლექციებს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე ფილოსოფიისა და პოეზიის უახლესი მიმდინარეობების შესახებ. 1919 ეპიზოდურად მონაწილეობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში, როგორც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი. იმავე წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა ქართული ლეგაცია სტამბოლში. 1920-21 წწ-ში ასწავლიდა გერმანულ რომანტიზმს თბილისის უნივერსიტეტში. 1920 წ-ის 18 ოქტომბერს გაზეთ „ბარრიკადის" პირველ ნომერში გამოქვეყნდა მისი კრიტიკული წერილი „საქანელა და სახჩობელა", 1920 წ-ის 25 ოქტომბერს წერილი ნოე ჟორდანიას შესახებ. 1920 თანამშრომლობდა ჟურნალ „შვილდოსანთან". 1920 წ-ის სექტემბერში შთამბეჭდავი სიტყვით მიესალმა საქართველოში მყოფ ევროპის სოციალისტთა დელეგაციას.

რობაქიძე გრიგოლ

საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის დამყარების შემდეგ ხელმძღვანელობდა ხელოვნების განყოფილებას განათლების კომისარიატში, აქტიურად მონაწილეობდა ქაშუეთის ტაძრის გადარჩენაში. 20-იანი წწ-ის დასაწყისში ქართული თეატრის სცენაზე იდგმებოდა მისი პიესები: „ლონდა", „მალშტრემი" და „ლამარა". 1925-26 წწ-ში ჟურნალ „მნა-



როსტომაშვილი ივანე

როინიშვილი იოსებ

რომანიშვილი-დგებუაძისა სოფიო

თობში" გამოქვეყნდა რომანი „გველის პერანგი" . 1931 წ-დან გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური ემიგრანტი: 1946 წ-მდე ცხოვრობდა გერმანიაში, ხოლო 1946 წ-დან - შვეიცარიაში. 1942 მისი უშუალო მონაწილეობით ემიგრაციაში დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი. 30-იან წწ-ში გერმანიაში დაიბეჭდა მისი ნაწარმოებები: „კავკასიური ნოველები", „მეგი", „ქალღმერთის ძახილი", „დემონი და მითოსი (მაგიური ჩანახატები)", „გრაალის მცველნი", მათ შორის ბროშურები ჰიტლერსა და მუსოლინიზე.

ლიტ.: აკ. ბ ა ქ რ ა ძ ე, *კარდუ, ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი*, „ლომისი", თბ., 1999; გრ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ჩემი ცხოვრება, *ნაშრომების კრებული*, „ბარრიკადი", 18 ოქტომბერი, 1920; „საქართველოს რესპუბლიკა", 13 თებერვალი, 1920.

ეკა ჯავახიშვილი

როინიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე (7.XII.1874-?) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1894). პორუჩიკი (1898). შტაბსკაპიტანი (1902). 1905 წ-ს პირველი თანრიგით დაამთავრა ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიული აკადემია. კაპიტანი (1905). მსახურობდა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში. 1908 წ-დან პეტერბურგის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებელია. პოდპოლკოვნიკი (1908), 1909 წ-დან - კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე. პოლკოვნიკი (1912, წარჩინებისთვის). დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენებით.

1918 წ-დან საქართველოს სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეა. გენერალი (1918). 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

რომანიშვილი-დგებუაძისა სოფიო - მსახიობი. 1899 წ-ს სახალხო თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა. მონაწილეობდა „დრონი მეფობენში" - ნატოს როლში, „ორ ობოლში" კი ასრულებდა ლუიზას. პარალელურად გამოდიოდა ნაძალადევის სცენაზე. რამდენიმე თვით გაემგზავრა რუსეთში. 1900 წ-ს დაბრუნდა საქართველოში, სახალხო სახლში დაიწყო მუშაობა და სცენას აღარ ჩამოშორებია. უბინაო სახალხო თეატრი მის სახლში მართავდა რეპეტიციებსა თუ გამგეობის კრებებს. მისგანვე მოჰქონდათ წარმოდგენებისთVის საჭირო ინვენტარი. სახალხო თეატრთან ერთად აგრძელებდა მუშაობას. 1920 წ-ის 20 აპრილს ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობამ სახალხო სახლში სასცენო მოღვაწეობის 20 წლის იუბილე გადაუხადა.

ლიტ.: ჟურ. "თეატრი და ცხოვრება", 1920, №14.

სალომე ჭანტურიძე

როსტომაშვილი ივანე - ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ყოფილი ანარქისტი, შემდეგ სოციალ-დემოკრატი. იმყოფებოდა ციმბირის ციხეში, რევოლუციის შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა.შორეულ აღმოსავლეთსა და იაპონიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი რწმუნებული იყო. 1920 წ-ის დეკემბერში იგი ტრაპიზონში ანგორის მისიაში გასამგზავრებლად წასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა, მომარაგების სამინისტროს დავალებით და კონსტანტინოპოლში მიემგზავრებოდა. ტრაპიზონში ინახულა სოლომონ მეორის საფლავი და ამასთან დაკავშირებით უთქვამს: „სოლომონი პირველ რევოლუციონერად ითვლებაო".

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003.

ლელა სარალიძე

როსტომბეგოვი ვალერიან ნიკოლოზის ძე (1878, თბილისი - 1965, თბილისი) - სწავლობდა თბილისის I გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1899 და სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, 2 წლის შემდეგ გადავიდა საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც 1911 დაამთავრა. 1911-1915 წწ-ში მუშაობდა ხარკოვის სამედიცინო-ვეტერინარულ და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში.

1920 წ-დან მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავდაპირველად ასისტენტად, ხოლო შემდგომში ლექტორად და კათედრის გამგედ.

1930 წ-დან იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი. მას ეკუთვნის ქართულ ენაზე ფუნდამენტური სახელმძღვანელო სამედიცინო პარაზიტოლოგიაში. მის სახელს ატარებს თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი ლაბორატორია.

ლიტ.: ზ. გ ა ი პ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები – რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის თებერვალ-მარტის ომი დაიწყო 11/12 თებერვლის ღამეს ბორჩალოს მაზრის საქართველო-სომხეთს შორის არსებულ სადავო ნეიტრალურ ზოლში, სადაც გან-

ლაგებულ ქართულ ნაწილებს თავს დაესხა საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შენაერთები და ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ნაწილი, რომელიც წინასწარ იყო გაწრთვნილი თავდასხმისათვის, ასევე სომხური წითელი არმიის ნაწილები. სომხეთის მიმართულებაზე მდგარი ქართული ჯარების ერთი ნაწილი პირველივე ბრძოლაში ჩავარდა ტყვედ, ქართულმა არმიამ, რომელსაც გენერალი ილია ოდიშელიძე სარდლობდა, 14 თებერვლიდან სცადა სომხეთის მიმართულებიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ კონტრშეტევაზე გადასვლა, მაგრამ მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. 1921 წ-ის 16 თებერვალს რუსული მე-11 არმიის ძირითადი ნაწილები წითელი ხიდის და ფოილოს ხიდების მიმართულებიდან შემოიჭრა საქართველოში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტზე განლაგებული ქართული ჯარების უმეტესი ნაწილი, რომელთაც გენერალი იოსებ გედევანიშვილი სარდლობდა, ან ტყვედ ჩაიგდო, ან დაფანტა, ხოლო ჯარისკაცთა ნაწილი დაიღუპა და დაიჭრა. შექმნილ მძიმე ვითარებაში ქართული არმიის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. 17 თებერვალს რუსული არმია უკანდახეული ქართული ნაწილების დევნას განაგრძობდა, ასევე მოწინააღმდეგის ერთი მსროლელი ბრიგადა და ცხენოსანი დივიზია საქართველოში შემოიჭრა ზაქათალის ოლქიდან. გენერალმა გიორგი კვინიტაძემ თბილისში მდგომი ნაწილებითა და რეგიონებიდან გადმოსროლილი მცირე ძალებით თბილისთან თავდაცვის სამი სექტორი მოაწყო. მარჯვენა, კოჯორ-ტაბახმელას სექტორი გენერალ ალექსანრდე ანდრონიკაშვილი მეთაურობით, ცენტრალური - თელეთის ქედის გაყოლებით მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, მარცხენა - მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ორხევამდე გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით. პირველი შეტევა მოწინააღმდეგემ 18-19 თებერვლის ღამეს მიიტანა გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებზე, ქართულმა არმიამ მოწინააღმდეგის შეტევა მოიგერია და 1000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდო, ამ ბრძოლამ თითქმის სრულად გაანადგურა რუსეთის მე-11 არმიის მეოცე მსროლელი დივიზიის 58-ე მსროლელი ბრიგადა. 19-21 თებერვალს რუსულმა არმიამ დიდი იერიში მიიტანა თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორზე, თუმცა მოწინააღმდეგის ყველა შეტევა მოგერიებულ იქნა კოჯორ-ტაბახმელაში განლაგებული იუნკრების, არმიისა და გვარდიის ძალების მიერ. ამავე პერიოდში მოწინააღმდეგის შეტევები მოიგერიეს თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორში. 22-23 თებერვალს თბილისთან მხოლოდ მცირე შეტაკებები ხდებოდა. რუსულმა სარდლობამ თბილისზე გადამწყვეტი შეტევა დაგეგმა 24 თებერვალს, 23 თებერვალს ფოილოს სარკინიგზო ხიდის აღდგენის შემდეგ, რომელიც 16 თებერვალს ქართულმა არმიამ ააფეთქა უკან დახევისას, რუსულმა არმიამ აზერბაიჯანის მხრიდან მიიღო დამატებითი ძალები, მათ შორის ტანკები და ჯავშანმატარებლები. დედოფლისწყარო-ვაზიანის მხრიდან თბილისს მოუახლოვდა რუსული მე-18 ცხენოსანი დივიზია. 24 თებერვალს მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა თბილისთან, მოწინააღმდეგე განსაკუთრებულად უტევდა თბილისის თავდაცვის მარცხენა ფლანგს, ასევე თბილისის თავდაცვის მარჯვენა ფლანგზე არსებულ სტრატეგიულ სიმაღლეებს. დღის ბოლოს არსებული მდგომარეობით, მოწინააღმდეგემ თბილისის თავდაცვის გარღვევა ვერ შეძლო, თუმცა აიღო ერთი სტრატეგიული სიმაღლე 1496, თუმცა რუსები მყარად ვერ გრძნობდნენ თავს ამ ადგილას. თბილისის თავდაცვის მთავარი პრობლემა, მთავარსარდლის, გენერალი გიორგი კვინიტაძის აზრით, იყო ის, რომ მოწინააღმდეგის ცხენოსანი შენაერთები უვლიდნენ ქართველთა ფლანგებს და იქმნებოდა მთელი არმიის ალყაში მოხვედრისა და განადგურების საფრთხე. მთავარსარდალს რეზერვში არცერთი ჯარისკაცი აღარ ჰყავდა და ამიტომ მან თბილისიდან მცხეთისაკენ უკან დახევა გადაწყვიტა, რათა ფრონტის ხაზი შეემოკლებინა და იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა. მცხეთისკენ უკანდახეულმა ქართულმა ძალებმა ვერ შეძლეს გამაგრება ვერც მცხეთასთან, ვერც გორთან და მხოლოდ ხაშურთან მოახერხეს ბრძოლის გამართვა. უკან დახევისას ჯარის მორალური სულისკვეთება დაეცა, გახშირდა დეზერტირობის ფაქტები. 4-6 მარტს გაიმართა დიდი ბრძოლა ქართულ და რუსულ არმიებს შორის, ბრძოლა დაიწყო ოსიაურთან ქართველთა შეტევით. გენერალ კვინიტაძის მიზანი იყო თბილისიდან ხაშურამდე გაწელილი რუსული ძალების ავანგარდის ალყაში მოქცევა და განადგურება. 4 მარტს, მიუხედავად ქართული ძალების უპირატესობისა, ვერ მოესწრო მოწინააღმდეგის ავანგარდის განადგურება, ხუთი მარტის ღამეს კი ქართველთა მარცხენა ფლანგი თვითნებურად მოიხსნა, 5 მარტს გაძლიერებულმა რუსულმა ძალებმა უკან დაახევინეს ქართველებს და შემდეგ დღეს ლიხის ქედიც გადალახეს. ქართულმა არმიამ ქუთაისისაკენ დაიხია. თბილისთან ბრძოლების პარალელურად საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა სხვა ფრონტებზეც. 1921 წ-ის 19 თებერვალს აფხაზეთში შემოიჭრა საბჭოთა რუსეთის მე-9 არმიის 31-ე დივიზია. მოწინააღმდეგემ 23 თებერვალს დაიკავა გაგრა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ფრონტზე მებრძოლ ქართულ ნაწილებს ზღვიდან დახმარებას უწევდა ფრანგული საზღვაო ესკადრა. 28 მარტს ქართველებმა ერთი დღით დაიბრუნეს გაგრა, თუმცა მალევე დაკარგეს და ახალი ათონის პოზიციებზე გამაგრდნენ. ორდღიანი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგემ ახალი ათონის პოზიციები გაარღვია და 4 მარტს სოხუმი აიღო, 9 მარტს კი უკვე ზუგდიდი. საბჭოთა რუსეთის თერგ-დაღესტნის ჯგუფის ძალე-

ბი უტევდნენ საქართველოს ჩრდილოეთიდან: დარიალის ხეობით, თრუსოს, როკის, მამისონის და ღების უღელტეხილებიდან. განსაკუთრებით სახიფათო იყო 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადის მოქმედებები მამისონის უღელტეხილიდან. ამ ბრიგადამ მცირე ბრძოლებით დაიკავა რაჭა და ჩრდილოეთიდან მიუახლოვდა ქუთაისს. 1921 წ-ის 10 მარტს მოწინააღმდეგემ დაიკავა ქუთაისი, ქართულმა არმიამ დაიხია სამტრედიისაკენ. ამ დროს აღმოსავლეთიდან, რაჭისა და აფხაზეთის მიმართულებიდან, დაძრულმა რუსულმა ძალებმა მოინდომეს სამტრედია-სენაკის მონაკვეთზე ქართული არმიის ალყაში მოქცევა და განადგურება, მაგრამ სენაკის მხრიდან დაძრული რუსული ნაწილების მოგერიება მოხერხდა მდინარე ცივთან, ამის შემდეგ ქართულმა არმიამ დატოვა სამტრედია, გადავიდა მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე და გამაგრდა საჯავახოს ხაზზე. 14 მარტს საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა, ამ დროს რუსული არმიის ერთი დაჯგუფება დიმიტრი ჟლობას მეთაურობით გოდერძის უღელტეხილის გავლით მიიწევდა ბათუმისაკენ და ქართული არმიის ზურგში გადიოდა. 17-18 მარტს ქუთაისის მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთსა და საქართველოს ჯარებს შორის საბრძოლო მოქმედებები საბოლოოდ შეწყდა.

ლიტ.: მ. ბახტაძე, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბ., 2013.

დიმიტრი სილაქაძე

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ამიერკავკასიის VI საოლქო ყრილობა და ეროვნული საკითხი – პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლუციამ ქართველ სოციალ-დემოკრატებს „საკუთარი თვალით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული ასწავლა“ (გ. ქიქოძე). მათ განსჯის საგნად საქართველოს მომავლის საკითხი გაიხადეს, ეროვნული ღირებულებებისაკენ შემობრუნდნენ. ამის დადასტურება რსდმპ (მენშევიკების) ამიერკავკასიის საოლქო ყრილობა იყო. ყრილობა 1917 წ-ის 11 ივნისს დაიწყო. იგი შესავალი სიტყვით ს. ჯიბლაძემ გახსნა. ყრილობას ამიერკავკასიის 41 ორგანიზაციის 60 ათასი წევრის სახელით 231 დელეგატი ესწრებოდა. დღის წესრიგის 15 განსახილველი საკითხიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ეროვნული საკითხი. ყრილობის მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი ნ. ჟორდანიას მოხსენებამ - „ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში“ - გამოიწვია. ქართველი და კავკასიელი სოციალ-დემოკრატების ლიდერმა წინ წამოსწია მშობლიური ენის გასახელმწიფოებრიობისა და დაწესებულებათა ნაციონალიზაციის აუცილებლობა. რუსული ორიენტაციის მიუხედავად, მან მხარი დაუჭირა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის იდეას. ასევე, მან მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ხალხთა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) გაერთიანებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნის სახით. ამიერკავკასიის ერთა კანტონი, სამივე ერის ავტონომიურ ერთეულებს უნდა დაფუძნებოდა. კავკასიის ერთა გაერთიანების ჟორდანიასეული ეს მოდელი შვეიცარიის სინამდვილიდან იყო აღებული. რსდმპ (მენშევიკების) ამიერკავკასიის VI ყრილობის მიერ მიღებული 12 რეზოლუცია ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის საფუძვლის მომზადებას ითვალისწინებდა და მის გადაწყვეტას რუსეთის დამფუძნებელ კრებას უკავშირებდა. ყრილობამ რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაციების წესდება დაამტკიცა, რითაც განსაზღვრა მათი სტრუქტურა და წევრთა მოვალეობა. ყრილობამ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი აირჩია: ნ. ჟორდანია (თავმჯდომარე); მოადგილეები: ნ. რამიშვილი და გ. ყარაჯაევი. მდივანი ბ. ჩხიკვიშვილი; წევრები: ს. ჯიბლაძე, ა. ზურაბოვი, ნ. ხომერიკი, ა. ერზინკიანი, ვ. ჯიბლაძე, ე. ნარიმანოვი, მიხაილჩენკო, ა. წულაძე.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, სოციალ-დემოკრატიული პარტია პოლიტიკური სიტუაციისა და საქართველოს ავტონომიის შესახებ (რსდმპ ა/კ-ის VI საოლქო ყრილობის მასალების მიხედვით), იხ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I, თბ., 2003.

შოთა ვადაჭკორია



რუსიშვილი რაჟდენ

რუსია მელიტონ ივანეს ძე (მეტსახელი: Переводчик) (1878 სოფ. ლანჩხუთი - 1951) - საშუალო განათლება ლანჩხუთში მიიღო, რის შემდეგაც კერძო პედაგოგობა დაიწყო. სასწავლებლად ხარკოვში გაემგზავრა, თუმცა სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო სასწავლებლიდან გარიცხეს. 1904 წ-დან თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი გახდა. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური ჩართულობის გამო 1905 5 წლით გადასახლება მიესაჯა. 1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოს (შემდგომში - პარლამენტი) წევრი ხდება. 1919 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით დამფუძნებელი კრების წევრად ირჩევენ. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ გაემგზავრა ემიგრაციაში საფრანგეთში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

რუსიშვილი რაჟდენ გრიგოლის ძე (5.X.1900, თელავი - 15.I.1984, ილი, დიდი ბრიტანეთი) - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ე-

რთი პირველი სტუდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი. დაიბადა თავად გრიგოლ გიორგის ძე ყორჩიბაშ-რუსიშვილისა და ნატალია ილიას ასული ჯანდიერის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო თელავში. დაამთავრა თბილისის გიმნაზია (1917). 1918 სწავლა დაიწყო თბილისში ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში, სადაც ოჯახის ახლობლის, ივანე ჯავახიშვილის, რჩევით, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მას მუდამ ახსოვდა დიდი მეცნიერის შემდეგი შეგონება: „XX საუკუნე - ტექნიკის საუკუნე იქნება და ამ სფეროში საქართველოს კვალიფიციური სპეციალისტები დასჭირდება“. პეტრე მელიქიშვილის ხელმძღვანელობით დასპეციალდა ქიმიაში, რომელიც თავის სამოღვაწეო სფეროდ აირჩია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში, ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით, გაიგზავნა გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად. გერმანიაში ჩასულს დახვდნენ ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, რომლებიც ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ 1919 ჩავიდნენ თბილისის უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, რეკომენდაციით. დაამთავრა მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქიმიის დარგში და მოიპოვა დოქტორ-ინჟინრის ხარისხი (1928).

მისი ნაშრომები იბეჭდებოდა გერმანიაში გამომავალ ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. მათი თანაავტორი ზოგჯერ იყო მისი უახლოესი მეგობარი, ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკოსი ალექსანდრე ნიკურაძე. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული და ჩრდილოკავკასიური ემიგრაციის ცნობილ წარმომადგენლებთან, მათ შორის, ეროვნულ გმირ ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილსა და გენერალ გიორგი კვინიტაძესთან, რომლებსაც ჯერ კიდევ საქართველოდან იცნობდა, როგორც თავისი მშობლების ახლობლებს, მწერალ გრიგოლ რობაქიძესთან, დაღესტნელ მხატვარ ჰალილ ბეგ მუსაიასულთან (მუსაევთან), რომელიც წარმოშობით ქართველი იყო, სტუდენტობის მეგობარ გიორგი მაღალაშვილთან და სხვ. არასდროს ჩარეულა პოლიტიკაში და მხოლოდ ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით მიუნხენში მოქმედი ქიმიური ლაბორატორიის სტუმართა შორის იყვნენ როგორც ქართველი, ასევე გერმანელი მოღვაწენი, მათ შორის, თომას მანი და სხვ. II მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე საცხოვრებლად გადავიდა დიდ ბრიტანეთში, სადაც დასახლდა ქალაქ ილიში. აქტიურად განაგრძობდა სამეცნიერო მოღვაწეობას. იყო რამდენიმე მსხვილი სასურსათო ფირმის ტექნიკური კონსულტანტი. სამეცნიერო მივლინებით აგზავნიდნენ მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის, ინდოეთსა და თურქეთში, სადაც იმოგზაურა ტაო-კლარჯეთსა და ჭანეთში. დიდი ბრიტანეთის მოქალაქის რანგში 1973 წ-დან რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში დარჩენილი ნათესავების მოსანახულებლად. ქ. ილიში, ფილდსაიდის ქუჩაზე მდებარე საკუთარი ორსართულიანი სახლის ეზოში გაახარა ვაზი, რითაც განცვიფრებაში მოჰყავდა ამ ქვეყნის მცხოვრებნი. გარდაიცვალა ილიში, საიდანაც მისი ფერფლი სამშობლოში გადმოასვენა დამ - დარია რუსიშვილმა (1904-1992). დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, თავისი ძმის, თერაპევტ გიორგი რუსიშვილის (1892-1958) გვერდით. მისი არქივი და სადოქტორო დისერტაცია დაცულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, რაჟდენ რუსიშვილი - ქართველი მეცნიერი უცხოეთის ცის ქვეშ (ფესვები, ტრადიციები, მოღვაწეობა), ჟურ. „ისტორიანი”, თბ., 2014, №12.

ნიკო ჯავახიშვილი

რუხაძე ვარლამ ალექსის ძე (5.XI.1874, სოფ. ქუტირი - 23.X.1935) - ქართველი მწერალი და მთარგმნელი. ლექსებს ბეჭდავდა „კვალში“, „მოამბეში“, „თანამედროვე აზრში“ და სხვა. აქტიურად მონაწილეობდა სალიტერატურო ცხოვრებაში. 1898-1899 წწ-ში გამოაქვეყნა პირველი ლექსები, პირველი წიგნი „ლექსები და მოთხრობები“, რომლებიც 1902 აკრძალა ცენზურამ. მისი კრებულებია: „ცისკარი“ (1904), „თაიგული“ (1910), „ზღაპრები და არაკები“ (1916), „ცხოვრების ყვავილები“ (1919), „რჩეული ლექსები“ (1931). წერდა საბავშვო თხზულებებს, ნათარგმნი აქვს ა. პუშკინის პოემები.

რუხაძე ვარლამ

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. 1919 წ-ის 12 იანვარს გაზ. „ერთობამ“ გამოაქვეყნა მისი ლექსი მისალმება (ჯარს და გვარდიას). მონაწილეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის თაოსნობით გამართულ ლიტერატურულ დილაში. მუშათა ცენტრალურ კლუბში, საზოგადო მოღვაწის და ქართველი მწერლის იასე რაჭველის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე „საღამო სოსიას ღელე“ ლექსი წაიკითხა. მონაწილეობდა მეორე ქართულ კლუბში, სალიტერატურო-საკონცერტო საღამოში.

ლიტ.: მწერალთა ავტობიოგრაფიები (I), კრებული, გამომც. „ლიტერატურის მუზეუმი“, თბ., 2013; გაზ. ”ერთობა”, 1919, №8; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №788.

გაგა ლომიძე

რუხაძე ლევან პორფილეს ძე (1884, დაბა ხონი - X.1937, სემიპალატინსკი, ყაზახეთი) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში, განათლება მიიღო საოსტატო სასწავლებელში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ახალგაზრდობიდანვე შეუერთდა რსდმ პარტიას. 1917 წ-ის დეკემბერში აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წითელი გვარდიის შექმნაში.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას, აქვეყნებდა სტატიებს გაზ. „ერთობაში“. აქტიურ პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ საქმიანობაში იყო ჩაბმული ახალციხის მაზრაში. იყო საქველმოქმედო საზოგადოებების წევრი. მისი თაოსნობით აღდგა ობოლთა თავშესაფარი და სხვა დაწესებულებები ახალციხეში. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიიდან, გვარდიის ყრილობაზე კი გვარდიის მთავარი შტაბის წევრად. 1920 წ-ის სექტემბერში მონაწილეობდა ევროპელი სოციალისტების დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლისას დახვედრის ცერემონიალში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. მონაწილეობდა ანტისაბჭოთა გამოსვლებში. 1922 გადაასახლეს საქართველოდან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოთავსებული იყო სუზდალის ციხეში, სადაც მასთან ერთად არაერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე იყო, მათ შორის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, სახალხო განათლებისა და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე. სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ყაზახეთში. 1937 წ-ის ოქტომბერში ე.წ. „ტროიკის“ გადაწყვეტილებით დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №136, 1920, №210.

ირაკლი ირემაძე



რცხილაძე გრიგოლ

რცხილაძე გრიგოლ (გიგო) სიმონის ძე (ფსევდ. ზანგი) (1876, სოფ. ფანიანი, სიღნაღის მაზრ. - 1934, თბილისი) პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია, შემდეგ, 1902 პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი. 1901 მონაწილეობდა მომავალი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაარსების პროცესში. 1902 წ-დან მუშაობდა ამ პარტიის მომავალი ცენტრალური ორგანოს, გაზ. „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, წერდა მოწინავეებს, შესანიშნავ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. 1906-1907 წწ-ში იყო პარტიის ცენტრალური ორგანოების, გაზ. „შრომის“, „მეგობარის“ რედაქტორი, რის გამოც დააპატიმრეს და ერთი წელი მეტეხის ციხეში იჯდა (1909). მონაწილეობდა პარტიის II კონფერენციაში, რომელმაც დაავალა პარტიის პროგრამის შედგენა. სოც-ფედ. პარტიის III დამფუძნებელმა კონფერენციამ მიიღო გ. რცხილაძის მიერ შემუშავებული პარტიის პროგრამა. ამავე კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ). პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე. 1908 წ-ს აირჩიეს „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ საბჭოს თავმჯდომარედ. მისი რედაქტორობით გამოვიდა ლიტერატურული კრებული „გრდემლი“.

1917 წ-ის რევოლუციების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-პოლიტიკურ პროცესებში. იგი კვლავ რჩებოდა სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად და ერთ-ერთ ლიდერად. 1917 გამოაქვეყნა წიგნი „ამიერკავკასიის თვითმმართველობა“, რომელშიც ასაბუთებდა, რომ ავტონომია, პირველ რიგში, გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას. 1917 წ-ის აპრილში მონაწილეობდა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველ სხდომებში. იმავე წლის ნოემბერში მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პირველ ეროვნული ყრილობაზე და განაცხადა, რომ მისი პარტიის მთავარი იდეა იყო ეროვნული ძალების ერთიანობა და „საერთო ნიადაგზე“ დგომა, რაც მაშინ განხორციელდა კიდეც ეროვნული ყრილობის სახით. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭოს თხუთმეტკაციანი აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, სოც.-ფედ. პარტიიდან. 1918 წ-ის 4 ივნისს შედიოდა დელეგაციაში, რომელმაც აწარმოა მოლაპარაკება და გააფორმა საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულება ფოთში. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგების ფასად. 1919 წ-ის მარტში აირჩიეს და იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სოც-ფედ. პარტიის ფრაქციის ერთ-ერთი წარმომადგენელი. შედიოდა 1918 წ-ის ივნისში ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილი, რესპუბლიკის „საკონსტიტუციო საფუძვლების შემდგენი კომისიის“ თავდაპირველ შემადგენლობაში, რომელიც მალე დატოვა საზღვარგარეთ დიპლომატიური მივლინების გამო. იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების აქტიური მონაწილე და შედიოდა უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში.

დამოუკიდებლობის ბოლო თვეებში აირჩიეს დამფუძნებელი კრების სოციალისტ-ფედერალისტური ფრაქციის თავმჯდომარედ.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მუშაობდა ადვოკატად, იურისკონსულტად. 1923 შემოდგომიდან სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობას სამოქალაქო სამართლის სფეროში. აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: გრიგოლ რცხილაძე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა, თბ., 1917. ლიტ.: ვ. მაყაშვილი, გრიგოლ სვიმონის ძე რცხილაძე, ქსე, ტ. 8, თბ., 1984; ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994.

დიმიტრი შველიძე



საბავშვო ბაღები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – განათლების რეფორმა მოიცავდა ფართო სფეროს, სხვადასხვა საფეხურის სკოლებს, უმაღლესი და პროფესიული განათლების (სპეციალური სასწავლებლების) კერებს, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებს და ასევე ითვალისწინებდა საბავშვო ბაღების მოწყობა-მშენებლობას. ყველაზე დაბალი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი რგოლი მომავალი თაობის სულიერ და გონებრივ ფორმირებაში საბავშვო ბაღები იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოში არცერთი სახელმწიფო საბავშვო ბაღი არ არსებობდა. განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი 1918 წ-ის 26 სექტემბრით დათარიღებულ მოხსენებაში, რომელიც მან საქართველოს პარლამენტს და მთავრობას წარუდგინა, აღნიშნავდა: „უკვე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ საბავშვო ბაღს და განსაკუთრებით ბავშვთა სახალხო ბაღს სწავლა-აღზრდის საქმეში. ამ უკანასკნელი ტიპის საბავშვო ბაღების დანიშნულება ის არის, რომ მან შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს მუშა-ხალხის ხელვიწრო ოჯახებს, სადაც ცხოვრების მძიმე და არანორმალურ პირობათა გამო არასასკოლო ასაკის ბავშვები რჩებიან სრულიად უყურადღებოდ, უზრუნველად, უპატრონოდ. საბავშვო ბაღების ძირითადი მიზნები შემდეგია: ბავშვთა ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა. ზნეობრივი აღზრდისათვის საჭიროა ბავშვის საზოგადოებრივი გრძნობების განვითარება, ნებისყოფის გაწვრთნა და განმტკიცება, თვითმოქმედების შეგნება და შრომისმოყვარეობის შეჩვევა. ჭკუა-გონების განვითარებისთვის კი აუცილებელია: საგნობრიობა (კონკრეტული, ნათელი წარმოდგენა საგნებისა) და ინდივიდუალური ნიჭის გაშლა. ამასთანავე, საბავშვო ბაღი ერთგვარი საფეხურია, საიდანაც ყმაწვილი შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ ადვილად გადადის სასწავლებელში, ეს კი აყვარებს ყმაწვილს სკოლას, აჩვევს საზოგადოებაში ტრიალს და უადვილებს საზოგადოებრივი ინტერესების შეგნებას. მიუხედავად საბავშვო ბაღის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მთელ საქართველოში არც ერთი ასეთი დაწესებულება არ მოგვეპოვება. ეს ფრიად დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის საზოგადოდ და განსაკუთრებით ტფილისისათვის, რომ ამ დიდმა ქალაქმა დღემდისაც ვერ შექმნა სახალხო ბავშვთა ბაღი ისეთი რაიონებისათვის, როგორიცაა, მაგალითად ვერა და ნაძალადევი“. ეს ორი რაიონი იყო ქალაქის ეკონომიკური საყრდენი. აქ ბევრი მუშა ცხოვრობდა, რომელთა შვილების აღზრდა-განათლებაზეც უნდა ეზრუნა მთავრობას და თავისი ხარჯით გაეხსნა პირველი სახალხო (სახელმწიფო) ბაღი. მინისტრი მომავალი ბაღის წლიურ ხარჯთაღრიცხვასაც წარმოადგენდა: 1. ბინის დაქირავება გათბობა-განათებით - 3,600 მან; 2. სასწავლო მასალების შეძენა - 2,400 მან; ორი მასწავლებლის ჯამაგირი - 9, 600 მან; მოსამსახურის ჯამაგირი - 2,400; მოულოდნელი ხარჯები - 1,200 მან. ფინანსთა სამინისტრომ თანხმობა განაცხადა მის დაფინანსებაზე, კანონ-პროექტი პარლამენტის განათლების კომისიამ განიხილა და უარყო, რადგან მიიჩნია, რომ საქმე არა სამინისტროს, არამედ ქალაქის თვითმმართველობას უნდა განეხორციელებინა. განათლების სამინისტრო საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ დაეთანხმა. მისი აზრით, საბავშვო ბაღები განათლების ერთ-ერთი საფეხური იყო და მისი საქმიანობა სამინისტროს უნდა დაეგეგმა და ეკონტროლებინა. მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) ალექსანდრე მდივანი განმარტავდა, რომ „საბავშვო ბაღების საქმე საერთო განათლების საკითხის ერთი ნაწილია და ამიტომ მასზე ზრუნვა, მისი გახსნა, მოვლა და შენახვა განათლების სამინისტროს პირდაპირ მოვალეობას უნდა შეადგენდეს. სამინისტრო ხსნის ასეთ საბავშვო ბაღებს და შეუძლიან გადასცეს ქალაქის თვითმმართველობას. 2. როცა სამინისტრომ შეიმუშავა ეს პროექტი, მას ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი და გათვალისწინებული ჰქონდა პრაქტიკული შესაძლებლობაც როგორც ბინით, ისე საპედაგოგიო პერსონალით უზრუნველყოფის მხრივ. სამინისტრო ვერ დაეთანხმება განათ-

ლების კომისიას, რომ საბავშვო ბაღის გახსნა იმ სახით, როგორც ამას კანონპროექტი და მასთან დართული განმარტება საზღვრავს, წარმოადგენდეს მუშაობის დაწვრილმანებას. 3. განზრახული საბავშვო ბაღი ერთგვარი სამაგალითო დაწესებულებაა, ერთგვარი პედაგოგიური ცდა იქნება და სრულიად ხელს არ შეუშლის საერთო გეგმის შემუშავებას. საერთო გეგმა იმ ბავშვთა სწავლა-აღზრდისა, რომელთაც სკოლის ასაკი არ დასდგომიათ, შესაძლებელია სულ მოკლე ხანში შემუშავდეს, მაგრამ მისი განხორციელება დღევანდელი პირობების მიხედვით პრაქტიკულად სავსებით მოუხერხებელი გახდეს". კანონპროექტი პარლამენტმა 1918 წ-ის 27 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 248, საქ. 262.

დოდო ქუმბურიძე

საბაჟო დაწესებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ერთ-ერთი უწყება, რომელიც ახორციელებდა ქვეყანაში შემოსულ მგზავრებისა და საქონლის აღრიცხვას და კონტროლს, ასევე ფისკალურ ფუნქციას. დაარსდა 1918 წ-ის 30 აგვისტოს კანონით. არსებობდა მთავარი საბაჟო, პირველი, მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოები. ცენტრალური მართვა-გამგეობის უფლებით აღჭურვილი იყო მთავარი საბაჟო თბილისში (დასაქმებული იყო 48 თანამშრომელი). პირველი ხარისხის საბაჟო მდებარეობდა ფოთში (მუშაობდა 44 ადამიანი). მეორე ხარისხის საბაჟოები იყო ნატანების (20 თანამშრომელი) და სოხუმის (14 თანამშრომელი), მესამე ხარისხისა კი გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ათონში, ყულევში, ანაკლიაში, ოზურგეთში, ბაკურიანში, ანყურში, აბასთუმანში, დარიალში, ლაგოდეხში, ვორონცოვკაში, ფოილოში, ნადრევანში (ყველა ამ საბაჟოში შტატით გათვალისწინებული იყო 4-4 თანამშრომელი: გამგე, თანაშემწე და 2 დარაჯი). სულ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 183 ადამიანი.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ გადმოიბარა საქართველოში არსებული ყოფილი რუსეთის იმპერიის საბაჟო-გამშვები პუნქტები, სულ 14 დაწესებულება, მათ შორის სამხრეთ საქართველოში ორჯოხის, ოლთისისა და ლიმანის, ხოლო შავი ზღვის პირას ადლერის, სოჭის და ტუაფსის საბაჟოები. პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად ნაწილი საბაჟოებისა გაუქმდა.

საქართველოში უპირატესად შემოდიოდა საქონელი რუსეთიდან, თურქეთიდან (ოსმალეთიდან), აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან. აქტიური სავაჭრო საქმიანობა წარმოებდა ყირიმის, ქერჩისა და დონის ოლქებთან. 1918.05-1919.05 მონაცემებით, ქვეყნის ბიუჯეტში ბაჟის და სხვა საბაჟო გადასახადების სახით შემოვიდა 12.904.176 მანეთი. ამავე პერიოდში საქართველოდან გაიტანეს 158.439.931 მანეთის საქონელი. ძირითადად, საქონლის შემოტანა და გატანა ხდებოდა რკინიგზით და გემით, ასევე ავტომობილებით. სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა ათეულობით დიდი თუ პატარა ფირმა და კერძო მოვაჭრე. ხშირი იყო კონტრაბანდული საქონლის შემოტანისა და მებაჟეების მოსყიდვის მცდელობა. იმისათვის რომ თავიდან აეცილებინათ მებაჟეთა მხრიდან კანონდარღვევა და კორუფცია, მთავარი საბაჟო მიმართავდა მებაჟეთა ხშირ როტაციას, ასევე, კონტრაბანდის აღმოჩენის მიზნით, შექმნილი იყო სპეციალური აგენტურული ქსელი.

ჯაბა სამუშია

საბაშვილი პარმენ

საბაშვილი პარმენ ივანეს ძე (1883, ოზურგეთი - 17.IX.1937, თბილისი) - სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. იურისტი.

1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 იყო გზათა მინისტრის ამხანაგი. შემდომში მუშაობდა სურსათის მომარაგების კომისიაში (სამინისტროში).

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ცხოვრობდა ბათუმში, ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 1937 დააპატიმრეს, ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობა. სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიესაჯა. 1958 საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მისი რეაბილიტაცია მოახდინა.

ლიტ.: გ. შ ა რ ა ძ ე, ისტორიული რელიქვიების დაბრუნება, თბ., 2000; სცსა, ფ. 1929, აღწ. 1, საქ. 1.

ირაკლი ირემაძე



საბახტარაშვილი
კონსტანტინე

საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე (21. VII.1884, ფოთი - 21.VII.1938, პარიზი) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი იტალიაში. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო, როცა რევოლუციურ მოძრაობას შეუერთდა. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ 1905, მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო, იძულებული გახდა მოსკოვი მიეტოვებინა და ფოთში დაბრუნებულიყო. აქ განაგრძო რევოლუციური საქმიანობა, როგორც სოციალ-დემოკრატმა. მოსკოვიდან მოსული ბრძანების თანახმად, ის უნდა დაეპატიმრებინათ, თუმცა მიმალვა მოასწო და საზღვარგარეთ - ჟენევაში გაემგზავრა, სადაც იურიდიული მეცნიერების შესწავლა განაგრძო და უმაღლესი სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა. ჟენევაში იგი ემიგრანტების სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს შეუერთდა.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფოთში დაბინავდა, სადაც რევოლუცი-

ურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდიდან კ. საბახტარაშვილი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, ხან ხალხის მიერ იყო არჩეული, ხანაც მთავრობის მიერ დანიშნული: იყო ქალაქ ბათუმის განახლებული თვითმმართველობის პირველი ქალაქის თავი. როდესაც ფრონტიდან გამოქცეული, გაბოლშევიკებული რუსის ჯარი ქალაქს არბევდა, შემდეგ კი ბათუმი დროებით გამარჯვებულმა ოსმალეთის ჯარმა დაიკავა, კ. საბახტარაშვილს თავი ღირსეულად ეჭირა; თავგამოდებით ზრუნავდა ბათუმის მცხოვრებთა ფიზიკური გადარჩენისთვის. ამ პოსტზე დიდი ღირსებით გამოირჩეოდა და ადგილობრივ მცხოვრებთა სათანადო პატივისცემაც დაიმსახურა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მშენებლობას აქტიურად შეუდგა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918 იყო ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი მცირე ხნით, ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა, შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს. იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. საქართველოს დრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში იტალიაში წარგზავნილ განსაკუთრებულ მისიას ხელმძღვანელობდა, რომლის მუშაობამ, იტალიისა და საქართველოს ეკონომიკურ დაახლოებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

ბოლშევიკური რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ უცხოეთში გაიხიზნა და იქ განაგრძო პოლიტიკური მოღვაწეობა. შედიოდა ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით პარიზში შექმნილ ცენტრალური საპროპაგანდო-საგიტაციო კომისიის შემადგენლობაში, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასავლეთის სახელმწიფოების დაინტერესება. 1921 წ-ის 6-9 ივნისს, ს. მდივანთან ერთად, ერთა ლიგის საზოგადოების მე-5 კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა. კონგრესმა რეზოლუცია მიიღო, რომელიც ერთა ლიგის საბჭოსა და საერთო ყრილობისგან მოითხოვდა, მიეღოთ საჭირო ზომები, რათა პრინციპი ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა საქართველოზეც გავრცელებულიყო. 1932 წ-ს ქრონიკული მენინგიტით დაავადდა და რამდენიმე წლის განმავლობაში ხან პარიზის საავადმყოფოებში იწვა, ხან სოფელ ლევილში, თავის ბინაზე. გარდაიცვალა პარიზში.

ლიტ.: ჟურ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1938 №5 (84); გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001; ლ. ს ა რ ა ლ ი ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წწ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994; რ. დ ა უ შ ვ ი ლ ი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.

ლელა სარალიძე

საგარეო საქმეთა სამინისტრო - პირველი თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი საგარეო პოლიტიკური უწყება. შეიქმნა 1918 წ-ის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. პირველ საგარეო საქმეთა მინისტრად იმ დროისათვის პოპულარული საზოგადო მოღვაწე და პოლიტიკოსი, პროფესიით იურისტი აკაკი ჩხენკელი დაინიშნა. შეიქმნა აგრეთვე საგარეო საქმეთა კომისია, დიპლომატიური დაწესებულებები საზღვარგარეთ და ა. შ. 1918 წ-ის ივნისიდან-ოქტომბრამდე აკაკი ჩხენკელის ევროპაში ყოფნის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილის ითავსებდა. 1918 წ-ის ნოემბრიდან ამ თანამდებობაზე დაინიშნა ევგენი გეგეჭკორი. 1918-1921 წწ-ის აგარეო საქმეთა მინისტრის მაოდგილის პოსტს იკავებდნენ - კონსტანტინე გვარჯალაძე, კონსტანტინე საბახტარაშვილი და ნიკოლოზ ქარცივაძე. დაარსებისთანავე სამინისტრო აქტიურად ჩაერთო დიპლომატიურ საქმიანობაში. სამინისტროს წარმომადგენლებმა არაერთ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი; აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესში და, განსაკუთრებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის (სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარება; სოჭის კონფლიქტის დიპლომატიური გზებით გადაწყვეტის მცდელობა და ე. გეგეჭკორის მონაწილეობა ეკატერინოდარის მოლაპარაკებაში სამხრეთ რუსეთის მთავრობასთან; კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ურთიერთობის დარეგულირების საკითხი; ე. გეგეჭკორის ინიციატივით, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე თბილისში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკების სამი კონფერენციის ჩატარება; საერთაშორისო სტანდარტების დონეზე სამინისტროსა და დიპლომატიური წარმომადგენლობების (საკონსულოების) სტრუქტურის შემუშავება, საკონსულო წესდება და სხვა მრავალი).

საგარეო საქმეთა უწყება ძირითადი შიგასახელმწიფოებრივი დაწესებულება იყო ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა დარგში. იგი მთავრობის სახელით აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, დებდა ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო, სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე. სამინისტროს პირადი შემადგენლობა 50 თანამშრომელს არ აღემატებოდა, ხოლო მისი სტრუქტურა და შტატები ასეთი იყო: საგარეო საქმეთა მინისტრი - სამინისტროს დირექტორი, ვიცე-დირექტორი, იურისკონსული, მინისტრის მდივანი; პირადი განყოფილება - მინისტრის პირადი განყოფილების გამგე, საქმის მწარმოებელი, მემანქანე; პოლიტიკური განყოფილება - განყოფილების გამგე, ევროპული სექციის გამგე, აზიური სექციის გამგე,

ამავე სექციების საქმის მწარმოებლები, კანცელარიები და თარჯიმნები; საერთო განყოფილება - გამგე, საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე, კანცელარია; საინფორმაციო ბიურო - გამგე, საქმის მწარმოებელი, კანცელარია და თარჯიმნები. სამინისტროს სტრუქტურაში შედიოდა აგრეთვე დიპლომატიური და სამეურნეო განყოფილებები, ასევე ცალკეული თანამდებობები: ბუღალტერი, მისი თანაშენწე, რეგისტრატორი, ჟურნალისტი, დიპლომატიური კურიერები (შიკრიკები). სამინისტრო ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) წინაშე, რომელიც ისმენდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშს, განაპირობებდა ძირითად მიმართულებებს საგარეო ურთიერთობის საკითხებში, ამტკიცებდა უკვე ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, იღებდა დეკრეტებს, კანონებსა და დადგენილებებს, რომლებიც საგარეო საქმეთა უწყებას შეეხებოდა, ისმენდა დიპლომატიური წარმომადგენლების ანგარიშებს. პარლამენტში შექმნილი იყო საგარეო საქმეთა კომისია (თავმჯდომარე - კონსტანტინე საბახტარიშვილი, შემდგომში მინისტრის მოადგილე). კომისია იხილავდა და აანალიზებდა საგარეო ურთიერთობის საკითხებს, შესაბამისი კანონებისა და დეკრეტების, დადგენილებების პროექტებს, ხელშეკრულების ტექსტებს, ისმენდა დიპლომატიური შიკრიკების ინფორმაციებს, ზრუნავდა უცხოეთში მყოფ ქართველთა მდგომარეობაზე და მათ სამშობლოში დაბრუნებაზე, თავის აზრს გამოთქვამდა საელჩოებისა და საკონსულოების მუშაობაზე, მათი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ და ყოველივე ამას პარლამენტის სხდომებზე წარადგენდა. დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ შეიქმნა საგარეო საქმეთა კომისია რომელსაც სიმონ მდივანი ხელმძღვანელობდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს, გარდა უცხოეთის ქვეყნებისა, კავშირები ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსების და ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო-ეკონომიკური აგენტების მეშვეობით და საქართველოს რკინიგზების სამმართველოს სარკინიგზო წარმომადგენლებით, რომლებიც უშუალოდ საელჩოების სტრუქტურაში შედიოდნენ. ასეთი იყო ძირითადად საქართველოს საგარეო კავშირურთიერთობების შიგასახელმწიფოებრივი ორგანოები. რაც შეეხება საზღვარგარეთულ ორგანოებს, მათ მიეკუთვნებოდა დიპლომატიური წარმომადგენლობები (მისიები, საელჩოები) და საკონსულოები. საარქივო დოკუმენტის მიხედვით: „...არც ერთ სამინისტროს არ უხდება იმდენი საგზაო ხარჯის განევა, რამდენიც უხდება გარეშე საქმეთა სამინისტროს. აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ სამინისტროს უხდება შორეულ სახელმწიფოებში თავისი აგენტების და დიპლომატიური კურიერების გაგზავნა. გარდა მანძილისა დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, იმ გარემოებასაც, რომ ყოვლად შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინებული იქნეს ყველა ის გარემოება, რომელიც მოელის სამინისტროს მიერ გაგზავნილ პიროვნებას სხვადასხვა სახელწიფოს ტერიტორიაზე გავლის დროს. თავზარდამცემი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ გამგზავრების წინ ჩვენი ბონები უნდა გადაახურდავო სხვა ქვეყნის ნიშნებზედ. ვინაიდან ფოსტა და ტელეგრაფი არ გვაწვდის საჭირო ცნობებს, სამინისტრო იძულებულია სისტემატიურად შიკრიკები აგზავნოს თავის წარმომადგენლებთან და ამ სახით იქონიოს მათთან კავშირი. ამნაირად, საგზაო ხარჯად სამინისტროს უნდა მიეცეს 1. 000.000 მან. (საუბარია 1919 წ-ის ბიუჯატზე - ლ. ს.). მარტო გზის ხარჯი გემზე კონსტანტინოპოლამდე უდრის 15. 000 მანეთს, პარიზამდე კი გემითვე 30. 000 მან. არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ის გარემოებაც, რომ გაგზავნილი პირების დღიური ხარჯის საკითხიც დიდ როლს თამაშობს, ვინაიდან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებით ყოველი კაცი არ გაიგზავნება და დღიურიც შესაფერი უნდა მიეცეს...“ ევროპის სახელმწიფოების დედაქალაქებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების პირადი შემადგენლობა, ფინანსური სიძნელეების გამო, შეზღუდული იყო. მაგალითად, პარიზში არსებული საელჩოს შტატები ასეთი იყო: დიპლომატიური წარმომადგენელი, პირველი მდივანი, მეორე მდივანი, საინფორმაციო განყოფილების გამგე, მისი თანაშემწე, საქმეთა მმართველი, მანქანით გადამწერი, მსახური. ასეთივე შემადგენლობა ჰქონდათ საქართველოს საელჩოებს კონსტანტინოპოლში, ბერლინში და სხვ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულოების სისტემაში კონსულების ოთხივე კლასი მოქმედებდა. გენერალური საკონსულოები მოქმედებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში - ვლადიკავკაზსა და სტავროპოლში, ასევე ოდესასა და ბაქოში; საკონსულოები - ხარკოვში, ეკატერინოდარში (კრასნოდარში), ერევანში, პეტროგრადში, კონსტანტინოპოლსა და რომში; ვიცე-კონსულები - არმავირში, ნოვოროსიისკში; საკონსულო აგენტები კი აღსტაფასა (შემდგომ განჯაში) და ალექსანდროპოლში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსულების მოვალეობას ასრულებდნენ: ე. უშვერაძე - გენერალური კონსული ოდესაში; ლევან თუმანიშვილი - გენერალური კონსული ბაქოში; ალექსანდრე ჩერქეზიშვილი - კონსული პეტროგრადში; ირ. ფანჩულიძე - გენერალური კონსული ვლადიკავკაზში; ს. პაიჭაძე - გენერალური კონსული სტავროპოლში და სხვ.

ლიტ.: სცსა. ფ. 1833. აღწ. 1, საქმ. 234.

ლელა სარალიძე

სადაღაშვილი გიორგი დავითის ძე (1870, სოფ. ქვახვრელი, გორის მაზრ. - ?) - სოციალ-დე-

მოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ეროვნებით სომეხი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება ოჯახში მიიღო. სოციალ-დემოკრატიულ წრეებში გაწევრიანდა დაარსებისთანავე. იყო თბილისის პარტიული წრის ორგანიზატორი. 1900 წ-ის რკინიგზის გაფიცვის გამო გაასახლეს თბილისიდან . 1902 წ-ის მუშათა დემონსტრაციების შემდეგ დააკავეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. 1903 დატოვა რკინიგზის სახელოსნო პოლიციური წნეხის გამო. 1904 წ-დან მუშაობა დაიწყო იარალოვის ქარხანაში. აქტიურად მონაწილეობდა ოთხივე სათათბიროს არჩევნებში, მუშების მხრიდან იყო დასახელებული ამომრჩევლად, მათ შორის გურიიდანაც. 1908 ჟანდარმერიამ დაიჭირა და გადაასახლა როსტოვში 2 წლით.

1917 წ-ის მარტიდან ეწეოდა აქტიურ პარტიულ მუშაობას. იყო „ნაძალადევის“ კომიტეტის თავმჯდომარე და სხვადასხვა რაიონის კოლექტივის წევრი. აირჩიეს ქალაქის საბჭოს წევრად. 1918 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დასახელდა ეროვნული საბჭოს წევრად. 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა. იყო საკანდიდატო სიის 115-ე ნომერი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 119, 121.

ირაკლი ირემაძე

საეკლესიო მუზეუმი – საქართველოს საეკლესიო მუზეუმი, - „საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებული საეკლესიო განძთსაცავი“ შეიქმნა 1888 . მისი დამაარსებლები იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ნიკო თვარელიშვილი, ექვთიმე თაყაიშვლი, ნიკოლოზ კალისტოვი. დამოუკიდებლობის წლებში, 1918 წ-ის 3 სექტემბრიდან 1921 წ-ის 21 მარტამდე ის მდებარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (1888-1916 წწ-ში სიონის ეკლესიაში იყო მოთავსებული, 1916-1918 წწ-ში თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში). იყო არასახელმწიფო, კერძო ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელები იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე (1888-1890), თედო ჟორდანია (1889-1898), მოსე ჯანაშვილი (1898-1918). 1918 სიძველეთსაცავი გადატანილ იქნა ახლად დაფუძნებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეიქმნა „სიძველეთა დაცვის მუზეუმი”. მუზეუმის გამგედ დაინიშნა კორნელი კეკელიძე, მოადგილედ - მოსე ჯანაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს საეკლესიო მუზეუმში საქართველოს ეკლესიებიდან შეტანილი ბევრი საეკლესიო ნივთი იქნა დაცული, რამაც ეს ნივთები ძარცვა-განადგურებას გადაარჩინა, რაც იმდროინდელ არასტაბილურ ვითარებაში ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო. საქართველოს საეკლესიო მუზეუმი - „ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების საეკლესიო სიძველეთსაცავი“ - საქართველოს გასაბჭოების გამო, 1921 წ-ის 21 მარტს დაიხურა. თვით კოლექცია უნივერსიტეტის შენობაში დარჩა. 1930 ყოფილი საელესიო მუზეუმის ხელნაწერების კოლექცია გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, ხოლო 1956 ახლად დაფუძებულ ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც დღემდე დაცულია ცალკე კოლექციის სახით.

ლიტ.: ი. იაკობაშვილი, საეკლესიო მუზეუმი საქართველოში: დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება, თსუ, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, სამეცნიერო შრომების კრებული, V, 2003.

დოდო ჭუმბურიძე

საზღვაოსნო სასწავლებელი – ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დაარსებული ფოთის საზღვაოსნო კურსები დამოუკიდებლობის პირველივე წელს გადაკეთდა საზღვაოსნო სასწავლებლად. სასწავლებლის მიზანი იყო შორეული და ადგილობრივი რეისების შესრულებისთვის საჭირო საზღვაოსნო კადრების მომზადება, ასევე სამხედრო და სავაჭრო გემების კაპიტანთა და მათი თანაშემწეების აღზრდა. სასწავლებელი ამზადებდა აგრეთვე მექანიკოსებს, საზღვაო ნაპირზე მომუშავე მეზღვაურებს, სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოებათა აგენტებს, პორტის სამმართველოებში მომუშავე კადრებს და სხვ. ეს იყო საშუალო სპეციალური სასწავლებელი, რომელიც ფინანსდებოდა სახელმწიფოსაგან, ასევე მისი დამატებითი შემოსავალი იყო მოწაფეთა მიერ შემოტანილი სწავლის გადასახადი, შემოსავალი სასწავლო გემის ექსპლუატაციისაგან, გადასახადი პანსიონით სარგებლობისათვის, შემოწირულებანი და სხვ. ფოთის საზღვაოსნო სასწავლებელი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. სასწავლებლის დირექტორი 1918-1919 წწ-ში იყო ივანე დიმიტრის ძე კოსტრიუკოვი. 1919 წ-ის 1 აგვისტოდან მის ადგილზე დაინიშნა ამავე სასწავლებლის პედაგოგი, შორეული ცურვის შტურმანი, კაპიტანი ალექსანდრე ივანეს ძე გოგავა. სასწავლებელი ფაქტობრივად, გოგავამ ჩამოაყალიბა, მას განათლება რუსეთში (მოსკოვში) ჰქონდა მიღებული, იყო I მსოფლიო ომის მონაწილე, ჩავარდა ტყვედ და გერმანიაში აღმოჩნდა. გერმანიიდან ომის დასრულებამდე, 1918 წ-ის აგვისტოში დაბრუნდა. მოსკოვში მას დარჩა მეუღლე და ვაჟიშვილი. საქართველოდან რუსეთში ვეღარ წავიდა, რადგან ჩათვალა, რომ დამოუკიდებელ ქვეყანაში მასზე უკეთესი კადრი ცოტა იყო და საზღვაო საქმის განვითარებას უნდა ჩასდგომოდა სათავეში. მან საზღვაო სკოლისთვის ბევრი გაკეთა. კარგად იცოდა ინგლისური ენა, რომელსაც ასწავლიდა. მისმა სასწვლო გემებმა და ფოთის სასწავლებლის მოწაფეებმა დიდი

ზიანი მიაყენეს და უკან დაახევინეს დენიკინის მოხალისეთა გემებს, რასაც გოგავა აღწერს თავის მიმართვაში განათლების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორისადმი. მის გარდა ასწავლიდნენ: სასწავლებლის ინსპექტორი, კაპიტანი თვარაძე, სასწავლებლის ადიუტანტი, უფროსი ლეიტენანტი ონანაშვილი, სამხედრო ფლოტილიის უფროსი, უფროსი ლეიტენანტი ჩიკვაიძე, პორტების უფროსის თანაშემწე, შორეული ცურვის შტურმანი მალიევი, ასევე შორეული ცურვის შტურმანი ტკეციშვილი და სხვ. აგრეთვე, პედაგოგები ცანავა, მარჯანიშვილი, მიქაბერიძე. პედაგოგთა ნაწილი არაქართველები იყვნენ, რადგან ასეთი ტიპის სასწავლებლებს საქართველოში დიდი ტრადიცია არ ჰქონდა. სასწავლო პროცესს პედაგოგიური საბჭო ხელმძღვანელობდა. ის ადგენდა სასწავლო გეგმებს, განიხილავდა პროგრამებს, ანაწილებდა საგნებსა და გაკვეთილებს, უცხოეთიდან იწერდა სასწავლო სახელმძღვანელოებს, ხელმძღვანელობდა პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ. სასწავლებლის სამეურნეო საბჭო ხელმძღვანელობდა სახელოსნოების მუშაობას, მასში შედიოდნენ სასწავლებლის დირექტორი, სასწავლო გემის უფროსი, სახელოსნოების გამგე, პედსაბჭოს მდივანი და თითო წევრი პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს წევრთაგან. სასწავლებლის სასწ. საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმეებს განაგებდა მზრუნველთა საბჭო. საბჭოს წევრები სხვადასხვა სამინისტროებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ: განათლების, ფინანსთა, სამხედრო სამინისტროების, საბაჟო სამსახურის, საქალაქო თვითმმართველობის, საბირჟო კომიტეტის, სანაოსნო საზოგადოების, იმ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომლებიც საზღვაოსნო სასწავლებელს მატერიალურ დახმარებას უწევდნენ. საზღვაო სასწ-ში ასწავლიდნენ: გემების აგებისა და შეკეთების თეორიას, გემების მექანიკას, ნავიგაციას, ოკეანოგრაფიას, ხომალდის ნაწილებსა და ჰიგიენას, მეტეოროლოგიასა და ამინდზე დაკვირვების თეორიას, ბაგირებისა და იალქნების თეორიას, საიალქნო გემების მართვას, ორთქლის გემების მართვას, გემების მოცულობისა და ტონაჟის, სიგნალიზაციის საკითხებს, გემზე პირველი დახმარების გაწევის წესებს, სხვადასხვა ოკეანის თავისებურებებს, საერთაშორისო ნაოსნობის წესებს და სხვა სპეციალურ დისციპლინებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მათემატიკურ საგნებს და ინგლისური ენის სწავლას. საზღვაოსნო საწავლებლის ყველა დეტალი შეტანილი იყო მის ვრცელ წესდებაში. მოსწავლეებს ჰქონდათ სპეციალური ფორმები. ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იმ სპეციალობის მიხედვით, რომელსაც ეუფლებოდნენ.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 306.

დოდო ჭუმბურიძე

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა თბილისში, 1907, ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით, ისტორიის მოყვარულთა წრის ბაზაზე. საზოგადოებას ჰქონდა წესდება, რის მიხედვითაც ხდებოდა მისი მუშაობის ორგანიზება. საზოგადოების წევრები იყოფოდნენ კატეგორიებად: მზრუნავი, საპატიონი, ნამდვილნი, კორესპონდენტნი და დამხმარენი. მზრუნავსა და საპატიო წევრს ირჩევდნენ საზოგადოების კრებაზე ხმების უმრავლესობით. ნამდვილი წევრების არჩევა შეიძლებოდა საზოგადოების 2 წევრის წინადადებით. კორესპონდენტებსა და დამხმარეებს ირჩევდა საბჭო. საზოგადოების საქმეებს მართავდა საზოგადოების კრება და საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ საზოგადოების თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი, ხაზინადარი, მდივანი და 4 წევრი. საზოგადოებას ჰქონდა განყოფილებები: საისტორიო საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, სალინგვისტო და სანუმიზმატიკო. საზოგადოებამ დაარსებისთანავე დიდი თანადგომა მოიპოვა. საზოგადოების ფუნქციონირებას აძლიერებდა სხვადასხვა სახის შემოსაწირავები (ფული, წიგნები, ხელნაწერები და სხვა); აგრეთვე, წესდების შესაბამისად, საზოგადოების წევრთა მიერ შემოტანილი თანხა (მაგ, მზრუნავი ყოველწლიურად 600 მანეთს იხდიდა) და სხვა სახის დახმარება, რაც საზოგადოებას სასარგებლო საზოგადო საქმიანობის ფართო გაშლის საშუალებას აძლევდა. საზოგადოების წევრები აგროვებდნენ და ინახავდნენ საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნების არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ლიტერატურის და ეთნოგრაფიის მასალებს. საზოგადოებამ გამოსცა სამეცნიერო შრომების 2 სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“; 1914 წ-ს გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, 1916 - „შაჰნამეს“ ქართული თარგმანი (I ტომი). 1918-1921 წწ-ში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი ს. გორგაძე. დიდი ყურადღება ექცეოდა ექსკურსია-ექსპედიციების მოწყობას, რომლებსაც ფართო მეცნიერული ხასიათი ჰქონდათ (გროვდებოდა ძველი წიგნები, ხელნაწერები, ტარდებოდა არქეოლოგიური გამოკვლევები); ეწყობოდა სხვადასხვა სახის გამოფენები. მნიშვნელოვანი იყო ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა ნამუშევრების გამოფენა (VI-XIX საუკუნეები). საზოგადოება დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ფართო აუდიტორიისათვის სხვადასხვა საკითხზე კითხულობდნენ ლექციებს საზოგადოების წევრები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, მოსე ჯანაშვილი, აკაკი შანიძე, დავით კარიჭაშვილი, პავლე ინგოროყვა. საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სალექსიკონო და სალინგვისტო საქმიანობას. სათანადო მასალების შეგროვებაში,

კვლევასა და სისტემატიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ექვთიმე თაყაიშვილმა, იუსტ. აბულაძემ, ს. გორგაძემ, გ. იმნაიშვილმა, პ. კარბელაშვილმა, ი. სონღულაშვილმა და სხვებმა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქართველოლოგიის ცენტრი იყო, მის წევრებს დიდი ღვაწლი მიუძღვით თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. 1918-1921 წწ-ში საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძეგლების დაცვას, შესაბამისი მოთხოვნების წარდგენას სამთავრობო სტრუქტურებისადმი. საზოგადოების თავმჯდომარის ინიციატივით ხელოვნების კომისიამ შეადგინა კანონპროექტი და პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ხელოვნების ძეგლების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვის შესახებ. საზოგადოებას აწუხებდა ძეგლების გაძარცვისა და მოპარვის ფაქტები, რის გამოც დაჩქარებულად მიმდინარეობდა ძეგლების აღწერა-შესწავლა. ძეგლების შესასწავლად გამოყოფილ „მცირე კომისიას" ე. თაყაიშვილი ედგა სათავეში. განათლების მინისტრისადმი ერთ-ერთ მიმართვაში სახელოვნებო კომისიის თავმჯდომარე 1920 წ-ის მაისში წერდა: „შარშან მთავრობის განკარგულებით ექვთიმე თაყაიშვილი გაგზავნილი იყო ეკლესია-მონასტრების ნივთების აღსაწერათ და ეს დავალება ნაწილობრივ მან აასრულა და მთავრობის თავმჯდომარეს შესაფერი მოხსენება წარუდგინა. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ წელს ამგვარი მუშაობა გაგრძელდეს, წიგნები აიწეროს, სადაც არ არის აღწერილი და მათი ფოტოგრაფიული სურათები გადმოღებულ იქმნას. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს ჩვენი კულტურის და ხელოვნების შესასწავლად და ნამეტნავად ზომების მისაღებად, რომ ამგვარი განძი არ დაგვეკარგოს. მასთანავე, ექ. თაყაიშვილს ამგვარ მოგზაურობიდან ყოველთვის ჩამოაქვს ეროვნული მუზეუმისათვის სამღვდელოების ნებართვით შესანიშნავი ხელნაწერები და სხვა საარქეოლოგიო ნივთები, რაც თავისთავად პირველ საზრუნავ საქმეს უნდა შეადგენდეს ჩვენთვის. ამიტომ, კომისია შუამდგომლობს, იმ თანხიდან, რომელიც საკულტურო ნივთების შესაძენად არის გადადებული, 150 ათასი მანეთი გადადვას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში ნივთების აღსაწერად და ამათი ფოტოგრაფიული სურათების გადმოსაღებად". კომისიამ პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს მიმართა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გურიაში შესწავლილ, შემოქმედის მონასტერში არსებულ მდგომარეობაზე. მიმართვაში ვკითხულობთ: „შემოქმედის მონასტერი გაძარცვეს ავაზაკებმა, ნაწილი ნაცარცვი ნივთებისა მილიციამ აღმოაჩინა და სრულიად დაღეწილი და გაფუჭებული ახლა ინახება ოზურგეთის ხაზინაში, ნაწილი თვით შემოქმედის მონასტერში, ზოგიერთი ნივთების აღდგენა შეიძლება და აუცილებელიც არის, უამისოდ ამ ნივთებს ყოველგვარი მეცნიერული და ხელოვნური მნიშვნელობა დაეკარგება. ამიტომ, კომისია შუამდგომლობს, მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რომ ეს ნივთები სრულიად გადმოტანილ იქმნას ტფილისში და მათი აღდგენის ზრუნვის გაძღოლას იკისრებს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო საეკლესიო საბჭოსთან შეთანხმებით, ნაწილი ნივთებისა ინახება თვით შემოქმედის მონასტერში და მათი ჩამოტანის ნებართვას საზოგადოება საკათალიკოსო საბჭოს გამოსთხოვს". საისტ-საეთნ. საზ-ბა დიდი ამაგი დასდო მონასტრებში დაცული საეკლესიო ქონების აღნუსხვასა და გადარჩენას.

ლიტ.: რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, „ხელოვნება", თბ., 1982; სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 1006.

დოდო ჭუმბურიძე

საკათალიკოსო საბჭო 1918–1921 **წწ-ში** – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მმართველი ორგანო 1917-1934 წწ-ში.

საკათალიკოსო საბჭო

შედგებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო პირებისაგან. საკათალიკოსო საბჭოს წევრების არჩევნები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ ადგილობრივი კრების დასრულებისთანავე, 1917 წ-ის 17 სექტემბერს ჩატარდა. საბჭოს შექმნით, საქართველოში გაუქმდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდალური მმართველობა. საბჭოს დაარსებისთანავე საეკლესიო კრებაზე აირჩიეს ოთხი საბჭოს წევრი: რაფიელ ივანიცკი, პავლე ინგოროყვა, პეტრე ბარათაშვილი და ქრისტეფორე კაპანაძე, რომელთაც დაევალათ, შეესწავლათ ეკლესიის მიმდინარე მდგომარეობა, ჩამოეყალიბებინათ მისი მართვა-გამგეობის ფუნქციები, თვალყური ედევნებინათ, თუ რამდენად შესაბამისობაში იქნებოდა საეკლესიო კრების მიერ მიღებული მართვა-გამგეობის დებულებანი და წლის თავზე მოწვეულ საეკლესიო კრებაზე გაეკეთებინათ მოხსენება. 1918-21 წწ-ში საკათალიკოსოს მოუწია აქტიური მუშაობა, მისი საქმიანობა იყო რამდენამდე რთული, რადგან მას, ერთი მხრივ, ახლად ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის მდგომარეობა უნდა გაეთვალისწინებინა, მეორე მხრივ, პასუხი უნდა გაეცა რუსეთის ეკლესიის პრეტენზიებისათვის და ადეკვატური დამოკიდებულება გამოენახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რელიგიურ პოლიტიკასთან. საკათალიკო საბჭო ცდილობდა საეკლესიო განათლების გავრცელების ორგანიზებას ქვეყნის მასშტაბით, რასაც ხელს უშლიდა ცენტრალური ხელისუფლების მკვეთრი სეკულარისტული პოლიტიკა. გარდა ამისა, საკათალიკოსო საბჭომ 1918-21 წწ-ში სცადა კონტაქტები დაემყარებინა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

საკათალიკოსო გაუქმდა 1934 წ-ის 31 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვიდე ადგილობრივ კრებაზე, მის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს წმინდა სინოდი, რომლის წევრები მხოლოდ სასულიერო პირები უნდა ყოფილიყვნენ.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1976; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წლებში, თბ., 2000; ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. პირველი, თბ., 2008.

მიხეილ ქართველიშვილი

საკონსტიტუციო კომისია – საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში 1918 წ-ის 6 ივნისს შეიქმნა სახელმწიფო კომისია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შესადგენად“. ამ კომისიის შემადგენლობას დაევალა პროექტის შედგენა. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, საბჭოში ყოფილა წინადადება, რომ კონსტიტუციის პროექტის შედგენა ერთი რომელიმე პირისთვის მიენდოთ, რაც, მათი აზრით, უზრუნველყოფდა „კონსტიტუციის მთლიანობას“. თუმცა საკანონმდებლო ორგანომ ეს ინიციატივა დაიწუნა და კონსტიტუციის პროექტის ჩამოყალიბება სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას დაავალა. საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა 14 წევრით განისაზღვრა, კომისიაში შედიოდნენ როგორც პარტიის წარმომადგენლები, ისე უპარტიონი და მოწვეული პირები, თუმცა ამ თოთხმეტიდან უმრავლესობას მაინც სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, უფრო მეტიც, კომისიის თავმჯდომარეც და მდივანიც სოციალ-დემოკრატები იყვნენ. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ს. ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარე), პ. საყვარელიძე (კომისიის მდივანი), რ. არსენიძე, ნ. ჟორდანია, ი. ჩერქეზიშვილი, გრ. რცხილაძე, ს. დადიანი, გ. გვაზავა. კ. მაყაშვილი, გ. ქიქოძე, სპ. კედია, მ. ჩხეიძე, ალ. წერეთელი და ლ. ნათაძე. კომისიაში ექსპერტებად იყვნენ მოწვეულები: გიორგი ნანეიშვილი, კონსტანტინე მიქელაძე, ზურაბ ავალიშვილი და ივანე ჯავახიშვილი.

კომისია დაკომპლექტებული იყო მხოლოდ ქართველი სპეციალისტებით, რომლებიც ზედმიწევნით იცნობდნენ საზღვარგარეთის, განსაკუთრებით კონტინენტური ევროპის კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას, პროექტის შედგენაში არცერთ უცხოელ ექსპერტს არ მიუღია უშუალო მონაწილეობა, რასაც ადასტურებს კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორის, იუსტიციის მინისტრის, რაჟდენ არსენიძის სიტყვები: „უნდა აღვნიშნო ერთი რამ: ჩვენ არ გვყვანან სპეციალისტები, არც გარედან მოგვიყვანია, როგორც ჩვეულებრივ საჭიროა ხოლმე, რომელსაც შეეძლო კონსტიტუციის მთავარი დებულების ისე მკაფიოდ, მოკლედ და სხარტად ჩამოყალიბება და მისი პრინციპების შესახებ დაწვრილებითი მოხსენების გაკეთება. როგორც იცით, არც ჩვენ ვართ შინ მეტად მდიდარი მეცნიერებით, არც მეცნიერული ძალით და არც გარედან შეგვეძლო ისეთი ელემენტების მოყვანა, რომელნიც დიდად, მართლაც საბუთიან დახმარებას აღმოგვიჩენდნენ. ამიტომ კომისიას უხდებოდა თავისი საკუთარი შინაური ძალებით მუშაობა, თვითონ უნდა დაეგროვებინა ყოველგვარი მასალა, დაემუშავებინა საკითხი...“ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ მეტად ნაყოფიერი მუშაობა აწარმოა კონსტიტუციის პროექტის შესადგენად. კომისიამ სულ ათი თვე იარსება, 1919 წ-ის მარტამდე, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის ჩამოყალიბებამდე.

დამფუძნებელმა კრებამ თავის მესამე სხდომაზე ჩამოაყალიბა ოთხი კომისია, მათ შორის საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალა ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ დაწყებულ პროექტზე მუშაობის გაგრძელება. კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებული მასალები და დოკუმენტები კრების საკონსტიტუციო კომისიას გადაე-

ცა. კომისიის შემადგენლობაში მცირეოდენი ცვლილებები განხორციელდა, აირჩიეს ახალი თავმჯდომარე და მდივანი. საკონსტიტუციო კომისიაში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: რ. არსენიძე, ს. ჯაფარიძე, პ. საყვარელიძე, ლ. ნათაძე, კ. ჯაფარიძე, კ. ანდრონიკაშვილი, რ. ჩიხლაძე, მ. რუსია, გ. ფაღავა, პ. წულაია; სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან: ი. ბარათაშვილი და გ. ლასხიშვილი; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან: ს. კედია და გ. გვაზავა; სოციალ-რევოლუციონერთა პარტიიდან: ი. გობეჩია. კომისიაში კონსულტანტები იყვნენ გ. ნანეიშვილი და კ. მიქელაძე.

ამ პერიოდისათვის პირველი კონსტიტუციის პროექტის შედგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიასა და იუსტიციის მინისტრს, რაჟდენ არსენიძეს. კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესში ნოე ჟორდანიას როლს თავად ეროვნულ-დემოკრატებიც აღიარებდნენ. გიორგი გვაზავა წერდა: „ბატონ ნოე ჟორდანიას აზრს და შეხედულებას ექნება დიდი მნიშვნელობა და თითქმის გადამწყვეტი ზეგავლენა საკონსტიტუციო საკითხების განხილვის დროს დამფუძნებელ კრებაში“. პირველი კონსტიტუციის პროექტის მომზედებაში აქტიურად მონაწილეობდა კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე, რომელმაც პროექტის არაერთი დებულება შეიმუშავა. საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადაეცა 1920 წ-ის ნოემბერში.

ლიტ.: სცსა. ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 201; სცსა. ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 191; ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბ., 2013.

ბექა ქანთარია



სალაყაია იოსებ

სალუქვაძე ანანია

სალაყაია იოსებ ბეშანის ძე (1881, სოფ. თეკლათი, სენაკის მაზრ. - 1940, აჟენი) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში, წლების განმავლობაში პოლიტიკური დევნის გამო ცხოვრობდა შვეიცარიასა და ბელგიაში. განათლება ბელგიაში მიიღო.

1919 წ-ის 12 მარტს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე მან ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1921 პოლონეთის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე ცნო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ი. სალაყაია პოლონეთში (სიმონ სიდამონ-ერისთავის შემდეგ) საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი იყო. თავმჯდომარეობდა ვარშავაში არსებულ ქართულ საზოგადოებას. 1920 წ-ს დაარსდა სპეციალური ორგანო - „ქართული კომიტეტი პოლონეთში“. მას ჰქონდა თავისი სტატუსი, დამტკიცებული პოლონეთის ხელისუფლების მიერ. კომიტეტმა მუშაობა გააგრძელა საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც, 1922 წ-ის ბოლომდე. მას ხელმძღვანელობდა ს. ყურულიშვილი, ხოლო შემდეგ ი. სალაყაია.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ი. სალაყაია საქართველოს დრ-ის მთავრობასთან ერთად აქტიურად იბრძოდა საქართველოს შელახული უფლებების აღსადგენად. შედიოდა ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით პარიზში მოქმედ საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისიის შემადგენლობაში. იყო ასევე ვარშავის ქართული კოლონიის გამგეობის თავმჯდომარე. 1926 ე. გეგეჭკორთან ერთად, მონაწილეობდა პოლონეთის სდმპ კონგრესის მუშაობაში, ხოლო, 1933 წ-ის ნოემბერში - ქართული ასოციაციის კრების მუშაობაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის ჯარების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში, 1940 ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ წარგზავნილი იყო საფრანგეთის დასავლეთში მდებარე ქ. ანჟეში შეხიზნულ პოლონეთის მთავრობასთან, სადაც გარდაიცვალა. მოგვიანებით იგი ქ. ანჟედან ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადაასვენეს. მისი მეგობარი, ემიგრანტი ს. ასათიანი ი. სალაყაიას ასე ახასიათებს: „მისი იდეალი: დემოკრატიით სოციალიზმის განხორციელება - საერთო ბედნიერების დამყარება, მისი საყვარელი ერის თანასწორი უფლებებით საერთაშორისო ოჯახის წევრად გახდომა - შეურაცხყვეს და ისიც სასოწარკვეთილებამ მოიცო - ერის დაპყრობას დიდად განიცდიდა. უწინ მხიარული, საუკეთესო მომავლის იმედებით აღფრთოვანებული, შეუჩერებელი მებრძოლი, დაპყრობის შემდეგ, ძვირად ნახავდით მას მხიარულს, თვით ღიმილიც კი ხატავდა მის მწარე განცდებს. მიუხედავად ათეული წლების გასვლისა - ეს განცდები მასში არ შენელებულა!...“

ლიტ.: ჟურ. „ჩვენი დროშა“, პარ., 1949, №1; ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წწ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994; რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.

ლელა სარალიძე

სალუქვაძე ანანია (1889, ოზურგეთი - 1942) - სასწავლებელში არ უვლია და წერა-კითხვა სახლში შეისწავლა. ადრეული ასაკიდანვე შეუდგა მუშაობას, თავდაპირველად ნოქრობას ეწეოდა, შემდეგ მანთაშოვის ქარხანაში ტექნიკურ განყოფილებაში მოწაფედ მიიღეს, თუმცა, ქარხნის დახურვის გამო, სწავლა ვეღარ გააგრძელა. აქტიურად თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან, გარდა ამისა, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა გურიაში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო არაერთხელ იყო დაპატიმრებული. პირველად 1904 დააპატიმრეს. 1907

კვლავ დააპატიმრეს და ერთ თვეში გამოუშვეს. 1908 9 თვე გაატარა საპატიმროში. 1909-1910 წწ-ში არალეგალურად ცხოვრობდა, შემდეგ კი ჯარში გაიწვიეს, მსახურობდა ოსტროგში (ვოლინის გუბერნიაში). ჯარში ყოფნისას არალეგალური ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. 1914 კვლავ დააპატიმრეს და 8 თვე იმყოფებოდა ციხეში, რის გამოც დაავადდა, მისი საქმის ძიება შეწყდა და სამშობლოში გამოუშვეს. მუშაობდა სოციალ-დემოკრატიის თბილისის ორგანიზაციაში, იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი. წერდა მოთხრობებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წასვლაზე უარი განაცხადა. 1924 წ-ის აჯანყების შემდეგ დააპატიმრეს და ყირიმში გადაასახლეს. გარდაიცვალა ყაზახეთში.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ *, საქართველოს დამფუძნებელი კრება* 1919*, თბ.,* 2016.

ნოდარ ჩხაიძე

სამოსწავლო საბჭო – შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაუქმებული კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ნაცვლად. სამოსწავლო საბჭოს დებულების პროექტი შეადგინა და 1919 წ-ის 15 ივნისს განსახილველად წარუდგინა განათლების მინისტრს ა. ჯავახიშვილმა. დებულების პროექტი სამინისტრომ დაამტკიცა. "სამოსწავლო საბჭო" პირველად 20 ივნისს შეიკრიბა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მიხეილ ზანდუკელი, სარგის კაკაბაძე, ალ. ჯავახიშვილი, ე. ჭოლოშვილი, პ. დგებუაძე, კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ალ. ჯავახიშვილი, მდივნად - ს. კაკაბაძე. სამოსწავლო საბჭოს „სამეცნიერო კომიტეტი" უნდა ჩარიცხულიყო განათლების სამინისტროს შემადგენლობაში. მასში შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები. სამოსწავლო საბჭოს ჰქონდა განყოფილებები: საზოგადო ისტორიის; საქართველოს ისტორიის; ქართული ენისა და ლიტერატურის; უცხოური ლიტერატურების; მათემატიკის; ფიზიკისა და ქიმიის; გეოგრაფიის; ბიოლოგიურ მეცნიერებათა; ჰიგიენის; ფილოსოფიური საგნების და სხვ. კომიტეტი შეადგინა განათლების სამინისტრომ. კომისიის წევრები გაწეული მუშაობისათვის გარკვეულ ჰონორარს იღებდნენ. ლიტ.: სცსა, ფ. 1935, ანაწ. 1, საქ. 37.

დოდო ჭუმბურიძე

„სამუსლიმანო საქართველო" (1919 -1921, ბათუმი) - ყოველდღიური პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოცემა „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის" ორგანო იყო. სულ გამოვიდა 500 ნომერი, მოზრდილი ფორმატის ქაღალდზე, ოთხ (იშვიათად ორ) გვერდზე. გაზეთი ორენოვანია. პირველი ორი გვერდი ქართულენოვანია, მესამე და მეოთხე – თურქულენოვანი, არაბული შრიფტით. იბეჭდებოდა ნიკო ხვინგიას სტამბაში. ჩვენამდე მოაღწია მისმა არასრულმა ნომრებმა.

გაზეთის თავდაპირველ სახელწოდებად „აჭარა" შეურჩევიათ. როგორც პირველი ნომრის მეთაური წერილიდან („ჩვენ ბოდიში") ირკვევა, შემდგომ სახელი „სამუსლიმანო საქართველოთი" შეუცვლიათ. მართალია, მიზეზზე წერილში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ისედაც ნათლად ჩანს, რომ ახალი სახელდება მეტი სისრულით გამოხატავს გაზეთის იდეას, მოიცავს არა მხოლოდ ერთი კუთხის, არამედ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრობლემატიკას. „სამუსლიმანო საქართველოს" პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წ-ის 11 იანვარს. მისმა დამაარსებელმა, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა", გაზეთის რედაქტორად ჯერ დაამტკიცა თ. ხიმშიაშვილი, 1919 წ-დან კი მესვეურობა მემედ აბაშიძეს დააკისრა. გამოცემა მთავარ მიზნად ისახავდა მაჰმადიანი ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და საქართველოს გაერთიანებაზე ზრუნვას. ამ საჭირბოროტო თემატიკის შემცველია პუბლიკაციათა უმეტესობა, რომელთა გვერდით ქვეყნდება აგრეთვე საქართველოსა და უცხოეთში მომხდარი სიახლეები, განცხადებები, დეპეშები. გაზეთი ობიექტურად ასახავდა რეგიონში მომდინარე პოლიტიკურ პროცესებს; ამხელდა საოკუპაციო ხელისუფლების ანტიქართულ პოლიტიკას, რამაც ამ უკანასკნელის გულისწყრომა გამოიწვია. სწორედ ეს გახდა მიზეზი მეორე ნომრიდანვე გაზეთის აკრძალვისა, თუმცა, მიუხედავად წინააღმდეგობისა, რედაქციამ შეძლო საკუთარი პოზიციის შენარჩუნება. უნდა ითქვას, რომ მისი დამოკიდებულება ანტიქართული ძალების მიმართ იყო მტკიცე და შეუვალი. იმ დროისთვის მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდა პროთუქრული ორგანიზაცია „სედაი მილეთი", რომელიც ამავე სახელწოდების გაზეთს გამოსცემდა. „სამუსლიმანო საქართველოს" დაარსების პირველივე დღიდან სასტიკი ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული ამ ანტიქართული ორგანიზაციის წინააღმდეგ. 1920 წ-ის 367-ე ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ სტატიაში „გვეყო შეცდომა... გვეყო მონობა" ნათქვამია: „ჩვენი ხალხის შეუგნებლობამ, ჩვენი ქვეყანა უცხოელების სათარეშოთ გადააქცია". „სამუსლიმანო საქართველოში" არაერთი სტატიაა დაბეჭდილი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში სამულიმანო საქართველოს ავტონომიის იდეის შესახებ. ამით იგი მტკიცედ უპირისპირდებოდა პროთურქული და პრორუსული ორიენტაციის პარტიებს. გაზეთი ილაშქრებდა პროვოკატორთა წინააღმდეგ, რომლებიც მტრულ სახელმწიფოთა სასარგებლო აგიტაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში. გამოცემის ფურცლებიდან მუდმივად ისმოდა

მოწოდებები სამულიმანო საქართველოს მკვიდრთა მიმართ, არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს, არ დასდგომოდნენ მუჰაჯირობის გზას. გაზეთის მხრიდან მწვავე რეაგირება მოჰყვა ბათუმის ოლქის ხელში ჩასაგდებად მეზობელი ქვეყნების, სომხეთისა და აზერბაიჯანის, მიერ გაცხადებულ პრეტენზიებს, რასაც, სამწუხაროდ, საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებშიც ჰქონდა დიდი მხარდაჭერა. აღნიშნულ საკითხს მან მრავალი წერილი მიუძღვნა. გარდა აღნიშნული პრობლემატიკისა, გამოცემა განიხილავდა აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის არჩევნების თემას, ასახავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმძიმეს ეკონომიკურ პირობებს, რასაც კრიმინალური ბანდების თარეში ერთვოდა. გაზეთის რედაქცია სწრაფ რეაგირებას ითხოვდა საოკუპაციო ხელისუფლებისაგან, მოუწოდებდა - ყაჩაღებისაგან დაეხსნა ყოფითი პრობლემებით ისედაც გაწამებული მოსახლეობა.

„სამულიმანო საქართველო“ მყისიერად ეხმაურებოდა და საკუთარ პოზიციას გამოხატავდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ; მსჯელობდა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობაზე, დემოგრაფიულ სიტუაციასა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე. სათანადო ადგილს უთმობდა კულტურისა და განათლების პრობლემებს, ამ მხრივ ბათუმის ოლქში არსებული ვითარების ანალიზს; ასევე საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ა.შ.

ლიტ.: გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919–1921; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; მ. სიორიძე, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ბათუმის საშინაო ცხოვრების შესახებ, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, ბათ., ტ. XIII, 2009; ე. მესხია, საქართველოს ერთიანობის მედროშე: გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, ბათ., 1999; მ. შამილიშვილი, უცნობი ინტერვიუ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის შესახებ, „ჟურნალისტური ძიებანი“, ტ. II, თბ., 2002.

მანანა შამილიშვილი

სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია – 1917 წ-ის დეკემბერში, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ეროვნულ საბჭოში შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს“ საქმეთა სექცია. მის თავმჯდომარედ ა. ჩხენკელი აირჩიეს, მოადგილედ მ. აბაშიძე, მდივნად დ. ცერცვაძე, საქმეთა მმართველად პ. საყვარელიძე. იმავე სექციის დადგენილებით, სამუშაო გეგმის შედგენა ივ. გომართელს დაევალა. სექციის ამოცანა „სამუსლიმანო საქართველოს“ შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეკრება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება იყო. 1917 წ-ის 13 დეკემბრის სექციის სხდომამ საქართველოს შემადგენლობაში სამუსლიმანო საქართველოს სტატუსი განიხილა. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა სამუსლიმანო საქართველოს კანტონის უფლებებით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის მ. აბაშიძისეული მოთხოვნა. სექციის მონაწილეთა უმრავლესობამ იგი იმ მოტივით უარყო, რომ, საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, ასეთი პრეცედენტის დაშვება ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის საზიანო აღმოჩნდებოდა. იმავე სხდომის დადგენილებით, ეროვნულ საბჭოს საქართველოს შემადგენლობაში სამუსლიმანო საქართველოსთვის ადგილობრივი თვითმმართველობის მინიჭების შესახებ საგანგებო მიმართვის მომზადება დაევალა. ეროვნული საბჭოს 1917 წ-ის 17 დეკემბრის დადგენილებით, იმ ქართველი მაჰმადიანებისთვის, რომელთა სასაუბრო ენა ქართული იყო, სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო, ხოლო თურქული სავალდებულო საგნად გამოცხადებულიყო. იქ, სადაც ქართული არ იცოდნენ, სწავლება თურქულ ენაზე უნდა განხორციელებულიყო, ხოლო ქართული სავალდებულო საგნად დარჩენილიყო. რაც შეეხება ა.ჩხენკელის მოხსენებას სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ, მასში რეგიონისათვის საკუთარი თვითმმართველობის მინიჭების საკითხის ფართო საზოგადოებაში გატანის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შექმნის აუცილებლობა იყო დასმული. სირთულეს ავტონომიის ტერიტორიული ფარგლების გაურკვევლობა ქმნიდა. ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორების მცდელობას „სახელმწიფოებრივი ტერიტორიის“ შესახებ პ. საყვარელიძის მიერ 1918 მომზადებული „დებულება“ წარმოადგენდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, სამუსლიმანო საქართველო შემდეგი ტერიტორიული და ადმინისტრაციული ერთეულებით იყო წრმოდგენილი: სამცხე-საათაბაგო, ახალციხე-ახალქალაქის მაზრა (მესხეთი და ჯავახეთი), არტაანის ოლქი - კოლა-არტაანი, ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი. ბათუმის ოლქი - ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა. შემდგომში „სამუსლიმანო საქართველოს“ ტერიტორიული საზღვრები მხოლოდ ბათუმისა და ართვინის ოკრუგებით შემოიფარგლა. ამ გადაწყვეტილებას, პ. ინგოროყვას მიერ შემუშავებული „პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად“ (ოლქებად) დაედო საფუძვლად. რეგიონში დამკვიდრების მიზნით, ოსმალეთის ხელისუფლებამ ”სამუსლიმანო საქართველოს” ოსმალეთის შემადგენლობაში ავტონომიის მინიჭების ოფიციალური განაცხადი გააკეთა. ამის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის 1918 წ-ის 25 დეკემბრის დადგენილებით, „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიის სტატუსი მიენიჭა. გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა მუსლიმანი ქართველებისადმი ოფიციალური მიმართვა, რომელშიც სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის სტატუსი იყო დადასტურებული. ამის შემდგომ ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენ-

ლების 1919 წ-ის 31 აგვისტოს ყრილობაზე მიღებული იყო დადგენილება - ბათუმის ოლქის ფართო ავტონომიური უფლებებით საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთების შესახებ. იგივე გამეორდა ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების 1919 წ-ის პირველი სექტემბრის ყრილობაზე. ყრილობების დადგენილებები დადასტურდა საქართველოს მთავრობის 1919 წ-ის 11 სექტემბრის დადგენილებით, რომელიც განსახილველად გადაეცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას, დადგენილებაში ჩამოთვლილი უფლებრივი მოთხოვნები ფართო ავტონომიის ფარგლებს სცილდებოდა და სახელმწიფოში სახელმწიფოს უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკური ერთეულის შექმნას ითვალისწინებდა. ბათუმის ოლქისადმი ავტონომიური უფლებების მინიჭების საქმეში საქართველოს ხელისუფლების ურყეობის მიუხედავად, ოლქში ინგლისელთა ყოფნა დაპირების რეალურ აღსრულებას ხელს უშლიდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს 1920 წ-ის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათუმის ერთა ლიგის მანდატით პორტო-ფრანკოდ გამოცხადების ფაქტი. 1920 წ-ის 7 ივლისს, მოკავშირეებმა ბათუმის ოლქი საქართველოს ოფიციალურად გადმოსცეს. რეგიონში ქართული ჯარი შემოვიდა. „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა სამუსლიმანო საქართველოსთვის იმ ეტაპზე შესატყვისი მართვა-გამგეობის მოდელი. რაც შეეხება ავტონომიის უფლებების ამოქმედებას ეს მოხდებოდა რეგიონში სტაბილურობის აღდგენისა და დემოკრატიული არჩევნების შედეგად. საქართველოს ხელისუფლების ამ დანაპირებს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წ-ის ივნისში გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 120-ე მუხლი ადასტურებდა, რომლის მიხედვითაც, „სამუსლიმანო საქართველოს“ მართვა-გამგეობა ავტონომიის პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა, ხოლო 1921 წ-ის 21 თებერვალს, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლით, „სამუსლიმანო საქართველოს ბათუმის მხარეს, ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“ ეძლეოდა.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია და ქართული სოციალ-დემოკრატია. იხ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II. თბ., 2006; უ. ოქროპირიძე, აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან. ბათ. 2001; ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009.

შოთა ვადაჭკორია

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი – ბათუმის ოლქში ოსმალური და აზერბაიჯანული ძალების გააქტიურებამ მუსლიმანი ქართველების ინტერესების დამცველი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. 1917 წ-ის თებერვალში მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა შეკრებაზე შეიქმნა „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი“, რომელშიც შევიდნენ: მემედ აბაშიძე (თავმჯდომარე), ჰაიდარ აბაშიძე, ზია და ყაიდარ შერვაშიძეები, სულეიმან დიასამიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ჯემალ ქიქავა, ხასან ვარშანიძე. კომიტეტის მიზანი ბათუმის ოლქის ადგილობრივ მოსახლეობაში პროქართული ორიენტაციის პროპაგანდა იყო. 1917 წ-ის შემოდგომაზე, კომიტეტის თაოსნობით ”ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება” დაარსდა, 1919 წ-ის დასაწყისში კი - უფრო გაფართოებული „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“, 1918 წ-ის აპრილში, ოსმალების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის გამო, საზოგადოების ხელმძღვანელობის უმრავლესობა თბილისში გადავიდა და 1918 წ-ის 15 მაისს დააარსა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი

სამუსლიმანო
საქართველო

კომიტეტი“. მის შემადგენლობაში აირჩიეს: მ. აბაშიძე (თავმჯდომარე), ჰ. აბაშიძე, ზ. აბაშიძე, ხ. თხილაიშვილი, ს. დიასამიძე, ყ. შერვაშიძე, ს. ბეჟანიძე, ქ. ნოღაიდელი, ი. ქათამაძე, ი. წულუკიძე. კომიტეტის ინიციატივით, გენერალმა ასლან აბაშიძემ „მუსლიმან ქართველთა ბატალიონი“ შექმნა, რომელიც ოზურგეთში იქნა დისლოცირებული. ოკუპირებული ქობულეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა ხ. თხილაიშვილის 75-კაციანი პარტიზანული „მფრინავი რაზმი“. აღნიშნული და სხვა რაზმები ოსმალ ოკუპანტთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საპროგრამო დოკუმენტი 1919 დაიბეჭდა ბათუმში. იგი სამი თავისა და პარაგრაფებისაგან შედგებოდა. მასში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციის მთავარი მიზანი - ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოს“ ფართო ავტონომიური უფლებებით არსებობა. 1919 წ-ის იანვრიდან განმათავისუფლებელი კომიტეტი თბილისიდან ბათუმში გადავიდა. 1919 წ-ის 11 იანვრიდან გამოსვლა დაიწყო განმათავისუფლებელი კომიტეტის ბეჭდვითმა ორგანომ, გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ“ (რედაქტორი მ.აბაშიძე, პასუხისმგებელი მდივანი დ.კასრაძე). გაზეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ცნობიერებისა და ერთიანი საქართველოს იდეის პროპაგანდის საქმეში. პროოსმალური ძალების მხრიდან საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიების მიტაცების მცდელობის ჩაშლაში განსაკუთრებული როლი სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა შეასრულა. მისი ძალისხმევით, 1919 წ-ის 31 აგვისტოს მოწვეულ ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების (100 კაცი) ყრილობაზე მიღებულმა დადგენილებამ მუსლიმან ქართველთა პროქართული ორიენტაციის საბოლოო გამარჯვებაში გარდამტეხი როლი შეასრულა. ყრილობის მონაწილეთა ხელმოწერით იქნა დადასტურებული ბათუმის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის აუცილებლობა. ამ დოკუმენტის ფრანგული თარგმანი, დედანთან სისწორით, უცხო ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლების დადასტურებით, პარიზის სამშვიდობო კონფერენციას გაეგზავნა და საერთაშორისო სამართლებრივი დატვირთვის სახე შეიძინა. იმავე ყრილობამ აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი. მის თავმჯდომარედ მ. აბაშიძე იქნა დამტკიცებული. მომხდარი ფაქტით, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ თავისი უფლებამოსილება ყრილობის მიერ არჩეულ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს გადასცა.

სამხედრო ავიაცია

ლიტ.: ე. მ ე ს ხ ი ა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან ბათ., 1997; უ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათ., 2001; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. ბათ., 2008.

შოთა ვადაჭკორია

სამხედრო ავიაცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს კავკასიის ფრონტის საავიაციო ტექნიკიდან მემკვიდეობით რამდენიმე ათეული ფრანგული, ბრიტანული და რუსული წარმოების საფრენი აპარატი დარჩა. თვითმფრინავები ძირითადად მოძველებული „ფარმან-7”, „ფარმან-16”, „მორან-პარასოლის”, „ვუაზენის”, „ლებედ-12”, ერთძრავიანი და ორძრავიანი „კოდრონის” და „ნიუპორ-21”-ის ტიპის იყო. მათი ნაწილი ან პირველ მსოფლიო ომამდე აიგო, ან კიდევ მსოფლიო ომის პირველ წლებში. აღნიშნულ თვითმფრინავებზე დამონტაჟებული იყო მოძველებული „გნომ”-ის, „რონ”-ის და „სალსონის” ტიპის ძრავები, რომელთა საფრენოსნო რესურსი არათუ ამოწურული იყო, არამედ პრაქტიკაში მათი გამოყენება რამდენჯერმე აღემატებოდა ძრავების საათობრივად განსაზღვრულ შესაძლებლობას. ზოგ შემთხვევაში მფრინავთა გამოუცდელობის, ან სხვა მიზეზების გამო 1918 ფრენისას ავარია განიცადა 18-მა აპარატმა, საიდანაც 4 მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან; 1919 წ-ს მოხდა 32 ავარია და 6 აეროპლანი ვეღარ აღადგინეს, 1920 წ-ის იანვრიდან სექტემბრამდე კი 29 საავიაციო შემთხვევის შემდეგ 7 საფრენი აპარატის აღდგენა ვერ მოხერხდა. საავიაციო შემთხვევებს ემსხვერპლნენ მფრინავები: საავიაციო ასეულის მეთაურის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი, ლეიტენანტი პროკლე კილტავა, პოდპორუჩიკი გრიგოლ მალაშხია. 1920 წ-ის დასაწყისში, მას შემდეგ რაც ბოლშევიკებმა დაიკავეს ჩრდილო კავკასია, მოხალისეთა არმიის მეექვსე ავიარაზმის თეთრგვარდიელმა მფრინავებმა მარტის თვეში თავს თბილისში გადმოფრენით უშველეს. „სოფვიჩ-ქემალის” F.1 მოდელის 4 აეროპლანი ქართული არმიის საავიაციო პარკს შეუერთდა.

1920 წ-ის ივლისში საქართველომ იტალიაში, „ანსალდოს“ ქარხანაში შეიძინა 10 ერთეული SVA-10 ტიპის თანამედროვე აეროპლანი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საავიაციო შენაერთს 1918-1921 წწ-ში მეთაურობდა პოლკოვნიკი მიხეილ მაჭავარიანი. საქართველოს შეიარაღებული ძალები აეროპლანებს მის მიერ წარმოებულ თითქმის ყველა კონფლიქტში იყენებდა. ქართული აეროპლანები ზვერავდნენ და ბომბავდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს, თუმცა ავიაციის სრულფასოვნად გამოყენება მაინც ვერ ხერხდებოდა საწვავ-საპოხი მასალების ნაკლებობის და საფრენი აპარატების დიდი ნაწილის სიძველის გამო.

ლიტ.: დ. სილაქაძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება, თბ., 2017; დ. სილაქაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ავიაცია, საქართველოს ეროვნული არქივი, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2016.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918 წ-ის 27 დეკემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ სახელმწიფო გერბის და მთავრობის შტანდარტის ოფიციალური აღწერილობის დამტკიცებასთან ერთად, დაამტკიცეს საქართველოს სამხედრო დროშის აღწერილობა, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, გარშემორტყმულია ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუნუბი, ვერცხლის ზოლ-შემოვლებული. დროშის ბუნი შვინდისფერია, მოოქროვილ-ლახვრიანი, რომელზედაც ცალმეტად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დროშის ესკიზის ავტორია სახელმწიფო გერბის ესკიზის ავტორი, ფრანგული წარმომავლობის რუსი მხატვარი ევგენი ევგენის ძე ლანსერე (1875-1946), რომელიც 1917-1934 წწ-ში კავკასიაში, ძირითადად კი თბილისში მოღვაწეობდა. მოგვიანებით (1933) მას მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს, წგნ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბ., 1990.

ნიკო ჯავახიშვილი

სამხედრო საბჭო – დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ 1919 წ-ის 30 მაისს გამოიტანა დადგენილება, შექმნილიყო სამხედრო საბჭო. მასში უნდა შესულიყო სამხედრო მინისტრის მიერ დანიშნული სამი პირი სამხედრო სამინისტროდან და სამი სახალხო გვარდიიდან. საბჭოს თავმჯდომარეობდა სამხედრო მინისტრი. სამხედრო საბჭოს უნდა მოეხდინა შეიარაღებული ძალების ინსპექტირება. საბჭოს დაექვემდებარა სამნეო კომიტეტი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო არმიისა და გვარდიის მომარაგება. მოგვიანებით, 1919 წ-ის 29 ივლისს, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული შეიარაღებულ ძალთა მმართველობის ახალი კანონის მიღების შემდეგ, სამხედრო საბჭოს წევრთა დანიშვნის წესი შეიცვალა. საბჭოს წევრებს ნიშნავდა მთავრობა სამინისტროსა და გვარდიის შტაბისაგან წარდგენილი სამ-სამი კანდიდატისაგან. სამხედრო საბჭოს პირველ სხდომაზე 1919 წ-ის 2 ივნისს, ახლად შექმნილი ორგანოს წევრებად დაინიშნენ სამხედრო სამინისტროდან: გენერლები ი. ოდიშელიძე, კ. ქუთათელაძე, ერისთავი; სახალხო გვარდიიდან კი - გ. მახარაძე; ი. ქარცივაძე და ვ. ჯიბლაძე; მათ მოადგილეებად, რ. აუშტროვი და ა. ჭიაბრიშვილი. საბჭოს თავმჯდომარის, სამხედრო მინისტრ ნ. რამიშვილის მოადგილედ დაინიშნა გენერალი ი. ოდიშელიძე. საბჭოს წევრების შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა.

ლიტ.: სსცსა. ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 362; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, თბ., 1 აგვისტო 1919, №162.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო სამსახურის ფორმა და ვადა რეგულარულ ჯარში – 1918 წ-ის 20 აგვისტოს მიღებული სამხედრო ბეგარის და მუდმივი ჯარის შევსების დებულების თანახმად, ჯარი უნდა შევსებულიყო საყოველთაო სამხედრო სამსახურის საფუძველზე, ჯარში არ იწვევდნენ მხოლოდ მუსლიმებს. სამხედრო ვალდებულად ითვლებოდა პირი 20-დან - 45 წლის ჩათვლით. სამხედრო სამსახურში ყოველი წლის 15 ნოემბერს უნდა გაწვეულიყვნენ ის ახალგაზრდები, რომელთაც მომავალი წლის პირველ იანვრამდე უსრულდებოდათ 20 წელი. სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25-წლიანი იყო, თუმცა ნამდვილ სამხედრო სამსახურში ახალგაზრდა მხოლოდ 2 წელიწადს ატარებდა, შემდეგ გადაირიცხებოდა თადარიგში - 15 წლით და ბოლოს ლაშქარში 8 წლით. მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცები ექვემდებარებოდნენ სამხედრო კონტროლს და პერიოდულად გადიოდნენ წვრთნებს. ვინც ჯარში სამსახურისათვის უვარგისი იქნებოდა, გაიწვევდნენ არმიაში ისეთი მოვალეობის შესასრულებლად, რაც მის ფიზიკურ მდგომარეობას შეესაბამებოდა. ჯარში გაწვევის გადადება შეიძლებოდა რამდენიმე შემთხვევაში: თუ კონტინგენტი შეივსებოდა, თუ გასაწვევი პირი იყო საშუალო სკოლის მოსწავლე და წარადგენდა შესაბამის მოწმობას. ასეთი პირებისათვის სამხედრო ბეგარის გადადება შეიძლებოდა 22 წლამდე, ასევე,

თუ პირი მიცემული იყო სამართალში, ან მის შესახებ მიმდინარეობდა გამოძიება, საქმის დასრულებამდე ჯარში არ გაიწვევდნენ. მძიმე ფიზიკური სენით შეპყრობილებს სამუდამოდ ათავისუფლებდნენ ჯარიდან. 1919 წ-ის 29 ივლისს მიღებული სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების ახალი კანონის თანახმად, შემცირდა სამსახურის ვადა. ამიერიდან 2 წლის ნაცვლად, ქვეითთა ჯარში მსახურობდნენ 1 წლისა და 4 თვის განმავლობაში, ხოლო სხვა სახეობის ჯარებში 1 წელიწადსა და 8 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ ჯარისკაცების სურვილი იქნებოდა და საამისოდაც ვარგისები იქნებოდნენ, შეეძლოთ ჯარში დარჩენა ზედმეტი სამსახურისათვის. სკოლის მოსწავლეთათვის სამხედრო სამსახურის გადავადებამ 22-ის ნაცვლად 21 წლამდე გადმოიწია. ჯარში გაწვევისაგან მაჰმადიან მოქალაქეებთან ერთად განთავისუფლდნენ დუხაბორთა რელიგიური სექტის წარმომადგენელნი. მთავრობის 1919 წ-ის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ჯარში გაწვევისაგან დროებით გათავისუფლდნენ აფხაზები, მათ მიეცათ ნება, მოხალისედ, საკუთარი სურვილით ჩარიცხულიყვნენ არმიაში.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, თბ., 1 აგვისტო, 1919, #162; სსცსა. ფ. 1861, აღწ. 3. საქ. 13.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო სამინისტრო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918 წ-ის 20 აგვისტოს მიღებული სამხედრო მმართველობის დებულების მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების უზენაესი ორგანო ეროვნული საბჭო იყო, მისი აღმასრულებელ ორგანოს კი მთავრობა. ეს უკანასკნელი თავის უფლებას შეიარაღებული ძალების მიმართ სამხედრო სამინისტროს მეშვეობით ახორციელებდა.

სამხედრო სამინისტროს სათავეში იდგა სამხედრო მინისტრი - სამოქალაქო პირი. დებულების მეხუთე მუხლის თანახმად, სამხედრო მინისტრს ჰყავდა ერთი ამხანაგი (მოადგილე), იგი იყო მინისტრის უმთავრესი მრჩეველი და თუ საკითხს არ ჰქონდა პრინციპული, პოლიტიკური ან საბიუჯეტო ხასიათი, მას შეეძლო საქმის დამოუკიდებლად გადაწყვეტა. სამხედრო სამინისტრო შედგებოდა ექვსი განყოფილებისაგან: საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმინისტრაციო, სამხედრო სასანიტარო და სამხედრო საბეითლო განყოფილებისაგან. საერთო განყოფილების სათავეში იდგა გენერალური შტაბის შტაბოფიცერი. მას მოვალეობას შეადგენდა სამინისტროში შემოსული ფოსტის (გარდა გენერალური შტაბის სახელზე მოსული ფოსტისა) გახსნა, განხილვა, განაწილება, მინისტრის ბრძანებებისა და განკარგულებების საბოლოო რედაქტირება. პირადი შემადგენლობის განყოფილებას სათავეში ედგა შტაბოფიცერი გენერლის წოდებით. განყოფილება განაგებდა ოფიცერთა და მოხელეთა დანიშვნა-გათავისუფლების, გადაყვანა-გადმოყვანის, დაჯილდოების საქმეს. საადმინისტრაციო/ადმინისტრაციულ განყოფილებას სათავეში ედგა უმაღლესი სამხედრო განათლების ან სათანადო ადმინისტრაციული გამოცდილების მქონე გენერალი. განყოფილება შედგებოდა 5 სექციისაგან: 1) საბიუჯეტო - განაგებდა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას; 2) სასურსათო - ჯარის უზრუნველყოფას სურსათ-სანოვაგით; 3) საბარგო და საავეჯო - ჯარის შემოსვა-შეკაზმვისა და საბარგო საკითხებს; 4) საბინაო/სასადგომო - ჯარების დაბინავების, ყაზარმების მოწყობისა და გათბობა-განათების საკითხებს; 5) საპენსიო - სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთათვის პენსიებისა და სხვა ტიპის დახმარებების საკითხებს. სანიტარიულ განყოფილებას სათავეში ედგა სამხედრო ექიმი. განყოფილება განაგებდა ჯარის სანიტარიულ საქმეს. სამხედრო-საბეითლო განყოფილებას სათავეში ედგა სამხედრო ბეითალი, განყოფილება შეიმუშავებდა ჯარში არსებულ საბეითლო საქმის საკითხებს. გენერალური შტაბის განყოფილებას სათავეში ედგა გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც ომის დროს ინიშნებოდა არმიის საველე შტაბის უფროსად. გენერალური შტაბი შედგებოდა ექვსი სექციისაგან: საოპერაციო; საორგანიზაციო; საარტილერიო; საინჟინრო-სატექნიკო; სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საისტორიო არქივი. საადმინისტრაციო (ადმინისტრაციული) განყოფილების საქმეს შეადგენდა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ჯარის ხელფასების გაცემა, კვება, შემოსვა, დაბინავება და ა.შ. 1919 წ-ის 29 ივლისს მიღებული შეიარაღებული ძალების მოწყობის ახალი კანონის მიხედვით, სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილება გადაკეთდა

სამნეო განყოფილებად, სამხედრო სასანიტარო და სამხედრო საბეითლო განყოფილებები გადაკეთდა სექციებად და შევიდა სამხედრო სამნეო განყოფილების შემადგენლობაში. ამავე განყოფილებაში გადავიდა მანამდე გენერალური შტაბის საარტილერიო და საინჟინრო-სატექნიკო სექციები. სამინისტროს საერთო განყოფილება კი გადაკეთდა სამხედრო სამინისტროს კანცელარიად. გენერალური შტაბის განყოფილებაში დარჩა 4 სექცია: 1) ოპერატიული; 2) სამხედრო საზღვაო; 3) კანცელარია; 4) სამხედრო-საისტორიო არქივის წიგნთსაცავი. როგორც ზემოთ მივუთითეთ, საარტილერიო და საინჟინრო-სატექნიკო სექციები სამნეო განყოფილების დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 1918 წ-ს არსებული საორგანიზაციო სექცია - ოპერატიული სექციის დაქვემდებარებაში. სამინისტროში სამხედრო საბჭოსთან ასევე შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია. სამხედრო მინისტრს ასევე დაემატა ერთი მოადგილე.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ.,1990; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, თბ., 1 აგვისტო 1919, №162.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო სკოლა – თბილისის სამხედრო სასწავლებელი შეიქმნა 1919 წ-ის სექტემბერში. სკოლის მიზანი იყო ქართული რეგულარული არმიისათვის მოემზადებინა უმცროსი ოფიცრები და ნაცვლები (სერჟანტები). სკოლის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორისა და პირველი მეთაურის, გენერალ კვინიტაძის ჩანაფიქრის მიხედვით, სასწავლებლიდან გამოსული ოფიცრობა უნდა გამხდარიყო ახალი ქართული არმიის ძირითადი საყრდენი, ამიტომ სამხედრო საქმის სწავლასთან ერთად სასწავლებელში დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. იუნკერთათვის სწავლის ხანგრძლივობა 2 წლით განისაზღვრებოდა, პირველ წელს კურსანტები გაივლიდნენ საერთო თეორიულ სამხედრო კურსს, ხოლო მეორე წელს დაიყოფოდნენ სპეციალობების მიხედვით. შტატების მიხედვით სკოლას უნდა მიეღო 180 იუნკერი, 90-90 ორი წლის განმავლობაში, აქედან 120 ქვეითი ჯარისათვის, 30 არტილერიისათვის, 10 კავალერიისათვის, ხოლო 20 საინჟინრო ნაწილების ოფიცერთა მოსამზადებლად. ნაცვალთათვის სწავლის ხანგრძლივობა 10 თვით განისაზღვრებოდა. 1921 წ-ის თებერვალ-მარტის ომის დროს იუნკერთა სამხედრო სასწავლებელში სიის მიხედვით ირიცხებოდა 183 იუნკერი, მათი უდიდესი ნაწილი მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. რუსეთთან ომის დროს იუნკრები სხვა შენაერთებთან ერთად იცავდნენ თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორს. ბრძოლაში დაიღუპა ცხრა იუნკერი: ალექსანდრე ახვლედიანი, პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, ილია და იოსებ ჯანდიერები; დაიჭრა 43 იუნკერი. სამხედრო სასწავლებელს სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ: გენერალი გიორგი კვინიტაძე; გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და პოლკოვნიკი (შემდეგში პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი) ალექსანდრე ჩხეიძე.

ლიტ.: ალ. ჩ ხ ე ი ძ ე, სამხედრო სკოლა, ჟურ. "მხედარი", პარ., 1933, №13.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო უნიფორმა და თანამდებობათა გასარჩევი ნიშნები – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები პირველ ხანებში მეფის რუსეთის დროინდელ ძველ ფორმებში იყვნენ გამოწყობილი. მთავრობის 1918 წ-ის 12 სექტემბრის დადგენილებით, სამხრეებისა და საერთოდ რაიმე განმასხვავებელი ნიშნის ტარება მხრებზე უნდა მოსპობილიყო ქართულ ჯარში. 1918 წ-ის 24 სექტემბერს მთავრობამ ნება დართო სამხედრო სამინისტროს, ჯარში შემოეღო კოკარდა ქუდისათვის ეროვნული დროშის ფერებში. ოფიცერთა სამხრეებზე კი დაეწერათ ინიციალები ქ. ლ. ანუ ქართული ლაშქარი. 1919 წ-ის 30 იანვარს სამხედრო მინისტრმა ახალი ბრძანებით დაამატა, რომ თუ ოფიცერთა სამხრეებზე დაიწერებოდა ინიციალები ქ. ლ., ჯარისკაცთა სამხრეებზე დაწერილიყო პოლკის ნომერი და „ქარ" ანუ ქართული. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ-ის 29 ივლისს დაამტკიცა ჯარისკაცთა და ოფიცერთა ტანისამოსის ფორმა და ნაწილებისა და თანამდებობების გასარჩევი ნიშნები. შეიქმნა ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჩვეულებრივი, სადარაჯო და საველე ფორმები. ოფიცრებს ფორმის საყელოსა და ყოშებზე ანუ სამაჯეზე მიეკერებოდა სხვადასხვა ფერის, ხარისხისა და რაოდენობის ზონრები ანუ ლენტები. შტაბოფიცრებისა და ობეროფიცრებისათვის ზონარი უნდა ყოფილიყო ნაქსოვი აბრეშუმისაგან, გენერალთათვის კი ოქრომკედით. ქვეითი ჯარის ზონარი უნდა ყოფილიყო შინდისფერი, ცხენოსანი ჯარის - ცისფერი, სპეციალური დარგის (ტექნიკური ძალები) ჯარებისა და გენერალური შტაბის ოფიცერთათვის - შავი, შტაბების ოფიცრებისა და ტოპოგრაფთათვის - მუქი ყვითელი, სანაპირო ჯარებისათვის - მწვანე, სამხედრო სკოლისათვის - წითელი. უმცროს ოფიცრებს ზონარი საყელოსა და სამაჯეზე თითო ზოლად მოევლებოდა; გუნდის უფროს ოფიცერსა და მის თანასწორ პირთ - საყელოზე ერთ ზოლად, ხოლო სამაჯეზე ორ ზოლად; გუნდის უფროსთ და მის თანასწორ პირთ - საყელოზე ერთ ზოლად, სამაჯეზე სამ ზოლად; ათასეულის უფროსის თანაშემწეს და მის თანასწორ პირთ - საყელოზე ხვეულებით ერთ ზოლად, ხოლო სამაჯეზე ხვეულებით სამ ზოლად; ბრიგადის უფროსის თანაშემწეს,

ცალკეული ათასეულის მეთაურს და მათ თანასწორ პირთ - საყელოზე ხვეულებით ორ ზოლად, სამაჯეზე ხვეულებით ორ ზოლად; ბრიგადის უფროსს და მათ თანასწორ პირთ - ცალ ზოლად ოქრომკედის ზონარი როგორც საყელოზე, ისე სამაჯეზე; სამხედრო მინისტრის თანაშემწეს, ჯარის სარდალსა და სამხედრო საბჭოს წევრთ - ორ-ორ ზოლად ოქრომკედის სირმა, საყელოსა და სამაჯეზე. ბოხოხსა და თუშურ ქუდს ზედა მხარეს უნდა ჰქონოდა ისეთივე ზონარი შემოვლებული როგორც საყელოზე, მხოლოდ უხვეულოდ. ქვეითი ჯარის გასარჩევ სიმბოლოდ მიღებული იქნა ორი გადაჯვარედინებული თოფი; არტილერიის - ორი გადაჯვარედინებული ზარბაზანი, შუაში ალიანი ყუმბარით შავი ფერისა; ცხენოსან ჯარში - ორი გადაჯვარედინებული ხმალი; მესაგრეთათვის - გადაჯვარედინებული წერაქვი და ნიჩაბი, საავტომობილო ნაწილში - ავტომობილი; საავიაციოში - აეროპლანი; ტოპოგრაფისტებისათვის - ფარგალი და სამკუთხედი. აქსელბანტების ტარება შეეძლოთ ადიუტანტებს და გენერალური შტაბის ოფიცრებს. დეზები უნდა ეტარებინათ იმათ, ვისაც გადაეცემოდა ცხენები; სამხედრო უწყების მოხელეებს და ექიმებს უნდა ეტარებინათ ოფიცერთა მსგავსი ფრენჩი და ხალათი. ექიმების გასარჩევი ნიშანი იქნებოდა საყელოს ორსავ მხარეს მინანქრის წითელი ჯვარი, ხოლო ბეითლებისათვის ლურჯი. გენერლებსა და ოფიცრებს ეძლეოდათ უფლება, სამსახურს გარეთ ევლოთ სამოქალაქო ფორმით. ახალი ფორმის დამტკიცებიდან მალევე აღმოჩნდა, რომ ფორმაზე თანამდებობათა გასარჩევი ზონრები ძალზე უხერხული სახმარი იყო, რადგანაც ხშირად იკეცებოდა; ასევე საზაფხულო ხალათები გარეცხვისთანავე ხუნდებოდა. 1920 წ-ის 20 აპრილს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულმა კანონმა ცვლილება შეიტანა ფორმასა და თანამდებობის გასარჩევ ნიშნებში. თანამდებობის გასარჩევი ნიშნები ამიერიდან უნდა დატანილიყო მხოლოდ ხალათის, ფრენჩის და პალტოს საყელოზე და ზონრების ნაცვლად უნდა დამაგრებულიყო ფერადი ნაჭრები იგივე „პეტლიცები": ლეიტენანტთათვის - კუთხე ერთი ვარსკვლავით; უფროს ლეიტენანტთათვის - კუთხე ორი ვარსკვლავით; კაპიტანთათვის - კუთხე სამი ვარსკვლავით; მაიორთათვის - ორი კუთხე ორი ვარსკვლავით; პოლკოვნიკთათვის - ორი კუთხე სამი ვარსკვლავით; გენერალთათვის - კუთხე ზიგზაგებით და ერთი ვარსკვლავით; სამხედრო მინისტრის თანაშემწის, ჯარის სარდლის და სამხედრო საბჭოს წევრთათვის კი - კუთხე ზიგზაგებითა და ორი ვარსკვლავით. კუთხეები უნდა ყოფილიყო ვერცხლის, ვარსკვლავები კი ოქროსი. ჯარისკაცთაგან, თავმდეგს უნდა გაეკეთებინა ერთი ლითონის ვარსკვლავი პალტოსა და ხალათის საყელოზე; უმცროს ნაცვალს - ორი ვარსკვლავი; უფროს ნაცვალს - სამი ვარსკვლავი; ზემდეგს - 1 ზონარი და სამი ვარსკვლავი; ზედმეტ მსახურს - ზემდეგის მსგავსად პლიუს საყელოზე კუთხე წვეტით ქვემოთ. სამხრეულებზე დაემატა რამდენიმე ახალი ლიტერი ყვითელი ფერის ლითონისაგან: სამხედრო სკოლა -„სკ"; საარმიო არტილერის დივიზიონი - „არმ"; სადარაჯო ათასეული - „დ"; სამხედრო სამინისტროს განყოფილება -„სმმ"; სანაპირო ჯარის სამმართველო - „სნპ"; გენერალური შტაბის ოფიცერთათვის კი სახელმწიფო გერბი. სამხედრო უწყების მოხელეებს, წინა წლისაგან განსხვავებით, ფორმაზე უნდა ეტარებინათ ყვითელი ფერის ერთი ვარსკვლავი. 1919 წ-ის 27 სექტემბერს სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაამტკიცა გვარდიელთა ფორმებზე განმასხვავებელი ნიშნები. უნტერ-ოფიცერთათვის: ცალკეული ნაწილის უნტერ-ოფიცერი - ერთი სამკუთხა ზოლი; ოცეულის უნტერ-ოფიცერი - ორი სამკუთხა ზოლი; ფელდფებელი ან ვახმისტრი - სამი სამკუთხა ზოლი. ოფიცერთათვის: უმცროსი ოფიცერი - ერთი სამკუთხა ზოლი და ერთი ვარსკვლავი; უფროსი ოფიცერი - ორი სამკუთხა ზოლი და ერთი ვარსკვლავი; ასეულის და ბატარეის მეთაური ოფიცერი - სამი სამკუთხა ზოლი და ერთი ვარსკვლავი; ცალკეული შენაერთის მეთაურის მოადგილე ოფიცერი - ორი სამკუთხა ზოლი და ორი ვარსკვლავი; ცალკეული შენაერთის მეთაური - სამი სამკუთხა ზოლი და ორი ვარსკვლავი.



სამხედრო ფლოტი

ლიტ.: სცსა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 2; სცსა, ფ. 1969, აღწ. 2, საქ. 59, სცსა, ფ. 1970, აღწ. 3. საქ. 12; ჟურ. "რესპუბლიკის ჯარი", 1919, №11; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, თბ., 1 აგვისტო 1919, №162; საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 20 აპრილის სხდომა, გვ. 4-8.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო ფლოტი – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰყავდა თავისი პატარა საზღვაო ფლოტი, რომელიც სტრუქტურულად რეგულარული არმიის სანაპირო ჯარის (მესაზღვრეთა ნაწილები) შემადგენლობაში შედიოდა. საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში იყო რამდენიმე პატარა „გრინპორის" ტიპის საპატ-

რულო გამანადგურებელი კატარღა: „პატარა კახი", „ტარიელი", „ფრიდონი" და „ავთანდილი", ასევე რამდენიმე ბარჟა და სასწავლო გემი.

ლიტ.: ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, 1919, 1 აგვისტო, №162.

დიმიტრი სილაქაძე

სამხედრო წოდებები – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ოფიცრები მსახურობდნენ იმ წოდებებით, რომელი წოდებებიც მათ ჰქონდათ რუსულ არმიაში. თავდაპირველად მათ წოდებები ემატებოდათ თავის გამოჩენის მიხედვით. 1919 წ-ის 31 ივლისს მიიღეს კანონი სამხედრო პირთა ხარისხების დებულების შეცვლის შესახებ. კანონის თანახმად, საქართველოს რეგულარულ ჯარში სამხედრო წოდება თანამდებობის შესაბამისად მიენიჭებოდა. რეგულარულ ჯარში დაწესდა ოფიცერთა შემდეგი თანამდებობები: გენერალი - პირი, რომელიც მეთაურობდა ბრიგადას, ან ეჭირა უფრო მაღალი თანამდებობა, ან ეჭირა თანაბარი თანამდებობა სამხედრო უწყების სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში; პოლკოვნიკი - ერთეულის უფროსი ან პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა უჭირავს სხვა გვარეობის ჯარში, სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში; მაიორი - ერთეულის უფროსის თანაშემწე, დამოუკიდებელი ნაწილის უფროსი და ის პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა უჭირავს სხვა გვარეობის ჯარში, სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში; კაპიტანი - გუნდის უფროსი ან ის პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა უჭირავს სხვა გვარეობის ჯარში, სამმართველოებსა თუ დაწესებულებებში; უფროსი ლეიტენანტი - გუნდის უფროსი ოფიცერი; ლეიტენანტი - ყველა სხვა უმცროსი ოფიცერი. რიგითი ჯარისკაცების შემადგენლობაში უნტერ-ოფიცრები მოიხსენიებოდნენ როგორც ნაცვლები. სახალხო გვარდიაში არ არსებობდა ოფიცერთა ხარისხები და მეთაურები, ოფიციალურად დაკავებული თანამდებობების მიხედვით, იწოდებოდნენ, მაგ., ოცეულის მეთაურად, ასეულის მეთაურად, ათასეულის მეთაურად.

ლიტ.: ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, 1 აგვისტო 1919, №162.

დიმიტრი სილაქაძე

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა – სამხრეთ საქართველოს მუსლიმანებით დასახლებულ ტერიტორიაზე პროოსმალური ძალები ათეული წლების მანძილზე ეწეოდნენ ანტიქართულ აგიტაციას, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა 1910-იანი წწ-დან. პროოსმალური აგიტაციის დასაყრდენი იყო ექიმ სულთანოვის მიერ 1914 წ-ს ახალციხეში შექმნილი „საქველმოქმედო საზოგადოება". 1917 წ-ის 17 ნოემბერს ახალციხეში ჩატარდა მუსლიმანთა ყრილობა, რომლის მიერ მიღებული დადგენილებით სამხრეთ- დასავლეთის ქართული ოლქები საქართველოსგან ჩამოცილებულად გამოცხადდა, ხოლო არდაგან-ბათუმის ოლქებისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ბაზაზე უნდა შექმნილიყო ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა". 1917 წ-ის დეკემბერში მოხდა მუსლიმან ქართველთა აჯანყება, რომლებმაც ახალციხე ალყაში მოაქციეს. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: ომარ ფაიკ ნამინ ზადე (ყიფიანი), ზია-ბეგ ავალიშვილი, ზორი ზორიანცი, ბაღჩი-ბეგ მაჩაბელი, გუდა გუდიევი, სერვერ-ბეგ ათაბაგი (ჯაყელი) და სხვ. 1918 წ-ის იანვარში, აწყურთან გზის ჩაკეტვით, აჯანყებულებმა სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ჩამოაცილეს, ხოლო მუსლიმან ქართველთა ჯარი ოსმალეთის არმიას შეუერთეს. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ- გუბერნატორის მცდელობა, პროოსმალური ორიენტაციის მქონე აჯანყებულებს გამკლავებოდა, უშედეგო აღმოჩნდა. მუდროსის ზავის შემდეგ (1918 წ-ის 30 ოქტომბერი) ოსმალეთს უნდა დაეტოვებინა ამიერკავკასიის ტერიტორია, მაგრამ ის აჭიანურებდა ჯარის გაყვანას ყარსის ოლქიდან. ოსმალთა ხელშეწყობით 1919 წ-ის იანვარში სერვერ ბეგის ხელმძღვანელობით დაიწყო აჯანყება, შეიქმნა ე. წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობა, რომელსაც იბრაიმ-ბეი ჩაუდგა სათავეში (ყარსის მესამე კონგრესი. 1919 წ-ის 17- 18 იანვარი). მთავრობის რეზიდენციად ყარსი გამოცხადდა. აჯანყებული პროოსმალური ორიენტაციის ბეგები თავიანთი მიზნების განხორციელებას რეალობად მიიჩნევდნენ, რადგან მხარდაჭერას ოსმალეთიდან და ამიერკავკასიის რეგიონში მყოფი ევროპელი სამხედრო მაღალჩინოსნებისგან ელოდნენ. ინგლისის სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელთა ხელშეწყობით, ხალილ-ფაშამ ახალციხეში 200 შეიარაღებული ოსმალო ასკერი და რამდენიმე ოფიცერი დატოვა. იმავდროულად, პროოსმალური ორიენტაციის მუსლიმან ქართველებს დიდი რაოდენობით იარაღი და ტყვია-წამალი გადაეცა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნ. ჟორდანიამ, გენ. უოკერი აჯანყებული სერვერ-ბეგის მხარდაჭერაში და ყარსის მუსლიმანური სახელმწიფოს მფარველობაში დაადანაშაულა. ვ. ნოზაძის მტკიცებით, ინგლისელთა ასეთი პოზიცია სომხურ ინტერესებთან იყო გადაჯაჭვული. ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში, სომხურ-ინგლისური ანტიქართული კურსი მოქმედებდა. მათი ხელშეწყობით განხორციელდა პარიზის კონფერენციაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით „ყარსის მთავრობის" წარმომადგენლის გაგზავნა. ინგლისელთა ფარული მხარდაჭერით, სერვერ-ბეგმა ახალციხეში შესვლისთანავე გამარჯვების აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი მოაწყო. იმა-

ვდროულად, ადგილობრივი მთავრობის სახით შეიქმნა ახალციხის საგანგებო კომისარიატი. მის შემადგენლობაში შევიდნენ: სერვერ-ბეგი ათაბაგოვი (თავმჯდომარე), პრინცი ათაბაგი-ქობლინსკი (თანაშემწე), გომაშევიჩი (შინაგან საქმეთა კომისარი) და სხვ. ახალციხეში სამხედრო წესები შემოიღეს, ქალაქის კომენდანტად ახმედოვი დაინიშნა, ხოლო ახალციხის მაზრის უფროსად იასონ-ბეგ ფალავანდოვი. სერვერ-ბეგის მმართველობა 27 დღე გაგრძელდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო. 1919 წ-ის აპრილის დასაწყისში ქართულმა ჯარმა გენერალ გ. გ. კვინიტაძის სარდლობით წარმატებული კონტრშეტევა წამოიწყო. აპრილის მეორე ნახევარში კვინიტაძემ დაძლია სერვერ-ბეგის წინააღმდეგობა და 20 აპრილს არტაანი აიღო. ქართველთა წინსვლამ ინგლისელები იძულებული გახადა, 1919 წ-ის აპრილიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასულიყვნენ და „ყარსის მთავრობა“ გასაწირად გაემეტებინათ. 13 აპრილს ინგლისელებმა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ პარლამენტი დაითხოვეს, ხოლო „მთავრობის“ 12 წევრი დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეძლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სერვერ-ბეგის აჯანყების ლიკვიდაცია და რეგიონში წესრიგის დამყარება.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა (1919-1921 წლის მარტი), თბ., 2015; ფ. ქაზემზადე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის, 1917-1921, მთარგმნელი ქ. ქანთარია, თბ., 2016.

შოთა ვადაჭკორია

საოსტატო სემინარიები – პედაგოგთა კადრების მომზადებას ქართული საზოგადოება ცარიზმის პერიოდიდანვე ესწრაფვოდა. ამ სფეროში დასაქმებულთა შორის საპატიო ადგილი ქალებს ეკავათ. ქალთა საოსტატო ინსტიტუტები და კურსები არსებობდა სახელმწიფო სტატუსითაც, მაგრამ უმეტესობა კერძო იყო. ამგვარი კადრების მომზადებაში გარკვეული წვლილი შეიტანა „განათლების“ საზოგადოებამ, რომელსაც სათავეში ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთელი ედგა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო 5 საოსტატო სემინარია. 1918 წ-ის 2 აგვისტოს განათლების მინისტრმა, გიორგი ლასხიშვილმა, პარლამენტს მოხსენება წარუდგინა სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების გაეროვნების შესახებ. საქართველოში ამ დროს 4 პედაგოგიური სასწავლებელი იყო: ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. მინისტრი თითოეულ მათგანს ახასიათებდა და იმ პერსპექტივას წარმოაჩენდა, რაც ამ სასწავლებლებს ელოდა დამოუკიდებლობის პირობებში. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სასწავლებლებში იკლო როგორც ადგილობრივ არაქართველთა, ასევე ჩამოსულების რიცხვმა, რადგან პოლიტიკური ვითარება მძიმე იყო. მინისტრი ვარაუდობდა, რომ ინსტიტუტსა და სემინარიებში რუსული და სხვა არაქართული კლასები შეიძლებოდა დახურულიყო. აზერბაიჯანლებისთვის სემინარია განჯაში იყო გახსნილი, სომხებისთვის - ერევანში. ამიტომ მინისტრი გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ სემინარიებსა და საოსტატო ინსტიტუტებში მხოლოდ ქართული განყოფილებები დარჩენილიყო, სოხუმში კი იქნებოდა ქართული და აფხაზური განყოფილებები. საამისოდ სოხუმის სემინარიის ახალი, აფხაზური განყოფილებისათვის მინისტრი ითხოვდა მთავრობისაგან კრედიტის გაცემას. მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საოსტატო სემინარიების ქართულ სასწავლებლებად გარდაქმნას. ვინაიდან მასწავლებელთა კადრების სიმცირე, თანაც დაბალი ხარისხი იყო, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. განათლების რეფორმას სწორედ მაღალკვალიფიციური კადრები განახორციელებდნენ. ამ კადრების მომზადებას დრო სჭირდებოდა, დრო კი არ იცდიდა. ამისთვის, სამინისტრომ სცადა როგორც ძველი კადრების გამოყენება (მათი გადამზადება თუ გადასამზადებელი კადრებისათვის გამოყენება), ასევე ძველი სასწავლებლების პედაგოგიური პროფილით რეორგანიზაცია. ამ მხრივ საინტერესოა განათლების მინისტრის მიერ 1918 წ-ის 2 აგვისტოს პარლამენტში წარდგენილი მოსაზრება საზოგადოება „განათლების“ თამარ მეფის სახელობის საოსტატო სემინარიის შესახებ. მინისტრი წერდა: ”საქართველოს ტერიტორიაზე მთავრობას არა აქვს არც ერთი საპედაგოგიო სასწავლებელი, სადაც შეიძლებოდეს ქალთა მომზადება სახალხო სკოლების მასწავლებლებად. არსებული სკოლები ყველა სავაჟოა. საჭიროება ქალთა საოსტატო სემინარიისა დიდია და განათლების სამინისტროც პირველ რიგში აყენებს ამგვარი სკოლის შექმნას. მაგრამ ვინაიდან დღევანდელს პირობებში ახალი სკოლის შექმნა მეტად ძნელია და არც მოკლე ხანში მოხერხდება, სამინისტრო ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა გვესარგებლა უკვე არსებული ქალთა სემინარიით და იგი სახელმწიფო საჭიროებისათვის შეგვეფარდებინა და გამოგვეყენებინა. ამგვარია „განათლების საზოგადოების“ თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია. სამინისტრომ მიიღო მხედველობაში, რომ „განათლების საზოგადოება“ იმთავითვე ქართულად აწარმოებდა სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმეს და ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებაც გამოიჩინა, გაითვალისწინა, რომ სასწავლებელს უკვე 2 სემინარიული კლასი აქვს, მაშასადამე, ორი წლის შემდეგ სრული ქართული

სემინარია გვექნებოდა. არ უგულვებელჰყო ის გარემოებაც, რომ სკოლა მასწავლებელთა მხრივ უზრუნველყოფილია (ყველა მასწავლებელი სათანადო უმაღლესი განათლების მქონე იყო), აქვს აგრეთვე ბინის ასაგებად შეგროვილი 22, 284 მან. და დაადგინა: აღიძრას, თანახმად „განათლების"საზოგადოების თხოვნისა, შუამდგომლობა ეროვნული საბჭოს წინაშე, რომ : ა) „განათლების" საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია ცნობილი იქმნას სახელმწიფო სასწავლებლად და გადავიდეს მთელი სასკოლო მოწყობილობით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით მთავრობის გამგებლობაში; ბ) მიეცეს სემინარიას სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიური დახმარება თანახმად არსებული სახელმწიფო საოსტატო სემინარიების ხარჯთ-აღრიცხვის ნორმებისა". ეროვნულმა საბჭომ მიიღო დოკუმენტი, როგორც კანონი 1918 წ-ის 6 სექტემბრის სხდომაზე, სადაც იგი წარადგინა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა, რაჟდენ არსენიძემ. 1919 წ-ისათვის მრავალი ცვლილებები შევიდა თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის შტატებში. დიდი ყურადღება ეთმობოდა ე.წ. „სამაგალითო სკოლას", რომელიც სემინარიასთან არსებობდა და სადაც მომავალი სახალხო სკოლის მასწავლებელი ისმენდა სამაგალითო გაკვეთილებს. მას გამოცდილი მასწავლებელი ავარჯიშებდა გაკვეთილის სრულყოფაში, მეთოდურ ჩვევებში. განათლების სამინისტრომ დააყენა საკითხი „სამაგალითო მასწავლებელთა" ხელფასების გადიდების შესახებ. სამასწავლებლო სემინარიის (საოსტატოს ნაცვლად, პარლამენტმა სიტყვა სამასწავლებლო შემოიტანა) დამატებითი შტატების შესახებ 1919 წ-ის იანვარში მიღებული კანონი ასეთ ახალ შტატებს ითვალისწინებდა: 1. ნაცვლად ოთხისა, თამარ მეფის სახელობის სამასწავლებლო სემინარიაში 7 შტატი წესდებოდა; 2. აღდგა ხელგარჯილობისა და ხელსაქმის მასწავლებლის თანამდებობა; 3. სემინარიის მასწავლებელთათვის შემოღებული იქნა 5-წლეულები, თითო 500 მან. 4. კლასის დამრიგებელს წლიურად განესაზღვრა 1800 მან. 5. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი სამოქალაქო უწყების მუშაკთათვის ხელფასების მომატების შესახებ გავრცელდა საოსტატო სემინარიის მასწავლებლებზეც, მათ მოემატა ხელფასი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 264, საქ. 265, საქ. 247, საქ. 252; სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 262.

დოდო ჭუმბურიძე

სარაჯიშვილი ივანე (ვანო) პეტრეს ძე (01.V.1879, სიღნაღი - 11.XII.1924, თბილისი) - ერთ-ერთი პირველი ქართველი პროფესიონალი საოპერო მომღერალი. ტენორი. დაიბადა ინჟინერ-ტექნიკოსის მრავალშვილიან ოჯახში. პეტრე სარაჯიშვილს პირველი მეუღლისაგან - ნინო ვაჩნაძისაგან რვა შვილი ჰყავდა. დედა - ეფემია რუსიშვილი, რომელიც პეტრემ 53 წლის ასაკში შეირთო, მისი მეორე ცოლი იყო, რომლისგანაც ხუთი შვილი ეყოლა. ოჯახი მუსიკის დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა. მამა კარგად უკრავდა თარზე და სალამურზე. ბავშვები ცეკვავდნენ და მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს. ვ. სარაჯიშვილი ექვსი წლისა იწყებს გალობას ალექსანდრე ჩახანაშვილის საეკლესიო გუნდში. 1887 სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს. მალე გუნდის წამყვანი სოლისტი გახდა. გიმნაზიაში სწავლის დროს ვიოლონჩელზე დაკვრას მისივე ბიძაშვილისაგან, ცნობილი ვიოლონჩელისტის - ივანე სარაჯიშვილისაგან სწავლობდა. 1898 გიმნაზიას თავი დაანება და თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, პროფესორ ტალენტის კლასში გააგრძელა ინსტრუმენტზე დაკვრის შესწავლა, იყო ასევე სარაჯიშვილების საოჯახო გუნდის წევრიც. მონაწილეობდა კონცერტებში. მომღერლის ბიძამ, ცნობილმა მრეწველმა, დავით სარაჯიშვილმა, ძმისშვილის მოსასმენად ილია ჭავჭავაძე და ქართული ინტელექტუალური ელიტის სხვა წარმომადგენლები მიიწვია. შედეგად თავადაზნაურობის კომისიამ სტიპენდია დაუნიშნა და სასწავლებლად რუსეთში გაგზავნა. 1903 წ-დან ვოკალში პეტერბურგის ცნობილ პედაგოგებთან, ჯერ პროფესორ პრიანიშნიკოვთან და შემდეგ პანაევა-კარცევასთან მეცადინეობდა, ამუშავებდა საოპერო პარტიებს. მალე ისე დაოსტატდა, რომ ჯერ ალექსი წერეთლის მიერ შედგენილ „ახალი ოპერის" დასში მღეროდა, შემდეგ კი პეტერბურგის იტალიურ ოპერაში, სადაც წარმატებით გაართვა თავი ცნობილ იტალიელ მომღერლებთან - ტიტო რუფოსთან და ევგენი ჯირალდონისთან პარტნიორობას. 1906 თბილისში დაბრუნდა და საზოგადოების საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. შემდეგ ორი წლით იტალიაში სასწავლებლად გაემგზავრა და მილანის კონსერვატორიაში პროფესორ კასტელანოსთან შეუდგა მეცადინეობას. მოამზადა საოპერო პარტიები ცნობილ დირიჟორებთან და მალე იტალიის საოპერო სცენაზეც წარმატებით დაიმკვიდრა თავი. გაეცნო და დაუმეგობრდა თანამემამულეს - ელენე თარხან-მოურავს, რომლის სალონშიც ცნობილ მომღერლებს: ტიტა რუფოს, მაზინის, შალიაპინს და ჯირალდონის დაუახლოვდა. ეს უკანასკნელნი მას პირველხარისხოვან მომღერლად აღიარებდნენ. მილანის ლა-სკალაში მოპოვებული წარმატების შემდეგ ანტრეპრენიორთა ყურადღება მიიქცია. ჯერ პარმაში, შემდეგ კი ტრიესტასა და ნიცაში მიიწვიეს. შალიაპინმა, „ბორის გოდუნოვში" მონაწილეობის მიზნით, პარიზში წასვლა შესთავაზა.

1917 წ-დან დაბრუნდა საქართველოში და სამუდამოდ დარჩა თბილისის საოპერო თეატრში. 1918 წ-ის 21, 23, 25 მაისს „ქართულ კლუბში" მთლიანად დაიდგა პირველი ქართული ორიგინალური ოპერა, რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე". აღნიშნულ ოპერაში იასონის როლი შეასრულა. აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში

სარაჯიშვილი ვანო

წარმოდგენილ უმნიშვნელოვანეს საოპერო სპექტაკლებში. 1918 წ-ის სეზონში დაიდგა ქართულად თარგმნილი ანტონ რუბინშტეინის „დემონი“, სადაც სინოდალის როლი შეასრულა. (დემონის როლი სანდრო ინაშვილმა იმღერა). 1919 წ-ის 5 თებერვალს გაიმართა დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პრემიერა, სადაც შოთას როლი შეასრულა. ამით დაიწყო ქართული ეროვნული ოპერის სცენური ისტორია. 1919 წ-ის 21 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პირველ დადგმაში არ მონაწილეობდა (აბესალომის როლი ბორის ზალიპსკიმ შეასრულა), თუმცა შემდეგ დადგმებში აბესალომის პარტიას მღეროდა. (მურმანის პარტიას სანდრო ინაშვილი ასრულებდა). 1919 წ-ის 11 დეკემბერს ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ პრემიერაშიც მთავარ პარტიებს მღერის. 1920 წ-ის 19 დეკემბერს პირველად ქართულ ენაზე დაიდგა იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატი“. აღნიშნულ სპექტაკლში ერეკლეს როლი შეასრულა.

გასაბჭოების შემდეგ თბილისის საოპერო თეატრის კომისრის მოადგილე იყო და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. აქტიურად აგრძელებდა სცენაზე გამოსვლას. 1923 წ-ის 16 მაისს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცი წლის იუბილე აღინიშნა. 1923 წ-ის 19 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ პრემიერაში მალხაზის პარტია შეასრულა. 1924-1925 წწ-ის სეზონზე აღარ უმღერია. 1924 წ-ის 23 ივნისს ოპერის ბაღში ცუდად იგრძნო თავი და დასნეულდა. 11 ნოემბერს, უშედეგო მკურნალობის შემდეგ, გულის მძიმე დაავადებით გარდაიცვალა. დაკრძალეს ოპერის ბაღში. მომხდარს მწუხარებით გამოეხმაურა ზაქარია ფალიაშვილი. მისი დაკარგვა განიცადეს ქართველმა კომპოზიტორებმა. დასაფლავების შემდეგ, იმავე დღეს, ოპერის თეატრში კოტე მარჯანიშვილმა დადგა „აბესალომ და ეთერი“ აბესალომის გარეშე. სიმბოლურ სპექტაკლში აბესალომის პარტიას ვიოლონჩელოზე ე. კაპელნიცკი ასრულებდა, ხოლო სცენაზე ამ დროს თეთრი შუქი მოძრაობდა. 1944 წ-ს მომღერლის გარდაცვალების ოცი წლის თავი აღინიშნა. 1947 წ-ს თბილისის კონსერვატორიას მისი სახელი მიენიჭა.

ლიტ.: შ. კაშმაძე, ვანო სარაჯიშვილი, ”ხელოვნება”, თბ., 1962; ვანო სარაჯიშვილი, სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, თბ., 1941.

ზურაბ ლეჟავა

სართანია პლატონ

სართანია პლატონ (1886, სოფ. ლედგებიო, ზუგდიდი მაზრა - 1918) - სცენისმოყვარე. დაიბადა გლეხის ოჯახში, წერა-კითხვა თავისით შეისწავლა, ასევე მეწაღეობა და სურათების გადაღება. სხვა განათლება არ გააჩნდა. 1905 წ-ს სენაკის ხელოსნებთან ერთად მონაწილეობდა პოლიტიკურ გამოსვლებში, ამიტომ წელიწადნახევრით რუსეთის ჩრდილოეთში გადაასახლეს. საქართველოში დაბრუნებული წერა-კითხვას ძლივს ახერხებდა, თუმცა ამხანაგებს სცენაზე გამოსვლას თხოვდა, რადგან ხალხისთვის ხმა სცენიდან მიეწვდინა. მსახურობდა ზუგდიდის სცენაზე. მისი შესრულებული როლებია: სესია „ბატონი და ყმაში“, პეტუა „ციმბირელში“ და სხვ. ამავე დროს იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი. 1918 წ-ის 24 ოქტომბერს გარდაიცვალა. მის გარდაცვალებას გამოეხმაურა იმდროინდელი სახელოვნებო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. 1919 ზუგდიდის სცენისმოყვარე ამხანაგებმა განსვენებულის წლის თავზე დადგეს „ბატონი და ყმა“. შემოსავლის ნაწილი ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“ გადაეცა, ნაწილი კი მისი ქვრივი დის ოჯახს.

ლიტ.: პ. მეუნარგია, პროვინციის მუშაკი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №11; ლ. ჯაღაღონია, პროვინციის მუშაკი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №16.

სალომე ჭანტურიძე

სასამართლო განაჩენის შეცვლის შესახებ კანონი - ტერმინი „სასამართლო ხელისუფლება“ ქართულ სინამდვილეში პირველად სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში გამოიყენეს. კონკრეტულად, მხედველობაშია 1919 წ-ის 29 ივლისის კანონი „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა“. ამ კანონით განისაზღვრა, თუ რომელ ორგანოებს ეკუთვნოდა „სასამართლო ხელისუფლება“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თუმცა 1921 წ-ის კონსტიტუციაში სიტყვა „სასამართლო ხელისუფლება“ არცერთხელაა მოხსენიებული, კონსტიტუციის შესაბამის ნაწილს „სასამართლოები“ ეწოდება. 1919 წ-ის 17 აპრილის დადგენილება „სასამართლოს განაჩენის შეცვლის თაობაზე შემოსული თხოვნების განხილვისა“ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც მხარეებად გამოდიოდნენ სასამართლო პროცესებზე, უფლებას არ აძლევდა, შეეტანა სააპელაციო საჩივარი დამფუძნებელ კრებაში. დეპუტატები მოითხოვდნენ, რომ დამფუძნებელი კრება ყოფილიყო საბოლოო ინსტანცია სისხლის სამართლის საქმეებზე. იურიდიული კომისიის სახელით დავით ონიაშვილი განმარტავდა, რომ „დამფუძნებელი კრება არ უნდა არჩევდეს ასეთ მოთხოვნებს. დამფუძნებელი კრება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და ასეთი საქმეების გარჩევა ხელს შეუშლის და შეაფერხებს მის მოღვაწეობას“. აღნიშნული დადგენილება მოიცავს ერთ პუნქტს და აღიარებს: „საქართველოს დამფუძნებელი კრების სახელზე შემოსული თხოვნები და შუამდგომლობანი, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შეცვლას შეეხება, დამფუძნებელი კრების მიერ განუხილველი დარჩება“. ამ დებულებით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანო გაემიჯნა მართლმსაჯულებით ფუნქციებს. ეს საკითხი

აქტუალური იყო ევროპაში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან, როდესაც გერმანიის უმაღლესი ხელისუფლება ნაკლებად ერეოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროში. პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰემ პირველი 1739 წ-ს იმუქრებოდა, რომ იგი შეუბრალებლად ჩამოახრჩობდა ყველას, ვინც მას მიმართავდა სასამართლოს მიერ გარჩეული საქმეებისათვის თხოვნით და 1752 წ-ის 22 ოქტომბრის რესკრიპტრით აცხადებდა, რომ არ ჩაერეოდა სასამართლოს საქმეებში და თვითონაც სახელმწიფო კანონებს დაემორჩილებოდა. 1919 წ-ის 19 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს (სენატის) დებულება. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს აირჩიეს სენატის პირველი წევრები 15 მოსამართლის შემადგენლობით. უზენაესი სასამართლო მუშაობას შეუდგა 1919 წ-ის 23 ოქტომბერს. სენატი აღიჭურვა სასამართლოს განაჩენის შეცვლის უფლებამოსილებით. სენატის დებულების მე-8 მუხლის მიხედვით, იგი თავისი მოღვაწეობის ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას. საბოლოოდ ეს საკითი აიყვანეს კონსტიტუციურ რანგში. 1921 წ-ის კონსტიტუციის 79-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს არცერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეჩერდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან ადმინისტრატიული ორგანოს მიერ.

ლიტ.: კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული (კმგკ), 1919, №6; გაზ. „ერთობა“, 24 აპრილი, 1919; გაზ. „სახალხო საქმე“, 5 ნოემბერი, 1920; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990; ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბ., 2013.

ბექა ქანთარია

სასულიერო განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 1917-ის 12/25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის და 1918 წ-ის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველ სასულიერო კრებულს და მორწმუნე საზოგადოებას იმედი მიეცა, რომ საქართველოს ეკლესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მოახერხებდა თავისი კუთვნილი ადგილის დაკავებას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის წინაშეც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა, იყო განათლების საკითხი, რასაც თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ებრძოდა მეფის რუსეთი. საქართველოში უნდა მომხდარიყო რუსული ეკლესიის მიერ დამკვიდრებული სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის ქართულით შეცვლა, ამ მიზნით ქართველ სასულიერო პირებს შორის ფართო მუშაობა გაიაშალა. მათ შეკრებებზე აქტიური მსჯელობის საგნად სწორედ ეს საკითხი იქცა. თუმცა ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულს მხოლოდ ის რეაგირება მოჰყვა, რომ 1918 წ-ის 22 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების“ შესახებ ყველა ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლებში. ამ დადგენილებიდან ერთი თვის თავზე თბილისის სასულიერო სემინარია გადაკეთდა „ტფილისის ვაჟთა მე-8 გიმნაზიად“. ცენტრალური ხელისუფლების აღნიშნულ ნაბიჯს სასულიერო კრებულისა და მრევლის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა, თუმცა მთავრობა გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებდა და აღნიშნულიც მისი იდეოლოგიურ-რელიგიური პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990; ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წ. წ., თბ., 2000; ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. პირველი, თბ., 2008.

მიხეილ ქართველიშვილი

სატარიფო პალატა – საქართველოს შრომის სამინისტროსთან არსებული ორგანო, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა: საკვები პროდუქტების ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მონაცემების მოპოვება ხელფასების შესახებ, დასკვნების დადება საარსებო ხარჯის მომატებასთან დაკავშირებით, მუშების მოთხოვნების შესახებ აზრის დაფიქსირება, კოლექტიური კონტრაქტების შესწავლა და რატიფიცირება, საარსებო საშუალო მინიმუმის დადგენა რესპუბლიკის მასშტაბით, სახელფასო თანხის დადგენა პროფესიების, ინდუსტრიების, რეგიონების მიხედვით, სხვადასხვა ინდუსტრიულ სფეროში სამუშაოს პროდუქტიულობის „სტანდარტის“ დადგენა, გამომუშავებითი ხელფასების ნორმების დადგენა, სავალდებულო არბიტრაჟის განხორციელება ხელფასების სფეროში, განაკვეთური ხელფასის პერიოდული და საგანგებო შემოწმებისთვის თარიღების დანიშვნა, სპეკულაციისა და საარსებო ხარჯის მატების დასამარცხებლად ზომების მიღება, რესპუბლიკის პროდუქტიულობის განვითარებისა და ხელფასის რეგულარიზაციის საკითხის შესწავლა, შრომის სამინისტროსთვის განსახილველად კანონებისა და ბრძანებულებების პროექტების გადაცემა.

სატარიფო პალატა 1919 წ-ის აპრილში გამართულ პროფკავშირების პირველი ყრილობის შემდეგ შეიქმნა. ამ ინიციატივას შრომის მინისტრის მოადგილე და შემდგომი შრომისა და მომარგების მინისტრი გიორგი ერაძე ედგა სათავეში. სატარიფო პალატის თავმჯდომარე ილია გოლდმანი იყო. პალატა შედგებოდა

შრომის სამინისტროს, მუშებისა და დამქირავებლების წარმომადგენლებისგან 1/3 პრინციპის დაცვით. პალატამ თავისი არსებობის თითქმის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში არაერთი შრომითი დავა განიხილა და გამოიტანა თავისი ვერდიქტი. პალატის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად 1919-1920 წწ-ში არაერთი გაფიცვა იქნა თავიდან აცილებული. ფინანსური არასტაბილურობის, ფასების მუდმივი ზრდის, შეუჩერებელი ინფლაციის პირობებში, პალატის მიერ დამტკიცებული სახელფასო განაკვეთები, სურსათისა და სხვა საქონლის ფასების რეგულირება მუშათათვის უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენდა მუშების ისედაც მძიმე მდგომარეობის გაუარესებისგან დაცვის კუთხით. პალატამ რამდენჯერმე სახელფასო განაკვეთების 40-60-100 %-იანი ზრდის გადაწყვეტილება მიიღო, სურსათზე ფასების ზრდის გამო. პალატა დროგამოშვებით მუშათა პროფკავშირების მიერ უსაფუძვლოდ წამოწყებულ ინიციატივებს ხელფასის გაზრდის შესახებ არ აკმაყოფილებდა, მაგალითად, 1919 წ-ის თბილისის სააფთიაქო მუშათა პროფკავშირების მოთხოვნა ხელფასების მომატებაზე არ გაითვალისწინა. 1920 წ-ს საქართველოში ვიზიტად მყოფი კარლ კაუცკი აქტიურად აკვირდებოდა სატარიფო პალატის მუშაობას, რომელსაც მსოფლიოში მაგალითი არ მოეპოვებოდა. შემდგომში საქართველოს შესახებ გამოცემულ წიგნში კაუცკიმ დაწერა: „სატარიფო პალატა ვალდებულია იხელმძღვანელოს საარსებო მინიმუმისა და დასაქმებულთა ხელფასის გათვალისწინებით; შეისწავლოს მუშათა დავები; განიხილოს კოლექტიური ხელშეკრულებები და მიიყვანოს ისინი შეთანხმებამდე. საბოლოოდ კი მუშათა და დამქირავებელთა დავების დროს იმოქმედოს, როგორც მედიატორმა“.

ლიტ.: ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21 წწ.), თბ., 2001; ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბ., 2018; კ. კაუცკი, საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბ., 2018; გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №119, 1921, №21.

ირაკლი ირემაძე

„საქართველო“ (24.V.1915 - 25. II. 1921) - ყოველდღიური გაზეთი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა ჟურნალ „კლდის“ (1912 - 1915) დახურვის შემდეგ. 1920 წ-ის 10 დეკემბერს, შსს-ს დადგენილებით, გაზეთის გამოცემა დროებით შეწყდა და იგი გამოვიდა „ახალი საქართველოს“ სახელწოდებით, რომელიც 11-ში ამავე სამინისტროს დადგენილებით კვლავ დახურეს (იხ. „სახალხო გაზეთი", 1920 წ-ის 12 დეკ. №1002 ; აგრეთვე „სახალხო საქმე", 1919 წ-ის 13 ნოემბ. №678). რედაქციამ მუშაობა განაახლა „ივერიის“ სახელწოდებით, შემდეგ ისევ დაიბრუნა თავდაპირველი სახელდება. გაზეთმა რამდენჯერმე შეწყვიტა გამოსვლა ფინანსური პრობლემების გამო. გაზეთს ჰქონდა ლიტერატურულ-შემეცნებითი, ილუსტრირებული საკვირაო დამატება, რომელმაც 1917 წ-დან არსებობა შეწყვიტა. რედაქციამ კვირა დღე უქმედ გამოაცხადა და ორშაბათობით „საქართველო“ აღარ გამოდიოდა. ამრიგად, 1917 წ-დან მისი პერიოდულობა განისაზღვრა კვირაში 6 ნომრის გამოცემით. „საქართველომ“ რამდენიმე რედაქტორი გამოიცვალა, რაც პარტიის შიგნით არსებულ უთანხმოებებთან იყო დაკავშირებული. 1915 წ-ის 24 მაისიდან - 1917 წ-ის 12 აპრილამდე გაზეთს მესვეურობდა ალ. (სანდრო) შანშიაშვილი, 1917 წ-ის 12 აპრილიდან 15 აგვისტომდე - გრ. ვეშაპელი (ვეშაპიძე), 1918 წ-ის 15 აგვისტოდან 1919 წ-ის 18 მაისამდე - გ. ქიქოძე, 1920 წ-ის აგვისტოდან 1921 წ-ის 23 თებერვლამდე - სპირ. კედია. 1920 წ-ის იანვარ-აპრილში გაზეთს გამოსცემდა „თბილისის ვაჭარ-მრეწველთა პალატის“ მიერ შექმნილი სარედაქციო კოლეგია, რამაც ამ ეტაპზე მისი წმინდა ინფორმაციული ხასიათი განაპირობა. სხვა პარტიული გამოცემებისგან განსხვავებით, გაზეთი „საქართველო" მანამდე დაარსდა, ვიდრე ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი პარტიად ჩამოყალიბდებოდა (1917). მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა გამოჩენილ მოღვაწეთა ბრწყინვალე შემოქმედებითი გუნდი, რომელთა მოწადინებითაც „საქართველო" ეროვნული იდეალებისთვის მებრძოლ გამოცემად ჩამოყალიბდა. გაზეთის ცნობილ ავტორთაგან შეგვიძლია დავასახელოთ: მიხ. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, ვ. ბარნოვი, გ. ქიქოძე, შ. დადიანი, რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, შ. ქარუმიძე, ალ. ფრონელი (ყიფშიძე), შ. არაგვისპირელი, ს. ახმეტელი, დ. ჩიქოვანი და სხვ. მიხ. ჯავახიშვილი მ. ადამაშვილის ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს, გრიგოლ რობაქიძე კი - გივი გოლლენდის. გაზეთში აქტიურად მოღვაწეობდნენ აგრეთვე: ზაქარია ედილი (ედილაშვილი), მოსე ჯანაშვილი, ილია ჭყონია, აპოლონ წულაძე და სხვ. ისინი არაერთი საინტერესო წერილით წარსდგნენ მკითხველის წინაშე, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეით იყო გამსჭვალული. აღსანიშნავია, რომ გაზეთში თანამშრომლობდა „ცისფერყანწელი" პოეტი ლელი ჯაფარიძე. იგი 1918-1919 წწ-ში უძღვებოდა რუბრიკას „საქართველოს პარლამენტში" და დამფუძნებელი კრების მუშაობას აშუქებდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „საქართველოს" ღვაწლი ქართული ლიტერატურისა და კულტურის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი პარტიული პერიოდული ორგანო იყო, ცდილობდა, ვიწროპარტიულობისგან თავი დაეღწია და საერთო-ეროვნული პოზიციიდან ესაუბრა საზოგადოებასთან. მიუხედავად ამოცანის სირთულისა, რაც დაძაბულ და პოლარიზებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას ითხოვდა ამ ტიპის პრესისგან, მაინც შეიძლება ითქვას, რომ „საქართვე-

ლო" ახერხებდა ერთი პარტიის ინტერესებიდან ზოგადქართულ პრობლემებამდე ამაღლებულიყო. ამით სახელწოდებასაც ამართლებდა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს ემსახურებოდა. „საქართველო" დამოუკიდებლობის წლებში ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი სიმტკიცისა და ეკონომიკური აღმავლობის პოზიციაზე იდგა, დღის წესრიგში აყენებდა ქვეყნისათვის საჭირბოროტო პრობლემებს. მხარს უჭერდა პროგრესული რეფორმების გატარებას ცხოვრების ყველა სფეროში. რადიკალურად უპირისპირდებოდა პრორუსულ პოლიტიკას, მკითხველს აჩვენებდა თანამედროვე მსოფლიოს ორ დიამეტრულად საპირისპირო ძალას და ურჩევდა აერჩია დასავლური ღირებულებითი ვექტორი, რომელიც რუსეთთან შედარებით მეტი პროგრესისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომტანი იყო. განსაკუთრებით თანაუგრძნობდა უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა უკრაინის ტერიტორიაზე რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

გამოცემის მესვეურები მოსახლეობას ფრთხილ, წინდახედულ და გონივრულ ქმედებას ურჩევდნენ. „ქართველებო, შეგნებულათ, შეერთებულათ, დინჯათ!" — მოუწოდებდნენ გაზეთის ფურცლებიდან, ასაბუთებდნენ, რომ საჭირო იყო, ქართველ ერს შეეცვალა ორიენტაცია და ჩამოშორებოდა რუსეთს. გადმოსცემდნენ ქვეყანაში შექმნილ ნამდვილ ვითარებას, რუსული ორგანიზაციების ანტიქართულ საქმიანობას, მათ პოლიტიკურ ზრახვებს. გაზეთი წინააღმდეგი იყო ისეთი დემოკრატიისა, რომელიც თვალს ხუჭავდა და თავისუფლებას აძლევდა ყოველგვარ ანტიქართულ აზრსა და მოქმედებას. განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოთქვამდა რუსი ესერებისა და კადეტების მიმართ; დაუნდობლად აკრიტიკებდა ქართველ ბოლშევიკებს, მათ მოღალატურ საქმიანობას; ყურადღებას იჩენდა რუსეთში მცხოვრები ქართველებისადმი. ამ საკითხზე იგი ხშირად აქვეყნებდა მასალებს და სახავდა გზებს მათ სამშობლოში დასაბრუნებლად. ინტენსიურად აშუქებდა აგრეთვე საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის პრობლემებს; მათ შორის სომეხთა საკითხს, მეტადრე საქართველო-სომხეთის კონფლიქტის თემას. განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდა სამაჩაბლოს, საინგილოსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრობლემატიკის მიმართ. საგულისხმო მასალებს აქვეყნებდა სამაჰადიანო საქართველოსა და ბათუმის ოლქში არსებული სიტუაციის შესახებ. ამ თემას ეძღვნებოდა მუდმივმოქმედი რუბრიკა „ბათუმის ცხოვრება", რომელშიც უამრავი ცნობა იყო თავმოყრილი ქალაქის ყოველდღიურობის, მის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ. სათანადო ადგილს უთმობდა ლიტერატურული ნაწარმოებებსაც. უნდა ითქვას, რომ იმ დროს ცალკეულ გამოცემებს საკუთარი ფავორიტი ავტორები ჰყავდა, რომელთა ნაწარმოებებსაც ინტენსიურად აქვეყნებდნენ. ეს ერთგვარი „მესაკუთრეობა" თუ „ფავორიტულობა" მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პრიორიტეტებზე იყო დაფუძნებული და ამ გამოცემათა მიზანდასახულობით მართლდებოდა. მათ რიცხვში იყო ეროვნულ-დემოკრატიული „საქართველოც", რომელიც „ცისფერყანწელთა" თხზულებებს ანიჭებდა უპირატესობას. გაზეთი გვამცნობდა მოდერნისტული პერიოდიკის სიახლეებსაც (მაგ., ინფორმაცია ქუთაისში ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების" გამოსვლის შესახებ (№44, 1919)). „საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა ცნობილი მწერლების არაერთი ნაწარმოები. მაგ., 1919 წ-ის ნომრებში გამოქვეყნდა ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულისა", ვალერიან გაფრინდაშვილისა და გიორგი ლეონიძის ლექსები და სხვა.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009; დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები - დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008; გ. საითიძე, ჟურ. „კლდე" (1912-1915 წ. წ.), გამომც. „ნეკერი", თბ., 2003; თ. სეხნიაშვილი, საქართველშო-რუსეთის ურთიერთობები 1918-1921 წლებში გაზეთ „ერთობისა" და „საქართველოს" მიხედვით - საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2006; მ. შამილიშვილი, 1900-1910-იანი წლების ქართული ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციები, წიგნ. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 2016.

მანანა შამილიშვილი

საქართველო–აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების ხელშეკრულება – 1919 წ-ის 16 ივნისს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს - საქართველოს და აზერბაიჯანს - შორის ერთობლივ თავდაცვით ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ ორმა მეზობელმა სახელმწიფომ ერთმანეთს სამხედრო დახმარება უნდა აღმოუჩინოს მხოლოდ მტრის შემოსევის დროს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი თავად მოიწადინებს შეტევითი ომის დაწყებას ვინმეს წინააღმდეგ, მეორე მხარე მოვალე არ არის, მას მხარი დაუჭიროს. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება და აზერბაიჯანის მთავრობა იღებენ სამხედრო ურთიერთდახმარების ვალდებულებას მესამე მხრიდან აგრესიის შემთხვევაში; თანხმდებიან ტერიტორიული დავების მოლაპარაკებისა და არბიტრაჟის გზით გადაწყვეტაზე. ორივე რესპუბლიკის ხელისუფლებამ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შესთავაზა აღნიშნულ ხელშეკრულებას შეერთებოდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თბილისში, საქართველოს დრ-ის მხრიდან - ე. გეგეჭკორმა (საგარეო საქმეთა მინისტრი), ნ. რამიშვილმა (შინაგან

საქმეთა მინისტრი), გენერალი-მაიორმა ალ. გედევანიშვილმა (თავდაცვის მინისტრის მოადგილე), გენერალმა ი. ოდიშელიძე (სამხედრო საბჭოს წევრი); აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან - მამად ჯაფაროვმა (საგარეო საქმეთა მინისტრი), გენერალმა სამედბეკ მეხმანდაროვმა (თავდაცვის მინისტრი), გენერალ-ლეიტენანტმა სულეიმანბეკ სულკევიჩმა (გენერალური შტაბის უფროსი). ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლში ვკითხულობთ: 1. „შეთანხმების შემკვრელი ორივე სახელმწიფო მოვალე არის მთელი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით გაილაშქროს ყველა თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც კი ორივე ან ერთ-ერთ შეთანხმებულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას საფრთხეს უქადის. შენიშვნა: ეს მუხლი არ ეხება იმ უთანხმოებებს, რომელსაც გამოიწვევს საზღვრების საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული გამიჯვნის დაუმთავრებლობის ნიადაგზე. 3.ეს შეთანხმება განსაკუთრებით თავდაცვითი ხასიათისაა და თუ რომელიმე მხარემ წინასწარ შეუთანხმებლად ომი გამოუცხადა ან საომარი მოქმედება დაიწყო, შეთანხმების მონაწილე მეორე მხარე მოვალე არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ საომარ მოქმედებაში. 4. ხელშეკრულების მონაწილენი მოვალენი არიან ყოველგვარი დავა, რომელიც კი მათ შორის მოხდება საზღვრების საკითხის გამო, გადაწყვიტონ შეთანხმებით ან არბიტრაჟით, რომლის გადაწყვეტილებაც უნდა იქნეს აღიარებული, როგორც საბოლოო და ორივე მხარისთვის სავალდებულო. 5. ეს შეთანხმება შეიკრას 3 წლის ვადით. ხელშეკრულების თითოეულ მონაწილეს უფლება ეძლევა, ამ ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე განაცხადოს სურვილი მისი ახალი ვადით განახლების ან მისი უარყოფის შესახებ. უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულება მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ კარგავს ძალას. 7. პირველ და მეორე მუხლებში აღნიშნული პირობების შექმნის დროს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან სეპარატიული ზავი არ შეკრან. 10. ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას - სომხეთს უფლება ენიჭება ამ ხელშეკრულების ოფიციალურად გადაცემის დღიდან 2 კვირის განმავლობაში განაცხადოს, რომ თანახმაა შემოუერთდეს ამ შეთანხმებას". საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის პრობლემატური იყო ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხი, ასევე აზერბაიჯანის მხარდაჭერა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მიმართ, თუმცა შეიარაღებულ დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში დოკუმენტი ერთხმად იქნა რატიფიცირებული, აზერბაიჯანის პარლამენტში კი მისი დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ ბოლშევიკები გამოვიდნენ. მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებისა, ორივე სახელმწიფო 1920-1921 წწ-ში ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა. 1920 წ-ის 28 აპრილს, ბოლშევიკების მიერ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, იქაური პოლიტიკური ელიტის ნაწილი თბილისში გადმოვიდა, მაგრამ 1921 წ-ის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა საქართველოც დაიპყრო. წითელი არმიის ინტერვენციისთვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლებას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბოლშევიკური პარტიისათვის ქვეყნის მმართველობის გადაცემას აზერბაიჯანის პარლამენტის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. ასეთ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აზერბაიჯანთან თავდაცვითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაცვა აღარ მოეთხოვებოდა. ქართული სამხედრო შენაერთების აზერბაიჯანში გაგზავნისაგან საქართველოს მთავრობამ თავი შეიკავა. თბილისმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ბოლშევიკთაგან დევნილ აზერბაიჯანის დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ვერ შეძლო დაეცვა საკუთარი მოქალაქეები გასაბჭოებულ ბაქოში. აზერბაიჯანის რევკომის განკარგულებით, თითქმის სრული შემადგენლობით დააპატიმრეს საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელობა, დახვრიტეს აზერბაიჯანის არმიაში მომსახურე რამდენიმე ქართველი ოფიცერი, მათ შორის გენერალი ბ. მაყაშვილი და სხვ.

ლიტ.: მ. ბახტაძე, საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები I, თბ., 2011; სცსა. ფ. 1864, აღწ. 2; გაზ. „ერთობა", 1919, №134.

ლელა სარალიძე

საქართველო-რუსეთის 1920 **წლის** 7 **მაისის ხელშეკრულება** – დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე წელსაც დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები კვლავ არ ჩქარობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარებას. თავშეკავება რუსეთის ფაქტორით იყო განპირობებული; სამოქალაქო ომის პერიოდში დასავლეთი მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის მთლიანობას. ომში საბჭოთა რუსეთის გამარჯვების შემდეგ ანტანტის სახელმწიფოებმა ცნეს საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობა (1920 წ-ის 12 იანვარი). ანტანტის ქვეყნების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დასავლეთი ანგარიშს უწევდა საბჭოთა რუსეთის ოფიციალური პოზიციის გარკვევას დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ. ამგვარ ვითარებაში საქართველოს მთავრობამ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისათვის გაგზავნა ცნობილი სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი

კრების წევრი, გრიგოლ ურატაძე. ქართული მხარის მიზანი იყო, საბჭოთა რუსეთს ეცნო საქართველოს დე იურე დამოუკიდებლობა და ქვეყნის ტერიტორიული საზღვრები. საბჭოთა რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებებს აწარმოებდა საგარეო საქმეთა კომისრის (მინისტრის) მოადგილე ლევ კარახანი (ლეონ კარახანიანი). მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. 1920 წ-ის 7 მაისს გრ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებას. დოკუმენტი შედგება პრეამბულის, 16 მუხლისა და ორი საიდუმლო დანართისაგან. ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლით, რუსეთი უსიტყვოდ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და მის სუვერენიტეტს. რუსეთი უარს აცხადებდა ყოველგვარი სახის პრეტენზიაზე ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ; უარს ამბობდა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე. ხელშეკრულების IV მუხლის მიხედვით, რუსეთი საქართველოს შემადგენლობაში უსიტყვოდ ცნობდა ყოფილი იმპერიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში შემავალ მაზრებს; ბათუმის, ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს. ხელშეკრულების VI მუხლით, რუსეთი ვალდებულებას იღებდა, თავის ტერიტორიაზე არ დაეშვა საქართველოს მთავრობის მტრულად განწყობილი მოქმედი ჯგუფები და ორგანიზაციები. ხელშეკრულების XII, XIII და XV მუხლები საქართველო- რუსეთს შორის სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობების საკითხებს ითვალისწინებდა. დადებით მხარეებთან ერთად, იმავე ხელშეკრულების III, V, X მუხლები და დამატებითი შეთანხმების ზოგიერთი ნაწილი საქართველოს ხელისუფლების წინაშე მძიმე მოთხოვნებს აყენებდა. III მუხლის მეორე ნაწილით, რუსეთ-საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დამდგენი კომისიის დასკვნამდე, 1922 წ-ის პირველ იანვრამდე, სასაზღვრო უღელტეხილები საზღვრიდან 5 ვერსის მანძილზე ნეიტრალურად ცხადდებოდა. უღელტეხილების გამაგრება ან დაკავება ამ პერიოდში ორივე მხარეს ეკრძალებოდა. ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული უღელტეხილები წლისა და 7 თვის განმავლობაში დაუცველი რჩებოდა. X მუხლის V და VI პარაგრაფები ქართული ჯარის შემადგენლობაში არშემავალი უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების საქართველოდან გაყვანას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში საქართველოში მყოფი ბრიტანეთის სამხედრო შენაერთები იყო ნაგულისხმევი. როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულების II მუხლით, რუსეთი საქართველოს საქმეებში ჩაურევლობის გარანტიას იძლეოდა, მაგრამ X და სპეციალური დანართის პირველი მუხლი ქართულ მხარეს ავალდებულებდა: 1) ყველა იმ პირების განთავისუფლებას, რომლებიც საბჭოთა რუსეთის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ გაწეული საქმიანობის გამო იყვნენ დასჯილნი; 2) საქართველოს ტერიტორიაზე კომუნისტური ორგანიზაციებისათვის თავისუფალი არსებობის და აგიტაცია-პროპაგანდის ნებართვის მიცემას. 1920 წ-ის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას საპროტესტო ნოტებით შეხვდა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა უწყებები. 1) სომხური მხარე ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საქართველოსათვის გადაცემას აპროტესტებდა, იმავდროულად, ბათუმის ოლქში ჭოროხის რაიონით დაკმაყოფილებას მოითხოვდა; 2) რაც შეეხება გასაბჭოებულ აზერბაიჯანს, იგი ზაქათალას ოკრუგის საქართველოს საზღვრებში შეტანას აპროტესტებდა. ამ ფაქტს უკავშირდება 1920 წ-ის 12 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების დამატებითი ნაწილის სახითაა ცნობილი. ძირითადი ხელშეკრულების და დამატებითი შეთანხმების პირველ პარაგრაფს შორის განსხვავება შემდეგია: 1) ხელშეკრულების IV მუხლი ზაქათალას ოკრუგს ყოველგვარი საზღვრების შესწორების გარეშე საქართველოს შემადგენელ ნაწილად აცხადებდა; 2) ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების I მუხლით, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე და თვით ზაქათალას ოკრუგში მდებარე სადავო ადგილების (პუნქტების) კუთვნილების გადაწყვეტის საკითხი შერეული კომისიის კომპეტენციად იყო მიჩნეული. ხელშეკრულების დამატებითი I ნაწილი ძირითადი ხელშეკრულების IV მუხლს არ არღვევდა, რადგან იგი ზაქათალას ოკრუგის კუთვნილებას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა. საკითხი ეხებოდა მხოლოდ ოკრუგის შიგნით სადავო ადგილის - პუნქტის საზღვრის მოსალოდნელ კოსმეტიკურ ცვლილებას და არა ოკრუგის აზერბაიჯანისთვის გადაცემას. საკითხი სადავო ადგილების შესახებ, რომელიც მდებარეობდა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე და ზაქათალას ოკრუგში, გადასაწყვეტად მომავალში გადაეცემოდა შერეულ კომისიას. ხელშეკრულებაში სასიკეთო და საზიანო მუხლების მიუხედავად, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს დოკუმენტი დადებითად შეაფასა. რუსეთ-საქართველოს 1920 წ-ის 7 მაისის ხელშეკრულებამ გარკვეული სტიმულატორის ფუნქცია შეასრულა ევროპის სახელმწიფოებისათვის, რათა მათ ეღიარებინათ საქართველოს დე იურე დამოუკიდებლობა.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და ქართული პოლიტიკური აზრი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X, თბ., 2009; ლ. თოიძე, ინტერვენციაც, უკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.

შოთა ვადაჭკორია

საქართველო-რუსეთის შერეული კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ – შეიქმნა 1920 წ-ის საქართველო-რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულების VIII მუხლის საფუძველზე. ითვალისწინებდა ხელშეკრულების V და VI მუხლებით გათვალისწინებულ პირობებზე კონტროლს. შეთანხმების მიხედვით, ქართული მხარე ვალდებული იყო, „დაუყოვნებლივ განაიარაღოს და მოახდინოს საკონცენტრაციო ბანაკებში ინტერნირება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი, თუ ასეთები არსებობენ ან მომავალში მისი საზღვრების გადაკვეთას დააპირებენ, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილების, გუნდების და ჯგუფებისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის წარმომადგენლის როლზე... გადასცეს რუსეთს უსასყიდლოდ და არ მოითხოვოს ამისათვის არავითარი საზღაური უკლებლივ მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, ფასეულობა, ფულადი თანხები, რომლებიც ამ მუხლის I პუნქტში ნახსენები ორგანიზაციების და ჯგუფების მფლობელობაში, სარგებლობაში ან განკარგულებაში იქნება... სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონებაში ამ პუნქტის მიხედვით იგულისხმება: ხომალდები და სხვა მცურავი საშუალებები, ასევე საარტილერიო, საინტენდანტო, საინჟინრო და საავიაციო მომარაგების ყველა საგნები (მუხლი V)". ამ პირობების შესრულებაზე კონტროლისათვის იქმნებოდა „შერეული კომისია ორივე მხარის წარმომადგენლებისგან თითოეული მხარისაგან წევრთა ერთნაირი რაოდენობით (მუხლი VIII)". შერეული კომისიის შედგენის დაჩქარებას ითხოვდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში ს. კიროვი, რომელმაც 1920 წ-ის ივნისის შუა რიცხვებში საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა: „ჩემს უპირველეს მოვალეობათ მიმაჩნია საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების განხორციელება ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიის საშვალებით. საკონტროლო კომისიის ფუნქციები აღნიშნულია საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლში, რომელიც ეხება დაკავებულ მოხალისეებს და მათ მიერ ჩაბარებულ იარაღს". სამხედრო გარანტიების შესახებ შერეული კომისიის პირველი სხდომა ივნისის დასასრულს შედგა, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ შემადგენლობასა და მუშაობის პრინციპზე. შერეული კომისიის მუშაობისას ყველაზე დიდი დავა გამოიწვია საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ინტერპრეტაციამ. 13 ივლისის სხდომაზე რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ, ლ. რეზენმა, განაცხადა, რომ „დაელაპარაკა თავის მთავრობას ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესახებ, რომელმაც სხვადასხვა განმარტება გამოიწვია და რომელიც სამხედრო ქონებას და დაჭერილთა გადაცემას შეეხება, რუსეთის მთავრობა და დელეგაცია კვლავ იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ ეს მუხლი შეეხება სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების გადმოსვლას, რომელიც ამ ხელშეკრულების ხელის მოწერამდე, ან მის შემდეგ მომხდარა". რუსეთის მხარე ითხოვდა, რომ მოხალისეთა არმიის მთელი ქონება, ასევე დაპატიმრებული მეომრები სრულად გადაცემოდა საბჭოთა რუსეთს. საპასუხოდ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ს. მდივანმა, მოითხოვა დრო, რათა საქართველოს მთავრობის პოზიცია წერილობით ეცნობებინათ მეორე მხარისთვის. მომდევნო სხდომაზე ქართულმა მხარემ ვრცელი წერილით უპასუხა რუსეთის დელეგაციას, სადაც ხაზგასმული იყო, რომ „საქართველოსა და მოხალისეებს შორის პერმანენტული ბრძოლა არსებობდა, ბედი მთელი სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ ჩამოართავა მათ ა/წ 7 მაისის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, განისაზღვრება ომიანობის ნორმებით, ე. ი. ამა თუ იმ გზით მტრისთვის წართმეული სამხედრო და სხვა ყოველგვარი ქონება ცნობილი უნდა იქნეს საქართველოს საკუთრებად, როგორც ნადავლი". ამ საკითხზე კამათი შემდეგ სხდომებზეც გაგრძელდა, თუმცა ქართული მხარე ბოლომდე შეეცადა თავისი პოზიციის დაცვას. საქართველო-რუსეთის შერეული კომისიის ორი წარმომადგენელი - კაპიტანი კოსტანიაშვილი და ბ. ზარიანი იმყოფებოდნენ ასევე ფოთში გამართულ მოხალისეთა ტყვეთა ბანაკში, სადაც რუსეთის მხარე შეეცადა შეესწავლა 500-მდე ტყვე მეომარის საქმე. 1920 წ-ის ივლისის შუა რიცხვებში კომისიამ მუშაობა განაგრძო ბათუმში. რუსეთის მხარეს განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ რა ქონება დატოვეს ბათუმში მოხალისეთა ჯარებმა. ამ საკითხზე საგანგებო მოხსენება გააკეთა ბათუმის ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა, ბ. ჩხიკვიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ „ბათუმის დატოვების წინ მოხალისეებმა მთელი თავისი ქონება თან წაიღეს". რუსეთის მხარემ მოითხოვა ბათუმში ორი ობიექტის შესწავლა - სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების და „სანაღმო ეზოს". 23 ივლისს კომისიამ დაათვალიერა ორივე ობიექტი. ამავე პერიოდში ბათუმში ბ. ჩხიკვიშვილმა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, საბახტარაშვილის, დეპეშა, რომლითაც მთავრობა კომისიას სთხოვდა, შეესწავლა 13 ივლისს ბათუმიდან გასული გემის ყიზილ-არვატის დოკუმენტაცია და გემის „პეტრე დიდის" ეკიპაჟი. ამ გემების ფარულ კავშირზე ვრანგელთან მიუთითებდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ს. კიროვი თავის საპროტესტო ნოტაში და სწორედ ამ ეჭვების გასაფანტავად საგარეო საქმეთა სამინისტრო ითხოვდა რუსეთის დელეგაციასთან ერთად ეს საკითხები საგანგებოდ შეესწავლათ. კომისიამ გამოარკვია ს. კიროვის პროტესტის უსაფუძვლობა და მხარეებმა შემოწმება შესაბამისი ოქმით დაადასტურეს. საქართველო-რუსეთის შერეული კომისიის შე-

მდგომ სხდომებზე კვლავ გაგრძელდა კამათი მე-5 მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. რუსეთის მხარის მტკიცებით, საქართველოს არ ჰქონია სამხედრო დაპირისპირება მოხალისეებთან და, შესაბამისად, რაიმე სახის სამხედრო ნადავლზე საუბარი ქართული მხარის მხრიდან უმართებულოა. თავის მხრივ ს. მდივანმა ვრცელი წერილი წარუდგინა რუსეთის დელეგაციას, რომელშიც ადასტურებდა, რომ დენიკინის ჯარებსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის არაერთი შეტაკება მოხდა აფხაზეთის ფრონტზე და სოჭის ოლქში. საბოლოოდ, რუსეთის დელეგაცია იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო. შერეული კომისიის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე რუსეთის მხარემ განაცხადა: „დელეგაცია მიდის რა მაქსიმალურ დათმობაზე, თანახმაა შეზღუდოს რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილება მხოლოდ გენერ. ერდელის რაზმების ქონების გადაცემით, ვინაიდან უეჭველია, რომ ეს ქონება გადავიდა საქართველოს ხელში მაშინ, როდესაც მათ შორის არავითარი ომი არ არსებობდა“. მიუხედავად რუსეთის მხარის დათმობისა, საბოლოო შეთანხმების მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა. 1920 წ-ის აგვისტოში საქართველო-რუსეთის შერეული კომისიის მუშაობა შეწყდა.

ჯაბა სამუშია

საქართველო-საბჭოთა აზერბაიჯანის სავაჭრო ხელშეკრულება – 1920-ის 12 ივნისს სამშვიდობო ხელშეკრულება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო. ზავი აღსტაფაში გაფორმდა. იმავე დღეს ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი, 4 მუხლისგან შემდგარი მორიგება დაიდო. ხელშეკრულების დამდები მხარეები: ერთი მხრივ, აზერბაიჯანის სსრ-ს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა დაუთ ჰუსეინოვი და, მეორე მხრივ, საქართველოს დრ-ის თავდაცვის მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ს. მდივანი და ალ. ანდრონიკაშვილი. ხელშეკრულება 18 მუხლისგან შედგება. პირველი მუხლის მიხედვით: „აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ისპობა ყოველივე საომარი მოქმედება და ორივე მხარე სამშვიდობო და სამეგობრო ურთიერთობებს იწყებს, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილებს ორივე მხარე ერთმანეთს უბრუნებს“. აღსტაფის ხელშეკრულების თანახმად, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი ცარიზმის დროინდელ თბილისისა და განჯის გუბერნიების გამყოფ საადმინისტრაციო ხაზზე დადასტურდა, მაგრამ მხარეები კვლავ ვერ შეთანხმდნენ ზაქათალის ოლქზე. საკითხის გადაწყვეტა საარბიტრაჟო კომისიას მიენდო. საზავო ხელშეკრულება საქართველოს დრ-ის დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა. ზავთან დაკავშირებით ქართული მხარე თვლიდა, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს დრ-ის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ხალხის მშვიდობიანი და ნორმალური განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამიერკავკასიის სრული მშვიდობიანობის დროს. საქართველოს მხარე აცხადებდა აუცილებელ საჭიროებად, რათა ყველა კონფლიქტი, რომელიც აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის მოხდებოდა, მშვიდობიანი გზით გადაჭრილიყო. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული სადავო საკითხების გადაჭრა იარაღით ემუქრებოდა საერთო ზავს, ამიერკავკასიის წონასწორობას და შეეძლო შეერყია ის დებულებანი, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო. რესპუბლიკის მთავრობა იმედს გამოთქვამდა, რომ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური მთავრობა, თავის მხრივ, სომხეთ-აზერბაიჯანის სადავო საკითხების გადასაწყვეტად ყველაფერს გააკეთებდა. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ასევე სავაჭრო ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო, რომლის შესაბამისად აზერბაიჯანი საქართველოს ნავთობპროდუქტებით მოამარაგებდა. აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში, სერგეი კიროვი (ნამდვილი გვარი კოსტრიკოვი), რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, გიორგი ჩიჩერინს, წერდა: „უკიდურესი ზომების მიღება დამჭირდა, რათა ეს მოლაპარაკება ჩამეშალა და ხელშეკრულება, რომელიც სრულიად მზად იყო, დარჩა ხელმოუწერელი“. საქართველოს-აზერბაიჯანის ხელშეკრულების დასადებად, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ორივე დელეგაციის შეხვედრა აღსტაფაში, 31 მაისს უნდა გამართულიყო. 30 მაისს გავიდნენ თბილისიდან და საღამოს 6 საათზე იყვნენ ფოილოს ხიდთან საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე და დელეგაციის წევრები: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ს. მდივანი და გენერალი ანდრონიკაშვილი; მდივნები: დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია. განჯის ამბების გამო, აზერბაიჯანის დელეგაცია აღსტაფაში დანიშნულ დროს ვერ მივიდა. საქართველოს დელეგაციამ აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის - სულთანოვისგან ცნობა მიიღო, რომ აღსტაფაში მისვლა მას მხოლოდ 3 ივნისს შეეძლო და ამიტომ სთხოვა დროებითი ზავის დადება გადადებულიყო. საქართველოს დელეგაცია თბილისში დაბრუნდა და 2 ივნისს ისევ უკან წავიდა. ფოილოს ხიდთან მიახლოებისას დელეგაცია მდინარე მტკვარზე გაკეთებულ ბონდზე გადავიდა. მეორე მხარეს დელეგაციას აზერბაიჯანის მატარებელი უცდიდა, რომლითაც საქართველოს დელეგაცია აღსტაფაში დილის 9 საათზე მივიდა. დელეგაციას

დახვდნენ აზერბაიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები გ. კ. ალშიბაიას მეთაურობით და აზერბაიჯანის საზავო დელეგაცია თავმჯდომარესთან ერთად. საზავო კონფერენციის პირველი სხდომა დილის 11 საათზე გაიხსნა. მოხდა მანდატების გაცვლა-გამოცვლა. აღიარეს ხელისმომწერ სახელმწიფოთა სუვერენობა და დამოუკიდებლობა. მიიღეს შემდეგი დღის წესრიგი: 1. პოლიტიკური საკითხები; 2. ტერიტორიული; 3. სამხედრო; 4. ეკონომიკური. ზემოაღნიშნული საკითხები განიხილეს 3, 4 და 5 ივნისს. უთანხმოების გამო, მოლაპარაკება დროებით შეწყდა. 6 ივნისს აზერბაიჯანის დელეგაციამ განაცხადა, რომ საკუთარ მთავრობას უნდა მოლაპარაკებოდა და დროებითი ზავის გაგრძელების გადადება კიდევ ერთი კვირით მოითხოვა, მაგრამ საქართველოს დელეგაციის წინააღმდეგობის გამო, შეხვედრა მხოლოდ 4 დღით - 9 ივნისის საღამოს 5 საათამდე გადაიდო. 8 ივნისს დილით 11 სათზე საქართველოს დელეგაცია აღსტაფაში გაემგზავრა და 9 ივნისს დილის 8 საათზე მას აზერბაიჯანის დელეგაცია შეხვდა, რომლის მეთაური უკვე მეორე თავმჯდომარე, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუთ ხუსეინოვი იყო. საზავო დელეგაციამ მატერიალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკება გამართა. დიდი კამათი გამოიწვია ტერიტორიულმა და საზღვრების საკითხებმა. კამათის შემდეგ ყველა საკითხზე შეთანხმებას მიაღწიეს. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 12 ივნისს, საღამოს 10 საათზე, რომლის შემდეგ, იმავე დღეს, დელეგაციები ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ლიტ.: სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 76; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №131; С. К и р о в, Статьи, речи, документы, т. I, М., 1936.

ლელა სარალიძე

საქართველო-სომხეთის ხელშეკრულება – 1919 წ-ის 3 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის თბილისში ორი ხელშეკრულება დაიდო. პირველი დოკუმენტი მხარეებს ყველა სადავო საკითხის ურთიერთშეთანხმებით ან არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტას ავალდებულებდა, მეორე მეზობელ რესპუბლიკებს შორის სამი წლის ვადით თავისუფალ ტრანზიტს ითვალისწინებდა. ორივე ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა როგორც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, ისე სომხეთის პარლამენტში. გონივრული კომპრომისების გზით, შესაძლებელი იყო მოეგვარებინათ საზღვრებისა და ტერიტორიული გამიჯვნის პრობლემებიც, მაგრამ სომხეთის ხელისუფლება დათმობაზე არ მიდიოდა. სომხეთის რესპუბლიკის მესვეურებს მოკავშირე სახელმწიფოების გადაჭარბებული იმედი ჰქონდათ. ისინი აშშ-ის პრეზიდენტ უილსონისგანაც დიდ მხარდაჭერას მოელოდნენ (იმ დროს აქტიურად განიხილებოდა სომხეთზე აშშ-ის მანდატის დაწესების საკითხი), რის გამოც სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება მეზობლებს ანგარიშს აღარ უწევდა. სომეხი პოლიტიკოსები პარიზის, ლონდონისა თუ სან-რემოს საერთაშორისო კონფერენციებზე თამამი მოთხოვნებით გამოდიოდნენ. საქართველოსთან მიმართებაში სომხეთი არ კმაყოფილდებოდა მისთვის აღთქმული გარანტიით - დათმობოდა გასასვლელი შავ ზღვაზე. იგი ხან სომხეთ-საქართველოს საზღვრის მდინარე ჭოროხზე გავლების წინადადებას აყენებდა და ხანაც ბათუმის ნავსადგურის ნაწილს, სომხეთის ბათუმთან დამაკავშირებელი მომავალი სარკინიგზო ზოლის ექსტერიტორიულობასა და მის სრულ საკუთრებაში აღიარებას მოითხოვდა. რასაკვირველია, სომხური მხარის ეს წინადადება ქართველი პოლიტიკოსებისთვის მიუღებელი იყო და შეთანხმებაც ვერ მოხერხდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტის იმედი ამაო გამოდგა. სომხეთი მეზობელი ქვეყნებისაგან განმარტოვებული დარჩა. მეტიც, საქართველოს შემდეგ მას სამხედრო კონფლიქტი აზერბაიჯანთანაც მოუხდა (1920 წ-ის გაზაფხული). თვითიზოლაციის დამღუპველი შედეგი არარატის რესპუბლიკამ მალევე იწვნია, როცა 1920 წ-ის ნოემბერში მუსტაფა-ქემალის არმია ყარსსა და ალექსანდროპოლში შეიჭრა, სომხეთს, ფაქტობრივად, არავინ გამოესარჩლა. განწირული მეზობლის დასაცავად ხელი არც საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფალთ გამოუღიათ. სომხეთს „შემწედ“ მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთი მოევლინა. რუსეთის ხელისუფლებამ ოსმალთა აგრესია კი შეაჩერა, მაგრამ სომხეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო და ეს ქვეყანა კრემლის მარიონეტ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადააქცია.

ლიტ.: სცსა, ფ. 1969, აღწ. 4, საქ. 12; R. H o v a n n i s i a n, Armenia on the road to independence 1918. University of California Press, Berkley and Los Angeles 1967; შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, საქართველო-სომხეთის ურთიერთობების საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1918-1920), თბ., 1999.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია – საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წ-ის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიიღო. იგი ქართული კონსტიტუციონალიზმის თავფურცელია. საქართველოს პირველი კონსტიტუციის ტექსტი დაეფუძნა კონსტიტუციონალიზმის იმ ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც ასეთ პრი-

ნციპებად აღიარებული იყო პროექტის შემუშავებისა და მიღების პერიოდში დასავლურ კონსტიტუციონალიზმში. ესენია: ხელისუფლების ფუნქციონალური განაწილების (კონსტიტუციაში ცალკე თავი ეთმობა პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას და სასამართლოს); მმართველობის ფორმის უცვლელობის; პარლამენტის უზენაესობისა და სუვერენობის; პარლამენტის უწყვეტობის; სახალხო სუვერენიტეტის; რესპუბლიკური მართვა-გამგეობის; უშუალო დემოკრატიის (რეფერენდუმი); კოლეგიალური მართვა-გამგეობის; აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის; აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის პრინციპები. კონსტიტუცია დაეფუძნა საქართველოს 1918 წ-ის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, რომელიც შემდგომში ამ კონსტიტუციის პრეამბულად ითვლებოდა. კონსტიტუციამ მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა დაამკვიდრა ერთი განსაკუთრებული თავისებურების გათვალისიწნებით - სახელმწიფოს მეთაურის - პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, რაც მათი მხრიდან მონარქიის შიშით იყო გამოწვეული. სოციალ-დემოკრატები პრეზიდენტს მონარქთან აიგივებდნენ.

კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. პირველი თავი ეთმობა ზოგად დებულებებს, რომელთა მიხედვით, საქართველო არის დამოუკიდებელი, თავისუფალი და განუყოფელი სახელმწიფო, მისი დედაქალაქია თბილისი, ხოლო სახელმწიფო ენა - ქართული ენა. იქვეა განმტკიცებული სახელმწიფო სიმბოლოები, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპები.

კონსტიტუციის მეორე (საქართველოს მოქალაქეობა), მესამე (მოქალაქის უფლებანი), მეთორმეტე (სწავლა-განათლება და სკოლა), მეცამეტე (სოციალ-ეკონომიკური უფლებანი), მეთოთხმეტე (ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი) და მეთხუთმეტე (სახელმწიფო მოხელენი) თავები ადამიანის ძირითად უფლებებს ეხება. აქ წარმოდგენილია უფლებათა სამივე კატეგორია: პირადი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური. ასევე განმტკიცებულია ამ უფლებათა დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიები.

მეოთხე თავი ეთმობა საქართველოს პარლამენტს, რომელიც ირჩეოდა პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული არჩევნების პრინციპის საფუძველზე პროპორციუ-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფა

ლი წესით სამი წლის ვადით. მოცემულია პარლამენტის კომპეტენციები, ასევე პარლამენტის წევრის სამართლებრივი მდგომარეობა. კონსტიტუციის მიხედვით, ხელმწიფება ეკუთვნის ერს, თუმცა ამ ხელმწიფებას კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს პარლამენტი. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციამ პარლამენტის უზენაესობის პრინციპი დაადგინა.

მეხუთე თავი ეძღვნება ხელისუფლების მეორე შტოს - აღმასრულებელ ხელისუფლებას. კონსტიტუციის ამ თავის შინაარსიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მეთაური იყო კოლეგიალური ორგანო - მთავრობა. კონსტიტუციამ დაადგინა მთავრობის პოლიტიკური და იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპი პარლამენტის წინაშე. მთავრობა წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. მთავრობას საკანონმდებლო ინიციატივისა და პარლამენტში ბიუჯეტის შესახებ კანონის წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭა. მთავრობა იყო თავდაცვის სფეროშიც უმაღლესი ორგანო.

მეექვსე თავი ეთმობა სასამართლო ხელისუფლებას. გათვალისწინებულია უმაღლესი სასამართლოს - სენატის არსებობა. აღნიშნული თავი განამტკიცებს სასამართლოს დამოუკიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს. გათვალისწინებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

მეშვიდე თავი ეხება გადასახადებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს. დადგინდა გადასახადების კანონით შემოღების პრინციპი. კონსტიტუციის თანახმად, თუ პარლამენტმა ბიუჯეტის დამტკიცება ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დადგომამდე, მთავრობას, პარლამენტის ნებართვით, უფლება ეძლევა, სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაფაროს.

მერვე თავი განსაზღვრავს სახელმწიფო კონტროლის, როგორც უწყების კონსტიტუციურსამართლებრივ სტატუსს. სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევდა პარლამენტი და ის მის წინაშე იყო პასუხისმგებელი. კონტროლიორის ფუნქციები იყო: სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება; სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი; მთავრობისა და სხვადასხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში; ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები.

მეცხრე თავში განისაზღვრა სახელმწიფო თავდაცვა და მასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები, აგრეთვე სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულება. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ სამხედრო ძალების დანიშნულებაა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიის დაცვა. გასაწვევთა რაოდენობას პარლამენტი ამტკიცებდა.

მეათე თავი მიეძღვნა ადგილობრივ თვითმმართველობას. ადგილობრივი თვითმმართველობას ირჩევდნენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით. ადგილობრივი თვითმმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილებოდა მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს. მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება ჰქონდათ, შეეჩერებინათ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს.

მეთერთმეტე თავი ეხება ავტონომიურ მმართველობას, რომელთა მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოსა (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) მიენიჭათ ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა.

მეთექვსმეტე თავის მიხედვით, სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებული და დამოუკიდებულია. არცერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა. ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

კონსტიტუციის ბოლო, მეჩვიდმეტე თავი, როგორც წესი, კონსტიტუციის ზოგად ან ნაწილობრივ გადასინჯვას ეხება. კონსტიტუციამ ცვლილებებისა და დამატებების რთული წესი დაამკვიდრა. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება ჰქონდა არანაკლებ პარლამენტის წევრთა ნახევარს და ორმოცდაათი ათას ამომრჩეველს. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა ყოფილიყო პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედიოდა მხოლოდ რეფერენდუმზე ხალხის თანხმობის შემთხვევაში. კონსტიტუციით აიკრძალა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის გაუქმების მიზნით.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990; ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2013; მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წ. კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, 1993.

ბექა ქანთარია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე დამოუკიდებლობის აღიარება – რუსეთ-საქართველოს 1920 წ-ის 7 მაისის ხელშეკრულებამ და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე აღიარებამ, ფაქტობრივად, საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო დე იურე აღიარება დააჩქარა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე იურე ცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმა:

ოსმალეთი -1918 წლის 3 ივნისი

არგენტინა - 1919 წლის 15 სექტემბერი

საბჭოთა რუსეთი -1920 წლის 7 მაისი
გერმანია - 1920 წლის 24 სექტემბერი
შვეიცარია - 1920 წელი
ბელგია - 1921 წლის 27 იანვარი
საფრანგეთი - 1921 წლის 27 იანვარი
ინგლისი - 1921 წლის 27 იანვარი
იტალია -1921 წლის 27 იანვარი
იაპონია - 1921 წლის 27 იანვარი
ავსტრია -1921 წლის 17 თებერვალი
რუმინეთი -1921 წლის 18 თებერვალი
ლუქსემბურგი -1922 წლის 23 თებერვალი
ჰაიტი -1921 წლის 9 მარტი
ლიბერია - 1921 წლის 28 მარტი
მექსიკა - 1921 წლის 14 აპრილი
პანამა - 1921 წლის 26 აგვისტო
სიამი - 1921 წლის 20 ნოემბერი

იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღადგენდა თავის დამოუკიდებლობას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის ანექსიაოკუპაციის შემდეგაც აღიარეს. 1921 წ-ის 6 თებერვლისთვის თბილისში არაერთი უცხო სახელმწიფოს საელჩო და დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა. მთავრობის სასახლეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს - ნოე ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობა მიულოცეს თბილისში აკრედიტებულმა უცხო სახელმწიფოთა შემდეგმა წარმომადგენლებმა: დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა - სტოქსმა, საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა - შევალიემ; საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა - პოლკოვნიკმა კორბეილმა; გერმანიის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა - რაუშერმა; იტალიის ელჩმა - ჩერუტიმ; იტალიის კონსულმა - ფრანზონიმ; რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა - შეინმანმა; ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელმა - ელვერგმა; ოსმალეთის დიდი ნაციონალური ყრილობის წარმომადგენელმა - ქიაზიმ ბეიმ; პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა - ოსტროვსკიმ; ნიდერლანდების ვიცე-კონსულმა - ფონ ალენ შტეინმა; ნორვეგიის კონსულმა - სონდლომ; ესპანეთის ვიცე-კონსულმა - ბარსეგიანიმ; საბერძნეთის წარმომადგენელმა - სკეფერისმა; ფინლანდიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა - პოლკოვნიკმა ბერკვისტმა; ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელმა - სვატოშმა; სპარსეთის გენერალურმა კონსულმა - ზოკა ედ დოვლემ; აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა - ნაჯაფოვმა; სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა - შავერდოვმა; სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა - კაცენსმა; ესტონეთის კონსულმა - პაულმა; ლატვიის კონსულმა - დაილიდემ.

შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობასთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოები, საკონსულოები თუ დიპლომატიური წარმომადგენლობები გაიხსნა საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, რუსეთში, ოსმალეთში, არგენტინაში, მანჯურიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, აშშ-ში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. არგენტინაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ანდრია დეკანოზიშვილი იყო, ხოლო არგენტინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში - ლუკას ეირეგეირა (Lucas Ayarragaray). საფრანგეთში სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა აკაკი ჩხენკელი, ხოლო საელჩოს პირველ მდივნად - სოსიპატრე ასათიანი; გერმანიაში საქართველოს ელჩი იყო ვლადიმერ ახმეტელი; შვეიცარიაში (ბერნში) - მიხეილ სუმბათაშვილი, საელჩოს პირველი მდივანი - ვლადიმერ გურჯიძე; ჟენევაში, ერთა ლიგასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი - ხარიტონ შავიშვილი; ბელგიაში - ანტონ ჟორჟოლიანი, ატაშე - ალექსანდრე ქუთათელაძე; შვეციასა და ნორვეგიაში - მიხეილ (მიხაკო) წერეთელი; იტალიაში - კონსტანტინე საბახტარაშვილი, საელჩოს პირველი მდივანი - გიორგი მაჩაბელი (მოგვიანებით, იგი თავად გახდა ელჩი იტალიასა და ავსტრიაში), ეკონომიკური წარმომადგენელი - მიხეილ ყაუხჩიშვილი, კონსული - გიორგი აფხაზი; დიდ ბრიტანეთში - დავით ღამბაშიძე, პირველი მდივანი - ანდრია გუგუშვილი, მდივანი - ვიქტორ ნოზაძე; არგენტინაში - ანდრია დეკანოზიშვილი; ოსმალეთში (კონსტანტინოპოლში) - მთავრობის რწმუნებული - კონსტანტინე გვარჯალაძე, კონსული - იოსებ გოგოლაშვილი, ეკონომიკური წარმომადგენელი - ივანე ჭავჭანიძე; ანკარაში ქემალ ფაშას მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სვიმონ მდივანი იყო, სამხედრო მრჩეველი - გენერალი ალექსანდრე ერისთავი, საქმეთა მწარმოებელი - არისტო ჭუმბაძე, ატაშე - მელიტონ ქარცივაძე და ზია აბაშიძე, ოფიცრები დავალებათათვის - ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი (გენერალ ჯონ-მალხაზ და ოთარ შალიკაშვილების მამა); მანჯურიაში, ხარბინში - ნიკოლოზ ჯიშკარიანი; აშშ-ში წარმომადგენლად - ილია გოლდმანი, მოგვიანებით - დავით ღამბაშიძე, ხოლო 1926 წ-ს დევნილი მთავრობის კონსულად ვასილ დუმბაძე გაიგზავნა; რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში (მოსკოვში) თავდაპირველად გაბრიელ ხუნდაძე, ხოლო შემდეგ გერასიმე მახარაძე დაინიშნა; ნოვოროსიისკში კონსული - პეტრე

ჩინიჯიშვილი; შორეულ აღმოსავლეთში კონსული - ჯერ ფრანსუა თუმანოვი იყო, ხოლო შემდეგ - კირილე თუმანოვი; უკრაინაში - ბიქტორ თევზაია, ბაქოში - ივანე ქარცივაძე; ჩეხოსლოვაკიაში - გიორგი აიოლო; პოლონეთში პირველი ელჩი სიმონ სიდამონ-ერისთავი იყო, მოგვიანებით - იოსებ სალაყაია, კონსული - სერგო ყურულაშვილი; საბერძნეთში (ათენში) - ჩილინჯიშვილი, კონსულად - ჩინგოზაშვილი. გარდა ამისა, ევროპასა და ამერიკაში სხვადასხვა დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური წარმომადგენლები იყვნენ: იოსებ ელიგულაშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, მათე სკობელევი და სიმონ შიფრინი.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 708; სცსა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 230; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921, №31; National Republic of Georgia. Hearings before the Committee on Foreign Affairs. House of Representatives, sixty-ninth Congress, 1st Session on H. J. Res. 195 providing for the appointment of a Diplomatic Representative to the National Republic of Georgia. April 1 and 2, 1926. Statements of Mr. John A. Stewart (New York City), Mr. Vasili D. Dumbadze (New York City), Maj. Henry G. Opdycke (New York CIty). Washington, Government Printing Office, p. 280, 1926; ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1994; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე - პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ ანტანტის წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით 1919 წ-ის 18 იანვარს პარიზში საზავო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით, თავდაპირველად ლონდონში გაემგზავრა საქართველოს დრ-ის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი საგარეო საკითხებში ზურაბ ავალიშვილი, რომელიც, დიდ ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ დავით ღამბაშიძესთან ერთად, ე. წ. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას შეუდგა. მოგვიანებით, მათ ბერლინიდან კონსტანტინე გვარჯალაძეც შეუერთდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გასამგზავრებლად საქართველოს დელეგაცია თბილისიდან 1918 წ-ის ნოემბერში გავიდა და მეტად მრავალრიცხოვანი იყო. მასში შედიოდნენ პარტიების წარმომადგენლები, მრჩეველები, სპეციალისტები და სხვ., ვიზებზე უარის თქმის გამო, დელეგაციის წევრების უმრავლესობა იძულებული შეიქმნა სამშობლოში გამობრუნებულიყო. პარიზში ქართველები 1919 წ-ის 19 იანვარს ჩავიდნენ. დელეგაციის მეთაური იყო კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე. პარიზში ჩასვლის პირველსავე დღეს საქართველოს მთავრობის ოფიციალურმა რწმუნებულებმა, ზ. ავალიშვილმა და დ. ღამბაშიძემ, ოფიციალური მემორანდუმით მიმართეს კონფერენციის გენერალურ მდივანს - დიუტასტას, რომლის კაბინეტის უფროსმა, არნავონმა, ქართველებს ურჩია ჯერჯერობით მოლაპარაკება საფრანგეთის საგარეო საქმეთა პოლიტიკურ განყოფილებასთან ეწარმოებინათ. დელეგაციამ საფრანგეთის მთავრობასა და ყველა დიდ სახელმწიფოთა დელეგაციებს დოკუმენტების პაკეტი გადასცა, რომელშიც განმარტებული იყო ოსმალეთთან და გერმანიასთან საქართველოს დამოკიდებულების ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები. დელეგაციამ პარიზში 1919 წ-ის მარტიდან 1920 წ-ის დამლევამდე დაჰყო. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, როგორც დელეგაციის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე წერს: „1919 წლის მარტის დასაწყისში დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ, პარიზამდე მიაღწია საქართველოდან წამოსულმა დელეგაციამ. ეს გარემოება ემცნო საზავო კონფერენციის სხვადასხვა დელეგაციებს... ჩვენი დელეგაციის დიდი ნაწილის საფრანგეთში შესვლა ვერ მოხერხდა (შემოვედით მხოლოდ კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი და ერთი თვის შემდეგ ი. გობეჩია - დანარჩენებს მოკავშირე მთავრობათა წარმომადგენლებმა კონსტანტინოპოლიდან გასვლა აუკრძალეს). ამის გამო, ერთ-ერთ კრებაზე (ეს იყო 1919 წლის 7 მაისს) დელეგაციამ დაადგინა, შეავსოს თავისი შემადგენლობა ახალი წევრებით. ამნაირად მოქცევის უფლება ჩვენ წინასწარ წამოვიღეთ მთავრობისგან. ასე რომ, ამ მომენტიდან დელეგაციის წევრებად ითვლებიან სხვებთან ერთად: ზ. ავალიშვილი, კ. გვარჯალაძე და დ. ღამბაშიძე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეს უკანასკნელი თითქმის იმ დღესვე გაემგზავრა ლონდონში და შემდეგ ის საქართველოში წავიდა. ასე რომ, ის არ დასწრებია დელეგაციის არც ერთ კრებას და მისი პარიზში არ ყოფნის დროს (6 თვის განმავლობაში) არც ტელეგრამა და არც წერილი არ მოუწოდებია დელეგაციისათვის და ამნაირად სრულად შეწყვიტა ჩვენთან კავშირი და დამოკიდებულება...“ დელეგაციის შემადგენლობა პერიოდულად იცვლებოდა. სხვადასხვა დროს მასში შედიოდნენ, გარდა ზემოჩამოთვლილებისა, ვარლამ ჩერქეზიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, საფრანგეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი ელჩი აკაკი ჩხენკელი, დელეგაციასთან მუშაობდნენ ელენე წერეთელი-დემოლონისა, ვიქტორ ბაბე, ქრისტინე ჰელმი-ჯავრიშვილისა, ხოლო საინფორმაციო ბიუროში - ჯინორია. მოთათბირის სტატუსით დელეგაციაში ივანე ჯავახიშვილი შეიყვანეს, რომელსაც ისტორიულ-ეთნოგრაფიულად უნდა დაესაბუთებინა საქართველოს საზღვრები. დელეგაცია მას სომხებისა და აზერბაიჯანელების ტერიტორიული პრეტენზიების წინააღმდეგ არგუმენტების ჩამოყალიბებას ავალებდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა გენერალი ილია ოდიშელიძე. მოთათბირის სტატუსით, მაგრამ, ფაქტობრივად, დელეგაციის საქმეთა მმართველად

ევროპაში მყოფი ქართველი დიპლომატის - დავით ღამბაშიძის ძმა ვახტანგ ღამბაშიძე დაინიშნა. კანცელარიის გამგეობა ივანე ზურაბიშვილს ჩააბარეს. საინფორმაციო ნაწილის გამგეებად დასახელდნენ გრიგოლ რობაქიძე და ილია ნაკაშიძე. მათ მოვალეობას უცხოურ პრესასთან და სხვადასხვა ჯგუფთან საინფორმაციო მუშაობა შეადგენდა. დელეგაციის სამდივნოს ქართული ნაწილის გამგეობა ი. გოგოლაშვილს დაევალა. საქმეთა სიმრავლისა და ენების უცოდინარობის გამო მას დამხმარედ ირაკლი წერეთლის და - ეთერ წერეთელი, აგრეთვე ანდრია დეკანოზიშვილი დაუნიშნეს. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ნაზარაშვილი, რომელსაც შიკრიკის ფუნქცია უნდა შეესრულებინა და ინფორმაციის გაცვლისთვის ყოველ ორ კვირაში თბილისსა და პარიზს შორის უნდა ემოგზაურა. კომუნიკაციის საშუალებებისათვის დელეგაციაში რადიოს სპეციალისტი წვერავა შეიყვანეს. დელეგაციის გამგზავრებისა და თავდაპირველი ხარჯებისთვის ბიუჯეტიდან ნახევარი მილიონი რუსული მანეთი გამოიყო. დღიურ გასამრჯელოდ თითოეულ წევრს 50 ფრანკი მიეცა. მთავრობამ ვალდებულება აიღო, დელეგაციის წევრთა თბილისში დარჩენილ ოჯახებზეც ეზრუნა.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 1483; ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ. წ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (სპეციალობა საქართველოს ისტორია-07. 00. 01), საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 1994; სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 178, საქ, 128, საქ. 148. ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 230 ; ბ. კობახიძე, საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბ., 2015.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო დამოუკიდებლობის აღიარება - პირველი სახელმწიფოები, რომლებმაც ცნეს საქართველოს 1918 წ-ის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და თავიანთი სრულუფლებიანი წარმომადგენლები გაგზავნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, იყვნენ: სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა (1917-1918 წწ-ში პრემიერ-მინისტრი იყო აბდულ მეჯიდ (ტაპა) ჩერმოევი, 1918-1919 წწ-ში - პშემახო კოცევი), ხოლო ერთ-ერთი პირველი უცხოეთის სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო აღიარა, ოსმალეთი იყო. შემდეგი იყო გერმანიის ხელისუფლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო დამოუკიდებლობა აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: ოსმალეთი - 1918 წლის 3 ივნისი გერმანია -1918 წლის 10 ივნისი ავსტრია -1918 წლის 18 ივნისი იტალია -1920 წლის 12 იანვარი საფრანგეთი -1920 წლის 12 იანვარი დიდი ბრიტანეთი - 1920 წლის 12 იანვარი

იაპონია - 1920 წლის 7 თებერვალი საბჭოთა რუსეთი - 1920 წლის 7 მაისი ჩეხოსლოვაკია - 1920 წლის 8 აპრილი ბელგია - 1920 წლის 26 აგვისტო პოლონეთი - 1921 წლის 28 იანვარი

საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარება საქართველოს უახლეს ისტორიაში ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობის აღიარებას ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) მხრიდან 1920 წ-ის 12 იანვარს. საერთაშორისო კონიუნქტურის პირობებში ეს იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მისი დიპლომატიის სერიოზული გარღვევა საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნულ ფაქტს 1920 წ-ის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა მიეძღვნა. სხდომას დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე თავმჯდომარეობდა. სხდომას რესპუბლიკის მთავრობა სრული შემადგენლობით დაესწრო. ასევე იყვნენ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, ამერიკის, პოლონეთის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მთიულეთის და სხვ. განსაკუთრებული ადგილი დაუთმეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს - ოლივერ უორდროპს. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია. მან თქვა; „...ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროდ, უშუალოდ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალ-ღონეს... საქართველო დღეს აღადგინა დემოკრატიის თანხმობამ... ასეთია, ბატონებო, ახალი საქართველო და ის წარსდგა ევროპის წინაშე მსჯავრის მისაღებად. წარვსდექით არა მოწყალებისათვის, არამედ უფლებისათვის და მათ გვკითხეს, რა მოგაქვთ? ჩვენ ვუპასუხეთ: მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა. მოგვაქვს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის გზის ყურეში. ჩვენ არ ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი. ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი და ეს ჩვენ დაგისაბუთეთ არა სიტყვით, არა კეთილი სურვილებით,

არამედ საქმით, სახელმწიფოს შეუწყვეტელი შენებით...“

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 688; სცსა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 230; ა. მ ა ნ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984; ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 1997.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობანი გერმანიასთან – საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთიერთობებს გერმანიასთან საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. 1918 წ-ის 28 მაისს ფოთში გაფორმდა „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“. მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ ეკონომიკურ საკითხებზე: 1) სამხედრო დანიშნულების ტვირთები გერმანიიდან საქართველოში უბაჟოდ უნდა შემოეტანათ; 2) ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში მყოფი ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების პარალელურად უნდა დაეშვათ მარკა, როგორც კანონიერი საგადამხდელო საშუალება; 3) საქართველოს მთავრობის მოწვევის შესაბამისად, ჩვენ ქვეყანაში შემოსული გერმანული ჯარის სურსათით უზრუნველყოფაში დახმარება უნდა გაეწია ქართულ მხარეს; 4) საქართველოში მოქმედ გერმანიის სახელმწიფო კომისიას ადგილობრივი სურსათი ნაღდ ფულზე უნდა შეეძინა და სხვ. საქართველოს მთავრობა ცდილობდა, ახლო მომავალში შემოეღო სტაბილური კურსის მქონე ეროვნული ვალუტა. ვინაიდან პოლიტიკური ორიენტაცია მათ აღებული ჰქონდათ გერმანიაზე, გადაწყდა, რომ ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებოდნენ ამ ქვეყნის ხელისუფლებას. ამ მიზნით, 1918 წ-ის ივნისში ბერლინში ჩავიდა სამთავრობო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ნ. ნიკოლაძე, ა. ჩხენკელი, ზ. ავალიშვილი და სხვ. მათ ეკონომიკური შეთანხმებები დადეს გერმანიის სამინისტროებთან, ფირმებთან და ბანკებთან. 15 აგვისტოს გერმანიის უმსხვილეს ბანკებთან გააფორმეს ფინანსური შეთანხმება საქართველოსათვის სესხის გამოყოფის თაობაზე. ამ შეთანხმებათა განხორციელება ვერ მოხერხდა I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების გამო. საქართველოს მთავრობას გააზრებული ჰქონდა, რომ გერმანელებს საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ და ის დახმარებაც, რომელიც მათ ჩვენს ქვეყანას გაუწიეს, მათივე სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით, მთავრობის ოფიციოზი მიუთითებდა: „მიამიტობა იქნებოდა მოლოდინი იმისა, რომ თითქოს გერმანია უანგაროდ დაუჭერს მხარს ქართველ სოციალ-დემოკრატიას... გერმანელები საქართველოში მოვიდნენ არა სოციალ-დემოკრატების ან ნაციონალ-დემოკრატების გულისათვის, არამედ, მარგანეცის, სპილენძის, ხე-ტყისა და ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრის გულისთვის“. მიუხედავად ამისა, საქართველოს მესვეურნი დადებითად აფასებდნენ გერმანიასთან კავშირს. ნ. ჟორდანიას აზრით, საქართველოს სუვერენულ უფლებათა პატივისცემისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის „დაუვიწყარი მაგალითი მოგვცა გერმანიის ჯარების სარდლობამ. ჩვენ - სოციალისტები და დემოკრატები, ისინი - მონარქისტები, აზნაურები. განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი“. კ. კანდელაკი აღნიშნავდა, რომ გერმანელთა „გეგმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებისათვის ძალიან ფართე იყო და ყოველმხრივი. იგი შეეხებოდა, როგორც ფინანსიურ, ისე საერთო ეკონომიურ მხარეებს ჩვენი სახალხო მეურნეობისას, ფულის საკითხის მოწესრიგებით დაწყებული... თუ გერმანელებმა ჩვენთან შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს. სხვათა შორის, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით თავიდანვე დაწესებული პარიტეტი ჩვენი ფულის და გერმანულ მარკას შორის მათი ჩვენში ყოფნის დროს არ შეუცვლიათ“.

ლიტ.: გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე მ, თბ., 1942; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბ., 1990; კ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, დამოუკიდებელი საქართველო. მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი, 1960; ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული, თბ., 1990; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობანი დიდ ბრიტანეთთან – საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთიერთობებს დიდ ბრიტანეთთან საფუძველი ჩაეყარა I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე. ინგლისის ჯარის საქართველოში შემოსვლის შემდეგ, 1919 წ-ის 15 თებერვალს, შედგა საუბარი მათ სარდალ უოკერსა და ნ. ჟორდანიას შორის. კითხვაზე, თუ რა დახმარებას უნდა მოელოდეს საქართველო ბრიტანეთისგან, უოკერმა ასე უპასუხა: „მივაქციე ყურადღება თქვენი რესპუბლიკის ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ ვინაიდან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული რკინიგზის საქმესთან, ინგლისი ვერ დააფინანსებს ქვეყნებს, სადაც ეს საქმე უზრუნველყოფილი არ იქნება. რაც შეეხება კერძო კა-

პიტალის მოდენას, თქვენში არსებული სოციალიზაციის პირობებში მოკავშირეთა კაპიტალი აქ ვერ მოვა“. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ საქართველოში არ ხდებოდა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა სოციალიზაცია, რაზედაც უოკერმა ეჭვი გამოთქვა. ჟორდანიამ უპასუხა: „ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენ ბოლშევიკები ვიქნებოდით“. 4 სექტემბერს ე. გეგეჭკორმაც განუცხადა ბრიტანეთის წარმომადგენელს, ო. უორდროპს: „საქართველოს მთავრობას შეგნებული აქვს, რომ ის უნდა ეყრდნობოდეს რომელიმე მტკიცე სახელმწიფოს ორგანიზმს და ამ შეგნებამ გვიკარნახა გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე... საქართველო თხოვს დახმარებას ინგლისს და სურს იცოდეს, რას მოისურვებს ინგლისი სანაცვლოდ“. ინგლისელებმა საქართველოს რკინიგზაზე კონტროლი დააწესეს და ბათუმის ოლქი საკუთარ საგენერალ-გუბერნატოროდ აქციეს, რამაც ქართველობა მათ წინააღმდეგ განაწყო.

მართალია, ბრიტანეთის ხელისუფლების დაინტერესება საქართველოს ბუნებრივი რესურსებით, სტრატეგიული სახმელეთო თუ საზღვაო სატრანსპორტო კომუნიკაციებით და ა. შ. დიდი იყო, მაგრამ მნიშვნელოვანმა მიზეზებმა ის აიძულა, ეკონომიკურ მისწრაფებათა პრაქტიკულ განხორციელებაზე უარი ეთქვა. იმხანად, ბრიტანეთის მთავრობა დაკავებული იყო მსოფლიო ომის შემდგომი მოწყობისა და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცების კარდინალური საკითხებით. მისი ყურადღება და ფინანსური შესაძლებლობები მიმართული იყო „რუსეთის საკითხის“ მოწესრიგებისაკენ. ამ ფუნდამენტური საკითხების გვერდით „საქართველოს საკითხი“ აქტუალობას კარგავდა. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა შეეცადა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და მათ შორის დიდ ბრიტანეთში მოეპოვებინა კრედიტი ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. 1920 წ-ის მარტში საქართველოდან გაგზავნილმა სამთავრობო მისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: კ. კანდელაკი (ხელმძღვანელი), ფ. გოგიჩაიშვილი (სახელმწიფო კონტროლიორი), ნ. ნიკოლაძე, ზ. ავალიშვილი და მ. სუმბათაშვილი, ევროპაში დიდხანს დაჰყო. მათ მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან დადებული ხელშეკრულება მოკლევადიანი (5-წლიანი) სესხის თაობაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს ნაღდ ანგარიშზე უნდა გადასცემოდა კრედიტი 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ამ თანხით, რომელიც იმხანად 27 მილიარდ ქართულ მანეთს შეადგენდა, შესაძლებელი იყო საქართველოს ბონისა და ჩვენი ქვეყნის წილად დაბეჭდილი ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის აბსოლუტური რაოდენობის გამოსყიდვა და პლუს დაფარვა 1 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა, რომელიც 1920-1921 წწ-ის ხარჯთაღრიცხვის პროექტით 8 მილიარდ 552 მილიონ ქართულ მანეთს უდრიდა. ცნობას ამ ხელშეკრულების დადების შესახებ ქართული ვალუტის კურსის გამყარება მოჰყვა. გირვანქა სტერლინგის ღირებულება 1920 წ-ის ბოლოს შეადგენდა 18,000 ქართულ მანეთს, 1921 წ-ის დამდეგს კი მისი ფასი 11,000 მანეთამდე დაეცა. საბოლოოდ, ამ ხელშეკრულების რეალიზაციას ხელი შეუშალა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციამ.

ლიტ.: კ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, დამოუკიდებელი საქართველო. მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი, 1960; ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული, თბ., 1990; რ. ც უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ., თბ., 1995; ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობანი იტალიასთან – საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთიერთობებს იტალიასთან საფუძველი ჩაეყარა 1919 წ-დან. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 22 აპრილს პარიზის კონფერენციის „ოთხთა საბჭოზე“ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის შესაბამისად, დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალთა მიერ ამიერკავკასიის დატოვების შემთხვევაში საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატი უნდა გადასცემოდა იტალიას. 12 მაისს თბილისში ჩამოვიდა იტალიის სამთავრობო მისია მელკიადე გაბას ხელმძღვანელობით, რომელსაც ამიერკავკასიაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება უნდა შეესწავლა. იტალიის მთავრობას საქართველოში მკაფიოდ განსაზღვრული ინტერესები ამოძრავებდა. იგი დაინტერესებული იყო ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებით, აბრეშუმით, თამბაქოთი და ხეტყით. ივნისის ბოლოს იტალიის მთავრობის სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელმაც ქვეყნის კურსი ამიერკავკასიასთან მიმართებაში კარდინალურად შეცვალა. ამის შედეგად, თბილისში მყოფ მ. გაბას მისიას ჩამოერთვა სამხედრო-პოლიტიკური საკითხების გადაჭრის პრეროგატივა და მთელი მისი მოღვაწეობა ამიერიდან წარიმართა დიპლომატიური კონტაქტების შემდგომი განვითარებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციის ხაზით. საქართველოს მთავრობის საკონცესიო პოლიტიკაც ძირითადად გამოვლინდა იტალიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებით. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად იტალია იყო დაინტერესებული საკუთარი ნედლეულისა და სათბობის დეფიციტი შეევსო საქართველოს ბუნებრივი რესურსებით. სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა იტალიის სამრეწველო-საფინანსო ოლიგარქიის წარმომადგენელი, მსუბუქი მრეწველო-

ბის საწარმოებისგან შემდგარი კონცერნის ადმინისტრატორ-რწმუნებული ალბერტო კორსი. მან ადგილობრივ საქმიან წრეებთან და სამთავრობო სტრუქტურებთან ეკონომიკური ხასიათის მოლაპარაკებები აწარმოა. ამ ვიზიტის უშუალო გაგრძელება იყო 1920 წ-ის ზამთრის მიწურულს საქართველოში მოწყობილი იტალიის საქმიანი წრეების უფრო მაღალი წარმომადგენლობითი მისია. პარალელურად, იმავე მიზნით რომში ჩავიდა საქართველოს სამთავრობო მისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: საგ. საქ. მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი (ხელმძღვანელი), ფ. გოგიჩაიშვილი, ეკონომიკური მრჩევლები: ვ. ვოტინსკი, ნ. ჯაყელი და სხვ. მათ მოღვაწეობას უკავშირდება 1919 წ-ის 21-22 ნოემბერს რომში გამართულ მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე საქართველოსათვის პურის მოწოდების საკითხის გადაწყვეტა. საქართველო-იტალიის ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიის საყურადღებო ფაქტია ქართული ფულის ნიშნების დასამზადებლად საჭირო ქაღალდის მასალის შეკვეთა რომის ზარაფხანაში. 1919 წ-ის 13 დეკემბერს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ს. ავალიანმა, მთავრობას წარუდგინა მოხსენება „იტალიაში სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციისათვის აუცილებელი 520 ათასი ფურცელი ქაღალდის შესაძენად 1 მლნ 200 ათასი ლირის ღირებულების საქონლის გაზიდვის უფლების შესახებ“. 1920 წ-ის დასაწყისში თამბაქოს რეალიზაციით მიღებული ვალუტით იტალიაში შეიძინეს ფულის ნიშნებისათვის საჭირო ჭვირნიშნებიანი ქაღალდი და საღებავები. ამ ქაღალდზე დაიბეჭდა 5,000-მანეთიანები, რომლებიც მიმოქცევაში 1921 წ-ის დასაწყისში გამოვიდა. 1920 წ-ის ივლისისათვის იტალიიდან შემოიტანეს 24,374 ტონა სხვადასხვა საქონელი, რომლის საქართველოს ბაზარზე რეალიზების საერთო თანხამ 80 მლნ 194,2 ლირას მიაღწია. იტალიის ელჩის, ვ. ჩერუტის, მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 1920 წ-ს შეადგინა 5 მლნ გ. სტერლინგი (იმპორტი 3, ექსპორტი 2). აქედან მნიშვნელოვანი წილი იტალიას ეკუთვნოდა. ჩვენში იმპორტირებული საქონლის 70% და სატრანსპორტო გადაზიდვების 60% იტალიური იყო. საქართველოს ნედლეულის ექსპორტზე იტალიის კავკასიური ბანკის მიერ გაცემული სესხი 80 მლნ ლირას აჭარბებდა.

ლიტ.: დ. ჯოჯუა, საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ., 1997; ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ – საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანისა (1920 წ-ის 28 აპრილი) და სომხეთის (1920 წ-ის 29 ნოემბერი) გასაბჭოების შემდეგ საქართველო რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ქვეყნის ხელისუფლება მტრის დასახვედრად მომზადებაში განსაკუთრებულ როლს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან დახმარებაში ხედავდა. ევროპის ქვეყნებისგან საქართველოს მთავრობისადმი მიცემული დაპირებების (ეკონომიკური, სამხედრო) შეუსრულებლობამ და ინგლისის მთავრობის მხრიდან ამიერკავკასიით დაუინტერესებლობის ოფიციალურად აღიარებამ, საბჭოთა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლების პირობები შეუქმნა. მეორე მხრივ, რუსეთის შესაბამისი უწყებისათვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები რუსული საბრძოლო მასალის ნაკლებობას განიცდიდა. პოლონეთთან გამარჯვებამ (1920 წ-ის 12 ოქტომბერი) და ვრანგელის დამარცხებამ (1920 წ-ის ნოემბერი) საბჭოთა რუსეთს იზოლაციაში დარჩენილი საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შესაძლებლობა მისცა. საქართველოს გასაბჭოება სამხედრო ჩარევის გზით უშუალოდ გადაწყდა რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმის 1921 წ-ის 26 იანვრის დადგენილებით. მისი პრაქტიკული განხორციელების პროცესში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე. გადაწყდა, რომ საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმია საქართველოში უნდა შემოჭრილიყო ვითომ ბორჩალოს მაზრის ლორეს რაიონში აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად. 1921 წ-ის 11-12 თებერვლის ღამით ლორეს სასაზღვრო რუსულ-სომხურ სოფლებში მართლაც დაიწყო ინსპირირებული „აჯანყება“, რომლის მონაწილე „მშრომელების“ დასახმარებლად XI არმიის საზღვართან განლაგებული ნაწილები თავს დაესხნენ საქართველოს. ქართული არმიის ნაწილები დამარცხდნენ და უკან დახევა დაიწყეს, ხოლო ბევრი ტყვედ ჩავარდა. XI წითელი არმიის ძირითადი ნაწილები აზერბაიჯანის მხრიდან 15 თებერვალს შემოიჭრნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოზე თავდასხმიდან მეექვსე დღეს, 16 თებერვალს, აჯანყებულებმა და სოფ. შულავერში შექმნილმა ე. წ. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა „ინტერნაციონალური დახმარება“ სთხოვეს საბჭოთა რუსეთის მეთაურს, ვ. ლენინს. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები გაიმართა თბილისის მისადგომებთან. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წ-ის 20, 21, 22, 23 თებერვლის საბრძოლო მოქმედებები ქართული ჯარის გამარჯვებით დამთავრდა, მთავარსარდალ გ. კვინიტაძის №131-ე ბრძანების თანახმად, ქართულმა ჯარმა უკან დაიხია და თბილისი დატოვა. 25 თებერვალს XI არმია თბილისში შემოვიდა. ს. ორჯონიკიძემ ვ. ლენინს და სტალინს დეპეშით აცნობა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ საბჭოთა რუსეთის VIII, IX და XIII არმიების ნაწილები კიდევ რამდენიმე მიმართულებიდან შემოიჭრა ქვეყანაში: 25 თებერვალს მამისონის უღელტეხილიდან (33-ე სა-

მთო მსროლელი დივიზიის 38-ე ბრიგადა); სოჭი-სოხუმის მიმართულებით (სამი ქვეითი და ერთი ცხენოსანი დივიზია). გარდა ამისა, სამხრეთიდან საბრძოლო მოქმედებები დაიწყო ოსმალეთის ჯარებმა, რომლებმაც ართვინი და ბათუმი დაიკავეს. 1921 წ-ის 17 მარტს, ქუთაისში ხელმოწერილი შეთანხმებით, ქართულმა მხარემ საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტა და მთელი ძალისხმევა ოსმალო ასკერებისაგან ბათუმის გასანთავისუფლებლად მიმართა. 20 მარტს გენერალ გ. მაზნიაშვილმა შეძლო ბათუმიდან ოსმალების განდევნა, რაშიც მას რუსული ჯარის ნაწილებიც დაეხმარა. 17-18 მარტის ღამით საქართველოს ტერიტორია დატოვა პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებამ და საფრანგეთში გაიხიზნა ისე, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე კაპიტულაცია არ გამოუცხადებია. ამ გარემოებამ ყოველგვარი ფორმალურსამართლებრივი გამართლების საფუძველი გამოაცალა 1921 წ-ის თებერვალ-მარტის საქართველო-რუსეთის ომს და აქცია საბჭოთა რუსული იმპერიის მიერ განხორციელებული, სუვერენული ქვეყნის ერთ-ერთი პირველი დაპყრობის მაგალითად. საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ 1921 წ-ის თებერვალ-მარტში განხორციელებული მოვლენების შეფასების შესახებ სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის სესიამ. ამ დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წ-ის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება. მის მიერ საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება „სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია... პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია“.

ლიტ.: ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991; შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრივი საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921- 1923 წწ.), თბ., 1998.

შოთა ვადაჭკორია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა აზერბაიჯანში – ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა თბილისში გამოცხადდა. ახლად ჩამოყალიბებული რესპუბლიკის მთავრობა ფათალი ხან-ხოელის თავმჯდომარეობით გარკვეული დროით საქართველოს დედაქალაქში მოღვაწეობდა. შემდეგ იგი განჯაში გადავიდა, მოგვიანებით კი ბაქოში დამკვიდრდა, რომლის ბოლშევიკთაგან განთავისუფლება მხოლოდ ოსმალეთის არმიის დახმარებით მოხერხდა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 დე ფაქტოდ, ხოლო 1919 დე იურედ აღიარა. საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნ. ქარცივაძე დაინიშნა. ის წერს: „მხოლოდ ერთი თვე ვიცხოვრე ბაქოში, როგორც საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა. დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ როგორც მმართველ და მაღალ წრეებში, ისე თვით რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის საქართველოსადმი გულწრფელი მეზობლური განწყობილება არსებობს, მხოლოდ ეს სულიერი განწყობილება საჭიროა იქნეს უფრო თვალსაჩინო... ბევრი ქართველი პირველ ხანებში დიდ გაჭირვებას განიცდიდა მოულოდნელი გაღატაკებით. აზერბაიჯანის მთავრობამ გაიგო რა მათი მდგომარეობა, დაუყოვნებლივ გადასცა ქართულ ეროვნულ საბჭოს დახმარება, 50. 000. სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე ნ. ქარცივაძე ჯერ გ. მახარაძემ, შემდეგ კი გ. ალშიბაიამ შეცვალა. აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში მ. ჯაფაროვს ჰქონდა მინდობილი.

1919 წ-დან 1920 წ-ის ნოემბრამდე აზერბაიჯანში (ბაქოში) ელჩად მუშაობდა გრიგოლ ალშიბაია, ხოლო დეკემბერში იგი გაბრიელ ხუნდაძემ შეცვალა. 1918-1921 წწ-ში ბაქოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური კონსულის მოვალეობას ლევან თუმანიშვილი ასრულებდა. საქართველოს საელჩოში შედიოდა სტრუქტურული ერთეულები: ელჩი, მრჩევლები; მდივნები; საქმეთა მმართველები; განყოფილებები; საქმის მწარმოებლები და სხვ. ვინაიდან გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანიდან უცხოეთის მისიების ევაკუაცია მოხდა, ბაქოში საქართველოს საელჩოს ჰქონდა შესაბამისი რწმუნებები, რათა საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის მოქალაქეთა ინტერესები დაეცვა. 1920 წ-ის შემოდგომიდან ბაქო რუსული ანტიქართული ბანაკის როლს ასრულებდა. აწ უკვე რუსების მიერ დაპყრობილ ქალაქში საქართველოზე თავდასხმისთვის მზადება გამალებით მიმდინარეობდა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1833, საქ. 234; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №213; ს. კილაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოები და საკონსულოები საზღვარგარეთ 1918-1921 წ. წ., გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 16 აპრილი 1991.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა გერმანიაში - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე აღიარებამ ევროპის, ამერიკის და აზიის წამყვან სახელმწიფოთა მიერ, ერთი მხრით, თბილისში უცხო სახელმწიფოთა საელჩოების, საკონსულოების და დიპლომატიური წარმომადგენლობის, ხოლო მეორე მხრივ, უცხო ქვეყნების დედაქალაქებში საქართველოს ანალოგიურ უწყებათა გახსნა გამოიწვია. მართალია, მსოფლიო ომში განცდილი

დამარცხების შემდეგ გერმანიასა და საქართველოს შორის ინტენსიური სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა ვეღარ განვითარდა, მაგრამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობა არ შეწყვეტილა. გერმანიის ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წ-ის 10 ივნისს დე ფაქტო, ხოლო 1920 წ-ის 24 სექტემბერს დე იურე აღიარა. დამოუკიდებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში იყო ვლადიმერ (ლადო) ახმეტელაშვილი (ახმეტელი). ბერლინში საქართველოს საელჩო „ბრუკენ ალეეზე“ მდებარეობდა. იგი მაშინ იყო ქართული საზოგადოებრივი მოძრაობისა და ქართველ მოღვაწეთა, ასევე ახალგაზრდობის ცენტრი გერმანიაში. საქართველოს გასაცნობად იქ უცხოელები ხშირად მიდიოდნენ, კითხულობდნენ მოხსენებებს, იმართებოდა ქართული საღამოები და სხდომები. ყოველივე ამის ინიციატორი გერმანიაში საქართველოს ელჩი იყო. 1918 წ-ს ბერლინში კულტურის ატაშედ კონსტანტინე გამსახურდია მუშაობდა. ქართული საელჩოს ინიციატივით ხელი ეწყობოდა ლიტერატურულ საქმიანობასაც. საელჩოს თავზე ფრიალებდა საქართველოს დროშა. საელჩოში თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწეები. ამიტომ ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, როდესაც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რატენაუმ, ვ. ახმეტელი მიიწვია და მას საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმება აუწყა (იგულისხმება გერმანია-რუსეთის 1922 წ-ის 16 აპრილის რაპალოს ხელშეკრულება), რასაც შედეგად გერმანიაში საქართველოს საელჩოს გაუქმება მოჰყვა. მიუხედავად ამისა, საელჩოს ამის გამო საქმიანობა არ შეუჩერებია და მის ხელთ არსებული საშუალებით საქართველოს უფლებებისთვის ბრძოლას მაინც აგრძელებდა. რაც შეეხება ვ. ახმეტელის ჰუმანურობას, მის ქართველობას და ყოველი ქართველი ემიგრანტის ბედზე დაუღალავ ზრუნვას, ქართული ემიგრაციის მემატიანის - თამარ პაპავას გადმოცემით: „ეს კაცი მთელი თავისი ბუნებით არ იყო ემიგრანტი. ის ბოლომდე ორივ ფეხით მტკიცედ იდგა ქართულ მიწაზე და გადმოხვეწილობამ მას ფესვები მოუჭრა. მისი დაკვირვებანი, საგანთა თუ გარემო თვისება, ზნე, განსჯა და გეზი - ყოველივე ეს იქედან მოტანილი ხალასი ქართული დარჩა ქართულის მიდგომით, თქმულებებით და ანდაზებით... თითქოს მას საყვარელი სამშობლოსა და ყველაზე საყვარელი კახეთის გარეთ არაფერი ენახა, თუმცა მეტი წილი თავისი ცხოვრებისა მას ევროპაში გაეტარებინა... ყოველი სიტყვა, ცნობა, წიგნი საქართველოზე მას უზომოდ იზიდავდა და ატყვევებდა. ჭეშმარიტად იშვიათად შემხვედრია უცხოეთში წიგნისა და ცოდნის მოყვარული ქართველი, თუმცა ამის გამოჩენისა და გამოყენების წადილი მას ნაკლებად ჰქონდა. დილით, სულ ადრე, ჩუმად წამოდგებოდა თავისი ოთახიდან, შეუმჩნევლად გამოვიდოდა სასადილოში, მიუჯდებოდა გრამაფონს და დააყენებდა დაბალ ხმაზე (ჩვენ რომ არ გავეღვიძებინეთ) და უკრავდა და უკრავდა კახურ „მრავალჟამიერს“, „ურმულს“... შორიდან მორიდებით ვხედავდით მისი განიერი ბეჭების თრთოლას და ვგრძნობდით, რომ ჩუმად ჰყრიდა ცრემლებს... და ასე სისხამ დილას შეუდგებოდა დიდ გლოვას საქართველოს ბედნიერების დაკარგვის გამო...“. ვ. ახმეტელი ასევე იბრძოდა გასაბჭოებულ საქართველოში დარჩენილ თანამოაზრეთა გადასარჩენად. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არაერთი პატრიოტი დააპატიმრეს და ციხეებში გამოამწყვდიეს. მათ შორის, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ექვს ათეულზე მეტი პოლიტპატიმარი, რომლებიც მეტეხის ციხეში იყვნენ დატუსაღებული და მათ ჯერ რუსეთში გადასახლება, ხოლო შემდეგ იქ დახვრეტა ემუქრებოდათ. როგორც კი ეს ვ. ახმეტელმა შეიტყო, ბერლინში მყოფი დიპლომატიური კორპუსის დახმარებით, მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა და საბჭოთა ხელისუფლება აიძულა, ქართველი პოლიტპატიმრებისთვის, რომლებიც უკვე რუსეთში იყვნენ გადაგზავნილი და, ფაქტობრივად, დასაღუპად განწირული, გერმანიაში წასვლის უფლება მიეცათ, სადაც მათ პოლიტიკურ თავშესაფარს ჰპირდებოდნენ. ასე გადაარჩინა ვ. ახმეტელმა სამოცზე მეტი ქართველი პატრიოტი დახვრეტას, მათ შორის მომავალი დიდი ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსები და მეცნიერები - კალისტრატე სალია და გიორგი ნაკაშიძე, აგრეთვე ცნობილი ფრანგი მსახიობის მარია-მერიკოს მამა ვანო ალიხანაშვილი. ვ. ახმეტელი სრულიად მოულოდნელად, უეცრად ბერლინის ერთი პატარა ბაღის სკამზე მჯდარი გარდაიცვალა 1942 წ-ის 12 აგვისტოს, როცა გერმანია-სსრკ-ის ომი ახალი დაწყებული იყო.

ლიტ.: გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003; სცსა, 1861, აღწ. 3, საქ. 230.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საელჩო) – დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე აღიარების შემდეგ, დღის წესრიგში ევროპის ქვეყნებში საელჩოს დაარსების აუცილებლობა დადგა. საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ე. გეგეჭკორმა, მისი ფრანგი კოლეგა არისტიდ ბრიანი ინახულა და საფრანგეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად აკაკი ჩხენკელის კანდიდატურა შესთავაზა. 1921 წ-ის 29 იანვარს გამოცემული განკარგულე-

ბის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარიშვილი, ელჩის უფლებამოსილება განისაზღვრა. აკაკი ჩხენკელის მანდატების შესახებ დოკუმენტში ნათქვამია: „ბატონი აკაკი ჩხენკელი, დამფუძნებელი კრების წევრი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის მთავრობების წინაშე, მას ევალება საქართველოს ინტერესების დაცვა ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე, ასევე ევალება დაიცვას საქართველოს ინტერესები ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე, სესიაზე და სხვა. აკ. ჩხენკელს უფლება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, კონვენციებს, გადაწყვეტილებებს, ოქმებს, გარდა განსაკუთრებული და მთავრობის მიერ მათი შემდგომი რატიფიკაციის შემთხვევებისა. აკაკი ჩხენკელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და ქართველი ხალხის სახელით მანდატები მიეცა ასევე მისი უდიდებულესობის შვედეთის, ესპანეთის, რუმინეთის, პორტუგალიის, ნორვეგიის, დანიის, საბერძნეთის, ნიდერლანდების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, იტალიის მთავრობების წინაშე. ამ წოდებით ის უფლებამოსილია მოლაპარაკება აწარმოოს ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებზე და ხელი მოაწეროს ყველა შეთანხმებას და ხელშეკრულებას. რწმუნების სიგელი მას უფლებას ანიჭებს სათანადო ხელმოწერისთვის და ბეჭდის დასმისთვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აკ. ჩხენკელს სრულ ნდობას უცხადებს, რათა საქართველოს მთავრობის სახელით ყველა დეკლარაციას ხელი მოაწეროს“. საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი აკ. ჩხენკელი 1921 წ-ის 13 თებერვალს ჩავიდა. ე.ი. მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე უკვე დაწყებული იყო. ელჩმა რწმუნებათა სიგელები საფრანგეთის პრეზიდენტ ალექსანდრ მილერანს ელისეს სასახლეში 1921 წ-ის 25 თებერვალს გადასცა, ზუსტად იმ დღეს, როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარებმა თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალეს. საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მდივნის, სოსიპატრე ასათიანის, გადმოცემით: „...25 თებერვალს, იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარი თბილისში შედიოდა, საქართველოს საელჩოს წევრნი ელისეს სასახლეში შედიოდნენ „რწმუნების გრამოტის“ ჩასაბარებლად. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა მილერანმა ძალიან კარგად იცოდა ეს ჩვენი უბედურება და სწორედ ჩვენ მიგვიღო, რომ ამით ერთგვარი პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დაპყრობის გამო... მახსოვს ბატონი ფუკიერის (ელჩების წარმდგენი პროტოკოლის შეფი, რა თქმა, უნდა მინისტრის ხარისხით) მოსვლა ჩვენს ბინაზე (44 ავენიუ ვიქტორ ჰიუგო). მთელი ქუჩა გაკავებული იყო. ჩავსხედით ორ საგანგებო ეტლში. პირველში საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი და თვითონ ფუკიერი, მეორეში ბ-ნი მიხეილ სუმბათაშვილი და მე. გაგვატარეს ელისეს მინდვრების პროსპექტი. რა თქმა უნდა, ეს ვეებერთელა პროსპექტიც გაკავებული იყო. ჩვენს ეტლებს აქეთ-იქეთ მთელი ესკადრონი მოჰყვებოდა. რამდენად ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო. ასეთი დიდი ამბით საფრანგეთის პრეზიდენტთან მიყვანილი ქვეყნის წარმომადგენლობა არაფერს და არავის არ წარმოადგენდა. ჩვენ შეგვიყვანეს დიდ დარბაზში. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა პრეზიდენტი მილერანიც, რომელსაც წინ მოუძღოდა ფუკიერი; აღნიშნულ ადგილას ჩვენ წინ პრეზიდენტი გაჩერდა. ჩვენ ყველამ თავი მოვიხარეთ, პრეზიდენტმაც. ჩვენმა ელჩმა - აკაკი ჩხენკელმა ამოიღო დაწერილი სიტყვა. მისი წაკითხვის შემდეგ, პრეზიდენტმა უპასუხა იმავე ფორმით და პასუხის შემდეგ ყველას ხელი ჩამოგვართვა. რამდენიმე სიტყვის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გამოგვემშვიდობა და ჩვენ იმავე ფორმით მიგვიყვანეს საელჩოს ბინაზე“. აკაკი ჩხენკელს, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს და დიპლომატს, საფრანგეთში ელჩის რანგში 13 წელი მოუხდა მოღვაწეობა (1933 წ-ის ივლისამდე). პარიზში საქართველოს საელჩოს წევრები იყვნენ: აკაკი ჩხენკელი - ელჩი; სოსიპატრე ასათიანი - მდივანი; მიხეილ სუმბათაშვილი და ზურაბ ავალიშვილი - მრჩევლები; ანტონ ჟორჟოლიანი და ალექსანდრე ქუთათელაძე - ატაშე; მათე სკობელევი, შემდეგში ნ. ჯუღელი - ეკონომიკური ნაწილის გამგე; ვ. ვოიტინსკი - ინფორმაციული ბიუროს გამგე. თითქმის ამ შემადგენლობით საელჩომ 1933 წ-მდე იმუშავა. აკრედიტაციის ყველა მიღებული წესების შესრულება მარტო საფრანგეთში მოხერხდა და ელჩი მხოლოდ იქ ჩაირიცხა დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად. ამდენად, მარტო პარიზის საელჩო სარგებლობდა სრული უფლებით, რათა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ დიპლომატიური მუშაობა ეწარმოებინა.

საფრანგეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დახურვას წინ უძღვოდა რუსეთ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტი, რომლის მომზადება 2-3 წლით ადრე დაიწყო, თუმცა ხელი 1932 წ-ის 29 ნოემბერს მოაწერეს. აღნიშნული პაქტის მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულია: არ შექმნას, არ გაუწიოს მფარველობა და დახმარება შეიარაღებით, ფულით და თავის ტერიტორიაზე

ყოფნის ნებაც არ მისცეს სამხედრო ორგანიზაციებს, რომელნიც ითვისებენ მეორე მხარის მთელი ტერიტორიის ან ნაწილის მთავრობის ან წარმომადგენლობის სახელს“. აღნიშნული მუხლი უშუალოდ საქართველოს ეხებოდა, რადგან მაშინ ერთადერთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იყო პარიზში, რომლის ლეგაცია პარიზში ოფიციალურად არსებობდა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 230; საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 586; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1919; ა. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984; ლ. სარალიძე, რუსეთ-საქართველოს თავდაუსხმელობის პაქტი და ქართული ემიგრაცია, კრებულში: ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბ., 2010/2011;

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა დიდ ბრიტანეთში –საქართველოს წარმომადგენლობას ლონდონში, პარიზის საელჩოს მეშვეობით, სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ: დავით ღამბაშიძე, მიხეილ სუმბათაშვილი და კონსტანტინე გვარჯალაძე. ისინი რთულ პირობებში მუშაობდნენ. მართალია, მათ სისტემატური კავშირი ჰქონდათ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მაგრამ (თუ არ ჩავთვლით საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობას, რაც, ფაქტობრივად, ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარების შემდეგ მოხდა) ღირებულ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. დიდი ბრიტანეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ცნობის შემდეგ ლონდონში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი - აკაკი ჩხენკელი 1921 წ-ის 17 მარტს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ლორდ კერზონმა მიიღო. ქართველმა დიპლომატმა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნების სიგელის ასლი გადასცა, რაც შეეხება დედნის ინგლისის პრემიერ-მინისტრისთვის გადაცემას, ეს ვერ მოხერხდა, რადგან საქართველოს მთავრობა, ბოლშევიკების წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო, იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. აკ. ჩხენკელის კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა რუსეთის წითელი არმიის ვერაგულ თავდასხმას საქართველოზე, პასუხად ლორდ კერზონმა, მართალია, თავისი მხურვალე თანაგრძნობა გამოთქვა საქართველოსადმი, მაგრამ ამასთანავე, დასძინა - „რუსეთზე ვერაფერს ვიტყვი“. ლორდ კერზონმა მწუხარება გამოთქვა იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება არ წავიდა ზოგიერთ დათმობაზე მისი მეზობლების მიმართ სან-რემოში გამართულ კონფერენციაზე (1920 წ-ის აპრილი) (იგულისხმება სომხეთისთვის რკინიგზის გაყვანა ბათუმამდე და სხვა ტერიტორიული დათმობები). ლორდ კერზონმა განაცხადა: „მაშინ კიდევ შეიძლებოდა ამიერკავკასიის მდგომარეობის განმტკიცება“. ბოლოს მან მაინც დააიმედა ქართველი ელჩი, რომ როცა ახლო აღმოსავლეთის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგებოდა, ინგლისის ხელისუფლება საქართველოს დახმარებას შეძლებდა. ლოიდ-ჯორჯის მთავრობამ ყველაზე ადრე დაიწყო საბჭოთა რუსეთთან დაახლოება, რაც 1921 წ-ის 16 მარტს ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდა. მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს და შემდეგ კავკასიის განყოფილება გააუქმეს, საქმე აღმოსავლეთის განყოფილებას გადაეცა. 1924 წ-ის თებერვალში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ცნო სსრკ-ს მთავრობა, საქართველოს საქმე რუსეთის განყოფილებას მიაწერეს. ამრიგად, კავკასიის და კერძოდ, საქართველოს საკითხი ინგლისის ხელისუფლების მიერ თითქმის უგულებელყოფილი იქნა. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გულგრილად იყო განწყობილი საქართველოს საკითხისადმი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქმე 234; სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 914; ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ. წ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (სპეციალობა საქართველოს ისტორია-07. 00. 01), საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 1994; რ. დაუშვილი, საქართველოს ლეგაცია და საელჩოები, კრებ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. VIII, თბ., 2001.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა ოსმალეთში (ანგორაში) – ოსმალეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ცნობის შემდეგ (1918 წ-ის 3 ივნისი), ჩამოყალიბდა რესპუბლიკის წამრომადგენლობა ოსმალეთში, რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე ხელმძღვანელობდა. შემდგომში მუსტაფა-ქემალის მიერ ანგორაში ახალი სახელმწიფოს ფორმირების დროს, საქართველომ დიპლომატიურ წამრომადგენლად სოციალ-ფედერალისტი სვიმონ მდივანი მოავლინა. იგი პირველი ელჩი იყო, რომელმაც საქარიის ველებზე ახალ ოსმალეთს თავისუფლება მიულოცა და საქართველოს ხელისუფლებისგან მისი ცნობა აუწყა, რითაც შემდეგში იგი სამართლიანად ამაყობდა. ოსმალეთში საქართველოს მაშინდელი მისიის საგანგებო დავალებათა ოფიცრის - დიმიტრი

შალიკაშვილის ცნობით ირკვევა, რომ ანკარაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის შემადგენლობაში სიმონ მდივანთან ერთად ყოფილან: გენერალი ალექსანდრე ერისთავი - სამხედრო მრჩეველი; არისტო ჭუმბაძე - საქმეთა მწარმოებელი; მელიტონ (ოსმან-ბეი) ქარცივაძე - ატაშე; ზია-ბეგ აბაშიძე - ატაშე; ამათ გარდა ორი ოფიცერი დავალებათათვის - ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი, ასევე ორი ჯარისკაცი შიკრიკად, მათ შორის ერთი გვარად მახიაშვილი. საარქივო დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს ს. მდივნის პოლიტიკურ-დიპლომატიური გამჭრიახობა და მოქნილობა ქემალისტურ ოსმალეთთან ურთიერთობისას. კერძოდ კი, მის ახალ მეთაურთან - მუსტაფა ქემალ ფაშასთან მოლაპარაკებების დროს საქართველოს ინტერესების დაცვა. 1921 წ-ის თებერვალში საქართველოზე რუსეთის თავდასხმამ და ქემალისტურ ოსმალეთთან ლენინის მთავრობის გარიგებამ საქართველოს დამოუკიდებლობა დააკარგვინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი - ს. მდივანი იძულებული გახდა, ანკარიდან ჯერ კონსტანტინოპოლში წასულიყო, ხოლო შემდეგ საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებთან ერთად საფრანგეთში სამუდამო ემიგრაციაში დარჩენილიყო.

ლიტ.: სცსა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 230; დ. შალიკაშვილი, დღიურები, ვ. ნოზაძის თარგმანი, ჟურ. „კავკასიონი“, XVI-XVII, პარიზი, 1972/1973; გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი IV, თბ., 2003.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა პოლონეთში – 1919-1920 წწ-ში საქართველოს დიპლომატიური მისია ჰყავდა პოლონეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისია, რომელშიც შედიოდნენ: გიორგი სიდამონ-ერისთავი (მისიის მეთაური), სერგო ყურულიშვილი (მდივანი და კონსულის მოვალეობის შემსრულებელი), ნიკოლოზ ფერაძე (ლეგაციის ატაშე), 1919 წ-ის 14 ოქტომბერს ჩავიდა ქ. ვარშავაში. მისიის მიზანი იყო კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება პოლონეთსა და საქართველოს შორის, ასევე ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების განმტკიცება. ქართველი დიპლომატების მოღვაწეობის მთავარი შედეგი იყო ის, რომ პოლონეთის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურედ ცნო. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთმა იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, საელჩო იქ ოფიციალურად არ გახსნილა. რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1922 წ-ის მეორე ნახევარში, ქ. ვარშავაში გაიგზავნა არაოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც ქართველი ლტოლვილებისთვის, რომელთა რიცხვი პოლონეთში განსაკუთრებით დიდი იყო, ხელმძღვანელობა და პატრონობა უნდა გაეწია. პოლონეთის მთავრობამ მიიღო 30 იუნკერი, 40 ოფიცერი ოჯახებითურთ, მისცა მათ არა მარტო თავშესაფარი, არამედ განათლება და სამსახური. წარმომადგენელი ამავე დროს ვარშავის ქართული საზოგადოების თავმჯდომარეც იყო. მას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რადგან პოლონეთის მთავრობა დიდი ყურადღებითა და სიმპათიით ეპყრობოდა ქართველებს. პოლონეთის საგარეო პოლიტიკა არ იყო დამოუკიდებელი, იგი უფრო მეტად საფრანგეთზე იყო ორიენტირებული, რადგან გერმანიასა და რუსეთს შორის მოქცეულს მეტისმეტი სიფრთხილის გამოჩენა უწევდა. საქართველოსადმი დიდი სიმპათიით განწყობილმა პოლონეთის მარშალმა, იუზუფ პილსუდსკიმ, ოსმალეთში თავისი ელჩის - ბარანოვსკისა და სამხედრო ატაშეს - პოლკოვნიკ ლეონ ბობიცკის საშუალებით, ქართველ ემიგრანტებს პოლიტიკური თავშესაფარი ჯერ კიდევ 1921 წ-ს შესთავაზა. ოფიციალური მიწვევის შემდეგ პოლონეთში სამასამდე ქართველი ჩავიდა. პოლონეთში ემიგრირებულ ქართველთა შორის რჩეული სამხედრო მოღვაწეები იყვნენ. მათ შორის: გენერლები - ალექსანდრე ზაქარიაძე, ივანე ყაზბეგი, ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ალექსანდრე კონიაშვილი და კირილე ქუთათელაძე, აგრეთვე ცხრა პოლკოვნიკი, თერთმეტი მაიორი და ცხრა კაპიტანი. მათ ერთგულად იმსახურეს ევროპის ამ მშვენიერი და დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფოს ეროვნულ არმიაში და საპატიო პოლონური საბრძოლო ჯილდოებიც დაიმსახურეს.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 708; ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ. წ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1994; ნ. ჯავახიშვილი, წარუშლელი ფურცელი საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიაში (1918-1921 წწ.), ჟურნ. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. VIII, თბ., 2001.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა საბჭოთა რუსეთში – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, თითქმის ერთდროულად წარმოიშვა. პირველი 1917 წ-ის 7 ნოემბერს დაფუძნდა, ხოლო მეორე 1918 წ-ის 26 მაისს. საბჭოთა რუსეთისა და დემოკრატიული საქართველოს მესვეურები ერთმანეთს ზედ-

მიწევნით იცნობდნენ, რადგან მათ საერთო მიზნებისთვის ხანგრძლივი ერთობლივი ბრძოლა, ასევე იძულებითი ემიგრანტობის წლები აკავშირებდათ. საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ არსებობა საბჭოთა რუსეთის არც ახლო და არც პერსპექტიულ გეგმებს არ თანხვდებოდა. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად იყო რუსეთის ბოლშევიკურ რეჟიმთან ეთანამშრომლა, რომელსაც უცხოეთში იმ დროს არავინ ცნობდა და რომლის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებას არ აპირებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე მოსკოვში თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი - გაბრიელ ხუნდაძე მიავლინა. გ. ხუნდაძის მისიას რუსეთში მტრულად მოეკიდნენ. მას განუცხადეს, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მთავრობას არ ცნობდა. კრემლის მესვეურთა განკარგულებით, რუსეთში საქართველოს წარმომადგენლობა დახურეს. 1919 წ-ის იანვარში, რუსეთის „ჩეკა“-მ რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის - მაქსიმ ლიტვინოვის ბრძანებით დააპატიმრა საქართველოს საელჩოს თითქმის მთელი შემადგენლობა, ელჩის, გაბრიელ ხუნდაძის, ჩათვლით და ბუტირკის ციხეში მოათავსა. ბოლშევიკური ხელისუფლება სამხრეთ კავკასიას და მათ შორის საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ მას შემდეგ დაისვა, რაც 1920 წ-ის აპრილში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებული, დამფუძნებელი კრების წევრი - გრიგოლ ურატაძე მოსკოვს ეწვია. გ. ურატაძის ვიზიტს შედეგად, 1920 წ-ის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება მოჰყვა, რომლის ძალით ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უპირობოდ ცნობდა, ასევე ხელს იღებდა მის შინაურ საქმეებში ჩარევისგან და უარს ამბობდა წინანდელ უფლებებზე საქართველოს ტერიტორიისა და ხალხის მიმართ. ხელშეკრულების საფუძველზე, თბილისში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ამოქმედდა, ხოლო მოსკოვში საქართველოს საელჩო გაიხსნა. რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა, ჩიჩერინმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, ე. გეგეჭკორს, რუსეთის წარმომადგენლად საქართველოში ცნობილი ქართველი ბოლშევიკის - სერგო ქავთარაძის დანიშვნა შესთავაზა. ქართულმა მხარემ ამაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ასეთ საპასუხისმგებლო დიპლომატიურ თანამდებობაზე ვერ გამოდგებოდა ისეთი ადამიანი, ამ შემთხვევაში ს. ქავთარაძე, რომელიც არათუ არ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ თვით დამოუკიდებლობის იდეას ებრძოდა და მიუღებლად მიიჩნევდა. საბჭოთა რუსეთის პირველ დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძველი რევოლუციონერი სერგეი მირონის ძე კიროვი (კოსტრიკოვი) დაინიშნა, ხოლო საქართველოს ელჩი ბოლშევიკურ რუსეთში გერასიმე მახარაძე გახდა. 1920 წ-ის 20 ივნისს კიროვი თბილისში ჩამოვიდა. რუსეთის წარმომადგენლობამ ველიამინოვის (შემდეგში ჯაფარიძის, დღეს ლადო ასათიანის) ქუჩის №4-ში დაიდო ბინა. რუს მრჩეველთან (ლეონიდ სტარსკი) ერთად მას მეორე მრჩევლად ქართველების დაწუნებული სერგო ქავთარაძე დაუნიშნეს. რუსეთის წარმომადგენლობა თავდაპირველად 51 კაცისგან შედგებოდა, თუმცა სულ მალე თბილისში მათი რიცხვი 300-მდე გაიზარდა. 1920 წ-ის შემოდგომაზე საბჭოთა მთავრობამ ს. კიროვი უკან გაიწვია. იგი შეცვალა არონ შეინმანმა, რომელიც საქართველოს მიმართ კიდევ უფრო მეტი აგრესიულობით გამოირჩეოდა, მაგრამ თბილისის ნაცვლად ბაქოში იმყოფებოდა და რუსეთის წარმომადგენლობას იქიდან მართავდა. 1920 წ-ის 13 დეკემბერს საქართველოს ელჩი რუსეთში - გერასიმე მახარაძე ვლადიმერ ლენინს შეხვდა და განუმარტა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის კეთილმეგობრულ განწყობაზე აკეთებდა აქცენტს, ამიერკავკასიაში რეალობა სულ სხვაგვარი იყო. 1921 წ-ის 4 იანვარს რუსეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება საქართველო-რუსეთს შორის მიღწეული ორი შეთანხმების შესახებ: მოქალაქეობის კანონსა და სარკინიგზო ტვირთების გადაზიდვაზე. შეთანხმებას ხელს აწერდნენ: ლ. კარახანი და გ. მახარაძე. ამავე დროს, სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობაზე ხელშეკრულება დაიდო საქართველო-უკრაინას შორის, რასაც ხელს გერასიმე მახარაძე და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი - იური კოციუბინსკი აწერდნენ. აღნიშნულ ხელშეკრულებას რუსეთის მთავრობა აქტიურად იყენებდა, რადგან სამხედროების გადაყვანა და იარაღის ტრანსპორტირება რკინიგზით ხდებოდა. ამასთან, ტვირთები შემოწმების გარეშე, თავისუფლად უნდა შემოსულიყო საქართველოში. 1921 წ-ის 19 თებერვალს რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოში წარმოებული საომარი ოპერაციების პერიოდში, საქართველოს ელჩი რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატში დაიბარეს და შეეცადნენ, ყველაფერი ქართული მხარისთვის დაებრალებინათ. კერძოდ, ქართულ მხარეს საყვედურობდნენ ე. გეგეჭკორის მიერ 11 თებერვალს პოლონეთში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის - გ. სიდამონ-ერისთავისთვის გაგზა-

ვნილი ნოტის გამო, რომელშიც საქართველოს ირგვლივ საბჭოთა რუსეთის მიერ დაწყებული ინტერვენცია იყო აღწერილი და სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი სთხოვდა მას, აღნიშნული ნოტა მთელი ევროპის მასშტაბით გაევრცელებინა. რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქართველი დიპლომატი გ. მახარაძე კრემლში გამოკეტეს. ლენინი და კარახანი „შინაურ პატიმარს“ დამცინავად ექცეოდნენ. საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გ. მახარაძე სამშობლოში დაბრუნდა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1864, აღწ. 1. საქ. 100, საქ. 320; Г. Хундадзе, Советская власть и Грузинское посольство в России, Тб. 1920; ა. მორგოშია, კიროვი საქართველოში, თბ., 1960; დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, წერილები, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, გამომც. „საარი“, თბ., 2014; დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, თბ., 2016.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა სკანდინავიის ქვეყნებში – შვედეთის სამეფოში (1918-1920). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებისთანავე მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, დე ფაქტო და დე იურე აღიარება იყო. ამ თვალსაზრისით, სასურველი იყო საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა შვედეთისა და ნორვეგიის სამეფოებში დაეფუძნებინა. საელჩოს გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აკაკი ჩხენკელმა, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, იოჰანეს ჰელნორეს, წერილობით მიმართა. ა. ჩხენკელმა საქართველოს მთავრობის სახელით შვედეთის მთავრობას წარუდგინა შვედეთში საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობაზე მიხეილ (მიხაკო) წერეთელის კანდიდატურა და გამოხატა მისი უდიდებულესობის მთავრობის მხარდაჭერის იმედი. შვედეთის მთავრობის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ, 1918 წ-ის 19 ოქტომბერს, მიხაკო წერეთელი ოფიციალურად ჩავიდა სტოკჰოლმში რწმუნებათა სიგელების გადასაცემად მის უდიდებულესობისთვის - გუსტავ V-სთვის და დიპლომატიურ საქმიანობას შეუდგა. დასაწყისში საელჩო დროებით ფუნქციონირებდა სასტუმრო "რეგინაში", ხოლო მოგვიანებით (1919 წ-ის 16 იანვრისთვის) საქართველოს საელჩო დაფუძნდა ქალაქ სტოკჰოლმის ცენტრში „ტეგნერლუნდენ 3“-ში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით 1918 წ-ის 26 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, აკაკი ჩხენკელმა, შვედეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს, იოჰანეს ჰელნორს, ბერლინიდან წერილი გაუგზავნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო მიხაკო წერეთელის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილება. საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების კუთხით შეესაფერის კანდიდატურად საქართველოს მთავრობამ შვედეთის საგარეო უწყებას არისტო ჭუმბაძე (1880-1971 წწ.) წარუდგინა. წერილში ა. ჩხენკელი საქართველოს მთავრობის სახელით გამოხატავდა მადლიერებას აღმოჩენილი დახმარებისთვის, რომელიც მათ ყოფილ ელჩს გაუწიეს და გამოთქვამდა იმედს, რომ მომავალშიც შვედეთის მხარე ახლად დანიშნულ წარმომადგენელს სათანადო დახმარებას აღმოუჩენდა. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, იოჰანეს ჰელნორმა, წერილობით უპასუხა მიხაკო წერეთელს (1919 წ-ის 21 იანვარი), სადაც იგი გამოხატავდა თანხმობას ა. ჭუმბაძის შვედეთში საქართველოს წარმომადგენლად დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს წარმომადგენლობა სტოკჰოლმში ფარავდა ნორვეგიის სამეფოსაც, სადაც არისტო ჭუმბაძე აკრედიტებული იყო საქართველოს წარმომადგენლად. რაც შეეხება საელჩოს სტოკჰოლმში, მას იმ დროისათვის საკმაოდ მოკრძალებული საშუალებები ჰქონდა და მცირერიცხოვანი იყო. შვედეთში არ არსებობდა ქართული დიასპორა, აქედან გამომდინარე, დიპლომატიური მისია მხოლოდ საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა. შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს მთავარი ამოცანა იყო ოფიციალურ სტოკჰოლმთან და ოსლოსთან აქტიური მუშაობა ვერსალის საზავო კონფერენციაზე, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლების მხარდაჭერის მოპოვება. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, გამოიხატა იმაში, რომ 1920 წ-ს ერთა ლიგაში შეიქმნა საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამდივნო, რომლის აქტიური წევრებიც იყვნენ შვედი დეპუტატი თეოდორ ადელსვორდი (Theodor Adelsward ფინანსთა მინისტრი 1911-1917 წწ-ში) და ცნობილი ნორვეგიელი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს საკითხზე მომხსენებელი და მთავარი მხარდამჭერი ფრიტიოფ ნანსენი (Fritiof Nansen). სწორედ მათი, აგრეთვე სხვა ქვეყნების დელეგაციების აქტიური მუშაობით, მოხდა 1921 წ-ის თებერვალში საქართველოს დე იურედ აღიარება. ამის გარდა, შვედეთში საქართველოს საელჩოს საქმიანობის პრიორიტეტი იყო საქართველოს, როგორც დემოკრატიული რესპუბლი-

კის, ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოს გაცნობა და წარმოჩენა ადგილ-სამყოფელ ქვეყანაში, საქართველოში მრეწველობისა და სატრანსპორტო საშუალებების განვითარების მიზნით, შვედური კაპიტალის მოზიდვა. სამწუხაროდ, საქართველოს საელჩომ შვედეთის სამეფოში, ფინანსური სიდუხჭირის გამო, დიდხანს ვერ იფუნქციონირა. 1920 წ-ის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი - არისტო ჭუმბაძე იძულებული გახდა წარმომადგენლობა დაეხურა. 1920 წ-ის 14 ივნისს არისტო ჭუმბაძემ წერილობით მიმართა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და საგარეო უწყებას სხვა თანამდებობაზე გადასვლის შესახებ აცნობა. მან საქართველოს სახელით მადლობა გადაუხადა შვედეთის მთავრობას სტუმართმოყვარეობისთვის, ასევე მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ ერთი წლის განმავლობაში გაუწიეს. კერძოდ, თავის წერილში არისტო ჭუმბაძე აღნიშნავდა: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ჩემი ქვეყნის მთავრობის მოთხოვნით, უნდა გადავიდე სხვა თანამდებობაზე. ერთ წელიწადზე მეტია, ვსარგებლობ კეთილშობილი შვედი ხალხის სტუმართმოყვარეობით. ამ ხნის განმავლობაში ვგრძნობდი უდიდეს მხარდაჭერას, როგორც შვედეთის მთავრობის, ასევე საზოგადოების მხრიდან ჩემი ქვეყნის ინტერესებისათვის მუშაობის პერიოდში. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ მორალურ თანადგომას, რაც შვედეთმა გამოიჩინა საქართველოსთვის ყველაზე კრიტიკულ წუთებში. ეს მხარდაჭერა გამოხატული იყო საქართველოს, როგორც დემოკრატიული, ახალგაზრდა რესპუბლიკის ფაქტიური აღიარებით. ორივე ქვეყნის ინტერესები მოითხოვს ჩვენს კულტურულად და ეკონომიკურად უფრო მეტად დაახლოებას. ამ მიზეზით, მე იმედს ვიტოვებ, რომ თქვენი აღმატებულება არ მოაკლებს თქვენს გავლენიან მხარდაჭერას ამ მნიშვნელოვანი დავალების განხორციელებას“. საქართველოს წარმომადგენელი აცნობებდა შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის თაობაზე, რომ სტოკჰოლმში მისი შემცვლელის ჩასვლამდე, დროებით მოვალეობას შეასრულებდა საქართველოს წარმომადგენელი ბერლინში, დოქტორი ვლადიმერ ახმეტელი.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 708; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში - 1917 წ-ის 7 ნოემბერს, რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ, უკრაინის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადდა. 1918 წ-ის 22 იანვარს უკრაინის ცენტრალურმა რადამ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა (დედაქალაქი კიევი). 1918-1919 წწ-ში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მიხაილ გრუშევსკი იყო, ხოლო 1919-1920 წწ-ში - სიმონ პეტლიურა. 1918-1920 წწ-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში ბიქტორ თევზაია იყო, ხოლო ქალაქ ოდესაში გენერალური კონსულის მოვალეობას თავდაპირველად ე. უშვერიძე ასრულებდა. 1918 წ-ის 5 სექტემბერს უკრაინაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის, ბიქტორ თევზაიას, უშუალო წარდგენით, ქალაქ ოდესაში კონსულად გერმანე მგალობლიშვილი დაინიშნა. საკონსულო აქტიურად მუშაობდა საქართველოს მოსახლეობის ფქვილით, ბურღულეულით, შაქრით და სხვა სასურსათო პროდუქტებით მოსამარაგებლად. 1918 წ-ის 7 დეკემბერს კიევში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის საქონლის გაცვლასთან დაკავშირებით ხელშეკრულება დაიდო. უკრაინის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა, ს. ვ. ბოროდაევსკიმ, ფინანსთა მინისტრმა, ვ. ვ. მატუსევიჩმა, ხოლო საქართველოს მხრიდან - ბ. თევზაიამ. 1920 წითელი არმიის შეტევის შემდეგ, უკრაინის სახალხო რესპუბლიკამ პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. 1921 წ-ის 18 მარტის რიგის ხელშეკრულების მიხედვით, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიები პოლონეთმა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ გაინაწილეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 3108, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 155, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 69, ფ. 2417, აღწ. 1, საქ. 62, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 219; გაზ. „ბრძოლის ხმა“, პარ., 1932 №26; ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბ., 2016.

ლელა სარალიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობა შვეიცარიაში - 1918-1921 წწ-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისია არსებობდა შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში. დიპლომატიური წარმომადგენელი მიხეილ სუმბათაშვილი იყო. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა იქაურ პრესასა და საზოგადოებაში ქართული საკითხის გასაცნობად. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში საქართველოს ბევრი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის მის სამართლიან ბრძოლას მხარს უჭერდნენ, შვეიცარიის მთავრობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად არ უცვნია. 1920 წ-ის მეორე ნახევარში საქართველოს წარმომადგენელი სამუშაოდ ქ. ჟენევაში, ერთა

ლიგის მუდმივ რეზიდენციაში გადავიდა. მისი უმთავრესი დანიშნულება ის იყო, რომ საქართველოს საკითხით დაეინტერესებინა როგორც ერთა ლიგის საბჭო, ასევე ცალკეული დელეგატები, რომლებიც ყრილობაზე დასასწრებად ჟენევაში ყოველწლიურად ჩადიოდნენ. საქართველოს მისიამ შვეიცარიაში მოღვაწეობა ჯერ კიდევ ეროვნული მთავრობის თბილისში ყოფნის დროს შეწყვიტა. მოგვიანებით, საფრანგეთის მსგავსად, შვეიცარიაშიც შეიქმნა „საქართველოს მეგობართა საზოგადოება“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი შვეიცარიაში მიხეილ სუმბათაშვილი 1885 წ-ის 3 მაისს თბილისში დაიბადა. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1902 წ-დან სწავლობდა მოსკოვის საიმპერატორი ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ქიმიას ეუფლებოდა. 1905 როდესაც რევოლუციის გამო, სასწავლებელი დროებით დაიხურა, მ. სუმბათაშვილი პარიზის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც სხვა საგნებთან ერთად კურსები გაიარა ცნობილ პროფესორ მოისანთან და პრაქტიკულ კურსს მის ლაბორატორიაში ეუფლებოდა. 1906 საქსონიის სამთო-საინჟინრო სამეფო სკოლაში, ქალაქ ფრაიბერგში ჩააბარა გამოცდები, რომელიც 1909 წ-ს სამთო-ინჟინრის დიპლომით დაამთავრა. 1909-1910 წწ-ში ალჟირში მრეწველ საკამოდის თუთიის საბადოების დირექტორად მუშაობდა. საქართველოში დაბრუნებისას წიაღისეულისა და სასოფლო-სამეურნეო კვლევით სამუშაოებს თავის მამულებში ეწეოდა. 1912 ქ. თბილისის მუნიციპალური მთავრობის საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ აირჩიეს, ხოლო 1913 წ-ს - თბილისის თავადაზნაურობის მარშლად, 1915 - კავკასიის სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების თავმჯდომარედ. პირველი მსოფლიო ომის დროს, მ. სუმბათაშვილი კავკასიისა და სპარსეთის ფრონტებზე მძლავრი რუსული კომპანიის - „ზემსტვოს“ სრულუფლებიან წარმომადგენლად მუშაობდა.

1918 წ-ის ოქტომბრიდან მ. სუმბათაშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელია ქალაქ ბერნში (შვეიცარია), სადაც მან აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა. მის აქტიურ მუშაობასთან დაკავშირებით შვეიცარიული გაზეთი წერდა: „რუსეთის დაშლის შემდეგ აღმოცენებულ სახელმწიფოთა შორის არის ერთი, რომლითაც განსაკუთრებულად უნდა დაინტერესდეს შვეიცარია: ეს გახლავთ საქართველო, თავისუფლებისმოყვარე მთიელთა ქვეყანა, რომელიც მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულის, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, სადაც ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ უკვე მიაღწია წარმატებასა თუ სიმდიდრეს და სავსებით დაინტერესებული ვართ მასთან ურთიერთობის გაღრმავებით. საქართველოს, რომელიც გადაურჩა ბოლშევიზმს, აქვს შეძლებისდაგვარად ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია და იმედოვნებს, რომ სულ მალე იხილავს თავის დამოუკიდებლობას, აღიარებულს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ. ოფიციალურად ცნობის მოლოდინში საქართველომ ბერნში მოავლინა თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი.... იგი ეძებს გზებს ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისთვის. არსებობს უამრავი ნაწარმი, რომელიც ომამდე ჩვენში საქართველოდან შემოდიოდა ჰამბურგის გავლით, რაც საშუამავლო გარიგებების შედეგი იყო. აქედან, ჩვენ ყველა წინაპირობა გვაქვს იმისათვის, რათა პირდაპირ მივიღოთ ისინი კავკასიიდან, სადაც ჩვენი პროდუქციისათვის ასევე მნიშვნელოვანი გასაღების ბაზარი არსებობს და ჩვენი მრეწველები მთლიანად დაინტერესებული არიან, რათა იგი არ იქნეს მონოპოლიზებული სხვათა მიერ - ამისათვის კი საკმარისია ვიყოთ პირველები საქართველოში, გაიგზავნოს სამრეწველო მისია მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად“. მ. სუმბათაშვილის დიპლომატიურ სარბიელზე ყოფნა მხოლოდ ბერნში მოღვაწეობით არ შემოიფარგლებოდა. იგი იმდროინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. მ. სუმბათაშვილი ზ. ავალიშვილთან ერთად მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჟენევაში 1920 წ-ის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. იმავე წლის ბოლოს იგი, მთავრობის გადაწყვეტილებით, დიდ ბრიტანეთში ელჩის მოვალეობის შემსრულებლად (Charge d’affaire) გადაიყვანეს. მოგვიანებით, მ. სუმბათაშვილი სამუშაოდ პარიზში გადავიდა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მიერ უკვე დე იურედ ცნობილ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დესპანის თანამდებობაზე. 1921 წ-ის 25 თებერვალს, აკ. ჩხენკელთან და სოსიპატრე ასათიანთან ერთად, იგი მონაწილეობდა საფრანგეთის მთავრობის მეთაურ მილიერანისათვის რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიალში, ზუსტად იმ დღეს, როდესაც მეორე ქართველი - სერგო ორჯონიკიძე რუსეთის ბოლშევიკურ ურდოებს თბილისში წითელი დროშით შემოუძღვა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მ. სუმბათაშვილი კვლავ დიდ ბრიტანეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლად მოღვაწეობდა. ამის შემდეგ კი მისი კვალი ქრება.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 772; Journal Illustreé (ილუსტრირებული გაზეთი), 1 ოქტომბერი, 1919 №679; ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წ. წ., დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთ-

ნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1994; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, „მეცნიერება“, თბ., 2003.

ლელა სარალიძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა – 1811 რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე I-მა, მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევით გამოსცა ბრძანებულება საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ. კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II რუსეთში გადაასახლეს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის სახელო გააუქმეს და ქართულ ეკლესიას სათავეში რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი ჩაუყენეს. საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარდა. საქართველოში ავტოკეფალისტური მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის დასაწყისში, ამ მოძრაობაში სასულიერო პირებთან (ეპისკოპოსები კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, კალისტრატე და სხვები) ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული საერო პირებიც, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკური და სამეცნიერო-კულტურული ელიტა.

ქართველმა სასულიერო პირებმა ისარგებლეს რუსეთის მონარქიის დაცემით შექმნილი მდგომარეობით. 1917 წ-ის 8 მარტს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ბინაზე შედგა საიდუმლო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ნოე ჟორდანია, ალექსანდრე ლომთათიძე, სოსიკო მერკვილაძე და ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). კრებაზე გადაწყდა, რომ 12 მარტს სვეტიცხოველში გადაეხადათ სამშვიდობო პარაკლისი, ხოლო შემდეგ წაეკითხათ ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. 1917 წ-ის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. ღვთისმსახურება აღავლინა გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). მსახურებაზე იყვნენ: იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), თბილისის მთელი ქართული სამღვდელოება, საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო მარშლები, თავადაზნაურობა და წირვაზე მოსული მორწმუნე ხალხი. წირვისა და პარაკლისის აღსრულების შემდეგ ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ წაიკითხა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება. მთავარი დოკუმენტის შინაარსი კი შემდეგნაირი იყო: „1917 წ-ის ამა მარტის 12 დღესა მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდარში, კვირა დღეს, შევიკრიბენით რა ჩვენ, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენლები, შევასრულეთ წირვა და საევდრებელი პარაკლისი. გავითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახალი მთავრობის დაფუძნება და მისი საყოველთაო საზოგადოდ სახელმძღვანელო დებულებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღსარება მივიღეთ რა მხედველობაში:

ა) ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, რომლის მოსპობა ანუ გაუქმება არ ექვემდებარებოდა არავითარ ძალას, გარდა მსოფლიო კრებათა და სრულიად არაკანონიკურად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მართვა-გამგეობა;

ბ) საჩქაროდ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მართვა-გამგეობა“

აღნიშნული დოკუმენტის მიღება ავტოკეფალური მოძრაობის ლოგიკური დასასრული იყო, ამის შემდეგ ქართველმა სასულიერო პირებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის.

ლიტ.: მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. თბ., 1987; საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, 1917 წ. 12/25 მარტი. გამოსაცემად მოამზადა ლ. ხუნდაძემ, თბ., 2005; ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. პირველი, თბ., 2008; ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაცია), ქუთ., 2012.

მიხეილ ქართველიშვილი

„საქართველოს პარლამენტი“ – 1918 წ-ის სტენოგრაფიული ანგარიში: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატება. 1919-1920 წწ-ში გამოდის სახელწოდებით: „საქართველოს დამფუძნებელი კრება“. „საქართველოს პარლამენტი“ წარმოადგენს პარლამენტის სხდომების სტენოგრაფიულ ანგარიშს, რომელიც სრულ წარმოდგენას ქმნის „საქართველოს დამფუძნებელი კრების“ სხდომების შინაარსის შესახებ. თითოეული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში დანომრილია, აღნიშნულია თარიღი, ადგილი, ასევე მითითებულია სხდომის თავმჯდომარის, მდივნისა და პრეზიდიუმის წევრების სახელები და გვარები, ასახაულია სხდომების დღის წესრიგი („დღიური წესრიგი“). მაგ., ერთ-ერთი ჩანაწერი გვაუწყებს, რომ 49-ე სხდომა გაიმართა პარასკევს, 1918 წ-ის 18 ოქტომბერს (ადგილი - ტფილისი. სასახლე). აღნიშნულია, რომ სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტიის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი. მდივანია საქართველოს პარლამენტის მდივანი დ. ონიაშვილი. პრეზიდიუმში არიან: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბარათაშვილი და მდივნის ამხანაგი ი. აბაკელია. აღნიშნუ-

ლია სხდომის დაწყების დრო - „კრება იწყება 11 საათსა და 5 წუთზე. თავმჯდომარე: პარლამენტის სხდომა გახსნილი გახლავთ. მდივანი: მოგახსენებთ დღიურ წესრიგს და განცხადებას“. სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით, შემდეგ განიხილება ცალკეული საკითხები, აგრეთვე, კანონპროექტები. იბეჭდება კამათში გამომსვლელთა სიტყვები.

ლიტ.: „საქართველოს პარლამენტი 1918, სტენოგრაფიული ანგარიში1918. №45-47, №49-53, №55-64.

მარი წერეთელი

„საქართველოს რესპუბლიკა“ (1918 - 1921, თბილისი) – ყოველდღიური სამთავრობო გამოცემა. „საქართველოს რესპუბლიკის“ არსებობის სამწლიანი პერიოდი თანხვდება ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებს და დოკუმენტურად ასახავს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოწვევებით სავსე, მღელვარე ცხოვრებას. გაზეთს თავდაპირველად რედაქტორობდა გრ. მაჭავარიანი, შემდგომ - პ. საყვარელიძე. იბეჭდებოდა მთავრობის მიერ დაარსებულ სტამბაში.

„სამთავრობო მოამბე“ მიზნად ისახავდა მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცებისკენ მიმართულ საქმიანობას, რაც ქვეყნისთვის საჭირბოროტო პრობლემატიკის ირგვლივ მოსახლეობის კონსოლიდირებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების ამაღლებას გულისხმობდა. პირველივე ნომერში გაზეთი არღვევს ქართულ პრესაში დამკვიდრებულ ტრადიციას და, საპროგრამო გამოსვლის ნაცვლად, აქვეყნებს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“, აგრეთვე ქვეყნის აღმშენებლობისთვის აუცილებელ სასტარტო კანონებს, რასაც, ცხადია, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით სარედაქციო თვალთახედვა და მაშინდელი სოციალ-დემოკრატების პოზიცია ნათლად ჩანს ამ ნომერშივე დაბეჭდილ მოკლე ინფორმაციული შენიშვნაში „დამოუკიდებლობა“, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით „ს-ს“ („მართალია, ეს აქტი იყო იძულებითი, ესე იგი, იგი ისტორიამ დაგვაკისრა წინააღმდეგ ჩვენი წინასწარი მისწრაფებისა, მარა მით უფრო მეტი სიძლიერით ვგრძნობთ ჩვენ მის აუცილებლობას და მის გადამწყვეტ მნიშვნელობას“). გაზეთის პოლიტიკა სამთავრობო კურსთან თანხვედრით იქმნებოდა და ყველა მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით სახელისუფლებო თვალსაზრისს გამოხატავდა. გაზეთს ჰქონდა ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებები. ოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა სამთავრობო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო აქტები, განცხადებები, ბრძანებები, ქრონიკები, სხდომათა ანგარიშები და ა. შ. არაოფიციალური განყოფილება მოიცავდა ჟურნალისტურ მასალას, რომელიც ეხებოდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიმდინარე მოვლენებს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებას. მიუხედავად თემატური მრავალფეროვნებისა, წამყვანი ადგილი მაინც პოლიტიკას ენიჭებოდა. გაზეთი ინტერესდებოდა საერთაშორისო საკითხებით, სამეზობლო პოლიტიკით. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა როგორც რეგიონით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოები, ასევე მეზობელი პატარა ქვეყნები – სომხეთი და აზერბაიჯანი. საგაზეთო პუბლიკაციებით დასტურდება, რომ მთავრობის მიზანი კავკასიაში რეგიონული მშვიდობისა და ეთნიკური სოლიდარობის მიღწევა იყო. აღსანიშნავია, რომ გაზეთი სხვა გამოცემებსაც უთმობდა თავის ფურცლებს, რა თქმა უნდა, თუკი, სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე, თემა აქტუალური იყო და მთავრობის პოზიციასაც ესადაგებოდა. ეს მასალა თავს იყრიდა რუბრიკაში „პრესის მიმოხილვა“. მაგალითად, აქ დაიბეჭდა გაზეთ „განახლებული მესხეთის” მეთაური წერილი „სამუსლიმანო საქართველოში”, რითაც ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ სტრატეგიასა და მასში განათლების თემის მნიშვნელობას გაესვა ხაზი („სკოლები, სამკითხველოები, საკვირაო მეცადინეობა, ბნელეთიდან ხალხის გამოყვანა, ახალი ცხოვრების ემბაზით მათი პკურება - აი, ეს შეაერთებს ახალციხე-ახალქალაქს მთლიანად საქართველოსთან” (№10, 1919). უნდა ითქვას, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავად ჩაუდგა სათავეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გაჭირვებული თანამემამულეებისათვის შემოწირულობების შეგროვებას და მათი დახმარებისკენ მოუწოდა მოქალაქეებს. გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკის საკითხებს. ხშირად ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის გზები იყო დასახული. მაგალითად, როგორ უნდა მოეწყოთ სწავლა–აღზრდის, სოფლის მეურნეობის, მძიმე მრეწველობის, წიაღისეულის ამოღების, მოხმარების საქმე და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია „დ“-ს (დავით ჩუბინაშვილი) ინიციალით გამოქვეყნებული მეტად საინტერესო პუბლიკაციები საერთო სათაურით „საამდროვო წერილები“(1918, 3 აგვისტო), ალ. მარალაშვილის „როგორ უნდა იყოს მოწყობილი მკურნალობა და სანიტარული საქმე მომავალ ერობაში“ (1918,13 და14 სექტემბერი), ვ. კაკაბაძის „სწავლა-განათლების მოწყობის საქმე“ (1919, 16 იანვარი) და სხვ. 1920 წ-ის 7 და 10 იანვარის პუბლიკაციაში „მილიონიანი ფონდი სათესლე მასალის შესაძენათ“ გაზეთი აშუქებდა იმ რთულ პრობლემებს, რომლებიც მაშინდელი სტიქიური უბედურების, ბოლშევიკური საბოტაჟისა და შანტაჟის ფონზე შეექმნა სოფლის მეურნეობას. გაზეთის ინტერესის სფეროში შედიოდა ასევე განათლების, სწავლა-აღზრდისა და კულტურის საკითხები. არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა ქართული თეატრის, მწერლობის პრობლემებს. მათგან აღსანიშნავია წერილები: „„სიტყვა-კაზმული მწერლობა თავისუფალ საქართველოში“ (1918,

28 აგვისტო), „ქართული თეატრი“ (1918, 29 აგვისტო, 1 სექტემბერი) და სხვა.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918–1921; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; ს. მინაშვილი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა” 1918–1921 წწ., თბ., 2004. მ. შამილიშვილი, მ. წერეთელი, ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918 – 1921 წლების ქართულ პრესაში („Reflection of liberal Values in the Georgian press in 1918-1921“), International Relations and Diplomacy, David PublishIng Company, Valley Cottage, NY 10989, USA, May 2016, vol. 4, №5.

მანანა შამილიშვილი

საყვარელიძე პავლე

საყვარელიძე პავლე დავითის ძე (1882, სოფ. საქარა, შორაპნის მაზრ. - 10. VIII. 1937) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი („ალიონელი“). დაიბადა გლეხის ოჯახში. უმაღლესი განათლება რუსეთში და შვეიცარიაში მიიღო. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის არაერთხელ იყო გადასახლებაში და ციხეში.

1917 წ-დან გამოსცემდა გაზეთ „ალიონს“. დამოუკიდებლობის პერიოდში იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალს. ოყო დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. კონსტიტუციის შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიურად ჩაება ქვეყნის აღმშენებლობისთვის ბრძოლაში. დამფუძნებელი კრების სხდომებზე ილაშქრებდა ოსური სეპარატიზმის წინააღმდეგ. უარყო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ კანტონის პროექტი, რომელიც მოითხოვდა ავტონომიურ წარმონაქმნს არა მარტო შიდა ქართლის, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც (დუშეთი, რაჭა, შორაპანი). მან დამფუძნებელი კრების სხდომაზე განაცხადა: „...არ შემიძლია დავუშვა ის აზრი, რომ ჩვენ ახალი სახელმწიფოები შევქმნათ სახელმწიფოში. ჩვენ ვწერთ კონსტიტუციას უნიტარული სახელმწიფოსათვის. ოსებს კი, მაგალითად, სურთ დაგვიწერონ კონფედერაციული ან ფედერაციული სახელმწიფოსათვის. ჩემთვის ეს სრულიად მიუღებელი გარემოებაა“.

ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქმე 107; უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 1968.

ლელა სარალიძე

საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ დებულება – 1918 წ-ის ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის, თავმჯდომარეობით შედგა საგანგებო თათბირი განათლების რეფორმის გატარების თაობაზე, გადაწყდა, რომ სასკოლო და მოზრდილი (40 წლამდე) ასაკის ადამიანებისათვის შემოღებული ყოფილიყო საყოველთაო და სავალდებულო სწავლება. შედგა დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. დებულების I მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის საერთო განათლების ყველა საშუალო სკოლა ერთი ტიპის უნდა ყოფილიყო. ამ მუხლს ჰქონდა შენიშვნა: საერთო (ზოგადი) განათლების საშუალო სკოლა, რომელიც ქალაქთა, ერობათა, საზოგადოებათა ან კერძო პირთა საშუალებით ინახებოდა, შესაძლოა განსხვავებული ყოფილიყო ამ მუხლში აღნიშნული სკოლის საერთო ტიპისაგან იმ აუცილებელი პირობით, თუ ეს განსხვავება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებული იქნებოდა განათლების სამინისტროს მიერ. შემდეგი მუხლები დებულებისა ასე იყო ფორმულირებული: II მუხლი: საერთო განათლების საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა და მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და ამავე დროს მოამზადოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის; III. განათლების საშუალო სკოლას აქვს 4 კლასი, ერთი წლის კურსით თითოეული; შენიშვნა 1. 1919-1920 და 1920-1921 სასწ. წწ-ში გიმნაზიებში არსებულ 8 და 7-კლასიან საზოგადო განათლების საშ. სკოლის და აგრეთვე საპრ. და სატეხნიკო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებული იქნეს უმაღლეს დაწყებით სკოლებად. შენიშვნა 2. გაუქმებული იქნეს საერთო განათლების საშუალო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები. IV მუხლი: განახლებულ საშუალო სკოლებში შეისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება; რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე - არჩევით, ან ფრანგული, ან გერმანული, ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა. V მუხლი: ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი ამოღებული იქნა; აღნიშნული დებულება, როგორც კანონპროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სკოლების მართვისა და სწავლა-აღზრდის ერთიანი პრინციპის შემოღების შესახებ, მოიწონა მთავრობამ და 1918 წ-ის 3 ივნისს წარუდგინა ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად. ერ. საბჭომ კანონპროექტი დაამტკიცა.

ლიტ.: დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000; სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 454;

დოდო ჭუმბურიძე

სახაზინო ვალდებულებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – მოკლევადიანი 5%-იანი ვალდებულებანი, რომლებიც 1918 წ-ის 24

დეკემბერს გამოუშვა საქართველოს დრ-ის ხაზინამ. მათი გამოშვება განაპირობა სომხეთის მიერ საქართველოსთან დაწყებულმა ომმა, რომელმაც თითქმის სამ კვირას გასტანა და აგრესორის დამარცხებით დასრულდა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები თბილისში იბეჭდებოდა, საქართველოს ხელისუფლებას არ განუხორციელებია მისი ემისიის უფლების უზურპაცია და არ გამოუყენებია ფულის საბეჭდი ექსპედიცია საკუთარი ხარჯების დასაფარად. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული ომით გამოწვეული ფინანსური ხარჯი დაეფარა სხვა საშუალებით, კერძოდ, მოსახლეობაში დაგროვილი ნაღდი ფულის მასა სახელმწიფოს შინაგანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით ამოექაჩა. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „კანონში მოკლევადიანი 5% სახელმწიფო ხაზინის ვალდებულების გამოცემისა“ ნათქვამი იყო: „ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივის ხარჯის დასაკმაყოფილებლად მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება გამოსცეს ორმოცდაათი მილიონი მანეთის მოკლევადიანი 5% სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებანი ერთი წლის ვადით. ვალდებულებანი უნდა იყოს უსახელო და დაყოფილი შემდეგ კუპიურებად: 5000, 1000, 500, 100 და 25-მანეთიანად”. ამ ვალდებულებათა სარგებელი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადისაგან. მათი შეძენა შეიძლებოდა სახელმწიფო ბანკის კანტორასა და განყოფილებაში, რესპუბლიკის ხაზინებსა და კერძო საკრედიტო დაწესებულებებში. ისინი გაიცემოდა და მიიღებოდა ხაზინაში ნებისმიერი შემოსავალ-გასავლის დასაფარად და ასევე საწინდრადაც. ვალდებულებები დაიბეჭდა თბილისში არსებულ ფულის საბეჭდ ექსპედიციაში. მათი ზომა შეადგენდა 325X123 მმ-ს. მათი ფერები შემდეგნაირი იყო: 25 მანეთი - რუხი და ყავისფერი; 100 მანეთი - რუხი; 500 მანეთი - რუხი და ცისფერი; 1000 მანეთი - რუხი და იისფერი; 5000 მანეთი რუხი. ვალდებულებების ავერსზე არის შემდეგი წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის 5% მოკლე ვადიანი ვალდებულება” (ქართულად, რუსულად, ფრანგულად). მხოლოდ ქართულ ენაზე არსებული წარწერა გვაუწყებს: „ამ ვალდებულების წარმომდგენს საქართველოს რესპუბლიკის ხაზინა 1920 წ. 1 იანვარს მისცემს ოცდახუთ (ანდა ას, ხუთას, ათას და ხუთი ათას. - ნ. ჯ.) მანეთს”. ვალდებულებათა მარცხენა ნახევარზე გამოსახულ მოგრძო ჩუქურთმაში ჩახატულია საქართველოს დრ-ის სახელმწიფო გერბი. ვალდებულებებზე გვხვდება მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ჟორდანიას და ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის, გ. ჟურულის, ფაქსიმილეები. მათზე აღნიშნულია ვალდებულებათა სერია ქართული ასოთი და ექვსნიშნა ნომერი არაბული ციფრებით. იქვეა მითითებული, რომ „სარგებელი ეძლევა წინდაწინ და 5% გადასახადისაგან განთავისუფლებულია”. ზემოთ მითითებულია „ვადა 1 იანვარი 1920 წ. ” ვალდებულებების რევერსზე, ცენტრში ჩახატულია ვალდებულებათა ნომინალური ციფრი. ვალდებულებების გამოშვებას ვერ მოჰყვა ის შედეგი, რასაც საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქართველოს მოსახლეობა ამას მიუჩვეული იყო, რასაც კ. კანდელაკიც აღიარებდა. საპირისპირო ვითარება იყო, მაგალითად, რუსეთის იმპერიიდან თავდახსნილ ევროპულ ქვეყნებში: ფინეთში, პოლონეთსა და ბალტიის რესპუბლიკებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო საბანკო დაწესებულებებთან, იძენდა ფასიან ქაღალდებს და ფულსაც შემნახველ სალაროში ინახავდა. იმავდროულად, იქაური კერძო ბანკები მხარში ედგნენ სახელმწიფოს ხელისუფლებას ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში, განსხვავებით თბილისში არსებული კერძო ბანკებისა, რომლებიც ქართული სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილ არაქართველთა ხელთ იყო.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

სახალხო განათლების სამინისტრო – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ამიერკავკასიის სახალხო განათლების სამინისტროს ნაცვლად, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. განათლების მინისტრად დაინიშნა სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი. ახალმა მინისტრმა გააუქმა აგრეთვე ამიერკავკასიის სასწავლო ოლქი, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახალხო სკოლათა დირექციები, თბილისის ქალთა ინსტიტუტი, თბილისის სამხედრო გიმნაზია (კადეტთა კორპუსი), დაიწყო სასწავლო დაწესებულებათა რეორგანიზაცია. სამინისტროში დაწესდა სამი თანამდებობა: 1. უმაღლესი და საშუალო სკოლების მთავარგამგის; 2. სახალხო სკოლების მთავარგამგის და 3. საპროფესიო და სატეხნიკო სკოლების მთავარგამგის. ადგილობრივ სკოლათა მეთვალყურეობისათვის სამინისტრომ დატოვა სახალხო სკოლების ინსპექტორთა ინსტიტუტი. სამინისტროში ფუნქციონირებდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: მინისტრი, მისი ამხანაგი (მოადგილე), სამი მთავარგამგე, სამინისტროს კანცელარიის დირექტორი, ქალაქისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, აგრეთვე ის პირნი, რომელთა მოწვევას მინისტრი დაინახავდა საჭიროდ. სამინისტროს კანცელარიაში მსახურობდა 19 კაცი. კანცელარიის დირექტორი იყო ვუკოლ ბერიძე, საქმისმწარმოებელი მაქსიმე ბერძნიშვილი. საქმის წარმოება სრულდებოდა სახელმწიფო ენაზე. სამინისტროს შტატები დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წ-ის 6 სექტემ-

ბერს. სულ სამინისტროში 56 თანამშრომელი მუშაობდა, რომელთაგან ბევრი ცნობილი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. სამინისტროს თანამშრომელთა შორის იყვნენ: ვუკოლ ბერიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ჭუმბურიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, კონსტანტინე აბაშიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი და სხვ. განათლების მინისტრად 1920-1921 წწ-ში შეთავსებით იყვნენ: ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, შემდეგ კი სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე. სამინისტრომ სკოლების გაერთიანების დასასრულებლად დააარსა 2 კომისია, რომელთაც დაევალა ახალი ტიპის საშუალო და დაბალ სკოლათა პროგრამების შემუშავება. განათლების სამინისტროს მთავრობისაგან გამოეყო 10-მილიონიანი ფონდი. დაიწყო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელება. დაბალ სკოლათა გაერთიანება დაიწყო ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატმა და იგი 1918 დასრულდა, მომდევნო ორ წელს განხორციელდა სხვა ტიპის სკოლების გაერთიანებაც. ამ მიზნის უკეთ განსახორციელებლად სამინისტრომ შექმნა დროებითი საზაფხულო კურსები მასწავლებლებისათვის, კურსებთან დაარსდა სატერმინოლოგიო სექციები, რომელთაც შეიმუშავეს სხვადასხვა საგნის ტერმინები რესპუბლიკის სკოლებში სახელმძღვანელოების გამოცემამდე. ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენაზე მუშაობდა რუსუდან ნიკოლაძე. გაერთიანებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებდა ძირითადი სასწავლო პროგრამების ქართულად სწავლებას, მთავრობამ ეროვნულ უმცირესობებს დაუტოვა საკუთარ ენაზე სწავლების უფლება, ამასთან, ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში აუცილებელ საგნად ჩაითვალა ქართული ენა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება. სამინისტრომ დააარსა საგამოცდო კურსები თბილისსა და ქუთაისში იმ მასწავლებელთა პროფესიული დონის გამოსავლენად, რომელთაც არ ჰქონდათ სრული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ცნობები, მაგრამ სკოლებში ასწავლიდნენ. სამინისტრომ ყურადღება მიაქცია ახალი სკოლების გახსნას, ერობებისთვის ადგილობრივ სკოლათა გადაცემას, რათა მეტი ყოფილიყო სკოლისადმი ყურადღება. 1918-1919 წწ-ში საქართველოს დ. რ. განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები: 1. თბილისის უნივერსიტეტი; 2. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი; 3. პოლიტექნიკუმი; 4. კონსერვატორია; 5. თბ. ობსერვატორია; 6. კავკასიის მუზეუმი; 7. საოსტატო ინ-ი; 8. საოსტატო სემინარია; 9. ვაჟთა გიმნაზია; 10. ქალთა გიმნაზია; 11. რეალური სასწავლებლები; 12. საკომერციო სასწავლებლები; 13. სატეხნიკო სასწავლებელი; 14. სახელოსნო სასწავლებელი; უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი; დაწყებითი სკოლა (1460), 17. კერძო საშუალო სკოლა (50).

ლიტ.: გ. საყვარელიძე, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921), თბ., 1992; დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წწ, თბ., 2000; სცსა , ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 54.

დოდო ჭუმბურიძე

სახალხო განათლების შესახებ კანონი – კანონპროექტი საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ შეიქმნა 1919 წ-ის 17 ივლისს. პროექტში ნათქვამი იყო, რომ ის ახალი საფუძველი, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს სკოლა უნდა დაფუძნებოდა, იქნებოდა დემოკრატიზმი, ადამიანის ჰარმონიული განვითარება. თანასწორობის იდეალზე აგებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა ადამიანი არა მარტო უფლებრივად, არამედ კულტურული ნიშნითაც უნდა ყოფილიყო გათანაბრებული. განათლების უფლება უნდა ჰქონოდა ყველა ადამიანს, ამასთანავე, კანონპროექტი მოითხოვდა: „ყველასათვის ერთი ისეთი სკოლა უნდა შეიქმნას, რომელიც როგორც თავისის შინაარსით, ისე შემადგენლობითაც ერთიანი იქნება". ერთიანი სკოლის პირველ საფეხურზე საშუალო სკოლებს უნდა გამოყოფოდა მოსამზადებელი კლასები. ერთიანი სკოლის შექმნის მეორე საფეხურზე პირველი ოთხი კლასი გამოეყოფოდა და პროგრამულად გაერთიანდებოდა გარდაქმნილ უმაღლეს დაწყებით სკოლასთან. საშუალო სკოლად ითვლებოდა მე-5-მე-8 კლასი, სადაც კანონპროექტის ავტორები შესაძლებლად თვლიდნენ ე.წ. ბიფურკაციას, ანუ მოწაფეების მიერ საკუთარი ნიჭის ინდივიდუალურად გამოკვეთას, თუმცა, ამისთვის საჭირო მატერიალური თუ საზოგადოებრივ-კულტურული დონის იმჟამად არარსებობის გამო, უბრუნდებოდნენ საშუალო სკოლაში საერთო განათლების ერთი ტიპის დაკანონებას. საშუალო სკოლის მთვარი მიზანი იქნებოდა არა მარტო ცოდნის, არამედ ადამიანისა და ბუნების შესწავლა. საშუალო სკოლაში ფსიქოლოგიის სწავლებას საპატიო ადგილი უნდა დათმობოდა. ფსიქოლოგიის შემდეგ, საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის სწორი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩასანერგად აუცილებელ საგნად გათვალისწინებული იყო ისტორიის სწავლება. აქედან, საპატიო ადგილი საქართველოს ისტორიას დაეთმობოდა. „ახალი სკოლის სასწავლო გეგმაში დიდი ცვლილებაა შეტანილი, -ვკითხულობთ დოკუმენტში, - ბუნებისმეტყველების ყველა დარგს (ანატომია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ქიმია), რომელიც დღემდე ნამდვილ საშუალო სკოლაში (მე-5-მე-8 კლასები) არ ისწავლებოდა, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საშუალო სკოლის ყველა კლასში". საგნების შესწავლის წრე საბოლოოდ ასე ისაზღვრებოდა: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, მეორე უცხო ენა (ფრანგული, გერმანული და ინგლისური), ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება,

ფსიქოლოგია, ლოგიკა და საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო დარგის ყველა საგანი, ჰიგიენა, ფიზკულტურა, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა. დოკუმენტში მოტანილია ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში საშუალო სკოლის სწავლების გამოცდილება. ამ მაგალითების გათვალისწინებით, საშუალო სკოლის პროგრამებიდან ამოიღეს კლასიკური ენები, რასაც მანამდე რუსულ სკოლებში გამორჩეული ადგილი ეჭირა, თუმცა, გამონაკლისად დაუშვეს ლათინური ენა, ის ისწავლებოდა როგორც არასავალდებულო საგანი, მოსწავლეთა მოთხოვნის მიხედვით და სპეციალურად შექმნილი პროგრამით. გამოკვეთილი აქცენტი გადატანილი იქნა სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებაზე, სასკოლო მეცადინეობის გადატანაზე ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში, თეორიულ ცოდნაზე დამკვიდრებულ პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებაზე. სახელმწიფოს დაფინანსებაზე არსებული ყველა სკოლა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო ერთი ტიპის. 1919-1921 წწ-ში საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასი უნდა გადაკეთებულიყო უმაღლეს დაწყებით სკოლებად. საშუალო სკოლის რეორგანიზაცია 1923 წ-მდე უნდა დასრულებულიყო. ქვეყნის ყველა არაქართულ სკოლაში სავალდებულოდ ითვლებოდა სახელმწიფო (ქართული) ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება.

ლიტ.: დ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000; სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 518; გაზ. „სახალხო რესპუბლიკა“, 25-26 ივლისი 1918.

დოდო ჭუმბურიძე

სახალხო გვარდია – ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე შექმნეს წითელი გვარდია, რომელმაც 1917 წ-ის რუსეთის რევოლუციების შემდეგ საქართველოში ანარქიულ ვითარებაში წესრიგი დაამყარა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წ-ის 2 ივლისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ“, რითაც სოციალ-დემოკრატიული პარტიული წითელი გვარდია გადაკეთდა სახალხო გვარდიად. კანონის მიხედვით, გვარდიის მიზანს რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვა შეადგენდა. გვარდიაში სამსახური შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც არ ირიცხებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სახალხო გვარდიელი ვალდებული იყო, მთავრობის მოწოდებისთანავე გამოცხადებულიყო საკუთარ რაიონულ შტაბში იმ იარაღით და აღკაზმულობით, რომელიც მას ჰქონდა მიბარებული შტაბისაგან. მოხალისეთათვის გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, თუმცა სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს მას ეძლეოდა მთავრობისაგან დახმარება, ხოლო ინსტრუქტორები და ოფიცრები იღებდნენ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისაგან ჯამაგირს. გვარდია მშვიდობიანობის დროს იმართებოდა მთავარი შტაბის, საოლქო და სარაიონო შტაბების მეშვეობით. გვარდია ომის დროს ემორჩილებოდა საერთო მთავარსარდალს. სახალხო გვარდიის გაწვევა შეეძლო მთავრობის თავმჯდომარეს, თუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ უფლებით სარგებლობა, გვარდიის გამოწვევის უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. საგანგებო ვითარებაში ამ ფუნქციით სარგებლობა შეეძლო მთავარ და რაიონულ შტაბებს, 1919 წ-დან ადგილობრივ შტაბებს ეს უფლება ჩამოერთვათ. სახალხო გვარდია შედგებოდა რეგულარული და არარეგულარული შენაერთებისაგან. რეგულარული შენაერთები: საგანგებო ქვეითი ბატალიონი; ცხენოსანი დივიზიონი; საარტილერიო ბრიგადა; საგანგებო ტყვიისმფრქვეველთა რაზმი; ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი (1920 წ-დან ჯავშანსატანკო დივიზიონი); ჯავშნიანი რკინიგზის რაზმი; საინჟინრო გუნდი. 19 სარეზერვო არარეგულარული ბატალიონი, რომლებიც ომის დროს იკრიბებოდნენ ტერიტორიული პრინციპით: თბილისის 4 ბატალიონი; გარეკახეთის ბატალიონი; კახეთის პირველი და მეორე ბატალიონები; დუშეთის ბატალიონები, ქართლის პირველი და მეორე ბატალიონები; ახალციხის ბატალიონი, იმერეთის პირველი, მეორე და მესამე ბატალიონები; სამეგრელოს პირველი და მეორე ბატალიონები; სოხუმის, გურიის და ბათუმის ბატალიონები. მთლიანობაში გვარდიის რეგულარული და არარეგულარული შენაერთების სამობილიზაციო შესაძლებლობა დაახლოებით 15 000 მებრძოლს შეადგენდა.

სახალხო გვარდია

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990; დ. ს ი ლ ა ქ ა ძ ე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და რიცხოვნობის საკითხისათვის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუ-

ტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ. III, თბ., 2011.

დიმიტრი სილაქაძე

სახალხო გავრდიის ჯავშანმატარებელთა რაზმი

„სახალხო გვარდიელი" – სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. გამოიცემოდა თვეში ორჯერ. პირველი ნომერი გამოიცა 1920 წ-ის 12 დეკემბერს, გვარდიის დღეს. უკანასკნელი ნომერი კი რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის მიმდინარეობისას, 1921 წ-ის 15 თებერვალს. სულ გამოიცა ხუთი ნომერი. ჟურნალის ფასი თავდაპირველად 50 მანეთი იყო, ბოლოს კი 100. ჟურნალის პირველი ნომერი ეძღვნებოდა 1917 წ-ის 12 დეკემბერს გვარდიის მიერ თბილისის არსენალის აღებას და ზოგადად გვარდიის მნიშვნელობას. ჟურნალში იბეჭდებოდა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, წარმოებულ ომებში დაღუპულ სახალხო გვარდიელთა ფოტოები და მათი მოკლე ბიოგრაფია.

ლიტ.: ჟურ. „სახალხო გვარდიელი", 1920-1921, №1-5.

დიმიტრი სილაქაძე

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი – 1918 წ-ის 2 ივლისს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონის თანახმად, გვარდიის უმაღლესი მმართველი ორგანო იყო მთავარი შტაბი, რომელსაც ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარე შტაბის მიერ წარმოდგენილი კანდიდატებისაგან. მთავარი შტაბი რეგიონებში ფუნქციონირებდა რეგიონალური შტაბების მეშვეობით. სახალხო გვარდიის გაწვევა შეეძლო მთავრობის თავმჯდომარეს. თუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ უფლებით სარგებლობა, გვარდიის გაწვევის უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. 1919 წ-ის 19 დეკემბერს მიღებული ახალი კანონის თანახმად, კიდევ უფრო დაკონკრეტდა გვარდიის დეტალები. სახალხო გვარდიის მმართველ ორგანოდ დარჩა მთავარი შტაბი, რომელიც შედგებოდა 21 წევრისაგან; მათ ირჩევდა გვარდიის ყრილობა ერთი წლის ვადით და ამტკიცებდა მთავრობა: მთავარი შტაბი პირდაპირ ექვემდებარებოდა რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის თავმჯდომარის საშუალებით; მთავრობის სხდომებზე გვარდიის წარმომადგენელს ჰქონდა სათათბირო ხმა. წინა კანონისაგან განსხვავებით, მთავარ შტაბს ემორჩილებოდა საოლქო შტაბები, ხოლო ამ უკანასკნელს სარაიონო შტაბები. სარაიონო შტაბებს ერთი წლის ვადით ირჩევდა ადგილობრივ რაიონის გვარდიელთა საზოგადო კრება, ხოლო საოლქო შტაბს ამავე ვადით მთელი ოლქის გვარდიელთა კრება, რასაც საბოლოოდ ამტკიცებდა მთავარი შტაბი.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990; სცსა. ფ. 1833. აღწ. 1. საქ. 365.

დიმიტრი სილაქაძე

სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებელთა რაზმი – ჯავშანმატარებელთა რაზმი ირიცხებოდა სახალხო გვარდიის რეგულარულ შენაერთებში და წარმოადგენდა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე შენაერთს. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა რაოდენობის ჯავშნოსანი მატარებელი ირიცხებოდა შენაერთის შემადგენლობაში. ცნობილია 4 ჯავშნოსანი მატარებლის სახელი: ჯავშანმატარებელი №1 - რესპუბლიკელი ; №2 - მუშა; №3 - სიკვდილი ან გამარჯვება და №4 - თავისუფლების სიმაგრე. შტატის მიხედვით, თითოეულ მატარებელზე დაყენებული იყო 2 76,2 მმ-იანი 1904 წლის მოდელის სამთო ქვემეხი (სროლის რადიუსი 4 - 4,2 კმ.) და 12 ტყვიამფრქვევი. გვარდიელებმა მატარებლების საბრძოლო შესაძლებლობები გაზარდეს და არტილერიის რაოდენობა 3-4 ქვემეხამდე, ტყვიამფრქვევების რაოდენობა კი 12-დან 14-25-მდე აიყვანეს თითოეულ ჯავშანმატარებელზე. რაზმმა საბრძოლო მოქმედებებში თავი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გამოიჩინა, რუსული არმიის მიერ კავკასიის ფრონტიდან გაცილებისას და ოსმალურ არმიასთან ბრძოლაში, 1918 წ-ის აპრილში. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რაზმი აქტიურ საბრძოლო მონაწილეობას იღებდა და მრავალი წარმატებული ოპერაცია ჩაატარა: სომხეთ-საქართველოს, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 და 1921 წ-ის ომებში. რაზმს მეთაურობდა პირველი რესპუბლიკის პერიოდის ლეგენდარული მებრძოლი და სამხედრო მეთაური ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე.

ლიტ.: დ. სილაქაძე, პირველი რესპუბლიკის ჯავშანმატარებელთა რაზმი, ჟურნალი „ისტორიანი". 2013, №5.

დიმიტრი სილაქაძე

„სახალხო საქმე“ (1917-1921) - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ყოველდღიური ორგანო. გამოდიოდა თბილისში. გაზეთს ბეჭდავდა სტამბა „სახალხო საქმე“. გამოცემის რედაქტორი იყო მთავარი კომიტეტის რწმუნებული, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა (1872-1952). გაზეთში თანამშრომლობდნენ: ა. პაპავა, ქრ. რაჭველიშვილი, დ. უზნაძე, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, შ. ნუცუბიძე, ვ. კოტეტიშვილი, ლ. ბოცვაძე, ს. დადიანი, არჩ. ჯაჯანაშვილი, თ. ღლონტი და სხვ. ოთხგვერდიანი „სახალხო საქმე“, 1914-1917 წწ-ში გამომავალი გაზეთ „სახალხო ფურცლის“ (1914–1917) ნაცვლად გამოიცა და მისი სარედაქციო პოლიტიკისა და იდეური ხაზის გამგრძელებელი იყო. სულ გამოვიდა 143 ნომერი. „სახალხო საქმე“ მიიჩნევდა, რომ რევოლუციური ძალები ეროვნული დამოუკიდებლობის ნიშნით უნდა შეკავშირებულიყვნენ, შესაბამისად, გაზეთის პრიორიტეტს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. 1918 წ-ის 26 მაისის მეთაურ სტატიაში „მოვალეობა ერის წინაშე“ მკაფიოდ არის გამოხატული რედაქციის პოლიტიკური პოზიცია და საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის, ასევე ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების მხარდაჭერის იდეა: „დღეს საქართველო ვალდებულია თავის დამოუკიდებელ გზას დაადგეს და დამოუკიდებლად ეძიოს ახალი გზები თავის ხსნისა“. გაზეთი მხარს უჭერდა საქართველოს ფედერაციული მოწყობის იდეას. „სახალხო საქმის“ პუბლიკაციებში გამოხატულია კრიტიკული დამოკიდებულება ნოემბრის, ე. წ. მეორე რევოლუციის, ბოლშევიკებისა და, საზოგადოდ, რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ. აქტუალურ საკითხებზე უმთავრესი სტატიების ავტორია „სახალხო საქმის“ წამყვანი პუბლიცისტი ს. ფირცხალავა. პარტიის იდეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას გაზეთი ყოველთვის მიანიშნებდა, რომ „სოციალისტ-ფედერალისტებისათვის სოციალურის და ეროვნულის განუშორებლობა მუდამ ცხადი იყო“ (ქრ. რაჭველიშვილი), თუმცა ისიც ხაზგასმულია, რომ ფედერალისტები სოციალიზმის ცხოვრებაში გატარების მომხრენი იყვნენ. საგაზეთო პუბლიკაციებში გამოხატულია კრიტიკული დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების მიმართ. პოლიტიკურ საკითხებში გამოცემა გვევლინება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციონერად, გაზეთი საყვედურობს სოციალ-დემოკრატებს, რომ მათი პოლიტიკური მოღვაწეობის ინტერესი იყო არა საქართველო, არამედ მთელი კავკასია და რუსეთი. საგარეო პოლიტიკური ვექტორი გერმანიისადმი განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინტერესში გამოიხატება, რადგან, გამოცემის აზრით, თუ გერმანია კავკასიას ბუფერად აღიარებდა, ბუნებრივად მოითხოვდა საქართველოს, როგორც გეოპოლიტიკური ბუფერის, დაცვასაც და ქვეყანა, ნებსით თუ უნებლიეთ, გერმანიის პოლიტიკურ მფარველობაში აღმოჩნდებოდა, რასაც ქვეყნის მომავალი უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტიად მიიჩნევდა. გაზეთი ასახავდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, იმდროისათვის აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს. ვრცლად აშუქებდა დამფუძნებელი კრების მუშაობას, მთავრობის დადგენილებებს, საარჩევნო თემას. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ბოლშევიკურ რუსეთში მიმდინარე პროცესებს, რუსეთის სამოქალაქო ომის ამბებს, კავკასიის მოვლენებს, საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს და საინფორმაციო თუ ანალიტიკური ფორმატით აშუქებდა მათ. „სახალხო საქმე“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებასა და კულტურას. ცალკეული წერილები შეეხება მხატვრულ ლიტერატურას. მაგ., დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის სტატია „სონეტი საქართველოში“, ს. ფირცხალავას „ეროვნული შემოქმედება და სხვ. გამოქვეყნებულია მოთხრობები და ლექსები. მაგალითად, გერმანული ჟურნალიდან („ახლო აღმოსავლეთი“) გადმობეჭდილია კონსტანტინე გამსახურდიას ლექსი „ს. ფაშალიშვილის „გრძნობათა მწუხრზე“ და სხვ. გაზეთის რუბრიკებია: „ომის დღიური“, „ახალი ამბები“, „მუშათა ცხოვრება“, „მოსკოვის ამბები“ და სხვ. გაზეთი სისტემატურად ეხმაურება ადგილობრივი პრესის პუბლიკაციებს („ქართული პრესა“) და უცხოეთის პრესასაც. თითქმის ყოველ ნომერში გვხვდება პუბლიკაციები სათაურებით: „გერმანული პრესის ცნობა“, „ფრანგული პრესის ცნობა“, ”სომხური პრესის ცნობა“ და სხვ. „სახალხო საქმის” შემდეგ გამოვიდა გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი” (1921), შემდეგ კი - „ტრიბუნა” (1921-1923)

ლიტ.: გაზ. „სახალხო საქმე“, 1917–1921; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

სახალხო უნივერსიტეტები – სახალხო უნივერსიტეტები საქართველოში უკვე XX ს-ის დასაწყისიდან ფუნქციონირებდა. პირველი სახალხო უნივერსიტეტი, ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით, ქუთაისში გაიხსნა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. სახალხო უნივერსიტეტები იყო: თბილისში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ხონში, ფოთში, თელავში და სხვ. სულ ასეთი 12 უნივერსიტეტი არსებობდა. აქ საინტერესო ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები, პოლიტიკოსები, მწერლები, სპეციალისტები. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებად ეწე-

რებოდა მრავალი მსურველი. დამოუკიდებლობის წლებში სახალხო უნივერსიტეტების გახსნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ის უკვე სოფლებშიც იხსნებოდა. მაგ., თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში, სოფელ ფშაველში, სადაც ითხოვდნენ ისიდორე რამიშვილის ლექციას და უნივერსიტეტისთვის მისი სახელის მინიჭებას. 1920 წ-ს დაიწყო არსებული უნივერსიტეტების რეორგანიზაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. სარეორგანიზაციოდ აირჩა სპეციალური კომიტეტი. მთავრობას უჭირდა ამ დაწესებულებების დაფინანსება, ამიტომ მას ხალხი ეხმარებოდა. ამგვარი უნივერსიტეტების როლზე საუბრობდა პუბლიცისტი ივანე როსტომაშვილი გაზეთის სპეც. რუბრიკაში „სახალხო სკოლა და სახალხო უნივერსიტეტი“.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, საქ. 13; გაზ . „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №227.

დოდო ჭუმბურიძე

სახელოვნო ცენტრი – 1919 დაარსდა ორგანიზაცია „სახელოვნო ცენტრი“. მისი დაარსების ინიციატორი და განმახორციელებელი იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი კოტე მაყაშვილი. „მრავალ მიზეზთა გამო, - წერდა გაზეთი „სახალხო საქმე“, - ჩვენს ხელოვნებას



სახელმწიფო ბანკის დამფუძნებელი კრება

ჯერ კიდევ არ შეუძლია საკუთარი ძალ-ღონით მართოს თავისი სვე. მას სჭირია განსაკუთრებული შეკავშირება, ძალების შეთანხმება და სახელმწიფოებრივ ორგანოთა სათანადო დახმარება - მთავრობის თანაგრძნობა და მფარველობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი ხელოვნების მტკიცე ნიადაგზე დამყარება და განვითარება. ამ მიზნით უკვე შედგა „ხელოვანთა ცენტრი“ ... შეიმუშავა სათანადო წესდება და ახლო მომავალში გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს“. „სახელოვნო ცენტრში“ შევიდა როგორც მწერალთა კავშირის ორგანიზაციის, ასევე სამუსიკო საზოგადოების, მხატვართა საზოგადოების და მსახიობთა კავშირის 3-3 წარმომადგენელი. ცენტრში შესვლა შეეძლო ყველა ორგანიზაციას, რომელიც ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეს ემსახურებოდა. ცენტრს უფლება ჰქონდა: 1. გაეწია შუამდგომლობა მთავრობისა და სახელმწიფო დაწესებულებების წინაშე როგორც ცენტრში შემევალი ორგანიზაციების, ასევე თავად ცენტრისთვის; 2. მოეწვია ხელოვანთა ყრილობები (კონფერენციები) საერთო საკითხების გამოსარკვევად, დროგამოშვებით მოეწყო ხელოვანთა გაერთიანებული გამოსვლა, დაეარსებინა კლუბები, მოეწყო ექსკურსიები და ა. შ. ცენტრში 12 წარმომადგენელი შედიოდა. მწერალთა კავშირიდან: კოტე მაყაშვილი (ცენტრის თავ-რე), გრიგოლ რობაქიძე (თავ-რის ამხანაგი), აკაკი პაპავა; მხატვართა საზოგადოებიდან: იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი; სამუსიკო საზ-დან: ე. მაჩაბელი (ხაზინადარი), ვლ. აბაშიძე, დ. არაყიშვილი; მსახიობთა კავშირიდან: შალვა დადიანი (ცენტრის მდივანი), ფრონისპირელი, ალ. იმედაშვილი. 1919 წ-ის 10 ივნისს ცენტრის 4 წევრი (კ. მაყაშვილი, დ. არაყიშვილი, შ. დადიანი და ი. ნიკოლაძე) წარუდგნენ მთავრობის თავმჯდომარეს - ნ. ჟორდანიას და ესაუბრნენ ცენტრის მომავალ გეგმებზე. ჟორდანიამ ცენტრის დაარსება მოიწონა და მას დახმარება აღუთქვა მომავალ მუშაობაში.

ლიტ.: გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №538; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, #549.

დოდო ჭუმბურიძე

სახელმწიფო ბანკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა - ქვეყნის ცენტრალური ბანკი. მის შექმნამდე სახელმწიფო ბანკის ფუნქციას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება (კანტორა), რომელსაც 1917 წ-ის ოქტომბრიდან გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი რუსეთის ცენტრალურ ბანკთან და იმყოფებოდა ჯერ ამიერკავკასიის ფინანსთა კომისრის, ხოლო 1918 წ-ის 26 მაისის შემდეგ საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში. მისი მოვალეობანი არსებითად იმით ამოიწურებოდა, რომ ფულის საბეჭდი ექსპედიციიდან შესული ახლად დაბეჭდილი ქაღალდის ფულის ნიშნები (ბონის კუპიურები) დაენაწილებინა თანახმად მინისტრის დირექტივებისა. აღნიშნული კანტორის საქმიანობას აკონტროლებდა ფინანსთა სამინისტროს საგანგებო კომისარი. არარსებობა დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატისა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევისა და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას, ერთობ უარყოფით როლს ასრულებდა და დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1919

წ-ის 31 დეკემბერს მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ". მას ერთვოდა წესდება, რომელშიც განმარტებული იყო ამ ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი. წესდების პირველ და მეორე მუხლებში აღნიშნული იყო: „ 1) ამ წესდების ძალით არსდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი, რომლის დანიშნულებას შეადგენს - გაადვილება ფულის ტრიალის, ხელის გამართვა მოკლე ვადიან სესხის მიცემით ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის და აგრეთვე განმტკიცება ფულის საქმის. 2) ბანკის ძირითადი თანხა, რომლის სულ უდიდესი რაოდენობა განისაზღვრება ორმოცდაათი მილიონი მანეთით, გადაიდება სახელმწიფო ხაზინიდან". მიუხედავად ამ კანონის მიღებისა, სახელმწიფო ბანკის შექმნა კიდევ ნახევარ წელიწადს გაჭიანურდა. 1920 წ-ის თებერვალში საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს საზოგადო მოღვაწე და ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949), უფროსი ძმა მწერალ ნიკო ლორთქიფანიძისა. იმავე წლის 24 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი ფუნქციონირებას შეუდგა. ამავე დღეს შედგა ბანკის საბჭოსა და გამგეობის გაერთიანებული სხდომა მოწვეულ პირთა თანდასწრებით, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, კერძოდ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და მინისტრები: გრიგოლ ლორთქიფანიძე, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, რაჟდენ არსენიძე, კონსტანტინე კანდელაკი, სიმონ ავალიანი და სხვები.

ლიტ.: ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

სახელმწიფო ენის შესახებ კანონი – საკონსტიტუციო კომისიის 1918 წ-ის 14 სექტემბერს კომისიას გადაეცა დ. ჩიქოვანის წინადადება ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობისათვის ქართული ენის ცოდნის სავალდებულობის შესახებ. იმავე სხდომაზე პ. საყვარელიძეს დაევალა შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება და შემდგომი სხდომისთვის მისი წარმოდგენა. 1918 წ-ის 21 სექტემბერს ამ საკითხზე კომისიამ იმსჯელა. საბოლოოდ, ეროვნულმა საბჭომ კანონპროექტი 1918 წ-ის 1 ოქტომბერს მიიღო. ის შედგება სამი მუხლისაგან და აქვს ორი შენიშვნა. კანონში მკაფიოდ დაფიქსირდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. საქართველოს ეროვნულ საბჭოში საქმის წარმოება და კამათი მხოლოდ ქართულ ენაზე იყო შესაძლებელი. კანონი მხოლოდ ერვნულ უმცირესობათა წარმომადგენელებს უფლებას აძლევდა, თუ მათ სახელმწიფო ენა არ იცოდნენ, სიტყვა წარმოეთქვათ საკუთარ ენაზე. ეს საკითხი კიდევ უფრო დაზუსტდა საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 15 ოქტომბრის კანონში „წესი ენის ხმარებისა", რომელიც ეროვნული საბჭოს რეგლამენტის დამატებას წარმოადგენდა. ცალკე, 1919 წ-ის 14 იანვრის კანონით, „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა", მოწესრიგდა ადგილობრივ ორგანოებში ენის გამოყენების საკითხი. რასაკვირველია, უპირატესობა მიენიჭა ისევ ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, მაგრამ ეროვნულ უმცირესობებს ასევე შეეძლოთ, ესარგებლათ თავიანთი დედაენით. ქართული ენისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა იმ პერიოდის არაერთ კანონში ჩანს. მაგალითად, 1918 წ-ის 24 სექტემბრის „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის" შესახებ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მოსამართლეთა ყრილობაზე ქართულად უნდა წარმართულიყო. ამ კანონის თანახმად, ოფიციალურ ტექსტად ითვლებოდა ქართული ტექსტი. „ნაფიც-მსაჯულთა შესახებ" 1919 წ-ის 17 იანვრის დებულებით, ნაფიც-მსაჯულს ქართული ენის ცოდნა მოეთხოვებოდა. „რა ენაზე უნდა მოეწყოს სენატში საქმის წარმოება?" ეს კითხვა 1919 წ-ის 31 ოქტომბერს დაისვა საქართველოს სენატის საზოგადო კრების სხდომაზე. განხილვის შემდეგ სენატმა ერთხმად დაადგინა: „სენატის რეზოლუცია და განჩინება დაწერილ უნდა იქნეს ქართულად". ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი 1921 კონსტიტუციაში მე-3 მუხლითაა გარანტირებული.

ლიტ.: სცსა, ფ. 1833, საქ. 191, ფ. 1836. საქ. 201, ფ. 1837. საქ. 5; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

სახელმწიფო კონტროლი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღების საკითხი. გათვალისწინებული იყო, რომ მის კონტროლს დაექვემდებარებოდა ბიუჯეტური ორგანიზაციების ფინანსები და მთლიანად ქვეყნის შემოსავლები და ხარჯები. 1918 წ-ის 3 ივნისს ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომაზე დასაბუთდა სახელმწიფო კონტროლის სამსახურის დაარსების აუცილებლობის საკითხი. კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების" შესახებ ერთხმად მიიღო ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 28 ივნისის სხდომაზე. მისი ხელმძღვანელი - სახელმწიფო კონტროლიორი უნდა აერჩია ეროვნულ საბჭოს. იგი არ უნდა შესულიყო მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. მთავრობასა და სახელმწიფო კონტროლიორს შორის უთა-

ნხმოების საკითხებს წყვეტდა ეროვნული საბჭო. დღის წესრიგში სახელმწიფო კონტროლიორის დანიშვნის საკითხი განიხილებოდა. ამ თანამდებობაზე სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ დასახელდა ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, პროფესორი). ხმათა დიდი უმრავლესობით სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე აირჩიეს ფ. გოგიჩაიშვილი. 1918 წ-ის 6 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის" და „რევიზიის წესდება". დამტკიცებული დებულების მიხედვით: სახელმწიფო კონტროლიორი, მინისტრის უფლებით, მონაწილეობდა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში; სახელმწიფო კონტროლიორს საკანონმდებლო ორგანოში ყოველწლიურად 15 დეკემბერს უნდა წარედგინა საანგარიშო მოხსენება ჩატარებული სამუშაოების შესახებ; ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო სახელმწიფო კონტროლიორის წარდგინებით ნიშნავდა და ათავისუფლებდა სახელმწიფო კონტროლიორის მოადგილეს, ხოლო სახელმწიფო კონტროლის სხვა მუშაკებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა თავად სახელმწიფო კონტროლიორი. სახელმწიფო კონტროლიორის ფუნქციებში ასევე შევიდა: საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე ბიუჯეტის პროექტის შედგენის შემოწმება, ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრების ბრუნვის, მატერიალური ქონების მდგომარეობის შემოწმება, კრედიტების განაწილებაზე კონტროლი. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანოს ხარჯების შემოწმება სახელმწიფო კონტროლის კომპეტენციაში არ შედიოდა. სახელმწიფო კონტროლის ორგანოში შეიქმნა „საერთო საკრებულო" სახელმწიფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით. „საკრებულოს" უფლება ჰქონდა, მოესმინა საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენი საანგარიშო მოხსენება და განეხილა წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე მოემზადებინა დასკვნა კონტროლიორის დავალებით გადაცემულ საკითხებზე. სახელმწიფო კონტროლის მიერ ჩატარებული რევიზიების ანგარიშები 3 რიგად ნაწილდებოდა: პირველი რიგის ანგარიშები სამუდამოდ უნდა დაცულიყო, მეორე რიგის ანგარიშები 10 წელი (გახანგრძლივება შეეძლო „საერთო საკრებულოს") და მესამე რიგის „ადმინისტრაციული საქმეები" 5-10 წლის ვადით. სახელმწიფო კონტროლიორი, შესაბამისი სფეროს მინისტრთან შეთანხმებით, ადგენდა, თუ რომელ რიგს უნდა მიკუთვნებოდა შედგენილი ანგარიში.

სახელმწიფო კონტროლის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ბევრი ფინანსური დარღვევა. თავის მხრივ, ფ. გოგიჩაიშვილმა, როგორც ქართული ეკონომიკური აზრის მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა და დამოუკიდებელ საქართველოში პირველმა სახელმწიფო კონტროლიორმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქვეყნის ფინანსური კონტროლის სისტემის საფუძვლების შექმნაში. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მან დამფუძნებელ კრებას მიმართა თხოვნით დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით, დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ-ის 14 მარტს, კენჭისყრის შედეგად, დააკმაყოფილა სახელმწიფო კონტროლიორის, ფ. გოგიჩაიშვილის, თხოვნა დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ მას დაევალა მოვალეობის შესრულება ახალი სახელმწიფო კონტროლიორის არჩევამდე. 1919 წ-ის 9 მაისს დ. თოფურიძემ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, დამფუძნებელ კრებას სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე ასარჩევად ისევ ფ. გოგიჩაიშვილის კანდიდატურა (სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა) წარუდგინა. ფარული კენჭისყრის შედეგად (მონაწილე 66 კაციდან მომხრე - 61, წინააღმდეგი - 2, თავი შეიკავა - 1, გაუქმებული აღმოჩნდა - 2) სახელმწიფო კონტროლის თანამდებობაზე ხელმეორედ აირჩიეს ფილიპე გოგიჩაიშვილი. ამის შემდეგაც „კონტროლიორის ინსტიტუტმა" ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

ლიტ.: თ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2016; T. A t a n e l i s h v i l i, M. C h i k v i l a d z e, N. Silagadze, About State FInanclal Control, Ecoforumjournal, Vol. 6, 2017, №1.

თამარ ათანელიშვილი

სახვითი ხელოვნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 1918 წ-ში საქართველოს კულტურისათვის მოკლე, მაგრამ მშვენიერი ეპოქა დგება; როგორც ფრანგები 1890-1914 წწ-ზე ამბობენ, *La Belle Époque*. ეს დრო მისთვის ზოგადად ტრაგიკულია (1914-1918 წ-ის I მსოფლიო ომი, 1917 წ-ში რუსეთის ბოლშევიკური გადატრიალება), მაგრამ ძალიან იღბლიანიც - საქართველო დამოუკიდებლობას იბრუნებს; 1918-1921 წწ-ში ის დემოკრატიული რესპუბლიკაა და ოპტიმისტურია. 1918-1921 წწ-ის ქართულ კულტურას თავისი წინაპირობაც აქვს: მოდერნიზმის გზას უკვე 1900-იან წწ-ში ადგება, რასაც მოწმობს მხატვარ გიგო გაბაშვილის ახლახან აღმოჩენილი ათეულობით ფერწერული, გრაფიკული ნაწარმოები, ფოტოგრაფია. ის ქართულ სახვით ხელოვნებაში სიმბოლიზმის ფუძემდებელი აღმოჩნდა. ქართული მოდერნისტული ხელოვნების ათვლის წერტილიც 1900 ინაცვლებს. ილია ზდანევიჩი 1911 წ-მდე მოზარდი, ეცნობა მარინეტის, ფუტურზმის ფუძემდებელის მანიფესტებს, იწყებს სიმბოლისტური ტიპის

ლექსების წერას. დავით კაკაბაძე 1910 წ-სთვის მუშაობას იწყებს ფერწერასა და ფოტოგრაფიაში. 1918 წ-დან კი თბილისი მოდერნიზმის და ავანგარდის მნიშვნელოვანი ცენტრია, ინტერნაციონალურია, პარიზულ მოდერნიზმზე/ავანგარდზე ამოზრდილი, რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ ავანგარდთან თანამშრომლობით გამდიდრებული. გრიგოლ რობაქიძე 1918-1920 წწ-ზე წერს, „თბილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე "ინტერნაციონალში" იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. <...> ტფილისი შეიქნა ფანტასტური". ის ახალგაზრდული და ლაღია; სახელოვნებო ექსპერიმენტის, ხელოვნების ფუნქციის გადააზრების, ახალი ენის შექმნის დროა. თბილისში მყოფი რუსი ფუტურისტი ალექსეი კრუჩონიხი 1919 ჟურნალ „კურანტებში" („Куранты", ტფილისი) თბილისს კულტურის მესამე ცენტრს უწოდებს. აკმეისტი პოეტი იური დეგენი კი თბილისის ჟურნალ „ფენისქში" ("Феникс",1919) წერს: „კავკასიამ რუსულ ფუტურიზმს მისცა ვლადიმერ მაიაკოვსკი და ძმები ილია და კირილ ზდანევიჩებიო". "ფანტასტურ" დედაქალაქში 1918 წ-დან მუშაობენ საქართველოს მკვიდრი პოლონელი, სომეხი, გერმანელი მხატვრები, პოეტები, რუსეთიდან ჩამოსული ხელოვანები, ქართველი მოდერნისტები და ავანგარდისტები; „შემოქმედებითი ძალების სიმრავლემ საქართველოს დედაქალაქი ევროპული კულტურის ცენტრად აქცია". 1918 წ-დან იწყება ავანგარდული არტისტული კაფეების ეპოქა, ხმაურიანი პროცესი უცნაური რიტორიკით, ესთეტიკური „ამბოხით", „ინდივიდუალიზმის, თავისუფლების, ხელოვნების თვითმიზნობის" დამკვიდრებით. ტიციან ტაბიძე წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები" წერს, "სამოქალაქო ცხოვრების განვითარებამ, როცა პოლიტიკა ცალკე გამოიყო <...> მისცა მას (გრ. რ.-ეს - ნ. ყ.) საშუალება უფრო ემხილა თავისი პოეტის ბუნება". ის სწორედ ხელოვნების თავისუფლებას გულისხმობს, იმას, რასაც ლადო გუდიაშვილი გრაფიკულ ნახატში „გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში", რითიც იხსნება ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება" 1918 წ-ის პირველი ნომერი. დ. კ. 1919 წ-ს თავის ჟურნალში „შვიდი მნათობი", წერს: „მხატვრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია აღორძინების გზას დაადგეს, როდესაც იგი მხოლოდ მხატვრულ მიზნებს ემსახურება". იბეჭდება მისი წერილები მხატვრულ ფორმაზე, სურათის პრინციპზე და სხვ. ამ წლებში საქართველოშია ბორის ფოგელი, მერიეტლინგერ-ერისთავი, ვერა როხლინა, თბილისის განუმეორებელი მკვიდრი ოსკარ შმერლინგი და სხვები. ესაა თვითრეფლექსირების, საკუთარი კულტურის კვლევის დრო ზღვა ესსეისტიკით ხელოვნების ფუნქციაზე, ისტორიაზე, მოდერნისტების/ავანგარდისტების ადგილზე ისტორიაში. ილ. ზ. 1919 წ-ში თავისი ჯგუფის "41°"-ის ამავე სახელწოდების გაზეთში წერს: „ფუტურისტებმა მიხაილ ლე-დანტიუმ, პოეტმა ილია ზდანევიჩმა და მხატვარმა კირილ ზდანევიჩმა საქართველოს ეროვნული გენია აღმოაჩინეს და გადაარჩინეს". მართლაც, დუქნებისთვის აბრების და სურათების მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი თბილისურმა და რუსეთის ავანგარდმა აღმოაჩინა - ძმებმა ზდანევიჩებმა და რუსმა მხატვარმა მიხ. ლე-დ-მ. 1918-1921 წწ. *არტისტული კაფეების* გარდა *არტისტული წიგნების, ჟურნალების ეპოქაცაა*. უნიკალურია "41°"-ის მიერ გამოცემული წიგნები ალ. კრ-ის, კ. ზ-ის „Учитесь Худоги" (1917), ილ. ზ.-ის „Янко крУль албанскай" (1918), ალ. კრ-ის „Ожирение роз" (1918), ვასილი კამენსკის, კ. ზ-ის, ალ. კრ-ის „Железобетонные поэмы" (1918), ალ. კრ-ის „Лакированное трико" (1919), ილ. ზ-ის „Остраф пасхи" (1919), მისივე „зга Якабы" (1920), კრებული „Фантастический Духан Софьи Мельниковой", (41°, 1919) და სხვ. ჯგუფის წევრები (ილ. და კ. ზ-ები, კ. ჩ., ა. კრ., ლ. გ., იგორ ტერენტიევი) იწყებენ პოეზიის ხმოვანი პლანის განახლებას (ზაუმი), სწავლობენ დიაქრონიას / სინქრონიას ხელოვნებაში და სხვას ვას. კ. *თბილისის ცირკის არენაზე, ცხენზე* შემჯდარი, ლექსებს კითხულობს და სურათებს ხატავს. ამაზე ის იმხანად თბილისში მყოფ რეჟისორზე, ნიკოლაი ევრეინოვზე, წიგნში წერს, რომლის ყდას ალექსანდრე შერვაშიძე, ქართველი მოდერნისტი აფორმებს. მაიაკოვსკი მთაწმინდიდან თბილისს დაჰყურებს და ამბობს: "აი ეს აუდიტორიაა! ამ მთის ესტრადიდან შეგიძლია მსოფლიოს ელაპარაკო". მოდერნისტები გოლოვინზე ჭრელ სპარსულ ქსოვილებში გამოწყობილები, სახემოხატულები დადიან.

გამოდის უამრავი ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება", "მეოცნებე ნიამორები", "ცისფერი ყანწები", "შვიდი მნათობი", ''თოლაბურასის სარტყელი", „ARS", "ფენიქსი", "კურანტები", "არლეკინი", "ტფილისი". გაზეთები: "*41°*", "კავკაზსკი ვესნიკი", "ბარრიკადი", "დღე" და სხვა; *1918* წ-დან იბეჭდება დეკლარაციები, მანიფესტები, თეორიული ტექსტები, თარგმანები, მიმდინარე სახელოვნებო ამბების ქრონიკები, ქვეყნდება ახალი ნამუშევრების ილუსტრაციები. კომპოზიტორ ნიკოლოზ ჩერეპნინის რექტორობის დროს (*1918-1921*) კონსერვატორიაში კითხულობენ ლექციებს, იმართება არტისტული სასამართლო პროცესებიც, მაგალითად, მოსკოვის სამხატვრო თეატრზე და მეფე ერეკლე II-ზე, თავმჯდომარით, ადვოკატით, პროკურორით, სახალხო მსაჯულებით, მაყურებლით და ავანგარდული შემართებით. ამ დროს ყალიბდება ილ. და კ. ზ.-ების კონცეფცია "ორკესტრულ ფერწერაზე", რომელიც მოჰყვება ილ. ზ.-ს „Всечество"-ს ("ყველაფრობის") კონცეფციას. *1919* წ-ში მისი ინიციატივით გამოიცემა წიგნი სოფია მელნიკოვას, რომელიც ავლენს თბილისის ავანგარდის მულტინაციონალურ სახეს: წიგნი პოლილინგვურია, ქართული, რუსული, სომხური ტექსტებით, ავტორების გვარების ლათინური თარგმანებით; აერთიანებს

წიგნის ორ მოდელს - ავანგარდულ წიგნს ტრადიციულთან. მასში შედის დიმიტრი გორდეევის წერილიც "იოსებ ზილიხანიანის" პირთა სიის შესახებ, XVII ს-ის პალიმფსესტური ტიპის ხელნაწერზე. თავად წიგნიც "პალიმფსესტური" და პოლისტილურია: ზაუმი, სიმბოლისტური, აკმეისტური პოეზია, კუბო-ფუტურიზმი, ნეოსიმბოლისტური გრაფიკა; ისტორია - სხვადასხვა ეპოქების, მეთოდების ერთი წიგნის სივრცეში გამთლიანება. მოდერნისტი სტ. ტ.-ის სიტყვებიც: "მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი<...> როგორც ქართული სიტყვის შემკრები <...> და მალარმე <...> პრეზენტიზმისა და ფუტურიზმის". რუსთაველი ქართული სიტყვის გამამთლიანებელია, მალარმე "ჯერ გაუხსნელი ფორმულების ავტორი". ესაა ნოვაციისა და მემკვიდრეობის ათვისების ხანა - ამ დროის ყველა ავანგარდული ჟურნალი ისტორიას უთმობს ადგილს. როგორც დ. კ. წერს, ის მოვლენას ხედავს არა "ერთი განსაკუთრებული მხრიდან", არამედ "მთლიანი არსებით სივრცეში", ახასიათებს პანორამული აღქმა, სიმულტანიზმი. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თბილისური სახელოვნებო ჟურნალი „ARS"-ის სარედაქციო კოლეგია წერს; "ამიერკავკასია - ესკულტურების ქვეყანაა. <...> შემოქმედებითი ძალების რა სიმდიდრე იჯაჭვება აქ". კოლეგია ინტერნაციონალურია: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გრ. რ., ლელი ჯაფარიძე, ტ. ტ.; იუ. დ., რუსი აკმეისტი პოეტი სერგეი გოროდეცკი, თბილისელი სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანი, თბილისელი სომეხი მხატვარი ეღიშე თათევოსიანი, ფრანგი წარმოშობის რუსი მხატვარი იოზეფ შარლემანი; დ.კ., რუსი ზაუმის პოეტი ალ. კრ., პიანისტი ჰაინრიხ ნეიგაუზი, ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რუსი ისტორიკოსი დ. გ., არქიტექტორები ანატოლი კალგინი და ნიკოლაი სევეროვი, თბილისელი არქიტექტორი გაბრიელ ტერ-მიქელიანი. რედაქციასთან გახსნილ არტისტერიუმში იკითხება ლექციები ხელოვნებაზე, იმართება გამოფენები. *1918* აწყობენ იურიმარის, ლ.გ.-ის, ბაჟბეუკ-მელიკოვის გამოფენებს; სწავლობენ თბილისს, ზომავენ, ხაზავენ სახლების გეგმებს, ქმნიან ჩანახატებს. ARS-ს კავშირი აქვს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტთან, ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან, ექ. თ.-თან. ნ. მ., ენის ახალი თეორიის შემქმნელი, რომლის მოსაზრებები უკვე *1900-1910*-იან წწ-ში ყალიბდება, მნიშვნელოვანია ილ. ზ.-თვის; ის *1917-1919*-იან წწ-ში მისი ნაშრომების ანალიზს მთელ დღიურს უთმობს. კოლაუ ჩერნიავსკი მის თეორიას სწავლობს ზაუმურ პოეზიაში სიტყვის ექსპერიმენტის თვალსაზრისით. დ.კ. იკვლევს ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებას, ოქრომჭედლობას; მოდერნისტი დიმიტრი შევარდნაძე აფუძნებს თბილისის ხელოვნების მუზეუმს, ხელოვნების ეროვნულ გალერეას, ქმნის ტფილისური სკოლის სათავადაზნაურო პორტრეტის, ირანული პორტრეტის, ფიროსმანის ნამუშევრების კოლექციებს. აარსებს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, ავანგარდისტების მონაწილეობით აწყობს ექსპედიციებს შუა საუკუნეების არქიტექტურის, კედლის მხატვრობის საკვლევად; *1920* აწყობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენას. საზოგადოება, მასთან არსებულ სომეხ მხატვართა კავშირთან ერთად, გამოსცემს კატალოგებს, აწყობს გამოფენებს მოდერნისტების, ავანგარდისტების, რეალისტი მხატვრების მონაწილეობით. სახელმწიფო აფინანსებს ახალგაზრდების უცხოეთში მუშაობას და ევროპაში მიემგზავრებიან მხატვრები: დ. კ., ლ. გ., შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთო მაღალაშვილი, მიხ. ჭ., ვასილ ჯორჯაძე, მწერალი ნიკოლო მიწიშვილი, კომპოზიტორები ირაკლი ჯაბადარი, ირაკლი ორბელიანი, რეჟისორი დავით კუშიტაშვილი, მომღერლები სანდრო ინაშვილი, მიხეილ ნანობაშვილი და სხვები. ესაა სწრაფი ქმედებების დრო - ხელოვნება აქტიურად იჭრება ცხოვრებაში და პირიქით, ცხოვრება იჭრება ხელოვნებაში. ცოტა ხანში კი, *1923* პოეტი უკვე იტყვის, საქართველო სიზმრებისა და მწუხარების ქვეყანაა.

ლიტ.: B. K e r d i m u n, Kirill Zdanevich and Cubo-Futurism: Tiflis, 1918-1920, New York, 1987; N. K i p i a n i. The Great EXperiment, ArtForum International, 2013, March-April; N. K i p i a n i, B. T s i p u r i a. Cubist Infiuence in Georgla: Cubo-Futurism, Kirill Zdanevich, David Kakabadze, Journal ARS 47 (2014) 2; T. Н и к о л ь с к а я, „Фантастический город", Русская культурная жизнь в Тбилиси (1917- 1921), Мос., 2000; Т. Н и к о л ь с к а я, *Авангарди* окрестности, СПБ. 2002; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია: XVIII-XX საუკუნეები, თბ., 2013; ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ორიოდე სიტყვა ძმებ ზდანევიჩებზე, მ. ჩიხრაძე, თბილისი 1910-1921 წლებში, ელექტრონული ჟურნალი ARS GEORGICA, სერია Bhttp://www. georglanart. ge/IndeX. php?optIon=com_content&VIew=artIcle&Id=51&ItemId=&ed=7

ნანა ყიფიანი

სევეროვი ნიკოლოზ

სევეროვი (ნორდმანი) ნიკოლოზ პავლეს ძე (2.III.1887, თბილისი - 21.II.1957) - ინჟინერი, არქიტექტორი. 1915 დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო-საინჟინრო ინსტიტუტი. 1918 წ-დან დაბრუნდა თბილისში. 1918 წ-ის ბოლოს ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტში გიორგი ჩუბინაშვილი მიიწვიეს პროფესორად, რომელიც სათავეში ჩაუდგა და დააარსა ხელოვნების ისტორის კათედრა. ნიკოლოზ სევეროვი მისი ერთადერთი თანამშრომელი იყო. მათ უნივერსიტეტში შექმნეს „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი", რომელიც ქართული ხელოვნების დარგში პირველი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი იყო. ამ დროიდან დაიწყო სახელოვნებათმცოდნეო ექსპედიციებიც, რომლებშიც არქიტექტორი სევეროვი აქტიური წევრი იყო. 1920 საქართველოს მუზეუმს ხუროთმოძღვრული ძეგლების შეკეთება და დაცვა დაევალა. 1920 წ-ის 13 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და

რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი „ძველი ხუროთ-მოძღვრების ძეგლების შეკეთება დაცვისთვის 2 000 000 მან. გადადებისა“. მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ ამ სამუშაოების შესასწავლად და შესასრულებლად შექმნა კომისია, რომელშიც გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვნი და ა. კალგინი შევიდნენ. მკვლევრები ჯერ მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის ეკლესიების შესასწავლად გაემგზავრნენ, შემდეგ კახეთის რეგიონის რამდენიმე ძეგლი შეისწავლეს და შეაკეთეს, ასევე მუზეუმში გადაიტანეს წრომის ეკლესიის მოზაიკის ფრაგმენტები. 1920 წ-დან ეროვნული მუზეუმის შენობის ფასადის გასაფორმებლად ნ. სევეროვი და ა. კალგინი მიიწვიეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ამ სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდა.

1922-1948 წწ-ში იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1935 დააპროექტა თბილისში თამარის ხიდი არქიტექტორებთან, კ. ზავრიევთან და ნ. სლოვინსკისთან, ერთად. 1935-1948 წწ-ში იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე. 1938 კინოთეატრი რუსთაველი ააგო. 1942-1948 წწ-ში იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ხელოვნების ისტორიის განყოფილების გამგე. 1948 წ-დან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა კიევში. შექმნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, შესრულებული აქვს როგორც საერო, ისე საკულტო არქიტექტურის ძეგლების გრაფიკული ჩანახატები, ეკუთვნის მრავალი საერო არქიტექტურის პროექტი.

ლიტ.: ენც. თბილისი, თბ., 2002; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990; გ. ჩ ხ ა ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №188.

სალომე ჭანტურიძე

სენატი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ერთ-ერთი სხდომა საქართველოს სენატის - უმაღლესი სასამართლოს შექმნის საკითხს მიეძღვნა. იუსტიციის მინისტრის მოადგილის, გ. გველესიანის, თავმჯდომარეობით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ სენატის დებულების ძირითადი პრინციპები შეიმუშავა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ დებულების პროექტი გადაეცა განსახილველად საქართველოს დამფუძნებელ კრებას. იგი მუხლობრივად 1919 წ-ის 25 ივლისს განიხილეს. 29 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ სენატის დებულება დაამტკიცა. 1919 წ-ის 2 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა სპეციალური კომისია „სენატორების კანდიდატთა სიის შესამუშავებლად“. კომისიაში შედიოდნენ ფრაქციის წარმომადგენლები. 1919 წ-ის 6 ოქტომბერს დამფუძნებელ კრებას სარეკომენდაციო კომისიის მიერ წარედგინა სენატორთა შემადგენლობის სრული სია - სულ 15 წევრი. 7 ოქტომბერს კრებამ ერთხმად მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატებს და ისინი სენატის წევრებად აირჩია. ესენი იყვნენ: დ. ხელთუფლიშვილი (სენატის თავმჯდომარე), ი. ჯაფარიძე (თვმჯდომარის მოადგილე), ი. ზურაბიშვილი, ს. მიქელაძე, ვ. დემიდოვი, ლ. ასათიანი, ვ. ქუთათელაძე, დ. კალანდარიშვილი, გ. გველესიანი, მ. ქორქაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ი. როინიშვილი, გ. სიდამონ-ერისთავი, გ. მაღნარაძე, გ. ხარაზიშვილი და ნ. ქიქოძე. 1919 წ-ის 23 ოქტომბერს სენატორებმა და სენატის თავმჯდომარემ დადეს საჯარო ფიცი: „საჯაროდ აღვსთქვამ ვიყო ერთგული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ვასრულო მტკიცედ რესპუბლიკის ყველა კანონები, თვალყური ვადევნო კანონის დაცვას და სისწორით ასრულებას მთავრობის ყველა დაწესებულების და თანამდებობის პირის მიერ, თვით ვქნა სამართალი წმინდა სინდისისამებრ მიუდგომლად და პირუთვნელად და ავასრულო მტკიცედ ყოველივე ჩემს მიერ ნაკისრი მოვალეობა, მახოვს რა, ამაში პასუხი უნდა ვაგო კანონის და ჩემი სინდისის წინაშე“. 1919 წ-ის 23 ოქტომბერს თბილისის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში (დღევანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა, რომელიც დააპროექტა პოლონელმა არქიტექტორმა ალექსანდრე შიმკევიჩმა. შენობა საზეიმოდ გაიხსნა 1895 წ-ის 3 იანვარს) გაიხსნა საქართველოს სენატის საზოგადო კრების საჯარო სხდომა. სხდომაზე წაკითხულ იქნა დამფუძნებელი კრების 1919 წ-ის 27 ოქტომბრის კანონი სენატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. 1919 წ-ის 26 ნოემბერს სენატმა დაადგინა, რომ ყოველი საკითხის შესახებ უნდა გამოსულიყო ცალკე მომხსენებელი.

სენატი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ზედამხედველობდა კანონების დაცვას. იგი ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პარლამენტის წინაშე. უმაღლეს სასამართლოში იქმნებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტები. სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტში შედიოდა საადმინისტრაციო განყოფილება. სენატის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა ერთ საკასაციო განყოფილებას, ხოლო მისი მოადგილე მეორეს. სენატის უმაღლესი ორგანო იყო საზოგადო კრება. კრება ნიშნავდა საერთო სასამართლოებში მოსამართლეებს, მოსამართლეთა თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს. საზოგადო კრება განიხილავდა ყველაზე რთული კატეგორიის საქმეებს. სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოღვაწეობდა 5 სენატორი, სამოქალაქოში - 8. ორივე დეპარტამენტს ჰყავდა პროკურორი, ხოლო პროკურორებს მოადგილეები.

დამფუძნებელი კრების 1920 წ-ის 3 აპრილის სხდომაზე განიხილეს მომავალ კონსტიტუციაში სენატის გათვალისწინების საკითხი. სხდომაზე უარყვეს წინადადება, რომ სენატი ყოფილიყო შეტანილი კონსტიტუციაში და-

მოუკიდებელ მუხლად. დამფუძნებელი კრების 22 მაისის სხდომაზე ამ საკითხზე კვლავ იმსჯელეს. ამჯერად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი პ. საყვარელიძის ინიციატივას. სენატი აისახა კონსტიტუციაში. 76-ე მუხლი ამბობს: საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო - სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და რომელიც მოვალეა: ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას და სისწორით ასრულებას, და ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

სენატმა სულ 16 თვე იარსება. 1921 წ-ის 22 მარტს რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომი) იგი დეკრეტით გააუქმა. 1919-1921 წწ-ში სენატში განხილულ იქნა 1000-მდე საქმე.

ლიტ.: სსცა, ფ. 1837. საქ. 1-1107. ფ. 1833. საქ. 49, 71, 432, 805, 997. ფ. 1838, საქ. 280, 286, 308, 322, 476, 503, 883, 1300; ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

სესილი რობერტ

სესილი სერ რობერტი (1864-1959) (Edgar Algernon Robert Gascoyne-Cecil, 1st Viscount Cecil of Cheiwood) - ინგლისელი იურისტი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი (30 მაისი 1915 - 10 იანვარი 1919), ერთა ლიგის ერთ-ერთი არქიტექტორი და მისი გულმხურვალე დამცველი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, კონსერვატორი. რობერტ სესილი იურიდიული კარიერის პარალელურად ძალისხმევას არც საპარლამენტო პრაქტიკისთვის იშურებდა. 50 წლის ასაკში, პირველი მსოფლიო ომის დაწყების პერიოდში, წითელ ჯვარში დაიწყო მუშაობა. მალე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა. 1918 წ-ის დასაწყისში სახელმწიფო მინისტრის თანაშემწეა საგარეო საქმეთა საკითხებში. მისი უშუალო დაინტერესება მშვიდობის შენარჩუნებისთვის ბრძოლით 1916 წ-დან დაიწყო, მაშინ როცა პირველი მსოფლიო ომის შედეგად, ადამიანის ქონების, ფასეულობების განადგურების გამო, იგი დარწმუნდა, რომ ცივილიზაციის გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ შეიქმნებოდა საერთაშორისო სისტემა, რომელიც მსოფლიო მშვიდობის გარანტი გახდებოდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დროს, ერთა ლიგის მოლაპარაკებებზე, იგი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი იყო. 1920 წ-დან 1922 წ-მდე ერთა ლიგის ასამბლეაზე იგი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას წარმოადგენდა. რობერტ სესილი იყო პასუხისმგებელი მინისტრი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთა ლიგაში დიდი ბრიტანეთის საქმიანობის საკითხებში. 1927 ერთა ლიგისადმი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების დამოკიდებულებით უკმაყოფილების გამო, დაკავებული თანამდებობიდან გადადგა და მოგვიანებით, 1932 ერთა ლიგის მხარდასაჭერად საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის დამოუკიდებლად მუშაობდა. იგი ცნობილია მშვიდობის საკითხებზე მისი ნაშრომებით. როგორიცაა: „მშვიდობის გზა“ (1928); „ლექციების კრებული ლიგის შესახებ დიდი ექსპერიმენტი“ (1941); ერთა ლიგასთან მისი ურთიერთობის „პერსონალური ანგარიში“; „ყველა გზა“ (1949) და სხვა. დაუღალავი შრომა დაუფასდა. 1928-1944 წწ-ში იგი აბერდენის უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. 1924 მშვიდობის დარგში ვუდრო უილსონის პრემია მიიღო, ხოლო 1937 ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. 1946 ჟენევაში ერთა ლიგის ბოლო შეხვედრას ესწრებოდა და თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ლიგა მოკვდა, გაუმარჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას!“ 1953 წ-ის 23 აპრილს, ლორდთა პალატაში ბოლო გამოსვლისას, მან კიდევ ერთხელ გამოხატა მსოფლიო მშვიდობისადმი თავისი ერთგულება. ერთა ლიგის სხდომაზე, როცა ლიგის წევრად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების საკითხი იხილებოდა, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისგან განსხვავებით, მან მხარი დაუჭირა საქართველოს ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებას და განაცხადა: „მე ვთხოვ კრების დელეგატებს, გაუგზავნონ ამ პატარა, გულად სახელმწიფოს მატერიალური დახმარება...“.

ლიტ.: M. C o w l i n g, The Impact of Labour 1920-1924. The Beginnings of Modern BrItIsh Politics. Cambridge University Press, 1971; J. A. T h o m p s o n, „Lord CecIl and the pacifists in the League of Nations Union”. The Historical Journal. 20. 4: 949–959, 1977; ს. კ ი ლ ა ძ ე, საქართველო და ერთა ლიგა, ჟურ. „საისტორიო ვერტიკალები“, 1991, №1; გ. შ ა რ ა ძ ე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003; ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ურთიერთობა ერთა ლიგასთან და ქართული პრესა 1919-1920 წლებში, წ. წ.), ჟურ. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. VIII, თბ., 2001.

ლელა სარალიძე

სიდამონ-ერისთავი გიორგი (26.VIII.1865, თბილისი - ?) - იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. უმაღლესი იურიდიული განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. 1890 წ-დან მუშაობდა პეტერბურგის სასამართლოში.

1917 დროებითმა სამმართველომ პეტერბურგის მილიციის მთავარ იურისტკონსულტანტად დანიშნა, მალევე კი ქალაქის მილიციის უფროსად. 1917 წ-ის ივნისში მცირე ხნით შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა. 1918 წ-ის სექტემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენა-

ტის წევრად აირჩია, მუშაობდა სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში. 1920 წ-ის ნოემბერს დამფუძნებელმა კრებამ სენატორის უფლებამოსილება შეუწყვიტა.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

სიდამონ-ერისთავი ვალერიან (20.VI.1889, ყვარელი - 1943, თბილისი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთი თვითმყოფადი წარმომადგენელი. სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ა. არხიპოვი, ა. ვასნეცოვი და ნ. კასატკინი (1909-1915). საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასახლდა კახეთში და ასწავლიდა ხატვას თელავში. 1915-1916 წწ-ში თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოსთან", რომელიც ს. შანშიაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა, ქმნიდა კარიკატურებს და ჩანახატებს ყოფით და ალეგორიულ თემებზე, მუშაობდა წიგნის დიზაინზე. 1917 იმოგზაურა ერზრუმში, სადაც შეასრულა ადგილობრივი ტიპაჟებისა და ყოფითი სცენების ჩანახატები.

XX ს-ის 10-იან წლებში მოღვაწე სხვა ქართველი მხატვრების მსგავსად, ვალერიან სიდამონ-ერისთავის უმთავრეს ამოცანასაც ეროვნული ფორმის ძიება წარმოადგენდა. ამ მიზეზით, მან გარკვეული უპირატესობა ისტორიულ თემას უკვე 1910-იანი წწ-ის დასაწყისშივე მიანიჭა. 1910-1920-იან წწ-ში შექმნა ისტორიული ჟანრის არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები: „თამარ მეფე" (1917წ.), „კრწანისის ბრძოლა" (1919), „ერეკლე II ბრძოლა ლეკებთან" (1921). ასევე აღსანიშნავია, რომ მხატვრის 1920-იანი წ-ის რამდენიმე თამამ, სიმბოლური და ალეგორიული მინიშნებებით დატვირთულ ნაწარმოებებში („წითელი მთესველები", „წითელ ცხენოსანთა შეტევა", „ბავშვები ბაღში") გამოიხატა ექსპრესიონისტული მიმდინარეობის ნიშნები. ამ მიმდინარეობის განწყობა, რომელიც, გარდამავალი სიტუაციისა და სპეციფიკური სოციალური კლიმატის პირობებში, საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპის არაერთი ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი, ბუნებრივი აღმოჩნდა გამოკვეთილად პატრიოტი მხატვრის, ვ.ს.-ე-თვისაც. არისტოკრატიული წარმომავლობის მხატვრისათვის ბოლშევიზმი, არა მხოლოდ მისი სამშობლოს დაპყრობას ნიშნავდა, არამედ იმასაც, რომ ამ დრომდე შემორჩენილ ქართულ არისტოკრატიას განადგურება ელოდა.

ვ.ს.-ე. ითვლება პირველ ქართველ პროფესიონალ თეატრის მხატვრად. 1922 წ-დან დაიწყო მოღვაწეობა თეატრსა და კინოში. თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან, ასევე აფორმებდა სპექტაკლებს რუსთაველის თეატრში („ცხვრის წყარო", „მზის დაბნელება საქართველოში"). 1923 ზ. ფალიშვილის ოპერა „დაისის" პირველი დადგმის მხატვარია, 1924 კი დ. არაყიშვილის ოპერისა „შოთა რუსთაველი". მუშაობდა კინოს მხატვრად (1922-1935). დაახლოებით 35 ფილმის მხატვარია (რეჟ. ა. ბეკნაზაროვი - „მამის მკვლელი" (1923); რეჟ. კ. მარჯანიშვილი - „კრაზანა" (1928), „კომუნარის ჩიბუხი" (1929); რეჟ. კ. მიქაბერიძის ექსპრესიონისტული, გროტესკული ფილმი - „ჩემი ბებია" (ი. გამრეკელთან ერთად, 1929); რეჟ. მ. ჭიაურელი - „უკანასკნელი მასკარადი" (1934) და სხვ.) 1925-1943 წწ-ში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი (1938 წ-დან). გააფორმა საქართველოს პავილიონი ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე (1938). ვ. სიდამონ-ერისთავს, რომელმაც თავისი შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარა ისტორიული ჟანრის დამკვიდრებას ქართულ ფერწერაში, 1940 მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში: სემ - ხელოვნების მუზეუმში, თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა); კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმში, თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის მუზეუმში, ასევე არაერთ კერძო კოლექციაში.



სიდამონ ერისთავი ვალერიან

ლიტ.: გ. გ ა ბ უ ნ ი ა, ფერწერის ისტორიული ჟანრის ოსტატი, „ლიტერატურა და ხელოვნება" (2/VII), 1944; ვ. სიდამონ-ერისთავის ნამუშევრების გამოფენის კატალოგი, შესავალი შ. კვასხვაძისა, თბ., 1945; ლ. თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი, მხატვრის მოგონებანი, „საბჭოთა ხელოვნება" 1969, №12; მ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII –XX საუკუნეები, თბ., 2013.

მაია ციციშვილი

სიკვდილით დასჯის შესახებ კანონი (1918-1921) - სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა, კანონმდებლობის მიხედვით, გამოიყენებოდა. 1921 წ-ის კონსტიტუციის მე-19 მუხლით, სიკვდილით დასჯა საქართველოში საბოლოოდ გაუქმდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სიკვდილით დასჯა 1918 წ-ის 5 ივლისის კანონით („სიკვდილით დასჯისა ზოგიერთი უმძიმესი ბოროტმოქმედებისათვის") შემოიღო. კანონში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ძირითადად სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს იყო ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩაიდენდნენ „უმძიმეს ბოროტმოქმედებას". სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა შემდეგი დანაშაულებების ჩადენა: 1. სახელმწიფო ღალატი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ; 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წესწყობილების შეიარაღებული ძალით შეცვლის მცდელობა; 3. შეიარაღებული აჯანყე-

ბა არსებული მმართველობის წინააღმდეგ; 4. წინასწარ განზრახ ან უეცრად მოფიქრებული მკვლელობა; 5. განზრახ ცეცხლის წაკიდებით ან სხვა გზით სამხედრო მასალის, ან თავდასხმის, ან თავდაცვის სხვა საშუალების განადგურება, ცეცხლის წაკიდება სახელმწიფო ან საზოგადო შენობისათვის; 6. ტელეგრაფის ან ტელეფონის, რკინიგზის ლიანდაგის, ვაგონების, რკინიგზის ან ნავთსადგურების ნიშნების განზრახ განადგურება ან მათთვის დიდი ზიანის მიყენება, სამრეწველო, სამთო-მადნო დარგის მოწყობილობის განზრახ მოსპობა ან გაფუჭება, რომელსაც რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; 7. ძარცვა ან იარაღით თავდასხმა ქონების წართმევის მიზნით; 8. ომიანობის დროს სამხედრო დანაშაულის ჩადენა. კანონის მიხედვით, ყველა აღნიშნული ქმედება დასჯადი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩადენილი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

დახვრეტას ანუ სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა კიდევ ერთი დეკრეტი, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ-ის 27 ივნისს „ჯარის ნაწილებიდან გაქცევისა და ნებადაურთველად წასვლისათვის დასჯის“ შესახებ მიიღო. დეკრეტის მე-4 მუხლში აღნიშნული იყო: „მტრის მხარეზე გადასვლისათვის დამნაშავე დაისჯება დახვრეტით და მთელის ქონების კონფისკაციით“.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

სირბილაძე ერმალოზ

სვიმეონი (ერისკაცობაში სიმონ სპირიდონის ძე ჭელიძე) (1875, სოფ. ბუგეული, რაჭის მაზრა - 13.XI.1935) – მიტროპოლიტი. დაიბადა სასულიერო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფ. ბუგეულის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. იმ დროს თბილისის სემინარიაში უკვე იყო სერიოზული დაპირისპირება მარქსისტულად განწყობილ ახალგაზრდებსა და მორწმუნეთა შორის, ხშირად ჩაშლილი იყო სასწავლო პროცესი. 1893 მიიღო გადაწყვეტილება, სასწავლებლად გადასულიყო სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1898 დაასრულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აკურთხეს მღვდლად. 1900 დაინიშნა რაჭის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ და კეთილმოწესედ.

სნოუდენი ეთელ

თავის წერილებში აქტიურად ეხმაურებოდა 1918-1921 წწ-ში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

1923 წ-ის ნოემბერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველმა ეპისკოპოსმა, ქრისტეფორემ (ციცქიშვილი), სვიმეონი ეპისკოპოსად აკურთხა. მეუფე სვიმეონს ურთულეს პერიოდში მოუხდა ეპისკოპოსის ხარისხში ამაღლება. ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლება ეკლესია-მონასტრებს ადმინისტრაციული წესით ხურავდა, ანადგურებდა საეკლესიო სიწმინდეებს. დაპატიმრებული იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრების უმრავლესობა, თვით კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი. ეპისკოპოსმა სვიმეონმა 1924 წ-ის 20 ოქტომბერს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსადმი საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით გაგზავნილ მიმართვაში, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებას აღუთქვა ლოიალობა და თანამშრომლობა. 1926 ქუთათელ ეპისკოპოსად დაინიშნა, 1927 ურბნისის ეპარქიის მმართველად. 1930 ქუთაისის ეპარქია ჩააბარეს და აყვანილ იქნა მიტროპოლიტის პატივში. მიტროპოლიტი სვიმეონი გარდაიცვალა მძიმე ოპერაციის დროს. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

ლიტ.: ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; მ. კ ე ზ ე ვ ა ძ ე, ეგზარქოსობის დროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები, თბ., 2014.

მიხეილ ქართველიშვილი

სირბილაძე ერმალოზ ივანეს ძე (მეტსახელი: ემილ) (1875, თელავი - 26.XII.1937) - თავდაპირველად სასწავლებლად თელავის სკოლაში შევიდა, შემდეგ კი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1900 მოღვაწეობას იწყებს პედაგოგად, დუშეთის მაზრაში. რევოლუციური პროპაგანდისათვის 1908 დააკავეს და ციხეში ჩასვეს ერთი წლით. ერთი წლის შემდეგ კი გადასახლებულ იქნა ციმბირში. 1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ქალაქ ნოვო-ნიკოლაევსკში. 1919 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წ-დან ხდება საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, ცოტა მოგვიანებით კი თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ ცოტა ხნით იმყოფებოდა ემიგრაციაში, თუმცა მალევე დაბრუნდა საქართველოში. 1937 შეეწირა საბჭოთა რეპრესიებს.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

სნოუდენ-ანკანი ეთელ (8.IX.1881 - 22.II.1951) - ბრიტანელი სოციალისტი, სამოქალაქო აქტივისტი, ჟურნალისტი, ფემინისტი პოლიტიკოსი. დაიბადა საშუალო კლასის წარმომადგენელი ინგლისელის ოჯახში. ახალგაზრდობაში იყო ქრისტიან სოციალისტი. შემდგომში შეუერთდა დამოუკიდებელ ლეიბორისტულ პარტიას და გახდა ფაბიანური საზოგადოების წევრი.

ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა აქტიურ ფემინისტურ საქმიანობას. 1905 იქორწინა ცნობილ ბრიტანელ ლეიბორისტ პოლიტიკოსზე, ფილიპ სნოუდენზე. აქტიურად იყო ჩართული პარტიულ საქმიანობაში, წლების განმავლობაში იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. XX -ის დასაწყისში იყო სუფრაჟისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. პირველი მსოფლიო ომის დროს მოგზაურობდა ბრიტანეთში, კანადასა და ამერიკაში, ეწეოდა პაციფისტურ პროპაგანდას, ქალთა მოძრაობების მიტინგებზე გამოდიოდა ომის საწინააღმდეგო მოწოდებებით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, როგორც ინგლისის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში და რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა საბჭოთა რეჟიმის შესახებ. 1920 მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის წევრებთან ერთად იმოგზაურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სიტყვით გამოვიდა თბილისში, გურჯაანში, თელავსა და ტყიბულში გამართულ მიტინგებზე. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ გაზ. „მანჩესტერ გარდიანში“ გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, წერილში დადებითად აფასებს გატარებულ რეფორმებს, ასევე საუბრობს რუსეთთან შედარებით საქართველოში არსებულ უკეთეს სოციალურ ფონზე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, როგორც მეორე ინტერნაციონალის წევრი, აკრიტიკებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს. XX-ის 20-30-იან წწ-ში აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. იყო BBC-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამეფო ოპერის დირექტორი. სიცოცხლის ბოლო წლებში ჟურნალისტურ საქმიანობას ეწოდა.

ლიტ.: „ქალები წარსულიდან“, მედიის განვითარების ფონდი; ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ.), თბ., 1997; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209, №2016; გაზ. „ერთობა“, 1920, №211.

ირაკლი ირემაძე

სოლოღაშვილი ანა (ოლღა) ილიას ასული (1882, გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევი - 28. XI.1937) - საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიის სპეციალობით. 1903 წ-დან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად რევოლუციურ გამოსვლებშიც მონაწილეობდა. მარქსისტულ იდეებსა და არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას აცნობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში რვოლუციურად განწყობილ მუშებს, ამ საქმეში ჩაბმული იყო ძმასთან - გრიგოლთან და დასთან - ევგენიასთან ერთად. მისი თაოსნობით ბათუმში გაიხსნა ნურიის ბაზარში, აგრეთვე, წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომლის გამგედ დაინიშნა ევგენია. მათი თაოსნობით ჩამოყალიბდა სახალხო იაფფასიანი თეატრი, სადაც მოღვაწეობდნენ არტისტული ნიჭით დაჯილდოებული დები სოლოღაშვილები. 1912 წ-ს ა. სოლოღაშვილი, რომელიც ამ დროს პედაგოგად მუშაობდა, რევოლუციური საქმიანობისათვის დაატიმრეს და გადასცეს სამხედრო-საოლქო სასამართლოს „არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაციის გაწევისათვის“. სასამართლომ ბრალდება ვერ დაუმტკიცა და გაამართლა.

1917 წ-ის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. იყო გორის ქალთა ინტერნაციონალური კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. 1918 წ-ს იყო სდ-ის პარლამენტის წევრი. ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. 1919 წ-ის თებერვლიდან აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად. 1919 წ-ის 12 მარტიდან იყო სრ-ის დამფუძნებელი კრების წევრი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო სარედაქციო, საპენსიო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების წევრი, საბიბლიოთეკო კომისიის მდივანი. მისი ინიციატივითა და მოხსენებით საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტები და კანონები, კერძოდ, დეკრეტი უცხოეთში გასატანი საქონლის დამზადების და უცხოეთიდან საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ; მთავრობის განკარგულებაში 20 მილიონი მანეთის გადასადებად; უქმე დღეების შემცირების შესახებ; საზომ-საწონი და სასინჯი პალატის შესაქმნელად; საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებლად ქუთაისის სადგურის გასაფართოებლად 1500000 მანეთის გამოყოფის შესახებ; რკინიგზის სადგურებში საქონლის შენახვის ვადის შემცირების შესახებ; საინტერესო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის 100 000 მანეთის გამოსაყოფად; კანონი ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევის გადავადების შესახებ; სახელმწიფო საშუალო და უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის 250 000 მანეთის სუბსიდიის გამოსაყოფად; დეკრეტი სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ; სახალხო სკოლების მასწავლებლებისათვის ხუთწლიანი სახელფასო დანამატების შესახებ; ახალციხე-ახალქალაქისა და სოხუმ-ზუგდიდ-სენაკის გზატკეცილის შესაკეთებლად 800 000 მანეთის გადადების შესახებ და მრავალი სხვ.

სოლოღაშვილი ანნა

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩაბმული იყო ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში. შედიოდა საქართველოს სოციალ-დე-

მოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კომიტეტში, რომელიც არალეგალურად მუშაობდა პოლიტიკური პატიმრების და მათი ოჯახების დასახმარებლად; 1922 წ-დან კომიტეტი გარდაიქმნა ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლი პარტიების ერთიან ორგანიზაციად - „საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი“. 1925 წ-დან ცხოვრობდა და მუშაობდა მასწავლებლად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 1937 დააპატიმრა შინსახკომმა, ე.წ. „ტროიკის“ გადაწყვეტილებით, მენშევიკური ცენტრის წევრობის ბრალდებით ა. სოლოღაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს და დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქმ. 160, 1382; ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, საქ. 108, საქ. 109; ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ფოტო-კარტოთეკა. საქართველოს შსს აკადემიის არქივი; I განყოფილება (ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივი), ფონდი №8 - საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სამეულის (ე. წ. „ტროიკის”) სხდომის ოქმები; გაზ. „ერთობა“, 1919. №№111, 125, 138, 139; ისიდორე რამიშვილის მოგონებები, 2012.

დოდო ჭუმბურიძე

სომხეთ-საქართველოს ომი – 1918 წ-ის დეკემბერში მიმდინარეობდა სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის. ორ სახელმწიფოს შორის ომის დაწყების მიზეზი გახდა სომხეთის რესპუბლიკის პრეტენზია ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებზე, რომლებიც ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. პირველი შეტაკებები 1918 წ-ის 18-27 ოქტომბერს მოხდა, როდესაც სომხურმა ჯარმა იერიში მიიტანა ქობერზე, ქორინჯსა და წათერზე, თუმცა მათი შეტევა იქ მდგომმა მცირერიცხოვანმა ქართულმა ნაწილებმა მოიგერიეს. სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები ბორჩალოს მაზრაში 9 დეკემბერს დაიწყო, თუმცა მანამდე, 6 დეკემბერს, მცირერიცხოვანი სომხური ნაწილები თავს დაესხნენ ახალქალაქის მაზრას, მაგრამ იქ მდგარმა მსხვილმა 6150-კაციანმა ქართულმა კონტინგენტმა, გენერალ აბელ მაყაშვილის მეთაურობით, მოწინააღმდეგე დაამარცხა. ახალქალაქის მაზრაში მოწინააღმდეგეს შეტევის მცდელობა ჰქონდა 16 და 20 დეკემბერს, მაგრამ ქართველებმა ორივე მარტივად მოიგერიეს. ძირითადი საბრძოლო მოქმედებები ბორჩალოს მაზრაში 9 დეკემბერს დაიწყო. მოწინააღმდეგემ 9-15 დეკემბერს დაიკავა უზუნლარი, სანაინი, აირუმი და ახტალა. 14 დეკემბერს მოწინააღმდეგემ შეტევა დაიწყო ვორონცოვკა-პრიველნოეს მიმართულებაზე და 15 დეკემბერს დაიკავა ვორონცოვკა. 9-15 დეკემბრის ბრძოლებში ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში მდგარი მცირერიცხოვანი ქართული შენაერთები დამარცხდნენ.

18-23 დეკემბერს გაიმართა დიდი ბრძოლები სადახლოსათვის. ამ ბრძოლის მიმდინარეობისას სომხებმა 21 დეკემბერს დაიკავეს შულავერი, შემდეგ სადახლოში მდგარი ქართული მცირერიცხოვანი ძალები ალყაში მოაქციეს, რომელთაც 22 დეკემბერს მოახერხეს ალყიდან გამოსვლა, ხოლო 23 დეკემბერს მოწინააღმდეგემ სადახლო დაიკავა. 18 დეკემბერს საქართველოში გამოცხადდა მობილიზაცია. სადახლოს ბრძოლების პარალელურად, მოწინააღმდეგის ვორონცოვკის მიმართულების დაჯგუფებამ, ვორონცოვკას და პრიველნოეს დაკავების შემდეგ, შეუტია ეკატერინენფელდს (დღევანდელი ბოლნისი). 19 დეკემბერს გაიმართა დიდი ბრძოლა დასახლებისათვის, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ეკატერინენფელდის ბრძოლაში თავი ისახელა სახალხო გვარდიამ. ამავე მიმართულებაზე 25 ოქტომბერს ქართველებმა დაიკავეს ბოლნის-ხაჩინი, 31 დეკემბერს კი დაღეთ-ხაჩინი.

24 დეკემბერს ბორჩალოს ფრონტზე სომხური არმიის სარდალმა, გენერალმა დრასტამატკანაიანმა (დრომ), ქართულ სარდლობას გადასცა ულტიმატუმი, რომ ქართულ მხარეს დაეცალა ახალქალაქის მაზრა, წინააღმდეგ შემთხვევაში გენერალი დრო მდინარე ხრამის ჩრდილოეთით გააგრძელებდა შეტევას, თუმცა პირიქით მოხდა. შულავერის ფრონტის სარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელმაც 3500-კაციანი შენაერთი 25 დეკემბერს შულავერთან შეტევაზე გადაიყვანა. რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ 29 დეკემბერს დილით ქართველებმა შულავერი აიღეს. ქართულმა ჯარმა 31 დეკემბერს აიღო სადახლო. 1919 წ-ის 1 იანვრის 00:00 საათზე ბრიტანელებისა და ფრანგების შუამდგომლობით ორივე მხარემ ცეცხლი შეწყვიტა. 1919 წ-ის 9-17 იანვარს თბილისში გაიმართა საქართველო-სომხეთ-ინგლისის სამმხრივი

სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგ გამართული აღლუმი

კონფერენცია, სადაც შემუშავდა სამშვიდობო პირობები. კონფერენციის მეოთხე სხდომაზე ხელი მოეწერა ომის შეწყვეტის ოფიციალურ სამთავრობო შეთანხმებას და ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის ნეიტრალურ ზონად გამოცხადების შესახებ შეთანხმებას, ხოლო ახალქალაქის მაზრაზე სომხურმა მხარემ მოხსნა საკუთარი პრეტენზიები.

ლიტ.: ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007.

დიმიტრი სილაქაძე

სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკა - სომხეთი, როგორც ამიერკავკასიის ნაწილი, 1917 წ-ის ნოემბრიდან, ფაქტობრივად, ჩამოშორდა რუსეთის იმპერიას, ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატს, შემდეგ კი ამიერკავკასიის სეიმსა და მთავრობას დაექვემდებარა. 1918 წ-ის ბრესტ-ლიტოვსკის ზავი მძიმე აღმოჩნდა ამიერკავკასიისათვის, თუმცა განსაკუთრებით მძიმე იყო სომხეთისათვის, რომელიც კარგავდა დასავლეთ ნაწილს. სომხეთის მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ ამიერკავკასიის შიგნით, ფაქტობრივად, გამოუცხადებელი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა აზერბაიჯანთან. სომხეთმა 1918 წ-ის აპრილში, როგორც პოლიტიკურმა სუბიექტმა, საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნაში. განსხვავებული საგარეოპოლიტიკური ვექტორებისა და შიდა დაპირისპირების არსებობის პირობებში ამიერკავკასიის რესპუბლიკამ მხოლოდ 35 დღე იარსება და საბოლოოდ 1918 წ-ის 26 მაისსს დაიშალა. 1918 წ-ის 28 მაისს სომხეთის ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობა თბილისში გამოაცხადა. დამოუკიდებელი სომხეთის მთავრობის ფორმირება სომხეთის ეროვნულმა საბჭომ სომხური რევოლუციური ფედერაციის - დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერს, ჰოვანეს კაჩაზნუნს, დაავალა. სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1918 წ-ის 17 ივლისამდე თბილისში ფუნქციონირებდა და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწოდების შემდეგ დატოვა საქართველოს დედაქალაქი. დამოუკიდებელი სომხეთის მმართველობის ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია ეროვნულმა საბჭომ იტვირთა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ 15 წევრისგან შედგებოდა. ეროვნულ საბჭოში დაშნაკცუთიუნის პარტია დომინირებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში სომხეთის რესპუბლიკა კატასტროფის წინაშე იდგა, ოსმალეთის იმპერიის არმიის შემოტევების შედეგად, ფაქტობრივად, ახლად გამოცხადებული სახელმწიფოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული აღმოჩნდა, მხოლოდ ჩრდილოეთის ოლქებში ათი ათას კვადრატულ კილომეტრზე შეინარჩუნა მთავრობამ კონტროლი. ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციების წარუმატებლად დასრულების შემდეგ სომხეთის რესპუბლიკა სრულ ჩიხში იყო მოქცეული. სომხეთის მთავარი პრობლემა, ოსმალთა იმპერიის შემოტევების გარდა, ლტოლვილთა კრიზისი იყო. ოსმალეთის იმპერიაში ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების დევნის შედეგად ამიერკავკასიაში ნახევარ მილიონზე მეტი ლტოლვილი შემოვიდა, მათგან 350 000 სწორედ სომხეთის რესპუბლიკაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე სომხეთის მდგომარეობა უმძიმესი იყო. პირველ მსოფლიო ომში მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ სომხეთისადმი, როგორც ოტომანთა იმპერიის მიერ ყველაზე მეტად ჩაგრული ერისადმი, დასავლეთის სახელმწიფოებში არმენოფილური მისწრაფებები დომინირებდა, რაც 1918 წ-ის ოქტომბერში მუდროსის ზავის პირობებშიც აისახა. მოკავშირეთა სახელმწიფოები სომხეთს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარანტიებს ჰპირდებოდნენ. 1918 წ-ის ბოლოს სომხეთში მოქმედება დაიწყო ამერიკულმა ხსნის კომიტეტმა, რომელიც სომხეთისა და სომეხი დევნილების სურსათით უზრუნველყოფას ცდილობდა, თუმცა კონსტანტინეპოლის სრუტეებზე და შავ ზღვაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო ეფექტური მომარაგების სისტემის შექმნა ჭიანურდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს დასავლეთის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, ვერაფრით ალაგებდა ურთიერთობებს უშუალო მეზობლებთან. 1918 წ-ის დეკემბერში ახალციხის, ახალქალაქისა და ლორეს მაზრების მოთხოვნით სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას, თუმცა ერთთვიანი ბრძოლების შემდეგ, ფაქტობრივად, მარცხი განიცადა. მხოლოდ ბრიტანელთა ჩარევის შედეგად შეძლო კონტრშეტევაზე გადასული საქართველოს შეიარაღებული ძალების შეჩერება. სომხეთი, 1905 ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების გამო, 1917 წ-დან მუდმივი სამხედრო დაპირისპირების მდგომარეობაში იყო აზერბაიჯანთან. 1918 წ-ის 30 მარტს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ორ სუბიექტს შორის ომი გაჩაღდა. ძირითადი საბძოლო მოქმედებები ნახიჩევანში, ყარაბაღსა და ზანგეზურში მიმდინარეობდა. სომხურ არმიას გენერალი დრო ხელმძღვანელობდა.

1919 წ-ის იანვარში სომხეთში პირველი უმაღლესი სასწავლებელი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა. 1919 წ-ის მაისში რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ჰ. კაჩაზნუნი ასევე დაშნაკმა, თბილისის ყოფილმა მერმა, ალექსანდრე ხატისოვმა ჩაანაცვლა. 1919 წ-ის 21-23 ივნისს სომხეთის რესპუბლიკაში პარლამენტის პირველი საყოველთაო არჩევნები ჩატარდა. 80-მანდატიან საკანონმდებლო ორგანოში 72 ადგილი დაშნაკცუითუნის პარტიამ მოიპოვა. 1919 პა-

რიზში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციაზე სომხეთის რესპუბლიკა დიდი იმედებითა და გეგმებით წარსდგა. სომხურ დელეგაციას პარიზში პარლამენტის თავმჯდომარე, დაშნაკი ავეტის აჰარონიანი ხელმძღვანელობდა. საერთაშორისო არენაზე სომხეთს განსაკუთრებით დიდ მხარდაჭერას უცხადებდა აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო იულსონი.

1920 წ-ის მაისში სომხეთში მთავრობის შემადგენლობა კიდევ ერთხელ შეიცვალა. პრემიერ-მინისტრის პოსტი დაშნაკმა ჰამო ოჰანჯანიანმა დაიკავა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ, საბოლოოდ სომხეთის მოთხოვნებისა და მოლოდინების ნაწილი 1920 წ-ის 10 აგვისტოს სევრის ხელშეკრულებაში აისახა, რომლითაც სომხეთის მომავალი სახელმწიფოს ტერიტორია 160 000-ზე კმ. კვ.-ით განისაზღვრა. თუმცა დასავლეთის სახელმწიფოებმა სომხეთი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური დახმარებით არ უზრუნველყო. 1920 წ-ის სექტემბერში ახალფეხადგმულმა თურქული რესპუბლიკური მოძრაობის შეიარაღებულმა ძალებმა, გენერალ კაიზიმ კარაბექირის მეთაურობით, სომხეთის რესპუბლიკას შეუტია, თურქეთმა უარი თქვა სევრის ხელშეკრულებაზე და სომხეთის რესპუბლიკის დიდი ნაწილი დაიკავა. 1920 წ-ის ნოემბერში შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, სომხეთის მთავრობის მეთაურობიდან გადადგა ოჰანჯანიანი და პრემიერ-მინისტრის პოსტი დაშნაკმა, სიმონ ვრასტიანმა, დაიკავა. 1920 წ-ის 29 ნოემბერს საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის რესპუბლიკას თავს XI წითელი არმია დაესხა, 2 დეკემბერს კი წითელმა არმიამ ერევანი დაიკავა. ახალ საბჭოთა მთავრობაში დაშნაკთა პარტიის წევრებიც შევიდნენ. 1921 წ-ის დასაწყისში სომხური რესპუბლიკური ძალების ანტისაბჭოთა აჯანყების შედეგად ერევანი დროებით განთავისუფლდა საბჭოთა რეჟიმისაგან, თუმცა საქართველოში სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ წითელი არმიის ნაწილებმა სომეხი აჯანყებულები დაამარცხეს.

ლიტ.: R. G. H o v a n n i s i a n, Armenla on The Road to Independence. University of California Press. Lon.,1967; R. G. H o v a n n i s i a n, The Republic of Armenia, Volume I, 1918-1919. University of California Press. Lon., 1971; R. G. H o v a n n i s i a n, The Republic of Armenia, Volume II, 1919-1920. Universlty of California Press. Lon., 1982.

ირაკლი ირემაძე

სომხური პრესა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში საქართველოში 32 სომხური პერიოდული გამოცემა ფუნქციონირებდა. საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის ფორმიდან გამომდინარე, მაქსიმალურად იყო დაცული პრესის თავისუფლება, გამონაკლისს წარმოადგენდა 1918 წ-ის დეკემბერი, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, სომხეთთან ომის პერიოდში დროებით დაიხურა რამდენიმე პროპაგანდისტული გამოცემა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოდიოდა შემდეგი სომხურენოვანი პრესის ორგანოები:

„მშაკ“ (მუშა) - ლიტერატურული და პოლიტიკური ყოველკვირეული გაზეთი, თბილისი, 1872-1921, 4 გვ., რედ.-გამომ. გრ. არწრუნი, 1892-დან რედ. ალე. ქალანთარი, შემდეგ ჰამბ. არაქელიანი; 1913 წ-დან რედ.-გამომ. ჰამბ. არაქელიანი, 1918 წ-დან - ლ. ქალანთარი.

„ჰორიზონ“ (ჰორიზონტი) – „ნორ ჰორიზონი“. ლიტერატურული, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური გაზეთი (დაშნაკცუთიუნის ორგანო), თბილისი, 1909-1918, 4 გვ., რედ.-გამომ. ბ. ნურალიანი, შემდეგ ს. საჰაკიანი; ფაქტობრივად, რედ. იყვნენ - ლ. თუმანიანი, მ. ვალადიანი, ნ. აღბალიანი, ა. ჯამალიანი, ა. შაჰხათუნი, მ. ვარდანიანი, ს. გრუზინიანი (ვრაციანი), ვ. ნავასარდიანი. 1908-1909 წწ-ში ერქვა „გორწ“. 1918 წ-დან გამოიცემოდა „ნორ ჰორიზონის“ სათაურით.

„აშხატავორ“ (მშრომელი) - მუშურ-გლეხური გაზეთი,. თბილისი, 1917-1920, 4 გვ., რედ. ვ. ტერ-გრიგორიანი (ვაჰან ხორენი).

„ნორ აშხატავორ“ (ახალი მშრომელი). მუშური და გლეხური გაზეთი, დაშნაკცუთიუნის საქართველოსა და თბილისის კომიტეტების ორგანო, თბილისი, 1919-1920 წწ., 4 გვ., რედ. ზ. ზორიანი.

„პაიქარ“ (ბრძოლა) - ლიტერატურული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ყოველკვირეული გაზეთი, სოციალ-დემოკრატ. მუშათა პარტიის ამიერკავკასიის ფორმირების ორგანო, თბილისი, 1915-1919 წწ., 4 გვ., რედ.-გამომ. ი ჰ. სარგსიანი.

„ბანვორი კრივ“ (პროლეტარის ბრძოლა) - რუსეთის სოციალ-დემოკრატ. (მუშათა) პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის კომიტეტის ორგანო, თბილისი, 1917-1918 წწ., 4 გვ,. რედ. ს. ხანოიანი, ა. არავიანი.

„გრაკან გეღარვესტაკან ალმანახ“ (მხატვრულ-ლიტერატურული ალმანახი) - თბილისი, 1917, 1919, 48 გვ., დირ. მ. ეფრიკიანი, გ. მკრტჩიანი, ჰ. მაილიანი.

„მიუთიუნ“ (ერთობა) - სრულიად სომეხ მოსწავლეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, მხატვრული და ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი, თბილისი, 1917-1919 წწ., 4 გვ., რედ. გ. აბოვიანი, ს. ელბაკიანი.

„შარჟუმ“ (მოძრაობა) - მოსწავლეთა ბეჭდვითი ორგანო, ახალციხე, 1917 – 1918 წწ., 4 გვ., რედ. ა. ავაგიანი, მ. ზარაფიანი.

„ჰაიასტან“ (სომხეთი) - ყოველდღიური გაზეთი (სარდალ ანდრანიკის ბეჭდვითი ორგანო), თბილისი, 1917-1918 წწ., 4 გვ., რედ. ვ. თოთოვენცი.

„ჰაიკაშენ“ - ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ეროვნული გამოცემა, ჰნჩაკიანთა (ლიბერალური) პარტიის კავკასიის ცენტრალური სამმართველოს ორგანო, თბილისი, 1917 - 1918, 48 გვ., სარედაქციო კოლეგია.

„აშხატანქი დროშაკ“ (პროლეტარის დროშა) - სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ამიერკავკასიის რეგიონისა და თბილისის კომიტეტების ორგანო, თბილისი, 1918-1919, 4 გვ., სარედაქციო კოლეგია.

„ბანვორ“ (მუშა) - რუსეთის სოციალ-დემოკრატ. მუშათა პარტიის (უმრავლესობის) კავკასიის ქვეყნების და თბილისის კომიტეტების ორგანო, თბილისი, 1918, 4 გვ., რედ. ს. კასიანი და სხვ.

„კაინ“ (ნაპერწკალი) - ნახევრად ოფიციალური ორგანო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სომხეთის ჰნჩაკიანთა (ლიბერალური) პარტიის აღმასრულებელი ორგანოს გამოცემა, თბილისი, 1918, 4 გვ., მფლობელი ს. მურადიანი.

„კარმირ დროშაკ“ (წითელი დროშა) - ყოველდღიური გაზეთი, ბოლშევიკური გამოცემა, თბილისი, 1918, 4 გვ., რედ.-გამომ. მკრტიჩ გარდაშიანი.

„კარმირ ორერ“ (წითელი დღეები) - სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, თბილისი, 1918, 4 გვ., რედ.: გ. ვარდანიანი და ვ. ერემიანი.

„კომუნა“ - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (მუშათა) პარტიის თბილისისა და რეგიონალური კომიტეტების ორგანო, არალეგალური გაზეთი, თბილისი, 1918, 4 გვ., გამომ. ჰ. კამარინი.

„ლრაბერ“ (მაცნე) - საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული გამოცემა, ყოველკვირეული გაზეთი, თბილისი, რედ.-გამომ. სიმ. მკრტჩიანი, ტ. ნაზარიანი.

„ნორ კანქ“ (ახალი ცხოვრება) - პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟურნალი (მენშევიკური მიმართულების), სოხუმი, 1918, 4 სარედაქციო კოლეგია.

„ჟოღოვრდი ძაინ“ (ხალხის ხმა) - საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, სომხეთის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, თბილისი, 1918-1919, 4გვ., სარედაქციო კოლეგია.

„ჟოღოვურდ“ (ხალხი) - საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, თბილისი, 1918-1920; 4 გვ.

„ჰრაზდან“ - მხატვრულ-ლიტერატურული კრებული (ერთწლიანი გამოცემა), თბილისი, 1918, 96 გვ., სარედაქციო ჯგუფი.

„არაგანი“ - ამერიკის სომეხ მოსწავლეთა ბიუროს გამოცემა, თბილისი, 1919, 4 გვ.

„ბანვორ“ (მუშა) - ყოველთვიური გამოცემა, თბილისი, 1919, 26 გვ., რედ. ს. ერზნკიანი.

„ბანვორი ძაინ“ (პროლეტარის ხმა) - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სომხური სექციის ორგანო, თბილისი, 1919-1921, 2 გვ., სარედაქციო ჯგუფი.

„ბოღბოჯ“ (კვირტი) - ლიტერატურული, სახელოვნებო ყოველკვირეული გაზეთი, თბილისი, 1919, 20 გვ.

„გორწავორ“ (მშრომელი) - სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის განყოფილების ორგანო, თბილისი, 1919, 4 გვ., სარედაქციო ჯგუფი.

„ვორბი ძაინ“ (ობლის ხმა) - გამოდიოდა ორშაბათობით. მოსკოვის სომხური კომიტეტის ობოლ მოსწავლეთა კავშირის ორგანო, თბილისი, 1919, 4 გვ.

„ზოკი ჭროიგ“ (ზოკის ხმა) - ილუსტრირებული ლიტერატურული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გამოცემა (ზოკურ დიალექტზე), თბილისი, 1919, 8 გვ., რედ.: რ. ზარგარენცი, ჰ. თუმანიანი.

„ლუის“ (სინათლე) - მოსწავლეების ყოველკვირეული გაზეთი. სომეხ რევოლუციონერთა ერთობის (დაშნაკცუთიუნის) მოსწავლეთა კავშირის თბილისის კომიტეტის ორგანო, თბილისი; 1919, 4 გვ., სარედაქციო კოლეგია.

„სოციალ-დემოკრატ“ (სოციალ-დემოკრატი) - მუშური ყოველკვირეული გაზეთი, რსდ(მ) პარტიის ამიერკავკასიის ბიუროს ბეჭდვითი ორგანო, თბილისი, 1919, 4 გვ., სარედაქციო ჯგუფი (არშაკ ზურაბიანი).

„ფაროს“ (შუქურა) - პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟურნალი, სოხუმი, 1919, 4 გვ.

„ჰარაჯი“ - პროლეტარული გაზეთი, თბილისი, სტამბა „როტინიანი“, 1919-1920 წწ., 4 გვ., სარედაქციო კოლეგია.

ქეთევან ოთარაშვილი

„სოციალ-დემოკრატი“ (1917 - 1919, ქუთაისი) - ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. რედაქტორ-გამომცემელი გრ. ურუტაძე. გამომცემელი რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიის ქუთაისის კომიტეტი. იბეჭდებოდა ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში. ბიბლიოთეკებში გამოცემის სერიული კომპლექტები არ მოიპოვება. გაზეთი იბეჭდება 4 გვერდზე. 1917 წ-დან 1919 წ-ის 1 მაისამდე ყოველდღიურად გამოდის, შემდეგ კი - კვირაში ერთხელ. როგორც გამოცემა იუწყება, არსებობის ბოლო წელს მას ძალიან გაუჭირდა ფინანსურად. ამ წლის მე-5 და მე-6 ნომრებში ვრცელდება მიმართვა მკითხველებისადმი, რომელშიც მათ ყოველკვირეულ პერიოდულობაზე გადასვლის შესახებ ამცნობენ და დასახმარებლად საგაზეთო ფონდის დაარსებას სთხოვენ. გაზეთის იდეური მიმართულება სახელდებითაა გაცხადებული. იგი სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჭრილში განიხილავს მიმდინარე მოვლენებსა და პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა საფუძვლიან ანალიზს გვთავაზობს. „სოციალ-დემოკრატის“ გამოცემის დრო რუსეთში რევოლუციურ ბატალიებს ემთხვევა და, შესაბამისად, გაზეთის პუბლიკაციათა დიდი ნაწილი ამ მოვლენის განხილვასა და საქართველოსთვის მისი შედეგების მნიშვნელობაზე საუბარს ეძღვნება. სარედაქციო თვალსაზრისი გაზეთის მეთაური წერილებითაა გამოხატული და რუსეთის რევოლუციის

მიმართ აღფრთოვანებული დამოკიდებულებით გამოირჩევა (მაგ.: 1917, №2-ის მეთაურში ვკითხულობთ: „დღეს დღესასწაულია... დღეს მუშათა კლასი რომანოვთა დინასტიის საფლავზე აშენებს ახალ რუსეთს!"). ამავე მოვლენას ეხმაურება გაზეთის მე-3 ნომერში დასტამბული გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ნიკოლოზ II", რომელშიც პოეტი გმობს ნიკოლოზ II-ის მმართველობას და სიხარულით ეგებება რევოლუციას: („ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა, / ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება/ თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!"). გაზეთში იბეჭდება აგრეთვე ნ. ჩხიკვაძის ლექსები (№40, №51, 1917); „გელას" (ბარნაბ გელაზანია), „ბზვანელი ბიკისა" და „ირას" (ი. ალექსიძე) ფსევდონიმებით დაბეჭდილი პოეტური ნიმუშები (№26, №27, №71, №78, 1918). „სოციალ-დემოკრატი" ხშირად საუბრობს პროფესიული კავშირების მნიშვნელობის შესახებ (მაგალითად, სერ. სულაქველის „პროფეს. კავშირები" (№70, 1917); პროფესიონალურ კავშირების მოქმედება" და „პროფეს. კავშირები" (№72, 1917); „სპარტაკის" ავტორობით „პროფ. კავშირები" (№355, 1918); „პროფესიონალური კავშირების გარშემო" (№71, 1918 და სხვ.), პარტიის საქმიანობაზე, საერთაშორისო ვითარებაზე, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, კოოპერაციულ მოძრაობაზე, განათლებისა და მიწის საკითხებზე, სოფლის საჭიროებებზე, მძიმე სოციალურ პირობებსა და კრიმინოგენულ სიტუაციაზე, პრესის სიახლეებზე და სხვ. ეს თემატიკა შესაბამისი რუბრიკებითაა წარმოდგენილი, რომელთა უმეტესობა მუდმივია, მაგ.: „მუშათა მოძრაობა", „მუშათა ცხოვრება", „უცხოეთში" და „ჩვენში", „დეპეშები", „ახალი ამბები", „უკანასკნელი ცნობები", „პრესის მიმოხილვა", „ანარქიასთან ბრძოლა", „რუსეთის ქრონიკა", „უცხოეთის ქრონიკა" და სხვ. შედარებით მწირია წერილები კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია 1918 წ-ის 414-ე ნომერში „ი. კ."-ს ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „გიორგი ზდანოვიჩის ბიბლიოთეკა", სადაც საუბარია ცნობილი კრიტიკოსის, სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) მიერ ქონების ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებისათვის ანდერძით გადაცემის თაობაზე. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ: ნ. ავალიშვილი, ა. არსენიშვილი, შ. აბდუშელიშვილი, ა. ლანდია, ნ. ნიკრისელი, ლ. უგლავა და სხვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკოლოზ ჭუმბურიძის ღვაწლი, რომელიც „კაჟის" ფსევდონიმით სისტემატურად აქვეყნებდა პოლიტიკური ხასიათის წერილებს. მაგალითად, 1918 წ-ს იგი ეხმაურება ლენინის დაჭრის ფაქტს და ამბობს, რომ ბოლშევიზმმა თავად ჩაუყარა საფუძველი ტერორიზმს და ისეთივე მეთოდებით იბრძვის, როგორც მეფის მთავრობა იბრძოდა. წერილი საინტერესოდ მთავრდება: „თვით ლენინის შესახებ აღსრულდა ჩვენი ბელადის, ნოე ჟორდანიას წინაწარმეტყველება: ლენინი ამ ბრძოლაში, გარდა იდეური დამარცხებისა, თავსაც წააგებსო" („ლენინის დაჭრა", №405, 1918). „კაჟის" წერილებიდან აღსანიშნავია ასევე „საქართველო და რუსეთი" (№414, 1918), „ინგლისი და რუსეთი" (№10, 1919), „ბაქოს პროლეტარიატი და ბოლშევიზმი" (№16, 1919) და სხვ. ბოლშევიზმის კრიტიკას გაზეთმა მიუძღვნა არაერთი საგულისხმო პუბლიკაცია. მათ შორის ხაზგასასმელია ნიკო ავალიშვილის (ფსევდონიმით „ნ") „ბოლშევიზმი სოციალ-დემოკრატიულ ქურქში", რომელშიც ავტორი ბოლშევიკების მოღალატურ, მცდარ პოლიტიკაზე, მარქსიზმსა და ბოლშევიზმზე, როგორც ორ განსხვავებულ, დაშორიშორებულ მოძღვრებაზე საუბრობს. ამავე თემას ეხება შ. აბდუშელიშვილის ვრცელი წერილი „რუსეთის ბოლშევიზმი და მისი შედეგები" და სხვ. გაზეთი ეხმაურება ქართულ ჯარში არსებულ პრობლემებსაც, გახშირებულ დეზერტირობას (მაგ., ალი არსენიშვილის „დეზერტირობის წანააღმდეგ", ალ. გიორგაძის „კულტურული მუშაობა ჯარში"); აქვეყნებს დეზერტირი ჯარისკაცების სიას და მიუთითებს ქართული ჯარის უდიდეს პასუხისმგებლობაზე დამოუკიდებელი, მაგრამ მტრებით გარშემორტყმული საქართველოს დასაცავად. პრობლემების აღმოფხვრის ეფექტურ გზად მას ჯარში პირობების გაუმჯობესება, ჯარისკაცებთან მუდმივი მუშაობა, მათი განათლების დონის ასამაღლებლად გაწეული ძალისხმევა მიაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ გაზეთ „სოციალ-დემოკრატს" თვალთახედვიდან არ გამოჰპარვია ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე არსებული პრობლემები, დამოუკიდებელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხები.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945, თბ.,1947; გაზეთი „სოციალ-დემოკრატი", 1917-1919; ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, გამომც. „უნივერსალი", თბ., 2015.

მანანა შამილიშვილი

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც „მესამე დასის" სახელით იყო ცნობილი 1892 წ-ის 25 დეკემბერს, დაბა ყვირილაში (ზესტაფონი), ი. კაკაბაძის ბინაში, არალეგალურად ჩატარებულ კონფერენციაზე შეიქმნა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ე. ნინოშვილი, ნ. ჟორდანია, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე, ი. კაკაბაძე, ნ. ჩხეიძე, დ. კალანდარიშვილი, ვ. ვაწაძე, ა. წითლიძე, ი. რამიშვილი, დ. კვიცარიძე, რ. კალაძე. 1893 წ-ის თებერვალში თბილისში მესამე დასელთა მეორე კრება იქნა მოწვეული. განიხილეს და დაამტკიცეს ნ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი პროგრამის პროექტი. 1895 წ-დან მესამედასელები თავიანთი იდეების პროპაგანდას ჟურნალ „კვალის" მეშვეობით ეწეოდნენ. ამ პერიოდში ქართული

სოციალ-დემოკრატია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. 1903 წ-დან ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანდა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. მესამედასელები რუსული მარქსიზმის დოგმებს დაემორჩილნენ და ქართულ ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდნენ. ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეას ეროვნული ავტონომიის ფორმით. რსდმპ-ის II ყრილობაზე (1903) ქართველი სოციალ-დემოკრატები (ჟორდანია, თოფურიძე) მენშევიკურ ფრთას მიემხრნენ. 1905 წ-დან ნ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით თბილისში გამოვიდა გაზ. „სოციალ-დემოკრატი“. მისივე ინიციატივით მოიწვიეს კავკასიის ორგანიზაციების პირველი კონფერენცია, რომელზეც შეიქმნა კავკასიის რსდმპ მენშევიკების კავკასიის ბიურო. რსდმპ IV, V და VI ყრილობებზე ქართველი სოციალ-დემოკრატების მრავალრიცხოვანი დელეგაციები აქტიურად მონაწილეობდა და მწვავედ უპირისპიდებოდა ბოლშევიკურ ფრაქციას. 1906 წ-ის სექტემბერში რსდმპ ამიერკავკასიის მენშევიკებისა და ბოლშევიკების გაერთიანებულ საოლქო კომიტეტში უმრავლესობა მენშევიკებმა მოიპოვეს. ამ დროიდან ბოლშევიკები კარგავენ გავლენას საქართველოში და პოლიტიკურ სადავეებს ქართული მენშევიკური სოციალ-დემოკრატია ეუფლება. რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ: ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, ის. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი... რუსეთის ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი სდ-ები ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარეები ზედიზედ იყვნენ ნ. ჟორდანია - I სათათბიროში, ი. წერეთელი - II სათათბიროში და ნ. ჩხეიძე - III-IV სათათბიროებში. პირველი მსოფლიო ომის წინა და მისი მიმდინარეობის წლებში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ შეცვალა ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულება. მასზე გავლენა მოახდინა აშშ-ის პრეზიდენტის, ვ. უილსონის, 1916 წ-ის 21 დეკემბრის ცნობილმა დეკლარაციამ. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის სასარგებლოდ სააგიტაციო საქმიანობის დაწყებას პრინციპულად მოითხოვდა ნ. რამიშვილი. ეს საკითხი სოციალ-დემოკრატების 1916 წ-ის დეკემბრის თბილისის საგანგებო თათბირის მსჯელობის საგანი გახდა. იგივე საკითხი ლანჩხუთში, სოფ. ჯონჯუათში გამართულმა სოციალ-დემოკრატების კონფერენციამ განიხილა. სდ-ები შეუთანხმდნენ სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს, რომ ხელსაყრელ ვითარებაში მხარს დაუჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

1917 წ-ის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები რუსეთის, ამიერკავკასიისა და საქართველოს პოლიტიკური მოვლენების სათავეში იდგნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს (ნ. ჩხეიძე), ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს (ნ. ჟორდანია), ამიერკავკასიის კომისარიატს (ე. გეგეჭკორი), ამიერკავკასიის სეიმს (ნ. ჩხეიძე), ამიერკავკასიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკას (ა. ჩხენკელი), საქართველოს ეროვნულ საბჭოს (ნ. ჟორდანია), საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას (ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918. 26 მაისი), 1918 წ-ის 19 ნოემბერს შედგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება: „დღეიდან ჩვენი პარტია იწოდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიად“ (იხ. VIII ყრილობა). დამფუძნებელი ყრილობა საქ. სდ-ის პირველ ყრილობად ჩაითვალა. საქ. სდპ-ამ 1919 წ-ის თებერვალში დამფუძნებელი კრების არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და ერთპარტიული მთავრობა შეადგინა. 1920 სდ პარტიას გამოეყო „ახალი სხივის“ ჯგუფი (კ. ნინიძე, მ. ხოჭოლავა, ნ. იმნაიშვილი, ი. ფირცხალაიშვილი).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქ. სდპ-ის ერთი ნაწილი საქართველოში დარჩა, არალეგალური ბრძოლა გააგრძელა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას ჩაუდგა სათავეში, ხოლო მეორე ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიი, ორგანიზაციების, დასავლეთის სახელმწიფოების დახმარებით იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. საქ. სდპ ხელმძღვანელობდა 1924 წ-ის აჯანყებას და წამყვანი ადგილი ეკავა პარიტეტულ კომიტეტში. 1925 წ-ის აპრილში არალეგალურად ჩატარდა სდპ-ის III კონფერენცია. 1934 წ-ის 21 აპრილს პარიზში მუშაობა დაიწყო საქ. სდ საზღვარგარეთული ორგანიზაციების კონფერენციამ. 1986 წ-ის 18 მაისს პარიზში, წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის დარბაზში ჩატარდა სსდპ-ის IX ყრილობა. მან დაამტკიცა ახალი ვითარების შესაბამისი პარტიის პროგრამა და წესდება, განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობის საკითხი. საჭიროდ იქნა მიჩნეული პარტიის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ლიტ.: ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატია (1892-1918), თბ., 1999; შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001. სცსა ჰარვარდის ფონდი.

შოთა ვადაჭკორია

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა - დამოუკიდებელი საქა-

რთველოს მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან, რსდმ პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ეროვნული სახელმწიფოს მართვა კურიოზულ ფაქტად რჩებოდა. აუცილებლობა პარტიის სახელწოდების შეცვლას მოითხოვდა. ეს საკითხი რსდმ პარტიის ამიერკავკასიის მერვე საოლქო ყრილობის (1918 წ-ის 11 ნოემბერი) საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. ყრილობა შესავალი სიტყვით ს. ჯიბლაძემ გახსნა. ყრილობას გადამწყვეტი ხმით 85, ხოლო სათათბიროთი 4 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობამ თავმჯდომარედ ნ. ჩხეიძე აირჩია, მოადგილეებად დ. ონიაშვილი და ალ. ლომთათიძე. პირველსავე სხდომაზე პრინციპულად დაისვა საკითხი ყრილობის ქართულ ენაზე მუშაობის შესახებ. რაც შეეხება არაქართველ დელეგატებს, მათთვის რუსულად თარგმნილი მომხსენებელთა თეზისები უნდა დაერიგებიათ უკვე მოქმედებდა ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 1 ოქტომბრის კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ეს ფაქტი, ქართველი სოციალ-დემოკრატიის მესვეურებს, პოლიტიკური მსოფლმხედველობის გადასინჯვასთან ერთად, მათი საქმიანობის ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებისადმი დაქვემდებარებას ავალებდა. ამ დიდი პასუხისმგებლობით იყო დატვირთული ნ. ჟორდანიას ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება. მან იმ ძირითადი მიზეზებზეც გაამახვილა ყურადღება, რამაც ყრილობის მოწვევა და პარტიის სახელწოდების შეცვლის აუცილებლობა მოითხოვა. მანვე დააყენა საკითხი პარტიის მმართველი ბირთვის მიერ წარსულში შემუშავებული დებულებების გადახედვის და დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებისადმი მორგების აუცილებლობის შესახებ. ნ. ჟორდანიასეული ეს პათოსი იმავე ყრილობის დელეგატის, ფირუმოვისადმი, მიუღებელი აღმოჩნდა. მან ნ. ჟორდანია ნაციონალიზმში დაადანაშაულა და მისი პოზიციის უარყოფისკენ მოუწოდა. საპასუხო სიტყვაში ნ. ჟორდანიამ დადებითად შეაფასა ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური კურსი და ოპონენტების მისამართით განაცხადა: „დემოკრატიული წყობილების აშენების დროს ჩვენ გვიხდება მოქმედება ნაციონალურ ფარგლებში... ჩვენ არ გვსურს, ვიყოთ ბრიყვი კოსმოპოლიტები... თუ რაიმეს გაკეთება შეუძლებელი ხდება ფართე მასშტაბით, მაშინ ის გაკეთებული უნდა იქნას ვიწრო ფარგლებში“. ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჟორდანიასეულ ფორმულირებებზე იყო დაფუძნებული. ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობის პოზიციით იყო განხილული აგრარული საკითხი (მომხსენებელი ნ. ხომერიკი); ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების პრობლემები (კ. კანდელაკი); გ. ერაძის, რ. არსენიძის და სხვ. ყრილობის 18 ნოემბრის სხდომაზე ნ. ჩხეიძემ საბოლოო სიტყვაში ეროვნული ნიშნით სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამ ნაწილად გაყოფაზე გაამახვილა ყურადღება და გამოთქვა იმედი, რომ ამიერკავკასიის განცალკევებული რესპუბლიკების სოციალ-დემოკრატიული პარტიები ერთმანეთთან თანამშრომლობას გააგრძელებდნენ.

რამდენადაც აღნიშნული ყრილობის მსჯელობის ობიექტი საქართველოს რესპუბლიკა იყო, ხოლო დელეგატთა 99 %-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენდნენ, პარტიის მიმართ - „რსდმ პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის“ და ყრილობის სახელწოდება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობად უნდა ჩათვლილიყო და პარტიულ ორგანიზაციასაც სახელწოდება უნდა შეცვლოდა. ამიერკავკასიის VIII საოლქო ყრილობის დამთავრების მეორე დღესვე, 1918 წ-ის 19 ნოემბერს, გაიხსნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. მას დაესწრო 76 დელეგატი. ყრილობამ თავმჯდომარედ ნ. ჩხეიძე აირჩია, მოადგილეებად ალ. ლომთათიძე და დ. ონიაშვილი; საპატიო თავმჯდომარეებად: ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, ს. ჯიბლაძე და ნ. რამიშვილი. ყრილობამ პარტიის სახელწოდების საკითხი განიხილა და დაადგინა: „1. დღეიდან ჩვენი პარტია იწოდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად; 2. რსდმ პარტიის ამიერკავკასიის მერვე საოლქო ყრილობის რეზოლუციები მიღებულია სავალდებულოდ და სახელმძღვანელოდ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობისათვის”. აირჩიეს დამფუძნებელი კრებისთვის კანდიდატების დამსახელებელი კომისია 25 კაცის შემადგენლობით. ყრილობამ აირჩია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი ნ. ჟორდანიას, ნ. ჩხეიძის, ირ. წერეთლის, რ. არსენიძის, ს. ჯიბლაძის, ნ. რამიშვილის, ნ. ხომერიკის, ალ. ლომთათიძის, ვ. ჯუღელის, აპ. სულაქველიძის, ე. გეგეჭკორის, ვ. ჯიბლაძის, ა. ფარნიევის, მ. სკობელევის, ერზინკიანის, მიკირტუმოვის და ვარდანიანის შემადგენლობით. კანდიდატებად აირჩიეს: მ. ხოჭოლავა, დ. ონიაშვილი, კ. გვარჯალაძე, ი. ბადრიძე, გ. ცინცაბაძე, გ. მახარაძე და ს. თევზაძე. საკონტროლო კომისიაში აირჩიეს: ის. რამიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ივ. ლაბაძე, ზ. გურული, ნ. ჭუმბურიძე, რ. ჩიხლაძე, ი. სალაყაია, გრ. კოპლატაძე, ლ. კიღურაძე, ვ. ნოდია, კ. ნინიძე. კანდიდატებად: ა. ჭიაბრიშვილი, ვ. მგელაძე, ს. მაისურაძე, გ. ბახტაძე. ყრილობას მეექვსე საოლქო ყრილობაზე (1917 წ-ის 10-17 ივნისი) მიღებული პარტიის პროგრამასა და წესდებაში ცვლილებები არ შეუტანია, რაც თითქმის იმას მიანიშნებდა, რომ ამიერკავკასიის საოლქო ორგანიზაციასა და საქართველოს სდმპ-ს შორის განსხვავება არ არსებობდა, რაც ყრილობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, იხ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I, თბ., 2003.

შოთა ვადაჭკორია

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა – საქართველოს მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა მიმდინარეობდა 1920 წ-ის ივნისში. იგი ცენტრალური კომიტეტის სახელით ნ. ჟორდანიამ გახსნა. ყრილობას გადამწყვეტი ხმით 149, ხოლო სათათბიროთი 11 დელეგატი ესწრებოდა. თავმჯდომარედ ა. ლომთათიძე იქნა არჩეული, მოადგილეებად ს. დევდარიანი და ბ. თევზაია, მდივნებად გრ. ურატაძე, ვ. ხუნდაძე და გ. ბახტაძე; საპატიო თავმჯდომარეებად: კ. კაუცკი და პ. აქსელროდი. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ: ნ. ჟორდანია (თავმჯდომარე), ს. ჯიბლაძე, ი. წერეთელი, ნ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი და სხვ. ყრილობამ დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 საკითხი განიხილა. ყრილობაზე მოხსენებით გამოსულმა ნ.ჟორდანიამ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგ ორ - შინაურსა და გარეშე ძალებზე გაამახვილა ყურდღება. შინაურ მტრებში მან ქართველი ბოლშევიკები, რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრები, ესერები, დენიკინელები და ოსი სეპარატისტები დაასახელა. რაც შეეხება გარეშე მტრებს, მისი მტკიცებით, ბოლშევიკური რუსეთი, მოხალისეთა არმიის წარმომადგენლები, სომეხი ნაციონალისტები და სხვები იყვნენ. მათი აგენტები საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდნენ ოსმალეთში, ევროპაში და სახელს უტეხდნენ საქართველოს მთავრობას. ანტიქართული ძალები მაშინ აძლიერებდნენ საქმიანობას, როცა დღის წესრიგში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა. ოსმალეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედების დროს, ქართველი ბოლშევიკების მიერ ლეჩხუმის, გორის, ზუგდიდის, სენაკის, დუშეთისა და საჩხერის მაზრებში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოწყობილი გლეხთა აჯანყებები ამის დადასტურება იყო, რადგან ისინი საბჭოთა რუსეთის დაფინანსებით განხორციელდნენ. ყრილობის მიერ განხილული საკითხებიდან შეიძლება აღვნიშნოთ: კონსტიტუციის ძირითად პრინციპები (რ. არსენიძის მოხსენება); ადგილობრივი თვითმმართველობა; ქვეყნის უსაფრთხოება; ეროვნული ჯარისა და სახალხო გვარდიის რეორგანიზაცია; დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ოჯახების დახმარება, აგრარული რეფორმა (ნ. ხომერიკის მოხსენება); საშუალო და დაბალი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლების შექმნა; ეროვნული მეურნეობის და ეკონომიკის აღორძინება; დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლები და სხვ. ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საკითხსაც დაუთმო. მათი უფლებების შემუშავებისას ისეთი ფორმის გამოძებნის საკითხი დააყენა, რომელიც საქართველოს სინამდვილის შესატყვისი იქნებოდა და მათ მოთხოვნებს კანონიერების ფარგლებში დააკმაყოფილებდა. ასეთ ფორმად კულტურული ავტონომია იქნა მიჩნეული. საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა საკითხის გადაწყვეტას ყრილობის მონაწილენი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სრული დაცვით ცდილობდნენ. ყრილობამ აირჩია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი: ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, ნ. ჩხეიძე, ვ. ჯუღელი, ს. დევდარიანი, აკ. ჩხენკელი, ვ. ჯიბლაძე, ს. ჯიბლაძე, ალ. ლომთათიძე, ა. სალუქვაძე, ბ. თევზაია, დ. ონიაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ხოჭოლავა, ი. სალაყაია, ბ. მიკირტუმოვი, ვ. წულაძე, ნ. ხომერიკი, პ. მაჭარაძე, მეიფარიანი, რ. არსენიძე, ი. ბადრიძე, გ. ცინცაბაძე, ე. გეგეჭკორი და ალ. დგებუაძე.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა ეროვნული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ, იხ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი I, თბ.,. 2003.

შოთა ვადაჭკორია

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერები) – საქართველოში ესერთა მცირერიცხოვანი წრეები 1901 წ-დან არსებობდა. ისინი შედიოდნენ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შემადგენლობაში. 1905 წ-დან ესერთა თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ბაქოს კომიტეტები გაერთიანდა რუსეთის ესერთა პარტიის კავკასიის კავშირში. ესერები არ გამოირჩეოდნენ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში მნიშვნელოვანი გავლენით. ესერთა ადგილობრივ მცირერიცხოვან ორგანიზაციებში ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების რევოლუციონერები შედიოდნენ, განსაკუთრებით რუსები.

1917 წ-ის მანძილზე ადგილობრივი ესერები განაგრძობდნენ რუსეთი ესერთა პარტიაში მუშაობას, მაგრამ ქართველ ესერთა შორის ძლიერდებოდა ნაციონალური განწყობა. 1918 წ-ის მაისში ესერთა პარტიის კავკასიის ორგანიზაციების მეშვიდე კონფერენციაზე მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც ქართველი ესერები გამოეყვნენ რუსულ პარტიას. 1918 წ-ის ივნისში ქუთაისში ჩატარდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა და მოხდა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების ნაციონალიზაცია. იმავე წლის 10-15 დეკემბერს შეიკრიბა ქართველ ესერთა პარტიის მეორე ყრილობა. მასზე პროგრამა და წესდება გადაისინჯა და ისინი ახალი ვარიანტის სახით დამოუკიდებელი საქართველოს რეალობასთან შეჯერდნენ. პარტიის ქვაკუთხედად აგრარულ სფეროში რჩებოდა მიწების სოციალიზაცია. ესერებს მიაჩნდათ, რომ რუსული ბოლშევიზმი იყო სო-

ციალიზმი უდემოკრატიოდ, ხოლო ქართული მენშევიზმი - დემოკრატია უსოციალიზმოდ. ესერები უარყოფდნენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების სტრატეგიულ პოლიტიკას - ჯერ ბურჟუაზიული სისტემის განმტკიცებას და ამის შემდეგ სოციალიზმის მშენებლობას. ისინი პირდაპირ სოციალისტური სისტემის რეალიზაციის მომხრენი იყვნენ და ხშირად მემარცხენე პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ მთავრობას. მეორე ყრილობამ ესერთა პარტიის თავმჯდომარედ და ესერთა მთავარი პარტიული ორგანოს, გაზ. „შრომის“ რედაქტორად აირჩია ლეო შენგელაია. მისი მოადგილე იყო ივანე გობეჩია. საქართველოს ეროვნულ საბჭოში, შემდგომ - პარლამენტში შედიოდნენ ესერები: კ. მესხი, გრ. ნათაძე, ვლ. გობეჩია, ი. ჩერქეზიშვილი, ი. გობეჩია, ი. აბაკელია, კ. ჯავრიშვილი, ლ. შენგელაია, ნ. პანჩუაშვილი, ი. კაკაბაძე, ი. ვარაზაშვილი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაში ესერები წარმოდგენილი იყვნენ გზათა მინისტრის, ივანე ლორთქიფანიძის, სახით, თუმცა, მისით კმაყოფილი არ იყვნენ. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ესერთა პარტიის ხუთი წევრი მოხვდა: ლ. შენგელაია, ივანე და იოსებ გობეჩიები, ილია ნუცუბიძე და გრიგოლ ნათაძე.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის პირველ ხანებში ესერების პარტია ორად - მემარცხენე და მემარჯვენე ნაწილებად გაიყო. მემარცხენეებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არჩიეს. თავდაპირველად მათ ბოლშევიკურ ხელისუფლებას ბრალი დასდეს ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების უგულებელყოფაში, გაილაშქრეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ და ა. შ. აქტივობა მცირე ხანს გაგრძელდა. 1921 წ-ის ბოლოს ქართველი ესერების პარტიამ არსებობა შეწყვიტა. თვით საქართველოს საგანგებო კომისიას (ჩეკას) 1922-1923 წწ-ში ესერთა აქტივობის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ გააჩნდა.

ლიტ.: დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, თბ., 1993; რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) - პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური პარტია საქართველოში. ჯერ კიდევ 1895 ჩაისახა „ახალგაზრდა ივერიელების“ ეროვნულ-რადიკალური ჯგუფი. 1901 ყოფილმა „ახალგაზრდა ივერიელებმა“ შექმნეს პარტიის საინიციატივო ჯგუფი - მთავარი კომიტეტი, რომელმაც 1903 პარიზში გამოსცა გაზეთი „საქართველო“. 1904 საბოლოოდ გაფორმდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (ჟენევის კონფერენციაზე). მან წამოაყენა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით. პარტიის დამაარსებლები და ლიდერები იყვნენ: გ. ლასხიშვილი, ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, კ. აბაშიძე, გ. ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ს. ფირცხალავა, გრ. რცხილაძე და სხვ. ეროვნულთან ერთად პარტია იყო სოციალისტური ხასიათის და იდგა დემოკრატიული სოციალიზმის პოზიციაზე.

სოც-ფედ. პარტია, სიძლიერით მეორე პოლიტიკური ძალა, აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. მის შემადგენლობაში ქართული ინტელიგენციის არაერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი შედიოდა. 1917 წ-ის მაისში ჩატარდა პარტიის კონფერენცია, რომელსაც რევოლუციის გამარჯვების აღსანიშნავად პირველი უწოდეს და კონფერენციების ათვლა თავიდან დაიწყეს (მანამდე პარტიას სამი კონფერენცია ჰქონდა ჩატარებული). კონფერენციამ თავმჯდომარედ აირჩია გიორგი ლასხიშვილი (საპატიო თავმჯდომარეებად გ. ზდანოვიჩი-მაიაშვილი და კ. აბაშიძე). კონფერენცია მიესალმა დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას და მიზნად დაისახა რევოლუციის გაღრმავება; ეროვნული ძალების გაერთიანება; აგრარული საკითხის გადაჭრა მიწების სოციალიზაციის გზით; ავტონომიური საქართველო დემოკრატიული ფედერაციული რუსეთის ფარგლებში; აფხაზეთისა და ოსეთის ფართო თვითმმართველობა საქართველოში და ა. შ. დამოუკიდებლობის წლებში უკანასკნელი - მეხუთე კონფერენცია 1921 წ-ის 9-14 იანვარს გაიმართა. სოც-ფედ. შედიოდნენ ჯერ ინტერპარტიულ და შემდგომში საქართველოს ეროვნულ საბჭოში (გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ს. მდივანი, ა. წერეთელი), ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის შემადგენლობაში. პარტიის ორი წარმომადგენელი შედიოდა საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაში: გ. ლასხიშვილი - განათლების და შ. ალექსი-მესხიშვილი იუსტიციის მინისტრები. დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ საბჭოში, შემდგომ - პარლამენტში შედიოდნენ პარტიის წარმომადგენლები: გრ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ს. ფირცხალავა ს. მდივანი, ი. ბაქრაძე, ალ. წერეთელი, დ. უზნაძე, ს. დადიანი, ი. გედევანიშვილი, თ. ღლონტი, შ. მიქელაძე, შ. ნუცუბიძე, ა. ჯაჯანაშვილი, ა. ტოროტაძე, ა. ფაღავა, ს. ყაუხჩიშვილი. დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოც-ფედ. პარტიამ 33 754 ამომრჩევლის ხმა მიიღო და (მეორე მაჩვენებელი სოციალ-დემოკრატების შემდეგ) კრებაში რვა დეპუტატი გაიყვანა: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, თ. ღლონტი. მოგვიანებით ამ შემადგენლობას დამატებითი არჩევნების შედეგად

შეუერთდა ს. დადიანი. მთელი არსებობის მანძილზე პარტიაში მნიშვნელოვანი იყო მემარცხენე და ანარქისტული ჯგუფების გავლენა. 1919 წ-ის დასაწყისში სოც-ფედ. პარტიას გამოეყო ანარქო-სინდიკალისტების ჯგუფი (იხ. სტ: სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი).საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციას სოც-ფედ. პარტია, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაყოფილი შეხვდა. პარტიას გამოეყო მემარცხენე ნაწილი, რომელსაც მემარცხენე სოც-ფედ. პარტია ეწოდა. 1921 წ-ის 27 თებერვალს შედგა მემარცხენეების დროებითი მთავარი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ შალვა ნუცუბიძე აირჩიეს, მოადგილედ - თედო ღლონტი. იმავე დღეს გამოვიდა პარტიის ორგანო - გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“. 28 მარტს გაიმართა ორივე ფრთის გაერთიანებული კრება, რომელმაც მიიღო მემარცხენეების მიერ შემუშავებული რეზოლუცია. იგი მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსს. 1921 წ-ის 30 ოქტომბერს შედგა ყრილობა, რომელზეც საბოლოოდ გაფორმდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნა. მთავარ კომიტეტში შედიოდნენ: ი. ფანცხავა, თ. ღლონტი, ს. ხუნდაძე, ს. ამაღლობელი და სხვ. სოც-ფედ. პარტიის დაჟინებული მოთხოვნით, 1922 წ-ის თებერვალში საბჭოების პირველ ყრილობაზე მიღებული საბჭოთა კონსტიტუციით (სიმონ ხუნდაძის წინადადებით), დაკანონდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი, რომელსაც შემდგომში მიღებული ყველა საბჭოთა კონსტიტუცია იმეორებდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოც-ფედ. პარტია მტკიცედ იდგა დამოუკიდებელი საქართველოს შენარჩუნების პოზიციაზე და იცავდა ეროვნულ ღირებულებებს. მათი წარმოდგენით დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველო უნდა გაერთიანებულიყო მსოფლიო ფედერაციაში სხვა ქვეყნებთან ერთად. ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება და მისი მარიონეტული ქართველი ბოლშევიკების ხელისუფლება დიდხანს ვერ შეურიგდებოდა ეროვნული პარტიის დამოუკიდებელ არსებობას. 1923 წ-ის 7 ნოემბერს პარტიის მეორე ყრილობაზე სოც-ფედ. პარტიამ, რა თქმა უნდა, ბოლშევიკური ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო, რაც თვითლიკვიდაციას ნიშნავდა. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998. დ. შველიძე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (1903-1917), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

სოციალისტ-ფედერალისტთა (სინდიკალისტ-მაშვრალთა) კავშირი – 1919 წ-ის 3 იანვარს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას გამოეყო ანარქისტულად განწყობილი ჯგუფი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა სცადა. იმავე წლის აპრილში ჩატარდა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია. ახალდაფუძნებულ პარტიას ეწოდა „საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი“. სინდიკალისტების ლიდერები იყვნენ: ალექსანდრე წერეთელი, ძმები ისიდორე (მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე) და ვასილ ვარაზაშვილები, სერგო გერსამია, გენო ქელბაქიანი, კოკი ჟორდანია, გრიგოლ ლაღიძე და სხვ. ორგანიზაციის დაარსებაში ენერგიულად მონაწილეობდა ვ. ჩერქეზიშვილი. სინდიკალისტები სცემდნენ გაზ. „ახალ ნაკადს“. სხვადასხვა მიზეზების გამო გაზეთის გამოცემა ფერხდებოდა ხოლმე. 1919 წ-ის სექტემბერში სინდიკალისტების ერთი ნაწილი დაბრუნდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში, მაგრამ სინდიკალისტ-მაშვრალების ორგანიზაციამ განაგრძო ფუნქციონირება. „კავშირის“ გავლენა ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო.

ორგანიზაციამ არსებობა განაგრძო საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგაც. 1921 წ-ის 27 მარტს შედგა „სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის“ კრება, რომელმაც მიიღო ორგანიზაციის წესდება. 1921 წ-ის 4 აპრილს გამოვიდა ახალი გაზეთი „მაშვრალთა ხმა“. ორგანიზაციის მიზანი იყო „ხალხის ეკონომიკური მონობიდან განთავისუფლება“, რაც უნდა მომხდარიყო მუშათა დამოუკიდებელი თვითმოქმედი სინდიკატების შექმნისა და სახელმწიფოს გაუქმების გზით. „კავშირი“ მტკიცედ იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების პოზიციაზე. 1921 წ-ის გაზ. „მაშვრალთა ხმის“ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ნომერში მოწოდება იყო გამოქვეყნებული: „არ დავივიწყოთ 26 მაისი“. „მაშვრალთა“ წარმოდგენით, მუშები და, საზოგადოდ, მშრომელები უნდა გაერთიანებულიყვნენ სინდიკატებში (პროფკავშირებში) და სინდიკატების ეროვნულ ფედერაციაში, ხოლო სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ფედერაციები გაერთიანდებოდნენ საერთაშორისო ერთობაში - შრომის მსოფლიო კონფედერაციაში. სინდიკალისტები უარყოფდნენ მარქსისტულ-ბოლშევიკურ სოციალიზმს და აღიარებდნენ თავისუფალ სოციალიზმს. 1921 წ-ის შემოდგომიდან წყდება ინფორმაციები „სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის“ არსებობის შესახებ.

ლიტ.: დ. შველიძე, ანარქო-სინდიკალიზმის ისტორიიდან საქართველოში, კრებულში: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს“, ზურაბ პაპასქირი - 60, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბ., 2010-2013.

დიმიტრი შველიძე

„სოციალისტ-ფედერალისტი“ (19181921) - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარე-

ვოლუციო პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში. მისი რედაქტორი იყო თ. ღლონტი, გამომცემელი - დროებითი მთავარი კომიტეტი. იბეჭდებოდა სტამბაში „სახალხო საქმე". გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1918 წ-ის 2 ივლისს. სულ გამოიცა 158 ნომერი. ზოგიერთი ნომერი ოთხგვერდიანია, ზოგიერთი კი - ორგვერდიანი. გაზეთის წამყვანი ავტორები იყვნენ: თ. ღლონტი, პ. მირიანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, სიმ. ხუნდაძე, პ. ჭანიშვილი, ს. ასლანიშვილი, პ. მირიანაშვილი, სერ. ამაღლობელი, მ. ღვამიჩავა, უჯავრელი (იოსებ გრიშაშვილი), მებრძოლი (გრიგოლ როგავა) და სხვ. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან ქვეყნისათვის მიწის საკითხი ერთ-ერთი აქტუალური იყო. სოფლის მეურნეობის თემას გაზეთის არაერთი პუბლიკაცია ეძღვნება. გამოცემა დიდ ადგილს უთმობს გლეხობისათვის აქტუალურ პრობლემებს, იცავს მათ ინტერესებს, აშუქებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სოფლად მიმდინარე პროცესებს, იმდროინდელ კრიზისულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ თემებს შეეხება პუბლიკაციები: „სეტყვა კახეთში", „გორის მაზრაში", „ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა" და სხვ. 1921 წ-ს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, პოლიტიკურ პარტიათა თუ დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანოები აღარ გამოიცემოდა. გამონაკლისი იყო გაზეთები: „სოციალისტ-ფედერალისტი" და „ტრიბუნა", რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს საკმაოდ კრიტიკული პუბლიკაციებით ეხმაურებოდა. 1921 წ-ის 17 მარტის ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, რომ საქართველო უნდა დარჩეს სრულიად დამოუკიდებელი და ქართველი ერი სუვერენული. ჩვენი ახალი მთავრობა საქართველოსა და რუსეთს შორის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას უნდა დაეყრდნოს და ამ ფარგლებში ახლავე შემოხაზოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორია". 1921 წ-ის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია პ. მ.-ს (მირიანაშვილი) სტატია „მოსკოვის კონფერენცია და საქართველო". ამავე ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ავტორი მსჯელობს სადავო ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალსა და საქართველოსათვის მათ მნიშვნელობაზე: „ართვინი მასაზრდოებელია აჭარა-ქობულეთისა, მისი ბუნებრივი სიმდიდრე საარაკოა, მისი სპილენძის მადნებს საქართველოს მშრომელი მასისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბაქოს ნავთს აზერბაიჯანისათვის". მსგავსი წერილები მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას და ნიადაგს ამზადებდა, რათა ყარსის კონფერენციაზე არ მომხდარიყო მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულების რატიფიკაცია. გაზეთს აქვს რუბრიკები: „მიწის საკითხი", „უცხოეთის ამბები", "სხვადასხვა", „რუსეთი", "ახალი ამბავი" და სხვ. გაზეთის ცალკეულ ნომრებში იბეჭდება ლექსები, მცირე რაოდენობით განცხადებები და რეკლამები.

ლიტ.: გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1918-1921; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

სოჭის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პოლიტიკაში - საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან დენიკინის თეთრი გვარდიის და ბოლშევიკური წითელი არმიის დაპირისპირების პირობებში, რაც საქართველოს ტერიტორიას საფრთხეს უქმნიდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო აფხაზეთიდან შავი ზღვის გუბერნიის, სოჭის ოლქში შეჭრის გადაწყვეტილება. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ შეტევის გაგრძელების საბაბი გახდა 1918 წ-ის 24 ივნისს სოჭის ოლქის ადმინისტრაციისგან შემოსული თხოვნა, დახმარებოდნენ მათ ბოლშევიკების განდევნაში და დროებით ოლქი მიეერთებინათ საქართველოსთვის. 1918 წ-ის 24 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება „სოჭისა და ტუაფსეს რაიონების ოკრუგების დაკავების აუცილებლობის შესახებ". 1918 წ-ის ივლისში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით, გაათავისუფლეს ბოლშევიკების მიერ დაკავებული სოჭი და ტუაფსე. 1918 წ-ის 20-21 სექტემბერს სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების სურვილი დაადასტურეს ქ. სოჭის მოქალაქეთა საზოგადო კრებამ და სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭომ. ქართულ საზოგადოებაში არ იყო ერთსულოვნება შავი ზღვის გუბერნიის ხარჯზე ტერიტორიული გაფართოების საკითხში. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი საქართველოსთვის სოჭის ოლქის მიერთებას ზედმეტ პრობლემად მიიჩნევდნენ, თუმცა ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა, შინაგან საქმეთა მინისტრ რამიშვილის ჩათვლით, ემხრობოდა სოჭის და ტუაფსეს ოლქების დაკავების აუცილებლობას.

1918 წ-ის დეკემბერში ბრიტანეთის მისიამ სოჭის ოლქის სრული დემილიტარიზაცია მოითხოვა, ქართული სამოქალაქო ადმინისტრაციის შენარჩუნებით, ვიდრე მის საბოლოო სტატუსს არ განიხილავდა პარიზის კონფერენცია. 1919 წ-ის 7 თებერვალს ბრიტანეთის სარდლობის თანხმობით დენიკინის არმიამ სოჭი დაიკავა. სდრ საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა, საგანგებო ნოტით მიმართა ბრიტანეთის მისიას და სოჭის რაიონის ნეიტრალურ ზონად გამოცხადება, იქ ბრიტანული არმიის ჩაყენება მოითხოვა. 15 თებერვალს საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა 24-27 წლის ახალგაზრდების მობილიზაცია. 1919 წ-ის 16 აპრილს ქართულმა არმიამ გენერალ იოსებ გედევანიშვილის (გედევანოვის) მეთაურობით და ვლადიმერ ჯუღელის მეთაურობით

სახალხო გვარდიამ დაიკავა გაგრა. ქართულმა ჯარმა გაანადგურა მოხალისეთა არმიის სუსტი კონტინგენტი და გავიდა მდინარე მზიმთაზე. თუმცა დიდი ბრიტანეთის ზეწოლით საქართველოს მთავრობამ ჯარი მდინარე მეხადირზე დასწია და ამით დაკავებული ტერიტორიის ნახევარზე მეტზე უარი თქვა. ბრიტანეთის მისიამ შეასრულა შუამავლის როლი. 1919 წ-ის 11 ივნისს, ანტანტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დენიკინისა და საქართველოს მხარეების შეთანხმებით, მდინარე ბზიფის მარცხენა მხარეს შეიქმნა სადემარკაციო ხაზი, რომელიც მიჯნავდა ორ მხარეს - საქართველოს და დენიკინის მოხალისეთა არმიას. საბოლოოდ, დენიკინის არმიის განადგურების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა სოჭი დაიკავა, ხოლო გაგრის რაიონი საქართველოს ტერიტორიად აღიარა.

ბონდო კუპატაძე

სოხუმის თეატრი - სოხუმში ქართული წარმოდგენები 1889 წ-დან სცენის მოყვარეთა ძალებით იმართებოდა, 1911 წ-დან ნახევრად პროფესიული თეატრი გახდა, 1928 წ-დან პროფესიული. 1911 წ-დან „დრამატული ხელოვნების მოყვარეთა წრის“ სახელწოდებით ჩამოყალიბდა დასი, რომელსაც შალვა დადიანი ხელმძღვანელობდა. დასში შედიოდნენ: ელო ანდრონიკაშვილი, ვასო აგულიშვილი, მოგვიანებით ეველინა წუწუნავა და დავით კობახიძე. დასი თანამშრომლობდა ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდთან. დასის მუშაობას ეხმარებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილება და მისი გამგეობა. გამგეობის ხელმძღვანელი იყო მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძისა. შ. დადიანის წასვლის შემდეგ დასი დაიშალა, შეიქმნა ფინანსური პრობლემები. მოგვიანებით, სოხუმის დრამატული დასი და სოხუმის სახალხო უნივერსიტეტი გაერთიანდა და დაერქვა „სოხუმის სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული დრამატული სექცია“. 1914 წ-დან თეატრალური მუშაობა შეფერხდა, თუმცა წარმოდგენები მაინც იმართებოდა. რეჟისორი იყო ი. ბარველი. მსახიობები: ნატალია ჯავახიშვილი და მიხეილ სულთანიშვილი.

1918 წ-დან თეატრის რეჟისორად ზაქარია ურუშაძე დაინიშნა. დაიდგა შ. დადიანის „შვილი ან სიყვარული“. 1920 წ-ის 20 ნოემბერს ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“ დაიდგა ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე; 1920 წ-ის 8 ნოემბერს ერთაწმინდელის „სიკვდილით დასჯა“, დ. აწყურელის „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“. 1920-1921 წ-ის სეზონი რეჟისორ მ. ქორელის ხელმძღვანელობით დაიწყო. დასში შედიოდნენ: ნუცა ჩხეიძე, ნიკო გოძიაშვილი, მიხეილ სულთანიშვილი, ალექსანდრე მგალობლიშვილი. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დასთან ერთად მათ დადგეს დ. ერისთავის „სამშობლო“, ენგელის „ზღვასთან“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, სუვარინინის და ბურენინის „მედეა“, ნ. შიუკაშვილის „ციცინათელა“, ვ. შალიკაშვილის „უნიადაგო“ და სხვ.

ლიტ.: ე. ჯიქია, ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940 წწ.), თბ., 2006.

სალომე ჭანტურიძე

სპადე თეოდორ (7.III.1891, ვინდავა - 25.VII.1970, თემირტაუ) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერი. დაამთავრა რიგის პოლიტექნიკუმი, სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსი და საფრანგეთის საზღვაო აკადემია. I მსოფლიო ომის პერიოდში საზღვაო ოფიცრის რანგში მსახურობდა შავ ზღვაში დისლოცირებულ სამხედრო-საზღვაო ფლოტში, რომელიც ექვემდებარებოდა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ ამიერკავკასიის, ბოლოს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ბათუმის მართლმადიდებელ ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ნადეჟდა შველიძეზე (1917). მეთაურობდა ნაღმზიდს, აგრეთვე ჩქარმავალ კატერთა რაზმს. ქართველ მეზღვაურთა ნაწილთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა საქართველოში შემოჭრილ ოსმალეთის იმპერიის არმიას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია მიიტაცა (1918). 6 თვე გააატარა ტყვეობაში, საიდანაც თავისმა მეუღლემ გამოისყიდა. სამშობლოში დაბრუნების (1920) შემდეგ, მსახურობდა ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებში, რომელსაც 1931-1940 წწ-ში ადმირლის რანგში ხელმძღვანელობდა. დაჯილდოებულია ლატვიის, საფრანგეთის, შვედეთის, პოლონეთის, ლიტვისა და ესტონეთის საპატიო სახელმწიფო ჯილდოებით. მისი მეუღლე ნ. შველიძე (გარდ. 1937) დიდ თანადგომას იჩენდა ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების მიმართ. სსრკ-ის შეიარაღებული ძალების მიერ ლატვიის ოკუპაციის (1940) შემდეგ დააპატიმრეს. გათავისუფლების (1954) შემდეგ გადაასახლეს ყაზახეთის ქ. თემირტაუში, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. მისი ნეშტი გადაასვენეს და დაკრძალეს რიგაში. 2014 წ-ის ნოემბერში, ლატვიის პრეზიდენტ იანის ბერზინშის ოფიციალური ვიზიტისას, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა, რომელსაც ქართულ და ლატვიურ ენებზე აწერია: „ლატვიის სამხედრო ფლოტის ადმირალს თეოდორ სპადეს (1891-1970) საქართველოს სამხედრო ფლოტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.

ლიტ.: M. B i s t e r s, Admirālis Teodors Spāde, Rīga, 2002; Н. Д ж а в а х и ш в и л и, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ კანონი – სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ კანონი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ-ის 17 სექტემბერს მიიღო. კანონით მოწესრიგდა სავაჭრო ურთიერთობები, დადგინდა გასაყიდ

საქონელზე ფასის დადების ზოგადი წესები, აიკრძალა საქონელზე გადაჭარბებული ფასების დადება, ასევე განისაზღვრა სავაჭრო ოპერაციისთვის სპეციალური ნებართვის გაცემის წესები. კანონის თანახმად, მოვაჭრე ვალდებული იყო, თვალსაჩინო ადგილას გამოეკრა გასაყიდი საქონლის ფასი. სპეკულაცია იყო დანაშაული და მისთვის გარკვეული სასჯელები იქნა შემოღებული. კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში საქმეს განიხილავდა სასამართლო. სასამართლოს უნდა დაედგინა, გადაჭარბებულ ფასებში გაიყიდა თუ არა საქონელი. სასამართლოს შეეძლო სპეკულაციაში გამტყუნებული პირისათვის დამატებით (კატორღასთან ან ჯარიმასთან ერთად) ვაჭრობის უფლება აეკრძალა ან შეეზღუდა. დანაშაული იყო პირის ისეთი ქმედება, რომელიც განზრახ ხელს შეუწყობდა სპეკულაციური დანაშაულის დაფარვას. მკაცრად ისჯებოდა ასევე მოხელე, თუ ის სათანადო ზომებს არ მიიღებდა სპეკულიანტთა წინააღმდეგ.

1920 და 1921 წწ-ში ამნისტიები არ შეეხო იმ დანაშაულის ჩამდენ პირებს, რომლებმაც სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ კანონით გათვალისიწნებული სამართალდარვევა ჩაიდინეს.

*ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (*1918-1921*)*, 1990.

ბექა ქანთარია

სპეციალური საპროფესიო-სატეხნიკო სკოლები – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება მიექცა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტების აღზრდას, რისთვისაც დაარსდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. ამავე მიზნით, ახალგაზრდები მთავრობის სტიპენდიით იგზავნებოდნენ ევროპის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში. ხაზინიდან გამოიყო 1 მილიონი მანეთი ახალგაზრდების მოსამზადებლად სპეციალურ დარგებში. პროფესიული განათლების შესახებ სპეციალურად იმსჯელა 1918 წ-ის 3 დეკემბრის განათლების სამინისტროს საბჭოს სხდომამ. მოხსენება წაიკითხა მინისტრის ამხანაგმა, ალ. მდივანმა. მოხსენებაში ხაზი გაესვა ამ კუთხით არსებულ პრობლემებს, მიღებულ დადგენილებაში დაისახა მათი გამოსწორების გზები. 1918 საქართველოში შემდეგი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები იყო: მიწისმზომელთა სასწავლებელი თბილისში, 154 მოწაფით; რკინიგზის საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი, 71 მოწაფით; თბილისის I და II კომერციული სასწავლებელი, პირველი 644, მეორე 407 მოწაფით; თბილისის სავაჭრო სასწავლებელი, 312 მოწაფით; საფერშლო სასწავლებლები ნავთლუღში და მიხეილის საავადმყოფოსთან, რომელთა გაერთიანება იყო დაგეგმილი; ქუთაისის კომერციული სასწავლებელი; ბორჯომის, ხონისა და ფოთის სახელოსნო სასწავლებლები, რომლებიც თანდათან უნდა გადაკეთებულიყო სატეხნიკო სასწავლებლებად; გორის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც სასოფლო სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთდა. პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ საერთო კანონი 1919 წ-ის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. პროფესიული სკოლებიდან გამორჩეული იყო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. მას ეკუთვნოდა ანანოვის აჯამეთის მამული, ჰქონდა უამრავი მანქანა-დანადგარი. სხვადასხვა პროფილის სასწავლებელი შესაბამის სამინისტროს ექვემდებარებოდა, მაგ., სასოფლო-სამეურნეო სკოლა ექვემდებარებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს, კომერციული სასწავლებლები ვაჭრობის სამინისტროს, თუმცა, ყველა სასწავლებელს საქართველოში მაინც განათლების სამინისტრო აკონტროლებდა. სასოფლო-სამეურნეო სკოლად გადაკეთდა ძველი სენაკის ქართული სკოლა, რომელიც 1884 იყო დაარსებული. 1919 თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელიც გადაკეთდა საშუალო პოლიტექნიკურ სასწავლებლად. პროფტექნიკური სასწავლებლების დაარსებასა და მათი მუშაობის შემოწმებას ხელმძღვანელობდა სამინისტროს პროფესიონალური და ტექნიკური განყოფილების უფროსი - მაქსიმე ბერძნიშვილი. ცნობილი პედაგოგი მიხეილ თაქთაქიშვილი იყო სპეციალური სკოლების დაარსების გულშემატკივარი და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზატორი დამოუკიდებელ საქართველოში. იგი მრავალი წლის განმავლობაში მსახურობდა მასწავლებლად განჯის, ბაქოს, თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებში, იყო ქუთაისის კომერციული სასწავლებლის დირექტორი. 1918 წ-ის აგვისტოში იყო სატეხნიკო და პროფესიონალური სკოლების მთავარგამგის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად, შემდეგ დაინიშნა მთავარგამგედ. პროფტექნიკურ და სპეციალურ სწავლებას ჰყავდა სხვა ენთუზიასტებიც.

ლიტ.: დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, წიგნი III; სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 54; სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 460.

დოდო ჭუმბურიძე

სტალინი (ჯუღაშვილი) იოსებ ბესარიონის ძე (21. XII.1879 (სხვა ვერსიით: 6.XII.1878), გორი - 5.III.1953, მოსკოვი) - საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის ლიდერი-დიქტატორი. დაიბადა მეწაღე ხელოსნის ოჯახში. 1894 დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია და შევიდა თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში, რომლის დასრულება ვერ შეძლო სწავლის გადასახადის გადაუხდელობის გამო. 90-იანი წლების ბოლოს გახდა „მესამე დასის“ რადიკალური ფრთის, ე. წ. „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“

ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელმაც 1901 გამოსცა გაზ. „ბრძოლა“. მხარს უჭერდა ერთიანი რუსეთის სდ პარტიის შექმნის იდეას. 1903 მიემხრო ბოლშევიკებს და იყო ადგილობრივი ბოლშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1904 ღიად დაუპირისპირდა როგორც მენშევიკებს, ისე ქართულ ეროვნული მიმართულების პარტიებს: სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს, ანარქისტებს, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იბრძოდნენ. 1905 იყო რსდმპ ტამერფორსის კონფერენციის, რსდმპ IV და V ყრილობების დელეგატი. 1907 წ-დან, როდესაც ბოლშევიკები საქართველოში დამარცხდნენ, წავიდა რუსეთში და პროფესიონალი რევოლუციონერი-ბოლშევიკის გზა განაგრძო, რისთვისაც არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. 1912 კოოპტაციის წესით აირჩიეს რსდმპ ცკ-ის წევრად. 1913 ბოლშევიკურ გაზ. „პროსვესჩენიეში“ გამოაქვეყნა ნაშრომი „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“, რომელიც რუსეთის ბოლშევიკების საპროგრამო ტექსტად იქცა, ხოლო ავტორი ეროვნული საკითხის ბოლშევიკ ავტორიტეტად. 1913 წ-ს კვლავ დაეპატიმრეს და გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში.

1917 იყო ბოლშევიკური გადატრიალების და ახალ სახელმწიფოდ გარდაქმნილი რუსული იმპერიის - საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც მთავრობაში დაიკავა ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისრის (მინისტრის) თანამდებობა. 1917 წ-ის 2 ნოემბერს ვ. ლენინმა და ი. სტალინმა ხელი მოაწერეს მის მიერ დაწერილ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციას“, რომელშიც ფარისევლურად იყო აღიარებული ყოფილი იმპერიის ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ჩათვლით. მიუხედავად ამისა, ი. სტალინი და საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე მტრულად დაუპირისპირდა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას და იყო მის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი აქტივობების მთავარი ორგანიზატორი, რომლის მიზანიც საქართველოსა და სხვა პოსტმონარქისტული ახალგაზრდა სახელმწიფოების დაპყრობა და რუსეთთან შეერთება იყო. 1918 წ-ის მარტში გაზ. „პრავდაში“ გამოქვეყნდა მისი სტატია: „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“. ეს და სხვა სტატიები მიზნად ისახავდა, დამოუკიდებელი საქართველოს სახით, მტრის ხატის შექმნას, დისკრეტიზაციას და ნიადაგის მომზადებას მისი დაპყრობისათვის, როცა საამისო პირობები შეიქმნებოდა („მდგომარეობა კავკასიაში“ და სხვ). 1918 წ-ის ივლისში ის ბაქოს კომუნისტ ლიდერს სტეფანე შაუმიანს განუმარტავდა, რათა გერმანელები დაერწმუნებინათ, რომ საქართველოს საკითხი იყო რუსეთის საშინაო საკითხი და ამიტომ საბჭოთა რუსეთი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი და სომხეთი გაასაბჭოვა, დღის წესრიგში დადგა საქართველოს ოკუპაციის საკითხი. ლენინი ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარების დადგომას თვლიდა საჭიროდ, სტალინ-ორჯონიკიძე სასწრაფო ოკუპაციას უჭერდნენ მხარს. 1920 წ-ის 30 ნოემბერს „პრავდაში“ გამოქვეყნდა სტალინის სტატია, რომელშიც მან განაცხადა, რომ „საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის... არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“. ამ დროს მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადება და დემოკრატიული საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. 1921 წ-ის 24 იანვარს სტალინმა წინადადება მისცა ცკ-ს, შედგომოდა მოსამზადებელ სამუშაოებს საქართველოს საქმეებში „სამხედრო ჩარევისათვის“ და მიეცათ ორჯონიკიძასთვის დირექტივა, რათა მოემზადებინა აჯანყებულთა გამოსვლები საქართველოს რომელიმე რაიონში, რომლებიც საბჭოთა არმიას სთხოვდნენ დახმარებას. ეს იყო საქართველოს ოკუპაციის სცენარი. 26 იანვრის ცკ-ს პლენუმმა, ლენინის მიერ დაწერილი პროექტის საფუძველზე, მიიღო დადგენილება საქართველოსთან ომის მომზადების შესახებ. საბოლოოდ, რკპ(ბ) ცკ-ის 1921 წ-ის 15 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, იმავე დღის 16 სთ-ზე სტალინმა ორჯონიკიძეს გამოუგზავნა ცნობილი დაშიფრული ტელეგრამა: „ახლავე შეუტიე დასტურია აიღე ქალაქი“. ი. სტალინისა და მისი თანამოაზრე ქართველი ბოლშევიკების წყალობით, საქართველომ სოციალიზმის საფასურად მიიღო დამოუკიდებლობის დაკარგვა და სოციალური უსამართლობის უმწვავესი სახე - მრავალწლიანი ეროვნული უთანასწორობა და უფლებების შელახვა. საქართველოს გასაბჭოებისა და რკპ(ბ) ცკ-ის გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ (1922. აპრილი) ი. სტალინი ხშირად მონაწილეობდა რესპუბლიკის საქმეებში, თუმცა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველო რაიმე პრივილეგიით სარგებლობდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. პირიქით, საბჭოთა დიქტატორი შესაძლოა განაწყენებულიც კი იყო საკუთარ სამშობლოზე, რომელსაც კლასობრივი ბრძოლის პრინციპებიდან აფასებდა. 1921 წ-ს, საქართველოში ყოფნის დროს, მან ადგილობრივ ბოლშევიკ-ხელმძღვანელებს მითითება მისცა, რომ საქართველოს ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაესვასო. ეს იყო მენშევიკური და ნაციონალისტური პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ მკაცრი რეპრესიების განხორციელების პირდაპირი მითითება. ასეც მოხდა: 20-30-იან წწ-ში განხორციელებული რეპრესიების შედეგად საქართველოში პრაქტიკულად განადგურდა ყველანაირი არაბოლშევიკური პოლიტიკური ელიტა. საბჭოთა კავშირის შექმნის პროცესში, სტალინმა წამოაყენა ე. წ. ავტონომიზაციის

პლატფორმა, რომლის თანახმადაც, მოკავშირე ქვეყნები ავტონომიის სტატუსით უნდა შესულიყვნენ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში. ეს პროექტი დაწუნებული იქნა. 20-იან წლებში ი. სტალინმა ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალები და გახდა უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის ერთპიროვნული მმართველი (1941 წ-დან იგი იყო ჯერ სახკომსაბჭოს, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). 30-იან წწ-ში მან განახორციელა უპრეცედენტო რეპრესიები ყველანაირი პოტენციური მოწინააღმდეგეების მიმართ, რომელსაც მილიონობით ადამიანი შეეწირა ფიზიკური ლიკვიდაციისა და გადასახლების სახით. ეს ეპოქა ისტორიაში შევიდა „სტალინური რეპრესიების“ სახელწოდებით. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რომელიც სტალინის ინიცირების საფუძველზე, დიდი სამამულო ომის სახელწოდებითაა ცნობილი, საბჭოთა კავშირის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სტალინის პირადმა თვისებებმაც: პრინციპულობა, დაუნდობლობა, სისასტიკე, მმართველობის ერთპიროვნულობა და ა. შ. ომში გამარჯვების შემდეგ სსრკ-ის იმპერიულ გავლენაში მოექცა მსოფლიოს უდიდესი ნაწილი (აღმოსავლეთ ევროპა, ჩინეთი). სტალინის პიროვნების შესახებ დღემდე არ ცხრება კამათი. ერთი მხრივ, ის ისტორიაში შევიდა როგორც მრისხანე დიქტატორი, ხოლო მეორე მხრივ, ის აღიქმება როგორც მსოფლიოში პირველი ე. წ. მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პრაქტიკოსი-განმახორციელებელი, სახელმწიფოსი, რომელიც დაშენებული იყო უპრეცედენტო რეპრესიების საფუძველზე. პირველი ცოლისაგან, ეკატერინე სვანიძისგან ჰყავდა ვაჟი - იაკობი, მეორე ცოლისგან, ნადეჟდა ალილუევასგან ქალ-ვაჟი: ვასილი და სვეტლანა. ი. სტალინი დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე.

თხზ.: ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1-13, თბ., 1947-1952.

ლიტ.: ვ. გ ურ ულ ი, მეფე-მამა თბ., 2014.

დიმიტრი შველიძე

სტატისტიკის ორგანო – ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მოსალოდნელი განვითარების ანალიზისათვის სტატისტიკური სამსახურის შექმნა იმთავითვე დადგა დღის წესრიგში. „აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული სტატისტიკის შედგენის“ შესახებ კანონპროექტის საკითხის განხილვა დაიწყო 1918 წ-ის 5 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში. იმავე წლის 15 ნოემბერს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის დროებითი ბიურო. მისი საშტატო განრიგი თავდაპირველად განისაზღვრა შემდეგნაირად: გამგე და თითო-თითო სტატისტიკოსი, ინსტრუქტორი და კონტროლიორი. სტატისტიკის ბიუროს დაევალა: 1917 წ-ის საადგილმამულო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების მომზადება: მიწის ფონდის აღრიცხვა, მიწის ფონდის განაწილების ნორმების განსაზღვრა და სხვ. ამგვარად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავდაპირველად შეიქმნა სტატისტიკის სპეციალური სამსახური განსაზღვრული ფუნქციებით, დაფინანსებით, მაგრამ არა დამოუკიდებელი უწყების სახით, არამედ ერთ-ერთი სამინისტროს შემადგენლობაში.

სტატისტიკური ორგანოს სტატუსის ამაღლების მიზნით, 1919 წ-ის 25 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების“ შესახებ, რომლის მიხედვით დაარსდა „რესპუბლიკის ცენტრალური სასტატისტიკო“ კომიტეტი. დამფუძნებელ კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია ამ ორგანოს დაქვემდებარების საკითხმა. იურიდიული და თვითმმართველობის, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიები და დამფუძნებელი კრების ცალკეული წევრები მოითხოვდნენ „კომიტეტის“ მთავრობის დაქვემდებარებაში ყოფნას, რაც „კომიტეტს“ მეტ თავისუფლებას მისცემდა. მიუხედავად ამისა, გადაწყდა, „კომიტეტის“ მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში დატოვება. ეს მოტივირებული იყო აგრარული რეფორმის წარმატებით დასრულების მიზნით. დამტკიცებული „დებულების“ მიხედვით, სტატისტიკურ კომიტეტს განესაზღვრა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატისტიკური სამუშაოების წარმართვა. კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავდა და ათავისუფლებდა რესპუბლიკის მთავრობა. კომიტეტი ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა: 1) საადგილმამულო, სასოფლო-სამეურნეო და ერობის სტატისტიკის; 2) შრომის და ვაჭრობა-მრეწველობის; 3) სატრანსპორტო და სასურსათო და 4) მცხოვრებთა და ქალაქთა სტატისტიკისა. განყოფილებათა გამგეებს ნიშნავდა და ათავისუფლებდა მიწათმოქმედების მინისტრი სტატისტიკის კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით. სამსახურის სხვა მუშაკები ინიშნებოდნენ კომიტეტის თავმჯდომარის მიერ. ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ცენტრალური სტატისტიკური საბჭო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, მოადგილე, განყოფილებათა გამგეები, თბილისის სტატისტიკური სამსახურის წარმომადგენელი, რესპუბლიკის ერთობათა და ქალაქთა კავშირის მიერ არჩეული თითო წარმომადგენელი და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

ამრიგად, დემოკრატიულ საქართველოში უკვე შეიქმნა დამოუკიდებელი ქვეყნისათვის აუცილებელი სტატისტიკური სამსახური, მაგრამ შეზღუდული უფლებებით და კომპეტენციით, რომელსაც არ გააჩნდა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისათვის რეალური მექანიზმები, განსაკუთრებით კერძო სექტორიდან. იმთავითვე ცხადი იყო არსებული სახით მისი მომავალი მუშაობის ნაკლებეფექტიანობა.

ლიტ.: თ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2006; T. A t a n e l i s h v i l i, Georgian experience in functioning of state statistics Body. Ecoforumjournal. Vol. 5, 2019. №2.

თამარ ათანელიშვილი

სტეფანე (ერისკაცობაში ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი) (I.1853, ქვემოჭალა, გორის მაზრა – 8.IV.1936, თბილისი) - ეპისკოპოსი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. მამა - გრიგოლი ქართული საეკლესიო გალობის ჩინებული მცოდნე და შემსრულებელი იყო. ვასილმა და მისმა ძმებმა ბავშობიდანვე ოჯახში შეისწავლეს ქართული სასულიერო გალობის ქართლ-კახური კილო. ექვსი წ. ასაკში დედამ დააწყებინა „დავითნის" კითხვა. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ ვასილი სწავლის გასაგრძელებლად გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. 1864 ვასილი თავის ძმებთან - ანდროსა და პოლიევქტოსთან ერთად პირველად წარსდგა საზოგადოების წინაშე ხალხური სიმღერების რეპერტუარით და მოწონება დაიმსახურა. 1867 ვასილი ძმებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და ჩაირიცხა სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სასულიერო სემინარიაში, პარალელურად, 1879 წ-დან სწავლობდა თბილისის მუსიკალურ სკოლაში. 1881 დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია; 1881 ქართული ენის მასწავლებელი იყო თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში; ერთი წლის შემდეგ შევიდა მოსკოვის კონსერვატორიაში. 1883 აკურთხეს თბილისის წმ. ბარბარეს ეკლესიის მღვდლად, ამავე დროს ასრულებდა მღვდლის მოვალეობას თბილისის 1 სამხედრო ჰოსპიტალში. მალე თავისივე თხოვნით გადაიყვანეს ნუხის 3-კლასიან საქალაქო სასწავლებელში, ამავე დროიდან არის ნუხის სამწმიდათა ეკლესიის წინამძღვარი. 1888-1890 წწ-ში, ეგზარქოს პალადის განკარგულებით, გადმოიყვანეს თბილისის მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დააარსა მოსასვენებელი სახლი შორიდან მოსულ მლოცველთათვის. წმ. ბარბარეს ეკლესიასთან გახსნილი ჰქონდა საეკლესიო-სამრევლო სკოლა 40 ბავშვისათვის, რომელთათვისაც გამოყოფილი ჰქონდა 2 ოთახი საკუთარი ბინიდან და ინახავდა საკუთარი ხარჯით. 1893-99 წწ-ში იყო მასწავლებელთა საზოგადოების სკოლის სჯულის მასწავლებელი და სახალხო სასწავლებელთა დირექციის წევრი. 1899 აირჩიეს საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. 1903 წ-ის თებერვლიდან გადაიყვანეს ქ. შემახიის ეკლესიაში. 1904 გადაიყვანეს გორის ტაძრის მეორე მღვდლის ადგილზე, ამავე დროს ასრულებდა სანთლის ქარხნის მმართველის მოვალეობას; 1904-1906 წწ-ში განაგებდა საეკლესიო ნივთების მაღაზიას. 1905 თავისივე თხოვნით ეგზარქოსმა ალექსიმ დანიშნა თბილისის სამების ტაძრის წინამძღვრად. ტაძრის სამრევლო სკოლაში უსასყიდლოდ ასწავლიდა საღვთო სჯულს და რუსულ-ქართულ გალობას.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის I, II, III, IV საეკლესიო კრების მუშაობაში. 1919 აიყვანეს დეკანოზის ხარისხში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ვასილ კარბელაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობას და ყველაფერს აკეთებდა მასთან საერთო ენის გამოსანახავად. 1922 გადაიყვანეს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. 1925 აღიკვეცა ბერად სტეფანეს სახელით. 1925 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის ლოცვა-კურთხევით აკურთხეს ბოდბის ეპისკოპოსად. 1928 გაათავისუფლეს ბოდბის ეპისკოპოსობიდან და გადაიყვანეს ალავერდელად. 1929 გაათავისუფლეს ალავერდის ეპისკოპოსობიდან; 1930 წ-ის 1 იანვარს დროებით დაინიშნა კარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად; 1934 წ-ის 6 აგვისტოს, პირადი თხოვნის საფუძველზე, ავადმყოფობის გამო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა კალისტრატემ გაათავისუფლა კარის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრობიდან. დაკრძალულია წმიდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

სტეფანე ეპისკოპოსი (კარბელაშვილი)

ლიტ.: ს. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), თბ., 2006; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010.

მიხეილ ქართველიშვილი

სტოკსი კლოდ (27.X.1875, მუსორიე, ინდოეთი - 7.XII.1948, ლონდონი) - დიდი ბრიტანეთის ინდოეთის არმიის ოფიცერი, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სამხრეთ კავკასიაში. დაიბადა ინდოეთში, ბრიტანელის ოჯახში. განათლება წმინდა ჯონის სკოლაში და სანდჰურსტის სამეფო სამხედრო აკადემიაში მიიღო. 1895 წ-დან მსახურობდა ბრიტანეთის არმიის ინდოეთის ნაწილებში. 1907-1911 წწ-ში იყო დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშე თეირანში და დახმარებას უწევდა პრობრიტანულ პოლიტიკურ ძალებს. პირველი მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის ინდოეთის სამხედრო ნაწილებს.



სტოკსი კლოდ

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ხელმძღვანელობდა ბაქოში განლაგებული ბრიტანეთის არმიის ნაწილებს. 1920 ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის, ოლივერ უორდროპის, გადადგომის შემდეგ ეს პოსტი პოლკოვნიკმა სტოკსმა დაიკავა. 1920 წ-ის 28 სექტემბერს ახლად დანიშნული უმაღლესი კომისარი თბილისში ჩამოვიდა, მას დახვდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი და სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალი ალ. გედევანიშვილი. თბილისში პოლკოვნიკ სტოკს შეხვდა იმხანად თბილისში მყოფი ბრიტანეთის

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მაკდონალდი და საქართველოს დახმარება სთხოვა. უმაღლეს კომისარს თბილისში მინისტრთა კაბინეტის წევრებმა საზეიმო ვახშამი გაუმართეს. მალევე სტოკსი ნ. ჟორდანიას შეხვდა და დადებითი განწყობა არ დამალა საქართველოსადმი. მის მიერ ლონდონში გაგზავნილი ანგარიშები აშკარა პროქართული ხასიათისაა. 1921 თებერვლამდე ასრულებდა უმაღლესი კომისრის მოვალეობას.

საბჭოთა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის შემდეგ დაუბრუნდა ინდოეთის არმიას. 1931-1940 წწ-ში იყო ბრიტანეთის ვიცე კონსული ნიცაში, საფრანგეთში.

სტრაუმე იული

ლიტ.: ბ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №220.

ირაკლი ირემაძე

სტოლერმანი სამუილ

სტოლერმანი სამუილ ალექსანდრეს ძე (09. XII.1874, სოფ. კიახტა - 22.XII.1949, კიევი) - ებრაული წარმოშობის უკრაინელი დირიჟორი. 1905 წ-დან მოსკოვში დირიჟორის პროფესიას ვ. ი. საფინოვთან ეუფლებოდა. სხვადასხვა ქალაქებში ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწობას; 1927-1944 წწ-ში - ოდესაში; 1944-1949 წწ-ში - კიევში; 1917 წ-დან თბ. ოპერის თეატრის დირიჟორი გახდა.

დამოუკიდებელ საქართველოში (1919.V.02) დირიჟორობდა დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პირველ დადგმას, ასევე ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ პრემიერის დროს (1919.XI.12). 19120 წ-ის 15 თებერვალს თბილისში მოკლა საკუთარი ცოლი, თუმცა საქმეში არსებული გარემოებების გამო სასამართლომ გაამართლა.

გასაბჭოების შემდეგ მონაწილეობდა: ვ. დოლიძის „ლეილას“ (1922.VI.05) და მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერის“ პრემიერებში; 1933 ვ. დოლიძის და 1936 ა. ანდრიაშვილის საფ-ნო კონცერტებში; ზ. ფალიაშვილის „დაისის“ ოდესაში დადგმულ წარმოდგენაში. მის რეპერტუარში, ქართულთან ერთად, უცხოური ნაწარმოებებიც შედიოდა: ბ. ლიატოშინსკი, „Захар Беркут“ (ოდესა, 1930); ო. ჩიშკო, „Яблоневый Плен“ (ოდესა, 1931); ნ. ლისენკო, „ტარას ბულბა“ (თბ., 1932); ა. სპენდიაროვი, „ალმასტი“ (ქართ. ენაზე. თბ., 1932); ა. ფემელიდი, „რღვევა“ (თბ., 1932. 08. 11); ჟ. ოფენბახი, „ჰოფმანის ზღაპრები“ (თბ., 1941) მ. იპოლიტოვ-ივანოვი, „ღალატი“; ა. ბოროდინი, „თავადი იგორი“) და სხვ. 1925 მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, 1937 კი უკრაინის სახალხო არტისტის წოდებები. გარდაიცვალა კიევში.

ლიტ.: ვ. ბ ე რ ი ძ ე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები), თბ., 1992; რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; პ. ხ უ ჭ უ ა, მელიტონ ბალანჩივაძე, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1950.

ზურაბ ლეჟავა

სტრაუმე იული კარლის ოსკარ (2.VII.1874, ვენდენი - 1.XI.1970, რიგა) - ლატვიელი საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, მხატვარი, პედაგოგი, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებული ლატვიის რესპუბლიკის საკონსულოს თანამშრომელი. დაამთავრა მიტავის (ამჟამად - ელგავა) გიმნაზია და სანკტ-პეტერბურგში არსებული ალ. შტიგლიცის ტექნიკური მხატვრობის ცენტრალური სასწავლებელი. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიავლინეს პარიზში, სადაც დაეუფლა ტექსტილის ხელოვნებას. 1907 მხატვრად მოავლინეს თბილისში მოქმედ კავკასიის შინამრეწველობის (იმავე კუსტარულ) კომიტეტში. რუდუნებით აგროვებდა და სწავლობდა კავკასიელ ხალხთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს. მოპოვებული მასალა გადაეცემოდა კუსტარული კომიტეტის სახელოსნოებს, სადაც ხალხური შემოქმედების მიხედვით იქმნებოდა უნიკალური ნაწარმი: ხალიჩები, ნაქარგები, ქსოვილები, ჭურჭელი, საიუველირო ნაკეთობანი. შექმნა უნიკალური ალბომები კავკასიური ხალიჩების ფერადი ჩანახატებითურთ, რომლის პირველი ტომიც გამოიცა. ალბომებში შემონახულია ასევე პირები მინიატიურებისა, რომლებიც შემოჩენილი იყო გელათის, ჯრუჭის და სხვა ეკლესია-მონასტრებში იმხანად დაცულ X-XI სს-ებით დათარიღებულ სახარებებში. მონაწილეობდა აკად. ნიკო მარის ხელმძღვანელობით მოწყობილ ქ. ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (1912). კუსტარული კომიტეტის ეგიდით მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში. აქტიური როლი შეასრულა გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დაფუძნებაში, რომელიც თბილისში დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკისთან ერთად მოხატა სათავადაზნაურო ბანკი (თანამედროვე ეროვნული ბიბლიოთეკა). მისივე პროექტით შეიქმნა პირველი კარადები სამუზეუმო ექსპონატებისათვის, ამოკვეთილი კარები, ასევე წიგნების ვიტრინები. თავის მეუღლესთან, ბელგიელ მარია-ელოიზა-ავგუსტა რონგვოსთან, ერთად მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1916). მსახურობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებულ ლატვიის რესპუბლიკის საკონსულოში. ლატვიის ვიცე-კონსულის მოვალეობას ასრულებდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგაც (1922 წ-ის 10 თებერვლამდე). ზრუნავდა საქართველოში მყოფ ლატვიელთა სამშობლოში დაბრუნებისათვის. 1923 წ-ის მიწურულს დაბრუნდა სამშობლოში, თუმცა შემოქმედებითი კავშირი საქართველთან და ქართველებთან სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია. იყო ლატვიის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1963 თბილისის სამხატვრო აკადემიის

პროფესორმა, დავით ციციშვილმა, აღძრა საკითხი, რომ საქართველოს წინაშე დამსახურებისათვის ი. სტრაუმესათვის დაენიშნათ პერსონალური პენსია. სტრაუმეს მხატვრული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ინახება საქართველოს სახალხო და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში, შალვა დადიანის ქუჩაზე №28-ში.

ლიტ.: ლ. კ ლ ა ვ ი ნ ა, იული სტრაუმე - გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი, რიგა, 2005; Н. Д ж а в а х и ш в и л и, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

სულაქველიძე აპოლონ ალმასხანის ძე (1871, სოფ. სვირი - 1936) - განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. 1905 გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი. 1906 წ-ის გენერალ ალიხანოვის სადამსჯელო ღონისძიებების შემდეგ სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. 1919 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 დატოვა პარტია და მონაწილეობდა ფრაქცია „სხივის“ შექმნაში. ოკუპაციის შემდეგ ცხოვრება მშობლიურ სოფელში გააგრძელა. გარდაიცვალა 1936, საბჭოთა რეპრესიებამდე ერთი წლით ადრე.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

სულხანიშვილი ნიკოლოზ პაატას ძე (1871, სოფ. აწყური, თელავის მაზრ. - 03.VIII.1919, თბილისი) - ქართული ეროვნული კლასიკური საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლოტბარი, გუნდის მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერების შემკრები. დაიბადა მუსიკალური ნიჭით, სიმღერის შესრულების ოსტატობით და კახური მოლხენის ტრადიციით სახელგანთქმული ღარიბი აზნაურის ოჯახში. 1878 მშობლებმა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. წკრიალა ხმისა და განსაცვიფრებელი სმენის გამო მეორე წლიდან ჯერ საეკლესიო გუნდში აიყვანეს, შემდეგ სამოციქულოს კითხვაც დაავალეს. მალე საკუთარი სიმღერების წერაც დაიწყო. მის ყველაზე ადრეულ სიმღერად ითვლება დიმიტრი მაჩხანელის ლექსზე შექმნილი „ჩემს საყვარელ სამშობლოს“. 1884 თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე გახდა, თუმცა ორი წლის შემდეგ დატოვა სასწავლებელი და თელავში დაბრუნდა. მუსიკალური განათლების მისაღებად კვლავ თბილისში გაგზავნეს, თბილისში, მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალმა - უსატოვმა მოწაფედ აიყვანა. მანვე გააცნო შალიაპინი. 1890 თელავის საულიერო სასწავლებლის ლოტბარი გახდა, საეკლესიო გუნდს ხელმძღვანელობდა და ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა აღნიშნულ სასწავლებელს. სიმღერა „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“, რომელსაც თავის პირველ ნაწარმოებად თვლიდა, ძალიან პოპულარული იყო. გამოჩენილი მომღერლის - ფილიმონ ქორიძის ყურადღება მიიპყრო. 1901 თელავში ექსპედიციისას ჩასული, ზარაფიშვილთან სტუმრად მყოფი დიმიტრი არაყიშვილი გაეცნო, რომელმაც მისგან ჩაიწერა ხალხური სიმღერები. 1905 წ-ის რევოლუციური მარში დაწერა და თელავის მოყვარულთა გუნდს ასწავლა. ნაწარმოები საყოველთაოდ ცნობილი გახდა და „თელავიეზა“ ეწოდა. 1908 წარმატებით გამოვიდა ა. წერეთლის შემოქმედებით მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე და იუბილარს ოდა „ვაშა აკაკის“ მიუძღვნა. 1913 მონაწილეობდა ლადო მესხიშვილის იუბილეში, დაწერა თავისი საუკეთესო საგუნდო ნაწარმოებები „მესტვირული“, „სამშობლო ხევსურისა“, „გუთნური“. ამავე წ-ის 5 მაისს ილიას ძეგლის გახსნაზე გამოვიდა და თავისი „კახური ჰიმნი“ შეასრულა. 1916 წ-ის 22 ნოემბერს მისი ინიციატივით ნიკოლოზ ბარათაშვილის 100 წლის იუბილე გაიმართა, სადაც პოეტის ცნობილი ლექსის „მერანის“ ტექსტზე შექმნილი თავისი კომპოზიცია შეასრულა.

სულაქველიძე აპოლონ

მისი მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი დამოუკიდებელ საქართველოს უკავშირდება. 1918 თავისუფალმა ხელოვანმა და მევიოლინემ, ილიკო აბაშიძემ, ქართული სამხედრო კავშირის დახმარებით აღადგინა „ქალ-ვაჟთა გუნდი“ და მის ლოტბარად ნიკო სულხანიშვილი მიიწვია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გუნდის მიერ ჩატარებული ეროვნული მუსიკის ორი კონცერტი. მათ შორის პირველი გაიმართა 1918 წ-ის 10 ივნისს ქართულ კლუბში, მეორე კი 30 ივნისს თბილისის ოპერის თეატრში. შესრულდა ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის. დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ა. ყარაშვილის და ი. ჯაბადარის ნაწარმოებები. კონცერტებში, გუნდის გარდა, მონაწილეობდნენ პირველი ქართველი საოპერო მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ოლღა კალანდაძე და ვ. ლორთქიფანიძე. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია გუნდებმა: „მესტვირული“, „გუთნური“ და „სამშობლო ხევსურისა“. ერთ-ერთ კონცერტს ესწრებოდა კათოლიკოს პატრიარქი კირიონ II. 1919 დაწერა თავისი უკანასკნელი ნაწარმოები „ღმერთო ღმერთო“ და ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებულ კაპელას და ნაძალადევის მუშათა გუნდს ხელმძღვანელობდა. ბოლოს მუშაობდა აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით შექმნილი ხუთმოქმედებიანი ოპერის „პატარა კახის“ საბოლოო ვერსიაზე, რომლის ძირითადი ნაწილიც ჯერ კიდევ 1914 დაწერილი ჰქონდა. გარდაიცვალა 1919 წ-ის 3 დეკემბერს თბილისში. გარდაცვალების დღეს, ნოტების ჩემოდანთან ერთად, უკვალოდ დაიკარგა მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი, მათ შორის ოპერა „პატარა კახის“ პარტიტურაც. ცნობილი შედევრი „დაიგვიანეს“ სწორედ

სულხანიშვილი ნიკო



სურგულაძე პეტრე

ამ ოპერიდან არის შემორჩენილი. ჩვენამდე კომპოზიტორის მხოლოდ შვიდმა ნაწრმოებმა მოაღწია. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ნაწარმოებები: 1886 ვოკალური ტრიო „ჩემს საყვარელ სამშობლოს“; 1891 „ტურფავ მოდი, ნუ ხარ მტრულად“; საგუნდო ნაწარმოებები: 1905 „თელავიეზა“; 1906 „ახალი ნანინა“; 1913 „სამშობლო ხევსურისა“; „მესტვირული“;, „გუთნური“; „დიდება ივერსა“; 1919 „ქორალი“ („ღმერთო, ღმერთო“); არია „დაიგვიანეს“ ოპერიდან „პატარა კახი“.

ლიტ.: ვ. ბერიძე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები), თბ., 1992; ლ. დონაძე, ო. ჩიჯავაძ ე, გ. ჩხიკვაძე, ქართული მუსიკის ისტორია, წ. I., თბ., 1990; გ. ნადირაძე, ნიკო სულხანიშვილი, თბ., 2006.

ზურაბ ლეჟავა

სუმბათაშვილი გიორგი

სუმბათაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (6.VI.1868 - ?) - გენერალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი. პოდპორუჩიკი (1892). პორუჩიკი (1896). შტაბსკაპიტანი (1900). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა. მონაწილეობდა 1904-1905 წწ-ის რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც დაიჭრა. კაპიტანი (1904). 1911 ირიცხება ვიბორგის 85-ე ქვეითთა პოლკში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ნოვოჩერკასკის 145-ე პოლკშია. მეთაურობდა ბატალიონს. პოლკოვნიკი (1914, წარჩინებისთვის). 1915-1917 წწ-ში ცარიცინის 146-ე პოლკის მეთაურია. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1918). სომხეთთან ომის დროს იყო გენერალ მაზნიაშვილის მოადგილე. 1921 წ-ის თებერვალში, ომის დაწყების წინ, იმყოფებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის, გენერალ ი. გედევანიშვილის დაქვემდებარებაში. უშუალოდ სარდლობდა ბამბაკის ხეობაში სანაინი-შაგალის მიმართულებაზე განლაგებულ შენაერთებს. ომის პირველ ეტაპზე განცდილი მარცხის გამო იძულებული იყო უკან დაეხია თბილისის მიმართულებით. თბილისიდან უკან დახევისას გენერალმა კვინიტაძემ მარცხენა კოლონის უფროსად დანიშნა. მონაწილეობდა 4-5 მარტის ოსიაურის ბრძოლაში, სადაც სარდლობდა მარჯვენა ფრთას და ასევე უღელტეხილების დაცვას. 18-20 მარტს მონაწილეობდა ბათუმიდან ქემალისტების განდევნაში. ემიგრაციაში არ წასულა.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

სურგულაძე პეტრე როსტომის ძე (1877, სოფელი ჩიბათი, ოზურგეთის მაზრა - 6.IX.1931, სტამბოლი) - ჟურნალისტი, საქართველოს თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1894 დაამთავრა თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო (სამასწავლებლო) ინსტიტუტი. პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა ქუთაისის პროგიმნაზიაში გამგე-მასწავლებლად, ხოლო შემდეგ მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ისტორიის პედაგოგად. პირველი პუბლიცისტური წერილი გაზეთ „კვალში“ ჯერ კიდევ 1897 დაბეჭდა. წერდა ფსევდონიმებით „პ.ს-ძე“ და „X“. მას შემდეგ, რაც „კვალი“ მესამე დასის ხელში გადავიდა, პ. სურგულაძემ სათანამშრომლოდ „ივერიაში“ გადაინაცვლა. დიდი ინტერესი გამოიწვია ამ გაზეთში დაბეჭდილმა მისმა წერილების სერიამ „ვითარება გურიაში“, რომელშიც ფართოდაა ასახული გურიის მოსახლეობის მდგომარეობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. 1905 წიგნაკად გამოსცა ნარკვევი „ეროვნული ენა“. იყო „ქართველ ჟურნალისტთა კავშირის“ ბიუროს წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, მინდობილი ჰქონდა საზოგადოების კავკავის, გომარეთისა და სხვ. სკოლების რევიზორობა, გამოდიოდა მოხსენებებით საზოგადოებისა თუ მისი გამგეობის სხდომებზე. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახალხო უნივერსიტეტში. 1908 სათანამშრომლოდ მიიწვიეს ჟურნალში „განათლება“. 1909 პ. სურგულაძის რედაქტორობით დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველკვირეული ჟურნალი „ერი“, რომელიც თერგდალეულთა ჟურნალისტურ ტრადიციებს განაგრძობდა და მთელ ძალისხმევას ეროვნული ინტერესების დაცვას ახმარდა. ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით, გამოცემა მალ-მალე იცვლიდა რედაქტორებსა და დასახელებას (გამოდიოდა 1910 წლამდე „ჩვენი ერის“, „ქართველი ერის“, „საქართველოს მოამბის“, „ერის“ სახელწოდებით). ჟურნალში დაბეჭდილი გ. გვაზავას წერილების სერიისათვის „ჩეხია“, რომელიც ცალკე ბროშურადაც გამოიცა, 1910 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. „არსებული წყობილების დასამხობად მზადებისათვის“ ბრალდებით ავტორი დააპატიმრეს, რედაქტორმა პ. სურგულაძემ კი სასჯელს თავი საზღვარგარეთ გახიზვნით დააღწია. 1910 ჟენევაში ჩამოაყალიბა „თავისუფალი საქართველოს ჯგუფი“, რომლის მიზანი იყო საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორება და სუვერენულ სახელმწიფოდ ფორმირება. 1913-1914 წწ-ში იქვე გამოსცემდა ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ (გამოვიდა 4 ნომერი). პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ჯგუფის ბაზაზე პ. სურგულაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

კომიტეტი გერმანიის სახელისუფლებო წრეებთან კავშირში მოქმედებდა და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში.

1917-1918 წწ-ში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის სტამბაში დაიბეჭდა პ. სურგულაძის სამი წიგნაკი: 1. „საქართველო თავისუფლებისაკენ"; 2. „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო" და 3. „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა". 1918 წ-ის მაისში პ. სურგულაძე, როგორც მრჩეველი, ბერლინიდან თან გამოჰყვა გერმანიის სამთავრობო დელეგაციას ბათუმის საზავო კონფერენციაზე. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული დელეგაციის გენერალ ფონ ლოსოვთან დაკავშირებაში, რამაც დააჩქარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. 1919 ედპ-ს სიით არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად, იყო სამხედრო კომისიის წევრი. შედიოდა აგრეთვე დამფუძნებელი კრების დროებით კომისიაში, რომელმაც 1919 წ-ის მარტში ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სერვერ-ბეგის ხელმძღვანელობით მოწყობილი აჯანყების მიზეზები, შედეგები და რეგიონში არსებული ვითარება შეისწავლა. ხშირად აქვეყნებდა სტატიებს ედპ-ს მთავარ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ „საქართველოში" სახელმწიფოებრივი და სამხედრო აღმშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. მათგან აღსანიშნავია: „დამფუძნებელი კრება და ჩვენი საგარეო პოლიტიკა", „საქართველოს ჯარი", „ჯარი და მოსწავლე ახალგაზრდობა", „მშობლიური ენის დამკვიდრება ქართულ ჯარში" და სხვ.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისას, 1921 ემიგრაციაში გაიხიზნა, დასახლდა თურქეთში და იქიდან განაგრძობდა ბრძოლას საბჭოური რეჟიმის წინააღმდეგ. შედიოდა სტამბოლის პოლიტკომისიის შემადგენლობაში, იყო ედპ-ს საზღვარგარეთული ცენტრალური ბიუროს წევრი. თანამშრომლობდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „თავისუფალი საქართველოსთან", იცავდა ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალის გაერთიანება-შეკავშირებისა და საერთო ფრონტით მოქმედების იდეას. ჰყავდა მეუღლე და ერთი ვაჟი. დაკრძალულია სტამბოლში.

ლიტ.: გ. საითიძე, პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ., 2009; ლ. ურუშაძე, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე და პეტრე სურგულაძე (1914-1917 წლები), ჟურნ. „რელიგია", 2009, №3; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

სურგულაძე სიმონ ელიზბარის ძე (1885, სოფ.ლიხაური - 23.01.1920) - სოციალ-დემორკატი. განათლება ოჯახში მიიღო. ადრეულ პერიოდშივე ჩაება ბათუმში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში და გახდა რსდმპ-ს წევრი. 1919 აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ტაბიძე გალაკტიონ

ტაბიძე გალაკტიონ ვასილის ძე (17.XI.1891, სოფ. ჭყვიში - 17.III.1959, თბილისი) - **პოეტი.** განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1908 გაზეთ „ამირანსა“ და ჟურნალ „ჩვენს კვალში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები („მთვარე კაშკაშებს“, „შავი ღრუბელი“ და სხვ.). სემინარიაში სწავლისას შექმნა მოსწავლეთა ლიტერატურულ წრე და დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“. 1909 წ-დან თანამშრომლობდა ჟურნალ „ფასკუნჯთან“. 1910-1911 წწ-ში მუშაობდა სკოლის მასწავლებლად. 1912 საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში, სადაც მუშაობდა გაზეთების: „კოლხიდის“, „მნათობისა“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციებში. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. 1912 მონაწილეობდა გაზეთ „თემის“ ლიტერატურულ კონკურსში, სადაც მისმა ლექსმა „უხილავი“ მესამე პრემია დაიმსახურა. 1914 წ-ს დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი კრებული.

1918 დაამთავრა მოსკოვის სცენისმოყვარეთა ექვსთვიანი სარეჟისორო კურსები და თბილისში დაბრუნდა. მისი მონაწილეობით გამოიცა გაზეთები „რევოლუციური ნობათი“ და „შრომა“ და ალმანახი „ლიგეა“. 1918 წ-ის ივლისში მოსკოვში, Правда-ს თანამშრომელთა რეკომენდაციით, მიიღეს კომუნისტურ პარტიაში. 1918 წ-ის ნოემბერში კონსერვატორიაში გაიმართა ლიტერატურული მოღვაწეობის 10 წლის აღსანიშნავი საღამო. 1919 ახალდაარსებულ ჟურნალში „თეატრი და მუსიკა“ დაიბეჭდა გალაკტიონის წერილი „თეატრები“. გამოსცა ლექსების მეორე კრებული „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ („არტისტული ყვავილები“). მონაწილეობდა სახალხო თეატრსა და სახელოსნო კლუბში გამართულ ლიტერატურულ საღამოებში. სიმონ წეველთან (გაჩეჩილაძე) და რაუდ გოგოხიასთან ერთად ხელმძღვანელობდა შემოქმედებით გაერთიანებას „პოეტების კარავი“. 1920 წ-ის 3 **მარტს** გაიმართა გალაკტიონის დიდი შემოქმედებითი საღამო. გაზეთში „ახალი ნაკადი“ დაიბეჭდა ტერენტი გრანელის წერილი გალაკტიონზე. შემოქმედებითი საღამო გაიმართა ოპერის თეატრშიც. ასრულებდა პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას ჟურნალ „სახალხო გვარდიელში“. 1921 წ-ის 22 **- 25 იანვარს ჩატარებულ პოეზიის კონკურსში მოიპოვა** პოეტების მეფის ტიტული. 12 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონის პოეზიის საღამო, რომელზეც სიტყვით გამოვიდა თბილისში მყოფი თითქმის ყველა მწერალი. **იმავე წელს** შემოქმედების გამოცემათა კოლეგიის წევრად და მწერალთა კავშირის ახალშექმნილი გამგეობის საბჭოს წევრად აირჩიეს.

1921 წ-დან რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს“, 1922-1923 წწ-ში დააარსა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, იყო „მნათობის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. 1925 ჟურნალ „მნათობის“ მეათე ნომერში დაიბეჭდა მისი ასი ლექსი. 1927 გამოვიდა მისი ლექსების ერთტომეული, ერთჯერადი გამოცემა „გალაკტიონი“, რომელშიც გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები და წერილები იყო დაბეჭდილი. იმავე წელს ქ. სოხუმში გაიმართა პოეტისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო. 1928 მონაწილეობდა მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესის მუშაობაში. 1929 იმოგზაურა სომხეთში. 1932 მიენიჭა სახალხო პოეტის წოდება. იყო კულტურის დაცვის პარიზის მსოფლიო კონგრესის პრეზიდიუმის წევრი. 1928-1938 წწ-ში აღნიშნა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 20 და 30 წლის იუბილეები. 1944 წ-ს მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, იმავე წელს აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1943 აღინიშნა მისი დაბადების 50-ე წელი. 1953-1957 წწ-ში ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის პოეზიის მიმართულებას. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №8; „ახალი ნაკადი“ №4; „სახალხო საქმე“, №

788, 789, 791, 793, 792, 801; გაზ. „ერთობა“, №44, 46, 47, 48, 50; „ერთობა“, №147, 156, 157; ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №8; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №49; ჟურ. „ტფილისი“, 1920 №1. „სახალხო საქმე“, №546; №561; №482; გაზეთი „კომუნისტი“, №81.

ეკა ჯავახიშვილი

ტაბიძე ტიციან იუსტინეს ძე (2.IV.1895, სოფ. ჭყვიში - 16.XII.1937, თბილისი) - ქართველი სიმბოლისტი პოეტი, მწერალი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი. განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და გიმნაზიაში. 1911 მისი ნოველები, მინიატიურები და ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „კოლხიდა“, „სახალხო გაზეთი“, „ერი“, „თეატრი და ცხოვრება“. 1913 სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1917 მუშაობდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. ამავე პერიოდში იყო „ცისფერყანწელთა“ პოეტური ორდენის ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს და წერილებს ჟურნალ-გაზეთებში („მღვდელი და მალარია”, „ტფილისი”, ორპირის სეზონი“, „ორი აპრილი და ა.შ). 1918 კონსერვატორიის დარბაზში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის საღამოზე წაიკითხა ლექსი „მალარია“. 1918 მონაწილეობდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მხარდასაჭერ შემოქმედებით საღამოში. 1919 მონაწილეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. 1920 წ-დან რედაქტორობდა ჟურნალებს „რუბიკონი“ და „ბარრიკადი“. 1920 წ-ის 18 ოქტომბერს ჟურნალ „ბარრიკადში“გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც განიხილა ალექსანდრე აბაშელის, სოლომონ თავაძის, ხარიტონ ვარდოშვილის, ნოე ჩხიკვაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, შიო არაგვისპირელის, ივანე გომართელის, აკაკი პაპავას და კონსტანტინე გამსახურდიას ლექსები და წერილები. 1921 წ-ის 17 დეკემბერს საქართველოს მთავარი კომიტეტის პლენარულ კრებაზე პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. იმავე წელს არჩეულ იქნა საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის საბჭოს წარმომადგენლად პაოლო იაშვილთან და ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად. იმავე პერიოდში, პუშკინის დღეებთან დაკავშირებით, შეიქმნა კომისია, რომლის თავჯდომარე იყო ფ. მახარაძე, მდივანი კი ტ. ტაბიძე. გასაბჭოების შემდეგ გამოაქვეყნა წერილი „პოეტები და რევოლუცია“, რომელშიც გააკრიტიკა კოლეგები ანტისაბჭოური მოღვაწეობის გამო.

თარგმნა ალექსანდრე პუშკინის, ი. ბუნინის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ლ. არაგონისა და სხვათა თხზულებები. ლირიკულ ლექსებთან ერთად წერდა პოემებს, მინიატიურებს, წერილებს, ესეებს, ლიტერატურულ ნარკვევებს, თარგმნიდა სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა ნაწარმოებებს. 1935 მოსკოვში გამოიცა მისი პოეტური კრებული რუსულ ენაზე. 1937ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. საფლავი უცნობია.

ლიტ.: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ოქტომბერი, 1918; „კომუნისტი“, 6 თებერვალი 1937; „ბარრიკადი“, 7 იანვარი 1922.

ეკა ჯავახიშვილი

ტაბიძე ტიციან

ტანკები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს 1920 წ-დან შეიარაღებაში ჰყავდა იმ დროისათვის ყველაზე თანამედროვე საბრძოლო მანქანა ტანკი. ეს ტანკები სახელმწიფოს ხელში ჩაუვარდა 1920 წ-ის გაზაფხულზე, როდესაც ჩრდილო კავკასიაში ბოლშევიკებმა დაამარცხეს დენიკინის ნაწილები და გენერლების, დრაცენკოსა და ერდელის, შენაერთებმა საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნირება მოითხოვეს. რესპუბლიკის მთავრობამ მათ ნება დართო საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულიყვნენ, მაგრამ მათ ჩამოართვა იარაღი, მათ შორის ორი Mark V მოდელის ტანკი. ტანკები ჩარიცხეს სახალხო გვარდიის ჯავშნოსან შენაერთში, თუმცა ორივე ტანკი იყო ამორტიზებული და მათი შეკეთება ადგილობრივი ძალებით ვერ მოხერხდა. რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის დროს თბილისში შემოსულმა რუსებმა რკინიგზის სადგურის სახელოსნოებში მიაგნეს ტანკებს და გააგზავნეს მოსკოვში. გაგზავნამდე კი 1921 წ-ის 20 მარტს მეთერთეტე არმიის ჯავშანძალების მეთაურმა, ზუნმა, უკვე საბჭოთა საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების კომისარს მისწერა, რომ ტექნიკის აწყობა მხოლოდ ცენტრში, დიდ ქარხანაში იქნებოდა შესაძლებელი და ამიტომ ითხოვდა ტანკების მოსკოვში გაგზავნის ნებართვას, როგორც საქართველოს მთავრობის „საჩუქარს” რუსეთისადმი.

ლიტ.: დ. სილაქაძე, პირველი ტანკები საქართველოში ჟურნალი ისტორიანი თბ., 2013, N4(28).

დიმიტრი სილაქაძე

ტანკი რუსული წიგნიდან-ტანკები



ტატიშვილი ივანე

ტერ სტეფანიანი
გარეგინ

ტერ პერსაგოვა-
მახვილაძისა
ელიონორა

ტოროშელიძე
მინადორა

ტატიშვილი ივანე ალექსის ძე (მეტსახელი: გიორგი) [1878, სოფ.გალავანი - 23.04.1963] - განათლება ოჯახში მიიღო, ბავშვობიდანვე მუშაობდა მოჯამაგირედ. 1905 წ-დან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრია და აქტიურად მონაწილეობს 1905 წ-ის რევოლუციურ მოძრაობაში. 1907 დააპატიმრეს და გადაასახლეს ასტრახანში. თბილისში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა რსდმპ თბილისის კომიტეტის პარტიულ ჯგუფში, რომელიც მიზნად ისახავდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებას. 1919 აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული (18.VII.1875, თბილისი - ?). პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი. სწავლობდა თბილისის ქალთა გიმნაზიის კურსებზე. მეუღლესთან, ვლადიმერ მახვილაძესთან, ერთად დასახლდა სოხუმში, დაიწყო კერძო სკოლის მასწავლებლად მუშაობა და ჩაება სოც-დემ. პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფის საქმიანობაში. ჯგუფმა 1905 წ-ის ნოემბერ-დეკემბერში ხელში ჩაიგდო ქ. სოხუმის მმართველობა, ჩამოაყალიბა სახალხო მილიცია, ბოიკოტი გამოუცხადა სოხუმის თვითმმართველობას, ხმოსნები აიძულა გადადგომის განცხადებით მიემართათ ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკისთვის და დაიწყო საყოველთაო არჩევნებით ახალი თვითმმართველობის ასარჩევად მზადება. 1908-1917 წწ-ში ე. მახვილაძე ოთხჯერ იყო დაპატიმრებული.

1919 წ-ის მარტში აირჩიეს სდრ დამფუძნებელი კრების წევრად, იყო შრომის და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების წევრი. იყო არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი. აქვეყნებდა წერილებს გაზეთ „ერთობაში“.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ ჩაება ანტისაბჭოთა არალეგალურ საქმიანობაში. 1922 წ-ის 13 თებერვალს ჩეკამ დააპატიმრა ძმასთან - კონსტანტინე ტერ-ფარსეგოვთან ერთად. ოთხთვიანი პატიმრობის შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გაათავისუფლეს მეტეხის ციხიდან. 1924 წ-ის აჯანყების დამარცხების შემდგომ ე. მახვილაძე აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციების აღდგენის პროცესში. 1925 აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცეკას შემადგენლობაში. 1926 დააპატიმრა ჩეკამ და გაასახლა ამიერკავკასიიდან. 30-იან წწ-ში დაბრუნდა გადასახლებიდან და ეწეოდა კერძო პედაგოგიურ პრაქტიკას.

ლიტ.: ნ. კირთაძე, „კაენ, სად არის ძმა შენი?!“, თბ., 1998; ქალები წარსულიდან, თბ., 2015; დაკარგული ისტორია-მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, SOVLAB, თბ., 2012.

ბონდო კუპატაძე

ტერ-სტეფანიანი გარეგინ არზატის ძე (ფსევდონიმი: სლეპცოვი) (14.I.1876, სიღნაღი - ?) საშუალო განათლება თბილისის და ალექსანდროპოლის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მიიღო. იყო დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრი. პოლიტიკური მოღვაწეობის გამო 1908 დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ აირჩიეს თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად. 1919 დაშნაკცუტიუნის სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი გახდა. 1921 საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაპატიმრეს, თუმცა ერთი წლის შემდეგ გამოუშვეს. 1922 დაშნაკებმა მოკლეს ოსმალეთის იმპერიის ყოფილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე ახმედ ჯემალ-ფაშა. დაკავებულთა შორის იყო გარეგინ ტერ-სტეფანიანიც.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ტოროტაძე ერასტი ილარიონის ძე (1886, ქუთაისის მაზრ. - ?) - სოციალისტ-ფედერალისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ელემენტარული განათლება ოჯახში მიიღო. წლების განმავლობაში მუშაობდა ასოთამწყობად სხვადასხვა ქართულ სტამბაში. ადრეული ასაკიდან შეუერთდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას. ე. ტო-ძეს ფსევდონიმით, მუშათა პრობლემების შესახებ წერილებს აქვეყნებდა პარტიულ პრესაში. 1907 წ-დან იყო ქ.შ.წ.გ. საზოგადოების ნამდვილი წევრი.

1918 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დაასახელა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. იყო ეროვნული საბჭოს მუშათა საკითხების კომისიის წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოში. აქვეყნებდა სტატიებს გაზეთ „სახალხო საქმეში“ .

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127; გაზ. „ერთობა“, 1920, №173.

ირაკლი ირემაძე

ტოროშელიძე-ორჯონიკიძე მინადორა ეფრემის ასული (14.III1879, სოფ. ღორეშა, შორაპნის მაზრა - 19.X.1967) - პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი, მედიცინის დოქტორი, სოციალ-დემოკრატი. ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდგომ სწავლა გააგრძელა ჟენევის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტ-

ზე (1901), სადაც დაუახლოვდა მარქსისტულ ჯგუფებს, იქვე იქორწინა მალაქია ტოროშელიძეზე. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წ-ის რევოლუციაში, მიემხრო მენშევიკთა ფრაქციას, მისი მეუღლე კი ბოლშევიკებს. 1906 კვლავ ჟენევაში დაბრუნდა სწავლის დასასრულებლად. 1914 ევაკუაციის წესით დააბრუნეს რუსეთის იმპერიაში. მუშაობდა თბილისის ქალთა კავშირში. იყო თბილისის ქალთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

1917 წ-ის ნოემბრიდან იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, შემდგომ კი პარლამენტის (ეროვნული საბჭოს) წევრი. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1919 სოც-დემოკრატიული პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად (1919-1921). იყო შრომის კომისიის მდივანი და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. არჩეული იყო საქართველოს წითელი ჯვრის გამგეობის წევრად (1918-1921).

წითელი არმიის შემოჭრისას იყო ფრონტის ხაზზე. საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ, ამერიკული დახმარების ადმინისტრაციაში (American Relief Administration) მუშაობის პარალელურად, ხელმძღვანელობდა ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას, რომლის მიზანი პოლიტპატიმართა ოჯახების დახმარება იყო. 1922 წ-დან კომიტეტი გარდაიქმნა ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლი პარტიების ერთიან ორგანიზაციად - „საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი". ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელის, ელენე მაისურაძის, დაპატიმრების შემდეგ მ. ტოროშელიძე გახდა მისი ხელმძღვანელი. 1924 იძულებით გაასახლეს მოსკოვში და მხოლოდ მენშევიკებთან მუშაობაზე უარის თქმის შემდგომ მისცეს თბილისში დაბრუნების უფლება. მისი ნათესავის, სერგო ორჯონიკიძის, სიკვდილის შემდგომ მ. ტოროშელიძის მდგომარეობა გართულდა. 1936 წ-ის დეკემბერში ანტისაბჭოთა საუბრებისა და მენშევიკ გრიგოლ ლორთქიფანიძესთან კონტაქტების ბრალდების საფუძველზე 5 წლით გადაასახლეს ყაზახეთში. ქ. ჩიმკენტის პოლიკლინიკის ექიმად მუშაობდა, როდესაც დააპატიმრეს და 1937 წ-ის ოქტომბერში „სამეულმა" გულაგში 8-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. გაასახლეს ჯერ „ტაიშეტლაგში", შემდეგ ყარაგანდის შრომა-გასწორების ბანაკში (1942-დან). სასჯელის ვადის ამოწურვის შემდგომ კიდევ 3 წლით გაუგრძელეს გადასახლება. „სამეულის"გადაწყვეტილებით 1937 დახვრიტეს მისი ოჯახის წევრები: მეუღლე - მალაქია და შვილები ლევან და გიორგი ტოროშელიძეები. გადასახლებიდან 1950 წ-ს დაბრუნდა. 1956 მოხდა მისი რეაბილიტაცია.

ლიტ.: ქალები წარსულიდან, თბ., 2015; დაკარგული ისტორია-მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, SOVLAB, თბ., 2012.

ბონდო კუპატაძე

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია და საქართველო – ამიერკავკასიის სეიმმა შექმნის პირველივე დღეებში დაიწყო მზადება ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის. საზავო პირობების შემმუშავებელი კომისიის (თავმჯდომარე ნ. რამიშვილი) მიერ სეიმის 1918 წ-ის 16 თებერვლის სხდომაზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების ამოსავალი უნდა ყოფილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1914 წ-ის სახელმწიფო საზღვარი. ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: აკ. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ჰ. აბაშიძე, მ. გაჯინსკი, ი. ჰაიდაროვი, გ. გვაზავა, რ. კაჩაზნუნი, გ. ლასხიშვილი, მ. მეხტიევი, ხ. ხას-მამედოვი, ა. ხატისოვი, ა. შეიხ-ულ ისლამოვი. თარჯიმნები: დოქტორი ღამბაშიძე და რასულ-ზადე. ტრაპიზონის კონფერენციის პირველი სხდომა 1918 წ-ის 14 მარტს ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ ბეიმ გახსნა და მოლაპარაკებების სხდომების თავმჯდომარეობის პასუხისმგებლობაც თავის თავზე აიღო. ამიერკავკასიის სახელმწიფოს საერთაშორისო სუბიექტად არცნობის მტკიცების ფონზე, მან ამიერკავკასიის დელეგაციის მისამართით რამდენიმე ძირითადი პრეტენზია წამოაყენა: 1. ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში ამიერკავკასია დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არ იყო, იგი არცერთი სახელმწიფოსგან აღიარებული არ იყო და, აქედან გამომდინარე, ბრესტის ხელშეკრულების იმ ნაწილის ბათილად გამოცხადება, რომელიც მას ეხებოდა, არ შეეძლო; რაც შეეხება ოსმალეთს, მას მიზნად ჰქონდა ბრესტის ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა. ამიერკავკასიას დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ უნდა გამოეცხადებინა და ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები. კონფერენციის მეოთხე სხდომაზე აკ. ჩხენკელმა დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით რაუფ-ბეის ყველა არგუმენტი გააბათილა. მან ოსმალეთის წარმომადგენელს შეახსენა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ-ის 5 იანვრის დადგენილებით, ამიერკავკასია თავს დემოკრატიული რუსეთის (და არა საბჭოთა რუსეთის, როგორც ეს რაუფ-ბეიმ განაცხადა) შემადგენელ ნაწილად აცხადებდა და ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყებას დამფუძნებელი კრების რწმუნების მიღებისთანავე ითვალისწინებდა. თუ ოსმალეთი ამიერკავკასიას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად არ თვლიდა და საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა, 1917 წ-ის 5 დეკემბრიდან 1918 წ-ის 1 იანვრის ჩათვლით ვეჰიბ-ფაშას მიერ გაცემულ და სხვა დოკუმენტებში რატომ მოიხსენიებოდა ამიერკავკასია დამოუკიდებელ ერთეულად და ა. შ. ჩხენკელი, პირიქით, ოსმალეთის მხარეს უყენებდა პრეტენზიას - რა უფლებით აცხადებდა ეს უკანასკნელი პრეტენზიას ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოკ-

რუგებზე. რაუფ-ბეიმ თითქმის პასუხგაუცემელი დატოვა ზემოაღნიშნული კითხვა. ეს ფაქტი ჰქონდა მხედველობაში ს. ფირცხალავას, როცა განაცხადა: „ტრაპიზონის მოლაპარაკების შედეგს სამხედრო ძალაზე დამყარებული "დიპლომატია" განსაზღვრავსო. ამიერკავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში არსებული წინააღმდეგობების გამო, ამიერკავკასიის სეიმის 13 მარტის დადგენილებით, აკ. ჩხენკელი საგანგებო უფლებებით იქნა აღჭურვილი და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა მიეცა. მან 23 მარტს ოსმალეთის მხარეს ოლთისის ოკრუგი, არდაგანის სამხრეთი ნაწილი, ყარსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და კაღიზმანის დასავლეთი ნაწილი შესთავაზა. რაუფ-ბეიმ კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა და ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობასთან მოლაპარაკების საბაბით, სხდომა დახურულად გამოაცხადა. 1918 წ-ის 24 მარტს ამიერკავკასიის დელეგაციამ რაუფ-ბეისგან ულტიმატუმი მიიღო: 48 საათის განმავლობაში მოეხდინა ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარებაზე პასუხის გაცემა. 26 მარტს ოსმალეთის მხარემ საომარი მოქმედებები განაახლა. 31 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია ტრაპიზონიდან თბილისში იქნა გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის მთავრობას აკ. ჩხენკელმა ოსმალეთთან შემდგომი მოლაპარაკების გაგრძელების შესაძლებლობა დაუტოვა.

ლიტ.: მ. სვანიძე, ტრაპიზონის კონფერენცია (1918 წლის 14 მარტი-14 აპრილი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული V, თბ.,1998; შ. ვადაჭკორია, ტრაპიზონის საზავო კონფერენცია და ქართული პოლიტიკური აზრი, 1918 წელი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2009. შოთა ვადაჭკორია

„ტფილისი“ (№1, 1920, თბილისი)**–** ხელოვნებათა და ლიტერატურის ყოველკვირეული ჟურნალი. რედაქტორი - სარედაქციო კოლეგია. 14-გვერდიანი გამოცემის ერთადერთ ნომერში ძირითადად იბეჭდება მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის: გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ტფილისი“, გიორგი სავანელის უსათაურო ლექსი, არტემ გაბუნიას ნოველა „ფანტაზია“ და სხვ.

ჟურნალში დიდი ადგილი უჭირავს თარგმნილ ლიტერატურას. იბეჭდება ფრანჩესკო პეტრარკას „ორი ნაწყვეტი“, რიჰარდ საუკალის „უსათაურო ნოველა“, ედგარ პოს „კოლიზეი“, პიერ ლუისის „ ეპიტაფია“, შარლ ბოდლერის „ფანჯრები“, რაშილდის „სამი ყვავილი“. გამოცემაში „ი.ი-ანის“ ფსევდონიმით (ი. ლორთქიფანიძის ცნობით, ფსევდონიმი ეკუთვნის ივანე იოსელიანს) ქვეყნდება წერილი „გენიალური გალაკტიონი“, რომელშიც ავტორი ქართულ პოეზიაზე საუბრობს და ცდილობს მასში გალაკტიონის ადგილი განსაზღვროს.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, ჟურ. „ტფილისი“, 1920, №1,

მანანა შამილიშვილი

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე (1919 - 1930) **–** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. რედაქტორები ა. შანიძე და ს. ყაუხჩიშვილი. გამომცემელი უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1919-1920 წწ-ში „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ გამოვიდა ერთ წიგნად, რომელშიც მასალა დაიბეჭდა ქართულ და ფრანგულ ენებზე. სარჩევიც ორენოვანია. შედგება სამი განყოფილებისაგან: 1. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი; 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი; 3. სამკურნალო ფაკულტეტი. რედაქციის წინასიტყვაობაში ნათქვამია: რომ „ტფილისის უნივერისტეტის მოამბე“ დაიბეჭდა 400 ცალი. ამათგან 250 ცალი ერთ წიგნად გამოიცა, ხოლო დანარჩენი 150 ცალი გაყოფილია სამ-სამ ნაწილად და ცალკე ნაკვეთებად ფაკულტეტების მიხედვით. „რადგან უნივერსიტეტს თავის სტამბა არ აქვს და სხვა სტამბები ტექნიკურად ისე არ არის მოწყობილი, რომ უნივერსიტეტის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, ამიტომ პროფესორთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან თითოეულმა ფაკულტეტმა ცალკე გამოსცეს თავისი საკუთარი მოამბე“. კრებულში ფაკულტეტების მიხედვით იბეჭდება ცალკეული გამოკვლევები და შრომები, მაგ., სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის განყოფილებაში იბეჭდება: ი. ყიფშიძის „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“, შ. ნუცუბიძის „ბუნებისათვის ცნებისა“, კ. კეკელიძის „ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა)“, დ. უზნაძის „ლეიბნიცის Petites perceptions-თა ადგილი ფსიქოლოგიაში“, აკ. შანიძის „ნასახელარი ზმნები ქართულში“, ს. ავალიანის „ხიზანი“, ე. თაყაიშვილის „შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ“. მეორე განყოფილებაში - სამათემატიკო - იბეჭდება პ. მელიქიშვილის ორი გამოკვლევა: „ჩვენი სასმელ-საჭმელის ქიმიური შემადგენლობა“ და „ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა“. ნ. ციციშვილის "ამონიაკის განსაზღვრა ყველში“, ასევე თ. ბებურიშვილისა და ნ. ციციშვილის „კახური ღვინოების ანალიზი“ - საკმაოდ ვრცელი ნაშრომი, რომელსაც ახლავს ცხრილები, ანალიზების შედეგები და სხვ. ამ განყოფილებაში ორი ნაშრომი ფრანგულ ენაზეა დაბეჭდილი: მ. ნიკოლაძის „Sur une méthode nouvelle de la géorgie analytique" და ა. რაზმაძის „Deux propositions du calcul des Variations“. მესამე განყოფილებაში - სამკურნალო - იბეჭდება სამი ნაშრომი მედიცინიდან. ესენია: მ. წინამძღვრიშვილის „შემთხვევა Biermer-ის პერნიციოზული ანემიისა“, ნ. მახვილაძის „პელლაგრის ოთხი შემთხვევა ტფილისში“ და ზ. მაისურაძის „თირკმელების თანდაყოლილი ანომალია (ნალისებრი თირკმელი)“.

ლიტ.: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1919/1920; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819–1945, თბ., 1947.

მარი წერეთელი

ტყვარჩელის იტალიურ-ქართული კონცენსია – ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვების და მისი ეკონომიკური რესურსის გამოყენებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აზერბაიჯანის საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს ისედაც არასტაბილურად მომარაგება სათბობი რესურსებითა და ნავთობით საბოლოოდ მოიშალა და შეწყდა. სატრანსპორტო საშუალებათა, განსაკუთრებით კი რკინიგზის ფუნქციონირებისათვის ქვანახშირს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, ტყვარჩელის ქვანახშირის მარაგები და საექსპორტო პოტენციალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო. ტყიბულის საბადო, რომელიც უკვე საშუალო დატვირთვით ფუნქციონირებდა, ბევრად ნაკლები ხარისხის ქვანახშირის მწარმოებელი იყო და მისი მარაგები ქვეყნის შიდა მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა ქვეყანაში მნიშვნელოვანი საგარეო ინვესტიციების მოზიდვას. 1920 წ-ის დასაწყისში იტალიის სავაჭრო-სამრეწველო მისია ეწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, კონტის, მეთაურობით. მისიამ საქართველოსთან მიაღწია სავაჭრო-სამრეწველო შეთანხმებას. 1920 წ-ს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი ევროპაში გაემგზავრა მსხვილი ფინანსური რესურსების მოსაზიდად. 1920 წ-ის ბოლოს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლუატაციის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული იტალიურ კონცესიასთან. 1921 წ-ის დასაწყისში კი შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, იტალიურ კონცესიას ტყვარჩელის საბადოები 45-წლიანი ვადით გადაეცა. ხელშეკრულების თანახმად, კონცესიონერი ვალდებული იყო, მოპოვებული ნახშირიდან გარკვეული წილი უფასოდ მიეცა სახელმწიფოსათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში წარმოების 25 % თვითღირებულების ფასში მიეყიდა. წლებთან ერთად სახელმწიფოსათვის უფასოდ მიცემული ნახშირის მოცულობა იზრდებოდა და 20 წლის შემდეგ საერთო მოცულობის 20 %-ს შეადგენდა. ხელშეკრულების დადებიდან 30 წლის შემდეგ სახელმწიფოს კონცესიის გამოსყიდვის უფლება ენიჭებოდა. ხელშეკრულების თანახმად, კონცენსიის სარგებლობაში გადადიოდა საბადოსთან არსებული ინფრასტრუქტურა. მინისტრი კანდელაკი მიღწეულ შეთანხმებას საქართველოსათვის ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მომგებიან გარიგებად აფასებდა, თუმცა ოპოზიციური პარტიები აპროტესტებდნენ „ხალხის სიმდიდრის“ უცხო კაპიტალისტებისათვის გადაცემას. დამფუძნებელ კრებაში კონცესიასთან დადებული შეთანხმების განხილვას ცხარე დებატები მოჰყვა, საბოლოო ჯამში, შეთანხმებას მხარი არ დაუჭირეს ესერებმა და ფედერალისტებმა, შეთანხმების პირობები მოიწონეს სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა.

ლიტ.: ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21 წწ.), თბ., 2001; ვ. ვ ო ი ტ ი ნ ს კ ი, ქართული დემოკრატია, თბ., 2018; გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1921, №11, №17.

ირაკლი ირემაძე

უ

უვაროვი ბორის პეტრეს ძე (1888 - 1970) – ენტომოლოგი. 1910 პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად, საქართველოში. იგი იყო საქართველოს მუზეუმის (ძველი კავკასის მუზეუმი) ენტომოლოგი. 1919 წ-ის ოქტომბრიდან სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობით იწყებს მუშაობას თსუ-ში დოცენტის თანამდებობაზე. 1920 უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დავალებით ბაქოში გაემგზავრა ენტიმოლოგიის კოლექციის შესაფასებლად და შესაძენად. 1920 წ-დან სამუდამოდ წავიდა ინგლისში. იყო ენტომოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი და ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი



უზნაძე დიმიტრი

უზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე (2.XII.1886, სოფ. ქვედა საქარა, შორაპნის მაზრ. - 9.X.1950, თბილისი) - ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (1918) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1941) ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი. პროფესორი (1918). 1904 დაამთავრა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, ხოლო 1909 ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. იმავე წელს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი დაიცვა ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში (გერმანია). 1913 ექსტერნის წესით დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიის განხრით. 1909-1918 წწ-ში მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. აქტიურად მონაწილეობდა 1910-იანი წწ-ის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე.

1917-1919 წწ-ში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. 1917 ქუთაისში გამოსცა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი და უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი და მის მიერვე დაარსებული ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. დამოუკიდებლობის პერიოდში ხელმძღვანელობდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტს.

1935 დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1941 მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 გარდაიქმნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტად. დ. უზნაძის სამეცნიერო შრომები (რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზე) ეძღვნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თაოსნობით შექმნილი „განწყობის თეორია”, რომელიც სამართლიანად ითვლება თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვრად, ხოლო დ. უზნაძე სამართლიანად ითვლება განწყობის ფსიქოლოგიის მამამთავრად. დაკრძალულია თსუ-ის პანთეონში.

ლიტ.: გ. გვახარია, დიმიტრი უზნაძე - კაცი, რომელიც სიბნელეს ებრძოდა; მ. ბოჭორიშვილი, უზნაძის თეორია და პედაგოგიკა.

დოდო ჭუმბურიძე

უმაღლესი ეკონომიკური საბჭო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაზე მძიმე ზეგავლენას ახდენდა ბიუჯეტის

დეფიციტი, ინფლაციის ტემპების ზრდა და, საერთოდ, ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პირველ რიგში აუცილებელი იყო ქვეყანაში ეკონომიკის რეალური სექტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა) ამოქმედება და ეროვნული მოთხოვნილების დიდწილად ადგილობრივი რესურსებით დაკმაყოფილება. ამ მიზნით აუცილებელი გახდა პროფესიონალთა გამოცდილების გამოყენება, რასაც მოჰყვა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს („საბჭო") პროექტის შემუშავება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წ-ის 9 სექტემბერს განიხილა და მოიწონა „საბჭოს" დებულების პროექტი და იგი განსახილველად გადასცა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. მან, თავის მხრივ, 1920 წ-ის 1 ნოემბერს „საბჭოს" პროექტი განსახილველად გადასცა საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიებს. „დებულების" მიხედვით: უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე ეფექტიანი ზეგავლენა უნდა მოეხდინა და ამ მიზნით უნდა შეემუშავებინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტი; მისი გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულო იყო ადრესატებისთვის; დავის წარმოშობის შემთხვევაში საკითხს განიხილავდა მთავრობა.

უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში გათვალისწინებული იყო სამი - მრეწველობის, ვაჭრობის და ფინანსების განყოფილებების შექმნა; უნდა ემოქმედა ოთხ სექციას - სახელმწიფო, მუნიციპალური, კოოპერატივების და კერძო „თაოსნობის" მიმართულებებით. „საბჭოს" უხელმძღვანელებდნენ თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი. მის შემადგენლობაში წევრად ასევე გათვალისწინებული იყო რამდენიმე მინისტრი და სახელმწიფო კონტროლიორი.

ლიტ.: თ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თბ., 2006. T. A t a n e l i s h v i l i, Supreme Economic councils In Georgia - „Actual Economic Problems under GlobalizatIon", TSU: Paata Gugushvili institute of Economics. (21-22/X), 2011.

თამარ ათანელიშვილი

უნეუსი ანტონიო - საქართველოს მხარდამჭერი, ჩილეს წარმომადგენელი ერთა ლიგის ყრილობაზე, სადაც ლიგაში საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მიღების საკითხი იხილებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჟენევაში ახლად შექმნილ ერთა ლიგაში გაწევრიანება, რაც ქვეყნის საერთაშორისო სუბიექტად აღიარების საქმეში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა. ამ მიზნით, 1919 წ-ის შემოდგომაზე ჟენევაში მთავრობის დიპლომატიური მრჩეველი - ზურაბ ავალიშვილი მიავლინეს. ახლად შექმნილი საერთაშორისო გაერთიანების მიმართ განსაკუთრებული იმედის მზერა ჰქონდათ მიპყრობილი ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოებს. ისინი განსაკუთრებული ნდობით ეკიდებოდნენ ლიგის მეათე მუხლს, რომლის თანახმად: „ლიგის წევრები თავიანთ თავს მოვალედ თვლიან, პატივით მოეპყრან და ყოველივე გარეშე თავდასხმისაგან დაიცვან ტერიტორიული მთლიანობა და ლიგის ყველა წევრი სახელმწიფოს ახლანდელი დამოუკიდებლობა; თუ ადგილი ექნა თავდასხმას, მუქარას ან თავდასხმის საშიშროებას, საბჭო მოისაზრებს იმ საშუალებებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მიღებული მოვალეობის სისრულეში მოყვანას". საქართველოს კანდიდატურის შესახებ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორისა და ზურაბ ავალიშვილის ხელმოწერით, ერთა ლიგის წევრობაზე განცხადებული კანდიდატურის შესარჩევად ჩილეს წარმომადგენლის, დონ ანტონიო უნეუსის თავმჯდომარეობით, ერთა ლიგის საერთო კრების განსაკუთრებული წევრებისგან შემდგარი მე-5 კომისია შეიკრიბა. საკითხი საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და კოსტა-რიკის შესახებ შესასწავლად გადაეცა ე. წ. მე-3 ქვეკომისიას, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ნორვეგიელი მკვლევარი - ფრიტიოფ ნანსენი ხელმძღვანელობდა, ხოლო წევრებად შედიოდნენ: პროფ. ტომა იონესკუ (რუმინეთი), ე.დ. მილლენი (ავსტრალია), სპალაჰიკოვიჩი (იუგოსლავია) და ციან-ციაჰიფუ (ჩინეთი). აღნიშნულ ქვეკომისიას ერთა ლიგაში გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სახელმწიფოებისთვის ყველა კანდიდატურა უნდა შეესწავლა შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. ფორმალური კანონიერება ლიგაში მიღების შუამდგომლობისა;
2. შუამდგომლობის აღმძვრელი მთავრობა ცნობილია თუ არა დე იურე ან დე ფაქტო და, სახელდობრ, რომელი სახელმწიფოების მიერ;
3. კანდიდატი არის თუ არა მტკიცე მთავრობისა და გარკვეული საზღვრების მქონე ერი; მდებარეობა და მოსახლეობა;
4. აქვს თუ არა სახელმწიფოს თავისუფალი მართვა-გამგეობა;
5. როგორია მისი განწყობა თანახმად აქტებისა და დეკლარაციებისა ანუ საერთაშორისო მოვალეობებისადმი.

ანტონიო უნეუსის კომისიამ დადებითი დასკვნა დადო და მხარი დაუჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში განევრიანების საკითხს. საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი ფრანგი სპეციალისტი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ლუი ლე ფური აღნიშნავს: „ნაციათა ლიგის კრების პირველ სესიაზე 1920 განხილულ იქნა საკითხი საქართველოს მიღების შესახებ. საქართველოს დელეგაციამ სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წ-ის 26 მაისს, წარმოადგინა საქართველოს მთავრობის სახელით მოთხოვნა, რათა დაშვებული ყოფილიყო წევრად, თანახმად ნაციათა ლიგის პაქტის პირობებისა. ამ

უნიუესი ანტონიო

საგნის განხილვის დროს, როგორც მეხუთე კომისიაში, ისე ლიგის საერთო კრებაზე არც ერთ წევრს არ გამოუცხადებია პრინციპული წინააღმდეგობა საქართველოს დაშვებისა. კრებამ, თანახმად კომისიის წინადადებისა, გადაწყვიტა საქმის გადადება, ეს მოხდა 1920 წ-ის 16 დეკემბერს. მანამდე მიმდინარეობდა ამ საკითხთან დაკავშირებული დეტალების განხილვა და მოსმენა ერთა ლიგის მე-5 კომისიაში გადადების მოსაზრება ის იყო, რომ საქართველო, როგორც მეზობელი საბჭოთა რუსეთისა, რომელიც ნაციათა ლიგის გავლენის გარეშე იმყოფებოდა, საფრთხეში იყო ჩავარდნილი რუსეთის აგრესივობით. პაქტის მეათე მუხლის ძალით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა წევრის ტერიტორიის მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ნაციათა ლიგა ვალდებული იქნებოდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის განსაცდელის დროს. ხოლო ლიგას არ მოეპოვებოდა საშუალება ნამდვილი დახმარების გასაწევად და ეს შეუძლებლობა ზიანს მიაყენებდა მის ავტორიტეტს.“

ლიტ.: Louis Le Fur, საქართველო და საერთაშორისო უფლება (თარგმანი ფრანგულიდან), „დამოუკიდებელი საქართველოს“ გამოცემა №3, პარ., 1933; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003; ჟურ. „ჩვენი დროშა“, 1975, №3; M. Leonetti, Documents: La Démocratie, le Socialisme et la Société des Nations contre la Paix, Pompei, 1987; ნ. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები, თბ., 1997; ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-1923, თბ., 1997; ლ. ჯავახიშვილი, საქართველოს ურთიერთობა ერთა ლიგასთან და ქართული პრესა 1919-1920 წლებში, ჟურ. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, ტ. VIII, თ., 2001.

ლელა სარალიძე

უორდროპი ოლივერ

უორდროპი ჯონ ოლივერ (10.X.1864, ლონდონი - 19.X.1948) - ბრიტანელი დიპლომატი, მთარგმნელი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე. 1887 პირველად იყო საქართველოში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოსცა წიგნი „საქართველოს სამეფო“. შეისწავლა ქართული ენა და ინგლისურად თარგმნიდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, მათ შორის: ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (1894); „ვისრამიანი“ (1914). 1912 ლონდონში გამოსცა თავისი დის, მარჯორი უორდროპის, მიერ ინგლისურ ენაზე პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

ო. უორდროპი მრავალ ქვეყანაში მსახურობდა დიპლომატიურ სარბიელზე. 1918 იყო დიდი ბრიტანეთის გენერალური კონსული მოსკოვში, საბჭოთა რუსეთში. ამის შემდეგ მცირე ხანს მუშაობდა ბრიტანეთის პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტში. 1919 წ-ის ზაფხულში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის (ოქტომბრიდან - მინისტრის), ლორდ კერზონის, ხელშეწყობით, ო. უორდროპი დაინიშნა დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლად - უმაღლეს კომისრად. 30 აგვისტოს საქართველოში ჩამოსულ უორდროპს ქართველი საზოგადოება შეხვდა როგორც მხსნელს, ხოლო მასთან შეხვედრა სახალხო დღესასწაულად იქცა. ქართული პოლიტიკური ელიტა იმედოვნებდა, რომ უორდროპი შეძლებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების, როგორც ადრინდელი გერმანიის მოკავშირის და ბრიტანეთის მტრის იმიჯის შეცვლას. უორდროპმა საქართველოში მუშაობის 8 თვის მანძილზე ბევრი რამ შეძლო. ჯერ კვირაში 2-3 რეპორტს აგზავნიდა ლონდონში, ხოლო შემდეგ თითქმის ყოველდღიურ მოხსენებებს, რომლებიც საქართველოსადმი პოზიტიურ ინფორმაციებს შეიცავდა და საკუთარ ხელისუფლებას არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება ბრიტანეთის მიერ. უორდროპს დიდი წვლილი მიუძღოდა, რომ ბათუმის ოლქის მმართველობაში შესუსტდა ოსმალეთისა და დენიკინელების აგენტთა გავლენა და გაიზარდა პროქართული ძალების როლი; 1919 წ-ის ნოემბერში კავკასიის სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა საბაჟო, სატრანზიტო და სარკინიგზო ხელშეკრულებას; დამოუკიდებელი საქართველოსადმი ბრიტანეთის ოფიციალური დამოკიდებულება შეიცვალა პოზიტიური ნიშნით. განსაკუთრებული იყო უორდროპის დამსახურება ბრიტანელების დარწმუნებაში, საჭირო იყო კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა. უორდროპის პერმანენტული რეპორტების შესახებ ბრიტანეთის აღმოსავლეთის დეპარტამენტის უფროსი კიდსტონი აღნიშნავდა, რომ უორდროპი გვბომბავს თავისი გრძელი რეპორტებით კავკასიის რესპუბლიკათა აღიარების მოთხოვნის თაობაზეო. 1919 წ-ის 24 დეკემბერს ლორდმა კერზონმა ბრიტანეთის მთავრობას წარუდგინა მემორანდუმი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ, საქართველოს შესახებ. 13-გვერდიან დოკუმენტში საქართველოსთან დაკავშირებით აღნიშნული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მომდინარეობა პრექრისტიანული ხანიდან; 1801 რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის აქტი; ქართველთა როლი ჯვაროსნულ ლაშქრობებში; 1907 ჰააგის კონფერენციისადმი ქართველი ხალხის პეტიციის წარდგენის ფაქტი და ა. შ., რომლებიც უორდროპის რეპორტებიდან იყო ამოკრებილი. მას საპატიო წვლილი მიუძღოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარებაში, რომელიც 1920 წ-ის 27 იანვარს მოხდა და რაც პირველმა აცნობა ქართველ ხელისუფლებს. 13 იანვარს უორდროპი ლონდონს აცნობებდა: „აღიარებამ თბილისში დიდი პატრიოტული დემონსტრაციები გამოიწვია. ინფორმაციის გამოცხადებიდან ერთ საათში ქალაქი დროშებით იყო მოფენილი, მანქანების მოძრაობა შეჩერდა, მაღაზიები და ქარხნები დაიხურა. მთელმა გარნიზონმა, კა-

ვალერიითა და არტილერიით, ჩემი სახლის წინ მოსასალმებლად ჩაიარა. შემდეგ მე და პრემიერ-მინისტრი მთავრობის სასახლესთან დავესწარით აღლუმს... ხალხთა მასის მხრიდან მთელი დღის განმავლობაში ვიღებდი უსასრულო ემოციებს და მათ ჩემს მანქანამდე მხრებზე აყვანილებმა მიმიყვანეს“. 1920 წ-ის თებერვალში უორდროპისათვის ცხადი გახდა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა ბათუმიდან ჯარის კონტინგენტის გაყვანა, რაც ნიშნავდა საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ მარტო დარჩენას, უმაღლესმა კომისარმა საგარეო სამინისტროს განუცხადა, თუ ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლებოდა, იგი თანამდებობიდან გადადგებოდა. უორდროპის გადაწყვეტილებას დაერთო მისი დაავადება. ქართველმა ექიმებმა ოპერაცია ჩაუტარეს. 1920 წ-ის აპრილში უორდროპმა საქართველო დატოვა.

1922 ო. უორდროპი მეფემ ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდებით დააჯილდოვა. 1921-1927 წწ-ში მუშაობდა სტრასბურგში, გენერალური კონსულის თანამდებობაზე. იგი მუდამ მხარში ედგა ბრიტანეთში მოხვედრილ ქართველებს და ქართულ კულტურულ-სამეცნიერო აქტივობებს მის მიერვე დაფუძნებული მარჯორი უორდროპის ფონდის საშუალებით. დაკრძალულია ლონდონთან ახლოს, სევენოუქსის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე, დასთან და მეუღლესთან, მარგრეთ კოლეტთან, ერთად.

ლიტ.: სერ ოლივერ უორდროპი - 150, წიგნი შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო, რედაქტირება გაუკეთა, ინგლისური ტექსტი ქართულ თარგმანს შეუდარა ბ. კობახიძემ, თბ., 2015.

ურატაძე გრიგოლ ილარიონის ძე (1884, სოფ. აცანა, ოზურგეთის მაზრა - 12.IV.1959, საფრანგეთი) - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი აღიარებული წარმომადგენელი. ჯერ სოფლის და შემდეგ ოზურგეთის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სამასწავლებლო სემინარიაში შევიდა, მაგრამ მალე დაანება თავი და ლანჩხუთის სკოლის სახალხო მასწავლებელი გახდა, ამასთან, ბათუმში ახალი სამასწავლებლო კურსები გაიარა და ლანჩხუთის სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა. რუსეთის იმპერიის საატახტო ქალაქში რევოლუციურ ლიტერატურას დაეწაფა და სტუდენტურ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა. არდადეგების დროს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სწავლა აღარ გააგრძელა და ლანჩხუთში სახალხო მასწავლებლად მუშაობა განაგრძო. საბოლოოდ, არჩევანი პროფესიონალ რევოლუციონერობაზე გააკეთა და მთელი ენერგიით ჩაება რევოლუციურ-პოლიტიკურ მოძრაობაში, განსაკუთრებით გურიასა და ბათუმში. 1903 პირველად დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში ჩასვეს, სადაც გაიცნო სტალინი (მაშინდელი ფსევდონიმით - კობა). 1903 წ-ის სექტემბერში ქუთაისის ციხიდან ეტაპით გადაასახლეს ორენბურგში, საიდანაც მალე გამოიქცა, კვლავ გურიაში დაბრუნდა და, როგორც სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ, რევოლუციური მუშაობა გააგრძელა. იყო გურიის გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური. მალე გურიიდან ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში გადავიდა. თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. 1911 ამიერკავკასიის ორგანიზაციამ სასწავლებლად პარიზის სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ სკოლაში გაგზავნა, სადაც შეხვდა და ახლოს გაიცნო ვ. ლენინი, ლ. კამენევი, ი. არმამდი, ნ. კრუპსკაია, ზინოვიევი, ლუნაჩარსკი და სხვ. კარგად იცნობდა აგრეთვე რუსული მენშევიზმის ლიდერებსაც. 1912 წ-ის აგვისტოში მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატების ვენის კონფერენციაში და ვ. მგელაძესთან ერთად რამდენიმე კვირის განმავლობაში ცხოვრობდა ლ. ტროცკის ბინაზე, რომელიც ამ დროს ქ. ვენაში გამოსცემდა გაზეთ „პრავდას“. თბილისში დაბრუნებული მალე დააპატიმრეს და სამი წლის ვადით ურალში გადაასახლეს. 1915 კვლავ სამშობლოში დაბრუნდა და ნ. ჟორდანიას მომხრეთა რიგებში ჩადგა. მალე ქუთაისში სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ახალი კვალის“ გამოცემას, რითაც მან ნ. ჟორდანიას მადლობა დაიმსახურა.

1917 რუსეთში რევოლუციის დაწყების პერიოდში, ნ. ჟორდანია და გ. ურატაძე, ლანჩხუთში იმყოფებოდნენ. მალე გ. ურატაძე ქუთაისში გაემგზავრა და მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩაუდგა სათავეში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო ჯერ პარლამენტის ეროვნული საბჭოს წევრი, შემდეგ კი აირჩიეს დამფუძნებელი კრების დეპუტატად. ამევე დროს, აქტიურად მუშაობდა გაზეთ „ერთობის“ რედაქციაში. 1920 რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა, მანვე, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ლ. კარახანთან ერთად, მოაწერა ხელი რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებას 1920 წ-ის 7 მაისს.

1921 საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში, საფრანგეთში წავიდა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, მეუღლის, არიანას გვერდით, რომელიც რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა.

ურატაძე გრიგოლ

ლიტ.: გ. შარაძე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, თბ., 2001; დ. საღირაშვილი, მოგონებანი და განცდანი საქართველოს დამოუკიდებლობის ხანიდან (მასალა საქართველოს ამ ხანის შესასწავლად), ჟურ. „ქართველი ერი“, ბერლინი, №6-7; რ. არსენიძე, გრიშა ურატაძე, დესპანი, ჟურ. „ჩვენი დროშა“, 1959, №30; გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი III, თბ., 1993.

ლელა სარალიძე

უქმე დღეების შესახებ კანონი – საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის 31 დეკემბრის კანონით „სამოქალაქო უქმე დღეებისა“, დაწესდა შემდეგი უქმე დღეები: ახალი წელიწადი - პირველი იანვარი; რუსეთის რევოლუციის პირველი დღე - 12 მარტი; ინტერნაციონალის დღესასწაული - პირველი მაისი და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე - 26 მაისი.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კონცეფცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე აქტუალური იყო. ეს კარგად ჩანს საკონსტიტუციო კომისიის 1919 წ-ის 24 თებერვლის სხდომის მასალებიდან, სადაც გაიჟღერა შემდეგმა სიტყვებმა: „არავითარი სუბსიდიები არ უნდა მიეცეს ეკლესიას სახელმწიფოსაგან“ (ნათაძე); „რაკი ეკლესია ჩამოშორებული იქნება, აღარც კავშირი უნდა იყოს მასა და სახელმწიფოს შორის“ (გ. ნანეიშვილი). ხელისუფლების ამ პოლიტიკას მოჰყვა სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება, ასევე, ეკლესიას ჩამოერთვა ბევრი სამოქალაქო უფლება და გადაეცა სახელმწიფოს.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორებისკენ გადაგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ-ის 17 ივნისს „უქმე დღეების რიცხვის შემცირების“ შესახებ კანონის მიღება. ამ დოკუმენტში ჩანს, რომ ხელისუფლებამ უქმე დღეებიდან გამორიცხა მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულები: მირქმა უფლისა - 15 თებერვალი; დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე - სამშაბათი, მეორე დღე სულიწმინდის მოფენისა, ფერისცალება უფლისა - 19 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინების დღე - 28 აგვისტო; ჯვართ-ამაღლება - 27 სექტემბერი და ტაძრად მოყვანა - 4 დეკემბერი.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, საქ. 420; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია

ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე (03.VIII.1871, ქუთაისი - 06.X.1933, თბილისი) - ქართული ეროვნული კლასიკური საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლოტბარი, გუნდის მომღერალი, ორგანისტი, ვალტორნისტი, ქართული ხალხური სიმღერების შემკრები, დირიჟორი, პედაგოგი. დაიბადა კათოლიკური ეკლესიის მნათეს მრავალშვილიან ოჯახში. 8 წლიდან გალობდა ქართული კათოლიკური ეკლესიის გუნდში. დაწყებითი განათლებაც ამავე ეკლესიასთან არსებულ ორწლიან სამრევლო სკოლაში მიიღო. 1879-1987 წწ-ში ცნობილი პიანისტი ფელიქს მიზანდარი ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა. 1889 წ-დან იწყებს ეკლესიის გუნდის ლოტბარობას და ორღანისტობას. 1887-1889 წწ-ში ძმასთან ერთად ლადო აღნიაშვილისა და იოსებ რატილის გუნდში მღეროდა. 1891 წ-ის აგვისტოში ჩაირიცხა თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ვალტორნის კლასის მოსწავლედ. 1895 წ-დან თეორიის განყოფილებაზე განაგრძო სწავლა, კომპოზიტორ ნ.ს. კლენოვსკის ხელმძღვანელობით. 1900 წ-ის აგვისტოში უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა. 1900-1903 წწ-ში მოსკოვის კონსერვატორიაში, კონტრაპუნქტის კლასში, ცნობილ კომპოზიტორთან და თეორეტიკოსთან, სერგეი ტანეევთან, სწავლობდა. მისი ხელმძღვანელობით აითვისა ი. ს. ბახის და ბახამდელი სტილის ოსტატთა პოლიფონიური ტექნიკის პრინციპები. სწავლის პერიოდში დაწერა პრელუდიები, სონატები, კანონები და ფუგები. ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერისა და შეგროვების მიზნით 1901 წ-ის ივლისსა და აგვისტოში იმოგზაურა ქართლში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში. 1903 მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა თბილისში. ვაჟთა და ქალთა სათავადაზნაურო გიმნაზიებში მიიწვიეს სიმღერისა და მუსიკის, ხოლო სამუსიკო სასწავლებელში (შემდგომში კონსერვატორია) მუსიკის თეორიის მასწავლებლად. 1905 მონაწილეობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ ჩამოყალიბებაში და არჩეულ იქნა მისი გამგეობის წევრად. წლების განმავლობაში მოგზაურობდა საქართველოს კუთხეებში და იწერდა ხალხურ სიმღერებს (300-მდე ხალხური სიმღერა ჩაიწერა. გამოიცა მისი კრებულები „რვა ქართული სახალხო სიმღერა“, „საეკლესიო საგალობელი წმინდა იოანე ოქროპირის წირვის წესისა“, „40 ქართული სახალხო სიმღერა“). 1910 წ-ის 31 ოქტომბერს ქართული „ფილარმონიული საზოგადოების“ გუნდმა მისი ლოტბარობით თბილისის ქაშვეთის ეკლესიაში შეასრულა „ლიტურგია“, იმავე წლის 9 დეკემბერს კი თბილისის სამუსიკო სასწავლებლის მოწაფეთა ორკესტრის „სიმფონიურ შეკრებაზე“ პირველად წარსდგა მსმენელის წინაშე სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის რანგში. კონცერტზე შესრულდა ბეთჰოვენის სიმფონია დო მინორი, N 5. 1912 ხალხური თქმულებით „ეთერიანით“ შთაგონებულმა დაიწყო მუშაობა ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“. ოპერის ნაწყვეტები პირველად 1913 თბილისში შესრულდა, 1914-1915 წწ-ში კი ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთსა და ბაქოში.



ფალიაშვილი ზაქარია

1917 წ-ის 1 აპრილს, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის კონსერვატორიად გადაკეთების შემდეგ, დაინიშნა კონსერვატორიის ინსპექტორად. კომპოზიტორის ყველაზე დიდი წარმატება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პერიოდს უკავშირდება. 1918 წ-ის 19 აგვისტოს დაასრულა „აბესალომ და ეთერზე“ მუშაობა, რომლის პრემიერა თბილისის ოპერის სცენაზე 1919 წ-ის 21 თებერვალს გაიმართა. ოთხი დღის შემდეგ გაიმართა მისი სამუსიკო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო (1919 განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ქართული მუსიკის ისტორიაში. „აბესალომის“ პრემიერამდე ორი კვირით ადრე, 5 თებარვალს, გაიმართა დიმიტრი არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პრემიერა, წლის ბოლოს, 11 დეკემბერს კი დაიდგა ვიქტორ დო-

ლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“). 1920 წ-ის ზაფხულში აბასთუმანში იწყებს მუშაობას თავის მეორე ოპერა „დაისზე“. ასრულებს მას. პარალელურად 1920-21 წწ-ში წერს რომანსებს.

1922 ინიშნება კონსერვატორიის დირექტორად. თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრის სცენაზე „დაისის“ პრემიერა გაიმართა. „დაისიც“, ისევე როგორც „აბესალომ და ეთერი“, ქართული კლასიკური მუსიკის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად იქცა. 1925 წ-ის 12 აპრილს შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი გადაუხადეს და პირველს ქართველ კომპოზიტორთა შორის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს. 1926 წ-ის ზაფხულში დაიწყო მუშაობა თავის მესამე ოპერაზე „ლატავრა“, 1927 დაწერა „საზეიმო კანტატა“. 1928 წ-ის 16 მარტს თბილისის სახელმწიფო ოპერის სცენაზე „ლატავრას“ პრემიერა შედგა. 1929 აირჩიეს თბილისის კონსერვატორიის რექტორად, 1932 კი, მისივე თხოვნით, გაათავისუფლეს აღნიშნული თანამდებობიდან. დაკრძალეს თბილისის ოპერის თეატრის ბაღში. 1937 მისი სახელი მიენიჭა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს; 1947 თბილისის „ნიჭიერთა ათწლედს“; ქუთაისის №2 მუსიკალურ სკოლას; ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელს. არსებობს მისი სახელობის ქუჩები თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში და საქართველოს სხვა ქალაქებში. 1960 თბილისში მისი მემორიალური სახლ-მუზეუმი გაიხსნა, 1968 ქუთაისში. 1971 მუსიკოსებისათვის დაწესდა მისი სახელობის პრემია.



ფარნიევი ალექსანდრე

ნაწარმოებები: ოპერები: „აბესალომ და ეთერი“ (1912-1919); „დაისი“ (1920-1923); „ლატავრა“(1926-1928), სასულიერო ნაწარმოებები: მესა (6 ნაწილად) გუნდისა და ორგანისათვის (1900). საგუნდო ნაწარმოებები: „მრავალჟამიერ“ სოლისტი ტენორისა, 6 ხმიანი გუნდისა და ორკესტრისათვის (1908); „დღეს მერცხალი“(1908); „იავნანა“; „ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“. რომანსები: „ახალ აღნაგო სულო“(1904); „ნანა შვილო“(1904); „რისთვის მიყვარხარ“; „მიყვარდა“; „სინანული“; „ნუ თვალთმაქცობ“. საბავშვო სიმღერები: „შოშიას ხმის სიმღერა“; „ზამთარი“. დამუშავებები: „8 ხალხური სიმღერა შერეული გუნდისათვის“ (1911); „ქართული ლიტურგია“ - იოანე ოქროპირის წირვის საეკლესიო საგალობლები შერეული გუნდისათვის (22 საგალობელი ქართლ-კახური კილო) (1911). კანტატა: „საზეიმო კანტატა“ სიმფონიური ორკესტრის, ვოკალური კვარტეტისა და გუნდისათვის (ს. შანშიაშვილის ტექსტი) (1927). საორკესტრო ნაწარმოებები: „ქართული სიუიტა“ სიმფონიური ორკესტრისათვის (6 ნაწილად) (1928).

ლიტ.: ლ. დონაძე, ო. ჩიჯავაძე, გ. ჩხიკვაძე, ქართული მუსიკის ისტორია, წ. I, „განათლება“, თბ., 1990; ზ. ფალიაშვილი - ბიოგრაფიული ცნობარი, კულტურის სამინისტროსა და ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ერთობლივი გამოცემა, თბ., 1964; ზ. ფალიაშვილი, „ავტობიოგრაფიული ცნობები“, თეატრი და მუსიკა, 1919, №1.

ზურაბ ლეჟავა

ფანიანცი (პანიევი) კონსტანტინე აბგერის ძე (1890, ქ. გორი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. ეროვნებით სომეხი. რსდმ პარტიის წევრი 1905 წ-დან. თავდაპირველად ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო. 1910 გადაასახლეს ვოლგოგრადში. შემდგომში პარტიულ მუშაობას ეწეოდა მოსკოვში.

1918 აირჩიეს სოხუმის ქალაქის საბჭოში. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს. შედიოდა კრების თვითმმართველობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებში. იყო თბილისის ქალაქის გამგეობის წევრი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1921 მცირე ხნით დააპატიმრეს. შემდგომში მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. 30-იან წლებში იყო შინსახკომის ინფორმატორი, თუმცა დიდი ტერორის დროს მენშევიკ ლიდერებთან კავშირის გამო დააპატიმრეს როგორც ორმაგი აგენტი და გადასახლება მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №283.

ირაკლი ირემაძე

ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე (14.IX.1883, სოფ. ქვითკირისწყარო, დუშეთის მაზრა - ?) - სოციალ-დემოკრატი. 1919 წ-ის 12 მარტს დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ხელი მოაწერა 1918 წ-ის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მინათმოქმედების სამინისტროს და გლეხთა ცენტრის რწმუნებული იყო. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. მკაცრად გაილაშქრა ოსური სეპარატიზმის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ერთობაში“ სტატიაც გამოაქვეყნა, სადაც ისტორიკოს ნ. ჯიოევს და სხვა ოს სეპარატისტებს, რომლებიც საქართველოსგან გამოყოფას მოითხოვდნენ, ღალატში დასდო ბრალი. იგი წერდა: „...შარშან ამიერკავკასიის წარმომადგენლების პირველ კრებაზე, 5 ივნისს, ჯავაში, ნ. ჯიოევმა გაუბედავად აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის - დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. მაშ, ფრთხილად, აწონ დაწონე, ნუ აყვებით უპასუხისმგებლო პოლიტიკანებს, ნუ დაივიწყებთ, რომ ოსები ერთ ადგილზე არა ხართ დასახლებული და არც ისე ადვილია ცალკე სახელმწიფოს შექმნა და მისი ხარჯების გაწევა... ერთადერთ მიუვალ სიმაგრედ მიაჩნიათ ჩვენს ნაციონალისტებს ჯავის ხეობა. ამ ხეობაში ცხოვრობენ ოსები დაახლოებით: ჯავის საზოგადოებაში -700 კომლი, როკის ხეობაში - 400 კომლი. თითოეულ კომლზე რომ ვიანგარიშოთ, საშუალოდ 10 სული მცხოვრები, სულ იქნებიან 16.000 სული. თბილისის და ქუთაისის გუბერ-

ნიებში კი ცხოვრობენ არა ნაკლებ 100.000 სულისა. მაშ, დანარჩენი 84.000 ოსის ინტერესებს ვის ვანდობთ, ისინი ვის მიეკედლონ, ...ან არა და ვთქვათ, ჯავის ხეობა გამოეყო საქართველოს, მერე ან ფული არ უნდათ, ან სხვა რამე? რა მოდის ჯავის ხეობაში? - არაფერი. ხალხი დამშეულია. ერთადერთი ტყეა, რომლითაც ირჩენენ თავს და თუ ამ ტყეში მოჭრილ მასალას არ ჩამოიტანენ ცხინვალში ან უფრო ქვემოთ, საით უნდა წაიღონ, მთებზე ხომ არ გადაიტანენ ჩრდილოეთ კავკასიაში ან არა და ჩრდილოეთ კავკასიას, როდის სჭირდებოდა იქაური ხე-ტყე, და თუ ამ ტყითაც აღარ ისარგებლებს ჯავის ხეობის მცხოვრებნი, მაშ სხვა რაღა გააჩნიათ, ან არა და სად უნდა მოეწყოს სახელმწიფოს მთავრობა, რომელ ქალაქში ან სოფელში, რომელ ყაზარმებში უნდა იყოს მოთავსებული ჯარი და სხვა დაწესებულებანი? მე ვფიქრობ ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ ან არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა ან და განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაღუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა". საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა მეტეხის ციხეში ჩასვეს. მან საბჭოთა ხელისუფლებასთან ითანამშრომლა, რის შემდეგაც ციხიდან გაათავისუფლეს.

თხზ.: ა. ფარნიევი, „ოსები საქართველოში (შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში და ვინ მოითხოვს მას?), გაზ. „ერთობა", 11 ივნისი, 1918

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, ფურც. 63; ლ. სარალიძე, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7), თბ., 2010; ის. რამიშვილი, მოგონებები, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გ. საითიძემდა ქ. რამიშვილმა, თბ., 2012.

ლელა სარალიძე

ფაღავა აკაკი ნესტორის ძე (15.II.1887, სოფ. ნახუნავო, სენაკის მაზრ. - 27.VI.1962, თბილისი) - ქართველი რეჟისორი. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, 1908 - მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, პარალელურად - მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში, სარეჟისორო განხრით, რომლის დამთავრების შემდეგ, იქვე მიიღეს რეჟისორის თანაშემწედ. 1913 სტანისლავსკისთან, ბენუასა და ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად მონაწილეობდა მოლიერის სპექტაკლების დადგმაში. 1915 მუშაობა დაიწყო ქუთაისის გიმნაზიაში მასწავლებლად და რეჟისორულ მოღვაწეობას ეწეოდა ქართულ თეატრებში. 1908 ჯერ კიდევ 21 წლის ახალგაზრდამ გამოაქვეყნა ბროშურა „ქართული თეატრი", რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

პირველი რესპუბლიკის წლებში ენერგიულად იღვწოდა ქართული თეატრის განვითარებისათვის. ჩამოაყალიბა მსახიობთა დასი და თბილისის არტისტული საზოგადოების შენობაში (დღევანდელი რუსთაველის თეატრი) შეუდგა ქართული წარმოდგენების დადგმას. კულტურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად მონაწილეობდა ეროვნულ-რევოლუციურ მოძრაობაშიც. იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი და შედიოდა პარტიის ქუთაისის გუბერნიის (დასავლეთ საქართველოს) კომიტეტის შემადგენლობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - გაფართოებული ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში იყო.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ განაგრძო ენერგიული თეატრალური მოღვაწეობა. 1922 საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ სტუდიას, რომელიც მალე ინსტიტუტად, ხოლო 1939 რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ასწავლიდა, იყო კათედრის გამგე და პრორექტორი. მის სახელთან დაკავშირებულია სხვა არაერთი ფაქტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მის გვერდითაა დაკრძალული მეუღლე, ტერეზა ფარნაოზის ასული გრიგალაშვილი.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; სცსა, ფ. ი1836, აღწ. 1, საქ. 107-109.

დიმიტრი შველიძე

ფაღავა აკაკი

ფაღავა გიორგი (გოგიტა) აქვსენტის ძე (XII.1895, ქ. ქუთაისი - 30.VIII.1924, ქ. სუზდალი) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა ქუთაისში თავადის ოჯახში. საშუალო განათლება ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღო. უმაღლესი განათლების მისაღებად კი სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1913 წ-დან იყო რსდმ პარტიის მენშევიკების ფრაქციის წევრი. სტუდენტობის პერიოდში არაერთხელ დააპატიმრეს პოლიტიკური საბაბით. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციისას იმყოფებოდა მოსკოვში. ვიქტორ ნოზაძესთან ერთად დეპეშით აცნობა საქართველოსა და მის პარტიულ ამხანაგებს მეფის რეჟიმის დამხობა და მეფის გადადგომა.

ფაღავა გიორგი

1917 გარკვეული პერიოდი მუშაობდა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში „ოზაკომში", სადაც აკაკი ჩხენკელის მდივნის თანამდებობა ეკავა. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშა-

ფაშალიშვილი სიკო

თა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წ-ის 12 მარტს დამფუძნებელი კრების საზეიმოდ გახსნის სხდომაზე, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის უხუცესი წევრი სილიბისტრო ჯიბლაძე თავმჯდომარეობდა, გოგიტა ფაღავა, როგორც კრების ყველაზე ახალგაზრდა, ასრულებდა მდივნის მოვალეობას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის კვოტით იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურად იყო ჩართული პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, ხშირად მოგზაურობდა რეგიონებში პროპაგანდისტული საქმიანობის გასაწევად. მონაწილეობდა რაჭასა და ლეჩხუმში არსებული ადმინისტრაციის კრიზისის შემსწავლელ დელეგაციაში. იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი და მდივანი, აქტიურად მონაწილეობდა გვარდიის სხვადასხვა სამაზრო ნაწილების ფორმირებისა და მათში საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების საქმეში. 1921 წ-ის თებერვალში იბრძოდა ოკუპაციის წინააღმდეგ და ფრონტის ხაზზე ამხნევებდა ქართული შეიარაღებული ძალების ნაწილებს.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. აქტიურად ებრძოდა საოკუპაციო რეჟიმს. 1921 წ-ის აპრილში საბჭოთა რეჟიმმა დააპატიმრა, ამავე წლის აგვისტოში ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს საპატიმროდან. შემდგომში მონაწილეობდა პარტიის არალეგალური ორგანიზაციების ქსელის შექმნაში. 1922 წ-ის აპრილიდან იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისიის წევრი. ემიგრაციიდან დაბრუნებული ნოე ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ გახდა წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი პოლიტიკური ლიდერი და დამკომის თავმჯდომარე, ეფექტურად მართავდა არალეგალურ და საიდუმლო ორგანიზაციების ქსელს. 1924 წ-ის თებერვალში საბჭოთა საგანგებო კომისიამ ფარულ ბინაში დააპატიმრა. საბჭოთა სამსახურები მისგან ფარული ანტისაბჭოთა საქმიანობის აღიარებასა და მონანიებას მოითხოვდნენ, თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეს. 1924 წ-ის ივნისში სხვა სოციალ-დემოკრატ ლიდერებთან, ბ. ჩხიკვიშვილთან, ნ. ხომერიკთან, ერთად მოათავსეს სუზდალის საპატიმროში. 1924 წ-ის აჯანყების მიმდინარეობისას ფელიქს ძერჟინსკის სანქციით სხვა სოციალ-დემოკრატ ლიდერებთან ერთად დახვრიტეს. დახვრეტისა და დაკრძალვის ზუსტი ადგილი უცნობია.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, № 57, 1920, №266.

ირაკლი ირემაძე

ფაშალიშვილი სვიმონ (სიკო) ილიას ძე (11. XII.1894, სოფ. მაჩხაანი - 18.III.1970, თბილისი) - ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. უსახსრობის გამო სკოლას მალე თავი დაანება. ლიტერატურით ახალგაზრდობიდან დაინტერესდა. 1909 პირველი ლექსი დაბეჭდა „ივერიაში“. 1910 საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, მუშაობდა გაზეთების დამტარებლად. გაიარა საშუალო სასწავლებლის კურსი სკოლისგარეშე განათლების წესით. ამ საქმეში დაეხმარნენ: აკაკი წერეთელი, კიტა აბაშიძე და სხვები. აკაკის ინიციატივით, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას, დაუნიშნეს სტიპენდია. 1917 გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „ჩანგი“.

1918 ჩააბარა ახალგახსნილი ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. აქვეყნებდა ლექსებს ჟურნალში „ლეილა“ და გაზეთ „სახალხო საქმეში“. დამოუკიდებლობის პერიოდში გამოქვეყნდა მისი ლექსები: „გაუმხელელი ექსპრომტი“, „გრძნობათა მწუხრზე“, „ხათრის გულისთვის“, „ტფილისი ნოემბერში“, „გრიშაშვილს“, „შენს მოლოდინში“, „როიალთან“ და სხვ. 1919 წ-ის 14 ივნისს საჩაიე „ძმურ ნუგეშში“ საქართველოს სოც-ფედერალისტთა ტფილისის კომიტეტის გამართულ საღამოზე მონაწილეობდა და ლექსი წაიკითხა. 1919 „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა სტატია „ნინო ჩხეიძის სახე“, რომელშიც საუბრობს ნინო ჩხეიძის როლზე ქართული თეატრის განვითარების საქმეში. 1920 წ-ის 23 მარტს ქართულ კლუბში გამართულ კ. ჭიჭინაძის საღამოზე წარმოადგინეს კომედია „ციმბირელი“, სადაც, სხვა მწერლებთან ერთად, ერთ-ერთ როლს ასრულებდა. 1920 წ-ის 26 დეკემბერს მონაწილეობდა მეორე ქართულ კლუბში გამართულ სალიტერატურო-საკონცერტო საღამოში.

თარგმნა შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“, ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, პუშკინის, ნეკრასოვის, მიცკევიჩისა და სხვათა ლექსები და პიესები. ავტორია პიესების: „საიქიო“, „თავი სიზმარში მგონია“, „ჩაჩანაკი კაკანათში“. სცენარის ავტორია კინოფილმ „ქეთო და კოტესი“. მოღვაწეობდა ჟურ. „ნიანგში“. დიდი წვლილი შეიტანა ქართული იუმორისტული ლიტერატურის განვითარებაში. „ფარსადანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული აქვს იუმორისტული თუ სატირული ნაწარმოებები. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №308, №392.

გაგა ლომიძე

ფაჩუაშვილი მიხეილ ივანეს ძე (2.VIII.1886, სოფ, მაღლაკი -?) - ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაწყებითი განათლება სოფლის სამრევლო სკოლაში მიიღო. შემდგომში სწავლობდა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში, გაიარა სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსები. ადრეული ასაკიდან შეუერთდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას. 1907 წ-დან მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ოზურგეთის, შორაპნისა და ქუთაისის მაზრაში (მშობლიურ სოფელში). 1914 მიიღო უმაღლესდაწყებით სასწავლებლის მასწავლებლის წოდება. შემდგომში მასწავლებლად მუშაობდა ართვინში, სუფსასა და ლანჩხუთში.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პარტიულ და პედაგოგიურ საქმიანობას. 1918 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მხრიდან დასახელდა ეროვნული საბჭოს წევრად. იყო ეროვნული საბჭოს განათლების კომისიის წევრი. 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა სიით. იყო საკანდიდატო სიის 10-ე ნომერი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ ცნობები არ მოიპოვება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 109, 119, 121.

ირაკლი ირემაძე

ფიგუროვსკი ივანე ვლადიმირის ძე (1865-1940) – კლიმატოლოგი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1937), პროფესორი (1921). 1893 დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტი. 1895-1907 და 1912-1921 წწ-ში მუშაობდა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში. მისი შრომები ძირითადად ეხება კავკასიის კლიმატოლოგიის საკითხებს. პირველმა შეიმუშავა კავკასიის ჰავის დეტალური კლასიფიკაცია და მოგვცა მისი კლიმატური დარაიონება (1903-1905). 1919-1921 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ფილარმონიული საზოგადოება – დაარსდა 1905 საზოგადო მოღვაწის, ზაქარია ჩხიკვაძის, თაოსნობით. საზოგადოების გამგეობის წევრები იყვნენ: ზ. ჩხიკვაძე, ზ. ფალიაშვილი. ი. კარგარეთელი, შ. ამირეჯიბი, ა. ყარაშვილი, ივ. მაჭავარიანი, გრ. აბაშიძე, კ. მაყაშვილი, ა. ყანჩელი, გ. ნადირაძე, დ. ჯორჯაძე და სხვ. გამგეობის თავმჯდომარედ იოსებ სულხანიშვილი აირჩიეს. 1908 ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით ქფს-ის შერეული გუნდი შეიქმნა, რომელსაც სხვადასხვა დროს ვ. დანოვსკი, ზ. ფალიაშვილი, ნ. სულხანიშვილი, გ. დალაქიშვილი და ზ. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდნენ. იმავე წელს გაიხსნა საზოგადოებასთან არსებული მუსიკალური სკოლა ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. შეიქმნა სიმებიანი კვარტეტიც. საზოგადოება წარმატებულ კონცერტებს ატარებდა. 1913 ერთ-ერთ კონცერტზე, პირველად შესრულდა ნაწყვეტი ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. 1918 ქფს-ის მოწვევით, მუსიკალური სკოლის დირექტორად დ. არაყიშვილი დაინიშნა. 1919 ქფს „ქართულ სამუსიკო საზოგადოებად“ გადაკეთდა, გაიხსნა მისი ფილიალები სოხუმსა და თელავში, მოეწყო ფოლკლორული ექსპედიციები, შეიქმნა ქართული მუსიკალური სასწავლებელი და დაარსდა საოპერო სტუდია. საოპერო სტუდიის პირველი ნამუშევარი დ. ჩიმაროზას ოპერა „საიდუმლო ქორწინება“იყო .

ლიტ.: რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; ნ. შიუკაშვილი, ქართული სამუსიკო საზოგადოება, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №16.

ზურაბ ლეჟავა

ფილატოვი სილიბისტრო (სილვესტერ) სიმონის ძე – ინჟინერ-ტექნოლოგი, დაიბადა 1879 დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (1909 წ.), 1920 წ-დან მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მეღვინეობის დარგში დროებით ლექტორად.

ლიტ.: ქსე, ტ. VII, თბ., 1984; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო – შეიქმნა 1918 წ-ის 26 მაისს, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. აღნიშნულ დღეს გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი შემადგენლობა აირჩიეს, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი გახდა გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი). ამ თანამდებობაზე ათი თვის განმავლობაში მუშაობდა. იმავე წლის ივნისში ამ სამინისტროსთან შეიქმნა ფონდი, რომელშიც შეტანილი თანხა და ძვირფასეულობა უნდა გამხდარიყო მომავალი ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი გარანტი. 1919 წ-ის 21 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახლად არჩეული დამფუძნებელი კრების სხდომაზე აირჩიეს ახალი მთავრობა, რომელშიც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანამდებობა დაიკავა კონსტანტინე კანდელაკმა (სოციალ-დემოკრატი). მის მოადგილედ დაინიშნა სიმონ ავალიანი. საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კოლექტივის მაღალპროფესიული საქმიანობის შედეგად, ჩვენმა ქვეყანამ შედარებით იოლად გადაიტანა ის ურთულესი

პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც თავს დაატყდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს. იმავე სამინისტროს არსებობის პირობებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წ-ის ივლისში წარმატებით განახორციელა ფულადი რეფორმა და მიმოქცევაში გამოუშვა საკუთარი ფულის ნიშანი (ბონი), რითაც თანდათანობით ჩაანაცვლა მანამდე ბრუნვაში მყოფი ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი, რომელიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საერთო ფულის ერთეულის ფუნქციას ასრულებდა.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი



ფირცხალავა სამსონ

ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე (ფსევდ. „სიტყვა“, „კალამი“, „სანვინი“) (3.I.1872, (ავტობიოგრაფიული ცნობით: 4.V) სოფ. მათხოჯი, ქუთაისის მაზრ. - 1952) - ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. პირველდაწყებითი განათლება ხონის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. 1893 დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1898 პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სნავლის წლებში ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარეა. 1902-1910 წწ-ში იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივანი და საქმეთა მმართველი. 1901-1902 წწ-ში „ივერიაში“ მუშაობის შემდეგ გადავიდა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, წერდა საკვირაო ფელეტონებს (მიმოხილვებს), პუბლიცისტურ წერილებს; მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბების პროცესში. 1905-1907 წწ-ის პერიოდში შედიოდა პარტიის მთავარ კომიტეტში და ერთხანს იყო პარტიის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე). მისი ფაქტობრივი რედაქტორობით გამოდიოდა სოც-ფედ. პარტიის ორგანოები „გლეხი“ (1906) და „მიწა“ (1906-1908). 1910 ჟანდარმერიის მიერ სოც-ფედ. პარტიის დარბევის დროს დააპატიმრეს და ტვერში გადაასახლეს, საიდანაც 1913 დაბრუნდა.



ფირცხალაიშილი ილიკო

1917 წ-ის აპრილში მონაწილეობდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს ორგანიზების პროცესში, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას. ნოემბერში მონაწილეობდა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაში, სადაც აირჩიეს ეროვნული საბჭოს (დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ - საქართველოს პარლამენტის) წევრად, სოც-ფედ. პარტიიდან. 1919-1921 წწ-ში დამფუძნებელი კრების წევრია. 1917-1921 წწ-ში იყო სოც-ფედ. პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზ. „ხალხო საქმის“ რედაქტორი, რომელშიც ხშირად აქვეყნებდა საპროგრამო ხასიათის სტატიებს („შეიარაღდით“, „კანონიერებისთვის“, „შეთანხმება“, „დამფუძნებელ კრებაზე“, „მიწის საქმე პარლამენტში“, „ბრძოლის ველისკენ“ და სხვ). 1921 წ-ის 21 თებერვალს ხელი მოაწერა საქართველოს პირველ კონსტიტუციას. 1918 თბილისში გამოაქვეყნა წიგნი: „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“.

1921 წ-დან გაიხიზნა და ცხოვრობდა ემიგრაციაში, საფრანგეთში. ინტენსიურად ბეჭდავდა წერილებს ქართულ ემიგრანტულ პრესაში. პარიზში გამოაქვეყნა პოლიტიკური და სამეცნიერო ხასიათის წიგნები: „ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“(1935); ისტორიული ლანდები“ (1934); „თამარ მეფე“ (1939); „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“ (1947). 1948 წ-ის 23 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით დაბრუნდა სამშობლოში, მუშაობდა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ბიბლიოთეკის გამგედ. 1951 წ-ის დეკემბერში, იმავე საბჭოთა ხელისუფლების მითითებით დააპატიმრეს და გადაასახლეს შუა აზიაში.

თხზ.: ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988.

ლიტ.: ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა - რედაქტორი და გამომცემელი. წიგნში: წერილები, თბ., 1981; ლ. ნანიტაშვილი, „ერის წყლული აჩნდა წყლულად“ თბ., 1993; გ. შარაძე, სამსონ ფირცხალავა, წიგნში: „უცხოეთის ცის ქვეშ“. წ. II. თბ., 1993. უ. სიდამონიძე, სამსონ ფირცხალავა, ქსე, თბ., 1986; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107.

დიმიტრი შველიძე

ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე (1885, ოზურგეთი - 18.IX.1937) - სოციალ-დემოკრატი. განათლება ოდესის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე მიიღო, რის შემდეგაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში ჩაება. 1908 პოლიტიკური საქმიანობისთვის დააპატიმრეს, თუმცა სასამართლომ გაამართლა. 1903-1913 წწ-ში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მუშაობა დაიწყო ნაფიც მსაჯულად. 1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ ქუთაისის ქალაქის კომისარი გახდა. ამავე წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1919 ჯერ ირჩევენ თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. დახვრიტეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე

ფოთის შეთანხმება (1918) - „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“, რომელიც გაფორმდა 1918 წ-ის 28 მაისს ქალაქ ფოთში. ხელი მოაწერეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აკაკი ჩხენკელმა და გერმანიის იმპერიის შეირაღებული ძალების გენერალ-მაიორმა ფონ ლოსოვმა. ამ შეთანხმებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ცნო 1918 წ-ის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო გერმანიას, მის მოკავშირე ქვეყნებს (ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) და საბჭოთა რუსეთს შორის. საქართველოს მთავრობა ნებას რთავდა გერმანიას და მის მოკავშირე ქვეყნებს, იმხანად მიმდინარე მსოფლიო ომის პერიოდში ესარგებლათ საქართველოს რკინიგზებით სამხედრო ძალის გადასაყვანად და ტექნიკის გადასაზიდად. ამ საკითხის რეგულირების მიზნით, თბილისში უნდა შექმნილიყო გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების სამხედრო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით. საქართველოს რკინიგზის სადგურები და ფოთის ნავსადგური უნდა გაეკონტროლებინათ გერმანელ კომენდანტებს და დაცვას. ბერლინში უნდა დაფუძნებულიყო საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, ხოლო თბილისში - გერმანიისა. გერმანიის მთავრობას უფლება ეძლეოდა, თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი, გარდა თბილისისა, საქართველოს სხვა ქალაქშიც დაენიშნა. ეს წინასწარი შეთანხმება ძალაში შედიოდა ხელმოწერისთანავე. ფოთის შეთანხმების უშუალო მონაწილის, მეცნიერისა და დიპლომატის, ზ. ავალიშვილის აზრით, ამ შეთანხმების მთავარი მიზანი იყო გერმანიის საიმპერიო მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა დე ფაქტო და მიმდინარე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს რკინიგზაზე გერმანიის სამხედრო კონტროლის დაწესება. ფოთში ხელი მოეწერა რამდენიმე კონვენციასაც, რომელთა შორისაც იყო: 1) სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ; 2) გერმანიიდან საქართველოში სამხედრო დანიშნულების ტვირთების უბაჟოდ შემოტანის შესახებ; 3) საქართველოს ტერიტორიაზე იმხანად მიმოქცევაში არსებულ ადგილობრივი ფულის ნიშნებთან (ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებთან) ერთად, გერმანიის იმპერიის ფულის ნიშნების, როგორც კანონიერი საგადამხდელო საშუალების, ბრუნვაში დაშვების შესახებ; 4) საქართველოს მთავრობის მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი გერმანული ჯარის სურსათით უზრუნველყოფაში დახმარების შესახებ; 5) საქართველოში მოქმედი გერმანიის სახელმწიფო კომისიის მიერ სურსათის ნაღდ ფულზე შეძენის შესახებ და სხვ.

ფოთში ხელმოწერილი შეთანხმება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო შეთანხმება. მართალია, მისი არაერთი პუნქტი უფრო ხელსაყრელი იყო გერმანიისათვის, მაგრამ ეს დათმობანი აიხსნება გერმანიის იმ უდიდესი დახმარების კომპენსირებით, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ახლად აღდგენილმა სახელმწიფომ თავიდან აიცილა ოსმალეთის ოკუპაციის სავსებით რეალური საფრთხე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი წერდა: „თუ გერმანელებმა ჩვენთან შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს. სხვათა შორის, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით თავიდანვე დაწესებული პარიტეტი ჩვენი ფულის და გერმანულ მარკას შორის მათი ჩვენში ყოფნის დროს არ შეუცვლითა და მთელ თავის ხარჯების დასაფარავ ვალუტას მხოლოდ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა საშუალებით ახურდავებდნენ“.

ლიტ.: ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990; კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, II, დამოუკიდებელი საქართველო, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი, 1960; ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ფოცხვერაშვილი კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე (31.IX.1880, სოფ. სვირი - 22.III.1959, თბილისი) - კომპოზიტორი, დირიჟორი, ლოტბარი, მუსიკისმცოდნე, ლიბრეტისტი, გამომგონებელი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. იზრდებოდა მშობლიურ სოფელში. მუსიკალურად დაჯილდოებულ ბავშვს თავიდანვე ესმოდა ხალხური სიმღერები, ადვილად სწავლობდა და იმახსოვრებდა მათ. ბავშვობაშივე ბებიისგან ისწავლა ჩონგურზე დაკვრა. მუსიკალური განათლება ჯერ თბილისში, შემდეგ პეტერბურგში მიიღო. ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა იურიევის უნივერსიტეტში განაგრძო. 1900-იანი წწ-დან იწყებს სამუსიკო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1902 წ-დან ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა გუნდს. აგროვებდა და ამუშავებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. თავისი გუნდით რუსეთში, უკრაინაში, ლატვიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას ეწეოდა. მის კონცერტებს ყოველთვის წინ უძღვოდა მისი ლექციებიც ქართული ხალხური სიმღერის ფენომენის შესახებ. 1910-1914 წწ-ში პეტერბურგში ცნობილი პროფესორების - საკეტისა და ბრუნის ხელმძღვანელობით განაგრძობს სწავლას. 1918 წ-დან თბილისის ოპერის თეატრის დირექტორის მოადგილეა. არის დამოუკიდებელი

ფოცხვერაშვილი კოტე

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჰიმნის „დიდება“ მუსიკისა და ტექსტის ავტორი. ჰიმნი სრულდებოდა 1919-1921 წწ-ში, მოგვიანებით 1991 - 2004 წწ-ში. 1919 წ-ის 4 ივლისს გაიმართა მისი ოპერა „ვანო წამებულის“ პრემიერა.

გასაბჭოების შემდეგ წერს მუსიკას ფილმებისთვის: „მოძღვარი“ (1922), „არსენ ჯორჯიაშვილი“ (1923). 1923 გამოსცემს კრებულს „რევოლუციური სიმღერები“. 1926 წ-ის 27 იანვარს აფორმებს ხელშეკრულებას მელიტონ ბალანჩივაძესთან და ოპერა „თამარ ცბიერის“ დადგმისა და მოსამზადებელი სამუშაოების ხელმძღვანელად ინიშნება. მას ეკუთვნის „თამარ ცბიერის“ ლიბრეტო. არის ორი გამოგონების - ხმოვანების მომწესრიგებელ აპარატის ე. წ. „ბგერათმართის“ და „ხმაურმრიდის“ ავტორი. 1933 აყალიბებს მეჩონგურე ქალთა ანსამბლს, რომელიც ჩონგურის თანხლებით ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს. 1939 ანსამბლი ორთვიანი საგასტროლო მოგზაურობით იმყოფებოდა კიევში, ჟიტომირში, სტალინგრადსა (დღევანდელი ვოლგოგრადი) და ლენინგრადში (დღევანდელი სანქტ პეტერბურგი) და 56 კონცერტი ჩაატარა დაახლოებით 200 000 მსმენელისათვის. 1947-1948 წწ-ში მოგზაურობს საქართველოს ყველა კუთხეში, 1949 კი მაშინდელი საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში 75 წარმატებულ კონცერტს მართავს და ქართულ ხალხურ სიმღერას უწევს პოპულარიზაციას. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ნაწარმოებები: ოპერები: „კერპთა დამხობა“ (1910); „ვანო წამებული“(1919); „მანანა“; „არმაზი“. სიმფონიური პოემები: „ამირანი“ (1905. პირველი ქართული სიმფონიური პოემა); „მსოფლიოს ვაება“ (1912); „ბრძოლის ველი“(1915). სოლო, საგუნდო სიმღერები: „ძლევის სიმღერა“, „ლაშქრული“, „ნანინა“, „აჭარული მაყრული“ და სხვ. მუსიკალური კომედიის მუსიკალური დრამატული სპექტაკლებისთვის ხალხური სიმღერების დამუშავება, მათ შორის: „ლალე“, „ინდი-მინდი“ და სხვ. რომანსები: „აღმართ-აღმართ“, „მესტვირული“. საქართველოს ჰიმნი „დიდება“ (ტექსტისა და მუსიკის ავტორი). ლიბრეტო: მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან-ცბიერი“ (ა. წერეთლის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით).

ლიტ.: თ. რამიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, თეატრის ბიბლიოთეკა, 1972; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; ლ. გავაშელი, საქართველოს ღერბი და ეროვნული ჰიმნი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №26; ლ. ნანიტაშვილი, კოტე ფოცხვერაშვილის ბიოგრაფიისათვის, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, №8.

ზურაბ ლეჟავა

ფრონტის დამხმარე კომიტეტი – საქართველოს პირველ რესპუბლიკაში არსებობდა ფრონტის დამხმარე კომიტეტი (ფონდი). ფონდში გროვდებოდა შემოწირულობები ჯარებისათვის. შემოწირულობებს აკეთებდნენ ამხანაგობები, პოლიტიკოსები, გენერლები, უბრალო მოქალაქეები, ფონდისათვის იკრიბებოდა ფული სხვადასხვა სახის საღამოებზე, ქორწილებში, ნათლობებზე და ა.შ. სიმბოლურად ფონდს პირადი ნივთები გადასცა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმაც. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ ფონდს გადასცა ვერცხლის კოვზი; დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ, ექვთიმე თაყაიშვილმა - ორი ვერცხლის სამარილე და ერთი ვერცხლის კოვზი; შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნოე რამიშვილმა - ვერცხლის კოვზი; სოციალ-დემოკრატმა, აკაკი ჩხენკელმა - თვლიანი ოქროს ბეჭედი; ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ - ერთი ოქროს მედალიონი; სოციალ-ფედერალისტმა გიორგი ლასხიშვილმა - ვერცხლის სამარილე; სახალხო გვარდიის ფაქტობრივმა სარდალმა ვალიკო ჯუღელმა - 20 ოქროს ფრანკი; საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა კვინიტაძემ - სამი გერმანული ვერცხლის მარკა; საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ - ერთი ოქროს ვლადიმერის ორდენი და ხმალზე დასამაგრებელი გიორგის პატარა ჯვარი; ამ აქციაში ჩაერთო მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი კარლ კაუცკი, მას და მის მეუღლეს ფონდისათვის შეუწირავთ ოქროს ძეწკვი და ვერცხლის საფულე.

ლიტ.: გაზ. „ერთობა“, 1921, №22.

დიმიტრი სილაქაძე

ფულის ფონდი – 1918 წ-ის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან შექმნილი ფონდი, რომელსაც ოქროს ფონდსაც უწოდებდნენ. მოსახლეობის მიერ ამ ფონდში შეტანილი თანხა და ძვირფასეულობა უნდა გამხდარიყო მომავალი ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი გარანტი. იმდროინდელ ქართულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ამ მამულიშვილური ფონდის გაძლიერებაში. ფონდის შემომწირველთა სოციალური სპექტრი ფართო იყო. საასულიერო, საერო და სამხედრო პირები, მწერლები, მეცნიერების, ხელოვნების, მედიცინისა და სხვა სფეროთა წარმომადგენლები უშურველად სწირავდნენ სამშობლოს ეკონომიკური გაძლიერების საქმეს თავიანთ დანაზოგს და ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ნივთებს. შემომწირველთა სიას ამშვენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის სახელი, რომელმაც ფონდს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. პრესაში ქვეყნდებოდა მოწოდებები ქველმოქმედებისაკენ. საქართველოს დემოკ-

რატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ 1918 წ-ის 8 ივნისს გაზეთში „სახალხო საქმე“ გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება: „ყველამ იცის, რომ ჩვენ სამშობლოს ფული ესაჭიროება. განსაკუთრებით დიდია ეს საჭიროება ეხლა, როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებთ. მივმართავ ყველა სამხედრო პირს.., რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მსახურობენ: ფინანსთა სამინისტროს ოქრო სჭირდება. ის ჩვენ გვაქვს. დეე, ყოველმა ჩვენგანმა გადასცეს თავისი ორდენები სახელმწიფოს ოქროს ფონდის შესაქმნელად... რასაკვირველია, ყველასათვის ძვირფასია შრომით და სისხლით დამსახურებული ორდენი, რადგან ეს არის მისი გმირული საქმეების სახსოვარი. ორდენი არის სიმბოლო ჩვენი პატიოსანი სამსახურისა. მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა უნდა ჩაახშოს ყველა დანარჩენი გრძნობა... დღეს მე გადავეცი ყველა ორდენი, რაც კი იაპონიისა და თანამედროვე ომის დროს მივიღე. დავიტოვე მხოლოდ წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენი“. იმავე წ-ის 29 ივნისს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა ქართველი მანდილოსნის მოწოდება, რომელშიც ვკითხულობთ: „უარვყოთ მკერდისა და მაჯების მოსართავები ყველამ... რას გვიქვიან მორთულობა, თუ სამშობლო გასაჭირში გვეყოლება? ქალებო, ნუ დავიშურებთ ჩვენ წვლილს. მე მხოლოდ ჯვრისწერის ბეჭედს ვიტოვებ. სხვა თუ რამ მომეპოვება, ვწირავ დანიშნულებისამებრ!“ ეს ფონდი სასიკეთოდ წაადგა მომდევნო წელს მიმოქცევაში გამოშვებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონს.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ფურცელაძე ალექსანდრე მიხეილის ძე (?-?) - გენერალი. რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე. პოლკოვნიკი (1915). დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენითა და იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო მე-2 დივიზიის უფროსი.

ლიტ.: მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მიხეილ ბახტაძე

ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე (29.X.1867 - 1924) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1888). პორუჩიკი (1892). შტაბსკაპიტანი (1900). დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. კაპიტანი (1901). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. პოდპოლკოვნიკი (1908). პოლკოვნიკი (1911). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ქვეითთა 84-ე პოლკის მეთაური. გენერალ-მაიორი (1916). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის. დაჯილდოებული იყო იარაღით.

ფურცელაძე გიორგი

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. იყო ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი, 1921 წ-ის თებერვალ-მარტში - ფოთის. დახვრიტეს ბათუმში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე



ქავთარაძე გიორგი მიხეილის ძე (12.III.1862-1921 წ-ის შემდეგ) - გენერალი. 1883 სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსშია, 1903 - კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1917).

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. გენერალი (1919) სხვადასხვა დროს იყო სამხედრო სამინისტროს განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, გენერალური შტაბის საერთო განყოფილების უფროსი.

ლიტ.: მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1, 2007. მიხეილ ბახტაძე

ქავთარაძე კალენიკე გიორგის ძე (1888, შორაპნის მაზრ. - ?) - სოციალ-დემოკრატი (ალიონელი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. პედაგოგი. უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. ადრეული ასაკიდან შეუერთდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრთას. იყო ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ნამდვილი წევრი.

1917 რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაციონალისტურ ფრაქციაში. საგანმანათლებლო საქმის შესახებ აქვეყნებდა სტატიებს ფრაქციის გაზეთ „ალიონში“. 1918 ალიონის ფრაქციის სახელით შეყვანილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში. იყო ეროვნული საბჭოს ალიონის ფრაქციის მდივანი. შედიოდა პარლამენტის განათლების, სამანდატო და საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. 1919 ალიონის ფრაქცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სრულად შეუერთდა. 1919-1921 წწ-ში აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას და მუშაობდა განათლების სამინისტროში.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127.

ირაკლი ირემაძე

ქავთარაძე პეტრე ივანეს ძე (14.VII.1883, სოფ. ზოვრეთი, შორაპნის მაზრ. - 3.X.1941, მორდავეთის ასსრ.) - სოციალ-დემოკრატი (ალიონელი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. ჟურნალისტი. მთარგმნელი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1915 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ადრეული ასაკიდან შეუერთდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრთას. მუშაობდა ნაფიც ვექილად.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაციონალისტური ფრაქციის წევრებთან ერთად შეუდგა გაზეთ „ალიონის“ გამოშვებას. პარტიის ძირითადი ხაზისგან განსხვავებით, გაზეთის გარშემო შემოკრებილი ჯგუფი საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეას უმთავრესად მიიჩნევდნენ. 1917 „ალიონელების“ სახელით მონაწილეობდა ეროვნული ყრილობის მუშაობაში და აირჩიეს ეროვნულ საბჭოშიც. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იყო ეროვნული საბჭოს „ალიონელთა“ ფრაქციის თავმჯდომარე. იყო საბიუჯეტო-საფინანსო და ხელოვნების კომისიის წევრი. 1919 წ-ის დასაწყისში ალიონის ფრაქცია საბოლოოდ შეერწყა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. დამოუკიდებლობის პერიოდში აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში, განაახლა საადვოკატო საქმიანობა, ხშირად იცავდა პოლიტიკურ პატიმრებს. 1920-იანი წწ-ის ბოლოდან დაიწყო სამწერლობო და მთარგმნელობითი საქმიანობა. იყო საქართველოს მწერალთა კავში-

რის წევრი. მონაწილეობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაში. თარგმნა: „ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“, „სოკრატეს აპოლოგია“ და სხვ. „დიდი წითელი ტერორის“ დროს დააპატიმრეს და გადაასახლეს. გარდაიცვალა გულაგში შიმშილით.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127; ქსე ტ. X, თბ., 1986.

ირაკლი ირემაძე

ქალაქთა კავშირი – საქართველოში არსებული საქალაქო თვითმმართველობათა მაკოორდინებელი ორგანო. შეიქმნა 1918 წ-ის 14 სექტემბერს. იყო სახელმწიფოსა და თვითმმართველ ქალაქებს შორის დამაკავშირებელი რგოლი, უფლება ჰქონდა, ინიციატივით მიემართა ცენტრალური ხელისუფლებისა და პარლამენტისათვის. დამტკიცებული დებულების თანახმად, მისი ფუნქციონირებისათვის ქალაქები ვალდებული იყვნენ, „კავშირის“ ფონდში ჩაერიცხათ საწევრო შენატანი (თავდაპირველად საუბარი იყო ქალაქის ბიუჯეტის 0.5%-ის შეტანაზე, თუმცა ქალაქები დაწესებულ გადასახადს ვერ იხდიდნენ და თითქმის ყველა ქალაქს დავალიანება დაუგროვდა), ასევე „ქალაქთა კავშირს“ ჰქონდა სამეწარმეო საქმიანობის უფლება.

1918 წ-ის 5 სექტემბერს გაიხსნა ამიერკავკასიის „ქალაქთა კავშირის“ მე-7 ყრილობა. პირველივე დღეს „კავშირის“ მომავალი საქმიანობისა და ფუნქციის თაობაზე დელეგატთა შორის მწვავე დებატები გაიმართა. ძირითადად, ორი მოსაზრება გამოიკვეთა - ერთნი ცდილობდნენ „კავშირს“ განეგრძო არსებობა ამ ფორმით და ამ სახელით, ხოლო მეორენი მოუწოდებდნენ დელეგატებს, მხარი დაეჭირათ „ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირის“ რეორგანიზაციისათვის და მის ბაზაზე შეექმნათ საქართველოს „ქალაქთა კავშირი“. საბოლოოდ, ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ გაიმარჯვა. „ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირის“ ყრილობის ბოლოს, 14 სექტემბრის სხდომაზე, მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ პოლიტიკურმა პირობებმა გაყვეს ამიერ კავკასია სამ რესპუბლიკათ და შეუძლებელი გახდა, რომ სხვა რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელთ მიეღოთ მონაწილეობა ყრილობაში, არსებობა „ქალაქთა კავშირისა“ ფაქტიურათ დაირღვა, მხოლოდ სახელი, ფორმა რჩება ამიერ კავკასიისა, რაც არც სასურველია და ხელს უშლის საქმის ნორმალურ მსვლელობას. ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ეს დაარსებაა ყველა რესპუბლიკის ფარგლებში დამოუკიდებელი ქალაქთა კავშირებისა. ამის გამო ყრილობა აცხადებს მთავარ კომიტეტს გაუქმებულათ და ყრილობას დახურულათ“. იმავე საღამოს გაიხსნა საქართველოს „ქალაქთა კავშირის“ დამფუძნებელი ყრილობა. პარტიების წარმომადგენლებმა მას შემდეგ, რაც შეჯერდნენ სტრუქტურაზე და მთავარ კომიტეტის სარევიზიო და სარედაქციო კომისიები რაოდენობაზე, გამოაცხადეს შესვენება კანდიდატებზე ფრაქციული კონსულტაციებისათვის. ყრილობის განახლების შემდეგ ჩატარდა არჩევნები. მთავარ კომიტეტში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან გავიდნენ: მ. რუსია, ს. რობაქიძე, ნ. ფალილეევი, დ. კალანდარიშვილი, ი. ჟორდანია, ი. ბესელიძე, მ. ამჩისლავსკი, კ. საბახტარიშვილი, ნ. ელიავა და ა. გ. კარაევი; სოციალ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიიდან: ს. მდივანი, ა. პაპავა; სოციალ-რევოლუციური პარტიიდან: ა. კალიუჟნი, ა. ხუდადოვი; დაშნაკებიდან: გ. იაგჯიანი, ბ. ტოპჩიანი. მთ. კომიტეტის კანდიდატებად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: პ. კიკალეიშვილი, ა. კორძაია, კ. ანდრონიკაშვილი; სოციალ-ფედერალისტური პარტიიდან: ა. ჯაჯანაშვილი; სოციალ-რევოლუციური პარტიიდან: გ. მარქარიანი; დაშნაკებიდან: ა. ბაბაიანი, მ. ზარგარიანი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: ვ. შარაშენიძე, პ. ჯაფარიძე, ა. ჭიაბერიშვილი; სოციალ-რევოლუციური პარტიიდან ნ. ტარხანოვი; დაშნაკებიდან ს. მანასიანი. საქართველოს „ქალაქთა კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ელიავა.

საქართველოს „ქალაქთა კავშირმა“ დაარსებისთანავე დაიწყო აქტიური საქმიანობა, თუმცა გარკვეული პერიოდი დასჭირდა რეორგანიზაციის პროცესს. 1919 წ-დან „ქალაქთა კავშირი“ თავის საქმიანობას მნიშვნელოვნად აფართოებს, რასაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, რომლის დროსაც ქალაქების საბჭოები დაკომპლექტდა ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან, ასევე მთავრობის პოლიტიკურმა კურსმა, რომ ქალაქებისათვის და ერობებისათვის მეტი დამოუკიდებლობა მიეცათ. 1919 წ-ის 16 მარტს გაიმართა „ქალაქთა კავშირის“ II ყრილობა, რომელმაც იმსჯელა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. მოისმინა „კავშირის“ განყოფილებების მოხსენებები, ასევე საქალაქო თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაცია. ყრილობის მუშაობაში მთავარი საკითხი იყო ქალაქთა საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ მსჯელობა, საქალაქო დებულების შემუშავება და „ერობათა კავშირსა“ და „ქალაქთა კავშირს“ შორის ურთიერთობის განსაზღვრა. საკმაოდ მწვავე დებატები გამოიწვია „კავშირის“ „სამედიკო სასანიტარო განყოფილების“ გამგის, პ. კიკალეიშვილის, მოხსენებამ. კამათში გამოსულმა სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ „კავშირის უმთავრესი კომიტეტი საკმაოდ არ შველის ქალაქებს სხვა და სხვა გადამდებ სენთან საბრძოლველათ, მაგალითად სახადთან, რომელიც ფრიად გავრცელებულია საქართველოს ქალაქ-სოფლებში... მსჯელობის დროს ბორჯომის წარმომადგენელმა ბ-ნმა კანდელაკმა სხვათა შორის,

აღიარა, რომ გაზაფხულს უნდა მოველოდეთ ხოლერას, მუცლის ტიფს და დიზენტერიას და საჭიროა ეხლავე ქალაქთა კავშირმა მიიღოს სათანადო ზომები. სხვათა შორის, ორატორმა განაცხადა, რომ ბაკურიანის ტყეებში ჯერ ეხლაც ასობით ყრია დაუმარხველი მკვდრები, რომელიც ხოლერამ შარშან იმსხვერპლა.“ „ქალაქთა კავშირის“ ყრილობამ ბოლო სხდომაზე, 22 მარტს, აირჩია მთავარი კომიტეტი და სარევიზიო კომისია. მთავარ კომიტეტის განახლებულ შემადგენლობაში მოხვდნენ: დ. კალანდარიშვილი, პ. ჯაფარიძე, ა. ჯაჯანაშვილი, ნ. ელიავა, ბ. ჩხიკვიშვილი, ნ. ფალილეევი, მ. რუსია, ა. კორძაია, ა. ზუხბაია, ვ. შარაშენიძე, გ. მურვანიძე, კ. ანდრონიკაშვილი, კ. გოგუა, ს. მდივანი; კანდიდატებად: გ. ურატაძე, კ. იმნაძე, დ. მიქელაძე და ივ. ჭავჭანიძე. „ქალაქთა კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ელიავა, ხოლო მოადგილედ მ. რუსია.

თვითმმართველი ქალაქების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მთავრობასა და თვითმმართველობებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე, ქალაქების სურსათ-სანოვაგით მომარაგების აუცილებლობაზე, ქალაქებში განსახორციელებელ აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იმსჯელა 1920 წ-ის 16-26 ივნისს გამართულმა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელთა მესამე ყრილობამ. სულ გაიმართა 13 სხდომა, რომელზეც გამოტანილ იქნა რეზოლუციები სხვადასხვა საკითხზე. გადაწყდა, 1921 წ-ის გაზაფხულზე მოწყობილიყო ქალაქთა გამოფენა. ბოლო სხდომაზე კი აირჩიეს „ქალაქთა კავშირის“ მთავარი კომიტეტი და სარევიზიო კომისია. მთავარ კომიტეტში შევიდნენ: ნ. ელიავა, მ. რუსია, ა. ჯაჯანაშვილი, ნ. ფალილეევი, ბ. ჩხიკვიშვილი, დ. თოფურიძე, ი. ჟორდანია, ა. კორძაია, გ. მურვანიძე, ვ. შარაშენიძე, ნ. ჩხეიძე, ა. ლანდია, კ. გოგუა, პ. გოთუა, კ. ანდრონიკაშვილი, ს. მდივანი. გ. ბადრიევი, დ. კალანდარიშვილი, ევ. თოდუა, ვ. ღლონტი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: პ. კახიანი, აკ. პაპავა, გ. კონიაშვილი, პ. თუმანიშვილი, ზ. ხიდერბეგიშვილი.

„ქალაქთა კავშირი“ ცდილობდა, ყველა მიმართულებით დახმარებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს. ქალაქების საჭიროებისათვის „კავშირს“ შემოჰქონდა ხორბალი, კარტოფილი, ხახვი, თამბაქო, სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო საგნები, რომელსაც მისაღებ ფასად უგზავნიდნენ ქალაქებს. მთავრობისგან „ქალაქთა კავშირს“ უფლება ჰქონდა, განეხორციელებინა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა. მის საკუთრებაში იყო ავეჯეულობისა და შუშის ქარხნები. ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილით მიმოსვლა თბილისსა და დუშეთს, ასევე ხონი-ქუთაისსა და ხონი-სამტრედიას შორის. მიწათმოქმედების სამინისტრომ მას გადასცა შეშის დასამზადებლად ტყის მასივი შორაპნის მაზრაში. „კავშირი“ ასევე სარგებლობდა საგადასახადო შეღავათებით, მაგალითად, ბაჟის გადახდის გარეშე მთავრობამ ნება მისცა, ქვეყნიდან გაეტანათ 25 000 ფუთი თხილი. „კავშირს“ ასევე ჰქონდა საკუთარი სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოები. „ქალაქთა კავშირი“ აქტიურად მუშაობდა დამფუძნებელ კრებასთან ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად.

ჯაბა სამუშია

ქალაქთა საბჭოების და ერობათა ყრილობის ხმოსანთა არჩევნები – ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეულ პერიოდში მაზრებსა და ქალაქებში ადგილობრივი არჩევნები არ ჩატარებულა. 1918-1919-1920 წწ-ში გაიმართა თვითმმართველობის სხვადასხვა დონის არჩევნები. განსაკუთრებით დროში გაიწელა სამაზრო და სათემო ერობათა ჩამოყალიბების პროცესი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით განაგრძო ფუნქციონირება ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატთან არსებულმა ერობის შემომღებმა მთავარმა ინსტრუქტორმა (შეიქმნა 1918 წ-ის 18 თებერვალს), რომლის მიზანი პროვინციებში არსებული ძველი მმართველობის ახლით ჩანაცვლება იყო. მაზრებში ასარჩევი ხმოსნების რაოდენობა განისაზღვრა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებული საერობო დაწესებულებათა დროებითი დებულების 51-ე მუხლით. სამაზრო ერობის უმაღლესი ორგანო ერობის ყრილობა იყო, რომელიც შედგებოდა საყოველთაოდ არჩეული ხმოსნებისაგან. ეს უკანასკნელნი ირჩევდნენ ერობის აღმასრულებელ რგოლს - გამგეობას და გარკვეული ინტენსივობით იკრიბებოდნენ. ერობებში ასარჩევ ხმოსანთა რიცხვს ანგარიშობდნენ შემდეგი წესით: საზოგადოდ დადგინდა ყველა მაზრისთვის ხმოსანთა მაქსიმუმი (45 წევრი) და მინიმუმი (25 წევრი) რაოდენობა. განისაზღვრა საშუალო რაოდენობა, 35 წევრი, რომელიც უნდა გამრავლებულიყო გუბერნიაში შემავალი მაზრების რაოდენობაზე (მაგ. თბილისის გუბერნიაში - 9; ქუთაისის გუბერნიაში - 7;). მიღებული რიცხვი იქნება მთლიანად გუბერნიის (ყველა მაზრაში) მასშტაბით ხმოსნების რაოდენობა. თბილისის გუბერნიაში 1919 შედიოდა 9 მაზრა. საერთო ხმოსნების ჯამი კი შეადგენდა 315 წევრს (35X9=315). შემდეგ იღებდნენ გუბერნიის მოსახლეობას და ყოფდნენ ხმოსანთა რიცხვზე. თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა (ქ. თბილისის გამოკლებით, რამეთუ ის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა) 1.126.542 ადამიანი. შესაბამისად, ერთი ხმოსანი უნდა აერჩია 3576 კაცს (1.126.542X315=3576). ამის შემდეგ მაზრის მოსახლეობის რიცხვი იყოფოდა 3576-ზე და მიიღებოდა იმ მაზრის ერობათა ყრილობის ხმოსანთა რიცხვი. იმ შემთხვევაში თუ მიღებული რიცხვი აღემატებოდა 45-ს, მაშინ ერო-

ბაში უნდა ყოფილიყო არჩეული მაქსიმუმ 45 წევრი, ხოლო თუ ის ნაკლები იყო 25-ზე, უნდა შევსებულიყო ერობათათვის გათვალისწინებულ მინიმუმ წევრთა რაოდენობამდე ანუ 25-მდე. არჩევნებს ატარებდა სამაზრო საარჩევნო კომისია, რომელიც მაზრას ყოფდა ოლქებად (თითოეულ ოლქში საშუალოდ 5000-მდე ამომრჩეველი უნდა ყოფილიყო).

1918 წ-ის ივლის-ნოემბერში ერობების არჩევნები ჩატარდა თბილისში, სენაკში, ოზურგეთში, თელავში, ქუთაისში, შორაპანში, სიღნაღში, გორში, დუშეთში, ზუგდიდში, რაჭაში, ლეჩხუმში; 1919 წ-ის იანვარ-ოქტომბერში გუმისთაში, გუდაუთაში, კოდორში, სამურზაყანოში, თიანეთში, ბორჩალოში, ახალციხეში; 1920 წ-ის იანვარ-აგვისტოში ზუგდიდში და ახალქალაქში.

საქართველოს პარლამენტის 1918 წ-ის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების“ დებულება, რომელიც შედგებოდა 37 მუხლისგან და დანართისგან - „ნუსხა ქალაქთა საბჭოებში ასარჩევ ხმოსანთა რიცხვისა“. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 34 ქალაქში: თბილისის გუბერნიის 14 ქალაქში - თბილისში (ქალაქის საბჭოში ასარჩევი იყო 90 წევრი), გორში (33), დუშეთში (20), სიღნაღში (30), თელავში (30), ხაშურში (20), ახალქალაქში (20), ახალციხეში (36), კოჯორში (20), სურამში (20), შულავერში (20), მანგლისში (20), ბორჯომში (20), აბასთუმანში (20); ქუთაისის გუბერნიის 12 ქალაქში - ქუთაისში (60), ფოთში (31), ოზურგეთში (20), ზესტაფონში (20), ლანჩხუთში (20), ახალსენაკში (20), სამტრედიაში (20), ხონში (20), ჭიათურაში (20), ზუგდიდში (20), რედუტ-კალეში (ყულევი) (20), ონში (20); სოხუმის ოლქის 4 ქალაქში - სოხუმში (40), გუდაუთაში (20), ოჩამჩირეში (20), გაგრაში (20); სოჭის ოლქის 3 ქალაქში - სოჭში (24), ხოსტაში (20), ადლერში (20); ზაქათალას ოლქის 1 ქალაქში - ზაქათალაში (20). ქალაქის საბჭოები ირჩეოდა ორი წლით, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა „საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენის დაწყებამდე შეუსრულდა ოცი წელი, და ცხოვრობს ამ ქალაქში, ან აქვს შინაური მოწყობილი მეურნეობა ან იმყოფება აქ სამსახურში ან და აქვს რაიმე სხვა განსაზღვრული სამუშაო (მუხ. 2)“. არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ყველა ქალაქში ვერ მოხერხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება, თუმცა 1919 ქალაქების უმეტესობამ მოახერხა საბჭოების არჩევა.

ლიტ.: ი. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, ერობა - თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918, ტ. I, თბ. 1917; ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

ჯაბა სამუშია

ქალაქთა საბჭოების და ერობათა ყრილობის ხმოსანთა არჩევნების წესდება – 1919 წ-ის იანვარში ერობების ხმოსანთა არჩევნებს წინ უძღოდა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წ-ის 17 დეკემბერს „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების“ შესახებ დებულების მიღება. აქტი აწესრიგებდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების - საბჭოების ხმოსანთა არჩევის წესს. ქალაქის საბჭო ირჩეოდა ორი წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს ორივე სქესის მოქალაქეს 20 წლის ასაკიდან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა პირს, რომლის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არსებობდა, ქურდობისთვის დასჯილებს, ასევე სხვა დანაშულისათვის მსჯავრდებულებს (მაგ.: ქრთამის აღება, მევახშეობა და სხვ.). ქალაქის გამგეობებს დაევალათ საარჩევნო სიების შედგენა და მათი საჯარო ადგილებში გამოქვეყნება. კანონი ადგენდა საარჩევნო სიებში, მისი დაზუსტების მიზნით, ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. თუ პირი ამის შემდეგ საარჩევნო სიაში არ იქნებოდა, ის კარგავდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ხმოსანთა არჩევნებს უზრუნველყოფდნენ ქალაქის საარჩევნო კომისიები ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. ამომრჩეველს არჩევნების დღეს ჰქონდა საარჩევნო ბარათი, რომლითაც ახდენდა საკუთარი თავის პერსონიფიცირებას. ბარათში ნაჩვენები იყო ამომრჩევლის სახელი და გვარი, მამის სახელი, არჩევნების ადგილი. არჩევნებში ყველას ერთი ხმა ჰქონდა. არჩევნები იყო ფარული. არჩევნების დღეს საარჩევნო უბანში, კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, თავმჯდომარე ვალდებული იყო, უზრუნველეყო წესიერება და არ მიეცა პირებისთვის შენობაში აგიტაციის უფლება. არჩევნების შედეგებს ითვლიდნენ მეორე დღეს ამომრჩეველთა თანდასწრებით, საჯაროდ. კომისიის მიერ დათვლილი შედეგები ეგზავნებოდა ქალაქის საარჩევნო კომისიას. ხმოსანთა მანდატები ნაწილდებოდა პროპორციულად იმ სიებს შორის, რომლებიც ხმების მეტ რაოდენობას მიიღებდნენ. კანონი ადგენდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის. დებულების 31-37-ე მუხლები შეიცავს არჩევნების შედეგების გასაჩივრებას. უზენაეს სასამართლოს უფლება ჰქონდა, გაეუქმებინა მთლიანად ხმოსანთა არჩევნების შედეგები. ახლად არჩეული ხმოსნების უფლებამოსილების დაწყებამდე არსებული ხმოსნები აგრძელებდნენ მუშაობას.

1919 წ-ის 14 იანვარს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხმოსანთა საარჩევნო დებულებაში, ძირითადად, ტექნიკური ხასიათის ცვლილებები და დამატებები შეიტანა.

*ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (*1918-1921*),* 1990.

ბექა ქანთარია

ქალთა გიმნაზიები – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919 წ-ის აპრილისათვის იყო ქალთა 24 სახაზინო (სახელმწიფო) გიმნაზია. თბილისში ქალთა რამდენიმე სახაზინო და კერძო გიმნაზია იყო. თბილისის მე-5 ქალთა გიმნაზია მდებარეობდა კუკიაზე, მიხაილოვის პროსპექტზე (№40), სამსართულიან სახლში, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული გიმნაზიის დირექციას გენერალ იოსებ ისარლოვისაგან, რომელიც იყო ცნობილი ცენზორის, ლუკა ისარლოვის, შვილი. გენერალი ისარლოვი ცხოვრობდა გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, საიდანაც გასახლებას უპირებდნენ, სახელმწიფოს მიერ ამ ბინის საჭიროების გამო. ამ საკითხზე განათლების სამინისტრო მიმართავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა დახმარება აღმოეჩინა გენერლისთვის, რომლის კუთვნილი შენობა ქალთა გიმნაზიას ეჭირა, სადაც ერთი ოთახიც არ იყო პატრონისთვის დასათმობად გამოყოფილი. თბილისის ქალთა მე-6 გიმნაზიაში მუშაობდნენ ცნობილი პედაგოგები: გრიგოლ ლორთქიფანიძე, ელ. შიმკევიჩი, ოლ. გოგლიჩიძისა, ივ. ბერეჟიანი, ალ. გაბრიჩიძე, ვ. წერეთელი, ქ. ჯუღელი, ე. საყვარელიძე, ზ. ხატიაშვილი, ან. ქავთარაძისა, მ. ვრუბელი და სხვ. ქუთაისის ქალთა პირველი გიმნაზიის მასწავლებლები იყვნენ: ივანე კუჭუხიძე, დარია კეჟერაძე, მღვდელი პლატონ ცქიტიშვილი, ვლადიმერ ფუთურიძე, დავით ჩხეიძე, სიმონ ლორთქიფანიძე, ოლღა ინასარიძე, ალექსანდრა ჩხენკელი, ბაბილინა კლდიაშვილი, ელენე მიქელაძე და სხვ. ქუთაისის ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორი იყო დ. ქუთათელაძე. ცნობილი ქალთა სასწავლებელი იყო ქუთაისის გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზია. 1917 წ-ის დეკემბერში იმერეთის საეპარქიო გაბრიელის ქალთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად და გადავიდა ამიერკავკასიის განათლების სამინისტროს უწყებაში. სასწავლებლის უფროსი იყო მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე, დირექტორი - ტრიფონ ჯაფარიძე. გორის ქალთა გიმნაზიაში 1918 წ-მდე სწავლა რუსულად მიმდინარეობდა, 1918 წ-ის სექტემბრიდან დაიწყო სასწავლებლის გაეროვნების პროცესი, დირექტორი ამ დროს იყო მ. კინწურაშვილი. გაეროვნების გამო სასწავლებლიდან დაითხოვეს რუსულენოვანი პედაგოგები. მსგავსი პროცესები სხვა სასწავლებლებშიც მიმდინარეობდა. პედაგოგ ლიუტოსტონსკის თავისი მოვალეობა კარგად ვერ შეუსრულებია, რის გამოც, მზრუნველთა საბჭოსა და მშობლების დელეგატთა კრებამ მისი გადაყენება მოითხოვა და ამ თანამდებობაზე 2 კანდიდატი წამოაყენა: დამსახურებული პედაგოგი ამბროსი მებურიშვილი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე გარსევანიშვილი. გორის ქალთა გიმნაზიაში მათემატიკას ასწავლიდა ეკატერინე დიდებულიძე, რომელსაც დასრულებული ჰქონდა კიევის უმაღლესი ქალთა კურსების მათემატიკის ფაკულტეტი.

ლიტ.: სცსა, ფ, 1935, აღწ. 1, საქ. 55, საქ. 173, საქ. 206.

დოდო ჭუმბურიძე

ქალთა მოძრაობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ქალებმა წამოიწყეს ბრძოლა ფეოდალურ-პატრიარქალური შეხედულებების წინააღმდეგ და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. 1879 ჩამოყალიბებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გახდა ქალების, როგორც სოციალური ჯგუფის, ჩამოყალიბების იმპულსი. სწორედ ამ ჯგუფის მეცადინეობით შესაძლებელი გახდა გოგონებისთვის განათლების უფლების მოპოვება. თითქმის ყველა მაზრაში გაჩნდა ქალთა შემოქმედებითი, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციები. ამის პარალელურად გამოიცა ქართველ მწერალ ქალთა ნაწარმოებები, მათ მიერ ნათარგმნი უცხოური ლიტერატურა და, რაც ყველაზე მთავარია, დაიწყო საზოგადოებრივი დისკუსია თანასწორობის საკითხებზე. 70-იანი წლებიდან პერიოდულ გამოცემებში მიმდინარეობდა დისკუსია და პოლემიკა „დედათა კითხვაზე“. მეოცე საუკუნის დასაწყისს უკავშირდება ქალთა მოძრაობის მეორე ტალღა, რომლის სამიზნედ სოციალური სამართლიანობის და თანასწორობის იდეები იქცა. აქტუალური გახდა ქალის სამოქალაქო უფლებები, არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ითარგმნა ავგუსტ ბებელის „ქალი და სოციალიზმი“, „ამომრჩეველი ქალი“, გაჩნდნენ ქართველი სუფრაჟისტები და მათი გაერთიანებები: „ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი“, „ქართველ ქალთა საზოგადოება“, „კავკასიელ ქალთა საზოგადოება“. ამ მოძრაობას შეუერთდა პირველი ტალღის მონაწილე ქალთა დიდი ნაწილი.

1918 როცა საქართველოს ეროვნული საბჭო არჩევნებისთვის ემზადებოდა, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ შეკრებაზე ნინო ტყეშელაშვილმა განაცხადა: „მე მჭერმეტყველი არა ვარ, საზოგადოებაში ლაპარაკს გავურბივარ. წარსულმა, ქალის ფეხშეკრულმა ცხოვრებამ ქალი დაამუნჯა, მაგრამ თქვენ ახლა ისეთი უსამართლობის წინაშე დაგვაყენეთ, რომ ქვაც ენას ამოიდგამს. ქალი ოჯახს უვლის, შვილებს უზრდის ქვეყანას, საზოგადოებას ემსახურება, რითაც და როგორც შეუძლია, ცოტა გვყვანდნენ რევოლუციონერი ქალები? თქვენ 20 კაცში ერთი ქალიც ვერ ამოგირჩევიათ..”. გამოსვლის ბოლოს, ნინომ პარტიას 5 კანდიდატი ქალი შესთავაზა, მაგრამ ამაოდ. გაწბილებულმა ორატორმა და მისმა თანამოაზრეებმა (კატო მიქელაძე, ანა ღვინიაშვილი, ანა ხახუტაშვილი, დესპინე გელოვანი, ბაბილინა ხოსიტაშვილი) პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს კრება. კატო მიქელაძემ ჩამოაყალიბა „ქუთაისის

ინტერპარტიულ ქალთა სწორუფლებიანობის ლიგა“, რომლის წევრებმა შეიმუშავეს პროგრამა: ქალებისთვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ერთობლიობა. ამ პროგრამაზე დაყრდნობით, შედგენილ იქნა ამიერკავკასიის სეიმისთვის წარსადგენი მოთხოვნები. ქალთა კონსოლიდაციის აუცილებლობაზე ესაუბრებოდა კატო მიქელაძე ეკატერინე გაბაშვილს, რომელიც თბილისში მომუშავე „კავკასიელ ქალთა საზოგადოების“ დამფუძნებელი იყო: „ვერავითარი ზემოდან ბოძებული უფლება ჩვენ ვერ გვიხსნის, თუ თვით ქალები არ მოვინდომებთ ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენას. გადახედეთ ჩვენს უბადრუკ ცხოვრებას, თუ რა ცოტა სჭირდებათ მამაკაცებს სახელისა და ავტორიტეტის მოსაპოვებლად და რა დიდი შრომა და ტანჯვა - ქალებს, რომ უბრალო ყურადღება მიიქციონ. ჩვენ უნდა შევქმნათ ატმოსფერო ქალთა შემოქმედურ ძალთა და აქტიურობის ასაღორძინებლად და ეს მოხდება მაშინ, როცა ქალები დაისწავლიან საკუთარი თავისა და ურთიერთ პატივისცემას... ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი სულიერი კავშირი, რომ არავითარმა წინააღმდეგობამ არ შეგვაშინოს და არ გაგვაცალკეოს. საჭირო არ არის სიმრავლე რიცხვისა. ძალა ერთობაშია და არა - რიცხვში...” ქალების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა ყოველკვირეულმა გაზეთმა „ხმა ქართველი ქალისა“, რომელიც ქუთაისში, კატო მიქელაძის რედაქტორობით გამოდიოდა. 1919 წ-ის არჩევნების შედეგად, დამფუძნებელი კრების წევრი გახდა 130 დეპუტატი, მათ შორის იყო 5 (3,8 %) ქალიც: ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ანა სოლოღაშვილი, ქრისტინე შარაშიძე, ელისაბედ ნაკაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე. 1921 წ-ის 21 თებერვლის კონსტიტუციაში ჩაიწერა: ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით (მუხლი 39). ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფილობას. ქორწინების ფორმას კანონი განსაზღვრავს. ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებებითა და მოვალეობებით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა; აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს, იძიოს თავისი მამა (მუხლი 40)... განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალის მშობიარობის დროს არა ნაკლებ 2 თვისა თავისუფალია მუშაობისაგან, ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები“ (მუხლი 126). განათლების უფლების რეალიზებაზეც სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლები საერო გახდა. 1918 წ-ის 6 სექტემბრის კანონით, თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარია (რომელიც საზოგადოება „განათლებას“ ეკუთვნოდა) მთავრობის გამგებლობაში გადავიდა და მისი მზრუნველობის ქვეშ მოექცა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918 წ-ის 3 სექტემბრის დებულებით, გარანტირებული იყო ორივე სქესის ხელმისაწვდომობა უმაღლეს განათლებაზე: „ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სკოლა უნდა ჰქონდეთ გათავებული, თვითეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე დამატებითი საგნის ცოდნა წინასწარ მოსთხოვონ“ (პარაგრაფი 15). 1920 წ-ის 16 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სპეციალური დებულება, სადაც ჩაიწერა: „სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო აგრონომიული პერსონალის მოსამზადებლად არსდება ორივე სქესის პირთათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლები და დაწესებულებები“. მაგრამ ქალები ხედავდნენ, რომ თანასწორობის კონსტიტუციური გარანტია და რეალობა ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. „დემოკრატიის“, როგორც ღირებულების, გაუფასურებას ეძღვნება მათ მიერ ამ პერიოდში დაწერილი უამრავი პუბლიცისტური წერილი. მაგალითად, დრამატურგი ქალი, ნატალია აზიანი, თავის წერილში „ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან“ გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ მეფის რუსეთის ჩინოვნიკებმაც და მენშევიკებმაც იმედები ვერ გაამართლეს და ორთავემ უღალატა დემოკრატიულ იდეალებს. ავტორის აზრით, იგივე პირი უჩანდა ბოლშევიკურ წყობასაც.

ლიტ.: ლ. გაფრინდაშვილი, სტატიები ქართველი განმანათლებელი ქალების (ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, კატო მიქელაძე) შესახებ, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პროექტი „50 ქალი საქართველოდან“, იხილეთ: http://www. femInIsm-boell. org/ka/2013/12/02/50-kalI-sakartVelodan. ი. ხვადაგიანი, სტატიები დამფუძნებელი კრების წევრი ქალების (ელეონორა მახვილაძე, ქრისტინე შარაშიძე, მინადორა ტოროშელიძე, ანა სოლოღაშვილი, ელისაბედ ბოლქვაძე) შესახებ, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პროექტი „50 ქალი საქართველოდან“, იხილეთ: http://www. femInIsm-boell. org/ka/2013/12/02/50-kalI-sakartVelodan.

ლელა გაფრინდაშვილი

ქართველ მწერალთა საზოგადოება – ქართველ მწერალთა საზოგადოების შექმნის საკითხი XX ს-ის დასაწყისშივე დადგა დღის წესრიგში. მიზანი მწერალთა ნაწარმოებების გამოცემაზე, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა იყო. 1908 დაარსდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“. გარდა ამისა, არსებობდა ქართული კულტუ-

რის მოყვარულთა საზოგადოებაც, რომელიც ატარებდა მწერალთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვას, მწერალთა ლექცია-მოხსენებებს. იყო ასევე ქართული ტექსტების რუსულად მთარგმნელთა საზოგადოება ბაქოში. მწერლობის პროფესიული საკითხების მოსაგვარებლად საჭირო გახდა ყველა ამ ორგანიზაციის გაერთიანება ერთ კავშირში, რის გამოც, 1917 გადაწყდა მწერალთა კავშირის შექმნა. 1917 წ-ის 8 ოქტომბერს, სასახლის ქუჩაზე, ქართული კლუბის დარბაზში გაიხსნა ქართველ მწერალთა კონფერენცია. იგი გახსნა მწერალმა კოტე მაყაშვილმა. დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1. მისალმებანი; 2. მოხსენებები; 3. სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების ანგარიში; 4. მწერალთა კავშირის დაარსება; 5. მუდმივ ორგანოთა წევრების არჩევნები. კონფერენციის მეორე სხდომაზე გადაწყდა „ქართველ მწერალთა საზოგადოების კავშირის“ შექმნა. მასში უნდა გაერთიანებულიყო მანამდე არსებული ყველა შემოქმედებითი ორგანიზაცია, მათ შორის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორგანიზაცია, „შოთას საზოგადოება“ და სხვ. დამფუძნებელმა კონფერენციამ საჭიროდ ცნო ისეთი ჟურნალის გამოცემა, სადაც დაიბეჭდებოდნენ ყველა ლიტერატურული მიმართულების მწერლები. პაოლო იაშვილმა წინადადება წამოაყენა რუსთაველის ძეგლის აგებისა და ქართული ხელოვნების სადღესასწაულოდ ერთი დღის გამოყოფისათვის. კონსტანტინე გამსახურდიას წინადადებით, კონფერენციამ მომავალ საბჭოს დაავალა, ეშუამდგომლა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა გოლოვინის პროსპექტს დარქმეოდა შოთა რუსთაველის სახელი. სამსონ დადიანის წინადადადებით, რუმინეთიდან უნდა გადმოესვენებინათ პოეტ ბესარიონ გაბაშვილის, პეტროგრადიდან კი გრიგოლ აბაშიძის ნეშტი. კონფერენციამ მისალმებები გაუგზავნა ავადმყოფ კიტა აბაშიძეს, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელ კონსტანტინე ბალმონტს, ქართველი ხალხისა და ქართული მწერლობის მეგობრებს, ოლივერ უორდროპსა და არტურ ლაისტს, მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხსა და კათალიკოს პატრიარქ კირიონს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისი კათალიკოსად არჩევის გამო. კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს 10 წევრი: კონსტანტინე გამსახურდია, სამსონ დადიანი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, დავით სულიაშვილი, კოტე მაყაშვილი, აკაკი პაპავა, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი. კონფერენცია დახურა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც ქართველ მწერლებს გაერთიანებისკენ მოუწოდა. 22 ოქტომბრის სხდომაზე მწერალთა კავშირის ათკაციანმა საბჭომ თავმჯდომარედ კოტე მაყაშვილი აირჩია, რომელიც ამ თანამდებობაზე 1926 წ-მდე იმყოფებოდა. თავმჯდომარის ამახანაგად აირჩიეს და ამ თანამდებობაზე 1917-1920 წწ-ში მუშაობდა შალვა დადიანი, მოლარედ - დავით სულიაშვილი. მწერალთა ჟურნალის სარედაქციო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს აკაკი პაპავა და ლეო ქიაჩელი, მდივნად იოსებ გრიშაშვილი. სარევიზიო კომისიაში შევიდნენ: არტემ ახნაზაროვი, გიორგი მუმლაძე და ლევან მეტრეველი. 1919 წ-ის 16 ივნისს მწერალთა საბჭოს სხდომამ, რომელიც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობაში ჩატარდა, განიხილა საკითხები: 1. მემორანდუმის გაგზავნა მთავრობისათვის მწერალთა ფონდის შესაქმნელად და 2. რესტორან „ანონაში“ მხატვრული კლუბის გახსნა; 3. ევროპაში მწერლების გაგზავნა. მალე მწერალთა კავშირმა ქალაქის გამგეობისაგან შეიძინა რესტორანი „ანონა“ და იქ მოაწყო კაფე-რესტორანი და კლუბი „ქიმერიონი“. კაფე მოხატეს რუსმა მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა, ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა - ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ, ასევე კირილე ზდანევიჩმა და პოლონელმა მხატვარმა, ზიგმუნდ ვალიშევსკიმ. 1920 წ-ის 4 აპრილს გაიხსნა ქართველ მწერალთა კავშირის მეორე კონფერენცია. კონფერენციის თავ-რედ. აირჩიეს ნიკო ნიკოლაძე, თავ-რის ამხანაგებად: ივანე გომართელი და პეტრე მირიანაშვილი. პრეზიდიუმში ისხდნენ საპატიო თავ-რეები: შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი და დუტუ მეგრელი. საანგარიშო მოხსენება წაიკითხა ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს თავ-რემ კ. მაყაშვილმა. კონფერნციამ შეცვალა წესდების ზოგიერთი პუნქტი: ქართველ მწერალთა საზოგადოების კავშირს ეწოდა „მწერალთა კავშირი“, გადაწყდა, კონფერენციები ჩატარებულიყო ყოველ წელს; ქართველ მწერალთა დღეს, ტიციან ტაბიძის წინადადებით, დაერქვა „პოეზიის დღე“. ამ დღის აღნიშვნა უნდა მომხდარიყო ყოველ 7 მაისს. ამ გადაწყვეტილებამდე, 1919 წ-ის 28 აგვისტოს, ქართული კლუბის ბაღსა და საზაფხულო დარბაზში გაიმართა ქართველ მწერალთა პირველი სადღესასწაულო შეკრება. პოეზიის დღეს მთელ საქართველოში დღესასწაულობდნენ. 1920 პირველად აღინიშნა ეს დღე და გამოიცა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“. მეორე კონფერენციამ დაავალა საბჭოს, შეედგინა საავტორო უფლებების დაცვის წესები, გამოეცხადებინა პრემიები, ეზრუნა მწერლებისათვის აგარაკების ასაშენებლად, ევროპაში მათ გასაგზავნად, მწერალთა პენსიების დასანიშნად და სხვ. კონფერენციამ მწერალთა კავშირის ახალი საბჭო აირჩია, რომელშიც შევიდნენ: ალ აბაშელი, ი. აგლაძე, ი. გომართელი, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მაყაშვილი, ს. თავაძე, ა. პაპავა, ვ. რუხაძე, ტ. ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე. თავ-რედ ხელახლა აირჩიეს კ. მაყაშვილი, მის ამხანაგებად, მდივნად და ხაზინადრად: ნიკო ლორთქიფანიძე, აკაკი პაპავა, ალექსანდრე აბაშელი (ისაკ ჩოჩია) და ტიციან ტაბიძე. 1920 წ-ის 10 ივნისს სახ. ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ

ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის საღამოები. ამავე წელს (24 მაისს) მოეწყო აშუღი პოეტის - ჰაზირას საღამო. 1921 წ-ის 27 იანვარს პოეტების ჯგუფმა გალაკტიონ ტაბიძე „პოეტების მეფედ“ გამოაცხადა საკონკურსოდ წარდგენილი ლექსისათვის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. საქართველოს მწერალთა კავშირმა არსებობა გააგრძელა საბჭოთა პერიოდში. სამწუხაროდ, ამ წლებში ის ტოტალიტარული რეჟიმის ხელში „იდეურად არაკეთილსაიმედო“ მწერლების დამსჯელ იარაღად იქცა.

ლიტ.: რ. კ ვ ე რ ე ნ ჩ ხ ი ლ ა ძ ე, საქართველოს მწერალთა კავშირი, 1917-1982, თბ., 1983; გაზ. „ერთობა“, წ-ის 4 აპრილი 1920; გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №550.

დოდო ჭუმბურიძე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – 1879 დაარსდა. 1918-1921 წწ-ში აგრძელებდა თავის საქმიანობას. ჰქონდა ფილიალები და სკოლები როგორც საქართველოში, ასევე კავკასიის თვალსაჩინო ქალაქებში: კავკავში, არმავირში, პეტროვსკში, დერბენდში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, გუმბრში, ნახჭევანში, შემახაში, შუშაში და სხვ. განათლების რეფორმა შეეხო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ-საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო ორგანიზაციას. ეს საზოგადოება დიდ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ამიტომ მთავრობამ, განათლების მინისტრის მიმართვის საფუძველზე, უფლება მისცა მინისტრს, მისთვის გამოყოფილი 10-მილიონიანი ფონდიდან გამოეყო ამ დაწესებულებისთვის 500.000 მანეთი სახელმძღვანელოების და სხვა ბეჭდვითი მასალების გამოსაცემად. გამოსაცემ წიგნთა სიაში იყო „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, მათემატიკის, ფიზიკის სახელმძღვანელოები, რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. კარიჭაშვილისა, რუსულ-ქართული ლექსიკონი მ. ჭანაშვილისა, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დ. კლდიაშვილის, გ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავის, ნ. ლომოურის, ვ. რუხაძის, ა. ხოშტარიას თხზულებები, ასევე უცხოური ენებიდან თარგმნილი საკითხავი მხატვრული ლიტერატურა. თანხა წ.კ.გ.ს. უნდა მისცემოდა ნაწილ-ნაწილ, უპროცენტოდ, ასევე ნაწილ-ნაწილ უნდა დაებრუნებინა სახელმწიფოსათვის. მთავრობამ ეს გადაწყვეტილება 1919 წ-ის 26 ივლისს მიიღო. გამოსაცემ წიგნებს არჩევდნენ საზოგადოების გამგეობასთან არსებული კომისიები: 1. ლიტერატორ-კრიტიკოსთა (წევრები: ივანე გომართელი, დავით კასრაძე, ვ. ბაქრაძე, დ. ხოშტარია, შ. დედაბრიშვილი); ისტორიკოსთა (ივანე ჯავახიშვილი, გრ. ნათაძე, ალ. ჟორჟოლიანი, სარგის კაკაბაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე ქავთარაძე, მოსე ჯანაშვილი, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე); საბუნებისმეტყველო (ს. იაშვილი, სოლ. გულისაშვილი, ტ. ხარაძე, მ. სირაძე, თ. ყიფშიძე); პირველდაწყებითი სახელმძღვანელო წიგნების შემსწორებელი (ივ. გომელაური, ლ. ბოცვაძე, ვ. ბურჯანაძე, თ. კიკვაძე, პ. კაკაბაძე, იპ. ვართაგავა და სხვა). წერა-კიხვის გამგეობის თავმჯდომარე იყო დ. კარიჭაშვილი. საზოგადოების სამწიგნობრო სექციამ გადაწყვიტა, ხელი შეეწყო მედიცინის დარგის პოპულარიზაციისათვის, ხალხში არსებული ცრურწმენების აღმოფხვრისა და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც ექიმ-სპეციალისტებს შეუკვეთა წიგნების დაწერა ზოგი დაავადების შესახებ, რაც ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. სამწიგნობრო სექციის მიმართვაში ეწერა, რომ „წიგნები უნდა დაიწეროს მეცნიერულათ და მდაბიურათ, რომ გასაგები იყოს საშუალო მკითხველისათვის“. ავტორს უნდა წარედგინა თავისი პირობები, ჰონორარის რაოდენობის, წიგნის დაწერის ვადების, ტერმინების ქართულად გადმოტანის და სხვა იმ პრობლემების შესახებ, რაც წიგნის დაწერას ახლდა. სასურველ თემებს სექცია თავად აწვდიდა სპეციალისტებს. ეს იყო: ბინის, ტანსაცმლის, საჭმელ-სასმელის, ყურის, ცხვირის, თვალის ჰიგიენის, ასევე პროფესიულ (ასოთამწყობების, მაღაროს მუშების) დაავადებათა შესახებ, იმ დროს გავრცელებული ისეთი საშიში სენის შესახებ, როგორიც იყო ტუბერკულოზი, მალარია, დეზინტერია, ცოფი, ქოლერა, შავი ჭირი, რევმატიზმი, ნაწლავების ჭიები. ჩამოთვლილი იყო ბავშვთა და ქალური დაავადებების, თვალის დაავადებათა გრძელი სია.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. 54, საქ. 277.

დოდო ჭუმბურიძე

ქართველი კათოლიკეები 1918-1921 წლებში – ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკმაოდ ნორმალური იყო. ქართველ კათოლიკეებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მართლმადიდებლებთან, რაზეც მოწმობს 1917 წ-ის პირველ ოქტომბერს „ქართველ კათოლიკეთა სათემო კომიტეტის“ მიერ პატრიარქ კირიონ II-სთან გაგზანილი მიმართვა, სადაც გამოთქმულია გულწრფელი სიხარული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამო. ამის საპასუხოდ პატრიარქმა 1917 წ-ის 2 ნოემბერს რომის პაპ ბენედიქტე XV-ს გაუგზავნა წერილი, სადაც გამოთქმულია სურვილი, ორ ეკლესიას შორის დამყარდეს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა. 1919 წ-ის 2 აგვისტოს საქართველოს ეწვია პონტიფიკატის აღმოსავლეთმცოდნეობის პირველი რექტორი ანტუან დელპუჩი. იგი წლის ბოლომდე დარჩა საქართველოში. 1920 წ-ის 3 ოქტომბერს საქართველოს ეწვია ეპისკოპოსი მორიონდო, რომელმაც მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა.

წყარო: ჟურ. „სვეტიცხოველი“, 1917, №4. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი სხვადასხვა, საქ. 70. გაზ. „საქართველო“, №113.

ლიტ.: მ. პ ა პ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995; ნ. პ ა პ უ ა შ ვ ი - ლ ი, წმ. კირიონ II-ის წერილი პაპ ბენედიქტე XV-ს. დიალოგი: აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურ. თბ., 2004. №1; ე. ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქართველი კათოლიკეები, ჟურ. „რელიგია“, 2017, №1.

მიხეილ ქართველიშვილი

ქართველი სამღვდელოების დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რელიგიური პოლიტიკისადმი – ქართველ სამღვდელოებას ადეკვატური დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რელიგიური პოლიტიკისადმი. ჯერ სასულიერო კრებული მოლოდინის რეჟიმში იყო: თუ რა პოლიტიკას გაატარებდა ხელისუფლება. როდესაც გამომჟღავნდა, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის სახელმწიფოსაგან მკვეთრ გამიჯვნას გულისხმობდა, ამას ქართველი სასულიერო პირების მხრიდან პროტესტი მოჰყვა. ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით ეკლესიას იურიდიულად არსებობის უფლებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ ეკლესიას ჩამოართვა ქონების ფლობის უფლება, ასევე სასულიერო განათლების უფლებაც. ყოველივე ამაზე ქართველი სასულიერო პირები ძალიან მწვავედ რეაგირებდნენ თავიანთ ქადაგებებსა თუ წერილებში, რის დასტურსაც კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს წერილი „წერილი ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ“ წარმოადგენს. მასში მკაცრად არის გაკრიტიკებული ხელისუფლების მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკა. მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველი სასულიერო პირები ქართული სახელმწიფოს ერთგულები დარჩნენ.

ლიტ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წწ., თბ., 2000; კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, წერილი ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ, გამოსაცემად მოამზადა ლ. ხუნდაძემ. თბ., 2005; ქ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008.

მიხეილ ქართველიშვილი

ქართულ-ესტონური ურთიერთობები 1918–1921 წლებში – ესტონელთა კომპაქტური დასახლებანი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში XIX ს-ის 80-იანი წლებიდან გაჩნდა. აფხაზთა მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებულ ტერიტორიაზე, რომელიც სოხუმის ოლქში მდებარეობდა, ესტონეთიდან გადმოსახლებული კოლონისტები დასახლდნენ. მათ კარგი ურთიერთობები დაამყარეს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთა შორისაც ძირითადად ქართველები და ქრისტიანი აფხაზები იყვნენ. საქართველოში არსებულ ესტონურ დიასპორას I მსოფლიო ომის დროს დაემატა სხვადასხვა მიზეზთა გამო კავკასიაში ჩამოსულ ესტონელთა საკმაო რაოდენობა, რომელიც სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ ჩამოყალიბდა „ესტონელთა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი“, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეთა ხელშეწყობა და სამშობლოში დაბრუნების მსურველთა დახმარება.

1918 წ-ის 4-9 მარტს სოხუმში შედგა გლეხთა II საოლქო ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების გლეხობის წარმომადგენლებმა და მათ შორის ესტონელებმაც. ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის გლეხობა მზად არის, თავისი მომავალი დაუკავშიროს „დემოკრატიულ საქართველოს“. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის და მის შემდგომ არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ესტონელებს, რომელთა შორისაც ლტოლვილებიც იყვნენ. მათი ძირითადი ნაწილი ყარსის ოლქიდან დევნილი ესტონური ოჯახები იყო. 1918 წ-ის გაზაფხულზე ისინი იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ აღნიშნულ ოლქში მდებარე სოფელი ნოვო-ესტონკა, რომელიც ოსმალეთის იმპერიის არმიამ დაიკავა. 1919 წ-ის 18 აგვისტოს სოხუმში გაიმართა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ესტონური კოლონიების II ყრილობა, რომელმაც მკაფიოდ დააფიქსირა თავისი მხარდაჭერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობამ თავის კონსულად საქართველოში მოავლინა კ. პაული. 1921 წ-ის იანვრის მიწურულს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ აღიარება დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მხრიდან ჩვენი ქვეყნის მთავრობას ოფიციალურად მიულოცა ესტონეთის კონსულმა, რომელიც 6 თებერვალს მთავრობის სასახლეში ნოე ჟორდანიას ეწვია. იმავე წლის 8 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მიმართ გაგზავნილ მისასალმებელ წერილში ჩვენს ქვეყანაში არსებული ესტონური დიასპორის მესვეურები აღნიშნავდნენ: „ეს დიდად საზეიმო დღე, მით უფრო სასიხარულოა ესტონელებისათვის, რომ ასეთ პოლიტიკურ გამარჯვებას დღესასწაულობს ესტონეთიც. ორივე განთავისუფლებული ერი გასწევს წინ ხელჩაკიდებული თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ“.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ესტონეთის საკონსულომ თბილისში საქმიანობა მცირე ხანს კიდევ განაგრძო. ესტონეთის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა თავისი სრულუფლებიანი სავაჭრო წარმომადგენელი.

ლიტ.: გაზ. „ერთობა“, 24 მარტი 1918; „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 თებერვალი 1921; „სა-

ქართველოს რესპუბლიკა“, 10 თებერვალი 1921; Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი

ქართული სახელმწიფო დრამის თეატრი - 1920 ჩამოყალიბდა ქართული დრამატული თეატრი. 1920 წ-ის 15 ივლისს დასის შემადგენლობა დაზუსტდა. ზაფხულის სარეპეტიციო სამუშაოები სურამში ჩატარდა. ოქტომბრიდან კი რუსთაველის თეატრის შენობაში გადავიდნენ. ძირითადად შენობა რუსულ თეატრს ეკუთვნოდა, ორი დღე ქართულ თეატრს ჰქონდა დათმობილი, თითო დღე - სომხურ და აზერბაიჯანულ დასებს. თეატრის ხელმძღვანელად აკაკი ფაღავა დაინიშნა. მან შემოიღო ქალაქგარეთ რეპეტიციები, ძირითადად სურამში მუშაობდნენ. აკაკი ფაღავას გარდა, რეჟისორად მუშაობდნენ: მ. ქორელი, ა. წუწუნავა, კ. ანდრონიკაშვილი, ალ. ახმეტელი და ლ. მესხიშვილი. სეზონი შალვა დადიანის „გუშინდელით“ გაიხსნა. ა. ფაღავას რეჟისორობით დაიდგა შექსპირის „ოტელო“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“. ა. წუწუნავამ დადგა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, რომელიც სეზონის საუკეთესო სპექტაკლად ითვლება (მხატვარი ვალერიან-სიდამონ ერისთავი). ალ. ახმეტელმა დადგა ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“. 1920-1921 წწ-ის სეზონის მეორე ნახევარი ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა. რეჟისურა, დეკორაციები, მსახიობის ოსტატობა თანდათან დაიხვეწა, თუმცა, მაყურებელი თანდათან აკლდებოდა თეატრს. 1920-1921 წწ-ში დაიდგა 22 პიესა.

ლიტ.: დ. ანთაძე, დღეები ახლო წარსულისა, თბ., 1962.

სალომე ჭანტურიძე

ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე (1887, სოფელი თორტიზა, გორის მაზრა - 01.III.1952, ბერნი) - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. საშუალო განათლება თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიიღო. 1912 დაამთავრა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. თბილისში დაბრუნების შემდეგ იყო ისტორიის პედაგოგი ქართულ გიმნაზიაში, დედათა საოსტატო ქართულ სემინარიასა და დედათა ინსტიტუტში. 1913 წ-დან, როგორც მიწვეული ლექტორი, სახალხო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს მსოფლიო ისტორიის საკითხებზე. იმავე წელს აირჩიეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად. 1914 ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ყრილობამ მას საზოგადოების საბჭოს წევრობა მიანდო. მონაწილეობდა საქართველოში ჩამოყალიბებულ საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობაში. იყო ამ საზოგადოების რწმუნებული ხევსურეთის საქმეებში. თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდესა“ და გაზეთ „საქართველოში“. მისი კორესპონდენციები იბეჭდებოდა ასევე ბერლინში გამომავალ „ქართულ გაზეთში“. შედიოდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თბილისის ფილიალის შემადგენლობაში, დაკისრებული ჰქონდა მეზობელ ერებთან თანხმობისათვის მუშაობა, მასვე ევალებოდა ევროპაში მოქმედ კომიტეტთან მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა. 1917 ჩავიდა სტოკჰოლმში, სადაც შეხვდა კომიტეტის წევრებს. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის შ. ქარუმიძეს განთავისუფლების კომიტეტმა თავისი მთავარი ჯილდო - თამარ მეფის ორდენი მიანიჭა.

1917 წ-ის მაისში შ. ქარუმიძე, როგორც ეროვნულ-დემოკრატთა დელეგაციის წევრი, დაესწრო გაერთიანებულ მთიელთა კავშირის პირველ ყრილობას კავკავში. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო მთავარი კომიტეტის წევრი და მონაწილეობდა პარტიის პროგრამისა და წესდების შედგენაში. 1917 წ-ის ივნისში პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ იგი ედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩია. ყრილობაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზგასმულია: „ჩვენ ისეთი დროშა უნდა ავაფრიალოთ, რომელიც უზენაეს იდეალამდინ მიგვიყვანს, მაგრამ ვეკრძალოთ კი, რომ დროშა იგი არ დაგვახრევინონ“. ედპ-ის სიით შედიოდა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს შემადგენლობაში და მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში (1917 წ-ის ნოემბერი). ეროვნულ საბჭოს გაფართოებისას, 1918 წ-ის 29 მაისს, ის საბჭოში შეიყვანეს. არჩეული იყო საბჭოს სამეურნეო-საგამგეო კომისიის წევრად. საქართველოს პარლამენტში წარმოთქვა სიტყვა საღვთო რჯულის სწავლების გაუქმების წინააღმდეგ. 1918 წ-ის სექტემბერში ედპ-დან გავიდა, შეუერთდა დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას (იგივე ეროვნული, იგივე მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია) და გახდა მისი თავმჯდომარის მოადგილე. 1920 წ-ის მაისში, საქართველოს დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითი არჩევნების შედეგად, ეროვნული პარტიის სიით ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატის მანდატი მოიპოვა. აქტიურად მონაწილეობდა სასოფლო კოოპერატივებისა და ამხანაგობების ჩამოყალიბებაში. 1921 წ-ის თებერვალში მის მიერ ერწო-თიანეთში შედგენილი ფშავ-ხევსურთა რაზმი იცავდა თბილისს შემოჭრილი მტრისაგან.

ქარუმიძე შალვა

ბოლშევიკური ოკუპაციის პირველ ხანებში საზღვარგარეთ არ წასულა და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იატაკქვეშა მუშაობაში ჩაერთო. შედიოდა ედპ-ის არალეგალური ცკ-ის შემადგენლობაში. 1923 ამ ორგანოს მინდობილობით კონსტანტინოპოლში ჩავიდა და თურ-

ქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოსათვის ჯარითა და იარაღით დახმარება სთხოვა. იმავე წელს ემიგრაციაში გაიხიზნა, ცხოვრობდა ჯერ თურქეთში, შემდეგ საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში. აქტიურად იყო ჩაბმული ანტისაბჭოთა საქმიანობაში. შედიოდა ედპ-ის კონსტანტინოპოლის ბიუროს შემადგენლობაში. 1926 ემიგრანტ ვ. სადათიერაშვილთან, მაღალი თანამდებობის გერმანელ მოხელეებთან, საერთაშორისო ფინანსური წრეებისა და ბანკების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდა ყალბი საბჭოთა ჩერვონცების დაბეჭდვის ოპერაციაში, რომელიც მიმართული იყო სსრ კავშირის ეკონომიკური დასუსტებისაკენ. საბჭოთა მართლმსაჯულებამ დაუსწრებლად დახვრეტა მიუსაჯა, ხოლო გერმანიის სასამართლომ, რომლის პროცესი 1930 წ-მდე გაგრძელდა, მის წინააღმდეგ აღძრული საქმე ამნისტიით შეწყვიტა. სააპელაციო სასამართლომ განაჩენი შეცვალა და ორი წლითა და ოთხი თვით პატიმრობა შეუფარდა, თუმცა ამ დროს ის უკვე შვეიცარიაში იმყოფებოდა და სასამართლოს გადაწყვეტილებაც ქაღალდზე დარჩა. გერმანიაში ნაცისტური მმართველობის დამყარების შემდეგ, 1934 ეს განაჩენი საერთოდ გაუქმდა, ხოლო შ. ქარუმიძეს „მესამე რაიხში“ ცხოვრების უფლება მიეცა. იყო გერმანიის ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის გაზეთ „კლდის“ რედაქტორი (გამოიცემოდა ბერლინში 1934-1936 წწ.), რომლის პირველი ნომრის მოწინავეში წერდა: „ქართველი ერის ხსნა, მისი გამარჯვებისა და დიდებისკენ სვლა ქართულ ნაციონალიზმში უნდა ვეძიოთ. ამიტომ სწორედ ქართული ნაციონალიზმი უნდა გავიხადოთ ჩვენი ბრძოლის დროშად“. დაკავშირებული იყო ჰ. ბამატის პარიზულ ჟურნალ „კავკასიის“ ქართულ რედაქციასთან, ასევე 1934 საფრანგეთში შექმნილ კავკასიის ხალხთა კონფედერაციასთან. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ კვლავ შვეიცარიაში გადავიდა. ჰყავდა მეუღლე ანა ზოლოტარსკაია და ქალიშვილი - თინა. გარდაიცვალა ბერნის სულით სნეულთა სამკურნალოში. დაკრძალულია ბერნშივე.



ქარცივაძე ნიკოლოზ

ლიტ.: ქართველები უცხოეთში: წგნ. I (რ. დაუშვილი, გ. კალანდაძე, რ. კობახიძე, გ. ჯაფარიძე, თ. ტარტარაშვილი), თბ., 2012; გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ქარცივაძე მელიტონ

ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი) - ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისთვის აქტიური მებრძოლი. საზღვარგარეთ მოქმედი ორგანიზაციის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი. რამდენიმე წელი კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. იგი სარწმუნოებით მაჰმადიანი ქართველი იყო. თანამედროვენი მას ახასიათებენ, როგორც პატიოსან, თავმდაბალ და მეგობრულ ადამიანს. იგი იძულებული გახდა ოსმალეთში გახიზნულიყო, რადგან ბათუმის ფოსტის ექსპროპრიაციისთვის მთავრობას პასუხისგებაში ჰყავდა მიცემული. მიხაკო წერეთელთან ერთად პირველი წყალქვეშა ნავით საქართველოში ჩამოვიდა. საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები (1914-1918 წწ.) საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად აქტიურად იბრძოდნენ. ქართული ლეგიონის მიზნებსა და საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერას იზიარებდა გერმანიის კონსული ოსმალეთში ოტო ფონ ლოსოვი, რომელმაც პრაქტიკულად ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მომწიფებას. მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონი დამოუკიდებლობის აღდგენამდე დაიშალა, გერმანელები მაინც არ წყვეტდნენ საქართველოს მხარდაჭერას: კრესენშტაინის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა გერმანიის სამხედრო დანაყოფი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ლეგიონის ყოფილი წევრების მიერ საქართველოს რეგულარული არმიის ხელშეწყობასა და ინსტიტუციების განვითარებას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და განმტკიცების შემდგომ, 1918 წ-ის ივლისში, საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი დაიშალა, ხოლო მისმა წევრებმა საქართველოს ახლად დაბადებულ სახელმწიფოში განაგრძეს მოღვაწეობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წ-ის 26 მაისი) ქართული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში ჩადგა. ანგორაში მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური კორპუსის წევრი იყო. მას, ზია-ბეგ აბაშიძესთან, ერთად სამხედრო ატაშეს პოსტი ეკავა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 230; დ. შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დღიურები, ვ. ნოზაძის თარგმანი, ჟურ. „კავკასიონი“, XVI-XVII, პარიზი, 1972/1973; გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი IV, თბ., 2003.

ლელა სარალიძე

ქარცივაძე ნიკოლოზ იოთამის ძე (1884, სოფ. გოგიეთი, ოზურგეთის მაზრა - 09.VII.1937) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917-1918), დამფუძნებელი კრების წევრი (1919-1921). სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (1904-1925 წწ-ში), ეკუთვნოდა „ალიონელ-ავტონომისტთა“ ჯგუფს. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920 იკავებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტს.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ აქტიურად იყო ჩართული ანტისაბჭოთა არალეგალურ საქმიანობაში. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტის წევრი (1922) და თავმჯდომარე (1923-დან). დაპატიმრებული იყო ჩეკას მიერ (1923, 1924), შემდგომ კი - გადასახლებული (1934-მდე). მესამედ დაპატიმრეს 1937 წ-ის იანვარში. დაპატიმრებისას მუშაობდა საქართველო სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საგეგმო სექტორის უფროს ეკონომისტად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა სესიამ გაასამართლა 58-ე მუხლით და მიუსაჯა დახვრეტა. მისი მეუღლე თამარ შარაშიძე შუა აზიაში გადაასახლეს. რეაბილიტირებული იყო 1958.

ლიტ.: სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონულ მონაცემთა ბაზა] / ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში.

ბონდო კუპატაძე

ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეონ მიხეილის ძე) (7.II/19.II.1884, სოფ. ობუჯი - 19.XII.1963, თბილისი) - ქართველი მწერალი. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1904-1905 წწ-ში სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1905-1907 წწ-ში რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის დაპატიმრეს. 1907 გაიქცა ქუთაისის ციხიდან. ერთხანს არალეგალურად ცხოვრობდა მოსკოვში. 1907 სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ჩვენს აზრში“ დაიბეჭდა მისი მოთხრობა „წარსული აწმყოში“. ამ დროს აირჩია ფსევდონიმად მამის სახელი და ბეჭდავდა „ლ. მიხაძის“ ფსევდონიმით, რომელიც შემდგომში ქიაჩელით ჩაანაცვლა. 1912 გაემგზავრა შვეიცარიაში. სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1909 გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა. ადრინდელ ნოველებში იგრძნობა სიმბოლისტური და იმპრესიონისტული მოტივები („შეურაცხყოფილი“, „Escalade“, „სტეფანე“, „ისკანდერი“, „ცოდვის შვილები“). მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებიდან აღსანიშნავია: „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“, „ჰაკი აძბა“, „ტარიელ გოლუა“, „სისხლი“, „გვადი ბიგვა“. დაწერა კინოსცენარი ფილმისთვის „ნარინჯის ველი“. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაიღეს ფილმები: „ტარიელ გოლუა“, „თავადის ქალი მაია“ და „გვადი ბიგვა“.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ სამწერლობო საქმიანობას. 1918 შედიოდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ალიონის“ სარედაქციო კოლეგიაში. 1919 წ-ის 3 იანვარს სახელმწიფო თეატრში „კავშირის“ დასის მიერ პირველად ქართულ სცენაზე დაიდგა ლეო ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“ შალვა დადიანის რეჟისორობით.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ლიტ.: ი. ვართაგავა, ლეო ქიაჩელი, თბ., 1966; ა. თოფურია, ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1977; ტ. კვანჭილაშვილი, ლეო ქიაჩელი, თბ., 1955; შ. ჩიჩუა, ლეო ქიაჩელი, თბ., 1965; ვ. ცისკარიძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, ნაკვ. II, თბ., 1984; ს. ჭილაია, ლეო ქიაჩელი, თბ., 1954 (საჯარო ლექციის სტენოგრამა); ვ. ჯიბუტი, ლეო ქიაჩელი, თბ., 1971; გაზ. „ერთობა“, 1919, №2.

გაგა ლომიძე

ქილანთაროვი ალექსანდრე (?-?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატი (წევრი ?). 1917 წ-ის ნოემბერში ახლად შექმნილი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელდა. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: გ. შარაძე, ისტორიული რელიქვიების დაბრუნება, თბ., 2000.

ირაკლი ირემაძე



ქიაჩელი ლეო

ქიქოძე გერონტი

ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (21.VIII.1885, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა - 1.VIII.1960, თბილისი) - პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1903 წ-დან სწავლობდა ლაიფციგის, შემდეგ ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1912. თავდაპირველად სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას მიემხრო და მისი ბოლშევიკური ფრთის იდეოლოგია გაიზიარა. თანამშრომლობდა ჟურნალ „მოგზაურთან“, რომელშიც 1905 დაბეჭდა პირველი პუბლიცისტური წერილი. ცარიზმის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის ორჯერ (1905 და 1910) იყო დაპატიმრებული სხვადასხვა ვადით. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1910 წ-დან. ევროპაში ყოფნისას დაუკავშირდა ჟენევაში აღმოცენებულ „თავისუფალი საქართველოს ჯგუფს“ (ხელმძღვანელი პ. სურგულაძე), რის შედეგადაც განიცადა მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაცია - კოსმოპოლიტურიდან ეროვნულ საფუძველზე გადაინაცვლა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ სამშობლოში დაბრუნდა, ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას ლიბერალური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში, დაუახლოვდა მომავალ ეროვნულ-დემოკრატებს.

1917 წ-ის ივნისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე გამოვიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მოხსენებით „პოლიტიკური მომენტის შესახებ“ და პარტიის სამოქმედო გზად რეალისტური პოლიტიკის გატარება დასახა. ყრილობაზე აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის წე-

ვრად. ედპ-ის სიით იყო საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წევრი და მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში (1917 წ-ის ნოემბერი), სადაც აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. იყო საბჭოს საკონსტიტუციო, ასევე საბიუჯეტო და საფინანსო კომისიების წევრი. 1918 წ-ის სექტემბრიდან 1919 წ-ის 18 მაისამდე რედაქტორობდა ედპ-ის გაზეთ „საქართველოს“, წერდა საყურადღებო მეთაურ წერილებს, სხვა სტატიებს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ პრობლემებზე. 1919 წ-ის თებერვალში ედპ-ის სიით გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი. 1919 გამოაქვეყნა წერილების კრებული „ეროვნული ენერგია“, რომელშიც განხილულია თანადროულობის ბევრი აქტუალური პრობლემა, მათ შორის „ენა და ეროვნული ენერგია“, „დიდი და პატარა სამშობლო“ და სხვ. 1920 გამოვიდა მისივე ბროშურა „პოლიტიკური წერილები“, რომელშიც ცდილობდა, დაესაბუთებინა აზრი, რომ „თუ დამფუძნებელი კრება საბჭოურ კონსტიტუციას მიიღებს, საქართველო თავიდან აიცილებს ტერორსა და სამოქალაქო ომს“. 1919 წ-ის მაისში ედპ-დან გავიდა, მაგრამ დამფუძნებელ კრებაში დარჩა როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი. 1921 წ-ის მარტში საქართველოს რევკომმა იგი რამდენიმე მოღვაწესთან ერთად გაგზავნა ბათუმში, რათა ნ. ჟორდანია სამშობლოში დარჩენაზე დაეყოლიებინათ, თუმცა უშედეგოდ.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1921-1922 წწ-ში იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე, ხოლო შემდეგ ლიტერატურულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე გადაინაცვლა. მცირე ხნით მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ სტილისტად. 1927-1928 წწ-ში იყო ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ალმანახ „არიფიონის“ თანარედაქტორი. 1931-1932 წწ-ში თსუ-ში კითხულობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურიის ისტორიის კურსს. საბჭოთა ხელისუფლებისაგან დიდ პატივში არ ყოფილა, მაგრამ არც რეპრესიები განუცდია. 1934 მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობის მუშაობაში. გამოირჩეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების, ქართული და უცხოური მწერლობის, ფილოსოფიის, ხელოვნების, ეთიკის, ესთეტიკის ღრმა ცოდნთ. მისი ესეები თუ სტატიები დაწერილია უზადო ქართულით. ნათარგმნი აქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალკეული ნაშრომები, ო. ბალზაკის, სტენდალის, პ. მერიმეს, ა. ფრანსის, ა. დოდესა და სხვ. ნაწარმოებები. მის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი „შაგრენის ტყავი“, „წითელი და შავი“, „ტრისტან და იზოლდა“, „ღმერთებს სწყურიათ“ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებადაა მიჩნეული. იყო მრავალი პუბლიკაციის ავტორი ლიტერატურათმცოდნეობის, კრიტიკის, ხელოვნების სფეროში; მის კალამს ეკუთვნის მემუარული ხასიათის ნაშრომები „განთიადიდან შუადღემდე“ და „თანამედროვის ჩანაწერები“. მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ჟანრის ეს მოგონებები როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე საბჭოთა პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის საინტერესო პირველწყაროა. ჰყავდა მეუღლე ანასტასია ამირეჯიბი და ქალიშვილი მანანა. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ქიქოძე შალვა

თხზ.: გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, სამ ტომად, თბ., 1963-1968.

ლიტ.: ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ქიქოძე ნიკოლოზ მოსეს ძე (?-?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. ქმწგ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ნამდვილი წევრი. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ აირჩია საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სენატორად. ნოე ჟორდანიას დავალებით, 1919 წ-ის დეკემბერში მიენდო ქალაქ თბილისის გამგეობის რევიზია. 1920 წ-ის აპრილში განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან. სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

ქიქოძე შალვა გერასიმეს ძე (27.V.1894, ბახვი - 7.X.1921, ფრაიბურგი) - ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი, ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. მხატვრის მამა, გერასიმე ქიქოძე, კოლეგიის რეგისტრატორი იყო. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (1902-1912). ამ პერიოდში რუსულიდან თარგმნა და დაასურათა სერ არტურ კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“, შექმნა ილუსტრაციები ამირანის თქმულებისათვის, ხატავდა სასწავლებელში მოღვაწე რეაქციონერი პედაგოგების კარიკატურებს. გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ დაენიშნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდია და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1914). პარალელურად აბარებდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხვდა (1916-1918). ამ პერიოდში მხატვრის კარიკატურები და მეგობრული შარჟები „შალიკოს“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა მოსკოვის თეატრალურ ჟურნალში „რამპა და ცხოვრება“. ა. ბახრუშინის

სახ. სახელმწ. თეატრის მუზეუმში დაცულია მოსკოვის თეატრ-კაბარე „ღამურას“ ფარდა, რომელიც შ. ქიქოძის მიერ არის მოხატული. არდადეგებზე საქართველოში ჩამოსული დ. შევარდნაძის მიერ ჩამოყალიბებული პირველი პროფესიული საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციის „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობაში ჩაერთო (1916). მონაწილეობდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ ერთობლივად მოწყობილ პირველ სამხატვრო-სამეცნიერო ექსპედიციაში ნაბახტევის ეკლესიის მხატვრობის პირების გადმოსაღებად. გარდა ამისა, მხატვარმა ცხენით შემოიარა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კახეთი, აჭარა. ამ მოგზაურობით გამოწვეული ემოციური შთაბეჭდილებები მისმა დღიურებმა შემოგვინახა. 1918 სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. ამავე წლის ბოლოს აირჩიეს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მდივნად. საქართველოში მჭიდროდ თანამშრომლობდა ჟურნალებთან. მისი კარიკატურები იბეჭდებოდა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებში „ლახტი“ და „ეშმაკის მათრახი“, „ახირებული“; თეატრალურ ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „თეატრი და მუსიკა“, რუსულენოვან გამოცემაში „ხელოვნება“ (რედ. ი. ლვოვი და დ. ტამუროვი). ზოგიერთი ამ გამოცემის რედკოლეგიის წევრიც იყო. საქართველოს დემოკრატიულ პრესაში მისი შესრულებული არაერთი ჩანახატი დაიბეჭდა. აქტიურად ეხმიანებოდა იმ დროს არსებულ ვითარებას და ჟურ. „ეშმაკის მათრახში“ ქმნიდა იმ დროს მოღვაწე პოლიტიკოსების, კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენების კარიკატურებს.

მხატვარი, რეჟისორ გ. ჯაბადარის მიწვევით, მუშაობდა მის მიერ ჩამოყალიბებული სტუდიის სპექტაკლების გაფორმებაზეც (1918). შექმნა დეკორაციები ჯაკოსის პიესისათვის „ვითა ფოთლები“ და ბრიეს მუსიკალური დრამისათვის „სარწმუნოება“. 1919 მონაწილეობდა თბილისში „დიდების ტაძარში“ გამართულ მასშტაბურ გამოფენაში. 1920 წ-ის 13 იანვარს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ დანიშნული სტიპენდიით არტისტი, სხვა მხატვრებთან ერთად, სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა, სადაც იფინებოდა არაერთ გალერეაში, კერძოდ, „ლა ლიკორნსა“ და „დამოუკიდებელთა სალონში“. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გერმანიაში გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. ფრაიბურგში (1921). ქართული მოდერნისტული მხატვრობის ერთ-ერთმა თვითმყოფადმა წარმომადგენელმა და გამორჩეული ნიჭის მხატვარმა, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებაში. შ. ქიქოძის ნამუშევრები საშობლოში მხატვრის მამამ და დ. კაკაბაძემ დააბრუნეს. 1928 „ქართველ მხატვართა საზოგადოებამ“ მოაწყო შ. ქიქოძის პერსონალური გამოფენა და გამოსცა მხატვრის ნამუშევართა კატალოგი. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა (სემ - ხელოვნების მუზეუმი) და რუსეთში (ა. ბახრუშინის სახ. თეატრის მუზეუმი, მოსკოვი), ასევე არაერთი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ლიტ.: ი. აბესაძე, შალვა ქიქოძე, თბ., 1990; ი. აბესაძე, ქ. ბაგრატიშვილი, შალვა ქიქოძე, კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2005; ც. კილაძე, შალვა ქიქოძე - „სამი მხატვარი“, ARS GEORGICA, ელ. ჟურნალი, სერია B, 2012; მ. ციციშვილ ი, ი. აბესაძ ე, შავლა ქიქოძე, თბ., 2015.

მაია ციციშვილი

ქოიავა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1892, ოჩამჩირე - 1967, ქ. თბილისი) - ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1917 დაამთავრა კიევის კომერციული ინსტიტუტი.

1919 წ-ის 3 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, სხვა წარჩინებულ ახალგაზრდასთან ერთად, უნივერსიტეტში პროფესორად მოსამზადებლად დატოვა. 1919 წ-დან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1920-1923 წწ-ში მივლინებული იყო გერმანიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1937-1967 წწ-ში ხელმძღვანელობდა თსუ-ში ფინანსებისა და კრედიტის კათედრას. 1945-1952, 1957-1960, 1966-1967 წწ-ში იყო თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, 1961-1964 წწ-ში - თსუ-ის პრორექტორი. მისი შრომებია: „კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი“ (1956 - 1960), „სსრ კავშირის ფულის მიმოქცევა და კრედიტი“ (1965), „ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში“ (1963), „ფულის ტრიალი შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოში“ (1938), „ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში“ (1938) და ა.შ.

ლიტ.: ქსე, ტ. X, თბ., 1986; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ქორელი (ქორიძე) მიხეილ ფილიმონის ძე (8.XI. 1876, მილანი - 27.V.1949, თბილისი) - ქართველი რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1941). ცნობილი მოღვაწის, ფილიმონ ქორიძის, შვილი. სწავლობდა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, პარალელურად მსახიობობდა. 1892 საქართველოში დაბრუნდა. ჯერ თბილისში განაგრძო მსახიობობა, შემდეგ ბაქოს ქართულ თეატრში გადავიდა. 1910 წ-დან, როგორც რეჟისორი, ხელმძღვანელობდა თეატრებს და დგამდა სპექტაკლებს

ქორეილი მიხეილ

ქუთაისში, თბილისში, ბათუმში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პერიოდში იყო საკმაოდ აქტიური, მისი რეჟისორობით დაიდგა არაერთი სპექტაკლი, აქვეყნებდა წერილებს. მაგ., 1918 წ-ის 28 ივნისს სახელმწიფო თეატრში ნინო ჩხეიძის მონაწილეობით ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი“ დაიდგა, რომლის რეჟისორიც მ. ქორელი იყო. 1919 წ-ის მარტში ჟურ-ში „თეატრი და მუსიკა“ დაიბეჭდა მ. ქორელის წერილი „ჩვენი სცენის დღევანდელი საჭიროება“. 1920 წ-ის 18 იანვარს ქართულ კლუბში გაიმართა საქველმოქმედო წარმოდგენა, სადაც თბილისის ქართველ მსახიობთა საუკეთესო ანსამბლის წევრებთან ერთად მ. ქორელიც მონაწილეობდა. 1920 წ-ის 7 თებერვალს ქართულ კლუბში დაიდგა ნ. შიუკაშვილის „სულელი“, მიზანსცენებში მ. ქორელი მონაწილეობდა. 1920 წ-ის 5 მარტს ქართულ კლუბში მისი რეჟისორობითა და ქართული სტუდიის მსახიობთა წრის მონაწილეობით შალვა დადიანის კომედია „გუშინდელნი“ დაიდგა. 1920 წ-ის 17 მარტს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ცნობა - თბილისში შედგა სტუდიის მსახიობთა პატარა წრე, რომელიც დროგამოშვებით გამართავს სპექტაკლებს ქართულ კლუბში. რეჟისორად მ. ქორელი მიიწვიეს. 1920 წ-ის 18 მარტს ქართულ კლუბში ვ. გუნიას 3-მოქმედებიანი დრამა „ივერიძის ოჯახი“ დაიდგა. რეჟისორი მ. ქორელი იყო. 1920 წ-ის 4 აპრილს არტისტული საზოგადოების თეატრში, ნინო ჩხეიძის მონაწილეობითა და მ. ქორელის რეჟისორობით, „მედეა“ დაიდგა. 1920 წ-ის 15 ოქტომბერს სახელმწიფო დრამის სეზონი გაიხსნა. მ. ქორელის რეჟისორობით პირველი სპექტაკლი შ. დადიანის „გუშინდელნი“ წარმოადგინეს. 1920 წ-ის 21 ოქტომბერს გაზ. „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა წერილი „თეატრი და ხელოვნება - ქართული დრამა“ - „დღეს, სახელმწიფო დრამის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება ცნობილი უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის ვიხნიცენკოს პიესა „სიცრუე“, დრამა 3 მოქმედებად. რეჟისორი მ.ქ. სახელმწიფო დრამის თეატრში, მ. ქორელმა ენგელის „ზღვასთან“ დადგა. 1920 წ-ის მარტში ჟურ.-ში „თეატრი და ცხოვრება“ დაიბეჭდა წერილი, სადაც 22 თებერვალს ქართულ კლუბში მ. ქორელის მიერ დადგმული „ციცინათელას“ განხილვაა მოცემული. მანვე დიდი წარმატებით განახორციელა უ. შექსპირის „მაკბეტი“, იბსენის „ნორა“, ე. ტოლერის „კაცი-მასა“, ჰ. ჰერანსის „იმედის დაღუპვა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შ. დადიანის „გუშინდელნი“ და სხვა პიესები. პერიოდულ გამოცემებში მ. ქორელის კარიკატურებს ხატავდა და აქვეყნებდა მიხეილ ჭიაურელი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №61, 1920, №233, №234, №270; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №730, №747, №770, №781, №793, №957, №981; ჟურ. „ თეატრი და მუსიკა“,1919, №1; ჟურ. „ თეატრი და ცხოვრება“, 1920, №8, №15.

სალომე ჭანტურიძე, მერაბ გეგია

ქრისტეფორე
მიტროპოლიტი
(ციცქიშვილი)

ქორქაშვილი მიხეილ ლევანის ძე (?-?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. ქშწგ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ნამდვილი წევრი. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სენატორად. იყო ქუთაისის სასამართლოს წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

ქრისტეფორე კათოლიკოს-პატრიარქი (ერისკაცობაში ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი) (15.III.1875, სოფ. ვერტყვიჭალა, შორაპნის მაზრა - 10.I.1932, თბილისი) - 1897 მსახურობდა გორის მაზრის სოფელ ხიდისთავში შემდეგ - სოფელ იტრიაში. აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. თავმჯდომარეობდა 1905 წ-ის მაისში თბილისში ჩატარებულ ქართველი სამღვდელოების ყრილობას, რომელმაც 412 კაცის ხელმოწერით მკაფიოდ დააყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში დეკანოზი ქრისტეფორე რედაქტორობდა ოპოზიციურ სასულიერო ჟურნალ „ახალ სიტყვას“. მკვეთრად უარყოფითად იყო განწყობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საეკლესიო პოლიტიკისადმი. საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ მათი „მესამე დასელობის“ პერიოდიდან აკრიტიკებდა.

1922 წ-ის 18 მარტს სვეტიცხოველში მისი ეპისკოპოსად ხელდასხმის წესი შეასრულეს უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, ეპისკოპოსებმა იოანემ (მარღიშვილი), დავითმა (კაჭახიძე). 1926 წ-ის 26-27 დეკემბერს ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ, ქუთათელ ეპისკოპოს დავითთან ერთად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ამბროსის გვერდის ავლით ქუთაისში მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დაარსების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს დათხოვნის, მორწმუნე მრევლისადმი მიმართვის ტექსტი IV საეკლესიო კრების დანიშვნის შესახებ. ეს საეკლესიო მართვა-გამგეობის სფეროში გადატრიალებას მოასწავებდა. მართალია, უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ქუთაისის საეკლესიო კრება და მისი გადაწყვეტილებები უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ

დროებითმა მმართველობამ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დახმარებით, პატრიარქ ამბროსის ჩამოართვა საპატრიარქო კანცელარია, ბეჭედი და რეალურად ხელში აიღო ეკლესიის მართვა-გამგეობა. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების შემდეგ მიტროპოლიტი ქრისტეფორე IV საეკლესიო კრების მიერ (1927 წ-ის 21-27 ივნისი) არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. დაკრძალულია თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში.

ლიტ.: დ. ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი, თვალთათვის დაფარული მოწამე: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1927-1932 წწ. ქრისტეფორე III. თბ., 1999; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ს. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წ. წ.), თბ., 2009.

მიხეილ ქართველიშვილი

ქუთათელაძე ვლადიმერ ნესტორის ძე (1871, სოფ. ხონი, ქუთაისის გუბ. - ?) - იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. იუსტიციის მინისტრის მოადგილე. დაწყებითი განათლება მშობლიურ ხონში მიიღო. შემდგომში სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1893 დაასრულა. 1891 მასწავლებლის შეურაცხყოფის გამო გარიცხეს გიმნაზიიდან. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1901-1905 წწ-ში მუშაობდა თბილისის ოლქის ნაფიც ვექილთა კორპორაციაში. 1914 გაიწვიეს ჯარში, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში.

1918 წ-ს დაბრუნდა სამშობლოში. იყო ქშწკგ საზოგადოების წევრი. მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულებაში გამომძიებლად, მიწათმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტანტად. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია, მუშაობდა სენატის სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ განყოფილებაში. 1920 წ-ის დეკემბერში დაინიშნა იუსტიციის მინისტრის, რაჟდენ არსენიძის, მოადგილედ.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია

ქუთათელაძე კირილე პეტრეს ძე (22.II.1861 - 1929) - გენერალი. დაამთავრა მიხეილის სახელობის საარტილერიო სასწავლებელი. გაიგზავნა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. პოდპორუჩიკი (1881). პორუჩიკი (1884). 1886 I თანრიგით დაამთავრა მიხეილის საარტილერიო აკადემია. შტაბსკაპიტანი (1886). კაპიტანი (1893, წარჩინებისთვის). 1897-1903 წწ-ში მე-20 საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის უფროსი. პოდპოლკოვნიკი (1898). 1903 წ-დან ჩუგუევსკის სასწავლო საარტილერიო პოლიგონის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. პოლკოვნიკი (1904). 1904-1909 წწ-ში ვილნოს სამხედრო ოლქის სასწავლო საარტილერიო პოლიგონის უფროსი. 1909 მე-6 სარეზერვო საარტილერიო დივიზიონის უფროსი. 1909-1910 წწ-ში არტილერიის გენერალური ინსპექტორის დავალებათა შტაბოფიცერი. გენერალ-მაიორი (1910; წარჩინებისთვის). 1910-1916 წწ-ში არტილერიის გენერალური ინსპექტორის დავალებათა გენერალი. 1916 წ-დან უმაღლესი მთავარსარდლის, არტილერიის საველე ინსპექტორის დავალებათა გენერალი. გენერალ-ლეიტენანტი (1916; წარჩინებისთვის). დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის II ხარისხის, წმ. ანას II ხარისხის, წმ. ვლადიმირის III ხარისხის, წმ. სტანისლავის I ხარისხის, წმ. ანას I ხარისიხის, წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენებით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. იყო ქართული არმიის არტილერიის უფროსი. წავიდა ემიგრაციაში. მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1926 გახდა ბრიგადის გენერალი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ქუთათელაძე ვლადიმერ

ქუთაისი-დარგკოხის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტი - 1858 დაიწყო ქ. ქუთაისსა და დარგკოხს შორის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მიუყვებოდა საქართველო-ჩრდილო კავკასიის დამაკავშირებელ ისტორიულ გზას. ქუთაისიდან ის გადადიოდა რაჭაში, შემდეგ მამისონის უღელტეხილით - ჩრდილო კავკასიაში და არდონის ხეობით ჩადიოდა სადგურ დარგკოხამდე. გზა გაიხსნა 1888.

XX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობდა მუშაობა შავიზღვისპირეთის სარკინიგზო ხაზის დაპროექტებასთან დაკავშირებით, თუმცა მისი განხორციელება 1917 რუსეთში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის გამო ვერ მოხერხდა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკამ 1918 დაიწყეს ზრუნვა პირდაპირი სარკინიგზო ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით. პროექტის მიხედვით, გზას უნდა გაევლო ქუთაისიდან (სადგურ კოპიტნარიდან) კავკასიონის უღელტეხილის გავლით დარგკოხამდე. ამ იდეას სერიოზული მხარდამჭერები ჰყავდა, რომლებიც აქტიურ სამუშაოს ატარებდნენ როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. 1918 წ-ის 31 დეკემბერს ქალაქის მოურავის, ნ. ელიავას, თავმჯდომარეობით შეიკრიბა ქალაქთა კავშირი

ქუთათელაძე კირილე

და ერობების წარმომადგენლები, რომელზეც განიხილეს აღნიშნული პროექტი. მოხსენებით გამოვიდნენ პ. ი. თუმანიშვილი და ინჟინერი ი. ვროსინსკი. მათ პროექტთან ერთად მოამზადეს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. რკინიგზის საერთო სიგრძე უნდა ყოფილიყო 273 კმ., ხოლო საერთო ხარჯთაღრიცხვა 160 მილიონ მანეთს შეადგენდა. კავკასიონის უღელტეხილზე უნდა გაჭრილიყო 13-კილომეტრიანი გვირაბი. მშენებლობას დასჭირდებოდა 5 წელი და ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ ნავარაუდევი იყო წლიური შემოსავალი 17.8 მილიონი მანეთი. პროექტის ინიციატორები მთავრობისგან ითხოვდნენ პროექტის აქციებისა (15 მილ. მანეთის) და ობლიგაციების (5%) ნაწილის შესყიდვას და ამ გზით მხარდაჭერას, დანარჩენ თანხას ამ პროექტის განსახორციელებლად შექმნილი საზოგადოება გაიღებდა. საქართველოს მთავრობის სახელით შეხვედრაზე გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელმაც დახმარება აღუთქვა ორგანიზატორებს ამ პროექტის განხორციელებაში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ აღნიშნული პროექტის განხორციელება შეუძლებელი გახადა.

ჯაბა სამუშია

ქუთაისის 1921 **წლის** 17– 18 **მარტის მოლაპარაკებები**–ოსმალეთის საჯარისო შენაერთების მიერ ბათუმის ოკრუგის დაკავებამ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დაკარგვის რეალურმა საფრთხემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები ბოლშევიკებთან მოლაპარაკების აუცილებლობამდე მიიყვანა. 1921 წ-ის 17 მარტს ქუთაისში დაიწყო დემოკრატიული საქართველოს, საბჭოთა რუსეთის და ე. წ. საქართველოს (შულავერის) რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელთა სამმხრივი მოლაპარაკებები (გრ. ლორთქიფანიძე, ა. ენუქიძე და მ. ორახელაშვილი, ალ. სვანიძე, შ. ელიავა). მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები (ა. ენუქიძე) ბათუმის ოკრუგის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის მხარდაჭერის სანაცვლოდ, გრ. ლორთქიფანიძისგან მოითხოვდნენ გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების კანონიერად აღიარებას დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებისაგან. სამაგიეროდ, ისინი ქართული არმიის ნაწილებს დაახმარდნენ საბჭოთა არმიის შენაერთებს. თუ ამას დემოკრატიული საქართველოს მთავრობა არ გააკეთებდა, ბოლშევიკები ბათუმის დაკარგვას ნ. ჟორდანიას მთავრობას დააბრალებდნენ. „უმთავრესი მოთხოვნილება ჩვენი პლატფორმისა - ამბობდა მ. ორახელაშვილი, - არის ცნობა ... საქართველოს რევოლუციური კომიტეტისა და აღიარება საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკისა. ამ საკითხებში თუ შევთანხმდებით... დანარჩენ საკითხებში შეთანხმების ნიადაგი უკვე გამორკვეული იქნება და გაგვიადვილებს საქმეს... თუკი დღესვე იქნება აღიარებული საბჭოთა გადატრიალება საქართველოში და ამ გადატრიალებიდან გამოსული საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“. მოლაპარაკების პროცესში აბ. ენუქიძემ რუსეთ-ოსმალეთის 16 მარტის ხელშეკრულებაზეც გაამახვილა ყურადღება და ბათუმის ოკრუგის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას საგანგებოდ გაუსვა ხაზი. ბათუმის ოკრუგის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისათვის მხარდაჭერის სანაცვლოდ, მ. ორახელაშვილი საქართველოს კანონიერი მთავრობისგან თვითლიკვიდაციის გამოცხადებას მოითხოვდა, რომელიც ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციას დაედებოდა საფუძვლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მისი კონტროლირებადი ტერიტორიის (ბათუმის ოლქის ნაწილი, ბათუმითურთ) ძალდაუტანებლად საბჭოთა მთავრობისადმი გადაცემაზე თანხმდებოდა, მაგრამ კაპიტულაციაზე უარს აცხადებდა. საბჭოთა მხარისათვის ეს ფაქტი მიუღებელი იყო. ალ. სვანიძე აცხადებდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იტოვებს მუდმივ უფლებას და როდესაც შესაფერის შემთხვევას იპოვის თავს გამოაცხადებს მთავრობად“. საბჭოთა მხარემ ვერ გატეხა გრ. ლორთქიფანიძის და დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგობა.

გრ. ლორთქიფანიძემ დაასაბუთა, რომ საქართველოში არავითარი შინაური გადატრიალება არ მომხდარა. ქვეყანა დაიპყრეს უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთებმა, რის გამოც ძალმომრეობაზე დაფუძნებული მთავრობის ლეგიტიმაციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვერ მოახდენდა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას ძალაუფლების გადაცემა არც იურიდიულად შეეძლო, რადგან ამ უფლების წყარო საქართველოს დამფუძნებელი კრება იყო, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის მიერ იყო არჩეული; ამ და სხვა მიზეზების გამო, საქართველოს მთავრობა იყო და რჩებოდა კანონიერ მთავრობად. მეტიც, რამდენადაც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ხალხის მიერ არ იყო არჩეული, იგი ფიქტიურ სახეს ატარებდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა, ჯერ კიდევ მიმდინარე ომი და შეიარაღებული წინააღმდეგობა შეეწყვიტა და ხელი შეეწყო, რომ ბათუმის ოკრუგი დარჩენილიყო საქართველოს საზღვრებში, თუნდაც ეს საბჭოთა საქართველო ყოფილიყო. საბჭოთა წარმომადგენლები დათანხმდნენ გრ. ლორთქიფანიძის წინადადებას. 18 მარტს ხელმოწერილი 17-პუნქტიანი შეთანხმების მიხედვით, I-VI

მუხლების ჩათვლით, საბჭოთა ხელისუფლებას ბათუმის ოკრუგის ტერიტორიის გაკონტროლების, ხოლო XI არმიის ნაწილებს თავისუფლად გადაადგილებისა და ბათუმში შესვლის უფლება მიეცათ. მართალია, დოკუმენტის VI პუნქტი ორივე მხარის საჯარისო შენაერთების ოსმალო ასკერების წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას ითვალისწინებდა, მაგრამ იგი საბჭოთა წარმომადგენლების მხრიდან შეუსრულებელი დარჩა. ბათუმის ოკრუგი ოსმალო ასკერებისგან ისევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო შენაერთებმა, გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით, გაათავისუფლა.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტი), თბ., 2016.

შოთა ვადაჭკორია

ქუმსიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე (1891, სოფ. ორხევი - 20.IX.1942) - დაწყებითი განათლება თიანეთის სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც სწავლა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში გააგრძელა. მოგვიანებით საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი ხდება, 1919 წ-დან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრია. 1921 წ-ის საბჭოთა ოკუპაციას ბრძოლით შეხვდა, თუმცა მარცხის შემდეგ საქართველო არ დაუტოვებია. ოკუპაციის შემდეგ ახალი ცხოვრებისეული არჩევანი გააკეთა და სასწავლებლად თბილისის კონსერვატორიაში შევიდა. 1924 მას საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ქურდიანი გრიგოლ (5.III.1873, სოფ. საგარეჯო - 14.VI.1957, თბილისი) - ქართველი ინჟინერი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (კანდიდატი?). საშუალო განათლება თბილისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. 1898 დაამთავრა ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. წლების განმავლობაში მუშაობდა სპილენძისა და ნავთობის მრეწველობაში ინჟინრად. იყო ქალაქ თბილისის მთავარი ინჟინერ-არქიტექტორი. ხელმძღვანელობდა თბილისისა და ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქციასა და შექმნას.

1917 მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განახლებული ეროვნული საბჭო სრულად პარტიული სისტემით დაკომპლექტდა, რის შემდეგაც ეროვნული საბჭო დატოვა. 1918 დააარსა ტექნიკური საზოგადოება. დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პროფესიულ საქმიანობას. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ცხოვრობდა საქართველოში. იყო თბილისის ქალაქის აღმასკომის მთავარი ინჟინერი. 1925 გერმანიაში წავიდა სასწავლებლად. მუშაობდა მტკვრის ნაპირების გამაგრებისა და ხიდების საკითხზე. აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიასა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ლიტ.: გ. შარაძე, ისტორიული რელიქვიების დაბრუნება, თბ., 2001.

ირაკლი ირემაძე

ქურდიანი სოლომონ ზაქარიას ძე (1867, საგარეჯო - 1937) - ქართველი მეტყევე-სელექციონერი, თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, დენდროლოგი. სწავლობდა ნოვოალექსანდრიის (პოლონეთი) სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტში, რომელიც 1900 დაამთავრა. მუშაობდა ამავე ინსტიტუტში მეტყევეობის კათედრაზე ასისტენტად. 1903-1904 წწ-ში კითხულობს დენდროლოგიის კურსს სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. რამდენიმეჯერ ჩამოიყვანა თავისი სტუდენტები საქართველოში სასწავლო პრაქტიკისათვის ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებში. 1912 პეტერბურგში გამოაქვეყნა დენდროლოგიის სახელმძღვანელო.

ქუმსიაშვილი ნიკოლოზ

1918 წ-ის 17 აგვისტოს, თბილისი ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მოიწვიეს უნივერსიტეტის პროფესორად ბოტანიკის კათედრაზე, მის ასისტენტად კი მოგვიანებით ზაქარია ყანჩაველი შეირჩა.

სოლომონ ქურდიანის აქტიური მონაწილეობით (1930) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა აგრონომიული ფაკულტეტი და მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. იყო ინსტიტუტის დენდროლოგიის, სატყეო ტაქსაციისა და სატყეო მეურნეობის კათედრის გამგე და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი. 1929 დაინიშნა ცენტრალური სატყეო საცდელი სადგურის დირექტორად. შრომებს აქვეყნებდა ქართულ და უცხოურ ენებზე. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს ტყეების არაერთი აღწერა. ბიჭვინთის, ტევრის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ყორულის, ნაღვარევის, ელდარის, ბაწარას და მარიამჯვრის ნაკრძალის ტყეებს ქურდიანის სახელი ეწოდა. ებრძოდა ტყის დაუდევრად ჩეხვას, ამ ბრძოლას კი სიცოცხლე შესწირა. 1937 წ-ის დიდი ტერორის დროს „ხალხის მტრად" გამოაცხადეს, დააპატიმრეს და სასჯელის უმკაცრესი ზომა, დახვრეტა შეუფარდეს. მისი ნაშრომები კი აიკრძალა. დასაფლავების ადგილი უცნობია.

ქურდიანი გრიგოლ

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ქურხული გიორგი

ქურხული გიორგი ალექსის ძე (03.VI.1889, თბილისი - 1958, თბილისი) - საოპერო მომღერალი. ბარიტონი. 1910-1914 წწ-ში თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პედ. ე. რიადნოვთან სწავლობდა. გამოდიოდა ზუბალაშვილების სახლში და საოპერო სპექტაკლებში მონაწილეობდა. ასრულებდა სილვიოს რ. ლეონკავალოს „ჯამბაზებში“, ჟერმონს - ჯ. ვერდის „ტრავიატაში“ და ასევე საპასუხისმგებლო მეორეხარისხოვან პარტიებს.

1917 წ-დან თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი გახდა. 1919 წ-ის 5 თებერვალს დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე“ კარისკაცის პარტიას მღეროდა; 1919 წ-ის 21 თებერვალს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერაში აბიო მეფის როლს ასრულებდა; ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ პირველი წარმოდგენისას საქოს პარტიას მღეროდა.

გასაბჭოების შემდეგ ზ. ფალიაშვილის „დაისში“ ცანგალას პარტია შეასრულა. ქართულ ოპერებთან ერთად მის რეპერტუარში უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც შედიოდა: მონტანო (ჯ. ვერდის „ოტელო“); დანკარიო (ჟ. ბიზეს „კარმენი“); კარდიაგა (ნ. ლისენკოს „ტარას ბულბა) და სხვ. 1933-36 წწ-ში თბილისის ოპერის თეატრის რეჟისორი იყო, 1953-58 წწ-ში კი ამავე თეატრის სარეჟისორო სამმართველოს უფროსი. მისი დადგმულია: ფ. ჰალევის „ებრაელი ქალი“ („რახილი“) (1942.26.05.); ჯ. მეიერბერის „ჰუგენოტები“ (1943. 27. 01); ა. რუბინშტეინის „დემონი“ (ა. წუწუნავასთან ერთად, 1949.21.10).

ლიტ.: დ. მჭედლიძე, ქართველ მომღერალთა სამი თაობა , თბ. 1968; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ქურხული ილიკო

ქურხული ილია (ილიკო) პეტრეს ძე (26.III.1885, თბილისი - 24.IX.1954) - მომღერალი, მოხეტიალე მუსიკოსი, მევიოლინე, მესტვირე, მეფანდურე. ჩუღურეთის უბანში იზრდებოდა. ბავშობიდანვე მღეროდა და კარგად უკრავდა ვიოლინოზე, ჩანგზე და პატარა ვენურ გარმონზე. მისი ძმები ცნობილი მედოლეები და მეზურნეები იყვნენ. იცოდა ძველ თბილისელ აშუღთა ჰანგები და ქართული ხალხური სიმღერები. დაწყებითი განათლება კერძო პანსიონში მიიღო, შემდეგ სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს, რომელიც არ დაუსრულებია. არც თბილისის საიმპერატორო მუსიკალური სასწავლებელი და მოსკოვის კონსერვატორია დაუმთავრებია. ბოლოს მოხეტიალე მუსიკოსობას მიჰყო ხელი.

1916 რუსეთის ათზე მეტი ქალაქის მოვლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. აქედან მოყოლებული, დამოუკიდებლობის წლების ჩათვლით, მშობლიურ საგარეჯოში გასართობ წარმოდგენებს მართავდა. თანამშრომლობდა პრესასთან. მისი ინიციატივით, 1918-1920 წწ-ში სამჯერ გამოვიდა გაზეთი „ჩემი საქმე“ ქართულ და რუსულ ენებზე. ეწეოდა საქველმოქმედო მოღვაწეობას. ბავშვთა სწავლა-განათლებისათვის ფულს აგროვებდა და შემოწირულობებს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან არსებულ ქალთა კომიტეტს უგზავნიდა. ნ. სულხანიშვილის მიერ ნოტებზე გადატანილი მესტვირული მელოდიების გაცნობის შემდეგ, რაჭაში იმოგზაურა, გუდასტვირზე დაკვრა ისწავლა და პოპულარიზაცია გაუწია საკრავს. იმოგზაურა სვანეთშიც. ჩანგის გაუმჯობესებისათვის სახალხო მუსიკოსის წოდება მიენიჭა.

1921 წ-დან ბულგარეთში წავიდა და იქ ოთხი წლის განმავლობაში დარჩა. სიმღერითა და დაკვრით 600-მდე ქალაქი და სოფელი, 3000-მდე სკოლა და უთვალავი ეზო-ქუჩა შემოიარა. ბულგარეთში მის შესახებ 660-ზე მეტი სტატია დაიბეჭდა დადებითი რეცენზიით. ექვსი წლის განმავლობაში მოგზაურობდა ევროპის ქალაქებში და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას ეწეოდა. ერთხანს პარიზშიც ცხოვრობდა. 1927 სამშობლოში დაბრუნდა და ფანდურით, გუდასტვირითა და ჩანგით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა. 1930 გამოაქვეყნა წიგნი „მუსიკა ბავშვებისთვის“. 1932 დაამზადებინა სპეციალური მუსიკალური ვაგონი - კლუბი „საგულთენო“ , რომლითაც 1941 მოსკოვში გაემგზავრა. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და 1953 წ-მდე აგრძელებდა მოღვაწეობას.

ლიტ.: ა. ბარნოვი, ძველი თბილისის მუსიკოსები, 1974; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; ა. ღვინიაშვილი, მოხეტიალე მუსიკოსი, 1959.

ზურაბ ლეჟავა

ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გიორგი ალექსანდრეს ძე (17.X.1886, სოფ. მერე, თელავის მაზრ. - 20.I.1947, თბილისი) - ქართველი საბავშვო მწერალი. ბავშვობა სოფელში გაატარა. მამა ადრე გარდაეცვალა. 1894 თბილისში გადავიდა. ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელში მოაწყვეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ, სწავლის ფულის დროზე შეუტანლობის გამო, სასწავლებლიდან გარიცხეს. სწავლობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ პრაქტიკულ საბალანსო ორწლიან სკოლაში. 1898 მოსწავლეთა არალეგალური მარქსისტული წრის წევრია. შემდეგ გადავიდა მუკუზანში სამუშაოდ. ხელისუფლების საწინააღმდეგო მოღვაწეობისთვის მალე სამუშაოს კარგავს და თბილისში ბრუნდება. 1906 შაპიროგრაფ-

ზე იბეჭდება ახალგაზრდების არალეგალური ჟურნალი „ჩვენი დროშა“, რომელშიც აქვეყნებს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პირველ ლექსს. 1914 გამოდის მისი ორი წიგნი. თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლექსების გამოქვეყნებისათვის მასზე კიდევ უფრო აძლიერებენ პოლიტიკურ მეთვალყურეობას. 1914 აპატიმრებენ და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადაჰყავთ, საიდანაც ამხანაგების დახმარებით ათავისუფლებენ. მისი შემოქმედების მთავარი გმირები საზოგადოებისაგან გარიყული, ულუკმაპუროდ დარჩენილი მშრომელი ადამიანებია (ლექსების ციკლი „ქუჩის სიმღერები“; მინიატიურები „უსახელო“ (1910); „საცოდავი“ (1914)). გ. ქუჩიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო ლექსები: „აღტაცება“ (1909); „პაწია მეგობრები“.

იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ სამწერლობო საქმიანობას. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მისი ლექსები: „შალვა დადიანს“ (1918), „სიმღერა“ (1919). ლექსი მიუძღვნა მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, სტრიქონით „დიდება დიდ ნოეს“. 1918 წ-ის 16 ივნისს ქართულ კლუბში გაიმართა გ. ქუჩიშვილის დილა. 1919 წ-ის 22 სექტემბერს სახელოსნო კლუბში სალიტერატურო და სამუსიკო საღამოზე მონაწილეობდა. 1920 წ-ის 26 დეკემბერს მეორე ქართულ კლუბში, ილიკო ქურხულსა და ბიჭია ბურდილაძესთან ერთად, მისი მხატვრულ-მუსიკალური საღამო გაიმართა. 1920 წ-ის 30 მაისს დიდუბის პანთეონში დაკრძალეს პოეტი ნოე ჩხიკვაძე, დაკრძალვაზე ჟურ. „ცისარტყელას“ სახელით სიტყვა წარმოთქვა. დაკრძალულია ქართველ მწრალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; გაზ. „ერთობა“, 1920, №294.

გაგა ლომიძე

ქუჩიშვილი გიორგი



ღამბარაშვილი გაბრიელ გრიგოლის ძე (1878, გორი - 1954, თბილისი) - მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე. 1907 დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1912-1917 წწ-ში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პრივატ-დოცენტი, 1917-1920 წწ-ში პროფესორი.

1920 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ქართული უნივერსიტეტის პროფესორად მოიწვია სამკურნალო ფაკულტეტზე. 1920-1930 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას.

1930-1954 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე. სტუდენტობის პერიოდში გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა 2 მეცნიერული გამოკვლევა - აორტის ანევრიზმისა და ღვიძლის სიდეროზის შესახებ. 1941 ქართულ ენაზე გამოსცა გინეკოლოგიის სახელმძღვანელო.

ლიტ.: მ. გიგინეიშვილი, გაბრიელ ღამბარაშვილი, თბ., 1955; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ღამბაშიძე დავით (დათიკო) (1884 - 1963) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, მეცენატი. დაიბადა ცნობილი სასულიერო პირისა და საზოგადო მოღვაწის, დეკანოზ დავით (დარისპან) ღამბაშიძის (1841-1910) ოჯახში. დედა ალექსანდრე ყაზბეგის მამიდაშვილი - ოლღა (გურანდუხტ) ყაზბეგი იყო. იგი მამით რუსი იყო, გვარად ოტრეპიევა, თუმცა დედის გვარს - ყაზბეგს ატარებდა. დ. ღამბაშიძეს და ო. ყაზბეგს 4 შვილი შეეძინათ: ვახტანგი, ქსენოფონტე, მიხეილი და დავითი. ქსენოფონტე მამის გზას გაჰყვა. მეორე ვაჟი - ვახტანგი (1872-1951) საქვეყნოდ ცნობილი ექიმი, კურორტ ცემის დამაარსებელი და შემდგომში საფრანგეთში ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე იყო, რომლის ხელშიც დალია სული მისმა მეგობარმა - ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. მიხეილი ახალგაზრდა გარდაიცვალა. რაც შეეხება უმცროს დათიკოს, ის 1920 წ-მდე დიდ ბრიტანეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ელჩი იყო. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, რუსეთის იმპერიის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი და ანტანტის სახელმწიფოთა პოლიტიკურ წრეებში კარგად ცნობილი პიროვნება იყო. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში უშუალო კავშირი ჰქონდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტთან. საქართველოს დამოუკიდებლობით ინგლისის პოლიტიკური წრეების დაინტერესებას აქტიურად ცდილობდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აკაკი ჩხენკელმა, 1918 წ-ის 28 ნოემბერს დ. ღამბაშიძეს რწმუნების სიგელი გაუგზავნა და პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება დაავალა, რის საფუძველზეც შემდეგში იგი დიდ ბრიტანეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ელჩი გახდა. რაც შეეხება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მის მოღვაწეობას, ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, როგორც დელეგაციის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე წერს: „ერთ-ერთ კრებაზე (ეს იყო 1919 წ-ის 7 მაისს) დელეგაციამ დაადგინა შეავსოს თავისი შემადგენლობა ახალი წევრებით. ამნაირად მოქცევის უფლება ჩვენ წინასწარ წამოვიღეთ მთავრობისგან. ასე რომ, ამ მომენტიდან დელეგაციის წევრებად ითვლებიან სხვებთან ერთად: ზ. ავალიშვილი, კ. გვარჯალაძე და დ. ღამბაშიძე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეს უკანასკნელი თითქმის იმ დღესვე გაემგზავრა ლონდონში და შემდეგ ის საქართველოში წავიდა. ასე რომ, ის არ დასწრებია დელეგაციის

არც ერთ კრებას და მისი პარიზში არ ყოფნის დროს (6 თვის განმავლობაში) არც ტელეგრამა და არც წერილი არ მოუწოდებია დელეგაციისათვის და ამნაირად სრულად შეწყვიტა ჩვენთან კავშირი და დამოკიდებულება. როცა ჩვენ გავიგეთ, რომ (ეს იყო 1919 წ-ის ნოემბერში) მას მთავრობა ამერიკაში გზავნისო, დელეგაციამ სხდომაზე დასკვნა გამოიტანა, რომ დ. ღამბაშიძე, ფაქტობრივად, საქართველოს პარიზში მყოფი დელეგაციის წევრად არასოდეს ყოფილა. დ. ღამბაშიძე, ცოტა ხნის შემდეგ, ინგლისში იქნა გაგზავნილი საქართველოსთვის სხვადასხვა საქონლის შესაძენად (როგორიც არის სამეურნეო მანქანები, ქიმიური და ფარმაცევტული ნაწარმოები და სხვა) და ინგლისის ბანკირებსა და საკრედიტო დაწესებულებებთან ამის თაობაზე მოსალაპარაკებლად".

1918 ლონდონში გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი: „კავკასიის ნავთობ ინდუსტრია და მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის"; იმავე წლის გაზაფხულზე, 24-გვერდიანი ბროშურა სათაურით: „კავკასია: მისი ხალხი, ეკონომიკა და თანამედროვე მდგომარეობა", სადაც ოსმალეთის ხელისუფლების გეოპოლიტიკური ზრახვები წარმოაჩინა, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებს; 1919 კვლავ გამოაქვეყნა ლონდონში 200-გვერდიანი ნაშრომი „საქართველოსა და კავკასიის მინერალური რესურსები - მარგანეცის ინდუსტრია საქართველოში". დ. ღამბაშიძემ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისი უდიდებულესობის დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ რწმუნების სიგელი ჯერ კიდევ 1919 წ-ის 14 მარტს გაუგზავნა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის - ლორდ კერზონის სახელით მას აცნობეს, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება მას ოფიციალურად ვერ მიიღებდა, რადგან პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი გადაწყვეტილი არ იყო. იმავე მოთხოვნით 1920 წ-ის 14 იანვარს, საქართველოს დე ფაქტო დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, კიდევ ერთხელ მიმართა ინგლისის ხელისუფლებას, მაგრამ 29 იანვარს მან კვლავ უარი მიიღო იმ მოტივით, რომ „დე ფაქტო" აღიარება ოფიციალურად აკრედიტებული დიპლომატის ქვეყანაში ყოფნას არ ითვალისწინებდა; თუმცა ქართველ დიპლომატს პირობა მისცეს, რომ მას არაოფიციალურად ყოველთვის მიიღებდნენ, როგორც დიდ ბრიტანეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს. ინგლისელი დიპლომატები მას „პრობრიტანული ორიენტაციის პოლიტიკოსად" მოიხსენიებდნენ. მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების საქართველოში ვიზიტის დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დ. ღამბაშიძეს, როგორც სანდო და ამასთანავე დასავლურ წრეებში ცნობილ პიროვნებას, მათთან შესახვედრად ხშირად იწვევდა. მან უმასპინძლა გენერალ ჯეიმს ჰარბორდის ამერიკულ მისიას; ასევე დახვდა საქართველოში დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ძალების სარდალს - ადმირალ დე რობეკს; 1920 წ-ის 11 ივნისს სწორედ დავით ღამბაშიძე დაიბარა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ლორდ კერზონმა, რათა მისთვის ბათუმიდან დიდი ბრიტანეთის ჯარების ევაკუაციასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება ეცნობებინა. 1920 წ-ის 5 ივლისს თბილისში ჩამოვიდა ბრიტანეთის მთავრობის რწმუნებული პოლკოვნიკი სტოუქსი, რომელსაც ჩამოჰყვა დ. ღამბაშიძე. 28 ივლისს ბათუმის საკითხზე სტოუქსსა და ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის შედეგად ბათუმი თავისი ოლქით საქართველოს ხელში გადმოვიდა.

1921 წ-დან პოლიტიკური ემიგრანტია. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში. წერილებს ბეჭდავდა გაზეთ „თეთრი გიორგის" ფურცლებზე. გაზეთი 1926-1939 წწ-ში პარიზსა და ბერლინში გამოდიოდა. 1933 წ-ის 10 ივნისს ბერლინში დაარსდა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია გერმანიაში", რომლის წევრიც დ. ღამბაშიძე იყო, თუმცა მან 1938 დატოვა ორგანიზაციის რიგები. დ. ღამბაშიძე იტალიაში გარდაიცვალა.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 1483, საქ. 704; D. Gambashidze, The Caucasian petroleum industry and its importance for easter Europe and Asia, London: Anglo-Georgian Society, 1918; Charles à Court Repington, „The First World War, 1914-1918", Vol. II, ed. Constable & Co, London, 1920; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929; გ. გელაშვილი, რამდენიმე წერილი ოლივერ უორდროპის კოლექციიდან, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", თსუ, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2009; ლ. ცომაია, მინიმუმ გრიგოლ დიასამიძის წერილები შალვა ამირეჯიბს, მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის, ჟურ. „ქართული ემიგრაცია", თბ., 3(6)/2015; ბ. კობახიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიპლომატიის უცნობი მხარეები - დავით ღამბაშიძე, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", თსუ, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2013.

ლელა სარალიძე

ღამბაშიძე (ჰოპე) ვანდა (1876, ნიუ-ჯერსი, აშშ - 1945, პარიზი) - იყო ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ღამბაშიძის, მეუღლე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის პირველი პედაგოგი (1918-1921), თბილისის ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი.

1918 წ-ის იანვარში ივანე ჯავახიშვილმა ახლად დაარსებული უნივერსიტეტის ინგლისუ-

რი ენის პედაგოგად მოიწვია. ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი სწორედ მისი შვილი მედეა ღამბაშიძე იყო. 1918-1921 წწ-ში იყო „წითელი ჯვრის" წარმომადგენლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ტაბახმელასთან ბრძოლების დროს თავის მოსწავლეებსა და სტუდენტებთან ერთად ფრონტის წინა ხაზზე იდგა და ჰუმანიტარულ მისიას შესანიშნავად ართმევდა თავს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ უკვე სტამბოლში ხელმძღვანელობდა საქართველოდან დევნილთა დაბინავებისა და მათთვის პოლიტიკური თავშესაფრის გამოძებნის საქმეს, საიდანაც შემდგომ პარიზში გაემგზავრა ოჯახთან ერთად.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ღლონტი თედო

ღამბაშიძე სოფიო (1896 - 1959) – საოპერო მომღერალი კოლორატული სოპრანო, პედაგოგი. საოპერო თეატრში მოღვაწეობა დამოუკიდებელ საქართველოში 1920 დაიწყო. ქართულ ოპერებში მნიშვნელოვან როლებს ასრულებდა: მარეხის როლს (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"), ნინოს პარტიას (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"). იმავე წლიდან იყო თბილისის ნიჭიერთა ათწლედის პედაგოგი. საოპერო თეატრში მუშაობის დამთავრების შემდეგ მუსიკალურ ათწლედში სიმღერის მასწავლებლად მუშაობდა.

გასაბჭოების შემდეგ მაროს პარტია იმღერა ზ. ფალიაშვილის „დაისიდან". მისი მოწაფეები იყვნენ: თ. ზაალიშვილი, ნ. გელაშვილი და სხვ.

ლიტ.: დ. მჭედლიძე, ქართველ მომღერალთა სამი თაობა, „მერანი", თბ., 1968; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ღამბაშიძე შალვა

ღამბაშიძე შალვა ქსენოფონტეს ძე (1.VIII.1899, ზესტაფონი - 18.V.1955, თბილისი) - მსახიობი. 1917 ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თეატრალური განათლება მიიღო ჯაბადარის სტუდიაში, თბილისში (1918-1920). 1920 წ-დან იყო ბათუმის თეატრის მსახიობი, 1921-1928 წწ-ში რუსთაველის თეატრის, 1928-1955 წწ-ში კი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. 1937-1947 წწ-ში იყო ამ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. სცენური სახეებიდან აღსანიშნავია: ესტევანი (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო"), კაკუტა, მეწისქვილე (კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), მოძღვარი (ა. ყაზბეგის „მოძღვრის" მიხედვით), დე სილვა (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), ოტელო (შექსპირის „ოტელო"), ბოროდინი (აფინოგენოვის „შიში"), არჩილი („ჩატეხილი ხიდი" ი. ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით), სოლომონი (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", ინსცენირება) და სხვ. ღამბაშიძემ არაერთი შთამბეჭდავი სახე შექმნა კინოში: ბეკინა სამანიშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი", 1927); დავითი („დარიკო", 1936); ანდუყაფარი („გიორგი საკაძე", 1942); გრამიტონი („ჭირვეული მეზობლები", 1945); თავადი ელიზბარი („დავით გურამიშვილი", 1946); მაკარი („ქეთო და კოტე", 1948) და სხვ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ე. ქარელიშვილი, გადამწვარი გული, თბ., 1961; შ. ღამბაშიძე, კრ., თბ., 1973; დ. ჯანელიძე, შალვა ღამბაშიძე, წგნ.: სახიობა, თბ., 1958.

მერაბ გეგია

ღლონტი თევდორე (თედო) ზურაბის ძე (20. IV.1888, ლანჩხუთი - 11.VII.1937, თბილისი) - პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. დაამთავრა პეტერბურგის „კომერციულ ცოდნათა ინსტიტუტი". 1913 წ-დან დაიწყო თანამშრომლობა სოც-ფედ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში, გაზეთ „სახალხო გაზეთში" და გახდა პარტიის ახალი, ე. წ. მეორე თაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი. განსხვავებით წინა პირველი თაობისაგან, პრიორიტეტს ანიჭებდა სოციალურ პრობლემატიკას.

1917 წ-ის რევოლუციის წინ ასაბუთებდა ევროპის შეერთებული შტატების იდეას, რომელიც უნდა შემდგარიყო ავტონომიური ეროვნული რესპუბლიკებისაგან და შეთანხმებისაკენ მოუწოდებდა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს. 1917 წ-ის ნოემბერში საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად სოც-ფედ. პარტიიდან. 1918 წ-ის ივნისში გახდა დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - ეროვნული საბჭოს (ოქტომბრიდან - პარლამენტის) წევრი. 1919 წ-ის მარტში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. შედიოდა სოც-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში. 1920 იყო პარტიის მემარცხენე ფრთის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი სოც-ფედ. პარტიაში, რამაც პარტიის ორ ნაწილად გაყოფა გამოიწვია.1921 წ-ის იანვარში პარტიის V კონფერენციაზე მოითხოვა საბჭოთა კონსტიტუციის აღიარება. შეიქმნა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარის მოადგილეც გახდა. მემარცხენე ფედერალისტები რეალობას შეურიგდნენ და თბილისში შემოსულ საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა საბჭო-

თა ხელისუფლებასთან. მონაწილეობდა ოკუპირებული საქართველოს საბჭოების I ყრილობაში, რომელზეც თანაპარტიელებთან, ს. ხუნდაძესთან და პ. ჭანიშვილთან, ერთად აირჩიეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) წევრად. 1923 წ-ის ნოემბერში, II ყრილობაზე, მემარცხენე სოც-ფედ. პარტიამ, რომლის თავმჯდომარე ამ დროს თ. ღლონტი იყო, თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, არსებობა შეწყვიტა და საქართველოს სსრ კომუნისტურ პარტიას შეუერთდა. 1926-1928 წწ-ში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაყენებული ივანე ჯავახიშვილის მაგიერ თ. ღლონტი დანიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. ერთხანს იყო რესპუბლიკის ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი (მინისტრი). მიუხედავად მნიშვნელოვანი დამსახურებისა, 1937 წ-ის რეპრესიებს ვერ გადაურჩა. დააპატიმრეს 1937 წ-ის ივნისში, ბრალად დასდეს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა და 10 ივლისს დახვრეტა მიუსაჯეს.

თხზ.: თ. ღ ლ ო ნ ტ ი, ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკა (რუსულ ენაზე), თბ., 1920.

ლიტ.: რ. გ რ ძ ე ლ ი ძ ე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998; უ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ღლონტი თევდორე ზურაბის ძე. ქსე. ტ. X. თბ., 1996.

დიმიტრი შველიძე

ღ ლ ო ნ ტ ი მ ი ხ ე ი ლ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (25.III.1858 - VIII.1924) - გენერალი. დაამთავრა საკავალერიო სასწავლებელი. კორნეტი (1886). პორუჩიკი (1890). შტაბსროტმისტრი (1895). როტმისტრი (1898). ესკადრონის უფროსი. რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. ასეულის მეთაური. პოლკოვნიკი (1910 წარჩინებისთვის). 1910-1914 წწ-ში კავკასიის სათადარიგო საკავალერიო დივიზიონის უფროსი. 1914-1916 წწ-ში კავკასიის მე-2 სათადარიგო ბრიგადის უფროსის თანაშემწე, შემდეგ უფროსი. გენერალ-მაიორი (1917 წარჩინებისთვის). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, იარაღით.

1918 წ-დან ქართულ ჯარშია. მეთაურობდა პოლკს.

1921 ემიგრაციაში არ წავიდა. მონაწილეობდა 1924 წ-ის ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებაში. იყო „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სამხედრო კომისიის წევრი. აჯანყების შემდეგ დააპატიმრეს. დაიღუპა პატიმრობისას.

ლიტ.: მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, გ. ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/.

მიხეილ ბახტაძე

ღლონტი მიხეილ

ყავრიშვილი ბესარიონ ივანეს ძე (1895, სოფ. მანგლისი - 1943, თბილისი) – გეოგრაფი, პროფესორი (1935), საქართველოში ჰიდროლოგიის ფუძემდებელი, გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი (1940). მან 1917 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება.

1918 მუშაობა დაიწყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ასისტენტად. 1920 წ-დან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის ასისტენტად.

1936 წ-დან იყო ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის გამგე. მისი შრომებია: მდინარეთა ჰიდროლოგიის კურსი (1932), საქართველოს ჰიდროლოგიური შესწავლის ისტორიისათვის (საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები (1958) და ა.შ.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ყაზბეგი ივანე

ყაზბეგი ივანე ნიკოლოზის ძე (11.VI.1860 - II.1944) - დაამთავრა ჯერ სანკტ-პეტერბურგის 1-ლი სამხედრო გიმნაზია, შემდეგ კონსტანტინეს სახელობის მე-2 სამხედრო სასწავლებელი. პრაპორშჩიკი (1880). პოდპორუჩიკი (1882). პორუჩიკი (1885). შტაბსკაპიტანი (1892). კაპიტანი (1896, წარჩინებისთვის). დაამთავარა ოფიცერთა სკოლა. პოდპოლკოვნიკი (1904). კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ბატარეის უფროსი. პოლკოვნიკი (1921, წარჩინებისთვის). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური. გენერალ-მაიორი (1916). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. იყო სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი.

1921 წავიდა ემიგრაციაში პოლონეთში. 1926 წ-დან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. 1931 გავიდა თადარიგში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1 2007.

მიხეილ ბახტაძე

ყანჩაველი ზაქარია ალექსის ძე (1890 - 1932) – ბოტანიკოსი, სისტემატიკოს-ფლორისტი. პირველი ქართველი დოქტორი ბოტანიკის დარგში, პროფესორი (1924). 1915 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1915-1917 წწ-ში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ხელმძღვანელობდა შავი ზღვისა და თბილისის გუბერნიებში სამკურნალო მცენარეების შემსწავლელ ორგანიზაციას.

1918 წ-ის 13 სექტემბერს თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ბოტანიკის კათედრის ასისტენტად დაამტკიცა. 1919 გამოსცა ნაშრომი „გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა ნარკვევი“.

1922-1932 წწ-ში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ბოტანიკის კათედრას. იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ ენაზე ბოტანიკური ტერმინოლოგიის დამუშავება და პირველი ბოტანიკური სახელმძღვანელოს შექმნა. გამოსცა „ბოტანიკის პირველი ქართული სახელმძღვანელო“ 2 ტომად (1927). ხელმძღვანელობდა შირაქ-ელდარის, ცივ-გომბორის, სოღანლუღის, სამგორის ფლორისტულ ექსპედიციებს. მონაწილეობდა ახალი სარწყავი რაიონების დაპროექტებაში.

ლიტ.: ქსე ტ. X, თბ., 1986; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ყარალაშვილი სოლომონ გაბრიელის ძე (1870-1924) - გენერალი. 1900-1901 წწ-ში მონაწილეობდა ჩინეთის ლაშქრობაში. 1910-1911 წწ-ში კავკასიის მეფისნაცვლის ობეროფიცერია, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვედენოს ოკრუგის ხელმძღვანელი. პოლკოვნიკი (1916). დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენებით. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1919). იყო ქალაქ ფოთის პორტისა და სარკინიგზო სადგურის უფროსი. ექვემდებარებოდა ფოთში დისლოცირებული შენაერთები და ჯავშანმატარებელი. 1924 წწ-ში ანტისაბჭოთა აჯანყების დროს იყო დასავლეთ საქართველოში მოქმედი აჯანყებული რაზმების ხელმძღვანელი. აჯანყების მარცხის შემდეგ შეიპყრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007. მიხეილ ბახტაძე

ყარაშვილი ანდრია ნიკოლოზის ძე (30.XI.1857, თბილისი - 12.IV.1925, თბილისი) - კომპოზიტორი. პირველი ქართველი პროფესიონალი მევიოლინე. ქართული სავიოლინო საშემსრულებლო სკოლის ფუძემდებელი. ჯერ კიდევ მოწაფეობისას თავისი ხელით დაამზადა ვიოლინო. 1873 გაემგზავრა იტალიაში სასწავლებლად, შემდეგ კონსტანტინოპოლში სასულიერო სასწავლებელში შევიდა და მუსიკის თეორია, გალობა და ორღანზე დაკვრა შეისწავლა. 1878-81 წწ-ში პეტერბურის კონსერვატორიაში, პროფესორ კრასნოკრუტსკისთან ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა. 1881 გაემგზავრა პოლონეთში და ვარშავის კონსერვატორიაში ცნობილი პედაგოგის, ისიდორ ლოტოს, ხელმძღვანელობით განაგრძო ვიოლინოზე დაკვრის შესწავლა. 1885 წარმატებით დაამთავრა ვარშავის კონსერვატორია, თავისუფალი ხელოვანის წოდება მიიღო და შეუდგა საშემსრულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ვარშავაში დაწერა და გამოაქვეყნა თავისი პირველი სავიოლინო ნაწარმოებები „პერპეტუმ მობილე“, „მაზურკა I“ და „მაზურკა II“. 1893 დაბრუნდა საქართველოში. 1894-97 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის ქართული დრამატული თეატრის გუნდს, 1895-1920 წწ-ში მოღვაწეობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. 1900 თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ჩამოაყალიბა პირველი ქართული სიმებიანი კვარტეტი.

დამოუკიდებლობამდეც, დამოუკიდებლობის პერიოდშიც და გასაბჭოების შემდეგაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1905-1919, 1920-22 წწ-ში იყო „ქართული ფილარმონიული სამუსიკო სასწავლებლის“, 1920-25 წწ-ში კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის და თბილისის II კონსერვატორიის პედაგოგი. გარდაიცვალა გულის მანკით. დაკრძალულია თბილისის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ნაწარმოებები: ოპერები: დაუმთავრებელი ოპერა „ვეფხისტყაოსანი“. სავიოლინო ნაწარმოებები: „პერპეტუმ მობილე“ (პირველი ქართული სავიოლინო ნაწარმოები), „ბაიათი“, „ფუტკარი“, რომანსები: „ისევ შენ და ისევ შენ“, „დავრდომილი, სნეული“. სიმღერები: „მრავალჟამიერ“, „პატარა მურია“. საფორტეპიანო პიესები: „პოლონეზი“, „ობერეკი“, „საზანდარი“ და სხვ. სიმებიანი კვარტეტები: „ლოთებო“(ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსზე).

ლიტ.: ლ. დონაძე, ო. ჩიჯავაძე, გ. ჩხიკვაძე, ქართული მუსიკის ისტორია, წ. I, „განათლება“, თბ., 1990; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; გ. საყვარელიძე, კომპოზიტორი ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №29, №31.

ზურაბ ლეჟავა

ყაუხჩიშვილი მიხეილ

ყაუხჩიშვილი მიხეილ გიორგის ძე (17.VII.1889, ქუთაისი - 14.IV.1948, რომი) - ინჟინერი. სოციალისტ-ფედერალისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. 1912 დაამთავრა პეტერბურგის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. მუშაობდა პეტერბურგის მერიაში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. მონაწილეობდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობაში. 1918 სოციალ-ფედერალისტთა სიით გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. შედიოდა საბჭოს გზათა კომისიაში. 1919 წ-ის თებერვალში მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-ფედერალისტური პარტიის სიით, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა, საკანდიდატო სიაში 30-ე ნომერი იყო. 1918 მთავრობის დავალებით გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში ენერგეტიკისა და, ზოგადად, ეკონომიკის სფეროების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური წარმომადგენელი იტალიაში. 1920 დაბრუნდა სამშობლოში და გააცნო სახელმწიფო ეკონომიკის კომისიას თავისი რეკომენდაციები. როგორც ინჟინერი მონაწილეობდა გორის მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრაში.

ყარაშვილი ანდრია

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა გერმანიაში. კარლსრუეს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მოიპოვა ელექტროინჟინერიის დოქტორის ხარისხი. მუშაობდა „სიმენსის“ ქარხანაში. 1939 ჰიტლერის პოლიტიკური რეჟიმის (ებრაელი ცოლი ჰყავდა) გამო საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა. 1940 წ-დან ხელმძღვანელობდა

„სიმენსის“ იტალიურ ფილიალს. გარდაიცვალა ინფარქტით.

ლიტ.: გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2003; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127. ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 68.

ირაკლი ირემაძე

ყაუხჩიშვილი სიმონ

ყაუხჩიშვილი სიმონ გიორგის ძე (1895, ქუთაისი - 1981, თბილისი) – ბიზანტინოლოგი, ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1969), საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ფუძემდებელი. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდგომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი.

ყიფიანი ნოე

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების (1917) შემდეგ ანტიკური ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა ქალთა სემინარიაში, 1918 წ-დან თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო მოღვაწეობა, სადაც იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად იქნა დატოვებული ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის განხრით. ხუთი თვის მანძილზე (1920 წ-ის სექტემბერი - 1921 წ-ის იანვარი) უნივერსიტეტის მივლინებით ყაუხჩიშვილი მუშაობდა ათენში, სადაც ეუფლებოდა ახალ ბერძნულ ენას, შემდგომ გაემგზავრა ბერლინში. 1920 გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი - ხრონოგრაფი გიორგი მონოზნისაი (გიორგი ამარტოელის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანი).

1923-1926 წწ-ში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1927 წ-დან ხელმძღვანელობდა ბიზანტინოლოგიის კათედრას, 1940-1954 წწ-ში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, მუშაობდა მოსკოვშიც (1939-1940), საბჭოთა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ანტიკური ლიტერატურის განყოფილებაში. 1960 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე ყაუხჩიშვილი ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ახლად დაარსებული ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებას. ს. ყაუხჩიშვილი მრავალმხრივი მეცნიერი იყო. 1937-1940 წწ-ში გამოსცა იოანე პეტრიწის შრომების 2 ტომი, შემდგომში კი პეტრიწონის მონასტრის „ტიპიკონის“ ბერძნული ვერსია ქართული თარგმნით (1963), მიქაელ ფსელოსის ტრაქტატები (1966), „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ სამი ტომი (I -1946-50; II-1949; III-1963), „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ფაქტობრივად საბჭოთა პერიოდში იყო ერთადერთი სრული მიმოხილვა ბიზანტიური მწერლობის მხატვრულ ფორმათა განვითარებისა. მან პირველმა განსაზღვრა ბიზანტიზმი, როგორც 4 საწყისის: ელინურობის, რომაულობის, აღმოსავლურისა და ქრისტიანობის სინთეზი, ხაზი გაუსვა ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებაში ქართველების, სომხებისა და სლავების როლს. ასევე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემა, რომლის თითოეულ ტომს ახლავს ვრცელი გამოკვლევა, თუმცა ზოგიერთი საკითხი დღეს სადავოა. დიდი როლი შეასრულა „არეოპაგიტიკის“ და „ბალავარიანის“ გლობალური პრობლემების კვლევაში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და საპატიო ნიშნის ორდენებით.

ლიტ.: გ. მჭედლიძე, ქართლის ცხოვრების მოჭირნახულე, თბ., 1975; ა. ურუშაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, 1965, 1967.

მანანა ლილუაშვილი

ყიფიანი ნოე მანუჩარის ძე (1887, სოფ. ყუმისთავი - 1965, თბილისი) - გეოლოგი, პროფესორი (1930). 1912 დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატი. მონაწილეობდა ცნობილი ვულკანოლოგის, მინერალოგის და პეტროგრაფის, ალფრედ ლაკრუას და გეოლოგის და პალეონტოლოგის, ემილ ჰოგის, მიერ მოწყობილ ექსპედიციებში (1912-1913). 1916 წ-დან იყო კავკასიის მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების მთავარი მცვლელი.

1919 წ-ის 1 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კავკასიის მუზეუმი გააუქმა და გამოსცა კანონი საქართველოს მუზეუმის დაარსების შესახებ. ყოფილი კავკასიის მუზეუმის მთელი განძი და ქონება გადაეცა საქართველოს მუზეუმს. 1919 წ-ის აგვისტოში მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ აირჩია და უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს მუზეუმისა და მასთან არსებული ბიბლიოთეკის დირექტორად. პარალელურად იგი 1919 წ-დან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკავა გეოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობა.

1921-1924 წწ-ში იყო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოლოგიის განყოფილების გამგე. 1930-1938 წწ-ში ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ კათედრას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, შემდგომში კი სოხუმის (1938-1945) და ბათუმის (1945-1957) პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

ლიტ.: ქსე, X, თბ., 1986; მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ყიფიანი რუბენ ლუარსაბის ძე (1882, სოფ. ჟოშხა - 1965, ლევილი) - ქართველი სოციალ-დემოკრატი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ლაილაშის სასწავლებელში. მის პოეტურ ნაწარმოებებს და მოთხრობებს ბეჭდავდა: „მოგზაური“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „მათრახი და სალამური“ და სხვა ჟურნალი-გაზეთები. აქტიურად იყო ჩაბმული 1905 წ-ის რევოლუციაში, ხელმძღვანელობდა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის გამოსვლებს. ჟანდარმერიის მიერ არაერთხელ იყო დაპატიმრებული.

1917 მონარქიის დამხობის შემდეგ, სასჯელისგან გათავისუფლდა. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საკმაოდ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა: იყო დამფუძნებელი კრების წევრი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რ. ყიფიანს ქვეყნიდან წასვლა მოუწია. ემიგრაციაში ცხოვრობდა სტამბოლში, ბერლინში, პარიზში, სოშოში და ლევილში. მას შემდეგ, რაც პარიზი გერმანელებმა დაიკავეს, კავშირი დაამყარა საფრანგეთის წინააღმდეგობის მებრძოლებთან, რაც მისი დაპატიმრებით დასრულდა. ციხეში ერთ წელზე მეტი გაატარა. ომის შემდეგ აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას მიჰყო ხელი. წერდა გაზეთ „კავკასიონში”, რალფის ფსევდონიმით. სიცოცხლის ბოლოს ლევილში დასახლდა. დაიღუპა ავტოავარიაში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ლიტ.: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VII, თბ., 2005; ნ. კობახიძე, ბაბუაჩემი - რუბენ ყიფიანი, 1998.

ნოდარ ჩხაიძე

ყიფშიძე დავით ალექსის ძე (1890, სოფ. სკანდე - 1919, სოფ. სიმონეთი) – ფილოლოგი, ისტორიკოსი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1916 დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხური განყოფილება. იყო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის აქტიური წევრი. ნიკო მარის ხელმძღვანელობით სტუდენტობიდანვე ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. იკვლევდა შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთ ქალაქებს (ვარძია, უფლისციხე), ანისის გამოქვაბულებს, 1914 ხელმძღვანელობდა ცაგერის რაიონში არქეოლოგიურ გათხრებს. 1918 მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე კითხულობდა სომხური ენის კურსს.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ღილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ღილუაშვილი

ყიფშიძე ზაქარია თევდორეს ძე (22.III.1873 - 1943) - გენერალი. დაამთავრა მოსკოვის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1894). პორუჩიკი (1898). შტაბსკაპიტანი (1902). კაპიტანი (1906). დაამთავრა საინტენდანტო კურსები პირველი თანრიგით. პოდპოლკოვნიკი (1911). კავკასიის მსროლელთა I ბრიგადის ინტენდანტი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. კავკასიის მსროლელთა I დივიზიის ინტენდანტი. პოლკოვნიკი (1915, წარჩინებისთვის). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. გენერალი (*1920*). იყო გენერალური შტაბის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი. *1921* გადადგა სამხედრო სამსახურიდან

ლიტ.: მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ყიფიანი რუბენ

ყიფშიძე ილია

ყიფშიძე დავით



ყიფშიძე იოსებ

ყიფშიძე ილია თევდორეს ძე (1882, სოფ. სოღოლაშენი, გორის მაზრ. - 1953, თბილისი) – საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1908 ქ. აახენში დაამთავრა რაინ-ვესტფალიის უმაღლესი ტექნიკური სკოლა.

1919 მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში გერმანული ენის მასწავლებლად, ხოლო 1919- 29 წწ-ის ნოემბერს უნივერისტეტის პროფესორთა საბჭომ, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობით, მინერალოგიის კათედრის ასისტენტად დაამტკიცა.

1928-1938 წწ-ში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მან, ა. თვალჭრელიძესთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის სწავლებას თსუ-სა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მისი შრომებიდან აღსანიშნავია „გეომეტრიული კრისტალოგრაფია“ (1935) და მინერალოგიის პირველი სახელმძღვანელო (1938), რომლის თანაავტორებიც არიან გ. გვახარია და გ. ძოწენიძე.

ლიტ.: ქსე, X, თბ., 1986; ზ. გაიპარაშვილი, მ. ღილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ღილუაშვილი

ყიფშიძე იოსებ ალექსის ძე (1882, სოფ. რგანი - 1919, თბილისი) - ფილოლოგი, ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თსუ პროფესორთა საბჭოს მდივანი, 1911 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა აღმოსავლეთის პრაქტიკულ აკადემიაში კავკასიური ენების შესწავლის

კურსებზე. 1915 წ-დან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, სადაც კითხულობდა ქართული ენის კურსს. იყო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პირველი თავმჯდომარე. 1917 დაბრუნდა სამშობლოში და ივანე ჯავახიშვილთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა თსუ-ის დაარსებაში, იყო თსუ-ის პროფესორთა საბჭოს პირველი სწავლული მდივანი და ქართული ენის პირველი პროფესორი. იკვლევდა ქართველურ ენებს, მათი აგებულებისა და ისტორიის საკითხებს. აღსანიშნავია მისი გამოკვლევები „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ" (1911), „ჭანური ტექსტები", „მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით" (1915), „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში" (1919-1920) და სხვ. მისი გარდაცვალების შესახებ ცნობები და ნეკროლოგები დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის ყველა გაზეთში. უნივერსიტეტსა და პროფესორის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა საქართველოს მთავრობამ.

ლიტ.: ს. გორგაძე, პროფესორი იოსებ ყიფშიძე, „მიმომხილველი", 1926; კ. დანელია, ,იოსებ ყიფშიძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, 1985; ვ. თოფურია, იოსებ ყიფშიძე, გაზ. „კომუნისტი", 1939, 28 თებერვალი.

მანანა ლილუაშვილი

ყურულიშვილი სერგო (1894 - 1925) - დიპლომატი. 1918-1924 წწ-ში ვარშავაში (პოლონეთი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსული. განათლებით ინჟინერ-ტექნიკოსი, ჟურნალისტი და პოეტი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა. საჩხერეში დაიბადა. მამა - ვანო ყურულიშვილი, ხოლო დედა - ეკატერინე ნაზარიშვილი. ძმა იან (ვანო) ყურულიშვილი პოლონეთის რკინიგზის თანამშრომლად მუშაობდა.

პოლონეთში 1918 გაემგზავრა, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. პოლონეთში იგი თავის მეუღლე მარიასთან ერთად ჩავიდა. საქართველოს საკონსულო ნოვი შვიატის ქუჩაზე №17-ში მდებარეობდა. ვარშავაში მისმა მოღვაწეობამ ქართველი ემიგრანტების მუშაობა გამოაცოცხლა. ქალაქ ბიალისტოკში 1920 პოლონეთში მცხოვრები ქართველების ყრილობა მოაწყო, სადაც ქართული სახალხო საბჭო აირჩიეს. მისი მიზანი ურთიერთდახმარება, საქართველოსა და პოლონეთს შორის მეგობრული, პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების მხარდაჭერა იყო. კრებამ პირველ რიგში მისალმება გაუგზავნა სეიმს. 1920 წ-დან პოლონეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის - სიდამონ-ერისთავის, ს. ყურულიშვილის, ა. გოძიაშვილის ინიციატივით პოლონეთში ქართველთა თვითგადარჩენის კომიტეტი შეიქმნა, რომელიც 1921 წ-მდე არსებობდა.

ყუშიტაშვილი ვასილ

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლონეთის სამხედრო სკოლებში ქართველების მომზადება გადაწყდა. საბოლოო გადაწყვეტილება 1921 წ-ის 1 სექტემბერს მიიღეს, როდესაც გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადისლავ სიკორსკიმ, თანხმობა განაცხადა 25 ქართველის ვარშავის პოდხორონჟთა სკოლაში მიღებაზე, სადაც სწავლება 1921 წ-ის დეკემბერში დაიწყო. ს. ყურულიშვილი პოლონეთში საქართველოს სასარგებლოდ დიდ აგიტაციას ეწეოდა. 1921 ქართულ-პოლონური კლუბი შეიქმნა, რომლის დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარედაც აირჩიეს. საზოგადოების ძირითადი მიზანი „ქართველი და პოლონელი ხალხების ეკონომიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი დაახლოება" უნდა ყოფილიყო. გამოუშვეს ერთჯერადი ჟურნალი „ამირანი", რომელიც ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიას ეძღვნებოდა. ჟურნალის რედაქტორი ს. ყურულიშვილი გახდა. 1921 საქართველოზე პოპულარული გამოცემების სერიას ჩაუყარა საფუძველი. აღსანიშნავია მისი ნაშრომი „გრუზია" პოლონურ ენაზე, რომელიც 1924 ლ. კულჩიცკიმ ცალკე ბროშურად გამოაქვეყნა. 1922 წ-ის პირველ ნახევარში ვარშავაში პოლონეთის ქართული კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომლის პირველი თავმჯდომარე ს. ყურულიშვილი გახდა. კომიტეტი მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ ემიგრანტებს და მათ ოჯახებს, ორგანიზებას უკეთებდა ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნას და მეგობრულ შეხვედრებს, ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, რომელიც ფინანსური სიძნელეების გამო საკმაოდ შეზღუდული იყო. დაიბეჭდა ერთჯერადი ჟურნალი „პრო ჯეორჯია" (1922 წელს) და „პრო პატრია" (1923 წელს). 1923 წ-ის ოქტომბერში ვარშავაში გამოიცა „კურიერ სტოლეჩნის" პირველი ნომერი. ჟურნალის გამომცემელი ვალენტინა სას-ვოიჩიცკა, ხოლო რედაქტორი და მისი გამოცემის ინიციატორი - ს. ყურულიშვილი იყო. იგი 1925 წ-ის 25 მარტს ტრაგიკულად გარდაიცვალა. ვარშავის ერთ-ერთ კაფეში მას ტყვია ესროლეს. მისი გარდაცვალების შესახებ იმდროინდელი ვარშავის პრესა აქტიურად წერდა. 1925 წლის მაისში „აღმოსავლეთის ხმის" 30-ე ნომერში განთავსდა ნეკროლოგი, რომელსაც ხელს აწერდა პოლონეთის ქართველ სტუდენტთა წრე.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივ. მიკროფ. ასლები, საქ. 988; ა. ვოჟნიაკი, ქართული ემიგრაციის საზოგადოება და ორგანიზაციები პოლონეთში, ვარშ., 2001; ვარშავის ქართული ემიგრაცია, ჟურ. „ქართული ემიგრაცია", 2014, №2.

ლელა სარალიძე

ყუშიტაშვილი ვასილ (ვასო) პავლეს ძე (25.IV.1894, თბილისი - 16.I.1962, სოხუმი) - ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი (1958). სწავლობდა თბილისის პირველ გიმნაზიაში. 1913 შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა ვ. კომისარჟევსკაიას სახელობის დრამატულ სტუდიაში (1914-1916). მოგვიანებით ახალგაზრდა ხელოვანი პეტროგრადში ხელმძღვანელობდა წითელი არმიის თვითმოქმედ თეატრს, დგამდა სპექტაკლებს.

1918 თბილისშია. აქ შედგა მისი დებიუტი ქართულ პროფესიულ სცენაზე სპექტაკლით სოფოკლეს „ანტიგონე“. 1918 წ-ის 10 იანვარს სახელმწიფო თეატრში. თბილისში გიორგი ჯაბადარის სტუდიაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 1919 კი - ანტუანის სტუდიაში, პარიზში. 1919-1933 წწ-ში მოღვაწეობდა საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1921 შ. დიულენთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა სახელგანთქმულ ფრანგულ თეატრს „ატელიე“ (პარიზი). ამ თეატრში მან დადგა: გოლდონის „მარაო“ (1924), აშის „შურისძიების ღმერთი“ (1924), მოლიერის „ჟორჟ დანდენი“ (1925), არისტოფანეს „ფრინველები“(1925) და სხვ. პარიზის პრესამ მაღალი შეფასება მისცა მის მიერ დადგმულ სპექტაკლებს. „ატელიეში“ მუშაობის პარალელურად სპექტაკლებს დგამს პარიზის ცნობილ თეატრებში - „ოდეონი“, „პორტ სენ მარტენი“, „ელისეს მინდვრების თეატრი“. ნიუ-იორკში დგამს ჟ. ოფენბახის ოპერეტას „დიდი ჰერცოგინია“ (1929) და ჟან ლარიკის „ქალწული საფრანგეთიდან“ (1931). ნიუ-ორლეანში დგამს ა. ჩეხოვის პიესას „ალუბლის ბაღი“ (1932). სამშობლოში 1933 დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც 25 წელი დაჰყო. აქ დიდი წარმატებით დადგა სპექტაკლები: „ჩატეხილი ხიდი“ ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით (1935), ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“ (1937); ჰიუგოს „რუი ბლაზი“ (1941), შატბერაშვილის „ფიქრის გორა“ (1945), ლერმონტოვის „მასკარადი“ (1946) „კაცია ადამიანი?!“ (1946 და 1954, ი. ჭავჭავაძის მიხედვით), შილერის „მარიამ სტიუარტი“ (1955) და სხვ. პარალელურად ხელმძღვანელობდა თეატრებს ზუგდიდში, გორში, ქუთაისში, სოხუმში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ა. შალუტაშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, თბ., 1969; ს. ჭეიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, თბ., 1957.

მერაბ გეგია

შ

შავიშვილი ხარიტონ

შავიშვილი ხარიტონ (1886, სოფ. ქვედა ბახვი - 27.I.1975, ქ. ჟენევა) - შვეიცარიის კონფედერაციაში (ბერნში) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის დესპანი, საქართველოს დრ მთავრობის დელეგატი ერთა ლიგაში - ჟენევაში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში გადაასახლეს ციმბირში. 1908 წ-ის გაზაფხულზე ციმბირიდან გამოიქცა და შვეიცარიაში, ჟენევაში ჩავიდა. 1918, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა, მიხეილ სუმბათაშვილმა, მიიწვია ბერნში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სამუშაოდ. თავდაპირველად ბერნში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩევლის რანგში შეუდგა მუშაობას. ბერნში საქართველოს წარმომადგენლობა პირდაპირ კავშირში იყო თბილისში რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან - ნოე ჟორდანიასთან, საგარეო საქმეთა მინისტრ - ევგენი გეგეჭკორთან, ასევე, პარიზში (ვერსალში) სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელთან - კარლო ჩხეიძესთან. ორი წლის განმავლობაში (1918-1920) ბერნში საქართველოს წარმომადგენლობამ დიდი მუშაობა გასწია და დაკისრებულ დავალებებს შეძლებისდაგვარად ასრულებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაავალა, ყოფილიყო საქართველოს წარმომადგენელი ერთა ლიგაში, რომელიც ჟენევაში იყო დაარსებული და ემზადებოდა პირველი ასამბლეის ჩასატარებლად. ამის გამო, 1920 წ-ის ნოემბერში ბერნიდან ჟენევაში გადავიდა, სადაც საქართველოს პრესის ბიურო დააარსა. მისი ხელმძღვანელობით ბიურო კავშირში იყო არა მარტო შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოსთან, არამედ იმ დროისათვის არსებულ დასავლეთ ევროპის წამყვან საინფორმაციო საშუალებებთან და მისი საშუალებით ავრცელებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის საჭირო მასალებს. ბერნში მისი დიპლომატიური და ჟურნალისტური მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წ-ის თებერვალ-მარტში, საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და ბრძოლა გაგრძელა ჟენევაში დაარსებულ ერთა ლიგაში, ამჯერად როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგატმა. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე უცხოეთში საქართველოს საკითხის პროპაგანდას შესწირა და როგორც მისი ბიოგრაფი წერს, მას „უდიდესი ღვაწლი დასდო, რადგან შვეიცარიაში ის ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს იცნობდა. მათი დახმარებით ყველა შვეიცარიულ გაზეთში საქართველოს ბედის შესახებ ვრცელ სტატიებს წერდა და ხელს უწყობდა გამოაშკარავებას რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკისას“. 1920 წ-ის დეკემბრის ერთა ლიგის ასამბლეის გადაწყვეტილებით, საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხი გადაიდო 1921 წ-ის სექტემბრის ასამბლეის სხდომამდე, თუმცა ეს ვეღარ მოხერხდა, რადგან 1921 წ-ის თებერვალში საბჭოთა ჯარები საქართველოში შემოიჭრნენ. ხ. შავიშვილი ჟენევაში დარჩა და 1934 წ-მდე ერთა ლიგაში, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. იგი იყო ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების გაერთიანების გენერალური საბჭოს წევრი და მონაწილეობდა ამ გაერთიანების ყოველწლიურ შეკრებებში ევროპის დიდ ქალაქებში. არაერთხელ გამოსულა ერთა ლიგის სხდომაზე საბჭოთა კავშირის მძაფრი კრიტიკით. 1925, ხ. შავიშვილმა ჟან მარტენთან ერთად, შვეიცარიაში საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი დააარსა, რომლის ძირითადი მიზანი ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ საქართველოს შესახებ გავრცელებული ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. კომიტეტში შედიოდნენ შვეიცარიის ყველა პარტიის, აგრეთვე, ჟენევაში გამომავალი ყველა

გაზეთის რედაქციის წარმომადგენლები. კომიტეტს „Journal de Genève"-ის რედაქტორი ჟან მარტენი თავმჯდომარეობდა. კომიტეტი ევროპას ქართულ კულტურასა და ისტორიას აცნობდა, ატარებდა სხვადასხვა ღონისძიებას. 1925 წ-ის 27-29 ოქტომბერს ჟენევაში საქართველოს კვირეული ჩატარდა, რომელსაც ნოე ჟორდანია, შვეიცარიის მთავრობისა და 30 ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ჟენევისა და ლოზანის უნივერსიტეტების პროფესორები დაესწრნენ. შეძლებისდაგვარად ტარდებოდა კონცერტები ქართველ ხელოვანთა მონაწილეობით. 1937 წ-ის 4 ნოემბერს კომიტეტმა ჟენევის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის იუბილე საზეიმოდ აღნიშნა. 2013 წ-ის 10 ივნისს ჟენევაში, ჟორჟ–ფავონის ბულვარზე მდებარე სახლზე, სადაც ხარიტონ შავიშვილი სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა, საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და ჟენევის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, მემორიალური დაფა გაკეთდა, რომელსაც ქართულ და ფრანგულ ენებზე ამშვენებს წარწერა: „აქ ცხოვრობდა ხარიტონ შავიშვილი, რევოლუციონერი, მწერალი და ერთა ლიგასთან საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკის წარმომადგენელი (ფრანგულ ენაზე), იცოცხლა სამშობლოსთვის"

ლიტ.: Documents relatIfs à la question de la Géorgie devant la Société des Nations, Paris, 1925; გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 2001. ; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003; ნ. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები, თბ., 1997; ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო 1919-1923 წწ., თბ., 1997.

ლელა სარალიძე

შალამბერიძე მიხეილ იოსების ძე (1885-1958) - ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1920), პროფესორი (1930). 1911 დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი.

1918 წ-ის 17 ივლისს თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა მ. შალამბერიძის თხოვნა უნივერსიტეტში ასისტენტად მიღებისა და ქიმიაში ლექციების კითხვასთან დაკავშირებით. 1918 მას მიენდო ჭიათურიდან საქიმიო ლაბორატორიის უნივერსიტეტში გადმოტანა. 1920 აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად.

1929-1939 წწ-ში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1939-1945 წწ-ში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, 1945-1958 წწ-ში - საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგედ. იკვლევდა ქართული ღვინოების, კაკლის ზეთის, რძის, მინერალური წყლების, წყაროებისა და წყალსაცავების ფიზიკურ, ქიმიურ შემადგენლობასა და თვისებებს; ავტორია სახელმძღვანელოებისა: „ფიზიკური ქიმია" და „ორგანული ქიმია".

ლიტ.: ქსე, ტ. X, თბ., 1986; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

შალიკაშვილი დავით

შალიკაშვილი დავით იოსების ძე (1886-1940) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი. დაიბადა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის, იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილისა (1848-1903) და ნინო დიმიტრის ასულ სტაროსელსკაიას (გარდაიცვალა 1930), ოჯახში. მისი პაპები იყვნენ: მამის მხრიდან - რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი ივანე იოსების ძე შალიკაშვილი (1813-1866), ხოლო დედის მხრიდან - პოლონური წარმომავლობის არისტოკრატი, რუსეთის იმპერიის სენატორი, გენერალ-ლეიტენანტი, ბაქოს გენერალ-გუბერნატორი დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი (1832-1884). დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია და სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსი. რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცრის რანგში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იყო თათართა ცხენოსანი პოლკის პორუჩიკი.

მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში პოლკოვნიკის წოდებით. იყო საქართველოს ეროვნული გმირის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის (1888-1930), უახლოესი მეგობარი. შეფიცულთა რაზმის წევრის, ალექსანდრე სულხანიშვილის (1897-1990), ცნობით, დავით შალიკაშვილი „ძალიან კარგი ოფიცერი იყო და დიდი ამხანაგი ქაქუცასი". იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სასახლის ფლაგშტოკზე წითელი დროშის ჩამოხსნისა და ეროვნული სამფეროვანი დროშის აღმართვისა,

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. დამკვიდრდა საფრანგეთში, სადაც უცხოელთა ლეგიონში ოფიცრად ჩაირიცხა. მსახურობდა აფრიკაში. გარდაიცვალა გერმანული არმიის საფრანგეთში შეჭრისას. დაკრძალულია ქალაქ ნიცაში.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა), თბ., 1997.

ნიკო ჯავახიშვილი

შალიკაშვილი დიმიტრი

შალიკაშვილი დიმიტრი იოსების ძე (1896-1978) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი. უმცროსი ძმა პოლკოვნიკ დავით შალიკაშვილისა. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსი. რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცრის რანგში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში.

მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. 1921 წ-ის იანვარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის შემადგენლობაში მიავლინეს ოსმალეთში, გენერალ მუსტაფა ქემალთან, რომელიც მოგვიანებით ამ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა და ცნობილია ათათურქის სახელით.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. ოფიცრად მსახურობდა ჯერ პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში (1921-1939), ხოლო შემდეგ გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შექმნილ ქართულ ლეგიონში (1942-1945). ომის დასრულების შემდეგ დამკვიდრდა ბავარიაში (დასავლეთ გერმანია) თავისი მეუღლის - გრაფინია მარია რუდიგერ-ბელიაევას (1906-1950) ნათესავებთან. 1952 თავის ცოლ-შვილთან ერთად გადასახლდა აშშ-ში. მისი ვაჟი - ჯონ-მალხაზ-დავით შალიკაშვილი (1936-2011) იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სამხედრო პირი, კერძოდ, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე (1993-1997).

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა), თბ., 1997; Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.

ნიკო ჯავახიშვილი



შალიკაშვილი ვალერიან

შალიკაშვილი ვალერიან (10.V.1874, სოფ. აკეთი, ოზურგეთის მაზრ. - 30.I.1919, სოფ. აკეთი) - მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. საშუალო განათლება მიიღო კავკავის რეალურ სასწავლებელში, სადაც 4 კლასის კურსი დაამთავრა. პანსიონში რუსულად სწავლის გამო სრულიად დაავიწყდა ქართული ენა. 17 წლისამ დამოუკიდებლად დაიწყო მშობლიური ენის შესწავლა. 1902 სასცენო მოღვაწეობა დაიწყო ალექსი-მესხიშვილის დასში. მისი პირველი როლი იყო დე-სილვა სპექტაკლში „ურიელ აკოსტა“. 1905 პირველი წერილი გამოაქვეყნა გაზ. „ივერიაში“. 1907 წ-დან დაიწყო რეჟისორობა. 1909 წ-ის სექტემბრიდან ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ სარეჟისორო კურსებზე მოსკოვში მიავლინა. გახდა სამხატვრო თეატრის სტუდიის მსმენელი. გაზ. „დროებაში“ სამხატვრო სტუდიის ლექციების ჩანაწერებს აქვეყნებდა. მძიმე სოციალური პირობების გამო მალე ჭლექი შეეყარა. 1910 დაბრუნდა თბილისში. პირველად დადგა გ. ერისთავის „სამშობლო“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და „სინათლე“ (22-ჯერ). 1910 თბილისში დაარსდა სარეჟისორო საბჭო, რომლის წევრადაც ლ. მესხიშვილთან და ვ. გუნიასთან ერთად შედიოდა. 1910-1912 წწ-ში მიიწვიეს ხონის თეატრში. რამდენიმე თვე ისევ მოსკოვში გაატარა. ამ დროიდანვე დაიწყო მინიატიურების, ფელეტონების, სცენების წერა, აქვეყნებდა წერილებს სასცენო ხელოვნების შესახებ. თავდაპირველად ვალიკო გურულის ფსევდონიმით წერდა. 1915 საზოგადოების ხარჯით სამკურნალოდ გაიგზავნა სოხუმში. მალევე დაუბრუნდა საქმეს.

1917 მსახიობთა კავშირის დაარსების აქტიური წევრი იყო. 1918 გიორგი ჯაბადარის სტუდიაში მიწვეული იყო ლექტორად. ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას. მუშაობდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ბაქოს დასებთან. ზაფხულობით სხვადასხვა დაბა-სოფლებში სამუშაოდ დადიოდა. არის 50-მდე სპექტაკლის რეჟისორი, ათეულობით როლის შემსრულებელი, დაწერა 7 და თარგმნა 20-მდე პიესა. მის შესახებ არაერთი წერილი თუ ფოტო დაიბეჭდა 1918-1921 წწ-ის პერიოდულ გამოცემაში.

ლიტ.: დ. მებუკე, ვალერიან შალიკაშვილი, თბ., 1956; დ. თევზაძე, ვალერიან შალიკაშვილი და ჩვენი დღევანდელობა, ჟურ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2002; ი. არიმათიელი, ვალერიან შალიკაშვილი, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №14. 1919, №1.

სალომე ჭანტურიძე

შამქორის ამბები (საბჭოთა რუსეთის მიერ თბილისის აღებისა და საქართველოს გასაბჭოების მცდელობა) – ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნამ საბჭოთა რუსეთის წინაშე სამხრეთ კავკასიის რეგიონის გასაბჭოების საკითხი დააყენა. ამ მიზნის განხორციელების დასაყრდენ ძალად ოსმალეთის ფრონტზე მყოფი ბოლშევიზირებული რუსი ჯარისკაცები იქნენ მიჩნეული. ამ მიზნით, რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ს. გ. შაუმიანი კავკასიის საგანგებო კომისრად დაინიშნა და ოქროს კურსით 500 000 მანეთი გადაეცა. ბოლშევიკების გეგმა ოსმალეთის ფრონტიდან რუსეთისაკენ მიმავალი ათიათასობით რუსი ჯარისკაცის მიერ თბილისის აღებას და ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხელში ჩაგდების გზით რეგიონის გასაბჭოებას ითვალისწინებდა. ამიერკავკასია გარდაუვალი სამოქალაქო ომის საფრთხისა და გასაბჭოების ზღურბლზე იდგა. რეგიონის გასაბჭოების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი და კავკასიელი ბოლშევიკები. დასახული მიზნის შესასრულებლად მზადყოფნაში ჰყავდათ სარიყამისის ფრონტიდან მოხსნილი 7000 ჯარისკაცი, რომლებიც სამთო ქვემეხებით იყვნენ შეიარაღებული და ყარსის ფრონტიდან დემობილიზებული 9000 რუსი ჯარისკაცი, 16 ეშელონის შემადგენლობით.. ამ ღონისძიებას, მოსკოვის მითითებით, შაუმიანი, კუზნეცოვი და პეტრენკო ხელმძღვანელობდნენ. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საგანგებო მოწოდებით მიმართა ქართველ ერს. ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით მოწვეულმა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა, 1918 წ-ის 4 იანვრის დადგენილებით თბილისის დაცვა და

ეშელონების დაუყოვნებლივი განიარაღება გადაწყვიტა. მისი განხორციელება დაევალა გენერალ გ. მაზნიაშვილს. ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით, ეშელონებთან მოსალაპარაკებლად ავტორიტეტულ პირთა ჯგუფი გაიგზავნა. იმავდროულად, მახათას მთაზე და სოღანლუღის ქედზე ზარბაზნები დაიდგა. ნ. რამიშვილის ბრძანებით, კახეთიდან დაუყოვნებლივ იქნა გამოწვეული ჯავშნოსანი მატარებელი როტმისტრ ე. აფხაზავას მეთაურობით. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ნავთლუღში შემოსული 16 ეშელონის სადგურ ყარაიასა და ელიზავეტპოლის მიმართულებით გაგზავნა. შამქორში ე. აფხაზავას მუხანათური მკვლელობის შემდეგ, ჯავშნოსანი მატარებლის №4-ის უფროსად ვ. გოგუაძე დაინიშნა და მას ეშელონების რკინიგზის სადგურ ევლახამდე გაცილება დაევალა. 9 იანვრიდან 12 იანვრის ჩათვლით, ჯავშნოსანი მატარებლის ხელმძღვანელმა და ქართული ჯარის ნაწილებმა შამქორში რუსი ჯარისკაცების 5 ეშელონი განაიარაღა. რამდენიმე ჯარისკაცი აზერბაიჯანელ მუსლიმთა რაზმებთან შეტაკებაში დაიღუპა. ამ ოპერაციის შედეგად 15 ათასი შაშხანა, 70 ტყვიამფრქვევი, 20 ზარბაზნი და სხვა სახის აღჭურვილობა ჩამოართვეს ეშელონებს და არსენალში გადაიტანეს. ფრონტიდან წამოსული ეშელონების მეორე ნაკადის ამოძრავება 1918 წ-ის თებერვლიდან დაიწყო. თბილისი ისევ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. აზერბაიჯანელ მუსლიმთა შეიარაღებული რაზმების თავდასხმისგან ეშელონების დაცვა ვ. გოგუაძეს დაევალა. სადგურ ნავთლუღში შემოსული რუსული ეშელონი მისი ძალისხმევით ბაქოსკენ გაამგზავრეს. მის უსაფრთხოებას ჯავშნოსანი იცავდა, რომელმაც ეშელონები სადგურ ევლახამდე მიაცილა. 1918 წ-ის 8 თებერვალს თბილისიდან მესამასე ვერსზე 13 ეშელონმა (15 ათასი ჯარისკაცი) მოიყარა თავი. ვ. გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა თბილისის მიმართულება ჩაკეტა და ეშელონები გააფრთხილა, რომ თუ თბილისისაკენ წამოვიდოდნენ, ცეცხლს გაუხსნიდა. ვ. გოგუაძის ენერგიული მოქმედების შედეგად, ეშელონები უკან გაბრუნდნენ 16 თებერვალს, სადგურ ყარაიასა და თაუზის მიმართულებით დაიძრნენ. 10 ვერსის სიგრძეზე გაჭიმული ეშელონების უსაფრთხოებას აზერბაიჯანელთა თავდასხმებისგან გოგუაძის ჯავშნოსანი იცავდა. მან ეშელონები სადგურ ევლახამდე მიაცილა და 19 თებერვალს თბილისში დაბრუნდა. 1918 წ-ის იანვარ-თებერვალში ოსმალეთის ფრონტიდან წამოსული და სამშობლოში მიმავალი გაბოლშევიკებული რუსი სამხედროებისგან თბილისის აღებისა და საქართველო-ამიერკავკასიის გასაბჭოების გეგმა ჩაიშალა. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გ. გვაზავა 1929 შემდეგნაირად აფასებდა შამქორის ამბებს: „როცა ასი ათასი მშიერი და თავზე ხელაღებული ლაშქარი მოჰსწყდა ოსმალეთის ფრონტს და მოადგა თბილისს, მის წითელ დროშას საქართველომ წინ დაუყენა წითელივე დროშა. თბილისი გადარჩა განადგურებას. ეს იყო დიდი ეროვნული საქმე. თბილისის აკლებით და დაკარგვით რუსები და სომხები არაფერს ჰკარგავდნენ, საქართველო კი ჰკარგავდა ყველაფერს. რა ჭკუაა ვიდაოთ იმაზე - არის თუ არა ჭეშმარიტება... წითელ დროშაში? დაფასების კრიტერიუმი სულ სხვაგან დევს. დაფასების ეს კრიტერიუმი საქართველოს არგასაბჭოებაში და დამოუკიდებლობისთვის შესაბამისი საფეხურის მომზადებაში მდგომარეობს“

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე), თბ., 2014; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, რედ. ა. სურგულაძე, თბ., 1972.

შოთა ვადაჭკორია

შანიძე აკაკი

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე (1887, სოფ. ნოღა - 1987, თბილისი) - ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ინგლისის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ დატოვეს სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრაზე (1913).

იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1917 წ-ის 26 ნოემბრიდან უნივერსიტეტის პროფესორი. 1918 წ-დან უნივერსიტეტის სომხური ენის კათედრის გამგე (1930-მდე). 1919 წ-დან უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე (1945-მდე). 1920 იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი დოქტორი, უნივერსიტეტში პირველი დისერტაციის დაცვის ფაქტი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმაც მიულოცეს. გარდა აკადემიური საქმიანობისა, აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო წევრი სოციალ-ფედერალისტური პარტიისა. 1919 დამფუძნებელი კრების არჩევნებში კენჭს იყრიდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის სიით, იყო საკანდიდატო სიის 33-ე ნომერი. არჩევნების შედეგად კრების წევრის მანდატი ვერ მოიპოვა.

1945 წ-დან იყო ძველი ქართული ენის კათედრის გამგე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა კრიტიკულად დადგენილი და სამეცნიერო-საინფორმაციო აპარატით აღჭურვილი ძველი ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ე. წ. ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენა-გამომზეურება, ქართული ოთხთავის აკადემიური გამოცემა, სვანური მეტყველების ტექსტების პუბლიკაცია და ა.შ. განსაკუთრებით დიდი



შარაშიძე დავით

დამსახურება მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასა და ენობრივი თავისებურებებისა და ლექსიკის კვლევა-ძიებაში. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლას. ა. შანიძის შრომები შეეხება ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიული ქართული დიალექტოლოგიის, ქართული ლექსიკოლოგიის, ქართული ტექსტოლოგიის, ქართული ეპიგრაფიკის, ქართული ფოლკლორისტიკის, რუსთველოლოგიის, არმენისტიკის, ალბანოლოგიისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემატიკას. მისმა მონოგრაფიამ „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920) საფუძველი დაუდო ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების ახალი თვალსაზრისით შესწავლას. მის სამეცნიერო შრომებს შორის საეტაპო მნიშვნელობისაა „უმლაუტი სვანურში“ (1925), „ქართული გრამატიკა, I, „მორფოლოგია“ (1930). ამ წიგნებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი სალიტერატურო ქართულის მყარი საფუძვლის შექმნისა და შემდგომი სამეცნიერო კვლევების საქმეში. ამასთანავე ინტერესი აღუძრა ევროპას ქართული ენის მეცნიერული თვალსაზრისით კვლევა-ძიებით დაინტერესებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი მეცნიერის მიერ დანერგილი გრამატიკული ტერმინები, რომლებიც დამკვიდრდნენ გრამატიკულ ლიტერატურაში. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: ორიონი, ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967; აკაკი შანიძე, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დაბადების 95 წლისთავისადმი, თბ., 1981; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, აკაკი შანიძე, თბ., 1977.

მანანა ლილუაშვილი

შარაბიძე ოლღა – ქუთაისის ქალთა მეორე გიმნაზიაში (დირექტორი დ. ქუთათელაძე) ხელსაქმის შტატის მასწავლებელი იყო, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა როგორც პედაგოგთა შორის, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით. ახალგაზრდა პედაგოგი ძალას არ ზოგავდა პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით, 1917 იყო პეტროგრადში საზოგადოება „ბაგატირის“ საგიმნასტიკო ინსტიტუტში, ასევე გაიარა ხელსაქმის კურსები. ქალთა II გიმნაზიასთან ერთად დაინიშნა საზ-ბა „სინათლის“ ქალთა გიმნაზიაში ხელსაქმის მასწავლებლად.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 1368.

დოდო ჭუმბურიძე

შარაბიძე ნიკოლოზ (1878 - ?) - ცნობილი პედაგოგი, კომპოზიტორი. დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი (1900); პეტერბურგის სამეფო კართან არსებული სასიმღერო კაპელის რეგენტის კლასი (1902). მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა საგუნდო სიმღერას და თეორიულ საგნებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიაში, სხვადასხვა სკოლასა და მუსიკალურ სასწავლებლებში; 1923–1954 წწ-ში ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში; დაწერილი აქვს: საგუნდო ნაწარმოებები, საბავშვო სიმღერები, რომანსები, დამუშავებული აქვს ქართული ხალხური სიმღერები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ის აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში.

ლიტ.: Композиторы Грузии, изд. 2, Тб., 1973.

დოდო ჭუმბურიძე

შარაშიძე დავით გიორგის ძე (1877, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა - 5.XI.1935) - გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი, ცნობილი პოეტის, შალვა შარაშიძის (თაგუნას) და მკვლევარ-ისტორიკოსის, ქრისტინე შარაშიძის, ძმა, ხოლო პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის გიორგი შარაშიძის მამა იყო (ემიგრანტულ პრესაში 1886 წ. არის დაბადების თარიღად მითითებული). დაიბადა ცნობილი პედაგოგების - გიგო შარაშიძის და ნინო ქიქოძის ოჯახში. ასწავლიდნენ ბახვის სკოლაში, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსს აუგია (ნინო ქიქოძე გაბრიელ ეპისკოპოსის ძმისწული გახლდათ). თავდაპირველად სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ქუთაისში და ბოლოს ოდესის რეალურ სასწავლებელში. ახალგაზრდობიდანვე რევოლუციურ მუშაობაში აქტიურად ჩაერთო. 1905 წ-ის სტუდენტური გამოსვლების შემდეგ დაატიმრეს. რამდენიმე თვეში გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ დატოვებდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს. გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. სამშობლოში დაბრუნებულს აქ ცხოვრების უფლება კვლავ არ მისცეს და იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო.

მხოლოდ 1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. დაარსების დღიდან რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატთა რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთს - „Борьба“. 1918 იყო ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კვლავ აიძულეს ემიგრაციაში წასულიყო. 1925 წ-მდე სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ კი საფრანგეთში დასახლდა და იქ გააგრძელა პოლიტიკური და ჟურნალისტური მოღვაწეობა. იყო სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთების - „ბრძოლა“ და „ბრძოლის ხმა“ - რედაქტორი, ასევე, პარიზში გამომავალი ინტერპარტიული ორგანოს - „დამოუკიდებელი საქართველოს“ თანარედაქტორი. მისი პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში. მან ფრანგულ

ენაზე დაწერა და გამოაქვეყნა მოზრდილი შრომა (212 გვერდი) ანრი ბარბიუსის საპასუხოდ, სათაურით: „საბჭოები და საქართველო“, რომელსაც ახლავს კ. კაუცკის ვრცელი წინასიტყვაობა. დაკრძალულია ლევილში.

ლიტ.: სცსა,ფ2124 (დავით გიორგის ძე შარაშიძის ფონდი), აღწ. 1; გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.

ლელა სარალიძე

შარაშიძე ტროფიმე დავითის ძე – ოზურგეთის სახალხო სკოლების ინსპექტორი. ი. ფერაძე გამორჩეულად ახასიათებს ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ტროფიმე შარაშიძეს, რომელიც ბათუმის მეორე ქართული სკოლის გამგე იყო 15 წელი, 1918 წ-ის იანვრიდან ის გადაიყვანეს მისსავე სასწავლებელთან გახსნილ უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის გამგედ და შტატის მასწავლებლად. ოსმალთა მიერ ბათუმის აღების შემდეგ დანიშნეს ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად. ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 1373.

დოდო ჭუმბურიძე

შარაშიძე ქრისტინე გიორგის ასული (1889, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა - 10.XI.1973, თბილისი) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1905 წ-დან. 1899-1904 წწ-ში სწავლობდა ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წ-ის რევოლუციურ მოძრაობაში, თანამშრომლობდა პრესასთან და სამედიცინო „მფრინავ რაზმებში“ მუშაობით დახმარებას უწევდა თბილისის სომეხ-თათართა შეტაკებაში დაშავებულებს. მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისის კერძო გიმნაზიაში (1907), იყო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი (1910-1911); საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი (1917).

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში იყო კრების პრეზიდიუმის უმცროსი მდივანი, საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიების წევრი (1919-1921). საქართველოს დემოკრატიულШ რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში და მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კომიტეტში, რომლის მიზანი პოლიტპატიმართა ოჯახების დახმარება იყო. 1922 წ-დან კომიტეტი გარდაიქმნა ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლი პარტიების ერთიან ორგანიზაციად - „საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი“. დააპატიმრეს რამდენჯერმე: 1921 წ-ის აგვისტოში ოზურგეთში; 1922 წ-ის თებერვალში თბილისში და 4 თვით გამოკეტეს მეტეხის ციხეში. დაპატიმრებული იყვნენ აგრეთვე მისი ოჯახის წევრები: ძმა - შალვა, მამა - გიგო, სიძე - ნიკოლოზ ქარცივაძე. ამის შემდგომ ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის თანამშრომელი (1917-1931); თსუ ბიბლიოთეკარი (1934-1935); მასწავლებელთა სახლის ქართული ენის კაბინეტის გამგე (1924-1925). მონაწილეობდა რუსთაველის 750 წლის საიუბილეო გამოფენის მომზადებაში (1936-1937), „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ შედგენაში (1938-1941). განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში (1940-1964), სადაც მან შეისწავლა მრავალი ხელნაწერი, გამოსცა მონოგრაფიები ქართული სასტამბო საქმის, სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ. 1964 წ-დან იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ლიტ.: ქალები წარსულიდან, თბ., 2015; დაკარგული ისტორია-მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ. SOVLAB, თბ., 2012; საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი №141 - ქრისტინე შარაშიძის პირადი ფონდი.

ბონდო კუპატაძე

შარაშიძე ქრისტინე

შარაშიძე შალვა გიორგის ძე (188?, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა - 1934) - ქართველი სოციალ-დემოკრატი, იუმორისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იუმორისტულ ალმანახ „ეშმაკის მათრახის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი (1907-1909; 1915-1917, 1919-1921). ცენზურის მიერ დახურვის პერიოდში გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით). ფელეტონებს და საჟურნალო მასალებს აქვეყნებდა ფსევდონიმით „თაგუნა“. მისი პიესა „ავგაროზი“ დაიდგა რუსთაველის თეატრში (რეჟ: ა. წუწუნავა).

1918 იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. 1919-1921 წწ-ში რედაქტორობდა იუმორისტულ ალმანახ „ეშმაკის მათრახს“, აქვეყნებდა სტატიებსა და მხატვრულ ჩანახატებს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პრესაში.

ბონდო კუპატაძე

შარაშიძე შალვა

შარვაშიძე ყადირ თუფან-ბეგის ძე (29.IV.1887, სოფ. ქედა, ბათუმის ოლქი - 8.V.1919, თბილისი) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. ექიმი. დაიბადა ქვემო აჭარის მმართველის - ბეგის ოჯახში. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო

შარვაშიძე ყადირ

ბათუმისა და თბილისის კლასიკურ გიმნაზიებში. მოსწავლეობის პერიოდში მონაწილეობდა 1905 წ-ის რევოლუციურ გამოსვლებში. 1909 წ-დან სწავლა გააგრძელა იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დააპატიმრეს სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის ბრალდებით. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა როგორც სამხედრო ექიმი. 1916 მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა, ჩაერთო „წითელი ჯვრის“ საქმიანობაში, 1917 წ-დან აქტიურად მონაწილეობდა ბათუმში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში, იყო „ქართველ მუსლიმთა კომიტეტის“ წევრი.

1917 წ-ის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოს წევრად. ოსმალეთის მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ სხვა ქართველ მაჰმადიანებთან ერთად სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტს“. საქართველოს მთავრობის მანდატით აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ახალციხის, ფოცხოვის და ზემო აჭარის რაიონებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ. 1918 დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გერმანიაში გაგზავნა დიპლომატიური დელეგაციის წევრად. 1919 წ-ის დასაწყისში მონაწილეობდა ახალციხის სამხედრო ოპერაციაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა მინიჭებული. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. 1919 წ-ის მაისში მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისში. დამფუძნებელ კრებაში პატივი მიაგეს კოლეგებმა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ქედაში (ამჟამად დაბა ქედა).

შარლემანი იოსებ

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1991, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №102; ს. სალაძე, უცნობი ყადირ შერვაშიძე, გაზ. „ბათუმელები“, http://batumelebl. netgazetl. ge/weekly1/46416/#sthash. nh3DQaHO. dpbs.

ირაკლი ირემაძე

შარიფოვი (შარიფ) აბდულ აზიზ (28.III.1895, ნახჩევანი - 1.VI.1988, მოსკოვი) - აზერბაიჯანელი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. აზერბაიჯანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ჰუმეტის“ წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაწყებითი განათლება მშობლიურ ნახჭევანში მიიღო. შემდგომში კი სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გადმოვიდა. თბილისში ცხოვრებისას დაუახლოვდა აზერბაიჯანელ მწერალთა ჯგუფს, ჯ. მამედკულიზადეს, ა. ახვედროვსა და სხვ. 1910 სატირულ ჟურნალში „მოლლა ნასრედდინი“ გამოქვეყნდა მისი პირველი ნაწერები. 1915-1917 წწ-ში სწავლობდა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში.



შარიფოვი აბდულა

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ეწეოდა საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას. 1918 წ-ის ოქტომბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში აზერბაიჯანელთათვის გამოყოფილი კვოტით გახდა პარლამენტის წევრი. 1920 წ-ის მაისში იყო ბორჩალოს მუსლიმთა ყრილობის თავმჯდომარე, ნ. ჟორდანიასთვის გაგზავნილ წერილში ხოტბას ასხამდა ქართულ დემოკრატიას და მტერთან ბრძოლაში მხარდაჭერას უცხადებდა.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ აქტიურად იყო ჩართული ანტისაბჭოთა საქმიანობაში. 1921 დააპატიმრეს 2 წლის ვადით, თუმცა აზერბაიჯანის რევკომის თავმჯდომარის ნარიმანოვის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. 1943 დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერების აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. რუსულად თარგმნა ახვერდოვის და სხვა აზერბაიჯანელი მწერლების ნაწარმოებები. კარგად ფლობდა ქართულ ენას, აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ე. ნინოშვილისა და ნ. მიწიშვილის მოთხრობები. 1962 წ-დან იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. კითხულობდა ლექციებს ამიერკავკასიის ხალხების ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ. დაკრძალულია მშობლიურ ნახჩევანში.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119; გაზ „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №108; Шариф Азиз Алиевич. Бсэ. гл. ред. А. Прохоров. - 3-е изд. - М. 1969-1978.

ირაკლი ირემაძე

შარლემანი იოსებ ადოლფის ძე (06.IV.1880, პეტერბურგი - 31.XII.1957, თბილისი) - ფრანგი ეროვნების მოდერნისტი მხატვარი. მისი წინაპარი, მოქანდაკე და დეკორატორი ჟან-ბატისტ შარლემან-ბოდე, საფრანგეთიდან რუსეთში ჩადის ეკატერინე II-ის კარზე სამუშაოდ. რუსეთში სათავეს უდებს შარლემანების დიდ სახელოვნებო დინასტიას: ი. შარლემანის ბაბუა, არქიტექტორი იოსებ-ჟან შარლემანი; ბიძა - იოსებ-მარია შარლემანი, ასევე არქიტექტორი, აკვარელის დიდი ოსტატი; მამა - ადოლფი, აკადემიკოსი, ისტორიული და ბატალური სცენების მხატვარი. ი. შარლემანი აგრძელებს ოჯახის ტრადიციას და სწავლას იწყებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მალე ტოვებს აკადემიას და დედასთან, ელისაბედთან, ერთად, „პერედვიჟნიკების“ წრესთან დაახლოებულ ასევე მხატვართან, პორტრეტისტთან, მიემგზავრება ევროპაში. პარიზში ყოფნისას ეცნობა XIX საუკუნის წიგნებს და მუშაობას იწყებს წიგნის გრაფიკის პრობლემებზე. პეტერბურგელი მხატვრის, ალექსანდრ ბენუას და თეატრის მოღვაწის, შემდგომში პარიზში

ცნობილი „რუსული სეზონების“ ორგანიზატორის, სერგეი დიაგილევის მიერ დაარსებულ ჯგუფ „მირ ისკუსტვასთან“ („ხელოვნების სამყარო“), ასოცირდება (რომლის წევრები იყვნენ ასევე ალექსანდრე შერვაშიძე და ევგენი ლანსერე). მონაწილეობს ჯგუფის მიერ მოწყობილ გამოფენებში, თანამშრომლობს მის ამავე სახელწოდების ჟურნალთან. თანამშრომლობს სიმბოლისტების და აკმეისტების ჟურნალთან „აპოლონი“ (1909-1917); სატირულ, ე. წ. შავოსნების (*черносотенцы*) წინააღმდეგ მიმართულ და ანტიბოლშვიკურ ჟურნალთან „სატირიკონი“ (1908-1914), ხოლო მისი გამოცემის შეჩერების შემდეგ, ჟურნალთან „ლუკომორიე“ (1914-1916). 1913 კოტე მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებული „თავისუფალი თეატრისთვის“ ქმნის ფარდას.

1917 კავკასიაშია, 1918 უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, თბილისში, სადაც სამუდამოდ სახლდება. კავკასიაში ჩამოდის ბროკჰაუს-ეფრონის გამომცემლობის დაკვეთით ლევ ტოლსტოის მოთხრობის „კაზაკების“ დასურათებისთვის მასალის შესაგროვებლად. მოგზაურობს ყუბანსა და თერგის ოლქში. ბოლშევიკური გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის გამო ის რუსეთში აღარ ბრუნდება და დარიალის ხეობით მოემგზავრება საქართველოში. ამ მოგზაურობას შემდგომ „საქართველოს უვერტიურას“ დაარქმევს. მოგვიანებით ცოლად მოჰყავს მარიამ მუსხელიშვილი. სწრაფად ხდება თბილისური მოდერნისტული სახელოვნებო პროცესის თანამონაწილე. მჭიდრო კავშირში იყო იმ წლების მომუშავე ქართველ და რუსეთიდან დროებით ჩამოსულ მოდერნისტ და ავანგარდისტ მხატვრებთან და მწერლებთან. 1918 იყო ჟურნალის „ARS“, ჟურ. „ფენიქსი” („Фениксъ“; 1918-1919) და ჟურ. „კურანტები“ („Куранты“, 1918-1919) რედკოლეგიების წევრი. 1919 გამოცემული ლიტერატურულ-სახელოვნებო ჟურნალ „ორიონის“ („*Оріон*“) ყდა და შრიფტი ი. შარლემანის მიერაა შესრულებული. შექმნა ქართული სათამაშო კარტი, გამოიყენა რა ქართული ეროვნული სამოსი, რომელიც პირველიც აღმოჩნდა და უკანასკნელიც, რამდენადაც ის საბჭოთა ცენზურამ აკრძალა. 1918 წ-ის 26 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელოვნების კომისიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფო გერბის შექმნის კონკურსი, ი. შარლემანმა გაიმარჯვა.

1921 მხატვარ ევგენი ლანსერესთან ერთად ქმნის გასაბჭოებული საქართველოს ახალ გერბს. 1922 მონაწილეობს თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებაში და აყალიბებს გრაფიკის განყოფილებას. 1923 მოგზაურობს სვანეთში და ქმნის სვანური ჩანახატების მთელ სერიას. 1927 გიორგი ჩუბინაშვილის რედაქციით გამოსულ რამდენიმე ალბომისთვის ქართულ ხელოვნებაზე გრაფიკულ ნახატებს ასრულებს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილებისათვის ქმნის ორ ფერწერულ ნამუშევარს. მუშაობს ბატალურ ჟანრში და ამ მხრივაც აგრძელებს რა ოჯახის ტრადიციას, ქმნის სურათს, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენლის, სახელგანთქმული რუსი გენერლის, გმირის, პეტრე ბაგრატიონის დაჭრის სცენა ბოროდინოს ველზე. საბჭოთა ცენზურის პირობებში ეს მისი ერთადერთი სურათი იყო, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, მისივე დაარსებულ სამხატვრო აკადემიაში ხელმისაწვდომი იყო აკადემიის სტუდენტებისათვის და ხელოვნების მოყვარულებისათვის. გასაბჭოების შემდეგ განაგრძობს მუშაობას წიგნის გრაფიკაში, სცენოგრაფიაში, ფერწერაში. 1958 გამოდის 1920-იანი წწ-ის ფუტურისტის, ბენო გორდეზიანის, მონოგრაფია ი. შარლემანზე. ბუნებრივია, 1930-იან წწ-ში, სოციალისტური რეალიზმის ოფიციალურ მეთოდად გამოცხადების შემდეგ, მისი მუშაობის მეთოდიც წნეხის ქვეშ ექცევა და იცვლება. ამიტომ მას, მოდერნისტ მხატვარს, საბჭოთა ტრადიციისამებრ ე. წ. კლასიკოს მხატვრად მოიხსენიებენ ხოლმე. გაიზიარა რა საქართველოს მოდერნისტების ბედი, მისი შემოქმედება დღემდე შეუსწავლელია, ნამუშევრების მოძიება კი თითქმის შეუძლებელი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: В. Беридзе, Н. Езерская, Искусство Советской Грузии, 1921-1970, Мос., 1975; Б. Гордезиани, И. А. Шарлемань,Тб., 1958.

ნანა ყიფიანი

შევალიე აბელ

შევალე (შევალიე) აბელ (4.VII.1868, მუირონ-ან-პარედი, ვანდეა - XII.1933, შანსი) - ფრანგი დიპლომატი. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში. დაიბადა მესაათის ოჯახში. ვოლტერისა და ლუი ლე გრანის ლიცეუმებში ასწავლიდა ინგლისურ ენას. 1905 წ-დან მუშაობას იწყებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1905-1910 წწ-ში იყო საფრანგეთის კონსული პრეტორიაში და იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა). 1912 მიენიჭა სრულუფლებიანი ელჩის რანგი. 1914-1918 წწ-ში იკავებდა საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრის თანამდებობას ქრისტიანეაში (ოსლო).

1918 დაბრუნდა საფრანგეთში. 1920 დაინიშნა საფრანგეთის უმაღლეს კომისრად ამიერკავკასიაში. ამ თანამდებობაზე გრაფი დე-მარტელი შეცვალა. 1920 წ-ის იანვრიდან ნოემბრამდე იყო ალენშტეინის კომისიაში საფრანგეთის წარმომადგენელი. 1920 წ-ის 2 დეკემბერს ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა მოვალეობის აღსრულებას. თბილისში ჩამოსვლისას უმაღლეს კომისარს დახვედრა მოუწყვეს საგარეო საქმეთა მინისტრის და სამხედრო მინისტრის მოადგილეებმა, საბახტარაშვილმა და გენერალმა გედევანიშვილმა. 6 დეკემბერს მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, შეხვდა. საფრანგეთის მთავრობის ახალი თავმჯდომარის, არისტიდ ბრიანის,

დადებითმა განწყობებმა საქართველოსადმი საფრანგეთის ამიერკავკასიურ პოლიტიკაზე დადებითი გავლენა მოახდინა. შევალიე ხშირად ხვდებოდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, 1921 წ-ის იანვარში აფხაზეთის მიმართულებით ბოლშევიკებთან შეტაკებებისას ქართულ ძალებს ადმირალ დიუმენელის მეთაურობით შავ ზღვაში მოქმედმა ფრანგულმა ესკადრამ დიდი დახმარება გაუწია. 1921 წ-ის იანვარში საქართველოს დე იურე აღიარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ ბრიანისა და საფრანგეთის პოლიტიკური მხარდაჭერა გახდა. შევალიე, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობას საჯაროდ ულოცავდა აღიარებასა და მომავალში ყოველმხრივ დახმარებას ჰპირდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობას აქტიურად უჭერდა მხარს საბჭოთა ოკუპაციის მიმდინარეობისას, მხოლოდ 1921 წ-ის 13 მარტს დატოვა საქართველო. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მისწერა -„ეს არის მოსკოვური კომუნიზმის მიერ პატარა სოციალისტური ქვეყნის მკვლელობა. ეს არის მესამე ინტერნაციონალის სამხედრო და იმპერიალისტური გამარჯვება მეორე ინტერნაციონალზე“. შევალიემ აქტიურად შეუწყო ხელი საქართველოს დევნილი მთავრობის საფრანგეთში თავშესაფარის მიღებას და საქართველოს განძის საფრანგეთში გამგზავრებას.

1921 საქართველოდან ევაკუაციის შემდეგ, მცირე ხნით ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში და ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას, შემდგომში დაბრუნდა საფრანგეთში. იყო საფრანგეთში საქართველოს მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე, ქალაქ შანსის მერი. სიცოცხლის ბოლო წლებში გამოაქვეყნა პოემათა კრებული და ინგლისურენოვანი ნაშრომები. 1922 მიანიჭეს ღირსების ლეგიონის მეთაურის წოდება.

ლიტ.: France ArchIVes. https://francearchIVes. fr/fIndIngaId/656cfc5caee7c77e6d4961599df3e78f949087df (ინახ. 30. 11. 2017). გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №277, №279; გაზ „ერთობა“, 1921, №8, №24.

ირაკლი ირემაძე

შევარდენი - ტანვარჯიშის მოყვარულთა საზოგადოება 1918-1922 წწ-ში მიზნად ისახავდა „ტანვარჯიშობის ფართო გავრცელებით გაეძლიერებინა საქართველოს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე. აღეზარდა საქართველოს ღირსეული შვილები; განევითარებინა მათში ვაჟკაცობა, მედგრობა, გამბედაობა, სიმარდე და ტანის სისხარტე; აგრეთვე ჩაენერგა შეგნება წესმორჩილებისა, მოვალეობისა, ძმობა-ერთობა-თავისუფლებისა და გრძნობა სიმშვენიერისა“. დაარსდა 1918 წ-ის 25 აგვისტოს, ძირითადად ორი სპორტული ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად. 1917-1918 წწ-ში საქართველოში არსებობდა ქართველ მხედართა კავშირის „ტან-სავარჯიშო“ საზოგადოება „ამირანი“ და რუსული საზოგადოება „სოკოლის“ თბილისის ფილიალი. ამ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, მათ ბაზაზე დაარსებულიყო საზოგადოება „შევარდენი“. საქართველოს სამხედრო სამინისტრომ „შევარდენს“ გადასცა ორგანიზაცია „ამირანის“ ქონება. „შევარდენის“ დამფუძნებელმა კრებამ, რომელსაც 37 წევრი ესწრებოდა, აირჩია საბჭო - გაიოზ ბერელაშვილის, გიორგი ნიკოლაძის, ირაკლი ლორთქიფანიძის, გიორგი ეგნატაშვილის და თამარ ნიკოლაძის შემადგენლობით.

საზოგადოება „შევარდენმა“ რამდენიმე მიმართულებით გაშალა თავისი საქმიანობა - პრაქტიკული მეცადინეობის პარალელურად ორგანიზაციის წევრები გამოსცემდნენ წიგნებს, ჟურნალებს (გამოიცა ჟურ. „შევარდენის“ რამდენიმე ნომერი), მუშაობდნენ სპორტული ტერმინოლოგიის შექმნა-დახვეწაზე, მეცადინეობას უტარებდნენ საზოგადოების მწვრთნელებს (ვარჯიშთავებს). 1920 თბილისში დაარსდა „ტანვარჯიშობის სამასწავლებლო ინსტიტუტი“. „შევარდენი“ მხოლოდ ტანვარჯიშის განვითარებისთვის არ ზრუნავდა. საზოგადოების შიგნით მოქმედებდა ფარიკაობის, ველოსპორტის, ძალოსნობის, ჩოგბურთის, ფეხბურთის სექციები. „შევარდენის“ წარმომადგენლობები შექმნილი იყო ყველა დიდ ქალაქში, ასევე არსებობდა სტუდენ-შევარდენთა, მუშა-შევარდენთა წრეები. მთლიანობაში საზოგადოება 10 ათასამდე წევრს აერთიანებდა. შემუშავებული იყო წევრებისთვის სპეციალური სამოსი (დახატა მხატვარმა ვალერიან სიდამონ-ერისთავმა), რომლის ტარებისას აუცილებელი იყო სამკერდე ნიშნის ქონაც.

საზოგადოება „შევარდენის“ მიერ ტარდებოდა როგორც ადგილობრივი შეჯიბრებები, ასევე რესპუბლიკური მასშტაბის სპორტული ღონისძიებები. 1920 წ-ის 16-17 აპრილს ჩატარდა „შევარდენის“ შეჯიბრება „დაბალ, საშუალო და მაღალ თანრიგებში“. მას დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის იყვნენ განათლების მინისტრის მოადგილე ნოე ცინცაძე, ქალაქის მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი, დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის თავმჯდომარე ლ. ნათაძე, ასევე დამფუძნებელი კრების წევრები დ. შარაძე, გ. ქიქოძე, ნ. კალანდაძე და სხვა. განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო „შევარდენის“ გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი - 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში 1919, 1920 და 1921 წწ-ში. ეს მასობრივი სანახაობა ჩატარდა „ვაკის სარბიელზე“ ანუ ვაკის სტადიონზე. 1919 წ-ის 26 მაისის გამოსვლაში მონაწილეობდა 281 მოვარჯიშე; 1920 წ-ის ვარჯიში ყველაზე მასშტაბური იყო. მასში მონაწილეობდა „შევარდენის“ 507 წევრი და 2814 მოხალისე. ერთ-ერთ საჩვენებელ ნომერში ერთდროულად სტადიონზე გამოვიდა 1717 მონაწილე. 1921, მიუხედავად გასაბჭოებისა, საზოგადოება „შევარდენმა“ აღნიშნა 26 მაისის დღესასწაული და ვარჯიში მონაწილეობა მიიღო 916 წევრმა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ „შევარდენის“ საქმიანობა თანდათან შეიზღუდა. ორგანიზაცია ანტისახელმწიფოებრივ გაერთიანებად მონათლეს და 1922 წ-ის 3 ნოემბრის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გააუქმეს.

ჯაბა სამუშია

შევარდნაძე დიმიტრი (01.XII.1885, ბახვი - XII. 1937) - ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, რესტავრატორი, საქართველოში სამუზეუმო საქმის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე. 1910-30-იანი წწ-ის ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. დაიბადა მასწავლებლის ოჯახში. 1906 დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1906-1914 წწ-ში სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში, პროფესორ ოტო ზეიცის კლასში. 1916 საქართველოში დაბრუნებისთანავე დააარსა მხატვართა პირველი პროფესიული ორგანიზაცია „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების შესწავლასა და მოვლა-პატრონობას. აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში. 1916 ორგანიზებას უკეთებდა ქართველ მხატვართა ექსპედიციებს და თავადაც მონაწილეობდა ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიისა და დავით-გარეჯის მონასტრების ფრესკების შესწავლასა და რესტავრაციაში. 917 ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად აწყობს სამეცნიერო ექსპედიციას სამხრეთ საქართველოში, თორთუმ-ისპირის ხეობის ისტორიული ძეგლების შესასწავლად და ფრესკების პირების გადმოსაღებად. მისი ორგანიზებით გაიმართა გამოფენები „საეკლესიო კედლის მხატვრობა“ და „ქართველ მხატვართა გამოფენა” (1917-1919). დიდი დამსახურება მიუძღვის ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების შესწავლაში, მისი ნამუშევრების შეგროვებასა და სამუზეუმო კოლექციის კუთვნილებად ქცევაში. 1917 ილია და კირილე ზდანევიჩების ხელშეწყობით საკუთარ ბინაში მოაწყო ფიროსმანის გამოფენა. 1918 ივ. ჯავახიშვილის დაკვეთით ასრულებს ახლად გახსნილი ქართული უნივერსიტეტისთვის ბეჭდისა და გერბის ესკიზებს. მასვე ეკუთვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საფოსტო მარკებისა და ფულის ნიშნების ესკიზები. აწყობს ქართველ და საქართველოში მოღვაწე მხატვართა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებს, რომლის საფუძველზეც, იმავე წელს საფრანგეთში სასწავლებლად აგზავნის მხატვარ-სტიპენდიანტთა პირველ ნაკადს (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, შ. ქიქოძე). 1920-იან წწ-ში იყო თბილისის რევკომის წარმომადგენელი თბილისის მუზეუმების დაცვის საქმეში. კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. 1920 აარსებს საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეას და ხდება მისი პირველი დირექტორი. მისივე ძალისხმევით შეგროვებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების საფუძველზე ხსნის ქართული, დასავლეთევროპული და აღმოსავლური ხელოვნების განყოფილებებს.

1922 მისი ძალისხმევისა და მონაწილეობის შედეგად იხსნება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 1925 როგორც საქართველოს განსახკომთან შექმნილი ქართული სასტამბო შრიფტის გარდაქმნის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრმა, ქართული შრიფტის გრაფიკული მოხაზულობის ახალი ვარიანტი შექმნა. 1933 მისი თაოსნობით ეროვნული გალერეა გადავიდა მეტეხის ციხეში და იქცა პირველ ქართულ მუზეუმად, რომლის ბაზაზეც შემდგომში დაფუძნდა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. როგორც მხატვარი, მოღვაწეობდა თეატრსა და კინოშიც. გაფორმებული აქვს არაერთი სპექტაკლი („აბესალომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „თამარ ცბიერი“, „მზეთამზე“) და კინოფილმი („ქრისტინე“, „ვინ არის დამნაშავე?“, „ელისო“, „ჯანყი გურიაში“). 1937 მიიწვიეს ალ. პუშკინის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მხატვრული ფილმის „მოგზაურობა ერზრუმში“ მხატვარ-კონსულტანტად. მასვე დაევალა ამ დღეებთან დაკავშირებით თბილისის მხატვრული გაფორმება. ავტორია არაერთი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრისა. გატაცებული იყო ფოტოგრაფიითაც. 1936 გაათავისუფლეს „მეტეხის“ მუზეუმის დირექტორობიდან, ხოლო შემდეგ პრესაში დაიწყო კამპანია მის წინააღმდეგ. ლავრენტი ბერიას გადაწვეტილებით, 1937 შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად თბილისში უნდა დანგრეულიყო მეტეხის ციხე და XII საუკუნის ტაძარი, მის ადგილას კი შოთა რუსთაველის ძეგლი უნდა დაედგათ. დ. შევარდნაძემ, გ. ჩუბინაშვილთან, მ. ჯავახიშვილთან და ალ. ახმეტელთან ერთად, ბერიას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ძეგლი გადარჩა, მაგრამ 1937 წ-ის 10 ივნისს დააპატიმრეს როგორც „ხალხის მტერი“ და დახვრიტეს.

შევარდნაძე დიმიტრი

ლიტ.: ი. აბესაძე, ქ. ბაგრატიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, თბ., 1998; ი. ლორთქიფანიძე, ხელოვანი და მოქალაქე, „მნათობი“, 1985, №12; მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი, ქართული მოდერნიზმი, 1910-1930, თბ., 2005; ნ. ჭოღოშვილი, გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX ს-ის დასაწყისიდან XX ს-ის 40-იან წწ-მდე, თბ., 2006.

მაია ციციშვილი

შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე (1884, ქ. თბილისი - ?) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა თბილისში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეთა ოჯახში. დაწყებითი განათლება სახლში და თბილისის

სამოქალაქო სკოლაში მიიღო. ადრეული ასაკიდან შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, იყო მენშევიკური ფრაქციის წევრი, თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. მუშაობდა თბილისის ტრამვაიში. იყო ტრამვაის ლოკალური პროფკავშირული გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1919 წ-ის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. შედიოდა შრომის კომისიაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. სხვა ბიოგრაფიული ცნობები არ მოიძებნა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 201, სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108.

ირაკლი ირემაძე

არტილერია

შეიარაღებული ძალების არტილერია – პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს რუსული არმიისაგან მემკვიდრეობით ძირითადათ ერგოთ: 1900 და 1902 წწ-ის ნიმუშის 3-დიუმიანი (76,2მმ) საველე ქვემეხები, 1904 და 1909 წწ-ის ნიმუშის 3-დიუმიანი (76,2 მმ) სამთო ქვემეხები, 1904, 1905 და 1909 წწ-ის ნიმუშის 48-ხაზიანი (122 მმ) ჰაუბიცები, 45-ხაზიანი (114 მმ) ბრიტანული ჰაუბიცები. აღნიშნული საარტილერიო საშუალებების კალიბრი 76,2 მმ-დან 122 მმ-მდე მერყეობდა, საველე ქვემეხების სროლის მანძილი კი 7,5-8,5 კმ-ს აღწევდა, სამთო ქვემეხების კი 4,1-8,4 კმ-ს. დამოუკიდებლობის პერიოდში შეიარაღებული ძალები განიცდიდა საარტილერიო დანადგარებისა და ჭურვების დიდ ნაკლებობას. კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ოლივერ უორდროპი თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1920 წ-ის 7 იანვარს წერდა, რომ სანდო თანამდებობის პირისგან გაიგო, რომ ქართველებს ბოლშევიკებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად 60 000-იანი არმიისთვის, რომელიც სამომავლოდ 100 000 კაცამდე შეიძლება გაზრდილიყო, სჭირდებოდათ 44 საარტილერიო დანადგარი, თითო სამთო არტილერიის დანადგარზე 2000 ჭურვი, ხოლო დანარჩენზე 1000, რაც მთლიანობაში გამოდიოდა 56 000 ჭურვი. 1920 წ-ის დეკემბერში საქართველოს გენერალურმა შტაბმა შეადგინა დეტალური ჩამონათვალი იმისა, თუ რა სჭირდებოდა ქართულ შეიარაღებულ ძალებს ჯარის პირველი ნაწილის საჭიროების შესავსებად და 75 000 კაცის მობილიზაციის მოსახდენად. ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მობილიზაციის ჩასატარებლად სჭირდებოდა 126 სხვადასხვა დანიშნულებისა და კალიბრის ქვემეხი 342 500 ჭურვით.

ლიტ.: დ. სილაქაძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება, თბ., 2017.

დიმიტრი სილაქაძე

შეიარაღებული ძალების ინდივიდუალური საბრძოლო საშუალებები – ქართული არმიის ქვეითი ნაწილების ინდივიდუალური შეიარაღება იყო 1891 წ-ის ნიმუშის მოსინის სამხაზიანი შაშხანა კალიბრი – 7,62 მმ. რომელიც იმხანად ერთ-ერთ საუკეთესო იარაღად ითვლებოდა.

ქვეითი ნაწილების შეიარაღება

ქართული არმიის ინდივიდუალურ სასროლ საშუალებებში მცირე რაოდენობით იყო სხვადასხვა ქვეყნის წარმოებისა და კალიბრის შაშხანები და კარაბინები: ფრანგული ლებელის სხვადასხვა მოდიფიკაცია, ფრანგული გრასი, რუსული ბერდანა, შვეიცარიული ვეტერლი, იაპონური არისაკი, ამერიკული 3-ხაზიანი ვინჩესტერები, გერმანული მაუზერი, ოსმალური არმიისათვის პირველ მსოფლიო ომის დროს წართმეული მანლიხერის, კრა-იურგენსონის და პიბოდი-მარტინის შაშხანის სხვადასხვა მოდიფიკაცია. ოფიცერთათვის განკუთვნილი იყო რევოლვერი ნაგანი 1895 წ-ის – 7,62 მმ, ასევე ბელგიური რევოლვერი ბულდოგი, პისტოლეტები: „პარაბელუმი" 1908 წ-ის, „კოლტი" 1911 წ-ის და 7,6 მმ-იანი მაუზერი მოდელი 96. რაც შეეხება ტყვიამფრქვევებს, ქართული არმია ძირითადად შეიარაღებული იყო რუსული მაქსიმის ტიპის დაზგის 1910 წ-ის ნიმუშის და პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ბრიტანული ლუისის ტიპის ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევებით. ასევე შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ მცირე რაოდენობის, ვიკერსის, ჰოჩკისის, კოლტის ტყვიამფრქვევები. საქართველოს შეიარაღებული ძალებს დამოუკიდებლობის პერიოდში არ გააჩნდა შაშხანების, ტყვიამფრქვევების და ვაზნების ის რაოდენობა, რაც საჭირო იყო შეიარაღებული ძალების მობილიზებისათვის. 1920 წ-ის დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის მიერ შედგენილი დეტალური ანგარიშიდან ირკვევა, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს ჯარის პირველი ნაწილის საჭიროების შესავსებად და 75 000 კაცის მობილიზაციისთვის სჭირდებოდა: 60-75 000 შაშხანა, 470 ტყვიამფრქვევი, 100-150 მილიონი შაშხანის ვაზნა, 25 მილიონი ტყვიამფრქვევის ვაზნა. ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარს საზრუნავს 1918-1921 წწ-ში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის დასავლეთის ქვეყნებში იარაღის მოპოვებას წარმოადგენდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მცირე პარტიის შემოტანა მოხერხდა 1920 წ-ის ზაფხულში, შემოდგომასა და 1921 წ-ის მარტის დასაწყისში, როდესაც ქვეყანა თავისი დამოუკიდებლობის ბოლო დღეებს ითვლიდა.

ლიტ.: დ. სილაქაძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება, თბ., 2017.

დიმიტრი სილაქაძე

შეარაღებული ძალების მთავარსარდალი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, მშვიდობიანობის პერიოდში არ არსებობდა მთავარსარდლის თანამდებობა. ომის ან საომარი საფრთხის შემთხვევაში, მთავრობის საგანგებო დეკრეტით, ინიშნებოდა მთავარსარდალი. ომის დროს ოპერატიულ საქმეებში მთავარსარდალი სრული თავისუფლებით სარგებლობდა. 1919 წ-ის 29 ივლისს მიღებული შეიარაღებულ ძალთა მმართველობის მოწყობის ახალი კანონის თანახმად, ომიანობის პერიოდში მთავარსარდალთან მთავრობის თავმჯდომარე, თუ ამის საჭიროებას დაინახავდა, ნიშნავდა სამხედრო-საველე საბჭოს, რომელიც განაგებდა ადგილობრივ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ საომარი ოპერაციების წარმოებაში მთავარსარდალი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. სხვადასხვა პერიოდში საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეირაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნული იყვნენ გენერლები: ალექსანდრე გედევანიშვილი (1918-1919 წწ.); ილია ოდიშელიძე (1920-1921 წწ.); გიორგი კვინიტაძე (1920-1921 წწ.).

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990; ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, 1 აგვისტო 1919, №162.

დიმიტრი სილაქაძე

შეიმანი აარონ

შეიმანი არონ ლვოვის ძე (5.I.1886, სუვალკი, პოლონეთი - 22.V.1944, ლონდონი) - საბჭოთა რუსეთის ფინანსისტი და დიპლომატი. დაიბადა ვაჭრის ოჯახში, მეცამეტე შვილი იყო. 1903 დაასრულა კომერციული სასწავლებელი. 1903 წ-დან შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. მიემხრო პარტიის ბოლშევიკურ ფრთას, პარტიულ მუშაობას ეწეოდა ვორონეჟში, კიევსა და ლუგანსკში. 1908 მსახურობდა არმიაში. 1909 წ-დან მუშაობდა საქმისმწარმოებლად და კლერკად. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო ჰელსინკის საბჭოს თავმჯდომარე.

1917 წ-ის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მუშაობდა სამთავრობო უწყებებში. 1917 აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელ კრებაში. 1918 იყო რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე. იმავე წელს დაინიშნა რუსეთის ფინანსურ ატაშედ სკანდინავიაში. 1919 მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკის შექმნაში. 1919 იყო სურსათის სახალხო კომისიის და საგარეო ვაჭრობის სახალხო საბჭოს წევრი, 1920 სურსათის სახალხო კომისრის მოადგილე. 1920 წ-ის 12 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად. ამ თანამდებობაზე ს. კიროვი შეცვალა. თანამდებობის აღსრულებას 19 ოქტომბრიდან შეუდგა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრის და სამხედრო მინისტრის მოადგილეებს, ნ. ქარცივაძესა და გენერალ ოდიშელიძეს. 23 ოქტომბერს რწმუნებათა სიგელი გადასცა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას. 1920 წ-ის დეკემბერში მწვავე ნოტები გაცვალეს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა და საქართველოს საგარეო

საქმეთა სამინისტრომ საქართველოში ბოლშევიკთა მოქმედებების გამო. 1921 საქართველოდან ბაქოში გაემგზავრა. შეინმანი და ზოგადად საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა საქართველოში აგროვებდა საიდუმლო დაზვერვით ინფორმაციებს და აწვდიდა ბაქოში განთავსებულ კავბიუროსა და წითელი არმიის შტაბს. 1921 წ-ის იანვრის ბოლოს მოკავშირეთა მიერ საქართველოს დე იურე აღიარება ოფიციალურად მიულოცა საქართველოს მთავრობას. 1921 წ-ის თებერვალში უარყოფდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან მომავალ რაიმე საფრთხესაც კი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაუბრუნდა ადმინისტრაციულ საქმიანობას რუსეთში. 1921 წ-ის ოქტომბრიდან მუშაობდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკში, იყო ბანკის საბჭოს თავმჯდომარე. 1923-1924 და 1926-1928 წწ-ში იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის საბჭოს თავმჯდომარე, 1925 საერთაშორისო ვაჭრობის სახალხო კომისარი. 1929 საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიმდინარე ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, ჩამოშორდა სახელმწიფო საქმიანობას. 1929 დატოვა საბჭოთა კავშირი. შემდგომში ეკონომიკური მიმართულებით მუშაობდა საბჭოთა წარმომადგენლობებში ბერლინსა და ლონდონში. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საცხოვრებლად დარჩა ბრიტანეთში. მისმა ოჯახმა მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა და დასახლდა ავსტრალიაში. გარდაიცვალა ტვინის სიმსივნით.

ლიტ.: Шейнман Арон Львович, http://www. pseudology. org/Bank/SheInman_AL. htm (ინახა 30. 11. 2016); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920. №239, №241, №292; გაზ. „სახალხო საქმე“, 1921, №1035.

ირაკლი ირემაძე

შენგელია ლეო

შენგელაია ლეო ანდრიას ძე (1887, სოფ. ობუჯი, ზუგდიდის მაზრა - ?) - სოციალისტ-რევოლუციონერი. 1917 შედგენილი მისი მცირე ბიოგრაფიული ცნობარის მიხედვით, „ექსტერნად გაათავა“ გიმნაზია და „შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე“(?). 1908 წ-დან იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. რევოლუციური საქმიანობისათვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და სასჯელს იხდიდა რუსეთის ციხეებში.

1918 წ-ის 29 მაისს შევიდა ეროვნული საბჭოს გაფართოებულ შემადგენლობაში. 1918 წ-ის მაისში ესერთა პარტიის კავკასიის ორგანიზაციების VII ყრილობაზე მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც ქართველი ესერები ორგანიზაციულად გამოეყვნენ რუსეთის პარტიას. ივნისის ბოლოს შედგა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ლ. შენგელაია. იყო აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პარტიული გაზეთის „შრომის“ რედაქტორი. 1918 წ-ის 10-15 დეკემბერს პარტიის მეორე ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით პროგრამის შესახებ, რომელშიც, მისი აზრით, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პირობები. 1919 წ-ის თებერვალში აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად და ხელმძღვანელობდა ესერთა ფრაქციას, როგორც მისი ლიდერი. აღსანიშნავია, რომ ფრაქციის ლიდერი და ესერები მკაცრად აკრიტიკებდნენ საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროექტს და მიიჩნევდნენ მას ბურჟუაზიულ კონსტიტუციად, რომელიც, მათი აზრით, უნდა ყოფილიყო სოციალისტური ხასიათის. საერთოდ, ლ. შენგელაია და ესერები გამოირჩეოდნენ მთავრობის კრიტიკით მემარცხენე პოზიციებიდან. როგორც მის ბიოგრაფიაშია აღნიშნული, დაუარსებია ე. წ. „თავისუფალი გიმნაზია“ და იყო მისი გამგე.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107; დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, თბ.,1993; რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

შერვაშიძე ვარლამ ალექსანდრეს ძე (მეტსახელი: ძიკი) (1888, სოფ. ბედია - 13.IV.1957) - სწავლობდა სოხუმის სასწავლებელში, შემდეგ კი უმაღლესი განათლება მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში. რამდენჯერმე დააკავეს, რადგან მარქსისტული ორგანიზაციის წევრი იყო. 1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახდა, 1919 წ-ის თებერვალში საქართელოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და ბათუმში დარჩა ექიმად სამუშაოდ. მომდევნო წლებში რამდენჯერმე დააკავეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით. 1951 ეკავა აფხაზეთის ასსრ სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001.

მანუჩარ გუნცაძე

„შვიდი მნათობი“ (1919) - ყოველთვიური ჟურნალი. ძირითადი მიმართულებებით: სიტყვაკაზმული მწერლობა, მხატვრობა, მეცნიერება, პოლიტიკა, კოოპერაცია. გამოიცემოდა თბილისში, ამიერკავკასიის კოოპერატიული კავშირის მიერ. მას „კაკაბაძეების ჟურნალსაც“ უწოდებდნენ, ვინაიდან გამოცემის მოთავეები, ასევე წამყვანი ავტორები იყვნენ: მხატვარი დ. კაკაბაძე, ისტორიკოსი ს. კაკაბაძე და მწერალი პ.

კაკაბაძე. ჟურნალს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია. თანამშრომლობენ: გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ი. ბერიტაშვილი, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, მ. ტოროშელიძე და სხვ. გამოცემას მხატვრულად აფორმებდა დ. კაკაბაძე. ჟურნალის გვერდებზე გამოსახული სიმბოლიკა - შვიდი ვარსკვლავი (მნათობი) აღებულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბიდან, რაც ჟურნალის კონცეპტუალურ მიზანდასახულებაზე - საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით შთაგონებაზე მიანიშებს და აზრობრივად უკავშირდება ჟურნალის სახელწოდებას. ჟურნალის პირველი ნომერი 315-გვერდიანია. მასში დაბეჭდილია სარედაქციო კოლეგიის განცხადება „წინასიტყვაობის მაგიერ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქვეყნისთვის მეტად საჭიროა „ვრცელი და ფართო შინაარსიანი პერიოდული ორგანო“. რედაქცია იმედოვნებს, რომ, მიუხედავად გარკვეული ნაკლისა, „საზოგადოების ყურადღება და თანამშრომელთა საქმისადმი სიყვარული თანდათანობით დააყენებს ჟურნალს სათანადო სიმაღლეზე“. ჟურნალის ლიტერატურულ ნაწილში გამოქვეყნებულია ი. გრიშაშვილის, ლ. ქიაჩელის, პ. კაკაბაძე, ნ. ლორთქიფანიძის, ს. შანშიაშვილის ნაწარემოებები, ასევე, დ. კაკაბაძის წერილები: „ჩვენი გზა“, „სურათის პრინციპი“, „ბექა ოპიზარი“, „ძველი ტფილისი“, „საქართველოს ღერბი“, „ქართული დრამატული სტუდია“, რომელთაც დართულია აქვს მხატვრის ნამუშევრების შავ-თეთრი რეპროდუქციები, მაგ., „ნახაზობა“, „ძველი თბილისი“, ლ. გუდიაშვილის „შოთა რუსთაველი“, აგრეთვე „ტბეთის სახარების წინა ყდისა“, „წყაროსთავის სახარების ყდის“ ფოტოები. სამეცნიერო თემატიკიდან დაბეჭდილია მ. ტოროშელიძის „სუბიექტივიზმი და ობიექტივიზმი“, გ. კოკოჩაშვილის მიერ თარგმნილი ა. ნემილოვის „ნევროლოგიის სადავო საკითხები“, ასევე რ. არსენიძის „პოლიტიკური მიმოხილვა“, შ. გოგებაშვილის „კოოპერატიული მოძრაობის ისტორიიდან“ და ბიბლიოგრაფია. „შვიდი მნათობის“ მეორე ნომერი 470-გვერდიანია. მასში იბეჭდება: გრ. რობაქიძის, პ. იაშვილის, ს. შანშიაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, პ. კაკაბაძის ნაწარმოებები, ასევე თარგმნილი მასალა. „სამხატვრო წერილებს“ კვლავ დ. კაკაბაძე უძღვება. გამოქვეყნებულია წერილები ხელოვნებაზე: „თანამედროვე მხატვრული გზები“, „ფორმა“, „ლეონარდო–და–ვინჩი“, „ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა“, რომელშიც მიმოხილულია: ფიროსმანის, მ. თოიძის, ალ. მრევლიშვილის, ი. ნიკოლაძის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანისა და სხვათა შემოქმედების თავისებურებანი. აქვე იბეჭდება ს. კაკაბაძის ისტორიული მონოგრაფია „საქართველო ერეკლე II-ის დროს“, ა. სვანიძის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ისტორიული მხარე“; ვ. ბაბეს „რაჭა“ (გამოკვლევანი), თარგმ. გ. კოკოჩაშვილისა); ნ. როჟკოვი „მეოცე საუკუნის დასაწყისი, თარგ. ხელთნაწერიდან“; ი. ბერიტაშვილის სტატია „უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპები და ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ჟურნალი ვრცლად აშუქებს კოოპერატიული მოძრაობის ამსახველ მასალას. კერძოდ, გამოქვეყნებულია შ. გოგებაშვილის „კოოპერატიული მოძრაობის ისტორიიდან“ და საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობის ოქმი.

ლიტ.: ჟურ. „მშვიდი მნათობი“, 1919 №1-2; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; *ს.* სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.

მარი წერეთელი

შვილდოსანი (1920) – ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი. 24-გვერდიანი გამოცემის სამი ნომერი ორ წიგნად გამოიცა ქუთაისში. რედაქტორი იყო ს. ცირეკიძე. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: შ. ამირეჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვენეტაძე, ლ. გუდიაშვილი, ნ. ევრეინოვი, პ. იაშვილი, შ. კარმელი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი, კ. ნადირაძე, გრ. რობაქიძე, ს. სუდეიკინი, გრ. ცირეკიძე, ტ. ტაბიძე, დ. ჩიანელი, გრ. ცეცხლაძე, ს. ცირეკიძე, ლ. ჯაფარიძე და სხვ. ჟურნალი „ცისფერყანწელთა“ ესთეტიკურ პრინციპებს გამოხატავდა. გარდა ქართულისა, მკითხველს აწვდიდა ევროპული და რუსული სიმბოლიზმის ნიმუშებს. დეკადენტურ განწყობილებას გამოხატავს ჟურნალში დაბეჭდილი: გრ. რობაქიძის ლექსი „ამორძალი ლონდა“, ვ. გაფრინდაშვილის „საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან“, პოლ ვერლენის „L' Art Poétique“, კ. ნადირაძის ლექსები: „მთვარის წყალობა“, „ოცნება საქართველოზე“, „დისონანსები“, შ. კარმელის ლექსი „მასკები კარნავალში“ (ვალერიან გაფრინდაშვილს“), „გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის“, „არტემიდა“, რ. გვეტაძის „დატეხილი“, ნ. მიწიშვილის „დეკემბრის აგონია“ და სხვ. პოეტური ნიმუშები. ასევე, „შვიდი მნათობი“ ბეჭდავს ნ. ლორთქიფანიძის, ს. ცირეკიძის, დია ჩიანელის პროზაულ ნაწარმოებებს. ჟურნალში იბეჭდება ტ. ტაბიძის მანიფესტი „დაისრული სებასტიანე“, რომელშიც საუბარია სიმბოლიზმზე, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ როლზე ქართულ პოეზიაში, განხილულია მასში დაბეჭდილი მასალა. ავტორი მსჯელობს გრ. რობაქიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის დამსახურებაზე ქართული პოეზიის წინაშე. პოეზიას ადარებს წმ. სებასტიანეს, რომელიც ისრებით უნდა დაიცხრილოს. მნიშვნელოვანი პუბლიკაცებია: კ. ნადირაძის „ქართული პოეზია“, რომელშიც დახასიათებულია ალმანახი „შვიდი მნათობი“. საუბარია მისი მიმართულებისა და ავტორების შესახებ. ვ. გაფრინდაშვილის ესე „რითმა და ანონსი“ , ს. ცირეკიძის „ორსახიანი იანუსი“, რომელშიც დახასიათებულია ორი ანტითეზა - პოეზია და პროზა .

ლიტ.: ჟურ. „შვილდოსანი“, 1920, №1-2-3; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; ს. სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2002.

მარი წერეთელი

შინაგან საქმეთა სამინისტრო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაზე დიდი უწყება იყო. 1918 წ-ის 26 მაისიდან საბჭოთა ოკუპაციამდე სამინისტროს უცვლელად ხელმძღვანელობდა ნოე რამიშვილი, სხვადასხვა დროს მისი მოადგილეები იყვნენ გერასიმე მახარაძე, კონსტანტინე საბახტარაშვილი და პარმენ ჭიჭინაძე. შინაგან საქმეთა სამინისტრო შედგებოდა 10 განყოფილებისგან: 1. ადმინისტრაციული; 2. საერთო; 3. საერობო; 4). სამეურნეო; 5. საანგარიშო; 6. საპენსიო; 7. სამზრუნველო; 8. საექიმო-სასანიტარო (1920, დეპარტამენტად გარდაიქმნა); 9. ლტოლვილთა; 10. განსაკუთრებული რაზმი. თითოეულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა გამგე, განსაკუთრებულ რაზმს კი მეთაური. სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მილიცია და საგანგებო რაზმი ზრუნავდა ქვეყნის ფარგლებში წესრიგის დამყარებაზე. სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო რაზმი, მილიცია და მისი მფრინავი ცხენოსანთა რაზმი მონაწილეობდა მანგლისის აჯანყების ლიკვიდაციაში და სხვა სამხედრო ოპერაციებში, რომელიც ძირითადად ბოლშევიკების მიერ იყო ინსპირირებული. სამინისტრო ცდილობდა, მოეგვარებინა პირველი მსოფლიოს ომის შემდეგ წარმოშობილი ლტოლვილთა უკონტროლო მასის განთავსების პრობლემა. სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ადგილობრივ ერობათა გამართულ საქმიანობისათვის ხელშეწყობა იყო. შინაგან საქმეთა მინისტრი ნიშნავდა და ათავისუფლებდა მაზრების კომისრებს, სამინისტროს ფარგლებში არსებობდა ცენტრალური საერობო ორგანო. ადგილობრივ დონეზე ფინანსური სიმწირის გამო, რეალურად სამინისტრო რჩებოდა ერობათა მთავარი დამხმარე. სამინისტროს ფუნქციებში შედიოდა, ფაქტობრივად, არარსებული საპენსიო-სამზრუნველო საქმის გამართვა და საექიმო საქმის გაშლა მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამინისტროს ყველაზე ქმედითი ორგანო ქვეყნის შიგნით სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში საგანგებო რაზმი იყო, რომელსაც მექი კედია ხელმძღვანელობდა. რაზმის მუშაობის მთავარ მიმართულებად ბოლშევიკური ნაწილების აღმოჩენა და განეიტრალება იყო, დამოუკიდებლობის პერიოდში საგანგებო რაზმმა ათასზე მეტი ბოლშევიკი დააპატიმრა, აღმოაჩინა არალეგალური ორგანიზაციები და აღკვეთა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები. სამინისტრო თავისი სამაზრო მილიციის განყოფილებების საშუალებით მუდმივად იღებდა მონაცემებს კრიმინალური სიტუაციისა და მასთან ბრძოლის შესახებ. საერობო განყოფილებისა და მაზრის კომისრების საშუალებით სამინისტროს, სხვა უწყებებთან შედარებით, ყველაზე მარტივად შეეძლო მიღებული კანონების ადგილობრივ დონეზე სწრაფი და ეფექტური გატარება. სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა მოქალაქეთა აღრიცხვა, მათთვის პირადი დოკუმენტების გაცემა და სხვა ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობის წარმოება. სამინისტროს ქვეყნის შიგნით სიმშვიდის შესანარჩუნებლად და ცრუ ინფორმაციის მასობრივად გავრცელებისგან დასაცავად რამდენიმეჯერ მოუწია სხვადასხვა პრესის ორგანოს დახურვა ან დროებით შეჩერება, თუმცა ეს პროცესი რამდენიმე კვირაზე მეტხანს არასდროს გაგრძელებულა.

ლიტ.: ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21 წწ.), თბ., მემატიანე, 2001; ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბ., 2018; სცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 642, 643,1472, 1494, 1056.

ირაკლი ირემაძე

შმერლინგი ოსკარ

შმერლინგი ოსკარ ივანეს ძე (13.VII.1863, თბილისი - 2.I.1938, თბილისი) - გერმანული წარმოშობის ქართველი გრაფიკოსი და ფერმწერი. დაიბადა სამხედრო მოხელის ოჯახში. სწავლა დაიწყო თბილისის რეალურ სასწავლებელში. იმ დროს დააარსა ჟურ. „კოღო“. პარალელურად თანამშრომლობდა რუსულ ჟურ. „ფალანგაში“. 1884 გაემგზავრა პეტერბურგში და სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა პროფესორ ვილევალდეს კლასში. იქ მყოფი დაუახლოვდა რუსეთში მოღვაწე ქართველ მხატვრებს - გიგო გაბაშვილსა და რომანოზ გველესიანს. კარიკატურებს აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში : „ნოე“, „ზადუშევნოე სლავო“ და გერმანულ ჟურ. „პაპიფატი“. პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დაასრულა ვერცხლის მედლით. სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა მიუნხენში და 1891 წ-დან ბატალისტ რუბოს ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა. 1893 დაბრუნდა თბილისში. 1896 იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მრავალი ნახატით გააფორმა. მუშაობდა ტუშითა და კალმით. 1898 თბილისში ხსნის სამხატვრო სკოლას. 1901 წ-დან მუშაობდა გაზ. „ცნობის ფურცელში“ სურათებიანი დამატების მხატვრად, პარალელურად ჟურ. „ეშმაკის მათრახში“, „ტარტაროზში“, „ბზიკში“, სომხურ ჟურ. „ხათაბალაში“, თურქულ ჟურ. „მოლა ნასრედინში“ და სხვ. 1902 კავკასიის კაზმულ ხელოვანთა საზოგადოებამ დააარსა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი, რომლის უცვლელი დირექტორი და მასწავლებელი იყო. 1904 გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, რომლის ნახატებიც 1895-1896 წწ-ში შეასრულა. მასვე ეკუთვნის „ბუნების კარის“ და არაერთი ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაცია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში კვლავ ჟურ. „ეშმაკის მათრახში“ მუშაობდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1915 აკრძალული ჟურნალი 1919-1921 წწ-ში აღდგა. პოლიტიკურად თავისუფალი გარემო ხელოვანებს თავისუფლების საშუალებას აძლევდა. ფაქტობრივად, პოლიტიკური კარიკატურა წნეხისგან გათავისუფლდა. ჟურნალში გამოქვეყნებული კარიკატურების გარდა, ყდის გაფორმებაც მასვე ეკუთვნის.

1922 ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის ბაზაზე სამხატვრო აკადემია შეიქმნა, რომლის პროფესორად მუშაობდა გარდაცვალებამდე. იყო ქართული კარიკატურული სკოლის ფუძემდებელი, ასევე არაერთი ფერწერული ტილოს ავტორი. მისი არქივი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, იოსებ გრიშაშვილის სახ. ისტორიისა და ეთნ. მუზეუმსა და ხელნაწერთა ეროვ. ცენტრში ინახება. მისი შვილი იყო მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების ხელოვნების კვლევაში.

ლიტ.: ო. შმერლინგის ნამუშევრების კატალოგი, ტექსტის ავტორი ე. შელია, თბ., 2000; მ. კარბელაშვილი, ო. შმერლინგი, ჟურ. „მწიგნობარი“, 2000; ჟურ. „ეშმაკის მათრახი“, 1919-1921 წწ.

სალომე ჭანტურიძე, მაია ციციშვილი

შოთა რუსთაველის ჯგუფ-პარტია - 1919 წ-ის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის შექმნილი პოლიტიკური ჯგუფი, რომლის საარჩევნო ნომერი იყო 10. წარდგენილი იყო ერთკაციანი პარტიული საარჩევნო სია: ევგენი დვალი (პროფესიით მწიგნობარ-მწერალი). სიას ხელს აწერდა 55 მხარდამჭერი. არჩევნებში ამ ჯგუფმა საქართველოს მასშტაბით მიიღო მხოლოდ 51 ხმა.

ბონდო კუპატაძე

შოუ თომას (თომ) (9.IV.1872, ლანკაშერი - 26.IX.1938, მიდლესექსი) - ბრიტანელი ლეიბორისტი, პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის შრომისა და სამხედრო მდივანი. მუშათა საერთაშორისო ინტერნაციონალის მდივანი. დაიბადა მუშათა ოჯახში. ათი წლის ასაკში საქსოვ ქარხანაში დაიწყო ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, მცირე ხნის შემდეგ კი სრულ განაკვეთზე გააგრძელა მუშაობა და სკოლა მიატოვა. ადრეულ ასაკში გახდა მქსოველთა ტრედ-იუნიონის კომიტეტის წევრი და მდივანი. დიდი გავლენით სარგებლობდა არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ ევროპის მუშათა წრეებში.

1918 გახდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის წევრი პრესტონიდან. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურ საქმიანობას ეწოდა მუშათა ინტერნაციონალში. 1920 წ-ს იყო ჟენევის სოციალისტური კონგრესის თავმჯდომარე. ინგლისის მუშათა დელეგაციასთან ერთად იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში, შემდგომში კი საბჭოთა რეჟიმის შესახებ არაერთი კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა. 1920 წ-ის სექტემბერში, როგორც მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაციის წევრმა, იმოგზაურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოს მოსახლეობას სიტყვით მიმართა თბილისში, ყაზბეგში, თელავში, ჭიათურასა და ტყიბულში. ყაზბეგში მოსახლეობას მიმართა: „ჩვენ ვნახეთ თქვენი ლამაზი ქვეყანა და მშვენიერი ხალხი. და უნდა გითხრათ მთელი მუშათა სახელით, რომ ჩვენ ერთი წადილი გვაქვს, რომ თქვენ არ დაკარგოთ თავისუფლება. ევროპის მუშებმა უნდა მოითხოვონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ერთა ლიგაში შესვლა“. ჭიათურაში მუშებთან შეხვედრისას შოუმ განაცხადა: „როცა ინგლისში დავბრუნდები, მუშების წინაშე უნდა დავსვა საკითხი, რომელ გზას უნდა გავყვეთ: რუსეთის ტირანიის ძალდატანების თუ თავისუფალი საქართველოს გზას. მე კი ვიტყვი - ჩვენ უნდა გავყვეთ თავისუფალი საქართველოს გზას“.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ აკრიტიკებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს, იყო კომუნისტური იდეოლოგიის მკაცრი კრიტიკოსი, თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობებს. XX ს-ის 20-30-იან წწ-ში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, არაერთხელ იქნა არჩეული პარლამენტის წევრად. 1924 შრომის მდივნის თანამდებობა ეკავა რემზეი მაკდონალდის პირველ მთავრობაში, ხოლო 1929-1931 წწ-ში მაკდონალდის მეორე მთავრობაში ომის მდივნის მოვალეობებს ასრულებდა

ლიტ.: ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ.), თბ., 1997; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209, №215, №217; გაზ. „ერთობა“, 1920, №211.

ირაკლი ირემაძე

„შრომა“ (აგვისტო, 1918 - სექტემბერი, 1922, თბილისი) - ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის (სოციალისტ-რევოლუციონერთა) პერიოდული ორგანო. 1919 წ-ის 1 სექტემბრიდან საქ. სოც. რევ. პარტიის საორშაბათო კვირეული გაზეთი. გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ: 1918, 1919 და 1920 წწ-ში №19-მდე სარედ. კოლეგია: ლეო შენგელაია, ივ. გობეჩია, ი. ნუცუბიძე; 1920 წ-ის დასახელებული ნომრიდან 1921 წ-ის თებერვლამდე რედაქტორი იყო ი. ნუცუბიძე; 1921 ისევ სარედ. კოლეგია; 1922 სარედ. კოლეგია: ლ. შენგელაია, ივ. გობეჩია, ბ. ჩიქობავა. სარედაქციო კოლეგიის წევრთა გვერდით, გაზეთის ძირითად თანამშრომელთა შორის უნდა დავასახელოთ: გ. ნათაძე, მ. ჩხეიძე, ივ. ბახტაძე, მ. ჭანიშვილი, ა. კაკაბაძე, გ. მეფარიშვილი და სხვ. პროფილიდან გამომდინარე, გაზეთი უმთავრესად პარტიის ამოცანებს



შოუ თომას

ასრულებს და მისი ინტერესის შესაბამისად აშუქებს თანადროულ მოვლენებს. გამოცემის თვალთახედვის არეში ექცევა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში, კერძოდ, რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. დიდ ადგილს უთმობს საერთაშორისო და შიდა პოლიტიკის, პრესის მიმოხილვას, პარტიებს შორის წინააღმდეგობრივ ურთიერთობების, ეკონომიკის საკითხებს. მუდმივად აშუქებს დამფუძნებელი კრების მუშაობას (ამ თემაზე წერილები ქვეყნდება რუბრიკით „დამფუძნებელი კრება“, მაგ.: 1920, №8, 1921, №1; 1921, №5 და ა.შ.). 1921 წ-ის მე-4 ნომერში ქვეყნდება საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც დამფუძნებელ კრებას სოციალისტ-რევოლუციონერებმა წარუდგინეს. გაზეთისთვის პრიორიტეტულ თემათა ნუსხაში შედის სოფლის მეურნეობისა და მიწის საკითხები. მაგ., სტატიაში „ეროვნული დემოკრატია და სოფელი“ (1918, №7, 9, 10, 13), რომელიც „სოფლელის“ ფსევდონიმით (ნიკო ავალიშვილი) ქვეყნდება, საუბარია ქართული სოფლის მდგომარეობაზე, გლეხების გასაჭირზე, მიწის საკითხზე და ა. შ. მასში მკაფიოდაა წარმოჩენილი ამ პრობლემებზე ეროვნულ-დემოკრატების თვალთახედვა. „ეროვნული დემოკრატები სოფლის ხალხს საკუთრების დაცვას პირდებიან. ამით ამაყობენ ისინი და ამაში ხედავენ თავის უპირატესობას სოციალისტების წინაშე“, - წერს ავტორი. ზოგადად, გამოცემამ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას არაერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა (მაგ.: „ეკონომიკური პოლიტიკისათვის“, 1921, №2; „ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესია“, 1921, №4 და სხვ.). გაზეთში მწირად, თუმცა დროდადრო მაინც იბეჭდება მხატვრული ნაწარმოებები: მაგ., ნინო თარიშვილის ლექსი „სექტემბრის დილა“ (1921, №5), ნიკოლოზ მიწიშვილის ლექსები (1921, №8). აქა-იქ გვხვდება განცხადებები და რეკლამები.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; გაზ. „შრომა“, 1918-1922.

მანანა შამილიშვილი

შრომის კანონმდებლობა – საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წ-ის 14 აგვისტოს „შრომის ხელშეკრულების შესახებ“ კანონი მიიღო. კანონი 91 მუხლისგან შედგება და იგი დეტალურად აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს მხოლოდ კერძო პირებს შორის. კანონის ნორმები არ ვრცელდებოდა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებებში მომსახურე პირებზე. კანონით განსაზღვრულია: კანონის მოქმედების ფარგლები, დაქირავების წესი, შრომის ხელშეკრულების ფორმები, ხელშეკრულების პირობები, კოლექტიური ხელშეკრულება, შინაგანი წესრიგი, საწარმოების მმართველი და მუშა-მოსამსახურეთა სიების წარმოება, საანგარიშო წიგნაკები, დაქირავებულისა და დამქირავებლის უფლება-მოვალეობები, სამუშაო ხელფასი, შრომის ხელშეკრულების პირობის მოსპობა და გაუქმება, შრომის ხელშეკრულების დარღვევისათვის დასჯა და დაჯარიმება. კანონის მიხედვით, ხელშეკრულება იყო წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ხელშეკრულება დადებული უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით და რაიმე სამუშაოს შესასრულებლად. ხელშეკრულებას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებს, ძალა არ ჰქონდა. კანონი ითვალისწინებდა კოლექტიური ხელშეკრულების დადებასაც. 41-ე მუხლის მიხედვით, დაქირავებული ვალდებული იყო, ჯეროვნად შეესრულებინა დაკისრებული სამუშაო, ხოლო 49-ე მუხლის თანახმად, დამქირავებელი ვალდებული იყო, დაპირებული გასამრჯელო გადაეხადა მისთვის. დამქირავებელი ვალდებული იყო, უზრუნველყო დაქირავებულისათვის ნორმალური შრომითი პირობები. კანონით განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები: მხარეთა შეთანხმება, ვადის გასვლა, დაპირებული სამუშაოს შესრულება, დაქირავებულის სიკვდილი, დაქირავებულის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში შესვლა. კანონის 72-ე მუხლის მიხედვით, დადგინდა დამქირავებლის მხრიდან შრომის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების პირობები. 75-ე მუხლით კი განისაზღვრა, თავის მხრივ, დაქირავებულის უფლება, გაეუქმებინა შრომითი ხელშეკრულება. თუ დამქირავებელი კანონით განსაზღვრული პირობების გარეშე გააუქმებდა ხელშეკრულებას, მაშინ დაქირავებულს უფლება ჰქონდა, საჩივრით მიემართა სასამართლოსათვის. კანონის 83-ე მუხლი შრომითი დავებისათვის ითვალისწინებდა მომავალში შრომის სასამართლოს დაარსებას. შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს დაარსებამდე, ყველა საქმე ჩვეულებრივ სასამართლოებს უნდა განეხილა. შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაღვევისათვის კანონმდებელი სისხლის სამართლის სასჯელებს ითვალისწინებდა.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990.

ბექა ქანთარია



შულენბურგი ფრიდრიხ

შულენბურგი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ (20. XI.1875, კემბერგი - 10.XI.1944, ბერლინი) - გერმანელი დიპლომატი და საჯარო მოხელე. გერმანიის იმპერიის ვიცე-კონსული რუსეთის იმპერიის კავკასიის გუბერნიის დედაქალაქ თბილისში, მოგვიანებით კი გერმანიის კავკასიური ექსპედიციის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დაიბადა საშუალო შეძლების არისტოკრატიულ ოჯახში, საქსონიაში. შულენბურგის საგვარეულოს წარმომადგენლები ისტორიულად სამხედრო და საჯარო მოხე-

ლეები იყვნენ. დაწყებითი განათლება მიიღო ბრაუნშვაიგში, სადაც მისი ოჯახი საქსონიიდან გადავიდა საცხოვრებლად. 1894-1900 წწ-ში მიიღო შესანიშნავი განათლება ლოზანაში, ბერლინსა და მიუნხენში იურისპუდენციის განხრით. სწავლის დასრულების შემდეგ არჩევანი სამხედრო და დიპლომატიურ სამსახურებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. 1901 წ-დან მიდის გერმანიის საგარეო განყოფილების (ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროს) საკონსულო სამსახურში. 1903-1906 წწ-ში იყო გერმანიის საკონსულო სამსახურში ბარსელონაში, ლვოვსა და ნეაპოლში, 1907 კი განაწესეს გერმანიის ვარშავის საკონსულოში, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა და ამის შემდეგ თავისი კარიერით მთლიანად დაუკავშირდა აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს. ვარშავიდან, 1911 გადაიყვანეს კავკასიის ცენტრ თბილისში გერმანიის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე. თბილისში სამწლიანი მუშაობისას მან დაამყარა ახლო კავშირი ნაციონალისტურად განწყობილ ქართულ ელიტასთან, ასევე შექმნა ჯაშუშური ქსელი კავკასიის მასშტაბით. კარგად იცნობდა არარუსი ერების ფსიქოლოგიას, განსაკუთრებით ქართველების და პოლონელების ნაციონალიზმს და მათი მისწრაფებების გერმანულ ინტერესებთან შეთანხმებას ცდილობდა.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ სამხედრო სამსახურში წავიდა საფრანგეთში, 1915 წ-ის აგვისტოდან გადაიყვანეს თურქეთის კავკასიის ფრონტზე, ერზრუმში კონსულად, მაგრამ ამ პერიოდში მისი საქმიანობის არეალი ახლო აღმოსავლეთსაც მოიცავდა. იყო უშუალო ხელმძღვანელი თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი „ქართული ლეგიონისა“, რომელიც გერმანელებმა ჩამოაყალიბეს ქრისტიანი და მუსლიმი ქართველებისგან რუსეთის წინააღმდეგ საომრად. კარგად იცნობდა გერმანიაში მოღვაწე ქართული კომიტეტის ხელმძღვანელებს და იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთ-ერთი შემოქმედი 1918 წ-ის მაისში. უშუალოდ მონაწილეობდა ქართველების, გერმანელებისა და თურქების მოლაპარაკებებში და დარჩა თბილისში გერმანიის წარმომადგენლად მას შემდეგ, რაც მიიღეს გადაწყვეტილება გერმანული სამხედრო მისიის კავკასიაში გამოგზავნის შესახებ. როდესაც ამ ექსპედიციის მეთაური გენერალი ფონ კრესი 1918 წ-ის ივნისში ჩამოვიდა კავკასიაში, სწორედ შულენბურგი იყო ის ადამიანი, ვინც მას ადგილზე დახვდა. 1919 გერმანელების კავკასიიდან გასვლის შემდეგ, მცირე ხნით დაპატიმრებული იყო მოკავშირეების მიერ და გენერალ კრესთან ერთად გარკვეული დრო გაატარა ტყვეობაში კუნძულ პრინკიპოზე. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, 1919-1922 წწ-ში, მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილებაში.

1922-1931 წწ-ში იყო გერმანიის წარმომადგენელი თეირანში, 1931-1934 წწ-ში - ბუქარესტში. 1934 შევიდა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში და დაინიშნა გერმანიის ელჩად საბჭოთა კავშირში. არასოდეს ყოფილა ნაცისტი და ჰიტლერი მას, კაიზერის დროის სხვა მოხელეების მსგავსად, უნდობლობით ეკიდებოდა, თუმცა, კვალიფიკაციიდან გამომდინარე, უარს ვერ ამბობდა მათ სამსახურზე. შულენბურგი ეწინააღმდეგებოდა გერმანიის მიერ ომის დაწყებას საბჭოთა კავშირთან. ომის დაწყების შემდეგ იყო ბოლო მაღალჩინოსანი გერმანელი საჯარო მოხელე, რომელმაც დატოვა საბჭოთა კავშირის ტერიტორია. ომის მიმდინარეობისას იყო ანტისაბჭოელ ემიგრანტებთან აქტიური ურთიერთობის მომხრე. მისი ინიციატივით 1942 ბერლინში, სასტუმრო „ადლონში“ გაიმართა ემიგრანტული წრეების კონფერენცია, სადაც ქართველებიც მონაწილეობდნენ. შულენბურგი ამ ხაზს საბოლოოდ ჩამოსცილდა ნაცისტურ პოლიტიკურ ელიტაში არსებული დაპირისპირების გამო. მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ გერმანია ომში მარცხდებოდა, ჰიტლერი კი მოლაპარაკებების დაწყებას არ აპირებდა, შეუერთდა გერმანიაში არსებულ ანტიჰიტლერულ საიდუმლო მოძრაობას. ტრაგიკული იყო მისი აღსასრული. 1944 შტაუფენბერგის მიერ ჰიტლერზე განხორციელებული წარუმატებელი ტერორისტული აქტის შემდეგ, შულენბურგი, სხვა ბევრის მსგავსად დააპატიმრეს და ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების 40 წელი გერმანიის უწყვეტ სამსახურში გაატარა, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ლიტ.: Sommer, Erich, Botschafter Graf Schulenburg, Mut-verlag, Asendorf 1989. Fleischhauer, ingeborg, Diplomatischer Wiederstand gegen „Unternehmen Barbarossa“, Ullstein, BerlIn 1991. Schmidt, Lars Peter (Hrsg.) Graf Fridrich-Werner von der Schulenburg: diplomat i učastnIk soprotivlenija (Konrad-Adenauer-Stiftung, Auslandsbüro Moskau), Moskau 2012. PolitIsches Archiv des Auswärtigen Amtes: Georgien, R7308 bIs R7317, Russisch Asien: R11040 bis R11064. Bundesarchiv Berlin-Lichterfeide, Nachiass Schulenburg: N2273, 92 bIs 122.

გიორგი ასტამაძე



ჩარექიშვილი პეტრე – ცნობილი პედაგოგი. დაასრულა ქუთაისის 6-კლასიანი სასწავლებელი. 1899 შევიდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტში. 1903-1907 წწ-ში მასწავლებლად მუშაობდა ქუთაისის 6-კლასიან სასწავლებელში, ხელმძღვანელობდა ამავე სასწავლებელთან არსებულ პედაგოგიურ კურსებს, მონაწილეობდა საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რის გამოც 1907 დააპატიმრეს და საქართველოდან გაასახლეს. მოღვაწეობა გააგრძელა განჯაში, აქაურ 6-კლასიან სასწავლებელში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და პარალელურად სიმწიფის ატესტატზე გამოცდა ჩააბარა. 1910 შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი. მიიწვიეს მოსკოვის გერმანულ სკოლაში გამგის თანამდებობაზე. 1916 დაბრუნდა საქართველოში და თბილისის სკოლებში მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად.

1917 აირჩიეს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად. დამოუკიდებელ საქართველოში ეს თანამდებობა გაუქმდა და 1918-1920 წწ-ში ჯერ თბილისის წმინდა ნინოს გიმნაზიის დირექტორი იყო, შემდეგ კი თელავის წმინდა ნინოს გიმნაზიისა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 1414.

დოდო ჭუმბურიძე

ჩეკები ქუთაისის საქალაქო ხაზინისა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით გამოშვებული ფულადი სუროგატები. გამოუშვა საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც საბჭოთა რუსეთის არმიის შემოჭრის გამო, 1921 წ-ის 24 თებერვალს თბილისიდან გაიხიზნა და დროებით ქუთაისში შეჩერდა. 28 თებერვალს ამ ქალაქში შედგა რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზეც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, განაცხადა: „ლიხის მთაგრეხილის ბუნებრივ ზღუდეს დაემატება ჩვენი მხედრობის ცოცხალი გალავანი. აქ მიეცემა მტერს უკანასკნელი მოგერიებითი ბრძოლა. აქედან დაიწყება ჩვენი მხედრობის წინსვლა!“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილმა ხელისუფლებამ, რომელიც რიცხობრივად ჭარბ საოკუპაციო ძალებთან საბრძოლველად დიდძალ ფინანსურ რესურსებს საჭიროებდა, გადაწყვიტა, გამოეშვა დროებითი ფულადი ნიშნები, ოღონდ ქუთაისის ხაზინის სახელით. საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ იგი მოახერხებდა თბილისში დაბრუნებას. შემდეგ კი ისინი ქუთაისში დაბეჭდილ ფულად სუროგატებს გადაცვლიდნენ იმხანად მიმოქცევაში არსებულ ქართულ ფულის ნიშნებზე (პარიტეტული კურსით). ვინაიდან თბილისიდან დასავლეთისაკენ ევაკუირებულმა საქართველოს მთავრობამ თან წაიღო ფულის საბეჭდ ექსპედიციაში დაცული ფილიგრანებიანი ანუ ჭვირნიშნებიანი (გამჭვირვალე გამოსახულებიანი) ქაღალდი, რომელიც 1920 იტალიის სამეფო ზარაფხანიდან ჩამოიტანეს, ახალი ფულადი ნიშნების დაბეჭდვის პრობლემა აღარ იდგა. მარტის დასაწყისში ქუთაისის საქალაქო ხაზინამ გამოუშვა იტალიური წარმოების თეთრი ფერის ჭვირნიშნებიან ქაღალდზე შავი შრიფტით ცალმხრივად დაბეჭდილი ჩეკები, ნომინალური ღირებულებით - 50 და 100 ათასი მანეთი. მათი ზომა იყო 210 X 95 მმ. აღნიშნული ჭვირნიშანი ოთხთაღოვან ჩარჩოში ჩასმული სამი ქართული ასოს - ს. დ. რ-ის ერთმანეთში მხატვრულად ჩაგვირისტებული კომბინაციაა, რომელიც აბრევიატურას წარმოადგენს და იშიფრება, როგორც „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.“ რომის ზარაფხანიდან ქაღალდის ძვირად ღირებული მასალის ჩამოტანის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ 1919 წ-ის 13 დეკემბერს, როდესაც საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილემ, სიმონ ავალიანმა, რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა მოხსენება „იტალიაში სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციისათვის აუცილებელი 520 ათასი

ფურცელი ქაღალდის შესაძენად 1 მილიონ 200 ათასი იტალიური ლირის ღირებულების საქონლის გაზიდვის უფლების შესახებ“. 1920 წ-ის დასაწყისში საქართველოდან გატანილი თამბაქოს რეალიზაციიდან მიღებული ვალუტით იტალიის ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციას შეუკვეთეს ფულადი ნიშნებისათვის საჭირო ქაღალდის მასალა და საღებავები. სწორედ აღნიშნულ მასალაზე დაბეჭდა სდრ-ის ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამამზადებელმა ექსპედიციამ 5 ათასი მანეთის ღირებულების ბონები (დროებითი ფულადი ნიშნები). ეს იყო ყველაზე მაღალი ნომინალური ღირებულების მქონე ბონის კუპიურა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოუშვა 1921 წ-ის იანვარში. ქუთაისის ხაზინის სახელით გამოშვებულ ჩეკებზე შემდეგი წარწერებია: „მიეცეს ამ ჩეკის წარმომდგენს ორმოცდაათი (ან ასი) ათასი მანეთი და ეს თანხა ჩამოიწეროს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ანგარიშიდან“; „მიღება სავალდებულოა ერთი თვის განმავლობაში თანაბრათ საქართველოს ფულის ნიშნისა“. გაცემის მომენტში თითოეულ ჩეკზე შესაბამის გრაფაში ხელით აწერდნენ ნომერს, გაცემის თარიღს, გაცემული თანხის რაოდენობას და მისი მიმღების ვინაობას. ამის შემდეგ ჩეკს ხელს აწერდნენ „ფინანსთა მინისტრი“ და „ტფილისის ხაზინადარი“. ჩეკებზე გამოსახული იყო მრგვალ ჩარჩოში ჩასმული სდრ-ის სახელმწიფო გერბი. ქუთაისის ხაზინის ჩეკები მიმოქცევაში არ გასულა, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებამ მალევე დატოვა ქუთაისი და 10 მარტის გამთენიიდან გადაინაცვლა ბათუმში, ხოლო იქიდან 18 მარტის საღამოს საფრანგეთისაკენ გაეშურა. ქუთაისის საქალაქო ხაზინის ჩეკების გამოშვება ცხადყოფს სდრ-ის დევნილი ხელისუფლების განზრახვას, რომ ქუთაისში ყოფნის პერიოდში ფინანსურად უზრუნველეყო თავი თბილისში შემოჭრილ საოკუპაციო არმიასთან და მათ მიერ ხელდასხმულ ბოლშევიკურ მთავრობასთან ბრძოლის გასაგრძელებლად, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ჩენდლერი უოლტერ მარიონ (8.XII.1867, მისისიპი - 16.III.1935, ნიუ იორკი) - ამერიკელი კონგრესმენი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ლობისტი. ისტორიასა და იურისპრუდენციას სწავლობდა ჰაიდელბერგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ცხოვრობდა და ადვოკატობას ეწეოდა ნიუ-იორკში. მრავალჯერ იყო არჩეული აშშ-ის კონგრესში რესპუბლიკური პარტიიდან (1913-1919; 1921-1923 წწ.). შემდგომში კვლავ ადვოკატობას მიჰყო ხელი. კონგრესმენობის პერიოდში იცავდა ებრაელი უმცირესობის ინტერესებს.

1919 წ-დან იცავდა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის ინტერესებს და იყო მათი ლობისტი. ამ პერიოდში, ქართულ-აზერბაიჯანული დელეგაციების თხოვნით, აზერბაიჯანისა და საქართველოს ლობისტობაც იკისრა. 1920 წ-ის 25 დეკემბერს ვრცელი სტატია გამოაქვეყნა „ნიუ იორკ ტაიმსში“ სათაურით: „ხუთი მებრძოლი რესპუბლიკა: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, აზერბაიჯანი, საქართველო და მათი საჭიროებანი“. ავტორი კავკასიასა და ბალტიისპირეთს ბოლშევიზმის წინააღმდეგ აღმართულ ბურჯებს უწოდებდა, რომლებიც მისგან იცავდნენ დანარჩენ კაცობრიობას. ჩენდლერმა შეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა აშშ-ის მიერ ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის პროცესში, მაგრამ იგივე ვერ შეძლო საქართველოსათვის. როგორც ჩენდლერის საპასუხოდ წერდა 1921 წ-ის „ნიუ იორკ ტაიმსის“ სარედაქციო წერილის ავტორი: „ერთი წლის წინათ არაფერი ისე სტაბილურად არ გამოიყურებოდა, როგორც საქართველო, მოკავშირეთა მისიები ხელშეკრულებებს დებდნენ საქართველოს მთავრობასთან და ეკონომიკურ ურთიერთობასაც აწყობდნენ... თუმცა ამ ახლად შექმნილმა რესპუბლიკებმა ვერ გაძლეს მფარველობის გარეშე და წაღებულ იქნენ ბოლშევიკური წყალდიდობის მიერ“.

ჩენდლერი საქართველოს ინტერესებს მისი გასაბჭოების შემდეგაც იცავდა. გარდა კონგრესისა, ცდილობდა წითელი ჯვრისა და სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში გაეწია ლობირება საქართველოსთან დაკავშირებული საკითხებისათვის. ასეთ საკითხებს მიეკუთვნებოდა, მაგ., საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტთა დახმარება; ოკუპირებულ საქართველოს მოსახლეობისათვის ხორბლის გაგზავნა და ა. შ. ჩენდლერის თხოვნით, 1921-ის დეკემბერში ევროპიდან ვაშინგტონში სამუშაოდ ჩავიდა ზ. ავალიშვილი, რომელიც შეხვდა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრს, ჰერბერტ ჰუვერს (მომავალ პრეზიდენტს). ამ შეხვედრის შედეგად საქართველო მოხვდა რუსეთის იმპერიის იმ რეგიონთა შორის, რომელმაც მიიღო აშშ-ის 20-მილიონიანი პროდუქტით დახმარების ნაწილი.

ჩენდლერი უოლტერ

ლიტ.: ბ. კობახიძე, საქართველოს პირველი ამერიკელი მეგობარი - კონგრესმენი უოლტერ მარიონ ჩენდლერი, ივანე ჯავახიშვილის სახახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 2012.

ჩერეპნინი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (03.V.1873, პეტერბურგი - 26.IV.1945, ისსი-ლე-მულინო, საფრანგეთი) - რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. დაიბადა ცნობილი ექიმის ოჯახში. 1895 წ-ს ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, 1898 წ-ს პეტერბურგის კონსერვატორიას. კომპოზიტორ



ჩერეპნინი ნიკოლოზ

ნ. რიმსკი-კორსაკოვთან სწავლობს კომპოზიციას, კ. ფან-არკისთან ფორტეპიანოს კლასს. 1899-1905 წწ-ში პეტერბურგში იმპერატორის სასახლის კარის კაპელის საორკესტრო კლასის გამგეა. 1902 წ-დან „რუსულ სიმფონიურ კონცერტებს“ დირიჟორობს. 1905-1918 წწ-ში პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორია და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. 1906-1909 წწ-ში პეტერბურგის მარინის თეატრის დირიჟორია, 1909 რუსეთში პირველად აარსებს დირიჟორობის კლასს. 1909-1914 წწ-ში ლონდონში, პარიზში, მონტე-კარლოში, რომსა და ბერლინში „რუსული სეზონის” კონცერტებს დირიჟორობს.

1918-1921 წწ-ში თბილისში გადმოდის და დამოუკიდებელ საქართველოში აგრძელებს ცხოვრებას. 1919-1921 წწ-ში (ზოგიერთი ცნობით კი 1918-1921) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი და რექტორია, ხელმძღვანელობს კომპოზიციის კლასს. 1920-1921 წწ-ში თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორი იყო, მათ შორის, არაერთხელ, „აბესალომ და ეთერის“ შესრულებისას. მეგობრობდა ქართველ მუსიკოსებთან და კომპოზიტორებთან, მათ შორის ზ. ფალიაშვილთან, მ. ბალანჩივაძესთან, დ. არაყიშვილთან და სხვებთან. გასაბჭოების შემდეგ ტოვებს საქართველოს და საფრანგეთში, ისსი-ლე-მულინოში აგრძელებს მოღვაწეობას. 1922 წერს ქართულ რაფსოდიას ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის. როგორც დირიჟორი, ევროპის ქვეყნებში გასტროლებს მართავს. 1925 პარიზში რუსულ კონსერვატორიას აარსებს. თანამშრომლობს ანა პავლოვას საბალეტო თეატრთან. პარიზში ყოფნისას ქმნის რამდენიმე სიმფონიურ ნაწარმოებს, რომლებშიც ქართულ ხალხურ სიმღერებს იყენებს. მისი უკანასკნელი თხზულებაა სიმფონიური ორკესტრისათვის შექმნილი ნაწარმოები „ორი ქართული საგალობელი“, რომელიც ზ. ფალიაშვილისა და მ. ბალანჩივაძის ხსოვნას ეძღვნება.

თხზ: ბალეტი: „არმიდას პავილიონი“(1907, პეტერბურგი); „ნარცისი და ექო“ (1911, მონტე-კარლო); რაფსოდია: „ქართული რაფსოდია ვიოლონჩელოსათვის ორკესტრთან ერთად“ (1922.); ოპერა: „Ванька-Ключик” (1932, ბელგრადი); სიმფონიური პოემა: „Марья Моревна“; სუიტა: „ქართული სუიტა როიალისათვის ორკესტრთან ერთად“ (1938); საფორტეპიანო პიესები, კამერული ინსტრუმენტული ანსამბლები, რომანსები (100) და სხვ.

ლიტ.: რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015; Ф. Т ю ч е в, Творческие портреты композиторов; М., 1990; Большая биографическая энциклопедия, 2009; ს. რ ი ჟ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მუსიკალური საჩუქარი პარიზიდან, გაზ. „თბილისი“, 1974, №59.

ზურაბ ლეჟავა

ჩერნიავსკი კოლაუ (ნიკოლოზ) ანდრეის ძე (1892, აკერმანი, ბესარაბიის გუბ. - 1947) - პოეტი. მწერალი. თბილისური ავანგარდის წარმომადგენელი. დაიბადა პოლონური წარმომავლობის სათავადაზნაურო ოჯახში. მამა, ანდრეი, 1904 ცოლის გარდაცვალების შემდეგ, სამი მცირეწლოვანი ვაჟიშვილით გადმოსახლდა თბილისში. 1912-1914 წწ-ში იყო თბილისის გუბერნატორი. კვლავ ქორწინდება და ცოლად ირთავს ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილის შვილს, მომღერალ ოლგა დოლგოვას. 1917 ილია და კირილე ზდანევიჩებთან, ლადო გუდიაშვილთან, ზიგა ვალიშევსკისთან, ყარა-დარვიშთან, ალექსეი კრუჩონიხთან ერთად, აყალიბებს ჯგუფს „ფუტურისტული სინდიკატი“. კ. ჩერნიავსკი 1918 რუსულენოვან გაზეთ „რესპუბლიკაში“ („Республика“, №145, 10 იანვარი) აქვეყნებს წერილს კ. ზდანევიჩზე: „კ. ზდანევიჩის გამოფენა“ (Выставка К. Зданевича). კ. ჩერნიავსკი სწავლობდა თბილისში ვაჟთა I გიმნაზიაში. სწავლას აგრძელებს ყაზანის უნივერსიტეტში.

მისი ლექსები დაბეჭდილია 1917-1919 წწ-ში „ფანტასტიკური სამიკიტნოს“ მიერ გამოცემულ ცნობილ კრებულში „Софии Георгиевне Мельниковой“, ძირითადი ნაწილი კი დაკარგული. 1918-1920 წწ-ში ილ. ზდანევიჩის მიერ დაფუძნებული ფუტურისტული ჯგუფის „41°“-ის აქტიური წევრია. ამ რადიკალურ ავანგარდულ ჯგუფში ყოფილი „ფუტურისტული სინდიკატის“ თითქმის ყველა წევრი გადმოდის. კ. ჩერნიავსკი ზაუმის პოეტია. სერიოზულადაა დაინტერესებული ნიკო მარის ენის თეორიით, თარგმნის ტექნიკით, ისტორიული ქრონიკებით. ილ. ზდანევიჩთან ერთად მუდმივად ეძებს ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრებს, წერს ე.წ. „ორკესტრულ ლექსებს“.

1926 თბილისში გამოცემულ სამენოვან (ქართული, რუსული, ფრანგული) წიგნში, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, იბეჭდება მისი ფრანგულენოვანი ტექსტი. „ფანტასტიკური სამიკიტნოს“ საღამოების მუდმივი თანამონაწილე, ექსპერიმენტატორი ავანგარდისტი პოეტი, არაჩვეულებრივად ერკვეოდა ხელოვნებაში, უყვარდა ფიროსმანაშვილი (აღმოჩენილი აქვს მისი რამდენიმე ნამუშევარი; თავისთვის ქმნიდა მისი ნამუშევრების კატალოგს). იყო საინტერესო კრიტიკოსი და მშვენიერი მთარგმნელი. რუსულად თარგმნა დემნა შენგელაიას „სანავარდო“, ნიკოლო მიწიშვილის „ეპოპეა“, რაჟდენ გვეტაძის ნოველები, ტიციან ტაბიძის „როალდ ამუნდსენ“, მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“, სიმონ ჩიქოვანის ლექსები; სომხურიდან რუსულად თარგმნა ფუტურისტი ყარა-დარვიშის ლექსები და სხვ. წერდა სტატიებს და აქვეყნებდა სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში.

ლიტ.: И. Д з у ц о в а, Колау Чернявский (1893-1943), Материалы к творческой биографии, ЗБОРНИК Матице српске за славистику главни и одговорниуредникКорнелијаИчин, Октобр, 2013; Т. Ни-

кольская, Фантастический город, М., 2000; *ს. ჩერნიავსკაია, დროზე, ნიკოლაი ჩერნიავსკიზე, მის ნათესავებზე და მეგობრებზე იხსენებს ძმიშვილი, ჟურ. ლიტერატურის მაცნე,* 1998; Чернявский Колау. Автобиография. Российский государственный архив литературы и искусства. Москва. Ф. 2825. Оп. 1. Ед. хр. 12.

ნანა ყიფიანი

ჩერქეზიშვილი ვარლამ ნიკოლოზის ძე (ჯან-ასლანის ძე) (ფსევდონიმები: ვაზიანი, მანაველი, მარველი, ლონდონელი, ტემზისპირელი) (15. IX.1846, სოფ. თოხლიაური, თბილისის მაზრ. - 18.VIII.1925, ლონდონი) - საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1855 სწავლობდა მოსკოვის კადეტთა კორპუსში, მისი მიტოვების შემდეგ შევიდა მოსკოვის პეტროვსკის სამინათმოქმედო და სატყეო აკადემიაში. 1866 იშუტინის რევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის 8 თვე იჯდა ციხეში. 1868 ჩამოაყალიბა საიდუმლო ორგანიზაცია „სმორგონის აკადემია“, ხოლო 1869 აქტიურად მონაწილეობდა ს. ნეჩაევის რევოლუციურ ორგანიზაციაში „ნაროდნაია რასპრავა“, რისთვისაც 1870 გაასამართლეს და ციმბირში, ქ. ტიუმენში გადაასახლეს. 1876 გადასახლებიდან ევროპაში გაიქცა და აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ და ევროპულ რევოლუციურ გამოცემებში: „ვპერიოდ“, „ობშჩინა“, „ლე რევოლტე“ და სხვ. 1877 შევიდა ანარქისტული ინტერნაციონალის, იურის (შვეიცარია) ფედერაციაში. 1888 წ-დან, სხვადასხვა ქვეყნებში ხუთწლიანი არალეგალური ცხოვრების შემდეგ, პ. კროპოტკინის მიწვევით, საბოლოოდ დამკვიდრდა ლონდონში და, ჯ. გილიომთან, ე. რეკლიუსთან და სხვა ლიდერებთან ერთად, სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო ანარქისტულ მოძრაობას: აწყობდა კონგრესებს, სცემდა გაზეთებს და ა. შ. 1896-1899 წწ-ში ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი ორი ყველაზე გახმაურებული წიგნი: „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“ და „ინტერნაციონალის წინამორბედები“. ასაბუთებდა, რომ მარქსმა და ენგელსმა თავიანთი თეორიის არაერთი დებულება მიითვისეს წინამორბედი ევროპელი მოაზროვნეებისაგან, ხოლო მათი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ფრანგი ფურიერისტის, ვ. კონსიდერანის, ნაშრომის პლაგიატია. ეს და მისი სხვა ნაშრომები ითარგმნებოდა ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ჩინურ, იაპონურ და სხვა ენებზე. მიუხედავად ანარქისტული იდეალებისა, იყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის თავდადებული მოღვაწე და არასოდეს გაუწყვეტია მასთან კავშირი. ხშირად აქვეყნებდა სტატიებს ევროპულ პრესაში, წიგნებს, რომლებშიც მკაცრად აკრიტიკებდა რუსულ იმპერიალიზმს და პროპაგანდას უწევდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ფსევდონიმებით ქართულ პრესაში: ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, გაზ. „ცნობის ფურცელში“, აგრეთვე ქართულ ანარქისტულ პრესაში („ნობათი“ და სხვ). 1904 მონაწილეობდა ქართული პოლიტიკური პარტიების გამაერთიანებელ ჟენევის კონფერენციაში და იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. ასაბუთებდა აზრს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს ჰქონდა სრული ისტორიული უფლება, მოეთხოვა ავტონომიის ფორმით სახელმწიფოებრიობის აღდგენა. 1907 მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით შემუშავდა „საქართველოს ხალხის პეტიცია“ და გაეგზავნა ჰაგის მეორე საერთაშორისო კონგრესს. პირველი მსოფლიო ომის წლებში აქტიურად წამოიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის პროპაგანდა. იზიარებდა მისი უახლოესი თანამებრძოლის, პ. კროპოტკინის, ანარქისტული კომუნიზმის თეორიას. ამასთანავე, საფუძველი ჩაუყარა ნაციონალურ მიმართულებას ანარქიზმში. იგი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული თავისუფლების პრობლემას და მკაცრად აკრიტიკებდა მარქსისტების ეროვნულ ნიჰილიზმს. 1881 ჟენევაში რუსულ ენაზე გამოსცა ნაშრომი „გადიაჩელი დრაგომანოვი რუს სოციალისტებთან ბრძოლაში“, რომელშიც დაასაბუთა ეროვნული თავისუფლების იდეის აუცილებლობა სოციალისტური მოძრაობისათვის.

ჩერქეზიშვილი ვარლამ

რუსეთში მონარქიის დამხობის ახლო ხანებში თავის ფრანგ მეუღლესთან და თანამოაზრესთან, ფრიდა რუპერტუსისთან ერთად, საქართველოში ჩამოვიდა და აქტიურად ჩაერთო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა-აღმშენებლობის პროცესში. 1917 მონაწილეობდა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომებში, როგორც მიწვეული პირი და ასრულებდა მის დავალებებს. იმყოფებოდა პეტროგრადში, ინტერპარტიული საბჭოს მიერ მივლინებულ სამკაციან დეპუტაციაში, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთის დროებით ცენტრალურ ხელისუფლებასთან ქართული რეგულარული არმიის შენაერთების შექმნის ნებართვის მისაღებად, რაც წარმატებით განხორციელდა. 1919 პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიმდინარეობის დროს, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი, ფრანგულ ჟურნალ „ლა რევიუ დე პარის“-ში გამოაქვეყნა სტატია „საქართველო. მისი წარსული და პოლიტიკური უფლებები“, რომელიც ასევე ფრანგულად ცალკე ბროშურადაც გამოიცა. მისი ენერგიული თხოვნის შედეგად, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ საქართველოში თავის უმაღლეს კომისრად მოავლინა ქართველი ხალხის დიდი მეგობარი ოლივერ უორდროპი. ვ. ჩერქეზიშვილის მხარდაჭერით 1919 შეიქმნა ქართველ ანარქისტთა პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს რევოლუციონერ-სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი“ და იყო მისი მთავარი კომიტეტის საპატიო წევრი.

1921 ვერ შეურიგდა საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობას და კვლავ ემიგრაციაში გაიხიზნა. დაკრძალულია ლონდონში.

თხზ.: В. Черкез ов, Доктрины Марксизма, Наука-ли это? М., 1905; თხზულებანი, ტომი პირველი, შემდგენელ-რედაქტორი დ. შველიძე, თბ., 2011.

ლიტ.: დ. შ ვ ე ლ ი ძ ე, აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! თბ., 2001; П. А. Р я б о в, Мыслитель-анархист Варлаам Черкезов, М., 2009.

დიმიტრი შველიძე

ჩერქეზიშვილი ივანე

ჩერქეზიშვილი ივანე ლევანის ძე (1884 - ?) - ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. უმაღლესი განათლებით ვექილი, თუმცა უცნობია, რომელი სასწავლებელი დაამთავრა.

1917 წ-ის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ერთხანს აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებში. 1917 წ-ის აგვისტოში აირჩიეს „ქართველი ერის ინტერპარტიული ბიუროს“ (იგივე ინტერპარტიული საბჭო) წევრად და პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად. შედიოდა ეროვნული ყრილობის რეგლამენტის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობაში, რომელშიც ოთხი პარტიის თითო წარმომადგენელი იყო. 1917 წ-ის 4 ნოემბერს აირჩიეს ამიერკავკასიის „სხვა ერების საბჭოებთან“ მოსალაპარაკებლად შერჩეული კომისიის წევრად. 1917 წ-ის 17 ნოემბერს, რამდენიმე დღით ადრე საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გახსნამდე, წაიკითხა კომისიის მიერ შემუშავებული ყრილობის რეგლამენტი (დღის წესრიგი). 1917 წ-ის 22 ნოემბრის შემდეგ იყო ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭოს წევრი ესერთა პარტიიდან. მან ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წ-ის 6 ივნისის სხდომაზე ეროვნულმა საბჭომ შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომლის თავდაპირველ შემადგენლობაში შედიოდა ი. ჩერქეზიშვილი. 1918 წ-ის 15 ნოემბერს, საზღვარგარეთ წასვლის გამო, მისი ადგილი ეროვნულ საბჭოში დაიკავა მარიამ ჩხეიძემ. აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს დოკუმენტებსა და მასალებში ზოგ შემთხვევაში ერთმანეთშია არეული ივანე ჩერქეზიშვილისა და ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელები. ალბათ ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგი ავტორი ინტერპარტიული და ეროვნული საბჭოს წევრად შეცდომით ვარლამ ჩერქეზიშვილს მიიჩნევს. ეს უკანასკნელი, ინტერპარტიული საბჭოს სხდომებზე მონაწილეობდა, როგორც სპეციალურად მიწვეული პირი.

ლიტ.: საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილ-ნოემბერი), დოკუმენტები და მასალები, გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გ ე რ გ ე დ ა ვ ა-ჭ ე ლ ი ძ ე მ, თბ., 1999; გურამ შ ა რ ა ძ ე, გიორგი შ ა რ ა ძ ე, ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, თბ., 2001; საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1836, აღწ. 1, საქმე 123.

დიმიტრი შველიძე

ჩეჩელაშვილი მელიტონ – გეომეტრიის მასწავლებელი. ასწავლიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. როგორც პედაგოგს, ასე ახასიათებდა რეალური სასწავლებლის დირექტორი: „მცოდნე და გამოცდილი მასწავლებელია, საქმის ერთგული, კეთილსინდისიერად აღმსრულებელი თავის მოვალეობის, ენერგიით სავსე და დაუღალავი მუშაკი. მან სასურველ ნიადაგზე დააყენა გეომეტრიის სწავლება, მოაწყო ამ საგნის პრაქტიკული მეცადინეობა და სულ ცოტა ხანში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია“. ასწავლიდა სოფელ ჯურყვათსა და ზედა მაღლაკში. უმაღლესი არ დაუმთავრებია, მაგრამ ჩააბარა სხვადასხვა გამოცდა, გაიარა კურსები და 1919 წ-ის 1 ნოემბერს დაინიშნა ქუთაისის რეალურ სასწავლებელთან არსებულ უმაღლესდაწყებითი სასწავლებლის თვალსაჩინო გეომეტრიის მასწავლებლად. ატარებდა საჩვენებელ გაკვეთილებს და ჰქონდა დიდი ავტორიტეტი პედაგოგთა და მოსწავლეთა შორის.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 1426, ფ. 14.

დოდო ჭუმბურიძე

„ჩვენი გზა“ (1920) – საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ორგანო. ყოველკვირეული პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა თბილისში. იბეჭდებოდა ვ. რუხაძის სტამბაში. სარედაქციო კოლეგიაში იყვნენ: მ. კვატაშიძე, დ. ყიასაშვილი, მ. ჩაჩუა. გაზეთში თანამშრომლობდნენ: დ. ყიასაშვილი, მ. ჩაჩუა, ნახუნოველი, გ. კ., აქაური, ვ., Veto, atom და სხვ. „ჩვენი გზა“ ბოლშევიკური მიმართულების გამოცემაა, რომელიც საქართველოს ხსნას მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობასა და სიახლოვეში ხედავს. გამოცემა ძირითადად ახალგაზრდა მარქსისტთა საქმიანობას აღწერს. პუბლიკაციებში ბოლშევიკური იდეოლოგიის პრიზმით არის განხილული მოვლენები და პროცესები. მეორე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ბალშევიზმი და აღმოსავლეთი” მ. ჩაჩუა საუბრობს აღმოსავლეთის კაპიტალიზმის სასტიკ და მტაცებლურ ბუნებაზე, რომელიც სახიფათოა ბოლშევიზმისათვის. მას მაგალითად მოჰყავს მუსტაფა ქემალ-ფაშას კაპიტალიზმი. ავტორის აზრით, „ბოლშევიკები შორსმჭვრეტელნი არიან და ისინი ნათლად ხედავენ განსხვავებას ბოლშევიზმსა და აღმოსავლეთის კაპიტალიზმს შორის”. მეთაურ სტატიაში „ჩვენი გზა” საუბარია მძიმე საერთაშორისო მდგომარეობაზე, მსოფლიო ომის სავალალო შედეგებზე, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მოშლაზე. ასეთ ვითარებაში გაზეთს ხსნის გზად ბოლშევიზმი მიაჩნია. გამოცემა აშუქებს ახალგაზრდა მარქსისტული ორგანიზაციების მუშაობას რეგიონებსა და სხვადასხვა დაწე-

სებულებაში. „ჩვენი გზა“ არც იმდროისათვის აქტუალურ საკითხებს ტოვებს უყურადღებოდ. წერილში „ბათუმის საკითხი” საუბარია საქართველოსათვის ბათუმის დაბრუნების მნიშვნელობაზე: „უბათუმობა სასიცოცხლო ჰაერს უსპობდა საქართველოს მუშათა კლასის ეროვნულ-კულტურულ და ეკონომიკურ ინტერესებს”. გაზეთისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა. მას ეძღვნება მეხუთე ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ვრცელი წერილი „სახელმწიფო და ეკლესია“, რომელშიც საუბარია რელიგიის გავლენაზე და თანამედროვე პირობებში მის უარყოფით შედეგებზე. აღნიშნულია, რომ „კანონმდებლობის გზით დღეს შესაძლებელია ეკლესიის მხოლოდ გამოყოფა სახელმწიფოსაგან. სახელმწიფოს მხრივ მას უნდა მოესპოს ყოველგვარი დახმარება“. რელიგიის თემას შეეხება „მენეს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი „რელიგიური პსიქოზი“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ომის შემდეგ მლოცველთა რიცხვმა ეკლესიებში იმატა. მაგრამ ეს არა მარტო საქართველოში. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც, მაგ., საფრანგეთში“. ავტორი მიმართავს ხელისუფლებას, რომ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას: „ამ მხრივ უნდა იმუშაონ ადგილობრივათ ჩვენმა ამხანაგებმაც და რელიგიურ პსიქოზს მეცნიერული ცოდნა დაუპირისპირონ”. ახალგაზრდა მარქსისტთა აღშფოთება გამოიწვია ვინმე სტეფანე როზინის ავტორობით „მოლოდოი პროლეტარში” დაბეჭდილმა წერილმა, რომელშიც იგი ლანძღავს ახალგაზრდა მარქსიტებს და მათ ბრალს სდებს განსაკუთრებულ რაზმთან კავშირში. ამის საპასუხოდ „ჩვენ გზაში“ atom-ის ფსევდონიმით იბეჭდება წერილი „პასუხისგებაში ისინი!“. ავტორი იცავს ახალგაზრდა მარქსისტებს და ცილისმწამებელთა სასტიკად დასჯას მოითხოვს. გამოცემა „სალიტერატურაა”, თუმცა მასში მწირია ლიტერატურული მასალა, იბეჭდება მხოლოდ კ. რატიშვილის რამდენიმე ლექსი, თითქმის არ გვხვდება კულტურის, ხელოვნების, ეკონომიკის საკითხები. გაზეთს აქვს რუბრიკები „ახალი ამბები, „პრესა“, „ჩვენს ორგანიზაციაში“, „უცხოეთი“ და სხვ.

ლიტ.: გაზ. „ჩვენი გზა“, 1920, №1 (20. VI) - №5 (24/VII); გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

მარი წერეთელი

„ჩვენი რესპუბლიკა“ (1917-1918, თბილისი) - საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის ორგანო. გაზეთს რედაქტორობდა დავით ჩიქოვანი, ხოლო გამომცემელი იყო ამხანაგობა. იბეჭდებოდა სტამბაში „სორაპანი”. ჩვენამდე მოაღწია ორგვერდიანი გამოცემის არასრულმა ნომრებმა (1917 წ. №1 (15/XI) - №23 (31/XII), 1918 წ. №24 (1/I) - №86 (28/III). გაზეთის მიზანდასახულობა გლეხობის ინტერესების გამოხატვასა და დაცვაში ვლინდება. მასში დასტამბული პუბლიკაციებიც ძირითადად გლეხთა ცხოვრებას, მათ პრობლემებს ეხება. გაზეთის კონცეფცია გაცხადებულია რედაქტორის, დავით ჩიქოვანის, საპროგრამო წერილში „ჩვენი გზა“. მასში დასახელებულია ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყო საქ. რადიკალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებას; წარმოდგენილია პარტიის საქმიანობა გეგმა, მისი ამოცანები; გამოკვეთილია პერიოდული ორგანოს როლი ამ მიზნების განხორციელებაში (ამონარიდები წერილიდან: „ჩვენ ვიბრძვით საქართველოს სრული დამოუკიდებლობისთვის“; „ვდგავართ კლასიკურ ნიადაგზე“; „ვდგავართ საერთო სარგებლიანობის თვალსაზრისზე და ვაწარმოებთ რადიკალურ და რეალურ პოლიტიკას“ (1917 წ. №1). გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები გლეხთა საჭიროებებსა და პარტიაში მიმდინარე სიახლეებს ეძღვნება. იბეჭდება აგრეთვე პარტიის პროგრამის პროექტი. ჭარბობს ანალიტიკური სტატიები, თუმცა ოპერატიულ ინფორმაციასაც სათანადო ადგილი ეთმობა. მუდმივ თანამშრომელთა და ავტორთა შორის უნდა დავასახელოთ: დ. ჩიქოვანი (აქვეყნებდა აგრეთვე „გორდელის“ ფსევდონიმით), დ. არონიშიძე, გ. ციცქიშვილი, პ. ჯარიაშვილი, კ. დავითაშვილი, ქ. ნიქოზელი (ქრისტეფორე კაპანაძე), კ. კანანელი, დ. სპერელი და სხვები. აგრარულ პრობლემებსა და გლეხთა საჭიროებებს მიეძღვნა მრავალი პუბლიკაცია, მაგალითად: „საუბარი გლეხებთან“ (ავტორი „გორდელი“), „მიწის საკითხი“ (ავტორი „თ.-ი.“), „აგრარული მოძრაობა“ (ავტორი „დორ–ჩიყო“), „წერილი სოფლელ მეგობართან“ (გობრონ ციცქიშვილი), „გლეხის რჩევა“ (კ. დავითაშვილი), „გლეხთა პარტია ქიზიყში“ (დ. არონიშიძე) და ა.შ. ყურადღება ექცევა ასევე მრეწველობის განვითარების პრობლემებს, პოლიტიკურ თემატიკას, საერთაშორისო ამბებს, რესპუბლიკის წინაშე არსებულ საშინაო და საგარეო პრობლემებს, საპარლამენტო ცხოვრებას. გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით კორესპონდენციებს რეგიონებიდან, რუბრიკებს: „პოლიტიკური პარადოქსები“, „ახალი ამბავი“ და სხვ. „ჩვენი რესპუბლიკა“ ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც უთმობს ადგილს. იბეჭდება ილ. მოსაშვილის ლექსი „სონეტი საქართველოს“, პ. ჯარიაშვილის „პატარა ფელეტონი“, კ. კანანელის ლექსები: „გლეხური ლექსი“, „ობლის სიმღერა“ და სხვ. გამოცემაში დაიბეჭდა თედო სახოკიას წერილი „მიხ. წერეთლის კანდიდატურის გარშემო“ (1917, №5); საერთოდაც, გაზეთი აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიხაკო წერეთლის კანდიდატურას, მოუწოდებდა მოქალაქეებს, ხმა მიეცათ მისთვის. აღსანიშნავია, რომ გაზეთში გამოქვეყნდა „მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი გლეხთათვის“, რაც გლეხებისთვის ქართულ

ენაში შემოსული უცხო სიტყვების განმარტებას ისახავდა მიზნად.

ლიტ.: გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819–1945, თბ.,1947; გაზ. „ჩვენი რესპუბლიკა“, 1917-1918.

მანანა შამილიშვილი

ჩიგოგიძე ნიკოლოზ ნაუმის ძე (?-?) - სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. დაამთავრა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. მუშაობდა მასწავლებლად. იყო ქმწგ საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი.

1918 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ დაასახელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრად. იყო პარლამენტის განათლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის წევრი. 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე კენჭს იყრიდა სოციალისტრ-რევოლუციონერთა სიით, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127, 201. ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 85.

ირაკლი ირემაძე

ჩიქავა ალექსანდრე

ჩიქავა ალექსანდრე ხიტუს ძე (1882, სოფ. შამგონა, ზუგდიდის მაზრა - 1.IX.1924) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა აზნაურის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი. წლების განმავლობაში იყო წკგს-ის ნამდვილი წევრი, მუშაობდა მასწავლებლად. 1905 შეუერთდა რსდმ პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. პოლიტიკური საქმიანობის გამო სამჯერ დააპატიმრეს. თებერვლის რევოლუციამდე ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში. იყო პარტიის სამაზრო კომიტეტის წევრი.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პარტიულ საქმიანობას, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გლეხთა შორის. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო თვითმმართველობის კომისიის წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. მონაწილეობდა ანტისაბჭოთა საქმიანობაში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. 1924 წ-ის აპრილში დააპატიმრეს. მისივე განცხადებით 1921 წ-დან ჩამოშორებული იყო პოლიტიკურ საქმიანობას და არცერთ პარტიას არ მიეკუთვნებოდა. 1924 წ-ის აჯანყების შემდეგ დაპატიმრებულს დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს. დახვრიტეს თბილისში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, დამფუძნებელი კრება, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52

ირაკლი ირემაძე

ჩიქოვანი დავით გიორგის ძე (1887, სოფ. სუხჩე, სენაკის მაზრ. - 1943) - პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი, პროფესიით აგრონომი. 1908 დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია და ჩაირიცხა ლიეჟის (ბელგია) ფრანგულენოვან სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო განხრით. მატერიალური ხელმოკლეობის გამო სწავლის დასრულება ვერ შეძლო და ორი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. 1910 რვა თვის განმავლობაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში, როგორც გაზ. „სახალხო გაზეთის“ საკუთარი კორესპოდენტი. წერდა ქართველ მაჰმადიანთა და ოსმალეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თემებზე. მისი მონაწილეობით დაარსდა „ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე საზოგადოება“, რომლის წესდება ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა. 1911 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიით, გაემგზავრა პეტერბურგში და სწავლა უმაღლეს სამეურნეო კურსებზე განაგრძო. როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, მიატოვა სასწავლებელი და შრომით საქმიანობას შეუდგა. მუშაობდა მდივნად ქ. ჰელსინგფორსში, ფინეთის სახელმწიფო რკინიგზათა მთავარ სამმართველოში. იქიდან თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოსთან“. წერდა ფსევდონიმებით: „დ. გორგაძე“, „დ. ნინოშვილი“, „ჯავიდ-ბეი“, „სუხჩელ-სუმაჭახელი“, „გორდელი“ და სხვ. საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის დაარსების დროიდან იყო ამ პარტიის წევრი, ეკუთვნოდა მემარცხენე ფრთას და თანაუგრძნობდა ანარქიზმსა და კომუნიზმს. პარტიაში დარჩა 1914 წ-მდე, რის შემდეგაც თანდათან ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას დაუახლოვდა.

ფინეთიდან სამშობლოში 1917 დაბრუნდა. ივნისში იყო ედპ-ს დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი. მიიჩნევდა, რომ გლეხობას საკუთარი ინტერესების უფრო ქმედითი დამცველი უნდა ჰყოლოდა, ვიდრე სოციალისტური პარტიები იყვნენ. ის და მისი თანამოაზრეები მოითხოვდნენ მემამულეთათვის ნორმაზე მეტი ფართობის უსასყიდლოდ ჩამორთმევას და მიწის მუშაკთათვის უფასოდ დარიგებას, მაშინ, როდესაც ედპ მხარს უჭერდა „ნორმის ზედმეტი მიწის მემამულისაგან გამოსყიდვას, სამართლიანი შეფასებით“. 1917 წ-ის ოქტომბერში ედპ-ს მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩამოშორდა, რომელმაც თავი საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიად გამოაცხადა. პარტიის ბეჭდური ორგანოს,

გაზეთ „ჩვენი რესპუბლიკის“ რედაქტორად დ. ჩიქოვანი დაამტკიცეს, რომელიც ასევე მთავარი კომიტეტის წევრადაც აირჩიეს. მასვე დაკისრებული ჰქონდა პარტიის ყოველკვირეული ორგანოს გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობა. რადიკალ-დემოკრატების დაპირისპირება ეროვნულ-დემოკრატებთან ჯერ კიდევ ედპ-ს დამფუძნებელ ყრილობაზე გამოიკვეთა. უმრავლესობამ უარყო დ. ჩიქოვანის თვალსაზრისი და პროგრამაში არ შეიტანა მუხლი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას ითვალისწინებდა. რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია იყო პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც ოფიციალურად დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. 1917 წ-ის ნოემბერში მონაწილეობდა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში, ყრილობამ იგი ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად აირჩია. 1919 წ-ის თებერვალში რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის სიით მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ დეპუტატის მანდატი ვერ მოიპოვა. 1919 დაინიშნა სახელმწიფო კონტროლის ვიცე-დირექტორად. 1920 წ-ის ნოემბერში რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა და საქართველოს ეროვნული პარტიები გაერთიანებაზე შეთანხმდნენ და ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას „მიწის მესაკუთრეთა დემოკრატიული პარტია“ უწოდეს. ამ დროიდან დ. ჩიქოვანი პარტიულ საქმიანობას ჩამოშორდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ სამშობლოში დარჩა და მუშაობა სახელმწიფო კონტროლის სისტემაში განაგრძო, რომელიც მუშათა და გლეხთა ინსპექციად გადაკეთდა. 1922 შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში საქმეთა მმართველად გადაიყვანეს; 1923-1924 წწ-ში მუშაობდა ჩაქვის სახალხო მამულის გამგედ, მომდევნო ორი წელი მიწის სახალხო კომისარიატში საქმეთა მმართველობა ებარა, ხოლო 1925 წ-დან იყო უმუშევარი. 1928 წ-ის ივლისში სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა აჭარაში სსრკ-თურქეთის საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის მცდელობისათვის. იმავე წლის დეკემბერში მიესაჯა ექვსი თვით გამოსასწორებელ სახლში ჩასმა, წინასწარი პატიმრობის ვადის ჩათვლით. 1929 წ-ის მარტში გაათავისუფლეს შრომითი საქმიანობის დაწყების უფლებით. 1931 და 1934 წწ-ში საბჭოთა სამართალდამცავი სტრუქტურები რამდენჯერმე დაინტერესდნენ მისი საქმით. მომდევნო პერიოდში დ. ჩიქოვანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტები, ასევე გარდაცვალების თარიღი უცნობია.

ლიტ.: ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ჩიხლაძე რაფიელ (1881 - 1919) - სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური მოღვაწე. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. მუშაობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად. გარდა ამისა, აღსანიშნავია მისი დაინტერესება სოფლის მეურნეობის საკითხებით, განსაკუთრებით კი მეფუტკრეობით, რომლის შესახებაც წერდა სტატიებს ქართულ პრესაში. ამ თემაზე მან წიგნიც დაწერა: „სასარგებლო დარიგება მეფუტკრეობაზე". იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერევნის განყოფილების წევრი 1914 წ-დან და ამავე ორგანიზაციის თბილისის განყოფილების წევრი 1917 წ-დან.



ჩიხლაძე რაფაელ

1918 შედიოდა ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) შემადგენლობაში. 1919 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად, მუშაობდა საკონტროლო კომისიაში. დამოუკიდებლობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას საქართველოს რეგიონებში. 1919 მის ნაადრევად გარდაცვალებას სოციალ-დემოკრატიულ პრესაში არაერთი წერილი მიეძღვნა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836. აღწ. 1. საქ. - 109.

ნოდარ ჩხაიძე

ჩოლოქის ბრძოლა – ბათუმის დაცვის საქმეში ქართველი სარდლების მიერ დაშვებულმა ტაქტიკურმა შეცდომებმა და ოსმალო ასკერებისგან ქალაქის დაკავებამ ოსმალებს დამატებითი ტერიტორიების ხელში ჩაგდების სურვილი აღუძრა. ასეთ ვითარებაში, ნ. ჟორდანიას რეკომენდაციით, ჩოლოქ-ნატანების ხაზის დაცვა და ოსმალთა შეჩერება გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაევალა. 1918 წ-ის 2 აპრილს ნატანებში ჩასული გ. მაზნიაშვილის განკარგულებაში იყო 674 ჯარისკაცი, 4 ტყვიამფრქვევი და 6 ზარბაზანი. 3 აპრილს მის განკარგულებაში გადავიდა ჯავშნოსანი მატარებელი ვ. გოგუაძის ხელმძღვანელობით. გ. მაზნიაშვილის ბრძანებით, ჩოლოქის ხიდის ახლო მონაკვეთიდან რკინიგზის ხაზის მოკლე შტო ტყეში შეიყვანეს და ჯავშნოსანი იქ გადამალეს. მოხალისეთა რაზმების დახმარებით, გ.მაზნიაშვილმა შეძლო სადგურ ნატანებიდან სოფლების - ლიხაურის, შემოქმედის და ვაშნარის პოზიციების გამაგრება. მაზნიაშვილის სამხედრო გეგმის განხორციელებაში ხელშემწყობი როლი შეასრულა მდ. ოჩხამურთან 5 აპრილს ოსმალთა წინააღმდეგ პორუჩიკ ლ. იმნაძის რაზმის (70 კაცი) 5-საათიანმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ. სარკინიგზო ხაზის მიმართულებით მოძრავი მტერი 3 დღით იქნა შეჩერებული. ამავე დღეს ოზურგეთში ჩავიდნენ მხარზე თოფგადაკიდებული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები: ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი და ვლ. მგელაძე. ამასობაში, ოზურგეთისაკენ დაიძრა ოსმალთა 500-კაციანი კოლონა. ამ მიმართუ-

ლებით თავდაცვითი პოზიციის შენარჩუნების უზრუნველყოფა ევალებოდა პოლკ. ს. წერეთლის IV ლეგიონს (1000 ჯარისკაცი), რომელმაც პოზიციები უბრძოლველად დატოვა და მტერი ოზურგეთში შეუშვა. მაზნიაშვილმა წერეთელი თანამდებობიდან გადააყენა და მისი პასუხისმგებლობაში მიცემა მოითხოვა. მაზნიაშვილის ძალები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ზურგიდან მოსალოდნელი დარტყმის საფრთხის გამო, ჯარი ახალ პოზიციებზე გადააჯგუფა მის დასახმარებლად ხაშურიდან მიღებულ გვარდიის 1300-კაციან რაზმთან ერთად. ქართველთა თავდაცვითი პოზიციები იწყებოდა სოფ. შეკვეთილიდან, გაივლიდა ჩოლოქის რკინიგზის მიმართულებას, საღარიბოს ტყით გადიოდა მდ. ნატანებამდე და ვაშნარის, ნასაკირალის, ცხემლის ხიდის, ჭალას, შემოქმედის გავლით, გოგიეთის მთამდე გრძელდებოდა. გედევანიშვილის გვარდიის ნაწილები ნაგომრის უღელტეხილებს იცავდნენ. მაზნიაშვილმა თავისი მცირეოდენი და მოხალისეთა საფუძველზე შექმნილი რაზმები იმ ფორმით გადააჯგუფა, რომ მტერს მარჯვენა ფრონტის გარღვევის და ჩოლოქ-ნატანების ხაზის ზურგში დარტყმის შესაძლებლობა არ მისცემოდა. რამდენადაც ოსმალები რკინიგზის ხაზის დაჭერას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მათ მარცხენა ფლანგზე გალიპოლის ცნობილი დივიზიის 7000-კაციანი შემადგენლობა გადმოისროლეს. კრიტიკული სიტუაციის მიუხედავად, ჯავშნოსანი მატარებელი №4-ის მეთაურს, ვალოდია გოგუაძეს, მტერთან შებმის გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ბრძოლის დაწყების წინ ჯავშნოსნის 80-კაციან ეკიპაჟის მებრძოლები ვ. გოგუაძემ იმ საფრთხის გამო გააფრთხილა, რომელიც სამშობლოს ემუქრებოდა და იქვე დასძინა: ვისაც ბრძოლა არ შეეძლო ჯავშნოსნიდან ჩასულიყო. „სამშობლოსათვის ვიბრძვით და მისთვის დავიხოცებით“, - იყო მებრძოლთა პასუხი, რომელთა შორისაც ვ. გოგუაძის კიდევ სამი ძმა იყო: ალფესი, ნოე და მელენტი გოგუაძეები. 8 აპრილს დილის 5 საათზე ჯავშნოსანი მატარებელი ნელი სვლით რკინიგზის მთავარ ხაზზე გავიდა და მტრის ბანაკში სროლის გარეშე შევიდა. ჯავშნოსნის მეთაურმა სროლის ბრძანება მხოლოდ მას შემდეგ გასცა, რაც ოსმალები სანგრებიდან ამოვიდნენ და ლიანდაგზე შეჩერებული, თითქოს „დატყვევებული“ მატარებლის გარშემო დიდი რაოდენობით მოგროვდნენ. ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების ცეცხლით, ჯავშნოსნის ეკიპაჟმა მტრის წინააღმდეგ 5-საათიან ბრძოლას გაუძლო. 11 საათზე ჯავშნოსნის წინა ვაგონი რელსებიდან ამოვარდა. მასზე დაყენებული ტყვიამფქვევები და ქვემეხები მწყობრიდან იყო გამოსული. მატარებლის მეორე ვაგონის დაჭრილმა მეომრებმა იერიშზე გადმოსულ ოსმალებს ცეცხლი გაუხსნეს. ამ დროს, მაზნიაშვილის ბრძანებით, მატარებლის დასახმარებლად გამოგზავნილი 400-კაციანი გორის გვარდია შეტევაზე გადავიდა და მტერი უკუაქცია. ოსმალებმა 1015 ჯარისკაცი დაკარგეს, ხოლო 500-მდე დაიჭრა, ქართველთა დანაკარგი უმნიშვნელო იყო. ჩოლოქის ბრძოლიდან მეოთხე დღეს, 12 აპრილს, დღის მეორე ნახევარში გერმანელთა ჯარის ქვედანაყოფი ნატანებში ჩავიდა. 13 აპრილს გერმანული დროშა აღიმართა ნატანების სადგურში და მდ. ნატანების ხიდზე. 1918 წ-ის 13 აპრილს საღამოს 7 საათისათვის მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გამართულ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე (ესწრებოდა 200 წევრი) ჯავშნოსანი მატარებელი №4-ის მეთაურს, ვ. გოგუაძეს, „რევოლუციის პირველი მხედრის“ წოდება მიენიჭა.

წყაროები.: გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1917-1925, თბ., 1990.

ლიტ.: შ. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა, ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე), თბ., 2014.

შოთა ვადაჭკორია

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) (1888, სოფ. მატანი - 1930, საფრანგეთი) - მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში. პირველ მსოფლიო ომში თავდაპირველად იბრძოდა ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე, სადაც მეთაურობდა ცხენოსან ესკადრონს. ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შემდეგ გადაიყვანეს კავკასიის ფრონტზე, სადაც სარიყამიშის ბრძოლაში „არწივის ბუდის" დაცვის დროს მეორედ დაიჭრა და გმირობისთვის დაჯილდოვდა „ოქროს ხმლით". გამოჯანმრთელების შემდეგ გენერალ ბარათოვის კორპუსის შემადგენლობაში მყოფ ქართულ ცხენოსანთა ათასეულის რიგებში იბრძოდა მესოპოტამიის ფრონტზე.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918-1920 წწ-ში, მსახურობდა სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში, სადაც მეთაურობდა დივიზიონის პირველ ესკადრონს. თავი გამოიჩინა სომხეთ-საქართველოს 1918 წ-ის ომში, ასევე 1919 წ-ის სოჭის ფრონტზე დენიკინის ნაწილების წინააღმდეგ და გორის მაზრაში ამბოხების ჩახშობის დროს. 1920 წ-ის აპრილში რამდენიმე ოფიცერთან ერთად გარიცხეს სახალხო გვარდიიდან, რადგანაც ისინი გამოექომაგნენ ერთ-ერთ ოფიცერს და მოითხოვეს მისი გათავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში დატოვებდნენ გვარდიას. მას აეკრძალა მომავალში არმიასა და გვარდიაში სამხედრო სამსახური. მთავრობის თავმჯდომარემ იუსტიციის მინისტრს მიმართა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაწყებულიყო გამოძიება. 1920 წ-ის ივლისში გამომძიებელმა თარხნიშვილმა ცხენოსანი დივიზიონის ოფიცერთა საქმე წინასწარ ძიებაში მიიღო, მაგრამ შემდეგ საქმეს მსვლელობა არ მისცემია. 1920 წ-ის ზაფხულიდან მსახურობდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორ ბენია ჩხიკვიშვილთან

განსაკუთრებულ მინდობილობათა ოფიცრად. რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის დასაწყისში, გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად, დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ახალი ცხენოსანი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. ომის ბოლო პერიოდისათვის მათ შეძლეს ორი ესკადრონის შექმნა, რომელთაგანაც ერთ-ერთს ქ. ჩოლოყაშვილი ჩაუდგა სათავეში.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, 1922, შექმნა შეფიცულთა რაზმი და დაიწყო პარტიზანულ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მისმა რაზმმა 1922 მოაწყო აჯანყება ხევსურეთში, ხოლო 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყებაში მის რაზმს უნდა აეღო თბილისი. აჯანყების დამარცხების შემდეგ ქ. ჩოლოყაშვილი წავიდა საფრანგეთში ემიგრაციაში. გარდაიცვალა ტუბერკულოზით. 2005 ლევილიდან გადმოასვენეს თბილისში და ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს.

ლიტ.: დ. სილაქაძე, უცნობი ფურცელი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სამხედრო მოღვაწეობიდან, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ. V, თბ., 2012; გ. საითიძე, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, თბ., 2012.

დიმიტრი სილაქაძე

ჩრდილოეთი ფრონტი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს – რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის მიმდინარეობისას, რუსულმა არმიამ, კერძოდ თერგ-დაღესტნის მებრძოლთა ჯგუფმა (1921 წ-ის 7 მარტიდან თერგ-დაღესტნის მე-10 არმია. არმიის მეთაური მიხეილ ლევანდოვსკი) და მასთან დაკავშირებულმა პარტიზანულმა რაზმებმა საქართველოს ჩრდილოეთიდანაც შემოუტიეს. რუსული ნაწილები საქართველოში შემოვიდნენ დარიალის ხეობიდან, თრუსოს, როკის, მამისონისა და ღების უღელტეხილების გავლით. დარიალის ხეობიდან ქართულ პოზიციებს უტევდა ცალკეული მსროლელი ბატალიონი, 97-ე საარტილერიო დივიზიონის ნახევარბატარეა და განსაკუთრებულ საქმეთა შენაერთი ანუ იგივე ალექსანდრე გეგეჭკორის სახელობის პარტიზანული რაზმი. თრუსოს ხეობაში კი თრუსოს უღელტეხილიდან გადმოვიდა ოსური პარტიზანული 900-კაციანი რაზმი ბადილა გაგლოევის მეთაურობით. პარტიზანულმა რაზმა გადმოლახა როკის უღელტეხილიც. მამისონის უღელტეხილზე გადმოვიდა 33-ე მსროლელი დივიზიის 98-ე ბრიგადა და თერგის საკავალერიო დივიზიონი, ხოლო ღების უღელტეხილზე ოს პარტიზანთა 800-კაციანი შენაერთი. ხევის მიმართულებას საქართველოს მხრიდან იცავდა დარიალის სანაპირო რაზმი და დუშეთის გვარდიის ბატალიონის ნახევარი პოლკოვნიკ სიმონ წერეთლის მეთაურობით, ხოლო რაჭის მიმართულებას ასევე გვარდიის და სანაპირო რაზმის მცირე კონტინგენტი. ღებისა და მამისონის უღელტეხილებზე გადმოსული მოწინააღმდეგის შენაერთები აფხაზეთიდან შემოჭრილ მეცხრე არმიის ძალებს უნდა შეერთებოდა, როკის და თრუსოს უღელტეხილებიდან გადმოსული და დარიალის ხეობაში შემტევი რუსული ნაწილები კი თბილისის დამცველების ზურგში გასვლას ითვალისწინებდა, მაგრამ მათი წარმატება მთლიანად დამოკიდებული იყო თბილისზე შემტევი მეთერთმეტე არმიის წარმატებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დამხმარე ნაწილების შეტევას აზრი ეკარგებოდა. დარიალის ხეობაში ბრძოლა ქართველების გამარჯვებით დაიწყო. მათ ააფეთქეს ხეობაში შემოსასვლელი ხიდი და მოწინააღმდეგეს დარიალის ძალიან ვიწრო ხეობაში თავის შემოყოფის საშუალებას არ აძლევდნენ, 18 თებერვალს კავკასიის ფრონტის სარდლობამ დარიალის ხეობაზე შემტევ ძალებს ხიდის აღდგენა, სწრაფი გადაადგილება და თბილისის სამხრეთით შემტევ ნაწილებთან შეერთება უბრძანა, თუმცა რუსულმა ნაწილებმა ეს ვერ მოახერხეს. ამიტომ ალაგირში მდგარ ოსურ პარტიზანულ რაზმს ებრძანა თრუსოს უღელტეხილზე გადასვლა და თრუსოს ხეობით კობში, ყაზბეგსა და დარიალის ხეობაში მდგარი ქართული ნაწილების ზურგში გასვლა. 900-კაციანი პარტიზანული რაზმი 10 ტყვაიმფრქვევით 22 თებერვალს დაიძრა ალაგირიდან, გადალახეს რთულად გადასასვლელი 3149 მეტრი სიმაღლის დათოვლილი უღელტეხილი და 28 თებერვალს შევიდნენ კობში, თუმცა ამ დროისთვის ქართული ძალები ხევში აღარ იყვნენ, რადგანაც თბილისიდან უკან დახევისას, 24-25 თებერვალს, ხევის ტერიტორიაზე მყოფ ქართულ ძალებს უკან დახევის ბრძანება მიუვიდათ. რაჭის მიმართულებაზე მამისონის უღელტეხილი 98-ე მსროლელმა ბრიგადამ და თერგის საკავალერიო დივიზიონმა 25 თებერვალს გადმოლახა, მაღლევე მათ შეუერთდა ღების უღელტეხილიდან გადმოსული ოსური პარტიზანული შენაერთი. უღელტეხილებიდან გადმოსულმა ძალებმა 3 მარტს აიღეს ონი. ონის აღების შემდეგ ამ ძალების უმეტესი ნაწილი დაიძრა ქუთაისისაკენ და 10 მარტს შევიდნენ კიდეც ქუთაისში.

ლიტ.: დ. სილაქაძე, დარიალის დათმობა თბილისის დაკარგვის გამო: ხევში მიმდინარე ბრძოლები რუსეთ–საქართველოს 1921 წ-ის ომის დროს, ჟურ. „ისტორიანი“, თბ., 2016, №2 (62); ა. გიორგობიანი, გმირული ბრძოლების დღეები, თბ., 1967.

დიმიტრი სილაქაძე

ჩუბინაშვილი გიორგი (21.XI.1885, პეტერბურგი - 14.I.1973, თბილისი) - მეცნიერი, აკადემიკოსი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი. 1895-1905 წწ-ში სწავლობდა პეტერბურგის გერმანულ „რეფორმატულ“ სასწავლებელში. 1906 საქართველოში ჩამოვიდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მიახდინა ამ დროს ილია ჭავჭავაძის გაცნობამ. 1907 ჩაბარა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსო-



ჩუბინაშვილი გიორგი

ჩხეიძე ალექსანდრე

ფიის ფაკულტეტზე. პარალელურად ისმენდა ლექციებს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ციმბირელ შამანთა ფუნქციები“. 1914 მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის წოდება. 1914 წ-ის გაზაფხულზე იყო საქართველოში და იმოგზაურა სვანეთში. 1915 ნიკო მარმა ანისის (სომხეთის ძველი დედაქალაქის) გათხრებზე გაგზავნა. 1916 ანისის გათხრებს ხელმძღვანელობდა. გამოაქვეყნა კვლევა საორბისის 1152 წ-ის ეკლესიის შესახებ. 1916 დაბრუნდა პეტერბურგში. საბოლოოდ გადაწყვიტა ქართული ხელოვნების შესწავლა. ჩაირიცხა პეტერბურგში გრაფ ზუბოვის დაარსებულ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, სადაც ბიზანტიური ხელოვნების მკვლევრის, დიმიტრი აინალოვის ლექციებს ისმენდა. თავისუფალ მსმენელად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსულ განყოფილებაში. მისი ხელმძღვანელები იყვნენ: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი და იაკობ სმირნოვი.

1917 საბოლოოდ გადმოვიდა თბილისში. 1918 წ-ის ბოლოს მიიწვიეს ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პროფესორად. სათავეში ჩაუდგა მის მიერ შემქნილ ხელოვნების ისტორის კათედრას. ჰყავდა ერთი თანამშრომელი - ნიკოლოზ სევეროვი. უნივერსიტეტში შექმნა „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი“, რომელიც ქართული ხელოვნების დარგში პირველი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი იყო. ამ დროიდან დაიწყო სახელოვნებათმცოდნეო ექსპედიციებიც.1922 სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. აგრძელებდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში. 1930 წ-დან მოაწყო ქართული ხელოვნების გამოფენები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. იყო საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე. ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგე, არაერთი საბჭოსა თუ სამეცნიერო საზოგადოების წევრი. 1941 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში აირჩიეს. 1941 წ-ის 1 აპრილს ახლად შექმნილი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა და 32 წელი იყო ამ თანამდებობაზე. გ. ჩუბინაშვილის ინტერესის სფეროს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება შეადგენდა. იკვლევდა ქართული ხუროთმოძღვრების გენეზისს და ლითონმქანდაკებლობის ძირითად თავისებურებებს. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში. დღეს მისი სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევითი ცენტრი არსებობს.

ლიტ.: ვ. ბერიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ბიობიბლიოგრაფია, 1977.

სალომე ჭანტურიძე

ჩხეიძე ალექსანდრე დავითის ძე (05.VII.1873 - 1940/41 ?) - სამხედრო პირი. დაამთავრა თბილისი კადეტთა კორპუსი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1892. დაამთავრა ალექსანდრეს სახელობის მე-3 სამხედრო სასწავლებელი. სამსახური განაგრძო გრენადრეთა მე-16 პოლკში. შტაბს-კაპიტანია 1908. ამავე დროს იყო ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებლის ოფიცერი. კაპიტანი (1913). სამხედრო სასწავლებლის ასმეთაური. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. პოლკოვნიკი (1915). 1916-1917 წწ-ში მსახურობდა კავკასიის მსროლელთა მე-15 პოლკში. ჯილდოები: წმ. ანას მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლები. 1918 წ-დან საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია. იყო სამხედრო სკოლის უფროსის მოადგილე. 1921 წ-ის თებერვალში, საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ, დაინიშნა სკოლის უფროსად და მეთაურობდა სკოლას ტაბახმელაზე ბრძოლებისას. წავიდა ემიგრაციაში. 1922 წ-დან პოლონეთშია. 1922-1923 წწ-ში ასწავლიდა რემბერტოვოს სამხედრო კურსებზე. გენერალი (1923). შემდეგ ერთი წელი ვარშავის ქვეითთა სკოლაში კურირებდა ქართველ მსმენელთა ჯგუფს. შემდეგ მსახურობდა ოფიცერთა საკავალერიო სკოლასა და მე-16 ქვეითთა პოლკში. 1927-1931 წწ-ში პოზნანში დისლოცირებული მე-14 ქვეითთა პოლკის მეთაურია. თადარიგში გასვლის შემდეგ ცხოვრობდა ლვოვში. იყო „ქართველ მხედართა კავშირის“ გამგეობის წევრი და 1928 შექმნილი „ქართველ იუნკერთა კავშირის“ საპატიო თავმჯდომარე. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრაციაში გამომავალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. ავტორია მოგონებებისა სამხედრო სკოლაზე. 1939 წითელი არმიის მიერ ლვოვის დაკავებისას ტყვედ ჩავარდა. 1940 წ-ის ივნისს გადაიყვანეს კიევში, НКВД-ს ციხეში, ხოლო დეკემბერში - მოსკოვში, სადაც დახვრიტეს (1941).

ლიტ.: ა. *ჩხეიძე*, სამხედრო სკოლა, ჟურ. „მხედარი“, №1-4, 1991; Русская армия в Первой мировой войне. http://www. grwar. ru/manIfest/manIfest. html.

მიხეილ ბახტაძე

ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე (1888, სოფ. ვარდისუბანი - 23.XII.1948, თბილისი) - სწავლობდა თბილისის ვაჟთა მეორე ტექნიკუმში. სწავლის პერიოდშივე ჩაება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში. სწორედ პოლიტიკური საბაბით რამდენიმეჯერ დააკავეს. 1906 რსდმპ-ს წევრი გახდა. 1911 შევიდა კიევის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიური განხრით. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო პედაგოგად. კიევში, სხვა ქა-

რთველებთან ერთად, გამოსცემდა ჟურნალ „Заря“-ს. 1919 აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1922 დაიჭირეს და ჩეკამ მიუსაჯა პატიმრობა მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობის გამო. გათავისუფლების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1948 ჯილდოც მიიღო განათლების სფეროში მოღვაწეობისთვის.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ჩხეიძე დავით მელიტონის ძე – (დია ჩიანელი) (1890, სოფ. დიმი, ქუთაისის მაზრა - 1945) - მწერალი. 1915 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი. რევოლუციური საქმიანობის გამო გადაასახლეს ბაქოში. 1915-1917 წწ-ში ბაქოს გიმნაზიაში ასწავლიდა. 1917 ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. 1917-1933 წწ-ში იყო ქუთაისის ქალთა გიმნაზიის პედაგოგი. 1918 გამოსცა პირველი წიგნი, ნოველებისა და ლეგენდების კრებული „შემოდგომის ცრემლები“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში წიგნის პოპულარიზება ხდებოდა და შეძენისკენ მოუწოდებდნენ მკითხველთ. მაგ., ოფიციალურ სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1919 წ-ის 30 იანვარს გამოქვეყნდა ცნობა დია ჩიანელის წიგნის „შემოდგომის ცრემლების“ დაბეჭდვასა და მაღაზიებში მის გაყიდვასთან დაკავშირებით. 1919 წ-ის აპრილში ჟურ. „თოლაბაურის სარტყელში“ წიგნის შეფასება გამოქვეყნდა. 1919 წ-ის მარტში ჟურ. „თეატრსა და მუსიკაში“ პიესა „საქართველოს მასკარადი“ დაიბეჭდა, მისი გაგრძელება კი - ამავე წლის ჟურ. „ხელოვნებაში“. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ქუთაისში აქტიურ კულტურულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1919 მისი რომანი „ქეთო“ ორ ნაწილად გამოიცა. 1919 „წითელის“ ფსევდონიმით ჟურ. „თეატრსა და ცხოვრებში“ მასზე წერილი დაიწერა.

1926-1928 წწ-ში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის, 1928-1931 წწ-ში საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის, 1932-1937 წწ-ში ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე. 1929 რომანი „გიონ დარნა“ დაბეჭდა. 1926-1934 წწ-ში მისი პიესები დადგეს რეჟისორებმა: მ. ქორელმა, კ. მარჯანიშვილმა, შ. მანაგაძემ, ნ. გოძიაშვილმა. 1933 დაბეჭდა პროზაული კრებული „ორბი“. დია ჩიანელის პიესებია „ურაგანი“, „ბეთქილი“, „ბაილი“, „ნაირმალი“. გარდაიცვალა 1945 წ-ს.

ლიტ.: რ. კვერენჩხილაძე, დავით ჩხეიძე, ქსე, ტ. XI, თბ.,1987; ჟურ. „თეატრი და მუსიკა“, 1919, №1; ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №13; ჟურ. „ხელოვნება“, 1919, №2; ჟურ. „თოლაბაურის სარტყელი“, 1919, #№; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №23.

სალომე ქანტურიძე

ჩხეიძე მარიამ ილიას ასული (1888, ყვირილა - 1937) - სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. იურისტი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობდა ნაფიც-ვექილად. ადრეულ ასაკში შეუერთდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას.

1918 წ-ის შემოდგომაზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ დაასახელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრად. იყო პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის წევრი, შემდგომ კი კომისიის მდივანი. საარქივო წყაროების თანახმად, აქტიურად მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში, ევალებოდა თეორიული მასალების შეგროვება და კომისიისთვის გაცნობა. 1919 წ-ის თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა, საკანდიდატო სიაში 31-ე ნომერი იყო. დამოუკიდებლობის პერიოდში იყო ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობის წევრი. აქვეყნებდა წერილებს ესერთა პარტიულ გაზეთ „შრომაში“. 1921 წ-ის იანვარში სოციალ-რევოლუციონერების მიერ გამოქვეყნებული საკონსტიტუციო პროექტის მთავარი დებულებები სწორედ მისი შემუშავებული იყო.

ჩხეიძე დავით

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. თავდაპირველად მუშაობდა სასამართლო უწყებებში, თანამშრომლობდა სოციალ-რევოლუციონურ ჯგუფებთან. შეეწირა საბჭოთა ტერორს, დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119, 127, 201. ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 191; გაზ. „შრომა“, 1921, №4.

ირაკლი ირემაძე

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე (9.IV.1864, სოფ. ფუთი, შორაპნის მაზრა - 9.VI.1926, საფრანგეთი) - ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებებელი კრების თავმჯდომარე. ადრეულ ასაკში გაიტაცა კარლ მარქსის იდეებმა და მისი თეორიის კარგი ცოდნისათვის თანამოაზრე ამხანაგებმა კარლო შეარქვეს. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო უკრაინაში. 1887 გარიცხეს ნოვოროსიისკის უნივერსიტეტიდან, რის შემდეგაც შევიდა ხარკოვის ვეტერინარულ ინსტიტუტში თავისუფალი მსმენელის რანგში, საიდანაც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 1888 გარიცხეს რევოლუციური იდეების გამო. 1892 თანამოაზრეებთან ერთად აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია „მესამე დასს“. 1907-1912 და 1912-1917 წწ-ში იყო მე-3 და მე-4 სახელმწიფო სათათბიროების დეპუტატი და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე.

ჩხეიძე ნიკოლოზ

1917 წ-ის მარტიდან ოქტომბრამდე იყო პეტერბურგის, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1918 წ-ის თებერვალში გახდა საკანონმდებლო ორგანოს - ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, ხოლო ამავე წლის 26 მაისიდან ჯერ ეროვნული საბჭოს (პარლამენტის), ხოლო შემდეგ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. კაკი წერეთელთან და ბიქტორ თევზაიასთან ერთად, წარმოადგენდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა მემარცხენე, ყველაზე არანაციონალისტურ ფრთას, რუსული მენშევიზმის ნაყოფს. თუმცა, რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შეძლო ეროვნულ ინტერესთა შესაბამის სიმაღლეზე დადგომა. 1918 წ-ის ბოლოს დაინიშნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნი ქართული დელეგაციის თავმჯდომარედ. ხელმძღვანელობდა ქართულ დელეგაციას ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზეც. ამ დროს თბილისი ხშირად მოწყვეტილი იყო ევროპასთან კავშირს და სწორედ კ. ჩხეიძე, მთელ დელეგაციასთან ერთად, უწევდა კოორდინაციას საქართველოს ევროპულ მისიებს. არ უყვარდა რისკი. 1920 სან-რემოს კონფერენციაზე, როდესაც მასზე იყო დამოკიდებული სომხეთთან შეთანხმების გაფორმება, ბათუმის გავლით გამავალი სომხური რკინიგზისთვის ექსტერიტორიული უფლების მინიჭების ხარჯზე, მან საკუთარ თავზე ვერ აიღო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ერთი მხრივ, საქართველომ დაკარგა მეზობელთან შეთანხმების მიღწევის შანსი, ამით შეიარაღების მიღებასაც შეეშალა ხელი, ხოლო მეორე მხრივ ჩხეიძის პოზიცია გასაგები იყო, ის ვერ ივაჭრებდა საქართველოს ტერიტორიებით. ფრანგული კარგად ესმოდა, თუმცა ვერ ლაპარაკობდა. შესაბამისად, ლოიდ ჯორჯთან, კლემანსოსთან, ნიტისთან და მსოფლიოს სხვა ლიდერებთან ის ხელმძღვანელობდა დელეგაციას, მაგრამ უშუალოდ საუბარი მის ნაცვლად ირაკლი წერეთელს და ზურაბ ავალიშვილს მიჰყავდათ.

ჩხეიძე ნინო

1921 წ-ის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებულმა საქართველოს ანექსიამ იძულებული გახადა საზღვარგარეთ ემიგრაციაში გადახვეწილიყო, სადაც გააგრძელა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიები აქტიურად იწვევდნენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობისთვის (1921 წ-ის დანიის სოციალ-დემოკრატიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კოპენჰაგენის სოციალისტურ კონფერენციაზე; ბერლინში „ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის“ კონფერენციაზე; ინტერვიუები ფინურ, დანიურ და გერმანულ ჟურნალ-გაზეთების კორესპოდენტებთან; ჩანაწერები ევროპის სოციალისტური პარტიებისა და II ინტერნაციონალის მოღვაწეებთან: ველსთან, მიულერთან, ლობესთან, ებერტთან და სხვა წევრებთან გამართული შეხვედრების შესახებ და სხვ). საყურადღებოა კ. ჩხეიძის შრომები: „მარქსიზმი და ლენინიზმი“, „ბოლშევიზმის დახასიათება“, „ხუთი წელია ბოლშევიკები აბედნიერებენ საქართველოს“, სხვადასხვა სტატიები, სადაც ეხმაურება 1924 წ-ის აჯანყებას და სხვ. ემიგრაციაში მყოფი პარიზთან ახლოს მდებარე სოფელ ლევილში, ქართველთა მამულში, მეუღლესა და უმცროს ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. დიდ დახმარებას უწევდა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, შეძლებისდაგვარად ზრუნავდა საქართველოში მოშიმშილე მოსახლეობისთვის დახმარების გასაწევად. მისი ინიციატივით ჟენევაში დაარსდა საქართველოს დახმარების საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც შვეიცარიელი ჟან მარტინი ხელმძღვანელობდა.

1924-1925 წწ-დან კ. ჩხეიძის, ისევე როგორც ლევილში მცხოვრები სხვა ქართველების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. შიმშილი, უსახსრობა და უიმედობა ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას ანიჭებდა, უკმაყოფილო იყო საბინაო პირობებითაც. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სიკვდილამდე ქაღალდზე ერთი ფრაზა დაწერა: „ჩემს სიკვდილში ბრალი არავის დასდვათ“. უგონო მდგომარეობაში მყოფი, საავადმყოფოში 4 დღეს აცოცხლეს, რის შემდეგაც გარდაიცვალა. დაკრძალეს პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

ლიტ.: სცსა, ფ. N2115; გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ.,2003; ის. რამიშვილი, მოგონებები, თბ., 2012.

დოდო ჭუმბურიძე

ჩხეიძე ნინო (ნუცა) პლატონის ასული (12.X.1881, ქუთაისი - 14.VIII.1963, თბილისი) - მსახიობი. მამა, პლატონ ჩხეიძე, ვექილი იყო, დედა - ევგენია ნიკოს ასული ქორქაშვილი კი სცენისმოყვარე. სწავლა ოჯახში დაიწყო. წერა-კითხვა კოტე მესხის დებმა, ეფემია და ნინო მესხებმა შეასწავლეს. სკოლაში არასოდეს უსწავლია, რადგან მამა ბავშვის გიმნაზიაში სწავლის წინააღმდეგი იყო. იზრდებოდა თეატრალურ წრეში, იყო თვითგანვითარებული. უფროსი და მარიამი (მაშო) კოტე მესხის დასში თამაშობდა. ამიტომ ბავშვობიდანვე ნინოს დაინტერესება თეატრით შემთხვევითი არ იყო. 1894 პირველად გამოვიდა ქუთაისის სცენაზე. ვლ. მესხიშვილის გასტროლის დროს დაიდგა „დამნაშავის ოჯახი“. სპექტაკლში ემმას როლი შეასრულა, მისი დის, მარიამის, ავადმყოფობის გამო როლი ნინოს მისცეს. სპექტაკლის ნახვის შემდეგ წარმატება ვლ. მესხიშვილმა უწინასწარმეტყველა. 1894 ქუთაისის თეატრად ქალაქის ცენტრალურ ბაღში აღმართული პავილიონი ითვლებოდა, რომელიც ამავე წელს

დაიწვა. კოტე მესხმა ქუთაისის მსახიობებისაგან ახალი დასი შექმნა და თბილისში გაემგზავრა. ამ ამხანაგობასთან ნინოსაც მოუხდა თამაში დიუმას პიესაში „ცოდვის შვილი“. იმ გაზაფხულს შესრულებული როლებით იმდენად მიიქცია თეატრალური საზოგადოების ყურადღება, რომ შემოდგომაზე თბილისის დრამატული საზოგადოების მიწვევით გამოდიოდა. დასს ლადო მესხიშვილი რეჟისორობდა. თბ. დრამ. საზ. დასში იმხანად ასაკოვანი მსახიობი, ავალიშვილის ქალი შედიოდა, რომლის ნაცვლად მთავარ როლზე საზოგადოება ნინოს ჩართვას ითხოვდა. ამის შესახებ წერილები პრესაშიც დაიბეჭდა. 1896 უკვე ქუთაისში, ლადო მესხიშვილის დასში იყო, ქალის დრამატული როლების შემსრულებლების არყოფნის გამო ნინოს მთავარი როლები შეხვდა. ასრულებდა დეზდემონას, კორდელიას როლებს. მესხიშვილის დასთან ერთად ნინო ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ბაქოში, ყარსში მოგზაურობდა და თამაშობდა. 1897 ვასო ბალანჩივაძემ დადგა „უბედური ნაბიჯი“, რომელშიც ვარვარა პეჩორინას როლი შეასრულა. ეს სპექტაკლი ნ. ჩხეიძის წარმატებული სასცენო მოღვაწეობის დასაწყისად მიიჩნევა. თუმცა, ამ დროს დაეღუპა დედა და სცენისმოყვარე და მარიამი, 2 წლით ადრე - მამა. დარჩა უსახსროდ, ორ ძმასა და დასთან ერთად. 1903-1904 წწ-ში თბილისში გადავიდა, ვ. აბაშიძის, კ. მესხისა და კ. შათირიშვილის რეჟისორობის დროს. 1904 ჯვარი დაიწერა რეჟისორ მ. ქორელზე. 1905 თბილისის დასმა მუშაობა შეაჩერა. 1905 ავადმყოფობის გამო მეუღლესთან ერთად პარიზში გაემგზავრა, სადაც ხუთი თვე ცხოვრობდა. იქ გაუჩნდათ შვილი მედეა. 1906 წ-ის მაისის თვეში ქმარ-შვილით თბილისში დაბრუნდა. 1906-1909 წწ-ში თბილისის დასში თამაშობდა. 1909 ქუთაისში გადავიდა, სადაც 10 წლის განმავლობაში მსახურობდა.

1918-1919 წწ-ში მისი შემოქმედებით იმდროინდელი პერიოდული გამოცემები აქტიურად დაინტერესდა. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაიბეჭდა მისი არაერთი ფოტო და წერილი მის შემოქმედებაზე. მისი ჩანახატი შეასრულა შალვა ქიქოძემ - „გაწყვეტილი სიმი - ელენე“. იყო არაერთი პოეტის მუზა, მასზე ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1918 ქუთაისის სცენის პარალელურად, 12 სპექტაკლში ითამაშა თბილისის სცენაზე. 1919 წ-ის 1 ივნისს სასცენო მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა. მისი იუბილე ჯერ დასავლეთ საქართველოს სცენაზე აღნიშნეს, შემდეგ კი თბილისში, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ღონისძიებების ჩატარებაზე უნდა ეზრუნა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დააჯილდოვა.

1921-1922 წწ-ში იყო ჭიათურის თეატრის მსახიობი. 1922-1925 - 1938-1948 წწ-ში თბილისში, რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა, 1925-1926 წწ-ში - ბათუმის თეატრის სცენაზე, 1927-1928 წწ-ში - თბილისის მუშათა თეატრში. 1927 წ-დან იღებენ ფილმებში: 1930 წ-ს „საკანი 79“ (რეჟისორი შ. ბერიშვილი), „ნახვამდის“ (რეჟ. მაკაროვი), 1936 ს. დოლიძის ფილმში „დარიკო“ და სხვ. 1941 საბჭოთა მთავრობამ „შრომის წითელი დროშის ორდენით“ დააჯილდოვა. 1946 წ-ს გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. 1950 წ-ს ლენინის შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს. ავტორია წიგნისა „მოგონებები“, რომელიც 2-ჯერ გამოიცა. ქართულ სცენაზე შექმნა 300-მდე როლი: ზეინაბი, მარგარიტა გოტიე, მაგდა, ნორა, მედეა, ქეთევანი, დეზდემონა, კორდელია და სხვა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი არქივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა, წ. II, რედ. ი. მოისწრაფიშვილი, 2012; ს. ასლანიშვილი, ნინო ჩხეიძის ასული, ჟურ. „ხელოვნება“, 1919, №2; ჟურ. „თეატრი და მუსიკა“, 1919, №1; ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №6, №15; გაზ. „ერთობა“, 1918, №119; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №755; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №77.

სალომე ჭანტურიძე

ჩხეიძე უშანგი ვიქტორის ძე (28.XI.1898, სოფ. ფუთი, შორაპნის მაზრ. - 01.XII.1953, თბილისი) - ქართველი მსახიობი. საქართველოს სახალხო არტისტი (1933). მიაბარეს ზესტაფონის კერძო სკოლაში. 1918 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პარალელურად მეცადინეობდა რეჟისორ გ. ჯაბადარის თეატრალურ სტუდიაში. თავდაპირველად მონაწილეობდა მუშათა თეატრების (ავჭალის აუდიტორის, ავლაბრის თეატრი, თბილისის მუშათა ცენტრალური კლუბი) წარმოდგენებში. 1920 წ-დან მუშაობდა თბილისის ქართული დრამის, ხოლო 1921 წ-დან რუსთაველის სახელობის თეატრში. წარმატებით შეასრულა როლები: ვიქტორი და არისტო (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება” და „სამანიშვილის დედინაცვალი”), ელიზბარი (ს. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდი”), მეფე ჯიმშერი (ი. გედევანიშვილის „სინათლე”), ინკუბუსი (ს. შანშიაშვილის „ლატავრა”), ფილი კულენი (ჯ. სინგის „გმირი”) და სხვ.

ჩხეიძე უშანგი

1925 ბრწყინვალედ განახორციელა ჰამლეტის სახე (უ. შექსპირის „ჰამლეტი”) და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. გადავიდა კ. მარჯანიშვილის მიერ ახლად დაარსებულ ქუთაისის თეატრში (1928-1930), ხოლო 1930 წ-დან - თბილისში. დაწერა წიგნები: „კ. მარჯანიშვილი - რეჟისორი და მასწავლებელი” (1949), „მოგონებები და წერილები” (1956). კინოში შეს-



ჩხენკელი აკაკი

ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე (19.V.1874, სოფ. ოქუმი - 1959) - ქართველო სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი ეროვნული საბჭოსა (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში. დაიბადა მრავალშვილიანი მღვდლის ოჯახში. მამა - ივანე ჩხენკელი ხონიდან იყო და იმდროინდელმა საეგზარქოსომ გაამწესა აფხაზეთში სამუშაოდ, დედა - ბოჭორიშვილის ქალი. ჩხენკელებმა ქვეყანას გაუზარდეს სახელოვანი შვილები (სამი ვაჟი და ორი ქალი), რომელთა შორის აკაკი და კიტა ჩხენკელები არა მარტო ქართულ საზოგადოებაში, არამედ ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და კულტურულ წრეებშიც კარგად იყვნენ ცნობილი. ხონის სასწავლებლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, გაფიცვაში მონაწილეობის გამო, სასწავლებლიდან გარიცხეს (1893). 1896-1901 წწ-ში რუსეთშია, კიევში, მოსკოვსა და პეტერბურგში, სწავლობს იურიდიულ მეცნიერებას. სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისთვის სწავლა ვეღარ გააგრძელა და სამშობლოში დაბრუნდა. 1902-1904 წწ-ში აფხაზეთში ადვოკატად მუშაობდა, ებრძოდა რუსეთის დამპყრობლურ-შოვინისტურ პოლიტიკას, წერდა სტატიებს ქართულ და რუსულ პრესაში, მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამავე პერიოდში ცოლად შეირთო მაკრინე სიმონის ასული თურქია და საზღვარგარეთ წავიდა სასწავლებლად. ცხოვრობდა ბერლინში, ვენაში, პარიზში, ლონდონში, ეცნობოდა სოციალისტურ იდეოლოგიას, ამ თემაზე დაწერილ ნაშრომებს, ესწრებოდა სოციალისტურ კონფერენციებსა და კონგრესებს. 1907 დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი და სწავლა გააგრძელა შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში. 1909 სამშობლოში დაბრუნებული, წერს ეროვნულ საკითხებზე. 1910 დააპატიმრეს, ჯერ მეტეხის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი როსტოვში გადაასახლეს. 1912 სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით გახდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან. სათათბიროს ტრიბუნიდან იცავდა ე. წ. „მოღალატე აჭარლების“ უფლებებს. ბევრი ადამიანი სიკვდილით დასჯას გადაარჩინა. 1912 სათათბიროს ტრიბუნიდან გააპროტესტა ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების შელახვა და მოითხოვა ეროვნულ-კულტურული ავტონომია.

1917 წ-ის რევოლუციის შემდეგ შევიდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობაში და ხელმძღვანელობდა ყველა ქართული პრობლემის მოგვარებას. 1917 წ-ის ნოემბერში გამოცხადებულ ამიერკავკასიის კომისარიატში შინაგან საქმეთა კომისრის პოსტი ეკავა, ხოლო როდესაც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რეპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ახალი სახელმწიფოს მთავრობის თავმჯდომარე გახლდათ. იმავდროულად, უაღრესად ენერგიულ მოღვაწეობას ეწეოდა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის. იყო 1917 წ-ის აპრილში შექმნილი ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე. როდესაც 1918 წ-ის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციებს ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე, აგრეთვე, 1918 წ-ის ივნისში გერმანიის მთავრობის წინაშე მივლინებულ ქართულ დელეგაციას. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. ბევრი იღვაწა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის, ერთა ლიგაში მისი გაწევრიანებისათვის.

როდესაც 1921 წ-ის თებერვალში საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო, საქართველოს პირველი ელჩი საფრანგეთში, ა. ჩხენკელი, დიდი პატივით მიიღეს ელისეს სასახლეში. თავად ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა, მილიერანმა, გადასცა მას ელჩის მანდატი. ცამეტი წელი გაგრძელდა მისი დიპლომატიური მოღვაწეობა საფრანგეთში, სანამ ქართული ლეგაცია არ გაუქმდა და აზრი არ დაკარგა მისმა არსებობამ (1933). ლეგაციის გაუქმების შემდეგაც არ შეუწყვეტია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ევროპელების ყურადღების მობილიზება საქართველოს პრობლემებისადმი, ურთიერთობა ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების ემიგრაციასთან. მისი არქივი ერთ-ერთი საუკეთესოდ შენახული და მოწესრიგებულია, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მისი შემდგენლის ხასიათსა და პასუხისმგებლობაზე თანამედროვე თუ მომავალი საქართველოს წინაშე. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: ზ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, თ. ნ ო ზ ა ძ ე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ა. თ ე ვ ზ ა ძ ე, უშანგი ჩხეიძე, თბ., 1955; უ. ჩ ხ ე ი ძ ე, მოგონებები და წერილები, ხელოვნება, 1956; Э. Г у г у ш в и л и, Д. Д ж а н е л и д з е, Грузинский государственный драматический театр им. К. А. Марджанишвили, Тб., 1958.

მერაბ გეგია

ლიტ.: სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, აკაკი ჩხენკელის პირადი ფონდი; სცსა, ფ. 1864, აღწ. 2; გ. საითიძე, აკაკი ჩხენკელის პირველი გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ჟურ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2002, №2.

დოდო ჭუმბურიძე

ჩხეტიანი ქრისტეფორე პავლეს ძე (1873 - 1933) - გენერალი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1915). დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის მე-4 ხარისხისორდენით.1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. გენერალი (1918). 1918 წ-ის დეკემბერში, სომხეთთან ომის დროს, იყო შულავერის ფრონტზე მოქმედი შენაერთების მეთაური. 1921 იყო ზურგის უფროსი. წავიდა ემიგრაციაში.

ლიტ.: М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, 2007. მიხეილ ბახტაძე

ჩხიკვაძე ზაქარია ივანეს ძე (23.II.1862, თელავი - 27.IV.1930, თბილისი) - ლოტბარი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შემკრები, მეცნიერი, მკვლევარი. დაამთავრა ჯერ თელავის, შემდეგ, 1884 თბილისის სასულიერო სემინარია. ვ. აუშევის კლასში მ. ბალანჩივაძესთან ერთად სწავლობდა. იყო ხ. სავანელის მოწაფე. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას შექმნა მოწაფეთა სამუსიკო გუნდი. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე გალობა-სიმღერის მასწავლებლად მუშაობდა. პარალელურად თელავის სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა. 1889-1907 წწ-ში თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიასა და მის მიერვე დაარსებულ უსინათლოთა სკოლაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობდა. 1890 გამოიცა მის მიერ შეკრებილი და რედაქტირებული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების კრებული „სალამური“. გაიცნო და დაუმეგობრდა პ. ჩაიკოვსკის, რომელსაც გადასცა რვეული ქართული ხალხური სიმღერების ნოტებით. ასე მოხვდა ცნობილი ქართული „იავნანა“ ბალეტ „მაკნატუნაში“. აღნიშნულ მელოდიას ჩაიკოვსკიმ „არაბული ცეკვა“ უწოდა. 1905 ზ. ფალიაშვილთან, ა. ყარაშვილთან და ი. კარგარეთელთან ერთად, მონაწილეობდა ქართული ფილარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე დააარსა პირველი ქართული სამუსიკო სასწავლებელი და თავადვე ხელმძღვანელობდა მას. სიღნაღსა და თელავში დააფუძნა სამუსიკო სკოლები. 1913 წ-დან ქართული ფილარმონიული გუნდის ლოტბარი იყო. დამოუკიდებელ საქართველოში, 1919 წ-ის ჩათვლით, კვლავ აგრძელებდა ქართული ფილარმონიული გუნდის ლოტბარის თანამდებობაზე მუშაობას. 1919 სოხუმში ქართული ფილარმონიული საზოგადოების ფილიალი დააარსა. იმავე წლიდან სიღნაღსა და თელავში მის მიერვე დაფუძნებული მუსიკალური სკოლების დირექტორი და პედაგოგი იყო.გასაბჭოების შემდეგ მუსიკალური სასწავლებლების დირექტორის თანამდებობა 1922 წ-მდე შეინარჩუნა, 1925 წ-მდე კი აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. 1925-1930 წწ-ში საქართველოს ხელოვნების მუზეუმში სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. 1925 წ-დან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გ. ჩუბინაშვილის მიერ დაარსებულ ქართულ სიძველეთა მუზეუმს ხელმძღვანელობდა. წერდა წერილებს, იკვლევდა ძეგლებს და ძველ წარწერებს.

ლიტ.: რ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა



ჩხიკვაძე ზაქარია



ჩხიკვიშილი ბენია

ჩხიკვიშვილი ბენიამინ გრიგოლის ძე (1881, სოფ. საყვავიასტყე, ჩოხატაურის მაზრა - 1924) - ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დაამთავრა ჩოხატაურის ერთკლასიანი სასწავლებელი. სწავლობდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, მაგრამ არ დაუსრულებია. აქტიურად იყო ჩართული მეოცე საუკუნის დასაწყისის სოციალურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. 1901-1903 წწ-ში გამოდოდა თბილისისა და ბათუმის რევოლუციურ შეკრება-მანიფესტაციებზე. იყო არაორდინალური, რადიკალური. ზოგჯერ თავისი მოუთმენელი ხასიათით პრობლემებს ქმნიდა. უფრო მემარცხენე სოციალისტი იყო, რის გამოც ბოლშევიზმთან სიახლოვეს საყვედურობდნენ, თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ბოლომდე უერთგულა და თავიც შესწირა. მისი ბიოგრაფია სავსეა დეტალებით, საიდანაც ჩანს მისი შეუპოვარი ხასიათი, ნიჭი და გაბედულება. 1903 წ-ის გაზაფხულზე ბათუმის ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს, როცა სამხედრო შტაბს მიუახლოვდნენ, მორიგე ოფიცერს თითქმის ცხვირთან მიუტანა ხელი და ცხვირ-პირში მიახალა: „ძირს შენი ნიკოლოზი!“ და გაიქცა. პირველი რევოლუციის დროს ბათუმში რევოლუციურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა ნ. რამიშვილსა და ნ. ხომერიკთან ერთად. იყო გურიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ნესტორ კალანდარიშვილთან ერთად უძღვებოდა ნასაკირალის ბრძოლას. გამოვიდა სოფელ ხიდისთავში გამართულ დიდ მიტინგზე, დაგმო და ხალხის მოტყუებად შეაფასა 17 ოქტომბრის მანიფესტი. მისი თაოსნობით 1905 წ-ს დაშალეს ოზურგეთის საქალაქო საბჭო და მოიწვიეს „გურიის დროებითი პარლამენტი“, რომლის თავმჯდომარის არჩევნებში 970 ხმიდან 958 ხმა მიიღო. გურიის რესპუბლიკის გამოცხადების

შემდეგ იყო მისი მმართველი და უწოდებდნენ გურიის პრეზიდენტს და გურიის მეფესაც. ამ პროცესებში მონაწილეობისათვის დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. როდესაც ნასაკირალის აჯანყების მონაწილენი გაასამართლეს, პროცესზე შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. პროცესი დემონსტრაციად გადაიქცა. ამიტომ, ეს პროცესი თბილისში დახურეს და გადაიტანეს ოდესაში, სადაც აჯანყების ყველა მონაწილეს ციმბირში გადასახლება და კატორღა მიუსაჯეს. ბ. ჩხიკვიშვილს ოთხი წელი კატორღა მიესაჯა.

მოგვიანებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ეკავა თბილისის ქალაქის თავის თანამდებობა (1919-1920). იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. აქტიურად ებრძოდა ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს. როგორც ქალაქის თავი, მთელი მონდომებით იბრძოდა სპეკულაციის წინააღმდეგ, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების, მათ შორის ქოლერის გავრცელების წინააღმდეგ. პარლამენტარის მოვალეობის შესრულებისას მას კონფლიქტი მოუვიდა დეპუტატ შალვა ნუცუბიძესთან, ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ პასუხი მოსთხოვა ნუცუბიძეს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას დარბაზიდან გაკეთებული რეპლიკის გამო. ჩხიკვიშვილმა ნუცუბიძეს სახეში გაარტყა. დეპუტატის საქციელმა ფართო საპროტესტო გამოხმაურება პოვა უნივერსიტეტის სტუდენტებში, ისინი გამოვიდნენ დემონსტრაციაზე და ჩხიკვიშვილის პარლამენტიდან გაძევება მოითხოვეს. სტუდენტების ნაწილმა დაიცვა დეპუტატი და ეს ინციდენტი კერძო შემთხვევად ჩათვალა, მოითხოვა, რომ პოლიტიკური მიზნით ეს არ გამოეყენებინათ. 1919 გახდა აფხაზეთის გუბერნატორი, 1920 ქუთაისის, შემდეგ კი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი. 1921 წ-ის მარტში დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

1921 საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში. იქ იყო ლევილ-სიურ-ორჟის, საქართველოს დევნილი მთავრობის ადგილსამყოფელი სოფლის მეპატრონე.1924 წ-ის მაისში დაბრუნდა საქართველოში, რათა მონაწილეობა მიეღო 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყებაში, მაგრამ 25 ივლისს დააპატიმრეს აჯანყების სხვა მეთაურებთან, გოგიტა ფაღავასთან, ნოე ხომერიკთან, ვასო ნოდიასთან და გიორგი წინამძღვრიშვილთან ერთად. დაპატიმრებულები დახვრიტეს რუსეთის ტერიტორიაზე. 1919 შევსებულ ანკეტაში ის ასახელებდა ოჯახის წევრებს: ცოლს, ხუთი და სამი წლის ასაკის შვილებს, დედას, დას და ძმას.

ლიტ.: ვ. ა. სტაროსელკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, თბ., 1928; ი. მახარაძე, გურიის რესპუბლიკა; გურიის გლეხთა მოძრაობა 1902-1906 წლებში, თბ., 2016; სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 1378; გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003.

დოდო ჭუმბურიძე

ცაბაძე ვასილ ზაქარიას ძე (1872, სოფ. საციხური, გორის მაზრ. – VIII,1924, თბილისი) - თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში. სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. იყო რევოლუციონერ-დემოკრატთა დასის წევრი იოსებ სტალინთან ერთად 1901. მუშათა წრეების ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი. 1901 წ-ის 11 ნოემბერს შემდგარ თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე აირჩიეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი, რომლის ერთ-ერთი წევრი იყო ვ. ცაბაძე, ი. სტალინთან და სხვებთან ერთად. თავდაპირველად ბოლშევიკურ ფრაქციაში შედიოდა, თუმცა შემდგომ მენშევიკებს მიემხრო. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების სარევიზიო კომისიის წევრი.

1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ეხმარებოდა თანაპარტიელებს ციხიდან გათავისუფლებაში. 1924 წ-ის აჯანყების დაწყებისთანავე ჩეკამ დააპატიმრა და დახვრიტა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი მეექვსე, რედ. ა. სურგულაძე, თბილისი, 1972.

ნოდარ ჩხაიძე

ცაგარეიშვილი გერასიმე (1884, სოფ. გოჩა ჯიხაიში - 14.XII.1927) - ცნობილი პედაგოგი. 1883 დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1893 დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს იაკობ ფანცხავასთან ერთად ბათუმში გახსნა პირველდაწყებითი სკოლა პანსიონით და გაკვეთილების გასამეორებელი კლასებით; 1894 მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში, წარმატებით ასწავლიდა რუსულ და ლათინურ ენებს, ისტორიას, გეოგრაფიას, არითმეტიკას. 1904-1905 სასწავლო წლიდან ქუთაისის სააზნაურო სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა და მალე გადაიქცა განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ კერად დასავლეთ საქართველოსათვის. გ. ცაგარეიშვილი ყველა კულტურული დაწესებულების და ღონისძიების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. ამავე დროს ის რამდენჯერმე იყო არჩეული ქუთაისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად; ს. ს. ხუნდაძესთან ერთად, იგი გიმნაზიის ინსპექტორად აირჩიეს და თანამდებობაზე დარჩა გიმნაზიის ტექნიკუმად გადაკეთებამდე. მან თავისი წვლილი შეიტანა სკოლის გაეროვნების საქმეშიც. 1920 გამოიცა მისი გეოგრაფიის სახელმძღვანელო. ექვსი წელიწადი მუშაობდა საბჭოთა სკოლაში.

ლიტ.: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, წიგნი II, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1955; ქუთ. სახ. ისტ. არქ. ფ. 9, საქ. 1535.

დოდო ჭუმბურიძე

ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე (1844, კასპი - 1929, თბილისი) - ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი. 1856 დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1867 წ-დან სწავლობდა პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში, მაგრამ მალე პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გადავიდა. 1968 წ-დან სწავლობდა გერმანიასა და ავსტრიაში. ისმენდა ლექციების ციკლს მიუნხენისა და ტუბინგენის უნივერსიტეტებში. 1871 წ-დან განაგებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას. 1874-1875 წწ-ში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში. 1886 წ-დან იყო ამავე უნივერსიტეტის პროფესორი. 1870 გაზეთ „დროებაში” გამოაქვეყნა წერილი

ცაბაძე ვასილ



ცაგარეიშვილი
გერასიმე



ცაგარელი
ალექსანდრე

„ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში"; ახალგაზრდობიდანვე დაიწყო ქართულ ხელნაწერთა შეგროვება-აღწერა, მათი შესწავლა და კლასიფიკაცია. 1883 გაემგზავრა საზღვარგარეთ, გაეცნო პალესტინის, ათონისა და სინას მთის ქართულ მწიგნობრულ კერებს და მიღებული შედეგები 1880-1894 წწ-ში გამოაქვეყნა; მან შეისწავლა და აღწერა 1877-1878 წწ-ში სამეგრელოს მთავრის (დადიანების) ხელნაწერთა კოლექცია, იოანე ბატონიშვილის კოლექცია (1880- პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში), 1882 პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არსებული 36 ქართული ხელნაწერი, 1881 - მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში დაცული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები. ა. ცაგარელმა 1878 გამოსცა შანშოვანის ქართული გრამატიკა; რუსულ ენაზე თარგმნა სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა"; ავტორია ენათმეცნიერული ნაშრომებისა: „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა" (1872 წ.), „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ" (1873 წ.), „მეგრული ეტიუდები" (ორ ტომად, 1880 წ); აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის (სტატია -„შენიშვნები ქართული საეკლესიო საკითხისათვის", პეტერბურგი, 1912).

1920 წ-ის 8 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობით, ალ. ცაგარელი ერთხმად აირჩია უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად. ალ. ცაგარელი იყო საქართველოს ეროვნული (ნაციონალისტური) პარტიის წევრი. 1919 დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ნაციონალისტური პარტიის საკანდიდატო სიის მე-7 ნომერი იყო, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა.

ა. ცაგარელის ნაშრომთა უდიდესი ნაწილი ეძღვნება ქართულ ენათმეცნიერებას. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა შედარებით შესწავლას. იცავდა მეცნიერებაში ადრე გავრცელებულ მოსაზრებას, რომ კავკასიური ენები არ ენათესავება არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს. აკრიტიკებდა თეორიებს, რომლებიც ქართულ ენას ინდოევროპულ და ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახებს აკუთვნებდა. მან გამოაქვეყნა ქართულისა და ქართველური ენების შესწავლის ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა.

ლიტ.: კ. კინწურაშვილი, „ალექსანდრე ცაგარელი, თბ., 1974; აკ. შანიძე, „პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929)", თსუ მოამბე, 1930, ტ. X.

მანანა ლილუაშვილი

ცენტრალური არქივი – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი არის მემკვიდრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ექვთიმე თაყაიშვილის მცდელობით და ხელშეწყობით შექნილი რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივისა. არქივის შექნის აუცილებლობას დიდი ქართველი მეცნიერები - ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა, სარგის კაკაბაძე და სხვები ქვეყნისთვის მეტად ღირებული დოკუმენტების გადარჩენის აუცილებლობით ხსნიდნენ. იმ მძიმე დროს, როდესაც ქაღალდის შოვნა ჭირდა, ძვირფას დოკუმენტებს ვაჭრები ზოგჯერ პროდუქტების შესახვევად იყენებდნენ, ნადგურდებოდა ეროვნული სიმდიდრე, ქართველი ერის სულიერი საგანძური. ამიტომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დიდი ყურადღება გამოიჩინა ამ საკითხის მიმართ. 1920 წ-ის 23 აპრილს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ და, იმავდროულად, მიუჩინა მას ადგილსამყოფელი მაშინდელ ოლღას ქუჩის №48-ში არსებულ სამხედრო-საოლქო სასამართლოს მყარ და უსაფრთხო სამსართულიან შენობაში. დამოუკიდებლობის წლებშივე სამეცნიერო არქივის მაშინდელმა მუშაკებმა შეძლეს ბევრი გაფანტული დოკუმენტის შეგროვება, თავმოყრა და გადარჩევა-დახარისხება. მათმა დაუღალავმა და მუხლჩაუხრელმა შრომამ უგზოუკვლოდ გაფანტული არქივების გადარჩენის მიზნით და მათი ერთ ადგილზე კონცენტრაციისათვის, ის შედეგი გამოიღო, რომ საარქივო საქმე მყარ ნიადაგზე დადგა. ერთი წელიც არ იყო გასული არქივის დაარსებიდან, რომ საქართველო რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დაიპყრო, ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. შექმნილი არქივის საფუძველზე, 1921 წ-ის 1 ივლისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. დაარსდა საარქივო საქმეთა სამმართველო, რომელიც სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო არქივის საქმიანობას. საქართველოს სამეცნიერო არქივის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს: სარგის კაკაბაძეს, მიხეილ პოლიევქტოვს, შალვა ჩხეტიას, სამხედრო ისტორიკოსს სიმონ ესაძეს, ძველი საარქივო საბუთების მოპოვებაში ამაგდარ მეცნიერს, ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძეს. XX ს.-ის 20-იან წწ-ში, სარგის კაკაბაძის ინიციატივით, საქართველოს დაუბრუნდა 1915 ოსმალეთის შესაძლო შემოტევებისგან არქივების გადარჩენის მიზნით ჩრდილოეთ კავკასიაში ევაკუირებული კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დიდძალი უძვირფასესი საარქივო ფონდები. ამ ფონდების რეევაკუირება სარგის კაკაბაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა 1923 წ-ის იანვარ-თებერვალში. 192 არქივის ფონდები გაამდიდრა შალვა ჩხეტიას მიერ მოსკოვსა და პეტერბურგის საცავებიდან ჩამოტანილმა ქართულმა ხელნაწერებმა და საბუთებმა. სამწუხაროდ, საქართველოს სამეცნიერო არქივში დაცული ბევრი სამხედრო-ისტორიული ხასიათის მქონე და დიდისამეცნიერო

მნიშვნელობის ფონდი 1964, სსრკ-ის მთავარი საარქივო სამმართველოს მოთხოვნით, მოსკოვში გაიგზავნა. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი სიძველეთსაცავია, სადაც ინახება დოკუმენტები X საუკუნიდან 1921 წ-მდე. დოკუმენტთა საერთო რაოდენობა მილიონს აღწევს.

ლიტ.: დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1918-1921 წლები, თბ., 2003; სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 440.

დოდო ჭუმბურიძე

ცეცხლაძე გრიგოლ (6.IV.1894, სოფ.ჭანჭეთი - 23.XI.1976, თბილისი) - ქართველი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი. დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1915-1917 წწ-ში იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ინსტრუქტორი.

1917 დაიწყო ლექსების ბეჭდვა. 1918-1920 წწ-ში გაზ. „მეგობრის“, ხოლო 1920-1921 წწ-ში გაზ. „სახალხო გაზეთის“ რეპორტიორი; 1919 მისი რედაქტორობით გამოდის ლიტ. ჟურ. „თოლაბაურის სარტყელი“, რომლის სამი ნომერი გამოიცა. მასში იბეჭდებოდა ცისფერყანწელების შემოქმედება. 4.IV.1919 - თბილისში, ჟურ. „თოლაბაურის სარტყელში“ დაიბეჭდა მისი, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, რაჟდენ გვეტაძის, შალვა კარმელის, ლადო მაჭავარიანის, რაუდ გოგოხიას, კოკი ებრალიძის, ლიენა ლანის, შ. დორდელის, გ. მეგრელიშვილის ლექსები.

1924-1927 წწ-ში იყო ჟურ. „ხელოვნების“ რედაქციის, 1927-1929 წწ-ში გამომცემლობა „ქართული წიგნის“ მდივანი; 1935 იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი, 1939-1941 წწ-ში საქართველოს რადიოკომიტეტის ლიტერატურული მუშაკი, 1942-1947 წწ-ში ჟურ. „ნიანგის“ ლიტმუშაკი, 1948-1949 წწ-ში საქლიტფონდის დირექტორის მოადგილე, 1930-1938 წწ-ში ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას. მისი თავისუფალი ლექსები („დიხაშხო“, „ოქტომბერი - ფრაგმენტი“ და სხვ.) ახალი ფორმის ძიების ნიშნითაა აღბეჭდილი. გამოსცა შემდეგი წიგნები: დადაისტური კრებული „პოეტის ყეფა“ (1924), „ოთხი მაუზერი“ (1931), „საკუთარი ხმა“ (1935), „ფერად-ფერადი ლექსები“ (1949); თარგმნა -პუშკინის „ევგენი ონეგინი“, ესენინის „ანნა სნეგინა“, მაიაკოვსკის ლექსები და პოემები, ნეკრასოვის „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“.ს. ცერეკიძესა და შ. აფხაიძესთან ერთად, ქართული ვერლიბრის პირველ თორიტიკოსად ითვლება. იყო ქართული დადამანიფესტის ავტორი.

ლიტ.: ს. სიგუა, „მოდერნიზმი“, თბ., „მწერლის გაზეთი“, 2008; ჟურ. „თოლაბაურის სარტყელი“, 1919, №1.

გაგა ლომიძე

ცინცაბაძე გრიგოლ დიმიტრის ძე (1879, სოფ. ზომლეთი - 20.02.1938) - სოციალ-დემოკრატი. სწავლა დაიწყო აკეთის სკოლაში, შემდეგ კი ასოთამწყობის პროფესიას ეუფლებოდა. სწავლის პერიოდიდანვე ჩართული იყო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, რის გამოც დააპატიმრეს (1899). 1917 წ-დან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1918 იგი იყო საქართელოს პარლამენტის წევრი, 1919 კი არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1924 წ-ის აჯანყების შემდეგ ის იყო იატაკქვეშა ორგანიზაციების აღდგენის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1937 გ. ცინცაბაძე დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე



ცინცაბაძე გრიგოლ

ცეცხლაძე გრიგოლ

ცინცაძე გიორგი იოსების ძე (1880, სოფ. ბუკისციხე, ოზურგეთის მაზრ. - 1937) - სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. პროფესიით მასწავლებელი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1900 წ-დან სოციალ-დემორკატიული აპრტიის წევრი. იყო გურიის 1905 წ-ის მოვლენების მონაწილე.

1917 წ-დან იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ჩამოშორდა პოლიტიკურ სამქიანობას. საბჭოთა რეჟიმის მიერ რამდენიმეჯერ იქნა დაპატიმრებული. საბოლოოდ, მენშევიკური ცენტრის წევრობის ბრალდებით, დიდი ტერორის დროს დახვრეტა მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე



ცინცაძე გიორგი

ცინცაძე იაკობ (ეკალაძე ია, თომაანთ კობა) (23. III.1872 სოფ. ციმისი, თერგის ოლქი - 11.X.1933) - მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ვექილი. 1894 გაზ. „ივერიამ“ დაბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ილიკო ბედენიძე“. 1902 წ-დან ქ.შ.წ.კ.ს.-ის ქუთაისის განყოფილების წევრი. 1911 დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1911 იყო გორის ვაჟთა გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი. 1912-1913 წწ-ში მუშაობდა გაზეთის „ქართული“ რედაქტორ-გამომცემლად, 1915-1916 წწ-ში კი - გაზეთის „სამშობლო“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში მისი არაერთი ფოტო

ცინცაძე იაკობ - ეკალაძე ია

დაიბეჭდა. ასევე, იდგმებოდა მისი პიესები. 12.I.1919 სახალხო სახლში, ქართულ წარმოდგენათა წრის მიერ ია ეკალაძის 4-მოქმედებიანი დრამა „ნომერი 21 ჯვრით" დაიდგა. 14.X.1919 სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე აღინიშნა. იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" იოსებ არიმათიელის წერილი „ია ეკალაძე" დაიბეჭდა. 1919 იყო ჩოხატაურის ახლად დაარსებული გიმნაზიის დირექტორი, 1920-1923 წწ-ში - ლანჩხუთის ტექნიკუმის მასწავლებელი. 7.V.1920 მწერალთა საბჭომ, საქართველოს დიდ ქალაქებში გამართა პირველი ტრადიციული „პოეზიის დღე". ამ დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს ჩოხატაურში ია ეკალაძე ხელმძღვანელობდა.

1923-1924 წწ-ში მასწავლებლობდა რაჭაში, 1924-1925 წწ-ში - თელავში. სიცოცხლის ბოლომდე წერდა პიესებს, რომანებს და ლექსებს. ავტორია რომანების: „ნომერი 21 ჯვრით", „ილია"; მოთხრობების: „დაუდეგარი", „თეო", „ჩემი ცოდვა გქონდეს!" „კრებაზე" და სხვ.

ლიტ.: ი. არიმათიელი, ია ეკალაძე, ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №10; გაზ. „ერთობა", 1919, №7; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №88.

სალომე ჭანტურიძე

ცინცაძე ნოე

ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე (10.IV.1886, ლანჩხუთი - 23.IX.1978, პარიზი) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, სადაც სხვა სემინარიელებთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად ჩაება და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. სემინარიის დამთავრების შემდეგ, ფიზიკა-მათემატიკოსის სპეციალობით, უმაღლესი განათლება მიიღო. 1918 წ-ის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ნ. ცინცაძე დემოკრატიული საქართველოს შენებას აქტიურად შეუდგა. 1918 წ-ის სექტემბრამდე თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი იყო, ხოლო 10 სექტემბრიდან, მაშინდელი სახალხო განათლების მინისტრის გ. ლასხიშვილის ბრძანებით, თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა, 1919 წ-ის 5 აპრილიდან კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, განათლების მინისტრის მოადგილე გახდა. 1918 წ-დან საქართველოს პარლამენტის წევრია, ხოლო 1919 წ-ის 12 მარტიდან - დამფუძნებელი კრების წევრი. ნ. ცინცაძემ უმძიმეს პირობებში შეძლო რუსული სკოლების ქართულით შეცვლა, ისინი სათანადო ქართული სახელმძღვანელოებით მოამარაგა. მისი ინიციატივით, ევროპაში სწავლა-განათლების მისაღებად გაიგზავნა რამდენიმე ათეული ქართველი ახალგაზრდა. 1921 წ-ის თებერვალ-მარტში, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ნ. ცინცაძე არალეგალურთა რიგებში გადავიდა და უშიშრად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც ის სხვებთან ერთად დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, როგორც ანტისაბჭოთა მოძრაობის თვალსაჩინო წევრი, 1923 წ-ის 10 თებერვალს კვლავ დააპატიმრეს და საზღვარგარეთ გაასახლეს. ემიგრაციაში ყოფნის დროს, მისი ხელმძღვანელობით, პარიზში, „საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია" შეიქმნა. ნ. ცინცაძემ ემიგრაციაში თან წაიღო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ისტორიის ამსახველი სახელმწიფო-პოლიტიკური არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ემიგრაციაში განაგებდა თვით ეროვნული მთავრობის წევრებისგან (ე. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ა. ჩხენკელი, გ. ერაძე, ნ. ცინცაძე, ს. ასათიანი) შემდგარი კომისია. ნ. ცინცაძე გერმანიაში გასახლებულ 60-კაციან ჯგუფთან ერთად მოხვდა ემიგრაციაში. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ის ეროვნული მთავრობის წევრების პოლიტიკური მუშაობისგან განცალკევებით იდგა. პოლიტიკურ საქმიანობაში მისი აქტიური ჩაბმა ე. წ. „პარიზის ბლოკის" დაარსებიდან იწყება. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რადიო „თავისუფლების" საქმიანობაში. უმთავრესი მუშაობა მას მოუხდა რუსეთის მიერ ჩაგრული ემიგრაციაში მყოფი ერების წარმომადგენლებთან, ის მათი მთავარი ორგანოს ხელმძღვანელი გახდა. სდრ-ის ეროვნული მთავრობის არქივის უსასყიდლოდ მოხვედრა ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰოუტონის ბიბლიოთეკაში სამი პიროვნების ურთიერთშეთანხმებით მოხდა. ესენი იყვნენ: ნ. ცინცაძე, დუგლას ბრაიანი - ჰარვარდის ბიბლიოთეკარი და რიჩარდ პაიპსი - ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც თავის მოგონებებში, დაზიანებული ქართული არქივის პარიზიდან ჰარვარდში გადატანის ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად „ქართული ემიგრაციის წამყვან ფიგურას პარიზში" - ნ. ცინცაძეს მიიჩნევს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ლიტ.: სცსა, ფ. 2129 (ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე, პირადი ფონდი); რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.

ლელა სარალიძე



ცირეკიძე სანდრო

ცირეკიძე ალექსანდრე (სანდრო) (2.IX.1894, ქუთაისი - 15.VI.1923, თბილისი) - ქართველი პოეტი, ცისფერყანწელთა წევრი. მეექვსე კლასში გამოსცა ხელნაწერი ჟურ. „ჩონგური". 1912 დაამთავრა სასწავლებლის სრული კურსი და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1914 შეეყარა ტუბერკულოზი და, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გადავიდა კიევის

უნივერსიტეტში, სწავლობდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სადიპლომო თემად ბაგრატის ტაძრის შესახებ კვლევა აირჩია. 1916 დაუახლოვდა „ცისფერყანწელებს“.

1920-იანი წწ-ში ჩამოაყალიბა მწერალთა გართიანება „მწერალთა საგამომცემლო კოოპერატივი“. დააარსა გამომცემლობა „კირჩხიბი“. 1919 შეადგინა „ახალი მწერლობის ანთოლოგია“. 1920 ქუთაისში, მისი ინიციატივით და რედაქტორობით, გამოვიდა ცისფერყანწელთა ლიტერატურული ჟურ. „შვილდოსანი“, რომლის მხოლოდ სამი ნომერი გამოიცა. 1919 თარგმნა და გამოსცა სტეფან მალარმეს „ლექსები და პროზა“, ასევე თარგმნა შარლ ბოდლერის პოემები პროზად, ოსკარ უაილდის ზღაპრები. 1921 მინიატურების მცირე კრებული „მთვარეულები“.

დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

ლიტ.: მ. ჯალიაშვილი, სიტყვის მთვარეული - სანდრო ცირეკიძე, კრებული „ცამეტნი“, ქუთაისი, 2009.

გაგა ლომიძე

ცისკარიშვილი გაბრიელ დიმიტრის ძე (1892, სოფ. ზემო ალვანი - 1.IX.1924) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა მასწავლებლის ოჯახში. გარკვეული პერიოდი სწავლობდა თელავში, სადაც პანსიონის დირექტორი იყო მისი მამა დიმიტრი, საშუალო განათლება თბილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში მიიღო, უმაღლესი განათლება კი - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1914 წ-დან რსდმ პარტიის მენშევიკურ ფრაქციას შეუერთდა. 1917 წ-დან საქართველოშია და მშობლიურ მაზრაში ეწევა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას.

1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან არჩეული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. აქტიურ საქმიანობას ეწოდა კრების თვითმმართველობისა და საბიბლიოთეკო კომისიაში. დამოუკიდებლობის პერიოდში იყო წ.კ.გ.ს. წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. თანაპარტიელებთან და მეგობრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ანტისაბჭოთა საქმიანობაში. 1923 დაატიმრა „ჩეკამ“ კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით, დანაშაული არ აღიარა. 1924 წ-ის აჯანყების შემდეგ მალევე დახვრიტეს თბილისში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016. სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 108; ფ. 1834, აღწ. 2, საქ. 52.

ირაკლი ირემაძე

„ცისარტყელა“ (1919-1921) - ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი (მიმართულებები: პოეზია, ბელეტრისტიკა, დრამა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია). სულ გამოიცა 14 ნომერი. ჟურნალი დაარსდა მწერლების: ი. გომართელის, ალ. აბაშელისა და ობოლი მუშის (სოლომონ თავაძის) ინიციატივით, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ კულტურა-განათლების კომისიასთან. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები იყვნენ: ივ. გომართელი, ს. აბაშელი, პ. ირეთელი, ს. კალანდაძე, არჩ. რუხაძე, ობოლი მუშა; მეათე ნომრიდან პ. ირეთელის ნაცვლად ჩაერთო ვ. რუხაძე. ჟურნალმა მიზნად დაისახა ხალხისა და ქართული მწერლობის სამსახური. ჟურნალის სარედაქციო განცხადება შეიცავს მენშევიკების პოლიტიკის შედეგად არსებული რეალობის მძაფრ კრიტიკას: „ზნეობა დაქვეითდა, პირადი ინტერესი გაბატონდა... სად არის ამ დროს ხელოვნება, რომელმაც უნდა გაშალოს დაავადებული სულის წინაშე მსოფლიო გარდაქმნის წარმტაცი სანახაობა და უჩვენოს გზა ქაოსიდან ვარსკვლავისაკენ“. „ცისარტყელაში“ დაბეჭდილი რამდენიმე დეკადენტური ხასიათის ნაწარმოები, რომელთა ავტორები არიან დ. შენგელაია, „ანდრო სავანელი“, ხ. ვარდოშვილი და სხვები, მის რეალისტურ მიმართულებას ვერ ცვლის. ჟურნალში განსაკუთრებით ძლიერია ბელეტრისტიკა. აქ დაიბეჭდა: დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის, ვ. ბარნოვის, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის; ახალგაზრდა მწერლების - კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას, აგრეთვე, დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის), ი. მჭედლიშვილის, ვ. მალაქიაშვილის (ხუროძე), ს. რემონიძისა და სხვათა ნაწარმოებები. 1919–1921 წწ-ში „ცისარტყელას“ 14 ნომერში სრულად გამოქვეყნდა შ. არაგვისპირელის რომანი „გაბზარული გული“. 1920 - ვ. ბარნოვის „ყვავილი მიმომავალი“, ლეო ქიაჩელის - „Eskalade“, კ. გამსახურდიას - „რომში“, ნ. ლორთქიფანიძის - „ჟამთა

ცისკარაშვილი
გაბრიელ

ცისფერყანწელები



ციციშვილი ივანე

სიავე“, დ. კლდიაშვილის - „ბაკულას ღორები“, დ. შენგელაიას - „ანდრო სავანელი“ და სხვა ნაწარმოებები. ჟურნალ „ცისარტყელაში“ ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოეზიას, ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ ძირითადად „დემოკრატიული მიმართულების“ პოეტები: ნ. ჩხიკვაძე, ალ. აბაშელი, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, დ. მეგრელი, გ. ქუჩიშვილი, იასამანი, ხ. ვარდოშვილი, მეჩონგურე და სხვ. ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები თანამედროვე ხელოვნებისა და მწერლობის საკითხებზე. მაგ., ი. გომართელის სტატია „წერილები ხელოვნებაზე“ შეეხება ხელოვნების ბუნებას და მის საზოგადოებრივ ფუნქციას. მასვე ეკუთვნის სტატია „გასული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა“, რომელშიც განხილულია „ცისარტყელაში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილები. ჟურნალში პიესებიც გვხვდება, მაგ., ლ. ახობაძის ორმოქმედებიანი პიესა „სოფლად“ , ტრ. რამიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „ფრთა მოტეხილი ყორანი“ და სხვ. ა. პაპავას წერილებში „ფიქრები თეატრის კრიზისზე“ განხილულია სასცენო ხელოვნების თავისებურებები და დასახულია „მომავალი თეატრის“ კონტურები.

ლიტ.: ჟურ. „ცისარტყელა“, 1919-1921; გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947; ნარკვევები მეოცე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1974

მარი წერეთელი

ციციშვილი ივანე დავითის ძე (11.XI.1865 - ?) - გენერალი. დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (1892). პორუჩიკი (1896). შტაბსკაპიტანი (1900). კაპიტანი (1904). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. პოდპოლკოვნიკი (1914). პოლკოვნიკი (1916 წარჩინებისთვის). მსროლელთა 45-ე პოლკის უფროსი. გენერალ-მაიორი (1917). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ. გიორგის მე-4 ხარისხის. იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა ქართულ ჯარში. სომხეთთან ომში (1918) მეთაურობდა სამხედრო შენაერთებს ვორონცოვკის მიმართულებაზე.

ლიტ.: მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; Русская армия в Великой войне http://www. grwar. ru/.

მიხეილ ბახტაძე

d

ძველაია ბარნაბ პავლეს ძე (1880, სოფ. ნოსირი, სენაკის მაზრ. - 28.XI.1937) - სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 15 წლის ასაკში ჩაერთო მარქსისტული წრეების მუშაობაში. იყო სენაკის მაზრის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ლიდერი და ორგანიზატორი. 1905 შეუერთდა რსდმ პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. აქვეყნებდა წერილებს პარტიულ პრესაში. მონაწილეობა მიიღო 1905 რევოლუციაში ადგილობრივ დონეზე.

დამოუკიდებლობის პერიოდში აგრძელებდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის სენაკის მაზრის კომიტეტის ლიდერი და სამაზრო ერობის ხმოსანი. 1919 წ-ის თებერვალში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიით არჩეული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. შედიოდა აგრარულ კომისიაში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. მონაწილეობას იღებდა საბჭოთა სისტემის საწინააღმდეგო მოქმედებებში. 1922 დაპატიმრებულ იქნა საბჭოთა „ჩეკას“ მიერ. 1923 იძულებული შეიქნა, გამოექვეყნებინა წერილი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გასვლის შესახებ, რის შემდეგაც გათავისუფლებული იქნა საპატიმროდან. გათავისუფლების შემდეგ საქმიანობა გააგრძელა არალეგალურ ორგანიზაციებში. 1924 წ-ის აჯანყებისას მეთაურობდა სენაკის ნაწილებს. აჯანყების შემდეგ დაპატიმრებულ იქნა, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. შემდგომში ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში. 1937 წ-ის ბოლოს, დიდი ტერორის დროს, დააპატიმრეს მენშევიკური ორგანიზაციის წევრობისთვის. ე.წ. „ტროიკის“ განაჩენით დამნაშავედ იქნა მიჩნეული და დახვრეტა მიესაჯა.

ძველაია ბარნაბ

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016. სცსა, ფ. 1836, აღწ. 1. საქ. 108.

ირაკლი ირემაძე

წ

წარჩინებულ სტუდენტთა საზღვარგარეთ მიმავლინებელი კომისია - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული კომისია. მის ხელმძღვანელად ითვლებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, თუმცა კომისიის მუშაობას ფაქტობრივად წარმართავდა ნიკო ნიკოლაძე. კომისია არჩევდა საზღვარგარეთ გასაგზავნი წარჩინებული სტუდენტების კონტინგენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორების პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის სათანადო რეკომენდაციების საფუძველზე. კომისიის მიერ შერჩეულ სტუდენტებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უნიშნავდა სტიპენდიას და სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიდა დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების უნივერსიტეტებში. თბილისის იმდროინდელი გენერალ-გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე იგონებდა: „შევდიოდი საზღვარგარეთ სტუდენტთა მიმავლინებელ კომისიაში. თავმჯდომარე ჟორდანია იყო, მაგრამ საქმეს ნიკო ნიკოლაძე წარმართავდა. ისე გამოვიდა, რომ ძირითადად სულ დასავლეთ საქართველოდან ვუშვებდით სტუდენტებს. მე ვთქვი: ქართლ-კახეთის მოსახლეობა ისედაც გვიჩივის, რომ მთელი ადმინისტრაციული თანამდებობანი სულ გურულებს და იმერლებს უკავიათო და ახლა ამას ნუ ვიზამთ, სტუდენტებად პროპორციულად აღმოსავლეთ საქართველოდანაც გავუშვათ ევროპაში-მეთქი. მით უმეტეს, რომ მათგან ვინც კაცად გამოდის, ყველა ნაღდი და სერიოზული მეცნიერი ხდება-თქო. აი, ასეთი ვითარება იყო და დაგვადგა თავზე ნიკურაძეების მამა სამტრედიიდან მე და ნიკო ნიკოლაძეს, როგორც იქაურ ხალხს. მე, ბატონოო, უბრალო კაცი არ გეგონოთო, სამტრედიაში ორთქმავლის წამყვანი ვარო, თეთრი „პერჩატკებითო“ და „პომოშნიკი“ მყავსო... მე მყავს ორი ვაჟიო და გთხოვთ, ორივე გაუშვათ სასწავლებლადო. გაეცინა ამაზე ნიკოს და უთხრა: ორი რა ამბავიაო! ჩვენ სტიპენდიები არ გვყოფნის და თანაც აყაყანდება აღმოსავლეთ საქართველოო! - ბატონოო, უთხრა ნიკურაძემ, ორივე ჩემი ვაჟი ჩია ტანისაა და ცივ მჭადზე გაზრდილიო. გაუშვით ესენი ერთ სტიპენდიაზე და ერთ „პორციაზე“ იცხოვრებენო. - ერთ „პორციაზე“ როგორ იქნებიანო, უთხრა ნიკომ, გერმანელები მეორესაც დაუსხამენ საჭმელსო! - აბა თქვენ ყოფილხართ ბატონები და ჩვენ მონებიო, გაცხარდა ნიკურაძე, მაშინ არცერთს არ გავუშვებო, ამათ ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ და დარჩნენ უსწავლელნიო! აი, საბოლოოდ, ასეთ ვითარებაში გავუშვით ნიკურაძეები გერმანიაში და არც შევმცდარვართ - გვასახელეს იქ. რაც შეეხება ჩვენი მთავრობის სტიპენდიას... მერე მოეხსნათ მათ ის (თვითონ მთავრობა გაიქცა ემიგრაციაში)“.

ლიტ.: შ. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე, მოგონებები, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბ., 2012.

ნიკო ჯავახიშვილი

წერეთელი
ალექსანდრე

წერეთელი ალექსანდრე იოსების ძე (1.XI.1889, სოფ. ცხრუკვეთი, ქუთაისის მაზრ. - 29.III.1967, თბილისი) - ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი (ძველი მსოფლიოს ისტორიის სპეციალისტი), პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1927), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1956), პროფესორი (1927). დაიბადა სასულიერო მოღვაწის, კეთილმოწესე დეკანოზის ოჯახში. 1909 დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, 1915 ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1915-1918 წწ-ში ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში ასწავლიდა საქართველოს და ძველი მსოფლიოს ისტორიას.

1918 ქუთაისში გამოიცა ა. წერეთლის სახელმძღვანელო „ძველი ისტორია“, იმავე წელს აირჩიეს ახალდაარსებულ ქართველ მწერალთა კავშირის წევრად. 1917-1918 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და-

მფუძნებელი საზოგადოების წევრი და დაარსებისთანავე მიიღეს უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრის ასპირანტად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1917 წ-ის 22 ნოემბერს, პირველ ეროვნულ ყრილობაზე, აირჩიეს ეროვნული საბჭოს (შემდგომში - პარლამენტის) წევრად და შედიოდა ფედერალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში. იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1919 წ-ის დასაწყისში მან, პარტიის სხვა ანარქისტულად განწყობილ წევრებთან ერთად, დააარსა „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია“. იმავე წლის აპრილში, მისი აქტიური მონაწილეობით, ჩატარდა პარტიის პირველი კონფერენცია, რომელმაც დაადგინა პარტიის ახალი სახელწოდება - საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი, რომლის მთავარ კომიტეტში თავადაც შედიოდა. მცირე პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე (ამხანაგი).

საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში ა. წერეთელი უპირისპირდებოდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მკაცრად აკრიტიკებდა მის ეროვნულ პოლიტიკას. 1921 წ-ის ბოლოს ანარქისტ-სინდიკალისტების კავშირმა არსებობა შეწყვიტა, ხოლო ოციან წლებში ა. წერეთელი ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძო. ასპირანტურის დასრულების შემდეგ მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის ლექტორად. 1927 მონოგრაფიისათვის „ლუკიანე სამოსატელი“, მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. აირჩიეს და 1935 წ-მდე იყო თსუ-ის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე. 1935 დააპატიმრეს და, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ე. წ. დიდი სამეულის გადაწყვეტილებით, რომელსაც ბერია თავმჯდომარეობდა, შუა აზიაში გადაასახლეს, სადაც 1955 წ-მდე იმყოფებოდა. 1956 კვლავ მიიწვიეს თსუ-ის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის პროფესორად, იმავე წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და აღუდგინეს 1937 უკანონოდ ჩამორთმეული მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის სამეცნიერო წოდება. ეკუთვნის გამოკვლევები: „კრეტა-მიკენის საბერძნეთი“ (1923), „სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში“ (1924), „სტრაბონის სეისახთეა“ (1925), „ებრაელთა ძველი ისტორია“ (1935), „მარკუს ტულიუს ციცერონი“ (1959), სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ძველი აღმოსავლეთის, ძველი საბერძნეთის და ძველი რომის ისტორიაში. ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, იყო საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის წევრი. დაკრძალულია თბილისის დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994.

დიმიტრი შველიძე



წერეთელი გრიგოლ

წერეთელი გრიგოლ ფილიმონის ძე (1870, პეტერბურგი - 1938, თბილისი) - ბიზანტიოლოგი, ელინისტი, პაპიროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული კლასიკური ფილოლოგიის სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1917), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1905), 1893 დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, 1893-1897 წწ-ში ასწავლიდა პეტერბურგის არქეოლოგიურ ინსტიტუტში. იყო ბერლინის უნივერსიტეტის (გერმანია) პრივატ-დოცენტი (1897-1902), პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი (1902-1905), ტარტუს უნივერსიტეტის ექსტრაორდინარული პროფესორი და კათედრის გამგე (1905-1914).

1920 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გრ. წერეთელი უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორად მოიწვია. 1920-1937 წწ-ში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე.

1923-1931 წწ-ში ასევე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. გრიგოლ წერეთლის შრომები: „შემოკლებათა სისტემა ბერძნულ ხელნაწერებში“ (1904), „ბერლინის მუზეუმის ბერძნული პაპირუსები“ (1905-1904), „რუსული და ქართული კოლექციების პაპირუსები“ ხუთ ტომად (1925-1935), „მენანდრეს ახალი კომედიები“ (1914), რუსულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელო - „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ 3 ტომად, სამეცნიერო სტატიები ალკეოსის, საფოს, ანაკრეონტის შემოქმედებაზე. გ. წერეთელმა თარგმნა: ბერძენი ლირიკოსები (1927), ჰორაციუსის ოდები (1936), „მენანდრეს კომედიები“ (1936); რუსულ ენაზე პირველმა თარგმნა ჰეროდეს „მიმიამბები“ (1929), აპოლონ როდოსელის „არგონავტიკა“

ლიტ.: გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი (დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით), თბ., 1961; ს. ყაუხჩიშვილი, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, თბ., 1969.

მანანა ლილუაშვილი

წერეთელი დავით (01.VII.1896, ქუთაისი - 27.X.1980, თბილისი) - ქართველი ფერმწერი. 1918 წ-დან უკვე აქტიური მხატვარია; ამ პერიოდიდან მონაწილეობს ქართველ მხატვართა გამოფენებში. 1919 ქმნის პორტრეტს „გალაქტიონი“. მუშაობდა მხატვარ-დეკორატორად ქართული დრამის თეატრში. 1922 წ-დან ქეთევან მაღალაშვილთან, ელენე ახვლედი-

ანთან, შალვა მამალაძესთან, ირაკლი თოიძესთან ერთად, მხატვართა საზოგადოების წევრი ხდება. სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, გიგო გაბაშვილისა და ევგენი ლანსერეს კლასში. 1929 აკადემიის დამთავრების შემდეგ იწყებს იქვე მუშაობას პედაგოგად. ფერწერისა და ხატვის კარგი ოსტატი, ის შედარებით ადრე ტოვებს აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას და ძირითად დროს აკადემიის სამასწავლებლო საქმიანობას უთმობს. ითვლება საქართველოს გასაბჭოების შემდგომი თაობის მხატვრად. 1930 საქართველოს რევოლუციური მხატვრების ასოციაციის (სარმა) დეკლარაციის ხელის მომწერია. მოკრძალებული, თავმდაბალი მხატვრის პერსონალური გამოფენა მხოლოდ 1964 ეწყობა თბილისში, 1965 ქუთაისის სურათების გალერეაში, 1966 კი - ცხინვალის სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში.

ლიტ.: В. Б е р и д з е, Н. Е з е р с к а я, Искусство Советской Грузии, 1921-1970, Мос., 1975; შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, დავით წერეთელი. (კატალოგი), თბ., 1964.

ნანა ყიფიანი



წერეთელი ვასილ

წერეთელი ვასილ გიორგის ძე (18.I.1862, სოფ. ცხრუკვეთი, შორაპნის მაზრა - 23.X.1937, თბილისი) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ექიმი, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი. 1884 დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შევიდა ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, საიდანაც ორი წლის შემდეგ გადავიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. თავდაპირველად ხალხოსნურ წრეში გაერთიანდა, შემდეგ კი მარქსისტი გახდა. სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1887 „მგლის ბილეთით“ გარიცხეს უნივერსიტეტიდან და საქართველოში ეტაპით გამოგზავნეს. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბათუმში. 1893 ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1899. იყო ჭიათურის მწარმოებელთა საავადმყოფოს გამგე, საექიმო მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, თიანეთში, ბაქოს გუბერნიაში, რაჭაში, ქუთაისსა და სხვ. არჩეული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრად. იყო ჟურნალ „თეატრის“ მუდმივი თანამშრომელი, შემდეგ „ივერიის“ რედაქციაში გადაინაცვლა (შედიოდა იმ ჯგუფში, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელებად“ იწოდება). რუსულენოვან გაზეთ „ჩერნომორსკი გოლოსში“ თანამშრომლობისათვის, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქიდან გაასახლეს. 1912 წ-დან დაუკავშირდა ქუთაისურ გაზეთ „იმერეთს“ (შედიოდა მის სარედაქციო კოლეგიაში), ხოლო მოგვიანებით რედაქტორობდა მის ნაცვლად გამოცემულ გაზეთს „სამშობლო“, იყო ასევე, ქუთაისური გაზეთის „ჩვენი ქვეყანა“ თანარედაქტორი. წერდა ფსევდონიმებით: „ვ. წ“, „ურო“, „კვესი“, „ულმობელი“, „ზემო იმერელი“, „ისარი“ და სხვ. არჩეული იყო ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის საბჭოს წევრად, ლექციებს კითხულობდა სახალხო უნივერსიტეტში. 1916 შეადგინა და ქუთაისში გამოსცა ნაშრომი „ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით“. ვ. წერეთელი თავდაპირველად სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში შედიოდა და რევოლუციური საქმიანობისათვის განიცდიდა დევნას, რის გამოც დროებით არალეგალურად ცხოვრებაც მოუწია. შემდეგ დაუახლოვდა ეროვნულ-დემოკრატიულ მიმდინარეობას და მისი ერთ-ერთი თეორეტიკოსი გახდა.

1917 ვ. წერეთელმა გამოსცა რამდენიმე წიგნაკი, კერძოდ: „ავტონომია და ფედერაცია“, „1783 ტრაქტატი“, „გლეხთა საკითხი: (შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე)“ და სხვ. იყო ედპ-ის საორგანიზაციო მთავარი კომიტეტის წევრი. პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე (1917 ივნისი) აირჩიეს ყრილობის თავმჯდომარის მოადგილედ. შედიოდა ედპ-ის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტში. მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობაში, არჩეულ იქნა ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატად. 1918 წ-ის მაისში, საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებისას, ედპ-ის სიით შევიდა საბჭოს შემადგენლობაში, აირჩიეს საბჭოს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიის წევრად. 1918 წ-ის სექტემბერში მან გ. ვეშაპელთან და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქცია“, რომელიც გამოეყო ედპ-ს და საფუძველი დაუდო დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას (იგივე ეროვნული პარტია, იგივე მინის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია). ვ. წერეთელი მცირე ხნით ამ პარტიის თავმჯდომარის მოადგილე იყო. 1920 შეადგინა „საქართველოს კონსტიტუციის პროექტი“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა. მიუღებლად მიაჩნდა საქართველოს ფედერაციული მოწყობა და ნეიტრალიტეტი, მხარს უჭერდა წარმომადგენლობითი საკანონმდებლო სისტემის - პარლამენტის არსებობას, ასაბუთებდა პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროებას. აკრიტიკებდა მოქმედ საარჩევნო წესს, რომელიც, მისი აზრით, „პარტიულ დიქტატურას“ განაპირობებდა და მოითხოვდა, მოქალაქეს ნება ჰქონოდა, აერჩია, ვინც სურს, „სულ ერთია, მისი პარტიის კაცია თუ არა ასარჩევი კანდიდატი“.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ვ. წერეთელი ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და ძირითადად სამედიცინო მოღვაწეობით იყო დაკავებული. 1921-1926 წწ-ში მუშაობდა ქუთაისში, შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. 1926-1930 წწ-ში იყო ქართული სამედიცინო

ჟურნალის „სამკურნალო მოამბე“ (1927-1929 წწ-ში ეწოდებოდა „ჯანსახკომის მოამბე“, შემდეგ - „საბჭოთა მედიცინა“) რედაქტორი. დაკრძალულია თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე.

ლიტ.: ვასილ წერეთელი: ლიტ. წერილები, მემუარები, კრებული შეადგინა დ. თევზაძემ, თბ., 1998; ლ. ბინაძე, არდავიწყება მოყვრისა, ქუთაისი, 2004; დ. ჭუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები, თბ., 2008; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

წერეთელი თამარ (14.VIII.1900, სოფ. სვირი - 05.IV.1968, მოსკოვი) - პოპულარული საესტრადო მომღერალი. კონტრალტო. ბოშური რომანსის პირველი ქართველი შემსრულებელი.

1917 დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზია და სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. მალე სამედიცინო ინსტიტუტს თავი დაანება და სწავლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში განაგრძო. ფორტეპიანოზე დაკვრას ნ. ნ. ჩერეპნინი ასწავლიდა, ვოკალს - ა. ჯაყელი. 1920 იყო მისი სასცენო დებიუტი. თავისი აკომპანიატორის - ბ. პროზოროვსკის რჩევით, კონსერვატორიას თავი დაანება და მოსკოვში გაემგზავრა.

გასაბჭოების შემდეგ მისი პირველი სოლო კონცერტი, 1923 მოსკოვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა. შემდეგ აღიარება მთელ რუსეთში მოიპოვა. 1925 საქართველოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა, თუმცა არ დაბრუნებულა. 1959 ჩათვლით აქტიურად გამოდიოდა ევროპისა და რუსეთის სცენაზე. მის კონცერტებში ხშირად მონაწილეობდნენ მაშინდელი ცნობილი არტისტები: დ. ოისტრახი, ნ. ობუხოვა, ა. ნეჟდანოვა, ი. კოზლოვსკი, ლ. სობინოვი, ს. კუზნეცოვი და სხვ. 1960 დატოვა სცენა. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიტ.: დ. მჭედლიძე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, თბ., 1968; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

წერეთელი ირაკლი გიორგის ძე (20.XI.1881, სოფ. გორისა (ერთ-ერთი ცნობით, 1882) - 20.V.1959) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, უდიდესი ქართველი ტრიბუნი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციის ლიდერი, 1917 წ-ის რუსეთის თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი მეთაური, საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვერსალის საზავო კონფერენციაზე, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1959 წლის 20 მაისს, ქ. ნიუ იორკში (აშშ). მისი მამა - გიორგი წერეთელი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, 1860-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე, რომელიც შემდგომში თანდათანობით ჩამოშორდა ამ წრეს და ახალი მარქსისტული მიმართულების - „მესამე დასის“ იდეური სულისჩამდგმელი და მისი ყოველკვირეული პოლიტიკური ორგანოს, „კვალის“ დამაარსებელი გახდა. ირაკლის დედა კი იყო ნიკო ნიკოლაძის უმცროსი და - ოლიმპიადა ნიკოლაძე-წერეთლისა (1851-1883), თავისი დროისთვის ზედმიწევნით განათლებული მანდილოსანი. ირაკლის გარდა, მათ ჰყავდათ უფროსი ქალ-ვაჟი - ელენე (1877-1950) და ლევანი (1879-1918). ი. წერეთელმა თბილისის პირველი გიმნაზია ოქროს მედლით დაამთავრა და იმავე წლის შემოდგომაზე სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1901 მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა მღელვარებაში და თავმჯდომარეობდა სტუდენტური ორგანიზაციის აღმასრულებელ კომიტეტს. დაწერა „ჩვენი მიზნები“, რომელიც სტუდენტთა მისწრაფებებს გამოხატავდა. ი. წერეთელი მოსკოველ სტუდენტთა მოძრაობის აღიარებული ლიდერი გახდა. მალე ის დააპატიმრეს და 5 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ ამის გამო პროტესტი იმდენად დიდი იყო, რომ ნიკოლოზ მეორე იძულებული გახდა, გადასახლებული სტუდენტები ერთი წლის შემდეგ გაეთავისუფლებინა. სამშობლოში დაბრუნებული ი. წერეთელი სოციალ-დემოკრატიული გაზ. „კვალის“ ფაქტობრივი რედაქტორი გახდა. „ყვირილელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ სტატიას ერქვა „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“. 1904 წ-ის თებერვალში გაზეთი „კვალი“ მთავრობამ აკრძალა. ხელახალი დატუსაღებისთვის თავი რომ დაეღწია, ი. წერეთელი დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა, ბერლინში დასახლდა და იქაურ უნივერსიტეტში შევიდა. აქ ყოფნისას მძიმედ დაავადდა და სამშობლოში მატარებლით, საკაცეზე მწოლიარე ჩამოიყვანეს. 1907 მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს, სადაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და, საერთოდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი გახდა. მეორე სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ხელისუფლებამ ი. წერეთელი კვლავ ციმბირში გადაასახლა, ახლა უკვე 12 წლით.

წერეთელი თამარ

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციას ი. წერეთელი ციმბირში შეხვდა, პეტერბურგში 19 მარტს ჩავიდა და მაშინვე შევიდა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, რომლის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე იყო.

1917 წ-ის მაისში გახდა რუსეთის დროებითი კოალიციური მთავრობის წევრი და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პოსტი დაიკავა. დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ

წერეთელი ირაკლი

ი. წერეთელი საქართველოში ჩამოვიდა. იგი იყო თავმჯდომარე და ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფრაქციისა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმში, შემდეგ - საქართველოს ეროვნულ საბჭოში და დამფუძნებელ კრებაში. იყო საქართველოს დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ეროვნული მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, ემიგრაციაში, საფრანგეთში წავიდა. საერთაშორისო კონგრესებზე სიტყვით გამოდიოდა და იცავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. იყო მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1940 ი. წერეთელი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა და იქ გარდაიცვალა, ჩაუტარდა კრემაცია. 1973 მისი ფერფლი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადაასვენეს და იქ დაკრძალეს.

ლიტ.: ბ. ნიკოლაევსკი, ირაკლი წერეთელი და მისი „მოგონებები“, შესავალი წერილი, პარ., 1963; გ. საითიძე, „ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917), თბ., 2005; რ. დაუშვილი, „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“, თბ., 2007; გ. შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი 2, თბ.,1993.

ლელა სარალიძე

წერეთელი მიხაკო

წერეთელი მიხეილ (მიხაკო) (ფსევდ.: Baton, მ. სანგალა, ალაროდიელი, ვრაცი) (23. XII.1878, სოფ. ცხრუკვეთი - 2.III.1965, მიუნხენი) - ქართველი მეცნიერი, პოლიტიკური და საზოგადო მოვაწე, პროფესორი. 1898 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და კიევის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, საიდანაც 1899 აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის გარიცხეს. შემდეგ სწავლობდა სორბონის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1912 დაამთავრა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით და ერთხანს იქვე კითხულობდა ლექციებს. თავდაპირველად მ. წერეთელი მარქსიზმს იზიარებდა. მან პირველად თარგმნა მარქსის „კაპიტალი“ ქართულად და მიუტანა ნოე ჟორდანიას „კვალის“ რედაქციაში. 1900-1907 წწ-ში, მ. წერეთელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. აქტიურად იყო ჩაბმული ანარქისტულ საქმიანობაში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვარლამ ჩერქეზიშვილთან, პეტრე კროპოტკინთან და საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის სხვა ლიდერებთან; ამასთან, ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. წერილებს აქვეყნებდა როგორც ქართულ, ისე უცხოეთის პერიოდულ პრესაში. 1904 აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული პოლიტიკური ფრაქციების ინტერპარტიულ კონფერენციაში, რომელზეც დაარსდა სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტია („თერგელის“ ფსევდონიმით). 1907 წ-ის 2 სექტემბრის გაზეთ „ისარში“, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მ. წერეთლის ცნობილი წერილი: „კაცია ადამიანი?!“. ილიას დაკრძალვაზე მან ცნობილი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც სტატიის სახით იმავე წლის დამლევს გამოქვეყნდა მემორიალურ კრებულში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. 1910 თბილისში გამოიცა მ. წერეთლის მნიშვნელოვანი სოციოლოგიური გამოკვლევა - „ერი და კაცობრიობა“, რომელიც პირველი ქართული სოციოლოგიური მონოგრაფია იყო. 1910 იგი სიტყვით გამოვიდა ლონდონის ჩაგრულ ერთა ყრილობაზე. 1914 მ. წერეთელმა მოიპოვა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი ასირიოლოგიაში. სადისერტაციო ნაშრომი იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა ხსენებული უნივერსიტეტის მიერ. პირველი მსოფლიო ომის წლებში მიხეილ წერეთელი იყო გერმანიაში მოქმედი ორგანიზაციის - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი” - ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ცდილობდა გერმანიის მეშვეობით საქართველოს გათავისუფლებას. 1916 წელს იგი მონაწილეობდა ლოზანაში გამართულ ჩაგრულ ერთა ყრილობაში, სადაც სიტყვა წარმოთქვა ანტანტის პოლიტიკის წინააღმდეგ. ომის დროს ის წყალქვეშა ნავით ჩამოვიდა საქართველოში, სადაც იარაღი და ფული ჩამოიტანა. შეხვდა ნოე ჟორდანიას, რომელმაც საქართველოში ანტირუსულ გამოსვლებს მხარი არ დაუჭირა.

1918-1919 წწ-ში მიხეილ წერეთელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი სკანდინავიის ქვეყნებში. 1919-1920 წწ-ში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ასირიოლოგიასა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში.

1921 წ-ის თებერვალ-მარტში მ. წერეთელი იძულებული გახდა, სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო. 1922-1945 წწ-ში იგი იყო ჯერ ბრიუსელის უნივერსიტეტის (1922-1933), შემდეგ ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის (1933-1945) პროფესორი. 1920-იანი წწ-ის პირველ ნახევარში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულმა გამომცემლობამ გამოსცა წერეთლის მიერ ნათარგმნი „გილგამეშიანი“ და მისი მონოგრაფიული გამოკვლევა „ხეთის ქვეყანა“. 1926 წ-დან 1940-იანი წწ-ის დამლევამდე იყო ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი. მეორე მსოფლიო ომის წლებში მ. წერეთელი იყო გერმანიაში მოქმედი „ქართული სამოკავშირეო კომიტეტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ კომიტეტის ძალისხმევით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან ასობით ქართველი სამხედრო ტყვე გათავისუფლდა. გარდა ამისა, 1942 იგი იყო ერთ-ერთი მოთავე ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის - „ქა-

რთველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ დაფუძნებისა. 1945 წ-დან მიუნხენში (გერმანია) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იყო ქართული ემიგრანტული პერიოდული პრესის აქტიური თანამშრომელი. მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელშიც მ. წერეთლის არაერთი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა. გარდა ამისა, მისი სტატიები ქვეყნდებოდა ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალის - „Georgica“ (ლონდონი) - ფურცლებზე.

მ. წერეთელი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 2012 ვასილ და მიხეილ წერეთლების სახელი მიენიჭა ქუჩას ქალაქ ჭიათურაში. 2013 მ. წერეთელს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა

ლიტ.: რ. დაუშვილი, „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“, თბ., 2007; ლ. ურუშაძე, „ქართული პატრიოტული პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“-ს ისტორიისათვის“, ჟურნ. „ამირანი“, XXI, თბ. -მონრეალი, 2009; ურუშაძე., „დიადი სულის უკვდავება (მიხაკო წერეთელი)“, თბ., 2012.

ლელა სარალიძე

წერეთელი როსტომ გრიგოლის ძე (1848-1923) - გენერალი. 1877-1878 წწ-ის რუსეთ-თურქეთისა და 1904-1905 წწ-ის რუსეთ-იაპონიის ომების მონაწილე. პოლკოვნიკი (1905). 1908 წ-დან თადარიგშია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ დაინიშნა სანიტარული მატარებლის უფროსად. გენერალი (1914). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, სპარსეთის ლომისა და მზის მე-2 ხარისხის. 1918-1921 წწ-ში მსახურობდა ქართულ ჯარში.

ლიტ.: М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

წითელი ჯვრის საქართველოს საზოგადოება – საქართველოს წითელი ჯვარი დაარსდა 1918 წ-ის 16 ივლისს. საქართველოს წითელი ჯვრის საორგანიზაციო სამუშაოებს სათავეში ექიმი მიხეილ ზანდუკელი ჩაუდგა. ორგანიზაციის გამგეობაში შედიოდნენ: გიგო დიასამიძე, აპოლონ ურუშაძე, მიხეილ მგალობლიშვილი, მინადორა ხოშტარია, თევდორე ქარცივაძე, ნინო ნაკაშიძე და სხვები.

წითელი ჯვრის საზოგადოებამ აქტიური მუშაობა გააჩაღა წითელი ჯვრის დათა თემის ჩამოყალიბებისათვის. ორგანიზაციამ სიმბოლოდ აირჩია საერთაშორისოდ აღიარებული წითელი ჯვარი. ორგანიზაციაში არსებული ქალთა კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მიუსაფარ ბავშვებს. წითელი ჯვარი ეხმარებოდა 1918 ოსმალეთის შემოსევის მხრივ დაზარებულ მოსახლეობას, აქტიურ კამპანიას აწარმოებდა გორის მიწისძვრის დროს. ორგანიზაცია აგროვებდა თანხასა და სხვადასხვა პროდუქციას, რათა დახმარებოდა დაჭრილ და ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს. 1921 წ-ის საბჭოთა ოკუპაციის დროს წითელი ჯვარი ცდილობდა ქალაქში წესრიგის დამყარებასა და დაჭრილი მეომრებისთვის დახმარების გაწევას. 1921-1923 წწ-ში საქართველოში წითელმა ჯვარმა იატაკქვეშა ორგანიზაციებთან კავშირი დაამყარა. 1922 წ-დან წითელი ჯვრის პოლიტიკური მოღვაწეობა ჩეკას ყურადღების ცენტრში მოექცა. ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ელენე მაისურაძის, გადაბირებას ჩეკას უფროსი კოტე ცინცაძე ცდილობდა.

პოლიტიკური წითელი ჯვარი ცდილობდა, ქართულ არალეგალურ ორგანიზაციებს დახმარებოდა საქართველოს დევნილ მთავრობასთან დაკავშირებაში. ორგანიზაციის წევრები პოლიტიკურ პატიმრებს ეხმარებოდნენ იურიდიულად და ასევე ცდილობდნენ, არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ დასავლური პრესისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 1922 წ-დან სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბრძანებით პოლიტიკურ წითელ ჯვარს მოღვაწეობა აეკრძალა, ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, პეშკოვას, ნება მისცეს, დახმარება გაეწია პოლიტპატიმრებისათვის. ოფიციალურად, საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით, 1923 ხელი მოეწერა საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის წითელი ჯვრის ორგანიზაციის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებას. მიზანი იყო შიმშილობის, დაავადებებისა და სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა.



წერეთელი როსტომ

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი: დაკარგული ისტორია, თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე

წინამძღვრიშვილი მიხეილ დოროთეს ძე (1882, დაბა სურამი - 1956, თბილისი) - თერაპევტი, საქართველოში მეცნიერული თერაპიისა და კარდიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1921), პროფესორი (1924), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946). იყო საქართველოს თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე (1950-1956), თერაპევტთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი (1956). 1910 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

წინამძღვრიშვილი
მიხეილ

1919 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მ. წინამძღვრიშვილი უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დიაგნოსტიკის კათედრის ასისტენტად აირჩია.

1921-1930 წწ-ში იყო თსუ-ის დიაგნოსტიკის კათედრის ხელმძღვანელი. 1927-1928 წწ-ში

წულუკიძე ალექსანდრე



წულაია პავლე

წულუკიძე გიორგი

წულაძე ვასილ

მივლინებული იყო ბერლინის, ვენისა და პარიზის კლინიკებში, 1930-1956 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრას, 1946 დააარსა კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო სიცოცხლის ბოლომდე. მიხეილ წინამძღვრიშვილმა 1946 წ-დან დაიწყო ჰიპერტონიული დაავადებების ეპიდემიოლოგიური შესწავლა საქართველოს მოსახლეობაში. შეიმუშავა ჰიპერტონიული დაავადებებისა და გულის კუნთის დისტროფიის ორიგინალური კლასიფიკაციები (1952-1956). გამოჰყო ჰიპერტონიული დაავადებების შექცევადი ანუ რევერზიბელური ფორმა და პრეჰიპერტონიული მდგომარეობა (1952); შეისწავლა გულის თანდაყოლილი ანომალიების დიაგნოსტიკის საკითხები. ავტორია შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის პირველი ორტომიანი სახელმძღვანელოსი (1930, 1936, 1937).

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: მიხეილ დოროთეს ძე წინამძღვრიშვილი, წერეთელი (დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით), თბ., 1971.

მანანა ლილუაშვილი

წულაია პავლე ლუკას ძე (ფსევდონიმი: დეპო) (1882, სოფ.ხუნჯულოური - III.1943, ციმბირი) - სასწავლებლად თავდაპირველად შევიდა სოფ. ხუნჯულოურის სასწავლებელში, შემდეგ კი სწავლა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში განაგრძო. მოგვიანებით იგი ჩაერთო რსდმპ-ის მუშაობაში და გახდა მენშევიკური ფრაქციის წევრი, რის შემდეგაც 1907 აირჩიეს რსდმპ ლონდონის მეხუთე ყრილობის დელეგატად. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ის აქტიურად ჩაება პოლიტიკურ მოღვაწეობაში. 1919 არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად და ასევე იყო საკონსტიტუციო და გზათა კომისიების წევრი. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. 1937 პავლე წულაია დააკავეს და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

წულაძე ვასილ (1889, სოფ. ჭანჭეთი, ოზურგეთის მაზრ. - 1969, პარიზი) – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დაიბადა გლეხის ოჯახში. სწავლობდა სოფლის სკოლაში და ბათუმის გიმნაზიაში. მონაწილეობდა გურიის 1905 მოვლენებში. 1906 წ-დან რსდმპ-ს წევრია. 1915 წ-დან მუშაობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. 1917-1918 წწ-ში მუშაობდა ამ ორგანიზაციის თბილისის განყოფილებაში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიურად ჩაება საპარლამენტო მუშაობაში და იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი მთავრობას გაჰყვა ემიგრაციაში, თავდაპირველად სტამბოლში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ - პარიზში. გარდაიცვალა საფრანგეთში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე

წულუკიძე ალექსანდრე პეტრეს ძე (1888-1967) - ქირურგ-ურولოგი, საქართველოში მეცნიერული ურولოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1925), პროფესორი (1930), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1946), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955). 1913 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1919 თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაინიშნა სამკურნალო ფაკულტეტზე გინეკოლოგიური კლინიკის ასისტენტად.

1922-1924 წწ-ში გერმანიასა და საფრანგეთში დახელოვნდა ურولოგიაში. 1925 დაიცვა სადოქტორი დისერტაცია, იყო პროფესორი (1930). 1930-1959 წწ-ში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ქირურგიისა და ურولოგიის კათედრებს, 1949-1953 წწ-ში - ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს, 1953-1967 წწ-ში მისივე ინიციატივით დაარსებულ ურولოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ლიტ.: დ. მურვანიძე, აკადემიკოსი ალექსანდრე წულუკიძე, თბ., 1978; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

წულუკიძე გიორგი დავითის ძე (23.IV.1860 - 1923) - გენერალი. დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. პრაპორშჩიკი (1880). პოდპორუჩიკი (1883). პორუჩიკი (1887). შტაბ-სკაპიტანი (1893). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა. კაპიტანი (1900). პოდპოლკოვნიკი (1905). პოლკოვნიკი (1910). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. კავკასიის მსროლელთა მე-11 პოლკის უფროსი. მსროლელთა მე-5 დივიზიის ბრიგადის უფროსი. გენერალ-მაიორი (1916). მსროლელთა მე-5 დივიზიის ბრიგადის მეთაური (1916). 1917 ჯერ ქვეითთა 174-ე დივიზიის, შემდეგ 67-ე დივიზიის უფროსი. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 წ-ის დეკემბერში, სომხეთთან ომის დროს, იყო ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორი და იქ მყოფი ქართული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების უფროსი. სწორედ მის დაქვემდებარებაში მყოფ შენაერთებს მოუწიათ ომის პირველ ეტაპზე ყველაზე მძიმე ბრძოლების წარმოება რიცხვმრავალ მოწინააღმდეგესთან. გ. წულუკიძე იძულებული იყო, უკან დაეხია. დეკემბრის ბოლოს ის თავის შენაერთებთან ერთად გენერალ მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში შევიდა. 1921 წ-ის თებერვალ-მარტში იყო ბათუმის ციხესიმაგრის უფროსი. ემიგრაციაში არ წასულა.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа т. 1, 2007; ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი,2007.

მიხეილ ბახტაძე

წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე (**8**.XI.**1865** - **21**.V.**1923**) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ ალექსანდრეს სახელობის მე-**3** სასწავლებელი. პოდპორუჩიკი (**1885**). პორუჩიკი (**1889**). შტაბსკაპიტანი (**1898**). კაპიტანი (**1900**). პოდპოლკოვნიკი (**1905**). პოლკოვნიკი (**1910**). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. **1914** წ-ის ნოემბრამდე **208**-ე ქვეითთა პოლკშია. **1915 205**-ე პოლკის მეთაური. დაიჭრა და გადაყვანილ იქნა კავკასიის ოლქის შტაბში. გენერალ-მაიორი (**1916**). დაჯილდოებული იყო ორდენებით: (**1907**) წმ. ანას მე-**3** ხარისხის; (**1911**) წმ. სტანისლავის მე-**2** ხარისხის ხმლებით; (**1915**) წმ. ვლადიმირის მე-**3** ხარისხის ხმლებით; (**1915**) წმ. ვლადიმირის მე-**4** ხარისხის ხმლებითა და ბაბთით. იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1918 წ-ის დეკემბერში, სომხეთთან ომის დროს, იყო სამხედრო სამინისტროს პიროვნული შემადგენლობის განყოფილების უფროსი. 1919 წ-დან მე-3 ბრიგადის (ახალციხეში, იცავდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას) მეთაურია. 1921 დაინიშნა ზურგის არმიის მეთაურად. 18-20 მარტს გ. მაზნიაშვილთან ერთად, განდევნა ქემალისტები ბათუმიდან.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. სამსახური განაგრძო წითელ ჯარში. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზადებელი სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1, 2007; ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007.

მიხეილ ბახტაძე

წულუკიძე იუნუს ესედის ძე (1880, სოფ. ლეღვა, ბათუმის ოლქი - 1921(1922), ოჩხამური, ოზურგეთის მაზრ.) - სოციალ-დემოკრატი, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 დეპუტატის ანკეტის თანახმად, განათლებით იყო სემინარიელი, სწავლობდა სტამბოლში. პროფესიით სოფლის მეურნე.

1918 სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით გახდა ეროვნული საბჭოს წევრი. დამოუკიდებლობის პერიოდში, მემედ აბაშიძესთან და სხვა მაჰმადიან ქართველებთან ერთად, სათავეში ედგა ბათუმის ოლქის საქართველოს ფარგლებში დაბრუნებისათვის პოლიტიკურ ბრძოლას, 1919 მონაწილეობა მიიღო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ შექმნაში.

დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ბიოგრაფიული ცნობები არ მოიძებნება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაიღუპა 1920-იან წწ-ში სარკინიგზო ინციდენტის შედეგად.

ლიტ.: გ. შარაძე, „მემედ აბაშიძე“, 1995; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109.

ირაკლი ირემაძე

წულუკიძე ვარდენ

წუწუნავა ალექსანდრე

წუწუნავა ალექსანდრე რაჟდენის ძე (16.I.1881, სოფ. ლიხაური, ოზურგეთის მაზრ. - 26.X.1955 , თბილისი) - ქართველი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე. საქართველოს სახალხო არტისტი (1934). 1900 მსახიობად ჩაირიცხა ქუთაისის დრამატულ დასში, სადაც მუშაობდა ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით. 1910 დაამთავრა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდია სარეჟისორო განხრით. 1910 წ-დან სხვადასხვა დროს მუშაობდა ჭიათურის თეატრში, თბილისის სახალხო სახლში, ქართულ და რუსულ თეატრებში, სარატოვში, ბაქოს ქართულ თეატრში და სხვ. ა. წუწუნავა ქართული ეროვნული საოპერო რეჟისურის ფუძემდებელია.

1918 წ-დან სათავეში ედგა თბილისის საოპერო თეატრს. 1918 წ-ის 19 ოქტომბერს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა სახელმწიფო თეატრის კომისრის, ა. წუწუნავას მოწოდება. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრთან არსებულ ქართულ დრამატულ სტუდიაში მოსწავლეების მიღებასთან დაკავშირებით. 1.I.1919 სახელმწიფო თეატრში, სამშობლოს დამცველ მეომართა პატივსაცემად და სასარგებლოდ, ა. წუწუნავას რეჟისორობით გაიმართა დიდი მხატვრული საღამო. 24.I.1919 სახელმწიფო თეატრში (ოპერა), ა. წუწუნავას რეჟისორობით ქართულ ენაზე პირველად დაიდგა „დემონი“. 2.II.1919 სახელმწიფო თეატრში, მისივე რეჟისორობით, პირველი ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ წარმოადგინეს. ა. წუწუნავას რეჟისორობით 21.II.1919 სახელმწიფო თეატრში განხორციელდა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“; 15.IV.1919 კი - პეტროგრადის ცნობილი მსახიობი ქალის მ. ს. დავი-

დოვას მონაწილეობით „კარმენი“; 30.XI.1919 ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა ცნობა ქართული დრამატული დასის დაშლასთან დაკავშირებით, რაც ა. წუწუნავასთან შეუთანხმებლობამ გამოიწვია. ა. წუწუნავას რეჟისორობით 11.XII.1919 დაიდგა პირველი კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. 18.I.1920 ქართულ კლუბში გაიმართა საქველმოქმედო წარმოდგენა თბილისის ქართველ მსახიობთა საუკეთესო ანსამბლის მონაწილეობით. 9.III.1920 „კინემომინიონში“ პირველი ქართული კინოდრამა „ქრისტინე“ აჩვენეს, რომლის რეჟისორი ა. წუწუნავა იყო. 23.III.1920 ქართულ კლუბში, კ. ჭიჭინაძის საღამოზე, ა. წუწუნავამ დადგა კომედია „ციმბირელი“. 13.XI.1920 სახელმწიფო დრამის თეატრში (ყოფილი არტისტული საზოგადოების თეატრი), ა.წ. რეჟისორობით, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ წარმოადგინეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში ფოტოები იბეჭდებოდა, აქტიურად შუქდებოდა მისი შემოქმედება. მ. ჭიაურელისა და შ. ქიქოძის მეგობრული შარჟები კი პერიოდული გამოცემების არაერთ ნომერში გამოქვეყნდა.

1923 კინორეჟისურის შესასწავლად მოსკოვში გაემგზავრა. 1924 მიიწვიეს სახკინმრეწვის რეჟისორად. ა.წ. ქართული კინემატოგრაფის განვითარების ფუძემდებლია. მან „ქრისტინეს“ გარდა გადაიღო ფილმები: „ვინ არის დამნაშავე?“ (1925), „ორი მონადირე“ (1926), „ხანუმა“ (1927), „ჯანყი გურიაში“ (1929). 1934 სახალხო არტისტის წოდება მიიღო. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის 2 ორდენით და მედლებით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994; ვ. კიკნაძე, ქართველი რეჟისორები, წიგნი 1, თბ., 1968; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №69; 1919, №1, №18, №25, №38, №81; 1920, №258; გაზ. სახალხო საქმე, 1920, №730, №773, №784; ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №13; 1920, №1; ჟურ. ეშმაკის მათრახი, 1919, №2, 1920, №1, №7.

სალომე ჭანტურიძე, მერაბ გეგია

წუწუნავა ცეცილია რაჟდენის ასული (12.V.1892, ოზურგეთი - 5.IX.1956, თბილისი) - თეატრისა და კინოს ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (1943). სწავლა დაიწყო სოფელ გურიანთაში, განაგრძო ჯერ ოზურგეთში, შემდეგ - ბათუმში, ბოლოს, 1912 დაამთავრა ფოთის ქალთა გიმნაზია. თეატრი წუწუნავების ოჯახის გატაცება იყო.

ახალგაზრდები ხშირად მონაწილეობდნენ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. ც. წუწუნავას დებიუტი პროფესიულ სცენაზე შედგა ბათუმში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. მან შეასრულა სალიხეს როლი ნინო ნაკაშიძის პიესაში „ვინ არის დამნაშავე?“. 20-იანი წლებიდანვე იწყება წუწუნავას შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართულ კინოში, თუმცაღა იგი პირველად მაყურებელმა იხილა უკვე 1916 წელს გადაღებულ პირველ ქართულ მხატვრულ ფილმში „ქრისტინე“, სადაც შექმნა მარინეს დასამახსოვრებელი სახე. 1920-1926 წწ-ში თბილისში, რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა.

1926-1928 წწ-ში იყო თბილისის „წითელი თეატრის“ მსახიობი. 1928-1956 წწ-ში მარჯანიშვილის თეატრშია. მან განასახიერა: კაროჟნა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), მაკა (შ. დადიანის „კაკალ გულში“), დარეჯანი (ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“), ანა ანდრეევნა (გოგოლის „რევიზორი“), მარსელინა (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), ლირსა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“) და სხვ. ამას მოჰყვა შესანიშნავად შესრულებული როლები კინოფილმებში: სალიხე („ვინ არის დამნაშავე?“, 1925), კნეინა („ქეთო და კოტე“, 1948), ეფროსინე („ჭრიჭინა“, 1953) და სხვ. მისი წვლილი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში აღინიშნა შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994.

მერაბ გეგია



ჭაბუკიანი პეტრე ივანეს ძე (5.VII.1889, ქუთაისი - 1982) – 1918-1921 წწ-ში პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობდა შემდეგში ცნობილი მხარეთმცოდნე, გეოგრაფი, სათაფლიის მღვიმის აღმომჩენი და მუზეუმის გამგე პ. ჭაბუკიანი. ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში 1919 წ-ის სექტემბერში ის გეოგრაფიის მასწავლებლად დაინიშნა. მის შესახებ გიმნაზიის დირექტორი შ. მხეიძე წერდა: „პეტრე ჭაბუკიანი არის მეტად ბეჯითი და შესაფერისად მომზადებული მასწავლებელი: ის სახელოვნად შრომობს ხაშურის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოზარდ თაობის სწავლა-განათლების საქმისათვის“. პეტრე ჭაბუკიანი დერპტის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ I მსოფლიო ომში გაიწვიეს, სადაც ტყვედ ჩავარდა და განათლების ცენზის აღმნიშვნელი საბუთები დაკარგა, რის გამოც მას დაბრკოლებები შეექმნა პედაგოგის შტატში ჩარიცხვისას. თუმცა განათლების სამინისტრომ მხედველობაში მიიღო მისი წერილობითი განცხადება ამის თაობაზე და მასწავლებლის სრული განაკვეთი მისცა. დასაფლავებულია სათაფლიის ნაკრძალში.

ლიტ.: სცსა, ფ. 1935, აღწ. 2, საქ. 1539.

დოდო ჭუმბურიძე

ჭავჭავაძე დავით ზაქარიას ძე (12.IX.1878 - ?) - გენერალი. დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ ნიკოლოზის სახელობის საკავალერიო სასწავლებელი პირველი თანრიგით. კორნეტი (1899). პორუჩიკი (1903). რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის მონაწილე. შტაბროტმისტრი (1907). დაამთავრა ოფიცერთა სკოლა. როტმისტრი (1911). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1916). 1916 იყო ქართული ცხენოსანი ათასეულის ჩამოყალიბების ინიციატორი და მეთაური. ათასეული გაიგზავნა სპარსეთში მოქმედ გენერალ ბარათოვის კორპუსში, რათა მონაწილეობა მიეღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში, შემდეგ კი სპარსეთიდან მესოპოტამიაში გადაინაცვლა. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით, წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1917 დაბრუნდა საქართველოში. გენერალი. 1921 წ-ის თებერვალში პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილთან ერთად გაიგზავნა დასავლეთ საქართველოში საკავალერიო ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. მოხერხდა ორი ესკადრონის შექმნა, თუმცა ამ დროისთვის ქართულ შეიარაღებულ ძალებს აღმოსავლეთი საქართველო უკვე დატოვებული ჰქონდათ.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/. 2007.

მიხეილ ბახტაძე

ჭავჭავაძე დავით

ჭავჭავაძე თამარ ირაკლის ასული (16.X1896, ყვარელი - 20.IV.1968, თბილისი) - მსახიობი, თანამედროვე ქართული სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1917-1919 წწ-ში სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, პარალელურად - პ. ლებედინსკის თეატრ-სტუდიაში. 1919-1921 წწ-ში სწავლობდა თბილისში, ჯერ ნ. მიხაილოვსკის, შემდეგ კი - ნ. ხოდოტოვის დრამატულ სტუდიებში. 1920-1928 და 1942-1964 წწ-ში იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი, შემდეგ მონაწილეობდა მეორე სახელმწიფო თეატრის (ქუთაისი, 1928; 1933 წ-დან მარჯანიშვილის თეატრი) ჩამოყალიბებასა და მუშაობაში (1928-1942). 1964-1968 წწ-ში მოღვაწეობდა სოხუმის თეატრში. თ. ჭავჭავაძის როლები გმირული პათოსით, ლირიზმით, უშუალობით, მგზნებარე ტემპერამენტით გამოირჩეოდა. იყო მხატვრული კითხვის ოსტატი. შეასრულა: სალომეა (უაილდის „სალომეა“), ლამარა (გ. რობაქიძის „ლამარა“),

ჭავჭავაძე თამარ

ბეატრიჩე (შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“), ემილია (შექსპირის „ოტელო“), ლედი მილფორდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), მარგარიტა (დიუმა-შვილის „მარგარიტა გოტიე“), ზეინაბი (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“), ქეთევანი (ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი“), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), სინათა („ბახტრიონი“, ვაჟა-ფშაველას მიხედვით) და სხვ. დაჯილდოებული იყო არაერთი ორდენითა და მედლით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994.

მერაბ გეგია

ჭავჭავაძე სპირიდონ

ჭავჭავაძე სპირიდონ მიხეილის ძე (3.III.1878 - 1952) - გენერალი. რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. პოლკოვნიკი (1915). ულანთა მე-13 პოლკის უფროსი. გენერალ-მაიორი (1916). დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. ანას მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაბთით, წმ. ანას მე-2 ხარისხის და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ხმლებით. დაჯილდოებული იყო იარაღით.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1924 დაინიშნა ანტისაბჭოთა აჯანყების მთავარსარდლად. აჯანყების მარცხის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად წავიდა ემიგრაციაში. 1947 დაბრუნდა საქართველოში. 1951 დააპატიმრეს და მიუსაჯეს 25-წლიანი პატიმრობა. გარდაიცვალა ციხეში.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т. 1, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ჭავჭანიძე ივანე

ჭავჭანიძე ივანე იოსების ძე (1886. დაბ. ხონი - 1946) - სოციალ-დემოკრატი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. სტუდენტობიდანვე შეუერთდა მენშევიკურ ფრაქციას. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების სათეატრო სექციის წევრი. აგრეთვე, ამავე ორგანიზაციის ხონის განყოფილების ნამდვილი წევრი 1914 წ-დან. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე.

1917 იყო ხონის ქალაქის თავი. 1919-21 წწ-ში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. შედიოდა სამანდატო და საფინანსო კომისიებში, იყო გზათა კომისიის თავმჯდომარე.

1921 წავიდა ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

ნოდარ ჩხაიძე

ჭელიძე თეიმურაზ

ჭანეთისა და ლაზისტანის განმათავისუფლებელი კომიტეტი – დაარსდა 1919 წ-ის 1 მარტს, ქ. ფოთში. მიზნად ისახავდა იდეოლოგიური მუშაობის დაწყებას ლაზეთში პროქართული განწყობის გასაზრდელად. გამოუშვა სხვადასხვა მოწოდება ლაზებისადმი. არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, კომიტეტმა მალევე შეწყვიტა არსებობა.

ლიტ. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, №50.

ჯაბა სამუშია

ჭანიშვილი მიხეილ თომას ძე (1897, ქუთაისი - 1944 (?)) - სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სადაც გამოსცემდა ხელნაწერ გაზეთს „ჩვენი ზარი“. 1914-1917 წწ-ში სწავლობდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში. 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

1918-1921 წწ-ში იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის აქტიური წევრი. 1918 წ-ის ნოემბერში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წ-ის თებერვალში სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სიით მონაწილეობას იღებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, თუმცა კრების წევრი ვერ გახდა. 1918-1921 წწ-ში სოციალისტ-რევოლუციონერთა გაზეთ „შრომაში“ აქვეყნებდა სტატიებს ფსევდონიმით „Michel“.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. სხვა სოციალისტ-რევოლუციონერებთან ერთად გამოსცემდა არალეგალურ გაზეთ „იმედს“. 1924 წ-ის აგვისტოს აჯანყების შემდეგ „ჩეკამ“ დააპატიმრა, თუმცა ბრალის დაუმტკიცებლობის გამო გაათავისუფლეს. 1925-1927 წწ-ში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1934 წელს კვლავ დააპატიმრეს. მოგვიანებით გადაასახლეს მაგადანში. შემდგომი ბედი უცნობია.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 123.

ირაკლი ირემაძე

ჭელიძე თეიმურაზ სტეფანეს ძე (VII.1876 სოფ. ბაჯი - 23.X.1937) - სოციალ-დემოკრატი. პროფესიით იყო ხარაზი. განათლება მიიღო ონის საზოგადოების სასოფლო სკოლაში. 1905 წ-დან იყო რსდმპ მენშევიკური ფრაქციის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1914 გაიწვიეს არმიაში და იბრძოდა ოსმალეთის ფრონტზე, სადაც მსახურობდა 1917 წ-მდე. 1919 აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. 1921 „სხივის“ ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა თ.

ჭელიძე, დატოვა პარტია და ცალკე ფრაქცია შეადგინა. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. 1922 დააკავეს სვანეთის აჯანყებასთან დაკავშირებით, 1923 გადასახლება მიესაჯა, შემდეგ კი - დახვრეტა.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016.

მანუჩარ გუნცაძე

ჭიაბრიშვილი ანდრია იაკობის ძე (13.IV.1884, ქ. თბილისი - ?) - ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დაამთავრა პირველდაწყებითი საქალაქო სასწავლებელი. პოლიტიკური საქმიანობის გამო რამდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული.

1917 წ-დან იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი. იყო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი შტაბის წევრი. ხელი მოაწერა საქართველოს 1918 წ-ის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. 1919 აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ა. ჭიაბრიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკი ავანტიურისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წ-ის ივნისში, როდესაც ი. სტალინი თბილისში ჩამოვიდა მუშებთან შესახვედრად, ა. ჭიაბრიშვილი ესწრებოდა კრებას, როგორც კარგი ორატორი და ერთ-ერთი მოწინავე მუშათაგანი. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ის დააპატიმრა და მეტეხის ციხეში ჩასვა. 1922 წ-ის ზაფხულში, ფშავ-ხევსურეთის აჯანყების დროს (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით), საბჭოთა მთავრობამ ა. ჭიაბრიშვილი, სხვა დანარჩენ პატიმრებთან ერთად, მძევლად აიყვანა და მეტეხიდან „ჩეკაში“ გადაიყვანა, სადაც მათგან მოითხოვდნენ, ქ. ჩოლოყაშვილი ბანდიტად გამოეცხადებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებოდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა მოწოდება, როგორც ქაქუცას, ისე ტყეში გასული სხვა შეიარაღებული რაზმებისადმი, რათა შეეჩერებინათ გამოსვლები, ამის შემდეგ მძევლები „ჩეკამ“ გაათავისუფლა.

ლიტ.: ი. რამიშვილი, „მოგონებები“, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გ. საითიძემ და ქ. რამიშვილმა, თბ., 2012.

ლელა სარალიძე

ჭიათურის შავი ქვის მომპოვებელი საზოგადოება - ჭიათურაში შავი ქვის - მანგანუმის - მოპოვება 1879 წ-დან იღებს სათავეს. მისი მოპოვების ინიციატორი ცნობილი მწერალი აკაკი წერეთელი იყო. საბადოს ტერიტორია თავდაპირველად 10 სოფელს მოიცავდა. უტრანსპორტობისა და უგზოობის გამო, მოპოვებული მადანი დანიშნულების ადგილამდე ხშირად ვერ აღწევდა. მიუხედავად ამისა, ქართველ მეწარმეთა ნაწილმა 1894 გაიყვანა ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის ვიწრო ლიანდაგი.

დაარსდა მანგანუმის მრეწველთა ყრილობა, რომლის თავმჯდომარეც სიცოცხლის ბოლომდე, ანუ 1917 წ-მდე, გიორგი ზდანევიჩ-მაიაშვილი იყო. პირველმა მსოფლიო ომმა ძლიერ შეუშალა მწარმოებლებს ხელი მანგანუმის საზღვარგარეთ გატანაში, რადგანაც ჩაიკეტა დარდანელის სრუტე. 1918 წლისათვის მწარმოებლების უმეტესი ნაწილი ერთ სააქციო საზოგადოებაში გაერთიანდა. მათი კაპიტალი 30 მილიონ ოქროს მანეთს შეადგენდა და აერთიანებდა 165 დიდ თუ პატარა საწარმოს. ჭიათურაში არსებული 22 ფირმიდან 6 წარმოადგენდა ქართველთა საკუთრებას, მათ შორის იყო მანგანუმის მრეწველთა საზოგადოება. მრეწველთა საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ ნიკო ნიკოლაძე აირჩიეს. სააქციო საზოგადოებას ფილიალები ჰქონდა: გერმანიაში, ინგლისში, თურქეთში. ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ ქართული მანგანუმი უმსხვილესი საწარმო გახდა. 1919 ჭიათურის მანგანუმის ექსპორტზე მონოპოლია გამოცხადდა. ექსპორტის უფლება მიენიჭა საზოგადოება „ჩემოს“. 1919 გაიტანეს 26 00000 ტონა მანგანუმი, ხოლო 1920 - 120 00000 ტონა. შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება აქტიურად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, აფინანსებდა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლას. 1918 შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო და წიგნსაცავი და ლაბორატორია აჩუქა ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.



ჭიაბრიშვილი ანდრია

გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ჩაერია ჭიათურის მანგანუმის მოპოვებაში. 1925 შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებამ და ორგანიზაცია ჩემომაც არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა ხელისუფლებამ მანგანუმის მოპოვების უფლება 20 წლით გადასცა ამერიკულ კომპანია „ ჰარიმანს'', თუმცა ეს თანამშრომლობა მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა.

ლიტ.: ა. გავაშელი, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1967; ლ. ბიწაძე, ჟამი შენებად, ქუთ., 2005.

ნოდარ ჩხაიძე

ჭიაურელი მიხეილ ედიშერის ძე (6.II.1894, თბილისი - 31.X.1974, თბილისი) - კინორეჟისორი, მსახიობი, მოქანდაკე, მხატვარი. მიხეილის მამა - ედიშერი - საგარეჯოელი გლეხი იყო. ის თბილისში, ჯერ მედუქნის კარზე მუშაობდა მოჯამაგირედ, მერე კი მწვანილს ყიდდა მარჯანიშვილისა და წინამძღვრიშვილის ქუჩის კუთხეში. დედა - სოფიო სონღულაშვილი -დიღმელი ქალი იყო. ოჯახს, მიხეილის გარ-

ჭიაურელი მიხეილ

და, სამი ვაჟი ჰყავდა. ცხოვრობდნენ წინამძღვრიშვილის №53-ში. მიხეილი პირველდაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ თბილისის სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს. 29.XII.1909 სასწავლებლის დასრულების ღონისძიება სახალხო სახლში გაიმართა. იოსებ ივანიძის რეჟისორობით ქართულად დადგეს ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ახირებული“. მ. ჭ.-მა შეასრულა აკაკი აკაკიევიჩის როლი. 1910 სახალხო სახლთან არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის წევრია. 1911-1914 დასს რეჟისორი ა. წუწუნავა ხელმძღვანელობდა. 1915 წ-დან დასის წევრთა ერთი ჯგუფი, მათ შორის მ. ჭ., ოზურგეთში გაემგზავრა. 1916-1917 წწ-ში მ. ჭ. ბათუმის ნახევრად პროფესიული დასის წევრია, რომელსაც ვ. შალიკაშვილი ხელმძღვანელობდა. 1917 წ-ის ზაფხულში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი იყო. ექსპედიციას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა, მ. ჭ.-ის გარდა ა.კალგინი, ლ. გუდიაშვილი და დ. შევარდნაძე მონაწილეობდნენ. 1917-ს შემოდგომაზე მ. ჭ. ქუთაისში გაემგზავრა და მ. ქორელის ხელმძღვანელობით შეკრებილი დასის მსახიობად დაიწყო მუშაობა.

1918 წ-ის ზაფხულში, ქუთაისის სათეატრო სეზონის დასრულების შემდეგ, სამტრედიის დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა. 1918-1919 წწ-ში იყო ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა დრამატული წრის ხელმძღვანელი. მისი სტუდენტები იყვნენ: უშანგი ჩხეიძე, დოდო ანთაძე, შალვა ღამბაშიძე, პავლე კანდელაკი და სხვ. 1919 იყო გიორგი ჯაბადარის სტუდიის მსმენელი და მსახიობი. 7.II.1920 მთავარი როლი შეასრულა ნ. შიუკიშვილის „სულელში“. 22.II.1920 ნ. შიუკიშვილის დრამა „ციცინათელაში“ ლევანის როლი მიიღო. 1920 მ. ქორელის დასთან ერთად დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა გასტროლებზე, გასტროლებიდან დაბრუნებული მთელი დასი თბილისის ახლადშექმნილ დრამატულ დასში ჩაირიცხა. დასს ხელმძღვანელობდა აკაკი ფაღავა. რეჟისორები: მ. ქორელი, ა. წუწუნავა, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ახმეტელი და ლადო მესხიშვილი. 15.X.1920 სეზონი შ. დადიანის კომედიით „გუშინდელი“ გაიხსნა. მ.ჭ.-მა შეასრულა გორგასლიანის როლი. ამავე დროს სეზონის განმავლობაში შეასრულა სტუდენტი ლეოს (ვ.ვინიჩენკოს „სიცრუე“), მიხას (ი.გედევანიშვილის „მსხვერპლი“), მეფე ლუარსაბის (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფე“), ჰეინრიხის (გ. ენგელსის „ზღვასთან“), ბერდოს (ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“), ზაქარიას (ა. ცაგარელის „მათიკო“), უცნობის (პ. ჰეიზეს „მარიამ მაგდალინელი“), ავეტიკას (ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“) როლები. ოქტომბერში დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ - მთავარი გმირების გრიმი მ.ჭ.-ის ესკიზების მიხედვით შესრულდა. საქართველოს დემოკრატიული

ჭიჭინაძე პარმენ

რესპუბლიკის პრესაში მისი შესრულებული არაერთი ჩანახატი გამოქვეყნდა. ხატავდა იმ დროს მოღვაწე პოლიტიკოსებისა თუ ხელოვანი ადამიანების შარჟებს. თანამშრომლობდა ჟურ. „ეშმაკის მათრახი“, სადაც მისი ათეულობით ნამუშევარია დაბეჭდილი.

1921 წ-ის მარტსა და აპრილში ქართული და რუსული თეატრები შეიქმნა. მ. ჭ. ქართულ თეატრს ხელმძღვანელობდა. 1921 მთავარი როლი შეასრულა ფილმში „არსენა ჯორჯიაშვილი“. 1922-1924 წწ-ში გერმანიაში იყო, სადაც დრეზდენის სამხატვრო აკადემიის გამოჩენილ მოქანდაკეთა სახელოსნოში გადიოდა პრაქტიკას. საქართველოში დაბრუნებული, ქმნის სკულპტურულ ნამუშევრებს. 1927 იღებს პირველ ფილმს - „უკანასკნელი საათი“, 1928 კი - „პირველი კორნეტი სტრეშნიოვი“, აქ მ. ჭ. ქართული კინოს ისტორიაში პირველად იყენებს ნახატ კადრს. 1940-1950 წწ-ში მუშაობდა „მოსფილმში“. სტალინის გარდაცვალების შემდეგ სვერდლოვში გადაასახლეს, 1957 დაბრუნდა თბილისში. იყო სტალინური პრემიის ხუთგზის ლაურეატი და ვენეციის კინოფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი. 1974 გარდაიცვალა. ჯერ თბილისის კინოსტუდიის ეზოში დაკრძალეს, შემდეგ მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

მ. ჭიაურელის რეჟისორობით გადაღებული ფილმებია: „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“, „დაუვიწყარი 1919 წელი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და სხვ. მუშაობდა მულტიპლიკაციურ ფილმებზეც: „როგორ მარხავენ თაგვები კატას“, „ქირურგი მამალი“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და სხვ.

ლიტ.: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა, წ. 3. ; მ. ჭიაურელი, ცხოვრების ისტორიის დეტალები, ქართული კულტურის ოქროს ფონდი, ტ. 2. თბ., 2013; მიხ. ჭიაურელი, საქართველოს სსრ სახკინოს სარეკლამო-საგამომცემლო განყოფილება, თბ., 1978.

სალომე ჭანტურიძე

ჭილაშვილი ა.მ. – გენერალი (1920).

ლიტ.: М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. 1, 2007. მიხეილ ბახტაძე

ჭიჭინაძე პარმენ (1873 – V.1921) – ახალგაზრდობიდან ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1918-1920 წწ-ში იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის მოადგილე და პერიოდულად ასრულებდა მინისტრის მოვალეობასაც. 1920 წ-ის 3 დეკემბერს დაინიშნა სამხედრო მინისტრად. რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის დროს, 19 თებერვალს, სამხედრო მინისტრი ჭიჭინაძე და დამფუძნებელი კრების წევრები - ნოე ხომერიკი, გრიგოლ ურატაძე, გოგილო ცინცაძე ფრონტის დათვალიერებისას გადააწყდნენ ორ შეიარაღებულ წითელარმიელს, რომლებიც იქვე დაატყვევეს.

პ. ჭიჭინაძე საქართველოს დაპყრობის შემდეგ სამშობლოში დარჩა. გარდაიცვალა ავადმყოფობით. მისი დაკრძალვის დღე გადაიქცა პირველ ანტისაბჭოთა დემონსტრაციად თბილისში, საქართველოს დაპყრობის შემდეგ.

ლიტ.: ვ. მგელაძე, მოგონებები, წ. I, საქართველო აჯანყებამდე (1921-1924), პარ., 1936; დ. სილაქაძემ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრები და გენერალური შტაბის უფროსები. ტექსტი შეადგინა, თბ., 2016.

დიმიტრი სილაქაძე

ჭუმბაძე არისტო (1.XI.1880, სოფ. კლდეეთი, შორაპნის მაზრ. - 28.XI.1971, თბილისი) - ქართველი მწერალი და დიპლომატი. უმაღლესი განათლება სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო. 1908 ჟურ. „ნაკადულში“ გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა. 1911 დაბრუნდა საქართველოში, ქუთაისში დააარსა გაზ. „კოლხიდა“. 1814 იყო გაზ. „სახალხო ფურცლის“ რედაქტორი. ჟურნალისტური საქმიანობის გამო რამდენიმეჯერ იქნა დაპატიმრებული. 1914 წ-დან წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში. სორბონის უნივერსიტეტში ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მისაღებად მუშაობდა გუსტავ ფლობერის შემოქმედებაზე. 1915-1917 წწ.-ში მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავდაპირველად იაპონიის საელჩოში, ხოლო შემდეგ ალჟირში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. თავდაპირველად, 1919-1920 წწ-ში, მიხაკო წერეთელთან ერთად მუშაობდა სკანდინავიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლად, ძირითადად, ურთიერთობა ჰქონდა შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობებთან. 1920 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იტყობინებოდა - „სკანდინავიაში მყოფი საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი არისტო ჭუმბაძე საქართველოში დაბრუნდა. მან აღნიშნა, რომ შვეცია, ნორვეგია, დანია ის ქვეყნები არიან, ვინც პირველად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობაო. მისივე თქმით, ადგილობრივმა პრესამ დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოს მიმართ. სავაჭრო წრეები ძლიერ დაინტერესებულან, თუმცა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ერიდებიანო“. 1920 დიპლომატიური საქმიანობა თურქეთში, საქართველოს წარმომადგენლობაში განაგრძო, იყო წარმომადგენლობის საქმეთა მმართველი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ თავი დაანება დიპლომატიურ საქმიანობას და სამშობლოში დაბრუნდა. 1921 მისი რედაქტორობით გამოდის ჟურნალი „ხომალდი“. 1922-1924 წწ-ში მუშაობდა წითელი ჯვრის საზოგადოებაში. შემდგომში მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში, ასევე, სტილისტად გაზ. „კომუნისტში“. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბ., 2003; ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920. №174.

ირაკლი ირემაძე

ჭუმბაძე არისტო

ჭუმბურიძე ანტონ – საოპერო მომღერალი, ტენორი. თეატრში მუშაობის დაწყებამდე ქართველ კომპოზიტორებს ოპერების შექმნის პროცესში ეხმარებოდა. ოპერის თეატრში მუშაობა 1919 დაიწყო. იყო საოპერო სტუდიის სოლისტი. ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების რომანსებს, ნაწყვეტებს ქართული ოპერებიდან და ქართულ ხალხურ სიმღერებს. სხვადასხვა დროს ასრულებდა პარტიებს ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან: თანდარუხი (ზ. ფალიაშვილი - „აბესალომ და ეთერი“); კოტე (ვ. დოლიძე - „ქეთო და კოტე“); ლუა (რ. კილაძე -„ლადო კეცხოველი“, 1941); მოძახილი, ბაადური (ი. გოკიელი „პატარა კახი“. პრემ. 1943); კინწურა (ა. ანდრიაშვილი, „ლაშქარა“, პრემ. 16.III.1949); მელიტონი (ა. ბალანჩივაძე - „მზია“) და სხვ. მის რეპერტუარში, ქართულთან ერთად, უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებებიც შედიოდა: ალფრედი (ჯ. ვერდი - „ტრავიატა“); ჰერცოგი (ჯ. ვერდი „რიგოლეტო“); ფაუსტი (შ. ჰუნო - „ფაუსტი“); სინოდალი (ა. რუბინშტეინი - „დემონი“) და სხვ.

ლიტ.: დ. მჭედლიძე, „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1968; რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე, „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, კულტურის სამინისტრო, თბ., 2015.

ზურაბ ლეჟავა

ხ

ხარაზიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (1.VI.1875 -?) – იურისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. უმაღლესი იურიდიული განათლება მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო. წლების განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორად. 1919 წ-ის 13 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ აირჩია სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის სენატორად.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921). თბ., 2004.

ბექა ქანთარია.

ხარაძე არჩილ

ხარაძე არჩილ კირილეს ძე (1895, სოფ. წიფა - 1976, თბილისი) - მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. პროფესორი. 1917 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1918 წ-ის 30 მაისს თბილისის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ თანხმობა მისცა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს მოსკოვის უნივერსიტეტიდან, ა. ხარაძეს, უნივერსიტეტის ლექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

1930 წ-დან იყოს უნივერისტეტის პროფესორი და კათედრის გამგე, შემდგომში - ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1935-1938), სასწავლო დარგში პრორექტორი (1938-1944). სხვადასხვა დროს იყო კათედრის გამგე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დირექტორი თბილისის ა. პუშკინის სახელობის ინსტიტუტში (1947-1952), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თბილისის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, პრეზიდენტი საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოებისა (1970-1975). ა. ხარაძის გამოკვლევები ეხება ალგებრას, გეომეტრიას და მათემატიკის ანალიზის საკითხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ორთოგონალურ პოლინომთა კლასიკური თეორიის შემდგომი განზოგადებისა და ამ თეორიის პრობლემასთან კავშირების დადგენის მიმართულებით. ანდრია რაზმაძესთან და ნიკო მუსხელიშვილთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის მათემატიკური ტერმინოლოგიის დადგენაში. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მისი შრომებია: „დეტერმინანტთა თეორიის საფუძვლები“, ტფ., 1931; „მათემატიკური ანალიზის კურსის” 2 ტომი, თბ.; 1948-1950 (თანაავტორი).

ლიტ.: ი. ქარცივაძე, ბ. ხვედელიძე, არჩილ ხარაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1985.

მანანა ლილუაშვილი

ხეთის დრამატული წრე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაარსდა თეატრალური დასები რეგიონებში. ერთ-ერთი აქტიური წრე იყო ხეთაში. 1895 წ-დან, როგორც ადგილობრივ, ისე სხვადასხვა სოფლებში მართავდნენ წარმოდგენებს, თუმცა ოფიციალურად 1919 წ-ის 10 აგვისტოს დაარსდა. სცენისმოყვარეების მუშაობას შენობის არქონა აბრკოლებდა. პირველი წარმოდგენა თ. კობახიძის სახლში გაიმართა. დაიდგა გ. ერისთავის „ძუნწი“. 21.XI.1919 ვ. ნაჭყებიას თაოსნობით, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ დასახმარებლად ვ. გუნიას „და-ძმა“ დაიდგა. ხეთის დრამატული წრის წევრები იყვნენ: ვ. ნაჭყებია, პ. მეუნარგია, ე. კობახიძე, ს. კობახიძე, ტ. და ნ. ლატარიები, სონია, ნადია და თეოდოსა დავითის ასული კობახიძეები და სხვ. მათ ფინანსურად ეხმარებოდნენ: თ. ქირია, ი. ლატარია და სევერინე ბუკია.

ლიტ.: ვ. მასკურელი, ს. ხეთის დრამატული წრე, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №5; მეთვალყურე, ს. ხეთში, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №3.

სალომე ჭანტურიძე

ხელთუფლიშვილი დავით ბესარიონის ძე (185?. - 4. II. 1921) - ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის (უმაღლესი საეპელაციო პალატა - უზენაესი სასამართლო) თავმჯდომარე (1919-1921). იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში იყო ქუთაისის ნაფიცვექილთა კორპორაციის წევრი.

1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის თავმჯდომარედ აირჩია. გარდაიცვალა 1921 წლის იანვარში. ქართულმა საზოგადოებამ და პრესამ პატივი მიაგო, როგორც უაღრესად პატიოსან და პროფესიონალ პიროვნებას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქანთარია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921). თბ., 2004.

ბონდო კუპატაძე

ხელთუფლიშვილი დავით

ხელფასები და ფასები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ხელფასებისა და ფასების მაჩვენებელი საკმაოდ სწრაფად იცვლებოდა, რასაც განაპირობებდა იმხანად მიმოქცევაში არსებული ქართული მანეთის (გამოშვებული იყო ბონის სახით) ინფლაცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის სამინისტროს მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, 1919 წ-ის ნოემბერში, სხვადასხვა დარგის მუშაკები იღებდნენ შემდეგ საშუალო თვიურ ხელფასს (მანეთებში): მთავარი მოანგარიშე - 4, 370; კანტორის მოსამსახურე - 2, 173; საქმის მწარმოებელი - 2, 525; მისი თანაშემწე - 2, 521; მისი თანაშემწე - 2, 481; გადამწერი - 1, 682; მოლარე - 2, 637; პროვიზორი - 2,950; ბებიაქალი - 1, 265; გამყიდველი - 1 904. იმავე პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური კრებულიდან ნათელი ხდება, რომ 1920 თბილისში მცხოვრები მოსამსახურეები იღებდნენ შემდეგ საშუალო ხელფასს (მანეთებში): ადმინისტრაციული პერსონალი - 5, 070; საქმის მწარმოებელი - 4, 200; ტექნიკური პერსონალი - 4,050; აღრიცხვა-კონტროლის პერსონალი - 600; სამნეო-გამანაწილებელი პერსონალი - 4,140; სამკურნალო-სანიტარული საქმის მუშაკი - 3, 840; განათლების მუშაკი - 4,710; ხელოვნების მუშაკი - 6, 000; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკი - 3, 080; ჰიგიენის მუშაკი - 2, 850. მუშები იღებდნენ შემდეგ საშუალო ხელფასს: მელითონე - 4, 650; მეტყავე - 4,100; რკინიგზელი - 2,630; ხის დამმუშავებელის - 3, 550; ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკი - 2, 980; სასოფლო მეურნეობის მუშაკი - 2, 940; მინერალების დამმუშავებელი - 3, 380; ქიმიკოსი - 3, 015; მშენებელი - 3, 330; მქსოველი - 3,450; მკერავი - 4, 350. რაც შეეხება ძირითადი საჭიროების საგნებს, მათი საშუალო მაჩვენებელი თბილისში იყო (მანეთებში): ხორბალი (1 ფუთი) - 2100, 6; სიმინდი (1 ფუთი) - 1088, 7; ქერი (1 ფუთი) - 1128, 9; პურის ფქვილი (1 ფუთი) - 2417, 5; სიმინდის ფქვილი (1 ფუთი) - 1884; კარტოფილი (1 ფუთი) - 631, 67; რაფინირებული შაქარი (1 ფუთი) - 8894, 16; შაქრის ფხვნილი (1 ფუთი) – 8576; ძროხის ხორცი (1 გირვანქა) – 56, 75; ცხვრის ხორცი (1 გირვანქა) - 122, 75; ერბო (1 გირვანქა) - 493; ყველი (1 გირვანქა) - 130, 94; საჭმლის ზეთი (1 გირვანქა) - 25, 75; მარილი (1 გირვანქა) - 19, 22; საპონი (1 გირვანქა) - 115, 41; ნავთი (1 ლიტრი) – 14, 25. თბილისში მცხოვრები მუშა-მოსამსახურის ოჯახის (4 სული) თვიური გასავალი შეადგენდა საშუალოდ 6423, 8 მანეთს. ხარჯების დანიშნულება გამოიყურებოდა შემდეგნაირად: საზრდო - 3847, 2; ბინა, გათბობა, წყალი - 397; ჰიგიენა - 285, 2; ნარკოტიკები - 330, 8; კულტურული და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება - 458; ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ოჯახის საჭიროების გარეშე რჩება - 81; დანარჩენი ხარჯები - 158, 7. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის იმდროინდელი მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის მონაცემებით, 1914 წ-ის დასაწყისთან შედარებით, 1920 წ-ის დასაწყისში საშუალო საბაზრო ფასები გაზრდილი იყო 154, 9-ჯერ, ხოლო იმავე დროს, მუშათა საშუალო ხელფასმა მოიმატა მხოლოდ 48, 7-ჯერ. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გიორგი კვინიტაძის მოგონებებში უარყოფითად არის შეფასებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ხელფასების სისტემა. იგი იგონებდა: „სამხედრო სკოლაში იყვნენ მოსამსახურე-მუშები. ოფიცერი, ვის განკარგულებაშიც ეს მუშები იყვნენ, იღებდა ნაკლებ ჯამაგირს, ვიდრე მუშა. ოფიცრებს-მასწავლებლებს ლექციებისათვის ეძლეოდათ იმდენი ფული, რომ ძლივს ჰყოფნიდათ ტრამვაისათვის. მე, სამხედრო სკოლის უფროსი, ვიღებდი ჯამაგირს - 6,000 მანეთს. ერთხელ, პოლკოვნიკი სტოქსი, ინგლისელი ანტანტის წარმომადგენელი და მე მივდიოდით რუსთაველის გამზირით. ერთმა მათხოვარმა მოგვმართა თხოვნით და პოლკოვნიკმა სტოქსმა მისცა მას 5, 000 მანეთი. ომის დროს დაქვრივებულ ოფიცრის ცოლს არ ეძლეოდა სარჩენად პენსია; არც აძლევდნენ მის დასამარხად დახმარებას“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში ამაზე უკეთესი ვითარება არ ყოფილა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში - რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც ფულის გაუფასურება უფრო დაჩქარებული ტემპით ხასიათდებოდა.

ლიტ.: სტატისტიკური კრებული (1909-1921), გამოცემული საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ, ტფ., 1923; კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, პარიზი, 1960; გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, თბ., 1990; ნ. ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა, თბ., 1996.

ნიკო ჯავახიშვილი

ხმა ქართველი ქალისა (1917-1918) - ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა ქუთაისში. გაზეთის რედაქტორი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე, ფემინისტი და პუბლიცისტი კატო (ეკატერინე) მიქელაძე (1878-1942). გაზეთს გამოსცემდა ქუთაისის ქალთა კლუბი. 1918 წ-დან კი - „ინტერპარტიული ქალთა ლიგა“. სულ გამოიცა გაზეთის 50 ნომერი. პუბლიკაციათა ავტორები იყვნენ: კ. მიქელაძე, ნ. ნადირაძე, ე. გაბაშვილი, ს. მგელაძე, დ. ახვლედიანი, დ. თომაშვილი ოლ. ბუაჩიძე და სხვ.

გაზეთი დიდი აღტაცებით მიესალმა 1917 წ-ის რუსეთის თებერვლის რევოლუციას („ილია მურომეცი აღდგა“) და იმედოვნებდა, რომ დადგა თავისუფლებისა და მომავალი ქვეყნის შენების ჟამი. იგი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას, რაც, მისი აზრით, აუცილებელი იყო ქვეყნის აღსადგენად და დემოკრატიული მმართველობის დასამყარებლად. კ. მიქელაძე თანაუგრძნობდა სოციალისტ-რევოლუციონერებს, შესაბამისად, გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ მემარცხენე იდეების მიმდევარი იყო, თუმცა, ზოგადად, ქართული პარტიების პოლიტიკური გავლენების მიღმა რჩებოდა და სრულ სარედაქციო თავისუფლებას ინარჩუნებდა. გაზეთის პირველივე ნომერში, 1917 წ-ის 5 აპრილის სარედაქციო სტატიაში, აღნიშნულია, რომ გაზეთი ყურადღებით მიადევნებს თვალს პარტიათა ქმედებას, მათ ნაკლსა და ღირსებას. ამავდროულად შეეცდება „მათ შორის ატეხილს უთანხმოებაში, ერთი რომელი შემაერთებელი ძაფის გამონახვას და გაბმას“. ამგვარად, გაზეთი კრიტიკული იყო საქართველოში არსებული პარტიების მიმართ, ვინაიდან, მისი აზრით, ვერც ერთი პარტიული პროგრამა ვერ ასახავდა და იტევდა იმ საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ ინტერესებს, რომლებსაც ესწრაფოდა გამოცემა. „ხმა ქართველი ქალისა“ უმთავრეს მიზნად აცხადებდა „დაქსაქსულ ქალთა ძალის“ გაერთიანებას ქვეყნის საკეთილდღეოდ და ქალთა უფლებების დაცვას, „ბრძოლას ქალის „ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის და სამშობლოს უფლებისათვის“. „ხმა ქართველი ქალისა“ მხარს უჭერდა სუფრაჟისტულ მოძრაობას და თანმიმდევრულად იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის. გაზეთი მოითხოვდა ქალის პოლიტიკური უფლებების აღდგენას, მის მამაკაცთან უფლებრივ გათანაბრებას, ქალთა საარჩევნო ხმის უფლების დაკანონებას და მის მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობასა და თვიმმართველობაში, ასევე, სახელფასო ანაზღაურების თანასწორობას თანაბარი შრომისათვის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სქესობრივი პრივილეგიის გაუქმებას, ორივე სქესის თანაბარი განათლების უფლებას და სხვ. ყველა ნომერს გასდევს ქალთა უფლებების გამომხატველი და მათი გაერთიანების იდეის შემცველი მოწოდებები : „სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ქალებს“, „გაუმარჯოს ქალთა სოლიდარობას“. „ქალებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით“, დევიზი - „თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!“ საგაზეთო პუბლიკაციები ასახავდა და ეხმიანებოდა საქართველოში მიმდინარე თუ საერთაშორისო საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მოვლენებს და, უმთავრესად, ფემინისტური თვალთახედვით განიხილავდა მათ. ეს მოვლენებია: პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული საერთაშორისო ამბები, კავკასიისა და საქართველოს რეგიონული მოვლენები, გაზეთი ერთგვარ განმანათლებლად ევლინება მკითხველს და პერმანენტულ დიალოგს მართავს მასთან ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: ტერიტორიული ავტონომიის საკითხი, ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობა ქვეყნის არსებობისათვის, სიტყვის თავისუფლება, ქართული ენის როლი ქვეყნის განვითარებისათვის. შემეცნებით და ინფორმაციულ მიზნებს ისახავს ცალკეულ პუბლიკაციებში საუბარი დემოკრატიული რესპუბლიკის, კონსტიტუციის, განათლების მნიშვნელობის შესახებ, სოციალური თანასწორობის იდეები და სხვ. გაზეთს ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებსაც ოპერატიულად აწვდის მკითხველს. პუბლიცისტთა განსჯის არეალში ექცევა როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე ამბები. გაზეთი დიდი სიხარულით მიესალმა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და აღტაცების გამომხატველი არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა მას. გამოცემა აკრიტიკებს მენშევიკებს იმის გამო, რომ ქალთა ორგანიზაციებს არ ჰყავდათ სეიმში თავიანთი წარმომადგენლები, თუმცა თავადაც არ წამოუყენებიათ კანდიდატები, რასაც ბოლშევიკურ პრაქტიკად მიიჩნევს. გაზეთის აზრით, არც მთავრობის წევრი სოციალისტები იცავენ საკმარისად ქალთა უფლებებს („ამიერკავკასიის სეიმი“). „ხმა ქართველი ქალისა“ გვთავაზობს თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვან პუბლიკაციებს ყველა საჭირბოროტო თემაზე. საგანმანათლებლო ამოცანებს ისახავს სიტყვის თავისუფლების, დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის არსისა და მნიშვნელობის ამსახველი შემეცნებითი სტატიები, წერილები ზნეობისა და პედაგოგიკის საკითხებზე და სხვ. ავტორები მხარს უჭერენ ქალთა კოოპერატიულ მოძრაობას. მკითხველს აზიარებენ უცხოეთში საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროცესებში ქალთა მონაწილეობის გამოცდილების ფაქტებს. გაზეთი აქვეყნებდა მხატვრულ ნაწარმოებებსაც, რომლებიც თავისი შინაარსით, დიდწილად, ფემინისტური იყო. მაგ., დაიბეჭდა მარიჯანის, ს. მგელაძის ლექსები, დ. ახვლედიანის ერთმოქმედებიანი პიესა „ქალი და აჩრდილი“ და სხვ.

ლიტ.: გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“, 1918, №1 - 18 . გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947. თ. მელაშვილი „კატო მიქელაძე“: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბ., 2014.

მარი წერეთელი



ხომერიკი ნოე

ხომერიკი ნოე გიორგის ძე (1884 (1882), სოფ. მიქელგაბრიელი, ოზურგეთის მაზრა - 1924) - ქართველი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის სამეურნეო სკოლა, სადაც არალეგალურ წრეებში სოციალისტურ მოძღვრებას გაეცნო და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. 1902 გურიაში გლეხთა მოძრაობამ იფეთქა. ნ. ხომერიკი, იმ დროს ცნობილ მემამულე მიხეილ ნაკაშიძესთან მსახურობდა და გლეხთა მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო. ის დააპატიმრეს და რამდენიმე თვე ქუთაისის ციხეში იჯდა. 1902 ქ. ბათუმის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფს შეუერთდა. მუშაობდა ბათუმის მანთაშევის ქარხანაში დღიურ მუშად. ნ. ხომერიკმა სასტამბო საქმე გულდასმით შეისწავლა და ამით ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას დიდი სამსახური გაუწია. დიდი წვლილი შეიტანა იმერეთის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ჩამოყალიბებაში. შექმნა რაიონებსა და მთავარ სოფლებში, ორგანიზაციები. გლეხთა შორის პროპაგანდა რომ გაეადვილებინა, შეადგინა წიგნაკი - „სოფლის მუშათა მიმართ“, რომელიც კავკასიის საკავშირო კომიტეტმა გამოსცა და ყველა პროპაგანდისტისთვის აუცილებელი სახელმძღვანელო გახდა. 1904 ნოე ხომერიკი შეიპყრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს. გლეხთა მოთხოვნით, სოც-დემ. ორგანიზაციამ მისი განთავისუფლება გადაწყვიტა. ქუთაისის ციხეში გადაყვანისას, მხლებელ დარაჯთა გუნდს შეიარაღებულ რევოლუციონერთა რაზმი თავს დაესხა და ნ. ხომერიკი გაათავისუფლა. მას შემდეგ, რაც 1904 ბევრი სოციალ-დემოკრატი დააპატიმრეს, ნ. ხომერიკი სათავეში ჩაუდგა თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. პირველი რევოლუციის პერიოდში ხელმძღვანელობდა ადგილობრივი სოც-დემ. ორგანიზაციის სამხედრო-ტექნიკურ კომისიას. ესწრებოდა რსდმპ-ის გამაერთიანებელ ყრილობას სტოკჰოლმში და აგრარული საკითხის შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღო. 1908 თბილისში შეიპყრეს და რამდენიმე თვიანი ტუსაღობის შემდეგ, ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს. 1911 ნ. ხომერიკი საქართველოში დაბრუნდა და ქ. ქუთაისში დაბინავდა. ხელმძღვანელობდა საარჩევნო კამპანიას რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში.

1916 ნ. ხომერიკი აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ პროცესებში. 1918 წ-ის 22 აპრილს შემდგარ ამიერკავკასიის ფედერაციულ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში მან მიწათმოქმედების მინისტრის პოსტი დაიკავა. იგივე თანამდებობა ეკავა მას დამოუკიდებელი საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაშიც და 1919 წ-ის მარტიდან შემდგარ ერთპარტიულ მთავრობაშიც. მიწათმოქმედების სამინისტრო არსებობის პირველივე დღიდან რეფორმების გატარებას შეუდგა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პარლამენტმა მრავალი კანონი მიიღო და დაამტკიცა. თუ საქართველოში ბოლშევიკურმა ანარქიამ ფეხი ვერ მოიკიდა, ეს, უპირველესად, აგრარული რეფორმის გატარებას მიეწერება, რაც ნ. ხომერიკის ხელმძღვანელობით განხორციელდა. ამ საქმეში მან თავისი დიდი ორგანიზაციული ნიჭი ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა. როგორც ცნობილია, „ხომერიკის რეფორმებით“, საქართველოს გლეხობას მიწები კერძო საკუთრებაში გადაეცათ თუმცა რეფორმის ბოლომდე დასრულება ვერ მოესწრო, 1920 წ-ის 3 დეკემბერს ხომერიკი მინისტრის თანამდებობიდან გადადგა და მისი ადგილი დავით ონიაშვილმა დაიკავა.

1921 წ-ის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ნ. ხომერიკმა, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, საქართველო დატოვა და საზღვარგარეთ, ემიგრაციაში გაემგზავრა. კონსტანტინოპოლში ის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. კომისიაში ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შედიოდა. ნ. ხომერიკი საქართველოში განმათავისუფლებელი ორგანიზაციების მოწყობას აქტიურად ხელმძღვანელობდა. 1922 წ-ის ოქტომბერში ნ. ხომერიკი საქართველოში არალეგალურად დაბრუნდა, რათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის პირადად ეხელმძღვანელა. მან სწრაფად აღადგინა დაშლილი ორგანიზაციები და პარტიათა შორის თანხმობა განამტკიცა, ასევე, თავისი ორგანიზატორული უნარის წყალობით, მოაწესრიგა დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობა. 1923 წ-ის ნოემბერში ის ბოლშევიკებმა დაატუსაღეს, თუმცა მას ტყვეობაშიც არ შეუწყვეტია ბრძოლა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. „ჩეკა“ და მისი აგენტები ქედს იხრიდნენ ნ. ხომერიკის გაუტეხელი, მტკიცე ნებისყოფის წინაშე. 1924 წ-ის ივლისის ბოლოს ის სუზდალის ციხეში გადაიყვანეს, ხოლო 1924 წ-ის აჯანყების დაწყებისთანავე, კავკასიაში დააბრუნეს და საიდუმლოდ დახვრიტეს. ნოე რამიშვილი მის თავდადებას ასე აფასებს: „თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით, 1917 წ-მდე, მან სამართლიანად დაიმსახურა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი ორგანიზატორის სახელი, თავისი კალმით მან მოიპოვა ლიტერატორთა შორის საპატიო ადგილი. თავისი მინისტრობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში, მან მოგვცა ტიპი

საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწის, რომელიც სწრაფად ერკვევა ახალ შექმნილ პირობებში და თავის დიდ ორგანიზატორულ უნარს შესაფერისად იყენებს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების საქმეში. საოკუპაციო ხანაში მან გაკაფა გზა ერის განთავისუფლებისა და მისთვის თავდადებისა, პარტიის მეთაური ჭეშმარიტად ერის მეთაურიც შეიქნა. ჯუღაშვილებმა ფიზიკურად მოიშორეს თავიდან მათი თავდადებული მოწინააღმდეგე და დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საუკეთესო მებრძოლი. ამით უფრო მეტი უფსკრული ამოთხარეს მათსა და საქართველოს მშრომელთა შორის. ნოე ხომერიკის დიდი ამაგი მომავალ თაობას უკუნითი-უკუნისამდე გადაეცემა. მან საბოლოოდ დაიმსახურა დიდებული ორგანიზატორისა და წამებულის უკვდავი სახელი“.

ლიტ.: ჟურ. „ბრძოლა“, სექტემბერი, პარიზი, 1925, №3.

ლელა სარალიძე

ხორბლის შემოტანა საქართველოში – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდანვე უმწვავეს პრობლემას წარმოადგენდა ქვეყნის სურსათით მომარაგება. მდგომარეობას ამძიმებდა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები და სამხედრო კონფლიქტები მეზობელ სახელმწიფოებთან. 1920 წ-ის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს რესპუბლიკას ხორბლის სამთვიანი მარაგი გააჩნდა. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არმიის გამოკვების საკითხი. მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას ითვალისწინებდა 1920 წ-ის 14 დეკემბრის „დეკრეტი სამხედრო-სასურსათო ფონდის გასაძლიერებლად სიმინდის შესყიდვის შესახებ“. ევროპის ქვეყნების მიერ საქართველოსთვის შეპირებული სურსათის მიყიდვის პროცედურის დასაწყებად, საქართველოს წარმომადგენლობითი მისიების 1919-1920 წწ-ის საქმიანობა უშედეგო აღმოჩნდა. რაც შეეხება საქართველოს წარმომადგენლობის მეორე განშტოებას, რომელსაც ვასილ დუმბაძე ხელმძღვანელობდა, აშშ-ში გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მისი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი საქართველოს მომარაგების სამინისტროს წარმომადგენლობასა და ნიუ-იორკის კერძო ფირმის (სავაჭრო სახლის „შაბრიერ მორელ იკოს თან“) 1919 წ-ის ნოემბერში ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მომარაგების სამინისტრომ 20-მილიონიანი (ფრანკის) საბანკო კრედიტი გახსნა. ამ ხელშეკრულებით, ფირმა „შაბრიერ მორელ იკო“ პასუხისმგებლობას იღებდა შეძენილი პროდუქციის უსაფრთხო ტრანსპორტირებაზე ფოთის პორტში მიტანით. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქართველოსთვის 1350 ტონა ხორბლის შეძენას, ხოლო მისი ღირებულების სანაცვლოდ, საქართველოს მომარაგების სამინისტროს 100 ათასი კილო აბრეშუმის პარკი ან მატყლი (1 კგ. აბრეშუმის პარკის სანაცვლოდ, 5 კგ. მატყლი) უნდა მიეცა. საქართველოს მომარაგების სამინისტროს (მინისტრი გ. ერაძე) ძალისხმევით, 1920 წ-ის დეკემბრის დასაწყისში, „შაბრიერ მორელ იკოს“ პირველ ეტაპზე 62400 კილო პარკი გაუგზავნეს (გემ „ფრიგზე“ 40 ათასი კგ. დაიტვირთა, ხოლო გემ „ტოდლაზე“ 22 ათას 400 კგ.). ზემოაღნიშნული ფირმა დანარჩენ 37600 კილო პარკს მხოლოდ მას შემდეგ მიიღებდა, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1350 ტონა ხორბალი საქართველოში სრულყოფილად იქნებოდა შემოტანილი. შეპირებული ხორბალი ფოთის პორტში 1921 წ-ის იანვრის პირველ რიცხვებში შემოვიდა. მისი გემებიდან გადმოტვირთვა, მიწონვა, მატარებლის ვაგონებში განთავსება (76 ვაგონი), მიღებული პროდუქციის სრულფასოვნად შეფასება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა 1921 წ-ის 20 იანვარს დასრულდა.

ხორბლის დანიშნულებისამებრ გაგზავნა და მოხმარების მიზნით მისი დამუშავების შესაძლებლობის პროცესის განხორციელება, მხოლოდ ამ ოპერაციის დასრულების (1921 წლის 20 იანვარი) შემდეგ გახდა შესაძლებელი. საქართველოში იმ ეტაპზე არსებული სარკინიგზო ტვირთგადაზიდვის შესაძლებლობებს და შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, ფოთის პორტიდან ხორბლის ტრანსპორტირება და თბილისის საწყობებში სრულფასოვნად დაბინავება თებერვლამდე ვერ მოხერხდებოდა. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მისი დაფასოება და დაფქვა. ფოთის პორტში შემოტანილმა ხორბლის დიდმა მარაგმა და ჯარისთვის პურის მიწოდების გარანტიის შექმნამ ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა, 1921 წლის 26 იანვარს საქართველოს მოქალაქეების, 1900 წელს დაბადებული ახალგაზრდების, ჯარში გაწვევა გამოეცხადებინა. ამ დოკუმენტით ყველა წვევამდელი მოქალაქე დანიშნულ ადგილზე 1921 წ-ის 6 თებერვალს, დილის 8-9 საათზე უნდა გამოცხადებულიყო. ამ საქმის ორგანიზება მაზრების შესაბამის უბნებსა და განყოფილებებს ჰქონდა დავალებული. ქვეყანაში მარცვლის ზემოაღნიშნული მარაგის შემოტანამ, სამხედრო შენაერთების ახალი კონტინგენტით შევსება გახადა შესაძლებელი.

ლიტ.: შ. ვადაჭკორია, საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ-მარტი), თბ., 2016.

შოთა ვადაჭკორია

ხოჭოლავა მუხრან

ხოჭოლავა (ოდიშელი) მუხრან-იონა მაქსიმეს ძე (22.IX.1881 - 1924) - სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი, სწავლობდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტში, შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის იურიდიულ ფა-

კულტეტზე. სამშობლოში ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას. დამოუკიდებელ საქართველოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო საქართველოს მთავრობის უკანასკნელი რწმუნებული სოჭის ოლქში (პირველი გიზო ანჯაფარიძე იყო). 7 თვის განმავლობაში, როცა სოჭის ოლქი საქართველოს იურისდიქციაში იყო მოქცეული (1918 წ-ის ივლისი - 1919 წ-ის თებერვალი), თბილისმა რამდენიმე მილიონი მანეთი გადარიცხა სოჭის ბანკში; საქართველოს განათლების სამინისტრომ 100 ათასი მანეთი გამოყო სოჭის სკოლების დასაფინანსებლად. დაიწყო მომზადება აგრარული რეფორმის განსახორციელებლად. სოჭის ქართული ადმინისტრაცია და სამხედრო შტაბი სანატორიუმ „კავკასიის რივიერაში“ მუშაობდა (ეს სანატორიუმი 2013 წელს დაანგრიეს). მ. ხოჭოლავა იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების დამფუძნებელი წევრი (1910); თბილისის განყოფილების წევრი (1918). როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი, იგი ხშირად არ ეთანხმებოდა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გამოდიოდა ნ. ჟორდანიას ჩამოგდების მოთხოვნითაც.

მ. ხოჭოლავა მონაწილეობდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1924 როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი, აირჩიეს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრად. სხვა აჯანყებულებთან ერთად დაიჭირეს და დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, საქ. 109.

დოდო ჭუმბურიძე

ხუნდაძე გაბრიელ (1877 - 1937) - ქართველი დიპლომატი, დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა რუსეთში. საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებას არ აპირებდა, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე მოსკოვში თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი - გ. ხუნდაძე მიავლინა. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი ქართველი დიპლომატიური წარმომადგენელი (ელჩი) იყო. ამ თანამდებობაზე გ. ხუნდაძე 1918 წ-ის ივნისში დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება პროევროპულ საგარეო კურსს ადგა, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მასთან თანამშრომლობისთვის მზად იყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის იმპერიაში შემავალ ყოველ ერს კვლავ თავის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა. ამის შესახებ გ. ხუნდაძე საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წ-ის აგვისტოს სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყველა იმ ერს, რომელმაც ისარგებლა ერთა თვითგამორკვევის პრინციპით და ბოლშევიკური მთავრობა არ იცნო, ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს. ტროცკიმ წინადადება მისცა ადმირალ საბლინს ფლოტი საბრძოლველად გაემზადებინა და სევასტოპოლიდან გაელაშქრა ჩხენკელის მთავრობის წინააღმდეგ. ამას ბოლშევიკები არ ეძახიან ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ გალაშქრებას“. საბჭოთა რუსეთში ელჩად მუშაობის პერიოდში გ. ხუნდაძემ აქტიური დიპლომატიური და საორგანიზაციო მუშაობა გასწია, ჩამოაყალიბა საკონსულო პეტროგრადში (კონსული პეტრე ჩინიჯიშვილი). 1919 წ-ის დასაწყისში გ. ხუნდაძეს განუცხადეს, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მთავრობას არ ცნობდა. კრემლის მესვეურთა განკარგულებით, რუსეთში საქართველოს წარმომადგენლობა დახურეს და იანვარში დააპატიმრეს საქართველოს საელჩოს თითქმის მთელი შემადგენლობა, ელჩის - გ. ხუნდაძის ჩათვლით. იგი ბუტირკის ციხეში მოათავსეს და რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

1920 წ-ის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად, ორივე მხარემ ერთმანეთის დამოუკიდებლობა აღიარა და დიპლომატიური წარმომადგენლობებიც გახსნა, საქართველოს ელჩად გერასიმე მახარაძე დაინიშნა. გ. ხუნდაძემ დიპლომატიური მოღვაწეობა ამჯერად აზერბაიჯანში ელჩის რანგში გააგრძელა 1920 წ-ის ივნისამდე. თანამედროვეები მას ახასიათებენ, როგორც კეთილშობილ, უშიშარ ვაჟკაცს და შესანიშნავ ორატორს.

ლიტ.: სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 197, 580; ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2013; დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით)“, წიგნი II, თბ., 2016.

ლელა სარალიძე

ხუნდაძე სილოვან (3.IV.1860, სოფ. კალაგონი - 12.V.1928, ქუთაისი) - ცნობილი პედაგოგი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი დამდგენი, ლიტერატორი და პუბლიცისტი, დაიბადა მღვდელ თომა ხუნდაძის ოჯახში. 1880 ს. ხუნდაძემ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1879-1880 წწ-ში მისი რედაქტორობით გამოვიდა გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის - „სამშობლოს” ოთხი ნომერი. 1884 დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, 1884 შეუდგა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1888 წ-მდე ასწავლიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველი სენაკის ქართულ სათავადაზნაურო სკოლაში. 1888 დაინიშნა ქუთაისის

ხუნდაძე სილოვან

ქართული სათავადაზნაურო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად. ამის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო ქუთაისთან. იყო ქშწკგ საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1900 აღნიშნული სკოლის ინსპექტორის იოსებ ოცხელის და ს. ხუნდაძის თაოსნობით, შესაძლებელი გახდა სკოლის ბაზაზე ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დაფუძნება. თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიასთან ერთად, ეს სასწავლებელი წარმოადგენდა საქართველოში საშუალო განათლების უმნიშვნელოვანეს კერას. ამ გიმნაზიასთან იყო დაკავშირებული ს. ხუნდაძის მთელი შემდგომი პედაგოგიური მოღვაწეობა. მის აღზრდილთა შორის ბევრი იყო შემდგომში გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის: ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე ერისთავი, არნოლდ ჩიქობავა, პეტრე ქავთარაძე, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, ვიქტორ ნოზაძე და სხვანი. იყო დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1916). გარდა ამისა, 1910 იოსებ ოცხელთან ერთად დააარსა გამომცემლობა „მერანი", რომელმაც გამოსცა არაერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო. ილია ჭავჭავაძის ხსოვნას მიეძღვნა 1907 ქუთაისში გამოცემული ს. ხუნდაძის ნაშრომები „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად" და „მკვლელები და მცველები". 1914 კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორმა კორიცკიმ, რომელსაც არ მოეწონა გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა, „ატესტატების სიმცირის" საბაბით გადაწყვიტა მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება. გიმნაზიის პედაგოგები, პირველ ყოვლისა - იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე, აღაშფოთა მისმა თვითნებობამ. მეორე დღეს სამასწავლებლოში სილოვან ხუნდაძე შეხვდა კორიცკის და პროტესტის ნიშნად ხელი არ ჩამოართვა. ეს უთანხმოება გახდა გიმნაზიიდან მისი დათხოვნის მიზეზი. ხუნდაძე გიმნაზიას 1916 წ-ის დამლევს დაუბრუნდა.

1917 წ-ის 17 მაისს ქუთაისში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, შედგა სხდომა, რომელმაც განიხილა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საორგანიზაციო საკითხები. მონაწილეთა შორის იყო სილოვან ხუნდაძეც. სხდომაზე შეიქმნა „თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება". 1919 გარდაცვლილი ი. ოცხელის ნაცვლად, გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა ს. ხუნდაძე. ამ მოვალეობას ასრულებდა 1923 წ-მდე. დაკრძალულია ქუთაისში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ქუთაისის ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის ეზოში დგას მისი ბიუსტი.

ლიტ.: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", წიგნი I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნ. ინსტ-ის გამომც., თბ., 1953; გ. ახვლედიანი, „სილოვან ხუნდაძის გარდაცვალების გამო", ჟურნ. „ქართული მწერლობა", თბ., 1928. ქუთ. სახ. საისტ. არქ. ფ. 1717, ფ. 44-61.

დოდო ჭუმბურიძე



ჯაბადარი გიორგი

ჯაბადარი გიორგი ალექსანდრეს ძე (2.VI.1888, თბილისი - 16.VII.1938, ბერლინი) - ქართველი რეჟისორი და პედაგოგი. დაიბადა საზოგადო მოღვაწის - ალექსანდრე ჯაბადარის ოჯახში. 1902 სწავლობდა ბელგიაში, შემდეგ კი პარიზში გაემგზავრა, სადაც დაამთავრა თეატრალური სტუდია. მუშაობდა ა. ანტუანის ცნობილ თეატრში.

1918 საქართველოში დაბრუნდა. იმავე წელს ზაქარია (შაქრო) ბერიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ქართული დრამატული სტუდია-თეატრი (ე.წ. ჯაბადარის სტუდია). პედაგოგებად მიიწვიეს: ვალერიან შალიკაშვილი, ვასილ ყუშიტაშვილი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფაღავა და სხვ. აქ სწავლობდნენ: ვ. ანჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, ა. ვასაძე, ბ. გამრეკელი, მ. გელოვანი, უ. ჩხეიძე, დ. ანთაძე და სხვ. 1918 წ-ის 18 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში სეზონი ქართული დრამატული საზოგადოების ახალი დასის მიერ, გ. ჯაბადარის რეჟისორობით დადგმული ბრიეს 5-მოქმედებიანი მუსიკალური დრამით - „სარწმუნოება“ - გაიხსნა. 2.II.1919 არტისტული საზოგადოების თეატრში ქართული სტუდიის მიერ, ქართველ მეომართა პატივსაცემად ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ დაიდგა. რეჟისორები: ზ. ბერიშვილი და გ. ჯაბადარი. 2.III.1919 ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ რეჟისორი გ. ჯაბადარი და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე შ. ამირეჯიბი წარუდგნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას და დახმარება სთხოვეს ქართული თეატრისთვის. 26.XI.1919 არტისტული საზოგადოების თეატრში, საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის დრამატულმა სტუდიამ ლ. ჯაკოს „ვითა ფოთლები“ წარმოადგინა. პიესის გამძღოლი იყო შ. ბერიშვილი, რეჟისორი კი - გ. ჯაბადარი. თავის დაარსებულ სტუდიას გ. ჯაბადარი 1920 წ-მდე ხელმძღვანელობდა. 1920 საქართველოს ეკონომიკურ დელეგაციასთან ერთად ევროპაში გაემგზავრა. ევროპული ენების ცოდნის გამო, საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კ. კანდელაკის თანაშემწედ დაინიშნა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გ. ჯაბადარი ემიგრაციაში დარჩა და ბერლინში დასახლდა. იყო გერმანელ მსახიობთა კავშირის წევრი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარიზის თეატრ „ოდეონში“, ბერლინის „სამხატვრო თეატრში“ და სხვ. გ. ჯაბადარს ეკუთვნის ნაშრომი „ქართული თეატრი“. ძმასთან (ერეკლესთან) ერთად ფრანგულ ენაზე თარგმნა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, შემდეგ კი მეუღლესთან, გერტრუდა ჯაბადართან ერთად გერმანულ ენაზე თარგმნა იგივე პიესა და 1935 ბერლინის „სამხატვრო თეატრში“ წარმოადგინა. ეს იყო ქართული პიესის ევროპაში დადგმის პირველი შემთხვევა. დაკრძალულია იქვე, შენებერგის სასაფლაოზე.

თხზ.: დიქცია მსახიობთა და ორატორთათვის, ტფ., 1918;

ლიტ.: ლ. ღონღაძე, გიორგი ჯაბადარი და მისი სტუდია; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918, №91; 1919, №1, №267; ჟურ. თეატრი და ცხოვრება, 1919, №2.

მერაბ გეგია, სალომე ქანტურიძე

ჯაბადარის დრამატული სტუდია (1918-1920) - 1918 წ-ის გაზაფხულზე გამოქვეყნდა წერილები „ქართული თეატრის აღორძინება“, რომელიც ქართული დრამატული სტუდიის მიერ სასცენო ხელოვნების სტუდიის დაარსებას იუწყებოდა. ქართულ დრამატულ წრეს საფრანგეთიდან ჩამოსული ანტუანის თეატრის რეჟისორი გიორგი ჯაბადარი ჩაუდგა სათავეში. სტუდია-თეატრი მდებარეობდა მაშინდელ ფრეილინის ქუჩაზე, სადაც, დამწყები მსახიობებთან ერთად, გამოცდილი, იმ დროს სახელმოხვეჭილი მსახიობები და რეჟისორებიც მოღვაწეობდნენ. სტუდიის ხელმძღვანელი გ. ჯ. ფრანგული კლასიკური სამსახიობო ტექნიკის მომხრე იყო, რაც ხმისა და სუნთქვის სწორ დაყენებას გულისხმობდა, თუმცა ბუნებრივ, ცხოვრებაში დაყენებულ კილოსაც ემხრობოდა. ჯაბადარის

სტუდიის რეპერტუარი დეკადენტური პიესებისაგან შედგებოდა. 1919 სტუდიას ეწოდა „საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის ქართული დრამატული სტუდია“, რადგან კოოპერაციის დახმარებით ფინანსდებოდა. მალევე თეატრალურ სივრცეში წარმოიქმნა დავა. გ. ჯ.-ს დრამატული სტუდია დარჩა უბინაოდ და უსახსროდ. რეპეტიციები - ფრეილინის ქუჩაზე, წარმოდგენები კი ქართული კლუბის სცენაზე იდგმებოდა. თვეში ერთხელ ან ორჯერ - რუსული თეატრის ე.წ. „ტარტოს“ არტისტული საზოგადოების შენობაში. დაიდგა ბრიეს „სარწმუნოება“, როსტანის „რომანტიკოსები“, ჯაკოს „ვითა ფოთლები“, ჰაუპტმანის „ჰანელე“, შ. შარაშიძის „ავგაროზი“, ი.გედევანიშვილის „სინათლე“.

ლიტ.: დ. ანთაძე, დღეები ახლო წარსულისა, თბ., 1962.

სალომე ჭანტურიძე



ჯავახიშვილი ალექსანდრე

ჯავახიშვილი დიმიტრი.

ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1875, გორი - 1973, თბილისი) - გეოგრაფი, ანთროპოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილე (1924-1940), პროფესორი. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1940-1970). დაწყებითი სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა სასწავლებელში მიიღო. შემდგომში სწავლობდა თბილისის ვაჟთა მეორე კლასიკურ გიმნაზიაში. 1895 ჩააბარა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სახელმწიფო ხარჯზე სწავლის გაგრძელების უფლებით. 1900 პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა უნივერსიტეტი და დარჩა საპროფესოროდ მოსამზადებლად. მუშაობას აგრძელებდა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიის შესწავლის კუთხით. 1912 ალ. ჯავახიშვილის ანთროპოლოგიურ შრომებს „საქართველოს ანთროპოლოგია“, ტ. I და II, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო - პროფესორ ალექსანდრე რასცვეტოვის პრემიები მიანიჭა.

1918 წ-დან ხელმძღვანელობდა საქართველოს ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმს. 1920 წ-ის 19 ივნისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ალ. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის პროფესორად. 1918-1921 წწ-ში ასწავლიდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1926-1932 წწ-ში ხელმძღვანელობდა საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტს, 1933-1938 წწ-ში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიის ინსტიტუტს. 1945-1962 წწ-ში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს. არის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის (1945) და საქართველოს სსრ გეოგრაფიის საზოგადოების (1924) დამაარსებელი. 1936-1938 წწ-ში კითხულობდა ლექციებს: ბათუმის (1943-1949), გორის (1933-1936) ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ხოლო 1934-1936 წწ-ში ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტში. იგი მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს პირველი ეროვნული ატლასის (1964) შედგენა-გამოცემაში, რისთვისაც მას სხვა მეცნიერებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1971).

ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელს ატარებს კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალი, მისი სახელობისაა, ასევე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.

ლიტ.: ქსე, ტ. XI, თბ., 1987; ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი

ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე (23.IX.1882, სოფ. ძევერა, გორის მაზრა - 2.XI.1971, თბილისი) - ექიმი-კურორტოლოგი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. სწავლობდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, მაგრამ რადგან ამ სასწავლებელს ატესტატის გაცემის უფლება არ ჰქონდა, ერევნის გიმნაზიაში გადავიდა და ატესტატიც იქ მიიღო. 1903 ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, იღებდა თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოს სტიპენდიას. როდესაც ოდესაში შავრაზმელებმა ებრაელთა დარბევა მოაწყვეს, დ. ჯავახიშვილი სტუდენტურ რაზმში გაერთიანდა და ებრაელებს თავდასხმებისაგან იცავდა. სტუდენტთა რევოლუციური მღელვარების გამო, 1905 უნივერსიტეტში სწავლა შეწყდა. დ. ჯავახიშვილი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობას ფილოქსერის საწინააღმდეგო პარტიაში შეუდგა. 1907 სწავლა ისევ ოდესაში გააგრძელა, მაგრამ მალე მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში გადავიდა და 1909 მისი სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ჯერ მიხეილის საავადმყოფოში, შემდეგ სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში ამბულატორიის გამგედ. ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც, თანამშრომლობდა გაზეთთან „კახეთის ხმა“, აქვეყნებდა სტატიებს რუბრიკით „ექიმის წერილები“. 1911 წ-დან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1912 მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის სამოქალაქო სამსახურის ექიმთა პირველი ყრილობის მუშაობაში, გამო-

ვიდა მოხსენებით და დასვა საკითხი ახტალის ტალახით მკურნალობის გაუმჯობესების შესახებ. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მობილიზაციით სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, დანიშნეს „ქვეითი ქართული ჯარის რაზმის" („დრუჟინა") უფროს ექიმად და რაზმთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაგზავნეს. იყო ტრაპიზონში გახსნილი სავეღე ჰოსპიტლის უფროსი ორდინატორი, საიდანაც პირველი ქართული ცხენოსანი პოლკის უფროს ექიმად გადაიყვანეს.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისში დაბრუნდა და მუშაობდა ქალაქის სამხედრო ჰოსპიტალში. არჩეული იყო თბილისის საგუბერნიო საექიმო სამმართველოსთან შექმნილი საბჭოს თავმჯდომარედ. დ. ჯავახიშვილი დაუახლოვდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფს და 1917 წ-ის ივნისში მონაწილეობა მიიღო ედპ-ის დამფუძნებელი ყრილობის მუშაობაში. 1917 წ-ის ნოემბერში იგი კოოპტაციის გზით ედპ-ის მთავარი კომიტეტის წევრი გახდა. 1918 წ-ის მაისში, ეროვნული საბჭოს გაფართოებისას, დ. ჯავახიშვილი მის შემადგენლობაში შევიდა, როგორც ედპ-ის წარმომადგენელი. იყო ეროვნული საბჭოს ჯანმრთელობის კომისიის წევრი და მდივანი, ასევე, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიის წევრი. მონაწილეობდა ედპ-სგან გამოყოფილი დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქციისა და მთავარი კომიტეტის ჩამოყალიბებაში, იყო ამ კომიტეტის მდივანი. 1918 წ-ის 16 ივლისს იგი საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობიდან გავიდა. 1919 ეროვნული პარტიის სიით კენჭს იყრიდა დამფუძნებელ კრებაში, მაგრამ მანდატი ვერ მიიღო. 1920 არჩეული იყო ეროვნული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად, ხოლო ედპ-ისა და მისგან გამოყოფილი ორგანიზაციების გაერთიანებისას, 1921 წ-ის იანვარში, დ. ჯავახიშვილი დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობაშიც აირჩიეს.

1921 წ-დან სამშობლოში დარჩა და ჩაერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1922 კოოპტაციის წესით შევიდა ედპ-ის არალეგალური ცკ-ის შემადგენლობაში. 1923 წ-ის აპრილში დააპატიმრეს. აგვისტოს დამდეგს ციხიდან გაათავისუფლეს და აიძულეს, ედპ-ის სხვა თვალსაჩინო წევრებთან ერთად, ხელი მოეწერა დეკლარაციაზე, რომელიც პარტიის ლიკვიდაციისათვის კონფერენციის მოწვევას ითვალისწინებდა. კონფერენცია 1923 წ-ის 28 ოქტომბერს გაიმართა და ედპ დაშლილად გამოაცხადა. ამის შემდეგ დ. ჯავახიშვილი მთლიანად ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას და სამეცნიერო-პედაგოგიურ სარბიელზე გადაინაცვლა. ჯერ დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის თერაპიის კათედრის ორდინატორად, შემდეგ კი - საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის საკურორტო სამმართველოს სამედიცინო-სანიტარული განყოფილების გამგედ. 1928 აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში. ამ დროიდან იყო ფიზიოთერაპიული განყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო 1938 ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს სამეცნიერო მუშაობის დარგში. 1934-1938 წწ-ში განაგებდა თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრას, 1938-1959 წწ-ში იყო იმავე კათედრის ხელმძღვანელი თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში. 1953 გახდა პროფესორი, 1965 მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. პირველმა შეისწავლა კუმისის ტალახის სამკურნალო თვისებები და მეცნიერულად დაასაბუთა ახტალის ტალახის სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობა. შეისწავლიდა, ასევე, წყალტუბოს, ბორჯომისა და ნაბეღლავის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებს. დიდი ღვაწლი მიუძღვის კურორტ ახტალის მშენებლობასა და განვითარებაში. ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. იყო საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, თბილისის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე, მრავალი სხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით. დაწერა ექიმთა და სტუდენტთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო კურორტოლოგიაში (1945), გამოქვეყნებული აქვს წიგნები და ბროშურები. ჰყავდა მეუღლე - ანა მაღალაშვილი და შვილები. მისი შვილი - გივი ჯავახიშვილი იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1955-1973 წწ-ში. დ. ჯავახიშვილი საინტერესო მოგონებათა წიგნის ავტორიცაა (1969).

ლიტ.: დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1969; ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ჯავახიშვილი ივანე.tif

ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (1876, თბილისი, 1940, თბილისი) - ქართველი ისტორიკოსი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი. პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1895 დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1899 -პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილება და იმავე წელს დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროს მოსამზადებლად. 1901-1902 წწ-ში მიიწვიეს ბერლინის

უნივერსიტეტში; 1907 დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე -„ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“. მან სტუდენტობიდანვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება, ნაშრომისათვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, რომელიც უნივერსიტეტის საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა (1898). ქართული უძველესი ხელნაწერების შესწავლის მიზნით, 1902 იმოგზაურა სინას მთაზე ნიკო მარისთან ერთად. 1902-1917 წწ-ში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართული და სომხური ფილოლოგიის კათედრის პრივატ-დოცენტი, 1907-1917 წწ-ში ხელმძღვანელობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს.

ახალგაზრდობიდანვე იღვწოდა საქართველოში უმაღლესი აკადემიური წ-ის დაწესებულების უნივერსიტეტის შექმნისათვის. 1918 წ-ის 26 იანვარს ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ქართველი ერის დიდ საუკუნოვან სურვილს ფრთები შეასხა და დააფუძნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. თავისივე სურვილით უარი თქვა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე და კანდიდატად იმ დროისათვის ყველაზე ცნობილი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი დაასახელა, რომელიც პროფესორთა საბჭომ ერთხმად აირჩია. თავად ივანე ჯავახიშვილი კი უნივერსიტეტში არსებულ ერთადერთ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში. პარალელურად ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას. 1919 წ-ის შემოდგომაზე პეტრე მელიქიშვილი რექტორის თანამდებობიდან გადადგა. 1919 წ-ის 17 დეკემბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ რექტორად ივანე ჯავახიშვილი აირჩია. აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ პროცესებში, თანამშრომლობდა მთავრობასთან. შედიოდა განათლების სამინისტროს სპეციალურ კომისიებში. ხშირად ხვდებოდა (და თანამშრომლობდა) დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრებს - გ. ლასხიშვილს, ნ. რამიშვილს, გრ. ლორთქიფანიძეს. მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბისა და დროშის შემუშავების პროცესში. 1919 შედიოდა საქართველოს მიერ პარიზის საზავო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგაციაში, როგორც ისტორიკოსი და კონსულტანტი, თუმცა ანტანტის მიერ მხოლოდ დელეგაციის რამდენიმე წევრზე გაიცა ვიზა, რის გამოც ივანე ჯავახიშვილი კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდა სამშობლოში. 1919 კონსტანტინოპოლში მთავრობის წარმომადგენელთა თხოვნით დაწერა ნაშრომი „საქართველოს საზღვრები“. 1919 წ-ის თებერვალში დამოუკიდებელ (უპარტიოთა) კავშირის სიით კენჭს იყრიდა დამფუძნებელი კრების არჩევნებზე. იყო საკანდიდატო სიის მე-2 ნომერი, თუმცა მანდატი ვერ მოიპოვა. 1919 წ-ის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა საჯარო ლექცია „თანამედროვე მომენტის შესახებ“, რომელშიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში გულუბრყვილობაზე ისაუბრა. 1921 წ-ის თებერვალში საბჭოთა ოკუპაციის მიმდინარეობისას მიმართა უნივერსიტეტის სტუდენტებს და სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა.

1926 წ-მდე იკავებდა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობას, შემდგომში კი საბჭოთა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ჩამოაცილა მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის მართვას. 1931-1933 წწ-ში ჩამოართვეს უნივერსიტეტში საათები და ლექციების წაკითხვა აუკრძალეს. საბჭოთა პერიოდში უნივერსიტეტის მომდევნო რექტორებმა (თ. ღლონტი, კ. ორაგველიძე) გააკრიტიკეს ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო საქმიანობა. გარკვეული პერიოდი (1936-1940) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს ისტორიის განყოფილებას ედგა სათავეში. იმავდროულად, იყო კავკასიის მცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1937 წ-დან - რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი. არის 170-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფიის, ავტორი. ივანე ჯავახიშვილმა ღრმა კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტორია-ფილოლოგიის არცერთი დარგი, სადაც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებინა. ფაქტობრივად, ივანე ჯავახიშვილმა პირველმა შეაფასა ქართული ისტორიული წყაროები. ღრმა, მეცნიერული კრიტიკის საფუძველზე დაასკვნა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ნახევრად ოფიციალური კრებულია და მისი ავტორები ცენტრალური სამეფო ხელისუფლების ინტერესების გამომხატველნი არიან. მისი აზრით, საქართველოს ისტორია უნდა შეისწავლებოდეს იმ პერიოდში არსებული სხვა ქვეყნებისა და ხალხის ისტორიასა და კულტურასთან მჭიდრო კავშირში. ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ქართული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომელიც გამოიცა ოთხ წიგნად: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V-XVIII სს“ (1916, 1921, 1945, 1977), „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია” (1925), „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია” (1926, 1949), „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა” (1925); კაპიტალური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია”(5 წიგნად). აღმოაჩინა და გამოსცა მანამდე უცნობი ქართული წყაროები - „ანასეული და ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“. მის სახელთანაა დაკავშირებული უძველეს პალიმფსესტურ ხელნაწერებში (V-VII სს.) ხანმეტი ტექსტების აღმო-

ჩენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის წერილობითი ისტორიის პერიოდიზაციისათვის. ივანე ჯავახიშვილი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. მის სახელთან არის დაკავშირებული 1930-იანი წლების შუა ხანებში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების დაწყება მცხეთასა და არმაზში. აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე (1921-1930). მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა. ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების დამუშავებას. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების მთის კავკასიური ენებთან ერთიანობა ძირითადი გრამატიკის კატეგორიისა და ლექსიკის მიხედვით. მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია ამ ენათა შესწავლაში და ნიადაგი შეუმზადა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას. ივანე ჯავახიშვილს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში. სწორედ მის მიერ შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით - საისტორიო-საეთნოგრაფიო, წერა-კითხვის გამავრცელებელმა და ქართველ ხელოვანთა სამეცნიერო საზოგადოებებმა მნიშვნელოვანი ერთობლივი სამუშაო ჩაატარეს. 1989 წ-დან მის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი სახელი მიენიჭა. ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი ჯილდო სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობისაა. ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაარსებული საერთაშორისო ქართველოლოგიური სამეცნიერო პრემია.

ლიტ.: დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968; რ. მეტრეველი, კვალი განათებული - ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975; ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919.,№76.

მანანა ლილუაშვილი

ჯავახიშვილი ნატალია (1882, თბილისი - 1950, თბილისი) - მსახიობი. 1900 დაამთავრა თბილისის ეპარქიული სასწავლებელი. 1901 პირველად გამოვიდა სცენაზე ავჭალის სცენისმოყვარეთა დასში, მარიამ დემურიას დახმარებით. 1902 თბილისის ქართულ თეატრში მიიწვიეს. 1902-1903 და 1905-1919 წწ-ში თბილისის დასში მსახურობდა, 1903-1904 წწ-ში - ქუთაისში. იყო ქართველი მსახიობის, რეჟისორისა და დრამატურგის ვალერიან შალიკაშვილის მეუღლე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1919-1921) სოხუმის თეატრში გამოდიოდა, შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი სახე. იმ პერიოდის პრესა ბეჭდავდა მის ფოტოებს.

1921 წ-დან სიცოცხლის ბოლომდე თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მსახიობობდა. 1934 საქართველოს დამსახურებული არტისტის, 1946 კი - საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. მისი არქივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ლიტ.: საქართველოს ხელოვნების სასახლის (თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის) ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა, წ. VI, 2016.

სალომე ჭანტურიძე

ჯავრიშვილი კონსტანტინე ტარიელის ძე (16. IX.1886, თბილისი - ?) - 1905 დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 შევიდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში და მის სამხედრო ორგანიზაციაში. 1906 დააპატიმრეს და, თბილისის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით, გადაასახლეს ციმბირში, თუმცა, ეტაპით მგზავრობის დროს გამოიქცა და არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. მუშაობდა და რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა კასპიის ზღვის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა შორის, რომლებმაც პროფკავშირის და მისი ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორად აირჩიეს. 1908 საფრანგეთში გაიხიზნა და პარიზის უნივერსიტეტში ისტორიასა და სოციოლოგიაში ლექციებს ისმენდა. 1911 ბაქოში განაგრძობდა პარტიულ მუშაობას, თანამშრომლობდა ადგილობრივ პრესასთან. 1912-1914 წწ-ში კვლავ დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, სადაც კრასნოიარსკის და ენისეის ციხეებში იხდიდა სასჯელს. ხელმეორე გადასახლების დროს მუშაობდა ენისეის გუბერნიის მინუსინის მაზრასა და მინუსინსკში, კოოპერატიულ სფეროში.



ჯავრიშვილი კონსტანტინე

1917 წ-ის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ერთხანს იყო ესერთა პარტიის წარმომადგენელი ენისეის გუბერნიის „თავდაცვის კომიტეტში“, შემდეგ პეტროგრადში მუშაობდა მთავარ საადგილმამულო კომიტეტში. ამავე დროს იყო გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული „ბეჭდვითი კაბინეტის“ წევრი-რედაქტორი, რომელსაც თავმჯდომარეობდა რუს ესერთა ცნობილი ლიდერი-ქალი ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იყო ესერთა პარტიული ორგანოს „Дело народа“-ს რედაქტორი. 1917 წ-ის ნოემბერში შემდგარ პირველ ეროვნულ

ჯავახიშვილი ნატალია

ჯანელიძე
ალექსანდრე

ჯამალიანი არშაკ

ყრილობაზე კ. ჯავრიშვილი ეროვნული საბჭოს წევრად დასახელდა და მის შემადგენლობაში შედიოდა ამ საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ამოწურვამდე, როგორც წარმომადგენელი ესერთა პარტიისა, რომელიც თავდაპირველად არ იყო ოფიციალურად გამოყოფილი რუსეთის ესერთა პარტიისაგან და დამოუკიდებელ ქართულ პარტიად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გაფორმდა.

ლიტ.: სცსა, ფ, 1836, აღწ. 1, საქ. 107; რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924). თბ., 1998.

დიმიტრი შველიძე

ჯამალიანი არშაკ (1882, განჯა - 1940, პარიზი) - სომეხი პოლიტიკოსი და დიპლომატი. სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი თბილისში. სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნიკაციების მინისტრი. დაამთავრა ეჩმიაძინის სემინარია. სოციალურ მეცნიერებებს სწავლობდა გერმანიაში. სტუდენტობის პერიოდში ჩამოაყალიბა „ევროპის სომეხ სტუდენტთა კავშირი“. გამოსცემდა პერიოდულ გამოცემას „უსანოხ“. 1909 დაბრუნდა ამიერკავკასიაში. ასწავლიდა თბილისის ნერსიანის სკოლაში. თბილისში გამოსცემდა სომხურ გაზეთ „ჰორიზონს“.

1917 შეუერთდა დაშნაკცუითუნის პარტიას, ამავე წელს დასახელებულ იქნა სომხეთის ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 შედიოდა ამიერკავკასიის სეიმის შემადგენლობაში, 1918 შედიოდა გერმანიაში გაგზავნილ სომხეთის ეროვნული საბჭოს დელეგაციაში. 1918 წ-ის ივლისში ა. ჯამალიანი საქართველოში სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა. როგორც სომხეთის წარმომადგენლმა, 1918 წ-ის სექტემბერში თბილისში მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის ამიერკავკასიის ბონების გამოყენების შესახებ მოლაპარაკებებში. 1918 წ-ის დეკემბერში სომხეთის მიერ საქართველოზე თავდასხმის დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა საპროტესტო ნოტა გადასცა ელჩ ჯამალიანს და სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა. 1920 წ-ის გაზაფხულზე საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლად, ჯამალიანის ნაცვლად, ტიგრან ბეკზადიანი დაინიშნა. 1920 წ-ის აპრილ-ნოემბერში ა. ჯამალიანი იკავებდა სომხეთის კომუნიკაციების მინისტრის პოსტს. 1920 წ-ის აგვისტოში თბილისში ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთსა და სომხეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მიერ სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. 1928 ემიგრაციაში გამოსცა წიგნი „სომხეთ-საქართველოს პრობლემა“.

ლიტ.: Orientica Encyclopedia, Arshak Jamalyan. http://www. orientica. net/index. php?title=Arshak_Jamalyan (ინახა 06. 12. 2017). გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №116, 1920, №120.

ირაკლი ირემაძე

ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის ძე (24.X.1888, სოფელი ნიკორწმინდა, რაჭის მაზრ. - 16.I.1975, თბილისი) - ქართველი პედაგოგი, გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1923), პროფესორი (1925), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946). დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1910 დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტი (სორბონა), 1916 კი - ყაზანის უნივერსიტეტი. ალ. ჯანელიძე ქართული გეოლოგიის სკოლისა და საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1911-1915 წწ-ში მასწავლებლობდა ქუთაისში.

1918-1920 წწ-ში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისში. 1920-1923 წწ-ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ (1920-1921 წწ-ში მუშაობდა გრენობლში ვ. კილიანის, 1921-1922 წწ-ში - პარიზში გუსტავ ემილ ოგის, ხოლო 1922-1923 წწ-ში - ჰალეში ი. ვალთერის ხელმძღვანელობით).

1928-1946 წწ-ში გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგეა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1925-1955 წწ-ში იყო მის მიერ დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის (ახლანდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი) დირექტორი. 1926-1929 წწ-ში იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორია. 1941-1963 წწ-ში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე; 1951-1955 წწ-ში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; 1941-1972 წწ-ში აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. გეოლოგიის ინსტიტუტის ეზოში დგას მისი ძეგლი. თბილისში არის ალექსანდრე ჯანელიძის ქუჩა.

ლიტ.: ვ. ზესაშვილი, ქსე, ტ. XI, თბ., 1987; გ. ძოწენიძე, ალექანდრე ჯანელიძე, თბ., 1961; ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბ., 1994.

დოდო ჭუმბურიძე

ჯანმრთელობის დეპარტამენტი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ჯანმრთელობის უმაღლესი ორგანო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ამიერკავკასიის საექიმო-სასანიტარო განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს საექიმო-სასანიტარო განყოფილება. თავდაპირველად

განყოფილება მომარაგების სამინისტროში შედიოდა, შემდგომში კი, მისი ეფექტურობის გასაზრდელად და ადგილობრივ დონეზე მისი საქმიანობის გასააქტიურებლად, განყოფილება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. განყოფილება დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურად ებრძოდა ქოლერის ეპიდემიებს, რომელიც ძირითადად ლტოლვილთა გადაადგილებას და შიმშილობას უკავშირდებოდა. განყოფილების ანგარიშის მიხედვით, ეპიდემიის დროს ბაკურიანში გაიხსნა 2 ლაზარეთი, 100 და 50-საწოლიანი, ასევე, გადასროლილ იქნა სასანიტარო მოძრავი რაზმი; ბორჯომში გაიხსნა 30-საწოლიანი ლაზარეთი, გაიგზავნა სასანიტარო 30-საწოლიანი მატარებელი და სადეზინფექციო რაზმი. საექიმო-სასანიტარო განყოფილება ეპიდემიას ებრძოდა ხაშურში, სურამსა და ყვარელში. 1918-1919 წწ-ში ქართლ-კახეთში მოქმედებდა ე.წ. „მფრინავი სასანიტარო რაზმი“, რომელიც ეპიდემიის კერებში სადეზინფექციო-სასანიტარო სამუშაოებს ატარებდა. საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ერობებს გადასცა 4-საწოლიანი ლაზარეთები, სადაც ექიმთა ეტაპობრივ განაწილებას თავადვე უზრუნველყოფდა. 1920 წ-ის 1 ივნისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო „ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების“ კანონის განხილვა. 1920 წ-ის 13 ივლისს კრებამ კანონი საბოლოოდ დაამტკიცა. აღნიშნული კანონის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროში საექიმო-სასანიტარო განყოფილების ნაცვლად იქმნებოდა ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომელსაც ექნებოდა დამოუკიდებელი ბიუჯეტი. დეპარტამენტის უფროსი პროფესიით ექიმი უნდა ყოფილიყო. დეპარტამენტის მოვალეობა იყო, შეემუშავებინა საექიმო-სასანიტარო კანონპროექტები, ეწარმოებინა საექსპერტიზო საქმე; ის განაგებდა საფარმაციო საქმეს, აკონტროლებდა საექიმო საქმეებს. კანონის თანახმად, დეპარტამენტი შედგებოდა 5 განყოფილებისაგან: 1) ერობის და ქალაქის მედიცინის, 2) საკურორტო, 3) სარკინიგზო, 4) საფარმაციო საქმეების და 5)სამხედრო. კანონის თანახმად, დეპარტამენტის ადმინისტრაციული ხარჯები 1920 წ-თვის 2 968 504 მანეთს შეადგენდა.

ლიტ.: სცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 886; სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 978;

ირაკლი ირემაძე

ჯარი და ერი – ყოველკვირეული ქართული სამხედრო ჟურნალი. პირველი ნომერი გამოვიდა 1918 წ-ის 17 ნოემბერს, სულ დაიბეჭდა 4 ნომერი. ჟურნალს რედაქტორობდა ა .ს სვანიძე. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ანდრია ბენაშვილი, გიორგი კვინიტაძე, ზაქარია ყიფშიძე. პოლკოვნიკები: ნიკოლოზ გედევანიშვილი, ავქსენტი აბესაძე და სხვები. გამოცემის ფასი შეადგენდა 2 მანეთს. ჟურნალში ძირითადად იბეჭდებოდა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სტატიები და ისტორიული ნარკვევები მაგ: რუსი ოფიცრობა და საქართველო; მსოფლიო ომი; ოფიცერთა საკითხი ჩვენს ჯარში; სამხედრო წყობილება საქართველოში მეფე ერეკლეს დროს; ქართველი ჯარისკაცის მოვალეობა; სამხედრო ცხენები საქართველოს რესპუბლიკაში; კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია, არარატის რესპუბლიკა და სხვა.

ლიტ.: ჟურნალი ჯარი და ერი, 1918, №1-4.

დიმიტრი სილაქაძე

ჯაფარიძე ივანე

ჯაფარიძე ივანე მიხეილის ძე (?) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სენატის წევრი. ქშწგ საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1919 წ-ის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია. 1921 წ-ის 25 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ დააკმაყოფილა ივ. ჯაფარიძის განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები უცნობია.

ლიტ.: ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004.

ბექა ქანთარია.



ჯაფარიძე
კონსტანტინე

ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე (12.I.1884, სოფ. შარდომეთი, რაჭის მაზრ. - ?, სოფ. ქვიშხეთი, ხაშურის რ-ნი.) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა თავადის ოჯახში, საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო ხარკოვის უნივერისტეტში, სწავლობდა შვეიცარიაშიც. განათლების მიღების შემდეგ ადვოკატად მუშაობდა თბილისში. 1905 შეუერთდა რსდმ პარტიის მენშევიკების ფრაქციას. იყო პარტიის აქტიური წევრი, ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. 1911 წ-დან იყო ქ.შ.ნ.კ.გ.ს. წევრი.

1917 წ-ის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩეულ იქნა ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წ-ის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. 1918 გარკვეული პერიოდი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მდივანი. ნოე ჟორდანიას ბრძანებით, 1918 წ-ის დეკემბერში სერგი ჯაფარიძის ნაცვლად, კონსტანტინე ჯაფარიძე დაინიშნა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველად. 1919 წ-ის თებერვალში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წ-ის 14 მარტს სხდომაზე არჩეული იქნა დამფუძნებელი კრების მდივნად, შედიოდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის შემადგენლობაში, იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში. მონაწილეობდა ანტისაბჭოთა გამოსვლებში და პროპაგანდას ეწეოდა მოსახლეობაში. ცხოვრობდა მშობლიურ სოფელში. შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციის ცეკას შემადგენლობაში. საბჭოთა რეჟიმის მიერ 1923, 1926 და 1933 წწ-ში სამჯერ დააპატიმრეს, გათავისუფლების შემდეგ არალეგალურად ცხოვრობდა სოფელ ქვიშხეთში, სადაც 40-იან წლებში გარდაიცვალა, გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. დაკრძალულია ქვიშხეთში.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2016; სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 107, 108, 109; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №110; დამფუძნებელი კრების 14 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ირაკლი ირემაძე

ჯაფარიძე სერგო

ჯაფაროვი მამედ იუსუფ

ჯაფარიძე სერგო დავითის ძე (5.I.1871, სოფ. ღარი, რაჭა - 10.X.1937) - სოციალ-დემოკრატი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მსახურობდა ნაფიც ვექილად, იყო ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე. 1906 აირჩიეს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ქუთაისის გუბერნიიდან. აქტიურად მონაწილეობდა საპარლამენტო მუშაობაში, გამოდიოდა როგორც ხელისუფლების, ასევე, იმ პარტიების გაბედული კრიტიკით, რომლებიც პარლამენტში მხარს უჭერდნენ ანტიხალხური კანონების მიღებას. იყო ნიჭიერი ორატორი, როგორც ისიდორე რამიშვილი იგონებს, სათათბიროს ტრიბუნიდან ზეპირად წარმოთქვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა. მონაწილეობა მიიღო ე. წ. „ვიბორგის მანიფესტის“ შემუშავებაში და ხელიც მოაწერა.

აქტიურად ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, 1917 წ-ის ნოემბრიდან იყო ეროვნული საბჭოს წევრი. როგორც იურისტი, იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1918 მოღვაწეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამმართველოში, იყო მთავრობის საქმეთა მმართველი. 1919 გახდა დამფუძნებელი კრების წევრი (სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან). მისი სიტყვები პარლამენტში ყოველთვის მძაფრი იყო. დამოუკიდებლობის წლებში გაზეთ „ერთობასა“ და სხვა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში დაბეჭდილი მისი პუბლიკაციებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტატიების სერია - „სენატი“ („ერთობა“ №№164-168, 1919), სადაც განხილულია სენატის შექმნის მიზნები და ამოცანები საზღვარგარეთ და ჩვენში, გაანალიზებულია საერთაშორისო სამართლის საკითხები და ეროვნული პრობლემები. მან მოამზადა და პარლამენტს განსახილველად წარუდგინა რამდენიმე კანონპროექტი. პარალელურად იყო ნაფიც მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე. მოუხდა სასამართლო დავა ნაფიც მსაჯულ ივანე ზედგენიძესთან, რომელმაც მოითხოვა, მისთვის დეპუტატის შეუვალობის კანონი აეცილებინათ და პარლამენტს მიეცა უფლება, სასამართლოს გაერჩია მასთან მომხდარი კონფლიქტი. შელაპარაკებისას, ზედგენიძის მტკიცებით, დეპუტატმა ს. ჯაფარიძემ იარაღი დაანახვა და დაემუქრა, რასაც ის შეუთავსებლად მიიჩნევდა დეპუტატის თანამდებობასთან. პარლამენტმა დააკმაყოფილა ზედგენიძის თხოვნა, მოუხსნა ს. ჯაფარიძეს იმუნიტეტი. სასამართლომ განიხილა დავა და ს. ჯაფარიძე გაამართლა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1902-1918); საზოგადოების თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი (1920). იყო იუსტიციის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე). ჰყავდა ცოლი და 4 შვილი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში. დიდი ტერორის დროს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: გაზეთი „ერთობა“, 1919, №164-168; სცსა, ფ. 1836, საქ. 107; სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 1129.

დოდო ჭუმბურიძე

ჯაფაროვი მამედ იუსუფ (14.III.1885, ბაქო - 15.V.1938, ბაქო) - აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი და დიპლომატი. აზერბაიჯანის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა მინისტრი. პარტია მუსავატის წევრი. საშუალო განათლება ბაქოში მიიღო. 1912 წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდში მოსკოვში ჩამოაყალიბა აზერბაიჯანული დიასპორის გაერთიანება. 1912 რუსეთის მეოთხე დუმის არჩევნებზე, არჩეულ იქნა ბაქოს, განჯისა და ერევნის გუბერნიის მუსლიმთა მიერ, დუმაში შევიდა კადეტთა ფრაქციაში. დუმის ტრიბუნიდან აკრიტიკებდა აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართულ ცარისტულ პოლიტიკას.

1917 წ-ის 15 ნოემბერს ჯაფაროვი შევიდა ქართველ სოციალ-დემოკრატ ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატში, იკავებდა მრეწველობისა და ვაჭრობის კომისრის პოსტს. შედიოდა აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში. 1918 წ-ის 28 მაისს ხელი მოაწერა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ფათალ ხან ხოისკის მეთაურობით შექმნილ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ მთავრობაში 20 დღით იკავებდა მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის პოსტს.

1918 წ-ის ზაფხულში მ. ჯაფაროვი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა. მონაწილეობა მიიღო 1918 წ-ის სექტემბერში თბილისში გამართულ ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის ამიერკავკასიის ბონების გამოყენების შესახებ მოლაპარაკებებში. 1918 წ-ის ნოემბერში თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელმა. 1919 წ-ის დასაწყისში დატოვა საქართველოში ელჩის თანამდებობა, მის ნაცვლად აზერბაიჯანის ელჩად დაინიშნა ვექილოვი. 1919 წ-ის მარტში მ. ჯაფაროვი დაინიშნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრად. 1920 წ-ის თებერვლ-აპრილში ასრულებდა აზერბაიჯანის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომრის მოვალეობას (ალიმანდარ თოფჩიბაშევის არყოფნის გამო).

საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, როგორც აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელმა, ხელი მოაწერა ბოლშევიკებთან დადებულ სამშვიდობო შეთანხმებას. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა. შემდგომში ცხოვრობდა და მუშაობდა ბაქოში. საბჭოთა დიდი ტერორის პერიოდში დააპატიმრეს და დახვრიტეს, წარსულში ნაციონალისტური საქმიანობის გამო.

ლიტ.: Azerbaijan International, Democratic Republic of Azerbaijan Leaders (1918-1920), Mammad-Yusif Jafarov, https://www. azer. com/aiweb/categories/magazine/61_ folder/61_articles/61_jafarov. html, (ინახა 06. 12. 2017), p. 30. Spring 1999 (6. 1); გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918. №116; გაზ. „ერთობა“, 1920. №244.

ირაკლი ირემაძე

ჯაყელი ნიკოლოზ – ქართველი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, იტალიის ქალაქ მილანში ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების მეოთხე კონგრესზე საქართველოს წარმომადგენელი, 1921 წ-დან პოლიტიკური ემიგრანტი.

1919 წ-ის 7 დეკემბერს ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია შეიქმნა, რომელმაც, საგანგებო მანდატით აღჭურვილი პირების მეშვეობით, ერთა ლიგის სხვადასხვა მოქმედ სტრუქტურებთან პირდაპირი ურთიერთობა დაამყარა. ერთა ლიგის ქართული ასოციაციის ძალისხმევით, 1920 წ-ის 12-16 ოქტომბერს იტალიის ქალაქ მილანში გამართულ ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების მეოთხე კონგრესზე საქართველოს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. კონგრესზე საქართველოს სახელით ნ. ჯაყელი მიიწვიეს. ამის შესახებ მასაც და ერთა ლიგის ასოციაციების მეოთხე კონგრესის თავმჯდომარესაც ოფიციალური ტელეგრამით აცნობეს, რომლის შინაარსი ქართულ პრესაში გამოქვეყნდა. იმ დროისთვის საქართველოს ასოციაცია ერთა ლიგის ასოციაციის წევრად მიღებული არ იყო და არც თავისი სტატუსი გაუგზავნია, რაც, ნ. ჯაყელის აზრით, დიდი შეცდომა იყო. 1920 წ-ის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის სახელზე გაგზავნილ წერილში ის მოითხოვდა, რომ საქართველოს მთავრობას ფრანგულ და ქართულ ენებზე სტატუსის ტექსტი დაუყოვნებლივ გაეგზავნა. ნ. ჯაყელი კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად არათუ მიიწვიეს, უფრო მეტიც, კენჭისყრის დროს იგი გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობდა. როგორც საქართველოს ასოციაციის ხელმძღვანელი, ნ. ჯაყელი კონგრესზე სიტყვით გამოვიდა. მოხსენება იტალიის პოლიგრაფისტთა საზოგადოებამ 1920 რომში დასტამბა. კონგრესზე გამოსვლისას მან თქვა: „...აუცილებელია ავაღორძინოთ ქართველი ხალხის ის სულიერი იდეები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მთელი თავისი წარსული ისტორიის მანძილზე და რომლებიც საფუძვლად უდევს ერთა ლიგას. ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, რა არის საერთაშორისო ურთიერთობის უხეში ძალა და მზადაა რა ბოლომდე დაიცვას თავისი სიცოცხლე და თავისი თავისუფლება, მას სწადია, მთელი საერთაშორისო ცხოვრების განახლება. ისეთი წესრიგის დამყარება, რომლის დროსაც მისი უფლებები, ისევე როგორც, სხვა ხალხების უფლებები, დაცული იქნება არა ხიშტებით, არამედ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრით... ერთა ლიგამ უნდა მიიღოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის შემადგენლობაში და გაუწიოს მორალური მხარდაჭერა, რისი უფლებაც ამ რესპუბლიკას უდავოდ აქვს. ვიმედოვნებ, რომ უმაღლესი საბჭო დაუყოვნებლივ აღიმაღლებს თავის გავლენიან ხმას ჩვენი სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად“. ნ. ჯაყელის გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ კონგრესის თავმჯდომარის - რუფინის წინადადებით, საქართველოს ასოციაცია ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციის სრულუფლებიან წევრად ერთხმად მიიღეს, წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ რუსეთის წარმომადგენელმა - ესერმა აქვსენტიევმა.

საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ნ. ჯაყელი ემიგრაციაში წავიდა და ევროპაში საქართველოს ეკონომიკური წარმომადგენელი იყო. მას შემდეგ, რაც საქართველოს საელჩო პარიზში ლეგაციად გადაკეთდა (ელჩი - ა. ჩხენკელი, პირველი მდივანი- ს. ასათიანი. მრჩევლები - ა. ჟორჟოლიანი და ა. ქუთათელაძე. საინფორმაციო ბიუროს გამგე - ვლ. ვოიტინსკი), ეკონომიკური ნაწილის გამგე ჯერ მ. სკობელევი, ხოლო შემდეგ ნ. ჯაყელი გახდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მინდობილობით, ბენია ჩხიკვიშვილთან ერთად შეიძინა ლევილის მამული.

ლიტ.: სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 905; ფ. 1864, აღწ. 2, საქ. 355, საქ. 356, საქ. 359; საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თსუ, თბ., 2003; გაზ. „სახალხო განათლება“, 14 იანვრი, თბილისი, 1990; რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“, თბ., 2007.

ლელა სარალიძე

ჯაჯანაშვილი არჩილ

ჯაჯანაშვილი არჩილ (1885-1937) - ქართველი პუბლიცისტი, მწერალი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1918). თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილებაზე. საქართველოში დაბრუნების შემდგომ თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („ივერია“, „ცნობის ფურცელი“...). პოლიტიკურ, სალიტერატურო თემებზე წერილებს აქვეყნებდა „გ. ბარელის“, „გ. ბარველის“ ფსევდონიმით. იყო ბელეტრისტი, მთარგმნელი და რედაქტორი. შეადგინა არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-6 ტომი. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანოს „სახალხო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი. რედაქტორობდა აგრეთვე გაზ. „დროშას“. ა. ჯაჯანაშვილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კვოტით შეიყვანეს საქართველოს ეროვნულ საბჭოში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა საკანონმდებლო საქმიანობაში. იყო პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ კანონის ავტორი. შეეწირა 1937 წ-ის რეპრესიებს.

ბონდო კუპატაძე



ჯიბლაძე
სილიბისტრო

ჯვარიშეიშვილი ათანასე თეოდორეს ძე (1864 -1927) - დაამთავრა ქ. ნიჟინის ისტორიულ-ფილოლოგიური ინსტიტუტი (1889 წ.). იყო ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1899), წ.კ.გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების წევრი (1916). 1920 მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბერძნულის მასწავლებლად.

ლიტ.: ზ. გაიპარაშვილი, მ. ლილუაშვილი, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926“, თბ., 2006.

მანანა ლილუაშვილი



ჯიბლაძე ევლადიმერ

ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე (მეტსახელი: ლადო, პეტროვი) (18.I.1879 სოფ. გეზათი - 09.II.1938) - თავდაპირველად სასწავლებლად კულაშის სკოლაში შევიდა, შემდეგ სწავლა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში განაგრძო. მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოებში ზეინკლად. იყო რსდმპ-ის წევრი. 1901 რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოწყობილი გაფიცვების გამო, ვ. ჯიბლაძე დააპატიმრეს და თბილისიდან გაასახლეს. 1903 პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს. 1917 აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს (შემდგომში - პარლამენტის) წევრად, ამასთანავე არჩეული იყო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად. 1918 იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1919 არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. მონაწილეობას იღებდა საბჭოთა საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლებში. 1921 წ-ის ოკუპაციის შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში საცხოვრებლად. იმავე წელს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დააპატიმრეს მოგვიანებით კი გადაასახლეს. 1937 დახვრეტა მიუსაჯეს.

ლიტ.: ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ვ. გურული, ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.

მანუჩარ გუნცაძე.

ჯიბლაძე სილიბისტრო გიორგის ძე (1859, სოფ. ამაღლება, ოზურგეთის მაზრ. - 17.II.1922, თბილისი) - ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. როგორც უხუცესმა წევრმა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა (1919 წ-ის 12 მარტი) ს. ჯიბლაძემ გახსნა. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა (1879). რექტორ ჩუდეცკის ცემისთვის 1884 იგი სემინარიიდან გარიცხეს და ორი წლით დისციპლინარულ ბატალიონში გაამწესეს. იყო „მესამე დასის“ დამფუძნებელი წევრი (ყვირილა, 1892). 1894 წ-ის 7 მაისს, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე, წაიკითხა „მესამე დასის“ პროგრამა. 1890-იან წწ-ში სოციალ-დემოკრატთა თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წწ-ის რევოლუციაში; იყო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის, გენერალ გრიაზნოვის, მკვლელობის ორგანიზატორი (1906). არაერთხელ იყო დაპატიმრებული საიმპერიო რეჟიმის მიერ. თანამშრომლობდა გაზეთებში: „სხივი“, „განთიადი“, „ელვა“. შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში.

1917 წ-ის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და მის აღმასკომის წევრად. 1919-1921 წწ-ში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების, სახალხო გვარდიის შტაბისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ს. ჯიბლაძეს ბოლშევიკები შეურიგებელ მტრად მიიჩნევდნენ. 1921 წ-ის ივნისში მოხუცი სილიბისტრო მეტეხის ციხეში მოათა-

ვსეს. მან მთელი ზაფხული ციხეში გაატარა. სექტემბრის თვეში იგი მძიმედ დაავადდა და დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ საკუთარ ბინაში, ცოლ-შვილთან გადაიყვანეს, თუმცა „ჩეკას“ ზედამხედველობა არ შეუწყვეტია. იმ პერიოდში მეტეხის ციხეში გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრი - პარმენ ჭიჭინაძე. ამ ფაქტმა ავადმყოფ სილიბისტროზე მძიმედ იმოქმედა. მიუხედავად ექიმების აკრძალვისა, მან გადაწყვიტა, ჭიჭინაძის დასაფლავებაში მიეღო მონაწილეობა. 10 ოქტომბერს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ორი-სამი დღის შემდეგ სილიბისტროს ბინას „ჩეკას“ წარმომადგენელი ეწვია, თუმცა პარმენის დასაფლავების მეორე დღესვე მან გადაწყვიტა, სახლში არ დაბრუნებულიყო და არალეგალურ მუშაობაში ხელმძღვანელის როლი ეკისრა. გააფთრებული დევნის გამო, ის იძულებული იყო, ბინა ხშირად გამოეცვალა, რამაც საბოლოოდ მოსწყვიტა საკუთარ ოჯახს. 1922 წ-ის 5 თებერვალს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ კონფერენციაზე, ის თავისი ფეხით მივიდა და სიტყვა მაინც წარმოთქვა. ამის შემდეგ მისი მდგომარეობა აღარ გამოკეთებულა და 17 თებერვალს გარდაიცვალა

ლიტ.: ჟურ. „ბრძოლა“, პარ., 1925, №3; გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.

ლელა სარალიძე

ჯილდოები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას არ დაუწესებია საკუთარი სახელმწიფო ჯილდოები. ამიტომ, მათ როლს ასრულებდა რუსეთის საიმპერიო სამხედრო ჯილდო: წმ. გიორგის ორდენთან არსებული წარჩინების ნიშანი - წმ. გიორგის ჯვარი (არსებობდა I, II, III და IV ხარისხისა), რომელთა გარკვეული მარაგი შემორჩენილი იყო სამხედრო საწყობებში. რუსეთის იმპერიის არსებობის ხანაში ხსენებული ჯვარი წარმოადგენდა მხოლოდ ჯარისკაცთათვის განკუთვნილ ჯილდოს. რუსეთის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ ჯილდოს კავალერი შეიძლებოდა გამხდარიყო ოფიცერიც, ოღონდ, თუ ის მამაცობას უშუალოდ ბრძოლის ველზე გამოავლენდა. ამ ჯილდოს ასევე გასცემდა ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატი და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო შემდეგ - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო. ამ წარჩინების ნიშნით ჯილდოვდებოდნენ კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებში თავგამოჩენილი სამხედრო პირები. 1918 ჩოლოქთან მომხდარ ბრძოლაში ქართულმა ლაშქარმა დაამარცხა ოსმალეთის რჩეული გალიპოლის დივიზია. ბრძოლაში თავი ისახელეს ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით მოქმედი ჯავშნოსანი მატარებლის რაზმელებმა, ძმებმა ალექსანდრე და პორფილე გორგოშიძეებმა, რისთვისაც ისინი წმ. გიორგის ჯვრებით დაჯილდოვდნენ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იმავე წელს მიმდინარე ანტიბოლშევიკურ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სამხედრო ხომალდის „პატარა კახის“ კაპიტანი გ. ღოღობერიძე. წმ. გიორგის ჯვრით მასობრივად დაჯილდოვდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვისათვის 1918-1919 წწ-ის ბრძოლებში თავგამოჩენილი მეომრები, რომელთა სიებიც შემონახულია. საქართველოს სამხედრო სამინისტროს მიერ წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოებულ სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 802-ს შეადგენს. მათგან I ხარისხის ჯვრით დაჯილდოვდა 12, II ხარისხის ჯვრით - 30, III ხარისხის ჯვრით - 84, ხოლო IV ხარისხის ჯვრით - 676 მეომარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში არსებობდა ასევე მეორე სამხედრო ჯილდო - წმ. თამარ მეფის ორდენი, რომელიც ერთჯერადად გაიცა. ეს წარჩინების ნიშანი მანამდე წარმოადგენდა გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების შეიარაღებული ძალების მხარდამხარ მებრძოლი ქართული ლეგიონის სამხედრო ჯილდოს, რომელსაც 1916-1918 წწ-ში გასცემდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ამ ორდენებით 1918 წ-ის 13 დეკემბერს დაჯილდოეს იმხანად საქართველოში მყოფი გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებსაც დამსახურება ჰქონდათ ქართული სახელმწიფოს წინაშე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წ-ის 21 თებერვალს მიღებული „საქართველოს კონსტიტუციის“ III თავში - „მოქალაქის უფლებანი“ - ნათქვამი იყო: „ორდენი გაუქმებულია. საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი“. ამ მუხლით ნათელი ხდება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობდა, მიებაძა შვეიცარიის კონფედერაციისათვის, სადაც ასევე არ არსებობს სახელმწიფო ჯილდო.

ლიტ.: ნ. ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995; ნ. ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან), თბ., 1998; ო. ჟორდანია, მ. გაბედავა, საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები (1918-1919), თბ., 2001; საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ე. გურგენიძე, თბ., 1990.

ნიკო ჯავახიშვილი

ჯიჯიხია არტემ

ჯიჯიხია არტემ მურზაყანის ძე (2.I.1874 - 31.XII.1938) - გენერალი. დაწყებითი განათლება

მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ - თბილისის იუნკერთა სასწავლებელში. პოდპორუჩიკი (1897). მსახურობდა მე-7 სარეზერვო ბატალიონში, ტაშკენტის I სარეზერვო ბატალიონში, თურქესტანის მე-2 მსროლელთა ბატალიონში. პორუჩიკი (1901). შტაბსკაპიტანი (1905). 1907 დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია I თანრიგით. კაპიტანი (1907). 1907-1909 წწ-ში ასეულის მეთაური. 1909-1911 წწ-ში ქვეითი მე-6 დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1911 წ-დან XV საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი ადიუტანტი. პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ პრუსიაში მიმდინარე ბრძოლების მონაწილე. ჩავარდა ტყვედ, როდესაც კორპუსი ალყაში მოექცა. 1918 ტყვეობიდან გათავისუფლდა. დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის.

1918-1921 წწ-ში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1918 იბრძოდა გაგრის ფრონტზე. საქართველო-სომხეთის ომში მონაწილეობდა პოლკოვნიკის ჩინით. 1919 იყო გენერალ გიორგი მაზნიაშვილის შტაბის უფროსი. 1919-1921 წწ-ში იყო ჯერ სამხედრო სამინისტროს დავალებათა გენერალი, ხოლო შემდეგ - სახალხო გვარდიის სამმართველოს განყოფილების უფროსი. 1921 წ-ის თებერვალში მეთაურობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის რეზერვში მყოფ გვარდიის ბატალიონებს. ომის პირველ ეტაპზე განცდილი მარცხის გამო იძულებული გახდა, უკან დაეხია თბილისისკენ. 18-24 თებერვალს თბილისის დაცვის დროს იყო მარცხენა ფრთის (ორხევი-ლილო) სარდალი. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები მის სექტორში მიმდინარეობდა 24 თებერვალს, თუმცა კრიტიკულ მომენტში რეზერვების სწორი გამოყენებით შეძლო მოწინააღმდეგის იერიშის მოგერიება და პოზიციების აღდგენა. ემიგრაციაში არ წასულა, გადადგა სამხედრო სამსახურიდან და ცხოვრობდა სამეგრელოში, თავის სოფელში. იყო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. დახვრიტეს.

ლიტ.: Русская армия в Великой войне http://www.grwar. ru/; М. Г о г и т и д з е, Военная элита Кавказа, т. I, 2007.

მიხეილ ბახტაძე

ჯორჯიან მეილ – The Georgian Mail (06.VIII.1919 - 16.VI.1920, თბილისი) - ინგლისურენოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველკვირეული გაზეთი. დაარსდა ორენოვანი გაზეთის, „ტიფლისსკი ლისტოკის“, რუსული ნაწილის დახურვის შემდეგ. გამოცემის ინგლისურ ნაწილს შეუცვალეს სახელი და უწოდეს „The Georgian Mail“. გაზეთი იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე. მისი რედაქცია ჯერ სოლოლაკის ქუჩა №1-ში განთავსდა, შემდეგ კი მისამართი შეიცვალა და კალოუბნის №3-ში გადავიდა. „The Georgian Mail“-ს რედაქტორობდა ინგლისის არმიის კაპიტანი ლინდელეი სკოტი (გაზეთს ხელს აწერს სკოტლანდ ლიდელის (Scotland Liddel) სახელით). წინამორბედი ინგლისურენოვანი გაზეთის, The Georgain Messenger-ისაგან განსხვავებით, The Georgian Mail-ში ჭარბობს ინგლისური თემატიკა. აქ თითქმის აღარ გვხვდება ქართველ კორესპონდენტთა წერილები, საერთოდ ქრება ქართული ლიტერატურის ნიმუშები. ვრცლად არის მიმოხილული დიდი ბრიტანეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ძლიერდება ანტისაბჭოური პროპაგანდა. გარკვეული ადგილი უკავია ინგლისურ იუმორსა და ლიტერატურის ნიმუშებს. გაზეთი პირველ გვერდს მუდმივად უთმობს ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველ მასალას, მეორე გვერდზე აქვეყნებს მოკლე ცნობებს ქართული რეალობიდან, მომდევნოზე კი - ინფორმაციებს საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ბოლო გვერდი ეთმობა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ინფორმაციულ შენიშვნებსა და განცხადებებს. გაზეთი ეხმიანება დემოკრატიული საქართველოს ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, აშუქებს სიახლეებს, მსჯელობს სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემებზე. აღსანიშნავია, რომ, ქვეყნის რთულ ეკონომიკურ ვითარებაზე საუბრისას, შექმნილ სიტუაციას გამოცემა აფასებს არა, როგორც მენშევიკური მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგს, არამედ, როგორც მეფის რუსეთის მძიმე დანატოვარს. The Georgian Mail-ში გამოქვეყნებულია უნიკალური მასალა ბათუმსა და მის ოლქში მიმდინარე პროცესების შესახებ. გაზეთის 1920 წ-ის აპრილ-მაისის ნომრებში ხშირად საუბრობენ ბათუმის საკითხში მოკავშირეთა „კეთილშობილურ მისიაზე“, ბათუმის გარდაქმნის გეგმებზე, საპორტო ქალაქის სავაჭრო პერსპექტივებზე და ა. შ.

The Georgian Mail-ის ფურცლებზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა მოკავშირეების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს და განსაკუთრებული შეფასება მიეცა ამ საკითხში დიდი ბრიტანეთის დამსახურებას. გაზეთი ბრიტანული პოლიტიკის შემქმნელთა აპოლოგეტად გვევლინება და 1920 წ-ის იანვრის ნომრებს, ძირითადად, აღნიშნულ თემას უძღვნის. აღსანიშნავია, რომ The Georgian Mail-ის 1920 წ-ის 28 იანვრის ნომერი იხსნება საქართველოს მთავრობის მეთაურის, ნოე ჟორდანიას, ვრცელი სიტყვით, რომელიც მან საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე წარმოთქვა. აღნიშნულია, რომ კრებას, სხვადასხვა ქვეყნის მისიების წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის რწმუნებული ოლივერ უორდროპი. გაზეთი დიდ შეფასებას აძლევს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მთავრობას შორის 7 მაისს დადებულ საზავო ხელშეკრულებას და ეს მიაჩნია „საქართველოს დემოკრატიის“ მორიგ გამარჯვებად. 1920 წ-ის 9 ივნისის (№45) ნომერში გამოქვეყნებულია ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც რედაქტორის კომენტარები ახლავს. გაზეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეთ-

მობა დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს. The Georgian Mail საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ამსახველ მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს. 1919 წ-ის მეორე ნახევრისა და 1920 წ-ის პირველი თვეების ნომრებში ფართოდაა გაშუქებული ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები. საგარეო ფაქტორებზეა ყურადღება გამახვილებული პუბლიკაციაში „სპარსეთის ხელახალი დაბადება“ (14.I.1920), ვრცელ ინტერვიუში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ ფათალი ხან-ხოისკისთან, სადაც საუბარია აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობებზე (04.II.1920) და ა.შ. გაზეთში განხილულია ებრაელთა საკითხიც. 1919 წ-ის 1 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „სიმართლე ბოლშევიზმის შესახებ“ გვიამბობს ებრაელთა მდგომარეობაზე რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ რუსეთში. ამავე თემას ეხება სტატიები: „ძარცვა და ტერორი ოდესაში“ (22.X.1919), „ბოლშევიკური საშინელებები“ (05.XI.1919) და სხვ. გაზეთი ხშირად ბეჭდავს საქართველოს შესახებ ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. მაგ.: 1919 წ-ის 5 ნოემბრის გამოცემაში (№14) იბეჭდება „The Orient News”- დან გადმობეჭდილი სტატია „კავკასიის პრობლემები“, 1919 წ-ის 31 დეკემბრის ნომერში - „ქართველთა გადასახლებები ბოლშევიკების მიერ“ და სხვ.

1920 წ-ის 16 ივნისს, 46-ე ნომრის გამოსვლით შეწყდა The Georgian Mail-ის გამოცემა.

ლიტ.: დ. კარანაძე, The Georgian Mail and The Georgian Messenger, თბ., 2005; პ. სურგულაძე, გაზეთები: „The Georgian Messenger” და „The Georgian Mail“, როგორც წყარო ინგლისური პოლიტიკის გარკვევისათვის ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში (1919-1920), თსუ შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1982, №227.

მანანა შამილიშვილი

ჯორჯიან მესენჯერ – The Georgian Messenger (23. II.1919 - 29.VI.1919, თბილისი) – ინგლისურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი. გამოცემას რედაქტორობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილი ელისაბედ ორბელიანი. იბეჭდებოდა ოთხ გვერდზე. სულ გამოვიდა გაზეთის 13 ნომერი. მისი გამოცემა მოულოდნელად შეწყდა. „The Georgian Messenger“-ის დახურვის შემდეგ, იმავე წელს გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „The Georgian Mail“. არსებობის ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად, „The Georgian Messenger“-მა დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ინგლისს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებაში, რასაც ხელს უწყობდა მისი მრავალმხრივი პროფილი. გაზეთი, ერთი მხრივ, ემსახურებოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას ინგლისურენოვან სამყაროში, მეორე მხრივ კი - ქართველ მკითხველს აცნობდა დასავლურ კულტურას, აყალიბებდა საზოგადოებრივ აზრს საზღვარგარეთული ცხოვრების შესახებ. ამ საქმეს ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო გაზეთის რედაქტორმა, ინგლისური ენის უბადლო მცოდნემ, ელისაბედ ორბელიანმა. აღსანიშნავია, რომ ელ. ორბელიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი იყო პირველი საუნივერსიტეტო საბჭოს წევრი. უნივერსიტეტის გახსნის დღეს წარმოთქმული მისი სიტყვა გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1918 წ-ის ნოემბრის ნომერში. „The Georgian Messenger“-ის კულტურტრეგერული მიზანდასახულობა იმთავითვე გაცხადდა მეთაურ წერილში - „To our readers”. რედაქცია ჰპირდებოდა მკითხველს, რომ შეეცდებოდა „შეევსო ინფორმაციული სიცარიელე“ და საკუთარი წვლილი შეეტანა კულტურათა გაცნობა-დაახლოებაში, ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებაში. მართალია, გაზეთის მთავარი ამოცანა ინგლისელებისთვის ევროპისა და მათი დისლოკაციის ქვეყნებში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმირება იყო, მაგრამ რეალურად იგი უფრო ქართული კულტურის პროპაგანდას ემსახურებოდა. ნათქვამს ნათლად ადასტურებს აგრეთვე გამოცემის პირველი ნომრის პირველივე გვერდზე დასტამბული ვიქტორ სიმონიშვილის სტატია - „God Speed, Georgia” („ღმერთი გფარავდეს, საქართველო“), რომელშიც მოკლე ისტორიული ექსკურსის მოხმობით ავტორი ცდილობს, წარმოაჩინოს ქართული რესპუბლიკის შექმნის მნიშვნელობა და ბრიტანეთის მთავრობის ძალისხმევა ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოს დიპლომატიური მხარდაჭერისა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი გაძლიერებისთვის. გაზეთში წარმოდგენილია რუბრიკები: „ევროპაში“, „ტიფლისი“, „საქართველო“, „ქართული იუმორი“. რუბრიკით „ევროპაში“ იბეჭდება ინფორმაციები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. სიახლეები თემატურადაა გამიჯნული ქვერუბრიკებით: „ინგლისი“, გერმანია“, „რუსეთი“, „ავსტრია-უნგრეთი“, „სერბია“ და ა.შ. რუბრიკა „საქართველო“ გვთავაზობს მეტად საინტერესო და საგულისხმო მასალას საქართველოს ისტორიის, იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრებისა და დემოკრატიული საქართველოს მთავრობის საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ტექსტები გამდიდრებულია ვიზუალური მასალით. მაგალითად, 25 მაისის ნომერში (11) გამოქვეყნებულ საიუბილეო წერილს - „1918 წლის 26 მაისიდან, 1919 წლის 26 მაისამდე“ - ერთვის საქართველოს მთავრობის წევრების - ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, ევგენი გეგეჭკორის, ნოე ხომერიკის, კონსტანტინე კანდელაკის ფოტოები. გაზეთის ისტორიული პროფილის პუბლიკაციათა შორის აღსანიშნავია ინგლისელი მეცნიერის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, უილიამ მორფილის სტატია საქართველოზე, რომელიც 1899 წ-ით დათარიღებული „სამეფო აზრის საზოგადოების ჟურნალიდან“ დაიბეჭდა. მასში მოთხრობილია საქართვე-

ლოს ისტორიის, ქართველი ხალხისა და მისი ტრადიციების შესახებ. ისტორიულ მეგზურობას უწევს გაზეთის მკითხველს ოლივერ უორდროპის მემუარული ჩანაწერები - „თბილისი“ და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანები, რომელთაც „The Georgian Messenger“ უხვად გვთავაზობს. გაზეთში იბეჭდება ამონარიდები მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნიდან“, ოლივერ უორდროპის თარგმანები: სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, ილია ჭავჭავაძის ლექსის, „ქართვლის დედის“, შემოკლებული თარგმანი. უნდა გამოვყოთ ელისაბედ ორბელიანის მიერ შესანიშნავად თარგმნილი ქართული კლასიკური მწერლობის რჩეული ნიმუშები: ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, შიო არაგვისპირელის, დომინიკა ერისთავისა და სხვათა ნაწარმოებები. გაზეთი ინტერესდება აგრეთვე ქართველ ქალთა პრობლემებით. ამ თემას ეძღვნება ელ. ორბელიანის, ე. შიუკაშვილის წერილები. საგულისხმოა აგრეთვე „The Georgian Messenger“-ის პოლემიკა გაზეთ „Transcaucasian Post”- თან თბილისის საქალაქო არჩევნების თემაზე. გამოცემაში გვხვდება განცხადებებიც, რომლებიც ძირითადად ქვეყნის კულტურული ცხოვრების სიახლეებს გვაცნობს.

ლიტ.: დ. კარანაძე, The Georgian Mail and The Georgian Messenger, თბ., 2005; პ. სურგულაძე, გაზეთები: „The Georgian Messenger” და „The Georgian Mall“, როგორც წყარო ინგლისური პოლიტიკის გარკვევისათვის ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში (1919-1920), თსუ შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, 1982, №227.

მანანა შამილიშვილი

ჯუღელი ვალიკო

ჯუღელი ვალერიან ანთიმოსის ძე (1887, სვირი - 1924, თბილისი) – ქართველი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ამ პერიოდში ჩაება სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში და მონაწილეობას იღებდა 1904-1905 წწ-ის საპროტესტო დემონსტრაციებში. 1912 დაასრულა სოხუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ ფრაქციაში. 1916 წ-ის ზაფხულში ვ. ჯუღელი დააპატიმრეს თბილისში და ჩასვეს მეტეხის ციხეში.

1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიემხრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრაქციას. იყო თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, 1918 წ-დან კი -ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს პარლამენტის წევრი. 1917 წ-ის დეკემბრიდან სათავეში ჩაუდგა საქართველოს წითელი გვარდიის (1918 წ-ის ივნისიდან - სახალხო გვარდიის) ჩამოყალიბების საქმეს. 1917 წ-ის 12 დეკემბერს (ახალი სტილით) მისი მეთაურობით გვარდიელებმა დაიკავეს თბილისის არსენალი და განაიარაღეს იქ მდგომი რუსული გაბოლშევიკებული სამხედრო ნაწილები. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არჩეულ იქნა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად. მთავარი შტაბის ნომინალური მეთაური იყო ნ. ჟორდანია, თუმცა, პრაქტიკულად, სახალხო გვარდიას ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა. იგი პირადად უჩვენებდა თანამებრძოლებს ბრძოლის მაგალითს სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობისას. იბრძოდა პირველი რესპუბლიკის პერიოდში წარმოებულ ყველა სამხედრო კონფლიქტში. მის შესახებ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ატაშე პ. სიტინი საიდუმლო მოხსენებაში წერდა: „დიდი მონაცემების მქონე პიროვნება, ძალიან მიზანდასახული. აქვს დიდი პირადი სიმამაცე, გამბედაობა და გამხნევების უნარი. ღირსებისმოყვარეა, ურჩევნია სოფელში იყოს პირველი, ვიდრე ქალაქში - მეორე. სამხედრო საქმეს იცნობს პრაქტიკულად საკუთარი სიმამაცის წყალობით, ბრწყინვალე ბელადია.” 1919 ვ. ჯუღელი აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით; გახლდათ სამხედრო კომისიის წევრი. რუსეთ-საქართველოს 1921 წ-ის ომის მიმდინარეობისას, ოსიაურის ბრძოლაში (4-6 მარტი) მსუბუქად დაიჭრა.

1921 წ-ის მარტში ვ. ჯუღელმა მთავრობასა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან ერთად დატოვა საქართველო და ემიგრაციაში გაემგზავრა. ჩაება ანტისაბჭოთა ბრძოლის პროცესში. 1922 სხვა სამხედროებთან ერთად შეიმუშავა და რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად გაუგზავნა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გეგმა. 1923-1924 წწ-ში სპეციალური წვრთნა გაიარა საფრანგეთის რესპუბლიკის 35-ე ქვეითთა პოლკში. 1924 თანამებრძოლებთან ერთად არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში. თავდაპირველად ცხოვრობდა გურიაში, შემდეგ გადავიდა თბილისში, სადაც შევიდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო კომისიაში და სათავეში ჩაუდგა აჯანყების სამზადისს. 1924 წ-ის 6 აგვისტოს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ („ჩეკა”) დააპატიმრა. „ჩეკაში” მას უჩვენეს აჯანყების გეგმა, რის შემდეგაც ვ. ჯუღელმა, დარწმუნდა რა აჯანყების წარმატებით დასრულების შეუძლებლობაში, თვითმკვლელობა სცადა, თუმცა უშედეგოდ. თვიმთმკვლელობის მცდელობის შემდეგ ჯუღელმა მოითხოვა თანამებრძოლებთან შეხვედრა, რათა აჯანყება გაეუქმებინათ. „ჩეკამ” ამისათვის გაათავისუფლა პატიმარი ვანო ღლონტი, მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცეკამ, მიღებული წესების თანახმად,

რომელიც „ჩეკას” მეშვეობით დაპატიმრებულ თანამებრძოლთან კონტაქტს გამორიცხავდა, ვ. ჯუღელს უპასუხა, რომ აჯანყება არ იგეგმებოდა. ვ. ჯუღელმა თანამებრძოლებს გაზეთ „კომუნისტიდანაც” მიმართა აჯანყების გაუქმების მოთხოვნით. 1924 წ-ის 28 აგვისტოს აჯანყების დაწყების შემდეგ, 30 აგვისტოს ვ. ჯუღელი თბილისში დახვრიტეს.

ლიტ.: სცსა. ფ. 1864. აღწ. 2. საქ. 735, ფ. 1874. აღწ. 1. საქ. 2; ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; დ. სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები ტ. I, თბ., 2011.

დიმიტრი სილაქაძე

3

ჰასან ზადე ჰუსეინ (1869, ტფილისი - 1948, ტფილისი) - პედაგოგი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარია. მუშაობდა მასწავლებლად თბილისში ხარპურის სკოლაში. აზერბაიჯანელ მოსახლეობაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, თუმცა არ წარმოადგენდა არც ერთ პარტიას.

1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ აზერბაიჯანელთათვის გამოყოფილი კვოტით გახდა პარლამენტის წევრი.

სხვა ბიოგრაფიული მონაცემები არ იძებნება.

ლიტ.: სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 109, 119.

ირაკლი ირემაძე



ჰარბორდი ჯეიმს

ჰასკელი იულიამ

ჰარბორდი ჯეიმს გუთრი (21.III.1866, ილინოისი - 20.VIII.1947, ნიუ-იორკი) - ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ოფიცერი. გენერალ-ლეიტენანტი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ევროპაში ამერიკული ჯარების შტაბის უფროსი. განათლება კანზასის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში მიიღო. 1889 წ-დან მსახურობდა აშშ-ს არმიაში. მონაწილეობა მიიღო 1889 წ-ის კუბის ოკუპაციაში და ესპანურ-ამერიკულ ომში. 1901 მიენიჭა კაპიტნის წოდება. მონაწილეობდა ამერიკა-ფილიპინების ომში. 1917 წ-დან ხელმძღვანელობდა ევროპის დასავლეთ ფრონტზე, საფრანგეთში განთავსებულ ამერიკული არმიის ნაწილებს.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებისას იკავებდა ევროპაში ამერიკის ჯარების შტაბის უფროსის პოსტს. 1919 განიხილებოდა ამიერკავკასიაში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის პოსტზე, თუმცა საბოლოოდ ამ პოსტზე შეკვეცილი უფლებამოსილებით (მხოლოდ სომხეთზე) დაინიშნა ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი. 1919 პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა გენერალი ჰარბორდი დანიშნა „სომხეთში ამერიკული სამხედრო მისიის“ ხელმძღვანელად. გენერალს დაევალა სომხეთში და, ზოგადად, ამიერკავკასიაში არსებული პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, შესაძლებლობის შემთხვევაში, სომხეთზე ამერიკის მანდატის აღებისა და მანდატის აღსრულებისათვის საჭირო სავარაუდო დანახარჯების გათვლა. გენერლის მისია უშუალოდ სომხეთზე ვრცელდებოდა, თუმცა მას ევალებოდა შეესწავლა საქართველოსა და აზერბაიჯანის რეალობაც. 2 ოქტომბერს ჰარბორდი თბილისში ჩამოვიდა, შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებს. შემდგომში იმოგზაურა ბაქოში. მართალია, შეხვედრებისას ჰარბორდი ორივე ქვეყანაში ზარ-ზეიმითა და წვეულებებით მიიღეს, მაგრამ ამერიკელმა გენერალმა თავის ანგარიშებში საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობის შესახებ ნეგატიური განწყობები არ დამალა. ჰარბორდმა ანგარიშებში აღწერა ამიერკავკასიის ქვეყანათა შორის არსებული დაპირისპირებები და განსხვავებული მისწრაფებები. მისი აზრით, კავკასიაზე მანდატი, კონსტანტინოპოლთან და ანატოლიასთან ერთად, ერთ სახელმწიფოს უნდა აეღო, სხვაგვარად რეგიონის მართვა შეუძლებელი იყო.

1922 ჰარფორდმა არმია დატოვა და გახდა ამერიკის რადიო კორპორაციის პრეზიდენტი. 1942 მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. დაკრძალულია არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე.

ლიტ.: ბ. კობახიძე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919. №223, №224.

ირაკლი ირემაძე

ჰასკელი უილიამ ნაფიუ უმცროსი (13.VIII.1878, ნიუ-იორკი - 14.VIII.1952, კონექტიკუტი) - ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ოფიცერი, ამერიკის შეერთებული შტატების მისიის ხელ-

მძღვანელი რუმინეთში და საბჭოთა რუსეთში, მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი სომხეთში (ამიერკავკასიაში). 1897-1901 წწ-ში სწავლობდა ვესტპოინტის სამხედრო აკადემიაში. მონაწილეობდა ამერიკა-ფილიპინების ომში. პირველი მსოფლიო ომის დროს შედიოდა ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ხსნის კომიტეტის მისიაში, რომელსაც აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი ხელმძღვანელობდა. იყო კომიტეტის წარმომადგენელი რუმინეთში.

1919 წ-ის ივნისში, ჰუვერის ინიციატივით, პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა პოლკოვნიკი ჰასკელის კანდიდატურა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს შესთავაზა ამიერკავკასიაში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე, უმაღლესმა საბჭომ ჰასკელის სამოქმედო არეალად მხოლოდ სომხეთი განსაზღვრა, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში კი ამერიკელ პოლკოვნიკს მხოლოდ ჰუმანიტარული საქმიანობის უფლება მიენიჭა. ამ პერიოდის აშშ-ის კავკასიური პოლიტიკა ცალმხრივად არმენოფილურ შინაარსს ატარებდა, კონგრესშიც და მთავრობაშიც მძლავრობდა სომხეთისადმი მკაფიო სიმპათიები და დახმარების სურვილი, თუმცა მანდატის აღება სომხეთზე კონგრესისათვის მაინც მიუღებელი იყო. პრეზიდენტი უილსონი, ხსნის კომიტეტის ხელმძღვანელი ჰუვერი და სხვა მაღალჩინოსნები ცდილობდნენ სომხეთის დახმარებას და სომხური სახელმწიფოს გაძლიერებას, თუმცა მონროს დოქტრინის შენარჩუნებისა და კონგრესთან უთანხმოების გამო, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მით უფრო სამხედრო დახმარების გაწევა ვერ შეძლეს. თავის მხრივ, ჰასკელი, რომელიც ცდილობდა გამხდარიყო მოკავშირეთა კომისარი მთლიანად ამიერკავკასიაში, მუდმივად ცდილობდა დაერწმუნებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მათდამი სიმპათიებში. ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა 1919-1920 წწ-ში ჰასკელის საქმიანობას, რომელიც ძირითადად თბილისსა და ერევანს შორის მოგზაურობდა და ცდილობდა სომხეთისათვის სურსათისა და ტანსაცმლის მიწოდების უზრუნველყოფას. პოლკოვნიკი ცდილობდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მუდმივ რეჟიმში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებების შეჩერებას. ჰასკელი სომხეთისა, და ზოგადად, ამიერკავკასიის საკითხზე მოსალაპარაკებლად რამდენიმეჯერ შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორს. 1919-1920 წწ-ში ჰასკელისა და სომხეთში ამერიკის სამხედრო მისიის ხელმძღვანელის გენერალ ჯეიმზ ჰარბორდის მოხსენებები, მიუხედავად ქართველი ხალხისადმი სიმპათიისა, ბევრ ნეგატიური ინფორმაციას შეიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მთავრობის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ოკუპირების შემდეგ, 1921-1923 წწ-ში, ჰასკელი იყო ამერიკული მისიის ხელმძღვანელი რუსეთში. შემდგომში ხელმძღვანელობდა წითელ ჯვარს თურქეთ-საბერძნეთს შორის ლტოლვილთა გაცვლის პროცესში. შემდგომში დაბრუნდა ნიუ-იორკში და გააგრძელა სამხედრო სამსახური. 1832 ჰუვერის ინსტიტუტმა პოლკოვნიკი ჰასკელის მოგონებები გამოსცა, რომლის დიდი ნაწილიც სწორედ ამიერკავკასიას შეეხება. მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში. მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

ლიტ.: ბ. კობახიძე, „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თსუ, 2015; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №182, №185, 1920, №112.

ირაკლი ირემაძე

ჰიმნი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა – 1918-1921 წწ-ში არსებული ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „დიდება“. მისი ტექსტისა და მუსიკის ავტორია კომპოზიტორი კონსტანტინე ფოცხვერაშვილი (1880-1959). ამ ჰიმნის სრული ტექსტი ასეთია:

„დიდება ზეცით კურთხეულს!
დიდება ქვეყნად სამოთხეს!
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს!
დიდება ჩვენი სიცოცხლის მიზანს დიადსა!
„ვაშა!“ ტრფობასა, სიყვარულს,
„ვაშა!“ შვებასა, სიხარულს, „სალამი!“
ჭეშმარიტების შუქ-განთიადსა“.

არსებობს მოსაზრება, რომ „დიდების“ მუსიკა ძალიან წააგავს გერმანიის იმპერიის სახელმწიფო ჰიმნის „დოიჩლანდლიდის“ მუსიკას (ავტორი - იოზეფ ჰაიდნი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი უცვლელი სახით აღადგინა 1990 წ-ის შემოდგომაზე საქართველოში გამართული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ. ეს ჰიმნი შემდგომი თითქმის 14 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. 2004 წ-ის აპრილში დამტკიცდა საქართველოს ახალი სახელმწიფო ჰიმნი - „თავისუფლება“.

ლიტ.: კ. ფოცხვერაშვილი, დიდება (ნოტი), ქართული ეროვნული ჰიმნი, განმარტივებული სახალხო გამოცემა ქალ-ვაჟთა გუნდისათვის (შეიძლება ფორტეპიანოზედაც დაიკრას), სიტყვები და მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა, ქუთაისი, 1918.

ნიკო ჯავახიშვილი



ჰიუსმანსი კამილ

ჰრინევსკი ჰენრიკ

ჰიუსმანსი კამილ ჟან-ჟოზეფ (26.V.1971, ბილენზი - 25.II.1968, ანტვერპენი) - ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი. ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრი (1946-1947). მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის მდივანი. უმაღლესი განათლება მიიღო ლიეჟის უნივერსიტეტში. მოიპოვა გერმანული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი და წლების განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. 1896 შეუერთდა ბელგიის სოციალისტურ პარტიას, იყო წამყვანი სოციალისტური გამოცემების ჟურნალისტი. 1905-1922 წწ-ში იყო მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის მდივანი და ერთ-ერთი ლიდერი. 1906 აირჩიეს ბრიუსელის საბჭოს წევრად. 1910 გახდა ბელგიის პარლამენტის წევრი. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეორე ინტერნაციონალსა და ჩინეთის რევოლუციურ მოძრაობას შორის კავშირების დამყარებაში.

1920 წ-ის სექტემბერში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა საქართველოში. მოგზაურობდა რეგიონებში. საქართველოს მოქალაქეებს სიტყვით მიმართა კახეთის, გურიისა და სამეგრელოს მაზრებში გამართულ საზეიმო მიტინგებზე. საჯაროდ მხარს უჭერდა საქართველოში განხორციელებულ აგრარულ რეფორმას. საქართველოში ყოფნისას პირადად შეხვდა ნოე ჟორდანიას და ევროპული სოციალისტური წრეების მყარ მხარდაჭერას დაჰპირდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, აპროტესტებდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. 1920-იან წლებში ჰიუსმანსი აქტიურ პოლიტიკურ და სამეცნიერო საქმიანობას აგრძელებდა. მეორე მსოფლიო ომის პირობებში გერმანიის მიერ ბელგიის ოკუპაციის დროს თავი ლონდონს შეაფარა, აქტიურ მხარდაჭერას უწევდა დევნილ ებრაულ თემებს, თანამშრომლობდა მემარცხენე სიონისტურ მოძრაობასთან. 1946 სათავეში ჩაუდგა ბელგიის მემარცხენე კოალიციურ მთავრობას. 1954 აირჩიეს ბელგიის წარმომადგენელთა პალატის პრეზიდენტად. იყო ძალიან პოპულარული პოლიტიკური ფიგურა, რამდენიმეჯერ ხალხმრავალი დემონსტრაციებით აღინიშნა ჰიუსმანსის იუბილე.

ლიტ.: გ. შარაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბ., 2003; ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ), თბ., 1997; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №209, №217, №219, №223; გაზ. „ერთობა“, 1920, №213.

ირაკლი ირემაძე

ჰრინევსკი ჰენრიკ (22.XII.1869, ქუთაისი, - 1938) - მხატვარი, პედაგოგი, არქიტექტორი. დაიბადა საქართველოში მცხოვრები პოლონელი ემიგრანტის ოჯახში. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედასთან ერთად ევროპაში გაემგზავრა. 1877-1898 წწ-ში სწავლობდა იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში. სამხედრო ვალდებულების მოსახდელად, 1889 დაბრუნდა ქუთაისში. 1895 წ-იდან სწავლას აგრძელებს იტალიაში. მისი მეუღლე იყო იტალიელი ბალერინა, ქართული საბალეტო დასის ფუძემდებელი მარია პერინი. 1898 წ-დან მეუღლესთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. 1902-დან ხატვას ასწავლიდა კავკასიის კაზმული ხელოვნების სამხატვრო სკოლაში. 1910 წ-დან მუშაობდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამხატვრო აკადემიაში. 1912 არქიტექტორ ა. კალგინთან ერთად, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი) პროექტის კონკურსში გაიმარჯვა. მას დეკორის დამუშავება ეკუთვნოდა, მოხატა ინტერიერი. 1912-1914 წწ-ში მხატვრულად გააფორმა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული.

1918-1921 წწ-ში იყო კავკასიის კაზმული ხელოვნების სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. იკვლევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს.

იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორთაგანი. 1922-1937 წწ-ში დეკანისა და პრორექტორის თანამდებობები ეკავა. 1926 თბილისის რკინიგზის სამმართველოს შენობის ფასადის რეკონსტრუქციის პროექტში მიიღო მონაწილეობა. ქაშუეთის ეკლესიის რამდენიმე ნაწილი მოხატა. 1937 წ-ის 15 დეკემბერს ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: ვ. ბერიძე, ჟურ. „სპექტრი“, 1989; სტალინური სიები საქართველოდან [ელექტრონული მონაცემთა ბაზა] / ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიაში, 2013.

სალომე ჭანტურიძე